ჯუნი ჯუმბერ კაკულია

კოლხეთის (საქართველოს) ისტორია

შემაჯამებელი ნაშრომი

✷

თბილისი
1994 -- 2014

სარჩევი:

გამოყენებული ლიტერატურის შემოკლებული სათაურები.

ნაწილი პირველი (ისტორია):

შესავალი
იყო და არა იყო რა
ბიზანტია
ევრაზია
სამეგრელო (საქართველოს დასავლეთი)
სტრაბონი და პროკოპი კესარიელი

არაბობა საქართველოში
არაბობა და ქართული წყაროები
არაბობა, აბაზეთი და აბხაზეთი
არაბული და ჰაიკური წყაროები
ქართლი და საქართველო
რომის პაპის წერილები
მამფალი
იბერია, ივერია და ევროპა
კონსტანტინე პორფიროგენეტი
ალბანეთი
არმინა და არმენია
არარატი და კავკასა
ქართლი და ჰაიასტანი
ოსები
ვახტანგ მეხუთე (და არა მეექვსე)
მოვსეს ხორენაცი
არტაქსი და ტიგრან დიდი
ლეონტი მროველი
ხუჭუჭთმიანი და თვალებმოელვარე ჰაიკი
ჰაოსის მონა-მორჩილი ძმა ქართლოსი
ფარსმანი, მითრიდატე და რადამისტი
ბაგრატოვნები
ხარტიელი და ტანუტერი
ასურელი მამები

ნაწილი მეორე (ფილოლოგია):

უცხო სიტყვათა ჭარბი მარაგი და აგლუტინაცია
ფონეტიკური პროცესები
ნახევრადხმოვანი **ჱ** და თანხმოვანი **Ჩ**
ზმნები, ზმნისწინები...
ქართული ლექსიკის კოლხური მეტყველება
ლოგოგრამული აზროვნება
თანხმოვანი **ნ**
დურ-ან-ქი და მინი
ენქი, იგივე ენგური
თანხმოვანი **რ**
შუ და შუანი
ენლილი
ქიყვანა > ქვეყანა
ოდო დია და ოჩოპინტრე
ᲯᲐ
კალოკაგათია
ბა
ათონი და ვაალა
ხავავა

თანხმოვანი პ
თანხმოვანი ტ
ღორონთი
თანხმოვანი ჭ
თანხმოვანი ზ
თანხმოვანი მ
თანხმოვანი ჟ და ჰარმონიული წყვილი ჩხ
თური და თანხმოვანი ჩ
ფასინენა
ფსქი
სისტემატიზაცია
ხარი მობუბუნე რაზიკაულ-გოგოჭური
კოლხური ლექსიკა
კოლხური ტოპონიმია
კოლხური გვარები
ძველი ქართული
დასკვნის სახით

გამოყენებული ლიტერატურის შემოკლებული სათაურები

(**სერგი მაკალათია** 6) = სერგი მაკალათია „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ 1941 წ. გვერდი 6.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 775) = ვახუშტი ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრება“ 1973 წ. IV ტომი გვ. 775.

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 201) = ჟაკ ფრანსუა გამბა „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“ 1987 წ. გვ. 201.

(**ბეჟან გიორგაძე** 37) = დონ კრისტოფორო დე კასტელი „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“ თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძის. 1977 წ. გვ. 37.

(**აკაკი გელოვანი „არგონავტიკა“** 9) = აკაკი გელოვანი „არგონავტიკა“ 1975 წ. გვ. 9.

(**აკაკი გელოვანი** 260) = აკაკი გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“ 1983 წ. გვ. 260.

(**ქართლის ცხოვრება** I ტ. 11) = „ქართლის ცხოვრება“ 1942 წ. I ტომი გვ. 11.

(**ქ.ს.ე.** VII ტ. 282) = „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ VII ტომი გვ. 282.

(**პავლე ინგოროყვა** 212) = პავლე ინგოროყვა „გიორგი მერჩულე“ 1954 წ. გვ. 212.

(**ივანე ჯავახიშვილი** ქ. 404) = ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“ 1960 წ. გვ. 404

(**ალექსანდრე დიუმა** 410) = ალექსანდრე დიუმა „კავკასია“ 1970 წ. გვ. 410.

(**აკაკი ურუშაძე** 117) = აკაკი ურუშაძე „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში“ 1964 წ. გვ. 117.

(**რისმაგ გორდეზიანი** „ილიადა" 262) = რისმაგ გორდეზიანი „ილიადა და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები“ 1970 წ. გვ. 262.

(**სტრაბონი** 125) = თინათინ ყაუხჩიშვილი „სტრაბონის გეოგრაფია“ 1957 წ. გვ. 63.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 69) = „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ 1993 წ. გვ. 69.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 640) = ნიკო ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის საკითხები“ 1990 წ. VIII ტ. გვ. 640.

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 294) = ივანე ჯავახიშვილი თორმეტტომეული III ტ. გვ. 294.

(**ს. ს.**) = სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“ 1991 წ.

(**ი. ა.**) = ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ 1973 წ.

(**ი. ყ.**) = იოსებ ყიფშიძე „რჩეული თხზულებანი“ 1994 წ.

(**გ. ე.**) = გივი ელიავა „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ 1997 წ.

(**პ. ჭ**) = პეტრე ჭარაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ 1997 წ.

(ა. ღლ.) = ალ. ღლონტი ,,ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ 1984 წ.

(**ო. ქ.**) = ოთარ ქაჯაია „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ 2001 წ.

(**ქ.ე.გ.ლ.**) = „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 1950 წ.

(**ქ.ე.გ.ლ.**) = „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 1990 წ.

(**გ. გ.**) = გუბაზ გოგატიშვილი „ფშაური ლექსიკა“ 2006 წ.

(**გ. ც.**) = გიორგი ცოცანიძე „თუშური ლექსიკონი“ 2012 წ.

(**ი. ტ.**) ირინე ტატიშვილი „ხეთურ-ქართული ლექსიკონი“ 2010 წ.

საქართველოს გეოგრაფიული სახელების **ორთოგრაფიული ლექსიკონი** 1987 წ.

(**ვ. ი.**) = ვახტანგ ითონიშვილი „ტოპონიმიურ-ონომასტიკური და ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტის მონაცემები“ 2006 წ.

(**გიორგი მელიქიშვილი** 238) = გიორგი მელიქიშვილი „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ 1965 წ. გვ. 238.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 198) = გიორგი მელიქიშვილი „საქართველოს ისტორია“ გვ. 198.

(**მოვსეს ხორენაცი** 52) = მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“ რედაქტორი ალექსანდრე აბდალაძე 1984 წ. გვ. 52.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 268) = მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“ რედაქტორი ალექსანდრე აბდალაძე 1984 წ. გვ. 268.

(**პლუტარქე** 78) = პლუტარქე „რჩეული პარალელური ბიოგრაფიები“ თარგმანი აკაკი ურუშაძისა 1957 გვ. 78.

(**სარგის კაკაბაძე** 74) = სარგის კაკაბაძე „საისტორიო მოამბე“ № I. 1924 წ. გვ. 74.

(**პროკოპი კესარიელი** 24) = სიმონ ყაუხჩიშვილი ,,გეორგიკა“ II ტ. 1934წ. გვ. 24.

(**არნოლდ ჩიქობავა** I. 83) = არნოლდ ჩიქობავა „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ 1938 წ. გვ. 83.

(**არნოლდ ჩიქობავა** IX) = არნოლდ ჩიქობავა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“ 1979 წ. გვ. IX.

(**ვარლამ თოფურია** III 185) = ვარლამ თოფურია „შრომები“ III ტომი. 1979 წ. გვ. 185.

(**ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე** 12) = ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ 1979 წ. გვ. 12.

(**ბესარიონ ჯორბენაძე** 104) = ბესარიონ ჯორბენაძე „ქართული დიალექტიკა“ 1989 წ. გვ. 54.

(**მამანტი ძაძამია** I 11) = მამანტი ძაძამია „მეგრული დიალექტი“ ორტომეული 1991 წ. I ტომი. გვ. 11.

(**მამანტი ძაძამია** „აია" №2 77 1998წ.) = მამანტი ძაძამია. ჟურნალი „აია“ 1998 წ. №2 გვ. 77.

(**სემიუელ კრამერი** 39) = სემიუელ კრამერი „ისტორია იწყება შუმერიდან“ 1988 წ. თარგ. მარინე სოხაძის გვ. 39.

(**რუდოლფ შტაინერი** 241) = რუდოლფ შტაინერი „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“ 1994 წ. გვ. 241.

(**ზურაბ კიკნაძე** 65) = ზურაბ კიკნაძე „შუამდინარული მითოლოგია“ 1979 წ. გვ. 65.

(**ლადო ალფენიძე** 172) = ლადო ალფენიძე „სფინქსის ღიმილი“ 1997 წ. გვ. 172.

(**ზურაბ ჭუმბურიძე** 298) = ზურაბ ჭუმბურიძე „დედაენა ქართული“ 1987 წ. გვ. 298.

(**ნ. კაპანაძე** 50) = ნ. კაპანაძე „ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებანი“ 1986 წ. გვ. 50.

(**ვაჟა** II 83) = ვაჟა-ფშაველა „თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად“ II ტ. გვ. 83.

(**სარგის კაკაბაძე** 7) = სარგის კაკაბაძე „საისტორიო მოამბე“ I 1924 წელი. გვ.7.

(**„ლაო ძი" ლერი ალიმონაკი** 296) = „ლაო ძი“ მთარგმნელი და განმარტებანი ლერი ალიმონაკისა 1983 წ. გვ. 296.

(**ჯემალ შარაშენიძე** 39) = ჯემალ შარაშენიძე „შუმერები და მათი კულტურა“ 1983 წ. გვ. 39.

(**გიორგი შატბერაშვილი** 199) = გიორგი შატბერაშვილი, ოთხტომეული, IV ტ. გვ. 199.

(**არქანჯელო ლამბერტი** 80) = დონ არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერა“ გვ. 80.

(**მიხეილ თამარაშვილი** 41) = მიხეილ თამარაშვილი „პასუხად სომხის მწერლებს“ 1904 წ. გვ. 41.

(**ქართული ფოლკლორი** V 15) = „ქართული ფოლკლორი“ რედ. მიხეილ ჩიქოვანი V ტ. გვ. 15.

(**თინათინ ოჩიაური** 100) = თინათინ ოჩიაური „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ 1967 წ. გვ. 100.

(**მთიულურ-გუდამაყრული** 129) = ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, მთიულურ-გუდამაყრული. გვ. 129.

(**ილია ტაბაღუა** II 18) = ილია ტაბაღუა „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“ 1986 წ. ტომი II გვ. 18.

(**გიორგი გოზალიშვილი** 117) = გიორგი გოზალიშვილი „მითრიდატე პონტოელი“ 1965 გვ. 117.

(**როლანდ თოფჩიშვილი** 55) = როლანდ თოფჩიშვილი „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“ 1997 წ. გვ. 55.

(**სერგი ჟღენტი** 309) = სერგი ჟღენტი „ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“ 1965 წ. გვ. 309.

(**აგათია სქოლასქტიკოსი** 86) = სიმონ ყაუხჩიშვილი გეორგიკა III გვ. 86.

(**ნათელა კეჭაყმაძე** 23) = ფლავიუს არიანე „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ თარგმანი და კომენტარები ნათელა კეჭაყმაძისა. გვ. 23.

(**ბეჟან ხორავა** 38) = ბეჟან ხორავა „ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV--XVIII ს.ს.“ 1996 წ. გვ. 38.

(**კირიონი** 132) = Епископ Кирион „Культурная роль Иверии в истории Руси“ 1910 г. стр. 132.

(**გიორგი წულაია** 30) = Г. В. Цулая „Абхазия и абхази в контексте истории Грузии“ Москва 1995 г. стр. 30.

(**Б. А. Тураев** II 53) = Б. А. Тураев „История Древнего Востока“ 1913 г. часть II. страница 53.

(**А. Б. Ранович** 300) = А. Б. Ранович „О раннем христианстве“ 1959 г. страница 300.

(**Н. И. Конрад** 8) = Н. И. Конрад „Запад и Восток“ 1972 г. стр. 8.

(**Б.С.Э.** XXIII т. 151) = БОЛЬШАЯ СОВЕТСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ XXIII т. стр.151.

(**Плутарх** 189) = Плутарх „Сравнительные жизнеописания“ 1963 г. стр. 189.

(**Фридрих Ницше** 349) = Фридрих Ницше „Сумерки Богов“ 1990 г. стр. 349.

(**Лоукотка** 40) = Ч. Лоукотка „Развытие письма“ 1950г. стр. 40.

(**Д. Г. Р. с.**) = Древнегреческо-Русский словар 1958г.

(**Ф. Э. С.**) = Философский энциклопедический словарь 1983 г.

(**М. С.**) = Мифологический словарь 1991г.

(**Б. Э.**) = Библейская энциклопедия 1891г.

(**Гамкрелидзе-Иванов** II 516) = Т. В. Гамкрелидзе и Вяч. В. Иванов „Индоевропейский язык и индоевропейцы“ II т. стр. 516.

(**Дмитрий Гулия** 68) = Дмитрий Гулия „Собрание сочинений“ 1986 г. том шестой. стр. 68.

(**Бычков** 168) = Бычков В.В. «Эстетика поздней античности» стр. 168.

(**Норвич** 11) = Джон Норвич ИСТОРИЯ ВИЗАНТИИ 2009 г. стр. 11

ნაწილი პირველი (ისტორია)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„ბნელში ვართ, მაინც ბნელში ვართ
დღე გარდავქმენით ღამედა“. **ვაჟა**

დაუჯერებელია არა ის, რის მტკიცებასაც ეს ნაშრომი ეძღვნება, არამედ ის არსებული რეალობა რომელშიც ქართველი ერი იმყოფება.

ამ ნაშრომის აღქმა დღევანდელი საქართველოსთვის ისეთსავე სირთულეს წარმოადგენს, რასაც თავის დროზე წარმოადგენდა საზოგადოების იმაში დარწმუნება, რომ დედამიწა მრგვალია და არა ბრტყელი, რომ დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო და არა პირიქით. ასევე გასათვალისწინებია ისიც, რომ ვატიკანმა ოფიციალურად მხოლოდ 1992 წელს აღიარა -- დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს...

ჩემი თაობა აღიზარდა „ქართული აკვნის“ ხოტბით და მოულოდნელი იყო იმის აღმოჩენა, რომ: „მე-13 საუკუნის დასაწყისში საქართველოში აღმოსავლეთის დამპყრობი

ტომების მიერ თავისი შიბაქითა და არტახებით შემოტანილ აკვანზე უარესს სწორედ განგებ ვერ მოიგონებდა კაცი ბავშვის სატანჯველად და საწამებლად. აკვანი არის ძალიან დაბალი დასარწევი, რის გამოც ბავშვი მუდამ ცივი და მტვრით სავსე ჰაერით სუნთქავს. აკვანი ის ვიწრო კორსეტია, რომელიც ხელს უშლის ბავშვის ნორმალურ ზრდას. აკვანში აღზრდის დროს მცირდება თავის ქალის სიგრძე, ირღვევა სუნთქვისას ფილტვების ვენტილაცია და წონაში ნორმალური მატება, მუხრუჭდება ფსიქომოტორული განვითარება, თავის ქალა განიცდის დეფორმაციას, მატულობს დაავადებათა პროცენტი საერთოდ და განსაკუთრებით რაქიტი, ქვეითდება ერითროციტებისა და ჰემოგლობინის რაოდენობა, ირღვევა თერმორეგულაცია, ყველა დაავადება, კერძოდ, პნევმონია მიმდინარეობს მძიმედ და ხანგრძლივად, მატულობს სიკვდილიანობა. აკვნის უარყოფითი შედეგები თავს იჩენს ზრდადასრულ ასაკშიც კი; კერძოდ, შემცირებულია ბეჭების სიგანე, შებრტყელებულია გულმკერდის ყაფაზი, დარღვეულია სხეულის გენეტიკურად დეტერმინებული პროპორციები; თავი დეფორმირებულია და ბრაქიკეფალურია...

ბავშვების ქართულ აკვანში აღზრდა სოციალური ბოროტებაა, რადგან იგი აუძლურებს და ასუსტებს ახალ თაობას; ამრიგად, აკვნის გამოყენებას არავითარი საფუძველი არა აქვს. ყოველი პედიატრისა და მეანის მოვალეობაა მშობლები დაარწმუნოს აკვნის უარყოფით გავლენაში (**ნ. კაპანაძე** 24-27)“.

თუ უკვე ჭეშმარიტებაა, რომ მონღოლთაგან ათვისებული „ქართული აკვანი“ ჩვენი ბავშვების სხეულებრივი განვითარების შემაფერხებელია, თქვენ უნდა მოემზადოთ იმის აღსაქმელად, რომ დღევანდელი, „ქართლის ცხოვრება“-სა და სხვა ნატყუარ ლიტერატურულ ძეგლებზე აღმოცენებული ოფიციალური ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ქართველთა ეროვნული ცნობიერების, მისი ისტორიული მეხსიერების დამთრგუნველია, რომ ვახტანგ მეფისა და მისი კომისიის მიერ შექმნილი „ქართლის ცხოვრება“ და სხვა ნატყუარი წყაროები, მსგავსად „ქართული აკვნისა“ -- ეროვნული უბედურებაა.

თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ „ქართლის ცხოვრება“ გაჩენისთანავე იქნა აღიარებული ვახტანგ მეფის კომისიის ნაყალბევ, უკანონო პირმშოთ.

(**სიმონ ყაუხჩიშვილი** 22): „ამ ერთი საუკუნის წინათ მეცნიერებმა თეიმურაზ ბატონიშვილმა, მარი ბროსემ და სხვებმა ის დასკვნა გამოიტანეს, თითქოს „ქართლის ცხოვრება" მთლიანად ვახტანგის სწავლულ კაცებს შეედგინოთ“.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 379): „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქართლის ცხოვრების მ. ჯანაშვილისეული ხელთნაწერის ერთ-ერთი გვერდის არშიაზე 1799 წ. უცნობი პირისაგან მიწერილი შენიშვნა ,,ამას ქვემოთ“ (ე. ი. გიორგი ბრწყინვალის შემდგომ რაც სწავლულ კაცებს შეუდგენიათ) ,,ამ წიგნში ყველა სწორად არ აღუწერიათ. ღმერთმან მიუტეოს ეგნატაშვილის ბერს იმდენი შურით და მტრობით სიცრუე. მაგრა წერილის დაგდება მტრობით კეთილი და უმჯობესი საქმე არ არის"-ო, ამ შენიშვნის უცნობი დამწერიც, რომელსაც არაერთი და ორი სამართლიანი სხვა შენიშვნებიც შეუტანია ამ ქართლის ცხოვრების გაგრძელების ხელნაწერის კიდეებზე, გიორგი ბრწყინვალისაგან მოყოლებული საქართველოს ისტორიის ანუ ქართლის ცხოვრების გამგრძელებლის შემდგენელს რამდენსამე პირს ჰგულისხმობს: სწორედ არ ,,უწერიათ“-ო... უცნობი შემნიშვნელი ,,ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მოთხრობის სხვადასხვა ადგილას მართლაც აქა-იქ კიდურწერილობაში ამბობს: ,,**ტყუილია, ეს დავით მეფე არ ყოფილა, არც შობილა**“, ,,**ტყუილია ეს მეფე არც ყოფილა, არც შობილა**“, ,,**ეს კიდევ უფრო დიდი ტყუილია და ცილი: არასოდეს ამ ქვეყნისა ეს კაცი არ ყოფილა... ვახუშტი ბატონიშვილის წერილი უფრო შეიწყნარება, თუმცა თავისი სახლის**

სირცხვილები არა დაუფარავს და მეტიც უწერია“. ამ შენიშვნების ავტორი, როგორც ეტყობა, ვახუშტის მერმინდელი დროის მწერალი, ,,ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლებს ცნობებს უწუნებს, ზოგიერთი მათგანის სიმართლეს უარყოფს და ბრალსა დებს. რომ მას მაინც ეგნატაშვილისადმი ბოროტი გრძნობა არ ალაპარაკებდა, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ნათქვამი აქვს ,,ღმერთმან მიუტეოს ეს ბრალიო“.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 185): ,,ფარნავაზმა შემოიღოო სახელმწიფო წეს-წყობილება ,,მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“... ,,და განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი ერთი“... ,,ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასის-თავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთა“-ო...

რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი, როდესაც იგი ფარნავაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გვიხატავდა, არა ჩანს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მის ცნობებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ სტრაბონის გეოგრაფიიდან ჩვენ ვიცით, რომ უძველეს დროს ქართლში საგვარეულო წესწყობილება სუფევდა, კერძო საკუთრება მაშინ არ არსებობდა და საგვარეულო ქონების გამგედ მამასახლისი იყო. ერთი საპატიო გვარის მამასახლისი-კი ქვეყნის მეუფე მამასახლისად ითვლებოდა. ეს უფლება იმაზე გადადიოდა, რომელიც მთელს საგვარეულოში უფროსად ითვლებოდა.

ლეონტი მროველს ფარნავაზი სამაგალითო მეფედა ჰყავს დასურათებული, იგი ,,იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართლისა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“-ო... ესე იგი მან ქართული ანბანი შემოიღოო. რასაკვირველია ეს ცნობები ბავშვური გულუბრყვილობის შედეგია“.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 187): ,,წყაროები, რომელიც ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არიან მოკლებულნი, ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის ისტორიისათვის ახლა თითქმის სრულებით გამოუდეგარია... ლეონტი მროველის მიერ დაწერილი ქართლის მოქცევა და წმინდა ნინოს ცხორება თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხორებისა. არც ერთი იმ ნაკლთაგანი, რომელიც იმასა აქვს, ლეონტი მროველს თავიდგან არ აუცილებია. თავისი ნაშრომის ამ ნაწილში ლეონტიმ ვერავითარი თავისებურება და უნარი ვერ გამოიჩინა“.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 192): ,,ჯუანშერი რომ ვახტანგ მეფის მერმე ,,შემდგომად ჟამთა მრავალთა“ ცხოვრობდა და როცა თხზულებასა სწერდა, სანდო მასალა მის შესახებ ხელთ არა ჰქონდა, ეს საუცხოვოდ მისი ,,ისტორიითა“-ცა მტკიცდება: იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარ და სანდო საბუთს... ჯუანშერის ისტორია იმდენად ზღაპრული ჰანგებით არის შემკული, რომ მკვლევარს უნებლიედ აზრი ებადება, შესაძლებელია ვახტანგ მეფის ისტორიაში შეცდომით შეტანილ იყოს ის სიმღერა-თქმულებები, რომელიც გრიგოლ მაგისტროსის თქმით ღვთაება ბაჰრამ პაჰლავუნის შესახებ საქართველოში არსებობდა“.

(**ივანე ჯავახიშვილი** VII ტ. 41): ,,ვგონებ დიდი შეცდომა არ მოგვივა თუ ვიფიქრეთ, რომ ,,ქართლის ცხოვრების“ წყალობით საისტორიო წყაროები ცოტა არ იყოს ცალმხრივად არის შერჩეული და შენახული“.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 345): ,,საკმარისი იყო სახელოვანს ქართველს მეცნიერს {ვახუშტი ბაგრატიონს ჯ.კ.] კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა, რომ მას სრულ ჭეშმარიტებამდის მიეღწია, მაგრამ მას ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს და სწორედ ეს იყო,

რომ ვახუშტის მუშაობას ამ მხრივ ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და აქა-იქ შეცდომაც ჩაუდენინებია. ვახუშტი საბუთებისადმი გადამეტებული ნდობით იყო გამსჭვალული და თითქოს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ საბუთი შეიძლება ან ყალბი იყოს, ან მერმინდელი გადამწერის მიერ, თუ რომ ისტორიკოსს საბუთის დედნის მაგიერ მხოლოდ პირი ჰქონდა ხელთა, დამახინჯებული და უვარგისი ყოფილიყო".

მსგავსი მკაცრი შეფასებების გამო დამკვიდრებულია აზრი, რომ ივანე ჯავახიშვილმა ,,ქართლის ცხოვრება" კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და სიმონ ჯანაშიას აზრით -- ზედმედატაც კი. სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის ამგვარი სახის შენიშვნებს რეალური შედეგები არ მოყოლია და იგი გაორებულ პიროვნებად წარმოგვიდგება. ერთია ივანე ჯავახიშვილი, რომელიც მტკიცედ უარყოფს ქართულ ისტორიულ წყაროთა საიმედობას და მეორეა ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ბევრად მეტი სიმტკიცით იზიარებს და ანვითარებს ამ წყაროთა კონცეფციებს. რეალურად ივანე ჯავახიშვილმა მოახდინა „ქართლის ცხოვრებისა" და სხვა ნატყუარ ქართულ წყაროთა ფაქტიური კანონიზაცია.

აღსანიშნავია, რომ როცა მარი ფელისტე (ბროსე 1802-1880 წ.წ.) შეუდგა რეანიმირებული ,,ქართლის ცხოვრების" წარდგენას ევროპელთა წინაშე, ამ პროცესის დასაწყისშივე, რუსი აღმოსავლეთმცოდნის ოსიპ სენკოვსკის (1800-1858 წ.წ.) სტატიაში „Некоторые сомнения касательно истории Грузинов", გაისმა ავბედითი, წინასწარმეტყველური გაფრთხილება:

„боюсь, увлекшись красотами „Барской Кожи", перенести это утешительное пристрастие в оценку летописей Вахтанга и Вахушти, который, как мне кажется, требуют болшой недоверчивости и крайне хладнокровной критики со стороны ориенталиста. Я сейчас объясню, почему. Да, очень опасно было бы влюбиться в грузинскую словесность с самого начала, в первый день рождения её академической славы в Европе; потому что, однажды преувеличив её достоинство, **легко распространить в ученом свете насчет истории Грузинов такие заблуждения, на опровержение которых нужно будет потом сорок лет времени и сорок томов печати, то есть, ровно восемьдесят раз более нежели чего, как кажется, стоит вся ета история**".

ისიც აღსანიშნავია, რომ **ოსიპ სენკოვსკი** ასევე კრიტიკულად, რეალისტურად იყო განწყობილი თავად ნაყალბევი რუსული ისტორიული წყაროების მიმართებითაც; მისი ბიოგრაფი წერს:

„В своих исторических статьях он [Осип Сенковский] доказывает, что язык Несторовой летописи - польский, что "Слово о полку Игореве" - не заслуживающая внимания, ученическая подделка Петровского времени и так далее".

ცხადია, რომ დასახელებულ სტატიაში აღწერილი ჩვენი წარსულის თავად სენკოვსკისეული ხედვა სრულად მცდარია, მხოლოდ მისი გაფრთხილება „ქართლის ცხოვრების" სარწმუნოობის მიმართებით კი აგვიხდა და ორმოცი წელი თუ არა, საკმაო დრო მაინც გაივლის, სანამ ჯერ ქართველი ერი და შემდეგ მსოფლიო ირწმუნებს ქართველი ერის რეალურ ისტორიას. იმედს ნუ დავიშრობთ და ნაბიჯ-ნაბიჯ შევუდგეთ ჩვენთვის განსაზღვრული გზის გავლას...

რუსეთის იმპერიის კომუნისტური რეჟიმის თვითნგრევით წარმოქმნილმა ქაოსმა შესაძლებელი გახადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. შემდგომ თავად საქართველოში, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში გამეფებულმა ქაოსმა დამარწმუნა მოარული ხმების სიმართლეში, რომ ქართველებმა არ ვიცით საკუთარი

წარსული და რისი ცოდნის გარეშეც შეუძლებელია ერის მიზანდასახული, სამართლებრივად გააზრებული შემოქმედება. 1994 წლიდან შევუდექი არსებული ისტორიოგრაფიის რევიზიას, კვლევის შედეგი გამაოგნებელია:

საქართველოს არა ყავს ისტორიკოსი რომელიც ერკვევა ჩვენი წარსულის არსში და არა ყავს ენათმეცნიერი რომელსაც ესმის ქართველურ ენათა ფსიქოლოგია.

შესაბამისად, სადღეისოდ ოფიციალურად აღიარებული ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება თავისი არსით ანტიქართულია, ანტისახელმწიფოებრივია. აქედან გამომდინარე კი, ქართველებს გაგვაჩნია მხოლოდ ინტუიტური და არა რეალურ ისტორიულ გამოცდილებაზე აღმოცენებული ეროვნული იდეოლოგია.

ასეთმა შეფასებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ 1996—2003 წლებში, საერთო სათაურით ,,საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა“, მცირე ტირაჟებით გამოცემული ჩემი ნაშრომები, რომლებიც თავისი მიგნებებითა და შეცდომებით, წარმოადგენენ ჩემს მიერ, ჩვენი წარსულის ძიების პერიოდში განვლილ გზას, სრულად იქნა იგნორირებული ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა მიერ.

ვინაიდან არც მე აღმომაჩნდა ჩემს შეხედულებებსა და ოფიციალურ ისტორიოგრაფიას შორის არსებულ წინააღმდეგობათა თაობაზე ჩვენს მეცნიერებთან პაექრობის დიდი სურვილი, თქვენს წინმდებარე შემაჯამებელი ნაშრომი ქართული საზოგადოების სამსჯავროზე გამომაქვს, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდული ნაწილის იმედით. საბოლოო ჯამში, მაინც ქართველმა ერმა უნდა გადაწყვიტოს თუ რომელ მხარესაა ჭეშმარიტება და თითოეულმა პიროვნებამ დამოუკიდებლად უნდა შეიცნოს საკუთარი წარმომავლობა. შევეცდები აგიხსნათ თუ რას ეყრდნობა ჩემი იმედი დღეს მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული საზოგადოების მიმართებით.

1996 წელს გამოცემულ ჩემი პირველივე წიგნის, პირველსავე გვერდზე აღვნიშნე:

,,საქართველოს ისტორიის ახალი აღქმა“ წარმოშვა იმ საოცარმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც არსებობენ ერთის მხრივ ჩვენს ისტორიულ წყაროებსა და მეორეს მხრივ მსოფლიო (ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სპარსულ...) ისტორიოგრაფიებს შორის“.

აი პრაქტიკულად რაშია საქმე: 1984 წელს საქართველოში შედგა ბრიტანელი მკვლევარის ტიმ სევერინის სანაოსნო ექსპედიცია არგონავტთა ნაკვალევზე. ტიმ სევერინმა საბერძნეთში ააგო სანაოსნო ხომალდი ისტორიული სახელწოდებით ,,არგო“, შეადგინა ეკიპაჟი და შეუდგა არგონავტთა კოლხეთში მგზავრობის მარშრუტს. ექსპედიცია ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოადგა საქართველოს საზღვრებს, როგორც ისტორიული კოლხეთის საზღვრებს, შემოცურდა ქალაქ ფოთის აკვატორიაში, როგორც ქალაქ ფასისის წყლის სივრცეში და დაასრულა მოგზაურობა მდინარე რიონის სიღრმეში, როგორც კოლხეთის ლეგენდარული მდინარე ფასისის სიღრმეში. ამ აქტით გაცხადებულ იქნა არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობის რეალური მარშრუტი.

საქართველოს მოსახლეობამ ზარ-ზეიმით აღნიშნა მოგზაურთა ღვაწლი, რომელმაც მსოფლიოს კვლავ შეახსენა საყოველთაოდ აღიარებული აქსიომა – საქართველო ეს „წმინდა კოლხეთია“; მხოლოდ უნდა გავიაზროთ ის რეალობა, რომ ამ მართლაც ღირშესანიშნავ ისტორიულ მოვლენას სათანადო შეფასება არ მისცემია.

ლოგიკური აზროვნება გვკარნახობს: თუ ქართველი ერი აღიარებს საკუთარ ისტორიულ წყაროთა ჭეშმარიტებას, მაშინ ქართველ ერს ტიმ სევერინის ექსპედიციისათვის საზეიმო შეხვედრა კი არ უნდა მოეწყო, არამედ „არგო" ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებშიც კი არ უნდა შემოეშვა, ვინაიდან არც ერთ ქართულ-

ისტორიულ წყაროდ მიჩნეულ ძეგლში სიტყვაც არ არის ნახსენები ჩვენს კოლხურ წარსულზე. ეს საწუხარი აღმოჩენა სერგი მაკალათიას (1941 წ.) ეკუთვნის.

(**სერგი მაკალათია** 6): „საქართველოს ძველი ისტორია ფაქტიურად კოლხეთის ისტორიით იწყება და ისტორიის ვერც ერთი მკვლევარი მას გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ ამისდა მიუხედავად კოლხეთის ისტორია ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ანტიკურ მწერლობაში იგი ცნობილია „კოლხიდის" სახელწოდებით და უძველესი ცნობები მის შესახებ შემონახულია ძველ ბერძნულ თქმულებებში და მითოლოგიაში, აგრეთვე საბერძნეთისა და რომის საისტორიო მწერლობაში. მაგრამ კრიტიკულად ეს წყაროები განხილული და შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის. **ქართულ საისტორიო წყაროებში ძველი კოლხეთის შესახებ ცნობები არ მოიპოვება და სახელწოდება კოლხეთი არც კი მოიხსენიება**“.

არათუ ქართულ წყაროებში კოლხეთის შესახებ სიტყვაც არ არის დაძრული, არამედ სრულიად საპირისპიროდ, ავტორიტეტულ ისტორიკოსად მიჩნეული ვახუშტი ბაგრატიონი (1696--1757 წ.წ.) მტკიცედ უარყოფს საქართველოს წარსულის რაიმე კავშირს კოლხეთის მცნებასთან.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 775): „ხოლო ესე ოდიში ისახელა ორი სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. **ამას სწერენ ევროპიელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი, ანუ საწმისი, არამედ ჭალაკი იგი აქა არასადა მოიპოვების, არცა მატიანე ჩუენი მოიხსენიებს მას**“.

ვახუშტი ბაგრატიონის უარყოფის მიუხედავად, 1820 წელს ამიერკავკასიაში მოგზაურ ფრანგ ჟაკ ფრანსუა გამბასთვის საქართველოს დასავლეთი კვლავ „ძველი კოლხეთია“.

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 201): „ჩემი ვარაუდით, კოლხეთი მოიცავს მშვენიერ დაბლობს, რომელშიც შედის აფხაზეთის (დედანშია „აბაზეთის“ -- **Abazie** ჯ.კ.) ერთი ნაწილი გაგრის ხეობიდან მდინარე კოდორამდე, იმერეთი, სამეგრელო და გურია“.

იგივე ვახუშტი ბაგრატიონისაგან განსხვავებით XIX საუკუნის 60-იან წლებში ფოთის პორტში მყოფი ალექსანდრე დიუმა განცვიფრებული იყო „თუ რა სიზუსტით აღწერს „არგონავტების“ ავტორი (აპოლონიოს როდოსელი) ფასისის შესართავს“.

(**ალექსანდრე დიუმა** 443): „ქალაქ ეას და მუხაზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისის გარდა ეს აღწერა დღესაც ზუსტად ემთხვევა სინამდვილეს. კავკასიონი იმავე ადგილზეა, მარსის ველი ეს არის ვრცელი მოედანი, რომელზეც გაშენებულია ფოთი. ტყე დღესაც ისეთი ხშირია, როგორიც იაზონის დროს იყო. ჩვენ გავიარეთ არხი და ფასისის შესართავს რომ მივუახლოვდით, ლერწმით დაფარული ჭაობი დავინახეთ, სადაც არგონავტებმა თავიანთი ხომალდი დამალეს. როგორ შეიძლება ეა იყოს ქუთაისი, როცა იგი ფასისის შესართავს გადმოჰყურებდა და იქიდან კარგად ჩანდა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნატყუარი ისტორიით აღზრდილი ვახუშტი ბაგრატიონი თავად ევროპაში გაეცნო თუ რას „სწერენ ევროპიელნი კოლხიდად“.

(**ბეჟან გიორგაძე** 37): „ვატიკანის არქივში არსებულა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი რომში ჩამოვიდა და შეადგინა საქართველოს ისტორია, რომელსაც ვრცელი რუკაც დაურთო. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც იცნობდა და დედნებში იყენებდა კასტელის მასალებს, იყო ბატონიშვილი ვახუშტი. ეჭვი არ არის, რომ იგი მართლაც ყოფილა რომში, იქ ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა გაუწევია ქართული ისტორიის საკითხების დასამუშავებლად და თავისი ცნობილი ნაშრომი – „საქართველოს ცხოვრება“ – დაუწერია“.

ამჯერად ჩვენ გავიხსენოთ თუ რას სწერენ კოლხეთზე ევროპიელნი, ანუ რას უარყოფს და რას დაუპირისპირდა ვახუშტი ბაგრატიონი.

(**აკაკი გელოვანი** „არგონავტიკა“ 9): „თქმულება ოქროს საწმისისათვის არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის შესახებ ფართოდ იყო დამუშავებული... ბერძნულ მწერლობაში. არ დარჩენილა ელინური ეპოქის არა თუ მწერლობის, არამედ საერთოდ ხელოვნების არც ერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად, ან მისი ცალკე ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს. პირველ ცნობებს არგონავტიკის თქმულებისა და კოლხური გარემოს შესახებ ელინური პერიოდის ბერძნული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ადრინდელ ძეგლებში – ჰომეროსის „ილიადასა" და „ოდისეაში“ ვხვდებით. ფიქრობენ, რომ ჰომეროსმა გამოიყენა მანამდე არსებული ეპოსი, რომელშიაც არგონავტთა თქმულების გარკვეული ნაწილი იყო გადმოცემული. არგონავტთა თქმულებას იცნობდა კიკლიკური ეპოსის პოემები „დაბრუნებანი“ და „ექალიის აღება“.

(არგონავტთა თქმულებას დეტალებში იცნობდა ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმომადგენელი, ელინთა რელიგიისა და მითოლოგიის სისტემატოლოგი ჰესიოდეც (VIII ს. ძვ. წ.). ჰესიოდეს „თეოგონიაში“ მოხსენიებულია ჰელიოსისა და პერსეისის შვილები – კოლხთა მეფე აიეტი და კირკე, „მოკვდავთ-მანათობელი“ ჰელიოსის ძის აიეტის და იდიიას ასული—„კოჭმშვენიერი“ მედეა, რომელიც ელადაში იასონმა გაიტაცა ვერაგი პელიასის უმძიმეს დავალებათა შესრულების შემდეგ. დასახელებულია იასონისა და მედეას ვაჟი მედიოსი, არგონავტთა ლაშქრობის საწყისი პუნქტი იოლკოსი და მდინარეები -- ფასისი და რესოსი (ეს ფასისის პირველი მოხსენიებაა)“.

(**აკაკი გელოვანი** 492): „ფაზისი, უფრო სწორად ფასისი (**Phasis**) – 1. ფასიდი ჰელიოსისა და ოკეანიდ ოკიროეს შვილი, კოლხთა წინაპარ კოლხოსის მამა... 2. მდინარე ფაზისის ღვთაება; 3. ძველი კოლხეთის სანაოსნო მდინარე, უდავოდ დღევანდელი რიონი... 4. ქალაქი ამ მდინარის შესართავთან, მილეტელთა კოლონია, მერე კოლხთა ქალაქი (ფოთი)“.

აქ აღვნიშნოთ, რომ დღეს მიღებული მდინარის სახელწოდება **ფაზისი** ფუნდამენტალური მნიშვნელობის შეცდომაა და უნდა იყოს **ფასისი**.

(**თინათინ ყაუხჩიშვილი** ჰეროდოტე 6): „ჰეროდოტე იმ დროის ავტორია, როცა სიტყვა გამოითქმოდა ისე როგორც იწერებოდა... ორ ხმოვანს შორის **s**—იყო „ს“ და არა „ზ". ე. ი. **ფასისი** და არა ფაზისი“.

შეცდომათა შესწორების მიზნით, ჩვენ მცდარ ფორმა **ფაზის**-ს ციტირებულ ტექსტებშიც მხოლოდ **ფასის**-ად მოვიხსენიებთ. ამ თამამი გადაწყვეტილების მართებულებას მცნებების **ფასიანე**-სა და **ფსქი**-ს არსის გაცნობის შემდგომ აღიქვამთ.

(**აკაკი გელოვანი** 260): „კოლხი, კოლხოსი – ღმერთკაცი, ფასისის-ძე, ჰელიოსის შვილიშვილი (ჰელიოსი -- ფასისი -- კოლხოსი) – კოლხთა მითოლოგიური წინაპარი“.

(**აკაკი გელოვანი** „არგონავტიკა" 10): „კოლხეთის სახელი არგონავტების თქმულებასთან დაკავშირებით პირველად მოხსენიებული იყო ძვ. წ. VIII საუკუნის ეპიკოს პოეტის ევმელოს კორინთელის გენეალოგიურ პოემაში „კორინთიკაში“.

(**აკაკი გელოვანი** „არგონავტიკა" 31): „დიდი ესქილე... „მიჯაჭვულ პრომეთეში“ წერდა: კოლხიდის გმირნი, ყმაწვილნი, ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი“.

(**აკაკი გელოვანი** 16): „ბერძნები ჩინებულად იცნობდნენ კოლხეთს... ვარაუდობენ, რომ კოლხეთში ძლიერი იყო ჰეკატეს, ჰერაკლეს, რეა-კიბელეს აზიას, ინდური შივას კულტიც კი; რომ რეა იგივე ფასისი იყო; რომ ოლიმპიური ასპარეზობა პელოპონესში კოლხეთიდან შევიდა... (ნ. კ. შპრინგელი, მედიცინის ისტორია)“.

(**აკაკი გელოვანი** „არგონავტიკა“ 31): „ეტყობა, მართლაც ძლიერი ქვეყანა ყოფილა კოლხეთის სამეფო, რომ მან საბერძნეთის რჩეულ გმირთა, ღმერთების უშუალო მონათესავე გმირთა, ლაშქარი საგონებელში ჩააგდო; თვით ოლიმპიელ ჰერასა და აფროდიტეს მოთათბირება მოუხდათ – როგორ დახმარებოდნენ ლაშქარს ოქროს საწმისის გატაცებაში, მაგრამ ბოლოს მაინც მხოლოდ კოლხი მედეას შემწეობით მოახერხეს სანუკვარი მიზნის მიღწევა. ამრიგად, უცხოელ გმირებს ბევრი არაფერი აქვთ სატრაბახო. მათ უჭირთ ის რასაც კოლხთა მეფე თავისუფლად აკეთებს – თუნდაც სპილენძისჩლიქებიანი ხარებით ხოდაბუნების გადახვნა“.

(**აპოლონიოს როდოსელი ძვ. წ. III ს.**): „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კგრბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

დღესაც კოლხურად კირიბი ეწოდება ბატკანს, რომლის ტყავისაგანაც მზადდებოდა კგრბი, ეტრატი და მართალს ბრძანებს აკაკი ურუშაძე: „ძნელია ვიფიქროთ, რომ მდიდარი კულტურული წარსულის მქონე და ანგარიშგასაწევ ხალხად მიეჩნიათ კოლხები ბერძნებს მათში უძველესი დამწერლობის გარეშე“.

(**გივი ელიავა** ,,აია" № 2 გვ.11 1997წ.): ,,კარლ რიტტერი წერს: ,,კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პრაქტიკა – დიდება სრულიად არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, იგი ბევრად ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“.

(**აკაკი ურუშაძე** 504): „ცნობა იმის შესახებ, რომ ოქროს საწმისი ტყავებზე ნაწერი წიგნი, იმის შემცველი, თუ ვით უნდა გაკეთდეს ოქრო ქიმიის საშუალებით, გვხდება ანონიმურ ავტორთან, ხარაქს პერგამონელთან, იოანე ანტიოქიელთან და სვიდასთან“.

(**აკაკი ურუშაძე** 447): „ხარაქსი ამბობს, რომ ოქროს საწმისი არის ეტრატებზე აღნუსხული ხერხი ოქროდამწერლობისა, რომლის გამოც, როგორც ღირსსარწმუნოა, „არგოს" ლაშქრობა მოეწყო“.

(**აკაკი გელოვანი** „არგონავტიკა" 30): „ბერძნებს კოლხები დასაბამიდანვე ჩაუთვლიათ თავიანთ თანატოლ, ღმერთთა შთამომავალ, ძლიერ და განათლებულ ხალხად. ბერძნებს, რომელნიც ყველა არაბერძენს ბარბაროსს უძახდნენ!

ბერძენთა ულაქო დიდება და „ბარბაროსთა“ დამცირება ყოველ დროში მოდაში იყო, მაგრამ აიეტის დროის კოლხეთი ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც ასეთ სტატიკურ ვერსიას არღვევს. დავიმოწმებთ თუნდაც გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის, მოგზაურის და არქეოლოგის დიუბუა მონპერეს (1798-1850) სიტყვებს: „თვითონ მეფეც, რომელმაც არგონავტები მიიღო, და მისი ტომიც, ბევრად უფრო მაღლა იდგა იმ ავანტურისტებზე, გასაძარცვავად და სტუმართმოყვარული წესის დასარღვევად რომ ეწვივნენ კოლხეთის მბრძანებელს“.

განსხვავებით, ჭეშმარიტებად მიჩნეულ ქართულ ისტორიულ წყაროებისა, ესქილეს (ძვ. წ. 526--456) არგონავტების თქმულების საფუძველზე შეთხზული აქვს ტრილოგია, ტრაგედიები, დრამები. სოფოკლემ (ძვ. წ. 496—406) არგონავტების თქმულებას ყველაზე მეტი თხზულება მიუძღვნა. ევრიპიდეს (ძვ. წ. 480--406) არგონავტების მითის საფუძველზე რამდენიმე ტრაგედია შეუთხზავს. არგონავტიკის, იგივე კოლხეთის თემას ეხმიანებიან **ეპიმენიდე, პინდარე, არისტოფანე, ჰეროდორე, პლატონი, არისტოტელე, ვირგილიუსი**... და გამომდინარე არგონავტიკის თემის მნიშვნელობიდან, თითქმის არ დარჩენილა ძვ. ბერძენთა და რომაელთა შვილები, ვისაც კალამი სჭერია ხელში, კოლხეთი რომ არ ახსენოს. ამ ფონზე ასევე დამაფიქრებელია ივანე ჯავახიშვილის შემდეგი შინაარსის ცნობა:

„XV საუკუნემდე ქართულ საისტორიო მწერლობაში სამაგალითოდ ძველი ბერძნული და ელინური საისტორიო მწერლობა ყოფილა მიჩნეული და ელინური

მწერლობის ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადად ეტყობათ. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში ელინურ მწერლობითგან მოყვანილი ცნობები უფრო მეტია, ამასთანავე უფრო ზედმიწევნითა და უფრო დაწვრილებითაც არის გადმოცემული, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, და ეს გვაფიქრებინებს, რომ ელინური მწერლობის ცოდნა საქართველოში საზოგადოდ საკმაოდ საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო. მაინცდამაინც საგულისხმოა და მეტად დამახასიათებელია, რომ ელინური საისტორიო მწერლობის ცოდნა ქართველებს გარდა ძველს მახლობელ აღმოსავლეთში თითქმის არავის ემჩნევა და არც არაბულმა, არც სომხურმა ძველმა საისტორიო მწერლობამ თითქმის არაფერი იცოდა ელინური ისტორიათააღმწერლობისა. უეჭველია ქართული საისტორიო მწერლობისა და ბერძნულ-ელინური მწერლობის მჭიდრო კავშირი (**ივანე ჯავახიშვილი** VIII 42)".

თქვენთვის ცხადზე უცხადესი უნდა გამხდარიყო, რომ იცოდე ბერძნულ-ელინური ისტორიათააღმწერლობა და კრინტიც არ დაძრა კოლხეთზე ეს შეუძლებელი იყო, თუმცა მათ ეს შესძლეს...

თითქოს გული უგრძნობდათ, რომ ჩვენს მიერ იქნებოდა მცდელობა ჩვენივე კოლხური წარმომავლობის წარხოცვისა (და არა მარტო ჩვენს მიერ), ძვ. ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები ერთხმად გაიძახიან:

(**პროკოპი კესარიელი** VI ს.): „კოლხები შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფასისის მდინარეზე მოსახლეობენ, ხოლო სახელი „კოლხები", როგორც სხვა მრავალი ტომისა, ამჟამად „ლაზთა" სახელით შეიცვალა".

(**აგათია სქოლასტიკოსი** VI ს.): „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფასისის, კავკასიის და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას".

(**იოანე ლიდე** VI ს.): „ევროპაშია კოლხიკე, რომელსაც ეხლა ლაზიკეს უძახიან".

(**არიანეს უსახელო რედაქტორი** VI ს.): „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლიდან მდ. აფსარამდე უწინ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ეხლა შეერქვათ ლაზები".

ლაზ-მეგრელებსაც ახსოვდათ საკუთარი კოლხური წარმომავლობა.

(**აგათია სქოლასტიკოსი** VI ს.): „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზე მბრძანებლობენ, **ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით**".

დროა ქართველმა ერმა ნათლად აღიქვას, რომ საქართველოს (კოლხეთის) მიმართებით არსებობს ორი სრულიად განსხვავებული, ორი ურთიერთგამომრიცხავი ისტორიული ხედვა, ეს გახლავთ, ერთის მხრივ კოლხთა (ქართველთა) განმადიდებელი, მსოფლიო ხალხთა მიერ აღიარებული ბერძნულ-რომაული წყაროები და, მეორეს მხრივ, კოლხთა (ქართველთა) დამამცირებელი, ნატყუარი ქართული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები, რომ ქართულმა ისტორიულ-ლიტერატურულმა „ძეგლებმა" ჩვენი სპილო წარსული ვირთხა წარსულად აქციეს.

არ გჯერათ? მაშინ კოლხური წარსულის ბერძნულ-რომაული ხედვის გაცნობის შემდგომ გავიხსენოთ თუ როგორ ამოგანგლეს ლაფში ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა ჩვენივე წინაპრების ამაგი.

(**ქართლის ცხოვრება** I ტ. 11): „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, კავკასოთა და მეგრელთა – ამათუისთა ერთი იყო მამა თარგამოს (ე. ი. ქართველთათვის მეგრელნი, ჰერნი იგივეა რაც სომხები, ლეკები და სხვა კავკასიელებიო ჯ.კ.)... ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა (რომელმაც მხოლოდ ძვ. წ. III საუკუნიდან, როცა ლეგენდარული ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგებელმა, აპოლონიოს როდოსელმა არგონავტიკის,

ანუ კოლხეთის სახელმწიფოებრიობის უკვდავსაყოფად ეპოსი დაასრულა, მხოლოდ მაშინ იწყო ერად და სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და რომელი სახელმწიფოებრიობაც 428 წლიდან კავკასიაში დაკარგა. ჯ.კ.) რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო, არც წყლისრღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა და არითა და სიმხნითა, ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისა. განუყო ნათესავი თუისი თარგამოს რვათა ამათა გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და უმჯობესი ქუეყანისა მისცა ჰავოსსა; ხოლო შვიდთა ამათა მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა (აქ ვერ დავეთანხმებით ჩვენი ისტორიის მწვალებლებს, ჰაოსიანთა ტანადობა და იერსახე გემოვნების საკითხია, მხოლოდ მიწაწყალი ქართლოსს, ჰეროსს და ეგროსს რომ უკეთესი არგუნა „მამა თარგამოსმა“, ამისათვის თარგამოსს ჩვენგან მხოლოდ მადლობა ეთქმის ჯ.კ.)... და ამათ შვიდთავე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ ჰაოს, და ესე ყოველნი იყუნეს მორჩილ ჰაოსს და ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი სომხური (ეს უკვე გაცხადებული იდიოტიზმის მაგალითია, ჩვენი თავი ჯანდაბას, მაგრამ რას ერჩოდნენ დანარჩენ კავკასიელებს? ჯ.კ.)“.

ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სანამ თარგამოსი იყო ოჯახის უფროსი, შესაბამისად „ძმები“ მამის, ყველასთვის უცნობ თარგამოსულ ენაზე მეტყველებდნენ, ხოლო მას შემდეგ რაც მამა თარგამოსმა თავისი სათაყვანებელი უფროსი ვაჟი ჰაოსი, დანარჩენი ძმების გამგებლად დანიშნა, უფალმა ჰაოსმა თავისი მორჩილი ძმები არა თუნდაც ჰაოსურ, ანუ ჰაიკურ ენაზე, არამედ სომხურ ენაზე აალაპარაკა. მხოლოდ არ გვიხსნიან საიდან გაჩნდა ეს სომხური ენა და უნდა ვიანგარიშოთ, რომ ჰაოსს დედა ყავდა სომხის ქალი და გამოდის ჰაოსი და ქართლოსი მხოლოდ მამის მხრიდან არიან ძმები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი საერთო მამამარჩენალი თარგამოსი, თარგამოსი კი არადა სომხოსი აღმოჩნდება. ამ აბდაუბდის ფონზე გაკვირვებას იწვევს „ქართლის ცხოვრების“ მიმდევარ ისტორიკოსთა უკმაყოფილება მოვსეს ხორენაცის ცნობის მიმართებით, რომლის მიხედვითაც ქართველებს ანბანი მესროპ მაშტოცმა შეუქმნა.

შე დალოცვილო, თუ აღიარებ შენიანების ნაწერ ამ სისულელეს, რომ შენი ერი და მასთან ერთად მთელი კავკასია დასაბამიდან ძვ. წ. VI საუკუნემდე მაინც სომხებს ემორჩილებოდნენ და შესაბამისად სომხურადაც მეტყველებდნენო, რა გაგიკვირდა, თუ ხორენაცმა ანბანიც შემოგაშველა, ამით ხომ საბოლოოდ დაგვირგვინდა ჩვენი „ჰაიკურ-სომხური“ წარსული.

ივანე ჯავახიშვილისეული განმარტება, თუ რატომ გამოცხადდა ქართველთა საწყის ენად სომხური ენა (ტ. VIII გვ. 183) მიუღებელია და შეიძლება ვისარგებლოთ მისივე ფრაზით: „ამგვარი ახსნა ჩვენს დროში ბავშვსაც-კი არ ეპატიება“.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდებათა დაბოლოება ფორმა „ოს“-ით (თარგამოს, ჰაოს, ქართლოს...) ბერძნული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშანია, მხოლოდ და მხოლოდ ბერძნული მეტყველების კუთვნილებაა და იქიდანაა ნასესხები.

(**აკაკი გელოვანი** 222): „დევკალიონის ძე იყო ჰელენოსი. ჰელენოსს ჰყავდა სამი შვილი: ეოლოსი, დოროსი და ქსუთოსი, რომელთაგან საბერძნეთის ხალხის უმეტესი ნაწილი წარმოიშვა (შდრ. ქართ. ეპონიმები: „ქართლოს", „კახოს", „მცხეთოს", „უფლოს“)“.

ამით კი უკვე ის გამოდის, რომ თარგამოსი ბერძნოსია და რაც რიგითი აბსურდოსია.

განვაგრძოთ „ქართლის ცხოვრების“ კითხვა. შემდგომ იწყება ზღაპარი ნებროთ გმირით „მეფე ყოვლისა ქუეყნისა“, რომელსაც თურმე მონებდეს ჩვენი მონა-გმირი ძმები. ჰაოსი კრებს თავის მორჩილ ძმებს და ნებროთის დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ ეს რომ ნებროთმა გაიგო, ატყდა და რა ომი ატყდა ნებროთსა და ჩვენს ძმებს შორის -- „ავარდა მტვერი, ვითარცა ღრუბელი, ბრძოლა სასტიკი, ელვა და

ქუხილი, სეტყვა და ქვების ტყორცნა“. ძმებს „ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, რომელ სცემდა ნუგეშინის ცემად ხმითა საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მეხის ტეხისა“. უმაგრა, უმაგრა ზურგი საზარელი ხმით ჰაოსმა თავის მონა ძმებს, მაგრამ ვგონებ ნებროთის ნაცვლად, ჰაოსის საზარელი ხმით შეშინებულმა კავკასიელმა ძმებმა ვერ ივარგეს და ჰაოსმა თავად გადაწყვიტა ფრონტის წინა ხაზზე გასვლა -- „ხოლო ჰაოს ჰქუა გმირთა: „განმიმაგრეთ ზურგით კერძო და მივეახლო ნებროთს და წავიდე და მივიდე პირისპირ მახლობლად ნებროთისას“, ერთი გასვლა და „სტყორცნა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისასა ფიცარსა ზედა რვალისასა და განვლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებროთ და იოტა ბანაკი მისი. და განთავისუფლდეს ნათესავნი თარგამოსისნი. და მაშინ ჰაოს ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თვისთა ზედა და სხუათა-ცა ნათესავთა ზედა, მახლობელთა საზღვართა მისთასა. ხოლო შვიდნი-ვე ესე ძმანი წარვიდეს თვის-თვისად ქუეყანად, და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“.

აი ასეთი უებრო გმირი უფროსი ძმა და მეფე ჰაოსი ჰყავდა ეგროსის უფროს ძმას ქართლოსს. ამის შემდგომ მაინც ხომ აღარ გიკვირთ რატომ უბოძა მამა თარგამოსმა თავისი ნათესავის (მამულის) 50% ჰაოსს და დარჩენილი ნახევარი კი შვიდ უნიათო მონა ძმებს მიუგდო.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 53): „შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდორნოსორისაგან დასაბამით... და დასხნა იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს, არაგვს ჩდილოდ კერძოდ. გარნა ამ ჟამამდე იყო საქართველოს ენა სომხური და ესოდენთა ნათესავთაგან იწყეს ენისა ქართულისა თქმად და აქუნდათ სჯულიცა უბოროტესი ყოველთა, რამეთუ არა იცოდნენ ნათესავი, არცა ცოლ-ქმრობა, ყოველსა სულიერსა სჭამდენ შეგინებულისადმე, მკუდარსა კაცსა სჭამდნენ (ე. ი. ქელეხში იოლად გამოვდიოდით და თავად მიცვალებულს მივირთმევდითო **ჯ.კ.**)... ხოლო ოდეს გამოჩნდა ალექსანდრე ბერძენი მაკედონელი... და დაიპყრა საქართველო... მოსპო ჭამაცა მკუდართა და სჯულად დაუდვა დამბადებლისა ერთისა თაყვანისცემა და მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა პატივი და თვით წარვიდა“.

სად ნაბუქოდონოსორი და სად ქართლი, ეს ისტორიული პიროვნება ჩვენი ისტორიის მწვალებლებს დასჭირდათ იმისათვის რათა გვამცნონ ებრაელთა საქართველოში უძველესი დასახლების მიზეზი. ამით ისინი საფუძველს უმზადებენ საქართველოში ებრაელთა მიერ ქრისტეს კვართის ჩამოტანის ლეგენდას. ნაბუქოდონოსორის ლაშქრობათა შედეგად ლტოლვილ ებრაელთა საქართველოში დასახლება -- ეს ჩვენი ისტორიის მწვალებელთა შეუზღუდავი ფანტაზიის მორიგი ნაყოფია.

ებრაელთა გადმოცემითვე, როცა ნაბუქოდონოსორმა „ძვ. წ. 597 აიღო იერუსალიმი, ძვ. წ. 586 ხანგრძლივი ალყის შემდეგ ხელმეორედ დაიმორჩილა და დაანგრია იგი. იერუსალიმის მოსახლეობის ნაწილი ბაბილონში გადაასახლა“ (**ქ.ს.ე.** VII ტ. 282), ხოლო დარჩენილი ნაწილი არსად არ გაფანტულა. თუ ყურადღებით გადაიკითხავთ ძველ აღთქმას, დარწმუნდებით, რომ ბაბილონში ებრაელებს ცუდად არ ექცეოდნენ და დროის მოკლე მონაკვეთში, სპარსეთის მეფემ კიროს II დიდმა (ძვ. წ. 558 -- 530) 537 წელს ბაბილონური ტყვეობიდან გაათავისუფლა ებრაელები, უფლება მისცა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და თან ნაბუქოდონოსორის მიერ წართმეული ტაძრის ჭურჭელიც გამოატანა. „კიროს II-ის მოქნილი პოლიტიკის დადასტურებაა ებრაელების განთავისულება „ბაბილონის ტყვეობიდან“ (ქ.ს.ე. V ტ. 534). ებრაელები მწიგნობარი ხალხია და ძვ. წ. VI საუკუნეში ბაბილონში ტყვედ წასხმის გარდა სხვაგან ებრაელ ლტოლვილთა გადასახლების შესახებ არა უწყიან რა; მითუმეტეს იბერიაში (მომავალ ქართლში), რომლის სახელმწიფოებრიობა გვიან, მხოლოდ ძვ. წ. III

საუკუნიდან იწყება და მანამდის და შემდგომაც მომავალი იბერიის ტერიტორიაზე სპარსეთი მბრძანებლობდა, ხოლო სპარსელებმა 49 წლიანი ტყვეობის შემდგომ სამშობლოში დააბრუნეს ებრაელები, რომლებმაც ვერ იგუეს იმდროინდელი მსოფლიოს ცივილიზაციის, კულტურის დედაქალაქში, ბაბილონში ცხოვრება და წარმოუდგენელია ისინი დამკვიდრებულიყვნენ ძვ. წ. III საუკუნემდე არარსებულ ქვეყანაში, სადაც „აქუნდათ სჯულიცა უბოროტესი ყოველთა, რამეთუ არა იცოდნენ ნათესავი, არცა ცოლ-ქმრობა, ყოველსა სულიერსა სჭამდენ შეგინებულისადმე, მკუდარსა კაცსა სჭამდნენ“; მითუმეტეს, რომ საკმაო ხანია რაც გაჩნდა ეჭვები ებრაელთა ბაბილონური ტყვეობის ისტორიის საერთოდ რეალურად არსებობის მიმართებითაც.

დავუშვათ და გადმოსახლდა ებრაელთა ნაწილი მომავალ იბერიაში, მაგრამ რა მიწის ძვრა იყო ეს მოვლენა, რომ ქართველებმა უეცრად შევწყვიტეთ „სომხურად“ მეტყველება და ქართულად ავლაპარაკდით. აქ ჩნდება კითხვები: დანარჩენმა კავკასიელებმა განაგრძეს კვლავ „სომხურად“ მეტყველება თუ ისინიც მშობლიურ ენებს დაუბრუნდნენ. ასევე, სად იყო აქამდის მიგდებული ჩვენი მშობლიური ენა და ვინ შემოგვინახა, და თუ მანამდის არ არსებობდა, უეცრად საიდან გაჩნდა; ანდა რა ავი ბუნება გააჩნია ამ ქართულს, რომ სანამ „სომხურად ვმეტყველებდით“ დასაბამიდან ძვ. წ. VI საუკუნემდე ადამიანურად ვიქცეოდით, ხოლო ავლაპარაკდით თუ არა ქართულად, დაგვივიწყია ნათესაობა, ცოლქმრობა და კიდევ უარესი, შევდგომივართ ყოველი სულიერის ჭამას „შეგინებულისადმე“ და თუ სულიერს ვეღარ მოვიპოვებდით, არც „მკუდარზე“ ვიტყოდით უარს. კიდევ კარგი ბერძენი მაკედონელი გამოჩენილა საქართველოში და მკვდრების ჭამა აგვიკრძალა. მაგრამ სინამდვილეში ალექსანდრე მაკედონელი არათუ საქართველოში არ შემოსულა, არამედ მისი სამხრეთი საზღვრების სიახლოვესაც არ ჩაუვლია, მაშინ რა გამოდის? ალბათ ამიტომაცაა, რომ ქართველები, ბერძენი მაკედონელის ლოდინში, ჯერ კიდევ ერთმანეთის ჭამითა ვართ გართულები.

ალექსანდრე მაკედონელს რომ იბერია არ უპყრია ეს პლუტარქემაც (I—II ს.ს.) იცოდა.

(**პლუტარქე** 117): „იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა ჰირკანიიდან“.

იბერიის (მომავალი ქართლის) წარმოქმნას რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას უკავშირებენ და იმ ზღაპარს, ვითომც იბერიის მმართველად ალექსანდრეს თავის მხედართმთავარი დაენიშნოს, საფუძვლად შემდეგი რეალური ისტორიული მოვლენები უდევს: როცა ალექსანდრე მაკედონელმა გაანადგურა სპარსეთის იმპერია და თავად შექმნა ახალი კოლოსი იმპერია, მისი მოულოდნელი სიკვდილის შემდგომ, ძვ. წ III საუკუნეში, მისმა სარდლებმა დაინაწილეს ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ტერიტორიები და წარმოიქმნა ადრე არარსებული სახელმწიფოები. ამ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებს ელინური სახელმწიფოები ეწოდათ, მათ შორის იყო იბერია, არმენია, ალბანეთი, პართია, პონტოს სამეფო და სხვა. დასაწყისში ელინისტურ სახელმწიფოთა მმართველები, რასაკვირველია ალექსანდრეს სარდლები გახლდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არც ერთი მათგანი თავად ალექსანდრეს არ დაუნიშნავს.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ ამღიარებელთა ნაწილის მიერ ჩვენი კაციჭამიობის გამართლებას იმით, რომ ეს მოვლენა ძვ. წ. VII საუკუნეში კავკასიაში შემოჭრილი სკვითების გავლენის შედეგი იყო, მსოფლიო ისტორიულ წყაროთა მონაცემებით არ დასტურდება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჩვენ „მკუდართა ჭამა" დაგვიწყია ნაბუქოდონოსორის ლაშქრობათა შემდგომ (ძვ. წ. VI ს.) და

მივირთმევდით ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენამდე (ძვ. წ. III ს.). დროის ამ შუალედში მოღვაწე არცერთ ისტორიულ წყაროში, დაწყებული ჰეროდოტედან (ძვ. წ. V ს.), რომელმაც აღგვიწერა სკვითების ველური წეს-ჩვეულებები და ჩვენ გავეცნობით თუ რა ამომწურავ ცოდნას ფლობდა კოლხეთის სინამდვილეზეც, არ ფიქსირდება, რომ რომელიმე კოლხური ტომი, ან რომელიმე ჩვენი მეზობელი ხალხი ამგვარ ტრადიციას მისდევდა. არც ქსენოფონტეს (ძვ. წ. V—IV ს.ს.), რომელმაც იცოდა, რომ კოლხების ღვინო სურნელოვანი და საამო იყო, ასევე კოლხური თაფლის გემოც ქონდა გასინჯული, არაა აქვს აღწერილი რაიმე მსგავსი მაგალითი ჩვენი საცხოვრისის არეალში, მიუხედავად იმისა, რომ სკვითებმა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში არ ილაშქრეს და წინა აზიის დასავლეთამდეც მიაღწიეს; სკვითებს თავიანთი პრობლემები გააჩნდათ, ჩვენ ჩვენი; ასევე გაითვალისწინეთ, რომ სკვითების ლაშქრობათა პერიოდში მცნება იბერია კავკასიაში არ არსებობდა.

ილია ჭავჭავაძე ბრძანებს: „ლანგლუაც ჩვენს „ქართლის ცხოვრებაზე" იმასვე ამბობს, რასაც სენმარტენი და სხვები... ლანგლუა ამბობს, რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა" ზღაპარიაო და სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლოს, კახოს და სხვა ამისთანები, რასაკვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს („ქვათა ღაღადი“)“.

ასევე სრულიად უსაფუძვლოა ჰაიკთა უძველესი წარმომავლობის მტკიცება.

(„ქვათა ღაღადი“): „ლენორმანი ამტკიცებს, რომ არმენია გეოგრაფიული სახელწოდებაა (ტერმინი) და არა ეთნოგრაფიული და ეს სახელი პირველად იხსენიება აქემენიდების დროს, სახელდობრ მეშვიდე საუკუნის დასასრულ ქრისტეს წინათ. ჯერ სომხების, ესე იგი ჰაიკების ჭაჭანებაც არ იყოო ამ ადგილებში, რომელთა კრებულს ასურული და ადგილსავე ლურსმული წარწერანი სახელს დებენ „ნაირი“ და „ურარტუ“.

(დ. მუსხელიშვილი, ბ. არველაძე „ისტორია ობიექტურობას ითხოვს“ ლიტ. საქ. 1988 წ. 13 მაისი): „არმინიაში შეიქმნა არმენია (მისი ნაწილი). მსგავსად პონტოს ზღვისპირეთში შეიქმნა პონტოს სამეფო (მისი ნაწილი), მაგრამ ეს სახელმწიფო ცალკე ერად ვერ ჩამოყალიბდა, რაც მოხდა არმინიის ნაწილში, სადაც ჩამოყალიბდა ჰაიკი, არმენი ერი. ამრიგად არმინიის შექმნა (ძვ. წ. III ს.) არ ნიშნავს ჰაიასტანის შექმნას, არამედ მისი შექმნის დასაწყისია მხოლოდ“.

ჰაიკომანიით შეპყრობილ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა, ანუ ქართულ ისტორიულ წყაროთა საპირისპიროდ, ჰაიკთა ისტორიულმა წყარომ იცის, რომ საქართველოს დასავლეთი, ანუ ეგრისი კოლხეთია.

(**პავლე ინგოროყვა** 212): „აქ შევჩერდებით კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ჩვენებაზე, რომელიც მკვლევართა ყურადღების გარეშე არის დარჩენილი, მხედველობაში გვაქვს დასავლეთ საქართველოს აღწერილობა, რომელიც წარმოდგენილია სომხურ უსახელო გეოგრაფიაში მე-7-9 საუკუნეთა... ჩვენ აქ ვკითხულობთ:

„**კოლხეთი, ე. ი. ეგრი**, არს ქვეყანა, აზიასა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატამდე, და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე [ლიხამდე], რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან“.

განსხვავებით ჰაიასტანისაგან, მსოფლიო ისტორიულ წყაროთა მონაცემების მაქსიმალურად კრიტიკული გააზრებითაც კი, კოლხეთის სახელმწიფოს წარმოქმნის მინიმალურ თარიღად ძვ. წ. IX საუკუნე მაინცაა აღიარებული.

ამ მონაცემთა შეჯერებით გამოდის -- როცა ჰაოსი ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა (ძვ. წ. III -- II ს.ს.), ეგროსი (კოლხოსი, მინიმუმ ძვ. წ. IX ს.) უკვე ექვსი საუკუნის ცხოვრებით მაინც იყო დაბრძენებული. ამრიგად, ჩვენი ისტორიის მწვალებელთაგან განსხვავებით, მსოფლიო ისტორიოგრაფია აფიქსირებს, რომ

„ქართლის ცხოვრების“ უმცროსი ძმა ეგროსი (კოლხოსი) კავკასიელთა შორის ყველაზე ხნიერია, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ უფროსი ძმა ჰაოსი ეგროსზე მინიმუმ ექვსი (თუ არა ათი და მეტი) საუკუნით უმცროსია.

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ჰაოსის გაჩენამდე, მის წამოჩიტებამდე მაინც, ეგროსი იძულებული იქნებოდა მშობლიურ კოლხურ ენაზე ემეტყველა. ჩვენი კვლევის შედეგები იმაშიც დაგვარწმუნებს, რომ ჰაიკთა მეტყველებას უძლიერესი კოლხური გავლენა გააჩნია, პირიქით კი არავითარი კვალი არ შეიმჩნევა და ეს ასეც უნდა იყოს, გამომდინარე კოლხურ და ჰაიკურ წარსულ კულტურათა რეალური ისტორიული მნიშვნელობებიდან.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მივიღეთ მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის სრულიად წარმოუდგენელი სახება ჩვენი წინაპრებისა: **ლეშიჭამია კანიბალები, ნათესაობა ამოწყვეტილნი, სომხურად მეტყველნი, უფალ ჰაოსის მორჩილი უმცროსი მონა ძმები – ქართლოსი, ჰეროსი, ეგროსი.**

საპირისპიროდ, ბერძნულ-რომაული ხედვითა და მსოფლიო ისტორიოგრაფიის თანხმობით, ჩვენი წინაპრების სახებაა: **ფასიდი -- მზის, ჰელიოსისა და ოკეანიდ ოკიროეს შვილი, კოლხთა წინაპარ კოლხოსის მამა... კოლხოსი -- ღმერთკაცი, ასევე მზის, ჰელიოსის შვილიშვილი... კოლხეთის მეფე აიეტი მზის, ჰელიოსის შვილი, ბუნების მომნუსხველი ქალღმერთის კირკეს ძმა და ქვეყნიერების უდიდესი ჯადოქრის მედეას მამა... ბერძენთა წარმოდგენაში კოლხეთი იყო ოქროს, მედიცინის, მხედრული ძლიერების ქვეყანა... „კოლხიდის გმირნი, ყმაწვილნი, ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი“ (ესქილე)... ,,ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს“ (აპოლონიოს როდოსელი)... ჯადოსნური რომბის მეშვეობით კოლხი ვარსკვლავთმრიცხველნი აბნელებდნენ და ანათებდნენ მთვარეს...**

(**აკაკი ურუშაძე** 149): „ბერძენ ისტორიკოსებს თავიანთ ზოგად ისტორიულ თეორიებში არ შეეძლოთ სრულად წარმოედგინათ საკუთარი ნაციონალური ისტორია იმდროინდელ ცხოვრებაში კოლხთა როლისა და ადგილის გაუთვალისწინებლად“.

აუცილებად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ერთა შვილები მუდამჟამს ცდილობდნენ და ცდილობენ როგორმე საუკეთესო კუთხით წარმოაჩინონ თავიანთი წარსული, როგორმე გაამხნევონ საკუთარი მოსახლეობა და კაცობრიობის არსებობის მანძილზე ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი შემთხვევაა როცა ქართული „ისტორიული წყაროები“ უარყოფენ თავიანთ წინაპართა დიდებას და სრულიად დაუმსახურებელად, საკუთარ ერს თავზე ლაფს ასხამენ.

ვანთებ სანთელს და მოგმართავთ თქვენ: როდესაც დგება ჟამი სამშობლოზე ლოცვისა, მოიხსენიეთ ძველი საბერძნეთი, მისი ღირსეული შვილები, ენა და კულტურა იმ ქვეყნისა, რომელმაც ჩვენი წარსული შემოგვინახა და რომლის ავტორიტეტიც ფარი და მახვილია ჩვენი ერის ღირსებისა. რომ არა ძველი ბერძნული ცივილიზაცია, ჩვენ, ქართული „ისტორიული წყაროების“ გავლენით, მუდამ ვემსგავსებოდით იმ მანქურთ ერს, რომელსაც სამუდამოდ მივიწყებული აქვს მშობელი დედის იავნანა.

უღრმესი მადლობა ძველ ბერძნებს, მაგრამ ყოველივე ეს ხომ უპირველესად ჩვენი წინაპრების დამსახურების შედეგია და რომელიც ასეთ წუმპეში ამოავლეს ჩვენივე ისტორიის მწვალებლებმა.

დავუბრუნდეთ ტიმ სევერინის ექსპედიციას. ამრიგად, ქართულმა საზოგადოებამ ტიმ სევერინის წარმატებული ნაოსნობის დამთავრების ზარ-ზეიმით აღნიშვნით, ცალსახად აღიარა მსოფლიო ხალხთა მიერ დადასტურებული ჩვენი კოლხური წარსული და ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადა ქართულ ისტორიულ ძეგლებად მიჩნეულ წყაროებს, ეჭვქვეშ დააყენა ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვათა

ავტორიტეტულობა. მხოლოდ ეს მოხდა გაუთვიცნობიერებლად და დადგა დრო სრულად გავიაზროთ ჩვენი სინამდვილის ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი.

განსხვავებით ქართველ ისტორიკოსებისაგან, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ქმნიან ილუზიურ ერთიანობას მსოფლიო ისტორიოგრაფიასა და ქართული ისტორიული წყაროებით წარმოდგენილ წარსულს შორის, ჩვენ უნდა გამოვავლინოთ მათ შორის არსებული სხვა მრავალი რადიკალური შეუსაბამობანი. მითუმეტეს, საქართველოს ევროპასთან გაერთიანების, ანუ განათლებისაკენ სწრაფვის ფონზე, ეს საშური საქმეა. ევროპაში ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქაში (XIV—XVI ს.ს.) შეუდგნენ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროთა კრიტიკულ შესწავლას.

(Н. И. Конрад 8): „в филологии (в своём исконном, исторически сложившемся смысле: как наука о письменных памятниках) усилились элементы критицизма, появившеся в ней ещё в эпоху Ренессанса, и, что особенно сушественно, внимание филологов направилос на установление подлинного и неподлинного в древних памятниках и освещение вопроса об их аутентичности вообше“.

ე. ი. როგორც კი დაიწყო ჭეშმარიტი ევროპული კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება, პირველი რაც მათ გადაამოწმეს, ისტორიულ წყაროთა ავთენტიკურობა, სარწმუნოობა იყო, შეუძლებელია ნაყალბევი ისტორიით მაცხოვრებელი ხალხის წიაღში აღმოცენდეს ჰუმანიზმი და ერი შეუდგეს ჭეშმარიტი და არა მხოლოდ ეკონომიკური აღორძინების გზას.

ევროპელთა მიერ მსოფლიო წერილობით წყაროთა კრიტიკული გააზრების შედეგია ის რეალობა, რომ მიუხედავად არსებული ქართული ლიტერატურული მეხსიერებით საკუთარი კოლხური წარსულის უარყმოფელი მონაცემებისა, დღევანდელი მსოფლიო ისტორიოგრაფიული ხედვით საქართველოს დასავლეთი მაინც „წმინდა კოლხეთია“; ჩვენმა ძიებამ კი უნდა ცხადყოს, რომ კოლხეთია არა ნაწილი საქართველოსი, არამედ კოლხეთია სრულიად საქართველო, რომ ქართველები კოლხები ვართ და ქართული ენა კოლხური ენაა.

იყო და არა იყო რა

სადღეისოდ საქართველოში აღიარებული მცდარი ოფიციალური ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის შინაარსი განისაზღვრება ფრაზით -- იყო და არა იყო რა. ჩვენი ამოცანაა გავარჩიოთ რეალურად რა იყო და რა არ იყო.

იყო და არის კოლხეთი და კოლხეთია არა მარტო საქართველოს დასავლეთი, კოლხები კი მხოლოდ ლაზ-მეგრელები, არამედ, კოლხეთია სრულიად საქართველო, კოლხია ყოველი ქართველი და ქართული ენა არა **იბერიულ-კავკასიური**, არამედ გაცხადებული **კოლხური** ენაა.

საქართველოს აღმოსავლეთი რომ ასევე კოლხეთია, ეს დიდი ხანია იციან რუსეთის სპეცსამსახურებმა.

(გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 1998 წ. 2-8 მარტი №10): „როდესაც დისერტაციას ვიცავდი, უშიშროების ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც მასალებს ვეცნობოდი, საქართველოს ისტორიასაც გადავავლე თვალი, ჭეშმარიტ ისტორიას, რომელიც არათუ ხალხში, უმაღლეს ეშელონებშიც კი ბევრმა არ იცის – უნდათ გურულებს, იმერლებს,

კახელებს, რაჭველებს თუ არ უნდათ, -- ჩვენი წინაპრები მეგრელები და სვანები არიან. ეს ყველამ უნდა იცოდეს. ჩვენი ფესვები იქიდან მოდის, ქართული სახელმწიფოებრიობაც იქიდან დაიწყო“.

ეს განცხადება გახლავთ ამონაწერი უშიშროების გენერალ თენგიზ ეპიტაშვილის ინტერვიუდან. დავინტერესდი თუ რა მასალებს ეყრდნობოდა ბატონი თენგიზი და მქონდა ბედნიერება პირადად შევხვედროდი ბატონ თენგიზს. აი რა მიამბო მან:

„საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო-საჯარისო ნაწილებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, იგი მივლინებულ იქნა ქ. პოდოლსკში არსებული КГБ-ეს არქივში სადისერტაციო თემაზე სამუშაოდ. აღმოჩნდა, რომ ამ არქივში არსებობს სპეცფონდი, რომელიც КГБ-ეს რიგითი თანამშრომლებისთვისაც კი დახურული გახლდათ. მას ურჩიეს დაეწერა თხოვნა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივნის იური ანდროპოვის სახელზე, რათა ამ საოცრად გასაიდუმლოებულ სპეცფონდში მუშაობის ნებართვა დაერთოთ. **იური ანდროპოვის** მოადგილის **ცვიგუნის** ხელმოწერით ბატონ თენგიზს მიეცა ასეთი ნებართვა. სამწუხაროდ, სპეცფონდში დაცული მასალა იმდენად იყო გასაიდუმლოებული, რომ მას არ ეძლეოდა უფლება ამ ფონდის სათავსში შეეტანა კალამი და ფურცელი. იქ მოპოვებული ცოდნა მას შეეძლო მხოლოდ გაეთვალისწინებინა თავის ნაშრომში, სპეცფონდის მასალების წერილობითი დაფიქსირების გარეშე.

საკუთარი სადისერტაციო მასალების ძიებისას იგი შემთხვევით წააწყდა წიგნს საქართველოს ისტორიის შესახებ და რომლის შინაარსიც დიამეტრალურად განსხვავდებოდა სკოლაში ნასწავლი ისტორიისაგან. წიგნი წარმოადგენდა რამოდენიმე ავტორის ნაშრომს, რომლის დედააზრი ასეთი იყო: ქართველთა წინაპრები შემოვიდნენ კავკასიაში და თავდაპირველად დასახლდნენ კოლხეთის უკაცრიელ ჭაობიან დაბლობზე. მოახალშენები მაღალი განვითარების მატარებლები იყვნენ და წარმატებით იწყეს ჭაობიანი დაბლობის ინტენსიური ათვისება. მათი ნაწილი მთაში ავიდა საცხოვრებლად და სვანები ეწოდათ, ხოლო ბარელებს მეგრელები. თანდათანობით მოახალშენებმა ლიხს აღმოსავლეთი ტერიტორიაც იპყრეს და დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთის ქართველობა, ასევე ჩეჩენთა ნაწილიც, სვან-მეგრელთა შთამომავალნი არიან“.

ასეთი შინაარსის ნაშრომის არსებობის შესახებ ცნობა ადრეც მუსირებდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთა გარკვეულ წრეში. ვიმედოვნებ, მკითხელთათვის ნათელია თუ რატომაა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაპატიმრებული წიგნი, სადაც აღიარებულია ჩვენი კოლხური ერთიანობა.

მსოფლიო ლიტერატურაში კოლხთა წარმომავლობის შესახებ არსებობს რამოდენიმე ვერსია: პირველი, ეგვიპტური ვარიანტი, ეკუთვნის ჰეროდოტეს, რომლის მიხედვითაც:

(**აკაკი ურუშაძე** 152): „კოლხთა წარმოშობა უკავშირდება ეგვიპტის მეფის სესოსტრისის (სესონქოსისის) ლეგენდარულ ლაშქრობას: სესოსტრისმა ილაშქრა აზიაში და იპყრო ტავრები, სკვითები და მდინარე ფასისთან დატოვა ლაშქრის ნაწილი, საიდანაც კოლხები წარმოიშვნენ“.

სესოსტრისად მკვლევართა ნაწილი რამსეს II-ს (ძვ. წ. 1350—1205) მიიჩნევს, ნაწილი ეგვიპტელთა ლეგენდარულ ფარაონს სენუსერტ III-ს, რომელიც ეგვიპტეს ძვ. წ. 1879—1839 წლებში მართავდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ჰეროდოტეს ცნობისა, რომ ეგვიპტელებს და კოლხებს „მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის“, ამ თეორიამ, ფრაგმენტული

გამოძახილების გარდა, რაიმე მნიშვნელოვანი აღიარება ვერ მოიპოვა, განსხვავებით მეორე, კოლხთა პელასგური წარმომავლობის ვარიანტისა.

(**ქ.ს.ე.** VIII ტ. 13): „**პელასგები**... ანტიკური ტრადიციით წინაბერძნული ტომი. სახელწოდებას ხშირად იყენებენ მთელი იმ მოსახლეობის აღსანიშნავად, რომლებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ეგეოსის ზღვის აუზში ბინადრობდა ელინთა დამკვიდრებამდე. ძვ. წ. XIV -- XIII სს-ში პელასგები, ისევე როგორც სხვა წინაბერძნული ტომები (კარიელები, ლელეგები), ძირითადად მცირე აზიის დასში გადმოსახლებულან... ჰომეროსის მიხედვით, ტროის ომში პელასგები უკვე ტროელების ანატოლიელ მოკავშირეთა შორის ყოფილან... პელასგების წარმომავლობის საკითხზე არ არის აზრთა ერთიანობა. ზოგნი მათ მიიჩნევენ ინდოევროპულ, ზოგნი – სემიტურ ტომებად... წამოყენებულია თვალსაზრისი იბერიულ--კავკასიურ, კერძოდ კი, ქართველურ ტომთა ახლო მიმართების შესახებ პელასგებთან, რასაც საფუძვლად უდევს მრავალი ენობრივი პარალელი, ანტიკურ წყაროთა მონაცემები, არქეოლოგიური მასალა (**რ. გორდეზიანი**)“.

(**ალექსანდრე დიუმა** 410): „ქუთაისი, დღევანდელი იმერეთისა და ოდესღაც მთელი კოლხეთის დედაქალაქი, ცხადია ძველისძველი დროიდან არსებობს. დანვილი გვარწმუნებს, ეს არის ძველი ეა, მედეას სამშობლო. თუ მის სიტყვას ვერწმუნეთ, ეს ქალაქი დაარსებული ყოფილა პელასგების მიერ ქრისტეს დაბადებამდე 1200 წლის წინათ და რომის დაარსების ხუთასი წლის წინათ“.

პელასგთა ერთ-ერთ ადრინდელ საცხოვრისს თესალია (შემდგომ ელინთა სამშობლო) წარმოადგენდა და გავიხსენოთ კოლხეთის რიტორიკული სკოლის წარმომადგენლის, ბიზანტიელი ფილოსოფოსის თემისტიოსის (317—388 წ.წ.) ცნობილი ფრაზა: „არგო თესალიიდან მოადგა კოლხეთს“.

(**აკაკი ურუშაძე** 117): „ელინთა ლიტერატურული ზიარება პელასგების კულტურულ მონაპოვართა საფუძველზე მოხდა. თანდათანობით ირკვევა, რომ მთავარი ბერძნული თქმულებები თესალიელი აქილევსის რისხვაზე, ოდისევსზე, ჰეფესტოზე, პრომეთესა და თესალიელ არგონავტებზე, რომლებმაც არსებითი როლი შეასრულეს ელინური ხელოვნების განვითარების საქმეში, პელასგური წარმომავლობის თქმულებებია“.

ამ ცნობის გათვალისწინებით იკვეთება, რომ ბერძნების თესალიაში გამოჩენამდე, საიდანაც მათ პელასგები გამოდევნეს (ძვ. წ. XV—XII სს.), ბევრად ადრე არსებობდა კავშირი პელასგებსა და კოლხებს შორის, ანუ პელასგური წარმოშობის არგონავტები კოლხეთს იცნობდნენ. ანუ პელასგური და კოლხური კულტურები თანადროული კულტურებია და საუბარი შეიძლება მხოლოდ პელასგურ და კოლხურ სამყაროთა მჭიდრო კავშირებზე.

(**აკაკი ურუშაძე** 124): „კოლხები, იბერები და ალბანები ბერძენ და რომაელ ავტორებთან ჩვეულებრივ ერთად მოიხსენიებიან (ტაციტუსი, ავრელიუს ვიქტორი და სხვები). ტაციტუსის გადმოცემით, **იბერები და ალბანები ამტკიცებდნენ, რომ ისინი თესალიელებისაგან, პელასგებისაგან წარმოიშვნენ იასონისა და მედეას კოლხეთში დაბრუნების შემდეგ**... სოლინიუსი ამბობს, რომ ზღვის სანაპიროზე მოსახლე ალბანელები თავიანთ თავს თესალიელი იასონის შთამომავლად სთვლიან.

ბიზანტიური ხანის მწერალი ქალი **ევდოკია** (მაკრემბოლიტისე XI ს.), რომელსაც თავისი მითოლოგიური კრებულისათვის საფუძვლად მრავალი ძველი წყარო დაუდევს, გვაწვდის საყურადღებო ცნობას ალბანებისა და მეგრელების იდენტურობის შესახებ: „ფრიქსეს შვილები დაიხოცნენ ალბანთა ომში ისე, რომ მოდგმა არ დაუტოვებიათ. **ალბანები ახლანდელი მინკრელებია**“.

ამ ამონაწერებში ნახსენები სახელწოდება „ალბანეთი“ მთიან მხარეს (მთიან მიწას) ნიშნავს და ტაციტუსის შემთხვევაში იგულისხმება იბერიის აღმოსავლეთით მდებარე დიდი ალბანეთის დასავლეთი მხარე, ანუ „ჩვენი ალბანეთი“ (კახეთ-ჰერეთი). ხოლო ზღვის სანაპიროზე მოსახლე ალბანელები კი ბერძნული ლაზიკაა (საქართველოს დასავლეთი, ტრაპიზონის მონაკვეთი) თავისი მთიანეთით და რომლებიც ახლანდელი **მინკრელები || მეგრელებია**.

(**ალექსანდრე დიუმა** 416): „ტაციტი და ტროგ პომპეუსი არ იფარგლებიან კოლხეთში იაზონის მხოლოდ პირველი მოგზაურობით. ისინი მოგვითხრობენ აგრეთვე მეორე მოგზაურობას, რომლის დროსაც თითქოს იაზონმა თავის თანამოღვაწეებს დაპყრობილი მიწები გაუნაწილა და დაარსა კოლონიები, არა მარტო ფაზისში, არამედ ქვეყნის შიგნითაც“.

(**აკაკი ურუშაძე** 121): „ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც, თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მინიშნებას პელასგებისა და კავკასიური, კოლხური ტომების იდენტურობის შესახებ. პელასგი თესალიელები, მცირე აზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელასგი სინტიები ანუ სინტები, ფეაკების ტომი და სხვებიც კოლხთა მონათესავე ტომებადაა მიჩნეული.

ძველ ბერძნულ ეპოსში, როგორც ჩანს, არგონავტთა თქმულების უძველესი **კორინთული** ვერსია იყო გადმოცემული. დაცული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ამ ვერსიაში ასახული იყო კოლხური წარმომავლობის ტომთა მჭიდრო კავშირი პელასგურ სამყაროსთან და ამ ტომთა განსახლების სურათი. კიკლიკურ პოემაში „ექალიის აღება“ მედეა **კორინთოსთან** მჭიდროდ დაკავშირებული სახეა: კორინთო კი პელასგების ოდინდელი სამკვიდრებელია... შემთხვევით როდია, რომ ევმელოსი, სიმონიდე და შემდეგ სხვა ავტორებიც **კორინთოს** პელასგთა ღვთაების – ჰელიოსის ძის – კოლხთა გამგებლის აიეტის უძველეს სამფლობელოდ ასახელებენ. ლიკოფრონის ცნობით აიეტი **კორინთოსა** და აიას (კოლხეთის) გამგებელია. მედეა **კორინთო**ში ჩადის როგორც მამის სამშობლოში და ერთხანს კიდევაც განაგებს მას პელასგ იასონთან ერთად (ევმელოსი, ევრიპიდეს „მედეას" სქოლიასტი, პავსანია და სხვა). **კორინთო** – ეფირე რომ აიეტის წილნახვედრი მხარე იყო ჰომეროსის პოემიდანაც ჩანს“.

საქართველოს აღმოსავლეთით პელასგურ სამყაროზე, კორინთოზე ხსოვნა დღესაც შემორჩენილია.

კორინთა – სოფელი მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორის რ-ნში.

კორინთლები – ქართლის წარჩინებულ ფეოდალთა საგვარეულო IX—X ს.ს-ში.

კორინთა მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, ხოლო მდინარის სახელწოდება ქსანი ასევე პირდაპირ კავშირშია პელასგურ სამყაროსთან.

(**რისმაგ გორდეზიანი** „ილიადა“ 262):

„სარპედონი და სახელოვანი გლავკოსი მოუძღოდნენ
ლიკიელებს შორეული ლიკიიდან, **აზვირთებული ქსანთოსიდან.**
ჰიპოტოსს მოჰყავდა შუბოსან პელასგთა ტომები,
ისინი ვინც პოხიერ ლარისაში მოსახლეობდნენ“.

(**დიონისიოს პერიეგეტი** I – II საუკ. ახ. წ.): „აქეელები, რომლებიც, {ტროის} ბრძოლის შემდეგ გამოჰყვნენ რა მეფეს – არეტეს, სამხრეთისა და დასავლეთის ქარებმა ოდესღაც {აქ} გადმოხვეწეს **ქსანთესა** და **იდეს** სიმოენტის {ნაპირებიდან} (**აკაკი ურუშაძე** 124)“.

ξανθός [ქსანთოს] 1) золотисто-желтый, огненного цвета.

Σάνθος [ქსანთოს]-- Ксант или Ксанф (главная река ликии).

მღვრიე, მოყვითალო ფერის გამო ეწოდა ქართლის მდინარეს ბერძნული სახელწოდება **ქსანი**.

ἴδη [იდე] – лесистая гора, горный лес.

Ἴδη [იდე] – Ида (1. горная цепь в Мисии и Фригии... 2. горный массив в центре Крита).

(**სტრაბონი** 125): „იბერიაში არის პატარა ქალაქი **ფრიქს**ოპოლისი, ეხლანდელი **იდეესა**, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვარზე“.

ქსანი მდინარეთა სახელწოდებაა როგორც პელასგურ სამყაროში, ასევე იბერიაში (მომავალ ქართლში). პელასგურ-იბერიულია აგრეთვე სახელწოდება **იდე-სა || იდე-ესა**. აქ უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიის იდეესა დღევანდელი **სურამია**, მდინარე **სურამულათი** და უნდა ვიანგარიშოთ, რომ როდესაც **სურამს** ეწოდებოდა **იდეესა**, **სურამულასაც**, შესაბამისად, **იდეესა**-ად მოიხსენიებდნენ. სტრაბონის ამ ცნობაში კი უმნიშვნელოვანესია იმ რეალობის დაფიქსირება, რომ სტრაბონის (ძვ. წ. 64/ 63 – ახ. წ. 23/ 24) კოლხეთში გამოჩენამდე **სურამ-იდეესას** ადრინდელი სახელწოდება ბერძნული მითოლოგიის პერსონის -- **ფრიქსეს** სახელს დაუკავშირეს.

(**სტრაბონი** 284): „ოდესღაც აიეტი მეფობდა კოლხიდაში. მაშინ აია ყოფილა ქალაქი ფაზისთან, **ფრიქსემ რომ ილაშქრა. ამის ძეგლები არის კოლხიდასა და იბერიის საზღვარზე**“.

(**აკაკი გელოვანი** 506): „**ფრიქსე**... 1. შიშისა და ელდის ღმერთი... 2. ორქომენის მეფის – ათამანტისა და ღრუბელთა ქალღმერთის – ნეფელეს ვაჟი, ჰელეს ძმა. როცა ათამანტმა მოკვდავი ინო შეირთო... ნეფელემ დაწყევლა მოღალატე ქმრის სახლი და საბრძანებელი და გვალვა მოუვლინაო ორქომენს... ინომ... მოსყიდული ორაკული დაიმოწმა, ქმარი დაარწმუნა, ზევსი ფრიქსეს შეწირვას მოითხოვსო. კიდევაც მიიყვანეს საკურთხეველთან. ამ გადამწყვეტ დროს ნეფელემ შვილები იხსნა, {საკურთხეველი} ღრუბლებით შებურა, ოქროს საწმისიანი ვერძი მოუყვანა, -- შეწევნა სთხოვა ჰერმესს, -- და-ძმა ზედ შესვა და კოლხეთს გაისტუმრა. ღრუბლებში გაფრენილი ვერძიდან შეშინებული ჰელე გადმოვარდა და ჩავარდა ზღვაში, რასაც მისი სახელი, ჰელეს ზღვა – ჰელესპონტი ეწოდა, ფრიქსე კი ჩავიდა კოლხეთში, სადაც ჰელიოსის ძემ აიეტმა სიყვარულით შეივრდომა და ღვიძლი ასული, მედეას და ქალკიოპე მიათხოვა, თვითონ ოქროს ვერძი ზევს ფიქსიოსს შესწირა, როგორც თვით ვერძმა მოითხოვა, ხოლო საწმისი მისცა აიეტს, რომელმაც ის არესის წმინდა ჭალაში დაჰკიდა მუხაზე და მცველად დრაკონი მიუჩინა“.

ამრიგად, სტრაბონი, ტაციტუსი, ავრელიუს ვიქტორი და სხვები აფიქსირებენ იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ საქართველოს (კოლხეთის) აღმოსავლეთში, იბერები და ალბანელები შესანიშნავად ერკვეოდნენ კოლხურ-ბერძნულ მითოლოგიაში და ვინაიდან არა უწყოდნენ რა მომავალ თარგამოსულ-ჰაოსურ-ქართლოსურ კოშმარზე, თავიანთ წარმომავლობას არგონავტიკას უკავშირებდნენ. მიღებული სურათის შესამოწმებლად მოვუხმოთ არქეოლოგიას, ანუ მოვიძიოთ კოლხური მატერიალური კულტურის ნაკვალევი საქართველოს აღმოსავლეთით.

(**ქ.ს.ე.** II ტ. 652): „**გამდლისწყაროს განძი**, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სპილენძ-ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩნდა, 1966 წ. სოფ. გამდლისწყაროსთან (კასპის რაიონი). დაფლული ნივთების ნაწილი სამეურნეო დანიშნულებისაა და უმთავრესად **კოლხეთის ბარისა და ზოგიერთი მთიანი რაიონებისთვისაა დამახასათიაბელი**. აღმოჩნდა მრავალნაირი თოხი, ნამგალი, ხელეჩო, დიდი

რაოდენობით ე. წ. სეგმენტისებრი იარაღი, სამი სახეობის **კოლხური ცული**... გამდლისწყაროს განძს დიდი მნიშვნელობა აქვს გვიანდელი ბრინჯაოს ხანაში საქართველოს სამეურნეო ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის შესწავლისათვის, გვიჩვენებს კოლხურ და აღმოსავლურ ქართულ კულტურათა ურთიერთობას ძვ. წ. II საუკუნის ათასწლეულის მიჯნაზე და **მიუთითებს შიდა ქართლში კოლხური ელემენტების ფართო გავრცელებაზე**".

(**საქ. ისტ. გეოგრ. კრებული** 1967 წ.): „ქსნიდანვეა საძეგურისა და ყანჩაეთის ბრწყინვალე არქეოლოგიური ძეგლები. საძეგურის სამარხი „ახალგორის განძის" სახელით საკმაოდ პოპულარულია არქეოლოგიურ წრეებში. უკანასკნელად აღნიშნულ ძეგლებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა არქეოლოგმა ი. გაგოშიძემ.

საძეგურის სამარხის ინვენტარი მის მიერ ერთხმადაა აღიარეული წარჩინებულის საკუთრებად და აქემენიდური ხანით (ძვ. წ. VI—IV ს.ს.) არის განსაზღვრული. ი. გაგოშიძე საძეგურის სამაროვანს, ალგეთისა (სოფ. წინწყაროს) და ყანჩაეთის სამარხებთან ერთად ძვ. წ. V საუკუნეთა შუა წლებით ათარიღებს...

საძეგურისა და ყანჩაეთის ინვენტარში აშკარად გამოირჩევა საგანთა ერთი ჯგუფი, რომელიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე კვალიფიცირდება, როგორც დროშის, შტანდარტის, მაშასადამე, ხევის უფლისა და ხევისბერის ინსიგნია...

ეს გარემოება უკარნახებს ი. გაგოშიძეს, რომ მდიდრული სამარხები ერისთავებს მიაკუთვნოს და, მაშასადამე, VI—V ს.ს. ქართლში სახელმწიფოს არსებობა დაუშვას. რადგან ისტორიულად ასეთი ფაქტი ძვ. წ. IV ს. არის სავარაუდებელი, **მას ქართლის ტერიტორია ძვ. წ. VI—V ს.ს. კოლხურ სახელმწიფოში შეჰყავს და ქსნის საერისთავოს მიიჩნევს ამ „პირველი ქართული სახელმწიფოს" ერთ-ერთ ფორპოსტად შიდა ქართლში**".

(ქ.ს.ე. X 102): „**უდის განძი**, ბრინჯაოს ხანის დასასრულისა და რკინის ხანის დასაწყისის ნივთების განძი (100-ზე მეტი ბრინჯაოს და რკინის ნივთი), აღმოჩენილია 1956 წ. სოფელ უდეში (ადიგენის რ-ნი). განძის შემადგენლობაში იყო: ბრინჯაოს 3 ტიპის კოლხური ცული, შუბისპირები და ხელშუბისპირები... ზოგიერთი მკვლევარი (ა. ჯaვახიშვილი, ტ. ჩუბინაშვილი) ნივთებს ათარიღებს ძვ. წ. XI—X სს-ით, ზოგი (დ. ქორიძე) კი – ძვ. წ. XII—XII სს-ით. უდის განძი ტიპური კოლხური ნაწარმია და გამოხატავს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მრავალსაუკუნოვან კულტურულ კავშირს".

ასევე გავითვალისწინოთ -- კახეთში, ბოლო პერიოდის არქეოლოგიური ძიების შედეგად, გამოვლინდა ტროას კულტურასთან კავშირის დამამტკიცებელი ნივთები; დუშეთის რაიონში გათხრების შედეგად აღმოჩნდა კოლხური ცული; ბორჯომის ხეობაში კოლხური კულტურის ნივთებია ნაპოვნი, ათარიღებენ 3000—3500 წლით; ხოლო ჯავახეთში იტალიელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ანტიკური კულტურის ნიმუშები და კოლხური კულტურის გავლენაც.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 278): „**ვგულისხმობ კოლხური გავლენის ძლიერ კვალს სამხრეთ-დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში**".

ტოპონიმია არქეოლოგიის (= ძველი სიტყვის) შემადგენელი ნაწილია და თქვენ წინ გელით ცოდნა, რომ საქართველოს აღმოსავლეთით ისტორიული ბუნების მატარებელ ტოპონიმთა უმრავლესობა კოლხური წარმომავლობისაა.

კოლხები არიან არა მარტო იბერიელები და ჩვენი ალბანელები, **ჰეკატე მილეტელის** (ძვ, წ. VI ს.) ცნობით **კოლხები იყვნენ ასევე კორაქსები და მესხები**. საერთოდ ბერძენი ისტორიკოსები მუდმივად ხაზს უსვამენ კოლხთა მრავალტომიანობას.

აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს.):

„ფიქრიც ზედმეტად მიაჩნდა არგოსს ამ ლაშქრობაზე და შეიცხადა:
„ო, მეგობრებო, თუ რამეს შევძლებთ, ვიქნებით თქვენი მარად მშველელი,
მაგრამ აიეტს ფიცხი გული აქვს და მისი რისხვა დამღუპველია!
ვშიშობ, ვაი თუ ცუდად დასრულდეს ეგზომ თამამი ლაშქრობა თქვენი.
ჰელიოს ღმერთის შვილად იტყვიან ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს,
და მზის ღვთაების შვილის გარშემო ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“.

(**აკაკი გელოვანი** „არგონავტიკა“ 113)

კოლხებს ეპყრათ არა მარტო დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთი, არამედ მათი დასახლებები ბევრად შორ მანძილებზეც აღირიცხებოდა. ეს ცნობები, სადღეისოდ, ქართველი ერის ევროპული სახლისაკენ სწრაფვის ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობებს იძენენ.

(**აკაკი ურუშაძე** 103): „პლინიუს უფროსის (I ს.) ენციკლოპედიურ შრომაში... მოხსენიებულია: ... არგონავტების მდევარ კოლხთაგან დაარსებული კოლონია პოლა ისტრიაში, ოლკინუმი ანუ კოლხინიუმი დალმაციაში და ორიკუმი – ილირიის სანაპიროზე“.

ბერძნულ კუნძულ სამოსზე აღმოჩენილია კოლხური ნივთები.

(**აკაკი ურუშაძე** 102): „პომპეიუს ტროგუსს (I ს.), როგორც ეს მარკუს იუნიანუს იუსტინუსის გადმოცემაშია დაცული, არგონავტების თქმულების საინტერესო დეტალი აქვს მოთხრობილი: ისტრების ტომი იმ კოლხთაგან წარმოიშვა, რომლებიც აიეტის ბრძანებით არგონავტებს დაედევნენ. არგონავტების მდევარი კოლხები პონტოდან ისტროსში შენავდნენ, გადაკვეთეს მდინარე სავა, არგონავტებივით მხრებით გადაიტანეს ხომალდი მთათა უღელტეხილებზე და ადრიატიკის სანაპიროზე. აქვილიაში (აწ. Aglar ზემო იტალიაში) დასახლდნენ. ისტრებად კი იწოდნენ მდინარე ისტროსისაგან, რომელშიაც ზღვიდან შემონავდნენ“.

(**აკაკი ურუშაძე** 122): „კოლხთა ტომების უძველესი და ვრცელი განსახლების გამოძახილად მიგვაჩნია აიეტის დის (ზოგიერთი ცნობით – აიეტის ასულის) კირკეს აღიარება მრავალი ტახტის მფლობელად... ჰესიოდეს „თეოგონიაში“ კოლხი ასული კირკე, რომელსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არგონავტთა თქმულებასა და ჰომეროსის ეპოსში პელასგური მოდგმის ტირსენელების ანუ ეტრუსკების ნათესავადაა გამოცხადებული: „ჰიპერიონიდი ჰელიოსის ასული კირკე სიყვარულით დაუკავშირდა მედგარ ოდისევსს და ოქრო-აფროდიტეს შემწეობით შვა აგრიოსი, უძრახველი და ძლიერი ლატინოსი და ტელეგონეც. ესენი ფრიად შორს, წმინდა კუნძულთა სიღრმეში მბრძანებლობდნენ სახელმოხვეჭილ ტირსენელებზე“... „ქალთა კატალოგის" ავტორის ცნობით კირკე ტირსენიის მბრძანებელია. პლუტარქეს გადმოცემით პელასგური წარმომავლობის ტირენები (ეტრუსკები) ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიაში გადასახლდნენ, ლიდიიდან კი იტალიაში გადავიდნენ. პლუტარქე ჩვენთვის უცნობ, უძველეს წყაროზე დაყრდნობით გვიმოწმებს ამას და რომის დაარსების შესახებ ამბობს, რომ ძველი ცნობიერებით ეს ქალაქი დაფუძნებულია საბერძნეთიდან ლტოლვილი პელასგების ან კოლხთა წინამძღოლის აიეტის დის კირკეს ვაჟის – რომანოსის მიერო... რომანოსი ოდისევსისა და კირკეს ძეა... როგორც ჩანს, კირკე და ოდისევსი შემთხვევით არაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ცნობები, რომლებზედაც ჩვენ პირველად გავამახვილეთ ყურადღება, კიდევ უფრო ამაგრებს ამ ბოლო ხანებში წარმოებული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს: ოდისევსი პელასგური მოსახლეობის პანთეონს ეკუთვნოდა...

აიეტის მიერ კორინთოს მიტოვება, შავი ზღვის სანაპიროზე გადმოსახლება, ოდისევსის, კირკესა და მედეას გარშემო შეთხზული ამბები და კოლხთა მრავალი კვალი ეგეოსის ზღვის რაონსა და ეტრურიაში უნდა ასახავდეს წინა ელინური მოსახლეობისა და ინდოევროპული ელემენტის ჭიდილს მერმინდელი ელადისა და იტალიის ტერიტორიებზე. აქ განცდილ ამბავთა რელური ისტორიული შინაარსი მითოლოგიურად არის გაშუქებული“.

აი რა ცოდნას ეყრდნობოდნენ რუსეთის КГБ-ეს სპეცფონდში დატყვევებული, საქართველოს წარსულზე შექმნილი ნაშრომის ავტორები. როგორც ხედავთ КГБ-ეს სპეცფონდში იზოლირებული ნაშრომის დედააზრი სრულებით არ წარმოადგენს რაიმე გამორჩეულ საიდუმლოს, რომ იგი ასე მკაცრად იყოს დაცული საზოგადოებისაგან. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ნაშრომის დედააზრი სრულად ეწინააღმდეგება „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ნატყუარ ქართულ ისტორიულ წყაროთა მიერ წარმოდგენილ თარგამოსულ-ჰაოსურ-ქართლოსურ კოშმარს და ნაშრომში თავმოყრილი მასალა ნათელს ხდის „ქართლის ცხოვრების“ ნატყუარ ბუნებას, ხოლო რუსეთის იმპერია ამას თავისი ნებით არ დაუშვებს, „ქართლის ცხოვრება“ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის მონაპოვარია და რომელსაც რუსეთი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ სრულყოფილად იყენებს...

დადგა ჟამი, როცა ჩვენი წარსულის აღწერებიდან გამორჩეული ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ უმნიშვნელოვანეს გარდატეხის მომენტს, რომელზედაც ყურადღება ადრე არ მიგვიქცევია; ეს გახლავთ უკვე თავად მსოფლიო ისტორიოგრაფიაში არსებული ორი სრულიად განსხვავებული ხედვა ჩვენი წარსულისა. პირველი გახლავთ საწყისი, ანუ წარმართული პერიოდის აღქმა ჩვენი ისტორიისა, მეორე იწყება ქრისტეანული რწმენის აღიარებიდან და მას პირობითად ქრისტეანული ხედვა ვუწოდოთ.

ჩვენ უკვე გავეცანით წარმართული კოლხეთის წარსულის ხედვას, რომლის მიხედვითაც ბერძნულმა მითოლოგიამ კოლხები მზის შვილებად მიგვიჩნია. ამ ხედვამ დაგვანახა ჩვენი უმჭიდროვესი ურთიერთობები ხმელთაშუა ზღვის ხალხებთან, ხოლო ტაციტუსმა შემოგვინახა პირველი საუკუნისათვის ჩვენს წინაპართა შეხედულება საკუთარ თესალიურ-კოლხურ წარმომავლობაზე, რომელთაც, რასაკვირველია, პირველ საუკუნეში ბიბლიაზე წარმოდგენა არ გააჩნდათ; ისევე როგორც ბიბლია, IV საუკუნემდე მაინც, სრულიად უცნობია თავად ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიისათვისაც. შეიძლება ითქვას მეტიც, რომ განსხვავებით კოლხეთისაგან, ისრაელი, როგორც კულტურული ფენომენი, ბერძნული ცივილიზაციისათვის არავითარი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა სანამ კონსტანტინე დიდმა რომის რელიგიად ქრისტეანობა არ დაამტკიცა. სურათი იცვლება ქრისტეანული რელიგიის დამკვიდრებასთან ერთად და ჩვენს წარსულს ბიბლიას უკავშირებენ. ეს კი უკვე საქართველოს ბიზანტიური ხანაა, ანუ საქართველო ხდება ბიზანტიური კულტურის შემადგენელი ორგანული ნაწილი.

(**ივანე ჯავახიშვილი** ქ. 404): „ებრაელი მეცნიერი იოსებ ფლავიოსი ამბობდა, რომ „იბერი" თუბალისაგან არის წარმომდგარიო. ამავე აზრს იმეორებდა ესტატე ანტიოქიელი არქიეპისკოპოზი (IV ს. პირველი ნახევარი) და თეოდორიტე კვიპრელი (IV საუკ.) რომელნიც ამტკიცებდნენ „თუბალი“ ეხლა იბერად იწოდებაო“.

(**სერგი მაკალათია** 8): „ბერძენი მწერლები კოლხებსა და მოსინიკებს ბიბლიური ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლებად სთვლიდნენ. მაგალითად ევსები კესარიელის აზრით კოლხები და მოსინიკები იაფეტის მოდგმის არიანო. ეპიფანეც კოლხებსა და მოსინიკებს იაფეტიანებად ასახელებს“.

(**გიორგი კედრენე** XI ს.): „ნოემ თავის ვაჟს იაფეთს, რომელიც 425 წლისა იყო, მისცა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქვეყნები მიდიიდან ვიდრე ღათირთამდე და ბრიტანიის კუნძულებამდე, არმენია, იბერია, პონტო, კოლხეთი“.

ამ ტრადიციის გაგრძელებაა ჩვენი წარმომავლობის უკვე ვახუშტისეული ვერსია:

„ხოლო ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისაგან, რამეთუ იაფეთ შვა ავანან, ავანან შვა თარში, თარშმა შვა თარგამოს, თარგამოს შვა რვანი გმირნი ესე: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლევანოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს“.

უკვე იმის დასადგენად, თუ რა ისტორიულმა ვითარებებმა განსაზღვრეს ჩვენს მიერ ჩვენივე ლეგენდარული კოლხური წარსულის უარყოფა და ქრისტეანობის თემასთან დაკავშირებული ლეგენდების შეთხზვა, აღვიდგინოთ ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნის პერიოდი, ანუ წარმართული რომის იმპერიის ქრისტეანულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პერიოდი.

ბიზანტია

კოლხეთის (საქართველოს) ჭეშმარიტი ისტორიის ქრისტეანული პერიოდის აღსაქმელად, უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს რომში ქრისტეანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან ერთად ამ იმპერიის ორად, აღმოსავლეთ და დასავლეთ რომად გაყოფა. აღმოსავლეთ რომის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი 324—330 წლებში დაარსა კონსტანტინე დიდმა ქალაქ ბიზანტიონის ადგილას და იმპერიის დაცემის შემდეგ აღმოსავლეთ რომი უკვე ბიზანტიად მოიხსენიება.

ბიზანტიის იმპერიასთან ჩვენი დამოკიდებულების განმსაზღვრელი ის გახლავთ, რომ ბიზანტიის აღმოცენებასთან ერთად (IV ს.) იწყება ქრისტეანული საქართველოს აღზევება და ბიზანტიის იმპერიის დაცემასთან ერთად (XV ს.) ერთიანი საქართველო იშლება სამეფო-სამთავროებად.

ქრისტეანული საქართველო (კოლხეთი), მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მუდამ მართლმადიდებლური ბიზანტიის იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

(**არქანჯელო ლამბერტი** 134): „მეგრელებმა ქრისტიანობა მიიღეს კონსტანტინეს დროს“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ -- ბიზანტიასთან მრავასაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგია ის, რომ საქართველო თავისი ეკლესიური წყობით, არქიტექტურით, ხატწერითა და ფრესკებით გადარჩენილი ბიზანტიური სამოთხეა. უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ ბიზანტიურ ხანას განეკუთვნება ქართული ენისა და ქართული დამწერლობის შექმნა.

კოლხეთის წარსულის პირველი გაყალბება, ანუ წარმართული კოლხური წარსულის უარყოფა რომის იმპერიაში ქრისტეანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უკავშირდება. იუდაიზმის წიაღში გაჩენილი ქრისტეანული მოძღვრება რელიგიათა მიმართ შემწყნარებლურ რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ჩამოყალიბდა. III საუკუნის რომში აღირიცხებოდა სხვადასხვა კონფესიათა კუთვნილი 420 ტაძარი, რომლებშიც პატივს მიაგებდნენ დაახლოებით 30 ათასამდე ღვთაებას, რომელთა შორისაც უპირატესობა იუპიტერს ენიჭებოდა. ასევე პოპულარული გახლდათ ეგვიპტელი იზიდას, ინდოირანელი მითრას, აპოლონო სიამელის (სიამსკის), სიმონ მაგის და იოანე ნათლისმცემელის კულტებიც, რომლებიც

II—IV საუკუნეების რომში ქრისტეანობას ძლიერ კონკურენციას უწევდნენ, თუმცა ქრისტეანული მოძღვრებაც ძალას იკრებდა.

(**Ранович** 300): „все июдейские элементы были переработаны христианством таким образом, что родство с иудаизмом становилось лиш формальным. По сушеству христианство включалось в греко-римский мир идей, так как именно греко-римский мир ему предстояло завоевать“.

რელიგიურ მიმდინარეობათა ასეთი სიჭრელე აფერხებდა რომის სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას და 325 წელს ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ქრისტეანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ანტიკური იდეალიზმი იცვლება ქრისტეანული რეალიზმითა და კრიტიციზმით. ჯერ კიდევ ქრისტეანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, ქრისტეანული მოძღვრების აპოლოგეტები გამოირჩეოდნენ თავიანთი შეურიგებლობით ანტიკური სამყაროს მიღწევათა მიმართებით.

(**Бычков** 168): «Ранние христиане с большим воодушевлением выступают против все еще живого и действенного античного искусства. Особенно активны Тертуллиан и Татиан... Тертуллиан стремится показать, что «творцы статуй, образов и всяческого рода изобржений» действуют по указке диавола, а «основой всякого идолопоклонства является всякое искусство, создающее каким-либо образом идолов». Искусство скульптора, живописца, швеи, гравера, направленное на создание изображений, служит, по мнению Тертуллиана, идолопоклонству и всячески им порицается...

Татиан видел в Риме и других городах Империи статуи известных «блудниц», названные именами богинь, статуи «недостойных людей» типа Эзоп и Сапфо, изображения непристойных мифологических персонажей. Все они, по мнению строгово ревнителя новой культури, служат растлению нравов и должны быть истреблены. Его фанатичный призыв: «Уничтожаите памятники нечестия», -- на миогие столетия стал знаменем воинствующей христианской церкви в ее последовательной компании по уничтожению памятников античного искусства».

თუ რომის იმპერია გამოირჩეოდა რელიგიური შემწყნარებლობით და 313 წელს რომის იმპერიაში გამოიცა როგორც ქრისტეანობის, ასევე ყველა დანარჩენი რელიგიების დამცველი ვერდიქტი, უკვე 331 – 334 წლებში, ქრისტეანული მოძღვრების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ, კონსტანტინე დიდმა ბიზანტიაში ყველა მიმდინარეობის წარმართული, არაქრისტეანული ტაძრები დახურა.

იმპერატორი იულიანე (337—363 წ.წ.) შეეცადა კვლავ აღედგინა წარმართული რომაული რელიგიის გავლენა, მაგრამ IV საუკუნეშივე, თეოდოსი I (379—395 წ.წ.) მმართველობის დროს იგი კვლავ აიკრძალა და დაიწყო წარმართული ტაძრების ნგრევა; არტემიდეს ტაძარში მისი ქანდაკება დალეწეს და მის ადგილას მარიამის ძეგლი აღმართეს; წარმართულ ძეგლებს უმტვრევდნენ ხელებს, თავებს და მარხავდნენ; წარმართ სწავლულებს ქუჩებში ხოცავდნენ. IV საუკუნის მეორე ნახევარი ესაა პერიოდი როცა 391 წელს ქრისტეანებმა გადაწვეს ალექსანდრიის ლეგენდარული ბიბლიოთეკის ნაწილი... 394 წელს ქრისტეანმა მამებმა ოლიმპიური თამაშები აკრძალეს... ქრისტეან მამათა მიერ უარყოფილ არისტოტელეს ნაშრომებს ევროპიელები მოგვიანებით, მხოლოდ არაბთა მეშვეობით გაეცნენ... ანუ 337 წლიდან, რომში ქრისტეანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან, იმპერიაში მიმდინარეობს

საყოველთაო ბრძოლა ყოველივე წარმართულის წინააღმდეგ და კოლხეთი (საქართველო) ამ ქრისტეანული სამყაროს შემადგენელია.

(**Бычков** 285): «С победой христианства на политической арене во многом изменился и характер самого христианства, и соотношение сил в идеологической борьбе поздней античности.

Христианская церковь, теперь активно подерживаемая импертором и наделенная большой властью, приступила к конкретной реализации культурной программы. теоретически разработанной во II—III в.в. Встав на службу господствующему классу, церковь быстро приспособила к новым условиям и свою идеологию, скоррективав ряд утопических идеалов раннего, гонимого христианства, сильно приглушив их демократический и гуманистический характер. С особой непримиримостью и беспощадностью отнеслась официальная церковь к античным наукам и искусствам. Все античное, как-либо заподозренное в всязи с языческими культами (а мы помним, что еще апологеты все античные искусства связывали с идолопоклонством), запрещалось и беспощадно уничтожалось..Тот же плебс, который несколько десятилетий иазад с восторгом тащил на растерзание диким зверям идеологов христианства, теперь уже по их указке, но не меньшим зтнузиазмом громил языческие храмы, разрушал статуи, сжигал пинакотеки и библиотеки, травил деятелей античной культуры. Церковный фанатизм, нетерпимость ко всему нехристианскому, «языческому» станет с зтого времени неотъемлемой частью средневековой культуры, переходившей на наиболее мрачных зтапах ее истории в жестокое мракобесие. Все то антигуманное, бесчеловечное, мерзкое и непристоинное что ранее христианство усмотрело в поздней античой культуре и против чего мужественно подняло свой голос, -- все ето в средние века уже под личиной христианского благочестия принимало нередко еще более изощренные и более жестокие формы, чем в поздней античности. Многие идеалы апологетов, и прежде всего завет любви к ближнему, гуманистические призывы ранних христиан били забыты, вернее, стали пустой фразой в устах большей части средневековых религиозных функционеров».

სამყაროს შემეცნების მცდელობას ენაცვლება რელიგიური რწმენა.

(**Бычков** 95): «Христос – сам истина и принёс людям истину, так что искать тепер нечего, надобность в философии отпала».

რომაელებმა ზურგი შეაქციეს საკუთარ მითოლოგიას და ბიბლია ხდება ქრისტეანთა მიერ სამყაროს ხედვის საფუძველი; ბიბლიაში იწყება ძიება წარსულისაც და მომავლისაც.

(**Бычков** В.В.): Византийцы гордились своим ромейским происхождением, но поклонялись Богу древних иудеев, почитали еврейский Ветхий Завет, наряду с Новым, пришедшим тоже из Израиля, и святейшим местом на земле для них был не отеческий Рим и не мудрейшие Афины, но презираемый их славными предками-воителями Иерусалим.

(ქ.ს.ე. XI 558): „ჯვართამაღლება აღნიშნავს იმ დღეს, როდესაც იმპ. კონსტანტინე დიდის დედის ელენე დედოფლის ბრძანებით – იერუსალიმის მახლობლად, დაახლოებით 335, იპოვეს იესო ქრისტეს ჯვარი. ყველასთვის შესაძლებელი რომ

ყოფილიყო ჯვრის ხილვა, იერუსალიმის პატრიარქმა მაკარიოსმა აღმართა ანუ აღამაღლა იგი“.

აღსანიშნავია, რომ ქრისტეანობის დამკვიდრების პროცესში, კონსტანტინემ აკრძალა ჯვარზე გაკვრა, ვინაიდან ჯვარზე გაკვრა სამარცხვინო პროცესად ითვლებოდა. მასზე მხოლოდ მკვლელებს, მოღალატეებს, ქურდებს აკრავდნენ. მხოლოდ V საუკუნეში გაჩნდა ქრისტეს ჯვარზე გაკვრის პირველი გამოსახულება.

კონსტანტინეპოლში ინახებოდა ის ცული რითაც ნოემ შექმნა თავისი კიდობანი; ის კალათა პურის ნარჩენებით, რომლებითაც ქრისტემ მრავალი ხალხი დააპურა (ნორვიჩი 30); საიდუმლო სერობის მაგიდა; ეკლიანი გვირგვინი ქრისტეს რომ დაადგეს ჯვარცმის დროს (ნორვიჩი 443). ინახებოდა ჯვარი რომელზედაც გაკრული იყო ქრისტე და ასევე მისი საბურველი; იმპერატორის გვირგვინში ჩასმული იყო ის სამსჭვალისი (ლურსმანი), რომლითაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს; სოფიის ტაძარში ინახებოდა ჭურჭელი ქრისტეს სისხლით და განსაკუთრებულ შემთხვევებში, იმპერატორთა მიერ, ამ სისხლით ხდებოდა ხელის მოწერა გამორჩეული მნიშვნელობის საბუთებზე (ნორვიჩი 215). რომში მორწმუნეს შეეძლო ენახათ ის ვერცხლის მონეტები, რომელიც იუდას ქრისტეს გაცემის სანაცვლოდ მისცეს, წმინდა პეტრეს თოკი, ღვთისმშობლის რძის ნაწილი, ის კიბე, სადაც იესო იდგა სასიკვდილო განაჩენის გამოტანის დროს და ა.შ. და ეს ყოველივე აღმოჩენილ იქნა კონსტანტინე დიდის (274—337 წ. წ.) მმართველობის ჟამს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქრისტე კი არ აწამეს, არამედ მეფედ აკურთხეს.

ჩვენ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადრე ქრისტეანები სდევნიდნენ ყოველივე წარმართულს, დღეს ვატიკანის ხელოვნების მუზეუმში უდიდესი პატივითა და სიამაყითაა გამოფენილი წარმართული ხელოვნების ნიმუშები: მაგალითად ლაოკოონის, აპოლონ ბელვედერელის და სხვათა ქანდაკებანი. ეს რეალობა არ არღვევს ევროპიელთა ქრისტენულ რწმენის საფუძვლებს. იგივე სურათია ჩვენს მუზეუმებში, ანუ წარსულის სრული უარყოფა ვერ შედგა და დღევანდელი ქრისტეანული ტრადიციები წარმართულ სამყაროსთან კომპრომისების გზითაა დაფუძნებული. თავად ევროპა ესაა წარმართული ბერძნულ-რომაული და ქრისტეანული რწმენის სინთეზი, რომელიმე ნაწილის გარეშე რეალურად არსებული ევროპული ცივილიზაცია შეუძლებელია შემდგარიყო.

ბიზანტიის, აღმოსავლეთ რომის იმპერიის მსგავსად, კოლხეთშიც იწყება შეურიგებელი ბრძოლა ყოველივე არაქრისტეანულ ფასეულობათა მიმართებით. ვინ ვიყავით კოლხები ძველი საბერძნეთის წარმოდგენით -- მზის შვილის ფასისის და მისი შვილის კოლხოსის შთამომავლები. კოლხეთში დამკვიდრებული ამ შეხედულების მტკიცებაა I საუკუნეში არიანეს მიერ ქალაქ ფასისში (ფოთში) ქალღმერთ ფასიანეს რეალურად არსებული ძეგლის დაფიქსირება. გაიხსენეთ არგონავტიკა – კოლხეთის მეფე, ასევე მზის შვილი აიეტი, ჯადოქარი მედეა, მუხის ხეზე ინახება ვერძის საწმისი, რომელსაც ურჩხული იცავს... და მსგავსად ბიზანტიელებისა, ჩვენი ქრისტეანი მამები გადაწყვეტენ საკუთარი ლეგენდარული წარმართული კოლხური წარსულის უარყოფას. ჩვენი წარსულის თემაზე ახალი ლეგენდის შესაქმნელად ისინი ქრისტეანული მოძღვრებით, იგივე ბიბლიით ხელმძღვანელობენ; ქრისტეანობა კი ყველა ადამიანს ერთმანეთის სისხლისმიერ ნათესავებად მიიჩნევს.

(Бычков 161): «Христиансто считает всех людей братьями в самом прямом смысле, т. к. все произошли от первого человека. К идее кровного родства всех людей и восходит раннехристианский гуманизм».

პავლე მოციქული – წერილი გალატაელტა მიმართ (3.28-29):

„28. უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი, არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში.

29. და თუ ქრისტესნი ხართ, მაშ აბრაამის თესლი ხართ და აღთქმით მემკვიდრენი“.

ქრისტეანობა აღიარებს ადამიანთა სისხლხორციელ ნათესაობას (ყველანი ადამისა ევასაგან წარმოვდგებით), მხოლოდ, გამომდინარე ბაბილონის გოდოლის ლეგენდიდან, რომლის მიხედვითაც თავად უფალმა აამეტყველა ერები განსხვავებულ ენებზე, ასევე ცნობს მრავალენიანობასაც, ანუ იგივე მრავალ ეროვნულობასაც. აქედან გამომდინარე, მსგავსად ქრისტეს შობიდან დაწყებული ახალი წელთაღრიცხვისა, იწყება ასევე ახალი კოლხური (ქართული) ქრისტეანული ერა შესაბამისი ენით, დამწერლობით და რაც უმთავრესია, ძველ აღთქმას მისადაგებული წარსულის ლეგენდით. ანუ უარყოფილ იქნა ჩვენი გამორჩეულად მზის შვილობა და ადამ და ევას რიგით შთამომავლებად ვიქეცით. ამ საწყის ქრისტეანულ ხანაში შექმნილი ლეგენდით ქართველი (კოლხი) ერი დაახლოებით 12-13 საუკუნე იკვებებოდა, ანუ სანამ ჩვენი ქრისტეანული წარსულის ეს პირველი ვერსია „ქართლის ცხოვრების“ შემქნელი ჩვენი ისტორიის ახალი მწვალებელების მიერ არ იქნა უარყოფილი და შესაბამისი ლიტერატურა განადგურებული.

ისტორია მეორდება, ანუ როგორც მხოლოდ ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვერასოდეს ვერ აღვიდგენდით ჩვენს კოლხურ წარსულს, ასევე მხოლოდ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით ვერასოდეს ვერ შევიტყობდით ჩვენი ქრისტეანული წარსულის იმ პირველ ვერსიას რითაც ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდა. საბედნიეროდ, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, მკაფიო სურათი ჩვენი წარსულის პირველი ქრისტეანული ლეგენდისა, ისევ და ისევ ბერძნულ-რომაულმა ცივილიზაციამ, ანუ ამ ცივილიზაციის წარმომადგენელმა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა დაგვიტოვა. ამ თემას მოგვიანებით, გარკვეული სამზადისის შემდგომ განვიხილავთ.

ბიბლიის თემასთან კოლხი (ქართველი) ერის წინაპართა წარმომავლობის დაკავშირება, ჩვენი დიადი კოლხური წარსულის გაუჩინარებაა. ძველი აღთქმის შექმნა დაიწყო ეგრეთწოდებული ებრაელთა ბაბილონის ტყვეობის შემდგომ ძვ. წ. VI საუკუნიდან და მისი კანონიზაცია დამთავრდა ახ. წ. II საუკუნეში. დროის ეს მონაკვეთი ემთხვევა კოლხეთის სახელმწიფოებრიობის დაქვეითების პერიოდს და კოლხეთი არ წარმოადგენდა ებრაელთა ყურადღების საგანს. შესაბამისადაც ძველ აღთქმაში, იმავე პერიოდის ბერძნულ-რომაული წყაროებისაგან განსხვავებით, კოლხეთის შესახებ ცნობები არც მოიპოვება. ასევე მითოლოგიური ნოეს შვილებში კოლხთა (ქართველთა) წინაპრების კვალის ძიება არასერიოზულია, მიუხედავათ იმისა, რომ როცა ებრაელები შუმერული მითოლოგიის გავლენით ქმნიდნენ ნოეს სახებას (ძვ. წ. VI ს.), კოლხები (ქართველები) დიდი ხნით ადრე ვარსებობდით და რასაც მსოფლიო ისტორიოგრაფია სრულად ეთანხმება.

ამრიგად, ჩვენ ნათლად უნდა დავაფიქსიროთ და ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ჩვენი წარსულის სამი სრულიად განსხვავებული ხედვა:

1. ბერძნულ-რომაული (წარმართული) პერიოდი.

2. ბიზანტიური ანუ ქრისტეანული რწმენის აღზევების პერიოდი.

3. „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა ვერსიები.

ცხადზე უცხადესია, რომ უპირატესობა წარმართული პერიოდის ბერძნულ-რომაულ ხედვას უნდა მიენიჭოს და რეალურად ეს ასეც არის.

მკითხველს დიდიხანია უნდა გასჩენოდა კანონიერი კითხვა: თუ კოლხეთია არა მარტო საქართველოს დასავლეთი, კოლხები არიან არა მხოლოდ ლაზ-მეგრელები, არამედ, კოლხეთია სრულიად საქართველო, კოლხია ყოველი ქართველი და კოლხური ენაა ქართული ენა, მაშ რა მეხი დაგვატყდა თავს, რომ ეს დიადი წარსული ჩვენი ქვეყნისა ასე შეუბრალებლადაა ამოშანთული ჩვენივე მეხსიერებიდან, ჩვენივე ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებიდან?

საქმე იმაშია, რომ დღეს ლაზურ-მეგრულ ენად წოდებული წარმართული კოლხური მეტყველება, კოლხურ ტომთა გაერთიანების მიზნით, კოლხ ქურუმთა მიერ შექმნილი ენაა, მხოლოდ ცოდნა, ამ ენაში ჩადებული თანადროული მსოფლიო აზროვნების მიღწევებისა, კოლხური ფსიქოლოგიისა, საუკუნეთა წინ იქნა მივიწყებული. იმ სამწუხარო ფაქტში, რომ სახელწოდება „კოლხეთი“ ჩვენს იტორიულ წყაროებში არ იძიება, ძირითადი „ბრალი“ კოლხ ქურუმთა მიერ შექმნილ წარმართულ კოლხურს (ლაზურ-მეგრულ) ენას მიუძღვის. „ბრალი“ შემდეგში მდგომარეობს: -- წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენა მოიცავს რა მსოფლიოს საწყისი, შუმერულ--ეგვიპტურ ცივილიზაციათა აზროვნების სიღრმისეულ ცოდნას, ავტომატურად წარმოადგენს წარმართული სამყაროს აზროვნების პროპაგანდისტს და რაც ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოში ქრისტეანული რელიგიის დამკვიდრებისათვის მებრძოლ მამებისათვის. ეს გახლავთ მიზეზი იმისა, თუ რატომ უწოდებს ბერად შემდგარი სულხან-საბა მეგრულ (წარმართულ კოლხურ) ენას -- ავ ენას.

(ს. ს.) ჟღურტული ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა ლაპარაკი.

ეს გახლავთ გამონაკლისი შემთხვევა მსოფლიო ენათმეცნიერებაში, რომ რომელიმე ენას, განვითარების რა ეტაპზეც არ უნდა იმყოფებოდეს, ავი ენა ეწოდებოდეს და ასევე მაგალითი იმისა, რომ ქართველი ერი 16 საუკუნეა ებრძვის საკუთარ დიად კოლხურ წარსულს, ანუ ჩვენ უბრალოდ მხოლოდ კი არ დაგვივიწყნია ჩვენი წარსული, არამედ მას დღესაც შეუგნებლად, მაგრამ მედგრად ვებრძვით. ამ თემას სრულად ეძღვნება ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილი.

ყოველი ახალი რელიგია, როდესაც ის მოსახლეობაში საუკუნეთა განმავლობაში დაფუძნებულ სარწმუნოებაზე იმარჯვებს, იძულებულია მიმართოს ძალადობის სხვადასხვა ფორმებს. უახლესი ისტორიის უთვალსაჩინოესი მაგალითია თუ როგორი სისასტიკით ანადგურებდნენ ბოლშევიკური იდეებით ეგზალტირებული ხალხთა მასები ქრისტეანული რელიგიის ფასეულობებს...

ქრისტეანული მოძღვრება შორსა დგას ბოლშევიკური შეუწყნარებლობისაგან, მაგრამ ქრისტეან მამათა გადმოცემით ვიცით, რომ წმინდა ნინომ ქრისტეანული რწმენის დასამკვიდრებლად, თავად დაამსხვრია წარმართულ კერპთა ქანდაკებანი. ერთის მხრივ ეს აქტი აუცილებლობას წარმოადგენდა, მეორეს მხრივ ეს ქანდაკებები ხომ თავის დროის გამორჩეულ ხელოვანთა ქმნილებები გახლდნენ და წარმოიდგინეთ სადღეისოდ რა სიამაყითა და სიხარულით აღვივსებოდით წმინდა ნინოს მიერ დამსხვრეულ ქანდაკებათა ნაწილები რომ აღმოგვეჩინა და აღვედგინა -- ხომ მიწაში ჩაფლული იპოვეს ვენერა მილოსელის ქანდაკება, რომელიც მიუხედავად მისი ღვთაებრივი გარეგნობისა ასევე ვერ ეტეოდა ქრისტეანული მორალის ჩარჩოებში.

(ფლავიუს არიანე II ს.): „ფასისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ღმერთქალ ფასიანესი. გარეგნობით ის გავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მის სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით კი ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება მეტროონში (აკაკი ურუშაძე 79)“.

ქრისტეანი მამები ამ II საუკუნის ქალაქ ფასისში რეალურად არსებულ ჩვენი დიდი წარმართი დედის ქანდაკებას ვერ იგუებდნენ და ნაკლებად სავარაუდოა როდისმე ის ჩვენ მიწაში ჩაფლული აღმოვაჩინოთ...

ამრიგად, უმთავრესი რაც ჩვენმა ქრისტეანმა მამებმა კოლხეთში ქრისტეანული რელიგიის დასამკვიდრებლად განახორციელეს, შუმერულ-ეგვიტურ სამყაროთა ცოდნის საფუძველზე შექმნილი წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენის მასალითა და გამოცდილებით, მისი გამარტივებითა და სრული მოდერნიზაციით, ქრისტეანულ ფასეულობათა გათვალისწინებით, ახალი კოლხური ქრისტეანული (ქართული) ენის შექმნა გახლდათ.

მარტინ ლუთერმა XV საუკუნეში გერმანულ ენაზე ბიბლია თარგმნა და გოეთე თვლიდა, რომ აქედან დაიწყო გერმანული ლიტერატურა; ჩვენ კი, ბიბლიის სათარგმნელად, ქრისტანული მოძღვრების დასანერგად, IV საუკუნის მეორე ნახევარიდან შევუდექით, წარმართული კოლხური ენის საფუძველზე, ქრისტეანული კოლხური (ქართული) ენის შექმნას. ეს ისტორიული რეალობაა მიზეზი იმისა, რომ ქართული ენა განცალკევებით დგას მსოფლიო ენათა ოჯახში.

რომ ჯერ თავად ქართველები (კოლხები) არსებობდნენ და ქართული ენა (ქრისტეანული კოლხური ენა) კი მოგვიანებით შეიქმნა, ასახულია თავად ნატყუარ „ქართლის ცხოვრება“-შიც.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 182): „მეორე მთავარი საკითხი, რომელსაც ლეონტი მროველი თავის თხზულებაში ეხება, ქართული ენის გაჩენის თეორიაა, ჩვენი ისტორიკოსის შეხედულებისდა მიხედვით ისე გამოდის, ვითომც თვით ქართველი მამამთავარი და იმისი შთამომავლობა თავდაპირველად ქართულად არა ლაპარაკობდა. ამგვარად თუმცა ქართველები არსებობდნენ, მაგრამ ქართული ენა-კი ჯერ გაჩენილი არ იყო. ლეონტი მროველი მოგვითხრობა, რომ ვიდრე ნაბუქოდონოსორ მეფე იერუსალიმს აიღებდა, „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო. რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართუელთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული-ო“.

ლეონტი მროველის ეს ცნობა ამჟღავნებს იმის ცოდნას, რომ ქართველთა (კოლხთა) პირველი გამაერთიანებელი ენა იყო არა სომხური, არამედ წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენა და ქრისტეანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით საქართველოში (კოლხეთში), წარმართული კოლხური ენის საფუძველზე შეიქმნა ქართველთა (კოლხთა) მეორე გამაერთიანებელი ქრისტენული კოლხური (ქართული) ენა.

თუ როგორი შეხედულებები არსებობდა საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში ქართულ და მეგრულ ენათა ურთერთობათა თაობაზე, ამის გასაცნობად მოგაწვდით ამონაწერს იოსებ ყიფშიძის „რჩეული თხუზულებანი“-დან:

„Об отношении мингрельского языка к братски родственному и лингвистически с ним как равноценному грузинскому существует несколько традиционных взглядов среди грузин и мингрельцев. Грузины говорят свысока о мингрельском языке, называя его искаженным грузинским. Эту точку зрения мы находим еще у лексикографа С. Орбелиани (XVII – XVIII в.в.). Слову JRur¬tuli чирикание он дает, напр., следующее объяснение:მეგრელთ მრუდი ლაპარაკი, ჩხიკვთა და კაჭკაჭთა ლაპარაკი искаженный язык мингрельцев или язык кедровок и сорок. Такого же мнения и историк-географ Вахушт (XVIII в.). Он о мингрельцах говорит следующее: აქუსთ თვისიცა ენა, განა წამხდარი ქართულივე есть у них свой

язык, но тот же испорченный грузинский. Не остаются в долгу и мингрельцы. Оны, в свою очередь, называют грузинский язык искаженным мингрельским или, во всяком случае, происшедшим из последнего. С этим взглядом приходилось считаться еще **Brosset**, который справедливо называет его плодом национального самолюбия“.

როგორც წესი, მართალი აღმოჩნდა არა მარი ბროსე, არამედ მართლები იყვნენ ის მეგრელები, რომლებმაც გადმოცემით იცოდნენ, რომ ქართული ენა მეგრული ენიდან მომდინარეობს, ანუ ქართული ენა იგივე კოლხური ენაა.

ამრიგად, კოლხებმა (ქართველებმა) ჩვენი ლეგენდარული კოლხური წარსული ორჯერ გავაყალბეთ და ორივეჯერ ჩვენდა საზიანოდ. პირველი სიყალბე ბიბლიასთან ჩვენი წარულის დაკავშირების მიზნით კოლხურ წარმომავლობაზე უარის თქმა გახლდათ, მეორე ვახტანგ მეფის სწავლულ კაცთა მიერ შედგენილ „ქართლის ცხოვრება“-სთან ერთად გაჩნდა.

ე. ი. ჩვენი წარმართული კოლხური წარსულის უარყოფა კოლხეთში ქრისტეანული რწმენის დამკვიდრებას უკავშირდება. კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ დაცული, კოლხეთში ქრისტეანობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ქრისტეან მამათა მიერ შექმნილი ლეგენდის განხილვა, ანუ მისი სრული აღქმა ჩვენ გაგვიძნელდება თუ არ განვთავისუფლდით იმ ნატყუარი ისტორიისაგან, განსაკუთრებით VIII საუკუნემდე მაინც, რომელიც უკვე „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა თავს მოგვახვიეს.

ჩვენი რეალურად არსებული წარსულის აღდგენას შევუდგეთ მსოფლიო რუკაზე კოლხეთის (საქართველოს) ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გაანალიზებით. დღევანდელი იდეოლოგიით საქართველო ცალსახად კავკასიურ ქვეყნად, ხოლო ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენადაა აღიარებული და რაც ჩვენი დიადი წარსულის კიდევ ერთი იგნორირების მაგალითია.

საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული ურთიერთობებითა და კულტურით უპირველესად – **ევრაზია**-ა, რომელიც თავის მხრივ, ასევე ისტორიული ურთიერთობებითა და კულტურით, პირობითად, ოთხ ნაწილად იყოფა. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი **კავკასია**-ა და ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვართ კავკასიელები. საქართველოს დასავლეთი, შავი ზღვისპირეთი კულტურულად ხმელთაშუა ზღვის აუზის შემადგენელია, გეოგრაფიულადაც შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვით ატლანტიკის ერთიან აუზს განეკუთვნება და ჩვენ ასევე ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის არეალის ნაწილს წარმოვადგენთ. ჩვენი სამხრეთი **არმინია**-ა (და არა არმენია); არმინია ნიშნავს ზოგადად მთიანეთს, კერძოდ კავკასიის სამხრეთით გაშლილ მთიანეთს და ამ სახელწოდების ქვეშ ძვ. წ. IX--VI საუკუნეების ურარტუ იგულისხმებოდა. სამხრეთის გზით ჩვენ როგორც ნაწილობრივ გვიანდელი ურარტული, ასევე უმთავრესად მსოფლიოს საწყის შუმერულ-ეგვიპტურ ცივილიზაციათა მემკვიდრეთაგანი ვართ. ჩვენი აღმოსავლეთი ეს არამეული ენით არანი-ს (მთიანეთის), იგივე ბერძნული ალბანეთი-ს გაერთიანების შემადგენელია. ჩვენი აღმოსავლური (ჩვენი ალბანური) წარსული ნაკლებადაა შესწავლილი და შეიძლება ითქვას ზოგადად ირანული კულტურის გავლენის სფეროს წარმოადგენს.

ამრიგად კოლხეთი (საქართველო) არა ცალსახა კავკასიური, არამედ მრავალსახოვანი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი ქვეყანაა. ვინაიდან ეს თემა ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია, ევრაზიული თემა შედარებით ვრცლად გავშალოთ.

ევრაზია

საქართველო (კოლხეთი) უპირველესად ევრაზიული ქვეყანაა და ეს განსაზღვრეს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VII—VI საუკუნებში მოღვაწე ბერძნებმა, რომლებმაც ევროპისა და აზიის გასაყარ მდინარედ ფასისი (დღევანდელი რიონი + ყვირილა) აღიარეს.

(**Б. С. Э.** VII 293): „По мнению древнеионийских географов (7-6 в.в. до н.э.) земля представляет собой плоский цилиндр, плавающий в Мировом океане. Плоская вершина этого цилиндра не вся обитаема, из нее выделяется ойкумена (обитаемая часть земли с центром в Элладе). Древнейшую карту которой представил Анаксимандр (кон. 7-6 в.в.). Помещая в центре своей карты Средиземное море, он разделил ойкумену на две разные части – Эвропу и Азию. Границей материков служила р. Фасис, а несколько позднее р. Танаис, под именем которой были объединены Дон и великие среднеазиатские реки. У Гекатея Милетского (на рубеже 6-5 в.в.) появляется третья часть света – Ливия (Африка): граница ее проходит по реке Нил“.

წარმოგიდგენთ თანამედროვე რეკონსტრუქციის ანაქსიმანდრესა და ჰეკატე მილეტელის (ძვ. წ. 610 – 547/540) დედამიწის რუკას.

ანაქსიმადრესადმი მიძღვნილი ეს სტატია, საიდანაც გადმოღებულია განსახილველი რუკა, თარგმნილია 68 ენაზე და ამ უძველესი ბერძნული რუკის ქართულ ვარიანტში შეცდომას წარმოადგენს ისტორიული მდინარე ფასისი-ს, მცდარი ტრადიციის საფუძველზე, ფორმა ფაზისი-თ გამოსახვა. იგივე შეცდომა მეორდება რუსულ ვარიანტშიც, თუმცა დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში მდინარე მოიხსენიება ისტორიული ფორმით **Фасис**; ხოლო დანიურ, გერმანულ, ესპანურ, თურქულ, ინგლისურ, იტალიურ, პორტუგალიურ, რუმინულ და სხვა ვარიანტებში გამოსახულია მდინარის მართებული სახელწოდება **ფასისი**. ასევე აღსანიშნავია, რომ პოლონელები მდინარე **ფასისის** ადგილმდებარეობას აკონკრეტებენ, გამოსახავენ რა მდინარე **ფასისს** თანამედროვე სახელწოდებით – **რიონი**.

გასაოცარია, მაგრამ განსხვავებით ზემოთ ჩამოთვლილი ხალხებისა, ჩვენს აზერბაიჯანელ და ჰაიკ მეზობლებს ეს რუკა რატომღაც საერთოდ არ აინტერესებთ.

ამ რუკის მნიშვნელობის გააზრებისას შეუძლებელია კვლავ არ დააფიქსირო:

1. ძველმა ბერძნებმა საწყისიდანვე კოლხები მათი მითოლოგიიის თანამონაწილედ გვაღიარეს და მზის შვილებად გამოგვაცხადეს.

2. როცა იწყება ბერძნული კარტოგრაფია (ანაქსიმანდრე ძვ. წ. VI ს.) კოლხეთი (**ფასისი**) უკვე როგორც რეალური სამყაროს შემადგენელი ფიქსირდება.

3. როცა იწყება მსოფლიო ისტორიოგრაფია (ჰეროდეტე ძვ. წ. V ს.) კოლხეთი ასევე მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი შემომქმედია -- მეტი რა ექნათ ძველ ბერძნებს.

განსხვავებით უკვე თანამედროვე ქართველი ისტორიის მწვალებლებისაგან, მსოფლიო ისტორიოგრაფიის აქსიომაა, რომ **ფასისი** (და არა **ფაზისი**) იგივე რიონია, ხოლო ქალაქი **ფასისი/ფასიდა** დღევანდელი ქალაქი ფოთია.

I **φάσις, ιδοσ** [ფასის, იდოს] – Фасид (1.сын Гелиоса, отец Колха; 2.река в Колхиде, нине Рион...).

II **φασις, ιδοσ** [ფასის, იდოს] – Фасида (город в устье р. Фасид в Колхиде).

ჯერ კიდევ **ჰესიოდეს** (ძვ. წ. VIII ს.) მდინარე ფასისი (დღევანდელი რიონი + ყვირილა) მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის აქვს დასახელებული. ანუ ბერძნული სამყარო ამ მდინარეს უძველესი დროიდან კოლხური სახელწოდებით, კოლხეთის მდინარეთ იცნობდა და ესაა მიზეზი იმისა, რომ ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში ევროპისა და აზიის გამყოფ მდინარეთ კოლხეთის, იგივე ლაზიკის ფასისის აღიარება ბიზანტიელთა საიმპერატორო კარის ისტორიკოს პროკოპი კესარიელისათვის ახ. წ. VI საუკუნეშიც ძალაშია.

(**პროკოპი კესარიელი** 97): „ფასისი (დღევანდელი რიონი + ყვირილა **ჯ.კ.**) ორად ჰყოფს ხმელეთს, ჩამომდინარე წყლის მარცხნივ არის აზია, ხოლო მარჯვნივ ევროპად იწოდება. ევროპის ნაწილშია ლაზთა ყველა საბინადრო ადგილები, ხოლო მეორე ნაწილში არც რაიმე ქალაქი აქვთ ლაზებს, არც სიმაგრე და არც დაბა, მოხსენების ღირსი (და არა ის, რომ სრულიად დაუსახლებელი იყო **ჯ.კ.**), გარდა იმისა, რომ რომაელებმა იქ პეტრა ააშენეს წინათ“.

პროკოპი კესარიელის მიხედვით გამოდის, რომ ოდიშელები ევროპელი ლაზ-მეგრელები არიან, ხოლო აჭარელ-გურულები აზიელი ლაზ-მეგრელები, ვიმეორებ -- **პროკოპი კესარიელის** მიხედვით.

(**პროკოპი კესარიელი** 108): „(პროკოპი იხილავს გეოგრაფოსთა შეხედულებებს აზიისა და ევროპის საზღვრების შესახებ. ზოგიერთთა აზრით, ამ ორი ხმელეთის გამყოფია მდინარე ტანაისი) ხოლო თუ რომელიმე მდინარე უნდა ჩაითვალოს ამ ორი ხმელეთის გამყოფად, ასეთი უნდა იყოს ფასისი... არაფერი შეუშლის ხელს იმას, ვისაც ჭეშმარიტების გამორკვევა აქვს განზრახული. ასე, ჰეროდოტე ჰალიკარნასელი „ისტორიათა“ მეოთხე წიგნში ამბობს, ქვეყანა ერთს მთლიან ერთეულს წარმოადგენსო, ხოლო ფიქრობს, რომ იგი განიყოფება სამ ნაწილად და სამ სახელწოდებას ატარებს: ეს არის ლიბია, აზია და ევროპა. ამათგან ლიბიასა და აზიას შორის ეგვიპტის ნილოსი ჩადის, ხოლო აზიასა და ევროპას კოლხეთის ფასისი ჰყოფს... ტრაგედიების მწერალი ესქილე კი „განთავისუფლებულ პრომეთეში“ ტრაგედიის დასაწყისშივე, მდინარე ფასისს ასახელებს აზიის ქვეყნისა და ევროპის საზღვრად“.

გავიხსენოთ ასევე იოანე ლიდეს ცნობა:

(**იოანე ლიდე** VI ს.): „ევროპაშია კოლხიკე, რომელსაც ეხლა ლაზიკეს უძახიან".

როგორც ძველი ბერძნებისთვის, ასევე მოგვიანებით ბიზანტიელებისთვისაც ევროპა **ფასისის** (რიონი + ყვირილას) მარჯვენა სანაპიროდან იწყებოდა, ხოლო მარცხენა სანაპიროდან აზია. ჩამოთვლილი ცნობები გვაძლევს დოკუმენტალურ საფუძველს, თუნდაც თანამედროვე ტურისტული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ისტორიულ მდინარე ფასისზე (რიონი + ყვირილაზე) გადებულ ხიდების მარჯვენა

ნაპირზე აღვმართოთ აბრა წარწერით – **ევროპა**, ხოლო მარცხენა ნაპირზე აბრა წარწერით – **აზია** აუცილებლად ანაქსიმანდრესა და ჰეკატე მილეტელის (ძვ. წ. 610 – 547/540) დედამიწის რუკის დართვით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია იმას, თუ დღევანდელი გეოგრაფიული საზოგადოება სად ავლებს მცდარ საზღვარს ევროპასა და აზიას შორის, ჩვენ ამ აქტით აღვადგენთ ისტორიულ სამართლიანობას.

(**აკაკი გელოვანი** 158): „**ევროპა**, (**Europe**, დორ. **Europa**) – 1. მიწათმოქმედების ძველი ბერძნული ქალღმერთი (ჰეს.). ამ სახით მერე დავიწყებას მიეცა. უფრო გავრცელებულია მითი ზევსის სატრფოზე, რომელმაც სახელი მიაკუთვნა ევროპის კონტინენტს. ჰომეროსის მიხედვით ფენიქსისა და პერიმედეს მშვენიერი ასულია, უფრო გვიანდელი თქმულებით -- ფინიკიის მეფის აგენორისა და ტელეფასას ქალიშვილი, ფინიკიელი ქალი. ერთხელ, როცა ზღვის პირას მხევალი ქალიშვილებით გარემოცული ყვავილთა გვირგვინებს წნავდა, მისი მშვენებით მოხიბლული ზევსი გამოეცხადა სხივთამთოველი დიდებული ხარის სახით. ევროპე მოეფერა, ზურგზე შეაჯდა კიდეც, ხარი ზღვაში გადაეშვა, გაცურა და მეფის ასული კრეტაზე გაიყვანა, სადაც საყვარლად გაიხადა. ევროპას ამ კუნძულზე გაუჩნდა მინოსი“.

აზიელ ევროპას იტაცებს ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთი ტერიტორიის (მომავალი ევროპის) ღვთაება ზევსი და კუნძულ კრეტაზე ჩნდება ფინიკიურ-კრეტული, ანუ ევრაზიული ბუნების მინოსური კულტურა. ამ მითით იმასაც ესმება ხაზი, რომ მიწათმოქმედება ევროპაში ჩვენი აზიიდან, წინა აზიიდან განივრცო.

(**ქ.ს.ე.** VII 5): „**მინოსის კულტურა**, ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III—II ათასწლ.) მაღალგანვითარებული კულტურა კუნძულ კრეტაზე. ეგეოსის კულტურის ერთ-ერთი ვარიანტი. აღმოაჩინა ინგლისელმა არქეოლოგმა ა. ევანზმა XIX საუკუნის ბოლოს. მან მინოსის კულტურა დაყო 3 პერიოდად: ადრეული, შუა და გვიანდელი. სახელი ეწოდა ლეგენდარული მეფის მინოსის სახელის მიხედვით. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია ქალაქები, სასახლეები (კნოსოსი, აგია-ტრიადა, ფესტოსი, მალია), ნავსადგურები, სასოფლო დასახლებანი, ნეკროპოლები. სასახლეებისა და ზოგი კერძო პირის სახლების კედლები ფრესკებითა და რელიეფებით იყო შემკული.. ნაპოვნია კერამიკა, სპილენძისა და ბრინჯაოს შრომისა და ბრძოლის იარაღი.... მინოსურმა კულტურამ აყვავებას მიაღწია დაახლოებით ძვ. წ. 1700 წ.. მოსახლეობას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ძველ ეგვიპტესთან, სირიასთან, კვიპროსთან, ანატოლიასა და საბერძნეთდან. ცნობილია ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის პირველი იეროგლიფური წარწერები, ძვ. წ. 1600-დან კი – ე.წ. ხაზოვანი დამწერლობა A. დაახლოებით ძვ. წ. 1470 კრეტის ყველა ტაძარი დაინგრა, შესაძლებელია მიწისძვრის შედეგად“.

კოლხური წარსულის გასააზრებლად ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გახსენება, რომ:

(**აკაკი გელოვანი** 583): ,,კოლხეთის მეფე მზის შვილია. ჰელიოსის სახელთან დაკავშირებით ასეთი პატივი არც ერთ სხვა ტომსა და ერს არ ღირსებია. ეს აღიარებაცაა კოლხთა კულტურისა და პატივისა, რითაც მათ ბერძნები უყურებდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ აიეტი კოლხეთში მეფობს, მისი და პასიფაე კი კრეტის დედოფალია, დიდი მინოსის ცოლი. ამით თითქოს ხაზი გაესვა მეცნიერული მონაცემებით დადასტურებულ იმ ფაქტს, რომ კოლხური და მინოსური კულტურა - უძველესი და ერთდროული მოვლენაა, და მათ შორის არის ნათესაობის ძაფი“.

ე. ი. ბერძნული მეხსიერებით, კოლხეთი ევროპული ცივილიზაციის ევრაზიული ბუნების ჩასახვის საწყისი პერიოდის თანამედროვეა, თანამონაწილეა. ამრიგად, უნდა დაფიქსირდეს, რომ როდესაც შეიქმნა მცნება ევროპა (ძვ. წ. VI ს.), მაშინ დღევანდელი გადასახედიდან, ევროპისა და მსოფლიოს ცენტრად საბერძნეთი იგულისხმებოდა,

ევროპის ნაწილად კოლხეთი და ჯერ ბუნებაში არ არსებობდა მცნებები: რომის რესპუბლიკა, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი...

ასევე ძველი ბერძნებისათვის აზიის ჩრდილო საზღვარი იწყებოდა ეგვიპტელთა ნილოსის მარჯვენა სანაპიროდან და მთავრდებოდა კოლხეთის ფასისის მარცხენა სანაპიროთი. თავდაპირველად, ბერძნული თვალსაწიერის აზია მოიცავდა მცირე აზიას, ეგვიპტის აღმოსავლეთს, არაბეთის ნახევარკუნძულს, მესოპოტამიას, სპარსეთს, კავკასიის სამხრეთ ნაწილს, და აღმოსავლეთით აღწევდა მხოლოდ ინდოეთამდე.

აღმოსავლეთის მიმართულებით ბერძნულ-ევროპული გეოგრაფიული თვალსაწიერის შემდგომი ზრდის კვალდაკვალ ტერმინ **აზია**-ს შინაარსობრივი მოცულობა თანდათანობით გაფართოვდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ეკლეკტიკური, მონსტრი მცნება. თუ ევროპის „შორეული“ აღმოსავლეთი ურალის ქედით შემოიზღუდა, ტერმინმა **აზია**-მ თანდათანობით მოიცვა ინდონეზია, შუა აზია, ჩინეთი, შორეული აღმოსავლეთი, იაპონია და რომელთაგან თითოეული ჩვენი წინა აზიისაგან (ჭეშმარიტი აზიისაგან) სრულიად განსხვავებულ სამყაროებს წარმოადგენენ. ამ ხედვის შედეგად იქცა იაპონია ამომავალი მზის ქვეყნად, თუმცა მზე არსად არ ამოდის და არ ჩადის, ეს ჩვენ ვტრიალებთ მზის გარშემო.

სახელწოდება აზიის განვრცობა წინა აზიის აღმოსავლეთით, იაპონიის ჩათვლით, ისეთივე ხარისხის შეცდომაა როგორც რომ ევროპელ ესპანელთა მიერ აღმოჩენილ ამერიკის კონტინენტს თუ მცნება ევროპაში მოვაქცევდით. გეოგრაფიულად აზია და ევროპა ერთი კონტინენტია, ხოლო თუ კულტურათა მიხედვით ვანაწილებთ, მაშინ ჩვენი ერთიანი კონტინენტის დაყოფა მხოლოდ ევროპად და აზიად არის შეცდომა. იგი ვერ გამოხატავს რეალურ ვითარებას, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთი იყო და არის არათუ წინა აზიისაგან, არამედ დანარჩენი მსოფლიოსაგან სრულიად განსხვავებული სამყარო. რომც არ ვახსენოთ ევროპული კულტურა, ჩვენ ბევრად მეტი სიახლოვე გაგვაჩნია აფრიკასთან, ვიდრე „დამატებულ აზიასთან“. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბორის ტურაევის შეხედულება:

(**Б. А. Тураев** II 206): „Иранцы и Индусы представляют резкий пример того, как два народа, находясь в тесном родстве, под влиянием географических и исторических условий, могут сделаться не только не похожими друг на друга, но даже противоположными один другому“.

ქართული ენის უცხო ლექსიკური მარაგის ზედაპირული გაცნობაც კი იმას გვარწმუნებს, რომ ქართული ენის ურთიერთობები მხოლოდ ევროპულ და წინააზიურ (არაბულ, სპარსულ, თურქულ...) სივრცეს მოიცავს, უშუალო კავშირები არ გააჩნია დანარჩენ აზიასთან და არც კავკასიურ ენათა მნიშვნელოვანი გავლენაა შესამჩნევი.

თუ ჩვენ მცნება **აზია**-ს ქვეშ მხოლოდ წინა აზიას ვიგულისხმებთ, ბევრად ცხადი გახდება კოლხთა (ქართველთა) ისტორიულად მახასიათებელი მცნების -- ევრაზიის მართებულება.

თანამედროვე სინამდვილეში, მცნება აზიის ღირებულება დაკნინებულია და ეს მაშინ, როცა ჩვენს წინა აზიაში, უძველეს აღმოსავლეთში, ჩამოყალიბდა ადამიანთა ცივილიზაცია.

(**Б. А. Тураев** I 1): „История древнего Востока – первая глава истории человечества, история цивилизаций, генетический предшествовавших эллинству и христианству“.

როგორც მოგეხსენებათ, ევროპული ცივილიზაციის ძირითადი საყრდენი ელინიზმი (ბერძნული ცივილიზაცია) და ქრისტეანული რწმენაა. მოვიძიოთ ბერძნული ცივილიზაციისა და ქრისტეანული სარწმუნოების წინა აზიური ფესვები.

ქრისტეანული რწმენის მქადაგებელი II-III საუკუნეთა აპოლოგეტები საკუთარ თავს წინა აზიური სამყაროს მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ და ბერძნულ-რომაულ სამყაროს მათი ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში ამ სამყაროს უდიდეს ღვაწლს ახსენებდნენ.

(**Бычков** 80): «Апологеты, считавшие себя больше продолжателями традиций ближневосточной культуры, чем греко-римской, стремятся часто показать. что и все науки греки и римляне заимствовали с Вастока. Татиан призывает зллинов не питать ненависти к варварам и, в частности, к варварскому учению христян, ибо и всё, чем они кичатся перед варварами, происходит от них, а не от греков. Астрономию изобрели вавилониане, магию – персы, геометрию – египтяне, писменность – финикийцы. Орфей научил вас пению и поэзии, тосканцы изобрели пластику, у фригийцев обучились вы игри на флейте,.а осталние истории переняли у егитян, и т. д. Высокомерие эллинов. таким образом, ничем не может быть оправдано».

წინა აზიის (ჭეშმარიტი აზიის) წარსული მსოფლიო ფუნქციის არსი უპირველესად შუმერული ფენომენია. აღიარებულია, რომ ყველა არსებული რელიგიის ფესვები შუმერულ კულტურაში იძიება.

„Библия говорит о «земле Сеннаарской» как о месте, где зародилась цивилизация, значение которой для последующих поколений трудно переоценить. Современное деление года на месяцы и недели, круга – на градусы, индоевропейские языки и корни всех известных религий восходят к древнему Сеннаару. Здесь был построен город Вавилон (სენაარ – ებრაელურ ენაზე ნიშნავს მდინარეთა ქვეყანას, ანუ იგივე შუამდინარეთს ჯ.კ.)“.

ახალი წლის დადგომას პირველად ბაბილონში 4000 წლის წინ, მარტის თვის დასაწყისში ზეიმობდნენ. შემდგომ ეს ტრადიცია ბაბილონელთაგან იუდეველებმა გადაიღეს, იუდეველთაგან ბერძნებმა და ამის შემდგომ კი საახალწლო ზეიმი უკვე ევროპელთა ტრადიციად იქცა.

(**სემიუელ კრამერი** 39): „რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ჩვენი პარლამენტი (ორპალატიანი პარლამენტი ჯ.კ.) აზიაში შემდგარა... ძვ. წ. III ათასწლეულში... იგი მოუწყვიათ იმ ქვეყანაში, რომელსაც ძველად შუმერი ეწოდებოდა... ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ შუმერი განთქმული იყო ხალხმრავალი ქალაქებით, რომელთა ცენტრში დიდებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები იდგა. ქალაქებს ფართოდ ჰქონდათ გაჩაღებული სახმელეთო და საზღვაო ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან. უნიჭიერესმა შუმერელმა მოაზროვნეებმა შექმნეს რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა მთელი სისტემა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ არა მარტო მათ სამშობლოში, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში... შუმერში წარმოიშვა და განვითარდა დამწერლობა... რამაც ისტორიაში პირველად ადამიანს საშუალება მისცა, დაწვრილებით და საგულდაგულოდ აღებეჭდა თავისი საქმიანობა და აზრები, თავისი ოცნებები, იმედები, სჯა და რწმენა. ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ შუმერმა საკმაოდ წინ გადადგა ნაბიჯი პოლიტიკურ სფეროშიც. სწორედ აქ იყო პირველი ცდა დემოკრატიული მთავრობის შექმნისა, მთავრობისა რომელიც ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას და ცნობდა სახალხო კრების უფლებას“.

(**სემიუელ კრამერი** 94): „შუმერელებმა გამოიგონეს ყალიბი აგურის გასაკეთებლად და საბოლოოდ გადაჭრეს სამშენებლო მასალის პრობლემა. მათვე გამოიგონეს სამეთუნეო წრე, საზიდრის ბორბალი, სათესი მოწყობილობიანი გუთანი, იალქნიანი ნავი, ისწავლეს თაღების, კამაროვანი ნაგებობებისა და გუმბათის შენება, სპილენძისა და ბრინჯაოს ჩამოსხმა, აითვისეს ლითონების შედუღება, ქვაზე კვეთა, გრავირება და ინკრუსტაცია, განავითარეს საფეიქრო ტექნიკა, ამზადებდნენ ლუდს, ღვინოს. ირიგაცია, სადრენაჟო სამუშაოები, ქვაფენილები და მათი შეკეთება...

ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის შუმერებს შემუშავებული ჰქონდათ მთელი რიგი მეტაფიზიკური და თეოლოგიური მოსაზრებანი, რომლებიც, ბუნდოვანების მიუხედავად, დროთა განმავლობაში, მეტ-ნაკლებად მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა და მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია თვით ებრაელთა და შემდეგ ქრისტიანულ რელიგიას“.

ებრაელები ხშირად ხაზს უსვამენ იმ რეალობას, რომ ქრისტეანული რელიგია (შემდგომ ისლამიც) იუდაიზმის გამოვლენაა და თითქოს თავად იუდაიზმი ცარიელ ადგილას, მხოლოდ ებრაელი ერის წიაღში წარმოიშვა, ანუ ძველი აღთქმა მათი რეალური ისტორიაა. სინამდვილეში დედამიწაზე ებრაელთა ჭაჭანება არ იყო როცა ძველი აღთქმის ისტორიათა, აზროვნებათა უდიდესი და უმთავრესი ნაწილი წინა აზიის უძველეს ხალხთა მიერ მრავალ საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა. ებრაელები გაწყობილ სუფრას მიუსხდნენ და უძველეს კულტურათა მსოფლიო გამოცდილება საკუთარი ერის დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გამოიყენეს.

ბაბილონში ტყვეობისას, ეროვნული მარცხის ტკივილის განცდა აიძულებდა ებრაელ ერს ახლებურად გაეაზრებინათ განვლილი გზა და რაც თავისთავად უბიძგებდა მათ ახალი ეროვნული იდეოლოგიის შექმნისაკენ. შუამდინარეთში, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, შეისწავლეს რა დიად კულტურათა შემოქმედება, ამ კულტურათა გამოცდილების უხვი მასალის საფუძველზე შექმნეს მათთვის სასურველი ისტორიები – ანუ ძველი აღთქმა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ებრაელი ერის გამხნევება, რწმენის განმტკიცება და ახალი ძლიერი სახელმწიფოს აშენება. განსხვავებით ჰაიკთაგან შეგულიანებული „ქართლის ცხოვრების“ ავტორებისა, მათ უფროს ძმად არავინ არ შეურჩევიათ, სამყაროს შექმნის ებრაელური ვარიანტი წარმოადგინეს და მათთვისაც მოულოდნელ წარმატებებსაც მიაღწიეს.

გაჩნდება კითხვა, თუ რას ვგულისხმობ გამოთქმით -- „მათთვისაც მოულოდნელ წარმატებებსაც მიაღწიეს“. მაშინ როდესაც ბერძნული ცივილიზაციის დასაწყისიდან, კოლხეთი, კოლხური კულტურა, ძველი ბერძნების ცხოველი ინტერესის მუდმივ სამიზნეს შეადგენდა, არგონავტები ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნისთვის კოლხეთის მიმართულებით ექსპედიციას აწყობენ და ძვ. წ. III საუკუნეში ამ თემას პოემაც ეძღვნება, ბერძნული კულტურისათვის ებრაელი ერი, ებრაელთა კულტურა, ქრისტეს შობამდე მაინც, განსხვავებით კოლხეთისაგან, რაიმე გამორჩეული შეცნობითი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა.

ჩვენი მტკიცების საფუძვლიანობის წარმოსაჩენად ერთმანეთს შევადაროთ თუ როგორაა წარმოდგენილი წინდაცვეთის თემა ძველ აღთქმით და როგორ ასახავს იგივე თემას ჰეროდოტე. ბიბლიის მიხედვით ებრაელთა მამამთავარი აბრაამი ღვთის რჩეულია.

(დაბადება 18):

„17. თქვა უფალმა: როგორ დავუმალო აბრაამს, ჩემს მორჩილს, რის გაკეთებასაც ვაპირებ?

18. აბრაამი ხომ დიდ და ძლიერ ხალხად იქცევა, ყველა ხალხი დედამიწის ზურგზე კურთხეული იქნება მისით“.

გამორჩეული სიყვარულის სანაცვლოდ ღმერთი აბრაამისაგან წინდაცვეთას ითხოვს.

(დაბადება 17):

„7. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და შენს შთამომავალთა შორის თაობიდან თაობამდე, სამარადისო აღთქმას, რომ შენი დ შენი შთამომავლების ღმერთი ვიქნები.

8. მოგცემ შენ და შენ შთამომავლობას შენი მდგმურობის ქვეყანას, ქანაანის მთელს ქვეყანას, სამარადისო საკუთრებად და თქვენი ღმერთი ვიქნები.

9. უთხრა ღმერთმა აბრაამს: ოღონდ დაიცავით ჩემი აღთქმა შენ და შენმა შთამომავლობამ თაობიდან თაობამდე.

10. ეს არის აღთქმა, რომელიც უნდა დაიცვათ, აღთქმა ჩემსა და თქვენს შორის და შენს შთამომავლობას შორის თაობიდან თაობამდე; წინადაიცვითოს თქვენში ყოველმა მამაკაცმა.

11. დაიცვითეთ ჩუჩა და ეს იყოს ნიშნად აღთქმისა ჩემსა და თქვენს შორის“.

წინდაცვეთა წარმოადგენდა არა რელიგიურ, არამედ პირადი ჰიგიენის პრობლემას. ანუ, განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, წყლის ნაკლებობის გამო, ადამიანები ვერ იცავდნენ სისუფთავის ელემენტარულ ნორმებს, სხეულს ხშირად ვერ იბანდნენ და მამაკაცების სასქესო ორგანოს კანქვეშ დაგროვილი მასა ხშირად იყო სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებათა მიზეზი. ამ მოვლენას იმდენად მასიური ხასიათი გააჩნდა, რომ როგორც ადმინისტრაციული, ასევე რელიგიური პროპაგანდის გავლენით მამაკაცებმა წინდაცვეთას მიმართეს. მოგვიანებით, როცა გადაიჭრა პირადი ჰიგიენის პრობლემა, ხალხთა უმრავლესობამ თავი ანება საკუთარი სხეულის დასახიჩრებას.

წინდაცვეთის რიტუალი უძველესი წინააზიური მოვლენაა და „ყველა ხალხს დედამიწის ზურგზე" წინდაცვეთა ებრაელთაგან არ უსწავლიათ. ამის მტკიცება გახლავთ ჰეროდოტეს ცნობები წინდაცვეთის რიტუალის გავრცელების არეალის შესახებ. ჰეროდოტე, რომელმაც ძვ. წ. 455 წლიდან 444 წლამდე ბევრი იმოგზაურა – იყო ეგვიპტეში (4 თვეს), ფინიკიასა და მესოპოტამიაში, არაბეთში, სკვითიასა და კოლხიდაში, თრაკიაში, მაკედონიასა და სიცილიაში; შემოვლილი აქვს მცირე აზიის ზღვისპირეთი, ამ მოგზაურობათა შედეგად ის გვამცნობს:

(**ჰეროდოტე** I 156): „ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი უწინ, ვიდრე სხვათაგან მოვისმენდი და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინდაცვეთას. ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითონაც ამბობენ, ეგვიპტელთაგან ისწავლეს, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ, რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან. მხოლოდ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც წინდაცვეთას ახდენენ და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელთა მსგავსად აკეთებენ ამას, ხოლო

ეგვიპტელთა და ეთიოპიელთა შესახებ არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელმა ისწავლა ამ ორს შორის მეორისაგან. რაღაცა ძალიან ძველი ჩანს ორივეთგან. ხოლო იმის საბუთად, რომ ხალხმა ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა მათთან შერევის საფუძველზე, მეჩვენება შემდეგი: ის ფინიკიელები, რომლებიც ელადასთან ურთიერთობაში არიან, აღარ ბაძავენ ეგვიპტელებს იმ საქმეებში, რაც სარცხვინელს ეხება და შვილების წინდაცვეთას აღარ ეწევიან“.

თავდაპირველად აღიქვით, რომ თუ ძველი აღთქმისთვის მცნება კოლხეთი უცნობია, ჰეროდოტესთვის კოლხეთი ეგვიპტის, ფინიკიის, ეთიოპიის, სირიის... ანუ თანადროული მსოფლიოს ხალხთა შორის თანასწორი მოქმედი ქვეყანაა; ხოლო მიუხედავად იმისა, რომ ჰეროდოტეს მოგზაურობამდე ბევრად ადრე, სპარსეთის მეფემ კიროს II დიდმა (ძვ. წ. 558 -- 530) ძვ. წ. 537 წელს ბაბილონური ტყვეობიდან გაათავისუფლა ებრაელები და ისინი სამშობლოში დიდი ხნის დაბრუნებულნი არიან, ძვ. წ. V საუკუნეში მოღვაწე ჰეროდოტე ვერ გვაწვდის რაიმე სახის ცნობასაც კი არათუ ებრაელთა წინდაცვეთის შესახებ, არამედ მათი არსებობა ჰეროდოტესთვის უცნობია, თუმცა იცის პალესტინაში მაცხოვრებელი სირიელების არსებობა. ამრიგად, ძვ. წ. V საუკუნეში ებრაელი ერი, განსხვავებით კოლხებისაგან, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მიმდინარე მსოფლიო მოვლენათა ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას და შესაბამისად არ შეადგენდა ბერძნული ცივილიზაციის ინტერესის საგანს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ებრაელებმაც წინდაცვეთა ასევე ეგვიპტელთაგან ისწავლეს. ბიბლიის მიხედვითაც, ეგვიპტე ებრაელთათვის არ გახლდათ უცნობი ქვეყანა.

(**დაბადება** 12.10): „შიმშილი იყო ქვეყანაში და წავიდა აბრაამი ეგვიპტეში საცხოვრებლად“.

ებრაელთა მიერ ბაბილონური კულტურის გაზიარების თვალსაჩინო მაგალითია ტერმინი შაბათი.

(**უცხ. სიტყ. ლ.**) **შაბათი** [ძვ.-ებრ.-დან...-დასვენება, სიმშვიდე] იუდაიზმსა და ზოგიერთ ქრისტიანულ სექტაში სიმშვიდის, დასვენების, სრული უმოქმედობის დღე. დღესასწაული დაწესებულია ბიბლიური თქმულებით: ღმერთმა სამყარო შექმნა 6 დღეში და მეშვიდე დღე გამოცხადდა დასვენების დღედ; ისიც ცნობილია, რომ შაბათის დღესასწაული დაკავშირებულია მთვარის აღმოსავლურ კულტთან, კერძოდ ბაბილონურ შაბათთან – „ბადრი მთვარის დღესასწაულთან“, თვის გარკვეულ დღეებს თვლიდნენ უბედურად და საქმეს არ კიდებდნენ ხელს. ბაბილონელებმა თავის მხრივ შუმერებისაგან გადაიღეს, მერე ქანაანელებმა და ბოლოს ტყვეობაში მყოფმა ებრაელებმა. თვის მეშვიდე, მეთოთხმეტე, ოცდამეერთე და ოცდამერვე დღეები, მთვარის ოთხ ფაზას შეესატყვისება და წინასწარმეტყველთა, ქურუმთა ჩაგონებით ითვლებოდა უქმე დღეებად.

ამრიგად, ებრაელთა წიგნების, იგივე ძველი აღთქმის მიმართ მსოფლიო ინტერესი მხოლოდ ქრისტეანული ეკლესიის (და არა რელიგიის) წარმოქმნის შემდგომ იწყება (ახ. წ. II -- IV ს.ს.). ანუ ებრაელთა წიგნები (ძველი აღთქმა), საუკუნეთა მანძილზე, მხოლოდ ებრაელთა შიდა მიმოქცევის არეალს შეიცავდა და მისი მსოფლიო აღიარების პერსპექტივაც არ ჩანდა.

(**Б. А. Тураев** I 123): „Великая култура, развившаяся в нижней части переднеазиатского Двуречья, обыкновенно называется вавилонской. Это имя условное: Вавилон был лишь последним звеном ея многовекового развития и ея центром в более близкое к нам время. Сфера ея влиания была весьма обширна и географически и хронологически. Она была основной в Передней Азии, влияние

ея сказалось и в классическом мире, в гностических системах первых веков християнства, даже может быть в Исламе и в среднивековой Европе“.

ვინაიდან მცნებები საქართველო და ქართული ენა ქრისტეანული სამყაროს შედეგია, ჩვენთვის ყურადსაღებია იმის დადგენა, რომ ძველი აღთქმა ძირითადად წარმოადგენს არა უშუალოდ ებრაელი ერის ისტორიას, პირდაპირი გაგებით, არამედ ებრაელთა წარსულს მისადაგებული, საერთო წინააზიური ოჯახის მსოფლმხედველობის მეტაფორული აღქმაა. ასევე უნდა გავითვალიწინოთ, რომ ბიბლია რასაკვირველია წინა აზიური კულტურის შედეგია, მაგრამ ქრისტეანული მოძღვრება როგორც ეკლესიური რელიგია ევროპის ცენტრში, რომში შეიქმნა და ჩამოყალიბდა.

ანაქსიმანდრესა და მილეტელის რუკაზე დაყრდნობით კი შეგვიძლია დავასკვნათ: მსოფლიოში არსებობდნენ და არსებობენ ევრაზიული ტერიტორიების მფლობელი სახელმწიფოები – საბერძნეთი, რომი, ბიზანტია, თურქეთი, რუსეთი, მხოლოდ ყველა ესენი იმპერიები გახლდნენ და გახლავან, ანუ ფლობდნენ, ან ფლობენ უცხო ხალხთა ტერიტორიებს და მათგან განსხვავებით, მსოფლიოში გეოგრაფიულ-კუტურული მცნება **ევროპის** დამკვიდრების საწყისიდანვე ერთადერთი ევრაზიელი ერი (გეოგრაფიული გაგებით) კოლხები (ქართველები) ვართ, ვინაიდან მდინარე **ფასისი**(რიონი + ყვირილა) მხოლოდ კოლხეთის ტერიტორიაზე მიედინება.

ჩვენი მსჯელობის უმთავრესი მიზანი იმის გააზრება გახლავთ, რომ სადღეისოდ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მცნებები -- ქრისტეანული რელიგია, ევროპული კულტურა, კოლხეთის (საქართველოს) ეროვნული არსის (ისტორია, მეტყველება, იდეოლოგია, კულტურა) მსგავსად, ევრაზიული ბუნების მატარებლები, ანუ წინა აზიისა და ევროპის თანაცხოვრების შედეგებს წარმოადგენენ.

განმეორებით უნდა აღინიშნის, როცა ბერძნებმა ძვ. წ. VI საუკუნეში კოლხეთის ნახევარი ევროპად აღიარეს, მაშინ ევროპელობა სიამაყის საგანს არ წარმოადგენდა; არ არსებობდა ჩამოყალიბებული იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, ესპანეთის და სხვა ევროპული არც ერები და არც სახელმწიფოები; ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ ბერძნები საბერძნეთს დედამიწის ჭიპად, დედამიწის ცენტრად, ანუ არც ევროპად და არც აზიად არ მიიჩნევდნენ, გამოდის რომ კოლხეთი, მცნება ევროპის გაჩენის დღიდან, ერთადერთი შემორჩენილი საწყისი ევროპული ქვეყანაა და ჩვენ ამ წარსულზე საკუთარი ნებით უარი განვაცხადეთ...

აქ აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით ევროპისა და აზიის გასაყარად ასევე ითვლებოდა მდ. არაქსი და კასპიის ზღვა და მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ არაქსის ზედა წელი ასევე **ფასის**-ად მოიხსენიებოდა და ისტორიის სცენაზე ჰაიკების გამოჩენამდე ბევრად ადრე კოლხური ტომებით დასახლებული ეს ტერიტორია კოლხური ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენდა.

Φάσις [ფასის] –2.река в Колхиде, ныне Рион; 3. верхнее течение р. **Ἄράξης** в Армении).

(**აკაკი გელოვანი** 159): „ევროპისა და აზიის საზღვრებად უძველეს დროდვე ითვლებოდა ფასისი (რიონი), არაქსი, კასპიის ზღვა. მის სიდიდეზე კი ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ“.

მაგრამ ჩვენთვის უმთავრესი იმის აღქმაა, რომ საწყისში ბერძენთათვის ქვეყნიერების აღმოსავლეთი კოლხეთი იყო თავისი ჭეშმარიტი დედა მდინარით -- **ფასისით**.

ვინაიდან ჩვენი ისტორიის მწვალებელთა უმთავრეს ამოცანას ჩვენი დიადი წარმართული სამყაროს მეხსიერების, მისი მტკიცების ძირითადი საყრდენი ძალის –

მეგრული (წარმართული კოლხური) ენის მნიშვნელობის დაკნინება და შესაბამისად სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) წარსულის გაუჩინარება წარმოადგენდა, შემდგომ ქვეთავში შევეცადოთ აღვადგინოთ სამართლიანობა და შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) რეალური წარსული.

ჩვენს გონებაში მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ცოდნა, რომ საქართველოს სინამდვილეში არასოდეს არ არსებულა კოლხთაგან განსხვავებული „ქართების ტომი"; შესაბამისად, ლეგენდარული კოლხეთისა და დიდი საქართველოს (VII – XV ს.ს.) ლიდერი მხარის – სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) ღირსების აღდგენით გამომზეურდება მრავალი მივიწყებული ფურცელი ჩვენი ერის შთამბეჭდავი წარსულიდან და საქართველოს (კოლხეთის) ჭეშმარიტი ისტორია ჰარმონიულად ჩაეწერება მსოფლიო ისტორიოგრაფიაში.

სამეგრელო (საქართველოს დასავლეთი)

„სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე - დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს. მრავალს ქარტეხილს გადაუვლია ზურგზედა მისსა. მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და გაწბილებისა... მაცხოვარი ძალა იგი ქვეყნის მხსნელი სამეგრელოდან მომდინარეობდა. მტერთა მისთა დამრთგუნველი სამეგრელო იყო. იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინათ. ეგრე არის ახლა. ეგრე დარჩება მომავალშიც (ილია)".

„ძველი საქართველოს აყვავების ხანაში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, ქართული განათლების საქმის ინიციატივა და ხელმძღვანელობა მთელ საქართველოში სამეგრელოდან მოდიოდა, რადგან სამეგრელოს ჭყონდიდის მიტროპოლიტთან განუყრელად დაკავშირებული იყო საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოვალეობა (**იაკობ გოგებაშვილი**)".

სამეგრელოს წარსული მსგავსია დიდებული ქართული ფრესკისა, რომელიც მწვალებელთა მიერ კირის ხსნარით იქნა გაუჩინარებული. ჩვენი ვალია აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება და პატივი მივაგოთ იმ რეალობას, რომ საქართველოს დასავლეთი იყო და არის სამეგრელო. რომ XVI **საუკუნემდე მუდამ სამეგრელო (საქართველოს დასავლეთი) იყო საქართველოს გამაერთიანებელი უშრეტი ძალა.**

ჩვენ რომ დღეს ტერიტორიას ცხენისწყლიდან ენგურამდე ვუწოდებთ სამეგრელოს, არის ჩვენი ეროვნული ანისტორესიის (ისტორიის არცოდნის) გამოვლენა. ტერიტორია ცხენისწყლიდან ენგურამდე გახლავთ ისტორიული სამეგრელოს მხოლოდ მცირე ნაწილი – ოდიში. შესაბამისად ისტორიული სამეგრელოა არა მარტო ოდიში, არამედ ასევე აფხაზეთი, ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, გურია, აჭარა, ტაო-კლარჯეთი, დღევანდელი ლაზიკა...

ამ ჭეშმარიტების აღქმას ართულებს ქართული ენის ბუნებისა და საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის სრული არცოდნა. დღევანდელ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა მეცადინეობით დამკვიდრებულია შეხედულება, თითქოს მეგრულ ენაზე მეტყველ ოდიშელთა გარდა დანარჩენი სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) მკვიდრნი აღმოსავლეთ საქართველოდან შემოჭრილ, მეგრელთაგან განსხვავებულ ქართების ტომის წარმომადგენელებს დაუპყრიათ და ამ მიზეზითაა, რომ ისინი მეგრული ენისაგან სრულიად განსხვავებულ, ქართების ტომის ქართულ ენაზე

მეტყველებენ და შესაბამისად მეგრელებიც არ არიან. ნაყალბევი ისტორიით აღზრდილ, მხოლოდ ქართულ ენაზე მეტყველ მეგრელებს და სხვებსაც, ვერ წარმოუდგენიათ, რომ:

ქართული ენა სამეგრელოში (ტაო-კლარჯეთში), მეგრელთა ქრისტეანულ რწმენაზე მოსაქცევად, წარმართულ მეგრულ ენაში ჩადებული წარმართულივე ცოდნის წაშლის მიზნით, წარმართული მეგრული ენის მასალის გამოყენებით შექმნილი ქრისტეანული მეგრული ენაა და რომ სამეგრელოში უცხო ტომები კი არ შემოიჭრნენ, არამედ წარმართული მეგრული (კოლხური) ენა, მეგრელთა ქრისტეანულ რწმენაზე მოქცევის მიზნით, შეიცვალა იგივე მეგრული ენის ქრისტეანული ვარიანტით; დაახლოებით ისევე როგორც იტალიაში ხალხურ ლათინურ ენას შეენაცვლა ლიტერატურული, სამწერლობო ლათინური მეტყველება.

რომ ჩვენი ქრისტენული რწმენა დიდი ხანია ებრძვის წარმართულ მეგრულს, ამის მაგალითად თქვენ უკვე გაგაცანით ბერად შემდგარი სულხან საბასეული მეგრული ენის ბუნების განსაზღვრებაც.

(ს. ს.) **ჟღურტული** ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა ლაპარაკი. მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი.

ამ თემაზე საუბრისას პირველ რიგში მუდამ უნდა გვახსოვდეს: მეგრულ ენას ებრძოდნენ არა ვინმე უცხოტომელები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავად მეგრული წარმომავლობის, ქრისტეანული მრწასის გამავრცელებელი მამები.

ასეთი დამოკიდებულების შედეგი კი იყო ის, რომ თავად ოდიშის მხარეშიც, XX საუკუნის პირველ ნახევარშიც, მეგრული ენის მიმართ, ანუ იმათ მიმართ, რომლებიც მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ, აგდებული დამოკიდებულება გააჩნდათ.

(ი. ყ.) **მარგალი** мингрелец, преимущественно крестъянин.

(ი. ყ.) **ოდიში** Одиш, часть Мингрелий.

(ო. ქ.) **მარგალი** მეგრელი... // გადატ. გლეხი. ჯინოსქუას ბგორუნდი დო მარგალქ მიდმოსარგალუუ – აზნაურიშვილს ვეძებდი და გლეხმა დამითრიაო. **მარგალი (გლეხი) გოხირეს დო ღობერს უკულ გითმიყუნუანდუა**: მეგრელი (გლეხი) გაქურდეს და ღობე შემდეგ გაიყვანაო.

(ო. ქ.) **აბგა, აბუგა აბგა**, პატარა ჩანთა. **მარგალი ცხენს გეხედუ დო აბგა პუხუს მაბუდუა**; მეგრელი ცხენზე იჯდა და აბგა მხარზე ეკიდაო.

XX საუკუნის პირველ ნახევარში და შემდგომაც ოდიშში მეგრულ ენაზე მოსაუბრენი ტლუ გლეხებად იყვნენ მიჩნეულნი.

იოსებ ყიფშიძის მიერ დაფიქსირებული ეს ცოდნა ჩვენ შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მეგრელია ის ოდიშელი გლეხი „преимущественно крестянин", რომელიც ვერ ფლობს თავისივე რელიგიურ-სალიტერატურო ენას, ანუ ქართულ ენას, ხოლო მეგრულთან ერთად ქართული ენის (მეგრელთა რელიგიურ-სალიტერატურო ენის) მცოდნე ოდიშის თავადაზნაურობა, სამღვდელოება, ქალთა უმრავლესობა ქართველები არიან. ანუ ქართულად მოლაპარაკე მეგრელი უკვე ქართველია. ჩვენს მტკიცებასთან სრულ თანხმობაშია არქანჯელო ლამბერტის აღწერილობა.

(**არქანჯელო ლამბერტი** 150): „მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის თითქმის არავის ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც დაწერილია მათის ნამდვილის ძველებურის და წმინდა ენით, ამ ენისაგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური ლათინურიდან განირჩევა. აქ არ თავდება მათი უმეცრება: ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი, ისე რომ თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“.

თუ ლოგიკას მოვუხმობთ და **იოსებ ყიფშიძის** განმარტებასაც გავითვალისწინებთ, **არქანჯელო ლამბერტის** ცნობა ასეთი შინაარსით უნდა აღვიქვათ:

„მეგრელ მამაკაცთა, გლეხთა უმრავლესობა იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის თითქმის არავის ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც „**დაწერილია მათის ნამდვილის ძველებურის და წმინდა ენით**". ე. ი. **ქართული ენა მეგრელთა ნამდვილი ძველებური და წმინდა ენაა** და მეგრული, ანუ მდაბიური (ხალხური) ენა კი ისე განირჩევა ქართული ენისაგან, როგორც მდაბიური (ხალხური) ლათინური სალიტერატურო ლათინურისაგან.

(ქ.ს.ე. VI 108): „**ლათინური ენა**... თავდაპირველად ამ ენაზე ლაპარაკობდნენ აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე ტიბრის ქვემო წელში მდებარე ლაციუმის ანუ ლატიუმის მკვიდრნი, რომლებმაც ძვ. წ. VIII საუკუნეში აქ დაარსეს ქალაქი სახელმწიფო რომი... ადრეული იმპერიის ანუ „ვერცხლის ლათინურის" პერიოდში (ახ.წ. I—II ს.ს.) სალიტერატურო ენა მკვეთრად მოწყდა ცოცხალ სალაპარაკო ენას... გვიანდელი იმპერიის ეპოქის ანუ „გვიანდელი ლათინური ენის" პერიოდში (II—V ს.ს.) სალიტერატურო ენა და ხალხური ლათინური კიდევ უფრო მეტად დაშორდნენ ერთმანეთს... შუა საუკუნეების ეპოქაში (V—XV ს.ს.) ლათინური ენა შემორჩა სამწერლობო და ცოცხალ სალაპარაკო ფორმებში. სალიტერატურო ლათინური შუა საუკუნეების მანძილზე დას. ევროპელ ხალხთა ინტელექტუალური და მხატვრული კულტურის ენა იყო... განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ცოცხალ სალაპარაკო ანუ ხალხურ ლათინურ ენაზე".

დასკვნა ერთადერთია: როგორც ხალხური ლათინურიდან წარმოდგა ლიტერატურული ლათინური, რომელიც „მკვეთრად მოწყდა ცოცხალ სალაპარაკო ენას", ასევე ქართული ენა წარმოდგა მეგრული ენიდან და ლიტერატურული მეგრული (= ქართული ენა) „მკვეთრად მოწყდა ცოცხალ სალაპარაკო ენას", ხოლო ქართული ენის კოლხური ბუნების შეცნობა ჩვენი ეროვნული ღირსების აღდგენას წარმოადგენს.

ის, რომ მეგრული ენა ოდიშელთა ხალხურ (პატუა) ენად იყო მიჩნეული, ხოლო ქართული ენა ასევე ოდიშელთა სალიტერატურო-რელიგიური (წმინდა) ენაა, არქანჯელო ლამბერტის უდავოდ სამღვდელოების წარმომადგენლებმა ასწავლეს და რომელი ცოდნის ტრადიციის გაგრძელებასაც წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულება მეგრული ენის შესახებ:

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII 334): „[ვახუშტისთან] მეგრელებზე იქ ნათქვამია: „ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჳსისცა ენა, გარნა წამხდარი ქართულივე, ვითარცა ღმერთი ღორო[ნთ]ი, ჩემი – ჩქიმი, და აქუსთ წიგნი ქართულივე და არა სხვა"-ო... მაშასადამე, მეგრული ვახუშტს იმავ ქართულ ენად, მხოლოდ „წამხდარ" ქართულად მიაჩნდა".

იოსებ ყიფშიძის განმარტებებით კიდევ ერთხელ ცხადდება, რომ ოდიში სამეგრელოს მხოლოდ ნაწილია და არა სრულიად სამეგრელო, რომ სამეგრელოში სამღვდელოება და თავადაზნაურობა ქართულ ენაზე მეტყველებდა, ხოლო, **არქანჯელო ლამბერტის** გადმოცემით, ხალხში ქართულ ენას (საეკლესიო ენას) უმეტესად ქალები ფლობდნენ, რომლებიც თავიანთ შვილებს, მათივე საეკლესიო-სალიტერატურო (ქართული) ენით წერა-კითხვას და საღვთო სწავლების ანბანს ასწავლიდნენ.

ოდიშელთათვის ქართული ენა, რომ მუდამ საეკლესიო, ანუ ქრისტეანულ მეგრულ ენად მიიჩნეოდა, ყველაზე ნათლად იაკობ გოგებაშვილთან იკითხება:

(იაკობ გოგებაშვილი 497): „მეგრელებმა კარგად იციან ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიაჩნიათ (ანუ საკლესიო ენად და არა გამორჩეულად ქართლელთა ენად ჯ.კ.), რადგანაც წირვა-ლოცვა მთელს

სამეგრელოში იმ თავიდანვე ქართულს ენაზედ სრულდებოდა და ახლაც სრულდება. ოცი წლის წინად სასულიერო მთავრობამ მოინდომა მეგრულს ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღება და კიდეც გადაათარგმნინა ოქროპირის წირვა ამ ენაზედ, მაგრამ ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთხმად უარჰყო ეს ცვლილება და არ დასთანხმდა ეკლესიაში მეგრულის კილოს ხმარებას ქართული ენის მაგივრად. აღსანიშნავია, რომ ღრმა მცოდნენი ქართულის ენისა მეგრელებს შორის უფრო ბევრნი მოიპოვებიან, ვიდრე სხვა ქართველებში. საკვირველიც არ არის. მეგრელებს ყოველთვის უყვარდათ გულით ქართული ლიტერატურა და ბევრმა მეგრელმა გაამდიდრა იგი მშვენიერი თხზულებებით“.

ამრიგად, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ ისტორიულ რეალობას, რომ საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ბრძოლა მიმდინარეობს არა კერძოდ მეგრელთა წინააღმდეგ (თავად ქართული ენის შემქმნელი მამები ასევე მეგრელები გახლდნენ), არამედ უძველესი შუმერულ-ეგვიპტური წარმართული სამყაროს ცოდნის წინააღმდეგ, რომლის მატარებელსაც წარმოადგენს წარმართული კოლხური (მეგრული) ენა.

კვლავ გავიმეოროთ, რომ ამ თემას სრულად ეძღვნება ეს ნაშრომი და წარმართული მეგრული ენის ფსიქოლოგიაზე ვრცელი საუბრები წინ გველის; ამჟამად განვაგრძოთ იმის მტკიცება, რომ სამეგრელო (საქართველოს დასავლეთი) არასოდეს არ უპყრია არასოდეს არ არსებულ განსხვავებულ ქართების ტომს.

საქართველოს დასავლეთი რომ სამეგრელოა, ანუ „ეგროსის წილია“, ამას ვახუშტი ბაგრატიონიც არ უარყოფს.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 743): „სიგრძე {ეგრისის ქუეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა] არს ლიხის მთის თხემიდან შავს ზღუამდე“.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 49): „ხოლო ეგროსის წილი არს: აღმოსავლით მთა მცირე ლიხისა, სამხრეთით მთა ღადოსი, ჩრდილოთ კავკასია, დასავლეთით შავი ზღვა“.

ვახუშტი ბაგრატიონი, რომელსაც „თავისი სახლის სირცხვილები არა დაუფარავს და მეტიც უწერია“, აგრძელებს თავისი ოჯახის ტრადიციას და სამეგრელოს განუყოფელ ნაწილს, ტაო-კლარჯეთს ქართლოსს აკუთვნებს, თუმცა ღადოს მთის სამხრეთი ჭოროხის ხეობა ოდითგან „ეგროსის წილია“. ერთ-ერთი საიდუმლო ბაგრატიონთა ტაო-კლარჯეთისადმი ასეთი მიკერძოებისა გახლავთ შემდეგში:

(**პავლე ინგოროყვა** 78): „ცენტრი ბაგრატიონების ძირითადი სამფლობელოსი, როგორც ირკვევა, იყო კლარჯეთი, კლარჯეთი ყოფილა რეზიდენცია ბაგრატიონთა გვარეულობის მფლობელ მთავართა; ამის გამო სამფლობელოს „კლარჯეთის სახლი“ რქმევია“.

ბაგრატიონები წარმომავლობით ლაზ-მეგრელნი არიან და ამის დასტური გახლავთ ის რეალობა, რომ როცა სამეგრელოს სამეფომ, იბერიის შემოერთების შემდგომ, ადმინისტრაციული ცენტრი ციხეგოჯიდან (ნოქალაქევიდან) ცენტრალურ სამეგრელოში, ქუთაისში გადმოიტანა, ბაგრატიონთა საძვლო გელათი გახდა და ტრადიციულად ყველა საქართველოს გამაერთიანებელი ბაგრატოვანი მეფენი სამეგრელოში (საქართველოს დასავლეთში) ქორწინდებოდნენ და სამეგრელოშივე ესვენებოდნენ. მაგალითად, მეფე გიორგი I თრიალეთს გარდაიცვალა და მაინც ქუთაისში გადაასვენეს. ეს მარტო ბაგრატოვნებს არ ეხებათ:

(პავლე ინგოროყვა 95): „ორბელიანთა (ჭან-ბაკურ-ორბელიანთა) გვარი, რომლებიც, როგორც ირკვევა იმავე მხარითგან, ჭოროხის ხეობიდან იყვნენ წარმოშობით“.

უმთავრეს მიზეზს კი ტაო-კლარჯეთის წარსულის მითვისებისა წარმოადგენს ის რეალობა, რომ აქ, სამხრეთ ლაზიკა-სამეგრელოში შეიქმნა **ქართული ენა** და აქ გაჩნდა მცნება **ქართველი**.

ძველი ბერძნები სამეგრელოს გამორჩეულად კოლხეთის სახელწოდებით მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იციან ასევე კორაქსების, კოლების, მესხების... კოლხური ბუნება. ეს განპირობებული იყო სამეგრელოს მუდმივი წინამძღოლის ხვედრით. პირველი საუკუნისათვის კოლხეთში შემოსული რომაელები სამეგრელოს ლაზიკეთ მოიხსენიებენ. მე-2 საუკუნეში კლავდი პტოლემე სახელწოდება „მარგალი“-ს („მეგრელი“-ს) MANRALI (მანრალი) ფორმით აფიქსირებს. მე-8 საუკუნეში კავკასიაში შემოსული არაბებისათვის სამეგრელოს სამეფო უკვე აფხაზეთად იწოდება.

სამეგრელოს სამეფოს გავლენა ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ყუბანს აღწევდა.

(**გიორგი წულაია**): „Между прочим эта престижность „названия колхов“ ко времени Агафия (VI в.) имела давнюю и, очевидно, непрерывную традицию, о чем должен свидетельствовать такой факт, как наличие данного зтнотипа в качестве личного имени в зпиграфических памятниках, обнаруженных в р-не совр. г. Керчи и относяшихся еще к IV в. до н.э. (см. корпус боспорских надписеи М. Л . 1965. с. 183)“.

მეორე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი არიანე ნიკოფსიას (მდებარეობდა დღევანდელი ტუაფსეს რაიონში) მოიხსენიებს ძველი ლაზიკე-ს (**Παλαιά Λαζική**) სახელით.

(**პავლე ინგოროყვა** 136) „აფხაზეთის მხარეთა ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი ეს იყო ნიკოფსია... სახელწოდება ნიკოფსია შედარებით ახალი წარმოშობისაა, იგი დამოწმებულია მხოლოდ მე-5 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვისა, ხოლო ანტიკურ ხანაში ნიკოფსიას რქმევია „ლაზიკა“, („ძველი ლაზიკა“), ლაზთა ქალაქი. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, ლაიას კონცხის ჩრდილოეთით, მდებარეობს პუნქტი „ძველი ლაზიკა (**Παλαιά Λαζική**), სადაც ამჟამად არის ეგრეთწოდებული ნიკოფსისი“...

მე-2 საუკუნის მეორე ავტორის კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში ესევე პუნქტი მოიხსენიება სახელწოდებით Λαζοσ (**Λαζὸσ Πολις** ლაზთა ქალაქი)“.

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 328): „ბარბაროს სიტყვებითგან თითქოს ისე გამოდის, რომ სამეგრელოს მთავრის [ბედიანის ჯ.კ.] სამფლობელო კავკასიონის ქედამდის აღწევდა. ის ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთით საბედიანოს ჩერქეზეთის მთაგრეხილი საზღვრავდა“.

(**გიორგი მელიქიშვილი** 180): „საბედიანოში შედიოდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და სამი იმ დროისათვის მნიშვნელოვანი ზღვისპირა ქალაქი – ცხუმი ანუ სებასტოპოლისი (ახლანდელი სოხუმი), ფოთი და ქაჯთა ციხე (ძველი პეტრა ახლანდელ ციხისძირთან). საბედიანოსვე ეკუთვნოდა ბათუმი“.

1559 წელს დ. ჰომემის მიერ შედგენილ შავი ზღვის რუკაზე სამეგრელოს ჩრდილო საზღვარი მთავრდება იქ, სადაც მდინარე ყუბანი ერთვის შავ ზღვას.

(**თამაზ ბერაძე**): „ცნობილი ევროპელი მეცნიერი და მოგზაური **გერბენშტეინი** ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში XVI საუკუნის დასაწყისში. მან დაგვიტოვა რუსეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების აღწერა, სადაც ვკითხულობთ: „ყუბანს იქით არის მინგრელია“.

XVI საუკუნის სამეგრელოს ისეთი საერთაშორისო ავტორიტეტი გააჩნდა, რომ:

(**ილია ტაბაღუა** I. 154): „**ლაიოშ ტარდი** (XVI ს.) წერს, რომ უნგრელების მიზანი იყო მეგრელებისა და ჩერქეზების დახმარებით თურქეთის ბატონობისაგან უნგრეთის განთავისულება“.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 275): „ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი (1686—1750 წ.წ.) შენიშნავს, რომ Турки и до днесь Северную Мингрелю именуют „Абхаз". Абаза же есть владение кабардинское по реке Куме“.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 139): „[არაბი ისტორიკოსის] ალ-ფიდას ცნობით ქურჯების [ქართველების] ქალაქია XIV ს-ში სუხუმი“.

როგორც გაეცანით, სამეგრელოს (აბხაზეთის) გავლენა ჩრდილო-დასავლეთით მდინარე ყუბანს აღწევდა და მე-17 საუკუნის რუსეთისათვის ყუბანს სამხრეთი ზღვისპირა ტერიტორია სამეგრელოა, რომელსაც თურქები აბხაზეთს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე დიდი ხანია ადიღურ-ყაბარდოული ტომებიც სახლობენ, ხოლო აბაზათა სამშობლო ჩრდილო კავკასიაა.

ქართული ცნობიერებისათვის ტრაპეზუნტის მხარეც ასევე სამეგრელოა.

(**პავლე ინგოროყვა**): „ანდრია მოციქულის მიმოსვლათა მოსახსენებლის ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფთიმე მთაწმინდელს (958—1028 წ.წ.) ეკუთვნის, ტრაპეზუნის მხარეს ეწოდება „სოფელი (ქუეყანა) მეგრელთა"... აკათისტოს საკითხავის ქართულ ვერსიაში, რომელიც გიორგი მთაწმინდელს (1009—1065 წ.წ.) ეკუთვნის, ტრაპიზონის მხარეს ასევე ეწოდება – ქუეყანა სამეგრელოისა“.

(**თამაზ ბერაძე** „აია" №№ 9-10. გვ.34): „კოლხიდა ფართო მნიშვნელობით სამხრეთ-დასავლეთით მდინარე თერმოდონტამდე (დღევანდელი თერმეჩაი) აღწევდა, ასე რომ კოლხიდის ანუ ძველი ეგრისის სამეფოს საზღვრებში შედიოდა შავი ზღვის სანაპირო მდინარე თერმოდონტიდან მდინარე ყუბანის შესართავამდე... კოლხიდის სამეფო ძვ. წ. XV - VIII ს-ში ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. ამ სამეფოში შედიოდა ჭოროხის აუზი, სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვისპირეთის უდიდესი ნაწილი, და მთელი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი. მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით კავკასიონის მთავარი ქედი საზღვრავდა, დასავლეთით შავი ზღვა“.

სამეგრელოს (აფხაზეთის) სამეფოს საზღვარი აღმოსავლეთით რომ დარუბანდის სიახლოვეს აღწევდა, გვიმოწმებს უცნობი სპარსი ავტორი (XIII ს.) გეოგრაფიული ხასიათის თხზულებაში „აჯაიბ-ად-დუნია“ („სამყაროს საკვირველებანი“) დაცული ცნობებით.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 220): „ავტორი დარუბანდის სიახლოვეს განლაგებულ „ალანიედ" წოდებულ ერთ-ერთ ადგილს აგვიწერს, აღნიშნავს რომ „იგი ქალაქია აფხაზსა და (აფხაზეთისა) და ყივჩაღეთს შორის“. და აქვე იმასაც უმატებს, რომ იქ ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა. დაღესტნის ერთ-ერთი ოლქის, სარირის აღწერისას კი ავტორი ამბობს, რომ „სარირი ვილაეთია აფხაზეთსა და ყივჩაღეთს, შირვანსა და დარუბანდს შორის“. როგორც მოტანილი მაგალითები გვიჩვენებს, ორივე შემთხვევაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, რომელსაც მოხმობილი წყარო იხსენიებს მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთად (**კარლო ტაბატაძე**)“.

საქართველოს აღმოსავლეთით სამეგრელოს გავლენის არეალს აკონკრეტებს გრიგოლ აბაშიძე.

(**გრიგოლ აბაშიძე** „აია“ № 2 გვ.18 1998წ.): „ქართლის ცხოვრების“ შტუდირებისას ჩემი ყურადღება ერთმა ადგილმა მიიქცია.

ლეონტი მროველის გადმოცემით, ქართლოსი გარდაიცვალა და მის ცოლს ხუთი შვილისათვის გაუნაწილებია სამკვიდრო: „კუხოსს მისცა ბოსტანქალაქი, რომელსაც აწ

ჰქუიან რუსთავი, მისცა ეგრითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“...!

ეგრი - ეგრისი, ჩვეულებრივ სამეგრელოსა და ზოგჯერ საერთოდ დასავლეთ საქართველოს გულისხმობს და ასეთ საზღვრებში („ეგრითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა“) მისი მოქცევა ერთი შეხედვით, გაუგებრობად გვეჩვენება.

ივანე ჯავახიშვილი ლ. მროველის თხზულების ამ ადგილის გამო ამბობს: „აქ საკუთარი სახელებიცა და საგეოგრაფიოც დამახინჯებულია და არაფრის გაგება არ შეიძლება“.

ვახუშტი ბატონიშვილმა და „ქართლის ცხოვრების" შემდეგდროინდელმა რედაქტორებმა ეგრი არაგვად ჩათვალეს და მროველის ტექსტიც ასე გამართეს: „ხოლო კუხოსსა მისცა ბოსტანქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, მისცა არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე“.

ივანე ჯავახიშვილი ამ გასწორებას „სამართლიანს“ უწოდებს.

ჩვენი ისტორიის ამ უდიდეს ავტორიტეტებს მხედველობიდან გამორჩათ მდინარე ეგრის, ეგრისწყლის არსებობა აღმოსავლეთ საქართველოში. ალაზნის შენაკადი ეს მდინარე თავის დროზე საზღვარი ყოფილა ჰერეთსა (კუხეთსა) და ალბანეთს (მოვაკანს) შორის და დღესაც საინგილოს აღმოსავლეთი საზღვარია.

ლ. მროველი ეგრს კუხეთის აღმოსავლეთ საზღვრად გულისხმობს („მისცა ეგრითგან ვიდრე თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა...“), ხოლო არაგვს იქვე ასახელებს, თავის გეოგრაფიულად კუთვნილ ადგილას: „ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა კახეთის მთასა შორის, არაგვთაგან ვიდრე ტყე-ტბამდე რომელი არს საზღვარი ჰერეთისა"...

ორივე შემთხვევაში, ეგრიცა და ტყე-ტბაც აღმოსავლეთ საქართველოს ორი კუთხის - კუხეთისა და კახეთის აღმოსავლეთ საზღვრებად არიან დასახელებულნი.

ძალზე საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოში ეგრი მდინარის სახელწოდება.

ეგრისი - ეგრი - ეგრისწყალი - ქვეყნისა და მდინარის სახელწოდება ისტორიულადაცა და დღესაც ცნობილია და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეს (ოდიშს, სამეგრელოს) და მდინარეს (ენგურს) ეწოდება.

მაგრამ თურმე „კლარჯეთის ერთ კუთხეს „ეგრი“ ეწოდებოდა და „ეგრისწყალი და კლისური კლარჯეთში არის“...

საყურადღებოა, რომ საინგილოშიც გვაქვს ეგრისწყლისა და ინგირის მსგავსი შეხმიანება. მდინარე ეგრის (ეგრიჩაის) მახლობლად დღემდე ერთ-ერთი სოფელი ატარებს „ენგიანის" სახელს... ეგრი და ენგიანი საინგილოს ონომასტიკონში შემთხვევითი მოვლენები, გამონაკლისები რომ არ არიან, ამას კიდევ ერთი ტოპონიმი ადასტურებს: სოფელი ზერნე - ზარნა 1886 წლის აღწერაში ზანად ყოფილა მოხსენებული.

ზანა საქართველოში გავრცელებული ტოპონიმია. იგი გვხდება მცხეთასთანაც, სამხრეთ საქართველოშიაც, სამეგრელოშიც (ზანა, ზანავი, ზანათი, საზანო და სხვ.) და :ქართლის ცხოვრების“ ავტორთა ცნობით: „დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელს ჰქჯან ზანავი“.

თუ ამ გარემოებას სხვა (ეგებ თავდაპირველი) მნიშვნელობა არ მოეძებნება, იქნებ იგი ზანების ტომის გავრცელებას მოწმობდეს ფართო ტერიტორიაზე“.

მცნება სამეგრელოსთან საინგილოს კავშირის დაფიქსირებას ადრეული ტრადიცია გააჩნია. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში **იოსებ ყიფშიძე** აღნიშნავდა:

(**იოსებ ყიფშიძე** 27): „И в восточной Грузии некоторые говоры грузинского языка, напр., ингилоиский, обнаруживают поразительное сходство в фонетике и морфологии с мингрельским языком: в ингилойском встречаются удвоенные гласные ААР вместо АР нет, МІН вместо ЗІН кто, У-ДА-У-ЦЕРЕЛ вместо ДА-У-ЦЕРЕЛІ не написанный и др“.

იოსებ ყიფშიძე, ანვითარებს რა ნიკო მარის კონცეფციებს, მეგრული ენის გავლენას საქართველოს აღმოსავლეთით, ხსნის შემდეგნაირად: „ივერი (იბერი) თავდაპირველად ეწოდებოდათ მეგრელებს და ქრისტეს გაჩენამდე საქართველოს აღმოსავლეთზე მათი პოლიტიკური ჰეგემონიის შედეგად აქ მძლავრობდა მეგრული ენა, ისევე როგორც შემდგომ ქართების გაძლიერების შედეგად ჩვენს ქვეყანას საქართველო ეწოდა“.

ეს გახლავთ მცდელობა, აიხსნას თუ რატომ გააჩნია ასეთი ძლიერი გავლენა საქართველოს მცირე მხარეში, ოდიშში შემორჩენილ მეგრულ ენას სრულიად საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ნაწილობრივ, ამასვე აფიქსირებს ნიკო ბერძენიშვილიც.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 366): „არქეოლოგიური თუ ისტორიულ ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი ცნობები თითქო თანხმობით მოწმობენ, რომ გარკვეულ დროს (შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში) აწინდელი ტაო-კლარჯეთის, სამცხის და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლურ ქართულ ტომებს გვერდით. ბრინჯაოს კულტურების ნარევობა, ამ ადგილებში რომ მეტნაკლები ინტენსივობით შეინიშნება, შედეგია არა ქვეყნობით გამიჯნული ტომების კულტურული ურთიერთობებისა, როგორც ეს დღემდე მეცნიერულ დებულებად ითვლება, არამედ ამ ტომთა (დასავლურ და აღმოსავლურ) ერთ ტერიტორიაზე თანაცხოვრებისა და ბრძოლისა. ამის მოწმობაა ამ მხარეების ტოპონიმიკა, საიდანაც უდავოდ მტკიცდება ამ მხარეებში მეგრულ-ლაზური ენის მატარებელ ტომთა ნაკვალევი (ამისივე ნიშანია „მცხეთა", „მოსოქიც")“.

სამწუხაროდ, ქართული ენის კოლხური ბუნების არცოდნის გამო, ჩვენი მეცნიერები იზიარებენ საქართველოს აღმოსავლეთით მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის სრულიად უცნობი ქართების ტომის შემოჭრისა და მათი გაძლიერების მცდარ, დაუსაბუთებელ თეორიას. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ქართული ენა ეს მეგრელთა მიერ წარმართული მეგრული ენიდან შექმნილი იგივე ქრისტეანული მეგრული ენაა, რომ შეიცვალა ენის ბუნება, ენის ფსიქოლოგია და არა ხალხი.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 366): „შემდგომი დაკვირვება იმასაც გვიდასტურებს, თუ სად იყო ამ დროს წმინდა (არანარევი) ქართული ტომების სამკვიდრო (ისევე როგორც წმინდა მეგრულ-ჭანური ტომების სამკვიდრო საკუთრივ დას. საქართველო იყო). ეს უნდა ყოფილიყო აწინდელი ქვემო ქართლი (გარდაბანი, გუგარეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი) და მისი მიმდგომი მხარეები ლენინაკან-ყარსის მიმართულებით... და აი მიმდინარეობდა ბრძოლა (შერწყმა) ამ ნარევი ტომების ტერიტორიაზე, რაც, როგორც ჩანს, მხოლოდ რკინის ხანაში დასრულდა ქართლის ტომების გამარჯვებით და მთელი ეს სადავო ქვეყნები იბერიაში (ქართლში) შევიდა. ამ დროს ეწოდა ბერძნების მიერ მთელ ამ მხარეს იბერია, როცა ის (მხარე) უკვე გაქართებულია განსხვავებით ლაზიკისაგან, სადაც მეგრულ-ჭანური მოსახლეობა ძირითადად შემორჩა. ამ გარემოებამ შეიყვანა ნ. მარი შეცდომაში, როცა ის მეგრელ-ჭანებს იბერებს უწოდებს. მას შეცდომით ჰგონია, რომ შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში (ისევე ალბათ, როგორც სამცხეში) მეგრულ-ჭანური ენის მატარებელი ტომები სახლობენ მაშინ,

როცა ბერძნებმა მათ იბერია უწოდეს. ნამდვილად კი ეს პროცესი ამ დროისათვის დიდი ხნის დასრულებული იყო... („მერჩულე“ – წიგნი ფურც. 34-36)“.

განსხვავებული ქართების ტომი ბუნებაში არ არსებულა და საქართველოს აღმოსავლეთიც იგივე კოლხეთია. რა იცოდა ნიკო ბერძენიშვილმა, რომ „მერჩულე“ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა რიგითი მსხვერპლია და შერყვნილ ძეგლს წარმოადგენს. საერთოდ ჩვენს ისტორიკოსებს შესაშური გულუბრყვილობა ახასიათებთ და თითოეულ მათგანზე იგივე შეიძლება ითქვას რაც ივანე ჯავახიშვილმა ვახუშტი ბატონიშვილზე ბრძანა:

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII ტ. 345): ,,საკმარისი იყო სახელოვანს ქართველს მეცნიერს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა, რომ მას სრულ ჭეშმარიტებამდის მიეღწია, მაგრამ მას ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს და სწორედ ეს იყო, რომ ვახუშტის მუშაობას ამ მხრივ ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და აქა-იქ შეცდომაც ჩაუდენინებია. ვახუშტი საბუთებისადმი გადამეტებული ნდობით იყო გამსჭვალული და თითქოს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ საბუთი შეიძლება ან ყალბი იყოს, ან მერმინდელი გადამწერის მიერ, თუ რომ ისტორიკოსს საბუთის დედნის მაგიერ მხოლოდ პირი ჰქონდა ხელთა, დამახინჯებული და უვარგისი ყოფილიყო“.

გრიგოლ აბაშიძე აფიქსირებს საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის ორ შრეს. სახელწოდება ეგრის წყალი (ეგრი ჩაი) იმ დროისაა, როცა საქართველოს გამაერთიანებელი სამეგრელოს (ეგრისის) სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარს მდინარე ეგრის წყალი (ეგრი ჩაი) წარმოადგენდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ტაო-კლარჯეთი შეადგენდა.

საინგილოს სოფლის **ზანა** > **ზარნა** > **ზერნე** სახელწოდება კოლხეთის (საქართველოს) იმ უძველეს ხანას განეკუთვნება, როცა კოლხეთის (საქართველოს) მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას **ზანი, ზანები** ეწოდებოდათ. ანუ სივრცე, სადაც ვაწყდებით ფუძე ზან-იდან ნაწარმოებ ადგილთა, მდინარეთა სახელწოდებებს (ა**ზან**თა, ალა**ზანი**, **ზანა**, **ზანა**ვი, **ზან**ათი, **ზან**დარაკი, **ზან**დუკი, **ზანი**, მუკუ**ზანი**, ნარ**ზანი**, სა**ზან**ო, ო**ზან**ო...), დასახლებული იყო ზანების ტომებით და ფაქტიურად მოიცავს სრულიად საქართველოს (კოლხეთის) უდიდეს ნაწილს თავისი აღმოსავლეთითა და დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ამ თემასთან დაკავშირებით, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აზანთა გულრიფშის რაიონში მდინარეს, ტბას, სოფელს ეწოდება, ხოლო ოზანო მთისა და საძოვარი მამულების სახელია დუშეთის რ-ნში, გუდამაყრის ხეობის სოფელ ათნოხში. ასევე არ იგულისხმოთ, რომ სახელწოდების ფორმა ა-**ზან**თა მხოლოდ აბაზათა მეტყველების მახასიათებელია, გამოსახვის ეს ფორმა, ზომიერების ფარგლებში, მიღებული იყო კოლხურშიც – ა-ჭარა, ა-წყური, ა-კურა, ა-ჩაბეთი...

სვანები სამეგრელოს უწოდებენ ზანარი, მეგრელს ზანი, ხოლო ადიღე-აბაზები მეგრელებს სახელწოდება ამაზანი-თ მოიხსენიებენ. ზანებმა, მოგვიანებით, თავიანთ თავს მარგალები (დამრგველები) უწოდეს. კოლხეთში I საუკუნეში შემოსულმა რომაელებმა დასავლეთელ ზანთა (მეგრელთა) სახელწოდებად **ზანი**-დან წარმომდგარი **ლაზი** დააფიქსირეს. ლა შუმერულ-კოლხურად სივრცეს აღნიშნავს და:

ლაზი = **ლა** + **ზ(ან)ი** = სივრცე ზანთა = ზანთა საცხოვრისი.

აქ ჩანართის სახით მოგახსენებთ, რომ სახელწოდებებში **ზ**-ანი, **ჭ**-ანი. **წ**-ანი საერთო ფორმანტი ანი როგორც კოლხურში, ასევე სპარსულში მხარეს გამოსახავს და ამ შემთხვევაში სახელწოდებათა შინაარსებს თანხმოვნები **ზ, ჭ** და **წ** განსაზღვრავენ.

უძველეს ხანაში იტორიული კოლხეთის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ზანები ფლობდნენ და ამან განაპირობა არნოლდ ჩიქობავას მიერ დანერგილი მცნება – ზანური ენა. ანუ მან მცნება ლაზურ-მეგრულ ენა-ში ,,ლაზურ-მეგრული“ შეცვალა ამ

სახელწოდებათა გამაერთიანებელი არქე ფორმა ზანი¬-თ და მიიღო ზანური ენა, მხოლოდ ამით მან მაინც ვერ გამოსახა დღეს ლაზურ-მეგრულ, ზანურ ენად წოდებული ენის სრული ბუნება. ჯერ ერთი ტერმინი ზანი მხოლოდ კოლხურის კუთვნილება არაა. სახელწოდება ზანი ჰურიტული პანთეონის (ძვ. წ. 2300 წ.) მკვიდრიცაა – ,,მდინარე წყალთა ღმერთი არ**ზანი**" (**აკაკი გელოვანი** 630) და ასევე არსებობდა სკვითური ტომი ალაზონების სახელწოდებით. ჰოლანდიის ჩრდილო პროვინციაში მიედინება მდინარე სახელწოდებით **ზანი** (Zaan). უმთავრესი ის გახლავთ, რომ კოლხეთი სხვადასხვა მონათესავე ტომთა ერთობას წარმოადგენდა და, ზანების გარდა, მისი შემადგენელი ნაწილები იყვნენ ასევე წანები, ჭანები, შუანები (სვანები), კორაქსები, მესხები... და ამათი გამაერთიანებელი ენა იყო არა ზანური, არამედ სრულიად კოლხეთის გამაერთიანებელი, ქურუმთა მიერ შექმნილი, შუმერულ-ეგვიპტური წარმართული ცოდნის მატარებელი ენა – წარმართული კოლხური. ამ ნაშრომში, როგორც საწყის პერიოდში, კოლხთა გამაერთიანებელი ენის აღსანიშნავად ჩვენ ხშირად გამოვიყენებთ ტერმინს ლაზურ-მეგრული, ხოლო შემდგომ ეტაპზე, თანდათანობით უნდა დაინერგოს მხოლოდ – წარმართული კოლხური.

,,ქართლის ცხოვრების" ავტორებმა იცოდნენ კოლხეთის კრებსითი ბუნება და ცდილობენ, ოდიშის გარდა, საქართველოს დანარჩენი ნაწილი ქართლად ანუ ქართლოსის შთამომავლებად წარმოგვიდგინონ და რაც განწირული ტყუილია.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 384): „ქართლი იმთავითვე არაა წმინდა ეთნიკურ-გეოგრაფიული ცნება და ქართლოსიანობის თეორიის შექმნისთანავე ეტყობა რომ ცდილობენ მასში შემოიტანონ მონათესავე თუ არამონათესავე, შემოერთებული, ასიმილირებული ტომები შვილებისა და შვილიშვილების სახით (კახოს, კუხოს, გარდაბნოს, გაჩიოს, მცხეთოს, უფლოს, ოძრხოს, ჯავახოს), ზანებისა (შავშეთ-კლარჯეთი), მესხებისა (სამცხე), კახებისა... პრინციპი და რეალური ვითარება თავს იჩენს როგორც თვით ამ ავტორების, ისე, კიდევ უფრო, სხვების მეტყველებაში".

ჩვენ უნდა შევიცნოთ უმთავრესი – **არც წარმართული (მეგრული) და არც ქრისტეანული (ქართული) კოლხური მეტყველება კოლხი ხალხის წიაღში არ წარმოშობილა, პირველი ქურუმთა ნაღვაწია და მეორე ეკლესიის მსახურთა შემოქმედებაა, ხოლო ორთავე დედაენათა მიზანს კოლხურ ტომთა ერთიანობა, მათი სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის ძლიერება წარმოადგენდა.**

ეს ყოველივე ჩვენზე უკეთ ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა იცოდნენ და მათი ნაღვაწის უმთავრეს მიზანს ამ ცოდნის წაშლა წარმოადგენდა. სამწუხაროდ დღემდის მათი ეს მიზანი განახორციელეს კიდეც. გათიშეს რა კოლხები მეგრელებად და ქართველებად, კოლხთა უდიდეს ნაწილს (,,ქართულ ნაწილს") ჩამოაშორეს მათივე წინაპრების უმთავრესი მონაპოვარი -- ლეგენდარული კოლხური წარსული და ზღაპრული რეალობა თარგამოსულ-ჰაიკური კოშმარით შეუცვალეს. ჩვენი ქრისტეანული სახელმწიფოს აღშენების წარმატებული აფხაზური პერიოდი კოლხეთის ტერიტორიაზე შემოჭრილ ადიღეელ აბაზებზე გააჩუქეს, საქართველოს გამაერთიანებელი მფარველი არაბული ძალა ბოროტებად გამოგვიცხადეს...

განვაგრძოთ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიერ წარსული სინამდვილის წარხოცვის მცდელობის მოძიება.

(**ქართლის ცხოვრება**): ,,ფარნავაზ მისცა დაი თვისი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაY თვისი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სვანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი.

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერსა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი. განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი ერთი...

ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღვარამდე ეგრისისა, რიონს ზემოთ. და მანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა...

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღვამდე.

და მერვე, ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისა... ესრეთ განაწესა ესე ყოველთა ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსათა...

და ჟამით-ჟამად მივიდეს ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი...

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

გავაანალიზოთ შემდეგი ფრაზა: ,,და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი“. აქ სრულიად გამჭვირვალედ იკითხება, რომ ,,ქვეყანა ღალიძგასა და რიონს შუა, რომელსა შინა არის ეგრისი“, მხოლოდ და მხოლოდ მე-18 საუკუნის შემცირებული ოდიშია, ანუ ეს ვახტანგ მეხუთის (და არ მეექვსის) დროის ოდიშის საზღვრებია. რომ არც ვახსენოთ ბარბაროს მიერ დამოწმებული ბედიანის სამეგრელოს საზღვრები, არქანჯელო ლამბერტის ცნობით, მე-17 საუკუნეშიც ოდიშის ჩრდილო საზღვარს მდინარე კოდორი წარმოადგენდა.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ**. 272): „ევლია ჩელებიც სამეგრელოს სამხრეთ საზღვრად გონიოს ასახელებს: „ლაზები მდინარე ჭოროხით სამეგრელომდე აღწევენ, რადგანაც გონიო სამეგრელოს მისადგომზეა". მოგზაურს გონიოდან 100 მილის დაშორებით მდებარე სამეგრელოს ხუთი ნავსადგური გემით ერთ დღე-ღამეში გაუვლია და ისე მიუღწევია რიონამდე. ამდენად ევლიას გურიის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს... სამეგრელოს ფარგლებში გურიის მოთავსება ჩვენს წყაროებში ახსნილია, ერთის მხრივ, იმ ტრადიციით, რომლითაც მთელი დასავლეთ საქართველო იწოდებოდა ეგრისად. მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ „სამეგრელოს ფართო მნიშვნელობა XVII – საუკუნეში რეალობად რჩებოდა" (ცისანა აბულაძე)“.

გურია-აჭარასთან დაკავშირებით 1599 წელს გამოცემულ ნაშრომში ჯოვანი ბოტერო ბენესე გვამცნობს:

(**ილია ტაბაღუა** III 29): „{სამეგრელო} მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და მისი ტერიტორია ვრცელდება ტრაპეზუნტამდე. სამეგრელოს ტერიტორიის მთელ სიგრძეზე რომ გაიარო, საჭიროა სამი დღე... [მთავარი დასახლებული ადგილია ფასისი, მდინარე ფასისის შესართავთან] ეს ქალაქი ცნობილია ოქროს საწმისით. მას უმღერის მრავალი პოეტი“.

ამ ცნობითაც გურია-აჭარა სამეგრელოს შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული.

ასევე უნდა დავაფიქსიროთ, რომ ძველი წელთაღრიცხვის IV—III საუკუნეებში მოღვაწე ფარნავაზს არ შეეძლო თავისი დაჲ ოვსთა მეფისთვის მიეთხოვებინა, ვინაიდან მსოფლიო ისტორიის არენაზე ალანთა გაერთიანება რომლის შემადგენობაში ოსებიც მოიაზრებიან, კავკასიის მისადგომებთან მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ჩნდება.

,,და ჟამით-ჟამად მივიდეს ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი“, ამ წინადადებით უნდათ თქვენს გონებაში განამტკიცონ აზრი, რომ სამეგრელო სხვაა და მისი სამხრეთი მხარე კლარჯეთი სხვაა. ეს დაახლოებით იგივე

აბსურდია რაც დღეს: ,,და ჟამით-ჟამად მივიდეს ქართლსა და მცხეთას, და მოიკითხნის ქართლელნი და მცხეთელნი“, ანუ თითქოს დღევანდელი მცხეთელნი იგივე ქართლელნი არ იყვნენ.

(**ქ.ს.ე.** X ტ. 459): ,,დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური კულტურა, რომელიც ჭოროხის აუზსაც მოიცავდა და კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი, დას. ქართვ. ტომების კუთვნილი უნდა ყოფილიყო (მ. აბდუშელიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ი. სურგულაძე)“.

ჭოროხის ხეობა რომ ოდითგან საქართველოს დასავლეთის (სამეგრელოს) შემადგენელი მხარე გახლდათ, თავად ერეკლე მეფეც აღიარებდა.

(**პავლე ინგოროყვა** 293): „1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ, როდესაც რუსეთი 1791 წელს მოლაპარაკებას უნდა შესდგომოდა ოსმალეთთან, ერეკლე II-ის ელჩი აცნობებდა რუსეთის მთავრობას:

„რადგანაც ტრაქტატსა შინა აღთქმულია, რომ წარმომდინარეობითა დროისათა ჩვენს დაკარგულს სამფლობელოს ჩვენ მივიღებთ რუსეთის საჭურველის ძალით ან სხვა საქმით როგორმე, -- ითხოვს მათი სიმაღლე [მეფე ერეკლე], რომ მათი ძველადვე სამფლობელო საათაბაგო ოსმალთა სამფლობელოდამ ან შერიგების დროს გამოიხსნათ, ახალციხე და მისი პროვინციები ქართლსა და კახეთს დაადოთ, და საათაბაგო აჭარა და იქით მხარე [ზღვის სანაპირო, ლაზია] – იმერეთს“.

საათაბაგო აჭარა ჭოროხის ხეობას შეიცავდა და ერეკლე მეფეს ეს მხარე საქართველოს დასავლეთის ნაწილად მიაჩნდა და არა ქართლის ან კახეთის შემადგენელად.

დავუბრუნდეთ ქუჯის, რომელსაც ჩვენი ისტორიის მწვალებლები გაბრიყვებულ და ხელმოცარულ მოღვაწედ, ხოლო ფარნავაზს კი უმადურ პიროვნებად წარმოგვიდგენენ. მათივე გადმოცემით ფარნავაზი ეახლაო ქუჯის და დახმარება სთხოვაო, ქუჯიც დაეხმარაო და ერთიანი ძალით შესძლესო აზოს დამარცხება. მეფედ აღზევებულმა ფარნავაზმა ქუჯის მისივე სამფლობელო დაუნაწილა და სრულიად ეგრისის მმართველი, ერთ-ერთი მისი მცირე ნაწილის ერისთავად დანიშნაო. თუმცა, სანაცვლოდ, ქუჯისაც ფარნავაზმა თავისი დაჲ მიათხოვა და ალბათ ამ ქალბატონის დამსახურება იყო, რომ ქუჯის პროტესტის ნიშნად კრინტიც არ დაუძრავს.

რასაკვირველია, ფარნავაზის მიერ ძვ. წ. III საუკუნეში ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და სპარსთა მსგავსად საერისთაოებად დაყოფა, მტკნარი სიცრუეა და ამ თემას სათანადო შეფასებასაც აძლევს ივანე ჯავახიშვილი.

(**ივანე ჯავახიშვილი VI ტ.** 126): ,,ამნაირად ქართველი ისტორიკოსის... მთელი ეს თეორია და სქემა ისტორიული ცხოვრების სინამდვილის ანარეკლს კი არ წარმოადგენს, არამედ იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვით არის ლ. მროველისაგან შეთხზული და ყალბ ეფრემ ასურის თხზულების ,,განძთა ქვაბის“ მიმბაძველობას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ისტორიკოსის ეს ცნობები საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილების სურათის აღსადგენად გამოსადეგი არ არის...

ლ. მროველის სიტყვით ფარნავაზ მეფემ გაბატონებისთანავე ,,განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი ერთი. ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინა სპასალარნი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთავო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“-ო... სულ 8 ერისთავი და ერთი სპასპეტი დაადგინაო.

ჩვენი ისტორიკოსის ცნობა იმ მხრივ არის სწორი, რომ სპარსეთის, სახელდობრ, სასანიანთა სამეფოში ზემოდხსენებული თანამდებობანი მართლაც არსებობდა:

სპასპეტი უდრის უეჭველია ,,ერან სპაჰპატ“-ს, სპასალარი ,,სიფჰსალარ“-ს და ათასისთავი წარმოადგენს ,,ჰაზარაპატ“-ის ქართულ თარგმანს... მაშასადამე, თვით ეს ძირითადი ცნობა რომ სწორი ყოფილიყო და ფარნავაზი ზღაპრულ პიროვნებად არ ყოფილიყო ლ. მროველის თხზულებაში და ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანის თვისებების მქონებელად ყოფილიყო წარმოდგენილი, მას, ვითარცა სპარსული სახელმწიფოებრივობის საქართველოში გადმომნერგველს, სწორედ ასეთი დაწესებულებები უნდა შეექმნა, მაგრამ ლ. მროველის ფარნავაზ მეფეს რეალური პიროვნების თვისებები აკლია და ის წესწყობილებაც, რომელიც მას ვითომც უნდა საქართველოში შემოეღოს, უფრო სასანიანთა სამეფოს შეჰშვენის, ვიდრე იმ ხანას როდესაც ფარნავაზი ჩვენ ისტორიკოსს ეგულებოდა. ამიტომ სანამ სხვა უფრო ძველი და უფრო სანდო წყარო არ აღმოჩნდება, მანამდი ლ. მროველის ამ ცნობების ქრონოლოგიურად განსაზღვრაცა და სინამდვილის სისწორის შემოწმებაც შეუძლებელია. ამის გამო ამ ცნობაზე დამყარებაც სახიფათოა. ისევ სჯობია სტრაბონისა და V—VI ს.ს. ქართული ძეგლების თუნდაც მცირე, მაგრამ უეჭველი ცნობებით დავკმაყოფილდეთ“.

სასანიდური სპარსეთი მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის 226 წელს შედგა და მანამდის დამოუკიდებელი იბერია მე-3 საუკუნეშივე გახდა მისი შემადგენელი ნაწილი. ამრიგად, ძვ. წ. III საუკუნის დამოუკიდებელ იბერიაში (მომავალ ქართლში) როგორ უნდა დანერგილიყო ახ. წ. III საუკუნის სასანიდური სპარსეთის წესწყობილება. გარდა ამისა ძვ. წ. III საუკუნისთვის სპარსეთის იმპერია მაკედონელთა მიერაა განადგურებული და ძალზედ დიდი ხნით.

აბსოლუტურად მართებულია **ივანე ჯავახიშვილის** განცხადება, რომ:

(ივანე ჯავახიშვილი VIII ტ. 187): ,,**წყაროები, რომელიც ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არიან მოკლებულნი, ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის ისტორიისათვის ახლა თითქმის სრულებით გამოუდეგარია**“.

სტრაბონი და პროკოპი კესარიელი

ივანე ჯავახიშვილი უარყოფს ,,ქართლის ცხოვრების“ ცნობას ზღაპრული ფარნავაზის მიერ ეგრისის საერისთაოებად დაყოფის შესახებ და მოგვიწოდებს დავეყრდნოთ სტრაბონს, ხოლო სტრაბონის მიხედვით სამეგრელო (ლაზიკა) იბერიისაგან (მომავალი ქართლისაგან) სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანაა. თითქოს თემა ამოწურულია, მაგრამ ნურას უკაცრავად.

(**ქ.ს.ე.** V ტ. 596): ,,**კოლხეთის სამეფო**... ძვ. წ. IV—III ს.ს-ში კოლხეთის სამეფო თანდათანობით დასუსტდა. ამასთან მისი აღმოსავლეთ ოლქები ქართლის სამეფოს (იბერიის) პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ქართიზაცია განიცადა. სტრაბონთან დაცული ცნობის მიხედვით, ამ დროს კოლხეთი ,,მეტწილად ზღვისპირასაა". ძვ. წ. III ს-ში ცნობილია კოლხეთის მეფე აკე, რომელმაც თავისი სახელით მოჭრა ლისიმაქეს სტატერების მინაბაძი მონეტა ძვ. წ. III--I ს.ს-ში კოლხეთი კვლავ აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელშიც ფართოდაა ჩაბმული როგორც ბარის, ასევე მთიანეთის მოსახლეობა (**ოთარ ლორთქიფანიძე**)“.

ეს გახლავთ ერთ-ერთი კლასიკური მაგალითი იმისა, როცა ქართველი ისტორიკოსი ცდილობს შეუძლებელს, როგორმე ერთმანეთს მიუსადაგოს ორი

ურთიერთგამომრიცხავი, ბერძნულ-რომაული და ქართული ისტორიული წყაროების ხედვა ჩვენი წარსულისა. ავტორმა იცის, რომ ძვ. წ. VI—III საუკუნეებში კოლხეთში მიმოქცევაში იყო კოლხური თეთრი, ხოლო ძვ. წ. III საუკუნიდან კოლხეთის მეფე აკე კოლხური თეთრის ნაცვლად ოქროს მონეტებს ჭრის და იბერიისაგან განსხვავებით, კოლხურ სინამდვილეში ფულადი ერთეულის მუდმივი არსებობა, ასევე უტყუარი მტკიცებაა კოლხეთის მაღალგანვითარებული სახელმწიფოებრიობის უწყვეტი არსებობისა. მაგრამ ავტორი ასევე ერკვევა ნატყუარ ქართულ ისტორიულ წყაროებში და რათა გაამართლოს მითიური ფარნავაზის მიერ სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) იბერიაზე მიერთება, ყოველგვარი მტკიცების გარეშე აცხადებს:

,,ძვ. წ. IV—III ს.ს-ში კოლხეთის სამეფო თანდათანობით დასუსტდა. ამასთან მისი აღმოსავლეთ ოლქები ქართლის სამეფოს (იბერიის) პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და ქართიზაცია განიცადა“.

ავტორი გრძნობს რა საკუთარი ჩანართის უსუსურობას, აზრის განსამტკიცებლად ძვ. წ. IV—III საუკუნეთა ისტორიულ მოვლენათა გასამართლებლად მოყავს ახ. წ. I საუკუნის ისტორიკოსის სტრაბონის ცნობა: ,,ამ დროს კოლხეთი ,,მეტწილად ზღვისპირასაა." ამით ის უნდა მიგვანიშნოს, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეებშიც კოლხები მთიანეთში აღარ ცხოვრობდნენო და, შესაძლოა, მათი ყოფილი საცხოვრისი იბერებმა დაიკავესო, თუმცა იქვე აგრძელებს სრულიად საპირისპიროს:

,,ძვ. წ. III--I ს.ს-ში კოლხეთი კვლავ აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელშიც ფართოდაა ჩაბმული როგორც ბარის, ასევე **მთიანეთის** მოსახლეობა“.

სინამდვილეში სტრაბონი აღწერს რა კოლხთა ქალაქ დიოსკურიის სავაჭრო მნიშვნელობას, სადაც 70 ტომი თავს იყრის, შემდგომ გვამცნობს:

(**სტრაბონი** 123): „ეს რაც შეეხება დიოსკურიას, ხოლო დანარჩენი **კოლხიდა მეტწილად ზღვასთან მდებარეობს: მიმდინარეობს მასზე ფასისი**“.

სტრაბონი გვამცნობს, რომ „მეტწილად ზღვასთან მდებარეობს“ კოლხეთის ტერიტორია და არა თავად კოლხები და რომელ ტერიტორიაზედაც „მიმდინარეობს ფასისი“, ანუ კოლხეთს ზღვისპირეთში მეტი გრძივი ტერიტორია უკავია, ვიდრე სიგანეში, ქვეყნის სიღრმეში, რაც სრული სიმართლეა და აქ კოლხ ხალხზე საუბარი არაა. ასევე მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი შემოსევების ჟამს, ბარელი კოლხებიც ძირითადად მთებს აფარებდნენ თავს, მთებში იხიზნებოდნენ.

ამრიგად, ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიის მიხედვით ძვ. წ. III საუკუნეში კოლხეთს (საქართველოს დასავლეთს) არა იბერიელი ფარნავაზი, არამედ კოლხი აკე მართავს და, განსხვავებით ამავე ძვ. წ. III საუკუნეში წარმოქმნილი იბერიისაგან, სადაც საკუთარი ფულის ერთეული ახ. წ. VI საუკუნემდე არ გააჩნდათ, ოქროს მონეტებსაც ჭრის. კოლხეთში მიმდინარე გაცხოველებულ საერთაშორისო ვაჭრობაში რასაკვირველია კოლხეთის მთიანეთის კოლხი მოსახლეობაც მონაწილეობს. კოლხეთში იბერიისაგან დამოუკიდებელი ცხოვრება გრძელდება შემდგომ საუკუნეებშიც.

(**ქ.ს.ე.** V ტ. 596): ,,ძვ. წ. II—I ს.ს. მიჯნაზე კოლხეთი დაიპყრო პონტოს მეფემ მითრიდატე VI ევპატორმა. ძვ. წ. 63-დან კოლხეთის ზღვისპირა ოლქები რომის იმპერიის პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოექცა და მათ რომაელი მოხელეები განაგებდნენ. ცნობილია პირველი ასეთი მოხელის, არისტარქეს სახელით მოჭრილი მონეტა... რომაელთა ბატონობა (და არა იბერიელთა ბატონობა ჯ.კ.) კოლხეთში გაგრძელდა ახ. წ. IV ს-მდე (**ოთარ ლორთქიფანიძე**)“.

ლეონტი მროველის მიხედვით: „[ქართლის] მეათე მეფე, [იყო] ადერკი, ძე ბარტომისი არშაკუნიანი. და ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქუეყანა ქართლი და ეგრისი.

და მისცა სომეხთა მეფემან ასული თვსი ცოლად. და დაჯდა მეფობდა კეთილად... ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე“.

ეს ადერკი თურმე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მართავდა იბერიისა და ეგრისის (კოლხეთის) გაერთიანებულ სამეფოს. ეს მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის ისტორიკოსის **პლუტარქეს** (46/50—125/127 წ.წ.) აღწერილობით იბერია (მომავალი ქართლი) და კოლხეთი (ეგრისი) ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სამეფოებია, ხოლო ძვ. წ. I ს-ში კოლხეთს მითრიდატე დიდის ვაჟი მართავდა.

(**ქ.ს.ე.** VI 683): „**მითრიდატე**, კოლხეთის მმართველი ძვ. წ. I ს-ში. პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის ძე, კოლხეთის მმართველად დანიშნა მამამისმა. მალე მამის მიერ მითრიდატე ღალატში იქნა ეჭვმიტანილი და სიკვდილით დაისაჯა“.

(**სერგი მაკალათია** 20): „სტრაბონის ცნობით, როდესაც რომაელებმა მითრიდატე ტახტიდან ჩამოაგდეს, მთელი მისი სახელმწიფო დაიშალა და განაწილებულ იქნა სხვადასხვა მთავართა შორის. უკანასკნელ მეფედ კოლხიდისა იყო პოლემონი, რომლის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლი პითადორა, ქალი ჭკვიანი და საქმის მცოდნე, გახდა მეფე კოლხიდელებისა, ტრაპიზონისა, ფარნაკიისა და მათ ზემოდ მცხოვრებ ბარბაროსებისა“.

ახ. წ. II საუკუნის დასაწყისის კოლხეთის სინამდვილის თვითმხილველი ფლავიუს არიანე გვაწვდის ცნობას, რომ კოლხეთს არა რომაული წარმომავლობის მოხელენი განაგებდნენ, როგორც მაგალითად ჰაიასტანში, არამედ რომაელთა მიერ დანიშნული ამ ქვეყნის მკვიდრნი. ახ. წ. IV საუკუნიდან, ანუ ბიზანტიური ხანის საწყისიდან ძლიერდება სამეგრელოს (კოლხეთის) სახელმწიფოებრიობა და სამეგრელოს აღზევებით საფუძველი ეყრება ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას.

(**ქ.ს.ე.** V ტ. 597): ,,**კოლხიდა**, კოლხეთი (**Kolchis**; ძვ. ქართული სახელწოდება ეგრისი), სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელწოდება (კოლხი ტომების სახელის მიხედვით). დამოწმებულია ძვ. წ. I ათასწლეულის ბერძენ ავტორებთან. უკვე ძვ წ. VIII ს. ურარტულ წყაროებში. ძვ. წ. VI—II ს.ს-ში ამ ტერიტორიაზე არსებობდა კოლხეთის სამეფო. მისი დაშლის შემდეგ, ახ. წ. I—II ს.ს. მიჯნაზე, ჩამოყალიბდა ეგრისის სამეფო, რომელმაც IV საუკუნეში გააერთიანა მთელი ჩრდილო კოლხეთი (ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია)“.

სადაა აქ იბერიის ხსენება? საქართველოს დასავლეთით (სამეგრელოში) არასოდეს არ აღნიშნულა იბერიული გავლენის რაიმე ნაკვალევი, გარდა იმისა, რომ გაჭირვების ჟამს იბერიელი მეფენი სამეგრელოში პოულობდნენ თავშესაფარს. ვინაიდან, მიუხედავად ასეთი ნათელი ისტორიული სურათისა, ქართველ ისტორიკოსთა უდიდესი უმრავლესობა შესაშური უდრეკი შეუპოვრობით ცდილობს შორაპან-ლიხის მონაკვეთზე მაინც როგორმე იბერიის სამეფოს გავლენის ნაკვალევი აღმოაჩინოს, ამათ დასაწყნარებლად შორაპნის ციხის თემა ვრცლად გავშალოთ.

იგივე სტრაბონი I საუკუნიდან გვაწვდის ცნობებს რომლებიც მათემატიკური სიზუსტით იბერიისა (მომავალი ქართლისა) და კოლხეთის (საქართველოს დასავლეთის, სამეგრელოს) მუდმივ საზღვრად ლიხის ქედს გვისახავენ და რასაც მე-18 საუკუნეშიც ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილი. იბერიის აღწერისას სტრაბონი გადმოგვცემს:

(**სტრაბონი** 128): ,,[იბერიაში] არის ოთხი შესასვლელი. ერთი არის **კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე** და მასთან არსებულ ვიწრობებზე, რომელზედაც ფასისი (φάσις) მიმდინარეობს სწრაფი და ხმაურა, მიემართება კოლხიდაში (სტრაბონის ფასისი ყვირილა-რიონია ჯ.კ.) 120 ხიდით გადაისვლება მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო.

წყალდიდობის დროს ეს ადგილები სულ დახრულია მრავალი ნაკადულებით. წარმოიქმნება [ფასისი] ზემოთ მდებარე მთებში მრავალი წყაროსაგან, ხოლო დაბლობში ღებულობს სხვა მდინარეებს, რომელთა შორის არის გლავკოსი და ჰიპოსი: გავსილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში; (ფასისზე) არის ქალაქი მსგავსი სახელითა და მახლობლად – ტბა. **ასეთია კოლხიდიდან იბერიაში შესავალი, დახშული კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობიანი მდინარეებით.**

ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ძნელი ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგოსის (Αράγου) ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღის [სავალი], ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული.

ალბანიიდან შემოსასვლელი ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი, ხოლო შემდეგ გადადის ის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდინარე ალაზანიოსი (Αλαζόνιος), გამომდინარე კავკასიონის [ქედიდან].

ხოლო არმენიიდან [შემოსასვლელი] არის მტკვრის (Κύρω) ვიწრობებზე და არაგოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის [ეს მდინარეები], იმ ადგილას მდებარეობს „გამაგრებული ქალაქები კლდეებზე“.

(**სტრაბონი** 123): ,,(ფასისზე) აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე, (ამ) სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; **(შორაპნიდან) ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე**“.

სტრაბონი ამ აღწერილობით არ კმაყოფილდება და გვაწვდის დამატებით ცნობას:

(**სტრაბონი** 125): ,,იბერიაში არის ერთი პატარა ქალაქი ფრიქსოპოლისი, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვრებზე“.

(**სტრაბონი** 279): ,,იდეესა (ιδησσα) პატარა ქალაქი **იბერიაში**, კარგად გამაგრებული ადგილი **კოლხიდის საზღვარზე**, უწინ ერქვა ფრიქსოპოლისი“.

გავიხსენოთ ტაციტუსის ცნობა რომლის მიხედვითაც იბერიელები და ალბანელები თავიანთ წარმომავლობას არგონავტიკას უკავშირებდნენ და იგივე ცოდნას გვიმტკიცებს სახელწოდება ,,ფრიქსოპოლისი“. სახელწოდება ქალაქისა წარმოდგება არგონავტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პერსონაჟის ფრიქსეს სახელწოდებიდან და რასაც თავად სტრაბონიც აფიქსირებს.

(**სტრაბონი** 284): ,,ოდესღაც აეტი მეფობდა კოლხიდაში. მაშინ აია ყოფილა ქალაქი ფაზისთან, ფრიქსემ რომ ილაშქრა. ამისი ძეგლები არის **კოლხიდისა და იბერიის საზღვარზე**“.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ სტრაბონის (I ს.) შორაპნის სკეპტუქიას ჰაიკთა IIV—IX საუკუნეთა გეოგრაფოსის ცნობაში უკვე მარგველივი ეწოდება.

შორაპანი არა მარტო სტრაბონის (I ს.), არამედ პროკოპი კესარიელის (VI ს.) დროსაც მუდამ საქართველოს დასავლეთის (სამეგრელოს) კუთვნილებაა.

გავიხსენოთ სტრაბონისეული იბერიაში გადასავლელი შორაპან-ლიხის გზის მონაკვეთის დახასიათება და შემდგომ შევუდაროთ იგივე გზის პროკოპისეულ აღწერას.

(**სტრაბონი** 128): ,,ასეთია კოლხიდიდან იბერიაში შესავალი, დახშული კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობიანი მდინარეებით“.

(**პროკოპი კესარიელი** 24): ,,იბერიის საზღვრებიდან რომ შედიხარ (კოლხეთში ჯ.კ.), იქვეა ლაზების მიწაწყალზე ორი სიმაგრე (შორაპანი და სკანდა ჯ.კ.), რომელთა დაცვა ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლების (ლაზების ჯ.კ.) საზრუნავს შეადგენდა, თუმცა მათ ბევრი ნაკლებობის გადატანა უხდებოდათ, რადგან იქ არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც სხვა რამ სიკეთე. სხვა ადგილიდან რისამე შემოზიდვა, ვიწრობების წყალობით, შეიძლება მხოლოდ ისე, თუ კაცები თვითონ მოიტანენ. მაინც,

რადგან იქ რამოდენიმე ქვრიმა მოდიოდა, ლაზები ახერხებდნენ, ჩვეულებისამებრ, თავის გამოკვებას“.

(**პროკოპი კესარიელი** 54): ,,როდესაც ხოსრომ და მიდთა ჯარმა **იბერიის გავლის შემდეგ ლაზიკის საზღვრებში მოაღწიეს**—ელჩები მათ წინუძღოდნენ—იმათ დაიწყეს, ისე რომ არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა, ხეების მოჭრა, რომელიც იქ დაქანებულ ადგილებში, მეტად ხშირი, შტომრავალი და მაღალი იყო და ჯარისთვის იმ ქვეყანას სრულიად გაუვალს ხდიდა“.

პროკოპის (VI ს.) მიხედვით სტრაბონის (I ს.) დროს არსებული საურმე გზა სრულად მოშლილა და რაც, პლინიუსის (II ს.) ცნობით, ინდოეთთან დამაკავშირებელი ახალი ხელსაყრელი გზების დამკვიდრებით იყო გამოწვეული.

(**პროკოპი კესარიელი** 155): ,,**ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპნისი** (შორაპანი ჯ.კ.): ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება იმათ კაცი. **ეს ციხეები ლაზებს აუგიათ დიდი გაჭირვებით**. რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა. იუსტინიანე მეფემ ამ ომის დასაწყისში გააძევა ლაზები აქედან და რომაელ ჯარისკაცთა რაზმი ჩააყენა, მაგრამ ესენი ცოტა ხნის შემდეგ იძულებულნი იყვნენ, სურსათის ნაკლებობის გამო, ეს ციხეები დაეტოვებინათ, რადგან ვერ აიტანეს ქვირიმით საზრდოობა დიდი ხნის განმავლობაში; კოლხები ხომ ამით იკვებებოდნენ, რომაელებისთვის კი ეს უჩვეულო იყო; ლაზებმა კი შორი გზიდან ყველა ამ სურსათის მოტანას უკვე ვეღარ გაუძლეს. ამიტომ ეს ციხეები სპარსელებმა აიღეს (და არა იბერიელებმა ჯ.კ.) და ჰქონდათ. ხოლო ზავის დადებისას რომაელებმა ისინი დაიბრუნეს და სამაგიეროდ ბოლონის ციხე და ფრასგიონი მისცეს... ლაზებმა თავის მხრით, ეს ციხეები მიწასთან გაასწორეს, რათა სპარსელებს ისინი მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ საყრდენ სიმაგრეებად. ერთი მათგანი, რომელსაც სკანდას უწოდებენ, სპარსელებმა შემდეგ კვლავ აღადგინეს და იქ ჩადგნენ“.

(**პროკოპი კესარიელი** 155): ,,ლაზთა ორი ციხეა ზედ იბერიის საზღვრებთან, სკანდა და სარაპნისი (შორაპანი ჯ.კ.): ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებში და ძნელად თუ მიუდგება იმათ კაცი. ეს ციხეები ლაზებს აუგიათ დიდი გაჭირვებით. რადგან იქ საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათ იქ სურსათის მიტანა. იუსტინიანე მეფემ ამ ომის დასაწყისში გააძევა ლაზები აქედან და რომაელ ჯარისკაცთა რაზმი ჩააყენა, მაგრამ ესენი ცოტა ხნის შემდეგ იძულებულნი იყვნენ, სურსათის ნაკლებობის გამო, ეს ციხეები დაეტოვებინათ, რადგან ვერ აიტანეს ქვირიმით საზრდოობა დიდი ხნის განმავლობაში; კოლხები ხომ ამით იკვებებოდნენ, რომაელებისთვის კი ეს უჩვეულო იყო; ლაზებმა კი შორი გზიდან ყველა ამ სურსათის მოტანას უკვე ვეღარ გაუძლეს. ამიტომ ეს ციხეები სპარსელებმა აიღეს (და არა იბერიელებმა ჯ.კ.) და ჰქონდათ. ხოლო ზავის დადებისას რომაელებმა ისინი დაიბრუნეს და სამაგიეროდ ბოლონის ციხე და ფრასგიონი მისცეს... ლაზებმა თავის მხრით, ეს ციხეები მიწასთან გაასწორეს, რათა სპარსელებს ისინი მათ წინააღმდეგ არ გამოეყენებინათ საყრდენ სიმაგრეებად. ერთი მათგანი, რომელსაც სკანდას უწოდებენ, სპარსელებმა შემდეგ კვლავ აღადგინეს და იქ ჩადგნენ“.

ამრიგად, თუ ნათლად აღიქვამთ სტრაბონისა (I ს.) და პროკოპი კესარიელის (VI ს.) მიერ შორაპან-ლიხის მონაკვეთის რეალურ აღწერილობას, რომ ეს ტერიტორია მუდამ წარმოადგენდა ,,დაქანებულ ადგილებს, მეტად ხშირი, შტომრავალი და მაღალი ხეებით", ,,მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებს“, რომელთაც ,,ძნელად თუ მიუდგება კაცი“ უნდა ირწმუნოთ, რომ ეს იყო ფაქტიურად დაუსახლებელი მხარე და მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ მიდამოებში არსებულ დასახლებათა ძირითადი

ნაწილი აღმოცენდა წიფის გვირაბის გაყვანის შემდგომ და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როცა დასრულდა სამხედრო გზის მშენებლობა. ამ მონაცემთა ანალიზი თავისთავად ბადებს ერთადერთ მართებულ დასკვნას:

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 443): „შორაპანი და სკანდე „ლაზებს ძველად აუგიათ“დიდი გაჭირვებით, რადგან იქ ,,საზრდო სრულიად არაფერი მოდის და მშენებელთ ზურგით უხდებოდათი იქ სურსათის მიტანა“. როგორც ვხედავთ, ლაზური გადმოცემით (მათ უნდა მიეწოდებინათ ეს ცნობა ბერძნებისათვის) შორაპანი ლაზების მიერაა ,,ძველად" აგებული... სტრაბონით ის კოლხების მიერ უნდა იყოს აშენებული, **მაინცდამაინც ამ ტრადიციით ფარნავაზი გამორიცხულია**“.

სამწუხაროდ, ნიკო ბერძენიშვილი ამაზე შორს ვერ მიდის და სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) ,,ქართიზაციის“ მომხრეა. უმთავრესი მიზეზი თუ ქართველი ისტორიკოსები რატომ ვერ ამჩნევენ სპილოს, ანუ საქართველოს დასავლეთის მუდამ კოლხურ, ლაზურ, მეგრულ წარსულს, გახლავთ ქართული ენის ასევე კოლხური, ლაზური, მეგრული ბუნების არცოდნა. მათთვის წარმოუდგენელია, რომ ქართული ენა სამხრეთ სამეგრელოში შეიქმნა, სახელწოდება ქართველი თავდაპირველად ქრისტეან მეგრელს აღნიშნავდა და ქართული ენა წარმართული მეგრული (კოლხური) ენის ბაზაზე, მეგრელთა ქრისტენულ რწმენაზე მოსაქცევად შექმნილი ხელოვნური ენაა. ესაა მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად ქართველ ისტორიკოსებზე სომხური ისტორიოგრაფიის უძლიერესი გავლენისა, ყურადღების ღირსადაც არ მიიჩნევენ მე-7—9 საუკუნეთა ჰაიკთა უსახელო გეოგრაფიის საოცრად ნათელ ცნობას, რომ:

(**პავლე ინგოროყვა** 212): „კოლხეთი ეგრი, არის ქვეყანა აზიასა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე [ლიხამდე], რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან...

და იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყნად:

ა) **მარ[გ]ველი-ვი**;

ბ) ეგრევიკი, რომელ არს საკუთრივ ეგრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქითურთ;

გ) ლაზი-ვი;

დ) ჭანი-ვი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)...

აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა (=ქუთაისი), როდოპოლისი (=ვარდციხე), ათინა, რიზონი და სხვა მრავალნი ნავთსადგურნი, ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქნი, რომელთა შორის არის ტრაპეზუნტი“.

საქართველოს დასავლეთი მე-7—9 საუკუნეებშიც სამეგრელოა და, შესაბამისად, სამეგრელოშია ქუთაისი, ვარდციხე, მარგვეთი... და სამეგრელოს იბერიისაგან ლიხის ქედი ყოფს. იგივეს იმეორებს ივანე ჯავახიშვილიც.

(**ივანე ჯავახიშვილი** ქ. 423): „სტრაბონის თხზულების სხვადასხვა ცნობების საშუალებით შეიძლება გამოვარკვიოთ, რა საზღვრები ჰქონდა მაშინ კოლხეთს. „ჰენიოხებს იქით, კავკასიისა და მესხეთის მთებს შორის, ამბობს შესანიშნავი გეოგრაფი, კოლხიდა მდებარეობსო». მაშასადამე, კოლხიდის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის უღელტეხილი ყოფილა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მესხეთის მთები. ეს დასკვნა სტრაბონის მეორე ცნობითაც მტკიცდება. „ზღვის ნაპირი, -- ამბობს იგი, -- პიტიუნტსა და დიოსკურიადასთან თავდება; დიოსკურიადას მისდევს ზღვის პირას დანარჩენი კოლხიდის მიწები და მისი მოსაზღვრე ტრაპიზონიო“ ქ. ბიჭვინთა და დიოსკურიადა კოლხიდაში ყოფილა მაშასადამე, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მეზობლად

ტრაპიზონი ჰქონია; ცხადია ეს ქალაქი კოლხიდას არ ჰკუთვნებია. აღმოსავლეთით კოლხიდას იბერია საზღვრავდა, მიჯნად კოლხეთის ციხე შორაპანი იყო. დასავლეთით ხომ შავი ზღვა ერტყა...

პროკოპი კესარიელს კოლხეთის ქალაქების შესახებ, რასაკვირველია, უფრო მეტი ცნობები აქვს: აღმოსავლეთით, იბერიის საზღვარზე ციხე შორაპანს გარდა, მეორე ძნელად მისადგომ ადგილას აშენებული მაგარი ციხეც ყოფილა სკანდა. შემდეგ იბერიიდან მიმავალი პირველად მიადგებოდა სავაჭრო გზაზე ბარად მდებარე ქალაქს ვარდციხეს (როდოპოლის)“.

ივანე ჯავახიშვილმა იცის, რომ პირველ საუკუნეშიც და მეექვსე საუკუნეშიც კოლხეთი იბერიისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ანუ იბერია არ მართავს კოლხეთს და არაა დაყოფილი საერისთაოებად, მაგრამ მთლიანობაში იგი მაინც „ქართლის ცხოვრების" ზღაპრების მტკიცების ერთგული რჩება.

დამატებით გავიხსენოთ სამეგრელოს მეფის გუბაზის მკვლელობასთან (554 წ.) დაკავშირებით, კოლხთა კრებაზე, აგათია სქოლასტიკოსის მიერ დაფიქსირებული, მეგრელი, ლაზი დიდებულის ფარტაძის სიტყვა.

(**გეორგიკა** III ტ. 78): ,,ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების ხელმძღვანელობით? როგორღა შევძლებთ საშინელი სასჯელის თავიდან აცდენას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ **შორს იბერიაში**, აყოვნებენ და ზლაზვნით მოიწევენ წინ (საუბარია სპარსელებზე ჯ.კ.), ხოლო ისინი კი, რომელთაგან სასჯელს უნდა ველოდეთ, (რომაელები ჯ.კ.) მთელ ამ ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ?“.

ე. ი მეგრელები (საქართველოს დასავლეთელნი) თავიანთ სახელმწიფოებრივ ურთიერთობებს არკვევენ რომაელთა და სპარსათა მიმართებით, ხოლო იბერია მოკავშირეც არ არის და შორს იმყოფება. ანუ სამეგრელოსა და იბერიას შორის არავითარი სახელმწიფოებრივ დონეზე ურთიერთობები არ იგულისხმება. ირიბად იგივეს იმეორებს ივანე ჯავახიშვილიც.

(**ივანე ჯავახიშვილი** II 110): „პროკოპი კესარიელი და აგათიიასი, იბერთა და ლაზთა მეფეებს „ბაზილევს"-ად იხსენიებენ“.

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილი დამატებით აღიარებს, რომ VI საუკუნეშიც იბერია და ლაზიკა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოებია.

გასათვალისწინებელია ასევე ნიკო ბერძენიშვილის დაკვირვება: ,,კოლხიდაში სპარსულ ჯართან ერთად არც ერთხელ არ ჰყავთ იბერიელები... რომ სპარსულ ჯარში არც არმენიელები ჩანან, არც ალბანელები“.

მიუხედავად ასეთი გამჭვირვალობისა, ურყევია ქართველ ისტორიკოსთა სიჯიუტე:

(**ქ.ს.ე.** X ტ. 459): ,,აღმ.-ქართ. სახელმწიფოს – ქართლის სამეფოს ანუ იბერიის წარმოქმნა მნიშვნელოვანი საფეხური იყო ქართველთა ეთნოგენეზში. ეს ნიშნავდა ტომობრივი ზღუდეების მოშლას და ტომთა კონსოლიდაციას აღმ.-ქართ. ეროვნებად, რაც ხელს უწყობდა და აჩქარებდა არაქართვ. ტომების ასიმილაციას და დანარჩენ ქართვ. ტომთა ინტეგრაციას... სადაც შეაღწევდა ქართლის ელემენტი, ვრცელდებოდა ქართ. ენა და აღმ.-ქართ. კულტურა. ასეთი ვითარება შეიქმნა არა მხოლოდ აღმ.-ით, ჰერეთის (ალბანეთი) ტერიტორიაზე, არამედ დას. საქართველოშიც. მართალია, დას. საქართველოში სახელმწიფოებრიობა უძველესი დროიდან არსებობდა (იხ. კოლხეთის

სამეფო), მაგრამ კლასობრივი საზოგადოების სარბიელის სივიწროვე, პირველყოფილი თემური წყობილების დონეზე მდგომი მთიელების სიჭარბე, ეთნიკური სიჭრელე, ბერძნული კულტურისა და ენის მოძალება და შემდეგ დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდად აფერხებდა დას. ქართვ. ტომების ეროვნებად კონსოლიდაციის პროცესს. მეორე მხრივ დასავლეთ საქართველოში ქართის ტომების ძველთაგანვე შეღწევამ და შემდეგ ქართის მაღალგანვითარებული სახელმწიფოს ძლიერმა გავლენამ საფუძველი დაუდო ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ გორგასლის ეპოქა (V ს. II ნახ.). ვახტანგმა დას. საქართველო და ალბანეთის დას. პროვინციები (ჰერეთი) შემოიერთა... VI ს. დასასრულს ეგრისის აღმ. ნაწილზე მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია გავრცელდა (მ. აბდუშელიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ი.სურგულაძე)“.

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით არ აღმოჩენილა ეგრისის აღმოსავლეთით, შორაპნის რეგიონში, მე-6 საუკუნის ეკლესია და ამდენად ასევე ჯერჯერობით უცნობი უნდა იყოს რაზე „ვრცელდებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია“.

აქ ჩანართის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ მცდარია მტკიცება თითქოს როდისმე საქართველოს დასავლეთზე „ვრცელდებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია“. საწყისში გავიხსენოთ, რომ ქართველ მეფეთა მამებად, უპირველეს მინისტრებად ითვლებოდნენ არა მცხეთელი სვეტიცხოვლელნი, არამედ საჭყონდიდოს ჭყონდიდელი მამები.

გარდა ამისა, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში X—XII საუკუნეებში დაიწყეს საეკლესიო არქიტექტურის სრულყოფა, ჯვარგუმბათოვან არქიტექტურაში გუმბათის ყელის ამაღლება, ეს არქიტექტურული სიახლე X საუკუნეში თავდაპირველად ჭყონდიდის ტაძარზე განხორციელდა, როცა აწიეს არსებული ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გუმბათის ყელი; ეს მაშინ როცა მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძრის ადგილას მარტივი ბაზილიკური ტიპის ნაგებობა იდგა. ასევე გასათვალისწინებელია რომ როცა მცხეთაში ჯერ კიდევ მცირე ზომის ბაზილიკა იყო აღმართული, საქართველოში აშენებულ იქნა მაღალყელიანი ოშკის (950--960 წ.წ.), ბაგრატის (X-XI საუკუნეთა მიჯნა—1003 წ.), ალავერდის (XI საუკუნის პირველი მეოთხედი—1025წ.), სამთავისის (XI საუკუნე – 1030 წ.) საკათედრო ტაძრები და მხოლოდ ამათ შემდგომ, 1072 წლისათვის დასრულდა 1012 წელს დაწყებული სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობა. ეს ფაქტები კი მეტყველებენ, რომ არასოდეს სრულიად საქართველოზე არ „ვრცელდებოდა მცხეთის კათალიკოსის იურისდიქცია“ და არასოდეს მცხეთა არ ყოფილა საქართველოს დედაქალაქი.

წარმოდგენილი ქართველ ისტორიკოსთა ისტორიული ხედვა გახლავთ ,,ქართლის ცხოვრების" ავტორთა, ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ტრიუმფი. ქართველ ისტორიკოსთა არგუმენტაცია გამოხატავს ქართველი ერის ისტორიისა და კოლხურ (ქართველურ) ენათა ფსიქოლოგიის არცოდნას და წარმოადგენს ,,ქართლის ცხოვრების“ ავტორთა კონცეფციების მართლებას. შევუდგეთ მათი არგუმენტაციის რევიზიას.

,,კლასობრივი საზოგადოების სარბიელის სივიწროვე“ — ეს არგუმენტი ალბათ თქვენც ბუნდოვნად გეჩვენებათ, მაგრამ, თავად გადაწყვიტეთ, ,,კლასობრივი საზოგადოების სარბიელის" სიფართოვე ვის მეტი გააჩნდა, კლასობრივი საზოგადოების განვითარების ბევრად მაღალ საფეხურზე მყოფ სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთს), რომელსაც დასავლეთით შავი ზღვა ერტყა და რომელიც აღნიშნული დროისთვის რკინიგზას, ავტობანს, ტელევიზიას და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს ენაცვლებოდა და დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობების შეუცვლელ

შესაძლებლობებს იძლეოდა, თუ ჩრდილო კავკასიის, ალბანეთისა და ჰაიასტანის მთებით გარშემორტყმულ იბერიას.

,,პირველყოფილი თემური წყობილების დონეზე მდგომი მთიელების სიჭარბე“-- სტრაბონი იბერიას ორ თანაბარ ნაწილად, ბარელებად და მთიელებად ყოფს, ანუ იბერიელთა მოსახლეობის ნახევარი ,,პირველყოფილი თემური წყობილების დონეზე მდგომი მთიელებია“, რომლებიც თავს ,,ნავარდობით“ ირჩენდნენ და ამ საქმიანობას გამორჩეული განათლება არ მოეთხოვებოდა. რაც შეეხება საქართველოს დასავლეთს (სამეგრელოს), სტრაბონისა და პროკოპი კესარიელის მონაცემებით ლაზები (მეგრელები) ძირითადად დაბლობებში სახლობენ და მთას ნაკლებად ეტანებიან. თუ მთიულებში მეზობლებიც იანგარიშება, მაშინ აქაც უპირატესობა იბერიის მხარეზეა, ვინაიდან, თუ საქართველოს დასავლეთს (სამეგრელოს) დასავლეთით შავი ზღვა იცავდა ,,მთიელებისაგან“, იბერიას აღმოსავლეთითაც ალბანეთი ანუ მთიანეთი ესაზღვრებოდა, რაც შეეხება ჩრდილოეთ მთიანეთს, აქ უკვე თანაბარ პირობებში იყვნენ იბერებიცა და მეგრელებიც.

,,ქართის მაღალგანვითარებული სახელმწიფოს ძლიერმა გავლენამ საფუძველი დაუდო ერთიანი ქართული ეროვნების ჩამოყალიბებას“-- ზოგად საკაცობრიო მნიშვნელობის, **მაღალგანვითარებული** კოლხური კულტურა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახით, ცნობილია მსოფლიო საზოგადოებისათვის, ხოლო სრულიად უცნობია და არასდროს არ გაგონილა რაიმე დონის ,,ქართის“ **მაღალგანვითარებული** კულტურა, სხვათაშორის, სამეცნიერო წრეებისათვის, არც განსხვავებული, გამოკვეთილი სახის იბერიული კულტურაა ცნობილი, ირანული ცივილიზაციის სივრცეში მოქცეული მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურა, განსხვავებული გენეზისის სხვადასხვა ხალხთა საერთო კულტურაა. ამდენად, გამოკვეთილი, **მაღაგანვითარებული** ქართის კულტურის მატერიალური მტკიცება ბუნებაში არ არსებულა, ხოლო რაც შეეხება ქართულ მეტყველებას და მის მიღწევებს, აქაც ცალსახა ლიდერი სამეგრელოა (საქართველოს დასავლეთია) და ჩვენ მხოლოდ მოსამზადებელ პერიოდს გავდივართ ამ თემაზე სიღრმისეული მსჯელობისათვის.

,,ბერძნული კულტურისა და ენის მოძალება“— ქართველი ერის ერთ-ერთ უდიდეს სიამაყეს შეადგენს ის რეალობა, რომ ჩვენ, გარდა სხვა კულტურებისა, დიადი ბერძნული ცივილიზაციის არეალის მკვიდრნი ვართ და სხვანაირი განმარტება ამ თემას არ გააჩნია.

,,დამოუკიდებლობის დაკარგვა“-- ,,ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო“. ფარნავაზის მიერ სამეგრელოს იბერიისადმი დაქვემდებარება, ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიერ ტკბილ ძილში ნანახი სიზმრად ქცეული ოცნებაა. მსოფლიო ისტორიოგრაფიამ კი ის იცის, რომ სახელმწიფოებრიობა იბერიამ დაკარგა.

აქ ჩვენ მივადექით ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს ნაკლს – ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხოა საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე საერთაშორისო ურთიერთობათა ზეგავლენის შედეგის ობიექტური ანალიზი. სრულიად იგნორირებულია ინტერესი იმის მიმართებით, თუ რა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა ძვ. წ. მე-3 საუკუნემდე არარსებული იბერიის სამეფოს ჯერ წარმოქმნა და შემდგომ გაუქმება.

იბერიის, ალბანეთის, არმენიის, პართიის სახელმწიფოები წარმოიქმნენ ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის იმპერიის განადგურების შედეგად, ანუ ეს ელინისტური სახელმწიფოები (იბერია, ალბანეთი, არმენია, პართია...), რომლებიც სპარსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ, ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდგომ, მისი სარდლების მიერ დაყოფილ იქნენ

სხვადასხვა სახელმწიფო ერთეულებად. აი ამ მცირე ზომისა და შესაბამისად მცირე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოთა გარემოცვაში იბერია იცავდა საკუთარ კეთილდღეობას.

რა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა იბერიის, ალბანეთის, არმენიის, პართიის სახელმწიფოებრიობის გაუქმება? -- ახ. წ. მე-3 საუკუნიდან იგივე სპარსეთის სახელმწიფოებრიობის აღორძინებამ. ანუ მომძლავრებულმა სპარსეთმა იწყო ყოფილი იმპერიის აღდგინება და სპარსეთის იმპერიას იბერიამ, ალბანეთმა, არმენიამ, პართიამ ვეღარ გაუწიეს წინააღმდეგობა და, როგორც სახელმწიფოები, თანდათან გაქრნენ ისტორიის სცენიდან. დიდი ხნის მკვდარი იყო ალექსანდრე მაკედონელი.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 274): ,,სპარსეთის მეფეები თანდათან საქართველოსაც მოადგნენ. ამ დროს ისინი უკვე თავისუფლად დათარეშობდნენ სომხეთში და იბერიაც უნდოდათ ამგვარადვე ხელში ჩაეგდოთ. მაშინ იბერიაში მეფედ რომაელების დამტკიცებული საურმაგი (Sauromaces) იჯდა. 368 წელს სპარსეთის მეფე შაპური (Sapor) შეესია აღმოსავლეთ საქართველოს და მეფე საურმაგი ქვეყნიდან განდევნა, ხოლო მის მაგიერ სამეფო ტახტზე მისივე ნათესავი ასპაგური აიყვანა და დააგვირგვინა. რაკი იგი რომაელების მფარველობის ქვეშე მყოფ იბერიის მეფეს ასე უდიერად მოექცა, რომაელებს, რასაკვირველია, ეწყინათ. სპარსელების მიერ განდევნილი საურმაგი რომაელებთან მივიდა და იმათგან 12 ლეგიონი რომაელების მეშველი ჯარი ტერენტის მეთაურობით თან წაიყვანა. მტკვარს რომ მოუახლოვდა, ასპაგური შეეხვეწა საურმაგს, მაინც ნათესავები ვართ და მოდი ორივემ ერთად ვიმეფოთო... იბერია ამის წყალობით ორ ნაწილად გაჰყვეს: ერთს იბერიის აღმოსავლეთი ნაწილი შეადგენდა, რომელსაც ალბანია ჰსაზღვრავდა, ხოლო მეორეს – დასავლეთი იბერია, რომელიც ლაზიკეზე და სომხეთზე იყო მიკრული...

როცა სპარსეთის მეფემ შაბურმა იბერიის ორად გაყოფის ამბავი შეიტყო, წინააღმდეგობა გამოაცხადა, ჩემდა დაუკითხავად მოხდა ყველაფერი და თქვენ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებიო: ომისთვის მზადებასაც შეუდგა, რომ ყველაფერი თავის ნებაზე მოეწყო. ბოლოს 374 წელს შაბურ მეფემ დესპანების გაგზავნა იკადრა და კეისარს ვალენტს შეუთვალა, იბერიიდან თქვენი ჯარი გამოიყვანეთ, სამეფოს ორად გაყოფა ამოჭკვეთეთ და მთელი იბერიის მეფედ ისევ ჩემი დანიშნული ასპაგური იყოსო. მაგრამ კეისარმა ამაზე ცივი უარი შემოუთვალა“.

ასევე უსაფუძვლოა მტკიცება: ,,ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ გორგასლის ეპოქა (V ს. II ნახ.). ვახტანგმა დას. საქართველო და ალბანეთის დას. პროვინციები (ჰერეთი) შემოიერთა.“— მატიანეთა მიხედვით, ვახტანგ გორგასალი მოღვაწეობდა 440 წლიდან 502 წლამდე და ითვლება ფარნავაზის საქმეთა სახელოვან გამგრძელებლად, ანუ ითვლება, რომ მის დროსაც სამეგრელო იბერიის მიერ საერისთაოებად დაყოფილი პროვინციაა და ვახტანგის სიკვდილის მერე იბერიას მართავენ: დაჩი უჟარმელი, ბაკურ ძე მისი, ფარსმან, ფარსმან სხუაი, ბაკური და ,,ბაკურის-ზევე დაესრულა მეფობა ქართლისაი“. ამ სიყალბეს ააშკარავებს პრისკე პანიონელის, პროკოპი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის და თეოფანე ჟამთააღმწერელის მონაცემთა მიხედვით ვახტანგისა და მის ,,შთამომავლათა მოღვაწეობის" სავარაუდო პერიოდის სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) რეალურად არსებულ ლაზ მეფეთა მმართველობის ქრონოლოგია:

გუბაზ I სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) მეფე 450—460 წ.წ.

წათე I სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) მეფე 520-იან წლებში.

გუბაზ II სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) მეფე 540—554 წ.წ.

წათე II სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) მეფე 554 წლიდან.

აქ ჩანართის სახით მოგახსენებთ, რომ გუბაზუა მეგრულად ნიშნავს ლაღობა-ს და შესაბამისად გუბაზი = ლაღი.

ჩამოთვლილ კოლხეთის მეფეთა მოღვაწეობის აღწერისას არსად არაა მინიშნებაც კი, კოლხეთის სამეფოს, მცნება „იბერია“-სთან რაიმე შესაძლო კავშირის შესახებ.

ამ, შედარებით, მწირი ცნობებითაც ნათლად იკვეთება, რომ სამეგრელოს ადგილობრივი დიდებულები მართავენ და გამორიცხულია არათუ ვახტანგ გორგასლის რამენაირი გავლენა სამეგრელოზე, არამედ საერთოდ არარეალურია მისი ოდესმე ფიზიკური არსებობა.

ამ მოსაზრებას გვიმტკიცებს ის ფაქტიც, რომ ბიზანტიელებმა (რომაელებმა) უზუსტესად იციან და სათანადოთაც აქვთ აღწერილი V—VI საუკუნეთა სპარსელებთან ბრძოლები და დაფიქსირებულია ყველა ამ ომებში რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი მონაწილე. მაგალითად იგივე მე-6 საუკუნეში მოღვაწე პროკოპი კესარიელი (507—562 წ.წ.), იუსტინიანე პირველის კარის ისტორიკოსი, რომელსაც აღწერილი აქვს ბიზანტიელთა ომები სპარსელთა წინააღმდეგ, აღწერს არა მარტო სპარსელებთან ბრძოლებში გამორჩეულ ბიზანტიელთა სარდლის ფარსმან კოლხის დამსახურებას, არამედ მისი ვაჟების, სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლთა ღვაწლიც სათანადოთაა გაშუქებული. თეოფანე ჟამთაამღწერელიც ასევე 503-4 წელს სპარსელებთან ბრძოლის აღწერისას იხსენიებს იგივე ფარსმან კოლხს -- ,,ფარიზმანე, ზუნას მამა, წარმოშობით ლაზი" და არსად არ იკითხება ვახტანგ გორგასალი, რომელსაც თითქოს ხელშეკრულება დაედოს კეისართან და დიდი ბრძოლები გაემართოს სპარსელთა წინააღმდეგ. არსად არ იკითხება ასევე ვახტანგ გორგასლის შვილები და შვილიშვილები.

ჩვენი მსჯელობის დამატებითი თვალსაჩინოებისათვის, რომ ლაზიკა არასოდეს არ ყოფილა იბერიის საერისთავო და მას მუდმივად ადგილობრივი, ლაზი მეფეები მართავდნენ, განვიხილოთ 523 წლის ლაზიკისა და იბერიის ფაქტობრივი მდგომარეობა.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 282): ,,523 წელს ლაზთა მეფე წათე ბიზანტიაში გაემგზავრა და იქ კეისარს იუსტინეს აუწყა, რომ მას გაქრისტიანება ჰსურს და უნდა, რომ ლაზთა მეფედ იყოს დამტკიცებული. იუსტინე კეისარი ამ ამბავმა მეტად გაახარა და სიხარულით მონათლა მეფე წათე...

525 წლის ახლო ხანებში კავადმა [სპარსეთის მეფემ ჯ.კ.] მაინც შერიგება ირჩია და ამისათვის ორივე მხარემ ერთიერთმანეთს დესპანები გაუგზავნეს მოსალაპარაკებლად. როცა ელჩები ერთად შეიყარნენ და ურთიერთს გამოემცნაურნენ, სპარსეთის ერთმა წარმომადგენელმა... სიტყვა ლაზიკაზე ჩამოაგდო და ბიზანტიის მოციქულებს უმტკიცებდა, თქვენ კანონიერი უფლების ძალით კი არა, ძალმომრეობით გიჭირავთ კოლხეთი; იმთავითვე სპარსელების მფლობელობას შეადგენდაო. ბიზანტიელებს ეს არაფრად ეჭაშნიკათ. მოლაპარაკება ერთი სხვა მიზეზის გამოც უსიამოვნებით გათავდა და ორივე მხარე თავის სახელმწიფოში დაბრუნდა (როგორც ხედავთ, სპარსეთი არა მარტო იბერიაზე, არამედ სამეგრელოზეც აცხადებდა პრეტენზიას ჯ.კ.).

528 წ. სპარსთა მეფემ მაინც თავი ვერ შეიკავა და ლაზთა მეფის წათეს წინააღმდეგ გაილაშქრა, რომ იგი ორგულობისათვის სასტიკად დაესაჯა. კეისარმა ლაზთა მეფეს ზურგი გაუმაგრა და სამი სარდლით... მიეშველა. ლაზთა და ბიზანტიელთა შეერთებულმა მხედრობამ სპარსთა ლაშქარს სძლია და ბევრნი დაატყვევა...

ბიზანტიელებზე გულმოსული კავადი სულ იმის ფიქრში იყო, თუ ჯავრი როგორ ამოეყარა, მაგრამ ამ დროს იბერიაში ამბოხება დაიწყო. პროკოპი კესარიელის სიტყვით, ქართველები [იბერიელები ჯ.კ] იმიტომ აჯანყებულან, რომ კავადმა იბერიაში კვლავინდებურად ცეცხლთაყვანისმცემლობის გაბატონება მოიწადინა და ბრძანება გასცა, იბერიაში მოგვების ყველა წესი მტკიცედ დაეცვათ და მიცვალებული არამც და

არამც მიწაში არ დაემარხათ. ასეთმა მომეტებულმა მბრძანებლობამ ქართველები [იბერიელები ჯ.კ] ისევ მოთმინებიდან გამოიყვანა. მეფე გურგენმა იუსტინე კეისარს (518--527) მოციქულები გაუგზავნა და შეუთვალა: მოგემხრობით და თქვენკენ გადმოვალთ, თუკი პირობას მოგვცემთ, რომ... სპარსელებს აღარ გაგვცემთო. გახარებულმა კეისარმა თანხმობა განაცხადა და მაშინვე ბოსფორში ერთი პატრიკიოსი, სახელად პრობი, გაგზავნა და თან ფულებიც გაატანა, რომ ჰუნნები ქართველებს [იბერიელებს ჯ.კ] მიშველებოდნენ, მაგრამ გაგზავნილმა პატრიკიოსმა ვერა გაარიგა რა... კავადმა, ქართველების [იბერიელების ჯ.კ] განდგომის ამბავი შეიტყო თუ არა, მაშინვე იბერიაში დიდი ჯარი გამოგზავნა. სამწუხაროდ, ბიზანტიელების მეშველი რაზმი იმდენად რიცხვმცირე იყო, რომ... მეფე გურგენი თავისი ოჯახითა და შვილით... და დიდებულები ლაზიკაში გაიქცნენ. თუმცა სპარსეთის ჯარი უკან დაედევნა, მაგრამ ლაზიკაში ქართველ [იბერიელ **ჯ.კ**] მეფესა და დიდებულებს ვერა დააკლეს რა: ვიწრო ხეობები სპარსელებს დიდად აბრკოლებდნენ... ლაზიკიდან გურგენი თავისი სახლობითა და ამალით 523 წელს ბიზანტიაში წავიდა...

მას შემდეგ რაც ქართველები [იბერიელები ჯ.კ.] გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ და... იძულებულნი იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ, ამის შემდგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს, **ქართველებს** (იბერიელებს ჯ.კ.) **ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს**... ესე იგი 523 წელს, მაგრამ **საბოლოოდ ეს გაუქმება 532 წლის ,,საუკუნო ზავის" ხელშეკრულებამ დააკანონა.** იმიტომ რომ ქართველების [იბერიელების ჯ.კ] ვითომცდა მფარველმა ბიზანტიელებმა, სპარსელებთან მოლაპარაკების დროს, თავი არ შეიწუხეს და იბერიის მეფობის არსებობის შესახებ არავითარი განსაკუთრებული პირობა არ დაუდვიათ. არამედ მხოლოდ გაქცეული ქართველებისათვის (იბერიელებისათვის ჯ.კ) სამშობლოში დაბრუნების ნებართვა ითხოვეს. მაშასადამე, მეფობის გაუქმების წინააღმდეგ არაფერი უღონიათ და ამით, რასაკვირველია, თითქოს გაუქმებისათვის დასტურიც კი მიუციათ. ასე სამწუხაროდ დაბოლოვდა იბერიისათვის ბიზანტიელების მფარველობა".

523 წლამდე მაინც, საქართველოს ტერიტორიაზე მითიური ვახტანგ გორგასლის ერთიანი იბერია-ეგრისის სამეფოს ნაცვლად არსებობს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ლაზიკისა და იბერიის სამეფოები, რომელთა მეფეებიც, ლაზთა მეფე წათე და იბერთა მეფე გურგენი ერთდაიმავე 523 წელს რიგრიგობით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩადიან კონსტანტინეპოლში ბიზანტიის კეისარ იუსტინესთან სრულიად განსხვავებულ დიპლომატიურ მისიათა შესასრულებლად.

ბერძნულ-რომაული ისტორიოგრაფიით დაფიქსირებული რეალური პიროვნება, **იბერიის მეფე გურგენი** ნატყუარი ,,ქართლის ცხოვრების" ავტორთათვის უცნობია.

(**ქ.ს.ე.** III ტ. 312): ,,გურგენი, იბერიის მეფე VI ს. 20-იან წლებში, მოხსენიებული ჰყავს VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს. ქართულ ისტორიულ წყაროებში არ იხსენიება".

,,ქართლის ცხოვრების" ავტორებს რეალური გურგენის ნაცვლად მითიური ვახტანგ გორგასლის არასდროს არ არსებული შთამომავლობა ყავთ დასახელებული.

არ არის მართებული ივანე ჯავახიშვილის შენიშვნა: ,,ასე სამწუხაროდ დაბოლოვდა იბერიისათვის ბიზანტიელების მფარველობა". ბიზანტია განაგრძობდა იბერიის ქრისტეანულ სამყაროში დაბრუნების ცდებს.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 300): ,,სომეხ ისტორიკოსის სებეოსის სიტყვით, [სპარსეთის შაჰმა] **იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეისარს გადასცა.** ეს უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, 591 წელს და ამ დათმობის წყალობით

იბერია კვლავ ორად გაიყო, ამასთანავე იბერიის დასვლეთი ნაწილი ქ. თბილისამდე ბიზანტიის კეისრის ხელში გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შეჰრჩენიათ“.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 301): ,,სპარსეთის შაჰის ხოსრო II-ის გათამამებულ ნავარდობასა და ბიზანტიის ქვეყნების აოხრებას ბოლო კეისარმა ჰერაკლემ მოუღო. იგი... სამეგრელოს გზით, როგორც მოსე კაღაკანტუელი მოგვითხრობს, 614 წ. პირდაპირ სომხეთს შეესია, აქედან იგი გადავიდა ადარბაგანში, სადაც იმყოფებოდა სპარსთა მეფე, და მრავალი სოფელი და ქალაქი აიღო და წარტყვევნა...

ჰერაკლეს ლაზები, აფხაზები [აბაზები ჯ.კ.] და იბერიის ერთი ნაწილი მიჰმხრობია, მეორე ნაწილი თბილისითურთ სპარსელების ერთგული ყოფილა. ამგვარად, კეისარს მოკავშირეებად სხვათა შორის ლაზთა, აფხაზთა [დედანში აბაზათა ჯ.კ.] და იბერთა ჯარებიცა ჰყავდა. ჰერაკლეს ერთი წლის შემდეგ უნდოდა თვით სპარსთა მეფის ხოსროს ლაშქარს შეჰბმოდა, მაგრამ ჯარმა, მეტადრე კი ლაზებმა, აფხაზებმა [აბაზებმა ჯ.კ.] და იბერმა მოკავშირეებმა არ მოინდომეს. ხოლო როდესაც ჰერაკლეს სპარსთა ლაშქარი მოეწია, ლაზებმა და აფხაზებმა [აბაზებმა ჯ.კ.] მოკავშირეობაზე კეისარს უარი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრნენ. კეისარმა მეშველად ხაზარნი მოიწვია...

ჰერაკლე კეისრის გამარჯვების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველო ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა“.

კოლხური თეთრი ჩნდება ძვ. წ. VI საუკუნეში, ანუ კოლხეთში ბერძენ ვაჭართა დასახლებათა გაჩენისთანავე და, რასაკვირველია, იგი კოლხეთში ბერძნულ კულტურასთან თანაცხოვრების საწყისი ეტაპია. შემდგომში კოლხურ სინამდვილეში ფულადი ერთეულის მუდმივი არსებობა, უტყუარი მტკიცებაა კოლხეთის მაღალგანვითარებული სახელმწიფოებრიობის ასევე უწყვეტი არსებობისა. იბერიაში პირველი ეროვნული ინტერესების მატარებელი მონეტები, ეგრეთწოდებული ,,ქართლის ერისმთავრის დრაქმები“, ანუ „სტეფანოზის მონეტა“ ჩნდება მხოლოდ ახ. წ. VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში და რაც იბერიის სინამდვილეში ბერძნულენოვანი სამყაროს წარმომადგენლის, ბიზანტიის დამკვიდრებას უკავშირდება. უპირველესად ამასვე მიგვითითებს იბერიის ერისმთავრის ბერძნული სახელწოდება **სტეფანოზი**. ანუ ესაა პერიოდი როცა ჯერ მავრიკი კეისრის (591 წ.) მმართველობის ჟამს და შემდგომ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად, ბიზანტიელებმა სპარსელთაგან იბერია იპყრეს და სამეგრელო და იბერია ბერძნულ-კოლხურ ცივილიზაციათა ფულადი ერთეულებით ურთიერთობის სივრცეში გაერთიანდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ვინაიდან სახელწოდება ,,ქართლი“ მე-16 საუკუნემდე უცხოა მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის, ამ იბერიულ მონეტებს შესაბამისად ,,იბერიის ერისმთავრის დრაქმები“ უნდა ეწოდოთ.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 308): ,,ამგვარად, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს გამო მაინცდამაიც ბიზანტიის გამარჯვებით დამთავრდა: სპარსეთმა თუმცა ყოველი ღონისძიება იხმარა, მაგრამ **ლაზიკა მაინც ხელში ვერ ჩაიგდო; ლაზიკა ისევ ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ დარჩა და საკუთარი მეფობა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა; იბერიაც სპარსთა ბატონობას ხელიდან გამოაცალეს ბიზანტიელებმა**. ამის შემდგომ დიდხანს არც სპარსეთს-ღა უცოცხლია: VII საუკუნის მეორმოცე წლებში არაბებმა მთელი სპარსეთი დაიპყრეს და მეფობა გააუქმეს“.

ლაზიკა ასევე ეკლესიურადაც იბერიისაგან დამოუკიდებელი ქვეყანა გახლდათ.

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ.122): „ჩვენ ვიცით, რომ VII ს. ლაზიკის სამიტროპოლიტო ფასისში და აფხაზეთის (აბაზეთის ჯ.კ.) ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდნენ“.

ამრიგად, სამეგრელო (საქართველოს დასავლეთი) არც ადმინისტრაციულად და არც ეკლესიურად იბერიას არასოდეს არ ემორჩილებოდა. უნდა დავეთანხმოთ ივანე ჯავახიშვილის მართებულ დასკვნას, რომ საქართველოში არაბების გამოჩენამდე -- **,,სპარსეთმა ლაზიკა მაინც ხელში ვერ ჩაიგდო; ლაზიკა ისევ ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ დარჩა და საკუთარი მეფობა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა; (მეფობა გაუქმებული ჯ.კ.) იბერიაც სპარსთა ბატონობას ხელიდან გამოაცალეს ბიზანტიელებმა**“.

ბერძნულ-რომაულმა ისტორიოგრაფიამაც შესანიშნავად იცის თუ ვინ ვისზე მბრძანებლობდა და რეალური მდგომარეობა შესაბამისადაც არის გადმოცემული:

(**პროკოპი კესარიელი** 21): ,,იბერები, რომელნიც აზიაში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის. მათ მარცხნივ კი დასავლეთით მდებარეობს ლაზიკე, ხოლო მარჯვნივ აღმოსავლეთით, ცხოვრობენ სპარსელთა ტომები. ისინი (იბერები) ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო **ძველითგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან**“.

(**პროკოპი კესარიელი** 97): ,,[ლაზიკის] შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმნია და სვანია, ეს ტომები ლაზთა (მეგრელთა ჯ.კ.) ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრები ჰყავთ თვისტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მოადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა (მეგრელთა ჯ.კ.) მეფის მიერ. ამ ქვეყნის გასწვრივ ცხოვრობენ ძველითგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები“.

მესხეთი რომ გაყოფილ იქნა კოლხეთს, იბერიასა და არმენიას შორის, ეს ჯერ კიდევ სტრაბონმა (I ს.) გვამცნო.

(**პროკოპი კესარიელი** 98): ,,ევროპის ნაწილში აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზების (მეგრელების ჯ.კ.) ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველითგანვე ქრისტიანენი არიან“.

(**პროკოპი კესარიელი** 103): ,,აბაზგები ძველითგანვე ლაზების (მეგრელების ჯ.კ.) ქვეშევრდომნი იყვნენ“.

VI საუკუნის სამეგრელოს სამეფოს ძლიერების ჰიმნი შეიძლება ეწოდოს აგათია სქოლასტიკოსის (536—582 წ.წ.) შემდეგი სახის დახასიათებას:

,,ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები (მეგრელები ჯ.კ.) და სხვა ძლიერ ტომებზე მბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესალოა არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის რომლებიც სხვა სახელმწიფოებს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული როგორც სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით. იმ დროს, როდესაც წინანდელ მცხოვრებლებს ამ მხარისას სრულიად არ სცოდნიათ ზღვის დადებითი თვისებები, წარმოიდგინეთ, არც კი გაეგონათ ხომალდის სახელი მანამდე, სანამ მათთან არგოს ნავი არ მოვიდოდა, ეხლანდელი მცხოვრებლები დასცურავენ კიდეც, რამდენადაც შესაძლებელია და ვაჭრობაშიაც ნახულობენ დიდ სარგებლობას. ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, და რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონი სახე მიუციათ“.

ამ დახასიათების ერთ დეტალს -- არგონავტების სტუმრობამდე კოლხებმა ნავი რა იყო არ იცოდნენო -- თავად ბერძნული ტრადიცია არ ეთანხმება.

(**აკაკი ურუშაძე** 102): „პომპეიუს ტროგუსს (I ს.), როგორც ეს მარკუს იუნიანუს იუსტინუსის გადმოცემაშია დაცული, არგონავტების თქმულების საინტერესო დეტალი აქვს მოთხრობილი: ისტრების ტომი იმ კოლხთაგან წარმოიშვა, რომლებიც აიეტის ბრძანებით არგონავტებს დაედევნენ. არგონავტების მდევარი კოლხები პონტოდან ისტროსში შენავდნენ, გადაკვეთეს მდინარე სავა, არგონავტებივით მხრებით გადაიტანეს ხომალდი მთათა უღელტეხილებზე და ადრიატიკის სანაპიროზე, აქვილიაში (აწ. Aglar ზემო იტალიაში) დასახლდნენ. ისტრებად კი იწოდნენ მდინარე ისტროსისაგან, რომელშიაც ზღვიდან შემონავდნენ“.

როგორც ბერძნული მეხსიერება გადმოგვცემს, ნაოსნობის სიკეთე კოლხებს არგონავტებისაგან არ უსწავლიათ. ჩვენს ისტორიკოსებს კი ალბათ დაავიწყდათ აპოლონიოს როდოსელის, ლეგენდარული ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგებლის (ძვ. წ. III ს.) ცნობა, რომელიც ,,ფარნავაზის ეპოქაშია“ დაწერილი:

„აიეტზე უფრო მეტი მეფე არ არსებობს, მისდამი მოურიდებლობა არ იქნება კარგი. იგი, მართალია შორს ცხოვრობს, მაგრამ თუ მოინდომა ელადას ომს გამოუცხადებს“.

ამრიგად, VII საუკუნეს, სამეფო დაკარგულ იბერიისაგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე შემდგარი ლაზიკის (სამეგრელოს, საქართველოს დასავლეთის) სამეფო ეგებება და დგება ჟამი ლაზიკის (სამეგრელოს, საქართველოს დასავლეთის) დროშის ქვეშ, სრულიად კოლხეთის (სრულიად საქართველოს) გაერთიანებისა.

კვლავ გავიხსენოთ ბერძნული ისტორიოგრაფიიდან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილისეული დასკვნა VI საუკუნის ლაზიკის სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე:

,,სპარსეთმა ლაზიკა მაინც ხელში ვერ ჩაიგდო; ლაზიკა ისევ ბიზანტიელების მფარველობის ქვეშ დარჩა და საკუთარი მეფობა და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა შეინარჩუნა“.

ივანე ჯავახიშვილი აღიარებს, რომ VII საუკუნეს ლაზიკა საკუთარი, იბერიისაგან დამოუკიდებელი სამეფო ინსტიტუტით ეგებება და არც არასოდეს ემორჩილებოდა იბერიას. ამ თემას შემდგომ იგი, უკვე „ქართლის ცხოვრების“ პოზიციებიდან გამომდინარე, შემდეგნაირად ანვითარებს:

(ივანე ჯავახიშვილი): „პლინიუსისა, პტოლემაიოსისა და პროკოპი კესარიელის ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას ცოტა არ იყოს ის გარემოება არღვევს, რომ ეხლა იმ ადგილებში, სახელდობრ გურიასა და იმერეთში, მეგრული კი არა ქართულია გაბატონებული. გურულები და იმერლები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთი-ერთმანეთისაგან აშორებენ. ამისდა მიუხედავად ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა, მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ. მაგალითად: მთა ჯიხანჯირი (ჯიხა = ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი = მუხა), მდ. ოჩხომური (ო+ჩხომური, ჩხომი =

თევზი, როგორც ოკალმახე), ოჭილაური (ო-ჭილაური = საჭილაო), ჭყვიში, ჭყვიშაური, ჭანიეთი, მდ. გუბაზეული, მდ. კინტრიში, ონჭიკეთი, ონჯოხეთი, სოფ. ოცხანა გურიაში და სხვა. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომებს შეეძლოთ, მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო გურიაში კი არა, ეხლა ცხენისწყალი სამეგრელოს აღმოსავლეთის საზღვრად ითვლება; საგეოგრაფო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად: სოფ. ჯიხაიში (ჯიხა = ციხე), ჩხენიში, კულაში, ნაჯიხევი (= ნაციხევი). ქუთაისში არქიელის გორას `უქიმერიონს~ ეძახიან და ეს სახელი, როგორც პროკოპი კესარიელის ისტორიიდან ჩანს VI ს. უკვე ყოფილა; უქიმერიონი უდრის მეგრულს `ოხვამერი~-ს და სალოცავს ჰნიშნავს. ქუთაისის ჩრდილოეთიდაც მდ. რიონის მიდამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სჭეროდათ; იქაც ასეთი საგეოგრაფო სახელები გვხდება, როგორც მაგალითად: ჯიმასვარა (ჯიმა = ძმა), ოფურჩხეთი, ვანჭეიში, ტყვიში, ნაკორელეში, გვერიში, კორენიში, ოკრიბა და სხვა. თვით პლინიუსიც ამბობს: რიონი მეგრელების მიწაზე დიოდაო. საგეოგრაფო სახელების შესწავლა, მაშასადამე უეჭველ ჰყოფს, რომ მთელი ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს ტომებს ეკუთვნოდა“.

თითქოს სრული თანხმობაა ჩვენსა და ივანე ჯავახიშვილს შორის, ანუ სტრაბონიდან დაწყებული (I ს.), პროკოპი კესარიელის (VI ს.) ჩათვლით ლაზიკა დამოუკიდებელია, მაგრამ ამ ტექსტის შემდგომ მონაკვეთში ის აკეთებს თითქოსდა სრულიად გაუგებარ გაგრძელებას:

(**ივანე ჯავახიშვილი**): „ასე იყო, როგორც ჩანს სტრაბონის, პლინიუსის და პტოლემაიოსის თხზულებებიდან, პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთი ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ“.

ამ ტექსტის დასკვნით ნაწილში მხოლოდ სტრაბონის (I ს.), პლინიუსის (II ს.), პტოლემაიოსის (II ს.) მოხსენიებით და პროკოპი კესარიელის (VI ს.), აგათია სქოლასტიკოსის (536—582 წ.წ.) და სხვათა უგულვებელყოფით, ის ფაქტიურად სამეგრელოს დამოუკიდებლობას საზღვრავს მხოლოდ I—II საუკუნეებით და შემდგომ კი უკვე, „როგორც ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთი ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ“. შემდგომ ის არბილებს ამ უსაფუძვლო მტკიცების სიხისტეს და ასკვნის: „ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ“, თუმცა არ გვიხსნის სად გაქრნენ შემოჭრილი ქართველი ტომთაგანნი, ხოლო პროკოპი კესარიელი აგვიწერს, რომ საქართველოს დასავლეთი კვლავ სამეგრელოა:

(**სერგი მაკალათია** 40): „ლაზიკის სამეფოს ჰქონდა მდიდარი და ნოყიერი ადგილებიც, როგორიც იყო მაგალითად მოხირისი. ეს მხარე მდებარეობდა მდინარე ცხენისწყალსა და რიონს შუა. იგი შეიცავდა დაახლოებით სამტრედიის, ხონისა და ქუთაისის რაიონებს [ანუ ქვემო იმერეთი ჯ.კ.]. სახელწოდება მოხირისი (მუხურისის, მუხურის) დღესაც ცოცხალია სამეგრელოში: სოფ. მუხური (სენაკის რ-ნი), სოფ. მუხური ჩხოროწყუს რ-ნში, სოფ. მუხურჩა და სხვა. პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს:

„მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს [ნოქალაქევს] დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულს სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობენ, თუმცა ლაზიკის სხვა ადგილებზე არ შეიძლება ეს ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე სახელად რეონი (რიონი); მის სანაპიროებთან ძველადვე აუგიათ ციხე, რომელსაც კოტაიონს უწოდებენ ელინური ენით, ამჟამად კი მას ლაზები (მეგრელები ჯ.კ.) ქუთათისს ეძახიან“-ო.

ივანე ჯავახიშვილის მიერ, მსოფლიო ისტორიოგრაფიის მონაცემთა საწინააღმდეგოდ, ფაქტიურად სამეგრელოს იბერიისაგან დამოუკიდებლობის მხოლოდ I-II საუკუნეებით შემოსაზღვრა, იძულებითი ალოგიკური სვლაა. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ის საბოლოოდ აღიარებდა სამეგრელოს დამოუკიდებლობას პროკოპი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის პერიოდშიც, ანუ VI საუკუნის ჩათვლით, მაშინ საბოლოოდ ნადგურდებოდა ვახტანგ გორგასლის ეპოსი და მასთან ერთად „ქართლის ცხოვრებაც“ ხუხულასავით დაიშლებოდა, ეს კი არ შედიოდა ივანე ჯავახიშვილის მიზნებში; ამის დასკვნის უფლებას გვაძლევს ის რეალობა, რომ თუნდაც I—II საუკუნეთა სამეგრელოს სამეფოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა გაგრძელებულიყო შესაბამისი დაპირისპირებით ქართულ და ბერძნულ-რომაულ წყაროთა ჩვენებებს შორის, რასაც თავისთავად მოყვებოდა ქართულ ისტორიულ წყაროთა ნატყუარი ბუნების აღიარება, ხოლო ყოველივე ამას ივანე ჯავახიშვილმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გვერდი აუარა.

კვლავ უნდა გავიმეოროთ: -- ქართული ენის ბუნების არცოდნა და „ქართლის ცხოვრების“ ერთგულება ის პალოა, რომელზედაც მიბმულნი არიან ჩვენი ისტორიკოსები და ისინიც მხოლოდ იმ სივრცეს მიმოიხილავენ, რასაც ამ პალოზე მიბმული თოკის სიგრძე აძლევთ.

საბედნიეროდ, ლაზურ-მეგრული (წარმართული კოლხური) ენა ის იავნანაა, რომელმაც უნდა აღადგინოს ქართველი ერის ისტორიული მეხსიერება. ამ მოვლენის გარდუვალობას გრძნობდა ივანე ჯავახიშვილი:

(ივანე ჯავახიშვილი ქ. I 20): „ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველს ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ. მაგრამ შესაძლებელია შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურს ან სვანურს შტოს. ამის გამო ქართული ენა-კილოკავების შესწავლას ჩვენი ერის უძველესი წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდეც ყოველთვის“.

ასევე დაიმახსოვროთ, რომ იერუსალიმის იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, V საუკუნეში აშენებული მონასტერი, რომელშიც აღმოჩენილია უძველესი ქართული წარწერა, არის არა პეტრე იბერის მიერ აშენებული იბერთა მონასტერი, არამედ ლაზ-მეგრელთა მონასტერია და რასაც გვიდასტურებს ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის (482—565 წ.წ.) კარის ისტორიკოსის, **პროკოპი კესარიელის** ცნობა:

(**პროკოპი კესარიელი** 192): „იერუსალემში იუსტინიანემ შემდეგი მონასტრები განაახლა: წმინდა თალესესი, წმინდა გრიგოლისა... იბერთა მონასტერი იერუსალემში. **ლაზთა მონასტერი იერუსალემის უდაბნოში**“.

(**ნიკო ბერძენიშვილი** 539): „**ქართული წარწერა პალესტინიდან**, გ. წერეთელმა რომ გამოსცა, **მართლა „ლაზთა მონასტრისა" ხომ არ არის**?“.

დიახ, **უძველესი ქართული წარწერა პალესტინიდან ლაზთა მონასტრისაა**, ვინაიდან, ლაზიკა-სამეგრელოში (ჭოროხის ხეობაში) დაიბადა ქართული ენა და ქართულივე ანბანი.

აქ დამატებით მოგახსენებთ, რომ ჭეშმარიტების აღდგენის თვალსაზრისით სადღეისოდ გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა.

აკადემიკოს როინ მეტრეველის რედაქტორობით 2008 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ რუსულ ვარიანტში ჩართულია I—IV საუკუნეების საქართველოს რუკა, რომელშიც ქართლი და ეგრისი დამოუკიდებელ სამეფოებადაა წარმოდგენილი და გამყოფ საზღვრად ლიხის ქედია აღიარებული. ეს მაშინ როდესაც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით საქართველოს დასავლეთი (ეგრისი) „ფარნავაზის (ძვ. წ. IV ს.) დროიდან“ მოყოლებული მხოლოდ ქართლის საერისთაოებს წარმოადგენდნენ. მართალია ამ რუკაზე ჯერჯერობით ტაო-კლარჯეთი კვლავ იბერიის შემადგენლადაა ჩათვლილი, მაგრამ ნაწილობრივი პროგრესი მაინც სახეზეა. ნაწილობრივ იმდენად, რამდენადაც დღევანდელი საქართველოს აკადემია ვერ ბედავს განაცხადოს, რომ საქართველოს დასავლეთი (სამეგრელო) არასოდეს არ ეპყრა იბერიას და იფარგლებიან მხოლოდ I—IV საუკუნეებით. ამით ისინი დროებით მაინც თავს არიდებენ ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის ნატყუარი ისტორიების გამოაშკარავებას და ვფიქრობ, დაინტერესებულ ქართულ საზოგადოებას თანდათანობით აჩვევენ, რომ მთლად ისე არ იყო საქმე, როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ წერიაო.

არაბობა საქართველოში

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრეს უარყოფით თვისებას ისტორიულ მოვლენათა ობიექტური ხედვის და შესაბამისი ანალიზის უნარის არარსებობა წარმოადგენს. ამის პირდაპირი შედეგი კი ის გახლავთ, რომ ჩვენს წინაპართა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისეული გამოცდილება ჩვენთვის უსარგებლო გამხდარა და ყოველ ახალ ეპოქალურ მოვლენას მოუმზადებელნი ვხვდებით, არადა არაფერი ისეთი ახალი არა ხდება რა ჩვენს გარშემო, რომ მოულოდნელი იყოს კოლხეთის წარსულით ნაცხოვრები ხალხისთვის.

ქართველ ერს წარმოდგენა არ გააჩნია იმის თაობაზე თუ რა რეალურად არსებულმა ისტორიულმა ვითარებებმა გახადა შესაძლებელი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჯერ წარმოქმნა და შემდგომ მისი დაშლა. დღევანდელი ეროვნული ცნობიერებით ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობას საფუძველი ნატყუარი ,,ქართლის ცხოვრების“ მითიურმა ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) ჩაუყარა, რომელსაც მანამდის ნადირობისას გამოქვაბულში სახელმწიფოს ასაშენებლად აუცილებელი განძი ,,აღმოუჩენია“. ალიბაბამ და გრაფ მონტე კრისტომაც აღმოაჩინეს გამოქვაბულებში საუნჯეები, მხოლოდ, ლიტერატურული ზმანებებით სახელმწიფოს ვერ ააშენებ და შევუდგეთ იმ რეალურ ისტორიულ მოვლენათა მოკლე ანალიზს, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ჩვენ დავადგინეთ, რომ მსოფლიო ისტორიოგრაფიით სრულიად საქართველო, დღევანდელი გაგებით, არათუ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, არამედ ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნეშიც არ შემდგარა და დროის ამ მონაკვეთში მომავალ ერთიან საქართველოს ლაზიკა, იბერია და ალბანეთის დასავლეთი (ჩვენი ალბანეთი) დანაწევრებულად წარმოადგენენ. ანუ მსოფლიო იტორიოგრაფიაში ძვ. წ. III საუკუნიდან დაწყებული VI საუკუნის ჩათვლით ლაზიკასა და იბერიას შორის, სახელმწიფოებრივ დონეზე, არავითარი პოლიტიკური კავშირი არაა დაფიქსირებული, გარდა იმ ფაქტებისა, როცა დევნილი იბერი დიდებულები თავს ლაზიკას აფარებდნენ. იგივე მსოფლიო ისტორიოგრაფიის მონაცემებით, ,,ქართლის ცხოვრების“ ავტორთა საწინააღმდეგოდ, VI საუკუნის დამლევისათვის ლაზიკას (საქართველოს დასავლეთს) არათუ შენარჩუნებული აქვს სახელმწიფოებრიობა, არამედ რეგიონის ცალსახა ლიდერია და აღმავლობის გზაზეა შემდგარი, ხოლო სამეფო გაუქმებულ იბერიას, ასევე ,,ქართლის ცხოვრების" ავტორთა საწინააღმდეგოდ, განსაცდელის ჟამი უდგას.

იმის აღსაქმელად, თუ რამ განაპირობა VI საუკუნისათვის ერთი და იგივე ხალხის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გაერთიანების, ლაზიკისა და იბერიის სრულიად განსხვავებული მდგომარეობა, ანუ რა პოლიტიკურმა ძალებმა განსაზღვრეს სამეგრელოს აღზევება და იბერიის სამეფო ხელისუფლების გაუქმება, ხოლო შემდგომ სამეგრელოს დროშის ქვეშ კოლხურ ტომთა გაერთიანება, საქართველოს წარმოქმნა, დავამკვიდროთ ახალი მცნება ,,პოლიტიკური ველი“. ყოველ სახელმწიფო წარმონაქმს გააჩნია საკუთარი პოლიტიკა. დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური ნება, პოლიტიკის ძალა, მისი ძლიერებისდა მიხედვით, სცილდება მათ სახელმწიფოებრივ საზღვრებს და ამ ძალის მოქმედების არეალს, სივრცეს ,,პოლიტიკური ველი“ ვუწოდოთ.

მცირე სიძლიერის სახელმწიფოები მუდამ ექცევიან დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური ველის მოქმედების არეალში და უმეტესად არა ერთის, არამედ რამოდენიმე პოლიტიკურ ველთა გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მაგალითად, VII საუკუნისათვის, ლაზიკაც და იბერიაც ერთდროულად ბიზანტიის, სპარსეთისა და ხაზარეთის პოლიტიკურ ველთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მცირე

სახელმწიფოებზე პოლიტიკურ ველთა ზემოქმედება მსგავსია ჰაერის ნაკადში მოხვედრილი ბუმბულის ფრენისა. ჰაერის სხვადასხვა ნაკადის სიძლიერეზე დამოკიდებული ბუმბული ხან მაღლა ავარდება მსგავსად ლაღად მფრინავი ჩიტისა, ხან ნარნარად ფარფატებს ცაში და ხან წამიერად გაქრება თქვენი თვალთახედვიდან. აფრიანი ხომალდის კაპიტნის გამოცდილება იმაში გამოიხატება, რომ შემხვედრი ქარის ძალა საკუთარი ეკიპაჟის მიზნებისათვის გამოიყენოს, ანუ ქვეყნის მმართველთა უმთავრეს მიზანს გარე პოლიტიკურ ველთა ძალების საკუთარი ერის ინტერესთა დასაცავად წარმართვა წარმოადგენს. ცხადია პოლიტიკურ ველთა გავლენის ძალა, მიზნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ჩვენს შემთხვევაში, მათი მოქმედების შედეგები ლაზიკისა და იბერიის მიმართებით ცალ-ცალკე განვიხილოთ.

ბერძნული მეხსიერების დიდი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის დაშლა მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. II—I ს.ს.) დროს ფიქსირდება, როცა ჩნდება მცნება ,,ზედა და ქვედა კოლხეთი". სტრაბონისა (I ს.) და არიანეს (II ს.) აღწერით დიდი კოლხეთის სამეფო დანაწევრებულია რამოდენიმე სამეფო-სამთავროებად. ესაა კოლხეთზე რომაელთა ბატონობის პერიოდი და მათი საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური დევიზის ,,დაყავი და იბატონეს“ პირდაპირი შედეგი. ამ პოლიტიკამ განსაზღვრა კიდეც II საუკუნეში კოლხეთის ტერიტორიაზე ადიღური აბაზა ტომის ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრის შესაძლებლობაც. რომის იმპერიის სიძლიერის პერიოდში, რომის იმპერიის პოლიტიკური ველის გავლენის პერიოდში, კოლხეთის სახელმწიფოებრიობას აღმავლობა არ ეწერა და ეს ასეც გრძელდება IV საუკუნემდე, სანამ მსოფლიო სცენაზე არ გაბრწყინდება საქართველოს მფარველი პოლიტიკური ველის მატარებელი ბიზანტია (აღმოსავლეთ რომი).

ცნობილი ბიზანტიოლოგის რობერტ ბაირონის წარმოსახვით, ბიზანტია წარმოადგენდა რომაული სხეულის, ბერძნული გონებისა და აღმოსავლური მისტიური სულის შერწყმას.

ბიზანტიის მცნება მჭიდროდ უკავშირდება რომში ქრისტეანული რწმენის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. დროა სრულად აღვიქვათ, რომ ბიზანტიის პატრონაჟის ქვეშ გარდაიქმნა წარმართული კოლხეთი ქრისტეანულ საქართველოდ, რომ ქრისტეანული საქართველო ბიზანტიური სამოთხეა, დიდი ბიზანტიის პირმშო და ეს გახლავთ ჩვენი ერის როგორც რეალური წარმატება, ასევე მისი რეალური ნაკლიც. წარმართული კოლხეთის ქრისტეანულ კოლხეთად (საქართველოდ) გარდასახვა ლაზიკაში დაიწყო.

როგორც მოგეხსენებათ, რომის იმპერია IV საუკუნის მეორე ნახევარში გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ რომებად. აღმოსავლეთ რომს მოგვიანებით ბიზანტია ეწოდა და მისი პირველი იმპერატორი გახლდათ არკადიუსი (395—408 წ.წ.). ლაზიკა, როგორც ერთიანი რომის გავლენის ქვეყანა, ავტომატურად აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენელი ნაწილი. წამყვან როლს იმპერიის ცხოვრებაში ბერძენი მოსახლეობა ასრულებდა. სახელმწიფო ენა IV—VI საუკუნეებში ლათინური იყო, VII საუკუნიდან – ბერძნული. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლხეთი თანდათანობით კარგავს თავის თვითმყოფადობას და ბერძნული ცივილიზაციის უძლიერესი გავლენის ქვეშ ექცევა, ხდება ამ ცივილიზაციის შემადგენელი. რომაული სამყარო, თავისი ბიზანტიით, ასევე ბერძნული ცივილიზაციის გაგრძელებას წარმოადგენდა და ამდენად ჩვენ მზად ავღმოჩნდით ბიზანტიურ კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობებისათვის მისი აღმოცენების პირველივე დღეებიდან.

ბიზანტიის მოსახლეობა ჭრელი იყო (ბერძნები, სირიელები, კოპტები, სომხები, ებრაელები, მცირე აზიის ელინიზირებული ტომები, თრაკიელები, დაკები, გუთები,

სლავები, არაბები, პაჭანიკები და სხვ.), რაც ბიზანტიის არსებობის საწყის პერიოდში მაინც განსაზღვრავდა კიდეც ბიზანტიის დემოკრატიულ განწყობას სხვა ხალხთა მიმართებით. ამ კუთხით ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) პოლიტიკა დიამეტრალურად განსხვავდებოდა დასავლეთ რომის პოლიტიკისაგან. დასავლეთ რომი მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ქრისტეანული რელიგიის პროპაგანდას, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა სახის ურთიერთობებს მხოლოდ და მხოლოდ ლათინური ენით აწარმოებდა. ცნობილია ფაქტები როცა რომ ბიბლიის ინგლისურ ენაზე მთარგმნელებს კათოლიკები წვავდნენ. ამ მკაცრი პოლიტიკის შედეგად შუა საუკუნეების ეპოქაში (V—XV ს.ს.) სალიტერატურო ლათინური დასავლეთ ევროპის ხალხთა ინტელექტუალური და მხატვრული კულტურის ენა იყო. ასევე რომაელთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე რომაელთა ლათინური ენის გავლენით წარმოიშვნენ რომანული ენები -- იტალიური, ფრანგული, პროვანსული, ესპანური, კატალონური, პორტუგალიური. რუმინული, მოლდავური... რომის ამ შეუვალმა ცენტრალიზირებულმა რელიგიურმა, კულტურულმა პოლიტიკამ დადებითი შედეგი გამოიღო და ძირითადად განსაზღვრა კიდეც ევროპის როგორც ერთიანი ფსიქოლოგიურ-კულტურული, ქრისტეანული სივრცის მომავალი.

ბიზანტიის კულტურული პოლიტიკა, დასავლეთ რომის საპირისპიროდ, ხელს უწყობდა მასზე დამოკიდებულ ქვეყნებში ადგილობრივი მეტყველების განვითარებას, მიზანი ნათელია -- რათა მათ მშობლიურ სამყაროში უკეთ აღიქვან ქრისტეანული მოძღვრების არსი. ამ ორი განსხვავებული პოლიტიკის უთვალსაჩინოესი მაგალითია ანბანთა სისტემები. დასავლეთ რომის დაქვემდებარებულ ქვეყნებში, დღევანდელ მაღალგანვითარებულ დასავლეთ ევროპაში, ერთადერთი ლათინური ანბანი მოქმედებს, რომელიც სრულად ვერ გამოსახავს ევროპელთა მეტყველებისათვის აუცილებელ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ბგერების რაოდენობას და ამიტომაცაა, რომ ფრანგებს, ინგლისელებს, გერმანელებს... ჩვენთვის საოცრად რთული დამწერლობა გააჩნიათ, ანუ „ერთს წერენ და მეორეს კითხულობენ“.

განსხვავებით დასავლეთ რომის იმპერიისაგან, ბიზანტიის დაქვემდებარებულ ქვეყნებში ანბანთა პარადია, ანბანთა წვიმაა.

(**В. А. Истрин** 303): „единственным религиозным и научно-литературным языком в западнохристианских странах стал в средные века латинский язык и единственной системой письма – латинское письмо. Наоборот, в востчнохристянских странах свободно возникали и развивались различные системы письма. Лишь в качестве основы обычно использовалось греческое письмо. Ето укрепляло связи Византии с восточнохристянскими странами“.

(**В. А. Истрин** 304): „очень усилившееся к середине I тысячалетия н. э. дробление восточного христианства на сект (несторянскую, якобитскую), а также возникновение сект (манихейской, мандейской, езидской), пытавшихся сочетать христианство с злементами зороастризма и других религий, приводило к дроблению и соответствующих систем письма. Почти каждая восточная секта, едва оформившись, старалась обособиться во внешнем, культовом отношении как от официальной византийской церкви, так и от других сект. В частности каждая восточная религиозная секта стремилась к созданию собственной системы письма, графически не похожей на все прочие, чтобы даже по внешнему виду ее богослужебные книги можно было легко отличить от книг иных, неправедных учении.

Правда стремление к культовому обособлению было свойственно не только восточным, но и западнохристианским сектам. Однако на западе появление новых сект и ересей – альбигонцев, табаритов, вальзенсов, гуетов, позднее калвинистов, индепендентев, анабаптистов и других – никогда не приводило к возникновению графически новых систем письма. **Такая разница между западным и восточным христианством в значительной мере была обусловлена разной языковой политикой Рима и Византии“.**

ამრიგად, ბიზანტიის დაქვემდებარების ქვეყნებში ანბანთა პარადია და ანბანებს ქმნიან არა მარტო ერები, არამედ მცირერიცხოვანი სექტებიც. თითოეული მათგანი ცდილობს თუნდაც გრაფიკულად მაინც განასხვავოს საკუთარი ანბანი დანარჩენებისაგან. ბიზანტიის პოლიტიკის შედეგია ალბანური, ჰაიკური, სლავური... და რასაკვირველია, ქართული ქრისტეანული ანბანი. დიახ -- ქართული ქრისტეანული ანბანი, ვინაიდან მსოფლიო ისტორიოგრაფიით (აპოლონიოს როდოსელი -- ძვ. წ. III ს.) კოლხებს (ქართველებს) წარმართული პერიოდის დამწერლობა გაგვაჩნდა.

ბიზანტიის ზრუნვა მასზე დაქვემდებარებულ ქვეყნებზე სხვადასხვა სახით ვლინდებოდა. მაგალითად, პროკოპი კესარიელის ცნობით, ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I დიდმა (482—565 წ.წ.) განაახლა ლაზთა მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში, იბერთა მონასტერი იერუსალიმში, აბაზებს ბიჭვინთაში ტაძარი აუშენა, არმენიაში საკულტო დანიშნულების შენობები ააგო... საქართველოს ბიზანტიურ სამოთხედ მივიჩნევ იმის გამო, რომ თავად ჩვენი მართლმადიდებლური (ბიზანტიური) რწმენა, ეკლესიათა ბიზანტიური ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, ხატწერა, მინანქარი, ანბანი... მიუხედავად მათი გამოკვეთილი ეროვნული ბუნებისა, ბიზანტიური სამყაროს კუთვნილებაა და მის მშვენებას წარმოადგენს.

ბიზანტიის პოლიტიკური ველის მფარველი ბუნების შედეგად დაიბრუნა ლაზიკამ (სამეგრელომ) სკვიმნია (ლეჩხუმი), აფშილეთი, აღადგინა თავისი ძალაუფლება სვანეთზე და დაიმორჩილა კოლხეთის ტერიტორიაზე ახლად წარმოქმნილი აბაზეთი (ბერძ. აბასგია). ბიზანტიასა და ლაზიკას შორის წამოჭრილი სადავო საკითხები საერო ადმინისტრაციათა მუშაობის ლაფსუსებს მეტად წარმოადგენდნენ, ვიდრე სერიოზული პოლიტიკურ-რელიგიური სახის უთანხმოებებს.

ერთმორწმუნე საქართველოსადმი ბიზანტიის პოლიტიკური ველის მფარველი ბუნების უთვალსაჩინოესი მტკიცება გახლავთ ის ისტორიული რეალობა, როცა XV საუკუნეში, ბიზანტიის დაცემის შემდგომ, საქართველოში ბიზანტიური მფარველი პოლიტიკური ველის ნაცვლად, მისი სახელმწიფოებრიობისადმი მტრულად განწყობილი თურქული პოლიტიკური ველი განივრცო, საქართველო უსწრაფესად, „მეორე დღესვე“ რამოდენიმე წვრილ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ანუ თურქეთმა საქართველოს მიმართებით კვლავ აღადგინა რომაელთა „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკური პრინციპი. რასაკვირველია საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლაში თავად ქართველებში არსებულმა სეპარატისტულმა ძალებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

სრულიად განსხვავებული სპარსული პოლიტიკური ველის პირობებში მოუწია არსებობა იბერიასა და ჩვენს ალბანეთს. ისევე როგორც გასულ XX საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ორჯერ იქნა შესაძლებელი და ორივეჯერ რუსეთის, ჯერ მეფისა და შემდგომ კომუნისტური იმპერიების დაშლის შედეგად, საქართველოს აღმოსავლეთით ჯერ სახელმწიფოებრიობის ჩასახვა და შემდგომი

აღზევება, სპარსეთის იმპერიის ასევე ორჯერ ხანგრძლივი მარცხით იყო განპირობებული.

პირველი ხანგრძლივი მარცხი სპარსეთმა ალექსანდრე მაკედონელისაგან იგემა (ძვ. წ. 330 წ.), რომლის შედეგად სპარსეთის იმპერია რამოდენიმე ახლად წარმოქმნილ, ადრე არარსებულ, შემდგომ ეგრეთწოდებულ ელინისტურ სამეფოებად დაიყო, რომელთა შორისაც იყო იბერიის, არმინიის, ალბანეთის, პონტოსა და პართიის სამეფოები. ამ ისტორიულ ვითარებაში ახლად წარმოქმნილი იბერიის სამეფო დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა ახ. წ. 224 წლამდე, როცა პართიაზე დამოკიდებულმა ფარსის გამგებელმა არდაშირ პაპანაკმა ორმოზდაგანის ველზე დაამარცხა უკანასკნელი პართელი მეფე არტაბან V და 226 წელს სამეფო გვირგვინი დაიდგა. წარმოიშვა სასანიანთა სახელმწიფო, ანუ ხანგრძლივი მარცხის შემდგომ კვლავ აღსდგა სპარსეთის ნაციონალური ბუნების სახელმწიფებრიობა. არდაშირ პაპანაკის ვაჟმა შაპურ I (242-272 წ.წ.) დაამარცხა რომი და ამ გამარჯვების უკვდასაყოფად ამოჭრილ იქნა ცნობილი შაპურის წარწერა. ამ ტექსტის მიხედვით იბერია, არმენია, ალბანეთი კვლავ სპარსეთის შემადგენელი მხარეებია და მეფეებად სპარსი დიდებულები სხდებიან. არმინიაში (და არა არმენიაში) -- შაჰინშაჰის ვაჟი ჰორმიზდ-არდაშირი, ხოლო იბერიაში – სასანიდელთა უმცროსი შტოს წარმომადგენელი ამაზასპი. ამის შემდგომ იბერიის მეფეებს შაჰრდარი (სამეფოთა მფლობელი, მეფის ხელისუფლების მატარებელი) ეწოდებოდათ. სასანიდური სპარსეთის სამეფო კარმა მკაცრი კონტროლი დაუწესა მის ქვემდებარე ქვეყნებს.

ამ თემის შედარებით ვრცლად წარმოჩენა სასურველია რათა უკეთ გავიაზროთ თუ რამ განაპირობა საქართველოს აღმოსავლეთით, მისი ბიზანტიასთან მიერთების შემდგომ, საქართველოს დასავლეთელ დიდებულთა აღზევება.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 320): „სპარსელებმა რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა გააუქმეს, ქვეყნის უზეანეს გამგედ და თავის წარმომადგენლად მარზპანი დანიშნეს. მარზპანი სპარსული სიტყვაა და „მარზ“-ის (საზღვარსა ნიშნავს) მცველს („პან“) აღნიშნავს და ქართულ საგამგეო თანამდებობას „მონაპირე“-ს უდრის. **თუმცა სპარსელი მარზპანი იბერიაში სამეფოს არსებობის დროსაც ჰყავდათ. მაგ. 439—457 წლების განმავლობაში ქართველთა მარზპანად ვასაკ სივნიელი ყოფილა**. მაგრამ ეს მოხელე სასანელთა გვარის წარმომადგენლად ითვლებოდა ქართველთა მეფის წინაშე. მეფობის მოსპობის შემდგომ კი მას ქვეყნის უზეანესი მართვა-გამგეობაც ებარა. 540—1 წ. ქართლისა მარზპანად ყოფილა არვანდ გუშნასპ. ხოლო მის მოადგილედ 544—5 წ. გამოუგზავნიათ ვეჟან ბუზმილ

მარზპანის ხელში იყო ხარკი და სხვაგვარი გარდასახდი: მას ემორჩილებოდა ადგილობრივ ჩაყენებული სპარსელთა ჯარი და დაბალ წოდებათა უზეანესი გასამართლების, სიკვდილ-სიცოცხლის, უფლება ჰქონდა. მოწინავე წოდების გასამართლება მას არ შეეძლო. მუდმივი ბინა მარზპანს ქ. თბილისსა ჰქონია.

მარზპანს ემორჩილებოდნენ სამეფოს სხვადასხვა ციხე-ქალაქების ციხისთავები, მაგ., მცხეთისა ციხისთავი, რომელსაც სპარსელი მხედრები ჰყავდა ხელქვეით. ციხისთავს სასამართლო საქმეების გამოძიების უფლებაც ჰქონდა და მსუბუქი დანაშაულობის შესახებ მსჯავრის დადებაც შეეძლო. ხოლო როცა ბოროტმოქმედება სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მაშინ ციხისთავს დამნაშავე გამოძიებული ცნობებითურთ მარზპანთან უნდა გაესტუმრებინა. **სპარსეთის მოხელეები—მარზპანი და ციხისთავები, ქვეყნის ბატონებად იყვნენ**“.

ცოდნა, რომ იბერიას არაქართველები მართავდნენ, შემორჩენილია „ქართლის ცხოვრები“-ს ფურცლებზე:

(ივანე ჯავახიშვილი VIII 186): „[ლეონტი მროველი] ფიქრობდა, რომ აზნაურები ნამდვილი ქართველები, „ქართლოსიანნი"-კი არ არიან, არამედ გაქართველებული უცხოელები, რომ თავანკარი ქართველები, მდაბიო, უპირატესობას მოკლებული ხალხი იყო“.

დგინდება, რომ შაპურ I მმართველობიდან (242-272 წ.წ.) დაწყებული იბერიაში ადგილობრივი მმართველობა მაქსიმალურად შეზღუდულია და ფაქტობრივად ქვეყანას სპარსი მოხელეები მართავენ. ხოლო V საუკუნის პირველი ნახევრიდან სამეფო ინსტიტუტის გაუქმებით იბერია სპარსეთის რიგით პროვინციად იქცა. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ვახტანგ გორგასლის მეფობა მისტიფიკაციის სფეროდ მიმაჩნია, იბერიაში სასანიდური სპარსეთის მმართველობის ასეთი მკაცრი პოლიტიკის არსებობაა, რომლის დროსაც ადგილობრივი ძალებით შეუძლებელი იყო წარმატებული წინააღმდეგობის გაწევა და რაც დადასტურდა კიდეც თქვენთვის უკვე ცნობილი ისტორიული გურგენ მეფის მაგალითით. იბერიის კანონმდებლობას, ყოველდღიურ ცხოვრებას, ურთიერთობათა ყველა დონეზე სპარსული ადმინისტრაცია, სპარსული სამხედრო ძალა აკონტროლებდა. ხოლო V საუკუნიდან ადგილობრივი დიდებულები მხოლოდ საკუთარი ოჯახების ინტერესთა დაცვით თუ იფარგლებიან. იბერები გარდა ადმინისტრაციული უუფლებობისა, ასევე ხშირად სპარსელთა მხრიდან რელიგიურ ზეწოლას განიცდიდნენ.

სანამ VII საუკუნის დასაწყისისთვის ბიზანტია იბერიას შემოიერთებდა, ანუ ლაზიკა და იბერია ერთიანი ქრისტეანული ბიზანტიის სახელმწიფოს სივრცეში მოექცეოდნენ, თითქმის ორი საუკუნე იბერიაში მოშლილი იყო ადგილობრივი ეროვნული თვითმართველობის ინსტიტუტი. იბერიის შემოერთების შემდგომ, ბიზანტიას იბერიის სამართავად მისი კანონმდებლობის მცოდნე მოხელეები ესაჭიროებოდა და ამისათვის მათ მოხელეები ბიზანტიიდან კი არ მოიხმეს, არამედ ლაზი დიდებულები შეარჩიეს. სპარსი მოხელეები, ძირითადად, ლაზი დიდებულებით შეიცვალნენ. ამის განხორციელებას უმთავრესად ხელი იმან შეუწყო, რომ ლაზები და იბერები ერთ კოლხურ ერს წარმოადგენდნენ და იბერთათვის ლაზი დიდებულები უცხო დამპყრობლებთან არ ასოცირდებოდნენ. ლაზებისა და იბერების ადრე არსებულ მჭიდრო სულიერ ურთიერთობებზე მიგვანიშნებს ბოლნისის სიონის ქართული წარწერა, ანუ IV საუკუნის მეორე ნახევარში ლაზიკაში დაბადებული ქართული ენა, უკვე V საუკუნის იბერიაში მოქმედებს. ადმინისტრაციულად სპარსეთს დაქვემდებარებული იბერია, ლაზიკასთან ერთად, სულიერად მუდამ ქრისტეანულ, ბიზანტიურ სამყაროს განეკუთვნებოდა.

(**პროკოპი კესარიელი** 21): „იბერები, რომელნიც აზიაში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის. მათ მარცხნივ კი დასავლეთით არის ლაზიკე, ხოლო მარჯვნივ, აღმოსავლეთით, ცხოვრობენ სპარსელთა ტომები. ისინი (იბერები) ქრისტიანენი არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველითგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან. მაშინ კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისთვის გადაეგდო“.

საბედნიეროთ, სპარსელთა მხრიდან რელიგიურ ზეწოლას კამპანიური ხასიათი გააჩნდა და მართალია იბერებს წაერთვათ სამეფო ხელისუფლება, მაგრამ რელიგიური მრწამსი შეინარჩუნეს. მაგალითად ბოლნისის ტაძარი სპარსეთის მბრძანებლის პეროზის (458-484) მეფობის ჟამსაა აშენებული და უთუოდ მისი ნებართვითაც. ანუ ბოლნისის ცნობილ წარწერაში რეალური ისტორიული პეროზია მოხსენიებული და არა ზღაპრული ვახტანგ გორგასალი.

VII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ბედიღბალი წყდებოდა არა მარტო ბიზანტიურ და სპარსულ პოლიტიკურ ველთა ურთიერთობის სივრცეში; ჩრდილოეთიდან იჭრება ხაზართა ძლიერების ეხო. დასაწყისში ხაზარები ბიზანტიელებთან ამყარებენ კავშირს და ჰერაკლე კეისართან ერთად სპარსელებს ებრძვიან. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბიზანტიამ შესძლო ჯერ ლაზიკედან სპარსთა განდევნა და ჰერაკლე კეისრის წარმატებულ ლაშქრობათა შემდგომ იბერიის ბიზანტიასთან, ქრისტეანულ სამყაროსთან შემოერთება. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო ვინაიდან სპარსეთი ამ მარცხს არ შეურიგდებოდა და ლაზიკე, იბერია დიდხანს იქნებოდა ბიზანტიისა და სპარსეთის საბრძოლო პოლიგონი. სპარსეთმა, რომელმაც XIII საუკუნეში, მონღოლთა მეშვეობით, კვლავ აღიდგინა დიდი ხნით დაკარგული სახელმწიფოებრივი სიძლიერე, იმ წამსვე იბერია (საქართველოს აღმოსავლეთი) საკუთარი გავლენის სფეროში მოაქცია. ამრიგად, როგორ დამთავრდებოდა ბიზანტიისა და სპარსეთს შორის ლაზიკესა და იბერიის გარშემო დაუსრულებელი დავა – დაუდგენელია, რომ კავკასიაში არ გამოჩენილიყო ერთიანი საქართველოს მფარველი არაბთა პოლიტიკური ძალა.

სადღეისოდ საქართველოში ლამის ჩვილ ბავშვებში ინერგება აბსოლუტურად დაუმსახურებელი უარყოფითი დამოკიდებულება მცნება არაბობის მიმართებით, ნაცვლად იმ დიდი სიკეთის შეგნებისა რაც ამ ხალხმა ჩვენს წარსულ სინამდვილეში შეასრულა. ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმოცენება და გაძლიერება, უპირველესად, არაბულმა პოლიტიკურმა ველმა განსაზღვრა.

ვიდრე შევუდგებით საქართველოზე არაბული პოლიტიკური ველის ზემოქმედების რეალური შედეგის ანალიზს, გავიხსენოთ თუ როგორ გაუკუღმართებულად წარმოგვიდგენენ ჩვენი ნატყუარი ისტორიული წყაროები არაბთა შემოსვლას მომავალ საქართველოში, ანუ იბერიასა და ლაზიკეში.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით სპარსელებთან მებრძოლ ჰერაკლე კეისარს (575—641 წ.წ.) თავის დროზე, „ნათელმხილველმა“ მონაზონმა, რამოდენიმე საუკუნით ადრე, სპარსეთიდან გაქცევა ურჩია – „ილტვოდე, რამეთუ უფალმა მისცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა“. ამ ცნობას ისე დაუშინებია ქართლის დიდებულები, რომ არაბთა გამოჩენისთანავე სასწრაფოდ მიუტოვებიათ სამშობლო და რისი დაჯერებაც დაუშვებელია. ქართლის ერისმთავარს სტეფანოზს, შვილებით არჩილითა და მიჰრით, დიდი ამალით, ტრადიციისამებრ, სამეგრელოსთვის შეუფარებია თავიო, თითქოს სამეგრელოს არაბთაგან დაცვის გარანტია გააჩნდა.

(**ქართლის ცხოვრება** I 149): „რამეთუ მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა ყრუ მურვან, ძე მომადისი... და ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავთანი ერისთავთა და წარჩინებულთანი, შევიდოდეს კავკასიად და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან მურვან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა, დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა. და ვითარცა ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისისანიცა. და

ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე, საზღვარი კლისორისა... და ვითარცა შევლო ყრუმან კლისორა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი...

ხოლო იქმნა მას ჟამსა შინა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა: რამეთუ არღარა იპოებოდა ნაშენები და არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლად".

სამწუხაროდ ჩვენი ისტორიის მწვალებლები არ გვიხსნიან თუ რამ გაამწარა არაბები კავკასიის მიმართებით და, განსაკუთრებით, ისეთი რა დაუშავეს იბერიელმა დიდებულებმა, რომ მათი გულისთვის სამეგრელო მიწასთან გაუსწორებიათ და აბაზეთსაც მისწვდომიან. რასაკვირველია, ეს ცნობა თავიდან ბოლომდე ტყუილია და ჩვენ რომ ამის მტკიცება გვიწევს, ეს ჩვენი დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის, ქართველი არაბისტების რიგითი სირცხვილია. მტკიცება დავიწყოთ იმით, რომ არაბი დიდებული მერვან II (და არა მურვან ყრუ) საქართველოში VIII საუკუნეში შემოვიდა და არა VII საუკუნეში.

(**ივანე ჯავახიშვილი** II 78): „ქართველი ისტორიკოსის ეს ლაშქრობა არაბთა თითქოს პირველ ლაშქრობად აქვს წარმოდგენილი კავკასიში, მაგრამ ეს შეცდომაა... მურვანი არის მერვან II, რომელიც მართლაც მოჰამედის შვილი იყო. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, მურვანი 729—730 წლებში ყოფილა გამოგზავნილი... ამგვარად, ცხადია, რომ ჯუანშერის ცნობა ეხება მერვე საუკუნის პირველი მეოთხედის ამბებს და არა არაბთა პირველი ლაშქრობის ისტორიას საქართველოში, რომელიც მოხდა მეშვიდე საუკუნეში, როგორც შეიძლებოდა თითქოს გვეფიქრა ჩვენი მემატიანის მოთხრობის მიმდინარეობისდა მიხედვით... საფუძვლიანი ეჭვი ამის შესახებ უკვე მ. ბროსეს ჰქონდა".

ეს შეცდომა არ გახლავთ, ეს მორიგი ისტორიის გაყალბების სურვილია. არაბ დიდებულს მერვანს სამეგრელოში (საქართველოს დასავლეთში) არ ულაშქრია.

(**ივანე ჯავახიშვილი** II 79): „ჯუანშერი ამასთანავე ამტკიცებს, რომ მურვანს დაუპყრია აგრეთვე ეგრისის ციხეები და აიღო „კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღუარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი, მოადგა ციხესა ანაკოფიისასა"... **სამწუხაროდ არც არაბ, არც სომეხ, არც ბიზანტიელ ისტორიკოსებს მურვანის ლაშქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, ეგრისსა და აფხაზეთში, არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო, რამდენად სამართლიანია ზემოთმოყვანილი ამბავი**".

მერვან II მოჰამედის შვილს არც იბერია (საქართველოს აღმოსავლეთი) აუოხრებია. არაბი ისტორიკოსის ბელაძორის გადმოცემით:

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 79): „მურვანს ხალიფა ჰიშამის ბრძანებისაებრ მთელის თავის მხედრობით ქსნით დარიალანის ხეობა და კარი გაუვლია და ხაზარნი დაუმარცხებია, იმიერ-კავკასიითგან ერთი ტომი გადმოუყვანია და კახეთში დაუსახლებია. ხოლო 737—742 წლებში ძლევამოსილი ლაშქრობა ჰქონია კავკასიაში და იმიერ-კავკასიაში, ისე რომ დაუმორჩილებია და გაუმაჰმადიანებია, რასაკვირველია ძალით, ხაზარნი, აუღია დაღესტნის მთელი ქვეყანა, სამურის სანახები და შაბირანი, ლეკეთი, ტაბასარანი და დიდოელნი".

მერვან II მოჰამედის შვილმა იბერიაში ორჯერ არა სამტროდ, არამედ იბერიის ჩრდილო საზღვრის, ანუ ხალიფატის ჩრდილო საზღვრის ხაზართა თავდასხმებისაგან დასაცავად ილაშქრა კავკასიაში, ანუ არაბებმა პირნათლად შეასრულეს ქართველებთან დადებული ხელშეკრულების -- „დაცვის სიგელის" პირობები. აღვიდგინოთ იბერიაში არაბთა შემოსვლის რეალური ვითარება.

(**ქ.ს.ე.** I ტ. 522): „არაბთა დაპყრობითი ომები გაჩაღდა საღვთო ომების ლოზუნგით 633 წლის ბოლოს, როცა სასანიანთა ირანისა და ბიზანტიის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 637 წელს კადისიასთან დაამარცხეს ირანის ლაშქარი და დაიკავეს სასანიანთა ირანის დედაქალაქი ქ. ტისიფონი. 641 აიღეს ქ. მოსული. ხოლო 642 გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს ნაჰავანდთან. 652 მთლიანად დაიმორჩილეს ირანი და შუა აზიის დაპყრობას შეუდგნენ“.

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 73): „პირველად არაბები საქართველოს ეწვივნენ 643 წ. ქ. მას შემდგომ როდესაც ადარბაგანი უკვე საბოლოოდ დაპყრობილი ჰქონდათ. ამირამ რამდენიმე სარდალი შეჰყარა და თითოეული ცალკე ჯარითურთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა ქვეყნის დასაპყრობად. საქართველოში ჰაბიბ იბნ მასლამა გამოისტუმრა, რომელიც საჩქაროდ თბილისისაკენ გამოემართა. ამ ჰაბიბს, ანუ აბიბოსს იხსენიებს ბიზანტიელი მემატიანე თეოფანეც“.

არაბებს საქართველო ომებით არ დაუპყრიათ, არაბთაგან სპარსელების დამარცხების შემდგომ ქართველებს ბატონი გამოეცვალათ. მომავალი საქართველოს ის ნაწილი, რომელიც სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ავტომატურად გადადიოდა ხალიფატის გამგებლობაში. რა აზრი გააჩნდა სპარსეთის დამამარცხებელ ძალასთან შებრძოლებას და, მითუმეტეს, თუ მათი მოთხოვნები შეუდარებლად უკეთეს საარსებო პირობებს უქმნიდა მეფობა გაუქმებულ იბერიას. ამიტომაც იბერიის ერისმთავარმა სტეფანოზმა არაბთა სარდალს ჰაბიბ იბნ მასლამას ელჩის ხელით საჩუქრები გაუგზავნა და ზავი და მშვიდობა შესთავაზა. ჰაბიბ იბნ მასლამამ მირთმეული საჩუქრები მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა და იბერიას, როგორც ნებაყოფლობით დამორჩილებულ ქვეყანას შემდეგი შინაარსის „დაცვის სიგელი“ მისცა:

„სახელითა ყოვლად მოწყალისა ღმრთისაჲთა.

ესე არს წიგნი ჰაბიბისა მასლამას ძისაჲ მცხოვრებთა მიმართ ქალაქისა თბილისისათა სანახებსა მანგლისისასა ჯურზანში, არმაზში სიცოცხლისა მათისა და ეკლესიებისა მათისა და მონასტრებისა მათისა და სამლოცველოებისა მათისა და სარწმუნოებისა მათისა უვნებლობისათვის, მორჩილებისა მათისა და ხარჯისა მათისა სანუქფოდ: რომელ არს თვითოსა სახლსა ზედა დრაჰკანი (დინარი) ერთი. თქვენ უფლება არა გაქვთ რამდენიმე სახლობა შეაერთოთ, რომ ამ გზით ხარაჯა შეამციროთ; მაგრამ არც ჩვენა გვაქვს უფლება ერთი სახლობა რამდენადმე გავყოთ, რომ ამ გვარად ხარაჯა გავამრავლოთ. თქვენ მოვალენი ხართ რჩევით, თუ თანადგომით შეძლებისდა გვარად მოგვეშველოთ ღმრთისა და მისი მოციქულის, -- სიწმიდე და წყალობა ღმრთისა იყავნ მასთან, -- მტრების წინააღმდეგ (საბრძოლველად). ამას გარდა თქვენ მოვალენი ხართ გაჭირვებულს მუსლიმანს ერთის ღამით თავშესაფარი მისცეთ და გაუმასპინძლდეთ ისეთის საჭმელებით, რომელიც (საღმრთო) წერილის მქონე ერებს (ქრისტიანებსა და ებრაელთ) და ჩვენც გვეჭმევა. თუ ვინიცობაა რომელიმე მუსლიმანი თქვენში (თავის რაზმს) ჩამორჩა, თქვენ მოვალენი ხართ მიაცილოთ იგი კეთილმორწმუნეთა მახლობელ რაზმის (სადგურამდის). თუ რომ მოიქცევით (ისლამისადმი) და ლოცვას აასრულებთ, თქვენ ჩვენი სარწმუნოებისა-მიერ ძმები იქნებით, თუ არა და თქვენ მოვალენი ხართ ხარაჯა გადაიხადოთ ხოლმე. მაგრამ თუ მუსლიმანებს რაიმე დააბრკოლებს, რომ თქვენზე ზრუნავდნენ, თქვენი მტერი-კი თქვენ გმძლავრობდეს, თქვენ ეს არ გეკითხოსთ და ამით თქვენი ხელშეკრულება არ დაირღვეს. ეს გეკუთვნით თქვენ და გაწევთ ვალად. არის ამის მოწამე თავად ღმერთი და ანგელოზნი მისნი“.

არაბი მემატიანე აბუ იუსუფი (731-795) დაპყრობილი ქვეყნებისადმი არაბთა დამოკიდებულების შესახებ გვამცნობს:

„როდესაც მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა ქვეყნები დაიპყრო, ქრისტიანებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო; მათ სიცოცხლეს არავინ ხელყოფდა, ქალაქებში ქრისტიანულ ტაძრებს არ დაანგრევდნენ, ნება ეძლეოდათ დღესასწაულების დროს ჯვრები გამოესვენებინათ, მაგრამ არ უნდა აღეშენებინათ ახალი ეკლესიები... გზადაკარგული მუსლიმისთვის გზა ეჩვენებინათ, მუსლიმთა შეკრების ადგილას არ გამოეტანათ ჯვარი, არ მოერეკათ ღორები. როცა ქრისტიანებმა დაინახეს, რომ მუსლიმები პირობებს პატიოსნად ასრულებდნენ, ისინიც მტრებად მოეკიდნენ მუსლიმთა მტრებს და ეხმარებოდნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში“.

შეადარეთ არაბთა და სპარსელთა მოთხოვნილებები. სპარსელთაგან განსხვავებით არაბები ადგილობრივ მმართველობაში საერთოდ არ ერეოდნენ. გარდა ამისა ცნობილია, რომ „არაბთა მიერ დაწესებული გადასახადი ბევრად ნაკლები იყო სპარსულ გადასახადებზე“.

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 87): „645 წლიდან მოყოლებული 695 წლამდე არაბები თითონ კი არ მოდიოდნენ ხარკის ასაკრეფად, არამედ ქართველი ერისთავები თითონა კრეფდნენ და თვითვე აბარებდნენ არაბებსაო“.

და რაც მთავარია:

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 85): „ხელშეკრულების დადების დროს, როგორც ჩანს, ორთავე მხარეს დიდი ყურადღება აგრეთვე სარწმუნოებისათვის მიუქცევიათ: ქართველებს უზრუნვიათ, რომ მათი ეკლესიები, მონასტრები და სამლოცველოები ხელუხლებელი ყოფილიყო; ხოლო არაბები ამის თანახმანი იყვნენ, ოღონდ კი ქართველებს მათთვის მორჩილება გამოეცხადებინათ და ყოველწლიური ხარკის ძლევა ეკისრათ“.

და თქვენ გჯერათ, რომ ეს არაბები, რომლებიც 695 წლამდე მაინც, ხარკის ასაკრეფადაც საქართველოში მოსვლით თავს არ იწუხებდნენ და ხელშეკრულების შემსრულებელი ქართველი ერისთავები თავად მიართმევდნენ ხარკს, ამ ერისთავების ქვეყანაში „შეემუსრნათ ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი?“.

მეორდება იგივე წინააღმდეგობრივი სურათი, რომელიც ჩვენ დავაფიქსირეთ ბერძნულ-ლათინურ და ქართულ წყაროთა დაპირისპირებისას. ანუ არაბული ისტორიული წყაროებით VII საუკუნეში არაბთა ჯარი საქართველოში საერთოდ არ შემოსულა, მხოლოდ ჰაბიბ ჰიბნ მასლამა როგორც ელჩი გამოაგზავნეს ხელშეკრულების დასადებად და ამ ხელშეკრულების პირობები ისე მოსწონებიათ ქართველებს, რომ: „645 წლიდან მოყოლებული 695 წლამდე არაბები თითონ კი არ მოდიოდნენ ხარკის ასაკრეფად, არამედ ქართველი ერისთავები თითონა კრეფდნენ და თვითვე აბარებდნენ არაბებსაო". ამ რეალობას ეთანხმება ასევე ბიზანტიური ისტორიოგრაფიაც თეოფანეს სახით. ხოლო ნატყუარი ქართული წყაროებით კი იმავე VII არაბებს ისე აუოხრებიათ ეგრისიცა და იბერიაც, რომ „მას ჟამსა შინა განრყუნილ იყო ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა: რამეთუ არღარა იპოებოდა ნაშენები და არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლად“.

ბიზანტიასა და არაბებს შორის მორიგი საბრძოლო შეტაკებების შემდგომ დაიდო ჩვენთვის მეტად საინტერესო ხელშეკრულება:

(ივანე ჯავახიშვილი II ტ. 77): „თეოფანეს სიტყვით 678 წ. (ხელშეკრულება) იყო დადებული (არაბებსა და ბიზანტიელებს შორის) და შემდეგს პირობებს შეიცავდა... 2) კვიპრი, სომხითი (არმინია ჯ.კ.) და იბერია მათ საერთოდ თანასწორად ექმნებოდათ“.

ეს პირობები ისე მოსწონებიათ მეგრელებს (დასავლეთ ქართველებს), რომ:

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 77): „მემატიანე თეოფანე მოგვითხრობს, რომ 689 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე ასჯანყებია ბიზანტიელებს და თავისი სამფლობელო არაბთათვის დაუმორჩილებია“.

თუ რა პოლიტიკურმა ვითარებამ უკარნახა ლაზ (მეგრელ) დიდებულებს არჩევანი არაბულ ძალაზე გაეკეთებინათ, ამისათვის შევეცადოთ სრულად აღვადგინოთ VII საუკუნის ბიზანტიის იმპერიისა და არაბთა ხალიფატის ურთიერთობები.

VII საუკუნე ბიზანტიის ისტორიაში ურთულეს პერიოდს წარმოადგენს. იმპერიის არსებობას უდიდეს საფრთხეს უქმნის სამხრეთით წარმოქმნილი არაბთა გაერთიანება (ხალიფატი). 634-640 წლებში არაბები იპყრობენ ბიზანტიის იმპერიის შემადგენელ პალესტინის, სირიის და ზედა მესოპოტამიის ტერიტორიებს; 636 წელს ისინი ამარცხებენ ჰერაკლე კეისრის ლაშქარს მდინარე იარმუკისთან გამართულ ბრძოლაში; შემდგომ ორ წელიწადში არაბები იპყრობენ იერუსალიმს, ანტიოქიას, ეგვიპტეს; 642 წელს ბიზანტია კარგავს აღმოსავლეთ პროვინციებს; არაბები ჩრდილოეთ აფრიკაში ბიზანტიას ჩამოაჭრიან კართაგენსა და კირენაიკს; 681 წელს ბალკანეთში, ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა პირველი დამოუკიდებელი ბარბაროსული სამეფო – ბოლგართა სახელმწიფო. საგრძნობლად დაეცა ბიზანტიელთა გავლენა იტალიაში, აფრიკაში და კავკასიის სამხრეთით.

ტრაგიკული VII საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიამ, როგორც ძლევამოსილმა ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა; მის ნაცვლად წარმოიქმნა შეუდარებლად მცირე ზომის შუასაუკუნეთა ბიზანტია, მხოლოდ ეთნიკურად, პოლიტიკურად და რელიგიურად მტკიცედ გაერთიანებული. აქედან ხდება ბერძნული ენა იმპერიის სახელმწიფო ენა.

ამრიგად სამეგრელოს დიდებული (პატრიკიოსი) სერგი (სხვა წყაროებით გიორგი) არის ხომალდის ის გონიერი კაპიტანი, რომელმაც მარჯვედ გამოიყენა ხელსაყრელი ისტორიული მომენტი და არაბთა პოლიტიკური ველის ძალა საკუთარი ქვეყნის ინტერესებს მიუსადაგა. როგორც პროკოპი კესარიელმა გვამცნო – „აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომნი იყვნენ“ და არაბთა გამგებლობაში, ლაზიკასთან ერთად, აბაზეთიც აღმოჩენილა.

(**პავლე ინგოროყვა** 197): „არაბებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც“-- როგორც ეს აღნიშნულია თეოფანე ჟამთააღმწერელის მატიანეში (ცნობა – 717 წლის თარიღით)“.

ეს გახლავთ პირველი დოკუმენტალური ცნობა საქართველოს (ქრისტეანული კოლხეთის) აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში გაერთიანებისა და ერთიანი საქართველოს (ქრისტეანული კოლხეთის) წარმოქმნის ათვლა 689 წლიდან უნდა დავიწყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ არაბებმა საკმაოდ შეამცირეს ლაზიკაზე ბიზანტიელთა გავლენა, სასულიერო-კულტურული ურთიერთობები ბიზანტიასა და ლაზიკას შორის არ შეწყვეტილა, ლაზი დიდებულები კვლავ ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ, მაგრამ არაბთა მეშვეობით, ლაზიკამ ბიზანტიისაგან თავისუფლების მეტ ხარისხს მიაღწია. ამას ბიზანტია თავდაპირველად ვერ ეგუებოდა. თეოფანე ჟამთააღმწერელი (752—818 წ.წ.) მოგვითხრობს, რომ ბიზანტიის კეისარი ლეონ ისავრიელს აგზავნის ალანიაში დიდძალი ფულით, რათა ალანები აბაზგიას შეუსიოს, ვინაიდან აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც არაბთა გამგებლობაშია. ლეონმა დავალება შეასრულა და ალანები აბაზგებს თავს დაესხნენ. ბიზანტიელები და მათი მომხრე არმენიელების ჯარი კი ლაზიკეში შეიჭრნენ და არქეოპოლისს (ნოქალაქევს) ალყა შემოარტყეს. ლაზებმა შველა არაბებს სთხოვეს და როდესაც ბიზანტიელებმა შეიტყვეს, რომ არაბები ლაზების

დასახმარებლად არქეოპოლისს მოადგნენ, ისინი (ბიზანტიელები და არმენიელები) უკან გაბრუნდნენ. ამრიგად არაბებმა ლაზები ბიზანტიელთაგან დაიცვეს (გეორგიკა IV 10). ლაზიკა-იბერიის გაერთიანებული სივრცე (მომავალი საქართველო) უძლიერესი არაბული სამხედრო ძალითაა დაცული და რაც, ახალი, შედარებით მცირე ტერიტორიების მოცულობის სახელმწიფოს აშენების აუცილებელი პირობაა.

მე არ ვამტკიცებ, რომ არაბები საუდიის არაბეთიდან საქართველოს ასაშენებლად გამოემართნენ, მაგრამ არაბთა და ქართველთა დამოკიდებულება არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, როდესაც ისტორიული დროის გარკვეულ მანძილზე ხდება ორ, სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ ველთა ინტერესების თანხვედრა. ჩამოვაყალიბოთ საბოლოო სახით რაში გამოიხატება არაბული პოლიტიკური ველის ასეთი მნიშვნელოვანი როლი ჩვენს წარსულ სინამდვილეში.

1. ერთიანი საქართველოს აღმოცენებას (კოლხთა გაერთიანებას) საფუძველი ბიზანტიელებმა მოუმზადეს, როცა იბერიის ნაწილი სპარსელთაგან გაანთავისულეს და ლაზიკა-იბერია ერთიან ბიზანტიურ, ქრისტეანულ და სამართებლივ სივრცეში მოექცა. ამას სპარსელები არას გზით არ შეურიგდებოდნენ, მაგრამ არაბებმა, ისევე როგორც ალექსანდრე მაკედონელმა, დიდი ხნით გაანადგურეს რა სპარსელთა სახელმწიფოებრიობა, კოლხეთის (საქართველოს) გაერთიანების პროცესს მოუხსნეს უმთავრესი პრობლემა, რაც გამოიხატება იმაში, რომ სპარსეთი საქართველოს აღმოსავლეთს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა და ასევე ხშირად პრეტენზიას საქართველოს დასავლეთზეც აცხადებდა.

2. არაბებმა, ასე ვთქვათ, თავის ადგილზე დასვეს ბიზანტია. ბიზანტიასა და კოლხეთს შორის არასოდეს არ შეწყვეტილა ადმინისტრაციული, ეკონომიური და განსაკუთრებით მჭიდრო სულიერი და კულტურული ურთიერთობები, მაგრამ არაბულმა ფაქტორმა კოლხებს თავისუფლების მეტი ხარისხი მიანიჭა.

3. არაბები არ სდევნიდნენ ქრისტეანულ რელიგიას და საქართველოში არც ერთი ეკლესიისათვის თითიც არ დაუკარებიათ, პირიქით, საქართველოში არაბობის პერიოდში, განსაკუთრებით VIII—IX საუკუნეებში, მერვან II ლაშქრობათა შედეგად, ეკლესიების აღმშენებლობის ბუმი იწყება. თბილისის შემოგარენი სავსეა „არაბობის“ ხანაში (VIII-IX ს.ს.) აშენებული ეკლესიებით.

(ნიკო ბერძენიშვილი VIII ტ. 421): „ჯვარპატიოსანი (ქსნის ხეობა ჯ.კ.) შესანიშნავად აღდგენილი VIII—IX საუკუნის ძეგლი... შესანიშნავია VIII—IX საუკუნეთა ასეთი ძეგლების სიმრავლე საქართველოში... გრუა, კაბენი, არმაზი, რუისი, სამშვილდე... ეს ძეგლები სერიოზულად სცვლიან ჩვენს წარმოდგენებს ამ საუკუნეებზე“.

(საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ. 619): „ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მრავალი საყურადღებო ძეგლი: ნეძიხის სამონასტრო კომპლექსის ორაბსიდიანი ბაზილიკა, გუდრუხის, თვალივის, კართანის, ანატორის და სხვა ეკლესიები. ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიების უმრავლესობა VIII—IX საუკუნეებით თარიღდება“.

არაბობის პერიოდში ტაძართა მშენებლობა გამორჩეულად ტაო-კლარჯეთში გაჩაღდა.

არაბები რომ ქრისტეანულ სამლოცველოებს არ ერჩოდნენ, ეს ცოდნა თავად ნატყუარ წყაროებშიც იკითხება.

(ივანე ჯავახიშვილი II ტ. 89): „ქრისტიანებს შიგ ქალაქ თბილისში ბევრი ეკლესიები ჰქონიათ... არაბ-მაჰმადიანთა ბატონობისდა მიუხედავად მაინც წინანდებურად „ხიდთა მათ ქალაქისათა... ზედა აღმართულ იყო პატიოსანი ჯუარი

ხიდისაჲ" (ц"ჲ აბო ტფ"ლსჲ,32) იქ, სადაც ეხლანდელი ავლაბრის ორი ხიდია, მაშინაც VIII ს. ხიდები ყოფილა და ხიდებზე ჯვარი ყოფილა აღმართული. ქართველ ქრისტიანებს თბილისში რომ ძალა არა ჰქონოდათ, უეჭველია მაჰმადიანები მოსპობდნენ ქრისტიანობის ამ სიმბოლოს“.

გავეცნოთ ამონარიდს აკადემიკოს ვასილ ბარტოლდის ცნობილი ცხრატომეულის მეექვსე ტომიდან („Работы по истории ислама и Арабского халифата“):

„Арабами в VII и VIII веках было покорено большое число народов, стоявших в культурном отношении несравненно выше самих арабов; тем не менее арабские завоеватели не только не утратили своей национальности, как германские в Европе и монгольские в Азии, но подчинили своему этнографическому влиянию население Сирии, Месопотамии, Египта и Северной Африки. К тому же победа арабского языка не только не была результатом действий арабского правительства, но была достигнута против его воли. Распространение ислама среди покоренного населения разрушало всю финансовую систему халифата; еще менее желательно было для правительства распространение государственного языка среди немусульман; **христианам даже запрещалось говорить по-арабски и учить своих детей в мусульманских школах**“.

არაბობა და ქართული წყაროები

არაბთა რელიგიური შემწყნარებლობა იყო მათი წარმატების ერთ-ერთი საფუძველი. როცა არაბებმა ბიზანტიელთაგან იერუსალიმი იპყრეს, ისინი ქრისტეანთა სიწმინდეებს არ შეხებიან, არ შეუბღალავთ ქრისტეანთა უმთავრესი ქრისტეს განსასვენებლის ადგილს აღმართული ტაძარი და ვინაიდან იერუსალიმი ასევე მუსულმანთათვის წმინდა ქალაქს წარმოადგენდა, მხოლოდ ამ ქრისტეანული ტაძრის მეზობლად ააგეს თავიანთი მეჩეთი. ასევე არაბებმა იერუსალიმში დააბრუნეს ბიზანტიელთაგან დევნილი ებრაელები. არაბთა მიზანს წარმოადგენდა არა დროებითი წარმატებების მიღწევა, არამედ მრავალსაუკუნოვანი, სამართლიანობის პრინციპებზე აღმოცენებული იმპერიის შექმნა.

ცნობილია ფაქტები, როცა ჯვაროენული ომების დროს ევროპელთა მიერ აწიოკებული ადგილობრივი ქრისტეანული მოსახლეობა შველას მუსულმანებს სთხოვდა.

(ვასილ ბარტოლდი): „Не всегда, однако, восточные христиане предпочитали европейцев своим мусульманским соплеменникам и согражданам. В эпоху крестовых походов, по замечанию одного из русских историков церкви, "духовенство и народ желали лучше возвращения ига магометанского, чем продолжения власти латинян“.

ამდენად გამორიცხული იყო არაბთა მიერ იმ ქვეყნის აოხრება, რომელიც სახალიფატოს თავისი ნებით შეუერთდა და შესაბამისი ხელშეკრულებაც დადო.

ეს გახლავთ ის ისტორიული რეალობა, რომელსაც აღიარებს აბსოლუტურად ყოველი არაბისტი და მათ შორის ქართველებიც. აქ უკვე იბადება კითხვა: თუ ეს ასეა,

მაშინ ქართველი არაბისტები რატომ ხმამაღლა არ უარყოფენ მურვან ყრუს ლაშქრობად წოდებულ უმსგავსობას?

საქმე შემდეგშია: თუ ქართველი ისტორიკოსები აღიარებენ, რომ არაბი დიდებული მერვან II სრულებით არ იყო ყრუ და მან ქართველებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ქართველთა დასაცავად, მხოლოდ და მხოლოდ ხაზართა წინააღმდეგ ორჯერ წარმატებულად ილაშქრა და ქართველთა საწინააღმდეგოდ კი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, მაშინ ამ ჩვენი ისტორიკოსების თვალწინ დღევანდელი ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიის შენობა დაიშლება და მათ უმრავლესობათა ნაღვაწიც ამ ნანგრევებში მოყვება.

ვინაიდან „არაბობის“ ნატყუარი ბუნების მხილებას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ერის საღათას ძილისაგან გამოყვანის ხანგრძლივ პროცესში, კვლავ ვრცლად განვიხილოთ ეს ავბედითი მოვლენა ჩვენი ისტორიული სინამდვილისა და შევეცადოთ ავხსნათ თუ რა მიზნები ამოძრავებდათ ნატყუარი მურვან ყრუს ლაშქრობათა იდეის შემქმნელ ავტორებს.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ისტორიის მწვალებელთა უმთავრესი მიზანია წაშალონ დიდი კოლხეთისა (წარმართული კოლხეთისა) და ერთიანი საქართველოს (ქრისტეანული კოლხეთის) შეუცვლელი ლიდერის, სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) პირველობის კვალი და ისტორიული ლიდერის როლი XVI საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენებულ ქართლის სამეფოს მიაწერონ.

ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა იცოდნენ, რომ VI საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ბიზანტიამ სპარსთაგან იბერია შემოიერთა, ფაქტიურად ეს იყო ლაზიკისა და იბერიის გაერთიანება (ერთიანი საქართველოს აღმოცენება). ვინაიდან იბერები და ლაზები ერთი და იგივე კოლხ ერს წარმოადგენდნენ, ბიზანტიელებმა იბერიაში სპარსი მოხელეები ბიზანტიელი მოხელეების ნაცვლად, ბიზანტიური კანონმდებლობით აღზრდილი ლაზი დიდებულებით შეცვალეს. ამ გადაწყვეტილებას ხელი ასევე იმანაც შეუწყო, რომ ლაზიკა ეკლესიურადაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სამწყსოს ეკუთვნოდა და ლაზიკა-იბერიის გაერთიანებაში ლიდერობა, თავისთავად, ლაზიკას (სამეგრელოს) ერგო. აი ამ ლიდერობის დასაკუთრების მიზნით შეიქმნა ლეგენდა მურვან ყრუზე და გავაანალიზოთ თუ როგორ განახორციელეს თავიანთი ჩანაფიქრი. ანუ კვლავ გავიმეოროთ თუ როგორ გაუკუღმართებულად წარმოგვიდგინეს საქართველოში არაბთა პირველი შემოსვლა.

(**ქართლის ცხოვრება** I ტ. 149): „რამეთუ მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა ყრუ მურვან, ძე მომადისი... და ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავთანი ერისთავთა და წარჩინებულთანი, შევიდოდეს კავკასიად და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან მურვან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა, დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა. და ვითარცა ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისისანიცა. და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე, საზღვარი კლისორისა... და ვითარცა შევლო ყრუმან კლისორა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი...

ხოლო იქმნა მას ჟამსა შინა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა: რამეთუ არღარა იპოებოდა ნაშენები და არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლად“.

ამ ცნობის შესახებ თქვენ უკვე გაეცანით ივანე ჯავახიშვილის აზრს, რომ: „ქართველი ისტორიკოსის ეს ლაშქრობა არაბთა თითქოს პირველ ლშქრობად აქვს წარმოდგენილი კავკასიში, მაგრამ ეს შეცდომაა“. ეს შეცდომა არაა, ეს ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ერთ-ერთი უმთავრესი გამიზნული ავანტიურაა. მათ არ აინტერესებთ სინამდვილის ასახვა, მათი მამოძრავებელი იდეაა წარმოსახონ სამეგრელოს და განსაკუთრებით მისი სამხრეთის, ტაო-კლარჯეთის აპოკალიფსური ნგრევის სცენა მხოლოდ და მხოლოდ იმის დასასაბუთებლად, რომ სამეგრელოს ამ არაბთაგან ამოწყვეტილ მხარეში ჩვენ ქართლელები გადმოვდიოდითო და რაც კი მანდ ეკლესია-მონასტრები აღმართულან, ჩვენი აშენებულიაო და გამართულიაო. ასევე უნდათ „გაგვარკვიონ“, რომ საქართველოს დასავლეთში მაცხოვრებული ქართულად მეტყველი მკვიდრი მოსახლეობა მეგრელები კი არ არიანო, არამედ ჩვენგან გადასული ქართლელები არიან და რა სიცრუისაც დღესაც სჯერათ ჩვენს ისტორიკოსებს, ხოლო მათი წყალობით, ქართველთა უმრავლესობასაც. ვინაიდან ამ აბსურდის დაჯერება ერთ წყაროზე დაყრდნობით გაძნელდებოდა, ამისათვის ჩვენი ისტორიის მწვალებლები მოქმედების არეალს აფართოვებენ და მურვან ყრუს ლეგენდას სხვა ნატყუარ ისტორიულ წყაროებშიც ანვითარებენ.

(**პავლე ინგოროყვა** 46): „საისტორიო წყაროების ჩვენებიდან ირკვევა, რომ კლარჯეთში არაბთა ბატონობის უწინარეს არსებობდა ძველ-ქართული სამონასტრო მნიშვნელოვანი ცენტრები... ოპიზა, პარეხნი, ტაძრები—მერისა, დაბისა, შინდობნისა, ყველა ეს მონასტრები და ტაძრები მოშლილა და აოხრებულა მურვან ყრუს ლაშქრობათა დროს და, როდესაც აქ მე-8-9 საუკუნეთა მიჯნაზე ისევ გაჩნდნენ ქართველნი „მოწესენი", მათ ხვდებოდათ, როგორც ამას ვხედავთ გიორგი მერჩულის მოთხრობიდან, მხოლოდ გავერანებული, დაცარიელებული სავანეები.

ან-და, არაბთა მფლობელობის უწინარეს იმავე კლარჯეთის თემში... სამი ქართული საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ახიზისა, ფორთისა და ანჩისა. მათგან პირველი ორი კათედრა—ახიზისა და ფორთისა—მოსპობილა არაბთა შემოსევის ხანაში და მის შემდეგ აღარ განახლებულა“.

ყოვლად დაუშვებელია 735—736 წლებში არაბებს ამდენი ქრისტეანული სიწმინდეები გაენადგურებიათ, სულიერად და კულტურულად მუდამ ბიზანტიას დაქვემდებარებულ საქართველოში და ეს არ ასახულიყო ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში, თუნდაც ამ ისტორიული ეპოქის თანამედროვე, 752—818 წლებში მოღვაწე თეოფანე ჟამთააღმწერელის მატიანეში.

თეოფანე ჟამთააღმწერელი მხოლოდ ერთგან აღშფოთებული აფიქსირებს, რომ საქართველოს რომელიღაც ეკლესიაში არაბებს ცხენები დაუბიათ. აქ ცნობის სახით მოგაწვდით, რომ როცა ნაპოლეონმა ბერლინი აიღო, ბერლინის ეკლესიები მისი ჯარის საჯინიბოებად იქცნენ. ისიც გავათვიცნობიეროდ, რომ არაბები მეჩეთების მშენებლობისას მათ ითვალისწინებდნენ როგორც სალოცავ, ასევე როგორც თავდაცვით ნაგებობებს.

ნატყუარ წყაროთა მიერ შეთხზულ ქრისტეანულ სალოცავთა ასეთი მასიური ნგრევის შემთხვევაში, რომლის შემდგომაც, თითქოსდა, საქართველოს დასავლეთი მთელი 80 წელი ფეხზე ვერ დამდგარა, ბიზანტია დასახმარებლად, მინიმუმ, სამხედრო ექსპედიციას გამოაგზავნიდა. ბიზანტია, რომელიც ლაზთა და იბერთა მონასტრებს, არათუ საქართველოში, იერუსალიმში უტარებდა კაპიტალურ რემონტებს, რასაკვირველია თავისი ხარჯით, თუმცა ქართული ნატყუარი წყაროები ბიზანტიოლოგთა და არაბისტთა საკითხავად არ არის გათვლილი.

(**პავლე ინგოროყვა** 44): „სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს, რომ, როდესაც აშოტ I დამკვიდრდა შავშეთში, „ჴევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა (მუსულმანთა) უფლებებისა აოჴრდა, ოდეს იგი ყრუმან (მურვან) შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთ-კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“.

ამრიგად, შავშეთ-კლარჯეთი აოხრებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს... ხოლო ომების შემდეგ აოხრებულ ქვეყანაში გაჩენილა ხოლერა („სლვა სატლობისა"), რასაც ისედაც განადგურებული მოსახლეობა კიდევ უფრო შეუმცირებია და ქვეყანა თითქმის უკაცრიელი გამხდარა. მიუხედავად იმისა, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობიდან განვლო თითქმის 80 წელმა, ვიდრე აშოტ I შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრდებოდა (813 წლის ახლო), ქვეყანა ჯერ კიდევ არ ყოფილა გამობრუნებული და ფეხზე დამდგარი გადატანილი კატასტროფის შემდეგ“.

ე. ი. სუმბატ დავითის-ძემ მურვან ყრუს ლაშქრობა არ აკმარა შავშეთ-კლარჯეთს და მკვიდრი მოსახლეობის ამოწყვეტის მეტი დამაჯერებლობისთვის, ხოლერაც შეყარა.

(**პავლე ინგოროყვა** 45): „გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ დროს აოხრებული ყოფილა არა მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთი, არამედ აგრეთვე „ტაონი“ და „ყოველნი მახლობელნი მათნი ქუეყანანი". კერძოდ „ტაონი“... გიორგი მერჩულის ცნობების მიხედვით იმდენად ყოფილა განადგურებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც კი დავიწყებული ყოფილა და ადრინდელი დასახლებული და მოშენებული ადგილები „მის ჟამისა კაცთათვის მიუვალ“ ქმნილ იყო. როდესაც მოახალშენენი მოხვდებოდნენ ამ მიტოვებულსა და მივიწყებულ ადგილებში, მათ პირველ რიგში უხდებოდათ თვით „გზათა საქმისა“ გამოძიება, რადგან „გზაიცა მისავალად“ ძველი დასახლებული ადგილებისაკენ წარხოცილი ყოფილა და დიდ საქმედ ითვლებოდა, როდესაც მოახალშენენი შესძლებდნენ გაეკვლიათ მისადგომი გზები ძველი მიტოვებული დაბებისაკენ...

დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში დაცულია ცნობა, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობათა სიმძიმე სამცხის პროვინციასაც გადაუტანია; ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ მურვან-ყრუს ლაშქარი „მოეფინა ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოეთისათა... რამეთუ მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრâისათა, რომელი იყო ქალაქი იგი სახელოვანი“.

ამ უხამს ტყუილებს არაბი ისტორიკოსის ცნობა აბათილებს:

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 76): „ბელაძორის სიტყვით, იმავ პირობით [„დაცვის სიგელი“-ს პირობით ჯ.კ.] რომელიც ზემოაღნიშნულ საბუთებშია მოყვანილი, დაჰმორჩილებიან არაბებს საქართველოს სხვა კუთხეებიც: ქსოვრისი, ქსანი, ხუნანი, სამცხე, გარდაბანი, შავშეთი, ბაზალეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, არტაჰანი, დარიალანი, წანარნი და დიდოელნი“.

არაბებს, როგორც სრულიად საქართველო, თავიდანვე დამორჩილებიან კლარჯეთი, შავშეთი, სამცხეც და მათაც არაბთაგან იგივე დაცვის სიგელი მიიღეს, რომელშიაც გარკვევით ეწერა – ეკლესიები, მონასტრები და სამლოცველოები ხელუხლებელი ყოფილიყო, ხოლო ხალხი დაცული. მაგრამ ჩვენი ისტორიის მწვალებლებს რეალური ისტორიული ვითარება არ აწყობთ, მათთვის უმთავრესია დაგვიმტკიცონ მურვან ყრუს მიერ დაქცეულ სამცხე-საათაბაგოში (მესხეთ-სამეგრელოში) მოსახლეობა VII საუკუნეშიც ქართლიდან გადმოდიოდაო.

(**პავლე ინგოროყვა** 47): „ახალი მოსახლეობა შავშეთ-კლარჯეთში და მესხეთის სხვა თემებში, როგორც ირკვევა, გადმოდიოდა ქართლის პროვინციებიდან. ქართლი,

რომელიც პირველ რიგში განიცდიდა არაბთა ბატონობის მთელ სიმძიმეს, სადაც მოსახლეობა, ძველი ისტორიკოსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იყო „მძლავრებასა ქუეშე [არაბთასა] დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლაკახითა შეკრულ, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულ და ქენჯნილ“ (იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 58).—ვერ უძლებდა ამ „ძნელ ბედობას“, ამიტომაც როგორც ამ ეპოქაში, ისე ამის წინარე ხანაშიაც, ქართლიდან გადმოდიოდა მოახალშენეთა დიდი ტალღა როგორც მესხეთის უფრო დაცული მხარეებისაკენ, ისე დასავლეთ საქართველოსაკენ“.

იმის მერე რაც დაგვიხატა სამცხე-შავშეთ-კლარჯეთის ნგრევის აპოკალიპსური სურათი, ძალზედ ირონიულად ჟღერს პავლე ინგოროყვას ბოლო ფრაზა: „ქართლიდან გადმოდიოდა მოახალშენეთა დიდი ტალღა როგორც მესხეთის უფრო დაცული მხარეებისაკენ, ისე დასავლეთ საქართველოსაკენ“. იგივე შეცდომას იმეორებს ივანე ჯავახიშვილი.

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 83): „VIII საუკ. ბიზანტიის ქრისტიან კეისრების მფარველობის ქვეშე მყოფ დასავლეთს საქართველოში მშვიდობიანობა და მყუდროება იყო, ისე რომ მათს აღმოსავლეთის თანამოძმეებს მათი მდგომარეობა სანეტაროდ ეჩვენებოდათ. მარტო ის რადა ღირდა, რომ აფხაზეთში მაშინ მყუდროება სუფევდა „აკრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისა გან სარკინოზთაჲსა“ (ც"ა აბო ტფ"ლსY, 18), -- არაბთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იყი ისე, რომ როდესაც ქართველებს ქართლ-კახეთში მეტის-მეტად გაუჭირდებოდათ ხოლმე, დასავლეთს საქართველოში, ეგრისში და აფხაზეთში, გადაიხიზნებოდნენ და იქ ეძიებდნენ მყუდრო თავშესაფარს. ამ დროს, იოანე საბანისძის, ცოტა არ იყოს გაზვიადებული სიტყვით, იყო „ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრ იპოების საზღუართა მათთა“-ო (იქვე,19)“.

ამ აზრის გათვალისწინებით, ივანე ჯავახიშვილი ასკვნის: „აი რა დროს და საითგან უნდა გაჩენილიყო ქართული მოსახლეობა დასავლეთს საქართველოში, იმერეთსა და გურიაში“.

სამწუხაროდ ამ ტექსტის წერისას ივანე ჯავახიშილი მხოლოდ ნატყუარი ქართული წყაროების გავლენაში იმყოფებოდა, თორემ მას რომ მისთვის კარგად ნაცნობი ცნობები გაეანალიზებინა, სრულიად განსხვავებულ დასკვნას გამოიტანდა. ეს უკვე თქვენთვისაც ცნობილი შემდეგი ცნობები გახლავთ.

(ივანე ჯავახიშვილი II ტ. 77): „მემატიანე თეოფანე მოგვითხრობს, რომ 689 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე ასჯანყებია ბიზანტიელებს და თავისი სამფლობელო არაბთათვის დაუმორჩილებია“.

(პავლე ინგოროყვა 197): „არაბებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც“-- როგორც ეს აღნიშნულია თეოფანე ჟამთააღმწერელის მატიანეში (ცნობა – 717 წლის თარიღით)“.

(ივანე ჯავახიშვილი II ტ. 115): „მასსუდი გვარწმუნებს მხოლოდ, რომ აფხაზები და ქართველები [გურზ.], ტფილისის დაპყრობითგან მოყოლებული ვიდრე ხალიფა მუტევაკკილამდე (847—861), ტფილისის ამირას ხარაჯას აძლევდნენო... რომ ქართლი და კახეთი ხარაჯას იხდიდნენ, ეს ჩვენ ისედაც ვიცოდით, მაგრამ პირველად ამ ისტორიკოსისაგან გვესმის, რომ ვითომც აფხაზთა მეფეებსაც არაბებისათვის ხარაჯა ეძლიოთ. ვგონებ, აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს“.

აქ ჩნდება კითხვა: თავად მეგრელები ხომ არ გაურბოდნენ არაბებს საქართველოს აღმოსავლეთით?

მასსუდის ცნობა კი არ არის შეცდომა, არამედ იოანე საბანისძის ნაწარმოებია ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიერ შერყვნილი და ნატყუარი. არაბი **მასსუდი** ადასტურებს

და აგრძელებს ბიზანტიელი **თეოფანე ჟამთააღმწერელის** ცნობას, ისინი ავსებენ ერთმანეთს და იქმნება ერთიანი ისტორიულად გამართული ვითარება:

„689 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე“ რომ „ასჯანყებია ბიზანტიელებს და თავისი სამფლობელო არაბთათვის დაუმორჩილებია“. მას შემდგომ „არაბებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც“ (ცნობა – 717 წლის თარიღით) და „აფხაზები და ქართველები [გურზ.], ტფილისის დაპყრობითგან მოყოლებული ვიდრე ხალიფა მუტევაკკილამდე (847—861), ტფილისის ამირას ხარაჯას აძლევდნენო“ და ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ VIII_IX საუკუნეთა სრულიად საქართველოში მშვიდობა სუფევდა და ქვეყანაში ეკლესიათა აღმშენებლობის არნახული ბუმი იდგა.

ამ ისტორიულად და აზრობრივად გამართული წინადადების შემდგომ კი ივანე ჯავახიშვილს, პავლე ინგოროყვას და სხვა მრავალთ დაებადებოდათ კანონიერი კითხვა: თუ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული IX საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც, სამეგრელოც და აბაზეთიც, ქართლ-კახეთის მსგავსად, არაბთა მორჩილი მხარეები იყო, მაშინ VIII საუკუნეში სამეგრელოსა და აბაზეთში არაბებს გაქცეული ეს ჩვენი ქართლ-კახელები ხომ ისევ არაბებს ჩაუვარდებოდათ ხელში და უარეს დღეში ჩაცვივდებოდნენო, მაშ რა აზრი უნდა ქონოდა ასეთ გაქცევას, თუ ვაის ნაცვლად ვუის შეეყრებოდნენო?

აქვე მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ VIII—IX საუკუნეებიის საქართველოს აღმოსავლეთითაც ეკლესიათა აღმშენებლობაა გაჩაღებული და რაც ეკონომიური აღმავლობის, დასაქმების მაჩვენებელია. ანუ თურმე არც ისე მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ ჩვენი მომავალი ქართლელები.

ამის შემდგომ კი თანდათანობით, დილის რიჟრაჟის ნათებასავით გაცხადდება, რომ ნატყუარია არა მარტო „ქართლის ცხოვრება“, არამედ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიერ შერყვნილი და ნატყუარია გიორგი მერჩულე, იოანე საბანისძე, სუმბატ დავითისძე, დავით და კონსტანტინეს წამება და შემდგომი ძიება კი იმასაც მიგვახვადრებს, რომ შერყვნილია ქართულ ისტორიულ წყაროთა უდიდესი უმრავლესობა. როცა თქვენ ამას საბოლოოდ ირწმუნებთ, პირველი აზრი რაც თავში მოგივათ ისაა, რომ ვახტანგ მეხუთეს და მის გუნდს ამხელა შრომა, ნატყუარი ისტორიის შექმნის ნაცვლად, ქვეყნის სასიკეთოდ რომ წარემართათ, იქნება და ჩვენს ქვეყანას ნაკლებ ტკივილიანი გზით ევლო. არ გახსენდებათ ვახტანგის (და მისი გუნდის) ნამოღვაწარის ვახტანგის შვილის, ბაქარისეული შეფასება:

,,რაზედაც მიდგა არ დარჩა ის საქმე წაუხდიმარე“.

რას ვუწოდებ შერყვნილ და ნატყუარ წყაროს? შესაძლოა არსებობდა გიორგი მერჩულე რომელმაც აღწერა ცხოვრება გიორგი ხანძთელისა, ალბათ არსებობდა არაბი ჰაბო, რომელმაც ქრისტეანობა აღიარა და ამისათვის ეწამა კიდეც და ასე შემდგომ, მაგრამ ეს ნაშრომები ხელში ჩაუვარდათ ჩვენი ისტორიის მწვალებელთ და გადაწერისას ქართლის სამეფო კარის ინტერესების გათვალისწინებით „შეაკეთეს, „გამართეს“ და ამის შემდგომ ორიგინალები გაანადგურეს. თქვენ ეს არ გაგიკვირდეთ, მონარქთა შეცვლასთან დაკავშირებით, ან რელიგიურ დოგმატთა ცვლილების გამო, ძველ ისტორიულ წყაროთა გადაკეთება, გაყალბება, არათუ კავკასიაში, არამედ ადრეულ ევროპაშიც საკმაოდ გავრცელებული ჩვეულება გახლდათ. თუ ტვინს სიოს დონეზე მაინც გავარხევთ, უკვე იმ ფაქტმა, რომ XVIII საუკუნის ქართლის მეფის მიერ შერჩეულმა და დადგენილმა კომისიამ მისი უშუალო ხელმძღვანელებით „შეაკეთა“ და „გამართა“ საქართველოს ისტორია, უნდა მიგვახვედროს: მათ მიერ „გამართული“ „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ და მხოლოდ XVIII საუკუნის ქართლის სამეფო კარის

ინტერესებს ემსახურებოდა, როგორც მაგალითად კომუნისტების ნაყალბევი ისტორია მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური რეჟიმის განსამტკიცებლად შეიქმნა.

დავუბრუნდეთ „არაბობა“-ს და აღვნიშნოთ, რომ არაბობას საქართველოში, ისევე როგორც ყოველ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას, გააჩნდა თავისი უარყოფითი მომენტებიც და ეს არ გამორჩენიათ არც ბიზანტიელ და არც არაბ ისტორიკოსებს. იყო აჯანყებებიც და, შესაბამისად, დამსჯელი ექსპედიციებიც. ადგილი ქონდა რელიგიურ დაპირისპირებებსაც... მაგრამ სახელმწიფოებრივი მმართველობისათვის დამახასიათებელმა რიგითმა პრობლემებმა გავლენა არ უნდა იქონიოს მთლიანობაში ისტორიული მოვლენის შეფასებაზე. მითუმეტეს როცა ქართველთა უმრავლესობისათვის ცნობილია, რომ არაბებსა და ქართველებს შორის საუკეთესო დამოკიდებულება კავკასიიდან არაბების წასვლის შემდგომაც დიდხანს გრძელდებოდა:

(**პავლე ინგოროყვა** 183): „1492—1496 წლებში კონსტანტინემ თავისი ელჩები გაგზავნა ეგვიპტის მბრძანებელთან, რომელმაც საქართველოს მეფის მოციქულები ქაიროში კარგად მიიღო.

კონსტანტინე მეფის მიერ ელჩის გაგზავნა ეგვიპტეში შემთხვევითი ამბავი არ იყო. მიუხედავად თავისი დაქუცმაცება-დაკნინებისა, საქართველოს ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული აღმოსავლეთში (არაბეთში ჯ.კ.) თავისი ზოგიერთი საერთაშორისო კავშირი, თავისი ძველი სახელი და პატივი. განსაკუთრებით ეგვიპტის მმართველები ეპყრობოდნენ ქართველებს დიდი პატივისცემით. ამის შედეგი იყო ის უპირატესობანი, რომლებიც ქართველებს ეგვიპტის მბრძანებლებმა შეუნარჩუნეს პალესტინასა და იერუსალიმში.

ქრისტიანეთა სათაყვანებელ ქალაქ იერუსალიმში შესვლისას ქართველები საზეიმოდ მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე ისხდნენ გაშლილი ეროვნული დროშებით, თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სულთანს დაწესებულ გადასახადს არ აძლევდნენ. ეგვიპტის მბრძანებელთა განკარგულებით, ქართველთა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის უზრუნველყოფისათვის საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცველებს ალეპოში დახვედროდა, იქიდან იერუსალამდე მიეცილებინა და უკან დაბრუნებისას ისევ ნავსადგურამდე გაჰყოლოდა“.

არაბობა, აბაზეთი და აბხაზეთი

ამ ქვეთავში ჩვენ უნდა დავადგინოთ, რომ განსხვავებით მცდარი ოფიციალური ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ტრადიციისა, მსოფლიო ისტორიოგრაფიით ტერმინი **აბხაზი** || **აფხაზი** ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ მეგრელს, ქართველს, ხოლო ტერმინი **აბაზა** || **აბასა** მხოლოდ და მხოლოდ ადიღეელს.

ოფიციალური ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეხედულებათაგან განსხვავებით, ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი აღიარებს, რომ დღევანდელ აფხაზეთში დამკვიდრებული ადიღე ხალხის **აბაზა** ტომის წარმომადგენლები **აფხაზები** არ არიან. მათი ძირითადი არგუმენტი ემყარება პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ აფხაზები აკეთებდნენ ქართულ საქმეს და ამდენად ისინი ქართველებიც იყვნენო. მტკიცების საფუძვლიანობა არადამაკმაყოფილებელია და ამის პასუხად, ტელევიზიის მეშვეობით, აბაზათა ლიდერმა ჩვენს ისტორიკოსებს

შემოუთვალა: „ვისაც არ სჯერა ჩვენი აფხაზობისა, წაიკითხეთ საკუთარი „ქართლის ცხოვრება“-ო“. მართლაც, „ქართლის ცხოვრება“ და სხვა ნატყუარი ქართული ისტორიული წყაროები ადიღე ხალხის **აბაზა** || **აბასა** ტომს ერთხმად სახელწოდება **აბხაზებად** || **აფხაზებად** მოიხსენიებენ.

გავეცნოთ სამეგრელოს აფხაზურ-იმერული წარსულის ვახუშტი ბაგრატიონისეულ ვერსიას.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 795):

„ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა

ხოლო ძე თარგამოსისა ეგროს, რა მოვიდა წილხდომილსა თვისთა ძმათა შორის თვისსა ქუეყანასა... ამან აქ აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელითა თვისითა ეგრი, და ეგროსისგან განითესნენ ქუეყანასა ამას შინა ძენი და ძენი ძეთა ეგროსისანი და... იყვნენ ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისასა... ხოლო შემდგომად მოკლა რა პირველმან მეფემან ფარნაოზ აზონ ერისთავი და დაიპყრა მთელი საქართველო... ამან ფარნაოზ განჰყო ეგრისი თვისსა მორჩილებასა შინა მყოფი ორ საერისთაოდ და დასუა ქუჯი ერისთავად ეგრისს... და მისცა რიონის დასავლეთი და ჩდილოეთი ზღუამდე და ეგრისის მდინარემდე სრულიად სუანეთით. და მეორე დასუა შორაპანს და მისცა საერისთაოდ ნეშტი [ნაშთი, ანუ დარჩენილი ნაწილი ჯ.კ] ეგრისისა, რომელ არს რიონის აღმოსავლეთი და სამხრეთი ზღუამდე და ლიხის მთამდე და იყვნენ ესე ერისთავნი მორჩილებასა შინა და მოხარკეობასა შინა მეფეთა ქართველთასა“.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 742):

„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა

ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად **ეგრისი**, მეორედ **აფხაზეთი**, მესამედ **იმერეთი**. რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თვისთა შორის ხუდა წილად ქუეყანა ესე... ხოლო **აფხაზეთი** – ლევანის გამო, რომელი... გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თვისსა, და მოიღო საერისთოსა თვისისა სახელი ეგრისსა ზედა. არამედ **იმერეთი** – ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი“.

მსოფლიო ისტორიოგრაფიის მონაცემების სრულიად საწინააღმდეგოდ, ვახუშტი გვიცხადებს, რომ როგორც ეგროსი დაბადებიდან ქართლოსის მორჩილი უმცროსი ძმა იყო, ასევე ეგროსის წილი ეგრისი, ტერიტორიით ლიხის ქედიდან შავ ზღვამდე, დასაბამიდან მცხეთელ მამასახლისს ემორჩილებოდაო. შემდგომ გამოჩნდა ფარნაოზი, რომელმაც ხელახლა იპყრა მცხეთას მორჩილი ეგრისი და იგი დაყო ორ საერისთაოდ. ერთი საერისთაო ეს მეგრულად მეტყველი ოდიშიაო, ხოლო მეორე დანარჩენი ქართულად მეტყველი სამეგრელოაო და ეს ეგრისის ორთავე საერისთაო ემორჩილებოდნენ და ხარკს უხდიდნენ ქართველ მეფეებსაო. არც ეს სიამტკბილობა გაგრძელებულა დიდხანს. მცხეთას მორჩილი ეგრისი უკვე მცხეთას არა მორჩილ აფხაზ ერისთავს ლევანს დაუმორჩილებია და გამეფებულა; აქედან უკვე ეგრისს სახელი შეცვლია და ეწოდა აფხაზეთიო. მაგრამ არც აფხაზობა დასცლია დიდხანს ყოფილ ეგრისს, ქართლელმა ბაგრატოვნებმა „რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი“. მხოლოდ აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად ბაგრატოვანთა ეგრისზე გამეფებისა, ლევან//ლეონ აფხაზთა მეფეს ამაგი მაიც დაუფასდა „რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და არა ეგრისისა და იმერეთისასა (გვ. 746)“.

გავიცნოთ ვინ არიან ვახუშტისეული **აფხაზები**.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 783): „ხოლო ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის ჯ.კ) დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე, არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს **აბასა**, ხოლო ქართველთა **აფხაზეთი**. გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე. ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლეთით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე. [აფხაზებს] ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“.

ამ ტექსტით ვახუშტი ცდილობს შეარბილოს „საკუთარი სახლის სირცხვილები“ და აცხადებს, რომ მართალია ბერძნულ სახელწოდება **აბასა**-ს ქართველები აფხაზს უწოდებენო, მაგრამ საფიქრალია სახელწოდება აფხაზი მეგრული წარმომავლობისაა -- „გარნა უმეტეს საგონებელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი [აფხაზი] ესე“. ეს გახლავთ ვახუშტიზე ვატიკანში დაცული მისიონერთა ცნობების გავლენის შედეგი.

ასევე იგივე გავლენის შედეგია ის, რომ „ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის ჯ.კ.) დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი“, ანუ აფხაზეთი ისტორიული სამეგრელოს (კოლხეთის) ტერიტორიაზე აღმოცენდაო და პირდაპირ კი არ მიგვითითებს, რომ ეს ეგროსის წილი ადიღეელებმა იპყრესო, არამედ ბერძნებმაო.

ასევე თუ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ საწყისი ცნობის მიხედვით: „და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არის ეგრისი და სვანეთი", სადაც გაურკვეველი ეგრის წყლის (საზღვარს ოდიშისა და აფხაზეთისა, რომელიც ხან ენგურია, ხან ოხოჯა, ხან ღალიძგა) ნაცვლად ვახუშტი ოდიშისა და აფხაზეთის საზღვრად უკვე ანაკოფიას ასახელებს.

ვახუშტი ბაგრატიონის ამ მოკრძალებულ ცდებს, „დაეფარა საკუთარი სახლის სირცხვილები" შედეგი არ გამოუღია და მის სახელწოდება აფხაზშიც ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული ადიღეელი **აბასა || აბაზა** იგულისხმება.

დღესაც ქართველი ენათმეცნიერები და მთარგნელები ბერძნული წყაროების **აბასგოი, აბასგია**-ს ერთხმად სთარგმნიან როგორც **აფხაზი, აფხაზეთი**. სხვათაშორის, აბაზა მეცნიერებს ისიც აქვთ დადგენილი, რომ მათ აბხაზებად || აფხაზებად მხოლოდ ქართული წყაროები მოიხსენიებენ, ანუ ქართულ სიტყვად მიაჩნიათ:

(Дмитрий Гулия 68): „современное русское название заимствованно от грузинского «апхази». Абхази у византийских писателей **ἀβάσγοι**“.

სიმართლეა, რომ აბაზებს აბხაზებად || აფხაზებად მხოლოდ ნატყუარი ქართული წყაროები აღიარებენ, მხოლოდ ჭეშმარიტი ქართულ-რომაული ისტორიული წყარო აბაზებს აბაზებადვე აფიქსირებს. XV საუკუნეში ქართველ დიდებულთა მიერ რომის პაპისისადმი მიწერილ წერილებში მოხსენიებულია სამეგრელოს მეფის სრული ლათინური ტიტულატურა და მოგაწვდით ამ ტიტულატურას ივანე ჯავახიშვილისეული თარგმნით:

Bendas (sic) Mengreliae et Abasiae rex

ბენდას სამეგრელოს და აბხაზეთის მეფე

თქვენ ხედავთ, რომ ქართული ისტორიოგრაფიის მცდარი ტრადიციისამებრ, დედანში სრულიად ნათლად გამოსახული, **აბაზათა** შესატყვისი ლათინური

სახელწოდება **Abasiae rex** (აბასეთის მეფე) შეცდომითაა თარგმნილი **აბხაზეთის** მეფე-დ. წერილის ავტორებს, რომელთა შორის ვატიკანის ელჩებიც იმყოფებოდნენ, ანუ ლათინური ენა მათი მშობლიური ენა იყო, რომ ნდომოდათ სახელწოდება აბხაზეთის გამოთქმა, ის ლათინურ ტექსტში გრაფიკულად ასე გამოისახებოდა -- **Abkhaziae rex** (აბხაზეთის მეფე) და მივიღებდით ქართული აბხაზეთის სრულ ლათინურ შესატყვისს:

Abkhaziae rex (აბხაზეთის მეფე)
და არა
Abasiae rex (აბასეთის || აბაზეთის მეფე)

აქ ლათინური ანბანის მცოდნეს უნდა გაუჩნდეს კითხვა: „რომის პაპის“ წერილები ლათინურ ენაზეა შედგენილი და თუ ავტორებს სურდათ გამოესახათ **აბაზეთის მეფე**, რატომ **Abasiae rex** (აბასიაე რეხ), როცა ლათინურს გააჩნია თანხმოვანი **z** (ზ) და უნდა ყოფილიყო **Abaziae rex** (აბაზიაე რეხ). ამ კითხვის ერთადერთი პასუხი ის გახლავთ, რომ ევროპაში აბაზეთის სახელწოდება ბერძნებმა დაამკვიდრეს და ვინაიდან ბერძნებს არ გააჩნდათ თანხმოვანი ზ, ის შეცვალეს თანხმოვნით ს, რის შედეგადაც იქნა მიღებული ფორმა **Abasgia** (აბასგია და არა აბაზგია). სახელწოდება **Abasgia**-ში (აბასგია-ში) გი მიწას აღნიშნავს. გიმ სვანურად მიწა-ა; ხოლო გიმე მეგრულად მიწის მცნებიდან გამომდინარე განსაზღვრებებს -- დაბლა, ძირს გამოსახავს; ასევე ბერძნულსა და მეგრულშიც ფორმანტი **გე** მიწის ზედაპირს გამოხატავს. ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII საუკუნეში ბერძენი ეპიკოსი პოეტი ევმელოს კორინთელი კოლხეთს მოიხსენიებს როგორც – Kolxida gaia (კოლხთა მიწა). ბერძნულში დადასტურებულია ასევე აბაზათა სახელწოდების Αβασχοι ფორმა, რომელშიც ბერძნული თანხმოვანი **ϧ** (χ) იგივე მიწის მცნებას გამოსახავს. მსგავს ტრადიციას ვაწყდებით კოლხეთში, როცა მხარის აღმნიშვნელ სახელწოდებას დაერთვის ასევე მიწის მცნების აღმნიშვნელი ფორმანტი ხი – კოლხი, მესხი, კახი, ჯავახი... მსგავსება იძიება ჩერქეზულშიც. სიმონ ჯანაშიას მიხედვით:

„[სუფიქსი] ხა ჩერქეზულის ყველა ენა-კილოში აწარმოებს გვარის-სახელებს კრებითი მნიშვნელობით (--ქართ. –იანი და მისთანანი)... ასევე სუფიქსი აწარმოებს ჩერქეზულ სატომო სახელებს. ასეთია, პირველ რიგში, აბაძახების სახელი – „აბაზახა“. „აბაძახ" (საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ. 556)“.

Abas+gi (აბას+გი) = აბასათა (აბაზათა) მიწა -- კომპოზიტია და, შესაბამისად, ბერძნული Abasgia უნდა ვთარგმნოთ არა როგორც – აბასგია || აბაზგია, არამედ შინაარსობრივად გამართული – აბასათა || აბაზათა მიწა =აბაზეთი.

აი ამის ცოდნის გამო ქართველმა დიდებულებმა და რომის ელჩებმა გამოსახეს ფორმა:

Abasiae rex (აბასეთის || აბაზეთის მეფე)
და არა
Abasgiae rex (აბასგეთის || აბაზგეთის მეფე)

ამრიგად, XV საუკუნეშიც ჩვენი ქართველი დიდებულები: ბედიანი, ბაგრატი, მამია, ფაბია და შესაბამისად მათი კანცელარიების წარმომადგენლები, რომელნიც ტექსტზე მუშაობდნენ და ასევე რომის პაპის ელჩები, **აბაზეთის** სამთავროს **აბასეთად || აბაზეთად** ცნობენ და არა **აბხაზეთად ან აფხაზეთად**. ანუ ფორმა **აბაზა**-ს ფორმა **აბასა**-დ გამოთქვამდნენ და არა **აბხაზა**-დ ან **აფხაზა**-დ. ამან კი უნდა მიგვახვედროს, რომ

აბაზეთის აბხაზეთად მოხსენიება, აბხაზეთთან გაიგივება მოგვიანებით მოხდა და, რასაკვირველია, ეს მორიგი ცოდვა ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა ჩაიდინეს.

ქართველი ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერებისაგან განსხვავებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიაში მოგზაური ფრანგი **ჟაკ ფრანსუა გამბა** ნათლად არჩევს ვინ აბაზაა და ვინ აფხაზი (აბხაზი).

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 15): „მოგზაურობის ქრონოლოგია რომ დამეცვა, თავდაპირველად უნდა გადმომეცა 1820 წლის დღიური, რომელიც საქართველოს, კასპიისპირეთსა და ასტრახანს, შემდეგ კი აფხაზეთს (**Abazie**), სამეგრელოსა (**Mingrelie**) და იმერეთს (**Ummirette**) შეეხებოდა“.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა გავლენით, მთარგმნელი მზია მგალობლიშვილი იძულებულია სრულიად ნათელი ჟაკ ფრანსუა გამბას **Abazie** (აბაზეთი) ქართულად **აფხაზეთად** თარგმნოს, თუმცა მას ეყო მკვლევარის ალღო და ქართული თარგმანის – აფხაზეთი-ს გვერდით დედნის ფორმა – **აბაზეთი** (**Abazie**) მოგვაწოდა. ამის შემდგომ ჩვენ შევასწოროთ ეს შეცდომა და ჟაკ ფრანსუას **Abazie აბაზეთად** მოვიხსენიოთ. 1820 წელს შავიზღვისპირეთში მოგზაური ჟაკ ფრანსუა გამბა ტერიტორიას მდინარე შახედან (ე.ი დღევანდელი სოჩისა და ადლერის რაიონების ჩათვლით) მდინარე კოდორამდე -- აბაზეთად (**Abazie**) აფიქსირებს და რაც სრულად შეესაბამება XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიულ სინამდვილეს. ასევე აღსანიშნავია, რომ 1820 წლისთვის აბაზეთის სამთავროს აღწერილი ტერიტორიიდან რუსებს მხოლოდ ქალაქი სოხუმი ემორჩილება.

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 81): „რუსების გამგებლობაში მხოლოდ სოხუმ-კალე და მისი ვიწრო გალავანი ითვლება; ამ გალავანს მიღმა კი მათ ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ემუქრებათ. როცა ჯარისკაცები შეშის მოსატანად უწევთ აქედან გასვლა, იმის შიშით, აბაზებმა არ მოგვიტაცონო, ისინი თავითფეხებამდე შეიარაღებულნი მიდიან“.

ამ ფაქტით ის უნდა დავაფიქსიროთ, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევარში ჯერ კიდევ არაა შემდგარი ანტიქართული რუსულ-აბაზური კოალიცია. ანუ რუსებსა და აბაზებს შორის ჯერ კიდევ საომარი მდგომარეობაა.

შემდგომ ჟაკ ფრანსუა გამბა იძლევა XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოს უზუსტეს აღწერილობას.

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 111): „ვიდრე ძველ კოლხეთში ჩემი მოგზაურობის დღიურს გაგაცნობდეთ, რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ სამეგრელოს თანამედროვე დაყოფის შესახებ.

სამეგრელო დაყოფილია სამ პროვინციად.

პირველი საკუთრივ სამეგრელო, რომელსაც აგრეთვე, **ოდიში** (**Odeschi**) ეწოდება. დასავლეთით მას შავი ზღვა ესაზღვრება, სამხრეთით – გურიის სამთავრო, აღმოსავლეთით – იმერეთი, დაბოლოს ჩრდილოეთით – ენგური. ერთმანეთისაგან შორიშორს მდებარე რამდენიმე პლატოსა და ხობის მონასტერთან არცთუ ისე მაღალი ქედის გამოკლებით, მთელი ეს ქვეყანა ვაკეს წარმოადგენს, სადაც მცენარეთა ნარჩენებით განოყიერებული ნიადაგი ისეთი ნაყოფიერია, რომ ბევრი ქვეყანა ვერც კი შეედრება. სამეგრელოს ამ ნაწილში საკმაო რაოდენობითაა რუსების საგუშაგოები; ამასთანავე, მეზობელ ხალხების თავდასხმებისაგან მას ღრმა მდინარეები იცავს. ასე რომ, აქაურ მოსახლეობას ამ მხრივ საფრთხე არ ემუქრება.

მეორე პროვინციაა **ლეჩხუმი** (**Lesgune**). იგი განლაგებულია ცხენისწყლის (Tskenisskal) მარცხენა მხარეს და იწყება **ხონის** (**Khoni**) ოდნავ ზემოთ, გადაჭიმულია კავკასიის მწვერვალამდე, სადაც სვანები ცხოვრობენ. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება

იმერეთის ოთხი მაზრიდან ერთ-ერთი – **რაჭის** (**Radsha**) ოლქი. ლეჩხუმის მხარე მთლიანად მთაგორიანია და მისი ჰავა მეტად ჯანსაღია.

სამეგრელოს მესამე პროვინცია გადაჭიმულია ჩრდილოეთით კოდორის კონცხამდე და საზღვრად უდევს ამავე სახელწოდების მდინარე, ძველი ავტორების კორაქსი, აღმოსავლეთით კი **წიბელი** (**Tshibelli**), -- საკმაოდ მაღალი მთები. ეს პროვინცია ატარებს აგრეთვე **სამურზაყანოსა** (**Tmourakane**) და **აფხაზეთის** (**Abkazie**) სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება. აქ იშვიათად თუ ნახავთ დამუშავებულ მიწებს და სრულიად არ არის მოსახლეობა. ეს ადგილი ნამდვილი უდაბნოა, რომელიც თავდაცვის ადგილს წარმოადგენს და ბარიერად გამოიყენება აბაზებსა და მეგრელებს შორის.

ასეთივე უზარმაზარი დაუმუშავებელი ტრამალი ძველად ჰყოფდა რუსეთსა და პოლონეთის საზღვრებს იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც თათრებს ეკავათ. დღესაც კი დაუსახლებელი, ვრცელი პროვინციები ძირითადად თავდაცვის ადგილად გამოიყენება ავსტრიასა და ოტომანთა სახელმწიფოებს შორის. ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებში თურქების, სპარსელების, ლეკებისა (**Lesghis**) და აბაზების სახელმწიფოთა საზღვრებზე უდაბნოებია გადაჭიმული.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ენგურსა და კოდორის კონცხს შორის მოქცეული ქვეყანა სრულიად დაუსახლებელია და ევროპისა თუ ტროპიკების ყოველგვარი მცენარეულობისათვის გამოსადეგი მისი მიწები გამოუყენებელია. სოხუმ-კალესა და თბილისში შევხვდი ერთ აფხაზ თავადს, რომელიც დღეს **ანაკლიის** (**Anagris**) კომენდატია, ერთხელ ვკითხე, რა საფასურს მოითხოვდით-მეთქი მდინარის გასწვრივ, ოთხ ვერსზე გადაჭიმული მიწის ნაკვეთისათვის. მან სიცილით მიპასუხა: თუ აქ დამკვიდრება გსურთ, თავად შეგიძლიათ მოისაზღვროთ მამული და ამისათვის, არც მის ღირებულებას მოგთხოვთ და არც სხვა რამ საზღაურსო.

თუ სამურზაყანოს პროვინციის დაბლობი ნაწილი დაუსახლებელია, სამაგიეროდ მთიან კანტონში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა და როგორც ვარაუდობენ, იგი დაახლოებით რვაას ოჯახს შეადგენს“.

აქ აღსანიშნავია, რომ **ჟაკ ფრანსუა გამბას** მიერ აღწერილ XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრლოს რეალობას „სამურზაყანოს პროვინციის დაბლობი ნაწილი დაუსახლებელია“, სრულად შეესატყვისება XIX საუკუნის დასასრულისათვის იმავე სამურზაყანოში, სოხუმ-ზუგდიდის მიმართულებით მოგზაურ **თედო სახოკიას** ჩანაწერი:

„ოჩამჩირედან მოყოლებული მთელს გზას ისე გაივლით, რომ გარდა ილორისა, ერთ სოფელს ვერ შეხვდებით. განგებისად დავითვალე და ილორიდან მოკიდებული 15 კილომეტრის მანძილზე მხოლოდ ოთხი მოსახლე კაცი ვნახე ამ გზის პირას“.

ამრიგად **ჟაკ ფრანსუა გამბა** სრულიად გამჭვირვალედ აფიქსირებს, რომ 1820 წლისთვის ტერიტორია მდინარე **შახედან** (სოჩი-ადლერის ჩათვლით) მდინარე კოდორამდე **აბაზეთია** (**Abazie**), ხოლო მდინარე კოდორიდან მდინარე ენგურამდე **აფხაზეთია** (**Abkazie**), ანუ სამეგრელოა, ანუ ქართველ ისტორიკოსთა და ენთმეცნიერთაგან განსხვავებით, ჟაკ ფრანსუა გამბასთვის **აბაზები** სხვანი არიან და **აბხაზები** (აფხაზები) სხვანი და **აბხაზეთი** (**აფხაზეთი**) (**Abkazie**) იგივე **სამურზაყანოა** (**Tmourakane**), ანუ იგივე **სამეგრელოა** (**Mingrelie**) -- „იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება“.

ჟაკ ფრანსუა გამბა ასევე დამატებით აფიქსირებს, რომ XIX საუკუნეშიც, ენგურსა და კოდორს შუა დამკვიდრებულ აბხაზთა წინაპრებად მეგრელები ითვლებიან.

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 88): „აბაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ილორში არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამოდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა ძველი საომარი იარაღი, რომელსაც თოფის წამლის გამოგონებამდე იყენებდნენ. აქვე ინახებოდა რკინის უზარმაზარი მუზარადები. ამ ეკლესიას ეთაყვანებიან მეგრელები და აბაზები, რომლებსაც გაუთავებლად შეუძლიათ ლაპარაკი აქ მომხდარი სასწაულების შესახებ.

თავიანთი ძველი სარწმუნოებიდან აფხაზებმა მრავალი ზნე-ჩვეულება შემოინახეს. მაგალითად, ისინი სამ დღეს უქმობენ აღდგომას და ამ დროს წითელი კვერცხის ჭამის ტრადიციას იცავენ, ზეიმობენ აგრეთვე სამებისა და შობის დღესასწაულებს... უნდა დავძინო, რომ **ბევრმა აბაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან**“.

აქვე აღსანიშნავია **ჟაკ ფრანსუა გამბას** შემდეგი ცნობაც:

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 108): „გურიის ხალხი იმავე ენაზე ლაპარაკობს და აქვს იგივე ადათ-წესები, რაც სამეგრელოში მცხოვრებ ხალხს“.

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 201): „ჩემი ვარაუდით, კოლხეთი მოიცავს მშვენიერ დაბლობს, რომელშიც შედის აბაზეთის (**Abazie**) ერთი ნაწილი გაგრის ხეობიდან მდინარე კოდორამდე (ე. ი. კოდორს აქეთ აბაზეთი არაა, ანუ კოდორს აქეთ აბხაზეთია ჯ.კ.), იმერეთი, სამეგრელო და გურია“.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც გურია და აფხაზეთი (ენგურ-კოდორის სექტორი), მსგავსად ოდიშისა და ლეჩხუმისა ჯერ კიდევ სამეგრელოა – მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან. ეხლა გავეცნოთ, თუ როგორ წარმოგვიდგენენ იმავე ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხებს რუსი ისტორიკოსები 1904 წელს, ანუ XX საუკუნის დასაწყისში გამოცემულ წიგნში.

(**Изд. Каспари. Покоренный Кавказ. Очерки историч. прош. и современного положения Кавкваза с иллюстрац. СПБ. 1904 г.**): „От реки Ингури до р. Бзыби жили абхазы, джихи или садзы – до р. Соши и Абазинцы. Последние три племени, под обшим наименованием абхазов, составляют отдельную группу черкесов, которых всех вообше разделяют на адыге, кабардинцев и абхазов (Дмитрий Гулиа 72)“.

გავიხსენოთ დიმიტრი გულიას ცნობა, რომ აბაზათა „современное русское название заимствованно от грузинского «апхази»", ანუ ქართულ ნატყუარ ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით, რუსი ისტორიკოსები ენგურ-კოდორის სექტორში მოსახლე ქართველების სახელწოდებას აბხაზი || აფხაზი-ს ავრცელებენ ადიღეელი ჯიქებისა და აბაზინების აღსანიშნავად, ნაცვლად მათი ადიღური გამაერთიანებელი საერთო სახელწოდება **აბაზა**-სი, ანუ ქართველთა სახელწოდება **აბხაზი** ცხადდება ადიღურ ტომთა გამაერთიანებელ სახელწოდებად და ენგურ-კოდორის სექტორში მუდმივად მოსახლე ქართველების არსებობა რუს ისტორიკოსთა ნაშრომების ფურცლებზე ჩვენს თვალწინ ქრება, თუმცა ეს პროცესი ნატყუარ ქართულ ისტორიულ წყაროებში ბევრად დიდი ხნის წინაა დაწყებული.

რომ არ გაჩნდეს ეჭვი: შესაძლოა ჟაკ ფრანსუა გამბას შემდგომ, ანუ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კოდორს აღმოსავლეთით აბაზები დასახლდნენ, მოგაწვდით მე-19 საუკუნის დასასრულის ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობის შემადგენლობის აღწერას,

რომელიც 1896 წლის ქართულ პრესაში თედო სახოკიამ გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ თავად თედო სახოკია სოხუმის მკვიდრი გახლდათ. მისი აღწერით:

„მცხოვრებნი ორივე სქესისა ოჩამჩირეში დღეს 608 სული ითვლება, მათში 26 კომლი ლაზია, 3 -- ბერძენი, 1 – სომეხი და ერთიც პოლონელი, დანარჩენი მეგრელები არიან. სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც ოჩამჩირის რაიონში ერთი აბაზაც არ სახლობდა და ის რაც მოხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე XX საუკუნეში, უკვე საქართველოს სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგოდ მიმართული რუსული პოლიტიკის შედეგია, ეს კი უკვე ცალკე განხილვის თემაა, მხოლოდ ერთს აღვნიშნავ, რომ ეს რუსულ-აბაზური პოლიტიკა გახლავთ ძირითადი მიზეზი იმ ტრაგედიისა, როცა აბხაზეთში მაცხოვრებელ ჭეშმარიტ აბხაზთა (მეგრელთა) უდიდეს ნაწილს, ნაცვლად წინაპართა ღვიძლი მეგრული და ქართული (კოლხური) ენებისა, საკუთარ მშობლიურ ენად ადიღური მეტყველება მიუჩნევიათ, გაადიღებულან კიდეც და მათი გონებაც საკუთარი სისხლისა და ჯიშის, ანუ მეგრელთა (ქართველთა, კოლხთა) სამტროდაა მიმართული. ესაა პირდაპირი შედეგი ასევე „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა ტყორებისა და ამ ტყორებათა ამღიარებელ ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობისა...

აბხაზურ (ქართულ) და აბაზურ (ადიღურ) ურთიერთობებზე მსჯელობისას აუცილებელია განვიხილოთ თურქი მოგზაურის **ევლია ჩელების** ჩანაწერები. რომელმაც საქართველოში 1640—1647 წლებში იმოგზაურა. წარმოგიდგენთ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ აღწერილ, ჩვენი განსახილველი თემის გარშემო არსებულ მასალას.

(**ევლია ჩელები** 93): „ამ ქალაქში (ტრაპიზონში ჯ.კ.) რამდენიმე თვე განცხრომაში გავატარეთ... ჩემი სურვილის მიხედვით ქალაქი მოვიარეთ და დავათვალიერეთ... ქეთენჯი ომერ-ფაშას ქეთხუდა ომერ-აღა ელჩობით მიდიოდა სამეგრელოში საჩუქრებით და მეც, მწირიც, მას გავყევი.

ჩვენი მოგზაურობა გურჯისტანისა და სამეგრელოს მხარეებში

ტრაპიზონში ორასი კაცის თანხლებით ოც ლაზურ მენექსილა ნავში თავით ფეხებამდე შეარაღებულნი ჩავსხედით. ალაჰს თავი შევავედრეთ და ნავსადგურიდან ჩრდილოეთისაკენ იმედის იალქნები გავშალეთ...

მდინარე ჭოროხი... მთებიდან იღებს სათავეს, მოედინება და... ბაიბურთის ციხის კლდეების ძირას გაივლის. ლაზიკის ვილაეთის ფარგლებში მრავალი სოფლისა და დაბის ბაღ-ვენახს რწყავს და გონიოს ციხესთან შავ ზღვას ერთვის... ლაზების ბევრ ნავს ამ მდინარის აღმა, აღმოსავლეთისაკენ და სამეგრელოს საზღვრებისაკენ მიაქვს მარილი, რკინეული, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი მათ სამეგრელოსა და გურჯისტანის ბზის ხეზე, თაფლზე, თაფლის სანთელზე, ტყვე ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე ცვლიან და ასე ვაჭრობენ...

გუმრუქად (საბაჟოდ) წოდებულ ადგილას მდინარე ჭოროხში შევედით, ერთი დღე აღმოსავლეთისაკენ ვიარეთ და სამეგრელოს საზღვრებს მივაღწიეთ. აქაურობა ხოშადა-დ წოდებული ბეგის საზღვრებშია. მთები მთლიანად ბზის ტყით არის დაფარული. დასახლებული და კეთილნაშენი, კაკლის ხეებიანი და ბაღებიანი სოფლები არის. მათი ბეგის სოფელში ერთი ღამე გავათიეთ. დიდებითა და პატივით მიგვიღეს. ერთი სიტყვით, ამის შემდეგ სამეგრელოს ქვეყანაში სამოცდაათამდე ქალაქის მსგავსი სოფელი დავათვალიერეთ (აქ აღწერილი სამეგრელო დღევანდელი ზემო აჭარაა ჯ.კ.) და ისევ გონიოს ციხეში მოვედით. აქედან თანამგზავრებთან ერთად ტრაპიზონისკენ

გავწიეთ. მე, მწირს, მებრძანა აზოვის ლაშქრობაში წასვლა გონიოს აღის ზიზ გეჩი-ბაშის ასეულთან ერთად.

აბაზას ქვეყნის სადგურები, რომლებშიც ჩვენ აზოვის სალაშქრო მგზავრობისას გავჩერდით: ამგვარად, სამასამდე მეთოფე იანიჩარი და მე, მწირი, ჩემი ხუთი ქართველი ტყვე ბიჭით, ათ ლაზურ მენექსილაში (ნავში ჯ.კ.) ჩავსხედით... ამ ხომალდებით ხელსაყრელ ამინდში გონიოს ციხიდან გავედით და სამხრეთის ქარით მდინარე ჭოროხი გავიარეთ.

ისევ სამეგრელოს საზღვრებში მდებარე ნავსადგურ სუკარიში მივედით. ყურე აქვს. იგი გავიარეთ და მივედით ნავსადგურ ჰანდრაში, რომელსაც ყურე არა აქვს. ნავსადგურ სივრის აქვს ყურე და ერთი დანგრეული წისქვილი. ნავსადგურ ᲘავისᲐს ყურე და გავერანებული ციხე აქვს. ამ {ციხეში} მეგრელი მწყემსები (დღევანდელი აჭარელ-გურულები ჯ.კ.) ცხვრებსა და თხებს აზამთრებენ. აქედან ნავსადგურ რაბჩაში მივედით. ყურე არა აქვს. მხოლოდ ერთი დიდი, დანგრეული ციხეა. ყველა ეს ხუთი ნავსადგური სამეგრელოს საზღვრებშია. კეთილნაშენი ადგილები არ აქვთ. მხოლოდ ივლისში და ჭირნახულის აღების დროს სავაჭრო გემებს მოაქვთ მარილი, ჭურჭელი, იარაღი და გოგო-ბიჭებზე ცვლიან. მის მთებში ბაღ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია. ზღვისოდენა ჯარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა. გონიოდან ასი მილით დაშორებული ეს ხუთი ნავსადგური ერთ დღე-ღამეში გავიარეთ და მეორე დღეს მდინარე ფაშამდე (ფასისამდე, რიონამდე) მივედით (აქ აღწერილი გონიოდან რიონამდე სამეგრელო დღევანდელი აჭარა-გურიაა ჯ.კ.).

მდინარე ფაშა (ფასისი, დღეს რიონი ჯ.კ.): დუნაისავით ფართო მდინარეა... შიგ სამეგრელოსა და აბაზას ქვეყანაში მიმავალი ხომალდები შედიან. ასი მილის მანძილზე ადიან აღმა... სტამბოლიდან აქამდე ათას სამასი მილია... (ფასისი, რიონი) იკრიბება... მთების ხევის წყლებისაგან, შემდეგ პირდაპირ სამხრეთისაკენ მიედინება და სამეგრელოსა და აბაზას ქვეყნის შუა ზღვას ერთვის (ევლია ჩელების მიხედვით რიონი საზღვარი იყო გურიასა და აბაზეთს შორის ჯ.კ). აღმოსავლეთ ნაპირზე მთლიანად სამეგრელოს ურჩი სოფლებია (გურია ჯ.კ). დასავლეთი ნაპირი აბაზას ჩაჩების ტომის ქვეყანაა (რიონის დასავლეთი ნაწილი, ოდიშის ტერიტორია, ევლია ჩელებისთვის აბაზა ქვეყანაა, ჩაჩების ტომით დასახლებული ჯ.კ.). რადგანაც [მდინარის{ ორივე მხარე ბუჩქნარიანი და ტყიანია, აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები – აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე...

ეს მდინარე გავიარეთ და დასავლეთისაკენ გავემართეთ. მთელი დღე შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ და აბაზას ქვეყანას მივაღწიეთ.

თვალწარმტაცი ქვეყნის, ე. ი. აბაზას ქვეყნის აღწერა

მთლიანად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა (ფასისი, რიონი ჯ.კ.) და საზღვრის დასასრულია დასავლეთით ორმოცდაორი დღის სავალზე კაფას ვილაეთის მფლობელობაში მყოფი ტამანის ნახევარკუნძულის ახლოს მდებარე ანაპის ციხის ნავსადგური...

აბაზას ქვეყანაში მოსახლე ტომების შესახებ

ჩაჩების ტომი: ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ, რადგანაც მდინარე ფაშას გაღმა მხარე მთლიანად სამეგრელოა. ბეგთა შვილები ჰყავთ. ათიათასამდე ძლიერი ჯარი ჰყავთ. ყველა ერთი სარწმუნოებისა არ არის. მძარცველი და მამაცი ტომია. კაკალი, თხილი და გარგარი ბევრი აქვთ. მათი იარაღი, არაბთა მსგავსად, მშვილდ-ისარი და შუბია. თუმცა ცხენოსანი ცოტაა, ქვეითნი მშვენიერი ჭაბუკები არიან. მათი

ნავსადგური დასავლეთით ორი კონაკის მანძილზეა (კონაკი -- ერთი დღის სავალი მანძილი), რომელსაც ლაკბას უწოდებენ. ტრაპიზონიდან სამასი მილით დაშორებული დიდი ნავსადგურია. გემებს ზამთრობით არ შეუძლიათ აქ გაჩერება, რადგანც სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქარები სასტიკად ქრიან. აქედან დასავლეთისაკენ ზღვის ნაპირის გაყოლებით რომ წავიდეს კაცი, არლანთა ტომის მიწაზე სოფელ ხაფადში მოხვდება.

არლანის ტომი: ათი ათასამდე ვაჟკაცი ჰყავთ. ნაყოფიერი და მოსავლიანი მიწები აქვთ და სამართლიანი ბეგები ჰყავთ. მათ ნავსადგურს ეწოდება ლაჩიღა... აქედან კვლავ დასავლეთისაკენ ორი კონაკი გავიარეთ და ჩანდების ტომს მივაღწიეთ.

ჩანდების ტომი: მამაცი ტომია, თხუთმეტათასამდე კაცი. წმინდა აბაზები ესენი არიან. ბეგები ჰყავთ. ამათ უწოდებენ მთის ჩანდებს. მათ ნავსადგურს ეწოდება კაკრ. მთაზე ზღვისაკენ მიქცეულ მხარეს ბაღ-ვენახიანი სოფელია, სახელად ხოფა. აქედან დასავლეთისაკენ ზღვის პირზე სამი სადგური გავიარეთ და დიდ ჩანდათა ტომის საზღვრებში მივედით.

დიდი ჩანდების ტომი... გეჩიების ტომი...ართის ტომი... სოჩას ტომი...

კუთასის ტომი: ერთი ბეგი ჰყავთ. სულ შვიდი ათასი მეომარია... ამ ტომსა და ჟანას ჩერქეზებს შორის ერთი კონაკია. ამათ ჩერქეზული ენაც იციან. ერთმანეთთან შეთანხმებით ჩერქეზეთში მიაქვთ საქონელი და ჩერქეზებსაც ამათ ნავსადგურში მოაქვთ.

ამ ადგილას დამთავრდა აბაზას ქვეყანა. ამ ადგილიდან მოყოლებული მდინარე ფაშამდე ყველა ტომი, ვისთანაც ჩვენ მივედით და დავათვალიერეთ, ზღვის პირას სახლობს... მდინარე ფაშადან (ფასისიდან, რიონიდან ჯ.კ.), აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ამ კუთასის ტომამდე აბაზათა ქვეყნის სიგრძე სრული ორმოცი კონაკია. სიგანე – ხუთი კონაკი.

ამ ქვეყანას ორმოცი კონაკის მანძილზე ორმოცი დიდი მდინარე ჩამოუდის. ყველა მდინარე ჩერქეზეთსა და აბაზას შორის მდებარე მთებიდან მოედინება და შავ ზღვას ერთვის. ეს არის ერთმანეთზე მიბჯენილი მაღალი მთა. ამბობენ, რომ ორი ათასი სოფელია, მაგრამ მე ეს არ ვიცი. მათი მთები არ მომივლია. ხარაჯას და სხვა ბაღ-ვენახის მოსავალს, ან აშარას მსგავსს არაფერს იძლევიან. მრავალი ასი ათასი ურჩი და მეამბოხე ხალხია. მათ რომ ქაფირი (გიაური, ქრისტეანი ჯ.კ.) უწოდონ, კაცს მოკლავენ. მუსლიმი რომ უწოდონ – გაეხარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ამასთამავე, ქაფირი (გიაური, ქრისტეანი ჯ.კ.) არ უყვართ და მუსლიმს სულს მისცემენ. ისლამი რომ მიიღონ, ძალზე მორწმუნე და ერთი ღმერთის მიმდევარნი იქნებიან. მათი წინაპრები ყურეიშა აბაზის ტომიდან არიან, ესენი ზღვის სანაპიროზე ნავსადგურების მფლობელი აბაზები არიან“.

ამრიგად, ევლია ჩელების აღწერილობით, ტერიტორია მდინარე რიონის დასავლეთით აბაზეთია და მცნება ოდიში გამქრალია -- ეს გახლავთ ისტორიული მირაჟი, მხოლოდ ამ მირაჟს ავტორად ყავს ბრწყინვალე ილუზიონისტი, ანუ ბრწყინვალე პოლიტიკოსი, ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი.

ე. ი. ევლია ჩელებიმ საქართველოში 1640 – 1647 წლებში იმოგზაურა და ოდიშის, ანუ რიონს დასავლეთით სამეგრელოს არსებობა ვერ დააფიქსირა. ეს მაშინ, როდესაც იტალიელმა დონ არქანჯელო ლამბერტიმ იმავე პერიოდში (1633 – 1663 წ.წ.) ოცი წელი იცხოვრა დამოუკიდებელ ოდიშში (კოლხიდაში) და რომლის მიხედვითაც:

(**არქანჯელო ლამბერტი** 1): „ძველი პოეტებისაგან ფრიად სახელგანთქმული კოლხიდა არის აზიის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის უკიდურეს ნაპირზე და რომელსაც მკვიდრნი უწოდებენ ოდიშს და სხვები კი – სამეგრელოს.

ზღაპრულთქმულებით ეს ქვეყანა იყო მედეას სამშობლო...

კოლხიდა (ე. ი. ოდიში ჯ.კ.) მდებარეობს იმერეთსა (აგრეთვე ბაში-აჩუკქად წოდებულსა) და აფხაზეთს შუა. იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი – ჩრდილოეთით. იმერეთისგან მას ჰყოფს სახელგანთქმული მდინარე ფასისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად... რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოს და გურიას და ბოლოს წყნარად შეერთვის შავ ზღვას...

კოლხიდის (ე. ი. ოდიშის ჯ.კ.) საზღვარია აფხაზების ანუ აბაშების მხრით მდინარე, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და ჩემის აზრით კი ძველთა კორაქსია“.

სამწუხაროდ, მთარგმნელი ალექსანდრე ჭყონია არ გვაწვდის იტალიური ტექსტის დედანს, რათა გავრკვეულიყავით არქანჯელო ლამბერტი აფხაზებში ადიღეელ აბაზებს გულისხმობს თუ ჟაკ ფრანსუა გამბას აფხაზ-მეგრელებს. ყოველ შემთხვევაში, არქანჯელო ლამბერტის მიხედვითაც ტერიტორია რიონიდან კოდორამდე სამეგრელოა.

არქანჯელო ლამბერტის ოდიშში ცხოვრების პერიოდში ოდიშს მართავდა ლევან II დადიანი (1611 – 1657 წ.წ.) და მისი მმართველობის პერიოდში ოდიში არათუ დამოუკიდებელი იყო, არამედ:

(**არქანჯელო ლამბერტი** 28): „დადიანმა, როგორც კი შინაურ საქმეებისაგან მოიცალა, საჩქაროდ გაილაშქრა აფხაზების წინააღმდეგ და მალე დაამარცხა ისინი. აფხაზებმა მორჩილება განუცხადეს, ხარკი იტვირთეს, მაგრამ, რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია, და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად – დადიანმა მათ ხარკად დაადვა რამდენიმე მწევარ-მეძებარი და მიმინო, რომლებითაც აფხაზეთი ნაქებია.

დაიმორჩილა თუ არა აფხაზეთი და გურია, დადიანმა იმერეთის დაჭერაც მოისურვა, რომლის მფლობელიც ძველად მისი მეფე იყო. ამ განზრახვით დადიანს განუწყვეტელი ომი ჰქონდა იმერეთთან. თუმცა აქამდის თავისი წადილი ვერ შეისრულა, რადგან იმერეთის მეფე გამაგრდა ქუთაისის ციხეში და მის სიმაგრეს დადიანმა ვერ სძლია, მაგრამ მაინც ისე დაასუსტა იმერეთის სამეფო, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალღონით“.

ამრიგად, **არქანჯელო ლამბერტის** ცნობით, **ევლია ჩელების** მოგზაურობის დროს ოდიში ბევრად ძლიერი სამფლობელო იყო ვიდრე რომელიმე მისი მეზობელი მხარე, ეს „ჩაჩების ტომია“ (საშერვაშიძეო), გურია თუ იმერეთი. თავისთავად ისმის კითხვა -- მაშ რატომ გამოეპარა თავის აღწერილობაში ევლია ჩელების ესოდენ წარმატებული მხარე სამეგრელოსი და ეს ტერიტორია ჩაჩების ტომის (საშერვაშიძეოს) საკუთრებად გამოაცხადა, ეს გახლდათ ლევან II დადიანის მიერ თურქეთის მიმართებით წარმოებული პოლიტიკის შედეგი.

(**არქანჯელო ლამბერტი** 30): „დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას თურქეთის მიმართ. იგი კარგად გრძნობს თურქეთის მტარვალობას, და აგრეთვე იცის რამდენი სამეფო ჩაუნთქავს მის მტარვალობას, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია. თურქეთმა რომ მისი სამთავროც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიმსახუროს თურქეთისა ისე კი, რომ ამით მთავრის ღირსებას არა მოაკლდეს-რა. ასეთი მეგობრობის დასაცველად დადიანი ყოველ წელიწადს სულთანის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარჯს აძლევს. ამნაირად დადიანი თავის ნებით გახდა თურქეთის მოხარკე, ხოლო თავის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარ ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს.

რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, სულთან მურადმა, აწინდელმა ხელმწიფემ თურქეთისამ, როცა იგი ომობდა ირანის შაჰ-სეფის წინააღმდეგ და ერევანის ქალაქს მიადგა ასაღებად, შემოუთვალა დადიანს, შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმაროო. ამაზე დადიანმა უპასუხა, არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გვედო თქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გიახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვარში ჯარით არ შემოხვიდეთო. და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოგისპობთ ხარკს და ადვილად შევიძლებ ჩემის ჯარით დავიცვა სამთავრო.

სულთანმა არავითარი პასუხი არ გასცა დადიანს არც წერილით და არც საქმით. რადგან დარწმუნებული იყო, ერთის მხრით, რომ ეს პასუხი სამართლიანი იყო და მეორეს მხრით, რომ დადიანის სამთავროს ისეთი მაგარი საზღვრები ჰქონდა ბუნებით, რომ მისი დაპყრობა შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში სულტანი დარწმუნებული იყო, რომ კიდევაც გარდავწყვიტო სამეგრელოს დაპყრობა, ამისათის იმდენი ჯარი უნდა ვიხმარო და ხარჯი გავწიო, რომ ამ ხარჯათ დაპყრობილი სამთავრო არ ეღირებაო. სულთანმა ისიც კი იცოდა, რომ მეგრელები არაფრად აგდებდნენ თურქების ძალას, რადგან როცა კი თურქეთის ჯარი ან ზღვით ან ხმელეთით მიადგებოდა სამეგრელოს, მეგრელები ყოველთვის მზად იყვნენ თვითონ დაეწვათ თავიანთი სახლები, აბარგებულიყვნენ თავიანთი საქონლით და ავეჯით და მთებში გახიზნულიყვნენ. მერე იქიდან ხშირად ჩამოვიდოდნენ და, ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ჩასაფრებულნი სროლას დაუწყებდნენ თურქების ჯარს, და ამ გზით ჩქარა დაამარცხებდნენ მათ. ამ საქმეში მეგრელებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათი ქვეყანა გაუვალი ტყითა და ჭაობით იყო დაფარული.

მეორე პოლიტიკური ხერხი, რომელსაც ხმარობს დადიანი თურქების მიმართ, ის არის რომ ცდილობს მტკიცედ დაარწმუნოს თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. ამისათვის, როცა თურქეთიდან ელჩები მოვლენ, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც სამუდამოდ ნაბრძანები აქვთ, გვერდი აუხვიონ კარგს პიდაპირ გზებს, მშვენიერს და კარგ ადგილებს და სანახავებს, და გამოატარონ ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურულ ტყეებით და ცუდი ადგილებით; მდინარეებში გასვლის დროს უნდა ამოერჩიათ უფრო ღრმა ფონი, ღამით უნდა დაებინავებინათ რომლისამე ღარიბი გლეხის სახლში, სადაც ლოგინათ დაეგოთ მხოლოდ თივა და საჭმელად ეშოვნათ ყველი და მწვანილი.

ელჩები ფიქრობდნენ, რომ მთავრის სასახლეში როცა მივალთ, მაშინ მაინც კარგად მოგვასვენებენო. მაგრამ მთავარი აქაც ახირებულად დახვდებოდა: დამჯდარი ხის ქვეშ, ძველს ხალიჩაზედ, ღარიბულად ჩაცმული მიიღებდა ელჩებს. გარშემო მრავალი მხლებელი ჰყავდა, მაგრამ ყველანი ცუდად ჩაცმულნი. აქ რომ მიიღებდა ელჩებს და მოისმენდა სულთნის უსტარს, მიუჩენდა მათ მოსასვენებლად, უფრო ხშირად ერთ დიდ ფიცრულ სახლს, თითქმის უკაროს და უსახურავოს, რომელშიაც კაცი ერთ კუთხეს ვერ იპოვიდა, რომ წვიმის დროს თავი შეეფარებინა. საჭმელად ყოველ დღეს მიართმევდნენ თხის ხორცს, რაც შეიძლებოდა უარესს. პური საზოგადოდ ცოტაა ამ ქვეყანაში და ელჩებსაც ისე გამოზოგვით მიართმევდნენ ხოლმე, რომ ისინი შიმშილსაც ვერ იკლავდნენ. რაც შეეხება ღვინოს, თუმცა ელჩებს დიდი სურვილი ჰქონდათ თავისი კანონი დაევიწყნათ და წინააღმდეგ ამ კანონისა, დაელიათ ყურძნის წვენი, მაგრამ ისეთ

საძაგელს ღვინოს მიართმევდნენ ხოლმე, რომ ძალაუნებურად უნდა მტკიცედ დაეცვათ თავისი კანონი და წყურვილი მარტო წყლით დაეკმაყოფილებინათ.

აგრე შევიწროებულნი და გაჭირვებულნი იყვნენ დადიანის კარზე ელჩები. ამიტომაც ისინი სწყევლიდნენ იმ წამს, როდესაც მოვედით ამ დაწყევლილს და ჯოჯოხეთზე უარეს ქვეყანაშიო. ყველა ამ ღონისძიებას ხმარობდა დადიანი იმისთვის, რომ კონსტანტინეპოლში ცუდი აზრი ჰქონოდათ ამ ქვეყნის შესახებ და ხონთქარს აზრადაც არ მოსვლოდა არც ხარკის მომატება და არც ამ ქვეყნის სრულად დაპყრობა“.

თქვენ როგორ გგონიათ, ლევან დადიანი რომელიც ასე ახირებით ხვდებოდა ელჩების მცირერიცხოვან ჯგუფებს, ბუკ-ნაღარითა და გაშლილი სუფრით შეეგებებოდა თავიდან ფეხებამდე საბრძოლველად შეიარაღებულ სამასკაციან მეომარ თურქ იანიჩართა რაზმს, რომელსაც თან ევლია ჩელები ახლდა?

თქვენ დააკვირდით იმ რეალობას, რომ გურიის საზღვარს (გონიო-რიონი), რომლის გასწვრივ ხუთი ნავსადგური მოქმედებს, თურქები შეუჩერებლად გაივლიან, ვინაიდან აქ „დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია“ და ისე ჩააღწევენ ფაშის ნავსადგურს სადაც თურქებს ციხესიმაგრე ქონდათ აგებული. აქ შესვენების შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ ევლია ჩელებისათვის რიონის „დასავლეთი ნაპირი აბაზას ჩაჩების ტომის ქვეყანაა“, ევლია ჩელები აცხადებს:

„ეს მდინარე გავიარეთ და დასავლეთისაკენ გავემერთენით. მთელი დღე შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ ვიარეთ და აბაზას ქვეყანას მივაღწიეთ“.

რიონიდან ნავებით აბაზას ქვეყანას რომ ჩააღწიო „მთელი დღე შავი ზღვის ნაპირ-ნაპირ უნდა იაროთ“ ნავით და გასცილდებით კიდეც კოდორის ხეობას, ანუ ევლია ჩელების რეალური აბაზა კოდორს გაღმაა, ოდიშის გაღმაა.

ასევე დააკვირდით უმნიშვნელოვანეს დეტალს, აჭარა-გურიის სანაპიროზე ხუთი ნავსადგურია, ხოლო ოდიშის სანაპიროს გასწვრივ არცერთი არაა დაფიქსირებული და რამაც იმას უნდა მიგვახევედროს, რომ ვინაიდან ზღვაზე თურქები ბატონობენ, ლევან დადიანი აქაც თურქული საზღვაო ანექსიისაგან ქვეყნის ჩაკეტვის ტაქტიკას ირჩევს, მისთვის ფაშის (ფოთის) ნავსადგური სრულიად საკმარი იყო, ხოლო მეთევზეებისათვის ნავსადგური აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

ამრიგად, ცხადია, ის რომ ევლია ჩელებიმ ვერ დააფიქსირა შავი ზღვის სანაპიროზე გურიასა და საშერვაშიძეოს შორის არსებული ოდიშის ბევრად უძლიერესი სამთავრო, განაპირობა ლევან დადიანის საგარეო პოლიტიკამ, ანუ ლევან დადიანი ხელგაშლით ხვდება ქრისტეან იტალიელ მისიონერს დონ არქანჯელო ლამბერტის, მაგრამ თურქეთის ხელისუფლების წარგზავნილი, მუსულმანი ევლია ჩელები, თავისი სამასი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული იანიჩარით, მისთვის არასასურველი სტუმარი იყო. სამაგიეროდ ევლიას დიდი პატივი ელოდა აბაზეთში სადაც იმ დროისთვის „ქაფირი (გიაური, ქრისტეანი) არ უყვართ და მუსლიმს სულს მისცემენ“. ეს მაშინ როდესაც ლევან II დადიანი ქრისტეანულ სამყაროსთან კონტაქტების დამყარების მიზნით 1636 წელს ელჩობას აგზავნის მოსკოვში, ხოლო 1643 წელს იტალიელ მისიონერს დონ ჟუზეპე ჯუდუჩეს სპეციალური მისიით რომში მიავლენს.

ასევე მივაქციოთ ყურადღება შემდეგი განსხვავებული ბუნების დახასიათებებს:

კუთასის ტომი: ამ ტომსა და ჟანას ჩერქეზებს შორის ერთი კონაკია. ამათ ჩერქეზული ენაც იციან. ერთმანეთთან შეთანხმებით ჩერქეზეთში მიაქვთ საქონელი და ჩერქეზებსაც ამათ ნავსადგურში მოაქვთ.

ჩანდების ტომი: მამაცი ტომია, თხუთმეტათასამდე კაცი. წმინდა აბაზები ესენი არიან. ბეგები ჰყავთ. ამათ უწოდებენ მთის ჩანდებს. მათ ნავსადგურს ეწოდება კაკრ“.

ე. ი. ვინაიდან კუთასის ტომი ჩერქეზების მეზობლები არიან, ერთმანეთში ვაჭრობენ და, რაც მთავარია, ორთავენი ერთი ადიღე ხალხის წარმომადგენლები არიან, კუთასისებმა ჩერქეზული ენაც იციან.

სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას გვიხატავს ევლია ჩელები აბაზებსა და მეგრელებს შორის – „აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები – აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე“, ანუ ერთმანეთით ვაჭრობენო და მიუხედავად ამ მტრობისა – „ჩაჩების ტომი: „ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ“. უნდა განვსაზღვროთ, რომ სულ სხვაა როცა ფლობ მეზობელი ხალხის ენას და სრულიად განსხვავებული ვითარებაა როცა „ერთმანეთში მეზობლის ენაზეც ლაპარაკობენ“.

ევლია ჩელების ჩაჩების ტომი „ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ“ არა იმის გამო, რომ „მდინარე ფაშას (რიონის) გაღმა მხარე მთლიანად სამეგრელოა“, არამედ იმის გამო, რომ იტალიურ რუკებზე მე-15 საუკუნისა (რუკა ბენინკაზისა – 1460 წლისა და კ. ფერდუჩისა – 1497 წლისა) ნავთსადგური მდინარე კელასურის შესართავთან მოიხსენიება სახელწოდებით Porto Mengrelo მე-15 საუკუნისათვის (ისევე როგორც ამის წინა პერიოდებში საშუალო საუკუნეთა მანძილზე) ეს მხარე – „შუა სოფელი“, ეგრისის ნაწილს წარმოადგენდა და დასახლებული იყო მეგრელებით, რის გამო კელასურის ნავთსადგურსაც ეგრისის ანუ მეგრელთა ნავთსადგური ეწოდებოდა (**პავლე ინგოროყვა** 132).

უცხოელ მოგზაურთა მიერ სოხუმის, ცხუმის რეგიონი XIII—XIV საუკუნეებში და ადრეც ქართველთა საცხოვრისად სახელდება.

(**ბეჟან ხორავა** 38): „არაბი აბულ-ფიდას (1273—1331) ცნობით, სოხუმი ქურჯების (გურჯი, ქართველი,--ბ.ხ.) ქალაქია. ცხუმის (სებასტოპოლი. სოხუმი) კათოლიკე ეპისკოპოსი, ინგლისელი პეტრე გერალდი კემტერბერის არქიეპისკოპოსისადმი 1330 წ. გაგზავნილ წერილში წერს, რომ ცხუმი „ქვემო საქართველოს“ ("**iferioris Georgianae**") ქალაქია და აქ შეჭირვებული კათოლიკე ეპისკოპოსი „კვირაობით რომელიმე ღარიბი ქართველისაგან შეწირულებას“ იღებს.

აბულ-ფიდას თხზულებაში პირველად გვხდება სახელწოდება „სოხუმ“, რომელიც მოგვიანებით თურქულ წყაროებში იხმარება ცხუმის აღმნიშვნელად. როგორც ცნობილია, აღმოსავლურ ენებში – არაბული თურქული – „ც“ ბგერა არ არსებობს. ამასთან ეს ენები ვერ იტანენ სიტყვის დასაწყისში ორ თანხმოვანს ერთად და მათ შორის აუცილებლად ხმოვანი ჯდება. ასეა მიღებული ქართული ცხუმიდან, არაბული და თურქული „სუხუმ“ (**Т. Н. Берадзе, Мореплавание**... გვ.21)“.

ე. ი. უცხოელთა მიერ, ბერძნული სებასტოპოლისის ნაცვლად, ქალაქის სახელწოდებად უკვე XIII საუკუნეში წმინდა ქართული (სვანო-მეგრული) კონსტრუქციისა და შინაარსის მატარებელი სახელწოდება **ცხუმია** დაფიქსირებული და საიდანაც შემდგომ წარმოდგა ქალაქის დღევანდელი თურქულად გამოთქმული ქართული სახელწოდება **სუხუმ-სოხუმი**.

სოხუმის რეგიონში არა მარტო ქართველები სახლობდნენ, არამედ ქართველებიც მართავდნენ, მაგალითად, XIII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის მთავარმა გიორგიმ „მიიტაცა საერისთაო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიამდე“; ასევე თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ XIV--XV საუკუნეებშიც ცხუმი ბედიანის სამეგრელოს სამეფოს შემადგენელია.

(ბეჟან ხორავა 42): „1354 წელს გენუელებმა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მიიღეს ნებართვა ფაქტორიის დაარსებაზე ცხუმში. პირველი კონსულიც იმავე წელს დაინიშნა. ამავე პერიოდში, 1318 წ. ცხუმში დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა...

გენუის მთავრობა ადგილობრივ მფლობელთან – „ბედიანთან“ შეთანხმებით ნიშნავდა კონსულსა და სხვა მოხელეებს. მიუხედავად იმისა, რომ გენუელებს ცხუმში კონსული ჰყავდათ, ამ ქალაქის სრული ბატონ-პატრონი მაინც ‚ბედიანი“ იყო. ამით ცხუმი საგრძნობლად განსხვავდებოდა შავიზღვისპირეთის იტალიელთა კოლონიებისაგან, სადაც გენუელები სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს“.

(ბეჟან ხორავა 58): „ზ. ანჩაბაძე თვლიდა. რომ XV ს. მეორე ნახევარში აფხაზეთის ერთი ნაწილი მდ. ბზიფამდე ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა; ე. მამისთვალისშვილის აზრით, მთელი აფხაზეთი ჯიქეთამდე უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში“.

მართებულია ევლია ჩელების ნაშრომის მთარგმნელის გიორგი ფუთურიძის განმარტება:

„**ჩაჩების ტომი** – უნდა ვიგულისხმოთ, რომ ტომობრივი ერთეული კი არ არის, არამედ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ჩაჩბა (თავად შერვაშიძე) ედგა სათავეში“.

ასევე გავითვალისწინოთ მეგრული გვარი **ჩაჩიბაია**.

განსახილველ პერიოდში საშარაშიო-საშერვაშიძეო ტერიტორიად მოიცავდა მდინარე კოდორის დასავლეთს, ლიხნის რაიონის ჩათვლით (მაშინ გუდაუთა არ არსებობდა, ეს დასახლება მოგვიანებით, ცარიზმის პერიოდში მეგრელებმა დააფუძნეს). საშერვაშიძეოს ტერიტორია წარმოადგენთა მეგრელთა და აბაზათა საცხოვრისს და ამ ჭრილში უნდა გავიგოთ, რომ:

„**ჩაჩების ტომი**: ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენ“ და „ყველა ერთი სარწმუნოებისა არ არის“. ანუ აქ სახლობენ ქრისტეანი მეგრელები და „მუსულმანთა მოყვარული“ აბაზები. ამ ცოდნის შემდეგ ნათლად იკვეთება ჩაჩებისაგან განსხვავებული ჩანდების ტომის დახასიათების შინაარსი:

„ჩანდების ტომი: მამაცი ტომია, თხუთმეტათასამდე კაცი. **წმინდა აბაზები ესენი არიან**. ბეგები ჰყავთ. ამათ უწოდებენ მთის ჩანდებს. მათ ნავსადგურს ეწოდება კაკრ“.

ევლია ჩელების **კაკრ** ეს **გაგრაა** და მისი ჩანდების ტომის დახასიათება გვიხსნის, რომ ნამდვილი აბაზები დღევანდელი გაგრის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი აბაზები არიან და არა სოხუმ-ბიჭვინთის სექტორში, სტრაბონის კოლხური სოხუმ-ბიჭვინთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი კოლხურ-ადიღური ნარევი ტომიო.

თავად საშერვაშიძეოს მმართველი, რომელიც აბაზური ტრადიციით **სეტემან ჩაჩბაა**, კათოლიკე მისიონერებს წარუდგება მეგრული გვარით – **სეტემან შარაშია.**

(არქანჯელო ლამბერტი 23): „როცა დრომ მოაწია, ლევანმა... შეირთო ცოლად აფხაზების მთავრის შარაშიას ქალი“.

მეორე იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი, მის მიერ შესრულებულ აბაზა მთავრის შარაშიას პორტრეტის ჩანახატის მინაწერზე, ამ გვარს ასე გამოსახავს – **Abaza Ciarasia** (**აბაზა შარაშია**). სეტემან შარაშიას ქალიშვილის დარეჯან შარაშიას გვარსახელს გვაწვდის ასეთი ფორმით -- **Darrindzia Sciarassia**. ხოლო XIX საუკუნეში თედო სახოკიასთვის ისინი შარვაშიძეები არიან. ადიღეელებთან **ჩაჩბა**, მეგრელებთან **შარაშია**, ქართველებთან **შარვაშიძე**, რუსებისთვის **შერვაშიძე**.

მეგრულ ენაზე მეტყველებდნენ არა მარტო ჩაჩების ტომი.

(**ილია ტაბაღუა** II 41): „(1614 წელს მისიონერი) ლუი გრანჟე აღწერს რიზეს და საერთოდ ლაზეთის მხარეს. იგი წერს: „სოფელი რიზე... სხვა ბევრ სოფელთან ერთად შედის ლაზების ქვეყანაში, რომელიც გადაჭიმულია ტრაპეზუნტიდან საქართველომდე. იმ ნაწილში, რომელიც მდებარეობს ტრაპეზუნტის მხარეში, ლაპარაკობენ ბერძნულად, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს მხარეზეა, მათთვის საერთო ენა მეგრულია“.

XVII საუკუნეშიც ტრაპიზონიდან დაწყებული, საშერვაშიძეოს ჩათვლით, ადგილობრივი მეგრული მოსახლეობის სალაპარაკო ენაც მეგრული იყო და მსოფლიო ისტორიოგრაფიის მონაცემებითაც -- აფხაზები აფხაზეთში მაცხოვრებელი მეგრელები (ქართველები) არიან, რომელთა სალიტერატურო, რელიგიური ენა ქართული ენაა.

ჟაკ ფრანსუა გამბას მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ 1657 წელს ლევან II დადიანის სიკვდილის შემდგომ ოდიშის სამთავროს, მდინარე კოდორიდან მდინარე ენგურამდე ტერიტორიაზე ჩაჩბა-შარაშია-შერვაშიძეთა ოჯახის წევრები გათავადდნენ, ეს ტერიტორია ატარებს არა აბაზეთის, არამედ „აფხაზეთის (**Abkazie**) სახელს. იგი დადიანების სახელმწიფოს ნაწილს შეადგენს; მაგრამ შეიძლება ითქვას, იგი არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილება“ და მაინც სამეგრელოს ერთ-ერთი პროვინციაა. ანუ 1820 წლამდისაც ამ ტერიტორიაზე აბაზები არ სახლობენ, ხოლო XIX საუკუნის ნახევრის პირველი ნახევრიდან, რუსულ-თურქულ-კავკასიურ ომების შედეგად, ისევე როგორც სრულიად კავკასიაში, აფხაზეთში იწყება მუჰაჯირობა, ანუ რუსთა მიერ მუსლიმან აბაზათა განდევნა როგორც აფხაზეთიდან, ასევე მათი სამშობლოდან, ჩრდილო კავკასიიდან თურქეთსა და სხვა მუსულმანურ ქვეყნებში. აქვე აღსანიშნავია, რომ მუსულმანი ოსები, ყაბარდოელებთან და ბალყარელებთან ერთად რუსების წინააღმდეგ ომში არ მონაწილეობდნენ. მუჰაჯირობა დასრულდა 1877—1878 წლების რუსულ-თურქულ-კავკასიური ომების შემდგომ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ:

ოდიშის ტერიტორია მდინარე ენგურიდან მდინარე კოდორამდე არც არასოდეს არ წარმოადგენდა აბაზებით დასახლებულ, აბაზეთის უშუალოდ შემადგენელ ნაწილს. ანუ დღევანდელი აფხაზეთი არასოდეს არ წარმოადგენდა მხოლოდ აბაზათა ქვეყანას. წმინდა აბაზეთი სადაც „წმინდა აბაზები ესენი არიან“ (ევლია ჩელები), ეს გაგრა ანაპის ტერიტორიაა. ბიჭვინთა-კოდორის სექტორი გარდამავალი ტერიტორიაა, ხოლო კოდორ-ენგურის მონაკვეთი მუდამ ოდიშის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობას, რომ აფხაზეთი ეწოდებოდა ჩრდილო სამეგრელოს, ადასტურებს რუსი ისტორიკოსი **ტატიშჩევი**.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 275): „ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი (1686—1750 წ.წ.) შენიშნავს, რომ Турки и до днесь Северную Мингрелю именуют „Абхаз". Абаза же есть владение кабардинское по реке Куме“.

რუსი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი გვიხსნის, რომ „თურქები ჩრდილო სამეგრელოს აფხაზეთს უწოდებენო, ხოლო აბაზათა სამკვიდრო ყაბარდოშია მდინარე კუმე-ს გასწვრივო“. ანუ რუსებისათვის XVIII—XIX საუკუნეებშიც აბხაზეთი ჩრდილო სამეგრელოა, ხოლო აბაზების სამშობლო ჩრდილოკავკასია იყო. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ამ ჩრდილო კავკასიაში მაცხოვრებელ აბაზებს, რუსები უკვე ფორმით აბაზინი მოიხსენიებენ, თუმცა აღიარებენ, რომ მათი თვითსახელწოდებაა აბაზა („самоназвание абаза“) და აფხაზეთში მაცხოვრებელი აბაზები და ეს ჩრდილო კავკასიელი აბაზები ერთი და იგივე ენაზე მეტყველებენო.

მხოლოდ XX საუკუნეში, მიუხედავად ოსიპ სენკოვსკის გაფრთხილებისა – საეჭვოა „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა სამართლიანობა და მერე არ ინანოთო, ქართველმა ისტორიკოსებმა „ასწავლეს“ რუსებს ვახუშტი ბაგრატიონის ანტიქართული შეგონება, რომ აბასა და აფხაზი ერთი და იგივე ხალხიაო, მეგრელების კი არა, არამედ ამ ადიღეელი აბაზების წინამძღოლობითა და პატრონობით ავაშენეთ ჩვენი აბხაზეთის, იგივე დიდი საქართველოს სახელმწიფოო... ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის ეს ნატყუარი, შემაძრწუნებელი ხედვა ჩვენი წარსულისა, რუსებმა და აბაზებმაც უყოყმანოდ მიიღეს და გაქრა კიდეც საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის ამსახველი წიგნი КГБ-ს ჯურღმულებში.

ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა მიერ სახელწოდებების „აბაზა“-ს და „აბხაზი“-ს გაიგივება დანაშაულია, ვინაიდან შეუძლებელი იყო არ მიხვედრილიყავი თუ რა მნიშვნელოვანი ისტორიული და ეტიმოლოგიური შეუსაბამობაა ამ განსხვავებულ კულტურათა კუთვნილ სახელწოდებებს შორის, თუმცა მათ ეს „შესძლეს“ და გაეცანით თუ როგორ ჯახირობენ ჩვენი მეცნიერების უმრავლესობა ამ შეუძლებელი მიზნის მისაღწევად.

(**ბეჟან ხორავა** 25): „აფხაზ ეთნონიმის ბერძნული აბაზგ ტერმინიდან წარმოშობა სამართლიან ეჭვს იწვევს, როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ძნელი წარმოსადგენია. აკად. ქ. ლომთათიძის აზრით, ბერძნ. **აბასკ** ფორმისათვის ამოსავალია **აბაზქ** სახელი; ნ. მარისა და ს. ყაუხჩიშვილის აზრით, აბაზგ – აფხაზ სახელისათვის ამოსავალი ამოსავალია **აბაზხ** ფორმა. მსგავსი შეხედულება აქვს აღნიშულ საკითხზე ოტ. კახაძესაც, მისი აზრით, ქართ. **აბხაზის** (აფხაზი) და მეგრ. **აბხაზას** (აფხაზა) ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **აბაზახა**, რომელსაც ადიღეურ (ჩერქ. ყაბარდ.) ენობრივ სამყაროსთან მივყავართ. ს. ჯანაშიას მიხედვით, **აბაზახები** (აბაძეხები ანუ აბძახები) ჩერქეზული ტომი იყო. სახელწოდებებს აბძახ და აბაზახა ყაბარდოელები გამოთქვამედნენ, როგორც **აბაზახა**. განსხვავებული მოსაზრება აქვს აღნიშნულ საკითხზე აკად. თ. გამყრელიძეს. მისი აზრით, ბერძნ. **აბაზგ** ფორმა მომდინარეობს ქართ. **აფხაზ** ეთნონიმიდან (აფხაზ//აბხაზ ბერძნ. აბაზგ//აბაზღ) და მის ფონეტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენს. იგი არავითარ კავშირში არ არის, ერთი შეხედვით, მის მსგავს აბაზა სახელთან, რომელიც დასაბამს აძლევს აფხაზთა თვითსახელწოდებას – **აფსუა**, საკუთრივ **აფხაზ**//**აბაზგ**-ში დასავლურ-ქართული ტომი უნდა დავინახოთ“.

აბაზა (დღეს აფსუა) მეცნიერები აფიქსირებენ, რომ სახელწოდებით „აბხაზი“ მათ მხოლოდ ქართული წყაროები მოიხსენიებენ. ხოლო ჩვენი სწავლულები არც აანალიზებენ იმ რეალობას, რომ სახელწოდებით **აბხაზი** || **აფხაზი** არაბები და სპარსელები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ, ქართველებს მოგვიხსენიებენ. არაბები და სპარსელები აბხაზებად ჩვენ გვცნობენ, ჩვენი ნატყუარი ისტორიული წყაროები კი მხოლოდ აბაზებს. შევეცადოთ უკეთ გავერკვეთ ამ არეულ სიტუაციაში.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ჩვენი ისტორიის მწვალებლები მხოლოდ VIII საუკუნეში წარმოქმნილ მეგრელთა არაბულ-სპარსულ სახელწოდება **აბხაზი** || **აფხაზი**-ს, ცდილობენ წარმოგვიდგინონ უკვე I საუკუნეში კოლხეთში არარსებულ ადიღეელ აბაზათა სახელწოდებად.

(**ქართლის ცხოვრება** I 38): „ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სჯმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სჯმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა, ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“.

აქ საუბარია ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეზე და ბერძნულ-რომაული მონაცემებით აბაზების ანუ „ქართლის ცხოვრების" „აფხაზების“ ჭაჭანება არაა სამხრეთ კავკასიაში და მით უმეტეს შავი ზღვისპირეთში. ამრიგად ანდრია მოციქული წანების (ბერძნ. სანიგების) ქვეყანაში გარდაიცვალა და ის, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები სახელწოდება **აფხაზი**-ს ქვეშ ადიღეელ **აბაზა**-ს გულისხმობენ, შემდეგი ცნობითაც ნათლად იკვეთება:

(**ქართლის ცხოვრება** I 215): „იუსტინიანე [ბიზანტიის მეფემ] ტაძარი წმიდისა ღმრთისმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინთას, და მღვდელნი დაადგინა მას შინა, რათა უგანცხადებულესად ასწავებდნენ სჯულსა ქრისტეანობისასა“.

ბიჭვინთის ტაძარი რომ იუსტინიანემ მის მიერ გაქრისტეანებულ ადიღეელ აბაზებს აუშენა და არა კოლხ აბხაზებს, იცის მთელმა ქრისტეანულმა სამყარომ.

თუ დიდი კოლხეთის ტერიტორიაზე სახელწოდება **აბაზა** (ბერძ. **აბასა**) ჩნდება II საუკუნეში, სახელწოდება **აბხაზი || აფხაზი** საქართველოს სინამდვილეში არაბთა შემოსვლამდე (VII ს.) არ არსებობდა. ასევე არაბთა შემოსვლამდე, ჰერაკლე კეისრის წარმატებულ ლაშქრობათა შედეგად, რომლებშიც მეგრელები (ლაზები) და აბაზებიც (ბერძ. აბასგებიც) იღებდნენ მონაწილეობას, მოხდა სამეგრელოსა (საქართველოს დასავლეთისა) და იბერიის (მომავალი ქართლის) გაერთიანება ერთ პოლიტიკურ სივრცეში, ერთიან სახელმწიფო გაერთიანებად ჩამოყალიბება სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) დროშის ქვეშ. ამის შემდგომ სამეგრელოსა და იბერიის გაერთიანებამ იარსება XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე, სანამ თურქეთმა და ირანმა ისინი კვლავ ლიხის ქედზე არ გაყვეს. თავად ეს გაერთიანება გაყოფილი იყო ძირითადად ორ სამეფოდ. ქვედა სამეფოს (ქართველთა და სამხრეთ იბერთა გაერთიანებულ სამეფოს) თუ არაბები **ჯურზია**-თ მოიხსენიებენ, ზედა სამეფოს (სამეგრელოსა და ზედა იბერიის გაერთიანებულ სამეფოს) **ალ-აბხაზ** უწოდეს. მოგვიანებით, სახელწოდება **აბხაზეთი** ფარავდა სრულიად საქართველოს.

ვინაიდან სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) სამეფოს არაბულ-სპარსული სახელწოდება იყო აბხაზეთი, ეს სახელწოდება, ისევე როგორც სახელწოდება სამეგრელო, შესაბამისად განივრცო სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) სამეფოს შემადგენელ სოხუმს დასავლეთ (აბაზეთის) ტერიტორიაზეც.

პავლე ინგოროყვას ცნობით: მდინარე მძიმთის შესართავთან მდებარეობდა ნავსადგური, რომელიც XII საუკუნის ვენეციურ რუკაზე აღნიშნულია როგორც **Abkazia**, კატალონურ რუკაზე 1375 წლისა – **Avogaxia**, ბიანკოს რუკაზე 1436 წლისა – **Abcazia**, კ. მაიოლის რუკაზე 1519 – **Avogazia**, აფხაზეთი. იგივე ნავსადგური უკვე ნაცნობი სახელწოდებით **Abbasa** (ანუ აბაზა) მოხსენიებული აქვს ე. დასკოლის თხზულებაში „აღწერა შავი ზღვისა და სათათრეთისა“ (1634 წ.).

დააკვირდით თარიღების თანმიმდევრობას -- XII საუკუნეში, 1375 წელს, 1436 წელს, 1519 წელს მძიმთის ნავსადგურს ეწოდება სამეგრელოს სამეფოს არაბულ-სპარსული სახელწოდება აბხაზეთი, ხოლო უკვე XVII საუკუნეში (1634 წელს), როცა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაქუცმაცების შედეგად, აბაზეთი (აბასგია), მსგავსად სხვა ქართული სამთავროებისა, დამოუკიდებელი გახდა, მძიმთის ნავსადგურს ეწოდა აბაზა (Abbasa) ანუ იგივე სახელწოდება რითაც ბედიანი აბაზებს მოიხსენიებს **Abasiae**. ანუ აბაზებმა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე წაშალეს მათთვის არასასურველი, უცხო სახელწოდება აბხაზეთი.

მოგაწვდით ცნობებს, რომელთა მიხედვითაც XII საუკუნის ვენეციურ რუკაზე აღნიშნულ **Abkazia-ს** XIV საუკუნეშიც ქართველები ფლობდნენ.

(**ბეჟან ხორავა** 41): „ოდიშის სამთავროს გაძლიერება და მისი სამთავროდ ჩამოყალიბება აისახა XIV ს. არაბი ისტორიკოსების ცნობებში. ალ-მუჰიბბი წერს: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს, და დადიმანი – მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხასს... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“... ალ-მუჰიბბის ცნობაში მოხსენიებბული „დავით მეფე“ არის დავით IX, ხოლო ‚დადიანი“ – გიორგი II დადიანია (1345—1384)“.

ამ ცნობით, გიორგი II დადიანი ფლობს სოხუმის რეგიონს, ანუ XII საუკუნის ვენეციურ რუკაზე აღნიშნულ **Abkazia**-ს, ხოლო არაბთა **აბხას**-ში იგულისხმება თავად ოდიში, სამეგრელოს ნაწილი.

სამეგრელოს (აფხაზეთის) სამეფო კარმა X საუკუნის II ნახევრიდან ბერძნული აბასგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიის ნაცვლად ბიჭვინთის ტაძარში დაარსა ქართული

საკათოლოკოსო კათედრა, და ეს ტაძარი ანდრია მოციქულის საყდრად იწოდებოდა, ხოლო კათოლიკოსს კი „ბიჭვინთის კათოლიკოსად“ მოიხსენიებდნენ. იერარქიულად იგი აბხაზეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდა. XVI ს. II ნახევარში, ერთიან საქართველოს სამეფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად, კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის (1558—1578) დროს, ქართველები გამოდევნილ იქნენ ბიჭვინთიდან და არსებული საკათოლიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაქუცმაცების შემდგომ, საქართველოს გამაერთიანებელი სახელწოდება აბხაზეთის მნიშვნელობაც ასევე დაქუცმაცდა და XVII საუკუნეში შემორჩა საქართველოს ტერიტორიას მდინარე ენგურიდან მდინარე კოდორამდე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო რომ აქ მეგრელები ანუ ჭეშმარიტი აფხაზები სახლობდნენ და, შესაბამისად, სახელწოდება აფხაზი მათი მშობლიური სახელწოდება გახლდათ. ეს ისტორიული რეალობაა მიზეზი იმისა, რომ ჟაკ ფრანსუა გამბას დროსაც თუ რატომ ითვლებიან აფხაზთა წინაპრებად მეგრელები. ანალოგიურად, სახელწოდება სამეგრელო, რომელიც ისტორიულად ფარავს საქართველოს დასავლეთს, სვანეთის გამოკლებით, დღეს კი მხოლოდ ოდიშის ტერიტორიას ეწოდება.

აბაზათა აღზევება განაპირობა XV სუკუნის ქრისტეანთა ტრაგედიამ, ანუ მუსლიმ თურქთა მიერ მართლადიდებლური სამყაროს ბურჯის, ბიზანტიის განადგურებამ. ასევე XVI საუკუნეში, არაბული პოლიტიკური ველის მიერ გაერთიანებული კოლხეთი (საქართველო), თურქეთმა და სპარსეთმა კვლავ ლიხის ქედზე გაიყვეს და ბიზანტიური მფარველი პოლიტიკური ველის გაქრობის შემდგომ დასუსტებულ ქართველთა სახელმწიფოში იმძლავრა სეპარატიზმმა, რის შედეგადაც აბხაზეთის (საქართველოს) სამეფო XV—XVI საუკუნეთა განმავლობაში დაიშალა კახეთის, ქართლის, იმერეთის და სამეგრელოს სამეფოებად. მოგვიანებით სამეგრელოს სამეფო დაიყო აბაზეთის, ოდიშისა და გურიის სამთავროებად. ასევე მოგვიანებით თავად გურია გაიყო ორ ნაწილად და ეს დაფიქსირებული აქვს ალექსანდრე დიუმას.

(**ალექსანდრე დიუმა** 446): „სამეგრელოს მეორე გვერდით მდებარეობს გურია, რომლის ნახევარი რუსებს ეკუთვნით, ნახევარი კი თურქებს (დღეს გურიის ამ ნაწილს აჭარა ეწოდება ჯ.კ.)“.

ამ ახლად წარმოქმნილ დამოუკიდებელ სამთავროებს შორის გაუთავებელი ომები საბოლოოდ ასუსტებდა თავად ამ სამთავროებს. თუ ლევან დადიანის დროს ოდიში უძლეველი იყო აბაზათა, იმერელთა და გურიელთა მიერ და არქანჯელო ლამბერტის აღწერით, მუდამ გამარჯვებული ოდიშელები ხშირად დათარეშობდნენ ამ სამთავროებში, ლევან დადიანის სიკვდილის შემდგომ ოდიშში შექმნილი არეულობით ისარგებლეს იმერლებმა, თავს დაესხნენ და სასტიკად გააპარტახეს ოდიში. შექმნილი სიტუაციით ისარგებლა აბაზეთმა და საშერვაშიძეომ თავისი საზღვარი კოდორიდან ენგურამდე გადმოიტანა. მადა ჭამაში მოდისო და შერვაშიძეებმა სრულად ოდიშის დამორჩილება მოინდომეს და რუხთან გამართულ ბრძოლაში ქართველებს უკვე გაერთიანებული ძალებით რომ არ დაემარცხებინათ აბაზათა კოალიციური ჯარი, შესაძლებელია დღეს „აფხაზეთის“ საზღვარი ცხენის წყალზე ყოფილიყო გავლებული.

თურქების მიერ ბიზანტიის განადგურების შემდგომ, XV საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში და აბაზეთშიც ისლამის გავრცელება დაიწყო და რის შედეგსაც წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი ცნობა:

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 784): „ბიჭვინთა ეკლესია დიდი... ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საეპისკოპოზო. ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის

ამარად, ვინაᲲთგან აფხაზნი (აბაზები Ჯ.კ.) არღარა მონებენ რᲯულსა და სარწმუნოებასა“.

ვახუშტ ბაგრატიონს ცნობა, რომ ბიჭვინთის ეკლესია „აწ ხუცის ამარად“ დარჩენილა მას ვატიკანის ბიბლიოთეკაში იტალიელი მისიონერის **Ჯოვანი Ჯულიანი** და ლუკას მოხსენებიდან უნდა ქონდეს მიღებული.

იტალიელი მისიონერის **Ჯოვანი Ჯულიანი და ლუკას** ცნობით, ბიჭვინთის ეკლესიას 1630 წელსაც ქართველი მღვდელი პატრონობდა.

(**ილია ტაბაღუა** III 155): „19 მაისს (1630 წ.) სამების დღეს Ჯოვანი Ჯულიანი და ლუკა... (აფხაზეთის სანაპიროზე გემით მოგზაურობისას კაპიტანთან) მისულა: „მე გემის კაპიტანს ვუთხარი: ეს დღე ჩემთვის მეტად საზეიმო დღეა; რომ ჩემს ქვეყანაში ამ დღეს დიდ ზეიმს აწყობენ; რომ ეს დღესაეწაული ჩვენთვის იმის მსგავსია, როგორც თქვენთვის ყურბანბაირამი, ანუ აღდგომა. მან მითხრა, რომ აქ ნაპირთან დაახლოებით ერთი მილზე არის მშვენიერი ეკლესია. მაგრამ იქ ჩერქეზები კი არ არიან, არამედ აფხაზები (უნდა იყოს აბაზები Ჯ.კ.), ისინი სხვა ენაზე ლაპარაკობენ და მან არ იცის, თუ როგორ მიმიღებენ. მაგრამ გემზე არის კაიტასა, რომელმაც იცის მათი ენა“. გარდა ამისა, გემის კაპიტანმა Ჯოვანი და ლუკას უთხრა, რომ ამ ადგილების ბეი, როცა ხმელეთს მიადგებიან, გემზე ამოვა და იგი მოელაპარაკება მას, რათა ნება დართოს ხმელეთზე გადავიდეს და ეკლესიაში წირვა დააყენოს, რაც კიდეც გააკეთა Ჯოვანი და ლუკამ.

Ჯოვანი და ლუკა წერს: „როდესაც ბეი გემზე ამოვიდა, მე მივესალმე რა მას, ვუთხარი რომ მე ვარ მისიონერი და დღეს მსურდა წირვა დამეყენებინა. მე მას ვაჩუქე პატარა კოლოფი, რომელიც ძალიან მოეწონა. ეკლესიაში მყოფი მღვდლის დასაძახებლად კაცი გაგზავნა, რათა მასთან ერთად გადავსულიყავი ხმელეთზე. როგორც კი იგი მოვიდა, წირვისთვის საჭირო ნივთები ავიღე, ჩემს მსახურთან ერთად ხმელეთზე გადავედი. მივესალმე ამ მღვდელს, იგი ქართველი აღმოჩნდა (ანუ ქრისტენულ კოლხურ ენაზე მეტყველი მეგრელი Ჯ.კ.). ეკლესიაში რომ შევედით, ისეთი რამ ვიხილე, რომ საკუთარ თვალებს არ დავუᲯერე. ეკლესია აგებული იყო წმინდა პეტრეს ტაძრის მსგავსად. კარების ზემოთ, შიგნითა მხრიდან, ჩვენი ეკლესიების მსგავსად, კარგი ხელოვანის მიერ დახატულია სულიწმინდის მოფენა თავზე ცეცხლის ალების ენებით და საკურთხევლის უკან ხორი, კიბე, შუაში – ეპისკოპოსის კათედრა, რომელიც მგონია აგებულია ბერძენი იმპერატორის მიერ...

მოვემზადე წირვის დასაყენებლად. მაგრამ ვნახე, რომ სეფისკვერი გაფუჭებულიყო, ვთხოვე ქართველ მღვდელს ცოტა ფქვილი მოეცა, რომლისგან მაშინვე მრგვალი სეფისკვერი... გამოვაცხე და წირვა დავაყენე...

ქართველმა მღვდელმა თავის ბინაზე წამიყვანა. იქ ვჭამეთ მოხარშული ფეტვი, ღორის ხორცი, ყველი. ღვინო მომართვა“.

იმის უფლებას, რომ **Ჯოვანი და ლუკას** ქართველ მღვდელში ქრისტენულ კოლხურ ენაზე მეტყველი მეგრელი, ანუ ამ შეთხვევაში ოდიშელი ვიგულისხმე, იძლევა მისივე შემდეგი მონათხრობი, რომლის მიხედვითაც იგი აგრძელებს მოგზაურობას და 21 მაისს სოხუმში მივიდა. **Ჯოვანი და ლუკა** ასევე აღნიშნავს, რომ მდინარე კოდორი აბაზეთს სამეგრელოსაგან ყოფს. Ჯოვანი და ლუკას თავის სახლში ვახშამზე ეპატიჟება ამ მხარის, სადაც „მეგრულადაც ლაპარაკობენ“, ანუ საშერვაშიძეოს გამგებელი თავადი.

(**Ჯოვანი Ჯულიანო და ლუკა**): „ვახშამი დამთავრდა, თავადმა მკითხა: სად მივემგზავრები და რას ვაკეთებ. ამ კითხვაზე გემის პატრონის შვილმა ჩემს მაგიერ უპასუხა, რომ მე დავდივარ ქრისტიანული მოწყალების საქმეებზე. მაშინ მთავარმა თქვა: თუ ასეა, მაშინ შეგიძლიათ ჩემთან დარჩეთ, რადგან მე ქრისტიანი ვარ ისევე როგორც მთელი ჩემი სამთავრო და ამის დასამტკიცებლად მიჩვენა Ჯვარი, რომელიც

ყელზე ეკიდა. მე ასეთივე მღვდლები მჭირდება, თქვა მან. თუმცა ქართველები ჩემი მეზობლები არიან, განაგრძო მან, მაგრამ მე მათთან თანხმობა არა მაქვს. მე ვუპასუხე, რომ შევეცდები ყველაფერი ვიღონო მისი უწმინდესობის რომის პაპის წინაშე, რათა მან აქ სხვა მღვდელმსახურები გამოაგზავნოს, ვინაიდან მე მარტო ამდენი სამუშაოს გაკეთებას ვერ შევძლებ (ილია ტაბაღუა III 157)".

თუ ჯოვანი და ლუკასათვის კოდორს აღმოსავლეთით სამეგრელოა, ჩაჩბა-შარაშია-შარვაშიძე-შერვაშიძისათვის კოდორს აღმოსავლეთი საქართველოა. ანუ ჩაჩბა-შარაშია-შარვაშიძე-შერვაშიძემ იცის, რომ როცა ქრისტეანულ თემაზეა საუბარი, ქართული ენა მეგრელთა ქრისტეანული ენაა და ამდენად ისინიც იგივე ქართველები არიან.

ჩვენი მტკიცების საუკეთესო მაგალითს ისევ **ჟაკ ფრანსუა გამბა** გვაწვდის, რომელიც კოდორსა და ენგურს შორის ტერიტორიას სამეგრელოს ერთ-ერთ მხარედ, აფხაზეთად მოიხსენიებს, ანუ აფხაზეთი იგივე სამეგრელოა, ხოლო სამეგრელოს მკვიდრ თავადს გვარად აფხაზი უკვე ქართველად წარმოგვიდგენს

(**ჟაკ ფრანსუა გამბა** 129): „მარანში [სამეგრელოშია ჯ.კ.] მხოლოდ ოცდაოთხ საათს დავყავი და ქართველ თავადთან, ეგერთა პოლკის პოლკოვნიკ აფხაზთან (**Abkazoff**) გავატარე".

ე. ი. ქართველია გვარად **Abkazoff** (აფხაზი) და არა **Abazoff** (აბაზი).

ამრიგად, გვარების **აფხაზი**-სა და **აფხაზავა**-ს წარმომადგენლები ქართული, ანუ მეგრული წარმომავლობისანი არიან და არა ადიღური-აბაზური წარმოვლობისანი. რომ ქართული კერძი „აფხაზურა" არა „ადიღურაა", არამედ „მეგრულაა".

არაბული და ჰაიკური წყაროები

ჰაიკთა ისტორიოგრაფიაში სახელწოდება „აბხაზი"-ს ქვეშ როგორც სახელწოდება „ლაზი", ასევე სახელწოდება „მეგრელი"-ც (ჰაიკურად „ეგერი"-ც) იგულისხმება.

(**გიორგი წულაია** 142): „В отличие от других иноземных авторов, армянские повествователи, как особенно осведомленные в этнической и общественной ситуации в закавказье, говорят об идентичности чаше Абхазии и Эгриси (арм. Егер), не забывая при этом синонимичности Эгриси и Лазики".

(**გიორგი წულაია** 63): „В одном из армянских дитературных памятников домонгольского периода так и сказано:„Лакз которая есть Апхаз (История Анонимного Повествователя)".

(**გიორგი წულაია** 141): „Константин III Абхазский в „Истории Иованнеса Драсханакертцы" (X в.) назван „Царь егерский Константин". Здесь же выделяется область Гурия (по тексту – Вури) в это время каким-то образом связанная с Абхазским царством.

Из сочинени другого армянского автора-анонимного Повествователя – мы узнаем как царь Армении Смбат II вознамерился вступить в свойство с царем лакзов, то есть апхазов, взял он дочь царя апхазов Датоса (в жены) сыну своему Мушегу и стали они друг другу доброжелателями. Но вот вздумал Смбат захватить область апхазов, которая находилась близ области Ширак, а именно: Кангарк,

Гогшен, Дзайлцех, Кол и Артаанк... Тогда царь апхазов Датос отправил к Смбату, царю армянскому, гонца:„Не дам тебе вотчинные земли мой"... Здесь же имеется любопитная деталь – одна из арабских форм названия лазов – лакз. Перед нами, возможно, факт влиания на армянского автора арабской этнонимичной терминологии, в случае с лазами – лакзами вполне вероятный. Армянский автор (кто бы он не был) уже не знал местную форму древнего этнонима **лазы**“.

(**პავლე ინგოროყვა** 131): „მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო"... ადრინდელი ხანის სომხურ წყაროებში აფხაზეთის ამ სახელმწიფო ერთეულს ეწოდება ეგრისის სამეფო, ხოლო აფხაზთა მეფეებს ეწოდება „ეგრისელნი“ ანუ „მეგრელნი“. ტერმინი „ეგრისელი" აქ სინონიმია ტერმინისა „აფხაზი“. აფხაზეთი ინდენტიფიცირებულია ეგრისთან, ხოლო აფხაზი – ეგრისელთან, მათ შორის არავითარი სხვაობა არაა დადებული. ასეა ეს ყველაზე ადრინდელ სომხურ საისტორიო ძეგლში, რომელიც ასე ფართოდ ეხება „აფხაზეთის სამეფოს“ ისტორიას, მე-9-10 საუკუნეთა მწერლის იოანე სომეხთა კათალიკოზის მატიანეში“.

(**გიორგი წულაია** 139): „армянский историк XII в. Мхитар Айриванеци в своей „Хронологической истории“, содержащей перечень исторических событий до1289 г., под датой 913 года пишет: „Царь Смбат... схватил грузинского царя Деметре и многим грузинам прочертил ладони. отчего они и стали именоваться апхазамы“... Этноним „апхаз" армянский историк осмысливал на почве родного для него языка: арм. aph „ладонь“; и xaz -„знак"„черта“.

ჩვენთვის ამ ცნობიდან საინტერესოა ის რეალობა, რომ როცა ეს თხზულება იწერებოდა, ჰაიკთა ცნობიერებით „აფხაზი“ ეწოდებოდა ქართველს და თავად სახელწოდება „აფხაზი“ არაქართული წარმომავლობისა იყო.

(**გიორგი წულაია** 140): „В формируемую Мхитаром Айриванеци зпоху в Абхазском царстве правил Константин III, на которого историк перенес столь же популярное злесь имя его деда Деметре. З. В. Анчабадзе называл толкование мхитара „курьезным“, связанным с тем, что армянский историк пытался дать какое-либо осмысленное, на его взгляд, объяснение того факта что „грузины“ (арм. враци) носят второе наименование „абхазы“. Тем не менее этот „курьез“ еще задолго до XIII в. обрел устойчивую традицию и потому имеет своеобразное источниковое значение“.

(**გიორგი წულაია** 140): „Армянский историк второй половины XI в. Ухтанес коментирует рассказ Мовсеса Хоренаци (V в.—VII в.) о том как Александр Македонский поставил над иберами одного из сатрапов Дария; Армянский царь Арташес отдал этому сатрапу в управление северные страны и Понтииское море; затем Ухтанес продолжает: „Когда же он (сатрап Дария Г. Ц.) расположился на берегах Понта, это племя (иберы Г. Ц.) возродилось, размножилось по берегам, расселилось в том краю и распросранилось до рубежей Армении и Албании, образовался весьма многочисленный народ и страна та называется Апхазы;“ (груз. Апхазети). Это сведение Ухтанеса примечательно тем, что в нем, как и всочинении Мхитара Айриванеци, нет различия между „иберами“ и „апхазами“. более того, по мнению Ухтанеса, которому придерживался, надо думать, не он один,

„размножение“ иберов и привело к образованию „многочисленного народа“ и их страны Апхазк“.

ალექსანდრე მაკედონელის სიცოცხლეში არც იბერია და არც ჰაისტანი არ არსებობდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიკვლევთ ჰაიკური ისტორიოგრაფიის ტენდეციურ ბუნებას, არამედ ვაფიქსირებთ ამ ისტორიოგრაფიის ცალსახა შეხედულებას მცნება ,აბხაზეთი“-ს ქართული ცნობიერების თაობაზე.

აბხაზები (ლაზები, მეგრელები) რომ XI—XII საუკუნეებისათვის უკვე იგივე ქართველებიც არიან (ან პირიქით) იცის ასევე არაბმა ისტორიკოსმა **იაკუთმა** (1179—1229 წ.წ.), რომელიც ქართველებს ამჯერად სახელწოდებით **ქურჯი** მოიხსენიებს. ეს უკე ის პერიოდია როდესაც სახელწოდება **აბხაზეთი** სრულიად საქართველოს მოიცავდა.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 132): „იაკუთი აღნიშნავს, რომ **აბხაზ**-ი ერთ-ერთი მხარის სახელია ალ-კაბკის (კავკასიონის) მთებზე. ესაა მთებში ძნელად სავალი და ოღროჩოღრო მხარე (გაიხსენეთ ლაზიკის პროკოპი კესარიელისეული დახასიათება ჯ.კ.), დასახლებული „ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ. იგივე ავტორი წერს, რომ თბილისი 515/1122 წლამდე იმყოფებოდა მუსლიმთა ხელში, „ვიდრე არ გამოვიდა... თბილისის მოსაზღვრე მთებიდან, რომლებსაც ეწოდება აბხაზის მთები, ქრისტიანი ტომი, სახელად ქურჯი, მრავალრიცხოვანი ჯარით და თავს არ დაესხა მათ მეზობელ ისლამის ქვეყნებს“. ამრიგად, ،აკუთის თანახმად, „აბხაზის“ მხარე, „აბხაზის“ მთები დასახლებულია ქურჯებით, ქართველებით. გვაქვს ამ ორი ეთნიკური ტერმინის იგივეობის სხვა კონკრეტული მაგალითებიც. 440/1048—49 წ. თურქ-სელჩუკებმა ბასიანში დაამარცხეს ბიზანტიელები და დაატყვევეს „აბხაზთა მალიქი კარიტი“ – იგივე ქართველი ფეოდალი კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. იმას ად-დინ ალ ისფაჰანი მოგვითხრობს, რომ 1154 წ. სელჩუკმა უფლისწულმა სულაიმან-შაჰმა იქორწინა თავისი ძმის ქვრივზე, ქართველთა მეფის ასულზე (ბინთ მალიქ ალ-ქურჯ), რომელიც იმავ დროს იყო „აბხაზი ქალბატონი“ (ხათუნ ალ-აბხაზ،ა)“ (**გოჩა ჯაფარიძე**).

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 127): „იჰაია ანტიოქელის „ისტორიის" პარიზულ ნუსხაში გიორგი I-ის (1014-1027) ტიტული მალიქ ალ-აბხაზ განმარტებულია, როგორც მალიქ ალ-ჯურჯან – ჯურჯანელთა, ქართველთა მეფე (**გოჩა ჯაფარიძე**)“.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 134): „არაბულ წყაროებში „აბხაზთა მეფის“ ტიტულს ატარებს ბაგრატ IV, „აბხაზთა და ქურჯთა“ მეფის ტიტულით იხსენიებიან დავით IV, დემეტრე I და გიორგი III. „აბხაზთა მეფის“ ტიტული დამოწმებულია ქართველ მეფეთა ტიტულატურაში XIV ს-შიც ეგვიპტის მამლუქ სულტნებთან მიმოწერაში (**გოჩა ჯაფარიძე**)“.

XI—XII საუკუნეთა არაბულ წყაროებში აბხაზეთის მცნება უკვე კახეთ-ჰერეთსაც მოიცავს.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 133): „1139 წელს მიწისძვრით დანგრეული განჯა იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის თანახმად დაარბიეს „ურწმუნო აბხაზთა და ქურჯთა“ ლაშქრებმა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარებმა. „აბხაზთა“ ლაშქარს მეთაურობდა კახეთის მსხვილი ფეოდალი ივანე აბულეთის ძე (**გოჩა ჯაფარიძე**)“.

(**გიორგი წულაია** 145): „Для персо-азербаиджанского поэта Низами Гянджеви вообше словно не существует таких областей как Эрети и Кахети. Рядом с дербендом, под которым в его время подразумевали не только город. но и область, он грузию называет „Абхазией“.

В одном из своих четверостиший знаменитый Хакани, современник Низами и Руставели, отразил средневековую традицию идентификации „абхазского“ языка с грузинским. В любившись на Кавказе в некую „красавицу“, он пишет: „От любви к этой красавице кудрявой ясноликой стал я жителем Абхазии и заговорил по грузински. Столько раз говорил я ей „Мой, мой“, что значит:„Приди, приди (ко мне)". Примечательно, что этот „жител Абхазии“ произносит просторечную форму указанного грузинского слова“.

ქართული ფილოლოგიისათვის ცნობილია 1172 წლით დათარიღებული ხაკანის ერთ-ერთი ხოტბის (ოდის) შემდეგი ტექსტი: „აფხაზეთის... კარები ღიაა ჩემთვის, მე გავემგზავრები ნაჭარმაგევსა და მუხრანს, ბაგრატიონთა შორის მე ვიპოვი თავშესაფარს“. XII საუკუნეშიც ნაჭარმაგევი და მუხრანი აბხაზეთია (კოლხთა ქვეყანა) და არა აბაზეთი (ადიღეელთა ქვეყანა).

ამრიგად, XVI საუკუნემდე არაბული, სპარსული, ჰაიკური ისტორიული წყაროებით სახელწოდება „აბხაზი“-ს ქვეშ მხოლოდ და მხოლოდ ქართველი იგულისხმება და არა ადიღეელი აბაზა. არაბებს აბაზებთან XV საუკუნემდე უშუალო კავშირები არ გააჩნდათ და როგორც კი ისინი ეხებიან ამ მხარეს, აბაზებს საკუთარი სახელით „აბაზა“-თი მოიხსენიებენ და არა „აბხაზა“-თი.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ**. 134): „XV ს. ეგვიპტელი ისტორიკოსის ბადრ ად-დინ ალ-აჲნის (გარდ. 1451 წ.) თხზულებაში... ალ-აჲნი ჩამოთვლის მთავარ ჩერქეზულ ტომებსა და მათ განშტოებებს, რომლებიც ცხოვრობდნენ „უღელტეხილებზე ლამურ-კაბისთან (დარუბანდთან) ტაბარისთანის (კასპიის) ზღვის მხრიდან – ქართველებამდე“ აბხასის გარდა აქ დასახელებულია აბაზა-ც... მომდევნო საუკუნეების ოსმალურ წყაროებში სწორედ აბაზა გახდა საკუთრივ... (აფსუა) აღმნიშვნელი სახელწოდება. ეს იცის ანტიოქიის არაბმა პატრიარქმა მაკარიმ, რომელმაც XVII საუკუნეში იმოგზაურა საქართველოში. მას აღარ შეაქვს აბაზები (აბაზა) ქართველთა (ქურჯ) სამფლობელოებში და აღნიშნავს, რომ ამ ხალხს, რომელიც მოსახლეობდა შავი ზღვის აღმოსავლეთით და დამოუკიდებელი გახდა, ჩერქეზების მსგავსად თავისი გამგებელი ჰყავდა.

XIX ს-ში მუჰაჯირობის შედეგად ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებული და არაბულ ქვეყნებში განსახლებული... (აფსუა) იწოდებოდნენ და დღესაც იწოდებიან როგორც აბაზა...

სირიაში აბაზა... კომპაქტური დასახლება იყო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში... 1967 წ. ისრაელთან ომის შემდეგ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოსულ სხვა ტომებთან ერთად გადასახლდნენ დამასკოში“.

არაბები სახელწოდება „აბხაზი“-ს ქვეშ არასოდეს არ გულისხმობდნენ „აბაზა“-ს. არაბებისათვის მცნებები „აბხაზი“ და „ქართველი“ ერთი და იგივე ქვეყანას „ჯურზია“-ს წარმოადგენენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია XIII საუკუნის ქალაქ თბილისის არაბი მოქალაქის ალ ქალად იბნ ედჩინ ილაზის ცნობა რომელიც დიდგორის ბრძოლის მოვლენებს ეხება:

„ჩვენ ალაჰს ვადიდებდით, როცა მეჩეთში შევიტყვეთ ჯურზების გამარჯვების შესახებ ნაჯმ ედ-დინის ჯარებზე და დიდადაც გავიკვირვეთ, რადგან ბაღდადის მძლეველსა და ისლამის ვარსკვლავს, როგორ უნდა გასჭირვებოდა აფხაზ-ქართველთა დამარცხება, ვერ მივხვდით და ვერც გაგვიგია. ილღაზი ხომ უძლეველი სარდალი იყო და როგორ გაიმარჯვეს ჯურზებმა, არ ვიცით და მოჰამედიანთა არმია კი უფრო მრავალრიცხოვანიც იყო და ძლიერიც (თარგმანი **გიორგი ჩადუნელისა**)“.

ე. ი. არაბთათვის „აფხაზ-ქართველობა" ერთი ქვეყანაა – „ჯურზიაა“.

იგივეს ადასტურებს თავად დიდგორის ომის მონაწილე ფრანგი ჯვაროსანი ჟან პიერ ჟან გალუა:

„მე გახლდით მოხალისეთაგანი იბერიელთა (იგივე ბიზანტიურ ივერიელთა ჯ.კ.) ომში, რადგან ვიცოდით, რომ რაინდთა ქართველების ქვეყანას იესოს სახელით ეწადა სარკინოზების დამსხვრევა და ჩვენ, როგორც ქრისტეს ჯარისკაცებს, გვსურდა მათთან ერთად ბრძოლა ისლამის დროშის წინააღმდეგ. იბერიაში (იგივე ბიზანტიურ ივერიაში ჯ.კ.), **რომლის დასავლეთ ნაწილს ეწოდება აფხაზეთი**, გემით ჩავედით გენუელ ჯვაროსნებთან ერთად. სადაც დაგხვდა სიცხე და ნესტი.. რომლის სახელიც აღარ მახსოვს, რადგან მეორე დღესვე ვიარეთ აღმოსავლეთით და გადავიარეთ მთა ლიხი.

სოფლად გზებზე ხალხი გვაწვდიდა სანოვაგეს სიხარულით და გვლოცავდა მათს მეფესთან ერთად, მაგრამ მახსოვს, რომ უკვირდათ ჩვენი საჭურვლის სიმრავლე და სიმძიმე, ხოლო საკუთრივ იბერიაში, როცა გავიკავეთ, გვჩუქნიდნენ ქალები მოტკბო პურს, რომელსაც თავიანთ ენაზე ეძახდნენ „ნაზუქს" და ასევე გრძელ საღეჭს, რომელსაც რთული სახელი ჰქონდა და ვეღარ დავიმახსოვრეთ (არ გაგახსენდათ თანამედროვე ხაშურ-სურამის გზის მონაკვეთი? ჯ.კ.).

ტიფლისის მახლობლად დაგხვდნენ ასევე ჯვაროსნები ბალდუინ მეფისა იერუსალიმითგან ჩვენზე ადრე მოსულები და ბრძოლაც იყო იბერიელების დედაქალაქის ტიფლისის მახლობლად. ხოლო რაც შეეხება წმინდა გიორგის გამოჩენას საკუთრივ ომში, შემიძლია დავადასტურო, რომ ბრძოლის დაწყების წინ სწორედ იქ, სადაც მათი მეფე დავითი იყო ამხედრებული, გამოჩნდა შუბით შემოსილი მეომარი ქართველთა მეფისაგან მარჯვნივ, რომლის შესახებ ჯერ ჩურჩულებდნენ აღელვებული ქართველები, მერე კი აღტაცებით იძახდნენ – „წმინდა გიორგი ჩვენთან არს“ (თარგმანი **ნიაზ დიასამიძისა**)“.

ამ მონათხრობითაც აფხაზეთი, ანუ იგივე სამეგრელო -- ტერიტორია შავი ზღვიდან ლიხის ხედამდე, ფრანგული იბერიის, იგივე ბიზანტიური ივერიის, იგივე არაბული ჯურზანის, ანუ ერთიანი საქართველოს დასავლეთი მხარეა.

მიღებული ცოდნის შემდგომ პავლე ინგოროყვას ცნობილი დასკვნები შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს:

(**პავლე ინგოროყვა** 248): „საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ სწორედ მას შემდეგ, რაც... შეიქმნა დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს ჯ.კ.) – „აფხაზეთის სამეფო“, სწორედ ამ დროიდან იწყება მკვეთრი, წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში და შემდგომ ასევე საქართველოს აღმოსავლეთშიც ჯ.კ.), ბერძნული ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებული იყო დასავლეთ საქართველოში როგორც მთავარი სახელმწიფო ენა, განდევნილ იქმნა სწორედ აფხაზთა (მეგრელთა ჯ.კ.) დინასტიის მიერ და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიჭირა. ბერძნული ენა განდევნილ იქმნა ეკლესიიდანაც და მის მაგიერ ქართული (მეგრელთა ქრისტენული ენა ჯ.კ.) იქმნა შემოღებული... ამრიგად, ხანა „აფხაზთა სამეფოსი“ – ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოოო გამარჯვების დასავლეთ საქართველოში.

რასაკვირველია, ყოველივე ეს უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს ჯ.კ.) „აფხაზთა სამეფო“ ვითომც შეიქმნა დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს ჯ.კ.) დაპყრობის შედეგად უცხო, არაქართველი ტომის მიერ. მაგრამ როგორც მოვიხსენეთ, არაფერი ამის მსგავსი

სინამდვილეში არ მომხდარა; დასავლეთ საქართველოს (სამეგრელოს ჯ.კ.) ქართული სახელმწიფო შექმნილია ქართველი ტომების (მეგრელების ჯ.კ.) მიერ“.

(**პავლე ინგოროყვა** 114): „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა „მეფე აფხაზთა", საქართველოს სახელმწიფოს მთლიანად აღებულს ეწოდებოდა „აფხაზეთი“, „ქუეყანა აფხაზეთისა“. ასე მაგალითად, როგორც ქართულს, ისე უცხოურ წყაროებშიაც, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ხშირად მიემართება ეს ტიტული – „მეფე აფხაზთა", ხოლო მე-12-13 საუკუნეთა საქართველოს, რომელიც მთელ კავკასიას მოიცავდა, ეწოდება „აფხაზეთი“, „ქუეყანა აფხაზეთისა“. ამრიგად, სახელწოდება „აფხაზეთი“ გახდა სინონიმი ჯერ დასავლეთ საქართველოსი (სამეგრელოსი ჯ.კ.), ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ იგი იხმარებოდა როგორც სინონიმი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსი“.

სამეგრელომ შემოიერთა არა მარტო აბასგია, არამედ ასევე იბერიაც, „ჩვენი ალბანეთიც“ (კახეთ-ჰერეთი) და ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ადმინისტრაციული ცენტრი ციხეგოჯიდან ქუთაისში იქნა გადმოტანილი, ტერიტორიულად სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს შუაგულში.

გაერთიანებული საქართველოს ქართველ მეფეებს ეწოდებოდათ „მეფე აფხაზთა“, ხოლო, სრულიად საქართველოს გაერთიანებამდე საქართველოს დიდ მეფეებს ეწოდებოდათ „მეფე აფხაზთა და ქართველთა“. ანუ საქართველო გაყოფილი იყო ორ ქართულ, აფხაზთა და ქართველთა სამეფოებად. „აფხაზეთის სამეფო“, ცენტრით ქუთაისში, წარმოადგენდა „ზედა“ საქართველოს, დაახლოებით მოიცავდა სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) ტერიტორიას ტაო-კლარჯეთის გამოკლებით, დღევანდელ შიდა ქართლს, ხოლო „ქვედა“ საქართველო, „ქართველთა სამეფო“, ცენტრით არტანუჯში, დაახლოებით მოიცავდა ტაო-კლარჯეთის (სამცხე-საათაბაგოს), დღევანდელ ქვემო ქართლის (ქალაქ თბილისით) ტერიტორიებს.

ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) ამ სახელოვანი წარსულის პირველი ნახევარი, ბაგრატ მესამის მმართველობამდე პერიოდი, ადიღეელ აბაზებზე გააჩუქეს, ხოლო შემდგომი ნაწილი თავად მიითვისეს. „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა ნაღვაწის შედეგს წარმოადგენს ის რეალობა, რომ როზენის კავკასიის მმართველად ყოფნის პერიოდში, 1839 წელს აბაზები აფხაზებად ჩაწერეს.

რაც შეეხება ადიღეელ აბაზებს, მათ ჩვენი აფხაზური ისტორია როგორც მშვენიერი უცხო სამოსი ისე მოირგეს და შესანიშნავადაც გაილამაზეს საკუთარი წარსული. გაუკუღმართებული ისტორიის ასახვაა ის რეალობაც, როცა ხშირად ადიღეელი აბაზები მრავალხმიან მეგრულ (აფხაზურ) მელოდიებს ადიღური ტექსტებით მღერიან როგორც ადიღური ხალსური შემოქმედების მიღწევებს, ხოლო მსგავსი ხარისხის მრავალხმიანი სიმღერები სრულიად უცნობია ჩრდილო კავკასიაში შემორჩენილი იგივე ადიღეელი აბაზა-აბაზინებისათვის.

ქართლი და საქართველო

სახელწოდება „კოლხეთი“-ს საპირისპიროდ, რომელიც ბერძნულ-რომაული ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთი ფავორიტია, მაგრამ უცხოა ქართული ისტორიული წყაროებისთვის, სახელწოდება „ქართლი“, ნატყუარ ქართულ ლიტერატურულ წყაროთა ერთპიროვნული ლიდერი, პირიქით, ახალი

წელთაღრიცხვის მე-16 საუკუნემდე სრულიად უცნობია მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის.

ამ ცნობის განსაკუთრებულობას იმით უნდა გაესვას ხაზი, რომ სახელწოდება „ქართლი“-ს გარდა, არ მოიძიება ქართულ წარსულ სინამდვილეში რეალურად არსებული რამდენადმე მაინც ღირებული ისტორიული სახელწოდება, რომ იგი რომელიმე უცხო ქვეყნის ისტორიულ წყაროში, მეტ-ნაკლები სიხშირით არ იყოს დაფიქსირებული.

ავტორობა ცნობისა – **სახელწოდება „ქართლი“ მხოლოდ მე-16 საუკუნეში წარმოიქმნა და მანამდის იგი ქართულ სინამდვილეში არ არსებობდა** -- მე არ მეკუთვნის. მსგავსი მტკიცება ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის არსებობისას საგაზეთო სტატიაში მაქვს წაკითხული; სამწუხაროდ, ავტორის გვარი არ დამამახსოვრდა და იმედია დადგინდება.

ჩვენ უნდა გავიაზროთ ის რეალობა, რომ ქართლის სამეფო არა უშუალოდ ისტორიული იბერიის, არამედ ქალაქ თბილისის სამეფოს მემკვიდრეა და თავად სახელწოდება **ქართლი** თბილისის წარმართული კოლხური სახელწოდება **ქართი**-დან მომდინარეობს.

გარდა სახელწოდება „თბილისი“-სა, ჩვენს დედაქალაქს ასევე წარმართული კოლხურით „ქართი“ ეწოდებოდა. მეგრულ-სვანური ცოდნით ქართა შემოზღუდულ ფართს, სივრცეს აღნიშნავს და ვინაიდან თბილისის საცხოვრისი ფართი გალავნის კედლებით იყო შემოზღუდული, მას სახელწოდება **ქართა** > **ქართი** მიესადაგა. დღესაც ოდიშელთა ნაწილი თბილისს სახელწოდება **ქართი**-თ მოიხსენიებს.

(ო. ქ.) **ქართა** 1. ქართა. საქონლის დასამწყვდევი, ირგლივ შემოზღუდული, უსახურავო, -- ბაკი... გადატ. ალყა. **უცებაშე ჯარიშ ქართას ქიმშალეს**... – უცბად ჯარის ალყაში მოხვდნენ (შევარდნენ). 2. წრე; გვირგინი. **თქუანა: ბჟას (თუთას), ქართა გუუხენია** – იტყვიან: მზეს (მთვარეს), წრე აკრავსო ირგვლივ... შდრ. იმერ. გურ. **ქართა//ქალტა** ბაკი.

(ო. ქ.) **ოქართე** ბაკი, საჩეხე; წრიულად შემორაგული ადგილი საქონლის დასამწყვდევად; შემოკავებული საძოვარი.

(ო. ქ.) **ქართუა** შეკვრა, შებოჭვა; გაბაწვრა, ხლართვა.

(ო. ქ.) **ქართხა** ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად, -- გვერგვი. ქართხას იყენებენ ჭიშკრის საკეტადაც.

(ო. ქ.) **ქართ**-ი ტოპონ. თბილისი.

ამრიგად, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოქმნილ თბილისის სამეფოს, ანუ წარმართული კოლხურით იგივე ქართის სამეფოს სახელწოდება ქართი-დან შეიქმნა სახელწოდებები ქართლი და ქართლელი.

ქართლი = **ქართ(ი)** + **ლი** = შემოზღუდული + სივრცე.

შესაბამისად, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდის, საქართველოს წარსულში, ტერმინები ქართლი და ქართლელი არ არსებობდა.

აქ ჩანართის სახით აღვნიშნოთ, რომ როგორც საერთაშორისო საზოგადოება ჩვენს დედაქალაქს სახელწოდება თბილისი-თ მოიხსენიებს და დღეს მხოლოდ ოდიშელები უწოდებენ მას **ქართი**-ს, ასევე ჩვენი მეზობლები და საერთაშორისო საზოგადოებაც მდინარე მტკვარს მოიხსენიებენ სახელწოდებით **კურა** და მხოლოდ ჩვენ ქართველები (კოლხები) მოვიხსენიებთ მას კოლხური სახელწოდებით **მტკვარი** (**ტკვარუა** > **ტკვარილი** > **მტკვარი**). უნდა ვიცოდეთ, რომ წინა საუკუნეებში თბილისის კოლხური სახელწოდება ქართი ქართველებში ისევე იყო გავრცელებული, როგორც დღეს მდინარის წარმართული კოლხური სახელწოდება მტკვარი. ჩვენ იმასაც ვისწავლით,

რომ ქართული თბილისი წარმოდგება ასევე წარმართული კოლხური **ტიბუ**-დან (თბილი-დან) [**ტიბუ** > **ტიბილისი** > თიბილისი > თბილისი].

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ „ქართის მთის“ ვერსიას, თითქოსდა ამ მთის სახელწოდების გამო ეწოდა იბერიას **ქართლი**, ამ მთაზე არქეოლოგიური კვლევის შედეგად, მხოლოდ ადრე ფეოდალური ხანის ნაკვალევია აღმოჩენილი და არავითარი კავშირი „ქართლოსის ხანასთან“. ანდა რატომ უნდა ეწოდებინათ ჩვენს წინაპრებს არმაზის ხეობაში არაფრით გამორჩეული მთის სახელი საქართველოს ამ მეტად მნიშვნელოვანი მხარისთვის, მითუმეტეს, როცა ტერმინი **ქართა** უცნობია ქართლური დიალექტისთვის და ნათლად იკითხება, რომ ქართა არა ადგილობრივი, ანუ ხალხური წარმომავლობისაა, არამედ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიერ ხელოვნურად შეთხზულ სახელწოდებად წარმოგვიდგება. რაც შეეხება რეალურად არსებულ თბილისის მეორე სახელწოდებას **ქართი** და მდინარის სახელწოდებას **მტკვარი**, ისინი გაჩნდნენ მას შემდეგ რაც აფხაზეთის, ანუ სამეგრელოს სამეფომ განავრცო თავისი ძალაუფლება ამ რეგიონში.

მოკლედ მიმოვიხილოთ ქალაქ თბილისის ისტორია, რათა უკეთ გავერკვეთ იმ რეალობაში, რომ თბილისის სამეფო არ არის იბერიის პირდაპირი მემკვიდრე. ამას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ სახელწოდება იბერია ასევე ამოშანთულია „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ნატყუარ ისტორიული წყაროების ფურცლებზე. მხოლოდ ერთგან, როცა უნდათ დაამტკიცონ პეტრე იბერის ქართული წარმომავლობა, აცხადებენ, რომ ქართლი იბერიად იწოდებოდაო.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 311): „ზაქარია ქართველის... აღწერილი პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში ქართლის სამეფო „განთქმულ იბერთა ქვეყნად“ იწოდებოდა“.

ჩვენი ისტორიის მწვალებლებს არ აწყობდათ სახელწოდება **იბერია** თუნდაც იმიტომ, რომ ბუნებაში არასოდეს არ არსებობდა **იბერიული ენა**. მცდარი მცნება -- **იბერიულ-კავკასიური ენა** ეს ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების რიგითი შეცდომაა. ამრიგად თუ არა კვლავ ბერძნულ-რომაული წყაროები, ჩვენს წყაროებზე დაყრდნობით ასევე არ გვეცოდინებოდა რომ ტერიტორიას ლიხის ქედიდან არაგვამდე **იბერია** ეწოდებოდა.

მითიური ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსება რომ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიერ შეთხზული ლეგენდაა, თუნდაც თბილისის აბანოთუბანის ტერიტორიაზე თანამედროვე არქეოლოგიური აღმოჩენითაც მტკიცდება, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის სანახებში, მტკვრის სანაპიროზე ცხელი წყალი ვახტანგ გორგასლანს ნადირობისას კი არ აღმოუჩენია და ამ ადგილებში ქალაქი თბილისი დაუარსებია, არამედ „ვახტანგ გორგასლანის ეპოქაზე“ სამი საუკუნით ადრე, მტკვრის სანაპიროს ამ მიმდებარე ტერიტორიაზე რომაული აბანოები ფუნქციონირებდნენ. საერთოდ უნდა გვახსოვდეს ისტორიული აქსიომა, რომ დასაბამიდან ადამიანები მუდამ მდინარეთა ნაპირებზე სახლდებოდნენ და ისიც, ბარში ცხელი წყლის სიახლოვეს საცხოვრისი ხომ სამოთხეს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ეს ადგილი მუდამ ადამიანთა ყურადღების ცენტრში იქნებოდა და მომავალში სენსაციად არავინ არ მიიჩნიოს, რომ აბანოთუბანში ბოლოს გამოვლენილ რომაულ აბანოებზე შეუდარებლად ადრინდელი საცხოვრისებია აღმოსაჩენი.

თბილისის ტერიტორია მუდამ ადამიანთა საცხოვრისს წარმოადგენდა. ოდითგან თბილისს თავდაცვითი ფუნქცია გააჩნდა და მუდმივად მიმდებარე სავაჭრო გზებს აკონტროლებდა. 523 წლიდან, როცა ირანმა იბერიაში მეფობა გააუქმა, თბილისს უკვე

ირანელი სახელმწიფო მოხელეები, „მარზპანები" აკონტროლებენ. VII საუკუნის ოციან წლებში ქალაქი თბილისი ბიზანტიელებმა და ხაზარებმა დაიპყრეს და გაძარცვეს.

თბილისი როგორც ვრცელი ტერიტორიის, სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი არაბებმა აქციეს და იგი 736—1122 წლებში არაბთა ხალიფატის რიგით საამიროს წარმოადგენდა. ამ ოთხი საუკუნის განმავლობაში ჩაეყარა საფუძველი თბილისის როგორც არა მხოლოდ ქალაქის, არამედ თბილისის გარშემო არსებული ვრცელი ტერიტორიის მომცველი დამოუკიდებელი პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულის არსებობას და ჩვენი განსახილველი თბილისის (ქართლის) სამეფო ამ ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ არაბები შესანიშნავად ერკვეოდნენ ქალაქ თბილისის სახელწოდების ქართულ წარმომავლობაში:

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ**. 133): „XIII ს. არაბი ლექსიკოგრაფი ას-საღანი... თბილისთან დაკავშირებით წერს: „თბილისი ქართული სიტყვა არისო“ (**გოჩა ჯაფარიძე**)“.

1122 წელს დავით IV აღმაშენებელმა დაიმორჩილა თბილისი და იგი ქართველ მეფეთა მმართველობას დაუქვემდებარა. ამის შემდგომაა, რომ დიდგორის ომის მონაწილე ფრანგ ჯვაროსან ჟან პიერ ჟან გალუასთვის ტიფლისი იბერიის დედაქალაქია.

XIII საუკუნის თბილისელი არაბი მოქალაქის ალ ქალად იბნ ედჩინ ილაზის ცნობით: „ჩვენს ქალაქში შაჰინშაჰის დავითის შემობრძანების შემდეგ ქართველები და ქრისტიანები ძლიერ მომრავლდნენ“.

XIII საუკუნის პირველი ნახევრიდან როგორც საქართველოს აღმოსავლეთს, ასევე თბილისს მონღოლები ეპატრონებიან, რომელთაც შემდგომ ირანელები ენაცვლებიან. XV საუკუნიდან თბილისი თურქებისა და ირანელების დაპირისპირების ობიექტია. დანარჩენი იბერიისაგან განსხვავებით თბილისი, ეს ქართული ქალაქი, მუდამ მრავალეროვან ხალხთა საცხოვრისს სივრცეს, განცალკევებულ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და ქალაქში უმეტესწილად უცხოელები ბატონობდნენ; ისევე როგორც მაგალითად, XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისს რუსეთი განაგებდა და თავად ქალაქის მოსახლეობაში კი რაოდენობრივად ქართველებს რუსები და ჰაიკები ჭარბობდნენ. მიუხედავად ამისა თბილისი რუსეთის მმართველობის ჟამს იქცა საქართველოს ფაქტობრივ ცენტრად, ქართველთა გამაერთიანებელ ცენტრად, ხოლო იურიდიულად ქალაქი თბილისი სრულიად საქართველოს დედაქალაქი გახდა მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს, როცა მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და მის დედაქალაქად კი თბილისი დაამტკიცეს. დღეს თბილისი, გამომდინარე მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებიდან, ზოგად ქართული ბუნებისაა და ესაა ჩვენი დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი ეროვნული მიღწევა.

1555 წელს, ამასიის ზავის თანახმად, როცა თურქეთმა და ირანმა საქართველო ლიხის ქედზე გაიყვეს, საქართველო ხუთ მხარედ დანაწილდა და უკვე ერთ-ერთ მხარეს თბილისი-ს, ანუ იგივე ქართი-ს სამეფო წარმოადგენდა.

მოვიძიოთ მასალები რომლებშიც ნათლად იკითხება, რომ სახელწოდება **თბილისი** და წარმართული **ქართი**-დან ნაწარმოები **ქართლი** სინონიმებს წარმოადგენენ

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 139): „ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიმ, რომელმაც XVII ს-ში იმოგზაურა საქართველოში, იცის, რომ მიუხედავად დაშლილობისა, ქურჯებს (ქართველებს და არა განცალკევებით ქართლელებს ჯ.კ.) ეკუთვნით ხუთი მხარე: **ბილად თიfლის – თბილისის ქვეყანა (რომელიც ფარავს**

ქართლს); ქახათ... – კახეთი; ალ-მიქრალ... – სამეგრელო; ქურÎა... – გურია და ბილად ალ-მირალ... -- იმერეთი... (**გოჩა ჯაფარიძე**)“.

იგივეს იმეორებს 1635 წელს პარიზში გამოცემული ნაშრომის ავტორი **კლოდ მალენგრი**. ტექსტს მოგაწვდით დედანში მოცემული ტერმინებით. **კლოდ მალენგრი** სანამ აღწერდეს ქეთევან დედოფლის წამებას, მოგვითხრობს:

(**ილია ტაბაღუა** III 53): „ეს ამბები რომ აღწერო, -- განაგრძობს კლოდ მალენგრი, საჭიროა იცნობდე გურჯისტანს, ანუ საქართველოს. ეს არის უშესანიშნავესი, დიდებული და სასიამოვნო ქვეყანა, რომელიც კასპიის ზღვასთან მდებარეობს და შავ ზღვასთან ახლოა. ქვეყნის ის ნაწილი, რომელიც ახლოა შავ ზღვასთან, ანუ პონტო ევქსინთან, ესაზღვრება თურქეთს, ხოლო ის, რომელიც კასპიის ზღვასთანაა – სპარსეთს.

ეს ქვეყანა ძლიერია თავისი ბუნებრივი პირობებით, გარშემო გარსშემორტყმული მთების შემწეობით და ასევე ხალხით – კეთილშობილი და მამაცი მებრძოლებით, რომლებიც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებენ. მაგრამ იმის გამო, რომ ისინი აღიარებენ ქრისტიანობას ბერძნული წესით, ისინი არიან სქიზმატიკები და არა რომაული წესის ქრისტიანები.

საქართველოს ადრე ეწოდებოდა ივერი და ამჟამად იგი დაყოფილია ოთხ სამეფოდ. ყოველ მათგანს ჰყავს თავისი მეფე და სუვერენული მთავარი. პირველ სამეფოს ეწოდება მინგრელი, მეორეს – ბაშა-კური (იმერეთი ჯ.კ.), მესამეს – **ტეფლისი** (**თბილისი** ჯ.კ.), მეოთხეს იბერია. ეს უკანასკნელი ინარჩუნებს სახელწოდებას – **გურჯისტან**“.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ **კლოდ მალენგრი**, ძველი ტრადიციით, გურიას სამეგრელოში ათავსებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ წყაროებში ასევე მხოლოდ მე-16 საუკუნიდან ჩნდება დღევანდელი მნიშვნელობით სახელწოდებები – **იმერეთი, იმერეთის სამეფო**. მაგალითად, X-XV საუკუნეთა სპარსული წყაროებისთვის უცნობია ტერმინები **ქართლი, იმერეთი** და საქართველოს დასავლეთი მათთვის **აბხაზეთია** (კ. ტაბატაძე). ასევე უნდა გაიაზროთ ის ისტორიული რეალობა, რომ როგორც კი იწყება საქართველოს დასავლეთის, ერთიანი ლაზიკა-სამეგრელოს სამეფოს დაშლა რამოდენიმე სამეფო-სამთავროებად, უცხოურ წყაროებში კოლხეთის ამ მხარეს აღარ ეწოდება **აბხაზეთი || აფხაზეთი** და ეს სახელწოდება აბხაზი მოგვიანებით, XIX საუკუნეში **ჟაკ ფრანსუა გამბასთან** შეგვხდება, უკვე მხოლოდ დიდი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის, დღევანდელი ოჩამჩირისა და გალის რაიონებში მაცხოვრებელ მეგრელთა საცხოვრისის აღსანიშნავად.

კლოდ მალენგერის ცნობის მიხედვით ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ის ფაქტია დასაფიქსირებელი, რომ XVII საუკუნითვის **იბერია** და **თბილისის სამეფო** ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამეფოებს წარმოადგენენ. ასევე ყურადღება მიაქციეთ იმ განმარტებას, რომ „საქართველოს ადრე ეწოდებოდა **ივერი**“. **ივერია** და **იბერია**, მსგავსად **ქართველი**-სა და **ქართლელი**-სა სრულიად განსხვავებული შინაარსების მატარებელი მცნებებია.

ასევე აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის ფრანცისკელი მისიონერებისათვის თბილისი ივერიის ქალაქია. XIV საუკუნეში ფრანცისკელ მისიონერებს საქართველოში (ივერიაში) ორი მონასტერი ქონიათ.

(**ილია ტაბაღუა** III 18): „პიზანოს კატალოგში ამ მონასტრებიდან ერთ-ერთი მონასტრის ადგილსამყოფლად დასახელებულია: „**ივერია, თეფელისიუს**“.

ფრანცისკელთა მონასტერი მდებარეობდა ივერიის ქალაქ თბილისში.

დამატებით მოვიძიოთ მაგალითები რომელთა მიხედვითაც უცხო წყაროებში მხოლოდ ასევე XVII საუკუნიდან ჩნდება თავად სახელწოდება **ქართლი** და სადაც იგი გაიგივებულია სახელწოდება **თბილისთან** (= **ქართი**-სთან). მაგალითად ასევე XVII საუკუნეში მოღვაწე დე კასტელის საქართველოს სამეფოთა აღწერაში კლოდ მალენგრის თბილისის სამეფოს შეესატყვისება უკვე სახელწოდება **ქართლის (Cardelium) სამეფო**.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 269): „ქართლი ოსმალურში იწოდება: 1) „ქართილ"-ად --- „ქﺩارتﺩﻳل ﻓﻳلاﻳﺗاد", ან „ﻗﺩارتﺩﻳل ﺋﻳلﻗﺩ" და 2) „تﻳﻓﻠﻳس ﻓﻳلاﻳﺗاد" ან „ﻣﻳﻣﻠﻳﻗﺩاد" (ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის აღნიშვნა მისი ცენტრის სახელით გავრცელებული შემთხვევაა). შდრ. „ქართლის ოლქის მფლობელი სიმონ ხანი (გარდაიცვალა 1630 ან 1631 წელს **ჯ.კ.**), „ქართლის გამგებელი მოურავხანი"... „თბილისის ხანის ვახტანგ ხანის შვილი (სიმონ ხანი ჯ.კ.)"... გურჯი-ზადეს თხზულების სათაურია „თბილისის დაპყრობის წიგნი", მასში ოსმალთაგან 1723—24 წლებში ქართლის დაპყრობის ისტორიაა აღწერილი (**ცისანა აბულაძე**)".

აქ ჩვენ უნდა დავეთანხმოთ მკვლევარს, „რომ ამა თუ იმ ქვეყნის აღნიშვნა მისი ცენტრის სახელით გავრცელებული შემთხვევაა" და ამიტომაც გაჩნდა თბილისის წარმართული კოლხური სახელწოდება **ქართი**-დან მხარის სახელწოდება **ქართლი**.

ოსმალურ წყაროებში გაიგივებულია ჩვენი დედაქალაქის ორი სახელწოდება -- თბილისი და წარმართული **ქართ**ი-დან ნაწარმოები **ქართლი**.

ამრიგად, თუ ვისარგებლებთ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ტერმინოლოგიით, **ქართლოსი** ეს იგივე **თბილისოსი**-ა.

ქართლოსი რომ იგივე თბილისოსია ამაზე ნათლად მეტყველებს მისი „შვილების" სახელწოდებათა გეოგრაფიის მიმოხილვა და რაც იგივე თბილისის საამიროს საზღვრებს იმეორებს.

არაბთა თბილისის საამიროს მემკვიდრე თბილისის სამეფო მოიცავდა როგორც იბერიას, ასევე კახეთს, და ამიტომაც კახოსი და კუხოსი ქართლოსის შვილებადაა გამოცხადებული, მაშინ როდესაც სახელწოდება **ქართლი** XVI საუკუნემდე უცნობია მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის, ხოლო სახელწოდება **კახი** არაბთა დაცვის სიგელშია მოხსენიებული.

(**პავლე ინგოროყვა** 113): „აღსანიშნავია, რომ თვით კახეთისა და ჰერეთის სამთავროებს, რომლებიც დამოუკიდებელი სამფლობელოების სახით არსებობდნენ მე-9—10 საუკუნეებში, გიორგი მერჩულე არა სცნობს ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად და მიაჩნია ისინი განუყოფელ ნაწილად ქართველთა სახელმწიფოსი. ეს მკაფიოდ ჩანს მისი თხზულების უკანასკნელი, დამაბოლოებელი თავიდან, სადაც საქართველოს მეფე-მთავართა და ხელისუფალთა ჩამოთვლის დროს, გიორგი მერჩულე არ უთმობს მათ შორის ადგილს კახეთისა და ჰერეთის მთავრებს".

ქართლოსის შვილების სახელებია: მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი, გაჩიოსი და რაც თბილისის სამეფოს გარშემო ტერიტორიას წარმოადგენს და ამით აცხადებენ, რომ მცხეთის რაიონი (შიდა ქართლი), გარდაბანი, კახეთი, კუხეთი და გაჩიანი ქართლის (თბილისის) სამეფოს კუთვნილი ტერიტორიებიაო. ე. ი არამარტო ტაო-კლარჯეთი და მესხეთი, არამედ კახეთიც ქართლის კუთვნილებად, მის შემადგენელ ნაწილად გამოგვიცხადეს.

აქ ჩნდება კითხვა, რატომ ეწოდა XVI საუკუნეში თბილისის არაბთა საამიროს ტრადიციებზე წარმოქმნილ უკვე თბილისის ქართულ სამეფოს **ქართლი**, როცა სახელწოდება თბილისი ასევე უძველესი წარმართული კოლხური სახელია და თავად არაბების მიერაა დადასტურებული.

სირთულეს წარმოადგენს იმის ახსნა, რომ ახლად შექმნილ თბილისის სამეფოს (და არა თბილისის საამიროს), რომელსაც გაუჩნდა სრულიად საქართველოს ლიდერის ამბიცია, არ გააჩნდა ეროვნული თვალსაზრისით სასურველი წარსული, ვინაიდან ქალაქი ძირითადად უცხოელთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო საქართველოს (კოლხეთის) გამაერთიანებელი ქართული ეკლესიისა და ასევე ბაგრატოვანთა სამეფო ოჯახის ცენტრს სამხრეთ სამეგრელოში, ჭოროხის ხეობაში მდებარე ტაო-კლარჯეთი, ანუ **ქართველთა სამეფო** წარმოადგენდა და რომელი სამეფოც მინიმუმ IX საუკუნიდან მაინც არსებობდა. თბილისში გამეფებულმა ბაგრატოვანებმა, როგორც ტაო-კლარჯეთის წარსულის კანონიერმა მემკვიდრეებმა, დაისახეს მიზნად ერთმანეთისაგან განსხვავეული ჭოროხის ხეობის **საქართველოს სამეფოს** და **თბილისის სამეფოს** ჩვენი ქვეყნის ერთ ისტორიულ მხარედ წარმოჩენა და ამ მიზნით გაჩნდა იდეა თბილისის სამეფოსთვის ეწოდებინათ საქართველო-ს მსგავსი ქართი-დან ნაწარმოები ქართლი და რომ ტაო-კლარჯეთი როგორც ერთიანი ქართლის ნაწილი ზემო ქართლად გამოეცხადებინათ; მითუმეტეს, რომ სახელწოდება საქართველო ასევე წარმართული ქართა-დანაა ნაწარმოები.

ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ერთ-ერთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენს აზროვნებაში დანერგონ, დაამტკიცონ ტერმინების **საქართველო**-სა და **ქართლი**-ს იდენტურობა, იგივეობრივობა და რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. „გიორგი მერჩულე“-ში ვკითხულობთ:

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

აქ დავაკვირდეთ უმნიშნელოვანეს დეტალს, რომ **ქართლი** არის ქვეყანა სადაც არა **ქართლური**, არამედ **ქართული** ენით ლოცულობენ და იგივე შეიძლება განივრცოს საქართველოს დანარჩენ მხარეებზეც:

„ოდიშად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

„სვანეთად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

საქართველოში შეიძლება სხვა ენებზეც (მეგრული, სვანური) და დიალექტებზეც საუბრობდნენ, მხოლოდ ისინი თუ ქართულად ლოცულობენ მაშინ ქართველები არიან. ანუ ქართული (და არა ქართლური) ენა სალოცავი ენაა, საეკლესიო ენაა და ამიტომაც სახელწოდება ქართველი მუდამ აღნიშნავდა მართლმადიდებელს (**ილია ჭავჭავაძე**).

(**ვახუშტი ბაგრატიონი**): „უკეთუ ჰკითხო ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, ჰერკახსა რა რჯულის ხარ, წამს მოგიგებს „ქართველი“.

დღევანდელი ეროვნული ცნობიერებით, რასაკვირველია, ქართლი საქართველოა და ქართლელი ქართველია, მაგრამ იგულისხმება, რომ ქართლი საქართველოს მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელია, ქართლელი მხოლოდ ერთ-ერთი რიგითი ქართველთაგანია და ქართლური მეტყველება მხოლოდ ქართველთა გამაერთიანებელი ქართული ენის დიალექტია. ანუ ტერმინი „საქართველო“ ფართო მცნებაა და თანაბრად მოიცავს ჩვენს ქვეყანას თავისი ქართლით, კახეთით, თუშეთით, მესხეთით, იმერეთით, სვანეთით, ოდიშით... და ქართველია თითოეული ჩვენთაგანი, მაგრამ დასაწყისში ეს ასე არ იყო.

რომის პაპის წერილები

სანამ მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდებოდა ტერმინი ქართლი, ბევრად ადრე, იგივე წარმართული ქართა-დან, შეიქმნა სახელწოდება ქართველი, მხოლოდ არა საქართველოს აღმოსავლეთით, არამედ სამხრეთ სამეგრელოში, ტაო-კლარჯეთში და სახელწოდება ქართველი თავდაპირველად ლაზ-მეგრელთა საცხოვრის სივრცეს აღნიშნავდა. ტერმინი ქართველი მოგვიანებით იქცა კოლხურ ტომთა გამაერთიანებელ, ეროვნულობის გამომხატველ სახელწოდებად.

განვიხილოთ „რომის პაპის წერილებად“ წოდებული ამ მტკიცების ერთ-ერთი მაგალითი. „რომის პაპის წერილები“ ვუწოდე მიხეილ თამარაშვილის მიერ რომში მოძიებულ წერილებს და რომელთა დოკუმენტურობაც -- ეჭვგარეშეა.

1453 წ. 29 მაისი ქრისტეანული სამყაროსათვის ტრაგიკული დღეა – ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ბიზანტია დაეცა... პაპი პიო II ჯვაროსნული ომების ორგანიზებას იწყებს კონსტანტინეპოლის უკან დასაბრუნებლად. პაპის ელჩები მოსალაპარაკებლად საქართველოსაც ესტუმრნენ. მოლაპარაკებათა მიმდინარეობის ამსახველი წერილები ზუსტად წარმოგვიდგენენ XV საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცხოვრების რეალურ სურათს. გავაანალიზოთ წერილებში ჩამოთვლილ იმ ქართველ მოკავშირეთა სიები და ტიტულატურა, რომლებიც ჯვაროსნულ ომში მონაწილეობის მიღებაზე მზადყოფნას აცხადებენ. საწყისში მოგაწვდით ამ წერილების ივანე ჯავახიშვილისეულ თარგმანებს.

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 294): „1458 წლის პაპის ერთ წერილში ნათქვამია:

Inter quos sunt... Catholicon	რომელთა შორის ითვლებიან...
Georgianis, rex Persarum,	ქართლისა კათალიკოზი,
rex Georgianiae, rex Men-	მეფე ,,პერსთა“ (?) მეფე საქართველოსი,
greliae, imperator Trapezuntinus:	მეფე სამეგრელოსი, ტრაპიზონის ხელმწიფე“.

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 291): „გიორგი მეფე თავის 1459 წლის ეპისტოლეში მოკავშირეებად ასახელებს:

,,Ego Georgius rex Persarum“	მე გიორგი მეფე პერსთა (sic, სპარსთა?)
,,Bedian rex Mingreliae“	ბედიანი სამეგრელოს მეფე
,,Gorgora dux Georgianae“	ყუარყუარე ქართველთა მთავარი
,,Rabia (sic) dux Anocaciae“	რაბია (sic) ანოკაციის მთავარი.

თვით ყუარყუარე ამავე წელს დაწერილსა და ბურგუნდიის მთავრისადმი გაგზავნილს წიგნში ამ საქმის მონაწილედ სთვლის თავის თავს და შემდეგ პირებს:

,,Ego Gorgora dux Georgianae“	მე ყუარყუარე ქართველთა მთავარი
,,Georgius rex Persarum“	გიორგი მეფე პერსთა (სპარსთა?)
,,Bendian rex Mingreliae“	ბენდიან სამეგრელოს მეფე
,,Rabia dux Anocasiae	რაბია ანოკასიის მთავარი.

დასასრულ, საქართველოთგან ევროპაში 1460 წელს მისულს ელჩებს განუცხადებიათ, რომ ოსმალთა საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებდნენ:

,,Bendas (sic) Mengreliae et	ბენდას სამეგრელოს და
Abasiae rex et	აბხაზეთის მეფე და
Pancratius Iberorum qui	ბაგრატი იბერთა, რომელნიც
nunc Georgiani vocantur et	აწ გიორგიანებად იწოდებიან, და
Mania (sic) marchio Goriae	მანია (=მამია) გურიის ერისთავი
et Fabia dux Angósiae“	და ფაბია ანგოსიის მთავარი".

ივანე ჯავახიშვილი მიშვნელოვან შეცდომას უშვებს, როცა აცხადებს:

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 294): ,,ამ ლათინურ დედანში ,,**Catholicon Georgianis**“ ,,ქართლისა კათოლიკოსს“ უდრის, ,,**rex Georgianiae“** – ,,**ქართველთა მეფეს**“.

ერთი და იგივე ტერმინი Georgia პირველ შემთხვევაში ნიშნავსო ქართლს, ხოლო მეორე შემთხვევაში საქართველოსო, ხოლო ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1458 წელს სახელწოდება **ქართლი** ბუნებაში არ არსებობდა და **Georgia** (ჯორჯია) ნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს.

(**ს. ს.**) **საქართველო** – ჯორჯიანი – გიორგიანი.

სულხან-საბა ორბელიანისთვისაც **ჯორჯიანი, გიორგიანი** (**Georgiani**) გამოკვეთილად საქართველოა და არა მისი ნაწილი ქართლი. ივანე ჯავახიშვილი ნატყუარი ,,ქართლის ცხოვრების" ამღიარებელი მეცნიერია და იძულებულია შეათავსოს შეუთავსებელი, ანუ საყოველთაოდ მიღებული შინაარსის მატარებელ სახელწოდებას **Georgia**-ს (**საქართველო**-ს) ასევე მიანიჭოს მეორე, სრულიად განსხვავებული მცნების **Charthli**-ს (**ქართლი**-ს) მნიშვნელობაც.

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 294): ,,**გორგორა** (**Gorgora dux Georgianiae**) უდრის **ყუარყუარეს**, რომელიც მის დროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში ასე იწოდება: ,,საქართველოÎსა ათაბაგი, სამცხისა სპასალარი ჯაყელ-ციხისჯვრელი... პატრონი ყუარყუარე", თუ ლათინურს გამონათქვამს ქართულ ზემოთმოყვანილ ცნობას შევადარებთ, ცხადი იქნება, რომ **dux Georgianae** სწორედ ამ ქართული წოდებულების ,,**საქართველოს ათაბაგის**" თარგმანს წარმოადგენს“.

(**ივანე ჯავახიშვილი** III ტ. 278): ,,ყუარყუარე ათაბაგს საეპისკოპოსო პირების არჩევის უფლება უკანონოდ მოუტაცნია და თვით ჩაუგდია ხელში. ამას, რასკვირველია, იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ საშუალება ჰქონოდა თავისი პოლიტიკის მომხრე პირები და მის ბრძანებათა ყურმოჭრილი ყმები აერჩია ეპისკოპოსებად“.

ზუსტად ამ **ყუარყუარე ქართველთა ათაბაგის** (**Gorgora dux Georgianiae**), და არა ქართლელთა ათაბაგის მიერ არჩეული ,,ქართველთა კათოლიკოსი“ გახლავთ პირველ წერილში ნახსენები ,,**Catholicon Georgianis**“ და არა ,,ქართლისა კათოლიკოსი“, მხოლოდ სინამდვილეში ეს **Catholicon Georgianis** არა ქართველთა კათოლიკოსი, არამედ ქართველთა ეპისკოპოსია, ისევე როგორც პირველ წერილში ჩვენი ყუარყუარე ქართველთა ათაბაგი არა რეალური წოდებით, არამედ, რიხიანად, **ქართველთა მეფის** (**rex Georgianiae**) ტიტულატურით წარმოგვიდგება, სინამდვილეში კი, როგორც ეს შემდგომ წერილებშია, იგი **ქართველთა მთავარია** (**dux Georgianiae**). ხოლო პირველი წერილის სიის სათავეში სასულიერო პირი, ,,ქართველთა კათოლიკოსი“ (**Catholicon Georgianis**), იმიტომ დასვეს, რომ წერილი ასევე სასულიერო პირს, რომის პაპს ეძღვნება. ვინაიდან რეალური ძალაუფლება არ გააჩნდა, აღნიშნული პიროვნება შემდგომ წერილებში აღარც ფიგურირებს. ასევე ყუარყუარეც, შემდგომ წერილებში, თავისთავს არა ეფემერულ მეფედ, არამედ რეალურ მთავრად წარმოგვიდგენს.

სახელწოდება ქართველი თავდაპირველად ჭოროხის ხეობაში ფიქსირდება.

(**პავლე ინგოროყვა** 108): ,,იშხანის ტაძარში (მდებარეობს ტაოში ჯ.კ.) დაცულია საფრესკო მხატვრობა ბაგრატ მაგისტროსის დროისა; თვით ბაგრატ მაგისტროსის საფრესკო გამოსახულებას თან ახლავს შემდეგი წარწერა მე-10 საუკუნის ასომთავრულით:

,,ბაგრატ მაგისტროსი, **ქართველთა მეფე**".

(**ქ. ს. ე.** X ტ. 462): ,,**ქართველთა სამეფო**, ტაო-კლარჯეთი, ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აშოტ ბაგრატიონმა IX ს. დასაწყისში. აშოტ I-მა შავშეთ-კლარჯეთი, ტაო, ნიგალი, აჭარა, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა. ბიზანტიელები ამ სახელმწიფოს მეთაურს **იბერთა** (უნდა იყოს **ივერთა** ჯ.კ.) კურაპალატს უწოდებდნენ. ხოლო ქართველები (ამასთან ერთად) – **ქართველთა მთავარს**".

აქ შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ქართველთა სამეფოს აშოტ ბაგრატოვნამდე დიდი ხნით ადრე ჩაეყარა საფუძველი და VIII საუკუნეში არაბთა შემოსვლის ჟამს ეს სამეფო უკვე არსებობდა. რაც შეეხება იმას, რომ „ბიზანტიელები ამ სახელმწიფოს მეთაურს **იბერთა** კურაპალატს უწოდებდნენ", ეს შეცდომა განაპირობა ენობრივმა ბარიერმა, ვინაიდან ბიზანტიელები წერისას იყენებდნენ ბერძნულ ბ-ს გრაფიკულ გამოსახულებას, მხოლოდ გამოთქვამდნენ როგორც ვ-ს და საწყისშივე ქართველთა სამეფო მათთვის იყო არა **იბერია**, არამედ **ივერია**. ე. ი. ბიზანტიელთათვის აშოტ I იყო არა **იბერთა** კუროპალატი, არამედ **ივერთა** კუროპალატი; შესაბამისად როცა ტაო-კლარჯელ ბაგრატოვანთა ოჯახის ძალაუფლება სრულიად კოლხეთზე (საქართველოზე) განივრცო, სრულიად საქართველოც ბიზანტიელთათვის იქცა ასევე **ივერიად** (და არა **იბერიად**).

ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ბერძნული ისტორიოგრაფიით **იბერია** ეწოდებოდა მხოლოდ დღევანდელი შიდა და ქვედა ქართლის ტერიტორიის მომცველ სამეფოს, ხოლო **ივერია** ბიზანტიელთათვის თავდაპირველად იყო ტაო-კლარჯეთის და შემდგომ სრულიად საქართველოს სამეფო.

ამ ცოდნას ეყრდნობა **კლოდ მალენგრი**, როცა აცხადებს: ,,საქართველოს ადრე ეწოდებოდა **ივერი**".

ჭოროხის ხეობა რომ ოდითგან სამეგრელოა, გვიდასტურებს შემდეგი ცნობა:

(**პავლე ინგოროყვა** 494): ,,**ლეონტი მოძღვარი** (მე-8 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსი) აგვიწერს, რომ არაბების მიერ შევიწროებული მოსახლეობის ერთმა დიდმა ჯგუფმა განიზრახა საბერძნეთში გადასვლა; ლეონტი მოგვითხრობს:

,,უწყალო მტრები [არაბები] დაედევნენ მათ [ლტოლვილებს] და დაეწივნენ იბერიის საზღვართან, კანტონში, რომელსაც ეწოდება კოლი [„კოლ"], მაგრამ მათ [ლტოლვილებმა] დაამარცხეს არაბები, გაფანტეს ისინი, ხოლო თვით გადავიდნენ მდინარე აკამფსისზე (**ჭოროხზე**), რომელიც მომდინარეობს ტაოს ქვეყანაზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით და **გაივლის რა ეგერს** (კოლხეთს) **შეერთვის პონტოს** [შავ ზღვას]".

მე-8 საუკუნე ის პერიოდია, როცა ტაოს მხარე გამოეყო ცენტრალურ სამეგრელოს, მაგრამ ჰაიკთათვის კლარჯეთი და მისი მოსაზღვრე მხარეები ჯერ კიდევ ეგერია > ეგრისია > სამეგრელოა.

ყუარყუარეს სამფლობელო ორი ისტორიულად განსხვავებული მხარეებისაგან შედგებოდა. ძირითადი მხარე თუ სამხრეთ სამეგრელო, ჭოროხის ხეობა გახლდათ. მეორე მხარე, სამცხე, ეს მესხეთის ის ნაწილია რომელიც, სტრაბონის ცნობით, მესხეთის მიწების კოლხეთს (ამ შემთხვევაში ლაზიკა-სამეგრელოს), იბერიას და არმენიას შორის

გაყოფის შემდგომ სამეგრელოს (კოლხეთს) ერგო. ესაა მიზეზი იმისა, რომ ამ მხარის მფლობელს ისტორიულად „საქართველოისა ათაბაგი და სამცხისა სპასალარი“-ს ტიტულატურით მოიხსენიებდნენ. ტიტულატურა გვამცნობს, რომ ამ დროისთვის სამცხეს ჯერ კიდევ საქართველო არ ეწოდებოდა და საქართველო განცალკევებით ჭოროხის ხეობაა.

ნაცვლად იმისა, რომ გაერთიანებულ მხარეთა მმართველის ტიტულატურის **„საქართველოისა ათაბაგი და სამცხისა სპასალარი“**-ს შესაბამისად ამ მხარეთა გაერთიანება უნდა იწოდებოდეს სრული შესატყვისი ფორმით – **საქართველო-სამცხე** ან სულაც **სამცხე-საქართველო**, ჩვენი ნატყუარი წყაროები ისტორიული სინამდვილის დაფარვის მიზნით ამ სამთავროს მხოლოდ **სამცხე-საათაბაგოდ**, ან გამონაკლისის სახით, **სამცხე-კლარჯეთად** მოიხსენიებენ. ანუ თუ ამ გაერთიანებას მხარეთა სახელწოდებებით აღვნიშნავთ, უნდა იყოს **საქართველო—სამცხე**, ხოლო თუ გაერთიანებას მმართველთა ტიტულატურით მოვიხსენიებთ, უნდა არსებულიყო **საათაბაგო—სასპასალარო** და არა შერეული **სამცხე-საათაბაგო**, ანუ **სამცხე** წარმოდგენილი იყოს მხარის სახელწოდებით, ხოლო **საქართველო** (ჭოროხის ხეობა) მმართველის ტიტულატურით. ასევე კნინობითია ფორმა **სამცხე-კლარჯეთი**, ვინაიდან ჭოროხის ხეობის, სამხრეთ სამეგრელოს ქართველთა სამეფო მხოლოდ კლარჯეთს არ მოიცავდა. ტერმინი **სამცხე-საათაბაგო** არის სურვილი როგორმე მიჩქმალონ ის ისტორიული რეალობა, რომ დასაწყისში **საქართველო** გამორჩეულად სამხრეთ სამეგრელოს მხარეს, ლაზ-მეგრელებით დასახლებულ ჭოროხის ხეობის სამთავრო-სამეფოს ეწოდებოდა და არასოდეს **სამცხე-საქართველო** ზემო ქართლს არ წარმოადგენდა. მცნება **ზემო ქართლი** ჩვენი ისტორიის მწვალებელთა რიგითი ტყუილია.

ჩვენი მტკიცების დოკუმენტირება გახლავთ დანარჩენი საქართველოსაგან სრულიად განსხვავებული, მხოლოდ ამ ორი მხარისათვის მახასიათებელი მიწის დამუშავების მაღალგანვითარებული ტერასული კულტურა. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს ამ ორი მხარის უმჭიდროვეს, სხვათაგან გამორჩეულ ურთიერთობებზე. ცენტრი ამ მიწათმოქმედების, მელიორაციის მიღწევებისა ტაო-კლარჯეთი გახლდათ. ტაო-კლარჯეთი, გამომდინარე თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და თითქმის შეუვალი, ბუნებრივი თავდაცვითი პირობებით, ოდითგან კოლხეთის (საქართველოს) სასულიერო ძალთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. სასულიერო ცენტრების სიმრავლით ეს იყო ჩვენი ათონის მთა. ამ მხარეთა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კოლხი (ქართველი) ერის ინტელექტუალური ელიტა შეადგენდა და შესაბამისად ეს აისახა არა მარტო სასულიერო ცხოვრების ლიდერობაში, არამედ მიწათმოქმედების ისეთ მიღწევებში, რომლის მსგავსი რამის გამეორება დანარჩენ საქართველოში არც უცდიათ.

ისტორიული თვალსაზრისით, **სამცხე-საათაბაგო**-ს სრულ შინაარს გამოსახავს არა **სამცხე-საქართველო**, არამედ **მესხეთ-საქართველო**. სახელწოდება **მესხი** ლეონტი მროველთან არ იხსენიება, ის პირველად „მატიანე ქართლისაი“-ში გვხდება და ეს მაშინ როცა მსოფლიო ისტორიოგრაფიით ქართულ სატომო სახელწოდებებიდან ტერმინი **მესხი** უძველესია. სახელწოდება **მესხი**-ს მიჩქმალვა განაპირობა ჩვენი ისტორიის მწვალებელთა დაუცხრომელმა სურვილმა როგორმე ჭოროხის ხეობა (ტაო-კლარჯეთი) ზედა ქართლად წარმოგვიდგინონ. თუ ჩვენი ისტორიის მწვალებლები დაუშვებდნენ მესხეთის როგორც ჭოროხის ხეობის მეზობელ მხარედ დაფიქსირებას, მაშინ მათ ჭოროხის ხეობის ზემო ქართლად გამოცხადებისას ექმნებოდათ გეოგრაფიული წინააღმდეგობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქვემო ქართლსა და ჭოროხის ხეობას შორის

დადგინდებოდა მათი გამყოფი მესხეთის ტერიტორია; ეს თავისთავად გააძნელებდა ჭოროხის ხეობის ზემო ქართლად გამოცხადებას, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა ფუნდამენტალური მიზანი ჭოროხის ხეობის (ტაო-კლარჯეთის) ქართლის ნაწილად წარმოსახვაა; ხომ აქ ტაო-კლარჯეთში გაჩნდა ქართული ენა, ქართული ანბანი, ეს მხარე იყო ბაგრატოვანთა სამშობლო და რაც უმთავრესია ეს იყო ჩვენი ქვეყნის სასულიერო ცენტრი და არა მცსეთა თავისი სვეტიცხოვლით.

ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ვატიკანში გაეცნო მსოფლიო ისტორიოგრაფიით სამცხეში დადასტურებულ მესხეთის ქედის და შესაბამისად მესხების მხარის არსებობას, იძულებულია ახსნა-განმარტება მოუძებნოს ჩვენს მიერ გამოვლენილ კაზუსს. ის წერს:

„და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად, არამედ აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და მცხეთის მორჩილებისთვის... ამათ (იგულისხმება ზემო ქართლის სამცხე ნაწილი ჯ.კ.) ყოველთა კრებით ქვეყანასა სწერენ ძველს ღეოღრაფიასა შინა, უწინარეს მაკედონელისაცა (ძვ. წ. III საუკუნეზე ადრეცო, ანუ ეს უკვე ვატიკანში ისწავლა ჯ.კ), სახელსა მოსხი, ესე იგი არს მესხი და მთათა დევაბოინისას, ირიჯლუსას, ყალნუსა და თორთომისა – მესხის მთა. ამათ საჩინო არს, მცხეთოსისა და მცხეთისაგან იწოდა სახელი ესე, და არს ძველითვე ვითარცა იწოდა ბაგრატიონობასა შინა“.

აქ ვახუშტი ბაგრატიონი ეყრდნობა იმ ისტორიულ რეალობას, რომ მესხეთი გაყოფილი იყო კოლხეთს, იბერიასა და არმენიას შორის და შესაბამისად ისტორიული მესხეთის მნიშვნელოვან ნაწილს იბერია ფლობდა.

მომავალი ცოდნიდან უნდა აგიხსნათ, რომ მიწათმოქმედებაში, მელიორაციაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის, თავდაპირველად ჭოროხის ხეობის ლაზ-მეგრელებს ეწოდათ **ქორთუ**-ები. ქორთუ წარმოადგენს კომპოზიტს და წარმართული კოლხურის ცოდნით შემდეგნაირად იშლება **ქ+ორთუ**. თანხმოვანი **ქ** შუმერულ-კოლხური ცოდნით მიწის მცნებას გამოსახავს, ხოლო **ორთუ** ლაზურ-მეგრულით ნიშნავს **აკეთებს**.

ქორთუ = ქ + ორთუ = მიწა + აკეთებს = მიწის მკეთებელი = **მიწათმოქმედი**.

იგივე ცოდნითაა შედგენილი კომპოზიტი **ქართა**.

ქართა = ქა + რთ(უალ)ა = მიწა (სივრცე) + გაყოფა = **მიწა (სივრცე) გამოყოფილი.**

თუ თბილისის შემთხვევაში **ქართა** აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ თბილისი გარემო სივრციდან გამოყოფილია გალავნის კედლებით, ჭოროხის ხეობის შემთხვევაში **ქართა** აღნიშნავდა ცენტრალურ სამეგრელოდან გამოყოფილ, ჭოროხის ხეობაში აღმოცენებულ ტაო-კლარჯეთის სამეფოს საცხოვრის სივრცეს, ტერიტორიას, ხოლო **ქორთუ** ამ სამეფოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელ კოლხებს.

ქორთუ-ს (მიწათმოქმედის) მნიშვნელობის მატარებელი სახელწოდების წარმოქმნას კოლხურ წიაღში სრულიად ბუნებრივად აღიქვამთ, თუ გაიხსენებთ, რომ სახელწოდება **მარგალი** (დამრგველი) ასევე მიწათმოქმედს ნიშნავს. თუ ლაზებმა დარგვა ისწავლეს და თავიანთ თავს მარგალები (დამრგველები), ანუ იგივე მიწათმოქმედები უწოდეს, სამხრეთ ლაზიკაში (ტაო-კლარჯეთში) მიწის ზედაპირის ტერასებად დამუშავებაც აითვისეს და შესაბამისად მიწის მკეთებლები (ქორთუები) შეერქვათ. სახელწოდებები **მარგალი**-ც და **ქორთუ**-ც მიწათმოქმედების მცნებას უკავშირდება. უძველესი კოლხური ტრადიციებიდან გამომდინარე, მეგრელთა მიწათმოწმედებისადმი გამორჩეული პატივისცემა დაფიქსირებული აქვს იტალიელ მისიონერს **დონ არქანჯელო ლამბერტის**.

(**არქანჯელო ლამბერტი** 51): „არც ერთი ერი ისეთ პატივს არ სცემს მიწათმოქმედებას როგორც მეგრელები. სხვაგან ყველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და ხეპრე გლეხები. სამეგრელოში, კი რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ ამუშავებს თავის ყანებს და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ. პირიქით, ყოველი წინდახედული მეოჯახე აზნაური მეტად ეტანება ამ მუშაობას. თვითონ იღებს ხელში თოხს და ბევრ ოფლსა ღვრის თავის ყანების დასამუშავებლად. მეგრელებს ანდაზაც აქვთ, რომ საჭმელი ყველას უნდა, აზნაურსაც და გლეხსაც, და ამიტომ ყოველმა კაცმა თავისი ხელით უნდა მოიწიოს ის, რაც მას საცხოვრებლად ეჭირვებაო. **მთავრიდან** დაწყებული უკანასკნელ მეგრელამდი სიამოვნებით ეტანებიან მიწათმოქმედებას და დიდის სიამოვნებით ამუშავებენ თავიანთ ყანებს...

მეგრელებს დიდის გულმოდგინებით მოჰყავთ ღომი... მიწიდან თავს იჩენს თუ არა ღომი, მაშინვე გამოთოხნა სჭირდება, რადგანაც საქმე საჩქაროა და პატრონი თავის კაცებით ვეღარ ერევა, მეზობლები უნდა მოიხმაროს... რადგან ეს შრომა საშინელ სიცხეში უნდა აიტანოს კაცმა მისი გასაადვილებლად ისეთი ხერხი გამოუგონიათ, რომ გეგონებათ მთელი სოფელი ქეიფობსო. ამ ხერხს შეადგენს სამი რამე: ნადი, სიმღერა და უხვი საჭმელი, რომელსაც მამულის პატრონი იძლევა. ხშირად ნადი შესდგება ორმოცდაათი და სამოცის ჩარაზმულ მთოხნელისაგან. იმ დროს რომ გაამხნევოს ისინი, პატრონიც თავში ჩაუდგება თოხით და თოხნის, როგორც დანარჩენები. სიმღერა, რომელიც მოჰყვება ნადს, გამოუგონიათ მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს მხიარული კრება გაამხნევოს, არამედ იმისათვისაც, რომ მათ ჩქარა იმუშაონ. ამისათვის საგანგებო სიმღერა აქვთ, რომლის ხმაზე თოხნას ისე ააწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას: რამდენადაც სიმღერას ააჩქარებენ, იმდენად თოხნასაც ააჩქარებენ. ამისათვის თავში დადგება ორი მომღერალი და იწყებს სიმღერას. ამ მეთაურებს ერთი-ორად ეძლევა ულუფა იმისათვის, რომ თოხნა დააჩქარებინოს სხვებს.. საჭმელი საკმაოდ უხვი აქვთ, რადგან იგია მათი შრომის ერთადერთი ფასი. დღის განმავლობაში სამჯერ მიუტანენ საჭმელს ყანაში. დაღამებისას კი პატრონი სახლში უმზადებს ვახშამს, რომელიც მეტად უხვია. ამ დროს ყოველსავე დარდს მუშაობის შესახებ თავიდან იშორებენ. შუაღამემდის სხედან და დროს ატარებენ ჭამაში, სმაში და სიმღერაში. რა მშვენიერი სანახავია, როდესაც მზის ჩასვლისას თოხნას გაათავებენ და მიდიან პატრონის სახლში. თითქოს ერთი დროშის ჯარისკაცებიაო, გაუდვიათ მხრებზე თოხები და ექვს თუ რვა წყებად, ნელნელა მიდიან, თან მიიმღერიან და დიდის ამბით შედიან პატრონის ეზოში. აქ შემოვლენ თუ არა, დასხდებიან ირგვლივ, და მაშინვე მათ მოუტანენ საჭმელს.

საუკეთესო ღვინოს, რომელიც კი აქვთ, შეინახავენ ხოლმე იმ დროისთვის, როცა მარგვლა აქვთ. ხოლო რადგან მათ ხახას ვერ გადაურჩებოდა ეს ღვინო, ასეთი ხერხი მოუგონიათ: ამ ღვინოს სწირავენ წმ. გიორგის იმ პირობით, პეტრე-პავლობამდი არ ახადონ თავი ამ ჭურს, რომელშიც ღვინო არის. მართლაც ვერავინ გაბედავს ამ დრომდის ხელი ახლოს, რადგან მღვდლები ხალხს ეუბნებიან, ვინც დაარღვევს წმ. გიორგის წინაშე დადებულ აღთქმას, ის ცოცხალი ვერ გადარჩებაო. პეტრე-პავლობის დღეს კი, რომელიც მარგვლის წინ არის, დიდის ამბით უნდა მოხსნან თავი ქვევრს. ამისათვის მარანში მოიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოსება საეკლესიო ტანსაცმლით, რამდენსამე ლოცვას იტყვის ქვევრის თავზე და შემდეგ ამისა მოხსნის თავს ამ ქვევრს. იქიდან პატარა დოქში გადმოასხამს ღვინოს, რომელსაც გაგზავნის შესაწირავად წმ. გიორგის ეკლესიაში. ამის შემდეგ შეუძლიათ იხმარონ ეს ღვინო“.

მიწათმოქმედების ანუ მევენახეობა-მეღვინეობის თემას უკავშირდება ასევე **არქანჯელო ლამბერტის** მიერ დაფიქსირებული კოლხთა დამოკიდებულება მარნის

მიმართებით -- მარანი კოლხებისათვის ეკლესიის, სალოცავი სივრცის ტოლფას სიწმინდეს წარმოადგენდა.

სამეგრელოში ქორწინების წესების აღწერისას **არქანჯელო ლამბერტი** მოგვითხრობს:

(**არქანჯელო ლამბერტი** 81): „ყველა (მექორწილე) რომ შეიკრიბება, ვიდრე სუფრაზე დასხდებოდნენ, მოიწვევენ მღვდელს ან ეპისკოპოზს გვირგვინის საკურთხევლად. თუ იქვე არის კარის ეკლესია, მთელი შეკრებილობა იქ მიემართება, თუ კარის ეკლესია არა აქვთ, **მიდიან მარანში, რომელსაც ეკლესიასავით პატივს სცემენ, და იქ დააქორწინებენ**“.

ლაზურ-მეგრულ **ქორთუ**-ს როგორც შინაარსით, ასევე კონსტრუქციით, სრულად შეესატყვისება ბერძნული კომპოზიტი **γεωργια** {}{[გეორგია] და იშლება ლაზურ-მეგრული ქორთუ-ს მსგავს შემადგენლებად:

γεωργια = **γε + ωργια** [გე + ორგია} = {მიწა + კეთება}.

γε [გე] – 1. земля (как планета)... 4. поверхность земли.

ωργια [ორგია] -- 1. культовые оргии, тайные обряды, мистерии; 2. священодеиствие или жертвоприношение; 3. празднество, праздник.

γε -wrgia [გე-ორგია] – 1. обработка земли, земледелие.

γε - ωργοσ [გე-ორგოს] – земледелец.

ბერძნული **γε + ωργια** [= გე + ორგია = მიწა (მიწის ზედაპირი) + საკულტო მოქმედებანი = მიწის დამუშავება, კეთება, = მიწათმოქმედება], **γεωργοσ** [მიწათმოქმედი] სრულად შეესატყვისება ლაზურ-მეგრულ **ქორთუ**-ს [= **ქ + ორთუ** = მიწა + აკეთებს = მიწათმოქმედი] შინაარს. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული გე+ორგია მეგრული ქ+ორთუ-ს კალკაა და ამიტომაც ეწოდა საქართველოს ამ მხარეს (საქორთუოს) გამორჩეულად **Georgia** და შესაბამისადაც გვაქვს **Catholicon Georgianis, dux Georgianiae** ჭოროხის ხეობის მმართველთა აღსანიშნავი ტიტულატურა.

ამასვე გვიდასტურებს თურქული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ჭოროხის ხეობის ზემოთ (კარნიფორნის მხრიდან), ტაო-კლარჯეთში შემოსასვლელი ხეობის სახელწოდებაა **გურჯი ბოღაზ** (გეორგიანელთა, ქართველთა ყელი, ხევი).

აქ, ამ ხეობაში, საქორთუოში (ტაო-კლარჯეთში, სამხრეთ სამეგრელოში), კოლხი ერის ქრისტეანული სულიერების ცენტრში, **ქორთუებმა** (ლაზ-მეგრელებმა) წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენის საფუძველზე, ბიზანტიის ეროვნული პოლიტიკის ხელშეწყობით, ქრისტეანული რწმენის დასამკვიდრებლად, შექმნეს ქრიტეანული **ქორთული** (> **ქართული**) ენა. დღესაც ლაზ-მეგრელები ამ ენაზე მოსაუბრეს უწოდებენ **ქორთუ**-ს (იგულისხმება **ქართველი**) და თავად ენას **ქორთული** (იგულისხმება **ქართული**). ტაო-კლარჯეთში შეიქმნა არა მარტო **ქორთული** (> **ქართული**) ენა, არამედ ასევე **ქორთული** (> **ქართული**) ანბანიც.

(**რუდოლფ შტაინერი** 136): „კაენის მოდგმისაგან დასაბამი მიეცა ყოველივე იმას, რაც შემდეგ დედამიწაზე განვითარდა როგორც მეცნიერება და ხელოვნება. კაენის მოდგმისა იყო მეთუშაელი, რომელმაც წმინდა ანბანი, **ტაოს** ანბანი შეჰქმნა. შემდეგ კაენის შთამომავალი იყო თუბალ-კაენი, რომელმაც ადამიანებს რკინისა და სხვა ლითონების დამუშავება ასწავლა“.

ჩვენთვის წმინდა **ტაოს** ანბანი, ქართული ანბანი, **ტაო**-ში, **ტაო**-კლარჯეთში შეიქმნა. მოგვიანებით **ტაოს** მხარე ცენტრალურ სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთს) ადმინისტრაციულადაც გამოეყო და ჩვენ უკვე ვიცით, რომ გამოყოფილ

ფართს, მხარეს მეგრულად **ქართა** ეწოდება. ასევე წარმართული კოლხურით ველი საცხოვრის სივრცესაც გამოსახავდა.

(ი. ყ.) **ვე** (г. ველი), ვეე поле, поляна; -- ვედიდი კარი Ведидикаръ, село въ Сенакскомъ уезде.

ამრიგად: **ქართა** + **ველი** = გამოყოფილი სივრცე > **ქართაველი** > **ქართველი**. თავდაპირველად სახელწოდება **ქართველი** საცხოვრის მხარეს აღნიშნავდა.

ქართველთა ცნობიერებაში თანდათანობით უნდა განმტკიცდეს იმის შეგნება, რომ ქართველი (კოლხი) ერის ისტორიულ სინამდვილეში არასოდეს არ არსებობდა კოლხთაგან განსხვავებული **ქართები**-ს ტომი.

ტერმინი **ქართველი** რომ მეგრულ-სვანური **ქართა**-დან წარმოდგება, ჩვენზე ადრე გიორგი მელიქიშვილმა დააფიქსირა, მხოლოდ მისი ისტორიულ-ეტიმოლოგიური განმარტება განსხვავებულია:

(**გიორგი მელიქიშვილი** 238): „**ქართა** > **ქართაელი** > **ქართაველი** (კეთილხმოვნებისათვის ხმოვნებს შორის ჩაერთვის „ვ") > **ქართველი**“.

ტერმინ **ქართველი**-ს ჩვენი ეტიმოლოგიური განმარტების მართებულების დასტურია მე-7—9 საუკუნეთა სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობა:

„კოლხეთი ეგრი, არის ქვეყანა აზიასა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე [ლიხამდე], რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან...

და იგი განიყოფა ოთხ მცირე ქვეყნად:

ა) **მარ[გ]ველი-ვი**;

ბ) ეგრევიკი, რომელ არს საკუთრივ ეგრი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქითურთ;

გ) ლაზი-ვი;

დ) ჭანი-ვი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)...

აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა (=ქუთაისი), როდოპოლისი (=ვარდციხე), ათინა, რიზონი და სხვა მრავალნი ნავთსადგურნი, ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქნი, რომელთა შორის არის ტრაპეზუნტი“.

ამ ცნობით თქვენ უნდა აღიქვათ, რომ საქართველოს დასავლეთი მე-7—9 საუკუნეებშიც სამეგრელოა და სამეგრელოს ერთ-ერთი მხარეა **მარგველი-ვი** (დაბოლოება **ვი** მხარის, სივრცის აღმნიშვნელია -- **ლაზი-ვი, ჭანი-ვი, ზანა-ვი, თელა-ვი, მანა-ვი**...). სახელწოდება **მარგველი**-ს არსებობის დასტურია გავრცელებული გვარი **მარგველაშვილი**. ტერმინი **მარგ-ველი** მსგავსია ტერმინ **ქართ-ველი**-სა და შემდეგნაირად იხსნება:

მარგველი = **მარგ**(ალი) + **ველი** = მეგრელთა (დამრგველთა) სივრცე, საცხოვრისი.

მარგველი-დან შემდგომ შეიქმნა **მარგვეთი** და **არგვეთი**.

მარგველი > (+**თი**) > **მარგველითი** > (**ლი** > **0**) > **მარგვეთი** > (**მ** > **0**) > **არგვეთი**.

დააკვირდით თუ როგორ შეიკვეცა ტერმინი **ველი** და მივიღეთ იოსებ ყიფშიძის მიერ დაფიქსირებული ფორმა **ვე** (მარგ-**ველი** > მარგ-**ვე**-თი). სოფელ **ვედიდი კარი**-ს, (დღეს **ვედიდკარი**-ს) არქე ფორმა **ველი დიდი კარი** გახლდათ. ანუ წარმართულ კოლხურს ადრე მიწის ფართის აღსანიშნავად გააჩნდა ასევ **ვე**-ს სრული, არქე ფორმა **ველი**.

აქვე აღსანიშნავია, რომ მცნება **ველი**-ს კვეცილი ფორმა -- **ვე**, შემორჩენილია კოლხეთის აღმოსავლეთით, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინი-ს ისტორიულ სახელწოდებაში **ვეჟინი**:

ვეჟინი = **ვე** + **ჟინი** = ველი + ზედა (ჟინი მეგრულად ნიშნავს ზედა-ს).

ვაფიქსირებთ, რომ მე-7--9 საუკუნეებისათვის სამეგრელოს (საქართველოს დასავლეთის) აღმოსავლეთ მხარეს (დღევანდელ იმერეთს) განცალკევებით ეწოდებოდა **მარგველი** (მარგალთა, დამრგველთა სივრცე), ხოლო სამეგრელოს სამხრეთს, სადაც სახლობდნენ **ქორთუები** (მიწათმოქმედები) ეწოდა **ქართველი** [(სამეგრელოს) გამოყოფილი (საცხოვრისი) სივრცე] და შემდგომ მეგრ. **ოქართე**-ს (ქართ. **საქართე**-ს) გათვალისწინებით წარმოდგა -- **საქართველო**. მოგვიანებით საცხოვრისის აღმნიშვნელი ტერმინი **ქართველი** ეროვნულობის აღმნიშვნელი ხდება.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენზე ადრე **სარგის კაკაბაძე** და **კორნელი კეკელიძე** გამოთქვამდნენ მოსაზრებას: -- „ქართველები“ თავდაპირველად საქართველოს სამხრეთით მდებარე „ჯერ ახალგაზრდა, პატარა ტერიტორიის მქონე“ და სომეხთა სამეფოსაგან დაპყრობილი ერი ყოფილა, რომელსაც ვითომც სომხურ-ასურული ქრისტიანობის გავლენის წყალობით საკუთარი დამწერლობა და მწერლობა შეუქმნია, ეს პატარა ტომი თურმე „განათლებით მაღლა იდგა, ვიდრე... იბერია“. როდესაც იბერიელებს ქართველთა ტომი შემოუერთებიათ, ამ ქართველებს მათთვის თავისი „ენა, თავისი მწერლობა... თავისი სახელი პოლიტიკურადა“-ც კი მიუციათ (**ივანე ჯავახიშვილი** ქ. 208).

რასაკვირველია, ქართველებზე ჰაიკურ-ასურული გავლენა, ჰაიკთა მიერ ივერთა პყრობა, სარგის კაკაბაძეზე და კორნელი კეკელიძეზე ნატყუარი „ქართლის ცხოვრებისა“ და ჰაიკური ისტორიოგრაფიის ერთობლივი უარყოფითი ზეგავლენის შედეგია და შორსაა ჭეშმარიტებისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია მათ მიერ იმ რეალობის დაფიქსირება, რომ **ქართული ენა, დამწერლობა** და თავად ტერმინი **საქართველო** შეიქმნა არა **იბერიაში**, არამედ სამხრეთით, იბერიისაგან განსხვავებულ მხარეში – **ივერიაში**.

(**სარგის კაკაბაძე** 74): ,,როგორც ვნახეთ, მანგლისის, ბოლნისის და ქვეშის ოლქებში ქართული ენა ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში არ იყო მტკიცედ ფეხმოკიდებული“.

(**სარგის კაკაბაძე** 78): „ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის განვითარების ერთ-ერთი პირველი საფეხურთაგანი, მისი ცალკე ტომების გამაერთიანებელ ენად ქცევის პროცესის დროს, უნდა სტრაბონის ხორძენეს ტერიტორიაზე იყოს საძებარი, არტაან-სამცხე-შავშეთ-კლარჯეთის რაიონებში. ქართული ენის გავრცელება, ზემო თქმულის მიხედვით, სწარმოებდა აღმოსავლეთისაკენ, და უფრო გვიან ჩრდილოეთითაც მარგვისის მიმართულებით, ყვირილას ხეობისაკენ“.

ასევე **ნიკო ბერძენიშვილი** გამოთქვამდა იბერიელთა და ქართველთა მცნებების სხვადასხვაობის იდეას.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 423): „მეტად საინტერესო ფაქტს ვაკვირდებით: ეს ძველი იბერიული მოსახლეობა თავის თავს ქართველს არ უწოდებს და თავის ქვეყანას ქართლში არ სცნობს, ხომ არ არის ეს მოვლენა იმის გადმონაშთი-გადმონაძახი, რომ იბერიელები სხვა იყვნენ და ქართი სხვა“.

ჩვენს მსჯელობათა დასტურია 1460 წლის „რომის პაპის წერილში“ ბაგრატის ტიტულატურა.

,,Bendas (sic) Mengreliae et	ბენდას სამეგრელოს და
Abasiae rex et	აბხაზეთის მეფე და
Pancratius Iberorum qui	**ბაგრატი იბერთა, რომელნიც**
nunc Georgiani vocantur et	**აწ გიორგიანებად იწოდებიან,** და
Mania (sic) marchio Goriae	მანია (=მამია) გურიის ერისთავი

et Fabia dux Angósiae“	და ფაბია ანგოსიის მთავარი“.

ამ წერილის მიხედვით ქართველთა მთავარი ყუარყუარე აღარ ფიგურირებს მონაწილეთა შორის და მის ადგილს იკავებს ბაგრატი.

Pancratius Iberorum qui	ბაგრატი იბერთა, რომელნიც
nunc Georgiani vocantur.	აწ ქართველებად იწოდებიან.

ბაგრატი არის წინამძღოლი **იბერთა** (< **ივერთა**), რომელთაც ადრე ქართველები არ ეწოდებოდათ, მაგრამ რომელნიც ამ დროისთვის, მე-15 საუკუნისთვის, უკვე ქართველებადაც იწოდებიან და ეს „რომელნიც“ მომავალი ქართლელები და იმერლები არიან (ბაგრატ მეფე ფლობდა დღევანდელი იმერეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიებს). დროის ამ მონაკვეთში რომ არსებულიყო ტერმინი ქართლი, ლათინურად იგი ასეთი სახით გამოისახებოდა:

Pancratius Iberorum qui	ბაგრატი იბერთა, რომელნიც
nunc Charthliani vocantur.	აწ ქართლელებად იწოდებიან.

ჟაკ ფრანსუა გამბა უკვე XIX საუკუნეში სახელწოდება ქართლს გამოსახავს ფორმით **Kartalinie**.

ამრიგად, „რომის პაპის წერილები“ დასტურია იმისა, რომ მე-16 საუკუნემდე ტერმინები **ქართლი** და **იმერეთი** ქართულ სინამდვილეში არ არსებობდნენ.

თანდათანობით უნდა მიეჩვიოთ ჭეშმარიტებას -- თუ ისტორიულ წყაროს აქვს პრეტენზია სიძველეზე და მასში კი მოხსენიებულია სახელწოდება „ქართლი“, დარწმუნებული იყავით, იგი შექმნილია არაუადრეს მე-16 საუკუნისა და არის ან სრულად ნაყალბევი, ან გადაწერისას მაინცაა შერყვნილი; ამის უთვალსაჩინოესი მაგალითია მცხეთის ჯვრის მონასტრის ნატყუარი როგორც ქართული, ასევე ჰაიკური ლაპიდარული წარწერები.

ამრიგად, სამხრეთ სამეგრელოში, ჭოროხის ხეობაში **ქორთუებმა** (მიწათმოქმედმა ლაზ-მეგრელებმა, გეორგიანელებმა) წარმართული კოლხური ენის ბაზაზე ახალი ქრისტეანული კოლხური (ქართული) ენა შექმნეს, ეს მხარე შემდგომ ადმინისტრაციულადაც გამოეყო ცენტრალურ სამეგრელოს და ამ მხარეს **ქართ**(ა)**ველი** (გამოყოფილი სივრცე) ეწოდა, ხოლო ზედა, ცენტრალურ სამეგრელოს აღმოსავლეთ მხარეს **მარგ**(ალთა)**ველი**. შესაბამისად სამეგრელო (საქართველოს დასვლეთი) ორ, ქვედა და ზედა სამეფოებად დაიყო. თუ ზედა, ცენტრალურ სამეგრელოს სამეფოს მოგვიანებით **აფხაზეთი** (და არა აბაზგია) ეწოდა, ქვედა სამხრეთ სამეგრელოს, ჭოროხის ხეობის სამეფოს და შემდგომ **საქართველო** ეწოდა. მოგვიანებით ამ სამეფომ გაერთიანებული საქართველოს სამხრეთ ნაწილი სრულად შეიერთა. ეს ისტორიული რეალობა ასახულია არაბულ წყაროებში.

(**ივანე ჯავახიშვილი** II ტ. 115): „მასსუდი გვარწმუნებს მხოლოდ, რომ აფხაზები და ქართველები [გურზ.], ტფილისის დაპყრობითგან მოყოლებული ვიდრე ხალიფა მუტევაკკილამდე (847—861), ტფილისის ამირას ხარაჯას აძლევდნენო“.

მასსუდის აფხაზებში ცენტრალური სამეგრელო იგულისხმება ცენტრით ქუთაისი, ხოლო ქართველებში სამხრეთ სამეგრელო, ანუ ქართველთა მხარე ცენტრით არტანუჯში. ასევე ცხადდება, რომ აბხაზეთი სამეგრელოს ადრე, VII საუკუნის მეორე

ნახევრიდან (645 წ. არაბთაგან თბილისის დამორჩილების თარიღია) ეწოდა და არა „ქართლის ცხოვრების“ ლეგენდის მიხედვით VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ვითომც ადიღეელ აბაზათა მიერ სამეგრელოს დაპყრობითგან.

ჩვენ თემას ეხმიანება ატენის 835 წლის წარწერა:

„აღესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ **ქართველთა და მეგრელთა** ერისთავ-ერისთავთა უფალი“.

აქ უდავოა, რომ არაბთა **აფხაზებს** ენაცვლება სახელწოდება **მეგრელთა**, ხოლო სახელწოდებით **ქართველთა** ქართველთა მხარე ცენტრით არტანუჯში იგულისხმება.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 276): „თუ ჩვენი ფიქრი მართებულია და ოდესმე „ქართლი" მხოლოდ მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვეყანას ერქვა. მხოლოდ ,,ქართლი“ კი არ ეწოდებოდა, არამედ ,,ქართველთა სამეფო" ანუ ,,საქართველო“.

საქართველოში შემოსულმა არაბებმა „ქართველთა სამეფოს" სირიული **გურზან**-ის გავლენით **ჯურზან**-ი უწოდეს, ვინაიდან არაბებს თანხმოვანი გ არ გააჩნიათ და მას ცვლიან თანხმოვნით ჯ [**გურზანი** (გ > ჯ) **ჯურზანი**].

რაც შეეხება ქართველთა სპარსულ სახელს **ვარუჩან**-ს და მის შემდგომ განვითარებებს, ის თანდათანობით აირია სრულიად განსხვავებული შინაარსის ბერძნულ სახელთან გეორგიასთან.

მამფალი

„ქართველთა სამეფო“-ს რომ მეგრელნი (დასავლეთ ქართველნი) წარმოადგენდნენ, მეტყველებს ამ სამეფოში მიღებული წოდება **მამფალი**.

(**პავლე ინგოროყვა** 72): „რომ ტიტული „მამფალი“ თავისი მნიშვნელობით უდრის ძველი იბერიის სახელისუფლო ტიტულს „პიტიახში“, ეს დასტურდება სხვა მაგალითებითაც, რომლებიც ტაშირის (ქვემო ქართლი) მფლობელთ ეხება. სამშვილდის სიონის წარწერაში მე-8 საუკუნისა (772 წლისაა) ტაშირის მფლობელნი მოიხსენიებიან როგორც „ნათესავით პიტიახშნი“... ხოლო იმავე ხანებში იგივე ტაშირის მფლობელნი მოიხსენიებიან ტიტულით „მამფალი“ (დავით და აბულ მამფალნი, დასახელებულნი ბოლნისის სიონის წარწერებში). იხილე აგრეთვე სტეფანოს ტარონელის (ასოღიკის) მატიანე, სადაც ტაშირის მფლობელი მოიხსენიება როგორც ტაშირის მამფალი“.

ე. ი. ჭოროხის ხეობის ქართველთა მმართველის ტიტულს **მამფალი**, იბერიაში შეესაბამებოდა სპარსული **პიტიახში**.

(ივანე ჯავახიშვილი II ტ. 113): „გვარამ აშოტ დიდის ძის გარდა, მხოლოდ ამავ არტანუჯელ-კლარჯ „Рელმწიფეებს“ უტარებიათ „მამფალი“-ს სახელწოდება... კონსტანტინე პორფიროგენეტმაც კი იცის ამ სახელი „მამფალი“-ს არსებობა და ამტკიცებს კიდეც, ვითომც იგი ყოვლადწმიდას ჰნიშნავდეს, მაგრამ ეს რასაკვირველია შეცდომაა. მამფალი იმგვარადვე არის ნაწარმოები, როგორც დედოფალი. მხოლოდ, რით განსხვავდებოდა „მამფლობა“ სხვა სახელისუფლო სახელისაგან, ან რად იყო იგი განსაკუთრებით არტანუჯელ-კლარჯ მთავრების სახელწოდება, არა ჩანს“.

მამფალი

ამ შემთხვევაში ცდება არა კონსტანტინე პორფიროგენეტი, არამედ თავად ივანე ჯავახიშვილი. სახელწოდება მამფალი კომპოზიტია და მეორე შემადგენელი **ფალი** ასევე შემადგენელია სიტყვისა **უფალი**.

ტერმინ **უფალი**-ს წარმოქმნა ძირითადათ იმ ისტორიულმა რეალობამ განაპირობა, რომ ტერმინის ფუძე **ფალ**, ღვთაებრივის მნიშვნელობით, საკმაოდ გავრცელებული გახლდათ ბერძნული ცივილიზაციის გავლენის არეალში.

(**აკაკი გელოვანი** „მითოლოგიური ლექსიკონი“ 489): „**უფალი** – ღმერთი, უზეანესი, ალბათ ფალოსური კულტის ჟამინდელი ძვ. ქართული სიტყვა: უ-ფალოსო, ქვეყნის შემოქმედი“.

(**აკაკი გელოვანი** „მითოლოგიური ლექსიკონი“ 491): „**ფალოსის კულტი** (ბერძ. **phalios, phalles** მამაკაცის სარცხვინელი) – უძვ. რწმენა და სარიტუალო ცერემონიალი, რაც დაკავშირებული იყო ნაყოფიერების სიმბოლურ გამოსახულებასთან -- ფალოსთან (და ვულვასთან). ბუნებრივია, უხსოვარ წარსულშივე იქცა ძლიერებისა და გამრავლების სიმბოლოდ და როგორც რელიგიური ატრიბუტი, არავითარ საჩოთირო, გარყვნილების ნიშანს არ შეიცავდა. პირიქით, ერთ დროს (და ბევრ ტომში დღესაც) სიკეთის საწყისთან ერთად უბედურების ამრიდებელ სიმბოლოდაც ითვლებოდა. საამისოდ ფალოსის მოყვანილობის ავგაროზებს ამზადებდნენ, რაც ხალხის რწმენით ჯადოს, ავი სულის დაცემას შველოდა...

ქვის ხანიდან დაწყებული, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, დიდ ხმელეთზე თუ ოკეანიის კუნძულებზე, სადაც კი ადამიანია, ფალოსს ისე აღმერთებდნენ, თითქოს მას თავის ცალკე სუბსტანცია, სული და სახე ჰქონოდა, და ასედაც მიაჩნდათ. ღმერთ ანამას დიდ გამოსახულებას (მუზეუმშია) ამშვენებდა უზარმაზარი ფალოსი საკუთარი რქებით, ეშვებით, ხალებიანი ტყავით. მაწარმოებელი მამაკაცის, ხარის გამნაყოფიერებელ ორგანოს ფუნქცია ისე განივრცო, რომ მიწის განაყოფიერებაც მას დაუკავშირეს და შექმნეს მითი ვნებიან ადონისზე, რომლის სიკვდილი და აღდგომა ბუნების ჭკნობისა და აყვავების სიმბოლოდ იქცა. ხარად ქცეული ზევსი ანაყოფიერებს ევროპას; ულაყის სახის პოსეიდონი -- მიწის ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრეს; ცა-ურანოსი ნამავს დედამიწა-გეას... სირიაში დიონისის ტაძარში იდგა ფალოსის უზარმაზარი გამოსახულება... ალექსანდრიაში პტოლემეოსების ჟამს საჯარო დღესასწაულებზე დაჰქონდათ 120 წყრთა სიგრძის ასო, რომელსაც თავზე გვირგვინი და ვარსკვლავი ჰქონდა...

ინდურ სარწმუნოებაშიც ვედას ტექსტებში ფალოსი იმთავითვე „ღმერთი-ასოა". თვით უზეანესი ღმერთი შივაა ციური ფალოსი...

ფალოსის კულტი ჩვენშიც ისევე ძლიერი იყო, როგორც სხვაგან. ძალზე დამახასიათებელია ბრინჯაოს ფალოსის ქანდაკი, რაც ზეკარში (ბაღდადი რ-ნში) აღმოჩნდა (ქალის ტანი და მამაკაცის დაძაბული ასო). ასეთივე სარიტუალო ქვის გამოსახულებებია აღმოჩენილი სვანეთში... წითელ ხიდთან ფალოსის დიდი ქანდაკება იდგა. „ფალუა" – მეგრ. „კვირტის გაშლა"... საქართველოში ფალოსის კულტის სიმყარეზე და ანტიკურ სამყაროსთან კავშირზე მეტყველებს თუნდაც სიტყვა „ფალუ", რაც ლათინურად (და ბერძნულად) ფალუსს ემთხვევა და ნაყოფიერების სიმბოლოა“.

მართებულად აღნიშნავს **აკაკი გელოვანი**, რომ ამ საერთო ცოდნის გამოძახილია მეგრული ფალ-უას შინაარსი:

(**ო. ქ.**) **ფალუა** აყვავილება; აღმოცენება; გაკვირტვა, გაფურჩქვნა, გახარება; აფოთლება.

(**ო. ქ.**) **ფალირი** გაკვირტული, გაფურჩქნული; აღმოცენებული.

ისიც აღსანიშნავია, რომ თავად ბერძნული ფორმა **ფალ** წინააზიური სამყაროს ნასესხობაა. ბერძნული ფუძე **ფალ**, კოლხური მნიშვნელობით, ასევე ინგლისელთა მეტყველებაშიც „აღმოცენდა“; ინგლისურში **Flower** [ფლაუარ] აღნიშნავს ყვავილს, ხოლო **Flourish** [ფლარიშ] აყვავილებას; ეს საწყის ცივილიზაციათა გამოცდილების დროში ტალღისებურად გავრცელების მაგალითია.

ფალ ასევე ბერძნულივე ომ**ფალ**ოსი-ს ფუძეა.

(**აკაკი გელოვანი** „მითოლოგიური ლექსიკონი“ 374): „**ომფალოსი** (ბერძნ. „ჭიპი“) – დედამიწის ჭიპი, შუაგული ბერძენთა წარმოდგენით იყო დელფო, სადაც ერთიმეორეს შეხვდა ქვეყნიერების ცენტრის გაგების მიზნით ზევსის მიერ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გაშვებული ორი ერთნაირად სწრაფი არწივი. აქ აპოლონის სამისნოში ინახებოდა ჭიპად წოდებული წმინდა ქვა, მაღალი, თავმომრგვალებული და ჩახვრეტილი (გამოსახულება ბეოტიურ ყელიან კრატერზე) (ქვა მსგავსი ფალოსისა ჯ.კ.). ზოგი თქმულებით, ეს იყო პითონის სამარის ქვა. თქმულებას საფუძვლად უდევს წინაბერძნული, ხთონური წარმოდგენა დედამიწის (გეას) ჭიპზე, რაც საკულტო სიმბოლო იყო... ომ**ფალ**ე ეწოდა მრგვალ სამსხვერპლო ფიალასაც“.

ბერძნული ომფალოსი-ს გავლენად უნდა მივიჩნიოთ წარმართული კოლხური **ფალო**.

(**ო. ქ.**) **ფალო** 1. მარტო, მხოლოდ... 3. ხალასი, ამარა.

ვადგენთ, რომ ქართული **უფალი** წარმოდგება არა ბერძნული **ფალოსი**-ს პირდაპირი გაგებიდან და რასაც არც დაუშვებდნენ ქრისტეანი მამები, არამედ კოლხურის ცოდნიდან, ანუ **ფალ**-უა (აყვავილება, აღმოცენება, გაკვირტვა, გაფურჩქვნა, გახარება) სიცოცხლის აღმოცენებაა და თავად უფლის მცნებასაც უკავშირდება; ასევე უფლის ფუძე შინაარსს წარმოგვიდგენს მეგრ. **ფალო** = მარტო, უფალო = უმარტოვესო, უერთადერთესო.

ამრიგად, **ფალო**-ს დაემატა მნიშვნელობის გამაძლიერებელი ხმოვანი **უ** და მიიღეს **უფალო** > **უფალი**, ანუ უერთადერთესი, უმარტოვესი და რაც სრულად შეესატყვისება ქრისტეანული **უფალი**-ს არსს.

უკვე ქართული, ქრისტეანული ტერმინი **უფალი** რასაკვირველია დამკვიდრებულია ასევე მეგრული ენის ლექსიკაში:

(**ო. ქ.**) **უფალთანაფა** იგივეა, რაც **ოსურთანაფა** – ქალების აღდგომა. (ჩვეულებრივ) აღდგომის მომდევნო კვირა დღე ითვლება ქალების აღდგომად – ოსურთანაფად.

უფალთანაფა = უფლის აღდგომა.

თან-ი [< **თან**-აფა (თან-ის მოქმედება) = გა-თენება], წარმართული კოლხურის ცოდნით „სასურველ გაცხადება"-ს აღნიშნავს

ფალი (< უფალი) იგივე შინაარსით დამკვიდრდა სახელწოდება მამ**ფალ**-ში. მამ**ფალ**ი-ს სრული ფორმაა მამა**ფალი** ანუ „მამა ერთადერთი“, ანუ თითქმის ღვთის მნიშვნელობას გაუტოლეს და რასაც კონსტანტინე პორფიროგენეტი გულისხმობდა. ჩვენს მტკიცებათა დასტურია იგივე ატენის 835 წლის წარწერა:

„აღესრულა კურთხეული **მამფალი** სტეფანოზ, ღმრთისა მიერ **ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი**“.

წარწერის ტექსტით ფაქტიურად გაიგივებულია მცნებები **მამფალი** და **უფალი**. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და სიტყვა **უფალი** ატარებს როგორც ღვთის, ასევე ბატონის მნიშვნელობებს.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **უფალი** (ძვ.) 1. იგივეა, რაც ღმერთი. 2. ბატონი, პატრონი, მბრძანებელი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **უფლისწული** (ისტ.) მეფის შვილი, -- ბატონიშვილი.

ამ ცოდნის გაგრძელებაა ჭირის-**უფალი** > ხელის-**უფალი** > ხელის-**უფლება** > თავის-**უფლება** > ძალა-**უფლება** > **უფლება** > **ფლობა** > სამ**ფლობ**ელო...

კოლხური წოდება **მამფალი** იგივე **დედოფალი**-ს, **დიოფალი**-ს საპირწონე ტიტულია.

ასევე აღსანიშნავია, რომ წოდება **მამფალი** ფალოსის მცნებიდან წარმოდგება, მიგვანიშნებს ქართ. **ფამფალი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფამფალი** 1. შვერილი რისამე (ამოსულის, დარჭობილის, დამაგრებულის...) მოშვება და რყევა, -- ქანაობა. კბილის ფამფალი.

მამრის სხეულის მოძრაობისას მისი შვერილი ფალოსი ფამფალებს.

მამფალი რომ წარმართული კოლხური წოდებაა, ასევე მიგვითითებს მეგრული გვარი **მამფორია**.

(ო. ქ.) [და]ფარვა, დაფარება; დამალვა.

მამფორ(ია) = **მამ** + **ფორ**(უა) = მამა მფარველი.

ჩვენი უმთავრესი თემაა კოლხური წოდება **მამფალი**-ს ქართული ტრანსფორმაცია. **მამფალი**, შეკვეცილი ფორმით **მაფა**, დღესაც მოქმედია ოდიშელთა მეტყველებაში.

მამფალი > (**მ** > **0**, **ლი** > **0**) > **მაფა**.

(ი. ყ.) **მაფა** царъ;--**მაფობა** царствование;--სა-მაფო царство, государство;--მაფა დო დედგფალი царъ и царица;--„ტყაში მაფა“ лесная царица.

წარმართული კოლხური **მაფა** მოგვიანებით გადაქართულდა ფორმით **მეფე**.

მამფალი > (მ >0, ლი > 0) > **მაფა** > (ა > ე) > **მეფე**.

IX—X საუკუნებისთვის **მამფალი** > **მაფა**–დან საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქართული მეფე და წოდება **მამფალი** კიდეც გაქრა ქართული მეტყველების ავანსცენიდან; ხოლო კოლხ დიდებულთა -- მამფალთა (გუარამ, სტეფანოზ...) მოხსენიებამ შინდისისა და ბოლნისის სიონთა კედლებზე კი იმას უნდა მიგვახვედროს, რომ შინდისის, ბოლნისისა და ასევე ჯვრის მონასტრის მშენებლობები და რესტავრაციები კოლხ დიდებულთა ნამოღვაწარია.

მართალია საქართველო ერთიანი კოლხური ოჯახია, მაგრამ წოდება მამფალი-ს დასავლური კოლხური ბუნების წარმოჩენის აუცილებლობა განაპირობა იმ რეალობამ, რომ შესაბამის პერიოდში საქართველოს აღმოსავლეთით (კოლხეთის აღმოსავლეთით) ძირითადად სპარსული წარმომავლობის სახელები და წოდებები იყო მიღებული.

იბერია, ივერია და ევროპა

მსგავსად სახელწოდება **კოლხეთი**-სა, სახელწოდება **იბერია** უარყოფილია ქართული წყაროების მიერ. ქართული წყაროები საქართველოს ამ ისტორიულ რეგიონს სახელწოდება „ქართლი“-თ მოიხსენიებენ. სახელწოდება **იბერი**-ა პირველად ძველ ბერძენ ავტორებთან გვხდება. იბერია ეწოდებოდა არა მხოლოდ დღევანდელი ქართლის ტერიტორიას, არამედ ასევე ესპანეთსა და ირლანდიას. **ჰეროდოტესთან** (ძვ. წ. V ს.) სახელწოდება **იბერიე** (**Ιβηριη**) ესპანეთს აღნიშნავს.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 69): „**ალ. სარჯველაძემ** ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს და ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გარდა, ტერმინი „იბერია“ აგრეთვე იხმარება ძველი ირლანდიის აღსანიშნავადაც (თუმცა სხვადასხვა ფორმით „Hibern“, „Ivern“ ან „Iern“). აქვე ძველი აღთქმიდან მოყვანილია ებრაელთა სახელწოდება **ciberi**, როგორც მათ უწოდებდნენ

ქანაანელნი და აგრეთვე სემიტები. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველ ებრაულში სიტყვა cēber ეწოდებოდა ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა. იგი წარმოდგება cbr ფუძისაგან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა წყლიანი ან მთიანი ზღუდის გადალახვას. აქადურ ენაშიც cbr ძირიდან წარმოშობილი ზმნა ebêru აღნიშნავს გადალახვას, გადაცურვას, გადასვლას. ამის შემდეგ **ალ. სარჯველაძეს** მოყავს მრავალი მაგალითი არამეული, არაბული, ბერბერული, სხვადასხვა ინდოევროპული ენებიდან და დაასკვნის, რომ სიტყვა „იბერ“-ი წარმოდგება საერთო ინდოევროპულ-სემიტური ძირიდან -- „cbr“-დან.

აქადურ ენაშიც cbr ძირიდან წარმოშობილი ზმნა ebêru აღნიშნავს გადალახვას, გადაცურვას, გადასვლას. ამის შემდეგ ალ. სარჯველაძეს მოყავს მრავალი მაგალითი არამეული, არაბული, ბერბერული, სხვადასხვა ინდოევროპული ენებიდან და დაასკვნის, რომ სიტყვა „იბერ“-ი წარმოდგება საერთო ინდოევროპულ-სემიტური ძირიდან -- „cbr“-დან.

ალ. სარჯველაძის აზრით, ტერმინი „იბერი“ ბერძნულ ენაში ახსნას ვერ პოულობს და იგი სემიტურიდან უნდა იყოს შესული. მკვლევარი ვარაუდობს, რომ იმ სემიტ ხალხებს შორის, რომლებსაც შეეძლოთ გეოგრაფიულად ესოდენ დაშორებული ქვეყნებისათვის ეწოდებინათ სახელი „იბერია“, განსაკუთრებულ ყურადღებას ფინიკიელები იპყრობენ. მართლაც, ეს უკანასკნელნი ოდითგანვე სახელგანთქმული მეზღვაურები იყვნენ, ისინი ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათსწლეულის დასაწყისში დამკვიდრდნენ ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე და აქ თავიანთი კოლონიები დაარსეს. ძვ. წ. VII ს. ფინიკიელმა ზღვაოსნებმა ბრიტანეთს, მოგვიანებით კი ირლანდიასაც მიაღწიეს, ასევე ვარაუდობენ, რომ დაახლოებით ამავე პერიოდში ფინიკიელები შავი ზღვის ქვეყნებსაც გაეცნენ.

ალ. სარჯველაძე მიიჩნევს, რომ ისტორიულ კოლხიდაში მოსული ფინიკიელებისათვის აღმოსავლეთი საქართველო იქნებოდა ქვეყანა, რომელიც მცირე კავკასიონის ქედის გადაღმა (**cēber**) მდებარეობდა. აქ მეცნიერი ანალოგიისათვის იშველიებს ქართულ ტერმინს „იმერეთს“ რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი მოიხსენიებენ ლიხის ქედის იქით მდებარე (ანუ „იმერ“) ქვეყანას.

საბოლოოდ **ალ. სარჯველაძე** დაასკვნის, რომ ტერმინი „იბერია“ ჩაისახა ფინიკიელებში და აღნიშნავდა ზღვის ან მთის გადაღმა არსებულ ქვეყანას. სწორედ ფინიკიურის გავლენით აღნიშნული სახელწოდება ძველ ბერძნულ ენაში დამკვიდრდა.

ჩვენი აზრით, **ალ. სარჯველაძის** ზემოთმოყვანილი მსჯელობა ყურადსაღებია. იგი მდიდარ ენათმეცნიერულ მასალას ემყარება და კარგად ხსნის ტერმინ „იბერიის“ წარმოშობას, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოს გარდა არაერთი ქვეყანა იწოდებოდა (**ვალერი ვაშაკიძე**)“.

სემიტური შინაარსის ტერმინი **იბერია** რომ არაკავკასიური წარმომავლობისაა და ბერძენთაგან მკვიდრდება კავკასიაში, ამაზე მიუთითებს III საუკუნის სპარსული ძეგლის შაპურ პირველისა და დიდი მობადის კარტირის სამენოვანი წარწერები. წარწერები შესრულებულია ბერძნულ, პართულ და საშუალო სპარსულ ენებზე. ბერძნულ ტექსტში მოხსენიებულ **იბერია**-ს (**ibhrian**) სპარსულ ტექსტში შეესატყვისება **Warucan** (ვარუჩან), ანუ „მგლის ქვეყანა“. აქ აღსანიშნავია, რომ ვარუჩან-ს სპარსელები იბერიელთა გარდა სხვა ჩრდილო მეზობელ ტომებსაც უწოდებდნენ და წარმოადგენდა დამამცირებელ ფორმას.

ბერძნებმა სამენოვანი წარწერის სპარსულ-არამეული სახელწოდება **არან** (მთიანი) პირდაპირი მნიშვნელობით თარგმნეს სიტყვით **ალბანია** (მთიანი), ხოლო აღმოსავლეთ

კოლხეთის სპარსული სახელწოდება **Warucan** („მგლების ქვეყანა"), რომელიც მათი აზრით არ ესადაგებოდა ქვეყნის შინაარსს, კი არ თარგმნეს პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ უარყვეს სპარსთაგან საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული **Warucan** „მგლის ქვეყანა“ და თუ ფინიკიელებისათვის ესპანეთი, ირლანდია ზღვის იქითა ქვეყნები იყო, ბერძნებისათვის ძვ. წ. III საუკუნეში ლიხს გადაღმა წარმოქმნილი ელინისტური სახელმწიფო, კოლხეთის იქითა იმერი || იბერი მხარე იყო და შესაბამისადაც იბერი-ა, იგივე იმერია უწოდეს. ამ აქტით ბერძნებმა კოლხეთისა და იბერიის არსთა ერთგვაროვნებას გაუსვეს ხაზი.

XVI საუკუნემდე, სანამ დაიწყებოდა საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის მორიგი გაყალბება, „იმერი“, „იმერეთი“ საქართველოს აღმოსავლეთს ეწოდებოდა და არა საქართველოს დასავლეთს. მიუხედავად ტოტალური გაყალბებისა, ეს ცოდნა შემორჩენილია „კარის გარიგება“-დ წოდებულ ისტორიულ წყაროში.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII ტ. 640): „კარის გარიგებით“ იმიერი, იმერი, აღმოსავლეთ საქართველოს ნიშნავს, ამიერ, ამერი დასავლეთ საქართველოს“.

აღსანიშნავია, რომ არა მარტო საქართველოს აღმოსავლეთი მოიხსენიება იბერია-დ:

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 465): „სტრაბონი აღნიშნავს, რომ „სოანებს“ სხვანაირად იბერებსაც უწოდებდნენ“.

სვანეთიც, ბარში მაცხოვრებელ კოლხთათის, მთებს იქითა, იმერი, იბერი მხარეა. ასევე ჩვენ ვიცით, რომ ბიზანტიური ხანის მწერალი ქალი ევდოკია (მაკრემბოლიტისე XI ს.) ზღვისპირა ალბანებში მთიელ ლაზებს, ანუ იგივე მთიელ მეგრელებს გულისხმობს

იგივე ფუძე **ებერ || იბერ**-იდან წარმოდგება ქართული სახელწოდება **ებრაელი**.

(**Б.Э.**) **Еврей, Евреи, Еврейский** (пришлецъ) (Быт.XIV, 13) – слова употребляемыя для означения народа Еврейскаго, происшедшаго отъ Авраама. Слово Еврей происходитъ или от патр. Евера, сына Салы, одного изъ предков Авраама, или отъ Евр. глагола Eber (переходитъ черезъ), что значитъ прищлецъ чужой земли. Народъ известный подъ именемъ Евреевъ пришелъ въ Ханаанскую землю черезъ Евфратъ, и потому естетственно, что Хананеи назвали ихъ Евреями, т.е. пришельцами изъ другой страны, как мы вообще говоримъ о какомъ либо иностранце, что он прибылъ из за моря. Не смотря на то, въ пользу перваго мнения говорить то обстоятельство, что Еверъ, будучи отцемъ Фалека (Быт. X, 25, XI 16), при жизни котораго произошло разделение народовъ, легко могъ сообшить свое имя потомкам. Такое мнение принимается Евсевиемъ и другими преимущественно предъ прочими.

Пришелец -- გადამთიელი, უცხო, შორიდან გადმოსული ადამიანი.

ისტორიულ სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიათა აღსანიშნავად გამოიყენებოდა როგორც ფუძე **ებერ**-(Eber)-იდან წარმომდგარი სახელწოდება **იბერია**, ასევე ფუძე **ევერ**-(**Еверъ**)-იდან წარმომდგარი ფორმა **ივერია**. ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიული ხედვით, საქართველოს ტერიტორიათა სახელწოდებებს **იბერია**-ს და **ივერია**-ს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული და რაც წარმოადგენს ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფიის ერთერთ რიგით ფუნდამენტალურ შეცდომას.

როგორც მოგახსენეთ, სახელწოდებას იბერია ბერძნები ამკვიდრებენ და ჩნდება ძვ. წ. III საუკუნეში იბერიის (სპარსული **ვარუჩან**-ის) სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე და

ძირითადად მოიცავდა დაახლოებით დღევანდელი ქართლის ტერიტორიას. სახელწოდება ივერია კი განეკუთვნება ბიზანტიურ ხანას, უშუალოდ უკავშირდება საქართველოში ქრისტეანული რწმენის დამკვიდრებას და შესაბამისად ჩვენი ქრისტეანი მამების მიერ წარმართული კოლხური წარსულის უარყოფას.

სახელწოდება **ივერია** წარმოიქმნა საქართველოს დასავლეთში, კერძოდ სამხრეთ სამეგრელოში, ჭოროხის ხეობაში და მის ცენტრს ტაო-კლარჯეთი წარმოადგენდა. ტაო-კლარჯეთი არასოდეს არ ემორჩილებოდა იბერია-ქართლს და მუდამ წარმოადგენდა ლაზიკის სამხრეთ ნაწილს. ტაო-კლარჯეთი ეს ქართველთა ათონის მთაა, აქ წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენის სამყაროში შეიქმნა ქართული ენა (ქრისტეანული კოლხური ენა), სახელწოდება საქართველო და ამ **ივერი**ა-საქართველოს რწმენის გარშემო გაერთიანდა ქრისტეანული კოლხეთი (საქართველო). ტერმინი **იბერია** საწყისში მოიცავდა მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი ქართლის ტერიტორიას, მოგვიანებით განივრცო კახეთზეც. ხოლო ტერმინი **ივერია** საწყიში მოიცავდა საკუთრივ ჭოროხის ხეობას, მოგვიანებით კი სრულიად კოლხეთს (საქართველოს).

ტერმინების **იბერია**-სა და **ივერია**-ს მნიშვნელობათა აღრევა ძირითადად განაპირობა ბიზანტიური ბერძნული ენის ფაქტორმა -- ბიზანტიურ ბერძნულში თანხმოვანი **ბ** (ბეტა) გამოითქმებოდა როგორც **ვ**. ძველბერძნული **იბერია** ბიზანტიურად იკითხება როგორც **ივერია**. ანუ ბიზანტიურ წყაროებში ივერია გამოისახებოდა იგივე ფორმით რაც იბერია (**ιβηριαν**), თუმცა იგულისხმებოდა ივერია; ამდენად, VIII საუკუნის შემდგომი ბიზანტიური წყაროების **იბერია** ძირითადად წაკითხულ უნდა იქნეს **ივერია**-დ.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ**. 86): „X—XI საუკუნეების შემდეგ მკვეთრად იცვლება ტერმინ „იბერიის" (და შესაბამისად „იბერის") მნიშვნელობაც. მართალია, როდესაც ამ დროის ავტორები ძველ, VIII—IX საუკუნეების წინადროინდელ მოვლენებზე ლაპარაკობენ, მათთან „იბერია" ძველ ქართლის სამეფოს, ხოლო „იბერები“ – ამ სამეფოს მოსახლეობას აღნიშნავენ, მაგრამ, როდესაც ისინი თავის თანამედროვე ამბებს აღწერენ, აქ ეს სახელწოდებები სხვადასხვა მნიშვნელობებისაა.

მაგალითად, **კონსტანტინე პორფიროგენეტთან** „იმპერიის მართვის შესახებ“ თხზულებაში საკმაოდ დაწვრილებით ცნობებია იბერიის (ივერიის ჯ.კ.) და იბერების (ივერიელების ჯ.კ.) შესახებ და ყველგან აქ ესაა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ან ქართველთა საკურაპალატო, მისი მცხოვრებნი და მმართველები...

ლეონ გრამატიკოსთან (XI ს.) იბერიელი (ე. ი. **ივერიელი** ჯ.კ.) კუროპალატის კონსტანტინეპოლში სტუმრობის აღწერისას, როგორც ეს გარკვეულია, იგულისხმება ტაო-კლარჯეთის კუროპალატი აშოტი, მაშასადამე, აქ იბერია (**ივერია** ჯ.კ.) ტაო-კლარჯეთია. იგივე ეპიზოდი მოთხრობილია თეოფანეს გამგრძელებელთან. გიორგი კედრენესთან საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ბარდა სკლიაროსის აჯანყება და დავით III კუროპალატის მონაწილეობა აჯანყების ჩახშობაში. აქ ყველგან იბერია (**ივერია** ჯ.კ.) ტაო-კლარჯეთია.

მაგრამ იქვე კედრენესთან იბერიის (**ივერიის** ჯ.კ.) სახელით ფიგურირებს ბიზანტიური სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი-თემა. იბერიის (**ივერიის** ჯ.კ.) თემა, როგორც ცნობილია, XI საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის იმ მიწებიდან, რომლებიც დავით III კუროპალატის სიკვდილის შემდეგ ჩამოართვა ბაგრატიონებს ბასილ II-მ. შემდეგ ეს ოლქი მეზობელი მიწებით შეავსო კონსტანტინე VIII-მ, ბასილის ძმამ. აი, სწორედ ამ „თემა იბერიის (**ივერიის** ჯ.კ.)“ კატეპანები (სამოხელეო თანამდებობაა) და დუკები (თემის მეთაური სარდალი) არიან

დასახელებული კედრენესთან რამდენიმე ადგილას. მაგრამ უფრო ქვემოთ, როცა იგივე კედრენე მოგვითხრობს ბაგრატ IV-ის თანამედროვე ლიპარიტის შესახებ, მის ბრძოლაზე საქართველოს მეფესთან და ბიზანტიასთან ურთიერთობაზე, იბერია (ივერია ჯ.კ.) უკვე საქართველოს გაერთიანებული სამეფოა.

მაშასადამე, მარტო კედრენეს თხზულებაში (და მაშასადამე სკილიცესთანაც) „იბერია" (**ივერია** ჯ.კ.) სამი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება: ტაო-კლარჯეთის სამთავრო, გაერთიანებული საქართველო და ბიზანტიური თემა...

XIII—XIV საუკუნის ბიზანტიელ ავტორებთან გიორგი პახიმერესთან (XIII ს.), ნიკიფორე გრიგორასთან (XIV ს.), მიქელ პანარეტოსთან (XIV ს.), გიორგი სფრანძესთან (XV ს.), ლეონიდე ხალკოკონდილესთან (XV ს.) საქართველო ერთიან სახელმწიფოდაა წარმოდგენილი და იბერიად (**ივერიად** ჯ.კ.) იწოდება (**ნოდარ ლომოური**)".

(**სიმონ ყაუხჩიშვილი**): „მერვე საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსმა ეპიფანე მონაზონმა დაგვიტოვა „ანდრია მოციქულის ცხოვრება", რომელშიც აღწერილია მოციქულთა ქადაგება საქართველოს მხარეებშიც... ამ ნაწყვეტებში გარკვევით არის ნათქვამი:

1) იმ მხარეში, სადაც არის დიდი სებასტოპოლი, აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფასისი [ეს ხომ სულ დასავლეთი საქართველოა, ლაზიკის ადგილებია], „მოსახლეობენ იბერიელები (**ივერიელები** ჯ.კ.), სუსები, ფუსტელები და ალანები" (ნაწყვეტი პირველი). ამ ნაწყვეტში მოხსენიებულია მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დასახლებული ადგილები, ამიტომ ის ტომები, რომლებიც აქ მოსახლეობენ, რასაკვირველია, დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომები არიან. ასე რომ აქ მოსახლე „იბერიელები" (ივერიელები ჯ.კ.) ქართლის იბერიელები კი არ არიან, არამედ დასავლეთ საქართველოში მოსახლე იბერიელები (**ივერიელები** ჯ.კ.).

2) მეორე ნაწყვეტი ეპიფანეს შრომისა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ანდრია მოციქულმა ქრისტიანობის ქადაგების მიზნით მოიარა ამისო და ტრაპეზუნტი, ლაზიკის ქალაქი, და იქიდან წავიდა იბერიაში (**ივერიაში** ჯ.კ.). აქვე ნათქვამია: „მის შემდეგ, რაც მან ზღვის პირის მცხოვრებნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმშიო". აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ **იბერიის** (**ივერიის** ჯ.კ.) **მცხოვრებნიც არიან ზღვის პირას მცხოვრებნი".**

1) მსგავსად პირველი ნაწყვეტისა მესამე ნაწყვეტიც აღნიშნავს, რომ იბერია (**ივერია** ჯ.კ.) დასავლეთ საქართველოშია. სახელდობრ, იქ ნათქვამია: „ჩავიდნენ იბერიაში (**ივერიაში** ჯ.კ.) და ფასისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუანიაში". მაშასადამე, ერთ კუთხეში არიან მოხსენიებული: იბერია (**ივერია** ჯ.კ.), ფასისი და სვანეთი. ამის შემდეგ სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, აქედან გადავიდნენ აბაზგიაში, სადაც არის დიდი სებასტოპოლი (გეორგიკა VII 113)".

ჰაიკი ისტორიკოსი **უხტანესი** (X ს.): „შავი ზღვის პირას ცხოვრობენ ვრაცები (იგივე **ივერიელები** ჯ.კ.); მათ ქვეყანას აფხაზეთი ქვია".

გავიხსენოთ **კლოდ მალენგერის** (XVII ს.) ცნობა, რომ სრულიად „საქართველოს ადრე ეწოდებოდა ივერი" და გავეცნოთ იმავე საუკუნეში მოღვაწე იერუსალიმელ პატრიარქ დოსითეოსის ცნობას.

იერუსალიმელი **პატრიარქი დოსითეოსი** (XVII ს.): „**ივერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათოლიკოსებს. ქვემო ივერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ქვემო ივერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო ივერიის კათალიკოსზე. ივერები ქვემო**

ივერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგან მეფე, იმერეთის თავი მათთან იწოდება მთელი ივერიის მეფეთა მეფედ“.

პატრიარქ დოსითეოსის ეს ცნობა ასახავს საქართველოს ისტორიის ტოტალურ გაყალბებამდე არსებულ სუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ ურყევ ტრადიციას.

ქრისტოფორო კასტელის მიხედვითაც იმერეთის მეფე ალექსანდრე III ბაგრატოვანი (1639—60) ასევე იბერიის, ანუ იგივე ივერიის მეფედ მოიხსენიებოდა. ქრისტოფორო კასტელს აგრეთვე დაფიქსირებული აქვს, რომ იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატოვანი, იცოდა რა, რომ კასტელი ოდიშში იყო ნაცხოვრები, ქრისტეფორო კასტელს მეგრულ ენაზე გაესაუბრა (**ბეჟან გიორგაძე** 184).

ეს კი ნიშნავს არა იმას, რომ ალექსანდრე III გამორჩეული პოლიგლოტი იყო, არამედ იმას, რომ XVII საუკუნის იმერეთში მეგრული ენა ჯერ კიდევ, ქართულთან ერთად, მშობლიურ ენას წარმოადგენდა.

ასევე ივერი-ის თემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იოსებ ყიფშიძემ 1914 წელს პეტერბურგში გამოცემულ თავის ფუნდამეტალურ ნაშრომს უწოდა „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა“.

(**ნიკო ბერძენიშვილი** VIII 366): „ნ. მარი მართებულად თვლიდა, რომ შავშეთ-კლარჯეთში (ისევე ალბათ, როგორც სამცხეში) მეგრულ-ჭანური ენის მატარებელი ტომები სახლობენ მაშინ, როცა ბერძნებმა მათ იბერია (**ივერია ჯ.კ.**) უწოდეს“.

ამჯერად, ჩვენთვის უმთავრესია აღვიქვათ ის რეალობა, რომ წარმართული პერიოდის, მხოლოდ მომავალი ქართლის სამეფოს სახელწოდება იბერია-საგან სრულიად განსხვავებული დატვირთვის მატარებელი, ტაო-კლარჯეთისა და ასევე შემდგომ სრულიად საქართველოს ქრისტეანული სახელწოდება ივერია ბიბლიური შინაარსის მატარებელ ფუძე ევერ-(**Еверъ**)-იდანაა ნაწარმოები და ჩვენი წარსულის აღსადგენად ძალზედ მნიშვნელოვან შინაარსს ატარებს.

(Б.Э.) **Еверъ** (пришлецъ, странникъ): (Быт. X, 21 и др.) сынъ патр. Салы, правнук Сима, отца всехъ сыновъ Еверовыхъ, был последний изъ благочестивыхъ патриарховъ до разделения и разселения народовъ. При немъ было столпотворение Вавилонское и разсеяние строителеи его.

აქ სემიტურ (აქადურ-არამეულ-ფინიკიურ) **ევერ**-თან კავშირში მცნება ევროპის წარსულში მცირე ექსკურსი გველის. სემიტური **ევერი**-ს მსგავს შინაარსს ატარებს ასევე სემიტური **ევრონ**.

(**Б.Э.**) **Евронъ** (переход).

ფორმა **ევრონ**-ის კონსტრუქციამ და შინაარსმა -- გადასვლა, უნდა მიგვანიშნოს, რომ სემიტური ფორმა ევრო ფუძეა ბერძნული **ევრო**-პა-სი.

გავიხენოთ, რომ აზიელი ფინიკიელები გამორჩეული ზღვაოსნები და ვაჭრები იყვნენ. ფინიკიელებმა ვაჭრობის განვითარების მიზნით, ევროპის კონტინენტზე საპორტო ქალაქები დაარსეს და ამ გზით მომავალი ევროპის ტერიტორიაზე მაღალგანვითარებული აზიური ცივილიზაციის გამოცდილებას ამკვიდრებდნენ. ვინაიდან წინა აზია კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანია, კრეტელებმა და ბერძნებმაც საწყისში მიწათმოქმედება, დამწერლობა და სხვა მრავალი ცოდნაც აზიელთაგან შეიძინეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ უპირველესად კი ფინიკიელთაგან. ამ აზიური ცივილიზაციის მიღწევათა მინოსურ-ბერძნულ სამყაროში ფინიკიური გზით გადასვლა (**ევრონ**) ასახულია სახელწოდებით **ევროპა**.

ფინიკიური **ევრო**-ნ > ბერძნ. **Euro**pe // **Euro**pa.

ჩვენს მოსაზრებას -- სახელწოდება ევროპა-ს აზიური (სემიტური) წარმომავლობის შესახებ, ზურგს უმაგრებს ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ **ჰეკატე მილეტელი** (ძვ. წ. 549—472 წწ.) ევროპის შემადგენელი ესპანეთის ტერიტორიას მოიხსენიებს ასევე ფინიკიელთა მიერ დამკვიდრებული სემიტური წარმომავლობის სახელწოდებით **იბერია** და მის მაცხოვრებლებს **იბერებად**.

უმთავრესი მტკიცება სახელწოდება ევროპის სემიტური, კერძოდ ფინიკიური წარმომავლობისა, ასახულია ჩვენს მიერ უკვე განხილულ ბერძნული მითოლოგიის ვერსიაში.

(**აკაკი გელოვანი** 158): „**ევროპა**, (Europe, დორ. Europa) – 1. მიწათმოქმედების ძველი ბერძნული ქალღმერთი (ჰეს.). ამ სახით მერე დავიწყებას მიეცა. უფრო გავრცელებულია მითი ზევსის სატრფოზე, რომელმაც სახელი მიაკუთვნა ევროპის კონტინენტს. ჰომეროსის მიხედვით ფენიქსისა და პერიმედეს მშვენიერი ასულია, უფრო გვიანდელი თქმულებით -- ფინიკიის მეფის აგენორისა და ტელეფასას ქალიშვილი, ფინიკიელი ქალი. ერთხელ, როცა ზღვის პირას მხევალი ქალიშვილებით გარემოცული ყვავილთა გვირგვინებს წნავდა, მისი მშვენებით მოხიბლული ზევსი გამოეცხადა სხივთამთოველი დიდებული ხარის სახით. ევროპე მოეფერა, ზურგზე შეაჯდა კიდეც, ხარი ზღვაში გადაეშვა, გაცურა და მეფის ასული კრეტაზე გაიყვანა, სადაც საყვარლად გაიხადა. ევროპას ამ კუნძულზე გაუჩნდა მინოსი“.

აზიელი მეფე აგენორისა და ტელეფასას ქალიშვილი **ევროპე** ფინიკიელია, ხოლო ფინიკილიელები სემიტები არიან და ტერმინი **ევრონ** (გადასვლა) ასევე სემიტური წარმომავლობისაა. შესაბამისად, ჭეშმარიტი აზიის (წინა აზიის) ჩრდილოეთით მდებარე კონტინენტის აზიური (სემიტური) სახელწოდება ევროპა მისი ცივილიზაციის აზიური ფესვების, ანუ ევროპული კულტურის ევრაზიულ ბუნებას წარმოგვიდგენს.

ამრიგად, სახელწოდება ევროპა და ივერია ერთი და იგივე სემიტური წარმომავლობის სიტყვებია და დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსებს ატარებენ.

ჩვენ დავადგინეთ, რომ ქრისტეანულ რწმენაზე გადასვლასთან დაკავშირებით, უარყოფილ იქნა ჩვენს წარმართულ კოლხურ წარსულზე არსებული ლეგენდები და შესაბამისად, ჩვენი წარმომავლობის შესახებ ახლად შექმნილი ქრისტანული ლეგენდა ბიბლიის თემას დაუკავშირეს. მოგვიანებით, გამომდინარე XVI საუკუნეში არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან, ეს ლეგენდა „ქართლის ცხოვრების" ავტორთა მიერ იქნა უარყოფილი და გაუჩინარებული. საბედნიეროდ ჩვენი ქრისტეანული წარსულის ეს საწყისი ლეგენდა სრული სახით შემორჩენილია ისევ და ისევ ჩვენი ისტორიული მეხსიერების გადამრჩენელ ბერძნულ-რომაულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ ბიზანტიის იმპერატორის **კონსტანტინე პორფიროგენეტის** ჩვენთვის ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიულ თხზულებაში.

კონსტანტინე პორფიროგენეტი

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (905—959 წ.), ჰაიკური წარმომავლობის მაკედონელთა დინასტიად წოდებულ იმპერატორთა ოჯახის წარმომადგენელი, 945—963 წლებში წარმატებით მართავდა აღმოსავლეთ რომს (ბიზანტიის იმპერიას). კონსტანტინე პორფიროგენეტი გახლდათ სწავლული იმპერატორი; მისი ნაშრომები ისტორიის, სამხედრო სტრატეგიის, დიპლომატიის, იურისპრუდენციის, აგიოგრაფიის, მედიცინის, აგრონომიის, ბუნებისმეტყველების

დარგებში, საუკუნეთა განმავლობაში იმპერიის სახელმწიფო აპარატის სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული. ჩვენთვის ფასადაუდებელ განძს წარმოადგენს მისი გამორჩეული სიღრმისეული ცოდნით გადმოცემული IX—X საუკუნეთა საქართველოში არსებული ისტორიული რეალობა.

(**კონსტანტინე პორფიროგენეტი** 255): „თავი 45

იბერთა [ივერიელთა ჯ.კ.] შესახებ

საცოდნელია, რომ თავისი თავის განმადიდებელი იბერები [ივერიელები ჯ.კ.], ესე იგი კუროპალატის იბერები [ჭოროხის ხეობის ივერიელები ჯ.კ.}, ამბობენ, რომ ისინი ურიას ცოლის შთამომავალნი არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა; ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან, დავითთან რომ შეეძინა, და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაც. რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი. ამიტომაც იბერთა [ივერიელთა ჯ.კ.] დიდებულებს დაუბრკოლებრივ მოჰყავთ ცოლებად თავიანთი ნათესავები და ფიქრობენ, რომ ამით ისინი ძველ წესწყობას იცავენ. ისინი ამბობენ, რომ მათი გვარი იერუსალემიდან არის და იმ ადგილებიდან სიზმრის ჩვენებით გადასულან და დასახლებულან სპარსეთის მხარეებთან, ესე იგი იმ მიწაწყალზე, სადაც ახლა მოსახლეობენ. სიზმრის ჩვენება რომ მიიღეს და იერუსალემიდან გამოვიდნენ, ეს იყვნენ ის დავითი და მისი ძმა სპანდიატი. ეს სპანდიატი იყო რომ ღმერთისგან წყალობა მიიღო, როგორც თვითონ იბერები [ივერიელები ჯ.კ.] ამბობენ, რომ ომში მას ვერ შეეხებოდა მახვილი მისი სხეულის ვერც ერთ ნაწილში გარდა გულისა. რომელსაც ის ომებში რაღაც საფარით იცავდა, ამიტომ სპარსელებს მისი ძალიან ეშინოდათ: იმან გაიმარჯვა ამათზე და სძლია ისინი და თანამონათესავე იბერები [ივერიელები ჯ.კ.] დაასახლა ძნელგასავალ ადგილებში, რომელიც მათ ახლაც უპყრიათ, საიდანაც ისინი თანდათან განივრცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ. ამნაირად, შემდეგ როდესაც ირაკლი მეფემ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ. ისინი მას შეუერთდნენ და მასთან ერთად ილაშქრეს, და მას აქეთ მათ დაიმორჩილეს სპარსელთა საკმაო ქალაქები და ქვეყნები უფრო რომაელთა წინაშე შიშის წყალობით, ვიდრე საკუთარი ძალღონის შემწეობით: ერთხელაც ხომ, როდესაც ირაკლი მეფემ სპარსელები აოტა და მათი სახელმწიფო საბოლოოდ გაანადგურა, სპარსელები არა მხოლოდ იბერებისაგან [ივერიელებისაგან ჯ.კ.], არამედ სარკინოზთაგანაც ადვილად დასამარცხებელი და დასამორჩილებელი შეიქმნენ. რადგან ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალემიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს. ხოლო ზემოხსენებულმა დავითმა, სპანდიატის ძმამ, შვა ძე ბაგრატი, ბაგრატმა შვა ძე აშოტი, აშოტმა შვა ადრანასე, რომელსაც კუროპალატობა ებოძა რომაელთა ქრისტესმოყვარე მეფის ლეონისაგან. სპანდიატი კი, ძმა ზემოხსენებული დავითისა, გარდაიცვალა უძეო. ხოლო იმ დროს, როდესაც ისინი იერუსალემიდან იმ მიწაწყალზე გადასახლდნენ, რომელიც ახლა არის მათ მიერ დასახლებული, გარდახდა 400 თუ 500 წელი ვიდრე დღევანდლამდე, რომელიც არის ინდიქტიონი მეათე, დასაბამიდან ქვეყნისა 6460 წელი, რომაელთა ქრისტეს მოყვარე და პორფიროგენეტი მეფეების კონსტანტინეს და რომანოზის მეფობის დროს“.

საწყისში დააკვირდით კონსტანტინე პორფიროგენეტის ირონიულ დახასიათებას: „თავისი თავის განმადიდებელი ივერები“, რითაც იგი ამჟღავნებს თავის უარყოფით შეხედულებას ივერ დიდებულთა წარმომავლობის ლეგენდის დოკუმენტალურობის მიმართებით.

პირველი რაც უნდა აღვიქვათ ამ ლეგენდიდან, ეს გახლავთ ჩვენი კოლხური წარსულის უარყოფა და რომ ჩვენი დიდებულები ჩვენს წარმომავლობას ბიბლიის თემას, კერძოდ ხალხთა განსახლების თემას უკავშირებენ. ამ მტკიცების დასტურია სახელწოდება კოლხები-ს შეცვლა სახელწოდებით ივერიელები, რაც უცხო მხრიდან გადმოსულებს აღნიშნავს, ანუ ამით ხაზი გაესვა იმის მტკიცებას, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ივერიელები, ანუ იგივე ევერები [Еверъ (пришлецъ, странникъ)] იერუსალემიდან გადმოსულები ვართო.

კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის უცნობია, როგორც ჩვენი კოლხური წარსულის ლეგენდები, ასევე „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა მამამარჩენალი თარგამოსი, მისი გმირი შვილები და ჩვენს წარსულს ბიბლიურ ხალხთა დაშლის თემას უკავშირებენ.

ჩვენი ბიბლიური წარმომავლობის ლეგენდის შემთხზველთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა „თავისი თავის განმადიდებელ“ ივერიელ დიდებულთა ოჯახის ქრისტეს ნათესავებად წარმოჩინება. აქედან გამომდინრე, ვინაიდან ქრისტე წარმოშობით ებრაელი გახლდათ, ისინ შესაბამისად იძულებულნი იყვნენ ივერიელი ერი, თავისი დიდებულებით ებრაელებად გამოგვაცხადონ („ისინი ამბობენ, რომ მათი გვარი იერუსალემიდან არის“). ჩვენი დიდებულების სურვილი შეეთხზათ მითი, მათი ქრისტესთან ნათესაური კავშირის თაობაზე, გამოწვეული იყო თავად ბიზანტიური იდეოლოგიის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, ბიზანტიის იმპერატორი განიხილებოდა როგორც ქრისტეს თანაარსი, ქრისტეს მიერ ხელდასმული.

(**Норвич** 11): Византия возглавлялась императором, равноапостольным лицом, наместником бога на земле, который в своей ладони держал жизнь каждого из подданых.

ამ ტრადიციის შედეგი იყო ის, რომ შემდგომ არამარტო ბიზანტიელი იმპერატორები, არამედ რამდენადმე მაინც ღირებული ქრისტეანი ევროპიელი იმპერატორი თუ მეფე უცილობლად ქრისტეს მიერ ხელდასმულად ცხადდებოდა.

ქრისტესთან ნათესაური კავშირის შესაკვრელად ივერიელი დიდებულები თავიანთ უშუალო წინაპრად დავით წინასწარმეტყველისა და მეფის ოთხი ვაჟიდან ერთერთს ასახელებენ. როგორც მოგეხსენებათ დავითის უფროსი ვაჟი გახლდათ შემდგომ სოლომონ მეფე და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი დიდებულები მასზე პრეტენზიას არ აცხადებენ; მხოლოდ დანარჩენი სამი ვაჟიდან შესაძლოა ვივარაუდოთ ნათანი, რომლის უშუალო შთამომავლადაც ითვლება ღვთისმშობელი მარიამი.

ამრიგად, ივერიელი დიდებულების მიერ საკუთარ წინაპრად დავით წინასწარმეტყველისა და მეფის შერჩევა ბიბლიის შინაარსმა განაპირობა, ვინაიდან ბიბლიის მიხედვით ღვთისმშობელი და მისი მეუღლე იოსები დავითის შთამომავლებს წარმოადგენდნენ. ამ არჩევით კი ივერიელი (კოლხი) დიდებულები უშუალოდ ქრისტეს უახლოეს ნათესავებად იქცნენ.

(**Б. Э.** 454): «**Мария Богоматерь** (по Эврейски: Мариам; возвышенная, превознесенная)... Пресвятая Дева Мария, матерь Господа нашего Иисуса Христа, Дочь прав. Богоотець Иоакима и Аииы, происходила из царского рода Давидова черезь Натана».

მათეს სახარება (1.1-17):

„1. წიგნი წარმოშობისა იესო ქრისტესი დავითის ძისა, აბრაამის ძისა.

2. აბრაამმა შვა ისაკი; ისაკმა შვა იაკობი; იაკობმა შვა იუდა და მისი ძმები...

6. იესემ შვა დავით მეფე; დავით მეფემ შვა სოლომონი ურიას ცოლისაგან...

16. იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, რომლისგანაც იშვა იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე.

17. ამრიგად მთელი თაობა აბრაამიდან დავითამდე – თოთხმეტი თაობა; დავითიდან ბაბილონში გადასახლებამდე – თოთხმეტი თაობა; ბაბილონში გადასახლებიდან ქრისტემდე – თოთხმეტი თაობა“.

იოსები და მარიამი დაახლოებით ოცდამეშვიდე თაობის ნათესავები არიან ერთმანეთისა. ეს გახლავთ განმარტება იმისა, რომ „ამიტომაც ივერიელთა დიდებულებს დაუბრკოლებრივ მოჰყავთ ცოლებად თავიანთი ნათესავები და ფიქრობენ, რომ ამით ისინი ძველ წესწყობას იცავენ“.

ჩვენი წარსულის ბიბლიური ვერსიის შეთხზვით ჩვენმა დიდებულებმა იმას მიაღწიეს, რომ თუ ადრე ჩვენი „თავისი თავის განმადიდებელი“ კოლხი დიდებულები, იაპონელ იმპერატორთა მსგავსად, მზის შვილობას გვიმტკიცებდნენ, უეცრად ქრისტეს ბიძაშვილ-მამიდაშვილებად გამოგვეცხადდნენ.

(**პავლე ინგოროყვა** 58): „აღსანიშნავია... ოპიზის (818 წლის) ცნობილი ბარელიეფი, სადაც წარმოდგენილი არიან: ცენტრში – (ტახტზე მჯდომარე) ქრისტე, მარცხნით – აშოტი (ოპიზის ტაძრის გამოსახულებით), მარჯვნივ დავით წინასწარმეტყველი. აშოტი ამ ბარელიეფზე წარმოდგენილია როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაჲთა“. აშოტი აქ წარმოდგენილია როგორც შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა, რომლის შთამომავლად ითვლებოდა თვით ქრისტე და ამის გამო აშოტის მეფობის უფლებაც თვით ღვთაებისაგან წარმომდინარედ იგულისხმება“.

აქ იკვეთება ერთი „ისტორიული შეუსაბამობა“. ოპიზის ბარელიეფის მიხედვით ოპიზის ტაძარი აშოტის მიერ IX საუკუნეშია აშენებული, ხოლო ნატყუარი ჯუანშერის ისტორიის მიხედვით ოპიზის ტაძარი ვახტანგ გორგასლის ბრძანებით იქნა აგებული არტანუჯის ციხესთან, მერის, შინდობისა და ახიზის ეკლესიებთან ერთად, ერთდროულად.

დროა ჩვენი არქიტექტურის ისტორიის მკვლევარებმა ხმამაღლა განაცხადონ, რომ ვახტან გორგასალზე მიწერილი ეკლესიები, ციხესიმაგრეები, ქალაქ თბილისის ჩათვლით, სრულიად განსხვავებულ საუკუნეებშია აშენებული და რაიმე კავშირი მითიურ ვახტანგ გორგასლთან არ დასტურდება.

განვაგრძოთ ძირითადი თემა და აღსანიშნავია, რომ ქრისტეს მიერ მეფეთა ხელდასმის გამოსახვის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტეან მონარქთა კარზე. იყო შემთხვევები როცა მონარქებს ორადგილიან ტახტებს უდგამდნენ, ტახტის ერთ ადგილს „ქრისტეს მიერ ხელდასმული" მმართველები იკავებდნენ, ხოლო მეორეზე ჯვარი ესვენა, სიმბოლო ქრისტეანობისა და ამით იმას გამოხატავდნენ, რომ ისინი ქვეყანას ქრისტესთან ერთად მართავდნენ.

ამრიგად, თუ პორფიროგენეტის ვერსიაში ქართველი ერი ებრაელებადა ვართ წარმოდგენილი, „ქართლის ცხოვრების" ავტორები უკვე ამ ვერსიას უარყოფენ და მხოლოდ ბაგრატოვნებს, ანუ ივერიელ დიდებულებს წარმოგვიდგენენ ებრაელებად.

პორფიროგენეტის ვერსიის მიხედვით, სპარსელთა რისხვამ, სპანდიატმა „თანამონათესავე ივერიელები დაასახლა ძნელგასავალ ადგილებში, რომელიც მათ ახლაც უპყრიათ, საიდანაც ისინი თანდათან განივრცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ". ამ ტექსტში გამორჩეული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფრაზას „დაასახლა ძნელგასავალ ადგილებში“. ეს ფრაზა დასამახსოვრებელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ კოლხური ენის ბუნების, მისი სემასიოლოგიის შესწავლისას დავადგენთ, რომ სიტყვა კოლხი იკითხება როგორც ძნელად სავალი მიწა (ადგილი)

[კოლხი = კ + ოლ(ი) + ხი = ძლიერი + სავალი + მიწა = ძნელად სავალი მიწა (ადგილები), ანუ იგივე მთიანი, ტყიანი, ჭაობიანი ადგილები].

ასევე საინტერესოა ფრაზა: „საიდანაც ისინი თანდათან განივრცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ“. საკითხავია ამ ცოდნას ხომ არ ეყრდნობოდნენ კგბ-ს საცავებში დაპატიმრებული საქართველოს ისტორიის ავტორები, რომელთა მიხედვითაც ასევე „კოლხეთის დაბლობზე დასახლებულმა მოახალშენებმა „თანდათანობით ლიხს აღმოსავლეთი ტერიტორიაც იპყრეს და დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთის ქართველობა, ასევე ჩეჩენთა ნაწილიც, სვან-მეგრელთა შთამომავალნი არიან“.

ძალზედ მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირებაც, რომ თუ თეოფანე ჟამთააღმწერელის (VIII ს.) მიხედვით ირაკლი კეისარს სპარსთა წინააღმდეგ საბრძოლველად ლაზები (მეგრელები) შეუერთდნენ, კონსტანტინე პორფიროგენეტის (X ს.) მიხედვით კი ირაკლისთან ერთად უკვე ივერიელები იბრძვიან, ანუ პორფიროგენეტთან მოხდა თეოფანეს ლაზების ივერიელებად ტრანსფორმაცია.

განხილული მასალების საფუძველზე ვაკეთებთ დასკვნას, რომ არაბთათვის აფხაზები, ბერძენთათვის ლაზები, ჩვენთვის ქართველები, ბიზანტიელთათვის არიან ივერიელები; რომ პირველად ივერები დასახლებულან არა სპარსეთში არამედ მეზობლად, სპარსეთის მხარეებთან, ანუ ტაო-კლარჯეთში, ანუ კოლხეთში; შემდგომ უკვე სპარსელების რისხვა სპანდიატის წყალობით მიწები სპარსელთათვის წაურთმევიათ და იქ „თანამონათესავე იბერები დაასახლეს ძნელგასავალ ადგილებში, რომელიც მათ ახლაც უპყრიათ, საიდანაც ისინი თანდათან განივრცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ“, ანუ ამ შემთხვევაში საუბარია უკვე ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე.

ამრიგად, კონსტანტინე პორფიროგენეტი ადასტურებს ჩვენს მიერ დადგენილ ჭეშმარიტებას, რომ ტაო-კლარჯეთის ქრისტეანმა კოლხებმა, ივერიელებმა (არაბთათვის აფხაზებმა, ბერძენთათვის ლაზებმა, ჩვენთვის ქართველებმა) ირაკლი კეისრის ლაშქრობათა შედეგად დაუძლურებულ სპარეთისაგან იპყრეს, შემოიერთეს ისტორიული იბერია და დიდ ერად იქცნენ.

აქ კვლავ გავიხსენოთ VI საუკუნის სამეგრელოს სამეფოს ძლიერების ჰიმნი, აგათია სქოლასტიკოსის (536—582 წ.წ.) ლაზეთის (კოლხეთის, სამეგრელოს) შემდეგი სახის დახასიათება:

,,ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები (მეგრელები ჯ.კ.) და სხვა ძლიერ ტომებზე მბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესალოა არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის რომლებიც სხვა სახელმწიფოებს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული როგორც სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“.

VI საუკუნეში აღმავლობის გზაზე შემდგარმა ლაზიკამ VI საუკუნის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენების შედეგად, როცა თავდაპირველად ბიაზანტიამ აგემა მარცხი სპარსეთს, ხოლო მოგვიანებით არაბებმა საუკუნეთა მანძილზე გაანადგურეს სპარსეთის სახელმწიფოებრიობა, შემოიერთა იბერია, აღმოსავლეთ კოლხეთი და აქედან დაიწყო გაერთიანებული კოლხეთის, გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის ოქროს ხანა („გამრავლება და დიდ ერად ქცევა“), რომელიც გაგრძელდა XIII საუკუნემდე, საქართველოში მონღოლთა ურდოების შემოჭრამდე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ XI საუკუნის შუა წლებში, ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს (1053—1057 წ. წ.) ივერიის სამეფოს ეკლესიური დამოუკიდებლობისთვისაც მიუღწევია.

(**თეოდორე ბალსამონი** XII): „ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც, [მაგალითად} ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას (ივერიისას ჯ.კ.)... იბერიის (ივერიის ჯ.კ.) არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე (გეორგიკა VIII)“.

ბიზანტიის იმპერიის ერთიანი ეკლესიის დაშლა სხვადასხვა ავტოკეფალიებად, დამოუკიდებელ მართლმამდიდებლურ ეკლესიებად, იმ ისტორიულმა რეალობამ განაპირობა, რომ XI საუკუნის პირველი ნახევრიდან (1025--1055 წ.წ.) იწყება ბიზანტის იმპერიის ძლიერების დაცემის ხანა.

ჩვენ აქ შევჩერდეთ და მოგვიანებით, ჰაიკურ-ქართულ ნატყუარ ისტორიათა კვლევისას ეს თემა დამატებით გავშალოთ.

ალბანეთი

სახელწოდება ალბანეთი, მსგავსად სახელწოდებისა იბერია, კავკასიაში ბერძენთაგან მკვიდრდება; ამაზე მიუთითებს იგივე III საუკუნის სპარსული ძეგლის შაპურ პირველისა და დიდი მობადის კარტირის სამენოვანი წარწერები. როგორც მოგეხსენებათ, წარწერები შესრულებულია ბერძნულ, პართულ და საშუალო სპარსულ ენებზე. ბერძნულ ტექსტში მოხსენიებულ იბერია-ს (**Ιβηριαν**) სპარსულ ტექსტში შეესატყვისება **Warucan** (ვარუჩან), ანუ „მგლის ქვეყანა“. ბერძნული ტექსტის ალბანეთ-ს (**Αλβανιαν**) შეესაბამება სპარსული **aran** (არან), რომელიც შემდგომ ქართულში დამკვიდრდა ფორმით რანი („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა“ ანუ „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახ-ჰერთა“).

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 58): „საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის უცხო არ არის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხალხების ერთი და იმავე სახელწოდებით მოხსენიება. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს: საბერძნეთის აქაიები და შავიზღვისპირეთის აქაიები; ლიბიის მახლიები და მეოტოდის მახლიები, იტალიელი, ალბანიის მთის მცხოვრებნი ან თესალიელი ალბანები, და კავკასიაში მოსახლე ალბანები; პირენეის ნახევარკუნძულის იბერები და ქართველი იბერები და სხვა“.

(**ქ.ს.ე.** I 276): „ალბანეთი კავკასიისა, ერთ-ერთი უძველესი ადრინდელი კლასობრივი სახელმწიფოა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში... „ალბანეთი“ (Albania) პირველად IV ს. ბერძნულ წყაროებში იხსენიება გავგამელოსთან ბრძოლის დროს აქემენიანთა ლაშქრის შემადგენლობაში (ძვ. წ. 331)... ზოგი მკვლევარის აზრით, კავკასიისა და ბალკანეთის ალბანეთის სახელწოდებათა დამთხვევა იმით აიხსნება, რომ კავკასია-მცირეაზია-ხმელთაშუა ზღვის სამყაროს უძველესი მოსახლეობის ენაზე სიტყვა „ალბ“ – „ალპ“ მთიანეთს აღნიშნავდა. ძვ. ქართულ წყაროებში „ალბანეთი“ გვხდება ფორმით „ალვანეთი“, სომხურში – „აღვანქ“-ი“.

(**ქ.ს.ე.** I 270): „**ალბა-ლონგა** (Alba Longa), ლათინთა უძველესი ქალაქი იტალიაში მდებარეობდა ალბანოს მთის ძირში“.

alp – ინგლისურად მთის წვერს აღნიშნავს, ხოლო ფრანგული alpinisme-დან წარმოდგა **ალპინიზმი**. ამ კუთხით ინტერესს იწვევს ცაგერის რაიონის სოფლის სახელწოდება **ალპანა**. **ალპან** ასევე აზერბაიჯანის ჩრდილოეთით, კუბინსკის რაიონში მდებარე სოფლის სახელწოდებაა.

კავკასიური სახელწოდება „ალბანეთი“ პირველად ჩნდება ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის ბერძნულ წყაროში, რომელშიც მოხსენიებულია გავგამელოსთან ბრძოლა. გავგამელოსთან ბრძოლაში (ძვ. წ. 331 წ.) ალექსანდრე მაკედონელმა საბოლოოდ გაანადგურა სპარსეთის არმია. სპარსეთის არმიის შემადგენლობაში უთუოდ იბრძოდნენ სპარსეთის იმპერიის შემადგენელი კავკასიელი მთიელებიც და შესაბამისად ბერძნებმაც მათ ალბანები ანუ მთიელები უწოდეს.

ბერძნული ალბანეთი (Albania = მთიანი) წარმოადგენს სპარსულ-არამეული Aran-ის თარგმანს. არამეულად არან ასევე აღნიშნავს მთიან-ს, მაღალს.

ამრიგად, სახელწოდება ალბანეთი ეს ქვეყნის გეოგრაფიული მახასიათებელია და ამ ტერიტორიის საცხოვრის სივრცეზე განფენილი კავკასიური ალბანეთი, განსხვავებით ერთგვაროვან იბერიისაგან, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, სტრაბონის ცნობით (I ს.) 26 ენაზე მოსაუბრე ტომთა გაერთიანებას წარმოადგენდა.

როგორც III საუკუნის სპარსული ძეგლის წარწერა გვამცნობს, ამ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ტომთა გაერთიანების ტრადიცია ირანის სახელმწიფოს მმართველობის შედეგს წარმოადგენდა, ვინაიდან ირანის სახელმწიფო ადმინისტრაციულად დაყოფილი იყო მის შემადგენელ სატრაპიებად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე ისტორიული ალბანეთის ტერიტორია ირანის ერთერთ სატრაპიას წარმოადგენდა და შესაბამისად, მათ საერთო ირანული სახელმწიფო ენა აერთიანებდათ. ირანის იმპერიის დაშლის შემდგომ ეს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე ხალხთაგან შემდგარი სატრაპია იქცა ერთერთ ელინისტურ სახელმწიფო გაერთიანებად.

აღმოჩენილი ალბანური დამწერლობა ამ გაერთიანების რომელიღაც ტომის, ან რამოდენიმე ტომის კავშირის დამწერლობას თუ წარმოადგენდა და არა სრულიად ალბანეთისა, ვინაიდან ამ მთიელ ტომთა გართიანების (კონფედერაციის), ალბანეთი-ს დასავლეთი ნაწილი ეს ისტორიული კახეთ-ჰერეთია, ხოლო მისი აღმოსავლეთი ნაწილი მოგვიანებით თურ-სელჯუკ აზერთა მიერ შექმნილი აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილი გახდა. კახეთ-ჰერეთი არა იბერიის, არამედ ალბანური გაერთიანების შემადგენელი იყო, ანუ კახეთ-ჰერეთი ეს „ჩვენი ალბანეთია“, ხოლო ეს რეალობა თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ საქართველო ასევე ისტორიული ალბანური კულტურის მემკვიდრეცაა.

თავად „ჩვენი ალბანეთი“-ს (იორ-ალაზნის აუზის) ტერიტორიის მკვიდრ ტომებს, სანამ ისინი კოლხთა „ურიცხვ ტომთა“ გაერთიანების წევრები გახდებოდნენ, გააჩნდათ მკაფიოდ გამოხატული საკუთარი კულტურა.

(**ქ.ს.ე.** V 199): „**იორ-ალაზნის კულტურა**, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე, საკმაოდ დაწინაურებული მიწათმოქმედი, მესაქონლე, მეტალურგი და მეთუნე ტომების მატერიალური კულტურა. ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანაში შედიოდა ჯერ მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. III ათასწლ.), შემდეგ თრიალეთის კულტურის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) გავრცელების სფეროში. გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლავ მთელი ცენტრალური ამიერკავკასიისათვის დამახასითებელი კულტურა ჩანს გავრცელებული. დაახლოებით ძვ. წ. XIII საუკუნიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე ძველის განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა განსხვავებული კულტურა. მისთვის დამახასიათებელია ე. წ. კახური შედგენილტარიანი სატევრები და მახვილები, ბრინჯაოს მთელმასრიანი შუბისპირები

მასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, კონცენტრული ღარებით შემკული თიხის ჭურჭელი და სხვ. დაახლოებით ძვ. წ. XI საუკუნიდან ამ კულტურის განვითარების შედეგად გაჩნდა 3 ლოკალური ვარიანტი, რომელთა გავრცელება დაახლოებით ისტორიული კახეთის, კუხეთისა და ჰერეთის საზღვრებს ემთხვევა“.

ალბანურ ტომთა გაერთიანების ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენდნენ დღესაც გადარჩენილი უდიები.

(**ქ.ს.ე.** X 102): „**უდიები** (საკუთარი სახელწოდება – **უდი, უტი**), ხალხი სამხრეთ კავკასიაში. რაოდენობით დაახლოებით 6, 9 ათასი კაცი (1978), ცხოვრობენ აზერბაიჯანში და საქართველოში (ყვარლის რაიონში). უდიური ენა ისტორიული ალბანური (ჰერული) მოდგმის ოდესღაც მრავალრიცხოვანი, დამწერლობის მქონე ტომის გადმონაშთი ენაა; ამჟამად უმწერლობოა. განეკუთვნება დაღესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფს. ლიტერატურულ ენად იყენებენ აზერბაიჯანულს, რუსულს, ქართულს, სომხურს. მორწმუნენი ქრისტიანები (მართლმადიდებლები, გრიგონიალები) არიან“.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ჩვენი ეროვნული ერთიანობის აქსიომა – კოლხეთი, როგორც უკლებლივ ყველა მრავალრიცხოვანი ერი, საწყისიდანვე მონათესავე და მეზობელ „ურიცხვ ტომთა“ გაერთიანებას წარმოადგენდა. ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ კოლხმა მამებმა უარყვეს ძველი სვანურის მსგავსი ნაციონალური ენა და ამ ტომთა გასაერთიანებლად შექმნეს თანადროული მსოფლიო ცივილიზაციის ცოდნის მომცველი ქურუმთა ენა – წარმართული კოლხური ენა. ტრადიცია კოლხეთის ქრისტეანულ პერიოდშიც გაგრძელდა და ქრისტეანული რწმენის დასანერგად და განსამტკიცებლად. ზოგად ბუნების წარმართული კოლხური ენის გადაკეთებით შეიქმნა იგივე ზოგად ბუნების მატარებელი ქრისტეანული კოლხური (ქართული) ენა; აი ასეთი ზოგადი ბუნების ქართული ენა მხოლოდ მოგვიანებით იქცა ნაციონალურ ენად.

მუდამ გვახსოვდეს: „უკეთუ ჰკითხო ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, ჰერკახსა რა რჯულის ხარ, წამს მოგიგებს „ქართველი“ (**ვახუშტი ბაგრატიონი**)“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ჩვენი ალბანეთი“-ს ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხთა კოლხურ კულტურასთან სიახლოვეზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ სტარაბონს პირველ საუკუნეში აქვს დაფიქსირებულ კოლხთა მახასიათებელი მდინარის სახელწოდება **ზანი** (< ალაზანი). გავიხსენოთ წარმართული პერიოდის კოლხთა, იბერთა, ალბანელთა სიახლოვის ის ისტორიული შედეგი, რომ: „კოლხები, იბერები და ალბანები ბერძენ და რომაელ ავტორებთან ჩვეულებრივ ერთად მოიხსენიებიან (ტაციტუსი, ავრელიუს ვიქტორი და სხვები)“.

ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ერთ-ერთი დანაშაული ასევე ამ ისტორიული სინამდვილის მიჩქმალვაა და რაც სადღეისოდ ასევე უარყოფიდათ მოქმედებს ჩვენი კოლხური გაერთიანების წარსული საცხოვრისი სივრცის წარმოდგენისას.

კახეთის, როგორც ალბანეთის გაერთიანების (კონფედერაციის) შემადგენელ ნაწილად წარმოსაჩენად მოგაწვდით იმ ვრცელ ამონაწერს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან, რომლის ცოდნაც ასევე სასარგებლოა ჩვენი შემგომი კვლევისათვის.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 90): „ქართველი ხალხის აზროვნებაში **წმინდა გიორგის** ძველი **წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია.**

საკმარისია სტრაბონის აღწერილობის ერთი ნაწყვეტი, რომელიც ალბანელთა სარწმუნოებას ეხება, კახეთის განთქმულ თეთრ-გიორგობას შევადაროთ, რომ ეს აზრი სრულებით ცხადი დ ჭეშმარიტი გახდეს; თავის გეოგრაფიაში სტრაბონი ამბობს:

„ალბანელები ღმერთებსავით თაყვანსა სცემენ მზესა, ზევსს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება; იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულს ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე; იმას, ვინც მეტად ატაცებული ტყეებში მარტოკა დახეტიალობს, ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად კარგად ასუქებენ ხოლმე; მერე მას მირონცხებულს სხვა საღმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე. მსხვერპლად შეწირვა ამნაირად იციან: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლახვრის საშუალებით იციან ხოლმე. ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი აბარია, ხალხიდან გამოვა და ხერხიანად ლახვარს გვერდით შიგ გულში ჰკრავს ხოლმე. როცა ლახვარ-ნაკრავი მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, ქურუმები სხვადასხვა ნიშნებისდა მიხედვით მკითხაობენ და საჯაროდ ხმამაღლა აცხადებენ ხოლმე. როცა გვამს ერთს დანიშნულს ადგილას მიიტანენ, ყველანი თავიანთი თავის განსაწმენდად ფეხს დაადგამენ ხოლმე“.

ალბანიის ერთი ნაწილი, სახელდობრ იბერიის მოსაზღვრე ადგილი, ქართველი მოდგმის ერით იყო დასახლებული. სტრაბონი ამბობს, რომ ალბანიიდან იბერიაში მიმავალი გზა უწყლო და უსწორ-მასწორო კამბეჩიანზე ძევსო. ის მთვარის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით იბერის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო...

შევადაროთ ეხლა სტრაბონის ზემომოყვანილი ცნობა თეთრ-გიორგობას. სოფ. აწყურში 14 აგვისტოს საღამოთი ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან დიდძალი მლოცავი მოიყრის ხოლმე თავს. მოსული ხალხი ეკლესიის გალავანს ჯერ გარს შემოუვლის ხოლმე სამგზის, ან არადა და შვიდგზის; მარჯვნით დასავლეთის კარებიდან იწყებენ სიარულს და მარცხნივ მიდიან, სანამ ისევ იმ კარებს არ მიადგებიან; ასე სამჯერ ან შვიდჯერ. წინ მუდამ დედა-კაცები მიუძღვიან, მათ მამაკაცთა გუნდი მისდევს. ორივე გუნდი „დიდებას“ გალობს ხოლმე რიგ-რიგად, ხან დედაკაცთა გუნდი, ხან მამაკაცთა გუნდი: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“, საღამოს ზარს დაარისხებენ თუ არა, ხალხი ეკლესიისაკენ გაეშურება ხოლმე. ამ დროს ერთი თეთრი-გიორგის მონათაგანი დაეცემა ეკლესიის დასავლეთის კარის ბჭესთან თავით ჩრდილოეთისაკენ, ისე რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდეს, თუ რომ კაცი ან ზედ არ გადააბოტებს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიაროს; რაც უნდა ძალიან დაადგან ფეხი, იგი მაინც ცდილობს კრინტი არ დასძრას. ეკლესიას რომ შემოუვლიან, გალავანში შეკრებილი ხალხი ქუდმოხდილი ირგვლივ დგას და მოწიწებით ერთ-ერთს თეთრებში შემოსილს მოთამაშე მონა ქალს შესცქერის. მოცეკვავე შეუწყვეტლივ, გატაცებით უვლის, იგი თეთრი-გიორგის ხატის მონაა და ხატი აცეკვავებს. დროგამოშვებით ქალს გულიდან გმინვა ამოუვარდება ხოლმე და იკრუნჩხება.

ეკლესიასთან შეკრებილი ხალხი, რომელსაც აღთქმა აქვს დადებული, შეწირული ცხვრებითურთ მღვდელს გარშემო ეხვევა. მღვდელი საღმრთოს შუბლზე მატყლს შესტრუსავს ხოლმე და თითონაც შემდეგ ლოცვას ამბობს: „წმიდაო გიორგი, შეიწირე საღმთო მონისა შენისაო" და სახელს დაუმატებს; იქვე დიაკვანიცა დგას: დიაკვანთან მლოცავები მივლენ ხოლმე, ყელზე შანა აქვთ შებმული და წმინდა გიორგის მონებად ითვლებიან; მათ განსაზღვრული ვადით აღთქმა აქვთ დადებული. როცა ვადა გაივლის, მონები ხატის კარზე მიდიან სალოცავად და მონობის ასახდელად. დიაკვანი იმათ საღმრთო მატყლს შეაჭრის, მონებს შანას შეჰხსნის და გაანთავისუფლებს ხოლმე. თეთრ

ტანისამოსში მონა ქალები ამ დროს საყდარს ჩოქვით გარშემო უვლიან. თითო მათგანს კისერზე თეთრი გიორგის ეკლესიის მძიმე რკინის ჯაჭვი ადევს და ყველანი ნაზი ხმით გალობენ და თანაც ანთებულ სანთლებს კედლებზე აკრავენ. ერთი მათგანი ბამბის ძაფს ახვევს კვირისტავით ეკლესიის გარშემო. ეკლესიის მიდამოში მთელი ღამე ცეცხლი ანთია.

საკვირველი მსგავსებაა!.. ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული, ქართველმა ხალხმა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა; ამ ორმა სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენ ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოვოდ არის შენახული უძველესი სარწმუნოების კვალი. სტრაბონი ამბობს: მთვარის ხატის ყმები ქადაგად დაეცემიან ხოლმე და წინასწარმეტყველებენო; ეხლაც წმინდა გიორგის მონები, ისინი, ვინც ხატს თავიანთ თავის სამსახურს აღუთქვამენ ხოლმე, თეთრი გიორგის ქადაგად დაეცემიან და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ. საღამო ხანს, როცა მწუხრის ზარი დარეკავს ხოლმე, ერთი მონათაგანი ეკლესიის კარების წინ დაეცემა და ტაძარში შემავალი ხალხი ამას ზედა აბიჯებს და რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი, მონამ უნდა მოითმინოს და ხმა არ უნდა დასძრას. ამ მონასაც, ყველა წმინდა გიორგის ყმებსავით, მავთულის შანა აბია ყელზე. ეს შანა ჯაჭვის მაგივრად არის; ვისაც კი სტრაბონის დროს I საუკუნის დამდეგს (ქრ.შ.) მთვარის მსხვერპლად აირჩევდნენ, ყელზე ჯაჭვს შეაბამდნენ და ერთი წლის განმავლობაში ჰკვებავდნენ ხოლმე. ილია ზარაფიშვილის სიტყვით ეხლაც „თეთრ-გიორგის ეკლესიის კარზედ არის ნახევარი ფარგალი რკინისა, რომელსაც აქეთ-იქით რკინის ჯაჭვები ჰკიდია, სულ წონით ერთ ფუთზე იქნება; ამ ნახევარ ფარგალს მონები კისერზე იდებენ, ჯაჭვებს აქეთ-იქით ჩამოუშვებენ და ასე დატვირთულნი ან ნელის ნაბიჯით ან არა და ჩოქვით ეკლესიას გარს უვლიან ხოლმე სამ-გზის“.

მონა რომ ეკლესიის კარებს წინ დაეცემა ხოლმე, ეს იმას მოასწავებს, ვითომც იგი მკვდარი იყოს. ხოლო რომ ეს აზრი სწორია, იმით მტკიცდება, რომ რაც უნდა ძალიან დააჭირონ ფეხი ეკლესიაში შემავალმა მლოცველებმა, მონამ მაინც არ უნდა დაიყვიროს. რათა? სწორედ იმიტომ, რომ იგი მკვდარია, შეწირულს მსხვერპლს წარმოადგენს. დასასრულ, როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძრად მისული მლოცავები მსხვერპლად შეწირულ მონას ფეხს დაადგამდნენ ხოლმე, რომ ამრიგად ცოდვებისაგან განწმენდილიყვნენ, ამნაირადვე ეხლაც თეთრი-გიორგის საყდარში შემავალმა ხალხმა კარებს წინ დაცემულ მონას ზედ უნდა გადააბიჯოს ხოლმე და ფეხი დაადგას. ერთი სიტყვით, ეხლანდელი ჩვეულება ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ სურათს წარმოადგენს. რასაკვირველია, ის მონები, რომელნიც მძიმე რკინის ჯაჭვით ყელზე ჩოქვით გარშემო უვლიან ხოლმე ეკლესიას, ისინიც სიმბოლურად შესაწირავ მსხვერპლს წარმოადგენენ. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ როგორც სტრაბონის დროს ეხლაც თეთრ-გიორგის საღმრთოს უკლავენ ხოლმე; მხოლოდ მთვარის ტაძრის მთავარი ქურუმის მაგივრობას ეხლა, აწყურის თეთრ-გიორგობას, მღვდელი და მისი დიაკვანი ასრულებენ...

მთელი ეს თეთრი-გიორგის ხატობის ჩვეულება, მაშასადამე, მთვარის ძველი, წარმართობის-დროინდელი დღესასწაულის ნაშთია. ამ გარემოებას შემდეგი მოსაზრებაც უფრო ცხადჰყოფს. უმთავრესი ხატობა: ყველა ჩვეულებანი, ზვარაკების შეწირვა, ქადაგად დაცემა და სხვა – 14 აგვისტოს მწუხრის დროს იწყება და მთელ ღამეს გასტანს ხოლმე; თეთრ-გიორგობაში ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა, მთვარე კი რასაკვირველია, მწუხრის დროს, საღამოთი გამოჩნდება და ღამეს ანათებს ხოლმე. ამის გამო მთვარის

ხატობა, რასაკვირველია, ღამით უნდა იყოს და არა დღისით. ამას გარდა ყველამ კარგად იცის, რომ 15 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინებაა, სოფ. აწყურსა და საქართველოს სხვა ადგილას კი 14-15 აგვისტოს თეთრი გიორგობა იციან ხოლმე. რათა? იმიტომ, რომ 14-15 მთვარის აღვსებაა, მთვარე სრულია ხოლმე ყოველთვის, როცა წლისა და თვეების აღრიცხვა მთვარის სრბაზეა დამყარებული; ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ძველად სწორედ ასე იყო; მაშასადამე, თეთრი-გიორგობა 14-15 აგვისტოს და ღამით იმიტომ არის ხოლმე, რომ ეს ხატობა წარმართობის-დროინდელ მთვარის ხატობას ალაგას არის და თეთრი გიორგის მთავარი ღვთაების, მთვარის მაგიერი ადგილი უკავია".

შემდგომ ივანე ჯავახიშვილი იგივე სურათს ავლენს ფშავ-ხევსურეთში, რაჭაში, ქართლში, ოდიშში, სვანეთში, ანუ სრულიად კოლხეთში (საქართველოში). ჭეშმარიტებას ბრძანებს ივანე ჯავახიშვილი, რომ: „თეთრი გიორგის მთავარი ღვთაების, მთვარის მაგიერი ადგილი უკავია", ვინაიდან მთვარე კოლხების მიერ მამად იყო აღიარებული.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 100): „მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანელების ანუ საბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა. მას „სინ"-ს ეძახდნენ და ქვეყნიერების მბრძანებელადა სთვლიდნენ. საყურადღებოა მეტადრე ის, რომ ამ ორივე ხალხის შეხედულებითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა...

შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქარანელების, ანუ საბიელთა და ქართველების უძველეს სარწმუნოებათა შორის სხვა მხრივაც დიდი მსგავსება არსებობს.

ავიღოთ მაგალითად ჩვენი „ლამპრობა" (სვანური „ლიმპ̣ᲐᲠი"). ზემოთ გამორკვეული იყო, რომ ეს ჩვეულება მთვარის დიდებისა და მსახურების ნაშთია, როცა ხალხი ანთებულ არყის ხეებით ხელში ამ ღვთაებას დიდებას უგალობდა ხოლმე. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს დღესასწაული ზამთარში იცის უეჭველად, რამდენიმე კვირით დიდმარხვის წინ. სიბიელებსაც ჰქონდათ სწორედ ზამთარში, სახელდობრ იანვარში, დიდი უქმე, როდესაც ღვთაების სადიდებლად ნაძვის ტოტებს აანთებდნენ ხოლმე. საყურადღებო ისაა, რომ სწორედ ამ დროს, 24 იანვარს, მთვარის დაბადების დღესასწაული იყო დაწესებული. რასაკვირველია, ჩვენი „ლამპრობა" და ქარანელების მთვარის დაბადების დღესასწაული ერთი და იგივეა. საყურადღებოა, რომ თეთრი-გიორგობა ზამთარშიაც იცის, სახელდობრ 24—25 დეკემბერს, ესე იგი ქრისტეს შობის დღეს; მაშასადამე, აქ მთვარის დაბადების დღე ქრისტეს დაბადების დღე მიუზიდნია".

ეს ვრცელი ამონაწერები იმ მიზნით მოგაწოდეთ, რათა უკეთ აღიქვათ, რომ მიუხედავად ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქრისტეანული ცხოვრებისა, რაოდენ მძლავრადაა ჩვენში გამჯდარი ჩვენივე წარსული წარმართული პერიოდი, ამის აღქმამ კი თავის მხრივ ბევრად დიდი ინტერესი უნდა გაგიჩინოთ იმ საოცარი წარსული წარმართული ცოდნის მიმართებით, რომელიც ასე ჭარბადაა დაუნჯებული წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენის ლექსიკაში.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას და ვინაიდან აწყური თელავიდან 10 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, თქვენ უნდა მიხვედრილიყავით, რომ სტრაბონის დროს (I ს.) შიდა კახეთი და ქიზიყი ალბანეთია, ხოლო გარე კახეთი წარმოადგენდა გარდამავალ ტერიტორიას იბერიასა და ალბანეთს შორის. სადღეისოდ ისტორიული ალბანეთის ტერიტორია დაყოფილია აზერბაიჯანს, საქართველოსა და ჰაიასტანს შორის. რომელიმე ამ ქვეყნის მიერ ისტორიული ალბანეთის განსხვავებულ ტომთა გაერთიანების ერთადერთ მემკვიდრედ გამოცხადება სრული უაზრობაა.

არმინა და არმენია

დროა დადგინდეს ის ფუნდამენტალური შინაარსობრივი განსხვავება, რაც არსებობს ტერმინებს **არმინა**-სა და **არმენია**-ს შორის.

(**Б. С. Э.** II) **Армина**, союз племен, образовившийся в кон. 7 в. до н. э. на Ю.-З. Армянского нагорья в условиях ослабления гос. власти в Урарту. Видимо, сыграл большую роль в формировании арм. народа. По мнению некоторых иследователей, термин «Армина» явился основой слова «Армения». **Армина** в перс. тексте трехъязычной Бехистунской надписи царя Дария I (ок. 520 до н. з.) соответствует слову «Урарту» в мидийском и вавилонском текстах этой же надписи..

ამრიგად ძვ. წ. VI საუკუნის ირანში სახელწოდება არმინა (Armina) გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ – ურარტუ-ს (არმინა-ს) სამეფოს და არმენია (ჰაიასტანი) ჯერ არა სჩანს მსოფლიო სცენაზე, ანუ არ არსებობს.

(**Б. С. Э.** XXVII) Урарту (ассир.назв.; урартское – Биайнили, библейское -- «царство Арарат»), государство в Передней Азии в 9-6 вв. до н. э., охватывавшее в период своего могушества всё Армянское нагорье.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ამ განმარტებათა ფუნდამენტალური შეცდომის არსი მდგომარეობს შემდეგში: კავკასიის სამხრეთით მდებარე მთიანეთს, რომელსაც სრულად მოიცავდა ძვ. წ. IX—VI საუკუნეებში არსებული ურარტუელთა დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, დაუშვებელია ეწოდოს Армянское нагорье, ვინაიდან სახელწოდება Армянское გულისხმობს ჰაიასტანს, ქართულად სასომხეთს, რუსულად Армения-ს, ხოლო ჰაიასტანი (Армения) ჩნდება მსოფლიო რუკაზე მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. III--II საუკუნეებიდან. ე. ი. დაუშვებელია ძვ. წ. IX—VI საუკუნეებში არსებულიყო სახელწოდება Армянское нагорье სომხეთის მთიანეთის შინაარსით. ჩვენი მიზანია გავერკვეთ ამ შეცდომის შეგნებული თუ შეუგნებელი ბუნების არსში.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ამ განმარტებათა ფუნდამენტალური შეცდომის არსი მდგომარეობს შემდეგში: კავკასიის სამხრეთით მდებარე მთიანეთს, რომელსაც ვრცლად მოიცავდა ძვ. წ. IX—VI საუკუნეებში არსებული ურარტუელთა დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, დაუშვებელია ეწოდოს Армянское нагорье, ვინაიდან სახელწოდება Армянское გულისხმობს ჰაიასტანს, ქართულად სასომხეთს, რუსულად Армения-ს, ხოლო ჰაიასტანი (Армения) ჩნდება მსოფლიო რუკაზე მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. III--II საუკუნეებიდან. ე. ი. დაუშვებელია ძვ. წ. IX—VI საუკუნეებში არსებულიყო სახელწოდება Армянское нагорье სომხეთის მთიანეთის შინაარსით. ჩვენი მიზანია გავერკვეთ ამ შეცდომის შეგნებული თუ შეუგნებელი ბუნების არსში.

ურარტუ//ურუარტუ ასირიული სახელწოდებაა, თავად ურარტუელები საკუთარ ქვეყანას ბიანილი-ს უწოდებდნენ, არმინა (Armina) ურარტუელთა ძველი სპარსულით დაფიქსირებული სახელწოდებაა; ხოლო ბიბლია ურარტუს (და არა ჰაიასტანს) არარატის სამეფოდ მოიხსენიებს.

ძველი აღთქმის შექმნა დაიწყო ებრაელთა მიერ ბაბილონის ტყვეობის ჟამს ძვ. წ. VI საუკუნეში, ანუ ებრაელები ბაბილონში გაეცნენ ურარტული სახელმწიფოს არსებობის ისტორიას და ამდენად ბიბლიური მცნება „არარატის სამეფო“ მხოლოდ და მხოლოდ

ურარტუს გულისხმობს და არა ძვ. წ. III საუკუნემდე არარსებულ ჰაიასტანს (არმენიას, სასომხეთს).

ამრიგად, ურარტუს, იგივე სპარსული **არმინას** სახელმწიფოს ტერიტორია გეოგრაფიულად მთიანეთს, ანუ **არმინიის მთიანეთს** წარმოადგენდა, რომელსაც რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია შეცდომით **Армянское нагорье**-თ მოიხსენიებს და შესაბამისად ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიაც **სომხეთის მთიანეთი**-თ აფიქსირებს.

(Б. С. Э. II) Армянское нагорье, среднее из трех переднеазиатских нагорий. Расположено главным образом в Турции, частично в СССР и в Иране. Часть А. н., находящаяся в СССР (т. н. Закавказское нагорье), занимает всю терр. Арм. ССР, южн. часть Груз. ССР и зап. часть Азерб. ССР. В широком смысле слова Армянское нагорье включает также Малый Кавказ, Армянский Тавр и Курдские горы. Площадь А. н. (в широком смысле) ок. 400 тыс. км2.

(ქ. ს. ე. IX 462): „**სომხეთის მთიანეთი**, მთიანეთი უმთავრესად თურქეთში, ჩრდილოეთით ესაზღვრება აღმ. პონტოს მთები, ჩრდ.,--აღმ-ით – სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი, დას-ით – ანატოლიის ზეგანი, სამხრ.-ით – ტავრის ქედი, ხოლო აღმ-ით ნაწილობრივ გადადის ირანში“.

ამ მცდარი განმარტებებით გამოდის, რომ სომხებზე ბევრად უძველესი ასირიელი, ირანელი, ქურთი, კოლხი... ერები ჰაიკების (სომხების) მიწაწყალზე ვსახლობთ და რაც უარყოფითად მოქმედებს ჰაიკი ერის ფსიქოლოგიაზე. ისტორიული რეალიზმი კი იმას ამტკიცებს, რომ მხოლოდ ძვ. წ. III--II საუკუნეებში დაიწყო თავად ჰაიატანის (არმენიის, სასომხეთის) არმინიის ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე სახელმწიფოდ აღმოცენება და ჩამოყალიბება.

კავკასიის სამხრეთით მდებარე აღნიშნულ წინააზიურ მთიანეთს, რომელსაც IX—VI საუკუნეებში ძირითადად ფლობდა ურარტუელ მრავალრიცხოვან ტომთა გაერთიანება და სანამ ძვ. წ. III--II საუკუნეებში დაიწყებოდა ჰაიასტანის (არმენიის, სომხეთის) მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესი, ეწოდებოდა **არმინიის მთიანეთი** (ბიბლიის მიხედვით -- земля Араратская) და არა **სომხეთის მთიანეთი** (Армянское нагорье).

ტერმინი **არმინა** არამეული (სემიტური) წარმომავლობისაა. ასევე არამეული (სემიტური) ფორმაა **არამ** და აღნიშნავს მაღალს, იგივე მთიანეთს.

(Б. Э.) **Арам** (высокии).

(Б. Э.) **Арам, Арамея** (страна высокая) – под этим именем вообще разумеется Сирия в смысле не одной Сирии, но Сирии и Месопотамии вместе. Это возвышенное плоскогорье, в 2,000 фут. над уровнем моря, простирающееся от истоков Иордана до Евфрата. Слово Арам часто соединяется с другими словами, как напр **Арам-Мааха, Арам-Хамав, Арам-Нагаром**, и означает Сирию с некоторыми другими царствами , принадлежавшими ей древности..

როგორც ტერმინი **არმინა** ერთდროულად გამოხატავს ურარტუელთა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას და ასევე გეოგრაფიულ მცნებას – **მთიანეთს**, ასევე ტერმინი **არამ, არამეა** გამოსახავს როგორც სირიასა და მესოპოტამიას ერთად, ასევე იმ გეოგრაფიულ მცნება ზეგანს, რომელზედაც განფენილი იყო სირია და მესოპოტამია.

არამეული ფორმა **არამ** (მაღალი), უკვე ურარტული შინაარსით, ასევე კოლხური ლექსიკის შემადგენელია.

(ქ.ს.ე. I 538): „**არამ-ხუტუ**, ამირანის ორეული ამირანიანის მეგრული ვერსიით. ზოგიერთი მეცნიერის (ივ. ჯავახიშვილი) აზრით, **ამირანი არამიდან** მომდინარეობს. არამ-ხუტუს ხური-ურარტულ ონომასტიკასთან უნდა ჰქონდეს კავშირი (გ. ჟორდანია). მამაკაცის მეგრულ საკუთარ სახელს ხუტუ (ხუტა)-ხუთა-ს მოეპოვება შესატყვისი ხური-ურარტულ ტექსტებში (ნუზის არქივი) და დასაშვებად არის მიჩნეული, რომ სახელი **ხუტუ** ურარტელთა დედამიწის ღვთაება – ხუტუანისაგან წარმოდგება. რაც შეეხება **არამს**, იგი უკავშირდება ურარტელთა პირველი მეფის – **არამეს** სახელს. დასაშვებია ისიც, რომ ურარტელმა ხალხმა თავისი გმირი მეფის სახელს დაუმატა ხუტუ და ამით ღვთაებრივ სამყაროს დაუკავშირა“.

იოსებ ყიფშიძეს ოდიშში დაფიქსირებული აქვს ურარტული წარმომავლობის მამაკაცთა სახელები: **ხეტუ, ხუტუ, ხუტუნია, ხუტუტი.**

სემიტურ-ხურიტულ-კოლხური **არამ**-ხუტუ = **მაღალი (გოლიათი)** ხუტუ.

ასევე არამეულად არან აღნიშნავს მთიანეთს.

(**Б. Э.**) **Аран** – горный.

არამეული ფორმა არანი წარმართულ კოლხურშიც დამკვიდრებულია შემდეგი შიანაარსით:

(**ო. ქ.**) **არანი** ირგვლივ; შემოგარენი.

კოლხეთის დაბლობის შუაგულშიც რომ იდგეთ, ირგვლივ ჰორიზონტი მთიანია, ანუ საწყისში კოლხურ მეტყველებაში არანი ჰორიზონტს გულისხმობდა და შემდგომ ეს მცნება მოკლე მანძილებზეც განივრცო.

გასათვალისწინებელია ასევე ფორმების არაბა//არავა-ს იგივე მიწიერი მნიშვნელობები:

(**Б. Э.**) **Арава** или **Араба** (сухая, бесплодная страна).

საუდის არაბეთში აღმართულია მთა სახელწოდებით **არაფატი**.

Арафат (Джебель-арафат, т. е. гора Познания) – гора в 20 км от Мекки. По преданию, именно здесь встретились Аам и Ева. Именно отсюда Мухамед произнес свою поледнюю проповедь.

ფორმა **არაფატი**-ს მსგავსად, ირანული **არმინა** (ურარტუ) ბიბლიაში მოიხსენიება ფორმით **არარატ**, ან ფორმით **ურარატ**.

этимология названия «Арарат» связана с названием древнего царства «Урарту», упомянутой в Библии как — земля Араратская... а в некоторых древних иудейских рукописях Урарат. http://ru.wikipedia.org/wiki/Арарат.

(**Б. Э.**) **Араритянин**, иначе **Гараритянин** (горец) – один из храбрих воинов Давида, Ахиам, так названный по месту своего жительства.

დავითის მამაც მებრძოლ არარატელ (ურარტუელ) ახიამს ეწოდა **Араритянин** (= არარატელი) მთიელის მნიშვნელობით, ვინაიდან ახიამსი წარმოშობით იყო არარატელი, ანუ ურარტუელი, ანუ არმინიელი (და არა ჰაიკი არმენიელი).

ასევე დავაფიქსიროთ, რომ ძვ. წ. XII საუკუნის შემდეგ, აქადურ ლურსმნულ წარწერებში **არამეა**-ს (страна высокая) მკვიდრი არამიელები მოიხსენიებიან ფორმით **არმაიე** (ქ.ს.ე. I 537).

ფორმა არ (> არმა) ებრაელთა ენაზე აღნიშნავს იგივე მთის მცნებას.

(**Б. Э.**) **Армагеддонъ** (вершина Мегиддо).

ამრიგად, ფორმები **არან, არარატ, არაფატ, არამ, არამეა, არმაიე, არმინა**... მაღლის, მთიანეთის მნიშვნელობებით, აქადურ-არამეული (სემიტური) სამყაროს ლექსიკაა. უნდა გვახსოვდეს, რომ არამეული (სემიტური) ენა ძვ. წ. IX საუკუნეში გავრცელებული

იყო სირია-მესოპოტამიაში, პალესტინასა და ფინიკიაში... ასურეთ-ბაბილონისა და აქემენიდთა სპარსეთის ბატონობის დროს (ძვ. წ. VII—IV სს.) არამეული ენა საკანცელარიო და საერთაშორისო ენა იყო ამ სახელმწიფოებში. ამავე პირიოდისაა (V ს.) ეგვიპტის პაპირუსების ცნობილი არქივი. მომდევნო საუკუნეებში არამეულმა ენამ ხმარებიდან განდევნა ებრაული. არამეულს სამწერლობო ენად იყენებდნენ პალმირელი და ნაბატეველი არაბები (I—III ს.ს.). ამავე ხანისაა მცხეთის არამეული წარწერები (ქ.ს.ე. I 537)".

იგივე აქადურ-არამეული (სემიტური) **არან, არარატ, არაფატ, არამ, არამეა**-ს ცოდნას ატარებს მეგრული **არგამა** (= აშკარა). ფორმანტი გა შუმერულ-კოლხური ლექსიკით აღნიშნავს მთას და:

არგამა = არ(ამ) + გა (> არამგა > არგაამ > არგამა) = მაღალი მთა = მაღალ მთასავით ნათლად დასანახი -- აშკარა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ურარტუელთა სპარსულმა სახეწოდებამ არმინა-მ იმოგზაურა და უთუოდ მაღლის (გოლიათის) მნიშვნელობით, გერმანიის ისტორიის შემადგენელი გახდა.

(**ქ.ს.ე.** I 580): „**არმინიუსი** (Arminius), (დაახლ. ძვ. წ. 18 – ახ.წ. 21), ხერუსკების ტომის ბელადი, ძველი გერმანიის გმირი. იყო რომაელების სამსახურში მყოფი ხერუსკების მაშველი ჯარის სარდალი. მიიღო რომის მოქალაქისა და მხედრის წოდება. ახ. წ. 7 სამშობლოში დაბრუნების შემდგომ მოაწყო შეთქმულება რომაელთა წინააღმდეგ და სათავეში ჩაუდგა გერმანელთა ტომების აჯანყებას. ახ. წ. 9 შემოდგომაზე არმინიუსმა იმპერატორის ნაცვლის კვინტილიუს ვარუსის ლაშქარი ტევტობურგის ტყეში შეიტყუა და გაანადგურა. ტევტობურგის ბრძოლის წყალობით რაინის მარჯვენა ნაპირის გერმანელები განთავისუფლდნენ რომზე დამოკიდებულებისაგან, არმინიუსმა სამჯერ გაუმართა ბრძოლა რომაელებს, ახ. წ 14—16 იგი დაამარცხა გერმანიკუსმა, მაგრამ უკანასკნელი იძულებული გახდა დაეტოვებინა გერმანია. არმინიუსის მეთაურობით შეიქმნა გერმანელთა ძლიერი კავშირი".

ურარტუმ ძვ. წ. V საუკუნისთვის დაკარგა **არმინიის** ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, „მიდიამ 590 წელს დაიპყრო ურარტუს (არმინიის, არარატის ჯ.კ.) ცენტრალური რაიონები. შესაძლებელია, ურარტუს ჩრდილოეთ რაიონებში ერთხანს კიდევ არსებობდა ურარტუელთა მმართველობა. აქ ურარტუს ძალაუფლება უნდა დაემხოთ ამიერკავკასიურ ტომებსა და მათ მოკავშირე სკვითებს. ურარტუელთა შთამომავლები ალაროდიელთა სახელით იხსენიებიან ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტესთან. მისი ცნობით, ისინი მონათესავე ხურიტებთან ერთად (სასპერები და მატიენები) შეადგენდნენ აქემენიდური ირანის XVIII სატრაპიას (ქ.ს.ე. X)".

ჰეროდოტე ურარტუელთა გაერთიანების გამანადგურებელ მიდიელებზე ჩვენთვის საინტერესო ცნობას გვაწვდის:

(**ჰეროდოტე** II 432): „62. მიდიელებიც ასევე იყვნენ აღჭურვილი სალაშქროდ, რადგან ეს აღჭურვილობა მიდიურია და არა სპარსული. მიდიელებს გამგებლად ჰყავდათ ტიგრანესი, აქამენიდი. ძველად ამათ ყველა არიებს უწოდებდა, ხოლო მას მერე, რაც არიელების ქვეყანაში მოვიდა **კოლხიდელი მედეია ათენიდან**, მათ შეიცვალეს სახელი, თვითონ მიდიელები მოგვითხრობენ ამას თავისი თავის შესახებ".

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძვ. წ. V საუკუნის აზიაში იმდენად პოპულარული იყო არგონავტების, იგივე კოლხეთის თემა, რომ მიდიელები თავიანთი სახელის ეპონიმად კოლხ მედეას ასახელებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ჰეროდოტესგან დღევანდელი ბერძნები მედეას კოლხელად არ აღიარებენ, რაც იმის მტკიცებაა, რომ თანამედროვე ბერძნები ვეღარ არიან ძველი ბერძნების ტრადიციათა გამგრძელებელნი.

ძვ. წ. V საუკუნის ისტორიკოსის ჰეროდოტეს მოგზაურობათა ჟამს, ოდესღაც ძლიერი ურარტუელთა, იგივე არმინიელთა, იგივე არარატელთა დიდი გაერთიანება უკვე დაშლილია და ადრინდელი სახელწოდებით შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი ამ დიდი გაერთიანებისა. ჰეროდოტე ურარტუს, იგივე არმინიის დიდი გაერთიანების ამ ნაწილის არამეულ-სპარსულ სახელწოდება არმინა-ს მოიხსენიებს ფორმით არმენიე (ძველი ბერძნ. Αρμενιοι).

(**თინათინ ყაუხჩიშვილი**): „**არმენიე** (Αρμενίη) – ჰეროდოტესთვის – ქვეყანა მდ. არაქსის დაბლობზე, მისი დას. საზღვარი არის ევფრატი, რომლის გადაღმა კილიკიაა (გვ. 598)“.

გამომდინარე ჰეროდოტეს აღწერილობებიდან, თინათინ ყაუხჩიშვილის განმარტება, რომ ჰეროდოტეს არმენია მდ. არაქსის დაბლობზე მდებარეობდა -- მცდარია. ამ განმარტებით იქმნება ილუზია, რომ ჰეროდოტეს ურარტუელი არმენიელები თანამედროვე არაქსის დაბლობზე სახლობდნენ და შესაბამისად შესაძლოა ჰაიკთა წინაპრებს წარმოადგენდნენ. მდინარე არაქსზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეშიც ჰაიკთაგან განსხვავებული სხვადასხვა თავისუფალი ტომები ბინადრობდნენ. პლუტარქესთან ჰაიკთა მეფის ტიგრანის შეიარაღებულ ძალთა სიაში დასახელებულნი არიან:

(**პლუტარქე** 82): „მასთან მთელი მხედრობით მივიდნენ სომხები და გორდიენელები... კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები და **არაქსის სანაპიროებზე მოსახლე თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარები**“.

ჰეროდოტეს სახელწოდება არაქსის ქვეშ არა თანამედროვე მდინარე არაქსი, არამედ სირ-დარია (ან ამურ-დარია) და ვოლგა იგულისხმება, ხოლო ერთგან ადგილმდებარეობა გაურკვევლია; ამდენად უმჯობესია თავად ჰეროდოტეს მოვუსმინოთ.

(**ჰეროდოტე**): „მდინარე ჰალისი, რომელიც არმენიის მთებიდან გამოსული კილიკიაზე მიედინება (გვ. 61)“.

„კილიკიელების მეზობლად არიან არმენიელები (გვ. 330)".

„კილიკიისა და არმენიის საზღვარი მოდის სანაოსნო მდინარეზე, რომლის სახელიც არის ევფრატესი (გვ. 332)“.

„[ბაბილონი] ორი ნაწილისაგან შედგება, რადგანაც მას შუაში ჰყოფს მდინარე, რომელსაც სახელად ჰქვია ევფრატესი, ხოლო მოედინება ის არმენიელთაგან (გვ.102)“.

„ხომალდები, რომლებიც დაცურავენ დაღმა მდინარეზე, ბაბილონისაკენ მრგვალები არიან და მთლიანად ტყავისა. არმენიელებში, რომლებიც ასირიელთა ზემოთ სახლობენ, ისინი სჭრიან ტირიფს და ხომალდის გვერდებს ტირიფისაგან აკეთებენ (გვ. 108)“.

ჰეროდოტეს არმენიელებს (ურარტუელთა გაერთიანების ნაწილს, შესაძლოა ქურთების წინაპრებს) უშუალო კავშირი არ გააჩნიათ მდინარე არაქსთან და სახლობენ ასირიელთა ზევით მთებში, საიდანაც მოედინება მდინარე ევფრატი, რომლის მეშვეობითაც არმენიელები ნავებით მოგზაურობენ ბაბილონის მიმართულებით. გარდა მდინარე ევფრატისა, არმინიის მთებიდან გამოდის ასევე მდინარე ჰალისი, რომელიც შემდგომ კილიკიაზე მიედინება. მდინარე ჰალისი, თანამედროვე ყიზილ ურმაკი, უმთავრესი მდინარეა მცირე აზიაში და ერთვის შავ ზღვას. ამრიგად, ჰეროდოტეს არმენიელებს უკავიათ მთიანეთის, ანუ არმინიის ის მონაკვეთი საიდანაც სათავეებს იღებენ მდინარეები ჰალისი, ევფრატი და არსად არ იკითხება რაიმე ცნობა ჰეროდოტეს არმენიელების (არმინიელების) არაქსის დაბლობზე სახლობის თაობაზე. ანუ ისინი

მთიელები არიან და არა ბარელები. საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ჰეროდოტეს მიერ აღწერილ ქსერქსეს გაერთიანებული ჯარის შემადგენლობაში ჰეროდოტეს არმენიელები გაერთიანებულები იყვნენ არა რომელიმე კავკასიის სამხრეთით მაცხოვრებელ ხალხებთან -- ალაროდიელებთან, მარებთან, სასპერებთან, არამედ მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის მკვიდრ ფრიგიელებთან. ამ ფაქტს ჰეროდოტე იმით ხსნის, რომ მისი თანამედროვე არმენიელები ფრიგიელებისაგან (და არა ჰაიკებისაგან) მომდინარეობდნენ.

ჰეროდოტეს მიერ არამეული **არმინას არმენიად** მოხსენიება, ისევე როგორც იბერიის იბერიე-დ (**Ιβηρίη**) მოხსენიება ბერძნული მეტყველების ტრადიციაა და ძვ. წ. III საუკუნეში, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად, არმინიის მთიანეთის ტერიტორის ნაწილზე წარმოქმნილ ერთ-ერთ ელინისტურ სახელმწიფოს, მომავალ ჰაიასტანს, ბერძნებმა იგივე **არმენია** უწოდეს, როგორც პონტოს (შავი ზღვის) მიმდებარე ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე წარმოქმნილ ასევე ერთ-ერთ ელინისტურ სახელწიფოს ეწოდა **პონტოს სამეფო**. ანუ როგორც კავკასიის მთიანეთი მუდამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ხალხებით იყო დასახლებული, ასევე არმინიის მთიანეთის ტერიტორია მუდამ ერთმანეთისაგან განსხვავებული ხალხების საცხოვრისს წარმოადგენდა.

ამრიგად, როგორც ჰეროდოტეს იბერიე-ში (**βηρίη**) იგულისხმება არა საქართველოს ნაწილი, არამედ ესპანეთი, ასევე ჰეროდოტეს არმენიეს-ს ქვეშ იგულისხმება სამხრეთ არმინიის ადრინდელი ტომობრივი გაერთიანება და არა ჰაიასტანი. მუდამ გვახსოვდეს, რომ ქართული **იბერია** და ჰაიკური **არმენია** წარმოადგენდნენ ელინურ სახელმწიფოებს და აღმოცენდნენ მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდგომ ძვ. წ. III საუკუნეში. აქვე გავიხსენოთ, რომ ჰაიკებმა ასევე კილიკიაში შექმნეს სახელმწიფო, მაგრამ მათ კილიკიელებად არავინ არ თვლის.

ბერძნული **არმენიე** ჰეროდოტესთან მთიელებს აღნიშნავს, რომლებიც შესაძლოა წარმომავლობით ფრიგიელებიც იყვნენ; ხოლო მოგვიანებით, ძვ. წ. III--II საუკუნეებიდან ურარტუს მთიანეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ჰაიკიზაციის შემდგომ, **არმენიე** (> **არმენია**) უკვე ჰაიასტანის მნიშვნელობას იძენს.

ჰაიკთა ისტორიიის შემქნელებმა, იცოდნენ რა სახელწოდება არმინია-ს ზოგადი არამეული წარმომავლობა, მოვსეს ხორენაცის ისტორიებთან ერთად შეთხზეს შესაბამისი მითი ჰაიკთა ბერძნული სახელწოდების **არმენია**-ს ნაციონალიზაციის მიზნით.

(**ქ.ს.ე.** I 538): „**არამი**, სომეხი ხალხის ლეგენდარული გმირი. ძველი სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის გადმოცემით, სომხების ლეგენდარული მამამთავრის ჰაიკის შთამომავალი, რომლის სახელითაც ქვეყანას არმენია ეწოდა. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ გადმოცემაში შემონახულია ურარტუს პირველი მეფის, არამეს ხსენება“.

საპირისპიროდ, მსოფლიო ისტორიოგრაფიამ კი მხოლოდ ის იცის, რომ:

(**Б. Э.**) **Арам, Арамея** (страна высокая) – под этим именем вообще разумеется Сирия в смысле не одной Сирии, но Сирии и Месопотамии вместе. Это возвышенное плоскогорье (და არა თანადროული მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის სრულიად უცნობი **არამი**, სომეხი ხალხის ლეგენდარული გმირი).

ბიბლიის ქართული ლექსიკონითაც მცნება **არამი**-ს ქვეშ იგულისხმება მხოლოდ მცნება სირია.

დღეს რომ მხოლოდ არმინიის ტერიტორიის ნაწილზე მაცხოვრებელი ჰაიკები თავიანთ თავს ურარტუელთა ერთადერთ და უშუალო შთამომავლებად და მემკვიდრეებად აცხადებენ, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

(**გიორგი მელიქიშვილი** 140): „სომეხი ხალხი ენით მონათესავე ჩანს მცირე აზიის იმ ხალხებისა რომლებიც თავისი ენით ინდოევროპული ხალხების ოჯახთან ახლო დგანან. ზოგი მკვლევარი სომხურ ენას ძველი მცირე აზიის ისეთ ენებთან ერთად, როგორიცაა ხეთურ-ნესიტური, ხეთურ-ჰიერიგლიფური, ლუვიური, ლიკიური და ლიდიური, ინდოევროპული ენების თავისებურ შტოდ მიიჩნევს. სომხური ენისა და სომხური წარმართული პანთეონის მცირეაზიულ-ხეთურ სამყაროსთან სიახლოვის ბევრი ფაქტი გამოავლინა პროფ. გრ. ღაფაციანმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამასთან შედარებით ურარტული ენისა და ურარტუელთა რელიგიის გავლენა სომხურ სამყაროზე სრულიად უმნიშვნელო ჩანს. ეს იმის ნიშანია, რომ **სომეხი ტომების კონსოლოიდაცია უნდა მომხდარიყო მცირე აზიაში ჯერ კიდევ ურარტუს ტერიტორიაზე მათ შემოსვლამდე**“.

(**ქ.ს.ე.** X 170): „**ურარტული ენა**, ენა, რომელზეც ლაპარაკობდა ურარტუს ძირითადი მოსახლეობა. დამოწმებულია ურარტული სოლისებრი წარწერებით (ძვ. წ. IX—VI სს.). ენათესავება ძვ. წ. II ათასწლეულში ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს -- მითანის სამეფოს მოსახლეობის ენას – ხურიტულს. მასვე უკავშირებენ ნახურ-დაღესტნურ ენებს. ტიპოლოგიურად ზოგიერთ საერთო ნიშანს ხედავენ ქართველურ ენებთან“.

როგორ შეიძლება ჰაიკთა უშუალო ურარტული წარმომავლობის მტკიცება, როცა ურარტულ ენას ბევრად მეტი კავშირები გააჩნია ნახურ-დაღესტნურ და კოლხურ ენებთან ვიდრე ჰაიკთა მეტყველებასთან.

„ურარტუში შეიქმნა საკმაოდ მაღალგანვითარებული კულტურა. ურარტუს მოსახლეობა დაწინაურებული იყო ქვისა და ლითონის (ბრინჯაო, რკინა) დამუშავებაში, კერამიკის წარმოებაში. ურარტუელების მიერ კლდეში გამოკვეთილ ნაგებობათა კომპლექსებმა და კლდეში გაყვანილმა ზოგიერთმა არხმა ჩვენამდე მოაღწია (**ქ.ს.ე.** X 170)".

კლდეში გამოყვანილი ვარძიის ბრწყინვალე კომპლექსი, უფლისციხე, დავითგარეჯის ანსამბლი, ჭოროხის ხეობისა და სამცხის ტერასული კულტურა, მელიორაციის განვითარების მაღალი დონე, ურარტული და კოლხური (ქართული) კულტურების მჭიდრო ურთიერთობათა მტკიცებაა.

აქვე გავიხსენოთ, რომ სანამ არმინიის მთიანეთში აღმოცენდებოდა ჰაიასტანი (ძვ. წ. III--II ს.ს.), დიდი ხნით ადრე არმინიის ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ ირანელები, სასპერები და კოლხები (ძვ. წ. XII ს.).

(**სერგი მაკალათია** 16): „ჰეროდოტე გარკვევით ამბობს: „რომ სპარსელებს საზღვრად აქვთ სამხრეთით ზღვა, რომელიც იწოდება წითელ ზღვად, იმას ზევით ჩრდილოეთით, მიდიელები ცხოვრობენ, მიდიელებს ზევით სასპერებია და სასპირებს ზევით კოლხიდელები, კოლხიდელებს საზღვრად აქვთ ჩრდილოეთის ზღვა (შავი ზღვა), რომელსაც შეერთვის ფასის მდინარე. ამ ოთხ ერს უჭირავს მთელი ქვეყანა ერთი ზღვიდამ მეორემდეო“ (და არა ჰაიასტანსაო).

სადაა ამ ჩამოთვლილი ქვეყნების სიაში ჰაიასტანი? ამ ლიდერ ქვეყნებს შორის უკვე ურარტუც აღარ იხსენიება.

საქართველოს სამხრეთი რომ ახ. წ. X საუკუნეშიც ისტორიული **არმინიის მთიანეთი**-ს შემადგენელია და არა **სომხეთის (არმენიის) მთიანეთი**-სა, გვიდასტურებენ არაბული წყაროები.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 123): „IX—X სს. არაბი გეოგრაფები ჯურზანს (მომავალი ქართლის ტერიტორიას ჯ.კ.) მიაკუთვნებენ არმინიას, არაბთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს VIII—IX სს. ამიერკავკასიაში, რომელიც ქართლის გარდა აერთიანებდა აგრეთვე სომხეთსა და ალბანეთს (არრანს). არაბი ავტორები, ზოგჯერ, არმინიას ოთხ ნაწილად ჰყოფენ და ჯურზანს II არმინიაში ათავსებენ“.

ვნახოთ თუ როგორ სათავისოდ იყენებენ ჰაიკები (არმენიელები) არაბთა მიერ კავკასიის სამხრეთით მდებარე ისტორიული არმინიის (და არა არმენიის) ტერიტორიის ამ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფას. ვიკიპედიის სტატიაში Армения ვკითხულობთ:

В середине VII века армянские земли были захвачены арабами. В состав новосозданной области Арминийа (араб. ارمينيّة) вошли также Грузия, Арран и Баб аль-Абваб (Дербент).

ამ მოკლე ტექსტით ჰაიკები აცხადებენ, რომ საქართველო, ალბანეთი და დერბენტი არაბთა შემოსვლისას ტრადიციულად ჰაიასტანის შემადგენელ ნაწილებად ითვლებოდაო. მაშინ როცა არაბების შემოსვლის პერიოდისთვის კავკასიის სამხრეთით ჰაიკთა სახელმწიფოებრიობა სამ საუკუნეზე მეტი გამქრალია, ჰაიკები თავად წარმოადგენენ სხვადასხვა ერთა ადმინისტრაციულ შემადგენელ ნაწილებს და როგორ შეიძლება საქართველო, ალბანეთი და დერბენტი უკვე საუკუნეთა მანძილზე არარსებული სახელმწიფოს შემადგენელად ჩაითვალოს. არაბული **არმინია**-ს ქვეშ განცალკევებით ჰაიასტანი კი არ იგულისხმება, არამედ სრულიად ნეიტრალური, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე გეოგრაფიული მცნება **არმინიის**, იგივე **ურარტუს** მთიანეთის ტერიტორია და რა ტერიტორიის ნაწილებსაც მოიცავდა როგორც საქართველო, ასევე ალბანეთი; მსგავსად საქართველო და ალბანეთი მოიცავდა ასევე კავკასიის მთიანეთის ტერიტორიებსაც.

არაბული ენა, არამეულის მსგავსად, სემიტურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, განიცდიდა არამეული მეტყველების უძლიერეს გავლენას და შესაბამისად არაბები შესანიშნავად ერკვეოდნენ იმაში, რომ კავკასიის სამხრეთით მდებარე მთიანეთს ოდითგან **არმინა** (**Арминийа**) ეწოდებოდა და არა **არმენია** ჰაიასტანის შინაარსით; ამ ცოდნითაც უწოდეს მათ იბერიისა და ალბანეთის ტერიტორიებს ისტორიულ-სემიტური **არმინა** და არა **ჰაიასტანი**..

დავიმახსოვროთ: – ისტორიული რეალიზმით არსებობს **არმინიის მთიანეთი** და არა **Армянское нагорье,** ანუ არა **სომხეთის (ჰაიასტანის) მთიანეთი**. შესაბამისად, საქართველოს სამხრეთი ისტორიული **არმინიის მთიანეთის** ნაწილია და არა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დადგენილი **Армянское нагорье**-ს და **სომხეთის (ჰაიასტანის) მთიანეთის** ნაწილი; თავად ჰაიასტანიც (სასომხეთი, არმენია) ასევე არმინიის მთიანეთის რიგითი შემადგენელი ნაწილია, ისევე, როგორც ჩვენ კოლხები, გარდა სამხრეთით არმინიისა, ასევე ჩრდილოეთით კავკასიის მთიანეთის რიგით შემადგენელ ერს წარმოვადგენთ და ნაწილობრივ ვართ რიგითი კავკასიელები.

რუსულ ტექსტებში ჰაიასტანი მოიხსენიება როგორც **Великая Армения** და ჰაიკთათვის ის ჟღერს როგორც დიადი ჰაიასტანი. სინამდვილეში ისტორიული-გეოგრაფიულ არმინიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ორი არმენია: მცირე და დიდი არმენია. აქ აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ არმენია (< არმინია) დაყო არა ორ, არამედ ოთხ ნაწილად (პირველი, მეორე... არმენიები).

ორად გაყოფილი არმენიის ნაწილს დიდი (**Великая // Большая**) ეწოდა იმის გამო, რომ ის უფრო დიდ ტერიტორის მოიცავდა ვიდრე მცირე არმენია. რუსულ ენაში

Великий აღნიშნავს როგორც დიდს, ასევე დიადს. ჰაიკთა სურვილია წარმოაჩინონ არა მცირე არმენიასთან შედარებით დიდი არმენია, არამედ ერთიანი დიადი არმენია-ჰაიასტანი. რასაკვირველია ნებისმიერი ქვეყანა მისი მკვიდრთათვის დიადია, მხოლოდ ყველა ქვეყანა მსოფლიოსთვის არაა დიადი, თუნდაც ბევრად მეტ ტერიტორიას ფლობდე ვიდრე ამას მცირეზე უფრო დიდი არმენია ოდესმე მოიცავდა.

ჩვენს მსგავსად ასევე ისტორიკოსი ა. ო. ნოვოსელცევი სტატიაში – О местонахождении библейской «горы Арарат» ხაზს უსვამს, რომ ჰაიასტანის შემთხვევაში Великая უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ Большая-ს შინაარსით.

«в первой половине II века до н.э. бывший селевкидский стратег Арташес (Артаксий), после 190 г. до н. э. ставший царем Великой, или Большой, Армении, В числе прочих областей отнял у правителей Атурпатакана, или Малой Мидии, область Басоропеду» (http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Nistory/Artic/novos_mect.php).

ინგლისურენოვან გამოცემებშიც ჰაიასტანი შესაბამისად მოიხსენიება როგორც **Greater Armenia** – უფრო დიდი არმენია და **Lesser Armenia** – მცირე არმენია.

არარატი და კავკასა

განსახილველია თანამედროვე მცნება **არარატი**-ს მცდარი შინაარსი. ჩავიხედოთ ენციკლოპედიაში:

(**ქ.ს.ე.** I 541): „**არარატი**, ვულკანური მასივი მდინარე არაქსის შუა წელში (მარჯვენა ნაპირზე), თურქეთში... [ჰაიასტანის] საზღვრის მახლობლად. შედგება ორი ჩამქრალი ვულკანური კონუსისაგან; დიდი არარატისა (სომხური სახელწოდება მასისი, თურქულად – ბუიუქ-აღრი-დაღი), სიმაღლე 5165 მ. და მცირე არარატისაგან, სიმაღლე 3925 მ. გაყოფილია სარდარბულაკის უნაგირათი... დიდი არარატი 4250 მეტრის ზევით დაფარულია მუდმივი თოვლით... ფერდობები უდაბურია".

სახელწოდება **მასისი** არა სომხური, არამედ ირანული სიტყვაა და აღნიშნავს მცნებას – დიდი. აქვე აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება **ჰაიასტანი**-ში **სტანი** ასევე ირანული სუფიქსია და ნიშნავს მცნებას -- მიწა.

ირანული სახელწოდების **მასის**-ს მთას დღეს რომ ბიბლიურ სახელწოდება **არარატს** ვუწოდებთ ეს ისტორიული ბუნების შეცდომაა

современная наука считает отождествление горы Арарат с горами Араратскими из Библии - куда по легенде пристал корабль Ноя ошибочным.

УЧЕНЫЕ ВЫЯСНИЛИ, ГДЕ ИСКАТЬ СЛЕДЫ БИБЛЕЙСКОГО НОЕВА КОВЧЕГА

Поиски Ноева ковчега на горе Арарат обречены на неудачу, потому что Ной никогда туда не причаливал. По мнению армянского исследователя горы В.Ю.Халатова, современный Арарат - не то место, которое упоминается в Библии.

Предпринятый ученым исторический экскурс показал, что в ветхозаветные времена и даже в эпоху раннего христианства не было географического названия "гора Арарат“, а было словосочетание "горы Араратские“. Так называлась южная часть Армянского нагорья, расположенная в пределах современного Иракского Курдистана. Когда-то здесь находилось Араратское царство, или Урарту, как

называли его ассирийцы. А поскольку царство было гористым и сравнительно труднопроходимым со стороны Ассирии, то ассирийцы горы между Урарту и своей страной называли Урартийскими (Араратскими) горами. Название "Арарат“ или "Айрарат“, использовали и для обозначения одной из больших областей исторической Армении, вотчины армянских царей. Но великую армянскую гору Масис никто этим словом не называл. Имя "Арарат" она получила не ранее XII-XIII века, тогда же ее начали ассоциировать с библейским Всемирным потопом и Ноевым ковчегом.

Серьезные ученые нашего времени, подобно своим коллегам древности и средневековья, помещают Араратские горы и Ноев ковчег в Иракском Курдистане, в треугольнике, образуемом озером Ван на севере, рекой Тигр на юго-западе и горой Джуди-Даг на востоке. Если принять эту версию, размеры "всемирного потопа" станут более реальными. По научным данным, 3-4 тысячи лет назад произошли сильные наводнения, которые затопили южную, равнинную и холмистую часть Междуречья, а Ной со своим ковчегом спасся в северной, наиболее возвышенной части этого региона, которая в то время называлась Араратскими горами. А нынешняя гора Арарат находится севернее этих мест и никакого отношения ни к библейским событиям, ни к месопотамским наводнениям не имеет. Об этом сообщает агентство "Информнаука".

გავეცნოთ ასევე ამონარიდს ა. ო. ნოვოსელცევის სტატიიდან – О местонахождении библейской «горы Арарат»

Величественный пик, господствующий над Айраратской (вероятно, это более древняя форма) долиной, в условиях языческой Армении обрастал легендами, сохраненными нам ранней армянской литературной традицией. В армянском народном эпосе гора Масис считалась обителью вишапов — мифических существ армянского языческого культа, и Мовсес Хоренаци писал о вишапах, которые владеют Масисом.

Но нигде и никогда в древнеармянской литературе гора Масис не связывалась с библейским Араратом. Наоборот, древнеармянские переводчики Библии, переводившие ее с текста Септуагинты, но знакомые и с сирийским переводом и с древнееврейским оригиналом [63] памятника, библейский Арарат с Масисом не отождествляли. Это подтверждается текстом древнеармянского перевода Библии, на чем я ниже остановлюсь.

Ознакомление с текстом "Астватсашунча" показывает, почему упомянутые в Библии горы (гора) Арарат не могут быть отождествлены с армянским Масисом.

Древнееврейский текст Книги Бытия сложился, как известно, из разновременно составленных произведений, в сохранившейся форме записанных скорее всего в VII—VI вв. до н. э. Ныне хорошо известно, что знаменитый миф о всемирном потопе, вошедший в состав этой книги, восходит к месопотамским преданиям, которые в свою очередь имеют источником шумерский эпос. Однако в древнееврейской среде данные сказания были переработаны, так что они уже во многом отличались от шумеро-вавилонского оригинала. Тем не менее шумерские

истоки сказаний о потопе очевидны, к тому же за пределами Месопотамии они созданы быть не могли . В соответствующем месте Книги Бытия мы читаем: „В седьмом месяце в семнадцатый день месяца остановился ковчег на горах Араратских". Следовательно, речь идет не об одной горе, а о совокупности гор. Если поставить себя на место жителей северной Месопотамии (Ассирии), то очевидно, имелись в виду горы, расположенные на север от этой страны. Эта горная страна — северный сосед Ассирии и ее постоянный противник — именовалась у ассирийцев Урарту. И не случайно в одной из рукописей, найденных у Мертвого моря, обнаруживается вместо Арарат Урарат. Видимо, это название в ассирийский период прилагалось ко всему обширному нагорью вокруг озера Ван, которое позже, с арменизацией Урарту, получило название Армянское нагорье. Именно с южными отрогами этих гор и был связан в ассирийский период старый месопотамский миф о потопе .

Когда армянские переводчики старшей школы в V в. н. э. стали переводить Библию на древнеармянский язык, они, несомненно, столкнулись с вопросом, что же это за горы Арарат (в Септуагинте, с текста которой переводилась древнеармянская Библия, стоит именно эта форма). Если бы в их времена место, где пристал ковчег к суше, связывалось с Масисом, армянские переводчики вместо Араратских гор поставили бы именно Масис. Но они этого не сделали и оставили термин оригинала — Араратские горы. Итак, в то время в Армении Масис с библейскими Араратскими [64] горами не связывали, что, впрочем, характерно и для комментаторов Библии тогда в целом. Еще в I в. н. э. известный иудейский историк Иосиф Флавий, комментируя соответствующее место из Библии, отмечал, что горы Араратские — это Кордиенские горы, т. е. горный хребет, непосредственно примыкающий с севера к Месопотамской равнине.

Следовательно, и тогда никто из толкователей Библии не пытался искать Араратские горы в далеких отрогах Малого Кавказа...

Итак... можно заключить, что анализ древнеармянского текста Библии в сочетании с другими источниками лишний раз подтверждает, что Араратские горы Библии и гора Масис, которую мы теперь знаем под таким же названием, — понятия различные. Отождествление же их, по-видимому, сложилось позже.

მსგავსად ბერძნული და ლათინური ტექსტებისა, მართებულია მათი რუსული თარგმანი:

(Бытие 8. 4.): «И остановился ковчег в седьмом месяце, в семнадцатый день месяса, на горах Араратских».

1989 წლის ბიბლიის საქართველოს საპატრიარქოს გამოცემაში მეორდება იგივე ტექსტი, უზუსტესი თარგმნით:

(დაბადება 8.4.): „მეშვიდე თვეს, თვის მეჩვიდმეტე დღეს არარატის მთებს მიადგა კიდობანი".

ხოლო 2002 წლის სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის ქართულ გამოცემაში ვკითხულობთ:

(დაბადება 8. 4): „და დაესვენა კიდობანი არარატის მთაზე მეშვიდე თვის მეჩვიდმეტე დღეს“.

განსხვავება ბიბლიის ქართულ ტექსტების შინაარსებს შორის უმნიშვნელოვანესია; ანუ ფრაზა „დაესვენა კიდობანი არარატის მთაზე“ გვამცნობს, რომ კიდობანი ურარტუს გამორჩეულად იმ მთის კენწეროზე დაეშვა, როგორც ეს ჰაიკთა სახელმწიფო გერბზეა წარმოდგენილი, რომელსაც შეცდომით უწოდებენ არარატის მთას. გაეცანით ჰაიკთა სახელმწიფო გერბს, რომლის ცენტრში გამოსახულ მასისის მთის მწვერვალზე ნოეს კიდობანია დასვენებული და მთის გარშემო კი ზღვის ტალღები ლივლივებენ.

განსხვავებით ჰაიკური პროპაგანდისა, ჭეშმარიტი ბიბლიური ფრაზა -- „არარატის მთებს მიადგა კიდობანი“ გვიხსნის, რომ კიდობანი არარატის (ურარტუს) ქვეყნის სამხრეთ მთიანეთს (ქურთისტანის მთიანეთს) მხოლოდ მიადგა და რა ხედვაც ისტორიული რეალობაა.

ებრაელთა ელექტრონულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ:

АРАРАТ (Урарту), название страны и гор, упомянутых в Библии. В двух местах говорится, что сыновья Санхерива после убийства своего отца бежали в страну Арарат (II Ц. 19:37 и Ис. 37:38). Согласно Быт. 8:4, Ноев ковчег остановился на горах Араратских. Некоторые отождествляют их с горой Масис, высочайшей вершиной в Армении. В арамейском и сирийском переводах библейского сказания о потопе в качестве места остановки ковчега указаны Турэ-Карду („горы Курдистана“) к юго-востоку от озера Ван... **Точное местоположение библейского Арарата современной библеистикой не установлено**.

რას ნიშნავს ჩვენს შემთხვევაში „ისტორიული რეალობა“: – ებრაელებმა ბიბლიის შემადგენელი წიგნების უმრავლესობა VI საუკუნეში ბაბილონის ტყვეობის ჟამს შექმნეს, ანუ ისინი ბაბილონში გაეცნენ წარღვნის შუმერული ლეგენდის აქადურ-ასურულ ვერსიებს და რის საფუძველზეც შეიქმნა წარღვნის შემდგომი ებრაელური ვარიანტი. შუამდინარეთის დაბლობზე მაცხოვრებელ ბაბილონელთათვის და შესაბამისად ბაბილონში მყოფი ებრაელებისთვისაც, მთიანი მხარე ეს იყო მეზობელი ურარტუს,

იგივე არარატის სამხრეთი მთიანეთი, თანამედროვე ქურთისტანის მთები, რომელ მხარესთანაც მათ მუდმივი ურთიერთობები გააჩნდათ.

ბიბლიის ებრაელმა ავტორებმა ბაბილონის მეზობლად მთებში (და არა მთაზე), ანუ ურარტუს მთიანეთში კიდობანი იმიტომ დაუშვეს, რომ ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არა ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ შუმერული მითოლოგიის მიხედვით მათთვის სასურველ ლეგენდას ქმნიდნენ, მათი რეალისტური წარმოდგენით, წარღვნის შემდგომ წყლის დაწრეტის პერიოდში წყლის ზედაპირზე ჯერ ამაღლებული ანუ მთიანი მხარეები გამოჩნდებოდნენ და შესაბამისად წყლის ზედაპირზე მოტივტივე კიდობანი ამ შემაღლებულ ადგილებს მიადგებოდა. ასევე მათი, იგივე რეალისტური გათვლით, უამრავი ცხოველებითა და ფრინველებით დატვირთული კიდობანი ვერც მთის წვერზე და ვერც მის ფერდობებზე, ანუ მთის კენწეროზე ვერ შეჩერდებოდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად ის მთებს შუა სივრცეში, ხევში მაინც უნდა გაჭედილიყო. წარმოიდგინეთ, როგორც ეს ჰაიკთა სახელმწიფო გერბზეა გამოსახული, მასისის მთის კენწეროზე წამოსკუპული ხომალდიდან როგორი ფორთხვა ფორთხვით ეშვებიან დაბლობისკენ სპილოები, ბეგემოტები, ჟირაფები, მარტორქები, აქლემები, კამეჩები, ძროხები... ამიტომაც დაუშვეს ბიბლიის ავტორებმა კიდობანი მთებში, მთებს შუა და არა კონკრეტულად რომელიმე მთაზე. მეორე მიზეზი კი ის მიზანი გახლავთ, რომ ბიბლიის ავტორებს ნოე და მისი ოჯახი ამ მთიანეთიდან იქვე მეზობლად მდებარე თანადროული მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, ზიქურათების მაღალი შენობებით დამშვენებულ ბაბილონში უნდა გადმოეყვანათ ბიბლიის ერთერთი ძირითადი თემის – ბაბილონის გოდოლის შესაქმნელად. ვინაიდან ბაბილონის სამეფოს ტერიტორიაზე არ არსებობდა მაღალი მთები, ბიბლიის ავტორებმა წარღვნის თემის ობიექტად იქვე ბაბილონის ჩრდილო აღმოსავლეთით აღმართული, დღეს ქურთისტანის მთიანეთად წოდებული არარატის, ურარტუს მთიანეთი შეარჩიეს.

ბიბლიის ბაბილონის გოდოლის ლეგენდის შექმნა შემდეგმა ისტორიულმა რეალობებმა განაპირობეს. როცა ებრაელთა ნაწილი ნაბუქოდონოსორმა ბაბილონში გადმოასახლა, ის აწარმოებდა ასურელთა მიერ დანგრეული გრანდიოზული, 91 მეტრის სიმაღლის, აგურებით ნაშენი, ბიბლიური გოდოლის პროტოტიპის, ზიქურათის აღდგენით სამუშაოებს და მხოლოდ 40 წლის შრომის შედეგად მოხდა მისი სრული რეაბილიტაცია. როგორც იკითხება, ზიქურათის ნანგრევებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ებრაელებზე და რაც აისახა კიდეც ბიბლიის ბაბილონური გოდოლის ლეგენდაში. ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ აგური პირველად შუმერებმა გამოწვეს; ასევე, გარდა იმ ცოდნისა, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ენა მეტნაკლებად შუმერული მეტყველების გავლენას განიცდის, აქ ბაბილონში გაეცნენ ებრაელები შუმერთა რწმენას, რომ საწყისში მთელი სამყარო ერთ ენაზე მეტყველებდა. შუმერული ტექსტი გვამცნობს:

„მთელი სამყარო, მორჩილი ხალხი,
ენლილს ერთ ენაზე ადიდებდა“.

აქვე აღსანიშნავია, რომ ცნობილი ბიბლიური ფრაზა: „პირველად იყო სიტყვა“ ბიბლიის ეგვიპტური ნასესხობაა (ანდრეი ზუბკოვი -- ეგვიპტოლოგი).

აი ამ შუმერულ-ეგვიპტურ სამყაროს ცოდნის შედეგია ებრაელური:

„**დაბადება.** ბაბილონის გოდოლი

11 და ჰქონდა მთელ ქვეყანას ერთი ენა და ერთი სიტყვა.

2 და როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან [არარატის, იგივე ურარტუს სამხრეთი ტერიტორიიდან ჯ.კ.], შინყარის [ბაბილონის ჯ.კ.] ქვეყანაში ჰპოვეს ველი და დამკვიდრდნენ იქ.

3 და თქვეს: „მოდი, გავაკეთოთ აგურები და გამოვწვათ ცეცხლში. და ჰქონდათ აგური ქვის ნაცვლად და ფისი –კირად“.

4 და თქვეს: „მოდი, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, რომლის თავიც ზეცას მიწვდება. და ასე შევიქმნათ სახელი, ვიდრე გავიფანტებით მთელი ქვეყნის პირზე“.

როგორც მოგეხსენებათ, ბაბილონის ველებზე აღმართულ ბიბლიურ ბაბილონის გოდოლს, ზიქურათს უკვე არა ასურელები ანგრევენ, არამედ მის მშენებლობას უკვე თავად ღმერთი აჩერებს.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ტექსტის მიხედვით „დაიძრნენ აღმოსავლეთიდან“ თავისთავად გულისხმობს ქურთისტანის მთიანეთს, ვინაიდან ეს მთიანეთი ბაბილონიდან აღმოსავლეთით მდებარეობს, ხოლო მასისის მთა ბაბილონის დასავლეთითა აღმართული.

ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ნოვოსელცევის განმარტებითაც სახელწოდება მთისა მასისი ირანული და არა ჰაიკური წარმომავლობისაა:

В древнеармянских же памятниках эта гора именуется Масис или „мегс Масис" — „большой Масис“. Название это, однако, не армянское, а, по-видимому, иранское и само по себе означает „великий, большой“, в смысле высочайшая (гора), так как по-среднеперсидски „масист" — „самый большой“ .

ამრიგად, კეთდება დასკვნა, რომ ირანული წარმომავლობის სახელწოდების მასისის მთის ბიბლიურ არარატად მოხსენიება ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს მოკლებული სერიოზული შეცდომაა.

ბიბლიის მიხედვით არარატის (ურარტუს, და არა ჰაიასტანის) მთები ეს დღევანდელი ქურთისტანის მთიანეთია და განკერძოებით არარატის მთა ბუნებაში არ არსებობს. ანუ როგორც არსებობს კავკასიის მთიანეთი (ქედი) მაგრამ განცალკევებით მთა კავკასია არ არსებობს. ეს მცდარი მცნება „არარატის მთა“ უნდა ვიგულისხმოთ ჰაიკებმა მოგვიანებით შეთხზეს და მსოფლიოსაც თავს მოახვიეს; ისევე როგორც ისტორიული არმინიის (ურარტუს) მთიანეთს დღეს საბჭოთა ისტორიოგრაფია შეცდომით არმენიის, ანუ იგივე ჰაიასტანის, ქართულად სასომხეთის მთიანეთის გაგებით მოიხსენიებს.

რაც შეეხება ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრის სახელწოდებას **კავკასია**, მსგავს სახელწოდებას ვაწყდებით ჰეროდოტესთან, რომლის მიხედვითაც **კავკასა** (Καύκασα) ეწოდებოდა ადგილს ქიოსის სამხრეთ ნაპირზე. თავად ქიოსი წარმოადგენდა იონიელებით დასახლებულ კუნძულს ეგეოსის ზღვაში.

(ქ.ს.ე. V 196): „იონიელები (ბერძ. **Iōnes**) ერთ-ერთი ძველი ბერძნული ტომი. ცხოვრობდნენ ატიკაში და კუნძულებზე: ევბეაზე, ქიოსზე, სამოსზე, ნაქსოსსა და სხვ. დორიელების შემოსევების შემდეგ მცირე აზიის სანაპირო ზოლი დაიკავეს, მოგვიანებით კი – შავი და მარმარილოს ზღვის სანაპიროებიც. ხშირად „იონელებს“ (ბიბლიის მიხედვით იავანი) უწოდებდნენ საბერძნეთის მოსახლეობას მთლიანად. იონიურ დიალექტზე შექმნილია მდიდარი ლიტერატურა: ჰომეროსის პოემები, ჰეროდოტეს თხზულებები, ლირიკა, პოეზია და მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი“.

ეს ცნობა არ ნიშნავს იმას, რომ ტერმინი **კავკასა** (Καύκασα) მაინცადამაინც ბერძნული წარმომავლობისაა, არამედ იმას, რომ ტერმინი კავკასია არ უნდა წარმოადგენდეს აბორიგენულ სახელწოდებას და იგი ვრცელ არეალს მოიცავდა.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ტერმინი **სპარსეთი,** მსგავსად სახელწოდებებისა არმენია, ალბანეთი, იბერია ასევე ბერძენთა მიერ დამკვიდრებული ისტორიული **ირანის** სახელწოდებაა, ხოლო ირანელი ხალხის სურვილია მათი ქვეყანა არა ბერძნული **სპარსეთი**-თ, არამედ აბორიგენული სახელწოდება **ირანი**-თ მოვიხსენიოთ. ამდენად,

გამომდინარე ტექსტის შინაარსიდან, ისტორიულ ირანს ჩვენ ხან სპარსეთად და ხან ირანად მოვიხსენიებთ. ასევე კავკასიის სამხრეთით განფენილი არმინიის მთიანეთი, როგორც ტერიტორია, როგორც გეოგრაფიული მცნება, მუდამ ობიექტური ისტორიული სახელწოდებით **არმინია**-დ უნდა მოვიხსენიოთ და არა ბერძნული **არმენიე**-დ; ხოლო ამ დიდი ტერიტორიის ნაწილზე მაცხოვრებელ ჰაიკებს შეიძლება ეწოდოს როგორც თვითსახელწოდება **ჰაიკები**, ასევე ზოგადი ბერძნული **არმენიელები** და შესაბამისად მათ ქვეყანას როგორც საკუთრივ **ჰაიასტანი**, ასევე ზოგადი ბერძნული **არმენია**. „ზოგადი ბერძნული" იმის შეხსენებაა, რომ საწყისში ბერძნული ტერმინი **არმენი, არმენიელი** აღნიშნავდა არა ჰაიკს, არამედ ზოგადად ურარტუელთა გაერთიანების წევრს, მთიელს და მან განცალკევებით ჰაიკის შინაარსი მოგვიანებით შეიძინა, ისევე როგორც სახელწოდება პონტო საწყისში მხოლოდ შავ ზღვას აღნიშნავდა, ხოლო მას შემდეგ რაც მის სამხრეთით წარმოიქმნა **პონტოს** სამეფო, მათ მკვიდრებს ეწოდათ **პონტოელები**, თუმცა გეოგრაფიულად **პონტოელია** ყოველი შავი ზღვის (**პონტოს**) ნაპირზე მაცხოვრებელი ერი.

ქართლი და ჰაიასტანი

უკეთ რომ გავიაზროთ თუ რა ისტორიულმა გარემოებამ წარმოშვა ,,ქართლის ცხოვრების“ შექმნის იდეა, ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, აღვიდგინოთ მისი ერთ-ერთი ავტორთაგანის, ვახტანგ მეხუთის (და არა მეექვსის) დროინდელი სრულიად საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის სურათი.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 198): ,,1587-1594 წლებში სამცხე-საათაბაგოში ოსმალობა დამყარდა. სულთნის ბრძანებით ქვეყანა აღწერეს. მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური წესები შემოიღეს... ამ დროიდან დაიწყო სამხრეთ საქართველოს ,,გათათრება“, ეს პროცესი ერთი ან ათეული წლების ამბავი არ ყოფილა... მე-16 საუკუნის მიწურულში დაწყებული ეს პროცესები მე-19 საუკუნის დასაწყისსაც დასრულებული არ ყოფილა. ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მის ეროვნულ, კულტურულ შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა“.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 224): ,,მე-17 საუკუნეში... დასავლეთ საქართველო ასევე თანდათანი დაცემის გზით მიდიოდა... გაიზარდა სამთავროების განცალკევება და განკერძოება. სამთავროთა შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიში, რომლის მთავარი ლევან მეორე დადიანი (1611-1657) ხელმწიფობას იჩემებდა და თავისი სახელმწიფოს ქვეშ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასაც ლამობდა... ომები გამარჯვებულს იმდენად არ აძლიერებდა რამდენადაც დამარცხებულს ანადგურებდა... მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე აფხაზთა მთავარმა, გურიელმა და დადიანმა, ხოლო უფრო გვიან იმერეთის მეფემაც, იკისრეს ოსმალთა ყოველწლიური ხარკი“.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 22): ,,ბოლომოუღებელი ურთიერთთავდასხმები სავსებით აჩანაგებდა მშრომელ მოსახლეობას. მძვინვარებდა გამანადგურებელი ტყვის სყიდვა. ტყვის მსყიდველმა ბრბოებმა მოიცვეს არა მარტო განაპირა ადგილები, არამედ შიგნითა რაიონებიც... ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართველოში საშიშარი ხასიათი მიიღო“.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 226): ,,1677 წლიდან ამ საუკუნის დასასრულამდე ირანის შაჰი კახეთს სამმართველოდ ან განჯის ბეგლარ-ბეგებს ან ცალკე ხანებს აძლევდა... ხანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამხედრო ძალასა და მოახალშენე თურქმანებს ემყარებოდნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში – ჭარში... გაძლიერდა ლეკთა შემოსევა მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. დაღესტნელები ჭარელებთან ერთად მუდამდღე არბევდნენ კახეთის სოფლებს... კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა“.

შედარებითი მშვიდობა სუფევდა ქართლში როდესაც იქ ვახტანგი (1675 – 1737 წ.წ.) სპარსეთის შაჰმა ჯერ გამგებლად (1703 – 1714 წ.წ.) და შემდგომ, ფორმალურად გამაჰმადიანებული ვახტანგი მეფედ (1716 – 1724 წ.წ.) დანიშნა.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 228): ,,ქართლის სამეფო ტახტზე ერეკლე პირველი ვახტანგ მეექვსემ შეცვალა. ვახტანგის მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვახტანგი არ შეხებოდეს... ქართლი ვახტანგის დროს ეკონომიურად კიდევ უფრო დაწინაურდა. თვით ვახტანგი ამ მხრივ ენერგიულად მუშაობდა. მან ხელახლა დაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ დაცლილ სოფლებსა და მხარეებში, ააგო სასახლეები, ქარვასლები. ვახტანგი ზრუნავდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენახვაზე, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ფულის მოჭრის საქმის გაუმჯობესებაზე. ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილი სარწყავი არხები... ქართლის სამეურნეო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა...

ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხრით ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილს დიდად წინ უსწრებდა... 1709 წელს თბილისში პირველად მოეწყო სტამბა... ვახტანგის სტამბაში საეკლესიო წიგნების გვერდით საერო ხასიათის წიგნების ბეჭდვაც დაიწყეს. ბეჭდავდნენ ,,ვეფხისტყაოსანს“, სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო თხზულებებს“.

თქვენს თვალწინ გადაიშალა ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფიის მიერ წარმოდგენილი XVII—XVIII საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრება, რომელშიც ვახტანგ მეხუთეს (და არა მეექვსეს) მოუწია მოღვაწეობა. საქართველოს სპარსეთი და ოსმალეთი განაგებენ. გამაჰმადიანებული სამცხე-საათაბაგო, ქვეყნის მესამედი, მოწყვეტილია სამშობლოს. დამოუკიდებელ სამთავროებად დაშლილი საქართველოს დასავლეთი შინაომებითაა დაუძლურებული. ქვეყანა ტყვეებით ვაჭრობამ ისე წალეკა, რომ ვახტანგი იძულებულია ქართლშიც აკრძალოს ტყვეთა სყიდვა. კახეთში ლეკიანობაა... და შექმნილ ვითარებაში აღმავლობის გზაზე დამდგარი ქართლის სამეფო კარის მცდელობა საქართველოს ერთიანობის აღდგენისა, სავალდებულოც გახლდათ.

ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის ამ არასასურველი პერიოდის ძირითად გაუსაძლისობას ის დამთრგუნველი რეალობა შეადგენდა, რომ საქართველო ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით გარშემორტყმული იყო მუსულმანური ქვეყნებით. ქრისტეანული ჰაიასტანი, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული კავკასიის სამხრეთით არ არსებობდა და გარდა ამისა მონოფიზიტური ჰაიასტანი არასდროს არ წარმოადგენდა დიდ ნუგეშს მართლმადიდებლური საქართველოსთვის. დასავლეთით, ევროპასთან დამაკავშირებელი შავი ზღვა, თურქული ფლოტის მიერ იქნა გადაკეტილი და საქართველო, ეს ბიზანტიური სამოთხე, სრულად მოწყდა ქრისტეანულ სამყაროს. კათოლიკე ბერების მისიონერული მოღვაწეობა ამინდს ვერ ქმნიდა.

ქართველთათვის ასეთ გამეფებულ უიმედობაში, კავკასიის ჩრდილოეთით, იკვეთება რუსეთის ძლიერი ქრისტეანული სახელმწიფოს ინტერესები კავკასიის მიმართებით. რუსეთი თავის თავს მესამე რომს უწოდებს და ქრისტეანულ სახელმწიფოთა დამცველად გვევლინება. დაწყებული ივანე მეოთხედან (1530 – 1584 წ.წ.), რუსეთი საქართველოსთან კონტაქტებს ამყარებს და ქართველები ერთმორწმუნე რუსეთიდან შველას ელიან.

(**ილია ტაბაღუა** II 30): „1971 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემულ ორტომეულში ნათქვამია, რომ 17-ჯერ ჰქონდა ადგილი ელჩობის გაცვლა-გამოცვლას რუსეთის ხელმწიფეებსა და იმ ქართველ მეფეებს შორის, რომლებიც სხვადასხვა დროს მართავდნენ კახეთს – 1564 – 1605 წ.წ.“.

(**ილია ტაბაღუა** II 31): „რუსეთის წინსვლას სამხრეთისაკენ... მხარს უჭერდნენ ჩრდილო კავკასიაში ყაბარდოს მთავრები, ხოლო კავკასიის ქედის სამხრეთით კი კახეთის მეფეები, კერძოდ ალექსქნდრე II, ხოლო მოგვიანებით – თეიმურაზ I“.

(**ილია ტაბაღუა** II 18): „კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ინიციატივით მოსკოვში გაიგზავნა საქართველოს ექვსი სამეფო-სამთავროს წარმომადგენელთა ელჩობა (1615 წ,)... არქიეპისკოპოსი თეოდოროსი თეიმურაზის დავალებით – რუსეთში (1618 წ.)... სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის ელჩობა მოსკოვში (1636 წ.)“.

ევროპელებიც საქართველოს რუსეთთან კავშირისკენ უბიძგებდნენ.

(**ილია ტაბაღუა** III 26): „[ქართლის მეფე სიმონ I (1558—1600)] არაერთხელ შეეცადა დაემყარებინა ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან (ესპანეთი, ავსტრია, ვატიკანი და სხვ.), მიეღო მათგან დახმარება და მათთან ერთად ებრძოლა თურქეთის წინააღმდეგ. დასავლეთიც (მაგალითად, გერმანიის იმპერატორი რუდოლფ II) ეძებდა სიმონთან კავშირს თურქეთის წინააღმდეგ.

თავისი მეფობის პირველ პერიოდში სიმონ მეფემ სცადა დაემყარებინა კავშირი რუსეთთან. ამ მიზნით იგი შეეცადა გამოეყენებინა ენტონი ჯენკინსონი, ინგლისის დედოფლის – ელისაბედის დესპანი, ინგლისის სავაჭრო კომპანიის აგენტი მოსკოვში...

„შემახაში ჩემი ყოფნის დროს, -- წერს ე. ჯენკინსონი – ჩემთან მოვიდა საქართველოს მეფის მიერ გამოგზავნილი ერთი სომეხი ვაჭარი, რომელმაც მომახსენა [სიმონ] მეფის სავალალო მდგომარეობა, რომ იგი მოქცეულია მკაცრ და უძლიერეს მბრძანებლებს შორის – თურქეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს შორის და ეწევა განუწყვეტლივ ომს მათ წინააღმდეგ“.

სიმონ მეფემ სომეხი ვაჭარი გაგზავნა ე. ჯენკინსონთან რჩევის მისაღებად: „როგორ შეეძლო მას თავისი ელჩი გაეგზავნა რუსეთის იმპერატორთან" და რა აზრისაა ამის შესახებ ე. ჯენკინსონი: „შეუძლია თუ არა მას [რუსეთის იმპერატორს] აღმოუჩინოს დახმარება სიმონ მეფეს?“ ვინაიდან სიმონ მეფეს პირდაპირ რუსეთში თავისი ელჩის გაგზავნის ეშინია.

ე. ჯენკინსონმა სიმონ მეფეს ზეპირად გადასცა პასუხი. „მეც, -- წერს ე. ჯენკინსონი, -- ასევე ზეპირად ვუპასუხე მეფეს და არა მარტო დავარწმუნე იგი, გაგზავნოს თავისი ელჩი რუსეთში, არამედ შევუთვალე: ეჭვი არ მეპარება, რომ იგი [სიმონ მეფე] ჰპოვებს მასში [რუსეთის მეფეში – საუბარია ივანე მრისხანეზე ჯ.კ.] ყველაზე უფრო კეთილშობილ მეფეს, რომელიც მზად იქნება დაეხმაროს მას“.

აი ასეთ ვითარებაში, რუსეთთან კავშირის მაძებარ ქართლის სამეფო კარზე მოკავშირეებად ჩნდებიან ჰაიკი ეპისკოპოსები. ჰაიკებს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნდათ. ჰაიკებმა კავკასიის სამხრეთით სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზნით მოღვაწეობა, ქართველებზე ბევრად ადრე, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ დაიწყეს. თუ რა კავშირი გააჩნია

ბიზანტიის დაცემას ჰაიკთა სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილთან, გავიხსენოთ ჩვენი ცოდნა, რომ:

„1453 წ. 29 მაისი ქრისტეანული სამყაროსათვის ტრაგიკული დღეა – ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ბიზანტია დაეცა... პაპი პიო II ჯვაროსნული ომების ორგანიზებას იწყებს კონსტანტინეპოლის უკან დასაბრუნებლად. პაპის ელჩები მოსალაპარაკებლად საქართველოსაც ესტუმრნენ“.

ვატიკანმა ელჩები მხოლოდ საქართველოში არ გამოაგზავნა, იწყება მთელი ქრისტეანული სამყაროს მობილიზება ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობების მოსაწყობად. ანუ თურქეთსა და ევროპას შორის დაიწყო ხანგრძლივი ვადით დაპირისპირება. აი ეს ისტორიული ვითარება აღვიძებს ჰაიკებში იმედს, რომ გაიმარჯვებს ქრისტეან ევროპელთა კოალიცია, ჰაიკები მოიპოვებენ ევროპელთა კეთილგანწყობას და მათი დახმარებით აისრულებენ მრავალსაუკუნოვან ოცნებას – კვლავ იხილოს მსოფლიომ დამოუკიდებელი ქრისტეანული ჰაიასტანი. ჰაიკებს იმედს ევროპელთა დახმარებაზე, მათი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის საქმეში, თავად ჰაიკთა წარსული კილიკიური ისტორიული გამოცდილება აძლევდა.

კვლავ გავიმეოროთ, რომ ალბანეთი, არმენია, იბერია განეკუთვნებიან ელინისტურ სახელმწიფოთა იმ რიგს, რომლებიც ძვ. წ. III საუკუნიდან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ განადგურებული სპარსეთის იმპერიის ტერიტორიის ნანგრევებზე წარმოიქმნენ. ძვ. წ. III საუკუნიდან ისტორიულ ტერიტორია არმინია-ს ერთ-ერთ მხარეში დაიწყო ჰაიკი ერისა და მათი სახელმწიფოს, ჰაიასტანის ჩამოყალიბება და რომლის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაც 428 წლიდან შეწყდა. ჰაიასტანი ჯერ კიდევ 371 წელს ირანმა თავის სატელიტ ქვეყნად აქცია.

(**Норвич** 53): «В 371г. Шапур низвел Армению до статуса сателита».

387 წელს ჰაიასტანი ბიზანტიამ და ირანმა გაიყვეს. ჯერ ბიზანტიამ 391 წელს დასავლეთ ჰაიასტანში და შემდგომ ირანმა 428 წელს აღმოსავლეთ ჰაიასტანში გააუქმეს ეროვნული ხელისუფლება.

(**გურამ მაისურაძე**): „ირანელები, რომელთა ხელში სომხეთის 4/5 აღმოჩნდა, თავიანთი მთავარი მეტოქის, ბიზანტიის გავლენის შესასუსტებლად შეუდგნენ ქრისტიანთა დევნას და შეეცადნენ ზოროასტრული რელიგიის გავრცელებას სომეხთა შორის. ამავე მიზნით, კრძალავდნენ ბერძნული ენის ფუნქციონირებას და აძლიერებდნენ სირიული ენის პოზიციებს, რომელიც სპარსეთში ქრისტიანთა ენად იყო მიღებული. მფარველობდნენ და სომხურ ეკლესიაში აწინაურებდნენ სირიელ სამღვდელო პირებს. შაჰინშაჰის განსაკუთრებული მფარველობის პირობებში სელევკიის სირიელი კათალიკოსი თავს უკვე მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანთა მეთაურად გრძნობდა და მიისწრაფოდა რა ასეთი მდგომარეობის მოსაპოვებლად, თავის ტიტულატურაში სომხეთის გარდა საქართველოცა და ალბანეთიც შეიტანა. ამის საპირისპირო ვითარება იყო შექმნილი დასავლეთ სომხეთში, სადაც სახელმწიფო და საეკლესიო ენად მხოლოდ ბერძნული იყო მიღებული“.

XI საუკუნეში ხდება ჰაიკთათვის ისტორიული თვალსაზრით გამორჩეული მოვლენა და ჰაიკები არმინიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კილიკიაში აარსებენ ჰაიკთა კილიკიურ სახელმწიფოს.

კილიკიაში ჰაიკური სახელმწიფოს წარმოქმნა ბიზანტიურ-ჰაიკური ერთიანი პროექტის შედეგია. დაწყებული არაბთა შემოსევებიდან, კილიკია მუდამ წარმოადგენდა საბრძოლო ასპარეზს ქრისტეანულ ბიზანტიასა და მუსულმანურ სამყაროს შორის; მაგალითად:

(Норвич 198): «831 г. Феофил освободил занятую мусульманами Киликию».

(Норвич 264): «В начале 962 г. византийцы отвоевали не менее пятидесяти пяти городов-крепостей в Киликии».

XI საუკუნისთვის ბიზანტიელები გადაწყვეტენ კილიკიაში მუსლიმთა ნაცვლად ქრისტეანი ჰაიკები დაასახლონ. ამ იდეის ავტორები ბიზანტიის მმართველი ჰაიკური წარმომავლობის მაკედონიელებად წოდებულ იმპერატორთა ოჯახია. საქმე იმაშია, რომ 867 წლიდან ბიზანტიის იმპერატორი ხდება ეროვნებით ჰაიკი ვასილი მაკედონიელი (ვასილ I). მისი დინასტიის მმართველობა მოიცავდა 867—1057 წლებს. ჰაიკთა კილიკიაში გადმოსახლების იდეის განხორციელება დაიწყო ჰაიკური წარმომავლობის ბიზანტიის იმპერატორის ვასილი II ბულგართშემმუსვრელის მმართველობის პერიოდში (976—1025) და 1080 წელს ჰაიკებმა კილიკიაში დაარსეს მცირე ჰაიასტანი (მცირე არმენია). 1137 წელს კი უკვე ბერძნული წარმომავლობის ბიზანტიის იმპერატორმა იოან კომნინმა კილიკიის მცირე ჰაიასტანის წინააღმდეგ გაილაშქრა.

(Норвич 380): «История армянского поселения в Киликии, регионе, протянувшемся от южного побережья Анатолии до гор Тавр... восходит к XI в., когда Василий II и его преемники предложили армянским князьям обширные территории от Севастии до Евфрата. Около 1070 г. начало понемногу осуществляться переселение из армянского высокогорья, отличавшегося суровыми климатическими условиями, в более теплые и плодородные области юга... это переселение сделалось сравнимым с настоящим половодьем. и появился ряд полунезависимых княжеств. Но они не просуществовали долго – были ликвидированы государствами франко-крестоносцев. И все же одно семейство оказалось достаточно хитрым и изворотливым. чтобы остаться на плаву. Некий Рубен основал свою резиденцию в горах Тавр в 1071 г. Его внук Лев в 1129 г. встал у руля государственного образования, в те времена носившего иазвание Малая Армения, и три года спустя приступил к осуществлению амбициозной экспансионисткой программы. Однако ранней весной 1137 г. он получил известие, что Иоанн Комнин выступил против него в поход.

Император привел собой не только старую испытанную армию, но также несколько новых отрядов, в составе которых находились печениги, турки и, возможно, даже армяне -- дело втом, что Рубениды были не более популярны среди соплеменников, чем крестоносцы. Лев не сдался, но отошел с двумя сыновьями в глубь Тавра, Иоанн не стал преследовать его, а повел войска через города Исс и Александретту и 29 августа выстроил свою армию перед Антиохией».

ამრიგად, ჰაიკური წარმომავლობის ბიზანტიელმა დიდებულებმა ჰაიკები მოიწვიეს კილიკიაში, ხოლო ბერძნული წარმომავლობის იმპერატორი იოანე კომნინი ებრძოდა ჰაიკთა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნის დამოუკიდებლობას კილიკიაში. კილიკიის უკანასკნელი ჰაიკი მეფე ლეონ VI მამლუქებმა 1375 წელს დაატყვევეს, კაიროში გააგზავნეს და კილიკიის ჰაიკურმა სახელმწიფომაც შეწყვიტა არსებობა.

ჰაიკთა სამეფომ კილიკიაში იარსება 1080—1375 წლებში, ხოლო ეს პერიოდი ემთხვევა 1096—1270 წლებში წინა აზიაში მიმდინარე ჯვაროსნული ლაშქრობათა პერიოდს. ვინაიდან კილიკია უშუალოდ ესაზღვრებოდა ქრისტეანული რელიგიის ერთერთ ცენტრს – ანტიოქიას, შეიძლება ითქვას, რომ თავად კილიკია და შესაბამისად მასში მაცხოვრებელი ჰაიკები ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. ჯვაროსანთა გაერთიანებულმა რაზმებმა კილიკია ორჯერ, პირველი და მესამე

ლაშქრობის წლებში გაიარეს და საფიქრალია ამას გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა კილიკიის დემოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ვიკიპედიაში ვკითხულობთ:

Армии западноевропейских христиан прошли по Анатолии и Килиии на пути в Иерусалим. Армяне в Киликии получили мощных союзников среди франкских крестоносцев, лидер которых, Годфри де Бульон, считался спасителем для армян.

ამრიგად, ჰაიკები შესანიშნავად ერკვეოდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობათა არსში, ანუ მათ იცოდნენ, რომ ჯვაროსნები ლაშქრობათა შედეგად დაპყრობილ ტერიტორიებზე აარსებდნენ ახალ ქრისტეანულ სამეფოებს. მათი სურვილი იყო გამოეყენებინათ შექმნილი სიტუაცია თავიანთ სასარგებლოდ და კვლავ აღედგინათ ჰაიკთა სამეფო, მხოლოდ ბევრად დიდ, ადრე არასდროს არარსებულ მასშტაბებში.

ბიზანტიის დაცემის შემდგომ ჯვაროსნული ლაშქრობა წინა აზიის ტერიტორიაზე ვერ შედგა იმიტომ, რომ თავად თურქებმა წარმატებით შეუტიეს ევროპელებს საკუთარ ტერიტორიაზე და უკვე უშუალოდ ევროპა აღმოჩნდა დიდი საშიშროების წინაშე. ანატოლიაში (მცირე აზიაში) პირველად მე-11 საუკუნეში შემოჭრილი თურქები მე-14 საუკუნიდან განაგრძობენ წარმატებულ დაპყრობით ომებს. თურქი ოსმან პირველის სახელიდან წარმომდგარი ოსმანთა იმპერია XV—XVI საუკუნეებში ეუფლება აზიის, ჩრდილო აფრიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიებს. ევროპას მიეზღო იმ უგუნური პოლიტიკისთვის რომელსაც ისინი ევროპის სამხრეთი საზღვრების დამცველი ბიზანტიის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. ბიზანტიის დაცემის ავტორები ფაქტიურად ევროპელები გახლდნენ და ამათგან ბიზანტიის წინააღმდეგ გამორჩეულ მებრძოლს ვენეცია წარმოადენდა. ვენეციელებმა ამ პოლიტიკით ის მოიგეს, რომ ბიზანტიის დაცემის შემდგომ, ხმელთაშუა ზღვაზე თურქეთის ფლოტის გაძლიერების შედეგად ვენეციაში ჩაკვდა ვაჭრობა და ვენეციის ამაყი და ვერაგი რესპუბლიკა თანდათანობით ხმელთაშუა ზღვის სივრცის რიგით ქალაქად იქცა.

თუ ოსმანთა იმპერიას 1453 – 1614 წლებში ძლიერების ხანა უდგას, 1614--1757 წლები იმპერიის დაშლის პერიოდს წარმოადგენს. განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის მარცხი თურქებმა 1683 წელს განიცადეს როცა ვენას ალყა შემოარტყეს. ავსტრიისა და პოლონეთის კავშირმა ამ ბრძოლაში დაამარცხეს თურქები. ხოლო 1684 წელს უკვე არსებული ავსტრიისა და პოლონეთის კოალიციას შეუერთდა ვენეცია და მოგვიანებით კი რუსეთი.

ამ პერიოდიდან იწყება ჰაიკთა გააქტიურება და დახმარების თხოვნით დელეგაცია ავსტრიაშიც გააგზავნეს. ევროპელებთან მოლაპარაკებებს ჰაიკთა მხრიდან ძირითადათ **ისრაელ ორი** აწარმოებდა, რომელმაც მიხეილ თამარაშვილის ცნობით: „დიდი როლი ითამაშა არა მარტო სასომხეთში, არამედ მთელს ევროპაშიც“.

(**მიხეილ თამარაშვილი** 41): „მეჩვიდმეტე საუკუნეში ეჩმიაძინის პატრიარქმა იაკობმა ბევრი ვალი დაიდვა კონსტანტინეპოლში ოსმალებისაგან... ვგონებ ეს ვალი და ამის გადასახდელად მიყენებული შეწუხება გამხდარიყოს უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ ამ პატრიარქსა და რამდენსამე სომხების გავლენიან პირს [რომის] პაპისათვის მორჩილების წერილი მიუწერიათ. ეს წერილი წაიღეს პაპთან იმ პატრიარქმა და სხვა რამდენმამე პირმა, რომელთა შორის იყო ისრაელ ორიც. პატრიარქი რა ჩავიდა კონსტანტინეპოლს, ოსმალებმა არ გაუშვეს და იქვე დარჩა; ხოლო ისრაელ ორი გადურჩა მათ ხელს, ევროპაში წავიდა და იქ დაჰყო 19 წელიწადსა. დიდი სურვილი აღეგზნა იმას სომხების სამეფოს ხელახლავ აღდგენისა. ამის გამო მთელის ევროპის სახელმწიფოები დაიარა, საფრანგეთში 12 წელიწადს დაჰყო და ყველგან ცდილობდა, რასმე გამხდარიყო, რომ განეთავისუფლებინა სასომხეთი ოსმალებისა და სპარსელების

ხელისაგან. ცდილობდა ყველასთვის შეებრალებინა სომხები, ოსმალები ძალზე სტანჯავენ, ლამის არის, სული ამოხადონ ამ ქრისტეანე ხალხსაო. პრუსიის მთავრობამ თანაგრძნობა გამოუცხადა. იქაურმა თავადმა პალატინ-მრჩეველმა, ივანე ვილჰელმა, დიდი სურვილი გამოაცხადა ამ გაჭირვებულის ქრისტიანების შესაწევნელად. ამას ისრაელ ორიმ თავისი თავი ისე მოაჩვენა, ვითომც საქართველოს მეფის გიორგის მიერაც ყოფილიყოს გამოგზავნილი შემწეობის სათხოვნელად. ამასთანვე დააჯერა, რომ საქართველო სასომხეთის ნაწილია, დიდ სასომხეთში იმყოფება და იქაური მორწმუნე ქრისტიანები სულ სომხები არიანო“.

(**ქ.ს.ე.** IX ტ. 464): „XVI—XVII საუკუნეების მანძილზე სომხეთის საერო და სასულიერო მოღვაწეები თხოვნით მიმართავდნენ ევროპის ქვეყნების მმართველ წრეებსა და ვატიკანს, დახმარებოდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მაგრამ უშედეგოდ. XVII საუკუნის II ნახევრიდან ორიენტაცია აიღეს რუსეთზე. ეს გამოწვეული იყო რუსეთის მზარდი ავტორიტეტით საერთაშორისო სარბიელზე. ამ მხრივ სომხეთის ეროვნულ-განმათავისუფლებლურ მოძრაობაზე გავლენა იქონია საქართველოს პოზიციამ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. სომხეთში რუსული ორიენტაციის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებლური მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ისრაელ ორიმ, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა ევროპული ქვეყნების უმოქმედობაში. 1701 წელს იგი წარსდგა პეტრე I-ის წინაშე და გააცნო სომხეთის განთავისუფლების გეგმა, პეტრე I-მა აღუთქვა დახმარება შვედებთან ომის დამთავრების შემდეგ“.

თუ რა გეგმა წარუდგინა ჰაიკთა წარმომადგენელმა პეტრე დიდს, წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძე.

(**ილია ჭავჭავაძე** ქვათა ღაღადი): ,,ეზოვმა... გამოსცა წიგნი... ,,Снощения Петра Великого с Армянским народом“... რუსეთის იმპერატორს პეტრეს კარგა ხანია თვალი ეჭირა სპარსეთზე და ჰფიქრობდა აქეთ რუსეთის ვაჭრობის განდიდებას და ამისათვის გზების შეძენასა და გახსნას... როცა ნეიშტატის მორიგებამ 1721 წ. აგვისტოს 20-ს შვედებთან საქმე გაათავა, მაშინ თითქმის მთლად მოიცალა თავისი დიდი ხნის სურვილისათვის, რომ სპარსეთზე გამოილაშქროს. განჯა-ყარაბაღი მთლად სპარსეთის ხელში იყო და აქაური სომხობა, შეწუხებული სპარსთაგან, ჰცდილობდა თავი როგორმე დაეღწია და ამის გამო პეტრე დიდთან საქმე დაიჭირეს. სხვათა შორის ვარდაპეტი მინასა გაგზავნილი ჰყავდათ პეტრე დიდთან და ეს ვარდაპეტი იყო პირდაპირი შუამავალი იმპერატორის მთავრობასა და სომხებს შორის – თვით რუსეთში, რომელსაც, თვით სომხების სურვილისამებრ ჰპირდებოდა განჯა-ყარაბაღის გარდაცემას.

პეტრე დიდმა ამ ვითარებას საქმისას ხელი მოჰკიდა და მიზეზად ეს გაიხადა. ისიც იცოდა ამ ბრძენმა იმპერატორმა, რომ ქართველებიც აქ ხელს შეუწყობდნენ, რადგანაც საქართველოსაც ემძიმებოდა სპარსთა ასე ახლოს ყოფნა და კარგი იყო განჯა-ყარაბაღიდან გაერეკნათ სპარსები. რა თქმა უნდა, რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე ერთან, -- მეზობლობა ერჩივნათ ქართველებს, ვიდრე სპარსებთან. ეს კარგად იცოდა პეტრე დიდმა და ამიტომაც სომხებს დაჰპირდა და ქართველებსაც აცნობა – მე ჩემი მხედრობით მოვალ და თქვენც თქვენის მხედრობით მზად იყავითო. მიზეზიც კარგი გამოუჩნდა. შამახიას ამ დროს დაეცნენ ლეკები ყაზიკუმუხელები, რომელნიც მოიწვიეს იქაურთა მუსულმანთა. ლეკებმა მთლად აიკლეს შამახია, იქ მყოფნი რუსეთის ვაჭარნიც მთლად გასძარცვეს...

რაკი პეტრე დიდმა ეს ამბავი შეიტყო, ვახტანგ მეფეს მოსწერა, რომ მე ასტრახანიდან წამოვალ და შენც, შენის აღთქმისამებრ მომეშველე და შენის მხედრობით წამოდი განჯას საქრისტიანოს დასახსნელადო და, სიტყვითაც შემოეთვალა ლეკების

ჯავრი ამოიყარეო. ვახტანგმა შეჰყარა მხედრობა რიცხვით 30000 კაცი და წავიდა ლეკებზე. ლეკებმა ჰნახეს თუ არა, გაეცალნენ. მთელს ამ მოძრაობას ის ფერი დასდვეს, ვითომც მარტო ლეკების დასასჯელად წავიდა ვახტანგი, რომ სპარსელებს ალღო არ აეღოთ და არ მომზადებულიყვნენ. თვით სპარსელებს ვითარცა შიიტებს, ეჯავრათ ლეკების, ვითარცა სუნიტების, შესევა შამახიაში და ვახტანგის მადლობელნიც დარჩნენ, რომ ასე მოიქცა. ლეკებთან რომ საქმე გაათავა ვახტანგმა მერე დაიბანაკა განჯასთან და იქ ელოდა პეტრე დიდს ასტრახანიდამ. იმპერატორ პეტრეს რაღაც საქმე აღმოუჩნდა შიდა რუსეთში, უეცრად ასტრახანიდამ შინ დაბრუნდა და ვახტანგს აუწყა, კვლავ მოვალო. იმედგადაწყვეტილი ვახტანგი უკან წამოვიდა ტფილისს.

პატრიარქი ისაია {განჯა-ყარაბაღის სომეხთა პატრიარქი ესაი ჰასან ჯალალიანი ჰაიკების ჯარს სარდლობდა და ისინი ვახტანგს განჯასთან შეუერთდნენ ჯ.კ.] ამ ვახტანგის ამბავს სწერს რუსეთში ვარდაპეტ მინასას, რომელნიც წინათ მოვიხსენიეთ, რომ ვახტანგი 30000 კაცით მოვიდა და წავიდა ლეკებზედაო. მეც თან გავყევიო. მივედით თუ არა ლეკები გაგვეცალნენო, მერე როცა ვახტანგი იმედგადაწყვეტილი, რომ პეტრე დიდი აღარ მოვაო, დაბრუნდა ტფილისში. ისაია პატრიარქიც თან გამოჰყოლია და მთელი ოთხი თვე დარჩენილა ტფილისს. იმავე წერილში ისაია აუწყებს ვარდაპეტ მინასას, რომ ვახტანგი სექტემბრის ბოლოს ხელახლად აპირობს წასვლას განჯისაკენ და თან მიჰყავს ქართველებისა და სომხების მხედრობაო ეხლა ქართველები და სომხები სულით და გულით ერთნი არიანო, ერთმანეთის თანაგრძნობით სავსენი და მარტო პეტრე დიდის მოშველებასღა ელიანო. შენც მანდ ეცადეო...

ვარდაპეტი მინასა არც ერთ თავის მოხსენებაში, რომელიც კი წარუდგენია პეტრე დიდის მთავრობისათვის, ერთი სიტყვითაც არ ამბობს სამდურავს ქართველებზე. პირიქით, ერთს თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, იწერება: „ტფილისადან გვწერენ, რომ ვახტანგის დიდად მადლობელნი არიან, ჩვენ სომხებს, დიდის სიყვარულითა და მოწყალებით გვეპყრობაო...“ არქიეპიკოპოსი სომხებისა მინას პერვაზიანი... ქართველებს... მადლობითაც კი იხსენიებს: „ღმერთმა ეხლა მწყემსად და პატრონად მოგვცაო ვახტანგი. ეს გვიხსნის და გვმფარველობს მტრებისაგან, ამან გაგვიდევნა მტერნი, ერთად თავი მოუყარა სომხებს და თვითონ გვპატრონობს და გვიფრთხილდებაო". ეს არქიეპისკოპოზი სომხებისა ვახტანგთან ერთად იყო განჯაში და იქიდამაც ისაია პატრიარქისავით თან გამოჰყვა ტფილისს“.

ილია ჭავჭავაძის ეს ცნობა არის გასაღები იმ ფარული დედააზრისა თუ რისთვის შეიქმნა „ქართლის ცხოვრება“. ჰაიკები, რომლებიც XV--XVII საუკუნეებში უშედეგოდ ცდილობდნენ ჰაიასტანის სახელმწიფოს აღსადგენად ევროპელთა დახმარების მოპოვებას და რისთვისაც მათმა მცირე ნაწილმა კათოლიკობაც აღიარა; მე-18 საუკუნის დასაწყისში, 1701 წელს ისრაელ ორის დელეგაციის სახით, იგივე პროექტით, წარდგნენ რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის წინაშე. პროექტის არსი ისაა, რომ რუსეთმა გაილაშქროს სპარსეთის წინააღმდეგ და, როგორც ქრისტეანული ქვეყნების ინტერესთა დამცველ მესამე რომის იმპერიას შეშვენის, აღადგინოს „ადრე არსებული ქრისტეან ჰაიკთა დიდი სახელმწიფო“. კავკასიის ქედიდან თურქეთის სამხრეთ ზღვისპირეთამდე საზღვრის გავლება რუსეთის იმპერიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელ სახმელეთო სავაჭრო გზებზე ჰეგემონიას მოუპოვებდა და რაც, თავისთავად ცხადია, მსოფლიოზე ბატონობის პერსპექტივებს სახავდა. პეტრე დიდმა თანხმობა გამოაცხადა და დაპირდა ჰაიკებს, შვედებთან ომის მომთავრების შემდგომ შეუდგებოდნენ ამ ჩანაფიქრის აღსრულებას. შედგა რუსულ-ჰაიკური კავშირი და პეტერბურგში სამეფო კარზე ჰაიკთა მუდმივ წარმომადგენლად ვარდაპეტი მინასა ინიშნება.

ახლად შექმნილი რუსულ-ჰაიკური ერთობა უპირველეს მოკავშირედ საქართველოს მიიჩნევს. რასაკვირველია, მუსულმანური გარემოთი შეჭირვებული თბილისის სამეფო კარი თანხმობას აცხადებს. ეს გახლდათ მუსულმანურ სახელმწიფოთა, თურქეთისა და ირანის საქართველოს, კავკასიის აბორიგენი სახელმწიფოს მიმართებით წარმოებული უგუნური პოლიტიკის შედეგი და რაც, საბოლოო ჯამში, მათთვის წამგებიანი აღმოჩნდა, სხვათა შორის, სადღეისოდ იგივე შეცდომას რუსეთი იმეორებს.

ჰაიკთათვის ქართველთა თანხმობა კავშირის წევრობაზე ჰაერივით აუცილებლობას წარმოადგენდა. კავკასიის სამხრეთით (არმინიაში), ჰაისტანის ისტორიული ტერიტორიები უკვე საუკუნეთა მანძილზე სრულად კონტროლდებოდა მუსულმანთა მიერ, ხოლო ქართველთა თანხმობის შედეგად ისინი ღებულობენ უნიკალურ შესაძლებლობას იქვე, ისტორიული ჰაიასტანის მეზობლად, საქართველოში, კერძოდ თბილისში, მათთვის შეუდარელად დაცულ ტერიტორიაზე, სამომავლოდ ისტორიული ჰაიასტანის ტერიტორიების ასათვისებლად, მოახდინონ ადამიანებისა და ქონების კონცეტრაცია -- „ღმერთმა ეხლა მწყემსად და პატრონად მოგვცაო ვახტანგი. ეს გვიხსნის და გვმფარველობს მტრებისაგან, ამან გაგვიდევნა მტერნი, ერთად თავი მოუყარა სომხებს და თვითონ გვპატრონობს და გვიფრთხილდებაო“.

(**ქ.ს.ე.** IX ტ. 464): ,,სომხების განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა დავით-ბეგი, რომელიც ქართველთა მეფის ვახტანგ VI-ის კარზე მსახურობდა“.

(**ქ.ს.ე.** III ტ. 338): ,,დავით-ბეგი (გ. 1728), ირანელ და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ სომეხი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი წინამძღოლი. უზბაშად (ასისთავი) მსახურობდა ქართული ჯარის იმ ნაწილში რომელსაც ბაქარ ბატონიშვილი სარდლობდა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში აღმოსავლეთ სომხეთის მოსახლეობა ირანელთა წინააღმდეგ აღდგა. აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს ქართლის სამეფო კარს. ბაქარ ვახტანგის ძემ დავით-ბეგი სომხეთში გაგზავნა. 1724—25 ღაფანელმა სომხებმა დავით-ბეგის მეთაურობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს თურქებზე, რამაც ხელი შეუწყო სომეხი ხალხის განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას“.

აი ამ მიზეზთა გამოა რომ მე-17 საუკუნიდან ქართლში, ანუ თბილისში, იწყება ჰაიკთა მოზღვავება, ქართლის სამხრეთით, ჰაიასტანის აღდგენის მიზნით, ქართველთა მასიური ჰაიკიზაცია, „გასომხება“ და ასევე ევროპელთა გულის მოსაგებად ჰაიკთა ნაწილის გაკათოლიკება. ამ თემას სრულად ეძღვნება მიხეილ თამარაშვილის ნაშრომებში მოძიებული უხვი მასალა. მოგაწვდით მხოლოდ ერთ მახასიათებელ ფაქტს, როცა ქართველ კათოლიკოსთა სულიერმა წინამძღოლმა არქიმანდიტრმა ნიკიფორე ირბახმა აცნობა რომს ის დაუჯერებელი ამბავი რაც ქართლში ქართლისვე სამეფო კარის ჩუმი თანხმობით ხდებოდა: „სომხები ქართველ მებატონეებისაგან ყიდულობენ მიწებს გლეხებითურთ და შემდგომ ისინი თავიანთ რჯულზე გადაჰყავთ“.

(**გურამ მაისურაძე**): „განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა გვიანი შუა საუკუნეების სომხურ ისტორიოგრაფიაში ვახტანგ VI-სა და ერეკლე II-ის მოღვაწეობის აღწერას და შეფასებას, რომელთა სახელებს სომხური პოლიტიკური წრეები უშუალოდ უკავშირებდნენ კავკასიის „საქრისტიანო ქვეყნის" აღდგენისა და სომხეთის განთავისუფლების იმედებს. ვახტანგ VI-ის თანამედროვე განძასარის სომეხი კათალიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანცი თავის ცნობილ ნაშრომში ვახტანგ VI-ს სომეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორად და მეთაურად წარმოგვიდგენს. მსგავს შეფასებას აძლევენ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას თანადროული სხვა სომეხი ავტორებიც (დავით ბეგის ისტორიისა და სხვადსხვა ხასიათის ჟამთააღმწერლობათა

ავტორები). საქართველოს და სომხეთის გაერთიანების იდეა სომხურ ისტორიოგრაფიაში ერთობ აქტუალური ხდება თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის ქართლსა და კახეთში, თითქმის გამეფებისთანავე. XVIII ს. 50-იან წლებში ერეკლე II-ის გახმაურებული სამხედრო წარმატებების შთაბეჭდილებებით სრულიად სომეხთა კათალიკოსი ღუკასი (ლუკა) წერდა: „დაიმორჩილა ბორჩალოს, ყაზახის, ერევნის, განძაკის, არცახისა და სივნიეთის მფლობელნი, გვირგვინი დაიდგა და გამეფდა საქართველოსა და სომხეთში მდინარე ახურიანამდე“. XVIII ს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის, საუკუნის ბოლომდე სომხურ პოლიტიკურ წრეებში აქტიურად განიხილებოდა ქართულ-სომხური გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის სხვადასხვა პროექტები, რომლებმაც სომხურ საისტორიო, თუ სამართლებრივ ლიტერატურაში პოვეს ასახვა. ამ მხრივ სიმბოლიურად გამოიყურება შამირ და იაკობ შაჰამირიანიანების ავტორობით 1773 წ. მადრასში გამოსული წიგნი „დიდების მახე“ (ვოროგაით ფარაც), რომლის სატიტულო გვერდზე მოხსენიებულია „მამამთავრობა უფლისა სიმეონისა, სრულიად სომეხთა კათალიკოსისა ვაღარშაპატს და მეფობა უავგუსტესის უფლის ერეკლე მეორისა თბილისს“. ამით ეს სომხური პოლიტიკური წრე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს უკვე ოფიციალურად აღიარებდა სომხეთის მეფედაც“.

(**გურამ მაისურაძე**): „აკადემიკოსი **ს. ერემიანი** წერდა, XVIII საუკუნეშიც კი სომხეთის მომავალი საქართველოს გარეშე არც წარმოიდგინებოდა“.

ქართლის, ანუ თბილისის სამეფო კარის რუსულ-ჰაიკური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს ქალაქ თბილისის 1897 წლის აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 159590 სულს; აქედან 47599 სულს, ანუ 29,8%-ს წარმოადგენდნენ რუსები; 47133 სულს, ანუ 29,5%-ს ჰაიკები; ხოლო ქართველები 42206 სულს, ანუ 26,4%-ს.

თბილისში ჰაიკებს ისეთი საუკეთესო საცხოვრისი გარემო შეექმნათ, რომ უკვე 1905 წლის პირველი იანვრისათვის თუ თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 240323 სულს, აქედან ჰაიკები წარმოადგენდნენ 84170 სულს, ანუ 35%-ს; რუსები 57191 სულს, ანუ 23,8%-ს; ქართველები 54558 სულს, ანუ 22,7%-ს. ეს მაშინ როდესაც თუ 1897 წლის მონაცემებით ქალაქ თბილისში ცხოვრობდა მხოლოდ 47133 ჰაიკი, ანუ დროის ამ მცირე მონაკვეთში, 8 (რვა) წელიწადში, ქვეყნის გარედან მიგრაციის ხარჯზე, თბილისში ჰაიკთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა -- 84170, ხოლო პროცენტული რაოდენობა რუსებისა და ქართველებისა შემცირდა.

თბილისის საწინააღმდეგო სურათია თავად ჰაიკთა ქალაქ ერევანში. აქ უნდა გავიხსენოთ ისტორიული რეალობა, რომ კავკასიის სამხრეთით სახელწოდება არმენია, ჰაიასტანის მნიშვნელობით, მხოლოდ მას შემდეგ აღსდგა როცა რუსეთმა ირანთან 1828 წლის 10 თებერვალს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ნახიჩევანის სახანო შემოიერთა და სენატის 1828 წლის 21 მარტის ბრძანებით ამიერიდან ნახიჩევანის სახანო უნდა მოხსენიებულიყო როგორც Армянская область. პასკევიჩის ხელმძღვანელობით რუსები შეუდგნენ ამ რეგიონში ირანიდან (40 000) და თურქეთიდან (90 000) ჰაიკთა დიდი რაოდენობით ჩამოსახლებას. ერევნის გუბერნია რუსებმა უკვე 1849 წელს ცალკე ერთეულად ჩამოაყალიბეს, ანუ რუსები ასრულებენ პეტრე დიდის მიერ ჰაიკებთან დადებული ხელშეკრულების პირობას – კავკასიის სამხრეთით კვლავ აღსდგეს საუკუნეთა წინ მივიწყებული, რუსეთის იმპერიის მადლიერ და ერთგულ ჰაიკთა სახელმწიფოებრიობა.

იგივე 1897 წლის აღწერით ერევნის მთლიანი მოსახლეობა შეადგენდა მხოლოდ 29006 სულს; აქედან 3171 სული, ანუ 10,9% რუსები იყვნენ; 12374 სული, ანუ 42,6%

თათარი და მხოლოდ 12523 სული, ანუ 43,2% ჰაიკი. რუსები და მუსულმანები ჯამში შეადგენდნენ 53,5% ხოლო ჰაიკები ერევნის მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ. ეს მაშინ, როდესაც ერევნის გუბერნია 70 წელი რუსეთის იმპერიის შემადგენელია, ხოლო რუსები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ამ რეგიონში ჰაიკთა ჩამოსახლებას და „საერთო ჯამში 1828—1896 წლებში ირანიდან და თურქეთიდან ჩამოასახლეს 1 მილიონ 200 ათასი სომეხი". ჰაიკთა მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად 1897 წლის აღწერით უკვე ამ ერევნის გუბერნიის 807103 სული მოსახლეობის უმრავლესობას, 56,3%-ს ჰაიკები შეადგენდნენ, ხოლო თურქები მხოლოდ 37,5%-ს.

თუ კილიკიაში ბიზანტიელებმა ჩაასახლეს ჰაიკები. არმინიაში უკვე რუსები აბრუნებენ ჰაიკებს. რუსები ჰაიკებს საქართველოშიც ინტენსიურად ასახლებდნენ.

(**ტარიელ ფუტკარაძე**): „კავკასიაში დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომების დროს მესხეთში გადარჩენილ ქრისტიან ქართველებს არცერთი დამპყრობი არ ენდობოდა. რუსების მხარეს იბრძვიან სომხები, ხოლო თურქებისა – ეთნიკური თურქები და გამაჰმადიანებული მოსახლეობის ნაწილი. თურქეთის დამარცხების შემდეგ 1829—30 წლებში ახალციხის საფაშოს რუსეთი იერთებს; თურქობის გამო, მესხეთიდან იმერეთსა და ქართლში ადრე გაქცეული მესხი თავად-აზნაურები (ციციშვილები, ავალიშვილები, მუსხელიშვილები, გოგორიშვილები...) პასკევიჩს წარუდგენენ მემკვიდრეობის დოკუმენტებს და სთხოვენ მამულების დაბრუნებას. მაგრამ იმპერიის ხელისუფლებასთან კონსულტანციის შემდეგ პასკევიჩი არა მხოლოდ მათი, არამედ ადგილზე დარჩენილი ბეგების მიწებსაც სახელმწიფო საკუთრებად აცხადებს და მუსლიმან ქართველთაც აიძულებს, სამუდამოდ დატოვონ წინაპართა მიწა; ამ პერიოდში რუსეთის იმპერიამ პასკევიჩის, პოტიომკინის, ზავილეისკის, ბებუთოვისა და სხვათა აქტიურობით, შეავიწროვა და 1829—29 წლებში საქართველოდან წასვლა აიძულა ათიათასობით მუსლიმან ქართველს; 1830 წელს, პასკევიჩისა და სომეხი ეპისკოპოსების მოლაპარაკების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის თავად-აზნაურთა მიწებსა და მუჰაჯირ ქართველთა სახლ-კარში დასახლდნენ ერზრუმიდან აყრილი სომხები (შ. ლომსაძის ცნობით, დაახლოებით 5000 ოჯახი – 35 000 სული, ხოლო ა. სილაგაძისა და ა. თოთლაძის მიხედვით – 25000)“.

ამ მდგომარეობამ კი ჰაიკთა უდიდეს ნაწილში, ქართველთა მიმართ მადლიერების გამოხატვის ნაცვლად, თბილისის უკვე ჰაიკთა დედაქალაქად გამოცხადების სურვილი გააჩინა. ინტერნეტში მოძიებული ცნობის მიხედვით, ჰაიკთა მიერ სხვა ხალხთა კუთვნილი მიწების „ისტორიული საბუთებით“ მითვისების მიდრეკილება დაფიქსირებული აქვს ალექსანდრე გრიბოედოვს:

„თქვენო აღმატებულებავ, არ დაუშვათ სომხების დასახლება ცენტრალურ რუსულ მიწებზე. ისინი იმ ტომთაგანი არიან, რომლებიც იცხოვრებენ რა რამდენიმე ათეულ წელს, დაიწყებენ ყვირილს მთელ დუნიაზე, რომ ეს მიწა მათი წინაპრებისაა (ა. ს. გრიბოედოვი. წერილიდან რუსეთის იმპერატორისადმი)“.

გრიბოედოვზე ადრე იგივე შიში გააჩნდათ ჩრდილო აზერბაიჯანის მუსულმან მოსახლეობასაც სადაც რუსები ჰაიკთა დიდ ნაწილს ასახლებდნენ. ეს აღწერილი აქვს ალექსანდრე გრიბოედოვს თავის 1828 წლის პასკევიჩისადმი მიწერილ წერილში:

«Много должно ожидать от старания тех, которые ныне заведивают водворением пришельцев (армян), особенно от князя Аргутинского... мы сным немало рассуждали о внушениях, которые должно делать мусульманам, чтобы помирить их с нынешними их отягощением, которое не будет долговременно, и искоренить из них опасение насчет того, что армяне завладеют навсегда землями,

куда их первый раз пустили. В том смысле говорено мною и полицеймейстеру, членам правления и ханам, которые у меня здесь были...

Обращаясь опять переселенцам, я нахожу, что они гораздо полезнее наших грузинских армян, вообще торгашей, не приносящих никакой пользы казне, а перешедшие из Персии большею частью, ремесленники и хлебопашцы» (Грибоедов А. С. «Записка о переселении армян в наши области» адресованная графу Паскевичу Эриванскому).

როგორც ვიცით, გამართლდა მუსულმანთა მოლოდინი, სადღეისოდ ჰაისატანის 3083 ათასი მაცხოვრებლიდან თავად ჰაიკები გასაოცრად დიდ უმრავლესობას -- 97,9%-ს შეადგენენ.

ამ ისტორიულ რეალობას ეფუძნება სადღეისოდ ცნობილი რუსი ჟურნალისტის მიხეილ ლეონტიევის განცხადება:

(NEWS.GE 12-11-2012): „დღევანდელი სომხეთი მხოლოდ რუსეთის საშუალებით გაჩნდა და მის საშუალებით აგრძელებს არსებობას. რომ არა რუსეთი, სომხეთი რუკაზე საერთოდ არ იარსებებდა“.

ჰაიკმა ერმა მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს -- თუ არა, რუსულ ძალასთან ერთად, ქართლის სამეფო კარის ნება და უდიდესი ძალისხმევა, ვერ აღსდგებოდა ჰაიკთა სახელმწიფო და მათი ეროვნული მოძრაობა დღესაც ჩანასახის სახით იარსებებდა. ანუ ისტორიული აქსიომაა, რომ:

თბილისის სამეფო კარის პოზიციამ რუსულ-ჰაიკურ ურთიერთობებში, გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰაიკთა სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში.

აქ პასუხი გავცეთ კითხვას – რატომაა რომ მოლაპარაკებებს ჰაიკთა მხრიდან ძირითადად სასულიერო პირები აწარმოებენ და არა სამოქალაქო?

(**გურამ მაისურაძე**): „მას შემდეგ, რაც 554 წ. დვინის საეკლესიო კრების დადგენილებით სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ბიზანტიის ეკლესიასთან. ამ დროიდან ირანელთა ხელშეწყობით სომხური ეკლესიის ფუნქციები ქვეყანაში გამუდმებით ფართოვდებოდა. მას გადასახადების აკრეფაც კი მიენდო. მალე ის, სომხური სახელმწიფოებრიობის არარსებობის პირობებში, სომეხი ხალხის ერთადერთი ოფიციალური წარმომადგენელი გახდა. სომხური ეკლესია თანდათან ირანელთა ბატონობის საყრდენ ბაზად იქცა კავკასიაში, ხოლო ქრისტიანობის მონოფიზიტური მიმართულება ბიზანტიის წინააღმდეგ იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად. გასაგებია, რომ სომხური ეკლესიის ამ ფუნქციის განსამტკიცებლად ირანის ხელისუფლებას მისი გავლენის სფეროს გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებისთვისაც უნდა შეეწყო ხელი. 614 წ. კტეზიფონში ცნობილი სპარსული საეკლესიო კრება შაჰის პირით ბრძანებდა: „ყველა ქრისტიანმა, ვინც ჩემს ხელმწიფობას ემორჩილება, სომეხთა სარწმუნოება უნდა მიიღოსო". ამით სომხური ეკლესიის იერარქიულმა პრეტენზიებმა კავკასიაში ფართო გასაქანი მიიღო და მსახურმა ისტორიოგრაფიამაც არა მარტო სომხური ეკლესიის, არამედ მთლიანად კავკასიის პოლიტიკური ისტორიის სურათის წარმოსახვაც ამ თარგზე სცადა“.

ჰაიკთა მიერ წარმოებული სასულიერო პოლიტიკის შედეგად ირანი, რომელიც ჰაიკთა სახლმწიფოებრიობის მტკიცე და შეუვალი მოწინააღმდეგე იყო, ხელს უწყობდა ირანის სახელმწიფოს ინტერესების მომცველ ჰაიკთა რელიგიურ პოლიტიკას, ვინაიდან მათი მონოფიზიტური მიმდინარეობა მიმართული იყო ირანს დაპირისპირებული

მართლმადედებლური ბიზანტიისა და შესაბამისად, საერთოდ ირანის მოწინააღმდეგე მართლმადიდებლობის ამღიარებელი ქვეყნების რწმენის საწინააღმდეგოდ.

ამ ქვეთავის დასკვნა კი გახლავთ ის, რომ კილიკიური ჰაიასტანი ეს ბიზანტიური გეგმა იყო, ხოლო კავკასიში მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი ჰაიასტანის სახელმწიფოებრიობის აღდგენა რუსულ-ქართული პროექტი. ორივე შემთხვევაში, ორივე მონოფიზიტური ჰაიასტანის სახელმწიფოთა შექმნა მაინც მართმადიდებელი ქვეყნების შემოქმედებას წარმოადგენდა.

ოსები

რუსულ-ჰაიკურ გაერთიანებაში ქართველთა ჩართვით, რუსეთის საქართველოსთან უშუალო კავშირის დამყარების მიზნით, აუცილებელი გახდა, კასპიის ზღვისპირეთის შემოვლითი გზის ნაცვლად, კავკასიის ქედზე გადასასვლელი უმოკლესი მანძილის მოძიება. ჩრდილოეთიდან საქართველოში ტრადიციული შემოსასვლელი დარიალის ხეობა გახლდათ, მხოლოდ, ჩრდილო კავკასია მუსულმანურ სამყაროს ხელში იყო და ცხადია რუსებს აქ გზის გაკაფვა ხმლით მოუწევდათ; ეს თავისთავად, მაგრამ რამდენადაც მთის მკაცრ გარემოს მიუჩვეველი რუსები ამ ხეობაში ვერ დასახლდებოდნენ, აუცილებელი იყო ხალხი რომელიც შემდგომში ამ გზის უსაფრთხოებას დაიცავდა. ამაზე თანხმობა კავკასიის მთებში შემოხიზნულმა ოსებმა გამოაცხადეს. ოსები რომ კავკასიელებს არ წარმოადგენენ, ამას თავად „ქართლის ცხოვრების" ავტორებიც აღიარებენ იმით, რომ ოსები არ შეყავთ კავკასიელი „ძმების“ სიაში.

სახელწოდება ფორმით **ოსი** ქართული ენიდან დამკვიდრდა რუსთა მეტყველებაში, ძველი რუსული წყაროებით მათ ეწოდებოდათ იასი. თავად ოსები ორ ძირითად ტომად იყოფიან და მათი თვითსახელწოდებებია ირონ, დიგორონ. ოსები სკვითურ-სარმატულ-ალანურ ტომთა გაერთიანების ერთერთი წარმომადგენლები არიან.

ალანები ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნისათვის გამოეყვნენ კასპიის ზღვისპირას მაცხოვრებელ მომთაბარე სარმატულ ტომთა გაერთიანებას და უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მათ რომაული ისტორიოგრაფია აფიქსირებს აზოვისა და კავკასიის მისადგომებთან გაშლილ ველებზე. სახელწოდება დარიალი წარმოიშვა სპარსული სახელწოდებიდან დარიალანი (= ალანთა კარი). ამ ხეობით იყო შესაძლებელი ალანიაში გადასვლა. 372 წელს ალანთა დიდი გაერთიანება ჰუნების მიერ იქნა დამარცხებული და მათი უმრავლესობა ჰუნებთან ერთად გადასახლდა გალიის, ესპანეთის მიმართულებით და ჩრდილო აფრიკის ტერიტორიებსაც ჩააღწიეს. დარჩენილი ალანთა გაერთიანების ნაწილი კავკასიის მთისწინეთში გადმოსახლდა. 1283—39 წლებში ალანთა გაერთიანება მონღოლ-თათართა ლაშქარმა გაანადგურა და გადარჩენილი ალანთა გაერთიანების ნაწილი, და უნდა ვიგულისხმოთ, მათ შორის ოსები, ჩრდილო კავკასიის მთებს შეეხიზნა.

ოსები უშუალოდ ალანები არ არიან, ანუ ისევე როგორც დღეს ისინი რუსეთის ფედერაციის შემადგენელ ნაწილად ფიქსირდებიან მაგრამ რუსები არ არიან, ასევე ისინი შედიოდნენ ალანთა გაერთიანებაში, მაგრამ გაერთიანების მეთაურ ალანებს არასოდეს არ წარმოადგენდნენ. იასები (ოსები) და ალანები ერთმანეთისაგან განსხვავებული ხალხებია. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშელები ალანებს

უწოდებდნენ არა ოსებს, არამედ ყარაჩაელ თათრებს. ალანებმა კავკასია დატოვეს და მათი ბოლო ნაკადის ნაწილი თურქეთის სამხრეთით, ანთალიის ყურეში დაარსებულ ქალაქ ალანია-ში სახლობს. ისინი ოსურ ენაზე არ მეტყველებენ და არც თავიანთ თავს ოსებად არ სცნობენ. ოსების ალანებად გამოცხადებას ის პოლიტიკური მიზანი გააჩნია, რომ ამით რუსებს და ოსებს სურთ ოსები დაამტკიცონ როგორც კავკასიაში ალანთა ისტორიული საცხოვრისის კანონიერი მემკვიდრენი და ამ საბაბით აბორიგენ კავკასიელ ხალხთა მიწაწყლის ხარჯზე შექმნან რუსეთზე სრულად დამოკიდებული, შესაბამისად მათი ერთგული ოსების ვრცელი ტერიტორიის მომცველი ქვეყანა.

მე-14 საუკუნიდან, ჩრდილო კავკასიელ მთიელთა მსგავსად, კავკასიაში შემოხიზნულ ოსებში ისლამი გავრცელდა.

(**Б.С.Э.** XXIII т. 151): „С конца 15 в. возобновились процесс формирования осетинской народности (продолжался до 18 в.) и освоение предками Осетин, южных склонов Главного Кавказского хребта“.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გამოჩენისთანავე, ტერიტორიულად შევიწროებული და სახელმწიფო წარმონაქმნის გარეშე დარჩენილი ოსები, ერთგულად შეუდგნენ კავკასიაში რუსული ინტერესების დაცვას და პირი ქრისტეანობისაკენ იბრუნეს. 1774 წელს ოსებმა რუსეთთან შეერთება გააფორმეს. 1799 წელს დასრულდა რუსეთის საქართველოსთან დამაკავშირებელი სამხედრო გზის გაყვანა. ამ გზის დასაცავად და ოსთა საცხოვრისის გაფართოების მიზნით რუსებმა ოსები მოზდოკისა და ვლადიკავკაზის დაბლობში ჩამოასახლეს. 1859 წელს რუსებმა ოსებს საქართველოს შემადგენელი ისტორიული მხარე დვალეთიც გადასცეს.

(**ქ.ს.ე.** III 490): „დვალები, იბერიულ-კავკასიური ტომი ძვ. საქართველოში. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებულნი არიან ახ. წ. I – II სს-ში თალის, ვალის, უალის სახელწოდებებით. სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში – დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის – ისტ. დვალეთში. მეცნიერები დვალურ ენას აკავშირებენ ნახურ (ინგუშურ-ჩაჩნურ) და ქართველურ (ზანურ) ენებთან. დვალები ადრინდ. შუა საუკუნებშივე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. VI საუკუნიდან დვალეთში ქართველი მისიონერები ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრაციის პროცესი: დვალეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, დვალები კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდიოდნენ. XVIII ს. დასაწყისისათვის დვალეთის ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა ქართლის, რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, დვალეთში დარჩენილი ნაწილი კი – ოს მოახალშენებს. (ვ. **გამრეკელი**)“.

(**როლანდ თოფჩიშვილი** 55): „IV ს. შუა პერიოდში შედგენილი, თუმცა შედარებით უფრო ძველ წყაროებზე დაფუძნებული რომაული საგზაო რუკა... რომელზედაც ეთნონიმი **Divali** სვანების აღმოსავლეთითაა დატანილი და დარიალის კლდეკარის დასავლეiთით მდებარე კავკასიონის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობას აღნიშნავს".

(**როლანდ თოფჩიშვილი** 231): „საინტერესოა აგრეთვე ს. ჯანაშიას მიერ მოყვანილი ერთი ცნობა ა. დირის წიგნიდან „Современные названия кавказских племен“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „პალასის ცნობით, აბაზები... და ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ“-ს (Dol) ეძახიანო... ეს ცნობა პირდაპირ ეხმაურება ჩვენს დასკვნას იმის შესახებ, რომ დვალები ზანებთან ახლო მდგომი ტომი იყო. ჩერქეზებისათვის იმდენად არ განსხვავდებოდნენ დვალებისაგან ზანები (მეგრელები), რომ მათ ერთი ეთნიკური ტერმინით („დოლ") მოიხსენიებდნენ“.

კავკასიის ჩრდილოეთით ქართული ფესვების ძიებისას უნდა გვახსოვდეს გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის ცნობა: „კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომლებმაც რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს“.

(**როლანდ თოფჩიშვილი** 6): „მდ. არდონის სათავე, ესაა ისტორიული დვალეთი, რომელიც სადღეისოდ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენელია. 1859 წლამდე ეს ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. 1859 წლიდან მეფის რუსეთმა ადმინისტრაციულად დვალეთი ვლადიკავკაზის ოკრუგს დაუქვემდებარა“.

(**Б.С.Э.** XXIII т. 151): „В конце 18 – нач. 19 в.в. завершился процесс складывания осетин в народность“.

თავად რუსული ისტორიოგრაფია აღიარებს – ოსების ხალხად ჩამოყალიბება მე-18 საუკუნის ბოლოსა და 19 საუკუნის დასაწყისისთვის შესრულდა.

კავკასიის მთიანეთში ოსთა აღზევების ფაქტში უშურველი ღვაწლი თბილისის სამეფო კარსაც მიუძღვის. მათი ნებართვით დაიწყო ქართლში ოსთა ინტენსიური ჩამოსახლება და რისი პირდაპირი შედეგიცაა დღევანდელი -- **Южная Осетия**.

(**როლანდ თოფჩიშვილი** 139): „XVII ს. II ნახევარში რომ დაიწყო დიდი ლიახვის მთაში ოსების დაფუძნება ჩრდილო კავკასიიდან და მათ დასახლებას ხელს რომ უწყობდნენ ქართლის მეფეები, ჩანს როსტომის (1633—1658) ერთი საბუთიდან, რომლითაც ის მოხელეებს უბრძანებს, რომ ოსეთიდან აყრილი და ჯავას ზემოთ დასახლებულ ვინმე ხონთქრისა და მისი შვილის ხაჩისათვის არაფერი დაეშავებინათ და თუ ვინმე ჩამოსახლდებოდა ოსეთიდან, არც მისთვის შეეშალათ ხელი“.

ქართველთა წინაშე არასდროს არარსებული ოსთა დამსახურების აპოთეოზს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ავტორთა რიგითი ფუნდამენტალური მნიშვნელობის ტყუილი: -- „ოვსთა ხმლით იპყრა ფარნავაზმა ტახტიო“.

„ოვსთა ჯართა ლაშქართა დახმარებითა დაიმკვიდრა ტახტი მეფე ფარნაოზმა“.

ე. ი. რომ არა მსოფლიო იტორიოგრაფიისათვის როგორც ძვ. წ. III საუკუნისთვის და დიდხანს შემდგომაც მრავალი საუკუნის მანძილზე სრულიად უცნობი, კავკასიაში მხოლოდ XIII საუკუნეში შემოხიზნული ოსების სიმამაცე, ფარნავაზი ძვ. წ. III საუკუნეში მხოლოდ ბრიყვი ქუჯის იმედით ვერ მოიპოვებდა მეფობას და საქართველოც ვერ იარსებებდაო. ანუ თქვენს მიწაწყალზე რომ ვასახლებთ, მაგ ოსების დამსახურება ქართველთა წინაშე აუწონავიაო.

„ქართლის ცხოვრების“ ავტორები მუდმივ ცდაში იყვნენ რუსეთის იმპერიის მოკავშირეები ქართველები, ჰაიკები და ოსები ოდითგან გაერთიანებულ ძალად წარმოედგინათ – „და ამიერითგან იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა“.

(**ალექსანდრე აბდალაძე**): „რაც შეეხება იმას, რომ სომხები, ქართველები და ოსები საერთო ძალისხმევით ებრძოდნენ მტერსო, ეს ლეონტი მროველის იდეალია – მისი დიდი სურვილია დამყარდეს კავკასიის ხალხების, კერძოდ ქართველების [ასევე ოსების ჯ.ჯ.] და სომხების ერთობა, რათა ამით ძლიერი, ერთიანი იყოს მთელი კავკასია“.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჰაიკები კავკასიელები არ არიან, ანუ ისინი კავკასიაში კი არ სახლობენ, არამედ ისინი გეოგრაფიულად არმინიელები არიან. ჰაიკები კავკასიელებს, ანუ „ზაკაკვკაზიელებს“ რუსებისთვის წარმოადგენენ, ასე კი რუსეთისთვის კავკასიის სამხრეთით მდებარეობს თურქეთი, ირანი და თურქებიც და ირანელებიც კავკასიელები, იგივე „ზაკავკაზიელები“ გამოდიან.

ქართლის სამეფო კარი არა მარტო ოსების ჩამოსახლებაზე ზრუნავდა, არამედ, რომ მათი სულიერი ცხოვრებაც ქართლის სამეფო კარის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. ამას გვიდასტურებს კორნელი კეკელიძის ცნობა: „ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საღმრთო და საეკლესიო მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე. ასეთი მოძრაობა დაიწყო XVI საუკუნეში, XVII-ში ის უკვე ფაქტია, მერე თანდათან იზრდება და ძლიერდება, მისი ტალღები მეცხრამეტე საუკუნეშიც გადმოდის“.

(**როლანდ თოფჩიშვილი** 213): „ქართველი მეფეები და ფეოდალები თვით იყვნენ დაინტერესებულნი ოსთა გადმოსახლებით. უცხო ეთნიკური ელემენტის ქართულ გარემოში დასახლება იმ დროისთვის იმდენად საშიში არ იყო ქართული ეთნოსისათვის, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში და ჩამოსახლებისთანავე ოსთა მიერ ქრისტიანობის მიღებით, მიგრანტები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ. ქართველ მეფე-თავადთა მიერ ქართულ მიწებზე ოსთა დასახლებით ორი პრობლემა – ეკონომიკური და დემოგრაფიული – წყდებოდა. სამაგიეროდ, ჩვენმა წინაპრებმა ოსთა ჩამოსახლებით, მათთვის კარის გაღებით, შეცვალეს ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია, რომელიც ჩვენი თაობისთვის გახდა გადასაწყვეტი“.

ოსების ინტენსიური ჩამოსახლება ეს იყო ქართლის სამეფო კარის მცდარი პოლიტიკის შედეგი და სამართლიანად შენიშნავს როლანდ თოფჩიშვილი რომ: „სხვათაშორის, მთელ შიდა ქართლში XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმდენად მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია გვქონდა, იმდენად იყო შიდა ქართლი ქართული მოსახლეობით გამეჩხერებული, რომ ქართლის მთასა და ბარს ,ალბათ, ოსები მეტად დაიკავებდნენ, პარალელურად საქართველოს სხვა პროვინციებიდან (ჯავახეთი, ზემო იმერეთი, რაჭა) ქართველები რომ არ დასახლებულიყვნენ“.

ოსებს კავკასიელთა მიწების ათვისებაში უმთავრეს დახმარებას, რასაკვირველია რუსეთის იმპერია უწევდა, ისინი კავკასიელთაგან აყრილ მიწებზე ოსებს ასახლებდნენ.

(**როლანდ თოფჩიშვილი** 220): „XVII ს-ის დასასრულიდან ფაქტიურად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში“.

(ოსეთი – ვიკიპედია): „ტერმინი „ოსეთი" არაოფიციალურად ხმარებაში შემოდის XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან. „ოსეთი" როგორც სახელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა, პირველად 1842-43 წლებში გაჩნდა. მაშინ როდესაც თბილისის გუბერნიაში შეიქმნა „ოსეთის ოკრუგი", რომელმაც მოიცვა ნარის (ისტ. დვალეთი), ჯავისა და ლიახვის თემები. 1858 წელს ოკრუგი კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით გაუქმდა, დვალეთი (ნარის უბანი) კი თერგის ოლქს გადაეცა. უშუალოდ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, უკვე 1860 წლიდან ფიქსირდება რუსეთის იმპერიის ოფიციალურ დოკუმენტებში“.

რუსეთის იმპერიის გავლენის შედგად 1912 გამოცემულ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში" ვკითხულობთ:

„ოსები არიან მთის ხალხი. მათ უჭირავთ შუა წელი კავკასიონის ქედისა ხევსურეთიდგან სვანეთამდე. ზოგი მათგანი სცხოვრობენ ქედს იქით, ქედის ჩრდილო კალთებზედ; ზოგნი-–აქეთ, სამხრეთ კალთებზედ. ამის გამო ოსეთი ორ ნაწილად განიყოფება: ჩრდილო ოსეთად და სამხრეთ ოსეთად... ოსეთში მხოლოდ ერთი ქალაქია – კავკავი... შესანიშნავი დაბებია: ჯავა აქეთა ოსეთში, ალაგირი და არდონი იქითაში“.

საწყისში საქართველოში ოსები სახლდებოდნენ ძირითადად მთიან ადგილებში და ნაკლებად ბარში; მაგალითად, 1897 წლის აღწერით თავად გორში უცხოვრია 184 ოსს, თუმცა გორის „უეზდის" მაცხოვრებელი 180822 სულიდან ოსები შეადგენდნენ 49852 სულს, ანუ 27,6%-ს, ქართველები 118377 სულს, ანუ 65,5%-ს.

1904 წლის აღწერით ქალაქ ცხინვალში, რომელიც გორის „უეზდში" შედიოდა, უცხოვრია 930 ქართველს, 901 ჰაიკს, 790 ებრაელს, 10 რუსს, 4 ლეკს და მხოლოდ 62 ოსს. ოსები შედგენდნენ ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 2,3%-ს.

ამრიგად, 1912 წლისთვის რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დანერგილ მცნებაში „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ გორის „უეზდის“ შემადგენელი ჯავის რაიონი და ლიახვის თემების ნაწილი მოიაზრებოდა, ხოლო ქალაქი ცხინვალი, ახალგორის რაიონით, ქართველთა მხარეს წარმოადგენდა.

ოსებმა საბოლოოდ ირწმუნეს რა რუსეთის იმპერიის კეთილგანწყობა მათ მიმართებით, 1918 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებელ საქართველოს, რასაკვირველია რუსების დაკვეთით, სამი შეიარაღებული აჯანყება მოუწყვეს. ეს „ღვაწლი" უკვე რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ ოსებს დაუფასა და ქართველი კომუნისტების თანხმობით საქართველოში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელსაც უკვე ქალაქი ცხინვალიცა და ახალგორის რაიონიც მიათალეს.

კომუნისტური რეჟიმის არსებობის პერიოდში კრემლმა ოსები ერთგულებისთვის კვლავ დიდად გაახარა და ეკონომიურად წამგებიანი, მაგრამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გამაერთიანებელი როკის უღელტეხილის გვირაბი გაიყვანა.

1991-92 წლებში სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლ ქართველებს ოსები კვლავ განუდგნენ და რუსების მიერ მართვად, ქართველთა მაპროვოცირებელ ძალად იქცნენ; შედეგად კი მივიღეთ რუსული საგარეო პოლიტიკის ანეკდოტი – სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ოსი ხალხი რუსეთის იმპერიის ძირითადი საყრდენი ბაზაა კავკასიაში. ამ კავშირის სიმტიცეს განაპირობებს ის რეალობა, რომ რუსეთის ძალის გარეშე კავკასიაში ოსთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა შეუძლებელია. რუსთა და ოსთა ერთობის შინაარსის სიმბოლოა დღევანდელი ოსეთის დედაქალაქის, ყოფილი კავკავი-ს სახელწოდება – **Владей Кавказом** (> ვლადიკავკაზი) = **იპყარ კავკასია**.

ვახტანგ მეხუთე (და არა მეექვსე)

ამრიგად, ახალი ქრისტეანული კოალიციის (რუსეთი-ჰაიასტანი-ქართლი-ოსები) შექმნით ქართლის სამეფო კარს, იმ დროისთვის, ფანტასტიური პერსპექტივები ეშლება: ქრისტეანული რუსეთის იმპერია გადმოლახავს კავკასის ქედს, შეერთებული ძალებით ამარცხებენ სპარსეთსა და ოსმალეთს, შედეგად საქართველო ერთიანდება და აღდგენილ საქართველოს სათავეში თბილისის მეფე ვახტანგი ჩაუდგება; საქართველოს სამეფოს მოსაზღვრენი იქნებიან ქრისტეანული რუსეთი, ოსეთი, ჰაიასტანი; ამ ქრისტეანულ ოაზისში კვლავ გაიფურჩქნება და აყვავდება სრულიად საქართველო. ასეთი კარდინალური ცვლილებებისათვის ქართველი ერი იდეოლოგიურადაც უნდა მომზადდეს და იწყება ისტორიის „გამართვა“, და რაც ჰაიკ ერს დიდი ხნის წინათ (XV—XVI ს.ს.) აქვს დაწყებული.

საქართველოს ისტორიის „გამართვა“ ასევე ადრეა დაწყებული, მხოლოდ ვახტანგი აგვირგვინებს ამ საქმეს როცა ქმნის „სწავლულ კაცთა" კომისიას ბერ ეგნატაშვილის მეთაურობით. მის გვერდითაა მისი აღმზრდელი და თანამებრძოლი სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725 წ.წ.). ამ საქმეშია ჩართული მისი ვაჟიც ვახუშტი ბატონიშვილი და თავად ვახტანგი „გვერდში ედგა ამ მოღვაწეებს როგორც ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი“.

აქ ჩვენ უნდა დავაფიქსიროთ მნიშვნელოვანი მომენტი, რომ „ქართლის ცხოვრება“ რუსების დაკვეთით არაა შესრულებული, მაგრამ იგი განაპირობა რუსეთის კავკასიაში შემოსვლის შესაძლო ფაქტორმა და განხორციელდა ჰაიკ ეპიკოპოსთა კარნახით. რუსები მხოლოდ XX საუკუნეში მიხვდნენ თუ რაოდენ მომგებიანი იყო მათთვის „ქართლის ცხოვრების" საფუძველზე აღმოცენებული ქართული ოფიციალური ისტორიოგრაფია და კიდეც გადამალეს საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის მაძიებელი წიგნი КГБ-ს საცავებში.

ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს ვახტანგის მოღვაწეობის ერთ-ერთი ასევე უმნიშვნელოვანესი მომენტი.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 228): ,,ვახტანგის თაოსნობით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ერეკლეს მიერ დასმული კათალიკოსი და მცხეთის კათოლიკოსად ვახტანგის ძმა დომენტი აირჩია. დომენტის სახით ვახტანგმა ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა“.

დომენტის სახით ვახტანგმა საეკლესიო არქივის ფლობის სრული უფლება მოიპოვა და ამის შედეგია ის, რომ ქართულ ეკლესიას შელახული რუის-ურბნისის კრების ოქმის გარდა სხვა ოქმები არ გააჩნია, ხოლო ჯვრის მონასტრის ლაპიდარული წარწერები ამაოდ ცდილობენ დაგვიმტკიცონ, სახელწოდება „ქართლი" მე-16 საუკუნეზე დიდი ხნით ადრე არსებობდაო....

თავისი ნაღვაწით კმაყოფილი ვახტანგ მეფე რიხიანად გვიცხადებს:

(**ქართლის ცხოვრება** I ტ. XXI): „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყვნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო, ხოლო <u>მეხუთემან ვახტანგ</u>, ძემან ლეონისამან და ძმიწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაებები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყვნილ იყო, განმართეს, და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღაწერინეს“.

აქ მკითხველს თავისთავად უნდა გაუჩნდეს კითხვა: -- სადაა ვახტანგის მიერ შეკრებილი შესასწორებული წყაროები და თუ არ იძიება, ქონდა უფლება ვახტანგს და მის კომისიას მათი განადგურებისა?

იგივე არგუმენტაციას გვისახელებს ვახტანგ მეხუთის (და როგორც ნახეთ, არა მეექვსის) ამღზრდელი და თანამებრძოლი სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონის შესავალში:

(ს.ს.): „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა <u>მეხუთე ვახტანგ</u> მეფემან ქართულად „სიტყვის კონა" უწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“.

პირველი, რასაც ამ ამონაწერებში ყურადღება უნდა მივაქციოთ, არის ის რეალობა, რომ ჩვენი ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა ვახტანგს და თავად ვახტანგიც

საკუთარ თავს, რიგითობის მიხედვით, მეხუთე ვახტანგად სცნობენ -- „ძესას ლეონისასა და ძმიწულსა სახელოვნის გიორგისასა“ და აღზრდილსა სულხან-საბა ორბელიანისა. მიუხედავად სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეხუთის ასეთი კამკამა განცხადებებისა და ასევე, მიუხედავად ქართველ ისტორიკოსთა შორის მათი უდიდესი ავტორიტეტისა, მათი ნაღვაწი ხომ ოფიციალური ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისა და ენათმეცნიერების ბალავარს წარმოადგენენ, ჩვენი შეუპოვარი მეცნიერები ვახტანგ მეფეს ისე ჯიუტად აკუთვნებენ მეექვსე ნომერს, თითქოსდა იგი მათი დოღის მონაწილე ბედაური იყოს.

რითაა გამოწვეული ეს შეუსაბამობა? ქართული ისტორიული წყაროები ვახტანგ მეხუთემდე აფიქსირებენ კიდევ ხუთ ვახტანგ მეფეს და ჩვენი ისტორიკოსები, რომელთათვისაც ჩვენი ისტორიული წყაროები წმინდა ნაწილებს წარმოადგენენ, შეუსაბამობის იოლად მოხსნის მიზნით, ვახტანგ მეფეს მეხუთე ნუმერაციას მეექვსეთი უცვლიან და უნდათ თუ არ უნდათ, სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგ მეხუთეს, აღნიშნულ საკითხში, უვიცებად აცხადებენ. მეტი რა განსაზღვრება უნდა მიუსადაგო თუ არა უვიცი, როცა ლამის საქართველოს ისტორიისა და ენათმეცნიერების მამებად აღიარებულ ავტორიტეტებს უსწორებ -- ელემენტარული რამ, მეფეთა ნუმერაცია არ იცითო.

ამ საკითხის სიმწვავე კი იმაში მდგომარეობს, რომ ვინ-ვინ და სულხან-საბა ორბელიანიცა და ვახტანგ მეხუთეც დეტალებში ერკვეოდნენ იმ საკუთარ ნაყალბევ წყაროებში, რომლის მიხედვითაც ვახტანგ მეხუთემდე კიდევ თითქოსდა ხუთი ვახტანგ მეფე არსებობდა, მაგრამ ისინი ვახტანგ მეხუთის რიგითობას ვერას გზით ვერ შესცვლიდნენ, ვინაიდან მათი თანამედროვეთათვის „ძე ლეონისა და ძმიწული სახელოვნის გიორგისა“ ვახტანგი ყმაწვილობიდან ვახტანგ მეხუთე გახლდათ და თანამედროვეთა შორის რიგითობის შეცვლა სრულ გაუგებრობას გამოიწვევდა. წარმოგიდგენთ რეალურად არსებულ ვახტანგ მეფეთა სიას:

1. **ვახტანგი** – საქართველოს აღმოსავლეთის მეფე 1289—93 წ.წ. მეფედ დანიშნა მონღოლთა ყაენმა.

2. **ვახტანგი** – საქ. აღმოსავლეთის მეფე 1298—1302 წ.წ. მეფედ დაამტკიცა ყაზან-ყაენმა.

3. **ვახტანგი** – საქართველოს მეფე 1443—46 წ.წ.

4. **ვახტანგი** – ქართლის მეფე 1658—75 წ.წ. 1654 წელს სპარსეთში მაჰმადიანობა მიაღებინეს და შაჰნავაზი უწოდეს.

5. **ვახტანგ V** (1675—1737 წ.წ.) – ქართლის გამგებელი (ჯანაშირი) 1703—14 წ.წ. ქართლის მეფე 1716—24 წ.წ.

აქ უკვე თავისთავად ჩნდება მოსაზრება – თუ სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ მეხუთე არ სცდებიან ნუმერაციაში, მაშინ რომელიღაც ვახტანგი რეალურად არარსებობდა. ჩემს პირველსავე წიგნში დადგინდა – ვახტანგ გორგასალი ისეთივე მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟია, როგორც ინგლისელთა მეფე არტური, რუსების ალექსანდრე ნეველი, ქართველთა ფარნავაზი...

ვახტანგ გორგასლანის მითიურ წარმომავლობაზე თავად მისი წოდების, **გორგასლანი**-ს ეტიმოლოგიური შინაარსი მიგვითითებს.

(**ქართლის ცხოვრება** 121): „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკან ლომი... ამიერიდან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, არამედ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქუიან: „დურ აზ გურგასლან“, რომელ არს: „მირიდეთ თავსა მგელისასა" და მის მიერ სახელ ედვა ვახტანგ მეფესა გურგასლან“.

ეს ცნობა რიგითი ტყუილია. სახელწოდება გურგასლან კომპოზიტია (გურგასლან = გურგ + ასლან), პირველი შემადგენელი **გურგ** სპარსულად მგელს აღნიშნავს, ხოლო მეორე შემადგენელი **ასლან** თურქული სიტყვაა და ლომს ნიშნავს. დაუშვებელია მითიური ვახტანგის (დაახლ. V ს. 40-იანი წ.წ. – 502 წ.) „მოღვაწეობის" პერიოდში სპარსელებს სახელწოდება **ასლან**-ი სცოდნოდათ, ვინაიდან თურქთა სახაკანო მხოლოდ VI საუკუნეში, კერძოდ 552 წელს შეიქმნა და ისიც სპარსეთიდან შორს, შუა აზიაში, მხოლოდ ამის შემდგომ, მოგვიანებით გაეცნო თურქეთს სპარსეთი. V საუკუნისა და VI საუკუნის პირველი ნახევრის სპარსული წყაროებისათვის მცნებები თურქეთი და თურქული ენა უცნობი მცნებები გახლდნენ. მოგვიანებითაც დიდი დრო და განსაკუთრებული ურთიერთობები იყო საჭირო, რათა თურქულს ისე გაედგა ფესვები სპარსთა მეტყველებაში, რომ თურქეთზე შეუდარებლად მაღალი განვითარების სპარსებს საკუთარი სპარსული, მრავალსაუკუნოვანი ლომის სახელწოდების **შირ**-ის ნაცვლად თურქული სახელი **ასლანი** ვინმესთვის ეწოდებინოთ და რაც შესაბამისად არც არასოდეს არ მომხდარა. სპარსულ სინამდვილეში არ არსებობს ერთი შემთხვევაც კი, რომ სპარსელს როდისმე ლომისთვის თურქული სახელი **ასლან** ეწოდებინოს და არა მშობლიური სპარსული **შირ** ან **შერ**.

საქართველოში დღესაც მოქმედია სპარსული შირ // შერ ფორმებით შედგენილი სპარსული სახელები – **შერგილ** (ლომის დამჭერი), **ჯიმშერ** (ახალგაზრდა ლომი), **ჯუანშერ** (ახალგაზრდა ლომი). ამრიგად, სპარსულად ლომს შირ, იგივე **შერ** ეწოდება და ისინი **გურგასლანს** კი არ გამოთქვამდნენ, არამედ -- **გურგშირ**, ან **გურგშერ**. ნატყუარი სპარსულ-თურქული სახელწოდება **გურგასლან** ნათლად მიგვითითებს ვახტანგ მეხუთის (და არა მეექვსის) მოღვაწეობის პერიოდზე (XVII – XVIII ს.ს.), როცა საქართველო გაყოფილი იყო სპარსეთსა (**გურგ**-სა) და თურქეთს (**ასლან**-ს) შორის.

ობიექტურია ივანე ჯავახიშვილის მიერ ვახტანგ გორგასალანზე შეთხზული ისტორიის შეფასება: „იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარ და სანდო საბუთს“.

მითი ვახტანგ გორგასლანის შესახებ ვახტანგ მეხუთის კომისიის წევრებმა შექმნეს და მის საპატივცემულოდ არასოდეს არარსებულ მეფეს ვახტანგი უწოდეს. სახელი ვახტანგი მხოლოდ მე-13 საუკუნიდან ჩნდება და ფართოდაც ვრცელდება ჩვენს ქვეყანაში.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 38): „სახელი ვახტანგი უნდა მომდინარეობდეს ირანული Warxtang-ისაგან, რაც „მგლის–ტანს“, „მგლის ტანის მქონებელს" ნიშნავდა“.

ადრე ეს სახელი, გარდა ნატყუარი ვახტანგ გორგასლანის შემთხვევისა, არსად არ იძიება და თქვენ უშვებთ იმის თეორიულ შესაძლებლობასაც კი, რომ მეხუთე საუკუნის ესოდენ დიდი მეფის სახელი მთელი 8 (რვა) საუკუნის განმავლობაში არავის არ რქმეოდა?

თბილისში მეტეხის პლატოზე რომ ძეგლი დგას, არის ძეგლი ქართველთა ანისტორესიისა (ისტორიის არცოდნისა), ხოლო მცხეთაში რომ საფლავის ქვაა წარწერით – ვახტანგ გორგასალი, არის ძეგლი ქართული ვირეშმაკობისა. ძნელი იყო ამის თქმა როცა ბავშვობიდანვე შეისისხლხორცე:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

ასევე ბავშვობაში აღტაცებას იწვევდა იმის ცოდნა, რომ თურმე ვახტანგ გორგასალი ორი მეტრზე მეტი სიმაღლისა ყოფილა და იმდენად ძლიერი, რომ ცხენს მხრებზედ შეიგდებდა და ისე არბოდა არმაზის მთის კენწეროზე. სამწუხაროდ და საბედნიეროდ ბავშვობის წლები მთავრდება.

ჩვენ უნდა ვენდოთ ვახტანგის ამღზრდელ სულხან-საბა ორბელიანს, თავად ვახტანგ მეფეს და აქედან იგი მხოლოდ ვახტანგ მეხუთედ მოვიხსენიოთ.

მეორე საყურადღებო ფაქტი გახლავთ ვახტანგ მეხუთის აღიარება, რომ არსებულა განსხვავებები ძველ ცხოვრებებსა და ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებას შორის. ამაში ადანაშაულებს რა „რომელიმე მწერლებს“, ჭეშმარიტების აღდგენის მიზნით საქართველოში რაც კი რამ ცხოვრებები და გუჯარნი არსებულა ეკლესიებსა და კერძო პირთა მფლობელობაში, მოუგროვებიათ და „გაუმართავთ“. „გამართეს“ და გააქრეს არა მარტო გუჯარნი და ცხოვრებები.

(**პავლე ინგოროყვა** 15): „სამწუხაროდ ძველი ქართული მწერლობის საუნჯე, როგორც ცნობილია, მეტწილად დაღუპულია. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან – მხოლოდ ნაწილი, შეიძლება ითქვას, უმცირესი ნაწილია გადარჩენილი“.

(**ქართლის ცხოვრება** I ტ. XVIII): „ამრიგად, „ძველი ქართლის ცხორება“ შეიცავდა იმ ქართულ საისტორიო თხზულებებს, რომლებიც ეხებოდა საქართველოს ამბებს უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე. ეს თხზულებები თავის დროზე არსებობდა როგორც ცალკე მონოგრაფიები ქართველთა ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი შევიდნენ „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილად, მოხდა ზოგიერთი ცვლილება ამ თხზულებათა ტექსტში. როდესაც „ქართლის ცხოვრების" რედაქტორები აერთიანებდნენ ამ თხზულებებს ერთ კრებულად, მათ შენიშნეს, რომ ზოგჯერ თხზულების ბოლოში აღწერილი იყო ის ამბები, რომლებითაც იწყებოდა მომდევნო თხზულება, ამიტომ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებმა კრებულისათვის ერთიანი სახის მისაცემად ზოგიერთ თხზულებას ბოლო მოჰკვეცეს, ზოგიერთს თავი მოაცალეს. ამ გარემოებით აიხსნება ის, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებათა სათაურები ზოგჯერ არც კი ვიცით. არ ვიცით ზოგჯერ აგრეთვე ზოგიერთი ამ თხზულების ავტორის ვინაობაც (ავტორის ვინაობა ან თავში იქნებოდა მოხსენებული, ან თხზულების ბოლოში). თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას უხდება კვლევა-ძიების წარმოება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყვნენ ამ თხზულებათა ავტორები, ან რა ეწოდებოდა ამა თუ იმ „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო ძეგლს (**სიმონ ყაუხჩიშვილი**)“.

არცერთ ამდაგვარ განსხვავებულ, „რომელიმე მწერალთა მიერ განრყვნილ“ თხზულებას ჩვენამდის არ მოუღწევია და უნდა ვიგულისხმოთ, რომ კომისიის მიერ მოგროვილი „გასამართი“, „განრყვნილი“ მასალა, კომისის წევრთა თანხმობით და მათივე ხელით იქნა განადგურებული.

პირდაპირი მტკიცებითი საბუთები არ გამაჩნია და მხოლოდ ვარაუდის დონეზე ვაცხადებ: ის რომ ვატიკანის საცავებში დაცული კასტელის ნამუშევრიდან მრავალი ფურცელი, რომლებიც უდავოდ, „ქართლის ცხოვრების“ საწინააღმდეგო ცნობებს შეიცავდნენ, ამოხეულია და გაუჩინარებული, ჩემი ინტუიციით, საქართველოს ისტორიის შესადგენად რომში ჩასული ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედებას უნდა წარმოადგენდეს.

დავუბრუნდეთ განჯიდან მობრუნებულ, პეტრე დიდთან შეხვედრით იმედგაცრუებულ ვახტანგ მეხუთეს.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 236): „მჭმუნვარე ვახტანგი განჯიდან თბილისს დაბრუნდა. ქართლის მეფის საქმე მეტად გართულდა: ირანის შაჰი ვახტანგ მეფეს

ორგულობასა და ღალატს აბრალებდა; არც ოსმალეთი იყო ვახტანგის მადლიერი – ხონთქარი ვახტანგს რუსთა მომხრეობას უსაყვედურებდა. ვახტანგი, რუსეთის აღთქმას მინდობილი, საქართველოს განთავისუფლების იმედს არ ჰკარგავდა. იგი მტრებთან მოლაპარაკებით და მოსაჩვენარი მორჩილებით დროის მოგებას ცდილობდა და მომავალი გაზაფხულისათვის შარვანში პეტრეს გამოსვლას ელოდა“.

ვახტანგ მეხუთის დიპლომატიის მარცხს ეხმიანება დავით გურამიშვილი:

„სამ დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა,
ყეენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა,
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა“.

(**გიორგი მელიქიშვილი** ისტ. 236): „ქართლის მეფემ ყველა მიმართულებით წააგო, განრისხებულმა შაჰმა „ორგულ ყმას“ ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველ კონსტანტინეს გადასცა. მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იყო იმედის გაცრუება რუსეთის მეფის დახმარებაზე. ოსმალეთმა და რუსეთმა ირანი გაინაწილეს: ხონთქარმა კასპიის ზღვის სანაპიროები რუსეთის საკუთრებად იცნო, პეტრემ კი სამაგიეროდ ოსმალეთს დაუთმო ირანის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველო მიათვალეს.

1723 წლის ზაფხულზე კახეთის მმართველმა კონსტანტინემ ლეკთა დიდი ჯარი დაიქირავა და თბილისს თავს დაესხა. ლეკებმა (ვითომ მარტო ლეკები იყვნენ? ჯ.კ.) თბილისი აიღეს და ისე სასტიკად გაძარცვეს და ააოხრეს, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ამის შემდეგ ქალაქი თავის ძველ კეთილდღეობას ვეღარ დაუბრუნდა. ვახტანგი შიდა ქართლში დადგა, კონსტანტინემ კი ქალაქი დაიჭირა. ამავე დროს ოსმალთა ჯარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისაკენ დაიძრა. 1723 წლის ივნისში ოსმალთა ჯარმა თბილისი უომრად აიღო...

15 ივლისს 1724 წელს ვახტანგი შვილებით, ძმით, უახლოესი თანამოღვაწეებითა და დიდ ამალით რაჭის გზით რუსეთს წავიდა. მეფე, მისი აზრით, ქართლიდან დროებით მიდიოდა და ჩქარა საქართველოს გასანთავისულებლად რუსეთის ჯარით დაბრუნდებოდა, ასეთ იმედებს აძლევდა მას რუსეთის იმპერატორი“.

კვლავ გავიხსენოთ, რომ ვახტანგის მოღვაწეობის ოჯახური შეფასებაა, მისი შვილის ბაქარის სიტყვები:

,,რაზედაც მიდგა არ დარჩა ის საქმე წაუხდიმარე“.

ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით: „იმისთვის, რომ თავი აერიდებინა ქვეშევრდომთა ბუნტისთვის, ვახტანგი იძულებული გახდა რუსეთში გახიზნულიყო (გვ. 210)“.

რუსეთში ემიგრირებული ვახტანგ V და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ბევრს ეცადა რუსეთის დახმარებით თავისი ქვეყანა უცხოელ დამპყრობთაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამაოდ (ქ.ს.ე. IV ტ. 337).

ვახტანგ V გარდაიცვალა ასტრახანში, და თითქოს პეტრე დიდს ელოდებაო, განისვენებს იქვე მიძინების ტაძარში.

იდეა, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურა ვახტანგ V და რასაც პირადი კეთილდღეობაც შესწირა, მოგვიანებით თითქმის სრულად აღსრულდა. რუსეთი შემოვიდა კავკასიაში, მართალია ვერ ჩააღწია სპარსეთის ყურეს, მაგრამ მისი გავლენა მიწვდა მასისის მისადგომებს და ამ ეპოქალური მოვლენის შედეგად აღსდგა ჰაიასტანი, ოსებმა კავკასიაში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შექმნეს, საქართველო გაერთიანდა და კვლავ აღსდგა ქართველთა სახელმწიფოებრიობა. მხოლოდ, ვახტანგისა და მისი „სწავლული" კაცების მიერ „გამართული" „ქართლის ცხოვრება“ და სხვა უამრავი

ნატყუარი თუ შებღალული ძეგლი, დღესაც მძიმე ტვირთად აწევს ქართველი ერის ცნობიერებას...

რა იცოდა მეზობელ ქრისტეანულ სახელმწიფოთა აღშენებითი იდეებით გატაცებულმა ვახტანგ მეფემ, რომ მომავალში, ახლად ფეხადგმულ საქართველოს სახელმწიფოებრიობას პრობლემები უკვე არა მუსულმანური ქვეყნებიდან, არამედ ზუსტად მეზობელ ქრისტეანულ სახელმწიფოთაგან შეექმნებოდა. მივბაძოთ უცნობ წინაპარს და:

ღმერთმა შეუნდოს ქართლის სამეფო კარისთვის დაღლილ მეფე-პოეტს.

მოვსეს ხორენაცი

V საუკუნიდან დაწყებული არმინიიდან ემიგრირებულმა ჰაიკებმა სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრებით დიდი მატერიალური ძალა კი შეიძინეს, მაგრამ ვერცერთ ქვეყანაში ვერ გაიხარეს. კილიკიაში შექმნილმა მცირე ჰაიასტანმა სრული კრახი განიცადა და მათში თანდათან მომწიფდა ისტორიულ არმინიაში საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი. ჰაიკებმა, კილიკიური გამოცდილებიდან გამომდინარე, იციან, რომ დამოუკიდებლად, დიდი ქვეყნების დახმარების გარეშე, ისინი არმინიაში, სადაც საუკუნეებია უმცირესობას წარმოადგენენ, საკუთარი ძალებით ვერ შესძლებენ ასევე საუკუნეთა მანძილზე მუსლიმთა მიერ ათვისებული ტერიტორიების დაბრუნებას და შემდგომ უკვე ამ ტერიტორიებზე სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამდენად, ჰაიკთა დიპლომატიის უპირველესი ამოცანაა მოკავშირეთა მოძიება და ამისათვის, როგორც უკვე ვიცით, მათ თავდაპირველად ევროპას მიმართეს.

ამ მოქმედებებისაკენ მათ XV—XVI საუკუნეებში ევროპაში შექმნილმა, ჩვენს მიერ უკვე განხილულმა პოლიტიკურმა ვითარებამ უბიძგა. მოკავშირეთა დახმარების სურვილის მოსაპოვებლად აუცილებელი პირობაა შენი არსებობა მათ სახელმწიფოებრივ ინტერესებში რომ შედიოდეს და ასევე უნდა გაგაჩნდეს ჰაიასტანის სახელმწიფოს აღდგენის ისტორიულ-სამართლებრივი უფლება. აი ამ მიზნით ჰაიკთა სასულიერო და საერო პირთა ჯგუფი ქმნის მათთვის სასურველ და დროის მოთხოვნების შესაბამის „ჰაიასტანის ისტორია“-ს, რომელსაც შემდგომ მსოფლიოს წარუდგენენ როგორც ერთი ავტორის, მოვსეს ხორენაცის ნაწარმოებად.

შექმნისთანავე მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ ევროპაში მასშტაბური პოპულარიზაცია იწყება.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 52): „ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ ჯერ კიდევ 1693 წელს დაისტამბა ამსტერდამში. ამ დროისათვის ევროპის მრავალ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობით დამკვიდრებულიყო თავის სამშობლოში გაუხარელი, მამაპაპური კერიდან აყრილი, უცხოეთში გადახვეწილი სომხური მოსახლეობა. მათი მეშვეობით ევროპაში სომხური წიგნის ბეჭდვასა თუ საზოგადოდ **ევროპელთათვის სომხური კულტურის გაცნობის საქმეს შედარებით ადრე ჩაეყარა საფუძველი.**

ხორენაცის „ისტორია" თარგმნილია მრავალ ენაზე: ლათინურად (გამოიცა სტოკჰოლმსა და ლონდონში 1723 და 1736 წლებში), რუსულად (1809, 1858, 1893 წ.წ.), ფრანგულად (1836, 1841, 1845, 1869 წ.წ.), იტალიურად (1841, 1850 წ.წ.), გერმანულად (1869 წ.), უნგრულად (1892 წ.) (**ალექსანდრე აბდალაძე**)“.

ეს ის წლებია როცა ჰაიკები ჰაიასტანის სახელმწიფოს აღდგენის მიზნით ევროპასა და რუსეთს შორის მოძრაობენ.

მოვსეს ხორენაცის მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს VI—VII საუკუნეების, ხოლო ნაწილი VIII—IX საუკუნეების ავტორად და რაც გაოცებას იწვევს. მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიად“ წოდებული ნაშრომი ბიზანტიის იმპერიის არსებობის პერიოდში (IV – XV ს.ს.) ყოვლად შეუძლებელია არსებულიყო, ეს სიყალბე მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდგომ იყო შესაძლებელი გაჩენილიყო. მაგალითად: ჰაიკთა მიერ გავრცელებული ცნობის მიხედვით ru.wikipedia.arg -- Христианство-ს რუსულ ვერსიაში სწერია (ქართულში არა):

301 году Великая Армения стала первой страной, принявшей христианство в качестве государственной религии, что связано с именами святого Григория Просветителя и армянского царя Трдата III Великого.

ქრისტეანულმა სამყარომ იცის, რომ ქრისტეანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ავტორმა, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მხოლოდ 324 წელს აღიარა ქრისტეანობა ბიზანტიის სახელმწიფო რელიგიად; ამ დამსახურების გამოც ის ქრისტეანულ სამყაროში იწოდება როგორც მოციქულთასწორი, წმინდა კონსტანტინე და ცნობა, რომ ჰაიკებმა სახელმწიფოებრივ რელიგიად ქრისტეანობა ბიზანტიაზე ადრე მიიღეს, ისეთივე ანეკდოტური ბუნებისაა როგორც ჰაიკებზე მიწერილი ცნობილი ფრაზა:

„**Мы были христианами на век раньше до рождения Христа**“.

(**გურამ მაისურაძე**): „სომეხთა მოქცევის ქართულ რედაქციაში, რომელიც ერთ-ერთ უძველეს თარგმანს წარმოადგენს, სომეხთა განმანათლებელი გრიგოლი სომეხთა გარდა მთელი აღმოსავლეთის მომქცეველადაა გამოყვანილი:

„ესრეთ უკუე არა ხოლო სომხითი გარეშეიცვა მის (გრიგოლის) მიერ ქადაგებამან ცხოვრებისამან, არამედ სპარსეთი და ასურეთი და მიდნი... ამათ ყოველთაგანი ტკბილსა მას უღელსა ქრისტესსა მოიყვანნა ერნი მრავალნი“. ამ ძეგლის მიხედვით, სომეხთა დამსახურება ქრისტიანობის წინაშე ბერძნების თანაბარმნიშვნელოვანი იყო. ძეგლის ავტორი წერს: „და იყვნეს ორნივე ესე ვარსკვლავ ბრწყინვალე კონსტანტინე და თრდატ, კონსტანტინე კერძოთა დასავლისათა, ხოლო თრდატ აღმოსავლით, და ბრწყინავდეს და განანათლებდეს". ამ თემამ თავისი შემდგომი განვითარება გვიანდელ ძეგლებშიც პოვა. მაგალითად, ე. წ. „ხელშეკრულების წიგნის" („დაშანც თუღთ“) მიხედვით, თითქოს, რომსა და სომხეთს ერთმანეთს შორის გავლენის სფეროებად გაეყოთ მთელი ქრისტიანული სამყარო, რომლის ძალითაც დასავლეთი რომაელებს ჰრგებიათ, აღმოსავლეთი – სომხებს. ამ ნატყუარი ძეგლის თანახმად, დოკუმენტს, თურმე, ხელს აწერდნენ რომის მხრიდან იმპერატორი კონსტანტინე და პაპი სილვესტრი, სომხეთის მხრიდან კი მეფე თრდატი და გრიგოლ განმანათლებელი“.

ეს უმსგავსი ჰაიკურ-ქართული ტყუილი რომ ბიზანტიის არსებობის პერიოდში დაწერილიყო, ბიზანტია მიწისაგან პირისა აღგვიდა მთელ ჰაიასტანს და საქართველოსაც ზედ მიაყოლებდა. ბიზანტიამ 391 წელს პირველმა გააუქმა ჰაიკთა თვითმართველობა, ჰაიკებს აიძულებდნენ ბერძნულ ენაზე ეწარმოებინათ წირვა-ლოცვა და რაიმე მინიშნებაც კი ქრისტეანულ სამყაროში ბიზანტიელთა და ჰაიკთა თანაბარმნიშვნელოვან მოღვაწეობაზე ძირშივე, საფიქრალადაც გამორიცხულია. ის რომ ჰაიკური წარმომავლობის მაკედონიელებათ წოდებული ბიზანტიის იმპერატორთა დინასტია 867 -- 1057 წლების მანძილზე მართავდა ბიზანტიის იმპერიას, ასეთი ტყუილის თქმის უფლებას არ იძლევა.

თავად ჰაიკთა ნაწილმაც, უხერხული მდგომარეობის შესარბილებლად, ჰაიასტანის გაქრისტიანების თარიღი შედარებით უკან გადმოწია.

Армения — первая страна, принявшая христианство в качестве государственной религии (согласно традиционной дате 301 г., современные исследования относят это событие к периоду между 314 и 325 годами.

განსხვავებით ჰაიკთა მიერ ამ სრულიად უსაფუძვლო მტკიცებებისა, ინტერნეტის www.krugosvet.ru -- Христианство-ში კი ვკითხულობთ:

К концу 5 в. христианство стало государственной религией Армении.

არც ეს განმარტებაა მართებული, ვინაიდან **К концу 5 в.** ჰაიკებს სახელმწიფოებრიობა აღარ გააჩნდათ და ქრისტეანობა მათთვის მხოლოდ სახელმწიფოებრიობა გაუქმებული ჰაიკი ერის გამაერთიანებელ რელიგიად იქცა.

ჰაიკთა მცდელობა, ჰაიასტანის როგორც უპირველესი ქრისტეანული ქვეყნის წარმოჩინებისა, უმთავრესად გათვლილი იყო, კავკასიის სამხრეთის ისტორიაში ჩაუხედავ ევროპელ მმართველებზე, რათა მათვის ჰაიასტანი როგორც დაახლოებით მეორე იერუსალიმად წარმოდგენილიყო და რასაც მათში უნდა გაეჩინა ქრისტენული სამყაროს ამ „ბურჯის“ მუსულმათაგან განთავისუფლების სურვილი.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასევე ბიზანტიის არსებობის პერიოდში დაუშვებელი იყო იმის მტკიცებაც, რომ:

(**გურამ მაისურაძე**): „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანეში შესული ქართლის გაქრისტიანების ისტორია, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „ფსევდოეპიგრაფიკული“ ან „შატბერდულ-ჭელიშური“ „ნინოს ცხოვრების“ სახელით მოიხსენიება. ამ თხზულების ავტორის მტკიცებით, საქრისტიანოში ქართლის განსაკუთრებული როლი წინასწარ, ჯერ კიდევ ქრისტეანობის გავრცელებამდე იყო განსაზღვრული („Мы были христианами на век раньше до рождения Христа“-ს ქართული ვერსია ჯ.კ.), რამდენადაც ერთერთი უდიდესი ქრისტეანული რელიკვია „სამოსელი ქრისტესი ყოვლად ზეგარდმო ქსოვილი... პირველ მოწევნ(უ)ლ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალიმით მცხეთად“. ამავე ავტორის ცნობით, ბერძენთა სიამაყის უმთავრესი საგნის, ქრისტეს ძელის ანუ ჯვრის ფლობაშიც ქართველები ბერძნებს ეზიარებიან, რამდენადაც ამ ძელის ნაწილები ქრისტეს „ფერხთა ფიცარნი“ და სამსჭვალნი, რომლითაც ქრისტე ჯვარს იყო გაკრული, ქართლში იმყოფებოდა. პირველი ერუშეთის ეკლესიის, ხოლო მეორე მანგლისის ეკლესიის საძირკველში ჩადეს“.

დამატებით გაითვალისწინეთ, რომ ქართული ეკლესიის ტრადიციით ითვლება, რომ ასევე წმინდა ილია წაინასწარმეტყველის კვართი (ხალენი) ნაბუქოდონოსორისგან დევნილმა ებრაელებმა ჩამოიტანეს მცხეთაში და ისიც დაკრძალულია სვეტიცხოველში.

გიჩნდება აზრი -- კიდევ კარგი ქრისტე აღსდგა თორემ მის საფლავსაც ქართველები რომელიმე ტაძრის საძირკველში ჩავაყოლებდით.

ბიზანტიური ტრადიციით, აქ ჩამოთვლილი ქრისტეანული სიწმინდეები კონსტანტინე დიდის დედის, მოციქულთასწორი ელენეს მიერ, ქრისტეს ჯვარცმიდან სამი საუკუნის შემდგომ იერუსალიმში საწაულებრივად აღმოჩენილი -- ქრისტეს სამოსი, ჯვარი რომელზედაც ქრისტე ეწამა და სამსჭვალნი რომლებითაც ქრისტე ჯვარს იყო გაკრული, ბიზანტიის იმპერიის საკუთრებასა და სიამაყის საგანს წარმოადგენდა და უცნობია, რომ ამ სიწმინდეთა ნაწილი ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე მაინც ბიზანტიელებს ვინმესთის დაეთმოთ. ბიზანტიის არსებობის პერიოდში ამ სიწმინდეთა

თუნდაც მხოლოდ ლიტერატურულ დონეზე მითვისების მცდელობა ბიზანტიასთან ომის გამოცხადების ტოლფასი გახლდათ. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:

(**ალექსანდრე აბდალაძე** 52): „ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ ხელნაწერები საკმაოდ მრავლადაა შემონახული, მაგრამ ისინი შედარებით გვიანდელი ხანების, XIV და და შემდგომი საუკუნეებისაა, უფრო ადრინდელი მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია გადარჩენილი“.

ამ ადრინდელად მიჩნეული ხელნაწერების სიძველეში ეჭვის შეტანის უფლებას გვაძლევს შემდეგი ფაქტი: მარი ბროსე თავდაპირველად აღიარებდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის სწავლული კაცების შედგენილი იყო, „შემდეგში ეს აზრი თვით მარი ბროსემ უარყო: მას შემდეგ რაც მან აღმოაჩინა XII საუკუნეში ქართულიდან სომხურად გადათარგმნილი „ქართლის ცხოვრება“ (,,ქართლის ცხოვრება“ I ტ. XXIII. სიმონ ყაუხჩიშვილი)“. ეს „აღმოჩენილი“ სომხური „ქართლის ცხოვრება“ ისეთივე XII საუკუნისაა, როგორც ჩვენი ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“ X-XI საუკუნეებისა -- ორთავე ნატყუარი ძეგლია. აღსანიშნავია, რომ ჰაიკებს „ქართლის ცხოვრება“ სიტყვასიტყვით კი არ უთარგმნიათ, არამედ, ძირითადათ, „ქართლის ცხოვრების“ მათი განმადიდებელი ნაწილები გაახმოვანეს და გასაოცარი იქნება თუ ამას ისინი საბავშვო ბაღებში არ ასწავლიან. ვახტანგის კომისიის ნაღვაწში დაეჭვებულ მარი ბროსეს რომ ეს დამატებითი ნაყალბევი დოკუმენტი „აღმოაჩენინეს", იმის ნათელი მტკიცებაა, რომ გარკვეული ძალები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი „ქართლის ცხოვრების" რეანიმაციაში.

მომავალში, როცა შედარებით სიღრმისეულად გაგრძელდება ნაყალბევ ძეგლთა გამოვლენა, ამ კვლევაში კრიმინალისტებიც უნდა ჩაერთონ და „ქართლის ცხოვრებისა“ და მისი ჰაიკური თარგმანის დაძველების ტექნოლოგია, როგორც სიყალბის ეტალონები ისე უნდა გამოიკვლიონ და რაც გაადვილებს დანარჩენ ნაყალბევ წყაროთა გამოვლენას.

შედარებით ვრცლად ავხსნათ თუ რა გარემოებამ გააბედვინა ჰაიკებს (და ჩვენებსაც) მათთვის სასურველი ისტორიის ჯერ შეთხზვა, შემდგომ ასეთი წარმოუდგენელი მასშტაბით მისი პროპაგანდა და ისიც ობიექტურ ისტორიათა ამღიარებელ ევროპაში.

კავკასიის სამხრეთისა და ევროპის კულტურულ სივრცეთა გამაერთიანებელი შუა ხიდი რომის იმპერია გახლდათ. რომის იმპერიის შექმნამდე და ბერძნულ-რომაული კულტურის შეთვისებამდე, ევროპა საკუთარი ისტორიითაც არ ინტერესდებოდა. დასავლეთ ევროპას ჩვენს სამყაროსთან უშუალო კავშირი არ გააჩნდა და მათი ერთადერთი წყაროს ბერძნულ-რომაული ცოდნა წარმოადგენდა. ეს ხიდი ნაწილობრივ რომში ქრისტეანობის დამკვიდრების საწყის სტადიაში ჩაინგრა, როცა ქრისტეანმა მამებმა წარმართული პერიოდის მემკვიდროებაზე ფაქტიურად ხანგრძლივ ვადიანი მორატორიუმი გამოაცხადეს. მოგვიანებით რომი ორ, აღმოსავლეთ რომისა და დასავლეთ რომის იმპერიებად დაიყო. კავკასიის სამხრეთი აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) გავლენის სფეროში მოექცა. რომის პოლიტიკურ-ეკონომიურ გაყოფას ქრისტეანული სამყაროს კათოლიკეებად და მართმადიდებლად გაყოფა-გაუცხოვება მოყვა. ეს ხანგრძლივი პროცესი 1054 წელს ოფიციალურად დასრულდა.

აღმოსავლეთ რომი (ბიზანტია) ბერძნულ-რომაული ტრადიციების მემკვიდრე იყო და, შესაბამისად, ისტორიოგრაფია მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენდა. ისტორიოგრაფია თავად კეისართა საზრუნავი იყო და ბიზანტია, როგორც კავკასიაში მიმდინარე ცხოვრების უშუალო თანამონაწილე, სისტემატურად აკონტროლებდა ამ სივრცეში მიმდინარე მოვლენებს. ასეთ პირობებში კავკასიაში ბიზანტიის უშუალო გავლენის სივრცეში, ბიზანტიის ღირსების

შემლახველი ნატყუარი ისტორიების გაჩენის შანსი მინიმალური გახლდათ. 1453 წელს აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) დაცემის შემდგომ ყოველგვარი კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ ქრისტეანულ სამყაროთა შორის საერთოდ შეწყდა, მოხდა სრული გაუცხოება. ამ რეალობას უზუსტესად ასახავს **არქანჯელი ლამბერტი**, რომელიც 1633—1663 წლებში იცხოვრა სამეგრელოში.

(**არქანჯელო ლამბერტი** 7): „კოლხიდა, რამდენადაც წინად იყო ცნობილი ძველთაგან, რომელთაც ხშირი მსვლელობა ჰქონდათ ამ ქვეყანაში, იმდენად ჩვენს დროში უცნობია იტალიისათვის, რადგან ყოველივე მიმოსვლა და ვაჭრობა ამ ქვეყანასთან მოისპო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენსა და კოლხიდას შუა ჩადგა თურქეთი, რომელმაც თავისი ბარბაროსობით და მტარვალობით ვაჭრებსა და ცნობისმოყვარეთ გზა შეუკრა ამ ქვეყნისაკენ და იქაურები გააუბედურა და მოუსპო მათ ყოველივე ის, რაც საზოგადოდ უცხოქვეყნელებს იზიდავს და უღვიძებს სურვილს სხვა ქვეყნების დათვალიერებისა და გაცნობისას“.

ევროპაში მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა – **ბიზანტიოლოგია** და მანამდის ევროპელთათვის ბიზანტიის იმპერიის ისტორიული რეალობა უცნობი გახლდათ. აი ამ შექმნილი განუკითხაობის სიტუაციით ისარგებლეს ჰაიკებმა და ევროპელთა ჰაიასტანის ბედით დაინტერესების მიზნით შეთხზეს მათთვის სასურველი ისტორია, ხოლო ბიზანტიის მაკონტროლებელი კულტურის არსებობის პირობებში ეს შეუძლებელი გახლდათ.

იმედია სრულად თავად გაეცნობით მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“, აქ კი თქვენ მოგაწვდით ნაწარმოების დედააზრს, რომელსაც გადმოგვცემს არმენოლოგი ალექსანდრე აბდალაძე.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 25): „ხორენაცს სურს წარმოაჩინოს თავისი სამშობლოს ძლევამოსილება წარსულში, მისი რწმენით სომხეთი დიდი ქვეყანა, ხოლო სომხეთის ხელისუფალნი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ იყვნენ. ამასთანავე შეიძლება ამოვიცნოთ ხორენაცის სწრაფვა იქითკენ, რომ... სომხეთი მომავალში კვლავ დიდ სახელმწიფოდ უნდა იქცეს... თავისი ქვეყნის ძლევამოსილების მოსურნე ხორენაცი არ ერიდება წყაროების, ფაქტების გაყალბებას. ასე მაგალითად, „სომხეთის ისტორიაში“ (II. 30-34) გასომხებულია და სომეხთა საამაყო შვილად, სომეხთა მეფედაა გამოცხადებული სირიელთა კერპი, ედესის მეფე აბგარი (გასომხებულია მისი თანამოსანგრენიც). ხორენაცი თუ მისი სომხური წყარო, იმეორებს სომხურ ქურაში ნაწრთობ სირიულ გადმოცემას იმის შესახებ, რომ აბგარს თითქოს მიწერ-მოწერა ჰქონია იესო ქრისტესთან, ქრისტეს წამებისთანავე მონათლულა კიდეც და სხვა ქვეყნის ხელისუფალთაც, მათ შორის რომის იმპერატორსაც ურჩევდა ქრისტეს რჯულის შეწყნარებას. მართალია, სინამდვილეში ქრისტეს თანამედროვე ედესის მეფე აბგარი არ გაქრისტიანებულა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მსოფლიოს პირველი ქრისტიანი მეფე III საუკუნის დამდეგს სწორედ ედესის (და არა ჰაიასტანის ჯ.კ.) მეფე აბგარ IX შეიქმნა. თითქოს ქრისტიანობის სათავეებთან მდგომი, ქრისტეს კეთილმოსურნე მეფის, სირიელი აბგარისა, მისი ამალის გასომხება ხორენაცის „ღვაწლია“. ცხადია, ხორენაცის ამგვარი ნაბიჯი შორს გამიზნულია. **მისი სურვილია** („ევროპელთა ჯვაროსნული ამბიციების გათვალისწინებით, მათი ინტერესების გასაღვიძებლად“ ჯ.კ.) **წარმოაჩინოს სომხეთის დიდი ამაგი ქრისტიანობის გამარჯვების საქმეში, გამოაცხადოს სომხეთი ქრისტიანობის ერთ-ერთ ყველაზე უძველეს კერად**. მსგავს მისწრაფებებს ხორენაცი სხვაგანაც არაერთგან ავლენს და ამიტომაც, ვფიქრობთ, მისგან მოსალოდნელიც იყო საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ მიკერძოებული თვალსაზრისი შეემუშავებინა“.

განსხვავებით ქართველი ისტორიკოსებისაგან, მოვსეს ხორენაცი აღიარებს ბერძნული ისტორიოგრაფიის ავტორიტეტს.

(**მოვსეს ხორენაცი** 58): „უყოყმანოდ ვუწოდებ მთელ საბერძნეთს სიბრძნის დედას ან ძიძას. ნათქვამი საკმარისია ბერძნული მატიანეების გამოყენების საჭიროების ცხადსაყოფად“.

აი ამ ბერძნული მატიანეების მოყვარული ხორენაცი ახერხებს იმას, რომ ბერძნული მატიანეების ერთერთი ფავორიტის, კოლხეთის არსებობაზე კრინტსაც არა სძრავს. მოვსეს ხორენაცის შემქნელ ჰაიკ ავტორებს კავკასიის სამხრეთით კოლხეთის არსებობა და რეგიონში მისი ლეგენდარული წარსულის უპირობო პირველობა აბსოლუტურად არ აწყობდათ და ახდენენ მის სრულ იგნორირებას.

განსხვავებით კოლხეთის რეალური წარსულის უარყოფისა, მოვსეს ხორენაცი არ ერიდება ბერძენთა ავტორიტეტის გამოყენებას მის მიერვე შეთხზული ჰაიასტანის წარსულის განსადიდებლად.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 267): „ხორენაცის მიერ დასახელებული ავტორების, პოლკრატესის, ევარგოსის, სკანადროსისა და ფლეგანიოსის თუ მათი ნაშრომების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. როგორც ეტყობა, არტაშეს I-ის განდიდებისა და მისეული თხრობისათვის დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით მოვსესი ბევრ რამეს თვითნებურად მიაწერს ხსენებულ ოთხეულს“.

მოვსეს ხორენაცი ასევე ტენდეციურად იყენებს რომაელი ევსები კესარიელის ცნობას,

(**მოვსეს ხორენაცი** 110): „დავიწყებთ თხრობას შენთვის, აფრიკანოს ჟამთააღმწერელის მეხუთე წიგნზე [დაყრდნობით], რომელსაც ადასტურებენ იოსები, იპოლიტე და ბევრი სხვაც ბერძენთაგან. მან მთლიანად გადმოიღო რაც ედესის ანუ ურჰას სიძველთსაცავის აქტებში ჩვენს მეფეთა შესახებ იყო ნათქვამი. იქ გადაიტანეს წიგნები ნაზიბინიდან, აგრეთვე სატაძრო მატიანეები პონტოს სინოპიდან. ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება, რამეთუ ჩვენ თვითონ ვნახეთ ის არქივი, ამის მოწმე და თავდებია ევსები კესარიელის საეკლესიო წიგნიც, რომელიც სომხურად ჩვენმა ნეტარმა მოძღვარმა მაშტოცმა ათარგმნინა. დაძებნე იგი გელარქუნში, სიუნიქის გავარში და მისი პირველი კარის მეცამეტე თავში იპოვი ცნობას, რომ ედესის სიძველთსათავსის [მატიანეებში] აღნუსხულია ჩვენი ადრინდელი მეფეების მთელი საქმიანობა აბგარის მეფობამდე. ასევე აბგარის შემდეგაც ერვანამდე“.

როგორ მოგწონთ მტკიცების ფორმა „ამაში ეჭვი ნურავის შეეპარება, რამეთუ ჩვენ თვითონ ვნახეთ ის არქივი“. ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ საქმე გვაქვს მორიგ სიყალბესთან, ვინაიდან **ალექსადრე აბდალაძისვე** ცნობით **„სინამდვილეში ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“ სომეხი მეფეები არ იხსენიებიან** (**მოვსეს ხორენაცი** 226)“.

(**ქ.ს.ე.** IVტ. 44): „**ევსები კესარიელის** (260—340 წ.წ.) „საეკლესიო ისტორია“ ქართულად ძველად ყოფილა თარგმნილი, რაც მოხსენიებულია ექვთიმე ათონელის ერთ წერილში. ევსები კესარიელის ზოგიერთი შრომა თუ მთლიანი სახით არა, ფრაგმენტულად მაინც შემონახულია ძველ ქართულ მწერლობაში... **ევსები კესარიელს აქვს ცნობები არგონავტების, მედეას, ტიბარენების, იბერებისა და ტრაპეზუნტის შესახებ**“.

მოვსეს ხორენაცი ევსები კესარიელს მიაწერს მის ნაშრომში არარსებულ, ჰაიკთათვის სასურველ ცნობას, ხოლო დუმს იმის შესახებ რომ ევსები კესარიელისთვის ცნობილი იყო კოლხეთისა და მის შესახებ არსებული ბერძნული მითოლოგია. აქ

ცხადდება მოვსეს ხორენაცის სურვილი წარმოაჩინოს ჰაიასტანის არარსებული დიდება და მიაჩუმათოს კოლხეთის რეალურად არსებული ლეგენდარული წარსული.

„მადა ჭამაში მოდისო“ და ჰაიკთა „სწავლულმა კაცებმა“ ევროპელებს მთელი კავკასია თავიანთ სამფლობელოდ დაუხატეს. ჰაიკებმა მოინდომეს არა მარტო ყოფილი ჰაიასტანის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის აღდგენა, არამედ, თავი სრულად დღევანდელი თურქეთისა და ნაწილობრივ სპარსეთის იმპერიათა ტერიტორიების სრულუფლებოვან მემკვიდრეებად გამოაცხადეს და რაც სრულიად არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

არტაქსი და ტიგრან დიდი

ამ ქვეთავში მოვსეს ხორენაცისეული ისტორიულ მოვლენათა სრულად ტენდეციური აღწერილობა მსოფლიო ისტორიოგრაფიის ჩვენებებს შევუდაროთ, რომლის მიხედვითაც არმენიის სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ ორი რეალურად არსებული წარმატებული პერიოდია დაფიქსირებული. სტრაბონის ცნობით:

(**ივანე ჯავახიშვილი ქ.** 420): „სომხეთი რომელიც თავდაპირველად პატარა სახელმწიფო იყო, არტაქსიმ და ზარიადრმა გაადიდესო... პირველი რომ სოფენში, აკილისენში და ოდომანტში გამეფდა, ხოლო მეორე არტაშატის (არტაქსატის) მახლობლად, მათ სომხეთი გააფართოვეს და ის მიწები მიუმატეს, რომელიც მეზობელ ერებს ჩამოაჭრესო... სტრაბონის სიტყვით, არტაქსიცა და ზარიადრიც ანტიოქოზ დიდის (227—187 ძვ. წ.) სარდლებად ყოფილან და მხოლოდ იმათი ბატონის დამარცხების შემდგომ გამეფებულან“.

ანტიოქოზ დიდი სელევკიდების დინასტიის წარმომადგენელი გახლდათ. ეს დინასტია ალექსანდრე მაკედონელის სარდალმა სელევკე I ნიკატორმა (ძვ. წ. 353 – 281 წ.წ.) დაარსა, რომელსაც ალექსანდრეს სიკვდილის შემდგომ, მისი სარდლების მიერ იმპერიის დაყოფის შედეგად, ბაბილონის სატრაპია, ანუ სირიის ელენისტური სამეფო ერგო წილად. ამ სელევკიდების სამეფოს შემადგენელ ნაწილს ისტორიული არმინიის ტერიტორიაც წარმოადგენდა. ანტიოქოზ დიდმა 190 წელს რომაელებთან ბრძოლაში გამანადგურებელი მარცხი განიცადა და რის შემდგომაც მას განუდგენ მისი ასევე დამარცხებული სელევკიდელი სარდლები არტაქსი, ზარიადრი და გამეფდნენ რა არმენიასა და სოფენაში, ამ სამეფოების დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამრიგად, ძვ. წ. 189 წელს არმენიაში მაკედონიელი სარდლების გამეფების თარიღი უნდა მივიჩნიოთ ჰაიასტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საწყის თარიღად.

არტაქსი დაახლოებით ძვ. წ. 160 წელს გარდაიცვალა. ამის შემდგომ ჰაიასტანს კვლავ პართია ეუფლება და რისი მტკიცებაც გახლავთ ის ფაქტი, რომ ჰაიკთა შემდგომი დიდი მეფე ტიგრანი ახალგაზრდობაში პართიელების სამეფო კარზე მძევალს წარმოადგენდა, ანუ ჰაიკთა ძლიერება კვლავ დაკნინებული იყო და შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰაიკები ასევე კარგავენ მეზობელ ხალხთა იმ ტერიტორიებზე კონტროლს, რომლებიც ჩვეულებრივ დროებით იყო დაპყრობილი სელევკიდელი სარდლების არტაქსისა და ზარიადრის მიერ.

მეორე წარმატებული პერიოდი აღბეჭდილია ბერძენი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის პლუტარქეს (46/50—125/127 წ.წ.) თხზულებაში „პარალელური ბიოგრაფიები“. ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს პლუტარქე აღწერს გამოჩენილი რომაელი მხედართმთავრების ლუკულისა და პომპეის ცხოვრებათა თხრობისას და

ეხება რომის იმპერიის ისტორიის „მითრიდატულ ომებად“ ცნობილ მოვლენებს (ძვ. წ. 89-66 წ.წ.).

(ქ.ს.ე. VIII ტ. 158): „პონტოს სამეფო, ელინისტური სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში ძვ. წ. 302 – ძვ. წ. 64. დაარსა ქ. ქიოსის ყოფილმა დინასტმა აქემენიდთა გვარის წარმომადგენელმა მითრიდატე II-მ. დასავლეთით ესაზღვრებოდა პაფლაგონია (მდ. ჰალისი), ჩრდილოეთით შავი ზღვა, აღმოსავლეთით კოლხეთი (მდ. ჭოროხი), სამხრეთით არმენია, კაპადოკია, გალატია. ძირითად მოსახლეობას კაბადოკიელები შეადგენდნენ. პონტოს სამეფომ თანდათანობით მიიერთა შავი ზღვის სანაპიროს ბერძნული ქალაქები და აღმოსავლეთ საზღვრებზე მცხოვრები ტომები: ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ხალიბები, სანები, სასპერები და სხვა ქართველური ტომები. დედაქალაქი იყო ამასია... პონტოს სამეფოს აყვავებისა და ნამდვილი ძლიერების ეპოქა მითრიდატე VI ევპატორის ხანაა. მან მოახდინა საომარი ძალების რეორგანიზაცია და დაიწყო სახელმწიფო საზღვრების გაფართოება... ძვ წ. I ს. 90-იან წლებში მითრიდატე VI ევპატორმა შემოიერთა კოლხეთი, საიდანაც გაჰქონდა ძელქვა, სელი, კანაფი, ცვილი და ლაშქრად გაჰყავდა „შმაგად მეომარი“ კოლხი მხედრები და ზღვაოსნები. დაიმორჩილა მცირე არმენია და კავშირი შეკრა თრაკიასთან, იბერიასთან, დიდ არმენიასთან, პართიასთან. დაიწყო I ეგრეთწოდებული მითრიდატული ომი (ძვ. წ.89 – 85/84წ.წ.) რომთან. ზედიზედ დაიპყრო გალატია, პაფლაგონია, კაპადოკია, შეიჭრა ბითინიაში. მისი ბრძანებით აზიაში გაჟლიტეს 80 ათასი რომაელი და იტალიელი. ჯარები გადასხა საბერძნეთში. მას მიემხრო ათენი. დაპყრობილ ოლქებში მონებს ათავისუფლებდა. მითრიდატე VI ევპატორის სოციალურმა პოლიტიკამ მცირე აზიის ბერძნული ქალაქების დიდკაცობის უკმაყოფილება გამოიწვია და ისინი მის წინააღმდეგ აჯანყდნენ, რამაც ხელი შეუწყო რომაელების გამარჯვებას ლუციუს კორნელიუს სულას მთავარსარდლობით, დარდანოსში დადებული ზავის (85—84წ.წ.) თანახმად, მითრიდატე VI ევპატორი იძულებული გახდა დაპყრობილ ტერიტორიებზე უარი ეთქვა. რომს გადასცა ფლოტი და სამხედრო კონტრიბუცია გადაიხადა. 83 წელს რომაელებმა ომი განაახლეს (II მითრიდატული ომი 83—81წ.წ.), შეიჭრნენ პონტოს სამეფოში, 400 სოფელი გაძარცვეს და ააოხრეს. მითრიდატე VI ევპატორმა რომაელები დაამარცხა მდ. ჰალისთან, მაგრამ მის შემდგომ წინსვლას ხელი შეუშალა კოლხეთის აჯანყებამ. სულას ინიციატივით კვლავ დაიდო ზავი პონტოს სამეფოსა და რომს შორის. 74 წ. დაიწყო III მითრიდატული ომი (ლევან სანიკიძე)“.

მითრიდატეს მოღვაწეობის პერიოდში აღზევების ჟამი დაუდგა პონტოს აღმოსავლეთით მდებარე დიდი არმენიის მეფეს, ტიგრან დიდს (ძვ. წ. 95—61 წ.წ.). ტიგრანის გამეფებამდე არმენია პართიის ვასალური ქვეყანა გახლდათ. ახალგაზრდა ტიგრანი პართიანელთა მძევალი იყო და სანამ მეფობას მიაღწევდა, ტიგრანს მრავალი რამის დათმობამ მოუწია, თუმცა ჩქარა ყოველივე დაიბრუნა და პართიანელთა მეფესაც „მეფედ-მეფის" ტიტულიც წაართვა. ტიგრანის წარმატებათა გარანტიას მითრიდატესთან დამოყვრება (ცოლად შეირთო მითრიდატეს ქალიშვილი) და მასთან სამხედრო-ეკონომიური კავშირი წარმოადგენდა. თუ მითრიდატე დასავლეთით რომაელებს ებრძოდა, ტიგრანი აღმოსავლეთით პართიას უსწორდებოდა.

(პლუტარქე 78): „უსაზღვრო ბედნიერებაში ჩაფლული მეფე ტიგრანი ნამეტნავად ზვიადი კაცი გახდა. მას ეგონა, რომ ყველაფერი ის, რაც ხალხის მისწრაფებისა და გაოცების საგანს წარმოადგენდა, არათუ ეკუთვნოდა მას, არამედ მარტოოდენ მისთვის იყო შექმნილი.

დასაწყისში ტიგრანის ზრახვები მეტად მცირე, უმნიშვნელო იყო. მაგრამ მერე მან მრავალი ხალხი დაიმორჩილა და პართების ძლიერება ისე დააკნინა, როგორც ვერავინ. მესოპოტამია ტიგრანმა ბერძნებით აავსო. ისინი მან ძალდატანებით გადმოასახლა აქ კილიკიიდან და კაპადოკიიდან. ასევე წამოიყვანა სამშობლოდან მომთაბარე არაბები და საცხოვრებელი ადგილები თავის ახლობლად მისცა. მას უნდოდა ეს ხალხი სავაჭრო საქმეებში გამოეყენებინა.

ტიგრანის გარშემო თავმოყრილი იყო მრავალი მეფე. ეს დიდ სასამსახურო ამალას წარმოადგენდა. ოთხი მეფე მაინც, პირისფარეშთა და პირად მცველთა მსგავსად, მუდამ მის გვერდით იმყოფებოდა. თუ ტიგრანი სადმე ცხენით მიდიოდა, ეს მეფეები მოკლე კაბებით ქვეითად მისდევდნენ მას უკან. ხოლო როცა იჯდა და ვინმესთან მოლაპარკებას აწარმოებდა, ისინი ხელიხელჩაკიდებულნი გაუნძრევლად იდგნენ მასთან. ასეთი მდგომარეობა პირდაპირ მონობის აღიარება იყო მათგან“.

თავისი არსებობის მანძილზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები ჰაიასტანის სამეფომ ტიგრანის (ძვ. წ. 95—61 წ.წ.) მმართველობის ოცდახუთწლიანი ზეობის ხანაში იზეიმა და რომელი სამეფოს საზღვრების მათ მიერვე შექმნილ რუკებზე გამოსახული კონფიგურაცია დღესაც ჰაიკი ერის მამოძრავებელი ძალაა.

ასეთი სახელმწიფოებრივი სიძლიერის მწვერვალზე მყოფ ტიგრან დიდთან მოაღწია მითრიდატული ომების ექომ. რომაელ სარდალ ლუკულს გამოქცეულმა მითრიდატემ თავი კოლხეთის მხარეს შეაფარა. მითრიდატეს დევნით დაღლილი ლუკულის ჯარისკაცები უკმაყოფილებას გამოთქვამენ თუ ლუკული რატომ არ უმართავს მითრიდატეს გადამწყვეტ ბრძოლას და აძლევს საშუალებას მითრიდატეს კვლავ მოიკრიბოს ძალები. ამაზე ლუკულუსი პასუხობს:

(**პლუტარქე** 72): „აი, სწორედ მეც ეგ მინდა, -- ამბობდა ლუკულუსი, -- მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ გაიქცეს. განა თქვენ ვერ ჰხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო? იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათი ათასობით მეფე. კაბეირადან რამდენიმე დღის სავალ მანძილზე ძევს სომხეთი. სომხეთის ტახტზე ზის მეფეთა მეფე – ტიგრანი. მას დიდძალი მხედრობა ჰყავს და ამ მხედრობის წყალობით პართებს გასაქანს არ აძლევს აზიაში, ბერძნულ ქალაქთა მოსახლეობა მიდიაში გადაჰყავს, სირიასა და პალესტინაზე მბრძანებლობს, ჰკლავს სელევკოსის მემკვიდრე მეფეებს და მათი ქალიშვილები და ცოლები ძალდატენით ტყვედ მიჰყავს. ეს ტიგრანი მითრიდატეს ახლობელია, მისი სიძეა. მითრიდატემ რომ მას დახმარება სთხოვოს, იგი უარს არ ეტყვის და ჩვენს წინააღმდეგ ომს დაიწყებს. თუ ჩვენ ავჩქარდებით, რათა მითრიდატე უკუვაქციოთ, ამით ტიგრანის მხრით თავდასხმის საფრთხეს შევიქმნით. ტიგრანი უკვე დიდ ხანია ჩვენ წინააღმდეგ ომის საბაბს ეძებს და იმაზე უკეთეს მიზეზს, რომ გასაჭირში მყოფ ახლობელ კაცს, და ისიც მეფეს, დაეხმაროს, იგი ვერასოდეს იპოვნის. ჰოდა, რატომ უნდა გავაკეთოთ ჩვენ ეს და ვასწავლოთ მითრიდატეს ის, რაც მან არ იცის. სახელდობრ, რატომ უნდა ვასწავლოთ მას, თუ ვისთან ერთად უნდა იბრძოლოს ჩვენს წინააღმდეგ? რატომ უნდა ვაიძულოთ იგი, დახმარებისათვის მიმართოს ტიგრანს მაშინ, როდესაც მას ეს არ სურს და თავისთვის სამარცხვინო საქმედ თვლის? განა უმჯობესი არ იქნება, დრო მივცეთ მას, რათა საკუთარი ძალები შემოიკრიბოს და კვლავ მოღონიერდეს? მიდიელებსა და სომხებთან ბრძოლას განა არ სჯობია შევებრძოლოთ კოლხებს, ტიბარენებსა და კაპადოკიელებს, რომლებიც ჩვენ არა ერთხელ დაგვიმარცხებია?“.

ძვ. წ. 71 წელს, რომაელებთან მორიგი მარცხის შემდგომ, მითრიდატე იძულებულია თავი უკვე არმენიას შეაფაროს.

(**პლუტარქე** 76): „ლუკულუსი სწრაფად მიადგა ტალავრას; მაგრამ, როცა გაიგო, რომ მითრიდატეს გაესწრო და უკვე ოთხი დღით ადრე სომხეთში ტიგრანთან გაქცეულიყო, უკანვე გამობრუნდა, მან დაიმორჩილა ქალდეველები და ტიბარენები, აიღო მცირე სომხეთი, დაიკავა იქაური ციხე-სიმაგრეები და ქალაქები და მერე ტიგრანთან აპიუსი გაგზავნა წინადადებით: მითრიდატე გადმომეციო“.

ტიგრანმა არ გადასცა რომაელებს მითრიდატე და რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის სამზადისს შეუდგა.

(**პლუტარქე** 80): „როცა ლუკულუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე და ტიგრანი მზად არიან აზიაში პირველად შესაღწევად ლიკაონიისა და კილიკიის ოლქებში მხედრობის გადასაყვანადო, მეტისმეტად გაუკვირდა. მას აოცებდა ის ამბავი, რომ სომეხმა მეფემ, რომელსაც რომაელებთან ომის დაწყება ჰქონდა განზრახული, არ გამოიყენა მითრიდატე მისი სიძლიერის დროს და მის დიდ ძალებს თავისი არ შეუერთა. და ახლა, როცა მან მითრიდატეს ყველაფერი დააკარგვინა და იგი განადგურებამდე მიიყვანა, ფრიად უმწეო იმედებით მოინდომა ომის დაწყება და თავს საფრთხეში იგდებდა იმათთან ერთად, რომელთაც ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლოთ“.

ლუკულუსთან პირისპირი შებმა გარდუვალი ხდება და ტიგრანი იწყებს ფართომასშტაბიან მზადებას.

(**პლუტარქე** 82): „მასთან მთელი მხედრობით მივიდნენ სომხები და გორდიენელები... უკლებლივ გამოცხადდა მიდიელთა და ადიაბენელთა ლაშქარი... მასთან მოზღვავდნენ ბაბილონის ზღვის სანაპიროდან წამოსული არაბთა უთვალავი ურდოები, კასპიის ზღვის მხრიდან დაძრული მრავალრიცხოვანი ალბანები და ალბანების მეზობლად მცხოვრები იბერები და არაქსის სანაპიროებზე მოსახლე თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარები“.

მდინარე არაქსზე ჰაიკთა გარდა „თავისუფალ ტომთა საკმაოდ დიდი რაოდენობა“ სახლობდა.

მითრიდატე ტიგრანს ურჩევს აიცდინოს რომაელებთან პირისპირ შებრძოლება, მოუჭრას სურსათის მოსამარაგებელი გზები და ამით შეუქმნას გაუსაძლისი პირობები. მაგრამ საკუთარი ლაშქრის სიმრავლითა და მათი საბრძოლო სულისკვეთებით მოხიბლული ტიგრანი ეჭვობს, რომ რომაელთაგან მრავალგზის დამარცხებულ მითრიდატეს ტიგრანის რომაელებზე მოახლოებული უცილობელი გამარჯვების შურის გრძნობა ამოძრავებს და გადაწყვეტს ბრძოლის ველზე გაანადგუროს რომაელები. ბრძოლა ქალაქ ტიგრანოკერტთან შედგა. ბრძოლის წინ ტიგრანს რომ რომაელთა შედარებით მცირერიცხოვანი ლაშქარი დაუნახავს, გამოუთქვამს შემდგომ საქვეყნოდ ცნობილი მოარული ფრაზა: „თუ ეს რომაელები ელჩებად მოვიდნენ აქ, მეტისმეტედ ბევრნი არიან, თუ ჯარისკაცებად -- ფრიად მცირენიო“.

ტიგრანის ამ სიტყვებს მშვენიერ ხასიათზე დაუყენებია მისი თანამებრძოლნი მაგრამ ბრძოლა ისე სამარცხვინოდ წაუგიათ, რომ რომაელები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილან.

(**პლუტარქე** 84): „სტრაბონი „ისტორიულ მოგონებაში" აცხადებს: რომაელები სირცხვილისაგან წითლდებოდნენ და თავის თავს დასცინოდნენ: ამისთანა ღვთის გლახებზე როგორ აღვმართეთ იარაღიო“.

ლუკულუსი უკვე გაქცეულ ტიგრანს გამოდევნებია და შემდგომი ბრძოლა მდინარე არსანიასთან გაიმართა. რომაელთა წინაშე ტიგრანის ლაშქარი აღიმართა.

(**პლუტარქე** 87): „ლუკულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო ჩამწკრივებული. ამ მხედრობას წინ ცხენოსანი მშვილდოსნები – მარდები და შუბოსანი იბერები იდგნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტიგრანი სწორედ ამათ უცხადებდა. მაგრამ არავითარი ბრწყინვალე გმირობა მათ მაშინ არ ჩაუდენიათ. რომაელ მხედრებთან მცირეოდენი შეტაკების შემდეგ, იერიშზე წამოსულ ქვეითებს ვეღარ გაუმკლავდნენ, ორ ნაწილად გაიყვნენ და უკუიქცნენ“.

ტიგრანმა მორიგი მარცხი განიცადა. მიუხედავად წარმატებებისა, საომარ მოქმედებათა გაწელვისა და ჯარისკაცთა დაუმორჩილებლობის გამო, რომმა ლუკული უკან გაიწვია და მითრიდატესა და ტიგრანის წინაამღდეგ ბრძოლის გაგრძელება პომპეუსს დაავალა. პომპეუსის განკარგულებაში გადადის ლუკულუსის მიერ დამორჩილებული ქვეყნები და მათ შორის „ზედა კოლხეთი“ (**Верхняя Колхида**). ეს ტერმინი ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან იგი აფიქსირებს, რომ ძვ. წ. I საუკუნისთვის კოლხეთი გაყოფილია ორ -- ზედა და ქვედა ნაწილებად და უნდა ვიგულისხმოთ, რომ საზღვარი, დაახლოებით, დღევანდელი სარფის ტერიტორიაზე გადიოდა. ასევე უნდა დავაფიქსიროთ, რომ პლუტარქეს მიხედვით კოლხეთი და იბერია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქვეყნებია, ცალლცალკე მოქმედებენ და რაც სრულ წინააღმდეგობაშია „ქართლის ცხოვრების" მონაცემებთან.

პომპეუსის წარმატებულ საომარ ქმედებათა შემდგომ დევნილი მითრიდატე კვლავ ტიგრანთან თავშესაფრის საძებნელად გაემართა, მაგრამ რომაელთაგან გამწარებულმა ტიგრანმა იგი არათუ არ მიიღო, ასი ტალანტი ჯილდოდ გამოაცხადა იმათთვის, ვინც მას მითრიდატეს თავს მიართმევდა. მითრიდატე, ევფრატის სათავის გადალახვის შემდგომ, კოლხეთზე გავლით გაუჩინარდა.

(**პლუტარქე** 116): „პომპეუსი ახალგაზრდა ტიგრანის (დიდი ტიგრანის ვაჟის ჯ.კ.) მიპატიჟებით სომხეთში შეიჭრა. ეს ტიგრანი უკვე წინათვე განუდგა თავის მამას და ახლა პომპეუსს მდინარე არაქსის პირას დაუხვდა... პომპეუსმა და ახალგაზრდა ტიგრანმა არაქსის სანაპიროდან წინ წაიწიეს და გზადაგზა ქალაქები აიღეს.

ლუკულუსის მიერ სულ ახლახან დამარცხებულმა მეფე ტიგრანმა, როცა გაიგო, პომპეუსი ხასიათით მშვიდი და ალერსიანი კაცი არისო, რომაელთა მეციხოვნე ჯარი თავის სატახტო ქალაქში მიიღო, თვითონ კი მეგობრებისა და ნათესავების თანხლებით, მორჩილების გამოსაცხადებლად პომპეუსთან გაეშურა.

როცა ცხენზე შემართული ტიგრან მეფე მტრის ბანაკს მიუახლოვდა, წინ მას პომპეუსის ორი ლიქტორი შემოეგება. ლიქტორებმა მეფეს უბრძანეს ცხენიდან ჩამოსულიყო და პომპეუსს ქვეითად ჰხლებოდა: რომაული მხედრობის ბანაკში ცხენზე მჯდომი კაცი ჯერ არავის არ უნახავსო. ტიგრანი მყისვე დაემორჩილა ბრძანებას და ამასთან ერთად მან ხმალიც შემოიხსნა და ლიქტორებს გადასცა.

ბოლოს, მივიდა თუ არა პომპეუსთან, თავიდან ჩალმა მოიხადა და უნდოდა, ჩალმაც მის ფერხთა წინ დაედვა და თვითონაც, საკუთარი ღირსებისათვის ფრიად სამარცხვინოდ, მიწაზე განრთხმულიყო, რათა რომაელთა მხედავრთმთავარს მუხლებზე მოჰხვეოდა. მაგრამ პომპეუსმა დაასწრო, მოჰკიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა და გვერდით ახლოს დაისვა, ხოლო მისი ძე, ტიგრანი, მეორე მხარეს დასვა. ამის შემდეგ პომპეუსმა სომეხთა მეფეს უთხრა: ყველა დღემდე განცდილი უბედურება ლუკულუსს უნდა დააბრალო; სწორედ იმან წაგართვა სირია, ფინილია, კილიკია, გალატია და სოფენე, მაგრამ რაც ჩემ მოსვლამდე შემოგრჩა, შენვე გქონდეს, ოღონდ რომაელებისათვის მიყენებული შეურაცხოფის მიყენების სამაგიეროდ ექვსი ათასი ტალანტი უნდა გადაიხადო; სოფენეს ტახტზე კი შენი ძე დაჯდებაო.

ეს წინადადებები დიდის კმაყოფილებით მიიღო ტიგრანმა. მაშინ მას რომაელებმა მეფობა მიულოცეს... სამაგიეროდ მისი ძე ტიგრანი ფრიად უკმაყოფილო იყო და როცა იგი პომპეუსთან ლხინზე მიიწვიეს, განაცხადა: პომპეუსის მხრივ ასეთი პატივისცემა სრულებით არ მჭირდება, ჩემთვის სჯობია, ვინმე სხვა რომაელი ვიპოვოო. ამ სიტყვებისათვის იგი შეიპყრეს და პომპეუსის მომავალ ტრიუმფში მონაწილეობის მისაღებად მცველები მიუჩინეს.

მცირე ხნის შემდეგ პართების მეფე ფრაატემ ელჩი გამოგზავნა. იგი ახლგაზრდა ტიგრანის, როგორც მისი სიძის, გათავისუფლებას მოითხოვდა და წინადადებას იძლეოდა, პართებისა და რომაელების საბრძანებელთა საზღვრად მდინარე ევფრატი ჩაეთვალათ. პომპეუსმა ფრაატეს ასე უპასუხა: დატყვევებული ტიგრანი მამას უფრო მეტად ეკუთვნის ვიდრე სიმამრს; რაც შეეხება ჩვენ საზღვარს, მაგ საკითხს მართლსმსაჯულება გადაწყვეტსო.

პომპეუსმა სომხეთის დასაცავად აფრანიუსი დატოვა, თვითონ კი, რადგანაც ამას აუცილებლობა მოითხოვდა, მითრიდატეს წინააღმდეგ გაემართა“.

პომპეუსის ნაცვალი აფრანიუსი იცავდა არმენიას და ტიგრანს კი, შესაბამისად, ნომინალური ძალაუფლება გააჩნდა... სამშობლოში დაბრუნებულ პომპეუსს რომაელებმა ტრიუმფი მოუწყვეს.

(**პლუტარქე** 122): „პომპეუსის ტრიუმფი მეტისმეტად დიდი და ბრწყინვალე იყო... ზეიმის დროს წინ მიჰქონდათ დაფები იმ ქვეყნებისა და ხალხების სახელთა აღნიშვნით, რომელნიც კი პომპეუსმა დაამარცხა და რომლებზედაც გამარჯვების ტრიუმფს იხდიდა. სახელდობრ, წარწერებში მოხსენიებული იყო: პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერები, ალბანები, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკიისა და პალესტინის ტომები, იუდეა, არაბეთი და მეკობრეთა ხმელეთსა და ზღვაზე განადგურებული ყველა რაზმი.... ტრიუმფში მიდიოდნენ შემდეგი ტყვეები: სომხეთის მეფის ტიგრანის ძე ცოლითა ქალიშვილით, თვითონ ტიგრანის მეუღლე – ზოსიმე, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს დაი და ხუთი შვილი, მრავალი სკვითი ქალი და, აგრეთვე, ალბანების, იბერებისა და კომაგენელთა მეფის მძევლები“.

აი ასე გადაიქცა ტიგრან დიდი ტიგრან მცირედ, რა უნდა იყოს იმაზე უფრო დამამცირებელი, როცა შენს ცოლშვილს, შენივე თანხმობით, როგორც უპატრონო ტყვეებს რომის ქუჩებში მოქალაქეთა გასართობათ ჩაატარ-ჩამოატარებენ. არც უკეთესი ხვედრი ტიგრანის მეორეს ვაჟსაც არ ერგო.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 268): „პლუტარქე მოგვითხრობს, რომ ანტონიუსმა ტყვედ ჩაიგდო სომეხთა მეფე და იგი საჩუქრად გაუგზავნა თავის საყვარელს ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას (ძვ. წ.69 – ძვ. წ.30)“.

Немецкие историки конца XIX века в своей книге «История человечества» так охарактеризовали период правления Тиграна II:

Одно время казалось, что Армении суждено взять на себя верховенство над иранскими племенами. С ошеломляющей быстротой и силой расширялось при Тигране армянское государство. Казалось, что как парфянам восток, так армянам должен достаться в наследство запад государства Селевкидов. Но соперничество трех иранских „великих царей“, которые стояли тогда рядом друг с другом и скоро должны были вступить на борьбу с Римом, принесло свои горькие плоды. С холодным равнодушием Тигран оставлял истекать кровью в безнадежной борьбе своего великого западного соседа, Митридата понтийского, и с таким же

равнодушием смотрел парфянский царь, как государство Тиграна пало. С тех пор с тягой Армении к могуществу было все кончено.

ვრცელმა ამონაწერებმა პლუტარქეს ნაშრომიდან, თვალწინ გადაგვიშალა ახალი წელთაღრიცხვის საწყისი დროის, ჩვენს მეზობელად მსოფლიოს ისტორიის სცენაზე მიმდინარე მოქმედებანი და ნათლად დაგვანახა ჩვენი ადგილი იმ დროის სამყაროში. ტიგრანის ასეთი სასტიკი მარცხის შემდგომ, არმენია (ჰაიასტანი) წელში ვეღარ გაიმართა.

ამრიგად, ჩვენ გავეცანით ჰაიასტანის აღზევების ორივე პერიოდს: პირველს, როდესაც სელევკიდელმა არტაქსიმ, მეზობელთა მიწების ხარჯზე, გააფართოვა არმენიის საზღვრები და ისიც შემდგომ მუდამ იცვლებოდა, და მეორე პერიოდი, როდესაც ტიგრან დიდს, მის მიერ ოცდახუთი წლის განმავლობაში ნაშენები ქვეყანა, რომაელებმა თვალწინ დაუნგრიეს. მსოფლიო ისტორიოგრაფიას ჰაიკთა სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი წარმატება არ ახსოვს. რასაკვირველია, სამშობლოდან აყრილ ჰაიკთა მიერ კილიკიაში ბიზანტიელთა დახმარებით დროებითი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნა დიდ გამარჯვებათა რიცხვს არ განეკუთვნება, ყოველ შემთხვევაში ისეთს, როგორსაც მოვსეს ხორენაცი წარმოგვიდგენს. რაც შეეხება ჰაიკთა ბაგრატიდების სამეფოს, ამ თემას მოგვიანებით შევეხებით.

ლეონტი მროველი

საქართველო ქვეყანაა, სადაც ისტორია ჩანაცვლებულია მითოსით.

ჟან-ჟაკ მარი

„ქართლის ცხოვრებაზე“ ფიქრისას გონებაში ხშირად ამომიტივტივდება ერთი და იგივე სცენა: სცენის შუაგულში გაშლილია დიდი ხალიჩა, ამ ხალიჩის ნაპირზედ ჰაიკი ეპისკოპოსები ფეხმორთხმით სხედან და დუდუკებზე უბერავენ და უბერავენ; ხალიჩის შუაგულში კი ჰაიკ ეპისკოპოსთა მუსიკის ჰანგებზე ხვითქმოკიდებულნი ვახტანგ მეხუთე და მისი „სწავლული" კაცები ცეკვავენ და ცეკვავენ; ამათ გარშემო შემოკრებილი ბედნიერი ქართველი ისტორიკოსები კი ტაშს უკრავენ და უკრავენ...

განცხადება, რომ ლეონტი მროველი განიცდის მოვსეს ხორენაცის უშუალო გავლენას, სიახლეს არ წარმოადგენს.

(**ალექსანდრე აბდალაძე** „მოვსეს ხორენაცი“ 20): „სამეცნიერო ლიტერატურში არაერთხელ აღინიშნა (კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი...), რომ აშკარად იგრძნობა მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის" დიდი გავლენა XI ს-ის ცნობილ ქართველ ისტორიკოს ლეონტი მროველზე. კ. კეკელიძის სიტყვით, „მოსე ხორენელის ისტორიას მართლაც რომ შესამჩნევი გავლენა მოუხდენია ჩვენს მემატიანეზე: მას მიუცია იმისათვის როგორც ფარგლები და გეგმა მისი ისტორიული შრომისა, ისე რამდენადმე შინაარსი და ზოგიერთი დეტალები“.

თავის ჩანაწერებში თუ დაუსრულებელ ნაშრომებში ნ. ბერძენიშვილი არაერთხელ საუბრობს ხორენაცისა და ლეონტი მროველის „ისტორიების“ მსგავსებებზე. მოვიტანთ მის რამდენიმე დაკვირვებას: „ლეონტიმ მარჯვედ გამოიყენა ხორენელი და ორიგინალური ისტორია შექმნა. მან არ უარყო ცხადლივ ხორენელის ისტორიული დებულებანი, თუმცა არსებითად შეასწორა ისინი და, რაც მთავარია, დაურთო

ორიგინალური თეორია თარგამოსიანთა შესახებ და შემდეგ მთელი ისტორია ამ თარგამოსიანთა ურთიერთობის ფონზე გაშალა, რამაც მას საშუალება მისცა ორიგინალური ისტორიული ცხოვრება წარმოეჩინა. ხორენელი ჩრდილოეთის ხალხებს არ ხედავს, მისი ისტორია ამიერკავკასიის სამხრეთსა და ახლო აღმოსავლეთის ფონზეა გაშლილი. კავკასიის ხალხები აქ ჩრდილშია. ლეონტიმ სინათლე შეიტანა ამ ჩრდილში, ამიერკავკასიის ხალხები ისტორიაში შემოიყვანა. ისე რომ ამ ახალ სამყაროს ცენტრში ქართლი (ეგრის-ჰერეთით) მოათავსა". „...ლეონტი მროველმა, საფიქრებელია, მის დროს გაბატონებული თეორიის თანახმად (ბიბლია) გამართა ეს ისტორია, რაშიაც მისი მთავარი სახელმძღვანელო იყო მოსე ხორენელი". ლეონტი მროველის მთელი „ნაწარმოები შექმნილია ხორენელის მიხედვით ქართულ ხალხურ გადმოცემათა ნიადაგზე, ხალხურ ეტიმოლოგიათა ნიადაგზე, ხორენელის გავლენით". ლეონტი მროველი „იგივე ქართველი მოსე ხორენელია".

ლ. მელიქსეთ-ბეგის სიტყვითაც, „მოსე ხორენელს დიდი ზეგავლენა მოუხდენია XI ს. ქართველ ისტორიკოს ლეონტი მროველზე, რომელსაც თავისი თხზულების დაწერისას არა მხოლოდ უსარგებლია მისი, ხორენელის ცნობებით, არამედ მიუბაძავს კიდეც უკანასკნელისათვის მთელ რიგ საკითხების წამოყენებასა და გაშუქებაში".

ეს გახლავთ განსახილველი თემის ზედაპირული ხედვა, ჩვენ შევეცადოთ ვცხადყოთ მოვსეს ხორენაცად და ლეონტი მროველად წოდებულ თხზულებათა ურთიერთობების ჭეშმარიტი არსი, გამოვავლინოთ ამ ნაწარმოებთა ავტორების საერთო მამოძრავებელი ინტერესები და დავადგინოთ, რომ ლეონტი მროველი განიცდის არა მხოლოდ გავლენას, არამედ იგი მოვსეს ხორენაცის სრული მონა-მორჩილია.

კვლავ გავიმეოროთ ჩვენი ცოდნა, რომ XVI—XVII საუკუნეებში კავკასიის სამხრეთით, ისტორიული არმინიის ტერიტორიაზე ჰაიასტანის სახელმწიფოს აღდგენის თხოვნით, ჰაიკებმა თავდაპირველად ევროპელებს მიმართეს და ამ თხოვნის დასასაბუთებლად შესატყვისი „მოვსეს ხორენაცის სომხეთის ისტორია"-ც შეთხზეს. ევროპელთაგან დახმარების იმედზე ხელჩაქნეული ჰაიკები იგივე მიზნით უკვე მზარდი პოტენციის მქონე რუსეთის იმპერიას დაუკავშირდნენ. ამ შემთხვევაში მათ უმართლებთ და რუსეთის სამეფო კარი იწონებს კავკასიის მიმართულებით იმპერიის საზღვრების გაფართოების იდეას.

ვინაიდან ისტორიული ჰაიასტანის ტერიტორიაზე მრავალი საუკუნეა ჰაიკები უმცირესობას წარმოადგენენ, ჰაიკურ-რუსული გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია კავკასიის სამხრეთით ერთადერთი, რეალურად არსებული ქრისტეანული ძალის, საქართველოს მოკავშირეობა. საქართველოს მიმართებით მეზობელი მუსულმანი ხალხების მიერ წარმოებული უგუნური პოლიტიკის შედეგად დაღლილი ქართველები თავად დიდი ხანია ეძებენ მოკავშირე ძალას და ჰაიკთა შემოთავაზებას, შეიკრას რუსეთის, საქართველოს და ჰაიკთა ქრისტეანული სამხედრო-პოლიტიკური კოალიცია, უყოყმანოდ თანხმდებიან. გეგმის განსახორციელებლად საჭიროა ჰაიკთა მსგავსად ქართლის სამეფო კარმაც შექმნას კოალიციის არსებობის გამამართლებელი ისტორიულ-იურიდიული დოკუმენტაცია -- ნატყუარი „ისტორიული წყაროები". ამ საქმეში ფრიად გამოცდილი ჰაიკები ქართველებს თანამშრომლობას სთავაზობენ და რაზედაც ასევე უყოყმანო თანხმობას ღებულობენ. იკვრება არა მარტო სამხედრო, არამედ ასევე საერთო იდეოლოგიური ერთიანობის შემქნელი ლიტერატურული კავშირიც.

ქართულ-ჰაიკური ლიტერატურული კავშირის უმთავრეს მიზანს სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა წარმოადგენს:

1. გაამართლონ ქრისტენული რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლა.

2. რუსეთის იმპერიის კავკასიში დამკვიდრების შემდგომ მოხდეს საქართველოსა და ჰაიასტანის კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების სამართლიანი გადანაწილება.

3. ახლად შექმნილი ნატყუარი ქართული ისტორია სრულად უნდა ითვალისწინებდეს უკვე შეთხზული, ასევე ნატყუარი ჰაიკური ისტორიის ინტერესებს.

ჰაიკურ-ქართულ ლიტერატურულ კავშირს ექმნება სერიოზული წინააღმდეგობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ კომისიის მუშაობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოქვეყნებულია მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“, ხოლო მისი შინაარსი საოცრად ანტიქართული, ანტიკავკასიურია, ანუ როდესაც ჰაიკთა დიდი ჯგუფი ეგრეთწოდებულ მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“-ს თხზავდა, მაშინ ისინი არც ქართველებს, არც დანარჩენ კავკასიელებს მოკავშირეებად არ მოიაზრებდნენ და თავიანთვის სასურველ ისტორიას უბერავდნენ და უბერავდნენ. ჩვენ უნდა შევიცნოთ თუ როგორ იქნა დაძლეული რეალურად არსებული წინააღმდეგობა.

გოლიათი, ბრგე, უზარმაზარი, არაჩვეულებრივი აღნაგობის, ქედმაღლობით ფეხმძიმე, ქმნულკეთილი, გონიერი, სახელგანთქმული, მამაცი, ძლიერი მშვილდით აღჭურვილი, მხნე მოისარი, გამჭრიახი, წარმოსადეგი, მკლავმაგარი, ხუჭუჭთმიანი და თვალებმოელვარე ჰაიკი – რომელიც „უმეტეს გმირი იყო ყოველთასა. რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმხნითა“.

„სომხეთის ისტორიის“ ფუნდამენტალურ პერსონაჟს წარმოადგენს ჰაიკი ერის ეპონიმი, „ქართლის ცხოვრების" უბადლო გმირი **ჰაოსი**, ანუ მოვსეს ხორენაცის ხუჭუჭთმიანი და თვალებმოელვარე ჰაიკი. მოვსეს ხორენაცის მიხედვით ჰაიკი ბიბლიური ნოეს მესამე ვაჟის იაფეთის შთამომავლადაა გამოცხადებული და რაც წარმოადგენს მხოლოდ ძვ. წ. III საუკუნეში წარმოქმნილი ჰაიკი ერის უძველეს ერად წარმოჩენის მხოლოდ მცდელობას. შევადაროთ ერთმანეთს ბიბლიისა და მოვსეს ხორენაცის იაფეთის შთამომავალთა სიები. ბიბლიის მიხედვით:

(**დაბადება** 10): „იაფეთიანები

2 იაფეთის ძენი: გომერი და მაგოგი, მადაი და იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი.

3 და გომერის ძენი: აშქენაზი, რიფათი და თოგარმა.

4 და იავანის ძენი: ელიშა და თარშიში, ქითიმი და როდანიმი“.

(**მოვსეს ხორენაცი** გვ.62): „იაფეტი

იაფეტმა შვა გამერი,
გამერმა შვა თირასი,
თირასმა შვა თორგომი,
თორგომმა შვა ჰაიკი,
ჰაიკმა შვა არამანეაკი,
არამანეაკმა შვა არამაისი,
არამაისმა შვა ამასია,
ამასიამ შვა გელამი,
გელამმა შვა ჰარმა,
ჰარმამ შვა არამი,
არამმა შვა არა მშვენიერი“.

ამრიგად, ჰაიკთა ეთნარქი ჰაიკი (თავისი შთამომავლებით) ბიბლიური თოგარმას (> თორგომის) ბიბლიისთვის სრულიად უცნობი შვილია, ანუ ჰაიკის თოგარმას შვილობა მოულოდნელად, ყოველგვარი დოკუმენტალური დასაბუთების გარეშე ცხადდება და მის ლეგიმიტაციას მხოლოდ და მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“ ახდენს; ეს მაშინ როდესაც ჩვენი ეპონიმის, მზის შვილის კოლხოსის სახება ბერძნული მითოლოგიის შემადგენელია, დაფიქსირებულია მსოფლიო ისტორიოგრაფიის მიერ და სრულიად უცნობია ჰაიკური და ქართული „ისტორიული წყაროებისთვის“.

კიდევ უფრო დიდ სიურპრიზს ბიბლიოლოგიას ჩვენი ლეონტი მროველი თავაზობს როცა თოგარმას (> თარგამოსს) უკვე მრავალშვილიან მამად წარმოგვიჩენს:

„პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა – ამათ თუისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, ძის წული იაფეთისი, ნოეს ძისა“.

გამორჩეული ყურადღება უნდა მივაპყროთ მოვსეს ხორენაცის მიერ ჰაიკის შთამომავლებში სახელწოდება **არამი**-ს მოხსენიებას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ **არამ** ეს სემიტური სიტყვაა და მსოფლიო ისტორიოგრაფიაში სრულიდ განსხვავებული შინაარსები გააჩნია.

(Б. Э.) **Арам** (высокии).

(Б. Э.) **Арам, Арамея** (страна высокая) – под этим именем вообще разумеется Сирия в смысле не одной Сирии, но Сирии и Месопотамии вместе. Это возвышенное плоскогорье, в 2,000 фут. над уровнем моря, простирающееся от истоков Иордана до Евфрата. Слово Арам часто соединяется с другими словами, как напр Арам-Мааха, **Арам-Хамав, Арам-Нагаром**, и означает Сирию с некоторыми другими царствами , принадлежавшими ей древности..

(**დაბადება** 10): „სემიანები

21 და სემსაც, ყებერის ყველა შვილის მამას, იაფეთის უფროს ძმას, შეეძინა შვილები.

22 სემის ძენი: ყელამი, აშური, არფაქშადი, ლუდი და **არამი**.

23 და არამის ძენი: ყუცი, ხული, გეთერი და მაში“.

სახელწოდება **არამი** ბიბლიური ტრადიციით ეწოდება ნოეს უფროსი ვაჟის სემის შთამომავალს და წარმოადგენდა ასურეთის სახელწოდებას. მოვსეს ხორენაცი სახელწოდება **არამი**-ს სემის შვილებში არ ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ბიბლიისა და მოვსეს ხორენაცის ბიბლიურ თემასთან კავშირში ტექსტების შედარებისას ნათლად იკვეთება, რომ მრავალგზის მოვსეს ხორენაცი ებრაელთა და ქრისტეანეთა მიერ აღიარებული საერთო ბიბლიიდან დიდად განსხვავებული, მხოლოდ პირადად მისთვის ცნობილი, ჰაიკი ერის განმადიდებელი ბიბლიის ვარიანტით სარგებლობს.

მოვსეს ხორენცის მიერ სახელწოდება **არამი**-ს მითვისების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვინაიდან სახელწოდება არამ, არამეა მოიცავდა ასევე იმ დიდი ზეგანის ტერიტორიის მცნებას, რომელზედაც განთავსებული იყო როგორც სირია, ასევე შუამდინარეთი, **არამი**-ს ჰაიკთა შთამომავლად გამოცხადებით, ეს ტერიტორიაც „ისტორიული ჰაიასტანის" შემადგენელი ნაწილი ხდება და ასევე ცხადდება თუ რატომ ეწოდება ბერძნულად ჰაიასტანს **არმენია**. ამ ეშხითაა შექმნილი ჰაიკის შთამომავალთა სახელწოდებებად არამარტო **არამი**, არამედ ასევე **არამ-ანეაკი** და **არამ-აისი**.

Как сообщает Мовсес Хоренаци, название Армения (Армен у греков и Арменикк у персов и сирийцев) дано по имени царя Арама (http://ru.wikipedia.org/wiki/Армения).

მოვსეს ხორენაცის მიერ ასურელთა ბიბლიური სახელწოდების **არამი**-ს ჰაიკთა ეპონიმად გამოცხადება ამ სახელწოდების ბიბლიური სემის შვილების სიიდან წაშლის ხარჯზე -- დაუშვებულია.

გავეცნოთ მოვსეს ხორენაცის მიერ წარმოდგენილ ჰაიკის საგმირო საქმიანობას.

(**მოვსეს ხორენაცი** გვ.68):

„მატიანის დასაწყისი

ეს მატიანე ალექსანდრეს ბრძანებით ქალდეველთა ენიდან თარგმნილია ბერძნულად და შეიცავს ძველების, წინაპრების შესახებ უტყუარ ცნობებს (უტყუარი ისაა, რომ ასეთი უძველესი მატიანე, ჰაიკის ან ჰაიასტანის მოხსენიებით, ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებდა ჯ. კ.)...

ღმერთთაგან პირველნი იყვნენ მრისხანენი და დიადნი, ქვეყნის უდიდეს სიკეთეთა მიზეზნი, სამყაროსა და ხალხის გამრავლებისათვის დასაბამის მიმცემნი. მათგან მომდინარეობს გოლიათთა მოდგმა, {რომელნიც იყვნენ] არაჩვეულებრივი აღნაგობისა, ბრგე, უზარმაზარნი, ქედმაღლობით ფეხმძიმეთ. მათ დაებადათ გოდოლის აშენების მკრეხელური აზრი და შეუდგნენ მის განხორციელებას. ღმერთთა განრისხების შედეგად დაუბერა რაღაც საკვირველმა, საღვთო ქარმა და დააქცია კოშკი, ადამიანებს ერთმანეთისათვის გაუგებარი ენები მისცეს. შფოთი და განხეთქილება ჩამოაგდეს მათ შორის. ერთ-ერთი მათგანი იყო იაპეტოსთიანი ჰაიკი, სახელოვანი და მამაცი ნახახარი, მხნე მოისარი, ძლიერი მშვილდით აღჭურვილი“...

10. ჰაიკის ამბოხების შესახებ

ჰაიკი იყო, ამბობს ის, ქმნულკეთილი, წარმოსადეგი, ხუჭუჭთმიანი, თვალებმოელვარე და მკლავმაგარი. იგი მამაცი და სახელგანთქმული იყო გოლიათთა შორის, ებრძოდა ყველას, ვინც აღმართავდა ხელს დანარჩენ გმირებსა და ბუმბერაზებზე გაბატონების მიზნით. ამაყი ჰაიკი წინააღუდგა ბელის მძლავრობას [იმ ხანებში], როცა ადამიანთა მოდგმა გავრცელდა მთელი დედამიწის ზურგზე, მრავალრიცხოვან გმირთა, უთვალავ მძლავრთა და ლომკაცთა შორის. იმ დროს ყოველი შფოთისთავი მახვილს ურჭობდა მოყვასს ფერდში, ცდილობდნენ რა ერთმანეთზე გაბატონებას. ამგვარ ვითარებაში ბელმა შეძლო დაემორჩილებინა მთელი ქვეყანა. ჰაიკს არ სურდა ყოფილიყო მისი ქვეშევრდომი, [ამიტომ] ბაბილონში ვაჟის, არამანეაკის შეძენის შემდეგ გაეშურა იგი ჩრდილოეთის მხარეებში მდებარე **არარადის ქვეყნისაკენ** (ბიბლიის მიხედვით უნდა იყოს არა **არარადის ქვეყნისკენ**, არამედ **არარატის ქვეყნისკენ**, ეს შეცდომა არ არის, ხორენაცს არ სურს წარმოაჩინოს, რომ **არარატი** ეწოდებოდა მთაგორიან ქვეყანას, ისტორიულ **ურარტუს** და არა კერძოდ დიდი მასისის მთას ჯ.კ.) თავისი ვაჟებითა და ქალიშვილებით, შვილიშვილებით, დაახლოებით სამას მძლე კაცთან, აგრეთვე მსახურებსა და შემოკედლებულებთან ერთად, მთელი ავლა-დიდებით. იგი მივიდა და დამკვიდრდა ერთი მთის ძირას, ვაკეზე, სადაც უკვე დასახლებულიყო უკვე მცირეოდენი ხალხი ადრინდელი გაფანტვის დროს. ჰაიკმა დაიმორჩილა ისინი და ააგო იქ სამემკვიდრეო სახლი, რომელიც საშვილიშვილოდ გადასცა კადმოსს, არამანეაკის ძეს. ამას ძველი ზეპირგადმოცემებიც ადასტურებენ.

„თვითონ [ჰაიკი], ამბობს (მარ აბასი], დანარჩენი ამალით გაემართა ჩრდილო-დასავლეთისკენ. მივიდა და დამკვიდრდა ზეგანზე, რომელსაც დაარქვა ჰარქი, რამდენადაც აქ დასახლდნენ მამანი თორგომის სახლის მოდგმისა. გააშენა მან აგრეთვე ერთი სოფელი და თავისი სახელისაგან უწოდა ჰაიკაშენი" მატიანეში აქაც აღნიშნულია, რომ ველის სამხრეთ ნაწილში, ერთ წაგრძელებულ მთასთან ადრიდანვე ცხოვრობდნენ მცირეოდენი კაცნი, რომლებიც ნებით დამორჩილდნენ გმირს. ზეპირგადმოცემებიც ამასაც ადასტურებენ.

11. ომისა და ბელის მოკვლის შესახებ

აგრძელებს რა თხრობას, [მარ აბასი] ამბობს, რომ როცა ტიტანმა ბელმა თავისი ძალაუფლება განამტკიცა ყოველთა ზედა, ერთ-ერთი მისი ვაჟთაგანი მისანდო კაცებითურთ გაგზავნა ჩრდილოეთის მხარეს, ჰაიკთან, რათა იგი დაქვემდებარებოდა მას და ეცხოვრათ მშვიდობიანად. „დასახლებურხარ შენ, შემოუთვალა მან, სუსხიან, ყინულოვან [ადგილებში]; აწ, გაალხვე შეასუსტე შენი ქედმაღლობის სუსხი, ყინული, დამმორჩილდი მე და იცხოვრე მშვიდად ჩემს ქვეყანაში, სადაც კი მოგეწონება სამკვიდრო [ადგილი]. ჰაიკმა უკან გააბრუნა ბელის დესპანნი მკვახე პასუხით, წარგზავნილები ბაბილონს დაბრუნდნენ.

მაშინ ტიტანმა ბელმა ჯარი შეჰყარა მის წინააღმდეგ, ურიცხვი ქვეითი ლაშქრით გაემართა ჩრდილოეთისაკენ და მიაღწია არარადის ქვეყანას, მიუახლოვდა კადმოსის სახლს. კადმოსი გაიქცა ჰაიკთან, წინ კი მალემსრბოლნი გაგზავნა. „უწყოდე, შეუთვალა მას, ჰოი შენ უდიდესო გმირთა შორის, რომ თავს გვესხმის ბელი უკვდავ გმირებსა და ტანმაღალ ბუმბერაზებთან ერთად. შევიტყვე რა მისი მოახლოება ჩემს სახლთან, გამოვიქეცი და, აჰა, მოვისწრაფი შენკენ. აწ, სასწრაფოდ მოიფიქრე, რა უნდა მოიქმედო".

ბელი კი კადნიერი გოლიათების ლაშქრით, როგორც თავაწყვეტილი ნიაღვარი მოსჩქეფს თავდაღმართი, ისე ისწრაფოდა მიეღწია ჰაიკის სამკვიდრებლის საზღვრებისათვის, ჰქონდა რა იმედი თავის მძლეთა მძლე კაცთა გულადობისა და ახოვანებისა. მაშინ გონიერმა, გამჭრიახმა გმირმა, ხუჭუჭთმიანმა და თალებმოელვარემ სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ვაჟები და შვილიშვილები, მამაცნი მშვილდოსანნი, რიცხვით ფრიად მცირე, აგრეთვე სხვებიც, თავისი ქვეშევრდომნი. მათ მიაღწიეს ერთი ტბის ნაპირს, რომლის წყალი მარილიანია და შიგ ბუდობენ წვრილი თევზები. [ჰაიკმა] მოუხმო თავის ჯარს და მიმართა მას: „ბელის ლაშქართან შეჯახებისას ვეცადოთ იქეთკენ გავემართოთ, სადაც დაიკავებს ადგილს თვითონ ბელი, მრავალრიცხოვან მამაცთა შორის. ან დავიხოცოთ და ჩვენი ჯალაბი ბელის მონობაში მოექცეს, ანდა ჩვენი მკლავის წარმართებულება ვაჩვენოთ მას, გავფანტოთ მისი ლაშქარი და დავრჩეთ ძლევამოსილი“.

[ჰაიკის ჯარმა] გასწია წინ, გაიარა უტევანები და მიაღწია მაღალ მთებს შორის მინდვრის მსგავს ადგილს. იქ მიმდინარე წყლების მარჯვენა მხარეს, მაღლობზე დაიკავეს რა მიუვალი ადგილი და ასწიეს თავი მაღლა, იხილეს მომვხდურთა, ბელის მრავალრიცხოვანი, მაგრამ დაუწყობელი ლაშქარი. ისინი გაფანტულად, კადნიერად მოსწყდომოდნენ ქვეყანას. თვითონ ბელი მრავალრიცხოვანი კრებულით მშვიდად [იდგა] წყლის მარცხენა მხარეს, ერთ ბორცვზე, როგორც სათვალთვალო კოშკში. ეცნაურა ჰაიკს იარაღაღჭურვილთა რაზმი, რომელშიც იყო ბელი; იგი ზოგიერთი ამორჩეული, შეჭურვილი [მეომრის] თანხლებით თავის ლაშქრისაგან წინ გამოჭრილიყო. მას საკმაო მანძილი აშორებდა ჯარისაგან. ბელს თავზე ეხურა ზარადებიანი რკინის ზუჩი, ზურგსა და გულმკერდზე [ეცვა] სპილენძის აბჯარი, წვივებსა და მკლავებზე -- საბარკული და ხელნავი, წელზე ეკრა სარტყელი, რომელზედაც მარცხნივ ორლესური ხმალი [ეკიდა]. მარჯვენა ხელში ეჭირა უზარმაზარი შუბი, ხოლო მარცხენაში -- ფარი; მარჯვნივ და მარცხნივ ედგნენ რჩეული [მეომრები]. იხილა რა ჰაიკმა ძლიერად შეჭურვილი ტიტანი და კაცნი გამორჩეულნი მის მარჯვნივ და მარცხნივ, არამანეაკი მისი ორი ძმით დაიყენა მარჯვნივ, კადმოსი და ორი სხვა თავისი ვაჟთაგანი—მარცხნივ, რამეთუ იყვნენ ისინი კაცნი ძლევამოსილნი მშვილ-ისრითა და ხმლით ბრძოლაში, თითონ დაიკავა წინა ხაზი, ხოლო დანარჩენი ლაშქარი უკან დაიყენა. [ჯარი] სამკუთხედის მსგავსად განლაგდა და წყნარად დაიძრა წინ.

როცა გმირები ორივე მხრიდან ეკვეთნენ ერთმანეთს, შეჯახების შედეგად მიწას ზანზარი გაჰქონდა, გაშმაგებული თავდასხმებით გოლიათები შიშის ზარს გვრიდნენ ერთმეორეს. იქ არცთუ ცოტა ბუმბერაზი ორივე მხრიდან შეეჩეხა მახვილის პირს, დაენარცხნენ მიწაზე და წარწყმდნენ, ბრძოლის ბედი კი არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. ამგვარი მოულოდნელი შემთხვევის, გაურკვევლობის მოწმე ტიტანი მეფე შეშინდა, დაიხია უკან, გაემართა იმავე ბორცვისაკენ, საიდანაც დაეშვა. მან განიზრახა გამაგრებულიყო იქ თავისი ლაშქრით, ვიდრე მოაღწევდა მთელი ჯარი და ხელახლა მომზადებულიყო ბრძოლისათვის. მშვილდოსანმა ჰაიკმა გამოიცნო ეს, გასწია წინ, მიუახლოვდა მეფეს, ბოლომდე მოზიდა ფართოკამაროვანი მშვილდი და სამფრთიანი ისარი მოახვედრა მას გულის ფიცარზე. ისარმა მის ზურგში გაატანა და ჩაერჭო მიწაში. ასე წარწყმდა ქედმაღალი ტიტანი, იგი დაენარცხა მიწაზე და სულიც განუტევა. იხილა რა მისმა ლაშქარმა ესოდენ საკვირველი სიმამაცე [ჰაიკისა], ყოველმა მეომარმა თავქუდმოგლეჯილმა გაჰკურცხლა. ამ ამბის შესახებ ვიკმაროთ, რაც ვთქვით...

ჰაიკის სახელის მიხედვით ჩვენს ქვეყანას ჰაიქი ჰქვია“.

მოვსეს ხორენაცის მიერ შეთხზულ ამ ზღაპრის ნაწილს, ბელისა და ჰაიკის ბრძოლის შესახებ, ჰაიკები ანიჭებენ რეალურ მნიშვნელობას.

По-армянски название страны „Армения“ звучит „Айк“. В Средние века к названию прибавился иранский суффикс „стан“ (земля), и страна стала называться „Айастан“. Название страны происходит от легендарного предводителя армян — Айка, который, по легенде, в 2492 году до н. э. разбил в битве войско ассирийского царя Бэла, а позже образовал первое Армянское государство. Этот год считается первым в традиционном армянском календаре (http://ru. wikipedia. org/wiki/Армения).

ჰაიკთა მიერ ამ ზღაპრის მიმართებით ასეთი მიდგომის გათვალისწინებით განვიხილოთ როგორ აღიქვამს მსოფლიო ისტორიოგრაფია ბელი-ს, იგივე ბაალა//ვაალა-ს ლეგენდარულ სახეებას.

(**Б. Э.**) **Бааль.** См. **Ваалъ** или **Валъ** (господин)... название бывшего языческого божества, боготворимого в Финикии и Сирии, а первоначально название божества, под которым некоторые из древних народов боготворили солнце.Финикияне называли солнце Вал-Саменъ, что значит Господъ небесъ. Так как Ваалу покланялись под различними видами, и при том в разных странах, то для точности к названию Ваал прибавлялось название и самого места, как напр. Ваалъ-Гад, Ваалъ-Пеоръ, и все эти названия сливались в одно обшее название Ваалам... Множество мест, посвященных сему языческому божеству, и масса лиц, покланявшихся и служивших ему, указывают на то, как далеко и сильно было распространено поклонение Ваалу. Ваалъ, Валъ или Белъ, был боготворим Вавилонянами, Сирийцами, Карфагенянами и другими народами. Думали даже, что он одно и то-же языческое божество, что и Молохъ, которому Аммонитяне приносили свои зверские и кровавие человеческие жертвы. В книге пророка Иеремии (XIX, 15) прямо говорится, что Ваалу приносились человеческие жертвы. Для поклонения ему выбирались возвыщенные места (высоты). и на служении ему состояло множество жрецов и пророков... Ваалам и Астарта служила обшим названием всех богов и богин Сирии, Палестини и соседних стран. Позднеишие

времена, как говорят историки, боготворение Ваала господствовало во всей древней Скандинавии и, как предпологают, было обшим на британских островах. Доселе еще сохранилось много суеверных обрядов в Ирландии и Валис, очен иапоминающих древнее поклонение Ваалу. Поклонение Ваалу было главным и при том обычним грехом древных Евреев“.

ამრიგად, ასირიელთა უმთავრეს ღვთაებას ბაალა//ვაალა-ს ეწოდებოდა ასევე ბელი და რომელი ღვთაებაც ხორენაცისეული ზღაპრის ერთერთი წამყვანი ლიტერატურული პერსონაჟია.

(მოვსეს ხორენაცი 66): „მოკლედ განმარტება იმისა, რომ წარმართთა მიერ ბელად სახელდებული ჭეშმარიტად საღმრთო წერილისეული ნებროთია.

ბელის შესახებ, რომლის თანამედროვე იყო ჩვენი წინაპარი ჰაიკი, ბევრნი მრავალ, სხვადსხვა ამბებს ყვებიან, მაგრამ მე ვამბობ, რომ კრონოსად და ბელად სახელდებულნი იგივე ნებროთია. ასევე, ეგვიპტელები, მოსეს მსგავსად ჰეფესტოსს, არეგაკნს და კრონოსს, რომლებიც არიან ქამი, ქუში და ნებროთი“.

მორიგ შეცდომას უშვებს მოვსეს ხორენაცი, როცა აცხადებს, რომ კრონოსად და ბელად სახელდებულნი იგივე ნებროთია.

Кронос — в греческой мифологии — один из титанов, воцарившийся вместо своего отца Урана и проглатывавший своих детей, ибо было предсказано, что один из них лишит его власти. Этой участи избег Зевс, который и низверг Кроноса и титанов. Кронос был также олицетворением времени. Бел в вавилоно-ассирийском (аккадском) языке означает «владыка», «господин» и является эпитетом бога Мардука, но применяется и самостоятельно, обозначая того же бога. У Мовсеса Хоренаци, подобно ряду других божеств, Бел выступает не как бог, а как человек, герой, потомок Титана, т. е. Хама, и отождествляется с библейским потомком Хама Небротом (Нимвродом). С ними же здесь отождествляется и Кронос, и далее у Мовсеса этот объединенный образ выступает под именем Бела.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბელი ეს წინა აზიის უმრავლეს ქვეყნების ღვთაება იყო და რისი ცოდნაც ასახულია ასევე კოლხურ წარმართულ მეტყველებაში, რომელსაც ნაშრომის მეორე ნაწილში გაეცნობით; ხოლო ნებროთი, იგივე ნემვროდი, ნიმვროდი, ნიმროდი, ბიბლიური ტრადიციის მიხედვით, ბაბილონის სამეფოს სახებას წარმოადგენდა და ბელისგან განსხვავებით იყო მონადირე ღვთაება.

(**დაბადება** 10): „**ნოეს ძეთა შთამომავლობა**..

6 ქამის ძენი: ქუში და მიცრაიმი, ფუტი და ქანაანი...

8 და ქუშმა შვა ნიმროდი. მან იწყო თავის ძალოვანობის გამოჩენა მიწაზე.

9 ის იყო ძალოვანი მონადირე უფლის წინაშე. ამიტომაც თქმულა: „ნიმროდივით ძალოვანი მონადირეა უფლის წინაშე“.

10 და მისი მეფობის დასაბამი იყო ბაბილონი, ერექი, აქადი და ქალნე შინყარის ქვეყანაში.

11 ამ ქვეყნიდან წავიდა ის აშურში და ააშენა იქ ნინევე, რეხობოთ-ყირი, ქალახი,

12 და რესენი, რომელიც იყო ნინევასა და ქალახს შორის, დიდი ქალაქი“.

(**Б.Э.**) **Вавилония**, иначе земля Вавилонская, называемая также землею Нимврода от имени основателя царства Вавилонского.

(**Б.Э.**) **Нимрод** (мятежный, возмутительный) -- Это названые могло быть дано ему теми народами, которых он угнетал. Между прочим он считлся одним из

сильных звероловов. Выражение: он был сильный зверолов пред Госродом (Богом) означает то, что он владедел особенным искусством в охоте за дикими зверями. слова: перед Господом -- есть не более как аллегорческая фраза, означающая – очень могушественный. Евреи смотрят на него, как на вождя тех лиц, которые предприняли построику Вавилонской башни. По мнению восточных Христиан, он был первым лицом, которое ввело идолопоклонство. В особенности же он занимался строением столь великих и обширних городов, как Вавилон и Ниневия. Земля Нимрода означает тоже самое, то и Вавилон. Некотоые отожествляют Нимрода с Орионом Греческой мифологии.

(http://myths.kulichki.ru/enc/item/f00/s24/a002490.shtml): Нимврод, Нимрод, Немврод в ветхозаветной мифологии богатырь и охотник, сын Хуша (Куша) и внук Хама. В книге Бытия приводится поговорка: «сильный зверолов, как Нимврод, пред господом [богом]»; его царство помещается в Месопотамии (10, 9-10); «земля Нимврода» в книге пророка Михея (5, 6) отождествляется с Ассирией (некоторые исследователи возводят имя Нимврода к имени шумеро-аккадского бога войны и охоты Нинурты, возможно, контаминированного в образе Нимврода с реальным ассирийским царём Тукульти-Нинуртой I, захватившим Северную Месопотамию). Народная этимология связала имя Нимврода со значением «восставать», «противиться» (корень mrd). Отсюда толкование его имени - «возмутивший весь народ против Яхве» в агадической традиции, где он предстаёт в качестве первого охотника и первого, кто начал воевать с другими народами. Удачу в охоте ему приносят сшитые богом для прикрытия наготы Адама и Евы кожаные одежды; завидев эти одежды, звери становятся перед Нимвродом на колени, и тот их легко убивает, народ же, видя это, провозглашает его своим царём. Нимврод выступает как ярый идолопоклонник, руководящий постройкой Вавилонской башни - «дома Нимврода». Возвратившись после разрушения башни в своё царство, он преследует приверженцев Яхве, ввергая в раскалённую печь Авраама. Согласно агаде, Нимрод погибает от руки соперничавшего с ним Исава, который, выследив его, отрубает Нимвроду и его спутникам головы и завладевает одеждами Нимврода.

В мусульманской мифологии Нимврод - олицетворение насильника. Он с огромными полчищами терпит поражение от Ибрахима (Авраама), который один вышел против него на битву, тем не менее всё войско Нимврода поражено тучами налетевших комаров. Потерпев неудачу в строительстве Вавилонской башни, Нимврод пытается взлететь в небо в ящике на четырёх орлах, вскормленных мясом. Потеряв из виду землю, Нимврод пускает в небо стрелы; их ему возвращает, окрасив кровью, ангел Джибрил (Гавриил), и Нимврод думает, что он ранил самого бога. Нимврод ещё четыреста лет продолжает вести нечестивый образ жизни; ангел предлагает ему покаяться в грехах, в ответ на это Нимврод вызывает бога на бой. Но полчища Нимврода вновь рассеяны тучами комаров, а один из них проникает через нос в мозг Нимврода, отчего он терпит муки сорок лет, получая облегчение только в моменты, когда ударяют молотом о наковальню.

მოვსეს ხორენაცი აი ამ ნებროთის, ფაქტიურად ბაბილონის სამეფოს სიმბოლოს თანამედროვედ აცხადებს ჰაიკთა ლიტერატურულ ეთნარქს ჰაიკს და რითაც იმის

მტკიცება სურს, რომ ჰაიასტანი ბაბილონის სამეფოს წარმოქმნიდან არსებობდაო და რაც რიგითი შიშველი ტყუილია.

ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში წარმოქმნილმა ბაბილონის სამეფომ თხუთმეტი საუკუნე იარსება და 539 წელს შეწყვიტა არსებობა. არათუ ბაბილონის სამეფოს არსებობის პერიოდში, არამედ მისი დაცემის შემდგომაც, ჰაიასტანი ძვ. წ. V საუკუნეში მოღვაწე ჰეროდოტესთვის უცნობი, ანუ არარსებული ქვეყანა გახლდათ. გავიმეოროთ ჰეროდოტეს ცნობა:

(**სერგი მაკალათია** 16): „**ჰეროდოტე** გარკვევით ამბობს: „რომ სპარსელებს საზღვრად აქვთ სამხრეთით ზღვა, რომელიც იწოდება წითელ ზღვად, იმას ზევით ჩრდილოეთით, მიდიელები ცხოვრობენ, მიდიელებს ზევით სასპერებია და სასპერებს ზევით კოლხიდელები, კოლხიდელებს საზღვრად აქვთ ჩრდილოეთის ზღვა (შავი ზღვა), რომელსაც შეერთვის ფაზის მდინარე. ამ ოთხ ერს უჭირავს მთელი ქვეყანა ერთი ზღვიდამ მეორემდეო“ და არა ჰაიასტანსაო.

ჰაიკები წვალობენ, თავად ქმნიან ლეგენდებს საკუთარ ეთნარქებზე და ცდილობენ მათ ლეგიტიმაციას, რათა როგორმე დაარწმუნონ მსოფლიო საზოგადოება თავიანთ უძველეს წარმომავლობაში; ჩვენ კი მსოფლიოს ავტორიტეტებმა, ძველმა ბერძნებმა ჩვენს ეთნარქთა (მზე ჰელიოსი > ფასიდი + ფასიანე > კოლხოსი, აიეტი > მედეა) წარმომავლობის, ტრაგედიებითა და პოემებით დამშვენებული ლეგენდები ლანგარზე მოგვართვეს, ხოლო ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა კი წიხლი კრეს და რამდენი საუკუნე მივიწყების წუმპეში ეგდო.

ლეშიჭამია კანიბალი, უძლური, სომხურად მეტყველი, ჰაოსის მონა-- მორჩილი უმცროსი ძმა ქართლოსი

სანამ კვლავ გავაგრძელებთ ჰაოსურ—ქართლოსურ ურთიერთობათა ბუნების კვლევას, გავიხსენოთ თუ X საუკუნეში ჩვენი ქვეყნის რა წარსულს წარმოუდგენდნენ მსოფლიოს ივერიელი (ქართველი) დიდებულები და რომელი „წარსულის“ აღწერაც შემოგვინახა ბიზანტიის იმპერატორმა **კონსტანტინე პორფიროგენეტმა**.

(**კონსტანტინე პორფიროგენეტი** 255): „თავი 45

იბერთა [ივერიელთა ჯ.კ.] **შესახებ**

საცოდნელია, რომ თავისი თავის განმადიდებელი იბერები [ივერიელები ჯ.კ.], ესე იგი კუროპალატის იბერები [ჭოროხის ხეობის ივერიელები ჯ.კ.], ამბობენ, რომ ისინი ურიას ცოლის შთამომავალნი არიან, რომელიც დავითმა, წინასწარმეტყველმა და მეფემ, შეაცდინა; ისინი ამბობენ, რომ თვითონ შთამომავლობენ მისი შვილებისაგან, დავითთან რომ შეეძინა, და რომ ისინი დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავნი არიან და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისაც. რადგან ესეც დავითის თესლისაგან არის წარმოშობილი. ამიტომაც იბერთა [ივერიელთა ჯ.კ.] დიდებულებს დაუბრკოლებრივ მოჰყავთ ცოლებად თავიანთი ნათესავები და ფიქრობენ, რომ ამით ისინი ძველ წესწყობას იცავენ. ისინი ამბობენ, რომ მათი გვარი იერუსალემიდან არის და იმ ადგილებიდან სიზმრის ჩვენებით გადასულან და დასახლებულან სპარსეთის მხარეებთან, ესე იგი იმ მიწაწყალზე, სადაც ახლა მოსახლეობენ. სიზმრის ჩვენება რომ მიიღეს და იერუსალემიდან გამოვიდნენ, ეს იყვნენ ის დავითი და მისი ძმა სპანდიატი. ეს სპანდიატი იყო რომ ღმერთისგან წყალობა მიიღო, როგორც თვითონ იბერები [ივერიელები ჯ.კ.] ამბობენ, რომ ომში მას ვერ შეეხებოდა მახვილი მისი სხეულის ვერც ერთ ნაწილში გარდა გულისა. რომელსაც ის ომებში რაღაც საფარით იცავდა, ამიტომ სპარსელებს მისი ძალიან ეშინოდათ: იმან გაიმარჯვა ამათზე და სძლია ისინი და

თანამონათესავე იბერები [აქ უკვე ელინისტური იბერია იგულისხმება, ანუ ადრე არსებული იბერები კოლხთა, ბიზანტიურად ივერთა თანამონათესავენი არიანო ჯ.კ.] დაასახლა ძნელგასავალ ადგილებში, რომელიც მათ ახლაც უპყრიათ, საიდანაც ისინი თანდათან განივრცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ. ამნაირად, შემდეგ როდესაც ირაკლი მეფემ გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ. ისინი მას შეუერთდნენ და მასთან ერთად ილაშქრეს, და მას აქეთ მათ დაიმორჩილეს სპარსელთა საკმაო ქალაქები და ქვეყნები უფრო რომაელთა წინაშე შიშის წყალობით, ვიდრე საკუთარი ძალღონის შემწეობით: ერთხელაც ხომ, როდესაც ირაკლი მეფემ სპარსელები აოტა და მათი სახელმწიფო საბოლოოდ გაანადგურა, სპარსელები არა მხოლოდ იბერებისაგან [ივერიელებისაგან ჯ.კ.], არამედ სარკინოზთაგანაც ადვილად დასამარცხებელი და დასამორჩილებელი შეიქმნენ [ივერიის წარმომავლობის ეს ვერსია არაბობის (VII ს.) შემდგომაა შექმნილი და აქ ნათლად იკითხება თუ ერეკლე მეფის, ანუ ბიზანტიის მეშვეობით საქართველოს დასავლეთმა, ჭოროხის ხეობის ივერიელებმა, როგორ შემოიერთეს სპარსეთის მორჩილი იბერია, ანუ საქართველოს აღმოსავლეთი. ჯ.კ]. რადგან ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალემიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“.

X საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის სრულიად უცნობია ლეონტი მროველის თარგამოსულ-ჰაოსურ-ქართლოსური კოშმარი და მისთვის ჭოროხის ხეობის ქართველთა სამეფო ივერიაა, ანუ უცნობია სახელწოდება ქვეყნისა ქართლი და ასევე განცალკევებით არ ფიგურირებს ქართველ დიდებულთა სამეფო დინასტიის სახელწოდება ბაგრატოვნები. კონსტანტინე პორფიროგენეტისაგან სრულიად განსხვავებული ბაგრატოვანთა ლეგენდა მოგვიანებით იქმნება, რომლის მიხედვითაც ებრაელური წარმომავლობისად ცხადდება უკვე არა ქართველი ერი (ივერიელები), არამედ მხოლოდ ბაგრატოვნები (სუმბატ დავითისძე).

განსხვავებით X საუკუნეში ივერიელ დიდებულთა მიერ წარმოდგენილი ჩვენი ბიბლიურ-ებრაული წარმომავლობის ვარიანტისა, ჩვენი ისტორიის მორიგი მწვალებლების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ XVI საუკუნეში წარმოქმნილი თბილისის, ანუ ქართის, ანუ ქართლის სამეფოს უძველესი დროიდან როგორც სრულიად საქართველოს კანონიერი წინამძღოლის როლის წარმოჩინება, ანუ შესატყვისი ისტორიის შეთხზვა, რასაკვირველია მოვსეს ხორენაცის „ისტორიის“ ინტერესების გათვალისწინებით და შესაბამისად კონსანტინე პორფიროგენეტის მიერ წარმოდგენილი ქართველთა სამეფოს (ივერიის) ისტორიის არსებული ოფიციალური ვერსიის უარყოფა გარდუვალია. ეს მიზანი ნათლად იკითხება ვახტანგ მეხუთის ქართველი ხალხისადმი მიმართვაში:

(**ქართლის ცხოვრება** I ტ. XXI): „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყვნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო, ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმიწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაებები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყვნილ იყო, განმართეს, და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრეთ აღაწერინეს“.

შევეცადოთ ავხსნათ თუ რა იყო „განრყვნილი“ არსებულ ისტორიაში და რა „გამართეს“.

ამრიგად, ჰაიკურ-ქართული შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ ქართველმა ისტორიის გამყალბებლებმა არა თუ არ უნდა გამოააშკარავონ უკვე გამოცემული მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ ასევე ყალბი ბუნება, არამედ, პირიქით, მეტი დამაჯერებლობა უნდა შესძინონ, საერთო პოლიტიკური ინტერესების განხორციელების მიზნით.

ჩვენი ისტორიის მწვალებლები წარბშეუხრელად თანხმდებიან არასდროს არარსებულ ჰაიკთა პირველობას კავკასიაში, არასდროს არარსებულ კავკასიელ ერთა მორჩილებას ჰაიკთა წინაშე და ჰაიკ ეპისკოპოსებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად თხზავენ ჰაიკთა არასდროს არარსებული დიდების ჰიმნს სახელწოდებით „**ქართლის ცხოვრება**“ და განსაკუთრებით ამ კუთხით გამორჩეულ მის საწყის ნაწილს:

ლეონტი მროველი – ცხოვრება ქართველთა მეფეთა.

აი ამ ნაწარმოების მცირე მოცულობის პირველსავე ქვეთავში „ამბავი რვათა ძმათა“ მოცემულია ჩვენი ნატყუარი ისტორიის დედააზრი:

[ამბავი რვათა ძმათა]:

1. „პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა – ამათ თუისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ნოეს ძისა. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი. და განეყუნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკუიდრა ორთა მათ მთათა შუა კაც-შეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხუი, რამეთუ ესხნეს ცოლ მრავალ, ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილის-შვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისა.

ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშვიდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა. რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმხნითა“.

პირველი რასაც ახორციელებენ ჩვენი ისტორიის მწვალებლები ეს გახლავთ ის რეალობა, რომ როგორც IV—V სუკუნეებში ჩვენ ქრისტეან მამათა მიერ უარყოფილ იქნა ჩვენი კოლხური წარსული და შეითხზა ბიბლიასთან დაკავშირებული, კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ დაფიქსირებული, ივერიული ისტორია, ჩვენი ისტორიის მწვალებლები ასევე უარყოფენ როგორც შეთხზულ ივერიულ, ასევე რეალურად არსებულ იბერიულ წარსულს ჩვენი ქვეყნისა და იქმნება „სომხეთის ისტორიის“ მორჩილებით ახალი ზღაპარი ჩვენს თარგამოსიანულ წარსულზე.

როგორც პორფიროგენეტის მიერ წარმოდგენილი ჩვენი ქრისტეანული წარსულის ვერსიაში ამოშანთულია სახელწოდება **კოლხეთი**, ასევე „ქართლის ცხოვრებისა" და სხვა ნატყუარი ქართული წყაროების ფურცლებიდან გამქრალია ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ნაწილის, მსოფლიო ისტორიოგრაფიის მიერ აღიარებული, ისტორიული სახელწოდება **იბერია**.

მრავალგზის მოგვიწევს იმის გამეორება, რომ ჩვენი ისტორიის მწვალებლების უმთავრეს მიზანს მხოლოდ XVI საუკუნეში წარმოქმნილი თბილისის, ანუ ქართის, ანუ ქართლის სამეფოს ჰაიკებთან შეთანხმებული, ჰაიკებთან საერთო ისტორიული წარსულის შეთხზვაა და ამ მიზნით იქმნება ხორენაცის სწორუპოვარი გმირის ჰაიკის ქართული საპირწონე სახება **ქართლოსი** და არა **ქართველოსი**.

ამრიგად, თუ პორფიროგენეტის ვერსიით ჩვენ „დავითის, წინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავნი... და აქედან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის“ ნათესავებსაც წარმოვადგენდით“, ჩვენი გვარი იერუსალემიდან იყო, ანუ ებრაელთა ნაწილს წარმოვადგენდით, იერუსალემიდან, სიზმრის ჩვენებით, გადმოვსულვართ და დავსახლებულვართ სპარსეთის მხარეებთან, ესე იგი იმ მიწაწყალზე, სადაც ახლა ვსახლობთ, ახალი ვერსიით ჩვენ უკვე ბიბლიური თარგამოსის ბიბლიისთვის სრულიად უცნობი შთამომავლები აღმოვჩნდით.

„ქართლის ცხოვრების“ თარგამოსი მრავალშვილიანი მამა გახლდათ -- „რამეთუ სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა – ამათ თუისთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს". თავადაც ხვდებით, რომ თარგამოსის შვილებს შორის უფროსი ჰაოსია, ანუ იგივე სომხოსი.

აქ მოგაწვდით ვერსიას თუ რატომ ეწოდათ ჰაიკებს სომხები, მაშინ როცა ყველანი ბერძნული არმენის გავლენით ისტორიული არმინიის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ჰაიკებს არმენებად მოიხსენიებენ. სახელწოდება **სომხეთი** წარმოდგება საქართველოს ერთ-ერთი სამხრეთი ნაწილის სახელწოდება **სომხითი**-დან. ვახუშტისთან დაფიქსირებულია მცნება **სომხითარ-ქართველნი**.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 228): „ტფილისს შემოკრბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და **სომხითარ-ქართველნი**, ჰერ-კახნი, ჯავახ-ტაოელ-კლარჯნი... და აკურთხეს მეფედ დიმიტრი [თავდადებული]“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად ჰაიკებიც სახლობდნენ; როცა იქმნებოდა „ქართლის ცხოვრება“ იმ პერიოდისათვის კავკასიის სამრეთით ჰაიკებს საუკუნეთა წინ ქონდათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა და გაფანტულად სახლობდნენ, შესაბამისად ქართველთა უმრავლესობამ არ იცოდა მათი ისტორიული სამშობლოს ადგილმდებარეობა; სახელწოდება **სომხითი** > **სომხეთი** > **სომეხი** კი ნათლად მიუთითებდა ჰაიასტანის საქართველოს სამხრეთით მდებარეობაზე და ჩვენი ისტორიის მწვალებლების მიერ ჰაიკებზე გაჩუქებულ იქნა ქართველი ერის ისტორიის ეს ნაწილიც. ეს გახლავთ მიზეზიც და მიზანიც იმისა თუ რატომ ეწოდათ ჰაიკებს გამორჩეული ქართული ვარიანტი -- სომხები. თავად ტერმინ სომხითი-ს წარმოქმნის ვარიანტებიდან საგულისხმოა ვერსია:

სამხრითი > (ო > ა) > **სომხრითი** > (რ > 0) > **სომხითი**

დავუბრუნდეთ მამა თარგამოსს და აღვნიშნოთ, რომ ქართლის ცხოვრების მიერ შემოსაზღვრული თარგამოსის კუთვნილი ქვეყნის საზღვრები ზუსტად იმეორებენ მოვსეს ხორენაცის მიერ შემოხაზული დიდი ჰაიასტანის კონტურებს. მამა თარგამოსის, ანუ იგივე დიდი ჰაიასტანის კუთვნილი ქვეყანა ჩრდილოეთით შემოსაზღვრული ყოფილა კავკასიის ქედით, აღმოსავლეთით კასპიის ზღვით, დასავლეთით შავი ზღვით, ხოლო სამხრეთით ორეთის ზღვით. ორეთის ზღვა ეს გახლავთ ისტორიული კილიკიის სანაპიროს მოსაზღვრე ხმელთაშუა ზღვის ყურე და დღეს მას ეწოდება ისქენდერუნის ყურე. ხმელთაშუა ზღვის ამ ნაწილის სიახლოვეს მდებარეობს ასევე კუნძული კვიპროსი. როგორც მოგეხსენებათ კილიკიაში ჰაიკები ბიზანტიელებმა დაასახლეს და მათ მიერ შექმნილი მცირე არმენია კილიკიის ტერიტორაზე არსებობდა 1080 – 1375

წლების მანძილზე; აი ამის საფუძველზე ჰაიკები თავიანთ თავს აძლევენ უფლებას ეს ტერიტორია უფრო დიდი ჰაიასტანის მუდმივ შემადგენელ ნაწილად გამოაცხადონ.

ე. ი მოვსეს ხორენაცს ტერიტორია შემოსაზღვრული კასპიის, შავი და ორეთის ზღვებით გამოცხადებული აქვს მხოლოდ ჰაოსისა და მისი ვაჟების კუთვნილებად, ვინაიდან თუ იქ ვინმე მცირე უცნობი ხალხები არსებობდნენ ისინი დიდი ხანია დაიმორჩილეს და ალბათ მათში აითქვიფნენ. „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს ხორენაცის ამ მტკიცებაში შეაქვთ მოკრძალებული შესწორება, ანუ აღნიშნული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში მართალია სომხები იყვნენ პირველებიო, მაგრამ ჩრდილოეთი მხარე ოდითგან ასევეე ჰაიკის ძმათა -- ქართუელთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა სამშობლოც არისო, ხოლო სამხრეთით თუ კიდევ სხვა ხალხები არსებობდნენ ჩვენ არ გვაინტერესებსო.

ლეონტის სიაში ჩრდილო კავკასიელთაგან გამოკვეთილად მხოლოდ ლეკების მოხსენიებას განაპირობებს ვახტანგ მეხუთის დროინდელი ისტორიული რეალობა. ამ პერიოდისთვის არ არსებობდა საქართველოს სამხედრო გზა და სამხრეთ კავკასიაში რუსების შემოსვლას ასტრახანიდან დაღესტნის ტერიტორიის გავლით ელოდნენ. ლეკების ძმებად გამოცხადებით რუსებს აგულიანებდნენ ეგენიც ჩვენი ძმები არიანო. აქ საინტერესოა ერთი დეტალი, თუ „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციით **ლეკს** ეწოდა **ლეკოსი**, შესაბამისად **ჰაიკს** უნდა წოდებოდა **ჰაიკოსი**, მაგრამ ეტყობა ვერ აკადრეს ხუჭუჭთმიანსა და თვალებმოელვარე ჰაიკს ეს კნინობითი ფორმა და უწოდეს შემოკლებული ფორმა **ჰაოსი**. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ „ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა. რამეთუ ეგევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმხნითა“, თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს გახლავთ ხორენაცისეული შეუზღუდავი დიფირამბების შედარებით თავშეკავებული გადამღერება.

განვაგრძოთ „ქართლის ცხოვრების“ განსახილველი ტექსტის კითხვა.

[ამბავი რვათა ძმათა]:

2. „ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისა, განუყო ნათესავი თუისი თარგამოს რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰავოსსა, ხოლო შვდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა, წრმოიყუანნა შვიდნი იგი ჩრდილოთ [კერძო და განუყუნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა“.

ამის შემდგომ იწყება უმთავრესი მიზნის განხორციელება – კავკასიელ გმირ ძმებს შორის მიწაწყლის გადანაწილება, რათა როცა რუსეთის იმპერია დამკვიდრდება კავკასიასა და მის სამხრეთით, ყველამ წინასწარ იცოდეს ვის რა ერგებაო. თადარიგს იჭერენ. ტერიტორიათა გადანაწილების ბოლოს საოცარია ჰაოსის კუთვნილი ტერიტორიის შემოსაზღვრა.

[ამბავი რვათა ძმათა]:

„ხოლო ჰაოს დაამკუიდრა საყოფელთა თარგამოსისათა, და იპყრა ქუეყანა ჩრდილოთ, ვითა დამიწერია, მუნითგან ვიდრე ზღუა ორეთისი, აღმოსავლით ვიდრე ზღუადმდე გურგანისა, დასავლით ზღუამდინ პონტოსა. და ამათ შვიდთა-ვე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ ჰაოს. და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსსა და ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი სომხური, და ესე რვანი-ვე ერთობით მონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა“.

მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენ ძმებს თარგამოსმა თავისი ტერიტორიის ნახევარი ჩამოურიგა ჰაოსს მაინც იგივე ტერიტორია რჩება. ამრიგად, ჰაიკის საკუთრებად კვლავ ცხადდება მოვსეს ხორენაცის მიერ შემოხაზული დიდი ჰაიასტანის

კონფიგურაცია – ორეთის, შავი და კასპიის ზღვათა სანაპიროები თავისი კავკასიის ქედით და დამატებით: „ამათ შვიდთა-ვე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ ჰაოს. და ესე **ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსს და ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი სომხური**“; ეს იმის პირდაპირი აღიარებაა, რომ ადრე ჩვენც ჰაიკები ვიყავითო, ჰაიკურ ენაზე ვმეტყველებდით და რასაკვირველია ეს ტერიტორია იგივე დიდი ჰაიასტანი იყოო. ამ განცხადებით ჩვენი ისტორიის მწვალებლები მოვსეს ხორენაცის მიმართებით სრულ მორჩილებას გამოხატავენ, კუდს უქიცინებენ და მორიდებით ამტკიცებენ, რომ მართალია დასაბამიდანვე კავკასიაში უფალი ჰაოსი ბატონობდა, მაგრამ მის ჩრდილქვეშ ჩვენც, ასევე სომხურად მეტყველი კავკასიელებიც ვარსებობდითო.

ამ თავზე ნაცრის დაყრას არ კმარობენ ჩვენი ისტორიის მწვალებლები და თავს ვალდებულად თვლიან, ჰაოსის კიდევ მეტად განდიდების მიზნით, საკუთარი ინტერპრეტაციით წარგვიდგინონ ხორენაცის მიერ შეთხზული ზღაპარი ჰაიკის ბელის წინააღმდეგ აჯანყებისა და როგორც მამაც, ძლიერი მშვილდით აღჭურვილ, მხნე მოისარს შეშვენის ჰაიკის მიერ ბელის, ანუ ნებროთის ისრით განგმირვის სცენა აღგვიწერონ. უფალი ჰაიკი და მისი მორჩილი ძმები, „ესე რვანი-ვე ერთობით მონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა“.

ამაყს, ხუჭუჭთმიანსა და თვალებმოელვარე ჰაოსს მობეზრებია ნებროთის მონობა და თავის მორჩილ ძმებს აჯანყებისკენ მოუწოდა.

{ამბავი რვათა ძმათა}:

3 „შემდგომად ამისა მცირედთა წელიწადთა მოუწოდა ჰაოს შვიდთა მათ გმირთა, შემოკრიბნა და ჰქუა მათ: „მოგუცა ღმერთმან მაღალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა. აწ შეწევნითა ღმრთისა დამბადებლისათა ვიყვნეთ არავისა მონა, და არა-ვის ვმსახუროთ თKნიერ ღმრთისა დამბადებლისა". ეწამნეს შვიდნი იგი გმირნი, და დაუმტკიცეს განზრახვა იგი; და განუდგეს ნებროთს და არ-ღა-რა მისცეს ხარკი. და ეზრახნეს სხუათა ვიეთმე ნათესავთა, და დაუორგულდეს სხვანი-ცა ნათესავნი.

მაშინ განუწყრა ნებროთ, და შემოკრიბნა გმირნი მისნი და ყოველნი რომელნი ერჩდეს სპანი მისნი, და მომართა თარგამოსიანთა. ხოლო ჰაოს მოუწოდა შვიდთა-ვე გმირთა და ყოველსა ნათესავსა თარგამოსისასა. და შეეწივნეს სხუანიცა ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი: შეკრიბნა ჰაოს ესე ყოველნი და დადგა ძირსა მასისისასა. და ვითარ მოადგა ნებროთ ქუეყანასა ადარბადგისასა. და დადგა მუნ და წარავლინნა გმირნი სამეოცნი და მათ თანა სპანი ძლიერნი წყობად თარგამოსიანთა [თუ ხორენაცთან ჰაიკი თავის შვილებთან ერთად ებრძვის ნებროთს, ლეონტისთან ჰაიკი თავის მორჩილ ძმებთან ერთად შეებრძოლება მტარვალს ჯ.კ.].

ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპანი იგი ნებროთისნი, მაშინ მიეგებნეს შვიდნი იგი გმირნი ძმანი ჰაოსისანი სპითა ძლიერითა. ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უკანით ზურგით. იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტუერი ფერჴისა მათისა ვითარცა ღრუბელი სქელი; ელვა აბჯრისა მათისა ვითარცა ჴმა ქუხილისა; სიმრავლე ისართა და ტყორცა ქვისა მათისა ვითარცა სეტყუა ჴშირი. და დათხევა სისიხლისა მათისა ვითარცა ღუარი სეტყუათა. განძლიერდა ბრძოლა მათ შორის, და მოსწყდა ორგნითვე ურიცხუი.

ხოლო ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, ძალ-სცემდა და ნუგეშის-ცემდა ჴმითა საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მეხის ტეხისა. მაშინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს სამეოცნი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი. ხოლო შჯდნი ესე გმირნი თარგამოსიანნი – ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ჰეროს, ლეკან, კავკასან, ეგროს – ესენი დარჩეს ცოცხლებით თუინიერ წყლულებისა, და ძლევა-შემოსილნი ჰმადლობდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა ესმა ნებროთს, განწყრა და წარმოემართა მათ კერძო ყოვლითა ძალითა მისითა. ხოლო ჰაოსს არა ჰყვეს სპანი ნებროთის სპათა ოდენნი: განმაგრდა იგი ღირღალთა შინა მასისისათა. მიუდგა ქუეშე კერძო ნებროთ; და იყო იგი ჭურვილი რკინითა და რვალითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე [აქაც ხორენაცის თხრობის მსგავსად ნებროთი შუასაუკუნეების რაინდივით სრულად რკინაშია გამოწყობილი, მაშინ როდესაც მსოფლიო მითოლოგიით ნებროთს ტყავის ტანსაცმელი უნდა ეცვეს ჯ.კ.]. და აღჴდა გორასა ერთსა ზედა ზრახვად ჰაოსისა და ეტყოდა დამორჩილებასა-ვე მისსა, რათა სთნდეს მიქცევა მისი. ხოლო ჰაოს რქუა გმირთა მისთა: „განმიმაგრეთ ზურგით კერძო და მივეახლო ნებროთს“.

და წარვიდა და მივიდა პირისპირ მახლობელად ნებროთისა, და სტყორცა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისსა, ფიცარსა ზედა რვალისასა, და განავლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებროთ, და იოტა ბანაკი მისი, და განთავისუფლდეს ნათესავნი თარგამოსისნი. და მაშინ ჰაოს ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თვისდა ზედა და სხუათა-ცა ნათესავთა ზედა, მახლობელთა საზღვართა მისთასა. ხოლო შვიდნივე ძმანი წარვიდეს თუისსა-თუისად ქუეყანად, და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა. ხოლო აქამომდის დავწერეთ ამბავი ესე რვათა-ვე ძმათა“.

ახსენით, რა საჭიროებას წარმოადგენდა ამ სიბრიყვის თხრობა თუ არა ვალდებულების გრძნობა ჰაიკი პარტნიორების მიმართებით.

ამრიგად, ლეონტის მიზანია წარმოგვისახოს ჰაოსის შეუცვლელი გმირული ბუნების დამამტკიცებელი „დოკუმენტური მასალა“ და გაამართლოს თუ ჰაოსმა რატომ „ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თვისდა ზედა და სხუათა-ცა ნათესავთა ზედა“. აღსანიშნავია, რომ ჰაოსი ამ შემთხვევაშიც კარგა გვარიანად აბრიყვებს ჩვენს კავკასიელ ძმებს. ნებროთის წინააღმდეგ აჯანყების მოწოდებისას ის მათ აგულიანებს იმით, რომ „აწ შეწევნითა დამბადებლისათა ვიყვნეთ არა-ვისა მონა, და არა-ვის ვმსახუროთ თვინიერ ღმრთისა დამბადებლისა“. და გამარჯვების შემდგომ კი თავად „ჰყო თავი თვისი მეფედ ძმათა თვისდა ზედა“, ხოლო მეფეს კი, თუნდაც ის ღვიძლი ძმა იყოს, მოგეხსენებათ, უნდა ემსახურო. ამ ვერსიით ჩვენს მოტყუებულ „მონა-მორჩილ“ კავკასიელ ძმებს ფაქტიურად ბატონი გამოეცვალათ და ქართველებზე ჰაიკთა ბატონობა, მათი პირველობა ჩვენი ისტორიის მწვალებელთა მიხედვით რიგითი ცხოვრებისეული ნორმა ხდება.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 23 და 248): „მოვსეს ხორენაცის მიხედვით, სომხეთს ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა. „სომხეთის ისტორიის“ ბოლო თავში, რომელსაც მოკლედ შეიძლება „გოდება“ ეწოდოს, თავისი დაცემული ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, მოვსესი მოთქვამს: „დაგტირი შენ, სომეხთა ქვეყანავ. დაგტირი შენ, ყოველთა ჩრდილოელთა შორის გამორჩეულო“. ჩრდილოეთის მცნებაში ხორენაცი აქ მთელ კავკასიას გულისხმობს...

აქედან გამომდინარე, ხორენაცის თვალსაზრისით, სომხეთის ხელისუფალთ ექვემდებარებოდა საქართველოც, კერძოდ... [ქართლი ჯ.კ.], „სომხების ისტორიაში" დაცული ცნობების (I.29, II.22.24) თანახმად [ქართლის ჯ.კ.] ხელისუფალნი, ჩვეულებრივ, სომეხთა მეფეების აღმასრულებელნი, მათი მორჩილნი არიან, რაც შეეხება [ქართლის ჯ.კ.] გამქრისტიანებელ მირიანს, იგი ხორენაცის „ისტორიაში" მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ იხსენიება (II.85.86; III.6.9.), არც ერთხელ მეფედ არაა წოდებული. ხორენაცისეული მირიანი სომხეთის მეფის ერთ-ერთი სარდალია მხოლოდ (II.85; III.6) და არა [ქართლის ჯ.კ.] ძლევამოსილი მეფე. ასევე, ხორენაცის თანახმად, სომეხი უფლისწული ვაჰაგანი ქართველთა ქვეყანაში გაუღმერთებიათ და მისი დიდი ზომის ქანდაკება დაუდგამთ (I.3!). [ქართლის ჯ.კ.] გაქრისტიანებაც თითქოს სომხეთის

შემწეობით მომხდარა (II.86) და ა.შ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გასაზიარებელია ლ. ჯანაშიას შემდეგი მოსაზრება: ხორენაცის კონცეფციით ქართლი სომხეთის ერთ-ერთი მხარეა, ხოლო ქართლის მმართველი, სომხეთის მეფის ქვეშევრდომია“.

(**ალექსანდრე აბდალაძე**): „ლეონტი მროველის თანახმად... [ქართლის **ჯ.კ.**] მეოთხე მეფემ, ფარნაჯომმა „შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას... ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა“. ქართველებს მხსნელად სომხები მოევლინენო: „მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა... აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენდა, გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ“. სომეხთა მეფეს... ერისთავებისათვის შემოუთვლია: „თქუენ ყოველთა ერისთავთა მომეცით მე მძევალი, და მიგცე ძე ჩემი მეფედ თქუენდა და ყოვლითა ნიჭითა (სიმდიდრით, საბოძვარით – ა.ა.) აღგავსნე". მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მძევლები და განაცხადეს განდგომა ფარნაჯომისი. მაშინ სომეხთა მეფე ყოვლითა ძალითა მისითა წარმოემართა ქართლს“.

ფარნაჯომს სპარსელები მიშველებიან, ქართველთა ნაწილიც მისი ერთგული დარჩენილა. სომეხთა მეფეს და მის მომყვან ქართველებს დაუმარცხებიათ მოწინააღმდეგე: „მოიკლა ფარნაჯომ და მოსრსეს სპა მისი... ხოლო სომეხთა მეფემან მოსცა (გვიწყალობა – ა.ა.)ძე თვისი არშაკ. დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი; და მეფობდა იგი ნებიერად". არშაკის შემდეგ იბერიის მეფე გამხდარა მისი შვილი და შვილიშვილიც.

სინამდვილეში. მეცნიერებისათვის არაა ცნობილი, რომ იბერიაში სომხებს ემეფოთ. ლეონტი მროველი ამ შემთხვევაშიც ტენდეციურ სომხურ წყაროებს ემყარება. ამ უკანასკნელთ კი ხშირად სომხური ლეგენდები, ზეპირგადმოცემები კვებავენ...

იბერიის მეფეთა დასამორჩილებლადო „წარმოემართა ძალითა თვისითა ყოვლითა არტაშან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი მისი სუმბატ ბივრიტიანი... მაშინ შესჭირდა ქართველთა და ოვსთა (ქართველების მოკავშირეა იმ დროს – ა.ა.), ითხოვეს მშვიდობა, და აღუთქუეს მორჩილება და არღარა ძიება სისხლისა და ზღვარისა. მაშინ ისმინა სომეხთა მეფემან ვედრება მათი. და ქმნეს ფიცი და აღთქმა, და დაიმონნა ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან, და წარვიდა"... ლეონტი მროველი სომხეთის სასარგებლოდ ამუქებს ფერებს, როდესაც ამბობს, რომ სომეხთა მეფემ „დაიმონნა ქართველნი“. თვით ლეონტის თხრობის კრიტიკული ანალიზი გვიდასტურებს, რომ ქართველებს დამონებისა არაფერი ეტყობათ... აქ უფრო სომეხ ხელისუფალთა გეგმებია ასახული, ვიდრე რეალური ვითარება...

ქართველებს რომ ფული სომეხთა მეფის, არტაშანის სახელით მოეჭრათ და, ამავე დროს, მისი გამოსახულებით, ამგვარი რამ ისტორიამ არ იცის. ეს იმას გავს, მოვსეს ხორენაცი თავისი ტენდეციური კონცეფციის შესატყვისად რომ ამბობს, ქართველებმა სომეხთა უფლისწული ვაჰაგანი ღმერთად გაიხადესო. ლეონტი მროველიც ამ შემთხვევაში უთუოდ სომხური წყაროებით იკვებება. ეს იქედანაც ჩანს, რომ, ლეონტი ამდენს ლაპარაკობს სომხეთის ჯარების ლაშქრობებზე იბერიაში, სომეხ ხელისუფალთა გავლენაზე იბერიის სამეფოში, ხოლო არაფერს ამბობს იმაზე, რომ ქართველთა მეფის, ფარსმან I-ის ძმა მითრიდატე და შვილი რადამისტი ქრისტეს შობიდან I საუკუნეში სომხეთის მეფეები გახდნენ“.

ამ ურცხვი ჰაიკურ-ქართული ნატყუარი ისტორიების შემდგომ განვიხილოთ თუ მსოფლიო ისტორიოგრაფიის ცნობებით რა რეალური ურთიერთობები არსებობდა იბერიასა და ჰაიასტანს შორის.

ფარსმანი, მითრიდატე და რადამისტი.

პლუტარქეს მიერ პომპეუსის ტრიუმფის სცენის აღწერისას თქვენ ყურადღება უნდა მიგექციათ შემდეგი უმნიშვნელოვანესი განსხვავებისათვის:

„ტრიუმფში მიდიოდნენ შემდეგი ტყვეები: სომხეთის მეფის ტიგრანის ძე ცოლითა და ქალიშვილით, თვითონ ტიგრანის მეუღლე – ზოსიმე, იუდეველთა მეფე არისტობულე, მითრიდატეს დაი და ხუთი შვილი, მრავალი სკვითი ქალი და, აგრეთვე, ალბანების, იბერებისა და კომაგენელთა მეფის მძევლები“.

ტიგრანისა და მიტრიდატეს ოჯახის წევრები ტრიუმფის პროცესიაზე როგორც ტყვეები ჩამოატარეს, ხოლო ალბანებისა და იბერების წარმომადგენლები როგორც მძევლები და რაშიც სერიოზული განსხვავებებია. ტყვე ეს სრულიად უუფლებო არსება გახლდათ, ხოლოო მძევალი ხელშეკრულების გარანტი იყო და ხელშეკრულების დარღვევამდე იგი სრული ხელშეუხლებლობით სარგებლობდა.

რაც შეეხება მოვსეს ხორენაცის და მისი მრავალრიცხოვანი გუნდის სურვილს (და „ქართლის ცხოვრების“ თანხმობას), წარმოაჩინოს, რომ იბერია ოდითგან ჰაიასტანის შემადგენელი პროვინცია იყო, ხოლო მათი მმართველები ჰაიკ მეფეთა რიგითი ჩინოვნიკები, ამ ისტორიოგრაფიულ უხამსობას ამომწურავ პასუხს სცემს თავად პლუტარქე. აი როგორ ახასიათებს იგი იბერიას:

(**პლუტარქე** 117): „პომპეუსმა სომხეთის დასაცავად აფრანიუსი დატოვა, თვითონ კი, რადგანაც ამას აუცილებლობა მოითხოვდა, მითრიდატეს წინააღმდეგ გაემართა იმ ტომებზე გავლით, რო,ლებიც კავკასიონის ქედის გარშემო ცხოვრობენ. ამ ტომთა შორის ყველაზე უფრო უდიდესნი ალბანები და იბერები არიან. იბერთა ტომი მოსხურ მთებამდე და პონტომდე აღწევს... იბერნი რიცხვით ალბანებს არ ჩამოუვარდებოდნენ. გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ და ძალიან უნდოდათ მითრიდატესათვის ეამებინათ და პომპეუსი უკუექციათ. იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და თავის დროზე მაკედონელთა მბრძანებლობაც აიცდინეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა ჰირკანიიდან (ჰირკანია კასპიის ზღვის სამხრეთ ტერიტორიას მოიცავდა ჯ. კ.)“.

(**პლუტარქე** 358): „მდინარე მტკვარი სათავეს იბერიის მთებიდან იღებს“.

იბერიის ტერიტორია სამხრეთით მტკვრის მარცხენა სანაპიროთი კი არ ისაზღვრებოდა, როგორც ეს ჰაიკ ისტორიკოსებს ესიზმრებად, არამედ მის სამხრეთ ნაწილს მესხეთის მთების ქედი საზღვრავდა და იბერთა გავლენა პონტომდე აღწევდა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ პლუტარქეს იბერია და კოლხეთი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფოებია.

პლუტარქემ არა მარტო ის იცის, რომ მას შემდგომ რაც წარმოიქმნა იბერიის სამეფო (ძვ. წ. III ს.), იგი არავის არ ემორჩილებოდა, არამედ ისიც იცის, რომ არმენები სხვა ხალხია და კავკასიელები სხვა ხალხები არიან, რომ იბერები იბრძოდნენ არა ტიგრანის, არამედ მითრიდატეს დასახმარებლად, განსხვავებით ლეონტი მროველისაგან იცის, რომ ალექსანდრე მაკედონელს იბერია არასოდეს არ უპყრია. იბერია კი, ამ დროისათვის, საკმაოდ მდიდარი ქვეყანა ყოფილა.

(**პლუტარქე** 118): „პომპეუსს იბერთა მეფემ მთლად ოქროსაგან ნაკეთები საწოლი, მაგიდა და სამეფო ტახტი გაუგზავნა და სთხოვა, ეს საჩუქარი მიეღო, პომპეუსმა მთელი ეს ძღვენი სახელმწიფო ხაზინისათვის კვესტორებს გადასცა“.

ამრიგად, თუ არ ჩავთვლით მაკედონიელი სარდლის არტაშეს მიერ იბერიის სამხრეთის მხოლოდ ნაწილის დროებით მიერთებას, მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის უცხოა ჰაიკთა მიერ იბერთა პყრობა, მხოლოდ პირიქით, იბერთა მიერ ჰაიასტანის პყრობა, დოკუმენტური სინამდვილეა.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 271): „იბერია-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ხორენაცისეული ცნობები ტენდეციურია, რადგან ქართველთა ხსენებული მეფეები არამცთუ სომხეთის ხელისუფლებაზე დამოკიდებულნი არ იყვნენ, არამედ, პირიქით, მთელი სომხეთის, თუ მისი ერთი ნაწილის დაუფლებასაც ცდილობდნენ, რაც ხორენაცის „ისტორიაში" ასახული არაა“.

გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა, რომ:

(**სტრაბონი** 197): „[ტიგრანის ვაჟი ანტონიუსმა დაატყვევა და] მის მიერ გაგზავნილ იქნა ალექსანდრიაში, შებორკილი გაატარეს ქალაქზე, ერთ ხანს დარაჯი ჰყავდა მიყენებული, შემდეგ მოკლულ იქნა, როდესაც აქციუსის ბრძოლა იყო გაჩაღებული. ამას შემდეგ ბევრი მეფობდა [არმენიაში), მაგრამ კეისარსა და რომაელებს ექვემდებარებოდნენ. ეხლაც ამავე სახით იმართვის [არმენია]“.

სტრაბონის დროსაც ჰაიასტანს რომაელი მოხელეები მართავენ და ამის მტკიცების მაგალითებია:

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 208): „როცა, 35 წ. ქრ. შ., პართელმა მეფემ არტავანმა იმოდენა კადნიერება გამოიჩინა, რომ რომაელების უფლების ქვეშე მყოფი სომხეთი მათ დაუკითხავად თავის შვილს არშაკს მისცა, კეისარმა ტიბერიუსმა ამით ისარგებლა და სპარსეთის საქმეებში ჩაერია. არტავანის მედიდურობით თავმობეზრებული და გულზემოსული პართელების ერთი წილი მეფეს აუჯანყდა და რომის კეისარს სამეფო კაცის დანიშვნა სთხოვა. რომაელებისათვის რომ არტავანის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო გაეადვილებინა, კეისარმა იბერიის მაშინდელ მეფეს მისწერა და უბრძანა, რომ ის თავისი ჯარით სომხეთს შეჰსეოდა. ტიბერიუსი დარწმუნებული იყო, რომ მამა შვილს მიეშველებოდა და სწორედ ამ დროს რომაელებს სპარსეთის ტახტის დაპყრობა გაუადვილდებოდათ. კეისარმა სომხეთის ტახტის მეფედ წინდაწინვე იბერიის მეფის ფარსმანის, ძმა მიჰრდატი დანიშნა და ნაჩხუბარი ძმები შეარიგა. მიჰრდატმა სომხეთის მეფის არშაკის მსახურები ფულით მოისყიდა და ბოროტმოქმედება ჩაადენინა. იმავე დროს იბერნი დიდი ჯარითურთ სომხეთს შეესივნენ და ქალაქი არტაშატი (არტაქსატა) დაიპყრეს...

რომაელებმა სომხეთში [იბერი] მიჰრდატი დანიშნეს მეფედ. რაღაც საქმისთვის ეს მიჰრდატი კეისარ გაიოზ კალიგულას (37—41 წ. ქ. შ.) რომში მიუპატიჟია და ბორკილები გაუყრია... როცა კლავდიუსი 41 წ. იმპერატორად აღიარეს, მან მიჰრდატი (ვგონებ 47 წ.) განათავისულა და სამშობლოში გაისტუმრა. შინ რომ დაბრუნდა, იმისმა ძმამ, მეფე ფარსმანმა, მიჰრდატს შეატყობინა, რომ პართელებს ერთმანეთში შუღლი და ბრძოლა ჰქონდათ. მან იფიქრა, რომ ამაზე მოხერხებულ დროს სომხეთის დასაპყრობად ვეღარ მოესწრებოდა. რომაელების ჯარი ციხე-სიმაგრეების ასაღებად მიუჩინა, ხოლო იბერთა მხედრობა ბარს მოეფინა. ქართველებმა სარდალი დიმონაკტი დაამარცხეს თუ არა, სომხებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. თუმცა მცირე სომხეთის მეფე კოტუსი (Cotys), რომელსაც დიდებულებმა მიჰმართეს, ვითომც ქომაგობას აპირებდა, მაგრამ კეისარმა მას წერილი გაუგზავნა და მიჰრდატს ყველა დაემორჩილა“.

ჰაიასტანის მეფობა მიჰრდატს მისმა ძმისშვილმა, ფარსმანის ვაჟმა, რადამისტმა წაართვა, თუმცა დიდხანს არც მას უმეფია და ჰაიასტანს კვლავ პართელები დაეპატრონენ. 114—117 წლებში კეისარმა ტრაიანემ ჰაიასტანი პართელებს კვლავ ჩამოართვა და რომის სახელმწიფოს დაუმორჩილა. თუ ამ პერიოდის ჰაიასტანი რომს, იბერიასა და პართიას შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, იბერიას საოცრად მყარი მეგობრული ურთიერთობები გააჩნდა რომთან.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 212): „ტრაიანეს მემკვიდრეს ადრიანე კეისარსაც (117--138) ჩინებული განწყობილება ჰქონია იბერებთანა და იმათ მეფე ფარსმანთან: არც ერთ მეფეს იმდენ საჩუქარს არ უგზავნიდა ხოლმე კეისარი, რამდენსაც ფარსმანსაო. მოგვითხრობს ერთი რომაელი ისტორიკოსი. საუკეთესო ძღვენს გარდა მან მისცა მეფეს სპილო და 500 მხედარიც. თავის მხრივ ფარსმანსაც დიდძალი ძღვენი მიურთმევია ადრიანესათვის. სხვათა შორის—ოქროთ შემკული წამოსასხამებიც. ხოლო, როცა ფარსმან მეფე თავისი ცოლით, შვილით და ამალითურთ რომში კეისარს ეწვია, მან დიდი პატივი სცა, კაპიტოლში საღმრთოს შეწირვის ნება მისცა და იმის სამფლობელოს საზღვრები გააფართოვა. ადრიანე კეისარი ფარსმანისა, იმისი შვილისა და სხვა დიდებული ქართველების სამხედრო ასპარეზობას უყურებდა და შემდეგ მარსის ველზე იბერიის მეფის ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა. ანტონინე კეისართანაც (138—161 წ.) ფარსმან მეფეს მეგობრობა ჰქონია; იბერიის მეფე იმასაც სწვევია რომში და ანტონინესათვის უფრო მეტი ძღვენი მიურთმევია“.

ეს ცნობები მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ–რომაულ წყაროთა მონაცემებს წარმოადგენენ. ამ ცნობებით კი დგინდება, რომ რომაელებმა ქართველ მეფეს რომში ძეგლი დაუდგეს. აქ უნდა გაგიჩნდეთ კითხვა, თუ რატომ არ აღგვიწერეს ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა ამ რეალური და საამაყო ფარსმან მეფის ცხოვრება, რომელსაც რომაელთაგან ისეთი დიდი პატივი ერგო, რომ მსგავსი რამ არც ადრე და არც შემდგომ ჩვენს მეფეებს არ ღირსებიათ, ხოლო მის ნაცვლად მითიური ვახტანგ გორგასალი შემოგვთავაზეს. საქმე იმაშია, რომ მოვსეს ხორენაცის ისტორიის თხრობა ახ. წ. მე-4 საუკუნით შემოიფარგლება ანუ გაურბიან მე-5 საუკუნის დასაწყისში ჰაიასტანის მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ხსენებას, ხოლო მანამდის, შეთანხმების მიხედვით, ჰაიასტანის არარსებულ პირველობაში ეჭვი არაფერმა არ უნდა გააჩინოს და ჩვენი ისტორიის მწვალებლებიც იძულებულნი არიან მე-5 საუკუნის იბერიის ძლევამოსილ მეფედ ზღაპრული ვახტანგ გორგასალი წარმოგვიდგინონ. სამაგიეროდ ჰაიკურ წყაროებში ჩასვამენ გორგასლის არსებობის დამამტკიცებელ თხრობას მის მოღვაწეობაზე. თუმცა ჰაიკები ქართველებს ამ საკითხშიც არაფერს უთმობენ და „ქართლის ცხოვრების" მიერ განდიდებულ მეფეს ჰაიკი მხედართმთავრის ნების აღმსრულებელ მატყუარა პიროვნებად წარმოაჩენენ.

(**ალექსანდრე აბდალაძე**): „ლაზარ ფარპეცის მიხედვით... ვახტანგ გორგასლის დროინდელი ქართლის, იბერიის სამეფო „სუსტი ქვეყანაა და მხედრობითაც მცირერიცხოვანი". ისე გამოდის, იბერიის ქვეყანა პატარა ყოფილა... ამავ დროს, ლაზარ ფარპეცის მიხედვით, სპარსეთიც კი აღიარებდა, რომ სომხეთი დიდი ქვეყანა იყო, არსებობდა დიდი სომხეთი. ამდენად, სომხებს ბუნებრივად მიაჩნდათ, რომ კავკასიაში წამყვანი სახელმწიფო ყოფილიყო ე. წ. დიდი სომხეთი, ხოლო „სუსტი იბერია" მას დამორჩილებოდა... სომეხთა მთელი ჯარიც დაუყონებლივ მივიდა ქართლის მეფესთან და ცოტა ხნით დაიბანაკა კანგარის გავარში. იქ ქართლის მეფე ვახტანგი მომაცდუნებელი სიტყვებით ატყუებდა და იყოლიებდა სომეხთა ზორავარ (მხედართმთავარს – ა.ა.) ვაჰან მამიკონიანსა და სხვა უხუცეს სომეხ ტანუტერებს (დიდებულებს ა.ა.)... სომეხი მემატიანე სხვა ადგილზეც უწოდებს ვახტანგ გორგასალს

ცრუს, სომეხთა მომტყუებელს... სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობი ვახტანგ გორგასალი გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს სომეხთა მხედართმთავრის ნების აღმსრულებელი, მის ხელებში შემყურე ყოფილა. ბრძოლის ველზე უმნიშვნელოვანეს როლს, თურმე, სომეხთა ჯარი ასრულებდა, ხოლო ვახტანგ გორგასლის ლაშქარი მის დანამატს წარმოადგენდა“.

(**გურამ მაისურაძე**): „მთელი ეს მრავალრიცხოვანი სომხური საისტორიო ლიტერატურა, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლო იდეოლოგიური წნეხის ქვეშ აქცევდა... კავკასიის საზოგადოებას და სომხურ მოსახლეობაში ამკვიდრებდა მისი გამორჩეულობისა და კავკასიაში განსაკუთრებული მორალური უფლებებით სარგებლობის აზრს. აქედან გამომდინარე, მათივე აზრით, სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რა ფორმითა და ვის მიერაც არ უნდა მომხდარიყო, უნდა განხორციელებულიყო მის „ისტორიულ საზღვრებში“, ანუ ზღვიდან ზღვამდე, მისი ჩრდილოეთის საზღვარი კი კავკასიის მთებს თუ არ მიებჯინებოდა, მტკვრამდე მაინც უნდა გავრცელებულიყო. ძირითადად, მ. ხორენაციდან მომდინარე, ცოცხალ მითიურ ლეგენდად ქცეული ეს თვალსაზრისი, ეკლესიის და სომხური მწერლობის გარჯით, საუკუნეების განმავლობაში ძლიერად ზემოქმედებდა სომეხთა გონებაზე და ამ პრეტენზიათა რეალიზაციის შესაძლებელ დროს მოთმინებით ელოდა“.

(**გურამ მაისურაძე**): „ნიშანდობლივია, რომ მ. ხორენაცის შემდეგ ძველი სომხეთის ისტორიის დაწერა აღარავის უცდია და საჭიროების შემთხვევებში... სომეხი ავტორები, უბრალოდ, შემოკლებით გადმოსცემცნენ მ. ხორენაცის, რის შემდეგ აგრძელებდნენ თხრობას, მ. აბოღიანის დაკვირვებით... XIX ს. მიწურულამდე, მ. ხორენაცის ისტორიის სინამდვილეში ეჭვი არ ეპარებოდათ, სომხეთის ისტორიას მ. ხორენაცის მიხედვით ასწავლიდნენ და მის ცალკეულ ნაწილებს თანმიმდევრობით აზეპირებდნენ მოსწავლეებს“.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 13): „ის მკვლევარნი, რომელნიც მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“ VII—IX საუკუნეებით ათარიღებენ და ავტორს ზოგჯერ ფსევდო-მოვსეს ხორენაცისაც კი უწოდებენ, მიიჩნევენ, რომ ეს მატიანე არაა სანდო პირველწყარო, უფრო მეტიც, ზოგიერთი ამ მეცნიერთაგან იმ აზრისაა, რომ ხორენაცის „ისტორია" მდარე ღირსების საისტორიო ნაშრომია, ფალსიფიკაციაა და საყურადღებო მოვლენაა მხოლოდ როგორც ლიტერატურული ძეგლი“.

ბაგრატოვნები

ჰაიკურ-ქართული „ისტორიული წყაროების“ მიერ გაყალბებულია ასევე ის ისტორიული ჭეშმარიტება, რომ IX—XI საუკუნეთა მანძილზე ისტორიული არმინიის დიდ ნაწილს ფლობდნენ და მართავდნენ არა ჰაიკური წარმომავლობის ბაგრატიდები, არამედ ბაგრატოვნებად წოდებული კოლხი, ქართველი დიდებულები, რომლებიც მხოლოდ მოგვიანებით შეერწყნენ ჰაიკ ერს. კონსტანტინე პორფიროგენეტი ჰაიკური წარმომავლობის დინასტიის წარმომადგენელი იყო და საფიქრელია, რომ არსებულიყო რაიმე ცნობა გამოკვეთილად ჰაიკი ბაგრატოვნების არსებობის შესახებ, ეს მის ნაშრომში ასევე აისახებოდა. პორფიროგენეტის დროს ლეგენდები ჰაიკი ბაგრატიდების არსებობის შესახებ საერთოდ არ არსებობდა.

ბაგრატოვნები რომ ჰაიკი მონოფიზიტები ყოფილიყვნენ ისინი ბიზანტიის ძლიერების პერიოდში წარმატებებს ვერ მიაღწევდნენ, მართლამიდებლური ბიზანტია

მონოფიზიტ ჰაიკთა ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ისევე გაანადგურებდა როგორც ეს 391 წელს მოახდინა. ხოლო ქართველთა მეზობლად მართლმადიდებელ ჰაიკთა მცირე ნაწილის არსებობა, ეს უკვე ქართველ მართმადიდებელ დიდებულთა ჰაიკებზე უშუალო გავლენის შედეგს წარმოადგენს და რაც ასევე გაუკუღმართებულადაა წარმოჩენილი ნატყუარ ჰაიკურ-ქართულ წყაროებში.

არმენიაში გამეფებული ბაგრატიდებად წოდებული დიდებულები მართლმამდიდებელი ქართველები, ანუ ქართველ ბაგრატოვანთა წარმომადგენლები იყვნენ და რაც განაპირობებდა მათ მიმართ ბიზანტიელთა კეთილგანწყობას. წინააღმდეგ შემთხვევეში ამ ბაგრატიდ-ბაგრატოვნებს უკვე ორ დაპირისპირებულ ქრისტეანულ ბიზანტიასა და მუსლიმთა მხარეებს შორის მოუწევდათ არსებობა და რაც შეუძლებელი გახლდათ. მსგავსი სიტუაცია შეექმნათ მონოფიზიტ ჰაიკებს, როცა მათი ინტერესები სრულიად განსხვავებულ, დასავლეთით მართმადიდებელ ბიზანტიელთა და აღმოსავლეთით წარმართული ირანის ინტერესების გავლენის სფეროებში მოექცა და შედეგად დაკარგეს კიდეც სახელმწიფოებრიობა. გარდა ბიზანტიელებთან საერთო რელიგიური მრწამსისა, ასევე გაითვალისწინეთ ქართველთა საუკეთესო ურთიერთობები არაბულ ძალასთან და ცხადი ხდება, რომ მხოლოდ ქართველები იყვნენ ქართველთა და არმინიელთა სამხრეთი ნაწილის მეფეები. ამ შემთხვევაში არმინიელებში ვგულისხმობ არა მხოლოდ ჰაიკებს, არამედ ასევე არაქსის ზედა ნაწილში, ისტორიული ფასიანის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ აბორიგენ კოლხურ ტომებსაც, რომელთა შორისაც შეიძლება გამოიყოს ჭოროხის ზედა წელის მაცხოვრებელი ჭანების ტომიც, რომელთა წარმომადგენელნი, მამიკონიანებად ცნობილი დიდებულებიც განსახილველ სივრცესა და დროში მიმდინარე მოვლენების აქტიური თანამონაწილენი იყვნენ.

მიზეზი იმისა თუ რაში დასჭირდათ ჰაიკებს ბაგრატოვნებად წოდებულ ქართველ დიდებულთა სამეფოს სამხრეთ ნაწილის წარსულის მითვისება, მდგომარეობს შემდეგში. ისტორიულ არმინიაში (და არა არმენიაში) არაბებმა შექმნეს ოთხი ადმინისტრაციული ერთეული და აი როგორ გადმოგვცემენ ვიკიპედიაში ამ ფაქტს ჰაიკი ისტორიკოსები. ისინი ვიკიპედიის ტექსტის საწყისშივე აცხადებენ მცდარ ინფორმაციას, რომ ურარტუელთა ნაცვლად ისტორიულ არმინიაში ძვ. წ. VI საუკუნეში არსებობდა ჰაიასტანის სახელმწიფო სახელწოდებით არმინა.

VI в. до н. э. – первое армянское государство Армина.

შემდეგ მოდის თხრობა, რომ:

В 387 г. Великая Армения подверглась разделу: основная часть отошла к Персии, меньшая — к Риму.

В середине VII века армянские земли были захвачены арабами. В состав новосозданной области Арминийа (араб. ارمينيّة) вошли также Грузия, Арран и Баб аль-Абваб (Дербент).

ამ ტექსტების შეჯერებით გამოდის: არაბებმა VII საუკუნეში იპყრეს არა ისტორიული ურარტუს, ჭეშმარიტი არმინიის მიწები, არამედ ჰაიკთა ჰაიასტანის ტერიტორია და ამ ჰაიკურ მიწებზე არაბთა მიერ შექმნილ ჰაიასტან-არმენიის არაბულ ადმინისტრაციულ გაერთიანებში შედიოდა ასევე საქართველო, ალბანეთი და დერბენდის მხარე, ანუ იგულისხმება ეს მხარეები ჰაიასტანის ადმინისტრაციის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენო.

ჰაიკები რასაკვირველია არ იხსენებენ იმ ისტორიულ რეალობას, რომ როცა 387 წელს ბერძნული არმენია ბიზანტიამ და ირანმა გაიყვეს, ჯერ ბიზანტიამ 391 წელს დასავლეთ არმენიაში და შემდგომ ირანმა 428 წელს აღმოსავლეთ არმენიაში გააუქმეს

ეროვნული ხელისუფლება. კავკასიის სამხრეთით არაბების შემოსვლისას რამოდენიმე საუკუნე აღარ არსებობდა ჰაიკთა, არმენთა სახელმწიფო და არაბთათვის არამეულ-სპარსული ტერმინი არმინა // არმინიია გამოსახავდა არ ჰაიასტანს, არამედ ზოგად გეოგრაფიულ მცნებას, მთიანეთის მნიშვნელობით, ანუ არაბებმა კავკასიის სამხრეთი ისტორიული მთიანეთი არმინიია და არა ჰაიასტანი (არმენია) დაყვეს ადმინისტრაციულ ერთეულებად, როგორც, მაგალითად, ბერძნული არმენიის დასავლეთი ბიზანტიელებმა ასევე ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულად დაყვეს.

უკვე IX—XV საუკუნეთა მოვლენების აღწერისას ჰაიკები გვამცნობენ:

В 860-е годы княжеский род Багратидов объединил большую часть армянских земель и сверг власть Арабского халифата. Было создано Анийское царство — самое большое и мощное феодальное государство древней Армении... В 1045 году Византия завоевала Ани и Ширакскую область. Анийское царство прекратило своё существование.

ამრიგად VII საუკუნის მათთვის არასასურველი ვითარების მოკლედ მოხსენიების შემდგომ ჰაიკი ისტორიკოსები თხრობას აგრძელებენ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ანუ როცა იწყება მოგვიანებით ჰაიკურ წყაროებში ბაგრატიდებად წოდებული კოლხი, ქართველი დიდებულების აღზევების პერიოდი. ეს კი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ 428 წლიდან დაწყებული IX საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც თავად ჰაიკებმა რაიმე სახით წარმატებას ვერ მიაღწიეს. ვინაიდან ჰაიკებს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის კუთხით რაიმე მიღწევები შემდგომაც, კავკასიაში რუსების დამკვიდრებამდე, არც ქონიათ, ამდენად რათა წარმოსახონ, რომ მათ 428 წლიდან რუსების კავკასიაში შემოსვლამდე კავკასიის სამხრეთით, ისტორიული არმინიის ტერიტორიაზე გააჩნდათ შედარებით უწყვეტი სახელმწიფოებრიობა, ისინი ქართველ ბაგრატიდთა დიდი ოჯახის სამხრეთში გამეფებულ ნაწილს ჰაიკ ბაგრატიდებათ აცხადებენ, ანუ ითვისებენ მათ ქართულ წარსულს და შესაბამისად შესაფერის „დოკუმენტაციასაც" ქმნიან. ჰაიკები სამხრეთ არმინიის ტერიტორიებზე ქართველთა მმართველობას მხოლოდ თამარის მეფობის ხანაში და შემდგომ არმინიაში მონღოლთა შემოსვლამდე პერიოდს აღიარებენ.

ჰაიკები აცხადებენ. რომ IX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1045 წლამდე, სანამ ბიზანტია გააუქმებდა ანისის სამეფოს, ამ არაბული არმინიის სამხრეთ ნაწილში ქართველთა ნაცვლად ჰაიკი ბაგრატიდების სამეფო არსებობდაო, ხოლო შემდგომ უკვე ამ ტერიტორიაზე ქართველი ბაგრატოვნები მბრძანებლობდნენო. აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰაიკები რასაკვირველია მონაწილეობდნენ აღნიშნული პერიოდის არმინიის ცხოვრებაში, მხოლოდ როგორც ცალკეული ეთნოსურ-რელიგიური დასახლებები და არა როგორც მტკიცედ ჩამოყალიბებული სახელმწიფო ერთეულები. ჰაიკები იმიტომ უთმობენ ქართველებს 1045 წლიდან ასპარეზს არმინიაში, რომ მსოფლიო ისტორიოგრაფიით, იგივე ბიზანტიის ხელშეწყობით, 1080 წლიდან 1375 წლამდე კილიკიაში დაფიქსირებულია მათი დროებითი ჰაიკური სახელმწიფოს არსებობა და ეტყობა ერთდროულად სრულიად განსხვავებულ ტერიტორიებზე ორი წარმატებული ჰაიკური სამეფოს არსებობის მტკიცება დათმეს.

თუ როგორ განავრცეს ქართველმა ბაგრატოვან-ბაგრატიდებმა თავიანთი ძალაუფლება სამხრეთი მიმართულებით, ეს აღწერილი აქვს პავლე იჰგოროყვას „გიორგი მერჩულეში" და აღარ გავიმეორებთ. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ XIII საუკუნეშიც კი ქართველები, ჰაიკებთან და მუსულმანებთან ერთად, ქალაქ ანისის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ და გააჩნდათ საკუთარი ეკლესიებიც. ამის დასტურია ცნობილი ანისის წარწერა.

(ქ.ს.ე. I 466): „ანისის ქართული წარწერა 1218 წ. საქართველოს კათალიკოსის ეტიფანეს განაჩენის ტექსტი, რომელიც მოთავსებული ყოფილა ანისის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე. აღმოაჩინა ნიკო მარმა 1910 წ. ანისის არქეოლოგიური გათხრების დროს. განაჩენი გამოტანილია ანისის მართლმადიდებელი ქართული და სომხური მრევლისათვის საეკლესიო მისაცემელთა (ჯვრისწერისას, ნათლობისას, წესის აგებისას) გადიდებამ. უკმაყოფილო მრევლი პროტესტის ნიშნად ზოგჯერ წირვა-ლოცვასაც აღარ ესწრებოდა. გამწვავებული ურთიერთობების მოგვარება სცადა საქართველოს კათალიკოსმა ეტიფანემ. იგი იძულებული გახდა დაეგმო ხუცესების საქციელი და შეემცირებინა საეკლესიო მისაცემელთა ოდენობა. ეტიფანეს განაჩენს ხელს აწერს ანისის სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი და ქალაქის ამირა ვაჰრამი“.

მოცემულ ტექსტში საქართველოს კათალიკოსი ეტიფანე ქართველებს ასე მიმართავს: „მკვიდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო“ და ტექსტის ბოლოს აცხადებს „ესე მე ეტიფანეს კათალიკოზსა ჩემითა ხელითა დამიწერია, ოდეს ანის ეკლესიანი ვაკურთხენ". ე. ი. საუბარია 1218 წელსაც ანისში არსებულ ანისის ქართულ ეკლესიებზე. სულ ახლახან, 2011 წლის დეკემბრის თვეში ქართველმა ისტორიკოსებმა განაცხადეს, რომ თურმე ანისში ქართული ეკლესიები არსებულა.

რაც შეეხება სამხრეთით მოღვაწე ქართველ ბაგრატოვანთა ნაწილს, ისინი მხოლოდ მოგვიანებით, მსგავსად არმენიის მმართველი პართელი არშაკიდებისა, ძალაუფლების დაკნინების შემდგომ იქცნენ ჰაიკ დიდებულებად. ამრიგად, კოლხ ბაგრატოვანთა წარსულის ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ავტორებმა მიითვისეს, ნაწილი კი ჰაიკებზე გააჩუქეს. გავიმეოროთ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით ძალზედ მნიშვნელოვანია პავლე ინგოროყვას მიერ მოძიებული მასალა, რომელიც უკვე თანამედროვე ხედვით უნდა იქნეს ახლიდან გააზრებული. თუ რას ვგულისხმობ ახლებურ გააზრებაში, მოგაწვდით მაგალითს პავლე ინგოროყვას იგივე ნაშრომიდან:

(პავლე ინგოროყვა 79): „სებეოსის მატიანის შესავალი. – საისტორიო ძეგლში, რომელიც შესავალის სახით არის ჩართული სებეოსის მატიანეში და რომელიც სებეოსის ანონიმის სახელით არის ცნობილი (იგი ეკუთვნის ადრეულ საშუალო საუკუნეებს), აღნიშნულია ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობა ფარნავაზისაგან... ბაგრატიონთა წინაპარს – ეპონიმს ბაგრატს (ბაგარატს) პირდაპირ ეწოდება ფარნავაზიანი (ბაგარატ ფარნავაზიანი)“.

როგორც მოგეხსენებათ, ლეგენდა ფარნავაზზე ჩვენი ისტორიის მწვალებლებმა შექმნეს. ამ ამონაწერით კი ის იკითხება, რომ სებეოსის ნაშრომი უკვე შემდგარი იყო, როცა ჩვენი ისტორიის მწვალებელთა თხოვნის გათვალისწინებით, ეს ფარნავაზის არსებობის დამადასტურებელი ცნობა უკვე ჰაიასტანის ისტორიის მწვალებელთა მიერ იქნა ჩამატებული როგორც სებეოსის ანონიმის ნაღვაწი. ჰაიკი და ჩვენი ისტორიის მწვალებლები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ერთმანეთის ინტერესებს მეტნაკლები პატიოსნებით ითვალისწინებდნენ.

ჩემს პირველსავე წიგნში აღვნიშნე, რომ ტყუილია ასევე ქართველთა და სომეხთა განყოფის თემა, სიყალბეს წარმოადგენს ჰაიკთა წყევლა, საეკლესიო პირთა მიმოწერა... ამ ტყუილების მიზანია განეხორციელებინათ ქვეყნის სამხრეთით, ანისის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე ერთიან სივრცეში მაცხოვრებელ ქართველთა და ჰაიკთა განყოფა, ერთმანეთისაგან გაუცხოვება...

აქ ჩანართის სახით მოგახსენებთ, რომ ჰაიკ და ქართველ ისტორიის მწვალებელთა კვალი იკითხება ნატყუარი რუსული ისტორიის ფურცლებზეც. ეს ნაწილობრივ კირიონსაც აქვს შემჩნეული და გაიხსენეთ სენკოვსკის შეფასება:

"Слово о полку Игореве" - не заслуживающая внимания, ученическая подделка Петровского времени".

პეტრე დიდის სამეფო კართან ჰაიკ და ქართველ მოღვაწეთა სიახლოვე კი თქვენთვის უკვე ცნობილია და თემასთან დაკავშირებით ჩნდება შეკითხვა -- რუსი ივან სუსანინის ისტორია თედორე მღვდილის ისტორიის გადამღერებას ხომ არ წარმოადგენს?

ხარტიელი და ტანუტერი

მოგაწვდით ქართველ მეცნიერებზე ჰაიკური ისტორიოგრაფიული პროპაგანდის ქვეცნობიერი გავლენის მაგალითებს.

(ილია აბულაძე 560): „ხარტიელ-ი მთვრალი: „გული ნაბალისი მხიარულ და ხარტიელ იყო ფრიად“.

ილია აბულაძემ სიტყვა „ხარტიელი“ ოშკის ბიბლიაში მოიძია და მისი ქართული შესატყვისი მნიშვნელობა „,მთვრალი“ ჰაიკთა ლექსიკიდან აქვს ნასესხები, მხოლოდ „ხარტიელ“-ის ამ ჰაიკური განმარტების ტექსტში ჩასმით ვღებულობთ გაუგებარ შინაარსს: „გული ნაბილისი მხიარულ და მთვრალ (ნასვამ) იყო ფრიად“.

ილია აბულაძეს რომ სცოდნოდა, რომ ქართველები არასოდეს არ ვმეტყველებდით სომხურად და ქართული ენა ბიბლიის სათარგმნელადაა შექმნილი, ანუ განიცდის ბერძნული ენის უძლიერეს გავლენას, იგი ჩაიხედავდა ბერძნული ენის ლექსიკონში და ნახავდა შემდეგს:

χαρτος[ხარტოს] – приятый, радостный, желанный.

ბერძნული **χαρτος** [ხარტოს]-ის ფუძეა **χαρ** [ხარ].

χαρα[ხარა] – радость, восторг.

ფუძე **χαρ** [ხარ] იგივე მნიშვნელობით გვხდება ქართულში: გაი-ხარა, ხარ-ება, გა-ხარ-ება, სი-ხარ-ული... მო-ხარ-ული... მ-ხ-ი-არ-ული...

ე. ი. არა მარტო ქართული „ხარტიელი" წარმოდგება ბერძნული „ხარტოს"-იდან [ხორცი > ხორციელი; ხარტოს > (ოს > 0) > ხარტიელი = სიამოვნება > ნასიამოვნები], არამედ, სიტყვა „მხიარული"-ც ასევე საერთო ფუძე **χαρα** [ხარა]-დანაა ნაწარმოები. ამრიგად ვღებულობთ ბიბლიის ბერძნული ტექსტის შესატყვის ქართულ (და არა ჰაიკურ) თარგმანს:

„გული ნაბილისი მხიარულ და ნასიამოვნები იყო ფრიად“.

(ივანე ჯავახიშვილი VI ტ. 333): „ოპიზის განთქმულ სიგელში მოხსენიებულნი არიან „ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერნი"... ტანუტერი სომხურად იგივე მამასახლისია. მაშასადამე, ამ საბუთში „ტაოსა და კლარჯეთის მამასახლისნი“ არიან ნაგულისხმევნი. მხოლოდ აქაც „ტანუტერნი“ სოფლის მამასახლისებს ნიშნავდა, თუ უფრო მაღალხარისხოვან მოხელეს, არა ჩანს. სომხური სახელი ამ ხელისუფლობისა ალბათ ამ კუთხის წინადროინდელი ხანის ნარევი მოსახლეობის ნაშთი უნდა იყოს“.

ჩავიხედოთ ძველი ბერძნული ენის ლექსიკონში.

τανυ [ტანუ] – править, управлять.

τερας [ტერას] – предвестник.

ბერძნული **ტერას** ასევე დამკვიდრებულია მეგრული ენის ლექსიკაში. ჩავიხედოთ ოთარ ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში.

ტერტე ფერადი წინწკლები (ტანზე).

ტერტუა ფერადი წინწკლების გამოყრა (სხეულზე).

მოგეხსენებათ. რომ სხეულზე ფერადი წინწკლების გამოყრა სხეულის ავადმყოფური მდგომარეობის მაუწყებელია; მაგალითად, ბავშვის სხეულზე წითელი წინწკლების გამოჩენა ბატონების მობრძანების მიმანიშნებელია.

ე. ი. ძვ. ბერძნული **ტანუ** + **ტერას** = ხელისუფლების მაუწყებელი (განმხორციელებე-ლი). ამრიგად, ტანუტერ-ი ქართულში დამკვიდრებული ძვ. ბერძნული კომპოზიტია და არა ჰაიკური წარმომავლობისაა. სხვათაშორის, ჰაიკთა ენით მღვდლის სახელწოდება ტერტერა ამ ბერძნული **τερας** [ტერას] – предвестник—იდან უნდა წარმოდგებოდეს.

ჰაიკებმა ბერძნულ ტერ-ს და ტანუტერი-ს შემდეგი შინაარსის მნიშვნელობები მიანიჭეს.

τερ — господин, **τανυτερ** — домовладыка.

სამწუხაროა და ტანუტერის წარმომავლობაზე ასევე მცდარი წარმოდგენისაა ქართული ენციკლოპედია.

(**ქ.ს.ე.** IX ტ. 658): „**ტანუტერი** (სომხ. ტანუტერ -- მამასახლისი)“.

ამრიგად, **ტანუტერი** ჰაიკურში ქართულიდან დამკვიდრებული ბერძნული კომპოზიტია.

ქართულს გააჩნია არამარტო ბერძნული მასალით შედგენილი სიტყვები. მაგალითად, ქართული ერისიონი ბერძნულ-ებრაული კომპოზიტია. ერი-სიონი-ს პირველი შემადგენელი **ერი** ბერძნული წარმომავლობის, სიტყვის მნიშვნელობის გამაძლიერებელი თავსართია.

έρῖ -- неотделяемая усилительная приставка (напр. **έρῖαύχην**).

αυχήν -- 1) шея... 2) затылок... 3) горло.

έρῖ-αύχην – имеющий крутую шею или высоко держащий голову.

βόα – крик... вопль... шум... рев... голос... гул.

έρι-βόας – громогласный, звонкоголосый.

ერი-სიონის მეორე შემადგენელი **სიონი** კი მოგეხსენებათ იერუსალიმში მცირე ზომის მთის, ბორცვის სახელწოდებაა და სახელწოდება სიონი, მსგავსად ასევე ბიბლიური **სინა**-ს მთის სახელწოდებისა, მთის მცნებასთან ასოცირდება. ამ ბერძნულ-ებრაული კომბინაციის შედეგად იქნა მიღებული ქართული ერისიონის საბასეული განმარტება:

ერისიონი ცისიერი, მთის თავს ზეით.

არსებობს ასევე ბერძნულ-კოლხური ქალის სახელი **გაიანე**, რომელიც ჰაიასტანში საკმაოდაა გავრცელებული. **გაია** ბერძნულად ნიშნავს მიწას, ხოლო **ნე** კოლხურად ტკბილს აღნიშნავს და **გაიანე** = **გაია** + **ნე** = მიწა ტკბილი, შუმერულ-კოლხურ-ბერძნული ტრადიციით ქალის სახება მიწის მცნებას წარმოგვიდგენდა.

ასურელი მამები

ქართული ენის შექმნაზე არანაკლები ღვაწლი გასწიეს კოლხეთში ქრისტეანულ რწმენის ქართული ენით გამავრცელებელი ცენტრების შემქმნელმა „ასურელ მამებათ" წოდებულმა, ტაო-კლარჯეთიდან გადმოსულმა ქართველმა მამებმა: იოანე ზედაზნელმა, დავით გარეჯელმა, აბიბოს ნეკრესელმა, შიო მღვიმელმა, იასე წილკნელმა, ეზდერიოს სამთავნელმა, იოსებ ალავერდიელმა, ზენონ იყალთოელმა,

ანტონ მარტყოფელმა და სხვებმა. დიახ, ესენი იყვნენ ოპიზელი მამები ტაო-კლარჯეთიდან და არა ასურელი მამები.

(**პავლე ინგოროყვა** 340): „ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ოპიზა არის უძველესი სავანე არა მხოლოდ კლარჯეთში, არამედ საერთოდ საქართველოში“.

(**ქართლის ცხოვრება** II 676): „ოპიზა, უპირველესი ათორმეტ უდაბნოთა“.

ტაო-ოპიზელ მამათა მიერ დაარსებული სავანეები არა მარტო ქრისტეანულ რწმენის, არამედ ასევე ქრისტეანული რწმენის დასანერგად შექმნილი ქართული ენის დამკვიდრებისა და გავრცელების კერებსაც წარმოადგენდნენ.

როცა ისმენ ლეგენდას საქართველოს აღმოსავლეთით ასურელ მამათა საოცრად მასშტაბური მოღვაწეობის შესახებ, ხომ უნდა გაგიჩნდეს კითხვა, რომ ამდენი ასურელი განმანათლებლის შექმნილ სკოლებს გავლენის რაღაც მცირეოდენი კვალი მაინც უნდა დაემჩნიათ ასურული მეტყველებისა ქართველთა ლექსიკაში, ყოფაცხოვრებაში და რაც საერთოდ არ შეიმჩნევა.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 394): „კ. კეკელიძის სიტყვით „ასურელი მამები არ ყოფილან სვიმეონის მოწაფენი და არც მისი გამოგზავნილნი ჩვენში... ჩვენ გვგონია, რომ ისინი ნამდვილად „ასურელნიც" არ ყოფილან, არამედ პირწავარდნილი ქართველნი“-ო“.

საქართველო ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული ბერძნული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილია და ეს გრძელდება ბიზანტიურ პერიოდშიც.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII 42): „XIV საუკუნემდე ქართულ საისტორიო მწერლობაში სამაგალითოდ ძველი ბერძნული და ელინური საისტორიო მწერლობა ყოფილა მიჩნეული და ელინური მწერლობის ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადად ეტყობათ... ელინური საისტორიო მწერლობის ცოდნა ქართველებს გარდა ძველს მახლობელ აღმოსავლეთში თითქმის არავის ემჩნევა და არც არაბულმა, არც სომხურმა ძველმა საისტორიო მწერლობამ თითქმის არაფერი იცოდა ელინური ისტორიათაღმწერლობისა... ქართულად ბერძნულითგან ნათარგმნი საისტორიო თხზულებებიც აღმოჩნდა“.

ქართული საეკლესიო ტერმინოლოგია, ტრადიციულად, ბერძნულ-რომაული საეკლესიო ტერმინოლოგიიდან მომდინარეობს; ქართული ხატწერა, ფრესკული მხატვრობა ბიზანტიური სკოლის გაგრძელებაა და განსხვავებულ რელიგიურ მიმდინარეობებთან მჭიდრო ურთიერთობები გამორიცხულია.

„ასურელ მამათა“ მითი ჰაიკომანიით შეპყრობილი ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია, ისევე როგორც წმინდა ნინოს ჰაიასტანში გამგზავრება. მწვალებლებმა არ იკმარეს ოპიზელ მამათა ასურელ მამებათ გამოცხადება და სრულიად საქართველოს განმანათლებელი სახება, წმინდა ნინო იბერიაში, ნაცვლად ლაზიკისა, ჰაიასტანიდან შემოიყვანეს.

(**პავლე ინგოროყვა** 227): „მე-5 საუკუნის ავტორს გელასი კვიზიკელს აღნიშნული აქვს, რომ მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში რომის იმპერატორის კომსტანტინე I-ის (306—337 წ.წ.0 დროს „ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“. ამ ავტორის უწყებით, როგორც იბერებში, ისე ლაზებში, ქრისტიანობის დამკვიდრება იყო შედეგი წმ. ნინოს („ტყვე დედაკაცის“) მისიონერული მოღვაწეობისა.

აღსანიშნავია, რომ ჭანეთ-ლაზეთში, თვით მე-17 საუკუნემდე (როდესაც ჭანეთ-ლაზეთი უკვე თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი), შერჩენილი ყოფილა გადმოცემა, რომ ქრისტიანობა ამ მხარეში ნინომ გაავრცელა. მოხსენებაში, რომელიც 1651 წლს წარუდგენია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის-ძისთვის ჰოფის (ლაზეთის მხარის) მიტროპოლიტ გერმანეს, აღნიშნულია, რომ ტაძარი ოფისა (ჰოფისა, Хопии), რომელიც

ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრას წარმოადგენდა, ითვლებიდა დაარსებულად ნინოს მიერ „Ею же Иверская **земля приведена во святое крещение**“.

თითქოს ნათლად იკითხება კოლხთა მონათესავე კაბადოკიელი წმინდა ნინოს (ქრისტეანული რწმენის) სვლა ხოფიდან ტაო-კლარჯეთში და უკვე შემდგომ საქართველოს აღმოსავლეთით, მაგრამ ნურას უკაცრავად -- „ესე წმინდა ნინო მოძღუარი ქართლისა (ქ. ცხ. I 47)“, მხოლოდ ქართლის განმანათლებელიო და არა ლაზიკისა და იბერიისაო, ჩვენი ისტორიის მწვალებლები და მოვსეს ხორენაცი წმინდა ნინოს ჯერ ჰაიასტანში ამოაყოფინებენ თავს და მხოლოდ ამის შემდგომ ლაზიკის გვერდის ავლით გაამგზავრებენ მცხეთაში. ჩვენი ისტორიის მწვალებლებს არც ის ადრინდელი ვერსიები აწყობთ, თუ რა გადახდენია თავს მცხეთაში წმინდა ნინოს.

(**ივანე ჯავახიშვილი** VIII 49): „სინას მთის ხელნაწერებში №4, წმინდა ნინოს შემოკლებულ ცხოვრებაში შემდეგი ფრიად საყურადღებო წინადადება შემხვდა: (გვ. 986) `თუესა იანვარსა... ამასვე დღესა მიცვალებაი წმიდისა ნინო მოციქულისაი და ქართველთა [და არა მხოლოდ ქართლელთა ჯ.ჯ.] განმანათლებისაი: რომელმან ფრიადნი მოღვაწეობანი ურიცხუნი სასწაულნი აღასრულნა და მრავალგზის წამებანი მირიან უღმრთოისა ხელმწიფისაგან“, ამ ცნობით ისე გამოდის, ვითომც ვიდრე გაქრისტიანდებოდა წმინდა ნინო [მირიამს] დიდხანს ეწამებინოს“.

ჩვენი ისტორიის მწვალებლებს სინას მთაზეც ყავდათ გაგზავნილი შიკრიკი არასასურველ ისტორიულ ძეგლთა შესაკეთებელ-შემოსაკეთებლად, მაგრამ ეტყობა შიკრიკებს გამორჩენიათ ეს დოკუმენტი.

საქართველოში საბერძნეთიდან ქრისტეანობის გავრცელებისა და დამკვიდრების პერიოდში, IV—VI საუკუნეებში ლაზიკა-სამეგრელო უშუალოდ რომს ემორჩილებოდა, ხოლო იბერია სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მართალია, რომ სპარსეთი, ბიზანტიის გავლენის შესუსტების მიზნით, მისი გავლენის არეალში მონოფიზიტ სირიელ ქრისტეანთა გავლენას უწყობდა ხელს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ VI საუკუნეში, რომელიც იბერიაში ასურელ მამათა შემოსვლის საუკუნედ ითვლება, იბერია მუდამ ბიზანტიელთა დიოფიზიტურ სამყაროსთან შესაერთებლად იბრძოდა და სპარსეთის შაჰი იძულებული გახდა 591 წელს იბერია ქალაქ თბილისამდე ბიზანტიის მმართველობაში გადაეცა. ე.ი იბერია რომსა და სპარსეთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა და ამ პერიოდის ისტორიულ წყაროებში იბერიის რაიმე მნიშვნელოვანი შინაარსის კავშირი ასურეთთან, ასურულ კულტურასთან არ იძიება. გარდა ამისა, VI საუკუნის იბერიაში ქრისტეანობა მტკიცედ იყო დამკვიდრებული და შესაბამისი ტრადიციებიც გააჩნდა. VI საუკუნის მემატიანე, ბიზანტიელი პროკოფი კესარიელი გვამცნობს:

(**პროკოპი კესარიელი** 21): ,,იბერები, რომელნიც აზიაში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის. მათ მარცხნივ კი დასავლეთით მდებარეობს ლაზიკე, ხოლო მარჯვნივ აღმოსავლეთით, ცხოვრობენ სპარსელთა ტომები. ისინი (იბერები) ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“.

ამ დახასითებისას უნდა გავითვალისწინოთ VI საუკუნის ბიზანტიის დამოკიდებულება მონოფიზიტურ სამყაროსთან მიმართებით. V საუკუნის ბიზანტიაში ჩასახული მონოფიზიტობა 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრებაზე დაგმობილ იქნა. მის მიმდევრებს, როგორც ერეტიკოსებს დევნა დაუწყეს. დავა დასრულდა სირიის, იერუსალიმის, ანტიოქიის ქრისტეანთა განდგომით (457—468 წწ.). ამდენად VI საუკუნის ბიზანტიის საიმპერატორო კარის ჟამთააღმწერებლისათვის ასურული

(სირიული) მონოფიზიტური სკოლის წარმომადგენელი იბერები ვერ იქნებოდნენ „ქარისტეანული სარწმუნოების საუკეთესო დამცველები“.

ამრიგად, VI საუკუნის იბერიაში საეკლესიო მოღვაწეთა მოზღვავება და ტაძართ მშენებლობა განაპირობა იბერიაში ქრისტეან მამათა მიერ შექმნილი ქართული ენის დანერგვისა და პოპულარიზაციის აუცილებლობამ. ამ ღონისძიებათა გატარებით ქართული ეკლესია ქრისტეანულ სამყაროშიც საკუთარი ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. იგივე მიზანს ემსახურებოდა IV საუკუნეში ქართული ეროვნული ანბანის შექმნაც. „ასურელ მამათა“ თემა ჩვენი ისტორიის მწვალებლებს ჰაიკმა ეპისკოპოსებმა შესთავაზეს.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 5): „მას შემდეგ, რაც დაეცა სომეხ მეფეთა ტახტი (428 წ.), სომხეთში ირანის ხელისუფლებამ თანდათან ფეხი მოიკიდა. ბიზანტიის იმპერიისადმი დაპირისპირებული ირანის შაჰის კარი იმ ხანებში სომხეთში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის საწინააღმდეგოდ. სირიულ კულტურას სომხეთში ისედაც ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები“.

ლეგენდის მიხედვით, მესროპ მაშტოცმა და მისმა მოწაფეებმა სირიულად თარგმნეს ბიბლიის ნაწილი. ჰაიასტანზე სირიული ქრისტეანული მოძღვრების გავლენის ცოდნით ჩვენმა ისტორიის მწვალებლებმა, ნაცვლად ოპიზელი მამებისა, ასირიელ მამათა მოღვაწეობის ლეგენდა შეთხზეს, რათა შეექმნათ ქართლის სამეფო კარისა და ჰაისტანის სამეფოს წარსულთა ერთიანობის ფონი. აქვე უნდა აღინიშნოს, სანამ ჰერაკლე კეისარი იბერიას შემოიერთებდა, სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფი იბერია რასაკვირველია გარკვეული დოზით განიცდიდა სპარსეთის იმპერიაში ლეგალიზებული სირიული ქრისტეანული ტრადიციების გავლენას, მხოლოდ აქ მცნება ჰაიასტანი არაფერ შუაში არ იყო.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 278): „ცნობა იმის შესახებ, რომ წმ. ნინო დაკავშირებულია სომხეთში წამებულ ქალთა ჯგუფთან, ე.წ. რიფსიმეანებთან, რომ იგი მათი ერთ-ერთი ამხანაგი იყო, ხორენაცის თუ მისი სომხური წყაროების შეთხზული უნდა იყოს. მოვსესი, ძალიან ხშირად აზვიადებს რა თავისი ქვეყნისა თუ სომხეთის მოღვაწეთა როლს, დიდი სურვილი ჰქონდა დაესაბუთებინა სომხეთის მონაწილეობა ქართლის გაქრისტიანების საქმეშიც. ხორენაცის საქმე ამ მიმართულებით მისმა „მემკვიდრეებმაც“ განაგრძეს და კიდევ უფრო განავითარეს“.

(**ალექსანდრე აბდალაძე** 279): „ლ. ჯანაშიას სიტყვით „იმ წყაროთა შორის, რომლებიც ქართლის გაქრისტიანებას აღწერენ, უძველესია ბერძნულ-რომაული. ისინი თითქმოს ნახევარი საუკუნით არიან დაცილებულნი თვით ქართლის მოქცევას. მეტად მნიშნელოვანია ის, რომ ქართლის გაქრისტიანება რითიმე ყოფილიყოს დაკავშირებული სომხეთის გაქრისტიანებასთან“.

ჩვენს მსგავსად, ლ. ჯანაშია ადრის რა ბერძნულ-რომაულ და ჰაიკურ-ქართულ წყაროებს, იგი ავლენს, რომ ბერძნულ-რომაული წყაროებით ლაზიკა-იბერიის გაქრისტეანების ისტორიას არავითარი უშუალო კავშირი არ გააჩნია ჰაიასტანის წარსულთან.

ნაწილი მეორე (ფილოლოგია)

ფილოლოგია = მიყვარს სიტყვა = სიტყვის სიყვარული

უცხო სიტყვათა ჭარბი მარაგი და აგლუტინაცია

ვინაიდან ჩვენი ნაშრომი გათვლილია რიგით წერა-კითხვის მცოდნე ქართველზე, მეგრულ და ქართულ ენათა ურთიერთობათა კვლევის დასაწყისშივე აუცილებლობას წარმოადგენს იმის შეხსენება, რომ ქართულ სიტყვათა უდიდესი მარაგი არაქართული წარმომავლობისაა და შეუდარებლად მეტია ვიდრე ეს სადღეისოდ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებშია დაფიქსირებული.

უცხო სიტყვათა ნასესხობა, მეტნაკლები რაოდენობით, აბსოლუტურად ყველა არსებული ენის მახასიათებელია და ჩვენი მეტყველებაც არ წარმოადგენს გამონაკლისს; მხოლოდ ჩვენს შემთხვევაში, ქართულში დამკვიდრებულ უცხო წარმომავლობის სიტყვათა ჭარბ რაოდენობაზე იმდენად ვამახვილებთ ყურადღებას, რამდენადაც მეგრულ მეტყველებაში, როგორც არასამწერლობო ენაში, ქართულთან შედარებით ბევრად ნაკლებია უცხო სიტყვათა მარაგი და ეს რეალობა მოუმზადებელი მკითხველისათვის, ქართული და მეგრული ენების ლექსიკათა შედარებისას, აძნელებს მათი ერთბუნებოვნების, ქართული ენის მეგრული ენის წიაღიდან წარმომავლობის აღქმას. ანუ მოუმზადებელი მკითხველი ქართულში დამკვიდრებულ არაქართული წარმომავლობის სიტყვათა უდიდეს ნაწილს ქვეცნობიერად მეგრულისაგან განსხვავებულ, საკუთრივ ქართული წარმომავლობის სიტყვებად მიიჩნევს და ექმნება მცდარი წარმოდგენა, რომ სიტყვათა მარაგის მიხედვით მეგრული ენა შედარებით მწირია ვიდრე ქართული მეტყველება, რეალური ვითარება კი სრულიად განსხვავებულია.

იმედია მთლიანობაში მკითხველი დამოუკიდებლად თავად გაართმევს თავს ამ წინააღმდეგობას, მხოლოდ მოთელვის სახით, მაინც შეგახსენებთ ქართულში დამკვიდრებულ უცხო წარმომავლობის საყველპურო სიტყვების აღმოსავლური მარაგის ნაწილს, რომელთა არსებობაც, ქართულ და მეგრულ ენათა შედარებისას, უნდა გავითვალიწინოთ.

ბრა, აგარაკი, ავაზაკი, აკვანი, ალალი, ალყა, ამანათი, ამაყი, ამინ, ანდამატი, არაკი, არამზადა, არაქათი, არაყი, არშიყი, არხი, ასლი, ასპარეზი, აუგი, აუზი, აურზაური, აფსუს, აქანდაზი, აშარი, აშკარა, ახმახი, ბადრი, ბათქაში, ბალღამი, ბანაკი, ბანგი, ბარათი, ბარაქა, ბარი, ბასრი, ბასთურმა, ბედოვლათი, ბელადი, ბეჩავი, ბინადარი, ბოსტანი, ბოღმა, ბუასილი, ბულბული, ბუხარი, გაჯი, გეზი, გემი, გიზგიზი, გოლიათი, გუდა, გუმანი, გუფთა, გუშაგი, დაბა, დამბლა, დასტა, დახლი, დოვლათი, დოქი, ელჩი, ენა, ერი, ექიმი, ვარამი, ვარაუდი, ვარჯიში, ვექილი, ზაფრანა, ზეთი, ზენიტი, თადარიგი, თავაზიანი, თაიგული, თამამი, თამბაქო, თარეში, თარჯიმანი, თასი, თაღი, თაღლითი, თახსირი, თერძი, თონე, თუჯი, იაგუნდი, იალაღი, იარლიყი, იატაკი, იალქანი, იხტიბარი, იჯარა, კადრება, კავშირი, კალამი, კალატოზი, კამარა, კოშკი, ლაზათი, ლალი, ლაჟვარდი, ლაშქარი, ლახტი, ლუკმა, მაგიდა, მადანი, მავთული, მანანა, მანდილი, მანძილი, მასალა, მასპინძელი, მიზანი, მიხაკი, მოედანი, მოტანა, მურაბა, მუშტარი, მუხამბაზი, მუხანათი, მუხთალი, ნადიმი, ნადირი, ნავთი, ნამუსი, ნაღარა, ნახირი, ნიკაპი, ნობათი, ნუგბარი, ოდა, ოთახი, ოსტატი, ოჯახი, პაემანი,

პაექრობა, პარტახი, საათი, საბაბი, სალამი, სარდალი, სარდაფი, სასტიკი, საუბარი, საღი, სეირი, სილა, სიმი, სიფათი, სპეტაკი, სურსათი, სუფრა, ტალავერი, ტაძარი, ტურფა, ტუსაღი, ფათერაკი, ფანდი, ფანქარი, ფანჯარა, ფარატინა, ფარგალი, ფარდა, ფაფუკი, ფაქიზი, ფაღარათი, ფიალა, ფილაქანი, ფირალი, ფირუზი, ფიქრი, ფლიდი, ფუთა, ფული, ფუნჯი, ფშინვა, ქაბაბი, ქათინაური, ქალა, ქამარი, ქანდაკება, ქარავანი, ქარხანა, ქაფჩა, ქისა, ქიშმიში, ქორფა, ქოფაკი, ქოშინი, ქურუმი, ქურქი, ქუჩა, ღაბაბი, ღალატი, ყავა, ყაიმი, ყალბი, ყალთაბანდი, ყალიბი, ყალიონი, ყამირი, ყარაჩოღელი, ყასაბი, ყუათი, ყულფი, ყუმბარა, შაბათი, შადრევანი, შაირი, შანდალი, შარი, შაქარი, შეგირდი, შეღავათი, შლეგი, შუღლი, შუშაბანდი, ჩაბალახი, ჩაიდანი, ჩანახი, ჩანგალი, ჩანგი, ჩანთა, ჩიბუხი, ჩირაღდანი, ხაბაზი, ხათაბალა, ხალათი, ხალასი, ხალვათი, ხალიჩა, ხანჯალი, ხარატი, ხარაჩო, ხარკი, ხასა, ხაშლამა, ხიბლი, ხიზანი, ხისტი, ხიფათი, ხორთუმი, ხოტბა, ხურდა, ჯაბანი, ჯადო, ჯადოქარი, ჯავშანი, ჯალათი, ჯამბაზი, ჯამი, ჯანყი, ჯარა, ჯარიმა, ჯაფა, ჯაშუში, ჯიბრი, ჯიგარი, ჯინიბი, ჯირითი, ჯიში, ჯური, ჯუჯა, ჰამაკი, ჰანგი...

ეს გახლავთ ქართულში დამკვიდრებულ აღმოსავლურ (არაბულ, სპარსულ, თურქულ...) ენათაგან ნასესხობის საერთო რაოდენობის მხოლოდ ის მცირე ნაწილი, რომელიც უცხოა მეგრული ენის ლექსიკისათვის. მეგრული ენისთვის ბევრად უცხოა ქართული ენის განვითარების გზაზე ქართველთა მეტყველებაში დასავლურ (ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ...) ენათაგან შეძენილი სიტყვების ასევე ჭარბი მარაგი და რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თავად დღევანდელი ქართული მეტყველება.

აქ არ წარმოგიდგენთ ლექსიკონებში დაფიქსირებულ, ქართულში დამკვიდრებულ დასავლური წარმომავლობის საყოველდღეო სიტყვათა მარაგის ნაწილს, რომელიც შეუდარებლად მეტია აღმოსავლური ნაწილის რაოდენობაზე, ვინაიდან, განსხვავებით აღმოსავლური ნასესხობისა, ბევრად იოლია ლექსიკონებში დაფიქსირებულ დასავლური წარმომავლობის სიტყვათა გამიჯვნა საკუთრივ ქართული წარმომავლობის ნაწილისაგან; მხოლოდ შეგახსენებთ, ქართული ენის ლექსიკაზე საუბრისას ქართული ენის აგლუტინაციური ბუნების გათვალისწინების აუცილებლობას.

გამომდინარე ქართული ენის აგლუტინაციური ბუნებიდან, ქართული ლექსიკიდან უცხო სიტყვათა მარაგის წარმოსახვითი გამიჯვნისას უმთავრესია ასევე უცხო სიტყვათაგან წარმოქმნილი, უკვე ქართულ სიტყვებად ქცეული მარაგის გამოვლენა.

კოლხური ენები განეკუთვნებიან აგლუტინაციურ ენათა ოჯახს. აგლუტინაცია [ლათ. **agglutinatio** შეწებება] წარმოადგენს გრამატიკულ პროცესს, როდესაც თავსართებისა და ბოლოსართების დართვის („მიწებების“, „აპლიკაციის“) მეშვეობით, შესაძლებელია ერთი ფუძიდან ნაწარმოები იქნეს განსხვავებული მიმართულებებისა და მნიშვნელობების მატარებელი სიტყვების სასურველი რაოდენობა, თუმცა ისინი მუდამ წარმოადგენენ ფუძის მნიშვნელობის განვითარებებს და ჩვენც უმთავრესი ყურადღება ფუძეთა მნიშვნელობების ამოკითხვას უნდა მივაპყროთ. ქართული ენის მეგრული ენიდან წარმომავლობა, ძირითადად, ფუძე სიტყვათა წარმართული კოლხური კონსტრუქციითა და აზროვნებით, ანუ მათი ეტიმოლოგიითა და სემასიოლოგიით მტკიცდება, ხოლო მეგრული წარმომავლობის ფუძე სიტყვების ქართული აგლუტინაციის შედეგად ეს პირდაპირი კავშირი უჩინარდება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში უცხო ფუძე სიტყვათაგან, აგლუტინაციის მეშვეობით წარმომდგარ, უკვე გაქართულებულ სიტყვათა წარმომავლობა არ ფიქსირდება.

თვალსაჩინოებითვის, განვიხილოთ აგლუტინაციის მეშვეობით ბერძნული აქსია-დან განსხვავებული შინაარსის ქართულ სიტყვათა წარმოქმნის მაგალითები.

αξια [აქსია] – цена, стоимость; вознаграждение, плата, нести заслуженное наказание.

ეს ძველი ბერძნული აქსია, ფორმით აქცია ჯერ ლათინურში და შემდგომ ევროპელთა მეტყველებაში დამკვიდრდა შემდეგი შინაარსებით.

აქცია ფრანგულში განსაზღვრავს შემდეგი სახის მოქმედებებს: действие, воздействие, эффект, иск, поступок, дело, деятельность, влияние, операция, связь, сюжет...

აქცია ინგლისურში განსაზღვრავს: действие, деятельность, воздействие, иск, мероприятие, дело, поступок, деяние, бой, выступление, акт, поведение, эффект, ход, влияние, работа, сражение, результат, судебное дело, обвинение, следствие...

ევროპული მნიშვნელობებით აქცია ქართული ენის ლექსიკონის შემადგენელიცაა.

აქცია[1] [ლათ. **actio**] – მოქმედება, რაიმე მიზნის მისაღწევად მიმართული, მაგ. პოლიტიკური აქცია... > სანქცია...

აქცია[2] [ფრანგ. **action**] – ფასიანი ქაღალდი... > რეაქცია > რედაქცია > აქციზი > აქციონერი...

მხოლოდ ქართული საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია, რომ ქართული ზმნისწინების და სხვა სახის თავსართების, ბოლოსართების დართვით ლათინური **აქცია**-დან მიღებულ იქნა ყოველდღიური ხმარების უკვე გაქართულებული შემდეგი შინაარსების მქონე სიტყვები:

ა-ქცია > გა-აქცია > და-აქცია > მი-აქცია > მო-აქცია > შე-აქცია > ჩა-აქცია > წა-აქცია > ამო-აქცია > გადა-აქცია > მიმო-აქცია...

აქცია > ა-ქცევა > გა-ქცევა > ქცევა > საქციელი > მისაქციელი...

ე. ი. **აქცია**-ს შემთხვევაში ერთი ფუძიდან თავსართების დართვით მივიღეთ სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობათა (მცნებათა) მატარებელი სიტყვები:

და-აქცია (დაქცევა – ოჯახი დაექცა, ექცევა; წყალი დააქცია, დაიქცა, იქცევა); **გა-აქცია** (გაქცევა); **მი-აქცია** (მიქცევა – ყურადღება მიაქცია, მიიქცია); **მო-აქცია** (მოქცევა – საკუთარ რწმენაზე მოაქცია); **შე-აქცია** (შექცევა – ზურგი შეაქცია, საჭმელს შეექცევა); **ჩა-აქცია** (ჩაქცევა – სიმდიდრეში ჩაიქცა, სისხლი ჩაექცა); **წა-აქცია** (წაქცევა); **გადა-აქცია** (გადაქცევა – ყურადღებად გადაიქცა); **ამო-აქცია** (ამოქცევა – ნავიდან წყალი ამოაქცია); **ჩა-მო-აქცია** (ცა ჩამოიქცა)... და საერთოდ მცნება **ქცევა** > **სა-ქციელი, მისა-ქციელი... თვალთმაქცი...**

ამრიგად, ლათინური წარმომავლობის **აქცია**-ზე თავსართებისა და ბოლოსართების დართვით, ანუ აგლუტინაციის მეშვეობით, მიღებულ იქნა ერთმანეთისაგან განსხვავებული „ქართული“ სიტყვები რომელთა საერთო რაოდენობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 110 ერთეულს შეადგენს და რაც უმთავრესია, ჩვენს შემთხვევაში, ლათინური **აქცია**-დან წარმომდგარი ასათივე ერთეული „ქართული“ სიტყვა უცხოა ლაზურ-მეგრული ენის ლექსიკისათვის.

ე. ი. ბუნებრივია, რომ ეს 110 ერთეული ლათინური **აქცია**-დან წარმოქმნილი „ქართული“ სიტყვა ერთმანეთისაგან აუცხოებს ქართულ და მეგრულ ენებს.

ასევე არახალხური, არამედ ხელოვნური, ლიტერატურული წარმომავლობისაა ბერძნული **გონე**-დან წარმომდგარი მრავალი „ქართული“ სიტყვა:

Γονη, γονα [გონე, გონა] – 1.рождение; 2.произведение на свет, роды; 3. семенная жидкость; 4.плод, отрыск, дитя; 5.потомство, род, племя... 7.материнство; 8.всходы, урожай.

ბერძნ. **გონე** > ქართ. **გონ**-ება > სა-**გონ**-ებელი > **გონ**-იერი > გაი-**გონ**-ა > გა-**გონ**-ება > მო-**გონ**-ება > მოი–**გონ**-ებს > ა-**გონ**-ებს > გაო-**გნ**-და > გაო-**გნ**-ება > გა-**გნ**-ება > ა-**გნ**-ებს > მია-**გნ**-ო > მი-**გნ**-ება > შე-**გნ**-ება > შე-**გნ**-ებული > შეუ-**გნ**-ებელი > შე-**გონ**-ება > სა-**გონ**-ებელი... და გვარი **გონ**აშვილი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დაფიქსირებულია ბერძნული გონე-დან, აგლუტინაციის მეშვეობით წარმოებული 83 ერთეული „ქართული“ სიტყვა.

ამრიგად, ლათინური აქცია და ბერძნული გონე წარმოადგენენ ჯამში 193 „ქართული" სიტყვის ფუძემნიშვნელობებს და შემდგომში, უცხო წარმომავლობის სიტყვათა გამიჯვნისას მუდამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ერთი უცხო ფუძემნიშვნელობის სიტყვიდან, აგლუტინაციის შედეგად წარმოიქმნებიან მრავალი ახალი „ქართული“ სიტყვები, მცნებები და რომელთა უდიდესი უმრავლესობაც უცხოა მეგრული მეტყველებისთვის.

ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ ქართული ენის ლექსიკონების შემდგენელნი ან ვერ, ან არ აფიქსირებენ ძველი ბერძნული ენის ბევრად უძლიერეს გავლენას ქართველთა მეტყველებაზე.

(**არნოლდ ჩიქობავა** I. 6): „ფილოსოფოსმა ლეიბნიცმა ქართული ენა ბერძნულის მონათესავედ მიიჩნია ბერძნულიდან ნასესხები სიტყვების – „ორგანო“, „კლიტე“ და მსგავთა საფუძველზე“.

ქართულ ენაზე ბერძნული ენის უძლიერესი გავლენა კანონზომიერია, ვინაიდან ქართული ენა შეიქმნა კოლხეთში ქრისტეანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ (IV საუკუნის მეორე ნახევარი), ანუ კოლხეთში ქრისტეანული რელიგიის დასანერგად. დასაწყისში ქრისტეანული რელიგია ძირითადად ბერძნული ენით ვრცელდებოდა და თავისთავად ცხადია, ჩვენი სულიერი მამები ქართული ენის შექმნის დასაწყისიდანავე ითვალისწინებდნენ ბერძნული ენის გამოცდილებას, ბერძნული ენის გავლენა იმანაც განაპირობა, რომ კოლხურ მეტყველებას არ გააჩნდა იმ ბერძნულ მცნებათა (ამაოება, ანგელოზი, მარტვილობა, რიდი სინანული, სინდისი...) უმრავლესობა რომელთა გარეშეც გაძნელდებოდა ქრისტეანობის არსის გადმოცემა. მათ უმთავრეს მიზანს ხომ ბერძნულ-ლათინური ქრისტეანული ლიტერატურის თარგმნა წარმოადგენდა.

(**არნოლდ ჩიქობავა** 117): „საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თარგმნილს ლიტერატურას სალიტერატუტო ენათა განვითარების პირველ საფეხურზე (ისტორია მოწმობს, რომ რელიგიური შინაარსის ნაწარმოებთა – დაბადების, სახარების, სამღვდელმსახურო წიგნების – თარგმნითაც კი დაწყებულა არა ერთი ენის მწერლობა). სალიტერატურო ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიც არის და კულტურის განვითარების იარაღიც“.

გოტფრიდ ლეიბნიცის დაფიქსირებული ბერძნული **kleistron** [კლეისტრონ] ¬(1.засов, запор, замок)-დან ქართულში მივიღეთ: **კლიტე** > **ცხრაკლიტული** > **კლეტვა** > **კეტვა** > **მოკეტილი** > **დაკეტილი** > **დასაკეტი** > **საკეტი** > **კეტი** (დიდი, მსხვილი ჯოხი), ძველად კარები კეტით იკეტებოდა და მას ურდული-ც ეწოდებოდა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ურდულ**-ი კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი ჯოხი (ანუ დიდი, მსხვილი ჯოხი – კეტი. ჯ.კ.).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ბერძნული კლეისტრონი-დან აგლუტინაციით წარმოქმნილი 50 „ქართული“ სიტყვაა დაფიქსირებული.

მოგაწვდით ქართული ლექსიკონებისთვის უცნობ, ჩემს მიერ მოძიებულ, ძველი ბერძნული ენის გავლენის მაგალითებს.

αλλαγη[ალლაგე] – перемена, смена. замена.

აალაგე > **ალაგება** > **დალაგება** > **დალაგებული** > **დამლაგებელი... ალაგი** > **ალაგ-ალაგ...**

(**ო. ქ.**) **ოლაგე** იგივეა, რაც **ალაგე** -- ღობეზე გადასასვლელი (გადასაბიჯი).

ακροσ [აკროს] – наружный, поверхностный (ამ სიტყვის დახმარებით გამოითქმის: **поверхность кожи, поверхность воды...**).

ბერძნული **აკროს**-იდანაა ქართულში – ხალიჩაზე მი-**აკრო**, **აკრავს** (ხეს ირგვლივ ქერქი **აკრავს**), **გააკრავს**, **მიაკრავს**, **ჩააკრავს** (პურს თონეში **ჩააკრავს**), **ჩაკრული... ჩაკრულო.**

αλεο[ალეო] – молотый хлеб.

ალოობა – სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა (ხვნა-თესვის, თიბვის, მკის, პურეულის ლეწვის...) დრო. **კალო** – მოსუფთავებული და დატკეპნილი მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით **ლეწავდნენ.**

αλλελων [ალლელონ] – взаимно, между собой... они спорят между собой.

ლელო – ძველებური ბურთის თამაში: ორ ჯგუფად გაყოფილი მოთამაშენი ცდილობენ ბურთის გატაცებას და მოწინააღმდეგის ლელოზე გატანას.

αμα[ამა} – одновременно с...

ამავე დროს, **ამ**ასთანავე...

αμαο [ამაო] – посыпать голову прахом (в знак траура).

ამაო -- ფუჭი, უნაყოფო, უშედეგო... **ამაო**დ ჩაუარა გარჯამ. **ამაოება** – უმიზნობა, არარაობა... ეკლესია ცხოვრების **ამაო**ებას ქადაგებს.

ανα-κλινω [ანა-კლინო] – 5.устремлять верх, поднимать.

ანაკლია – სოფელი ზუგდიდის რ-ნში.

ανακοπη [ანა-კოპე] – преграда, препятствие.

ანაკოფია – ციხე-სიმაგრე ახალი ათონის რ-ნში.

ανα-νενω [ანა-ნენო] – отрицательно качать головой.

ανα-νεφο [ანა-ნეფო] – протрезвляться, приходить в себя.

ანანებს, **ი**ნ**ანებს**, **ე**ნ**ანება**. **სი**ნ**ან**ულ-ი, **მო**ნ**ან**იება... – უკმაყოფილება. წუხილი ჩადენილი საქციელის გამო (приходить в себя). გულისტკივილი.

(**ო. ქ.**) **ნანება ნანობა**; სინანაული.

απλαι [აპლაი] – простая обувь.

საქართველოს დასავლეთით დღესაც გაიგებთ: „**მოპლ**აკუნდა", „ფეხებს **აპლ**აკუნებს"... მოგვიანებით **პლ**ა**კუ**ნ-ს განსხვავებული მნიშვნელობაც მიენიჭა:

პლა**კუ**ნ-ი პაპიროსის, ჩიბუხის... მოწევისას ბაგეების მიერ გამოცემული ხმა.

απο[აპო] – приставка со значением удаления или отделения.

აპო-ბს, (შეშა) და-**აპო** > გა-**აპო** > გაუ-**პო**... **აპო**-ბს... მოს-**პო**, მოს-**პო**-ბა, მოსას-**პო**-ბი, ის-**პო**-ბა...

α-τενησ [ა-ტენეს] – тугой, крепкий, цепкий.

ატენი [მონასტრისა და ხეობის სახელწოდება] და ასევე ატენეს, შეტენეს, ტენა, გატენილი.

ατιταλλο [ატიტალლო] – 1. выращивать, воспитывать; 2. лелеять.

ატატებულ-ი ვინც, რაც აიტატეს ხელში. ხელში **ატ**ა**ტ**ებული ბავშვი.

βαιοσ [ბაიოს] – маленький, небольшой.

ბაია 1. ჩვილი ბავშვი. 2. თვალის გუგა. 3. ბალახია ერთგვარი.

გვარები: **ბაღბაია**, **გუდბაია**, **ზუხბაია**, **ყოლბაია**, **ჩაჩიბაია**...

βια [ბია] – жизненная сила, жизнь.

(ო. ქ.) **ბია** კომში – უნდა ვიგულისხმოთ, რომ კომშის მწიფე, ყვითელი ნაყოფი მზეს, ანუ სიცოცხლის ძალას შეადარეს.

γraγαλη-αγρα [გალე-აგრა] – 2.железная клетка для зверей.

გალია მავთულის ან რკინის ბადით შემოზღუდული სადგომი ცხოველებისა ან ფრინველებისათვის.

γαμωσ [გამოს] – 1.брак, бракосочетание, супружества; 2.свадьба, брачный пир; 3.половое снощение, сожительство.

ιαμα [იამა] – 1.целительное средство, лекарство; 2.исцеление.

ს-**იამ**-ე (**სიამეს** გვრის. – გული **სიამით** აევსო) > **სიამ**-ოვნება, **ეამება**, **გეამება** > **გაამოს**...

γεμο [გემო] – 1.быть нагруженным; 2.быть полным, переполненым, изобиловать.

გემო > **გემ**ოვნება > **გემ**რიელი...

gorgon [გორგონ] – страшно, грозно.

ძვ. ქართ. **გურინვა**, **გრგვინვა** > **გრიალი**...

δαιμοναω [დაიმონაო] – находиться во власти (мстящего) божества. быть одержимым, безумствовать, обезумевший от страдании.

μονασ[მონას] – 1.одинокий; 2.покинутый, брошенный.

დაი-მონა > **მონა**; თავსართი **დაი**-.

δαπανη ,**δαπανα** [დაპანე, დაპანა] – 1.расходование, расход, трата; 2.расточительность.

δαπαηρια [დაპაერია] -- расточительность.

δια-πνεω [დია-პნეო] -- рассеиваться.

დაპნევა, **დააპნია**... ხალხურ მეტყველებაში დამკვიდრებული ბერძნული სიტყვა **აპნევს** ამოღებულია ქართული ენის ლექსიკონიდან და იგი შეცვლილია ფორმით **აბნევს** ანუ პ > ბ. **აპნევს** > **აბნევს** > **დაბნევა** > **დაბნეული** (1. რაც **დაიბნა**. **დაიბნა** ფეტვი. 2. ვინც **დაიბნა**. მოულოდდნელობისაგან **დაიბნა**. 3. რაც **დაიბნიეს**. გულზე **დაბნეული** ქინძისთავი) > **დაბნელება** > **ბნელი** > **ბნელეთი** > **სიბნელე**...

ე. ი. დღისით გარშემო მზის სხივები, შუქი იბნევა, საღამოს ეს შუქი ილევა და ამ სხივების, შუქის დაბნე-ვის შემდგომ დგება **დაბნე**-ლება. მსგავსი აზროვნებაა **δειλη**-ს გადაქართულებისას.

δειλη [დეილე] – пополуденная пора, предвечернее время, сумерки, вечер... 3.закат, запад.

დღე **დეილია** > **დაილია** > **დალევა**... ავადმყოფმა სული **დალია**. სასმელი **ილევა**. **მინდორი** **გალიეს**... **გალევა**... **გალეული**... აქვეა ბერძნული **ელეოს**-ი (**ελεοσ**).

ελεοσ [ელეოს] – 1.жалость, сожаление, сострадание, сочуствие; 2.испытивать сожаление к кому л.

ელევა. დედის ნაქონ ნივთებს ვერ **ელევა**, ვერ **შეელევა**.

δαισ [დაის] **დაისი** მზის ჩასვლის დრო (საპირისპიროა **აისი**).

δια-φειρο[დია-ფთეირო] – 1.разрушать, уничтожать, опустошать; 2.убывать, умертвлять, опустошать.

დი-აფთეირო > **აფთარი.**

διν-ωδεσ [დინ-ოდეს] – водовороты реки.

δινε[დინე] – кружение, вращение, водоворот.

დინება. **მდინარე** **მიედინება**. **დინება** > **დნება** > **დნობა**. ბერძნული **დინე**-ს მეგრული შესატყვისია **დინაფა** (კარგვა). აქ საქმე გვაქვს გაერთიანებული, ბერძნულ-მეგრული მცნებებიდან შექმნილ ქართულ სიტყვებთან.

δι-οικεω [დი-ოიკეო] – 1.жить особняком; 2.управлять, руководить, заведовать; 3.вести скромный образ жизни.

დაოკება -- შეიკავებს. დაიმორჩილებს. მღელვარება **დაიოკა**.

εισω [ეისო] – внутренная часть, глубина.

ეივსო -- ორმო ხორბლით **აივსო** > **ავსება** > **სავსე** > **გავსებული...**

εκα-εργοσ [ეკა-ერგოს] – действующий на далекое растояние, т.е. далеразящий.

ეკარგება. **კარგვა** -- დაუვარდება ან დარჩება სადმე შორს ისე, რომ ვერ შენიშნავს...

eparhn [ეპარენ] – пролагать (себе) путь. продвигатся.

mio-parwn [მიო-პარონ] – миопарон (легкое пиратское судно).

ეპარება > მიეპარა > **პარვა** > **პარვით** -- ფარულად, მალულად, მეკობრულად.

επι-πνω[ეპი-პინო] – выпивать, запивать, пить вино после еды.

πιμπλημα [პიმპლემა] – 1.наполнять, забеременеть.

გაპიპინებული, ანუ გალიცლილებული სასმისი.

Σριδοσ [ერიდოს] – Ерида (богиня раздора... дочь ночи).

მოერიდოს > **რიდი** (მოკრძალება) > **რიდე** (ქალის თავსახურავი).

ბერძნული მითოლოგიით ზევსს გააჩნდა შემდეგი მეტსახელები: **ξα** [ძა]; **ξαν** [ძან]; **Ζευσ** [ძეუს]. ზევსის ეს მეტსახელები დამკვიდრებულია ქართველთა მეტყველებაში.

Ζευσ [ძეუს] – **ძეუს** შეკვეცილი ფორმით **ძე** აღნიშნავს ვაჟის მცნებას. გიორგაძე = გიორგის ვაჟი (გადატ. გიორგის ღვთაება).

ξαλη [ძალე] – 1.морское волнение, шторм; 2.бурное течение, потоки крови; 3.житейские буры, бедствия.

ძალე > **ძალა**, **ძალადობა**, **ძალ**იან, **ძალ**ისმიერი, ნა**ძალ**ადევი, მო**ძალ**ადე, **აძ**ალებს, დაა**ძ**ალა, და**ძ**ლია, **ძ**ლევა, **ძ**ლევამოსილი, **ძ**ლიერება, **ძ**ლევს, **აძ**ლევს, სანა**ძ**ლეო...

ξοφοσ[ძოფოს] – 1.мрак, тьма; 2.вечная тьма, царство теней... 4.мрачность.

ძოფ > **ძაფ** > **მ**ძ**აფრი**. **მ**ძ**აფრი** ქარიშხალი.

ξοα [ძოა] – 2.средства к жизни, средство пропитания.

ξωη [ძოე] – наподобие животних.

ძოა > **ძოვა** > **ძ**ოვა, სა-**ძ**ოვა-რი... ძროხა ბალახს **ძ**ოვს. შესაძლოა ამ ცოდნიდანაა წარმომდგარი თავად სიტყვა ძროხა-ც.

Ηματιοσ [ემატიოს] – 2.работающий днем; 3.ежедневно, вино, которое корабли ежедневно привозят.

Ναματ [ნამატ] – богатый источниками.

ნამატი > **და-ნამატი** > **ემატ**ოს > **მ**ატება > **გადამ**ეტება > **მ**ეტი... **ზ**ედ**მ**ეტი... **მ**ეტ**ი**ჩარა...

ημερα, ημερη, αμερα [ემერა, ემერე, ამერა] – 2.с нинешнего дня, отныне, каждый день, ныне, сегодня.

ამერა > **ამერი** > **ამიერი** > **ამიერ**იდან (დღეიდან დაწყებული, с нинешнего дня).

θαρσοσ [თარსოს] – 4.дерзость, наглость... 5.назоизливость.

თარსი იგივეა, რაც **ნავსი**.

Ια [ია] фиалка.

აქ ჩვენ უნდა დავიმახსოვროთ კოლხური მეტყველების ერთ-ერთი აქსიომა: კოლხური მეტყველებით მხოლოდ ხმოვნებით სიტყვები არ წარმოიქმნებიან, აუცილებელია თუნდაც ერთი თანხმოვნის არსებობა; ამდენად, უდავოა მხოლოდ ხმოვნებით შედგენილი ყვავილის სახელწოდება „ია"-ს არაკოლხური, საერთო წინააზიური წარმომავლობა. ია კოლხურში დამკვიდრებულია მცნება პატარას აღსანიშნავად -- თამუნია, დათუნია... კაკულ-ია = კაკული პატარა.

αλαθοσ [კალათოს] – (ручная) корзинка.

კალათა > მოი-**კალათა**...

καμαθοσ [კამათოს] – 1.тяжелый труд, напряжение, усилие; 2.усталость, утамленность.

კამათი -- უნდა დავეთანხმოთ ჩვენს წინაპრებს, **კამათი** ძირითადად მძიმე და მომქანცველი პროცესია.

κεφαλοσ [კეფალოს] – головка.

კეფა – ადამიანის თავის უკანა ნაწილი.

λαπαρα [ლაპარა] – 1.пах; 2.живот.

ლაპარაკი – იგულისხმება, რომ მუცლის მოქმედების, მუცელში მომწყვდეული ჰაერის გარეშე ვერ ილაპარაკებ, ანუ მუცელი ის საბერველია რომლის გარეშეც ყელიდან, პირის ღრუდან ბგერასაც ვერ გამოსცემ.

ληγω[ლეგო] – кончать жизнь, умирать.

შავ-**ლეგო** > **ლეგა** – მუქი ნაცრისფერი -- **ლეგა** ღრუბელი.

Λεχ-ηρησ [ლეხ-ერეს] – прикованный к постели, т.е. немощный.

მეგრულშიც **ლეხი** აღნიშნავს ავადმყოფს, ხოლო ქართულში გვაქვს გ-**ლეხი** მიწასთან მიჯაჭვული (прикованный).

με [მე] – я.

სიმბოლურია, რომ ლაზურ-მეგრულ ენაში პირველი პირის ნაცვალსახელად დამკვიდრებულია შუმერული პირველი პირის ნაცვალსახელი **მა**, ხოლო ქართულ ენაში ბერძნული პირველი პირის ნაცვალსახელი **მე**.

μαδδα [მადდა] – 2. лепещка. ячменный хлеб.

მადა – (პურის...) ჭამის სურვილი.

μαλη [მალე] – 2. за пазухой, таино.

დამალე (თუნდაც უბეში) > **მალვა** > **დამალული**...

martus [მარტჷს] – засвидетельствовавший своей кровью. т.е. мученик.

მარტვილობა -- წამება, გვემა.

ბერძნული მარტჷს-იდან წარმოიქმნენ **მარტო**, სი**მარტ**ოვე, **მარტ**ვილი, **მარტ**ყოფი...

μαχη [მახე] – 1. бой, сражение... 5. способ сражаться, боевая техника.

მახე – ნადირთა ან ფრინველთა დასაჭერი მოწყობილობა (техника).

μαομαι [მაომაი] – желать, стремиться... готовые ринутся с копьями... отважишись на ето.

მა-**ომ**ა > **ომ**ი.

μεγαλοσ [მეგალოს] – 3.величаво, величественно, пышно.
მე-**გალოს** > მე-**გალობოს** > **გალობა** – გუნდი **გალობს**, მღერის.
μια [მია],**μιασ** [მიას], **μιεσ** [მიეს] – приставка.
მია-კითხა, **მია**-სხურა, **მიე**-ყუდა, **მიე**-სვენა.
οβολοσ [ობოლოს] – мелкая монета.
ობოლი.
οπα [ოპა] – შეძახილი.
οπισ [ოპის] – 2. милость, благоговение; 3. почтительный страх, благоговейное почитание; 4. почтение, уважение; 5. усердие, рвение.
ოპიზა -- უძველესი მონასტერთაგანი ისტორიულ კლარჯეთში.
ορβελοσ [ორბელოს] – Орбел (горная цепь в сев. вост. Македонии).
ორბელიანი. **ორბ**ი.
οχα [ოხა] – для усиления.
გული მოი**ოხ**ა, **ოხ**ებს...
οχυρα [ოხურა] – укрепленные места.
ოხურეი – მდინარე და სოფლები გალის რ-ნში.
οσαχη [ოსახე] – столькими способами, всеми возможными способами.
სახე > მრავალ**სახ**ეობა > **სახ**ვა > გამო**სახ**ვა > გამო**სახ**ულება > გარდა**სახ**ვა...
παπαισ [პაპაის] – папочка, батюшка.
παπποσ [პაპპოს] – 1. дед; 2. предок, прашур.
პაპა მამის ან დედის მამა – ბაბუა.
πλατυ [პლატუ] – открытое место.
პლატო მაღლა მდებარე ვაკე.
πυροσ [პუროს] – пшеница, пшеничное зерно.
პური... **პურ**ი ასევე ინდური ლექსიკის შემადგენელიცაა.
σαββατον[საბბატონ] – субота.
ბერძ. **საბბატონ**¬-ი მომდინარეობს წინააზიური **შაბათ**ი-დან. ქართულში დამკვიდრებულია **შაბათ**ი, ხოლო მეგრულში ბერძ. **საბატონ**-ი.
σαγη [საგე] – 1.снаряжение, вещи, личные вещи, поклажка.
საგანი ყოველგვარი მატერიალური მოვლენა. – ნივთი.
σειω [სეიო] – 1. гнать, преследовать... 7. натравлывать.
მი**სევ**ა, მი**ეს**ია, მი**უს**ია – მგელს ძაღლები მიუსიეს.
σηκομα [სეკომა] – святилище, храм.
საკმეველი > **კმ**ევა...
σοροσ[სოროს] – 1) погребальная урна. 2) гроб. поговорка – стоять одной ногой в могиле.
სორო – მიწაში გათხრილი ხვრელი (გარეული ცხოველის სადგომი).
υμασ [იმას] = **υμε** [იმე] = **υμον** [იმონ] – вы.
კუთვნილებითი ნაცვალსახელები **იმას, იმან** და იმერეთში გავრცელებული შორისდებული **იმე – იმე** ბატონო.
πυπο-χριω- [იპო-ხრიო] – смазывать, помазывать.
აპოხიერებს > **პოხ**იერი – ნოყიერი (ნიადაგი) > **საპოხ**ი > **პოხ**ვა.
υσσοσ [ისსოს] – метательное копье.

ისოს > **შეესოს** > **შეესიაა** > **ესევა** > **ასევია...**

მაკედონიელები იბრძოდნენ რძელი შუბებით, რომელთაც **სარისა** ეწოდებოდათ.

σάρῖσα [სარისა] – сариса (македонское копье длиною в 5-6 м.).

ე. ი. ბერძ. **სარისა** > ქართ. **სარი** > **ისარი.**

ისარი > **ისვრის** > **გაისვრის** > **გაისროლა** > **სროლა...**

ისვრის > **სვრის** > **დასვრის** > **დასვრილი...**

სარი – წამახული წვრილი ხე მიწაში ჩასარჭობად. სარი > სარმა.

აქვეა სპარსული **სარო.**

სარო – იგივეა, რაც კვიპაროსი. საროს ტანი (პოეტ.).

φερω [ფერო] – 1.нести (пойди отнеси ето гостю), носить (носить под ердцем кого-л.)... 9.получить в награду... 11.оказывать (оказывать услугу кому-д.); 12.сносить, терпеть.αα

მოე-**ფერო** > **ფერება** > **ნაფერები...**

φλοιστκη [ფლოისტკე] -- искуство плетенних изделии из лыка.

ფლოსტი – უქუსლო, საშინაო ფეხსაცმელი.

χαλιισ [ხალის] – чистое (неразбавленное) вино.

ის, რაც **ხალის**-იან გუნებაზე განაწყობს კაცს. ასევე **ხალის** არაბულად მხიარულებას აღნიშნავს.

χαρα [ხარა] – радость, восторг.

გაი**ხარა** > გა**ხარ**ება > **ხარ**ება > სი**ხარ**ული...

χαρις [ხარის] – 1. прелесть. изяшество, красота...

ხარის**ხ**ი.

χαραττο [ხარატტო] – 1.острить, точить.

ხარა**ტ**ი.

ω! [ო!] – (выраж. изумление, восхищение, негодование или скорбь) о! ох! ах!

ოპიზა = **ო** დიდებულო (ტაძარო).

ωμα [ომა] – в сыром виде.

ომა > **უმი** – ნედლი. მოუხარშავი ან შეუწვავი საკვები.

ქართული რიცხვითი სახელი ექვსი ბერძნული **hex**-ია. მაგალითად:

ᲰᲔᲥᲡაგონ-ი [ბერძ. **hex** ექვსი და gonia კუთხე] – ექვსკუთხედი.

ბერძნული ენის, ბერძნული კულტურის ქართულ ცნობიერებაზე უძლიერესი გავლენის შედეგია თავად სახელწოდება **ბერძენი**-იდან წარმოქმნილი მცნებები:

ბერძენი > **ბრძენი** > **ბრძნული** > **ბრძანება** > **დაბრძანდება...**

უცხო სიტყვათა კვლევისას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვათა ნასესხობა ნებისმიერი ენის თვისებაა. მაგალითად, ბერძნულად **genos** [გენოს] აღნიშნავს გვარს და აქედანაა შემდგომ მსოფლიო ენებში **გენეტიკა, გენეალოგია...** ლაზურ-მეგრულში **გენი, გინი** აღნიშნავენ ხბოს, იგივე შთამომავალს და თითქოს ეს სიტყვა ბერძნულიდან ნასესხობაა, სინამდვილეში კი ბერძნულ და მეგრულ სიტყვათა საერთო ფუძე-მნიშვნელობა შესაძლოა ხეთურიდან მომდინარეობს, ხოლო თავად ხეთური მეტყველება ასევე შუმერულ-ეგვიპტურ ცივილიზაციათა თანამონაწილეა:

(ი. ტ.) **genu-, ginu-, ganu**- მუხლი, მუხლები/კალთა; (კაცის) სქესობრივი ორგანო, გენიტალიები; გვარი, მოდგმა, თაობა; აგრეთვე სისხლით ნათესაობა (?)

საინტერესოა ხეთური **კარდ**-ის განვითარებები.

(ი. ტ.) **kard**- გული; ცენტრი, შიგა ნაწილი, ბირთვი.

ბერძნული **kardia** ასევე გულს აღნიშნავს და მისგან ნაწარმოები ტერმინებია: **კარდ**იოგენური, **კარდ**იოგრამა, **კარდ**იოლოგია...

(ო. ქ.) **კარდია, კარდილა** კარდალი; ქვაბი (დიდი).

ე. ი. თუ ბერძნულმა ხეთური **კარდ** ფუძე გულის მნიშვნელობით შეითვისა, წარმართულ კოლხურში ხეთური **კარდ**-ის როგორც ბირთვის, შიგა ნაწილის მნიშვნელობიდან გამომდინარე ქვაბის შინაარსი მიენიჭა.

(ი. ტ.) **kanenai-, kaninai-, kaniniya-** თავის დაკვრა, დახრა (თანხმობის ან მორჩილების ნიშნად); ქედის მოხრა, (და)მორჩილება

kaniniya(u)war მორჩილება

ამ ხეთური ფორმების განვითარებაა ბერძნული kanōn და სიტყვა კანონი უკვე ბერძნული მნიშვნელობით განივრცო მსოფლიო ენებში.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა ბერძნულმა მეტყველებამ აღნიშნული სიტყვა არა ხეთური ლექსიკიდან შეითვისა, არამედ რომელიმე განსხვავებული ლექსიკიდან ნასესხობა იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენთვის უმთავრესია აღვიქვათ, რომ ბერძნული, ანუ იგივე ევროპული ცივილიზაციის ფესვები წინა აზიიდან მომდინარეობს, ანუ ევროპული კულტურა, მსგავსად კოლხური კულტურისა, ევრაზიული ბუნების მატარებელია.

(ი. ტ.) **kupri**- კუპრი.

(ი. ტ.) **lagan** (რაიმესადმი) სწრაფვა/მისწრაფება, მიდრეკილება; ნირი, ხასიათი, განწყობილება (?)

წარმართულ კოლხურში ცხენის სწრაფი სვლის მიდრეკილების დასაოკებლად გამოიყენება **ლაგამი**. ხეთ. **ლაგან** > კოლხ. **ლაგამი**.

(ი. ტ.) **mazalli** („ლუვ“) დაუზარელი, თავაზიანი, ხათრიანი, დამთმობი?

ლუვიური მაზალლი ქართულში დამკვიდრდა ფორმით **მაზალო**.

(ქ.ე.გ.ლ.) **მაზალო** 1. ძვ. კოხტა, სასიამოვნო. 2. ახ. ვულგ. უცნაური, ახირებული.

(ი. ტ.) **lip**(ai) – ლოკვა, გალოკვა, სვლეპა.

ე. ი. ხეთურად **ლიპ** ნიშნავს გალოკვას და შესაბამისად გალოკილ თეფშს, ზედაპირს... და ქართულში გვაქვს:

(ქ.ე.გ.ლ.) **ლიპი** ნადნობი თოვლით მოყინული ადგილი (საბა); სრიალა ზედაპირი, სადაც ფეხის მოკიდება ძნელია.

(ქ.ე.გ.ლ.) მოლიპული გასიპული, სრიალა, გალიპული.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლიპარტი** კუთხ. (მთიულ.) „ბრტყელი, სუფთა და სიპი ქვა“.

ესაა გვარების ლიპარტია, ლიპარტელიანი-ს შინაარსი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლიპლიპი** კუთხ. (ფშ. ქიზ.) იხ. ლაპლაპებს.

ინგლისურად **slip** – скольжение, сползание. [გა]სრიალება, ჩა[მო]ცურება.

ინგლისურ **სლიპ**-ში ასევე იკითხება ხეთური **ლიპ**, ამ შემთხვევაში გალოკილი, სწორი, სრიალა ზედაპირი და ინგლისურმა **სლიპ**-მა მიიღო უმთავრესი, საწყისი მიშვნელობა -- [გა]სრიალება, ჩა[მო]ცურება.

შესაძლოა ქართულში ინგლისური **სლიპ**-დან გვქონდეს **სლიპინი** > **სვლეპა** (**სლიპინ-სლიპინით** ხვრეპა).

მოგვიანებით ქართულში **სლიპინი**-დან დამკვიდრდა **სლიკინი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **სლიკინი** მოლიპულ ზედაპირზე (ყინულზე, თოვლზე...) ცურვა, სრიალი.

(ი. ტ.) **lala**- ენა (სხეულის ნაწილი; სარიტუალო მოდელი); ავი სიტყვა, ჭორი, ცილისწამება, ლანძღვა

ქართული **ლაილაი** (უაზრო გაუთავებელი ლაპარაკი) > **ლაქლაქი** (უთავბოლო და ბევრი ლაპარაკი).

ხეთურში ფუძე **lap** იძლევა შემდეგ განვითარებებს:

lappant მოელვარე, ანთებული.

lappanu მბრწყინავი, მოელვარე.

lappiya სიცხე / მაღალი ტემპერატურა.

l**appina** პატრუქი; აბედი.

lappina(i) დანთება / ანთება, (პატრუქით) ცეცხლის მოკიდება.

laplapa laplapi წამწამ(ებ)ი.

ბერძნული **lampa** [ლამპა] **– 1.факел, свет.** > ქართ. ლამპარი – გასანათებელი პატრუქიანი ჭურჭელი, რომელშიაც ზეთს ასხამდნენ.

ე. ი. ხეთური **ლაპპინა** გადავიდა ბერძნულში ფორმით **ლამპა**, შემდეგ განვითარდა ფრანგულ **ლამპიონ**-ად და უკვე ამის შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში იგივე ფორმით -- **ლამპიონი**; ხოლო **ლაპლაპი** უკვე თავად ხეთებისაგან უნდა გვქონდეს ნასწავლი, თუ თავად **ლაპლაპა** ხეთურია და არა ნასესხობა.

ჩვენ უნდა აღვიქვათ, რომ უძველეს ცივილიზაციათა სიტყვები დროის სივრცეში, ტალღისებურად ვრცელდებიან როგორც უძველეს, ასევე შედარებით ახალ ენების გარემოში. მოგაწვდით ორ მაგალითს.

სპარსულია **ბანდი** [= 1. წვრილი თოკი ან თასმა (რისამე სახლართად, მოსაკრავად...). ბანდით დახლართული ქალამანი. 2. მარლის ლენტისებური ნაჭერი; ხმარობენ ჭრილობის, ნაღრძობის შესახვევად, -- ბინტი)], რომლისგანაც შედგა შემდეგი ქართული სიტყვები:

(ქ.ე.გ.ლ.) **ბანდ**-ავ-ს თასმით სახელდახელოდ გაკერავს, მოწნავს, მოქსოვს. ქალამნის ძირს გაბლანდავს. (ბანდავს > ბანდული > ბადე ჯ.კ).

(ქ.ე.გ.ლ.) **აბანდ**ებ-ს, დააბანდებ-ს 2.მოათავსებს რაიმე საქმეში, წარმოებაში (თანხას) (ანუ საქმეში აქსოვს, აბანდებს თავის სახსრებს).

(ქ.ე.გ.ლ.) **ბანდ**-ულ-ი მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირი წვრილი ღვედითა აქვს დაწნული.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბანდ**-ალ-ი (კუთხ.) ლასლასი, ბარბაცი.

(ო. ქ.) **ბანდ**-უა... **ბანდ**ვა, **ბლანდ**ვა; ხლართვა.

(ო. ქ.) **ბანდღ**უა || **ბონდღ**უა იგივეა რაც ბანდუა, -- ბანდვა, ქსელვა.

(ო. ქ.) **ბან**ცალ-ი... იგივეა, რაც **ბანდ**ალი.

თავად სპარსულში ბანდი შემადგენელია ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული ასევე სპარსული სიტყვებისა: დოლ**ბანდ**ი, ყალთა**ბანდი**, შუშა**ბანდი**, სია**ბანდ**ი.

(ქ.ე.გ.ლ.) დოლ**ბანდ**-ი [სპ] 1. თეთრი თხელი, რბილი ქსოვილი. 2. იგივეა რაც ჩალმა.

(ქ.ე.გ.ლ.) ყალთა**ბანდ**-ი [სპ] პირი, რომელიც სიყალბეს სჩადის, -- თაღლითი.

სია**ბანდ**ი თაღლითთა ნაირსახეობაა.

(ქ.ე.გ.ლ.) **შუშაბანდ**-ი [სპ] შემინული აივანი.

შუშაბანდი გვიხსნის, რომ მცირე ზომის შუშებით, მინებით გაწყობილი აივნის ტიხრები ბადის ქსოვას, ბანდვას მიაგავსო.

ბანდ-იდან წარმოდგებიან ასევე ფრანგული ბანდაჟი [**bandage** -- ელასტიკური მჭიდრო შემოსაკრავი (სხეულის ამა თუ იმ ორგანოს გასაჩერებლად ნორმალურ მდგომარეობაში, იკვრებოდა გრძელი თასმით)] (გაიხსენეთ სპარსული დოლბანდი ||

ჩალმა) და ბანდეროლი [banderole -- 1. საფოსტო გზავნილზე ქაღალდის შემოსაკრავი, რომელზედაც აწერენ მისამართს... 2. ქაღალდის ლენტი, შემოკრული სავაჭრო საქონელზე (ხელუხლებლობის ნიშნად)]; იტალიური ბანდა (**banda** -- ყაჩაღთა და მძარცველთა ქსელი, ხლართი) და ბანდიტი (**bandito** ბანდის რიგითი წევრი) (გაიხსენეთ სპარსული ყალთაბანდი); ესპანური ბანდერილია (**banderilla** – ბაფთებით შეკრული პატარა შუბი, რომელსაც იყენებენ ხარებთან ბრძოლაში); უკრაინული ბანდურა (**бандура** – მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი); გერმანული ბანტი (**Bande** -- წყვილად გამოსკვნილ-გამოყულფული ლენტი); ბინტი (Binde -- იგივეა რაც ბანდი – მნიშვნელობა 2.) და კანტი (-- ქსოვილის ვიწრო ზოლი; ტანისამოსისი კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული), რუსული ლენტი (лента – ქსოვილის ან სხვა მასალის ზოლი)...

ბანდი-ს თემას აგვირგვინებს ამ სიტყვის ინგლისური მნიშვნელობები:

band 1) тесьма, лента, повязка; обод, обруч; поясок, ремешок; манжетка книги 2) кайма, кромка 3) бандаж 4) связка, вязанка faggot **band** — вязанка хвороста 5) две белые полоски, спускающиеся с воротника (судьи, англиканского священника) 6) связующее звено, то, что связывает (в моральном плане, юридически и т. п.) 7) полоса частот; диапазон Syn: range 8) звуковая дорожка (на грампластинке); трек, дорожка записи (на диске) 2. 1) завязывать, связывать, соединять Syn: bind , tie together 2) кольцевать (птиц) 3) обрамлять, оставлять след в виде кромки, каймы an opalescent purple, that banded the entire horizon — опалово-пурпурный обруч, окаймлявший весь горизонт 4) перевязывать II 1. 1) отряд, группа людей Syn: group 2) банда, шайка Syn: gang 3) оркестр to form a band — организовать оркестр... 4) стая, стадо band of buffalo — стадо бизонов 2. объединять(ся); собираться banded themselves together for protection — объединились для защиты.

„ქართული" **სუფრა** არაბული სიტყვაა (**surfa**) და დამკვიდრებულია ასევე თურქულსა და სპარსულში. ეს ტერმინი ევროპაშიც განივრცო და ინგლისურში მრავალი ფორმით დამკვიდრდა, რომელთა შორისაა:

surface 1. поверхность; земная поверхность.

2. вид, внешность, наружность.

surf-riding – серфинг.

ჩვენს მიერ, ქართული ენის ლექსიკაში დამკვიდრებულ უცხო სიტყვათა გამოვლენისას დაშვებული მოსალოდნელი შეცდომები, ამ შემთხვევაში, არ წარმოადგენენ დიდ ცოდვას, ვინაიდან ამჯერად ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო არა ცალკეული მაგალითების განხილვა, არამედ მთლიანობაში მაქსიმალურად აღვიქვათ როგორც უცხო სიტყათა მარაგის რეალური რაოდენობა, ასევე მათი კოლხურთან შედარებით გამოკვეთილი სისინა ბუნება, რათა უკეთ მოვემზადოთ თავად ქართული (კოლხური) წარმომავლობის სიტყვების შეუდარებლად შიშინა ბუნების შესაცნობად.

თქვენ ასევე უნდა გააცნობიეროთ, რომ ქართულ ენასთან შედარებით, მეგრულ ენას, დაწყებული არგონავტებიდან, ბერძნულენოვან სამყაროსთან ძალზედ დიდი დროის განმავლობაში, ბევრად უმჭიდროვესი ურთიერთობები გააჩნდა და მიუხედავად ამისა, ძველი ბერძნული წარმომავლობის ლექსიკის საოცრად ნაკლებ მარაგს ფლობს ვიდრე ქართული ენა.

ამრიგად, ჩვენი საწყისი ამოცანაა წარმოსახვით ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ როგორც თავად უცხო წარმომავლობის სიტყვები, ასევე მათგან ნაწარმოები, აგლუტინაციის მეშვეობით მიღებული ქართული განვითარებებიც, საკუთრივ ქართულ წიაღში წარმომდგარ სიტყვათა მარაგისაგან. ამის შემდგომ კი დარჩენილი ქართული სიტყვების კვლევა კი იმას დაგვანახებს, რომ საკუთრივ ქართული სიტყვები ან უშუალოდ გადაკეთებული წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) სიტყვებია, ან იგივე წარმართული კოლხურის ცოდნის, მისი შესაძლებლობების გამოყენებით, აგლუტინაციის მეშვეობით ნაწარმოებ სიტყვათა კრებულს წარმოადგენენ და შესაბამისად, ბუნებაში არასოდეს არ არსებულა კოლხთაგან განსხვავებული ქართების ტომი. ასევე გახსოვდეთ -- დიალექტური წარმონაქმნები, მიუხედავად მათი რაოდენობისა, საერთო სურათს ვერ შეცვლიან.

ამ ჭეშმარიტებათა აღქმის შემდგომ თქვენში თანდათანობით, განთიადივით გაცხადდება, რომ ქართული ენა ქრისტეანული კოლხური ენაა და ქართველი ერი კოლხი ერია.

შევუდგეთ საკუთრივ კოლხური წარმომავლობის სიტყვათა ურთიერთობის კვლევას.

ფონეტიკური პროცესები

ამ თემის წამყვანი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენს მიერ განსახილველ ფონეტიკურ ცვლილებებს, როგორც ობიექტურად არსებულ რეალობას, დღევანდელი ქართული ენათმეცნიერებაც აღიარებს, მხოლოდ განსხვავება ჩემსა და სადღეისოდ ოფიციალურად აღიარებულ შეხედულებებს შორის ის გახლავთ, რომ მათი დებულებით: „საწყისიდან არსებობდა საერთოქართველური ფუძე-ენა და იგი დაიშალა დაახლოებით 5 ათასწლეულის წინ. თანამედროვე ქართველური ენები შეიქმნა საერთოქართველური ფუძე-ენის მსხვილი და მნიშვნელოვანი დიალექტების საფუძველზე“, ხოლო ჩვენს მიზანს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ საწყისში არსებობდა მხოლოდ სვანური და სვანურის მსგავსი ხალხური ბუნების ენები, დიალექტები, რომელთა ბაზაზე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, თანადროული მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევების გათვალისწინებით, კოლხმა ქურუმებმა შექმნეს კოლხურ ტომთა გამაერთიანებელი, ზოგადი ბუნების მატარებელი წარმართული კოლხური ენა და მხოლოდ ახ. წ. IV საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში ქრისტეანულ რწმენის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შედეგად, სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის დასანერგად, ქართველმა (კოლხმა) ქრისტეანმა მამებმა, კოლხური წარსულის უარყოფის საფუძველზე, წარმართული ცოდნის წაშლის მიზნით, მოახდინეს წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) ენის სრული მოდერნიზაცია და რის შედეგსაც წარმოადგენს თანამედროვე ქართული (ქრისტეანული კოლხური) მეტყველება.

ასევე ეს გახლავთ ერთადერთი ახსნა იმისა, თუ რატომ დგას სრულიად განცალკევებით ქართული ენა მსოფლიო ენათა ოჯახში.

ლაზურ-მეგრული (წარმართული კოლხური) და ქართული (ქრისტეანული კოლხური) მეტყველების ერთიანი კოლხური შინაარსის აღქმა შეუძლებელია თუ არ შევიცანით ამ ენათა ლექსიკის საერთო სიტყვათა შორის არსებულ ძირითად ფონეტიკურ ცვლილებებათა ხელოვნური ბუნება. შეუძლებელია ამ ცოდნის გარეშე

ირწმუნო, რომ ქართული **საძირკველი** წარმოდგება მეგრული **ჯირკი**-დან, ქართ. **სახლი** მეგრ. **ოხორი**-დან, ქართ. **ცნობა** მეგრ. **ჩინება**-დან, ქართ. **ძერა** მეგრ. **ჯაჯა**-დან, ქართ. **ძილი** მეგრ. **ჯირა**-დან, ქართ. **ძირი** მეგრ. **ჯინჯი**-დან, ქართ. **ჭური** მეგრ. **ჭკუჯი**-დან...

(**ქ.ს.ე.** X 363): „**ფონეტიკური პროცესები**. სიტყვათა და სიტყვათმიმდევრობაში მოქმედი ბგერითი ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია წარმოთქმის საერთო პირობებით. იმის მიხედვით, თუ როგორია ეს პირობები, განსხვავებულია: 1. კომბინატორული ცვლილებები, რომლებიც სიტყვაში მოსაზღვრე მეზობელ ბგერათა ურთიერთგავლენისა და ურთიერთშეგუების (აკოდომაციის) შედეგია. ამ რიგისაა ასიმილაცია, დისიმილაცია და მათ საფუძველზე მიმდინარე სხვა პროცესები: დიერეზისი (ბგერის ამოვარდნა: სახზე < სახლზე), პაპლოლოგია [მარცვლის ამოვარდნა: ბიცოლა < ბი(ძის)ცოლა], ეპენთეზისი (სიტყვის შიგნით ბგერის ჩასმა: გვიმბრა < გვიმრა) და სხვა. 2. პოზიციური ცვლილებები, გამოწვეული წარმოთქმის სხვადასხვა პირობებით (სიტყვაში ბგერის პოზიციით, მახვილის ადგილით და მისთ.). ამ რიგისაა რედუქცია, სიტყვის ბოლოს მჟღერი თანხმოვნის დაყრუება (ავათ < ავად), პროთეტული (საყრდენი) ბგერის გაჩენა სიტყვის თავში (დიალექტური ვოთხმოცი < ოთხმოცი), მეტათეზისი (გადასმა ხვნა < ხნვა) და სხვა.

ზოგჯერ ბგერითი ცვლილებების გამომწვევი ფონეტიკური პირობები არ არის ცხადი, ასეთ დროს, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ განუპირობებელ ანუ სპონტანურ ცვლილებებზე (მაგ., ქართველურ ენებში ყოველთვის არა ჩანს სპირანტთა აფრიკატიზაციის – ს-ც, ზ-ძ, შ-ჩ... – გამომწვევი უშუალო მიზეზები). საფიქრებელია, რომ ამგვარ შემთხვევებშიც საქმე გვაქვს განპირობებულ ცვლილებებთან, რომელთა გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით არ არის დადგენილი“.

ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს სპონტანური ბუნების ფონეტიკური ცვლილებები, არამედ ჩვენ ინტერესს წარმოადგენენ ქართულ და მეგრულ ენებს შორის არსებული რეგულარული ფონემაშესატყვისობანი.

(**ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე** 12): „ენათა ნათესაობის კრიტერიუმად ითვლება რეგულარული ფონემაშესატყვისობანი, რომლებიც ვლინდება ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში შემავალ ერთეულთა ექვივალენტებში. ამ შესატყვისობებს უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი“.

არნოლდ ჩიქობავამ ქართულისა და ლაზურ-მეგრულის რეგულარული ფონემაშესატყვისობა შემდეგნაირად გამოსახა.

(**არნოლდ ჩიქობავა** I 6): „ჭანურისა და მეგრულის ქართულთან შედარება არკვევს, რომ, როცა:

ქართულში გვაქვს:	ს	ზ	ძ	წ	ც	შ	დ	ჭ	ჩ	ლ	რ	ე	ა(ი)
ჭანურში და მეგრულში	შ (სქ)	ჟ	ჯ	ჭ	ჩ	შქ || სქ	ჯგ	ჭკ	ჩქ	რ	ჯ	ა	ო(ე)
გვექნება:						შკ || სქ			ჩკ				

ამ მხრივ ჭანური და მეგრული ერთმანეთისაგან არ განსხვავდება (ესაა ერთ-ერთი მთავარ საფუძველთაგანი, რომელიც ჭანურსა და მეგრულს ერთმანეთის მიმართ კილოებად – და არა ენებად – მიგვაჩნევინებს).

რა განსაზღვრავს ამგვარ შეფარდებას? რა ზოგადი საფუძველი მოეპოვება ამ შესატყვისობას?

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ (ქართულ ჯ.კ.) წყებაში არც ერთი ბაგისმიერი თანხმოვანი, არც ერთი უკანაენისმიერი თანხმოვანი არ ურევია. ყველა ეს თანხმოვანი წინაენისმიერია (ზოგადად რომ ვთქვათ); ამასთან განსხვავება ს-

სა და ზ-ს შორის სავსებით ისეთივეა, როგორიცაა ზ-სა და ჟ-ს, ძ-სა და ჯ-ს, წ-სა და ჭ-ს, ც-სა და ჩ-ს შორის: ქართულის წყება სისინაა, ჭანურისა და მეგრულისა კი შიშინა, ეს აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით; არტიკულაციის და, ამ არტიკულიაციაში, კერძოდ ენის მონაწილეობის მიხედვით, ამ ორ წყებას შორის შემდეგი განსხვავებაა: ს, ზ, ძ, წ, ც-ს წარმოებისას ენის წვერი იღებს მონაწილეობას ბგერის არტიკულაციაში, შ, ჟ, ჯ, ჭ, ჩ-ს წარმოებისას კი იმავე როლში წინა ენის ზურგი გამოდის, ასეთია სხვაობა ამ თანხმოვნებს შორის ქართულში; მაგრამ ამ თანხმოვნების მიხედვით ჭანურ მეგრული არ განსხვავდება ქართულისაგან და ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: დიფერენციაცია ამ თანხმოვნებში გამოუწვევია არტიკულაციის ცვლას, წინა ენის ზურგის ამოქმედებას ენის წვერის ნაცვლად. წარმოების უკან გადაწევა – ენის მონაწილეობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ – ესაა ის საფუძველი, რომელმაც განსაზღვრა ჭანურ მეგრულის „შიშინი" ქართულის „სისინის" ნაცვლად.

კი მაგრამ, რამ გამოიწვია წარმოების ეს ცვლილება? რაა მიზეზი ამ საარტიკულაციო გადახრისა? ამჟამად ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. შინა მიზეზების გარდა – ამ ბგერათა თვისება და ამასთან დაკავშირებით განვითარების ტენდეცია – მხედველობაში უნდა მივიღოთ უცხო ენობრივი გარემოს ინტენსიური ზეგავლენაც".

არნოლდ ჩიქობავას მიერ დაკანონებულმა მეგრულ და ქართულ ენათა ურთიერთობის ამ მცდარმა, ცალსახა ხედვამ, რომ თითქოსდა მეგრულ შიშინა ფენას ქართულში უცილობლად სისინა ფენა ენაცვლება, უარყოფითი როლი შეასრულა ქართული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

არნოლდ ჩიქობავა მართებულად ავლენს, რომ ხშირად მეგრულ შიშინა თანხმოვნებს ქართულში ენაცვლება შესაბამისი სისინა თანხმოვნები. მაგალითად მეგრულ შიშინა თანხმოვან ჩ-ს ქართულში ხშირად ენაცვლება შესაბამისი სისინა თანხმოვანი ც.

(ჩ > ც): ეჩი > ოცი; ვარჩხილი > ვერცხლი; ვაჩი > ვაცი; კიჩუა > კეცვა; კონჩხი > კონცხი; კოჩი > კაცი; მე-ჩამა > მი-ცემა; ნაკვაჩხირი > ნაკვერცხალი; რჩხუალა > რეცხვა; სინჩხე > სიცხე; ტკარჩალი > ტკარცალი > ტკრციალი; ფურჩინუა > ფრცქვნა; ფუჩი > ფიცი; ღრანჩუა > ღრეცა; ჩა > ცა; ჩილა > ცილა; ჩილი > ცოლი; ჩინება > ცნება, ცნობა; ჩიჩქონუა > ციცქნა; ჩიხე > ციხე; ჩოლუა > ცლა; ჩოჩუა > ცოცვა; ჩური > ცური; ჩურუა > ცურვა; ჩხე > ცხელი; ჩხენი > ცხენი; ჩხვინდი > ცხვირი; ჩხონაფა > ცხონება; ჩხორო > ცხრა; ჩხური > ცხვარი...

მხოლოდ ქართველი ენათმეცნიერები იგნორირებენ იმ რეალობას, რომ მეგრული შიშინა თანხმოვანი ჩ ბევრად მეტი ინტესივობით ქართულ მეტყველებაში ინარჩუნებს იგივე შიშინა ბუნებას.

(ჩ || ჩ): ჩაბარება || ჩაბარება; ჩალა || ჩალა; ჩანა || ჩანს; ჩანგრება || ჩაგვრა; ჩანგული || ჩლუნგი; ჩანჩალი || ჩანჩალი; ჩართუა || ჩართვა; ჩატე || მჩატე; ჩაღება || გაჩაღება; ჩაჩუა || ჩოჩვა; ჩეკუა || ჩეკვა; ჩემება || [და]ჩემება; ჩენჩი || ჩენჩო; ჩერტი || ჩელტი; ჩეჩუა || ჩეჩვა; ჩეხუა || ჩეხვა; ჩვამა || ჩვამა; ჩვარი || ჩვარი; ჩვეულება || ჩვეულება; ჩივლება || ჩივილი; ჩილა || ჩირი; ჩინი || ჩინი; ჩირქე || ჩლიქი; ჩინჩოლუა || ჩინჩვლა; ჩიტი || ჩიტი; ჩიყვი || ჩიყვი; ჩიჩილაკი || ჩიჩილაკი; ჩიჩქონუა || ჩიჩქნა; ჩიჩხაფი || ჩიჩხინი; ჩორთუა || ჩორთი; ჩოქუა || ჩოქვა; ჩოჩორი || ჩოჩორი; ჩუმი || ჩუმი; ჩურჩინი || ჩურჩული; ჩურჩუტი || ჩურჩუტი; ჩუქება || ჩუქება; ჩუჩი|| ჩუჩა; ჩქარი|| ჩქარი; ჩქაჩქირი || ჩეჩქვილი; ჩქიმი || ჩემი; ჩქიჩქონუა || ჩიჩქნა; ჩხარკაფი || ჩხარუნი; ჩხარჩხალი || ჩხრიალი; ჩხინჩხაფი || ჩიჩხინი; ჩხინჯი || ჩხირი; ჩხირკი || ჩხერკი; ჩხიორი || ჩხრიალი; ჩხირკაფი || ჩხრეკა; ჩხირკუა || [გა]ჩხერა; ჩხირუა || [გა]ჩხერა; ჩხირჩხაფი || [გაფა]რჩხვა; ჩხიჩხაფი || ჩიჩხინი; ჩხუპი || ჩხუბი...

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაგალითები როცა მეგრული **ჩ** ქართულში გადადის როგორც უცვლელი ფორმით, ასევე გარდაიქმნება **ც**-დ:

მეგრ. ჩოჩუა > ქართ. **ჩ**ოჩვა || **ც**ოცვა.

მეგრ. ნაკვა**ჩ**ხირი > ქართ. ნაკვერ**ჩ**ხალი || ნაკვერ**ც**ხალი.

მეგრ. **ჩ**ქი**ჩ**ქონუა > ქართ. [ი]**ჩ**ი**ჩ**ქნება || [ი]**ც**ი**ც**ქნება.

არსებობს პირიქითა მაგალითებიც, როცა მეგრული **ც** ქართულში ხდება **ჩ**.

მეგრ. **ც**ხვიტუა > ქართ. **ჩ**ხვლეტა.

(ო. ქ.) **ც**ამ-**ც**უმი **ჩ**ამი-**ჩ**უმი. **ც**ამ-**ც**უმი ვარე: -- ჩამი-ჩუმი არ არის.

იგივე მეორდება ხმოვნების მიმართებითაც; მაგალითად, ქართველი ენათმეცნიერები ხაზგასმით აფიქსირებენ, რომ მეგრულ ხმოვან **ო**-ს ქართულში ენაცვლება ხმოვანი **ა**.

(**ო** > **ა**): „**ბ**ონუა > **ბ**ანვა; **გ**ოჩეჩირი > **გ**აჩეჩილი; **გ**ოწეწირი > **გ**აწეწილი; **დ**ორგი > **დ**არგე; **ზ**ოთონჯი > **ზ**ამთარი; **თ**ოლი > **თ**ვალი; **თ**ოფური > **თ**აფლი; **კ**ოთხო > **კ**ათხა; **კ**ოჩი > **კ**აცი; **ქ**ოთომი > **ქ**ათამი; **ქ**ომონჯი > **ქ**მარი; **ჭ**კომუა > **ჭ**ამა; **ხ**ოჯი > **ხ**არი; **ჯ**ოგაფა > **ძ**აგება; **ჯ**ოღორი > **ძ**აღლი...

მხოლოდ ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული **ო** ქართულში მუდამ **ა**-დ არ გადადის:

ბობოხი > **ბ**ოხი; **ბ**ოგა > **ბ**ოგა, **ბ**ოგირი; **ბ**ოდუა > **ბ**ოდვა; **ბ**ორკუა > **ბ**ორკვა; **კ**ოკროჭინა > **კ**ოკროჭინა; **ტ**ომარე > **ტ**ომარა; **ტ**ორი > **ტ**ორი; **ტ**ოროლა > **ტ**ოროლა; **ტ**ოტი > **ტ**ოტი; **ფ**ომფი > **ფ**ომფლე; **ფ**ონი > **ფ**ონი; **ფ**ორთხუა > **ფ**ორთხვა; **ფ**ორცხოლი > **ფ**ოცხვერი; **ფ**ოჩვი > **ფ**ოჩი: **ქ**ონი > **ქ**ონი; **ქ**ონება > **ქ**ონება; **ქ**ორგა > **ქ**ოლგა; **ქ**ორსა > **ქ**ოსა; **ქ**ორქოთი > **ქ**ოთქოთი; **ჩ**ოჩუა > **ჩ**ოჩვა; **ხ**ოხუა > **ხ**ოხვა...

დამატებით ცალკე გამოვყოთ მაგალითი, როცა მეგრული ენის ლექსიკის თანხმოვან **კ**-თი დაწყებულ სიტყვებიდან მხოლოდ ორ შემთხვევაში (**კ**ოჩი > **კ**აცი; **კ**ოლი > **კ**ალია) იცვლება ხმოვანი **ო** ქართულში **ა**-დ, დანარჩენ ვარიანტებში ხმოვანი **ო** უცვლელი სახით ინაცვლებს ქართული ენის ლექსიკაში: **კ**ობრი > **კ**ობრი; **კ**ოდი > **კ**ოდი; **კ**ოვზი > **კ**ოვზი; **კ**ოკა > **კ**ოკა; იგივე სურათს იძლევა: **კ**ოკორი; **კ**ოლო; **კ**ოლომანი; **კ**ოლოფი; **კ**ონკი; **კ**ონჭი; **კ**ორთხო; **კ**ორინი; **კ**ორტოხი; **კ**ოტა; **კ**ოფო; **კ**ოღო...

არის პირიქითა მაგალითებიც, როცა მეგრული **ა** ქართულში გადადის **ო**-დ:

ბარბალი > **ბ**ორბალი; **ბ**არდღუა > **ბ**ორდღვა; **ბ**ატუა > **ბ**ოტვა; ითამ > (+ვ) > ვითომ; **ს**ალი > **ს**ოლი...

რასაკვირველია, ბუნებრივი სპონტანური ფონეტიკური ცვლილებები თავად მეგრულ ენაშიც იძიება: (**ი** > **უ**) **ჯ**იქურო-**ჯ**უქურო; **ტ**აბიკი-**ტ**აბუკი; (**ი** > **ო**) ნისა-ნოსა; ნიტე-ნოტე; (**ე** > **ი**); **გ**ენი-**გ**ინი; **გ**ემო-**გ**იმო; **გ**ეღანი-**გ**იღანი; **ჭ**ვენს-**ჭ**ვინს; (**ო** > **უ**) თომა-თუმა; **ღ**ონა-**ღ**უნა... თუმცა ბუნებრივი სპონტანური ფონეტიკური ცვლილებების ძიება ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.

ამრიგად ვადგენთ, რომ მხოლოდ **ნაწილობრივ** ვლინდება არნოლდ ჩიქობავას მიერ დაკანონებული „**რეგულარული ფონემაშესატყვისობანი** ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში შემავალ ერთეულთა ექვივალენტებში“ და ამ შესატყვისობებს არ გააჩნიათ სისტემატური ხასიათი, ანუ პრობლემას ენის ტრიალი კი არ წარმოადგენს, არამედ კვლევა სრულიად განსხვავებული მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ე. ი. ქართულ და მეგრულ ენათა ერთი და იგივე შინაარსის, მსგავსი კონსტრუქციის სიტყვების შედარებისას ქართველი ენათმეცნიერები ხშირად აფიქსირებენ გარკვეულ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ ფონეტიკურ ცვლილებებს. მაგალითისათვის შევადაროთ ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი ქართული **კაცი** და მეგრული **კ**ოჩი. ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“-ს მიხედვით გ. კლიმოვს ეკუთვნის ამ სიტყვათა საერთო-ქართველური ფუძის კაც-ის აღდგენა, ანუ მათი მტკიცებით „საერთო-ქართველურ“ ფუძეს წარმოადგენს არა მსოფლიო ისტორიოგრაფიით ძვ. წელთაღრიცხვის XII--IX საუკუნეებში დადასტურებული კოლხეთის სახელმწიფოს ვარიანტი **კოჩ**-ი, არამედ იგივე მსოფლიო ისტორიოგრაფიით მხოლოდ ძვ. წ. III საუკუნეში აღმოცენებული, მათი გაგებით ქართული (იბერიული) სახელმწიფოს მეტყველების ვარიანტი **კაც**-ი.

არნოლდ ჩიქობავა ვერ ხსნის თუ რატომ გამოითქმის ერთი და იგივე სიტყვა მეგრულად ფორმით **კოჩი** და ქართულად ფორმით **კაცი**, მაშინ როცა ოდიშში არსებობს გვარი **კაცია**, ანუ ოდიშელს არ უჭირს გამოთქვას სიტყვის ქართული ვარიანტი --- **კაცი**, ხოლო თუ ქართულ ენაზე მეტყველისათვის ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე მშობლიური გამხდარა თურქული სიტყვა **ყოჩი**, შესაბამისად, არც მეგრული ფორმა **კოჩი** უნდა ყოფილიყო მისთვის გამოუთქმელი; მითუმეტეს, რომ უცხო სიტყვებს ქართულიც და მეგრულიც თანხმოვან **ჩ**-ს ცვლილების გარეშე ითვისებენ:

ჩეჩმა || **ჩეჩმა**; **ჩინთი** || **ჩითი**; **ჩოგანი** || **ჩოგანი**; **ჩიჩიხი** || **ჩიხრიხი**; **ჩოხა** || **ჩოხა**; **ჩქოთი** || **ჩოთქი**...

საიდუმლოება იმაში გახლავთ, რომ ჩვენს ნატყუარი ისტორიოგრაფიით აღზრდილ ენათმეცნიერებს არ ესმით წარმართულ კოლხურ (ლაზურ-მეგრულ) ენაში მოქცეული მსოფლიოს საწყის ცივილიზაციათა მითოლოგიური აზროვნების ცოდნის შინაარსი და სამწუხაროდ, მისი არსებობა ვერც წარმოუდგენიათ; არა და ამ ცოდნის ამოკითხვა ძალზედ მარტივია.

ჩვენი მტკიცების მაგალითია იგივე სახელწოდება **კოჩი**. როგორც ყოველი კოლხური სიტყვა, წარმართული კოლხური **კოჩი** კომპოზიტია და შემდეგნაირად იშლება:

კოჩი = **კ** + **ოჩი** = ძლიერი, სასურველი + თხა (ვაცი) || ძლიერი, სასურველი + ციური (ღვთაება).

ე. ი. სახელწოდება **კოჩი**-ს შემადგენელი **ოჩი** || **ოჩო** მეგრულში გამოსახავს დაუკოდავ მამალ თხას, ვაცს და რომელიც წარმართული კოლხურით ციურ, ღვთაებრივ ცხოველად იყო მიჩნეული (< **ოჩი-კოჩი** || **ოჩო-კოჩი** = ვაც-კაცი და **ოჩოპინტრე**); ხოლო თანხმოვანი **კ** (< **კგ**) კოლხთა მეტყველებაში მუდამ გამოსახავს ძლიერსა და სასურველს.

სადღეისოდ ღიმილის მომგვრელია კაცმა თავის თავს თხა უწოდოს და ასევე თხა ციურ ცხოველად, ღვთაებად წარმოიდგინოს, ხოლო მსოფლიოს საწყის ცივილიზაციათა მითოლოგიური ხედვით, მრავალ შუმერულ-ეგვიპტურ ღვთაებას თხის სახით გამოსახავდნენ.

(**ჰეროდოტე** I 137): ,,ეგვიპტელები დედა-თხებს და ვაცებს არ სწირავენ მსხვერპლად შემდეგი მიზეზების გამო: მენდესელები პანს ასახელებენ რვა ღმერთს შორის, ხოლო ეს რვა ღმერთი, როგორც თვითონ ისინი ამბობენ, იყო თორმეტ ღმერთზე უწინარეს. მხატვრები და მოქანდაკეები ხატავენ და აქანდაკებენ პანის გამოსახულებას, ელინების არ იყოს, თხის სახითა და ვაცის ფეხებით... მენდესელები პატივს სცემენ ყველა თხას, მამლებს უფრო ვიდრე დედლებს. ასევე თხის მწყემსებსაც დიდი პატივი აქვთ. ვაცთა შორის განსაკუთრებით ერთს სცემენ პატივს და როდესაც ის კვდება, მენდესელთა მთელი ოლქი დიდ მწუხარებას განიცდის. ეგვიპტურად ვაცსაც და პანსაც მენდესი ეწოდება".

ჰეროდოტეს მენდესი თხის სახით წარმოდგენილი ეგვიპტელთა უზენესი ღვთაება ოსირისია და გაიგივებულია ელინთა მწვანე ტყეებისა და ატეხილი ჭალების, თხის ფეხებიან და რქოსან ღვთაება პანთან. ამ ეგვიპტურ-ელინურ სახებათა პარალელია წარმართული კოლხური **ოჩი-კოჩი** || **ოჩო-კოჩი** = ვაც-კაცი და **ოჩოპინტრე**.

შუმერული მითოლოგიით, ასევე თხის სახება დემიურგმა ენქიმ თიხისაგან გამოძერწა ადამიანი და სახელწოდება **კოჩი** არის აღიარება იმისა, რომ ადამიანები თხის სახება ღვთაება ენქის მიერ იყვნენ შექმნილნი, ანუ ღვთაებრივი თხის შემოქმედების შედეგად არიან გაჩენილნი.

ქრისტეანმა მამებმა ჩათვალეს, რომ აუცილებელი იყო ამ წარმართული ცოდნის წაშლა და წარმართული კოლხური (მეგრული) კოჩი-ს არაბუნებრივი, არამედ, პირობითად მიღებული გადაქართულების წესით (ო > ა, ჩ > ც) მიღებულ იქნა ქრისტეანული კოლხური (ქართული) **კაცი**.

ე. ი. მეგრ. **კოჩი** > (ო > ა, ჩ > ც) > ქართ. **კაცი**.

გარდა წარმართული ცოდნის წაშლისა, მეგრული ენიდან ქართული ენის შემქმნელების სურვილი იყო, ქრისტანული რწმენის დასამკვიდრებლად, ბერძნულ-ლათინური ქრისტეანული ლიტერატურის თარგმნის პროცესის გაიოლების მიზნით, კოლხური მეტყველების ძლიერი ფონეტიკური შიშინა ფენა, მაქსიმალურად მიესადაგებინათ ბერძნულ-ლათინური მეტყველების სისინა ფონეტიკური ბუნებისათვის. ანუ კოლხური შიშინა თანხმოვნები **შ, ჟ, ჯ, ჭ, ჩ,** რომლებიც საერთოდ არ გააჩნიათ ბერძნულსა და ლათინურს, მაქსიმალურად შეცვლილიყო შესაბამისი სისინა თანხმოვნებით **ს, ზ, ძ, წ, ც**. ანუ ამ შემთხვევაში მართებული იყო არნოლდ ჩიქობავას განცხადება, რომ „მხედველობაში უნდა მივიღოთ უცხო ენობრივი გარემოს ინტენსიური ზეგავლენაც“.

აი ეს მარტივი მიზეზები გახლავთ ახსნა იმ საიდუმლოსი, თუ როგორ გახდა წარმართული **კოჩი** > (ო > ა, ჩ > ც) > ქრისტეანული **კაცი**; ხოლო „აღდგენილი საერთოქართველური“ ფუძე **კაც** ლათინურად მამაკაცის ასოს ნიშნავს (**ს.ს.**).

წარმართული კოლხური შიშინა თანხმოვნების მხოლოდ გარკვეული ნაწილის ქართულში სისინა თანხმოვნებად ქცევის მსგავსი მაგალითებია:

მეგრული შიშინა **ჭ** ქართულში იცვლება სისინა **წ**-თი.

(**ჭ > წ**): ბეჭვა > ბეწვა; ბურჭი > ბერწი; ინჭირი > ანწლი; ლარჭემი > ლერწამი; მჭვახე > მწარე; ნჭაფა > სწრაფვა; ოჭინახი > საწნახელი; პურჭინი > პრუწუნი; ჭაბუა > წებვა; ჭანჯი > მწერი; ჭანჭალი > წანწალი; ჭარუა > წერა; ჭვათი > წვეთი; ჭვალები > წვალება; ჭვალუა > [მო]წველა; ჭვიმა || წვიმა; ჭვირი > [შემ]წვარი; ჭითა > წითელი; ჭინი > წნელი; ჭირპი > წიპლი; ჭობი > წობი > წარბი; ჭუა > წვა; ჭუბური > წაბლი; ჭურუა > წურვა; ჭურჭული > წურწური; ჭკირი > წილი; ჭყარი > წყარი > წყალი; ჭყალა || წყევლა; [დო]ჭყაფა > [და]წყება; ჭყელი > წყეული; ჭყეში > მწყემსი; ჭყეშუა > წყესვა; ჭყვადუა > წყვეტა; ჭყირთა > წყრთა; ჭყოლადა > [დავი]წყება; ჭყოლაფა > წყალობა; ჭყონი > წყნეთი; ჭყორი > მწყერი; ჭყორუა > წყრომა; ჯაჭვი > ძეწკვი...

არის გამონაკლისი შემთხვევაც: (**ჭ > ტ**) ჭვირთი > ტვირთი.

მიუხედავად ამ ხელოვნური პროცესისა, მეგრულ და ქართულ ენებს, ბგერა **ჭ**-თი შემდგარი საერთო სიტყვების ჭარბი მარაგი მაინც გააჩნიათ:

ჭანდარი || ჭადარი; ჭარდაკი || ჭადრაკი; ჭაკი || ჭაკი; ჭალა || ჭალა; ჭანჭყარი || ჭანჭყარი; ჭარელია || ჭრელა; ჭარჭალი || ჭაჭანი; ჭარხალი || ჭარხალი; ჭაღარა || ჭაღარა; ჭაჭა || ჭაჭა; ჭაჭყალი || ჭაჭყანი; ჭვალა || ჭვალი; ჭვახე || მჭახე; ჭვია ||

ჭვავი; ჭია ‖ ჭია; ჭილები, ჭილეფი ‖ ჭილობი; ჭიმუა ‖ ჭიმვა; ჭინკა ‖ ჭინკა; ჭინჭი ‖ ჭინჭი; ჭიპე ‖ ჭიპი; ჭირაქი ‖ ჭრაქი; ჭირი ‖ ჭირი; ჭირუმა ‖ ჭირიმე; ჭირქა ‖ ჭიქა; ჭირჭინი ‖ ჭრიჭინი; ჭირხინი ‖ ჭიხვინი; ჭიშქარი ‖ ჭიშკარი; ჭიჭონი ‖ ჭაჭანი; ჭიხი ‖ ჭირხლი; ჭოკა ‖ ჭოკი; ჭოლი ‖ ჭილი; ჭორი ‖ ჭორი; ჭორფი ‖ ჭორფლი; ჭრაკვი ‖ ჭლაკვი; ჭრაქი ‖ ჭრაქი; ჭუნირი ‖ ჭიანური; ჭუტუა ‖ ჭუტვა; ჭყამპალი ‖ ჭყუმპალი; ჭყანა ‖ [დაი]ჭყანა; ჭყანჭყუა ‖ ჭეჭყვა; ჭყაპური ‖ ჭყაპუნი; ჭყიალი ‖ ჭყივილი; ჭყილატა ‖ ჭყლეტა; ჭყინტი ‖ ჭყინტი; ჭყიპინი ‖ ჭყიპინი; ჭყიპუა ‖ ჭყეპა; ჭყირჭყინი ‖ ჭიჭყინი; ჭყიჭყონი ‖ ჭიჭყნა; ჭყუჭყინი ‖ ჭუჭყუნი...

ამრიგად, ქართული ენის შემქნელთა თვითმიზანს არ წარმოადგენდა შიშინა თანხმოვან ჭ-ს სრული უარყოფა. ისინი ცდილობდნენ ბერძნულ და ლათინურ ენებთან შედარებით წარმართული კოლხური ენის მკვეთრი ბუნების შერბილებას. მაგალითად, ლაზურ-მეგრულ ჰარმონიულ წყვილს ჭკ-ს ქართული ენის შემქნელები იწუნებენ და გამარტივების მიზნით ჰარმონიული წყვილიდან ჭკ-დან ქრება თანხმოვანი კ და ასპარეზი ეთმობა მხოლოდ თანხმოვან ჭ-ს.

(ჭკ > ჭ): ჭკადუა > ჭედვა; ჭკაჭკუა > ჭეჭკვა; ჭკიდი > მჭადი; ჭკირუა > ჭრა; ჭკირჭინი > ჭრიჭინი; ჭკოლა > მჭლე; ჭკომუა > ჭამა...

დღევანდელ ქართულს კოლხური ჰარმონიული წყვილით, ჭკ-თი შემდგარი სიტყვების მცირე მარაგი მაინც გააჩნია: ჭკუა, ჭკვიანი, ჭკნობა. ე. ი. ქართული ენის შემქნელები ცდილობენ მხოლოდ შეარბილონ კოლხური ენის მკაცრი შიშინა ბუნება, ვინაიდან ახლად შექმნილი, მოდერნიზებული კოლხური (ქართული) ენის სრული გაუცხოვების შემთხვევაში ძალზედ გაძნელდებოდა მისი ათვისება ქრისტეანული ეკლესიის კოლხური მრევლის მიერ. ქართული ენის შემქნელებში ხომ ქართული ეკლესიის მოძღვარნი იგულისხმებიან. გარდა ამისა, მრავალი წარმართული კოლხური სიტყვა, ლიტერატურული ქართულისაგან განსხვავებით, ხალხურმა მეხსიერებამ შემოგვინახა.

მეგრული შიშინა ჯ ქართულში იცვლება სისინა ძ-თი.

(ჯ > ძ): ერჯი > ვერძი; სინჯა > სიძე; ჯაგუა > ძაგუა > ძეგვა; ჯაჭვი > ძეწკვი; ჯახველი > ძახველი; ჯენჯი > ძენძი; ჯერღვი > ძარღვი; ჯვეში > ძველი; ჯიკი > ძირკვი; ჯიმა > ძმა; ჯინჯი > ძირი; ჯირა > ძილი; ჯოგაფა > ძაგება; ჯოღორი > ძაღლი; ჯუა > ძუა; ჯუმარი > ძმარი; ჯღუნა > ძღვნა...

გამონაკლისი მაგალითია (ძ > ჯ) მეგრ. ძიხვი > ქართ. ჯიხვი.

არსებობს მეგრული ენის შერბილების სხვა ვარიანტებიც, მაგალითად, როდესაც მეგრული სიტყვა მთავრდება ჯი-თ, თანხმოვანი ჯ იცვლება თანხმოვან რ-თი:

(ჯ > რ): ბუტკუჯი > ფუტკარი; პიჯი > პირი; ფუჯი > ფური; ღეჯი > ღორი; ცვაჯი > ყვერი; ცუჯი > ყური; ხოჯი > ხარი; ხუჯი > მხარი...

(ნჯ > რ): ზოთონჯი > ზამთარი; ქომონჯი > ქმარი; ჩხინჯი > ჩხირი; ცუნჯი > ცვარი; წვანჯი > წვერი; ჭანჯი > მწერი...

(ნჯ > დ): ტორონჯი > მტრედი, ხინჯი > ხიდი, ხუნჯი > ხუნდი...

თუ ჯი-თ დამთავრებული მეგრული სიტყვები ქართულში ხშირად იცვლება რი-თ, თავად მეგრული სიტყვები დამთავრებული რი-თ, ხშირად ქართულში იცვლება ლი-თ.

(რ > ლ)[1]: გერი > მგელი; გვერი > გველი; გოჩეჩირი > გაჩეჩილი; გური > გული; დიანთირი > დედამთილი; ზისხირი > სისხლი; თირი > თოვლი; თოფური > თაფლი; თხირი > თხილი; ისგრი > ისლი; კიბირი > კბილი; ლური > ლული; მონტყორი > მატყლი; მუანთირი > მამამთილი; მუნტური > მატლი; ნაკვაჩხირი > ნაკვერცხალი; ნერი > ნელი; ოსური > ასული; სოფერი > სოფელი; ტყურა > ტყუილი; ქვირი > ფქვილი;

ღვანთირი > [და]ღვენთილი; შორტი > შოლტი; შური > სული; წიფური > წიფელი; წყირი > რწყილი; ჭყარი > წყალი; ჯირა > ძილი; ჯოღორი > ძაღლი...

არსებობს თანხმოვან **რ**-ს თანხმოვან **ლ**-დ გარდასახვის განსხვავებული მაგალითები.

(**რ** > **ლ**)[2]: ბერტი > ბელტი; კართე > კალთა; კრანჭი > კლანჭი; მარდი > მადლი (**მარ**დობა > **მად**ლობა); ნარკი > ნაკლი; **რკ**ება > **კლ**ება; **რღ**უაფა > **ლღ**ობა; **რ**ხინი > **ლ**ხინი; ფირტვი > ფილტვი; ღარღა > ღალღა; ჭვირთი > ჭვილთი...

(**ლ** > **რ**): ჩილა > ჩირი; ჭურჭული > წურწური...

გამონაკლისი მაგალითია (**შ** > **ლ**) ჯვეში > ძველი.

საკმარისი ცოდნა შევიძინეთ, რათა წარმოვადგინოთ ქართული სიტყვების **ძერა**-ს, **ძილი**-ს, **ძირი**-ს, **საძირკველი**-ს, **ჭური**-ს... წარმოქმნის მექანიკური ფონეტიკური პროცესი. ჩამოთვლილ ქართულ სიტყვათა ფუძეებია მეგრული **ჯაჯა, ჯინჯი, ჯირა, ჯირკი, ჭკუჯი**...

მეგრ. **ჯაჯა** > (ჯ > ძ, ა > ე, ჯ > რ) > ქართ. **ძერა**.

მეგრ. **ჯინჯი** > (ჯ > ძ, ნჯ > რ) > ქართ. **ძირი** > (აგლუტინაცია) > დაიძირება > დაძირავს > დაძირული > ნაძირალი > ნაძირალა > საძირავი > საძირე > უძირო > ჩაძირვა > ჩაძირული > ძირბუდიანად > ძირფესვი > ძირხვენა... ლექსიკონში დაფიქსირებულია ქართ. **ძირი**-დან, იგივე მეგრ. **ჯინჯი**-დან წარმომდგარი 100 ქართული სიტყვა.

მეგრ. **ჯირა** > (ჯ > ძ, რ > ლ, ა > ი) > ქართ. **ძილი** > (აგლუტინაცია) > დააძინებს > დასაძინებელი > დაუძინარი > დაუძინებელი > ეძინება > საძინებელი > უძილობა > ძილბურანი > ძილისგუდა > ძილისპირული > ძილქუში... ლექსიკონში დაფიქსირებულია ქართ. **ძილი**-დან, იგივე მეგრ. **ჯირა**-დან წარმომდგარი 51 ქართული სიტყვა.

მეგრ. **ჯირკი** > (ჯ > ძ) > ქართ. **ძირკი** > (აგლუტინაცია) > **ძირკვა**[1] > **ძირკვა**[2] > ძირკვი > ამოი**ძირკ**ვება > ამო**ძირკ**ვა > ამო**ძირკ**ვავს > ამო**ძირკ**ული > დასა**ძირკ**ვლებული > სა**ძირკ**ვავი > სა**ძირკ**ველი > სა**ძირკ**ვლიანი > უსა**ძირკ**ვლო > **ძირკ**ვავს...

მეგრ. **ჯოღორი** > (ჯ > ძ, ო > ა, ო > 0, რ > ლ) > ქართ. **ძაღლი**.

მეგრ. **ჭკუჯი** > (ჭკ > ჭ, ჯ > რ) > ქართ. **ჭური** > (აგლუტინაცია) > აღ**ჭურ**ვა > აღ**ჭურ**ვილი > აღ**ჭურ**ვილობა > **ჭურ**ჭელი, მე**ჭურ**ჭლეთუხუცესი > სა**ჭურ**ველი > **ჭურ**ვი...

ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, 5 მეგრული სიტყვიდან (**ჯაჯა, ჯინჯი, ჯირა, ჯირკი, ჭკუჯი**) ჯერ გადაქართულების და შემდგომ აგლუტინაციის წესით ქართულში შედგა ლექსიკონებში დაფიქსირებული 174 სიტყვა და რამდენი კიდევ სხვადასხვა ფორმით გამოითქმის.

მეგრული სიტყვების გადაქართულების განხილვისას თქვენ უნდა გაგჩენოდათ კითხვა – რატომ პირიქით არა? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ წარმართულ (ლაზურ-მეგრულ) სიტყვებში ჩადებულია აზროვნება, ხოლო ქრისტეანული (ქართული) სიტყვები წარმოადგენენ ფაქტიურად უტყვ პირობით ნიშნებს. მაგალითად, აი რას განმარტავს **ჯაჯა**:

ჯა-თი, შუმერულ-ეგვიპტურ-კოლხური ცოდნით, აღინიშნება მცნება ხე. თავად **ჯაჯა** გახლავთ შემოკლებული ფორმა გამოთქმისა **ჯა დო ჯა**.

(**ო. ქ.**) **ჯა დო ჯა** (**ჯა დო ჯას**) ხე და ხე. გილურსი ჯა დო ჯათ – დადის ხე და ხე.

ე. ი. **ჯა დო ჯას** აღნიშნავს ხიდან ხეზე და მისი შეკვეცილი ფორმა **ჯაჯა** (< **ჯა დო ჯა**) გვიხსნის, რომ ძერა არის არა არწივივით ცის გუმბათის მკვიდრი ფრთოსანი, არამედ იგი როგორც ძირითადად ტყის, ტყის ნაპირების ბინადარი, ხიდან ხეზე გადამფრენი ლეშიჭამია, წიწილების ქურდი ფრინველია. განსხვავებით **ჯაჯა**-საგან

გადაქართულებული სახელწოდება **ძერა** წარმოადგენს აბსოლუტურად უტყვ, პირობით ნიშანს და სრულებით არ გააჩნია მნიშვნელობა ამ ფრინველს ვუწოდებთ ძერა-ს თუ ღერა-ს, ჭერა-ს, ჰერა-ს...

ჩვენ მოგვიანებით გავეცნობით ასევე სიტყვების: **ᲯᲘᲜᲯᲘ, ᲯᲘᲠᲐ, ᲯᲘᲠᲙᲘ, ᲭᲙᲣᲯᲘ**-ს წარმართულ აზროვნებას და რაც წაშლილ იქნა მათი გადაქართულების შემდგომ. ანუ ვიმეორებთ, რომ ამ წარმართულ სიტყვათა გადაქართულების მიზანი ერთდროულად წარმართული ცოდნის წაშლა და ასევე წარმართული მეტყველების შიშინა ბუნების შერბილება, მისი ქართულში გასისინება გახლდათ.

მეგრული შიშინა **შ**-ს ქართულში სისინა **ს**-თი შეცვლას შეიძლება ბერძნული ტრადიცია ვუწოდოთ. მსგავს მაგალითს გვაწვდის ბიბლია. თქვენთვის ცნობილია, რომ ქრისტეს ებრაელური სახელია **იეშუა** (< **იეღოშუა**), ხოლო ბერძნულ ანბანში თანხმოვან **შ**-ს არარსებობის გამო, ებრაელური სახელწოდება **იეშუა** ბერძნებმა გამოთქვეს ფორმით **იისუს** და მიუხედავად იმისა, რომ ქართულს გააჩნია თანხმოვანი **შ**, ქართულში დამკვიდრდა ბერძნული ფორმა **იესო**, თუმცა იკითხება, რომ ქართულმა იცის ებრაული ფორმა **იეშუ** (> ქართ. **იესო**).

(**შ** > **ს**): **აში** > **ასე**; **გოშიშინაფა** > **გასისინება**; **ეშულა** > **ასვლა**; **ოდგიში** > **სადგისი**; **ოში** > **ასი**; **შეფა** > **სეფა**; **შვე** > **სველი**; **შვეტე** > **სვეტი**; **შვიტინი** > **სტვენა**; **შლიპუა** > **სვლეპა**; **შუანი** > **სუანი**; **შური** > **სული**; **შუმა** > **სმა**; **შხვა** > **სხვა**; **შხიმუა** > **სხმა**; **შხუ** > **მსხვილი**; **ჭყეში** > **მწყემსი**...

გავიხსენოთ სპარსული **ხიშტი** > (**შ** > **ს**) და მივიღეთ ქართული **ხისტი**.

არნოლდ ჩიქობავა ნათლად ავლენს რა მეგრული შიშინა ფენის ნაწილის ქართულში სისინა ფენით შეცვლას, მას ეს საერთო კანონზომიერებად უნდა ეღიარებინა, მაგრამ მას ამაში ხელი შეუშალა იმის ცოდნამ, რომ კავკასიური ენებისათვის ჩვეულია „ფონეტიკური ცვლის ნაირგვარი მიმართულება ერთისა და იმავე ენის დიალექტებსა და კილო-კავებში... ხუნძური ენის ანწუხური კილოს... **ს** > **შ, წ** > **ჭ**... მაგარი შიშინა აფრიკატები გადადის სისინა აფრიკატებში: **ჩ** > **ც, ჭ** > **წ**... პირველ შემთხვევაში სისინას ცვლის შიშინა; მეორეში, პირუკუ: შიშინას-სისინა (**არნოლდ ჩიქობავა** I 82)“.

არნოლდ ჩიქობავა თითქოსდა რამოდენიმე ანალოგიურ მაგალითებს აწყდება ქართული და მეგრული ენების შედარებისას, ანუ მეგრული სისინა **ს** ქართულში ხდება შიშინა **შ**: **სქანი** > **შენი**; **სქვერი** > **შველი**; **სქირი** > **შვილი**...

განსხვავებით მეზობელი კავკასიური ენებისაგან, რომლებშიც შიშინა და სისინა ფენები ერთმანეთს ბუნებრივად ენაცვლებიან, ქართულ ენაში, როგორც ხელოვნურად შექმნილ, მართვად ენაში, მეგრული ლექსიკის შიშინა ფენა, გადაქართულებისას, ცალსახად იცვლება სისინა ფენად. **არნოლდ ჩიქობავას** მოყვანილ მაგალითებში არა მხოლოდ სისინა თანხმოვანი **ს** იცვლება შიშინა თანხმოვნით **შ**-თი, არამედ, მეტყველების გამარტივების მიზნით, თანხმოვანთა წყვილი **სქ** იცვლება ერთი თანხმოვნით **შ**-თი და ეს გახლავთ ძველი ბერძნული ენიდან ნასესხები წესი, სადაც, გარკვეულ შემთხვევებში, ორი თანხმოვნის შეხვედრისას გამოითქმის ერთი თანხმოვანი (Д. Г. Р. С. стр. 1820), ანუ ხდება გამარტივება.

ე. ი. არა თანხმოვანი **ს** იქცევა თანხმოვან **შ**-თ, არამედ ჰარმონიული წყვილი **სქ** იქცევა **შ**-თ და რაც სრულიად ცვლის ვითარებას.

(**სქ** > **შ**) **სქ**ანი > **შ**ენი; **სქ**ვერი > **შ**ველი; **სქ**ირი > **შ**ვილი...

წარმართულ თანხმოვანთა ჰარმონიული წყვილის ქართულში ერთ თანხმოვნად ქცევა გადაქართულების რიგითი წესია.

(**კვ** > **კ**) **კვ**აკვი > **კ**აკვი.

(ნχ > χ) მანχა > მაχა.

(შქ > შ) შქა > შუა; შქვითი > შვიდი; შქვინდი > შვინდი > მშვილდი; შქირენი > მშიერი; შქირიტუა > შრეტა; შქიშქილი > შიში...

(შხ > შ) შხურშხინი > შიშხინი; შხაშხი > შაშხი.

(ჩქ > ჩ) ჩქიმი > ჩემი; ჩქინა > ჩინა > ჩნა (ამჩნევს > მიაჩნია > გაჩნდა > გააჩნია > გამოჩენა > გაჩენა...); ჩქინი > ჩვენი; ჩქიჩქონუა > [ი]ჩიჩქნება; ჩქგჩქგ > ჩვილი (ძვ. ქართულში: ჩჩკლი, ჩკლი)...

(ჩქ > ც) ჩქიჩქონუა > [ი]ციცქნება.

(ჩხ > ჩ) ჩხონჩხი > ჩონჩხი.

(ცხ > ც) ცხორცხალი > ცოცხალი; ცხაცხვი > ცაცხვი...

(ძგ > ძ) ძგიძგონუა > ძიძგნა.

(ძგ > χ) მარძგვანი > (ძგ > χ, ა > ე) > მარχვენა.

(ძვ > ძ) ძვაძვალი > ძუნძული.

(წკ > წ) წკვეტი > წვეტი; წკიწკონუა > წიწკნა; წკუნწკი > წუწკი.

(ჭყ > ჭ) ჭყირჭყინი > ჭიჭყინი.

(χგ > χ) χგიχგონუა > χიχგნა.

ამ კუთხით ცალკე აღნიშვნის მაგალითია: მეგრ. ცქვაფა > ქართ. ქება; ანუ თანხმოვანთა ჰარმონიული სამეულიდან (ცქვ) შეირჩა ერთი თანხმოვანი -- ქ.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მეგრული სიტყვების გადაქართულებისას ხმოვნების ხელოვნურ ფონეტიკურ ცვლილებებს ძირითადად სპონტანური ხასიათი აქვთ და გამოირჩევიან მრავალფეროვნებით: (ა > ე) (ო > ე), (ე > ო), (ო > ი), (ი > ო), (ა > უ), (უ > ა), (უ > ო), (უ > ი), (უ > ე). (ი > ე): ართი > ერთი; დღა > დღე; ზალა > ზელა; კვარი > კვერი; ლარჭემი > ლერწამი; ლასუა > ლესვა; მასარი > მესერი; ნატახა > ნატეხი; საართო > საერთო; სისქა > სისქე; ტყა > ტყე; ფართხილი > [გა]ფერთხილი; ღარღილი > ღერღილი; თქორში > თქეში; χღონა > ძღვენი; ეჩი > ოცი; შიბა > შობა; ღეχი > ღორი; რეყე > რიყე; თხოლო > თხლე; ჩილი > ცოლი; თირი > თოვლი; ლებია > ლობიო; ბული > ბალი; თანაქა > თუნუქი; თხუაფა > თხოვება; ბუდოლი > ბოდიალი; ბულეკი > ბოლოკი; ღუმუ > ღომი; ჭუჭული > წიწილი; ფუჩი > ფიცი; წყუნაფა > წყენა; ლუღი > ლეღვი; კიცი > კეცი; ნაცირა > ნაცერი; ფინუა > ფენა; ჩქიმი > ჩემი; ცილი > ცილა; კარდილა > კარდალა; ზვენი > ზვინი; ზვერი > ზვარი...

ასევე დავიმახსოვროთ, რომ კოლხური სუფიქსები -უა და -ვა მუდამ მოქმედებას, ან მოქმედების შედეგებს გამოსახავენ. ქართული ენის შემქნელებმა, გამარტივების მიზნით, სუფიქსი -უა დაიწუნეს და მხოლოდ სუფიქსი -ვა დატოვეს. შესაბამისად -უა შეიცვალა -ვა-თი. მსგვასად, მეგრულს ასევე გააჩნია იგივე მოქმედების გამომხატველი სუფიქსები -აფა და -ება, ამათგან -აფა იქნა დაწუნებული და შეცვლილი -ება-თი:

(-უა > -ვა): ბარუა > ბარვა; ბაგუა > ბეგვა; ბათქუა > ბეთქვა; ბამბუა > [და]ბამბვა; ბანდუა > ბანდვა; ბარდუა > აბურდვა; ბარტყუა > ბერტყვა; ბარუა > ბარვა; ბეგუა > ბეგვა; ბინუა < [შე]ბნევა; ბოგუა > [გა]ბოგვა; ბონუა > ბანვა; ბორკუა > ბორკვა; ბურღუა > ბურღვა; ბუქუა > [გა]ბუქვა; ბუჭონუა > ბოჭვა; გოგუა > გოგვა; გოთალუა > გათელვა; გოთვალუა > გათვალვა; გუბუა > [და]გუბვა; დაღუა > დაღვა; დრუზუა > დრუზვა; ზაკუა > ზაკვა; ზეპუა > ზეპვა; ზვენუა > [და]ზვენვა; ზიდუა > ზიდვა; ზიმუა > [გა]ზომვა; ზინდუა > ზიდვა; თალუა > თელვა; თასუა > თესვა; თეთქუა > თეთქვა; თირუა > თრევა; თიფუა > თიბვა; თიშუა > [გა]თიშვა; თოკუა > თოკვა; თუთქუა > თუთქვა; თხათხუა > თათხვა კაზუა > კაზმვა; კვალუა > [გა]კვალვა; კიდუა > [და]კოდვა; კითხუა > კითხვა; კინძუა > კინძვა; კიჩუა > კეცვა; კუმინუა > კმინვა; კუმუა > კუმვა; კუნტუა > კუნტვა; ლამბუა > ლამბვა; ლანდუა > ლანდვა; ლანძღუა > ლანძღვა; ლასუა >

ლესვა; ლახუა > ლახვა; ლოკუა > ლოკვა; მანჭუა > მანჭვა; პენტუა > პენტვა; პირუა > პირვა; ჟაჟუა > ჟეჟვა; ჟონუა > ჟონვა; რაზუა > [ჩა]რაზვა (> რაზმი); რანგუა > ნგრევა; რანდუა > რანდვა; რგუალა > რგვა; რეგუა > ბ-რეგვა; რეხუა > რეხვა; როკუა > როკვა; როშუა > როშვა; ტახუა > ტეხვა; ტიკუა > ტიკვა; ტირკუა > ტიკვა; ფანტუა > ფანტვა; ფართხუა > ფერთხვა; ფარჩხუა > ფარჩხვა; ფარცხუა > ფარცხვა; ფეთქუა > ფეთქვა; ფერუა > [გა]ფერვა; ფორთხუა > ფორთხვა; ფორუა > ფარვა; ფუცხუა > ფოცხვა; ქარგუა > ქარგვა; ქაფუა > [ა]ქაფვა; ქერქუა > ქერქვა; ქვიშუა > ქვიშვა; ქუა > ქვა; ღარუა > ღარვა; ღერღუა > ღერღვა; ღაფუა > ღებვა; ღაჭუა > ღეჭვა; ღობუა > ღობვა; ღოღუა > ღოღვა; ღუნუა > ღუნვა; ღუპუა > ღუპვა; ღუშუა > ღუშვა; ყვარუა > [და]ყვერვა; ყვინთუა > ყვინთვა; ყინუა > ყინვა; ყლიპუა > ყლაპვა; ყორუა[2] > [ამო]ყორვა; შარდუა > შარდვა; ჩაკუა > ჩეკვა; ჩოქუა > ჩოქვა; ცალუა > ცელვა; ცოცუა > ცოცვა; ძანძუა > ძენძვა; ძგეძგუა > [გა]ძეძგვა; ძენძუა > ძეძვა; წეწუა > წეწვა; წირუა[1] > წირ; წირუა[2] > წურვა; წიწონუა > წიწვა; წკურუა < წკურვა; წონუა > [ა]წონვა; წრუპუა > წრუპვა; ჭიმუა > ჭიმვა; ჭკადუა > ჭედვა; ჭკაჭკუა > ჭეჭკვა; ჭუა > წვა; ჭურუა > წურვა; ჭუტუა > [მო]ჭუტვა; ჭყეშუა > წყესვა; ხალუა > [მო]ხალვა; ხაშუა > ხარშვა; ხეხუა > ხეხვა; ხინწუა > ხინწვა; ხირაკუა > ხრუკვა; ხორგუა > ხერგვა; ხოხუა > ხოხვა; ხრაკუა ხრაკვა; ხუთუა > ხუთვა; ხუჭუა > ხუჭვა; ხუხუა > ხუხვა; ჯგიმუა > ჯგიმვა...

(-უა > -ება) ბიტკინუა > [გა]პიტკინება; გუბუა > [და]გუბება; კვახუა > [გა]კვეხება; პაღურუა > პანღურება; ყონუა[2] > ყოვნება; ყუჩუა > ყუჩება; შეშუა > შეშუპება...

(-უა > -ობა) გიბუა > გბობა; ტოფუა > ტოფობა; ფარფაშუა > ფარფაშობა; ფახუა > ფახაფუხობა; ქირუა > ქრობა; ყონუა > მყნობა...

(-აფა > -ება): ბირაფა > [გადა]ბირება; ბიჯაფა > ბიჯება; გინაფა > გინება; გოთანაფა > გათენება; დინაფა > დინება; თხუაფა > თხოვება; კვირაფა > [გა]კვირვება; პიპინაფა > [გა]პიპინება; სვანჯაფა > სვენება; სისინაფა > სისინება; ყოროფა > ყვარება; ჩანაფა[1] > [აღმო}ცენება; ცქვაფა > ქება; ფერაფა > [მო]ფერება; ქირაფა[2] > [გა]ქირავება; ღვიღვინაფა > ღვივება; ცაცაფა > ცაცება; ჭაბაფა > [მი]წებება; ხოლაფა > ხლება; ხუტოლაფა > [ჩა]ხუტება; ჯოგაფა > ძაგება...

ჩვენ უკვე სრული წარმოდგენა გაგვაჩნია თუ როგორ იქცა მეგრული **ჭკადუა** ქართულ **ჭედვა**-თ, მეგრ. **ჯოგაფა** ქართ. **ძაგება**-თ...

ჭკადუა > (ჭკ > ჭ; ა > ე; უა > ვა) > **ჭედვა**.

ჯოგაფა (ჯ > ძ; ო > ა; აფა > ება) > **ძაგება**.

გარდა ჩამოთვლილი მაგალითებისა არსებობენ მეგრული ზმნების გადაქართულების მრავალი განსხვავებული ვარიანტები:

ბანცალუა > ბანცალი; ბარა > [და]ბერვა; ბელეკუა > [გადა]ბელავს; ბექუა > ბაქიობა; ბოდება > ბოდვა; დირიკუა > დრეკა; ზოგება > [და]ზოგვა; თქვაფუა > თქვეფა; კაკუა > კაკუნი; კვათუა > კვეთა; კვეცუა > კვეცა; კირუა > [შე]კვრა; კუმაფა > კმევა; ლამება > ლამობა; ლიღონუა > ლოღნა; მარგება > [და]მაგრება; ნანება > ნანობა; ნდება > ნდობა; ჟღიმუა > ჟღვემა; ჟღირაფა > ჟღნობა; რგუაფა > რგვა; ტანჯება > ტანჯვა; ფეფუა > ფოფინი; ფურჩონუა > ფურჩქნა; ქირაფა1 > [გა]ქრობა; ქანჩაფი > ქაჩვა; ქელა > ქელვა; ქეშუა > ქშენა; ქიმინუა > ქმნა; ღილიტუა > ღლეტა; ღირიკუა > ღრეკა; ღირინუა > ღრენა; ღირღონუა > ღრღნა; ღრანჯუა > ღრეჯა; ყარება > აყრა; ყიდირი > ყიდვა; ყონუა2 > [და]ყოვნება; ყოფა > ყოფნა; შალუა > შლა; შაყარუა > შეყრა; შეთხუალა > შემთხვევა; შეკინება > შეკავება; შეცხადაფა > შეცხადება; შეწირება > შეწირვა; შვიტინუა > სტვენა; ჩინება2 > ცნობა; ციცქონუა > ციცქნა; ცხორება > ცხოვრება; ძახინი > ძახება; ძგერუა > ძგერა; ძგიძგონი > ძიძგნა; ძინუა > [შე]ძენა; ძრახება > ძრახვა; წიმინდუა > წმენდა; წირება > [შე]წირვა; წირიხუა > წრეხა; წკაპუა > წკაპანი, წონება1 > [მო]წონება; წონება2 >

[და]წუნება; წონუა > აწონვა; ხეკუა > ფხეკა; ხენდუა > [გა]ხედნა; ხვალუა > ხველა; ხვარება > ხმარება; ხვეტუა > ხვეტა; ხვირატუა > ხვრეტა; ხირიწუა > ფხრეწა; ხონუა > ხვნა; ხორხოზუა > ხორხოზი; ხოწუა > ხვეწა, ხუმაფა > [გა]ხმობა; ხუმარუა > ხუმრობა; ხუნება > [გა]ხუნება; ხუპუა > ხვრეპა; ხურება > ხურვება; ხუტორუა > ხოტვრა; ჯარება > ჯავრობა; ჯერება > [და]ჯერება; ჯღაბუა > ჯღაბნა;

ასევე მეგრულ სიტყვათა გადაქართულების მაგალითებია:

ბაგერი > ბაგირი; ბაკინი > ბაკუნი; ბაჩა > ბაჩანა; ბაჩუა > ბაჩუნი; ბირტყა > ბრტყელი; ბირყვი > ბრიყვი; ბურტყინი > ბურტყუნი; ბურჯგონუა > ბურჯგნა; ბუქნარი > ბუქნაობა; დგინა > დგენა; ზენწარი > ზეწარი; თქორში > თქორი; კურთა > კვართი; მართახი > მათრახი; მარსა > მასრა; მარქვა > მაქო; მაყარე > მაყარი; ნანარტი > ნანატრი; ნაფსი > ნავსი; ნება > ვნება; ნოტე > ნეტა; ოზე > ეზო; ოდრო > ადრე; ორომე > ორმო; პატი > პატივი; რგილი > რგული; რგილი > გრილი; რდო > დრო; რზაფა > ზაფრა; რთუმე > თურმე; რიჟრაჟუ > რიჟრაჟი, რიცხვა > რისხვა; რკება > კლება; რკვიება > [გა]რკვევა; როფე > როფი, როყია > როყიო; რჟიალი > ჟრიალი; რსიალი > სრიალი; რსხა > ხსნა; რსხინი > ხსნილი; რშიალი > შრიალი; რცუ > ცრუ; რწომი > წრომი; რწუმა > რწმენა; რჭელი > ჭრელი; რხვილი > ხვრელი; რხიალი > ხრიალი; საქვარი > საქმე; ტაფე > ტაფა; ტიტინუა > ტიტინი; ტკვარუა > ტკვერა; ტობა > ტბა, ტუტა > (ნაცარ)ტუტა; ტყაპურუა > ტყაპუნი; ტყები > ტყავი; ტყუტყინი > ტუტყუნი; უება > უებარი; უზომე > უზომო, უკარე > უკარო; უკვალე > უკვალო; ოკიბირე > უკბილო, ურჯულე > ურჯულო, უტვინე > უტვინო, უტუხი > უტეხი, უქვი > უქმე, უღუ > უღელი; ფათქალი > ფათქუნი; ფანცური > ფაცური; ფართე > ფართო; ფარღია > ფარღალალა; ფატი > ფეტვი; ფაფუ > ფაფა, ფაში > ფაშვი; ფაჩალი > ფაჩუნი; ფაცაფი > ფაციცი; ფეთი > ფეთიანი; ფენთება > დაფეთება; ფერდი > ფერდობი; ფეხვი > დაფეხვილი; ფინა1 > ფინია; ფინა2 > ფენა; ფირსა > ფისი; ფიცხე > ფიცხი; ფორფოტი > ფარფატი; ფოსვი > ფესვი; ფოფორი > ფაფარი; ფსილა > სილა; ფუზე > ფუძე; ფურინი > ფრენა; ფშხირი > ხშირი; ქაცა-ქუცა > ქაქუცა; ქაცუ > ქაცვი; ქერცი > ქერცლი; ქვაბი > [გამო]ქვაბ-ული, ქვირი > ფქვილი, ქვრი > ქვრივი; ქინჩი > ქენჩო; ქოთომი > ქათამი; ქორთული > ქართული, ქრავა > ქარვა; ქურსი > ქუსლი, ღაზი > ხაზი; ღალი > ღელე; ღება > [ა]ღება, [მი]ღება... ღვაწი > ღვაწლი; ღვენდი > ღვედი; ღვინი > ღვინო; ღირტინი > ღრიტინი; ღირღინი > ღიღინი; ღიჭა > ღია; ღლამი > ღლავი; ღობერი > ღობე; ღორონთი > ღმერთი; ღოღოჩი > ყოყოჩი; ღუმუ > ღომი; ღუტინი > ღრუტუნი; ღუღინუა > ღუღუნი; ყავარზენი > ყავარჯენი; ყალი > ყელი; ყანჩი > ყანჩა; ყარყალი1 > ყაყანი; ყარყალი2 > ყარყარა; ყარყანტი > ყარყატი; ყვალი > ყველი; ყვანა1 > ყანა; ყვანა2 > [წა] ყვანა; ყვარია > ყვავი; ყვინთელი > ყვითელი; ყვინჩია > ყვინჩილა; ყიაფი > ყივილი; ყინჩინი > ყინჩვა; ყურზენი > ყურძენი; ყურწი > ყუნწი; ყურუ > ყრუ; ყურუმი > ყურყუმი; შაარდენი > შევარდენი; შამბი > შაბი; შანა > [ნი]შანი; შელება > შეძლაება; შენახება > შენახვა; შეძინა > შეძენა; შთერი > შტერი; შხირი > ხშირი; ჩიტეფი > ჩიტები; ცადა > ცდა; ცალიერი > ცარიელი; ცანცალი > ცანცარი; ცანცალა > ცანცარა; ცაცური > ცაცუნი; ცვითუა > ცვეთა; ცილი1 > ცილა; ციმა > [და]ცემა; ციმუ > ცმელი; ცინდა > ციდა; ცოდა > ცოდვა; ცურღუტი > ცუღლუტი; ცქვირინი > ცქერა; ცქვიტინი > ცქვიტი > ცქვეტა; ცხვენი > სხვენი; ცხორცხალი > ცოცხალი; ძიმარი > ძმარი; ძიძე > ძიძა; ძღვინი > ძღვენი; წაბრი > წარბი; წაქა > წაქი; წორი > სწორი; წუნთი > წუთი; წურეხი > წირეხი; წუწინი > წუწუნი; წყინარი > წყნარი; ხაბრი > ხარბი; ხარხი > ხალხი; ხარხაცი > ხარხარი, ხორხოცი; ხე > ხელი; ხება > [შ]ხება; ხერკე > ხირკე; ხვე > ხვავი; ხვეწინი > ხვეწნა; ხვიანდი > ხმიანდი; ხინკი > ხიკი; ხომულა > ხმელი; რხიალი > ხრიალი; ხრუკი > [და]ხრუკული; ხუმა > ხმა; ხურხი > ხორხი; ხუხინი > ხუხუნი; ჯაგი > ჯაგნარი; ჯარკვალი > ჯირკვალი; ჯებერი > ჯებირი...

წარმართულ კოლხურ მეტყველებაში ხშირად სიტყვას, მისი მნიშვნელობის გასაძლიერებლად, მისი დანიშნულების ხაზგასასმელად, ემატება რომელიმე თანხმოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე ბგერათა სემასიოლოგიის კვლევისას აფიქსირებდნენ, რომ მეგრულში თანხმოვნები წარმოადგენენ იდეომატარებლებს, სამწუხაროდ მათ ვერ შეიცნეს თანხმოვანთა კონკრეტული შინაარსები და მეგრულში სიტყვის მნიშვნელობის გასაძლიერებლად სიტყვაში ჩასმულ ბგერებს ზოგადი ბუნების ფონეტიკურ დანამატებად მიიჩნევდნენ. ჩვენ შევისწავლით რა თითოეული თანხმოვნის შინაარსს, მათ ჭეშმარიტ სემასიოლოგიას, ცხადი გახდება მათი გამოყენების სრული დანიშნულება; ამ ეტაპზე კი აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის შემქნელები, მეგრული სიტყვების გადაქართულებისას, სიტყვის მნიშვნელობის გასაძლიერებლად, ხაზგასასამელად, ფონეტიკურ დანამატად იყენებენ ძირითადად თანხმოვან **მ**-ს.

მეგრ. **გერი** > ქართ. **მგელი**; მეგრ. **დელო** > ქართ. **მდელო;** მეგრ. **დიდარი** > ქართ. **მდიდარი**; მეგრ. **დუღა** > ქართ. **მდუღარე**; მეგრ. **ზადება** > ქართ. **მზადება**; მეგრ. **თელი** > ქართ. **მთელი**; მეგრ. **თილი** > ქართ. **მთილი**; მეგრ. **თხობელი** > ქართ. **მთხრობელი**; მეგრ. **კვიდრი** > ქართ. **მკვიდრი**; მეგრ. **კირდე** > ქართ. **მკერდი**; მეგრ. **კუხე** > ქართ. **მკუხე**; მეგრ. **რუმე** > ქართ. **მრუმე**; მეგრ. **სხული** > ქართ. **მსხალი**; მეგრ. **ტერი** > ქართ. **მტერი**; მეგრ. **ტვერი** > ქართ. **მტვერი**; მეგრ. **ტკიცე** > ქართ. **მტკიცე**; მეგრ. **ტყუნება** > ქართ. **მტყუნება**; მეგრ. **ღორა** > ქართ. **მღერა**; მეგრ. **ყონუა**[1] > ქართ. **მყნობა**; მეგრ. **ყუდრო** > ქართ. **მყუდრო**; მეგრ. **შვენიერი** > ქართ. **მშვენიერი**; მეგრ. **ცხვანე** > ქართ. **მხცოვანი**; მეგრ. **ძაღე** > ქართ. **მძაღე**; მეგრ. **ძიმე** > ქართ. **მძიმე**; მეგრ. **ძორი** > ქართ. **მძორი**; მეგრ. **წარე** > ქართ. **მწარე**; მეგრ. **წვადი** > ქართ. **მწვადი**; მეგრ. **წიარი** > ქართ. **მწევარი**; მეგრ. **წიკვილი** > ქართ. **მწიკვლი**; მეგრ. **წუხარე** > ქართ. **მწუხარე**; მეგრ. **ჭვალი** > ქართ. **მჭვალი**; მეგრ. **ჭიდა** > ქართ. **მჭიდრო**; მეგრ. **ჭკიდი** > ქართ. **მჭადი**; მეგრ. **ხეცი** > ქართ. **მხეცი;** მეგრ. **ხიარულება** > ქართ. **მხიარულება**; მეგრ. **ხუჯი** > ქართ. **მხარი**; მეგრ. **ჯიხი** > ქართ. **მჯიღი...**

არის მაგალითები როცა თანხმოვანი **მ** ჯდება არა სიტყვის თავში, არამედ სიტყვის შუაში.

მეგრ. ზოთონჯი (ო > ა, ნჯ > რ) > ზათარი > (+მ) > ქართ. ზამთარი.

მეგრ. კაზუა > ქართ. კაზმვა.

გვაქვს ერთდროულად ორი თანხმოვან მ-ს დამატების შემთხვევაც.

მეგრ. **ჭყეში** > (ჭ > წ, შ > ს) > ქართ. **წყესი** > (+მ, +მ) > ქართ. **მწყემსი.**

გადაქართულების საინტერესო მაგალითები იქმნება დანიშნულების აღმნიშვნელი თავსართების შენაცვლებით. მეგრულს გააჩნია დანიშნულების აღმნიშვნელი თავსართები **ო-** და **სა-**. ქართული ენის შემქნელები უარყოფენ თავსართ **ო**-ს და მას ცვლიან თავსართი **სა**-თი.

ოდგიში > (ო > სა) > **სადგიში** > (შ > ს) > **სადგისი.**

ორკე > (ო > სა) > **სარკე** > **სარკმელი...**

ოსური > (ო > სა) > **სასური** > **სასურ-ველი** > **სურ-ვილი...**

ოყუდე > (ო > სა) > **საყუდე-ლი** > **საყუდ-არი** > **საყდარი...**

ოყუჩი > (ო > სა) > **საყუჩი** > **მაყუჩი** > **გაყუჩება...**

ოხაშალი (ო > სა) > **სახაშალი** > **სახაშე...**

ოხინკალი > (ო > სა) > **სახინკალი** > **ხინკალი** > **სახინკლე...**

ოხიჩალი > (ო > სა) > **სახიჩალი** > (ლ > რ) > **სახიჩარი...**

ოხორი > (ო > სა) > **სახორი** > (ო > 0; რ > ლ) > **სახლი.**

ოხუნალი > (ო > სა) > **სახუნალი** > **სახუნ-დარი...**

მიუხედავად ჩატარებული მასშტაბური ხელოვნური ფონეტიკური ცვლილებებისა, მეგრულს და ქართულს მაინც გააჩნიათ საკმაო რაოდენობის უცვლელი კონსტრუქციის საერთო სიტყვები:

კათხა, კალმახი, კალო, კამა, კანი, კამეჩი, კანკალი, კაპასი, კაჟი, კარი, კაჭა, კეთება, კენჭი, კერკეტა, კეხი, კვარი, კვეთი, კვერი, კვერცხი, კვესი, კვირტი, კვიცი, კიბე, კიბო, კიდება, კიდობანი, კიჟინი, კირი, კისერი, კოდი, კოთხო, კოკა, კოღო, კუ, კუნთი, კუპატი, კუპრი, კურო, კუტუ, კუჭი, მართვე, მარულა, მარქაფა, მარჩხი, მარცხი, მახარებელი, მახრა, მეტი, მოგება, მორგვი, მჟავე, მძიმე, ნალი, ნელი, ნერგი; ნიორი; პანტა, პასუხი, პატიება, პატიოსანი, ჟამი, ჟღალი, რაგვი, რაში, რგება, რგვალება > [დამ]რგვალება, რიგი, რიდი, რიკი, რიკ-ტაფელა, რისხვა, რკინა, რჩევა, რჯული, სანთელი, საღარი, სოკო, სორო, სუნელი, სურო, ტაბიკი, ტანი, ტანადი, ტარი, ტარება, ტახტი, ტვინი, ტორი, ტოროლა, ტურა, ტყვე, ტყვია, ტყიური, უბედური. უბრალო, უგემური, უგრძნო[ბელი], უდაბური, უდარდელი, უთო, უნდილი, ურო, ურჩი, უსახელო, ფანცქალი, ფარეხი, ფართალი, ფართხალი, ფარცხი, ფასი, ფაფარი, ფაშატი, ფაცხა, ფერი, ფირფიტა, ფიცარი, ფიჭვი, ფონი, ფოჩვი, ფოცხი ფრიალი, ფუნა, ფუჩეჩი, ფუჩუნი, ფუჭება, ქადაგი, ქანება, ქანცი, ქარი, ქართა, ქერი, ქერქი, ქვიშა, ქილა, ქილიქი, ქინძი, ქონი, ქონდარი, ქონება, ქოსა, ქოში, ქოჩორი, ქუჩუჩი, ღდინი, ღერი, ღვარი, ღირება, ღირსება, ღიტინი, ღონე, ღონიერი, ღორება, ღრიტინი, ღორჯო, ღრიჭინი, ღიჟინი, ღირება, ყანყალი, ყანწი, ყიყინი, ყორე, ყუნწი, ყოფიერი, ყურე, შარა; შაშხი, შებრალება, შეგონება, შედარებული, შედგენა, შერიგება, შეცოდება, შეძლება, შეწუხება; შეხება, შვება, შველა, შიგანი, შიში, შორი, შტერი, ცალი, ცალება, ცალფა, ცალკე, ცანგალა, ცარიელი, ცელი, ცემა, ცვარი, ციება, ცილი2, ციყვი, ცომი, ცუდი, ცუხი, ცხადი, ძაბუნი, ძაფი, ძიება, ძერა, ძეწკვი, ძვალი, ძვირი, ძვირფასი, ძიება, ძმარი, ძნელი, ძონძი, ძუა, ძუძუ, წაგება, წადილი, წათხი, წამი, წამალი, წამება, წამწარება, წესი, წვალება, წვენი, წვერა, წვეულება, წილი, წისქვილი, წიწილა, წკვერტი, წკირი, წრიალი, წუნი, წუნკალი, წუნწუხი, წუღა, წუწკი, წუხება, წყალობა, წყენა, წყეული, წყნარი, ხანი, ხაში, ხაჭაპური, ხაჭო, ხელა; ხელობა, ხერხი, ხვეწი, ხვითო, ხილი, ხმაური, ხმიადი, ხორცი, ხოფი, ხრიკი, ხუთი, ხურო, ჯანდაგი, ჯამჯუხა, ჯარი, ჯარგვალი, ჯაჭვი, ჯახირი, ჯინი, ჯიხური, ჯორი, ჯღა...

ამრიგად, თქვენ გაეცანით მეგრული სიტყვების გადაქართულების წესის უმთავრეს შემადგენელს -- ფონეტიკურ ცვლილებებს და ამ პროცესის როგორც სისტემატიზირებული, ასევე სპონტანური ცვლილებების ხელოვნური ბუნების მაგალითებს. ეს გახლავთ მეგრული სიტყვების გადაქართულების პროცესის შესწავლის მხოლოდ დასაწყისი.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ მოგვიანებით ქართულმა ენამ აგრეთვე უძლიერესი ფონეტიკური გავლენა მოახდინა მეგრულ ენაზე, მაგალითად, ოდიშელები დღეს წარმართულ **ჩა**-ს ნაცვლად გამოთქვამენ ქართულ **ცა**-ს, **ჩხენი**-ს ნაცვლად **ცხენი**-ს, **ჭყარი**-ს ნაცვლად **წყარი**-ს და სხვა.

ქართულიდან მეგრულში გარკვეული რაოდენობის ახალი კოლხური სიტყვაა დამკვიდრებული. მაგალითად:

მეგრ. **ცქვაფა** > (ცქვ > ქ, აფა > ება) > ქართ. **ქება**.

მეგრ. **ცქვერი** > (ცქ > ქ, რ > ლ) > ქართ. **ქველი**.

დააკვირდით გადაქართულების სპონტანურ ბუნებას, ანუ თუ **ცქვ**-აფას შემთხვევაში თანხმოვანთა ჰარმონიული სამეულიდან, **ცქვ**-დან დატოვეს ერთი თანხმოვანი **ქ**, **ცქვერი**-ს შემთხვევაში დატოვეს ორი თანხმოვანი **ქვ**.

ამ ორი მეგრული წარმომავლობის ქართული მცნებიდან (**ქება, ქველი**) თავად მეგრულში დამკვიდრდა მხოლოდ **ქება** > **ქებურია**...

ამდენად, ჩვენს მიერ ამოკრეფილ სიტყვათა შედარებით სიებში მეგრულში ქართულიდან დამკვიდრებული გარკვეული რაოდენობის სიტყვებიცაა შესული, თუმცა მათი უმრავლესობა მეგრული ფუძეებიდან წარმოქმნილი ქართული სიტყვებია და, ასე ვთქვათ, შეცვლილი ფორმით და ხშირად შეცვლილი შინაარსითაც უბრუნდებიან თავიანთ ფუძე მეგრული ენის ლექსიკას.

ამ თემის ფართოდ გაშლას ამჟამად მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება და დღეს საშურია ქართული ენის კოლხური ბუნების გამოვლენა, ქართველი (კოლხი) ერის ისტორიული მეხსიერების აღდგენა.

ნახევრადხმოვანი **ꙁ** და თანხმოვანი **ц**

ხელოვნური ფონეტიკური ცვლილებებისას, ანუ მეგრული სიტყვების გადაქართულებისას, ხშირია შემთხვევები როცა მეგრულში ხმოვნით დაშორებული თანხმოვნები ქართულში ერთიანდებიან, ანუ მეგრული სიტყვების გადაქართულებისას ხშირად იკვეცება როგორც ერთი, ასევე რამოდენიმე ხმოვანი და ხშირად თანხმოვანიც. მოგაწვდით ერთ საინტერესო მაგალითს.

(ქ.ე.გ.ლ.) **დრკუ** „მრუდი ყოვლად განუმართველი" (საბა), უსწორო. // გადატ. არამართალი, ცრუ. ჰოი სოფელო პირდამყოფელო, ჰოი დრკუო, ცრუო! ჰოი მრუდო, ცუდო. (ბესიკი).

(ქ.ე.გ.ლ.) **დრკომა** სახელი დრკება1 ზმნის მოქმედებისა, -- შეშინება.

(ქ.ე.გ.ლ.) **დრკება**[1] (შედრკა, შემდრკალა) – უკან იხევს (წინააღმდეგობისა, სიძნელისა და მისთ. წინაშე შიშისა და სხვ. გამო), შეშინდება.

(ქ.ე.გ.ლ.) **დრკება**[2](დადრკა, დამდრკალა) -- იდრიკება, იხრება, იღუნება.

მოყვანილ სიტყვათა ფუძეა საბას **დრკუ**, საბა, რომლის ლექსიკონის შექმნის უმთავრეს მიზანს ქართული მეტყველების მეგრული წარმომავლობის კვალის წაშლა წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში ამახინჯებს მეგრულ სიტყვა **დირაკუა**-ს.

(ო. ქ.) **დირაკუა, დირიკუა** – დრეკა, ზნექა, ღუნვა.

(ო. ქ.) **დირაკილი** – მოხრილი, მოდრეკილი, მოღუნული.

მეგრ. **დირაკუა** > (ი > 0, ა > 0, ა > 0) > ქართ. **დრკუ**.

წარმოგიდგენთ მსგავს მაგალითებს:

მეგრ. **აბუგა** > (უ > 0) > ქართ. **აბგა**; **დალობა** (ალ > 0) > **დობა**; **დგუმა** > (უ > 0) > **დგმა**; **თვალუა** > (ა > 0, უ > 0) > **თვლა**; **თირთოლუა** (ი > 0, უ > 0) > **თრთოლა**; **თოლუა** > (უ > 0) > **თლა**; **თომა** > (ო > 0) > **თმა**; **თქუმალა** > (უ > 0, ლა > 0) > **თქმა**; **თხორუა** > (ო > 0, უ > 0) > **თხრა**; ისირი > (ი > 0, რ > ლ) > ისლი; **კიბირი** (ი > 0, რ > ლ) **კბილი**; **კირდე** > (ი > 0, რ > ლ) > **კლდე**; **ნჯამა** > (ნჯ > ჯ, ა > 0) > **ჯმა**; **შუმა** > (შ > ს, უ > 0) > **სმა**; **ქიმინუა** > (ი > 0, უ > 0) > **ქმნა**; **ჩხორო** > (ო > 0, ო > ა) > **ცხრა**; **ცირუა** (ი > 0, უ > 0) > **ცრა**; **ჭკირუა** > (ჭკ > ჭ, ი > 0, უ > 0) > **ჭრა**; **ხარუა** > (ა > 0, უ > 0) > **ხრა**; **ჯიმა** > (ჯ > ძ, ი > 0) > **ძმა**...

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში სიტყვები **თქმა** და **სმა** გამოითქმებოდნენ მეგრული ფორმით **თქუმა** (< **თქუმალა**) და **სუმა** (< **შუმა**).

(**ილია აბულაძე** 185): „სადღა აღესრულების **თქუმული** იგი", „იგი დავიცვა **თქუმად**", „იქადაგა და **ითქუა**... მეფისა მიერ", „რისხვით **მითქუმიდეს** მე".

(ილია აბულაძე 406): „ჭამდეს და **სუმიდეს**", „იყო **სუმაი** დიდი ყოველთა მონათა მისთაი", „იყო **სუმაი** მოხუცებულთა თანა", „**მსუმელი, სასუმელი, შესუმა**".

შესაბამისად, ძველი მეგრულ-ქართული **თქუმა** და **სუმა** მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ როგორც თქმა და სმა, ანუ მოხდა ხმოვან **უ**-ს ამოგდება.

ხმოვნების შეკვეცის ყურადსაღები მაგალითებია:

გირძე > **გრძე**-ლი; **თითხუ** > **თხ**-ელი; **ჭარგა** > **ჭრ**-ელი;

ხმოვნების ამოგდებამ ქართულში კი ის გამოიწვია, რომ მივიღეთ თანმიმდევრულად ოთხი და მეტი თანხმოვნისაგან შემდგარი სიტყვები და რომელთა გამოთქმაც უკვე გაძნელდა. მაგალითად:

მეგრული **ბურდღონუა** > (უ > 0, ო > 0, უა > ვა) > ქართული **ბრდღნვა** > (ნ >< ვ) > **ბრდღვნა**.

ე. ი. მივიღეთ ექვსი თანხმოვნის თანმიმდევრობა.

მსგავსი მაგალითია **მწვრთნელი**.

(**ო. ქ.**) **წურაფა** მითითება, მისწავლება გზისა; მეგზურობა; სწავლება.

წარმართული **წურაფა**-დან ქართულში შედგა მცნებები:

წურაფა > (უ > 0) > **წრაფა** > (ფუძე **წრაფ**) > **სწრაფი** > **სწრაფვა** > **მისწრაფება** > **მისწრება** > **მიასწრო** > **გაასწრო** > **ასწრებს** > **სწრაფია**...

წურაფა > (უ > 0, აფა > ვა) > **წრვა** > (ფუძე წრვ) > [+ **თ** (გაცხადება), + **ნ** (სასურველი)] > **წრვთნ** > (რ >< ვ) > **წვრთნა** > (+მ) > **მწვრთნელი.**

ე. ი. მეგრ. **წურაფა** > ქართ. **მწვრთნ**-ელი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დაფიქსირებულია მეგრული **წურაფა**-დან ნაწარმოები 96 ერთეული ქართული სიტყვა.

ჭარბი რაოდენობის თანხმოვანთა შეერთების პროცესი ქართველი ენის შემქნელთა შეცდომად უნდა მივიჩნიოთ. ქართული ენის ეს თვისება მუდამ აწუხებდათ ჩვენს წინაპრებს. ანტონ კათოლიკოსს, რომელსაც ეწადა ახალი ქართული ენა შემოებრუნებინა ძველი ქართულის ბუნებისაკენ, ნახევრადხმოვანი **ჷ** „თანხმოვანგასაყარად ჰქონდა გამოყენებული სომხურის მსგავსად“ (გ. როგავა „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“ 1962). ნახევრადხმოვანი **ჷ** არ გააჩნია ჩვენამდე მოღწეულ „ძველ ქართულს“, ხოლო სვანური და მეგრული ენები, თანხმოვანგასაყარად და განცალკევებით თანხმოვნის შინაარსის გამოსათქმელად, ნახევრადხმოვან **ჷ**-ს თავიანთ დასაბამიდან იყენებენ, მხოლოდ ამას თავისი აზრობრივი დატვირთვა და კანონზომიერება გააჩნია.

განცალკევებით თანხმოვნები ნახევრადხმოვან **ჷ**-ს დართვით დამოუკიდებელ შინაარსებს ატარებენ; მაგალითად: **ტჷ** (ცური), **გჷ** (გავს), **ლჷ** (ვარდება), **წჷ** (წელს), **ჭჷ** (ნაწლავი), **კჷ** (რკო)...

ამ თემის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ წარმართულ კოლხურში სიტყვათა შინაარსება განსაზღვრავენ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ. ე. ი. როცა ნახევრადხმოვანი **ჷ** ერთი თანხმოვნის შემდგომ ზის. ეს ნიშნავს, რომ ეს თანხმოვანი ცალკე მნიშვნელობას ატარებს, ხოლო თუ ნახევრადხმოვანი **ჷ** ორი ან სამი თანხმოვნის შემდგომაა ჩასმული, ეს უკვე ნიშნავს, რომ ეს ორი ან სამი თანხმოვანი ერთ ჯამურ აზრს ატარებენ, ანუ წარმოადგენენ ჰარმონიულ წყვილებს, ან ჰარმონიულ სამეულებს.

ჰარმონიული წყვილი (ან სამეული) ეწოდება ორი (ან სამი) თანხმოვნის მნიშვნელობათა ერთიანობით (ჰარმონიით) მიღებულ ახალ მცნებას, რომელიც თავად ხდება ფუძე ახალი, მსგავსი ბუნების მცნებათა წარმოსაქმნელად

მაგალითად, მომავალი ცოდნის გათვალისწინებით, განვიხილოთ **ჭჷრკჷ** (ჭკნობა).

ჭგრკგ = **ჭგ** + **რკგ** = ჭ(ყარი) + რკ(ება) = წყალი + კლება = ჭკნება, ანუ თუ მცენარეს აკლდება სიცოცხლის მამოძრავებელი წყალი, ის იწყებს ჭკნობას.

ე. ი. **ჭგრკგ**-ში თანხმოვანი **ჭ** დამოუკიდებლად განსაზღვრავს წყლის ზოგად მცნებას, ხოლო ჰარმონიული წყვილი **რკ** თანხმოვან **რ**-სა (= მოძრაობა) და თანხმოვან **კ**-ს (= ძლიერი) მცნებათა ერთობლიობით გამოსახავს კლების (ძლიერი მოძრაობის, მოქმედების) პროცესს. ანუ ამ შემთხვევაში ნახევრადხმოვანი **გ** ერთმანეთისაგან ყოფს თანხმოვან **ჭ**-ს და ჰარმონიულ წყვილ **რკ**-ში ჩადებულ განსხვავებულ მნიშვნელობებს ერთიანი სიტყვის (**ჭგრკგ**-ს) ჯამური აზრის გადმოცემის მიზნით.

ნახევრადხმოვანი **გ** მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში როცა თანხმოვნებს გვერდით თანხმოვნის მცნების განსზაღვრების დამხმარე ხმოვანი არ უჯდება, ანუ ნახევრადხმოვანი **გ** არასოდეს არ გამოიყენება ხმოვნების გვერდით. მაგალითია ჭირკუ (უკვე „გამხმარი“ = ჩია, პატარა, უჯიშო ხილი). ამ ცოდნის მივიწყებაა, რომ თანამედროვე მეგრულში ნახევრადხმოვან **გ**-ს, საჭიროების გარეშეც ხშირად ენაცვლება ხმოვანი ი, მაგალითად: თათ**გ**მანი > თათ**ი**მანი.

ქართული თათმანი-საგან განსხვავებით, წარმართულ თათგმანი-ში **გ** ანცალკევებს მცნებებს თათ(ი) და მანი.

თათგმანი = **თათ**(ი) + **მანი** = თათი + ძლიერი.

ნახევრადხმოვან **გ**-ს გამოყენების მივიწყებულ მაგალითს წარმოგვიდგენს იოსებ ყიფშიძე.

(ო. ქ.) **ბძგირი** ბოტან. შინდი. ი. ყიფშიძეს აქვს ფორმა **ბგგგძგრი**, რაც ამჟამად იშვიათია.

რაც შეეხება ქართულ ენას, ვინაიდან ქართული ენის შემქნელთა, წარმართული კოლხური ენის გადამკეთებელ ქრისტეან მამათა უმთავრეს სტრატეგიას წარმართული ცოდნის წაშლა გახლდათ, შესაბამისად ნახევრადხმოვანმა **გ**-მ თავისთავად დაკარგა ფუნქცია და არც გამოიყენება ქართულ მეტყველებაში.

ასევე მოგახსენებთ, რომ წარმართულ კოლხურს საწყისიდან გააჩნდა ქართული მეტყველებისთვის უცხო თანხმოვანი **ц**, რომელიც თანდათანობით, საფიქრალია ქართული ენის გავლენით, ხმიანდება როგორც თანხმოვანი **ყ**; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი კვლევის სტადიაში თანხმოვნებს **ц**-სა **ყ**-ს ერთი და იგივე, თანაბარი მნიშვნელობები აქვთ მინიჭებული და ჩვენც როგორც ერთიანი მცნების მატარებლები განვიხილოთ, ანუ მათი ერთმანეთში აღრევა ჩვენთვის სიტყვის აზრს არ ცვლის.

იმედია, განხილული ფონეტიკური პროცესების კვლევისას, მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი ხელოვნური ფონეტიკური ცვლილებებისა, რომელიც ჩაატარეს ქართული ენის შემქნელებმა, პარალელურად გაიაზრეთ მეგრულ და ქართულ ენათა, ადგილობრივი წარმომავლობის ლექსიკური მარაგის, ფუძემნიშვნელობის მატარებელ სიტყვათა ძირითადი ნაწილის ერთგვაროვნება, ერთბუნებოვნება; თუმცა, რასაკვირველია, მხოლოდ მექანიკური ფონეტიკური ცვლილებებით არ იქნა მიღწეული სადღეისოდ არსებული შედეგი.

ზმნები, ზმნისწინები...

ქართული ენის შექმნისას გამარტივდა და შეიცვალა როგორც წარმართულ კოლხურ ზმნათა, ზმნისწინთა, ზმნიზედათა... ბუნება, ასევე მათი რაოდენობაც.

ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „ზმნა სული და გულია მეტყველებისა... ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას“.

სიუხვის მხრით ქართულ და მეგრულ ზმნათა შორის განსხვავება კოლოსალურია.

(**მამანტი ძაძამია** II 221): „ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულის ზმნებში, მათივე ფუძეებად, როგორც წესი... გამოყენებულია განსაზღვრებები, შედარებები, ეპითეტები ანუ ხატოვანი გამოთქმები.

მეგრულის ზმნაში საგნის ყოველი მოძრაობა თუ მოქმედება, აგრეთვე მდგომარეობა, რაობა, ყოფიერება და როგორადობა წარმოიდგინება ანუ განიხილება სივრცეში, გარკვეულ არეში, სხვა საგნებისადმი და მდგომარეობისადმი მიმართებაში, ვინაიდან, სწორედ ასეთნაირად წარმოიდგინება და განიხილება თვით საგნის არსებობა ბუნებაში. ამ საფუძველზე მეგრულის ზმნა ფილოსოფიურ ასპექტში წარმოგვიდგება. ამასთან, აღნიშნული მიზეზით მეგრულში სტატიკური ზმნა იშვიათია...

იმის გათვალისწინებით, რომ ზმნა, ჩვეულებრივ, საგნის მოძრაობის თუ მდგომარეობის, აგრეთვე რაობის, ყოფიერების და როგორადობის გამომხატველია, ხოლო მეგრულში ესენი, თავის მხრივ, ზმნისწინების მეშვეობით, გარკვეულ სივრცეში, არეში, სხვა საგნებისა და მდგომარეობისადმი მიმართებაში განიხილებიან, ამ დიალექტის ზმნები არქაული ფენების უხვად პოვნიერების პირობებში, ზმნისწინებისა და ზმნის ფუძეებად გამოყენებადი ეპითეტური ანუ ხატოვანი თქმების განსაკუთრებული სიმდიდრისა და მრავალფეროვნების წყალობით, ამოურწყველ ოკეანედ წარმოგვიდგება...

სწორედ ამის გამო, საგნის მოძრაობის გამომხატველი ზმნა: „ულა“ (სვლა) და მისი... ერთადერთი ზნისწინის... გამოყენებით 2800-ზე მეტ ლექსიკურ ერთეულს, ხოლო მეგრულის ყველა ზმნისწინის გამოყენებით 168000-ზე მეტ ლექსიკურ ერთეულს წარმოგვიდგენს. ეს, ამავე დროს, იმას ნიშნავს, რომ მეგრულის აღნიშნული სალექსიკონო მასალა შესაბამისი სახელზმნებითურთ, კერძოდ, მასდარებითა და მიმღეობებითურთ, სამჯერ მეტ, ანუ 504 ათასზე მეტ ლექსიკურ ერთეულს გვპირდება.

მეგრულის ეპითეტური ანუ ხატოვანი ზმნების აბსოლუტური უმრავლესობა ნებისმიერ სხვა ენაზე პირდაპირი თარგმანი, მით უმეტეს ერთი სიტყვით, ვერ ხერხდება და სხვა ენაზე მოსაუბრისათვის მისი შინაარსიის თუ მნიშვნელობის კონკრეტულად ჩვენება-წარმოდგენა შესაბამისი კონკრეტული საგნის, მისი ტიპის, საგნის მოქმედების კონკრეტული ფორმის თუ მანერის, და სხვა განმასხვავებელი ნიშნების ჩვენება-წარმოდგენის გარეშე, შეუძლებელია...

მეგრულის ზმნები, ხშირად, ერთი და იგივე ფუძის პირობებში სხადასხვა მნიშვნელობის გამომხატველია, რაც მის მრავალფეროვნებას კიდევ უფრო ამდიდრებს“.

მამანტი ძაძამიას მიერ დასახელებული ციფრები ხშირად გამოხატავენ არა რეალურად არსებულ, გამოყენებად ლექსიკურ მარაგებს, არამედ მეგრული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს, ანუ მის პოტენციას გამოსახავენ; მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ თავად გაეცნობით მამანტი ძაძამიას „მეგრული დიალექტი“-ს ორტომეულს, მაინც შეუძლებელია გაოცებული არ დარჩეთ მეგრულ მეტყველებაში დაფიქსირებული, რეალურად არსებული წარმართული კოლხური ზმნების, ზმნისწინების ფანტასტიური შესაძლებლობებით.

ჩვენი ნაშრომის უმთავრესი დედააზრის -- წარმართული კოლხური სრულიად საქართველოს ფარავდა -- მტკიცება გახლავთ ის რეალობა, რომ წარმართულ კოლხურ ზმნისწინთა ნაწილი დღესაც მკვიდრობს კოლხეთის როგორც დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით, ესენია:

ალა – ალაზანი მდინარე კახეთში. გვარი **ალაშვილი**.

გილა – გვარები **გილაშვილი, გილაური.**

იკო – **იკორთა** სოფელი ცხინვალის რ-ნში XII საუკუნის მონასტრით. **იკოთი** – სოფელი ახალგორის რ-ნში. გვარი – **იკოშვილი.**

ინო -- **ინო** სოფელი დუშეთის რ-ნში.

მუკო – **მუკუზანი** სოფელი კახეთში.

ჩა – **ჩარგალი** სოფელი დუშეთის რ-ნში.

განსაკუთრებით გავრცელებულია კოლხური ზმნისწინი **გელა.**

გელა = **გე** + **ლა** = მიწის ზედაპირი + სივრცე.

გელა ძირითადათ განსაზღვრავს მიწის ზედაპირზე, მიწის ზედაპირიდან მაღლივ ქმედებებს.

(**მამანტი ძაძამია** I 16): „**გელა-**, **ელა-** დაბლა, დაბლივად და მაღლისკენ რაღაცის გვერდით, აღმით-ალმაცრივ: ელ-ულა (ელა+ულა), ი/ელა+ულა (ამოსვლა, მზის ამოსვლა), ელა-ყუნაფა (ამოყვანა, ვთქვათ, უბიდან ბარტყის)".

(**გუბაზ გოგატიშვილი** 63): „**გელა** (ზ. იმერ., იმერ.) – ლურსმნის ამოსაღები რკინის ორკაპა ხელკეტი; **გელობა** (ფშ.) – ელვარება, გაელვება; **გელობა** (უკანა ფშ., ხევს.) – ლაპლაპი, ელვარება".

(**ქ.ე.გ.ლ.**) **გელა** ხის ან რკინის კეტი. ცეცხლის საჩხრეკი.

გელათი სოფელი და ტაძარი მოხირისში. 1906 წლის აღწერით გელაშენი – სოფელი არტანუჯის მხარეში ონგოთხევთან; **გელავერი** – სოფელი ხონის რ-ნში; **გელასკური** – მდინარე ვანის რ-ნში; **გელაურა** – სოფელი ხულოს რ-ნში; **გელაძეები** – სოფელი ხულოს რ-ნში; სახელები: **გელა, გელანა; გვარები: გელაძე, გელაშვილი..**

ამრიგად, ზმნისწინთა ფუნქციებია ზმნებს მიანიჭონ მიმართულება, გამოხატონ მოქმედების დასრულება და რაც ჩვენთვის უმთავრესია, ძირითადად მათი მეშვეობით სრულდება სიტყვათა წარმოქმნა, აგლუტინაცია; შესაბამისად, ზმნათა გამოსახვის მრავალფეროვნების ერთ-ერთი განმსაზღვრელია ზმისწინთა სიუხვე.

ქართული 14 ერთეული ზმნისწინისაგან განსხვავებით, წარმართულ კოლხურს გააჩნია 59 ერთეული მარტივი და რთული ზმნისწინი. წარმართულ კოლხურ ზმნისწინთა უმრავლესობას ძალზედ რთული მოძრაობების გამოსახვის ფუნქცია აკისრიათ, მაგალითად:

(**მამანტი ძაძამია** I 16): „**გითო-** ქვე, ქვემორე, ქვეშით, ქვეშე, ქვეშითგან, ქვედა მხარეს, ან კიდევ, გვერდულად: გითო-ხუნა (რაიმე საგნის, ვთქვათ, ხის, ხიდის ან აივნის ქვეშ ჯდომა), გითო-ნთხაფა (ქვე ჩამოვარდნა, ვთქვათ, ხიდან ჩამოვარდნა და ძირს დაცემა), გითო-ბუნაფა (ქვეშით, ვთქვათ, ჭერზე რისამე ჩამოკიდება), გითო-ყუნაფა (სიღრუეში, ვთქვათ, მღვიმეში მყოფის გარეთ გამოყვანა).

გილა- გვერდით და ზედ, აქეთ-იქით, დაღმართით, დაღმართისაკენ, დაღმა, ფაღმით, მაღლიდან დაბლისკენ: გილა-დვალა (ზე ჩამოდება, ვთქვათ, წიგნისა თაროზე), გილა-ყუნაფა (მაღლიდან ქვე ჩამოყვანა, ვთქვათ ქათმისა საბუდარიდან), გილა-ყუნაფა (აქეთ-იქით წაყვან-წამოყვანა, გასეირნება, ვთქვათ, ბავშვისა ეზოში), გილა-სხაპინი (ხტომა-ხტომით სიარული), გილა-რინა (საგნის გვერდითა შვერილზე, ვთქვათ, სატვირთო ავტომანქანის საფეხურზე დგომა).

გიმო- (შიგნიდან გარეთ, გარეთკენ: გიმო-ყუნაფა (გამოყვანა შიგნიდან გარეთ, ვთქვათ სახლიდან); გიმო-ჩოლუა (შიდა არის, ვთქვათ, ოთახის დაცლა, ნივთების, საგნების გარეთ გატანა), გიმო-ჭანაფა (შიგნიდან გარეთ გამოძახება)".

ქართული ენის შემქნელებმა შეკვეცეს ზმნისწინთა საერთო რაოდენობა, ნაწილობრივ შესცვალეს კონსტრუქციები და ქართულში ზმნისწინებს დაევალათ მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სახის მოძრაობის გამოსახვა.

(ლელა ტეფნაძე):

1. ზევიდან --> ქვევით: და- (დავარდა, დაეცა, დახტა, დაენარცხა. დაასხა...).
2. ქვევიდან --> ზევით: ა-, ამო- (ავიდა, ავარდა, ამოვიდა, ამოიყვანა...).
3. გარედან --> შიგნით: შე-, შემო- (შევიდა, შევარდა, შემოვიდა, შემოიარა...).
4. შიგნიდან --> გარეთ: გა-, გამო- (გავიდა, გაიხედა, გამოვიდა, გამოიხედა...).

მეგრულს გააჩნია მარტივი ზმნისწინები **გა, გე, გი,** ქართულში კი დამკვიდრდა მხოლოდ **გა**. ასევე ვიცით, რომ მეგრულში დანიშნულების აღმნიშვნელი ორი თავსართი **ო**- და **სა**- მოქმედებს, ქართულისთვის შეირჩა მხოლოდ სა-...

განვიხილოთ მაგალითი იმისა, თუ რა შედეგი მიიღეს ქართული ენის შემქნელებმა მეგრული ენის გრამატიკული ნორმების გამარტივებით.

(**ო. ქ.**) **თანაფა** თენება

საწყისში ხელოვნური ფონეტიკური ცვლილებით (ა > ე, აფა > ება) მეგრული ზმნიდან თანაფა მიღებულ იქნა ქართული თენება. ეხლა დავაკვირდეთ სიტყვათა წარმოებისას წარმოქმნილ განსხვავებებს:

გოგითანუას = გაგითენოს. **გოთანდუ** = გათენდა. **ოთანუანს** = ათენებს. **გიითანინუ** = შესაძლებელი გახდა გათენება. **გონოთანაფუე(ნ)** = შესძლებია გათენება. **გუუთანაფუაფუ** = გაუთენებინებია. **უგუთანაფუ** = გაუთენებელი. **გიოთანაფალი** = გასათენებელი.

ე. ი. მეგრ. **გიოთანაფალი** > (გი > გა; ო > სა; თან > თენ; აფა > ება; ალი > ელი) > ქართ. **გასათენებელი**.

ამრიგად, ორივე სიტყვის მასალა და აზროვნება სრულად წარმართული კოლხური წარმომავლობისაა და ხელოვნურმა ფონეტიკური ცვლილებებმა მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთისაგან გააუცხოვა ერთი და იგივე მასალით ნაშენები, ერთი და იგივე კონსტრუქციისა და შინაარსის მატარებელი სიტყვები – **გიოთანაფალი** და **გასათენებელი**. ანუ მეგრელი, რომელმაც არ იცის ქართული ენა, ვერ გაიგებს **გასათენებელი**-ს შინაარსს, ხოლო მხოლოდ ქართული ენის მცოდნე ასევე ვერ გაიგებს **გიოთანაფალი**-ს შინაარსს; ეს მაშინ როცა მეგრ. **თანაფა**-სა და ქართ. **თენება**-ს შორის არ არის მკვეთრი ფონეტიკური განსხვავება. შეუდარებლად ძნელი მისახვედრია თუ რომელი ქართული სიტყვები შეესაბამება მეგრულ **გიმოჩამა**-ს, **ნოხორი**-ს, **ოხოჯე**-ს...

მეგრ. **გიმოჩამა** > (ზმნისწ. გიმო > ზმნისწ. გა, ჩ > ც, ა > ე) > ქართ. **გაცემა**.

მეგრ. **ნოხორი** = [**ნო + (ო)ხორი**] > (ნო > ნა, ო > სა, ო > 0, რ > ლ) > ქართ. **ნასახლი** > (+ არი) > **ნასახლარი**.

მეგრ. **ოხოჯე** > (ო > სა, ო > ა, ჯ > რ) > ქართ. **სახარე** (ხარებისთვის განკუთვნილი რამ).

აი ასე მარტივად მიღებული შედეგი – ქართულ და მეგრულ ენათა ერთმანეთისაგან გაუცხოება -- გახლდათ უმთავრესი მიზანი ქართული ენის შემქნელთა მიერ ჩატარებული ხელოვნური ფონეტიკური პროცესებისა.

ჩვენ ნათლად უნდა გავიაზროთ, რომ:

მხოლოდ მეგრული 59 ერთეული ზმნისწინის ქართულში 14 ერთეულამდე დაყვანით, მათი როგორც კონსტრუქციული, ასევე შინაარსობრივი გამარტივებით, ქართული ენის შემქმნელებმა წარმოქმნეს კოლოსალური განსხვავება ლაზურ-მეგრულსა (წარმართულ კოლხურსა) და ქართულს (ქრისტეანულ კოლხურს) შორის.

იგივე განმეორდა დანარჩენი აფიქსების (თავსართების, ბოლოსართების...) მიმართებითაც.

ვინაიდან ჩვენ ისედაც რთულ თემასა ვართ შეჭიდულები და მხოლოდ ვიწყებთ წარმართული კოლხური მეტყველების საწყისი არსის შეწავლას, გვერდზე გადავდოთ

მთლიანობაში გრამატიკულ ნორმათა სრული შედარება და დავკმაყოფილდეთ კოლხურ სიტყვათა (მცნებათა) ეტიმოლოგიის, სემასიოლოგიის, მათი ფსიქოლოგიის კვლევით; მითუმეტეს, რომ სიტყვათა (მცნებათა) შექმნისას გრამატიკულ წყობას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. გრამატიკული წყობა და მისი ნორმები აუცილებლობას მხოლოდ წინადადებათა შედგენისას წარმოადგენენ.

ამდენად, სიტყვათა წარმომავლობის, მათი შედგენილობის, თავდაპირველი მნიშვნელობის და რაც უპირველესია, მათი აზროვნების დასადგენად, პროფესიონალური ფილოლოგიური განათლება არ მოგეთხოვებათ, საკმარისია მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის საშუალო დონის ლოგიკური აზროვნების უნარი. გვახსოვდეს: როცა კოლხი ქურუმები წარმართულ კოლხურ ენას ქმნიდნენ, ისინი არ იცნობდნენ თანამედროვე ქართული ფილოლოგიის მიღწევებს.

ამრიგად, ქართული (კოლხური) სიტყვები ციდან არ ჩამოცვენილან, წვიმას არ ჩამოყოლიან; სიტყვებს, საკულტო, საბრძოლო, სამეურნეო და სხვა დანიშნულების იარაღების მსგავსად, მსოფლიო გამოცდილებათა გათვალისწინებით, ან მზა სახით უცხო ენათა ლექსიკათა მარაგებიდან ვიძენდით, ან თავად ვქმნიდით და ქართულ (კოლხურ) გარემოში ვავითარებდით.

ქართული ლექსიკის კოლხური მეტყველება

ამ თავში ჩვენ გავეცნობით ქართველი ენათმეცნიერების მიერ ქართველურ ენათა ლექსიკის ეტიმოლოგიური კვლევის მცდარი მიმართულების რამოდენიმე მაგალითს. ამ მიზნით ვიხელმძღვანელოთ 2000 წელს გამოცემული ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“-თ და განვიხილოთ მარტივი მაგალითები იმისა, რომ ქართული ლექსიკის მკვიდრ სიტყვათა უმრავლესობა ლაზურ-მეგრული ენის ცოდნის შედეგს წარმოადგენენ, ანუ ამ სიტყვათა ფუძე-მნიშვნელობები საწყისში ლაზურ-მეგრული ენის წიაღში წარმოიშვნენ და მხოლოდ ამის შემდგომ, ჩამოყალიბებული სახით „გადაბარგდნენ“, დამკვიდრდნენ ქართულ მეტყველებაში.

---------- *მთილ- ----------

(ქართ. ენ. ეტიმ. ლექს.): „*მთილ-

ქართ. **მთილ**- დედა-**მთილ**-ი; მამა-**მთილ**-ი

მეგრ. **ნთილ**- დია-**ნთილ**-ი «დედამთილი, სიდედრი»; მუა-ნთილ-ი «მამამთილი; სიმამრი»

ლაზ. **მთირ**- და **მთირ**-ე «დედამთილი; სიდედრი»; **მთირ**-ი «მამამთილი; სიმამრი»

გვხვდება ძველ ქართულში: მოსრულ ვარ განყოფად კაცისა მამისაგან და ასულისა დედისაგან თჳსისა და [ძის}ცოლისა დედამთილისაგან, მ. 10,35 (ხანმ.); უთხრეს თამარს, სძალსა მისსა, და ჰრქუეს: აჰა, ესერა, მამამთილი შენი აღვალს თამნად რისუვად ცხოვართა თჳსთა, შესაქმ. 38,13 O და სხვ.

ქართულში **მთილ**- დამოუკიდებლად არ იხმარება. იგი მხოლოდ ზემოთ დამოწმებული კომპოზიტების შემადგენლობაში შედის.

ქართულ **მთილ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ნთილ**- (<***მთირ; მთ>ნთ** ასიმილაციის შედეგად, იხ. ჟღენტი 1953. 123-124; აუსლაუტში ლ ქართულის

ზეგავლენას შეიძლება მივაწეროთ) და ლაზური **მთირ**- ლაზურში **მთირ**- ცალკეც იხმარება, რაც მოწმობს იმას, რომ ეს ფუძე სხვა ქართველურ ენებშიც დამოუკიდებლად გამოიყენებოდა და მას უფრო ფართე მნიშვნელობა ჰქონდა. კომპოზიტის პირველი ნაწილის (**დედა**-, **მამა**-) დართვა ამ ზოგად მნიშვნელობას აკონკრეტებდა (შდრ,: ჩიქობავა 1938, 36-38). ***მთილ**- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ,134). საფიქრებელია ***მთილ**- ფუძეს (***მ-თილ**) წარმოადგენდეს“.

---------- * * * ----------

ქართველი ენათმეცნიერები, გამომდინარე მათი ვარაუდიდან „რომ საერთოქართველური ფუძე-ენა დაიშალა დაახლოებით 5 ათასწლეულის წინ. თანამედროვე ქართველური ენები შეიქმნა საერთოქართველური ფუძე-ენის მსხვილი და მნიშვნელოვანი დიალექტების საფუძველზე", გვიხსნიან: 5 ათასწლეულის წინ, ქართულ-ზანური ერთიანობის ხანაში, არსებობდა ფუძე-ენის კუთვნილი ***მთილ**- არქეტიპი. ფუძე-ენის დაშლის შემდგომ, ქართულმა ენამ შეინარჩუნა საწყისი ***მთილ**- ფორმა, ხოლო მეგრულში **მთ>ნთ** ასიმილაციის შედეგად, სახეცვლილებით **ნთილ**- და ლაზურში ფორმით **მთირ**- დამკვიდრდა.

მათი მსჯელობიდან აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართულში **მთილ**- დამოუკიდებლად არ იხმარება“, ხოლო „ლაზურში **მთირ**- ცალკეც იხმარება, რაც მოწმობს იმას, რომ ეს ფუძე სხვა ქართველურ ენებშიც დამოუკიდებლად გამოიყენებოდა და მას უფრო ფართე მნიშვნელობა ჰქონდა“. საოცარია ის ფაქტი თუ ხვდები **თირ**- ფორმის დამოუკიდებლად არსებობას, რატომ არ იძიებ მისი გამოყენების მაგალითებს, რატომ არ იკვლევ მის შინაარსს, მაშინ როდესაც ეს საკითხი **იოსებ ყიფშიძეს** ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ძალზედ გამჭვირვალედ აქვს ახსნილი.

(**ო. ქ**) **დიანთილ/რი** დედამთილი, სიდედრი (მეგრული არ არჩევს),**დიანთირი** < **დია-ნთირ-ი** შემცვლელი დედა (ი. ყიფშიძე). (*შდრ.* **თირუა** ცვლა) *შდრ. ლაზ.* **დამთირე** დედამთილი, სიდედრი (ნ. მარი).

(**ო. ქ.**) **მუანთილი/მუანთირი** მამამთილი, სიმამრი. (მეგრული არ არჩევს მამამთილ-სიმამრს). მუანთილ/რ-ი მამა-ნაცვალი; *შდრ.* **თირუა** ცვლა (ი. ყიფშ.).

ე. ი. მეგრულ ენაში დღესაც გამოიყენება როგორც **ნთილ**-ი ასევე **ნთირ**-ი ფორმები და **ოთარ ქაჯაია** მიგვითითებს, რომ **იოსებ ყიფშიძემ** პირველმა დააფიქსირა **დია-ნთირი**-სა და **მუმა-ნთირი**-ს ეტიმოლოგიური შინაარსები.

(ი. ყ.) **დიდა** დია **матъ**; -- დია-**ნთირი**, დია-ნთილი **свекровъ, теща** (букв. **обменная или заменяющая мать, см**. თირუა 2); -- დიდა-ცონირი (букв. **привитая мать**, см. ცონუა).

(ი. ყ.) მუმა მუა отецъ; მუა-ნთირი или მუა-ნთელი тесть, свекоръ (букв. замененный, обмененный отецъ, см. თირუა 2); -- მუმა-ცონირი, მუმა-ცონერი вотчимъ (букв. привитый отецъ, см. ცონუა).

თქვენ თანდათანობით უნდა მიეჩვიოთ წარმართულ კოლხური მეტყველების საოცრად ხატოვანი აზროვნების კითხვას. საწყისში ეს გაგიჭირდებათ, ვინაიდან თანამედროვე ადამიანებს დიდი ხანია დაკარგული გვაქვს ჩვენს წინაპართა მსგავსი გარე სამყაროს უშუალოდ აღქმის უნარი.

განვიხილოთ წარმართული კოლხური ხატოვანი ხედვა-აზროვნების შედარებით მარტივი მაგალითი: დიდაყონირი // დიდაყონერი და მუმაყონირი // მუმაყონერი. იოსებ ყიფშიძე ამ სიტყვათა შინარსების ასახსნელად მიგვითითებს **ყონუა**-აზე.

(**ო. ქ.**) ყონუა[1] მყნა, მყნობა.

ყონუა იშლება სამ შემდგენლად:

ყონუა = ყ(ა) + ონ(ა) + უა.

(**ო. ქ.**) **ყა** 1. რტო, შტო, ტოტი.

(**ო. ქ.**) **ონა, ონი** ტოპოსუფიქსები.**ონი** და **ონა** ერთმანეთს ენაცვლებიან. **ნეძ-ონა** და **ნეძ-ონი** ნიგვზნარი (შდრ. ნეძი კაკალი, ნიგოზი). აღნიშნავენ ადგილს, სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს: **ცხიმურ-ონი** (შდრ. ცხიმური) რცხილნარი, ბულ-**ონი** ბალნარი (შდრ. **ბული** ბალი); თხუმულ-**ონი** მურყნარი (შდრ. **თხუმუ** თხმელა, მურყნარი); ჯალ-**ონი** ადგილი, სადაც ბევრი ხეა (შდრ. **ჯა//ჯალ** ხე).

ჩვენ თუ გავიხსენებთ ეგვიპტელთა წარსულიდან, რომ **ათ-ონი**-ს (მზის) „საკულტო ცენტრი იყო **ონი** (ჰელიოპოლისი)", უნდა მივხვდეთ თუ რატომ ეწოდა **ონი, ონა** „ადგილს, სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს“. ე. ი. **ონი** მზის საკულტო ცენტრია, ანუ მზიანი ადგილია და შესაბამისადაც ესაა ადგილი „სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს". ამ ცოდნის შედეგია:

(**ო. ქ.**) **ყონა** ყანა.

ყონა = **ყ**(ა) + **ონა** = რტო, შტო, ნა-ყა-რი + მზიანი ადგილი = **ყანა**, ანუ **ყონა** (ყანა) არის ადგილი, სივრცე სადაც ხარობს სიმინდის, ხორბლის... ამონა-**ყა**-რი, ანუ თავად სიმინდის, ხორბლის... ნედლი ღეროები თავისი ტაროებითა და თავთავებით. აქ უკვე უნდა მივხვდეთ, **ყონუა**[1]-ს შემთხვევაში **ონ**(ა) მიგვანიშნებს, რომ ხის ტოტი, რტო, რომელზედაც ხდება მყნობა ნედლია, „გახარებულია“. ამრიგად:

ყონუა[1] = **ყ**(ა) + **ონ**(ა) + **უა** = ტოტი + ნედლი + მოქმედება = **მყნობა**.

(**ო. ქ.**) **ყონუა**[2] ფრინველის (ქათმის, მამლის; ჩიტის...) წასვლა საღამოს ღამეგასათევ ადგილას; დაბუდება. გადატ. შეყოვნება. **ბრელხანც დეყონუ/ბ** დიდხანს დაყოვნდა.

ყონუა[2]-ს განმარტებაში ხაზგასმულია, რომ ეს ეხება მხოლოდ ფრინველებს, რომლებიც განსხვავებით ცხოველებისაგან ხეებზე იბუდებენ, ხეებს დროებით „ემყნობიან“ და შესაბამისად ყოვნდებიან.

(**ო. ქ.**) **ყონერი** მაგიერი, ნაცვალი. სიტყვ.სიტყვ. ნამყენი. შდრ. დიდაყონერი, ჯიმა ყონერი.

(**ო. ქ.**) **ყონიერი** [და]მყნობილი. გადატ. დიდი, მოსული, მოყვანილი; ჯანიანი.

(**ო. ქ.**) **ყონილ/რ**-ი 1. დამყნილი. 2. დაბუდებული (ფრინველი).

ე. ი. როგორც ხის ერთ-ერთ ტოტზე, **ყა**-ზე ემყნობა უცხო ხის კვირტი და შემდგომ იგი ამ ხის მშობლიური, ერთიანი სხეულებრივი ნაწილი ხდება, ასევე დედა ან მამა დაკარგულ ოჯახში უცხო ოჯახის წევრი ენაცვლება, ,,ემყნობა", იკავებს დაკარგული დედის ან მამის ადგილს და დროის განმავლობაში ოჯახის მკვიდრი წევრი (დედინაცვალი ან მამინაცვალი) ხდება. ასევე ხის ტოტებში გამართულ ბუდეში კვერცხებს გადაფარებული, ბარტყების გამოჩეკამდე ბუდეში გაუნძრევლად დაბუდებული ფრინველი თითქოს დაემყნო ამ ხეს და მისი ნაწილი გახდა.

მყნობის ძირითადი მიზანია ხის, ვაზის ჯიშის გაუმჯობესება, მისი „ყონიერება“ ანუ იგივე **ღონიერება**.

წარმართული ყონუა[1]-დან ქართულში წარმოდგა მ-ყნ-ობა, ნამყენი... ხოლო Qონუა[2]-დან მივიღეთ ყოვნა, შე-ყოვნ-და... ანუ დროებით სადღაც დაბუდდა, მოყუჩდა.

ე. ი. **ყონუა** > (უა > ვა) > **ყონვა** > (ნ >< ვ) > **ყოვნა** > **დაა-ყოვნა**.

უკვე **დიანთირი**-სა და **მუანთირი**-ს შემთხვევაში იოსებ ყიფშიძე სიტყვათა შინაარსების ასახსნელად მიგვითითებს თირუა-ზე. **თირუა**-ს ფუძეა **თირა**. ჩვეულებრივ ხატოვანი ბუნებისაა წარმართულ კოლხურში მცნება **თირა**-ს (შენაცვლება¬-ს) წარმოსახვა. უძველეს ხანაში, როცა იქმნებოდა წარმართული კოლხური მეტყველება, ქურუმთა წინაშე იდგა რიგითი ამოცანა, როგორ გამოესახათ ხატოვნად აბსტრაქტული, განყენებული მცნება **შეცვლა** და მათ მარტივი და შესაბამისად გენიალური გადაწყვეტილება მიიღეს, ამ მიზნისთვის შეირჩა გარემო პეიზაჟის შემცვლელი თოვის პროცესი – **თირი** (თოვლი) > **თირუა** (თოვლობა). გამოვიკვლიოთ **თირი**-ს წარმომავლობა და შინაარსი.

იმ ცოდნის გათვალიწინებით, რომელიც თქვენ წინ გელოდებათ, მოგახსენებთ, რომ თავად **თირი**-ს მასალა წარმართული კოლხური მეტყველების შუმერულ-ეგვიპტური ნასესხობაა.

„შუმერული სიტყვა **თი** ნიშნავს სიცოცხლის მიცემას“ (**ნინ-თი** = „ქალბატონი რომელიც სიცოცხლეს იძლევა“) და შუმერული **თი** წარმართულ კოლხურში გაცხადების, გაჩენის მცნებებს გამოსახავს,

(**ო. ქ.**) **თი**[1] (მრავლობითი რიცხვი არა აქვს) ოჯახი; სახლი, სახლ-კარი.

(**ო. ქ.**) **თი**[2] ჩვენებითი ნაცვალსახელი ის.

(**ო. ქ.**) -**თი**[3] სუფიქსი აღნიშნავს სახლი. ოჯახი: ჩილორთი ცოლის ოჯახი

ე. ი. შუმერულ-კოლხური -**თი**[3] გამოსახავს ოჯახს და ადგილს სადაც შენ „სიცოცხლე მოგეცა", ანუ გაჩნდი, გაცხადდი. მოგვიანებით ეს მცნება ქართულშიც განივრცო და ქვეყნის, მხარის აღსანიშნავად გამოიყენება – კახე-თი, ინდოე-თი, ჩრდილოე-თი...

წარმართული ჩვენებითი ნაცვალსახელი **თი**[2]-ს ცოდნით მეგრულში შეიქმნა **კითი** და შემდგომ ქართულში **თითი**, რითაც აჩვენებ, მიუთითებ, აცხადებ. წარმართული **კითი**-ს ცოდნაა ქართულ სიტყვებში:

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კითი**[1] ყურძნის ჯიშია, იგივეა, რაც თითა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კითი**[2] კუთხ. (ქიზ.) ჯოხი (30 – 35 სმ), რომლითაც სცემენ ბამბის საპენტ ლარს (ე. ი. ქიზიყური კითი თითივით, კითივით მოკლეა, რასაკვირველია მატყლის საპენტ ჯოხთან, წკეპლასთან შედარებით **ჯ.კ.**).

წარმართული კოლხური თანხმოვანი **რ** ეგვიპტური მზის **რა**-ს ცოდნას წარმოგვიდგენს. წარმართულ კოლხურში, თანხმოვანი **რ** მზის (**რა**-ს) სიცოცხლის არსებობისთვის აუცილებელობიდან გამომდინარე, მხოლოდ ორ -- არსებობისა და მოძრაობის მცნებებს გადმოგვცემს. ასევე შუმერულად თანხმოვანი **რ** იგივე მოძრაობის მცნებასაც აღნიშნავს; აქედან გამომდინარე წარმართულ კოლხურში ბოლოსართები –**რი**, -**არი** გამოსახავენ **არი**, არსებობს (ზან-**არი** = ზანი არის; ოდიშ-**არი** = ოდიშელი არის; ოპიზ-**არი** = ოპიზელი არის // ოპიზიდან არის...).

ვინაიდან თოვლი ცაში წარმოიქმნება და თოვის პროცესში თეთრი თოვლი ციდან გარემოს ეფინება, ჩნდება, ცხადდება, შესაბამისად, თოვლის მცნება გამოისახა შუმერულ-ეგვიპტურის ცოდნით შედგენილი კომპოზიტით – **თირი**.

თირი = **თი** + **რი** = გაცხადება + არის = თოვლი (ციდან მიწაზე) ცხადდება (ჩნდება). ამ ცოდნის შედეგია ქართული თეთრი (თოვლივით).

(**ო. ქ.**) **თირ**-ი თოვლი.

(**ო. ქ.**) **თირა**[1], **თირალა** თოვლობა.

(**ო. ქ.**) **თირა**[2], **თირაფა** შენაცვლება.

(ო. ქ.) **თირუა**[1] 1. ცვლა; შეცვლა, შენაცვლება; 2. თრევა. **გვერი ფერს ითირანსია, ვარა წესის ვეთირანსია** – გველი ფერს იცვლის, წესს კი არ იცვლისო. **თირილი** გაცვლილი. **ნთირუა** თრევა.

(ო. ქ.) **თირუა**[2] თოვლობა.

ე. ი. **თირა** ერთდროულად ნიშნავს როგორც თოვის პროცესს, ასევე შენაცვლებას, ანუ თოვლი რომ მოდის და არემარე ითოვლება, ერთდროულად გარემო პეიზაჟიც მკვეთრად იცვლება და შესაბამისად მივიღეთ:

(ო. ქ.) **თირელი** შეცვლილი.

(ო. ქ.) **მონათირი** გამონაცვალი.

(ო. ქ.) **ნოთირი** [გამო]ნაცვალი, სანაცვლო.

რაც შეეხება **ნთირუა**-ს (თრევა-ს) მცნებას, აქაც მისი შინაარსის განმსაზღვრელი თოვის პროცესია. ანუ როცა გარშემო დიდი თოვლი დევს, ტვირთს ბორბლებიანი ურმით ვერ გადაადგილებ და საჭიროა მარხილი, რომელსაც ადამიანები, ხარები, ცხენები მიათრევენ. ცხადია წარმართული **თირუა**[1]-დან ქართულში შეიქმნა **თრევა**.

თირუა > (ი > 0, უა > ევა) > **თრევა** (-ევა > ნგრ-ევა, მტვრ-ევა, მსხვრ-ევა).

ჩვენი კვლევის შედეგად ვადგენთ: მეგრული **დიანთირი** (< **დიანოთირი**) ქართულად ნიშნავს -- თქვენი მეუღლის დედა თქვენთვის მშობელი დედის სანაცვალოა. და თქვენ ამ ოჯახის შეძენილი შვილი ხართ. ცხადია, იგივე მეორდება **მუანთირი**-ს შემთხვევეაშიც და ამიტომაცაა, რომ მეგრული ენა არ არჩევს მამამთილ-სიმამრს, დედამთილ-სიდედრს. ფორმა **ნთილი (დიანთილი, მუმანთილი)** არქე ფორმა **ნთირი**-ს (ნოთირი-ს) რბილი გამოთქმაა, რაც წარმართული კოლხური მეტყველების ტრადიციაა (თას**ირი** // თას**ილი**). **ნთირი**-ს ფონეტიკური დანამატის **ნ**-ს მნიშვნელობას მოგვიანებით გაეცნობით.

ლაზები ამარტივებენ გამოთქმას და იყენებენ მხოლოდ **თირელი**-ს (შეცვლილი-ს) შეკვეცილ ფორმას **მთირ**-. ამ შემთხვევაში ლაზურში თანხმოვანი **მ** ასრულებს იგივეს, რასაც ქართულში **მ**-ცველი (< დაცვა), **მ**-ხსნელი (< ხსნა).

რაც შეეხება ქართულ ფორმა **მთილ**-ს, აქ უკვე განსხვავებული შინაარსის მცნებასთან გვაქვს საქმე.

(ო. ქ.) თილი იგივეა, რაც **თი**[1].

(ო. ქ.) **თი**[1] (მრავლობითი რიცხვი არა აქვს) ოჯახი; სახლი, სახლ-კარი.

ე. ი. **თილი** ნიშნავს ოჯახს, სახლ-კარს.

მეგრ. **თილი** (= ოჯახი) > (+მ) > ქართ. **მთილი** (= ოჯახი).

აქ განსხვავებით ლაზური მ-**თირე**-სი, ქართულ **მთილი**-ში ფონეტიკური დანამატი, თანხმოვანი **მ** მხოლოდ აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას (გერი > მგელი). ცხადდება ქართული **დედამთილი**-სა და **მამამთილი**-ს კოლხური შინაარსი:

დედამთილი = დედა + მთილი = დედა + ოჯახი = დედა ოჯახის.

მამამთილი = მამა + მთილი = მამა + ოჯახი = მამა ოჯახის.

ე. ი. პატარძალი რომ გადადის მეუღლის ოჯახში საცხოვრებლად, მას ხვდება ამ ოჯახის, იგივე მეუღლის როგორც დედა (დედამთილი = დედა ოჯახის), ასევე მამა (მამამთილი = მამა ოჯახის).

ქართული გამოსახვა მცნებისა „დედა ოჯახის“ // „დედა სახლის“ სრულად მეორდება სიტყვაში „დიასახლისი“ (= დედა სახლისა), იგივე აზროვნებისაა „მამა ოჯახის“ // „მამა სახლის“ და „მამასახლისი“ (= მამა სახლისა).

რაც შეეხება მცნებებს **სიმამრი** (ოჯახის მამრი?), **სიდედრი** (ოჯახის მდედრი?) ეს უკვე ქართული ენის შემქნელთა შემოქმედების ნაყოფია.

აქ ჩანართი მაგალითი იმისა, რომ წარმართული კოლხური სრულიად საქართველოს ფარავს და ქართველთა (კოლხთა) პირველი გამაერთიანებელი დედაენაა.

აღსანიშნავია, რომ ფშავში უცვლელი სახითაა შენარჩუნებული წარმართული კოლხური ფორმა **თირ** (< **თირა, თირაფა**) უცვლელივე შინაარსით. გავიხსენოთ **ვაჟა-ფშაველა**.

(**ვაჟა** IX 351): „ფშავლები“

„ბალღი ვინ მოგბიროოდესთ ობოლი, უპატრონო“.

(**ვაჟა** III 145): „ბახტრიონი“

„ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა
რძისთვინ რომ აბირდებიან“.

(**ვაჟა** II 172): „მთაში“

„თუ აგვიტირდა ბალღები,
ვათირებთ პანტის ჩირითა“.

(**ვაჟა** II 192): „შვილთ სანუგეშოდ, დასათირებლად“.

განმარტება: ვათირებთ – ვასუსუებთ, ვაჩუმებთ, ვაშოშმინებთ.

აბირდებიან – მოუნდებათ, სურვილი აღეძრებათ.

ფშაური **ბირდება** და **თირება** წარმართული კოლხური წარმომავლობის სიტყვებია.

(**ო. ქ.**) **ბირაფა** 1. ამღერება; სიმღერა. 2. ცდუნება.

(**ო. ქ.**) **თირა**[2], **თირაფა** შენაცვლება.

ჩვილი საკვების მიღების სურვილს ან სხვა საწუხარს ტირილით ამცნობს გარშემო მყოფთ და არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ პოეტური ბუნების ფშავლებმა ბავშვების ტირილი სიმღერის მცნებას დაუკავშირეს. ამრიგად, ფშაური ბირ-დება-ს ფუძეა მეგრული ბირა (სიმღერა).

ე. ი. „რძისთვინ რომ აბირდებიან" = „რძისთვის რომ ამღერდებიან“.

ბირა-ს მეორე მნიშვნელობა ცდუნება ქართულში ისმის ფორმით გადაი-ბირა, ანუ აცდუნა; ხოლო ვიცით რა, რომ მეგრ. თირაფა > (აფა > ება) > ქართ. თირება აღნიშნავს შენაცვლებას -- „ძუძუთ ვათირებთ ბალღებსა“ უნდა გავიგოთ როგორც: „ძუძუთი ტირილს ვუცვლით კარგი განწყობილებით, ანუ ვაწყნარებთ ბალღებსა“.

კეთდება დასკვნა: „ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილი *მ-თილ- არქეტიპი“ ეს ქართული ენის შემქნელთა მიერ, ქართულ ენაზე დიდი ხნით ადრე არსებული წარმართული კოლხური ენის ლექსიკიდან რიგითი ნასესხობაა.

---------- ***მართუ-** ----------

(**ქართ. ენ. ეტიმ. ლექს.**): „***მართუ-**

ქართ. **მართუ- მართუე** «ნაშიერი ცხოველისა, ფრინველისა»

მეგრ. **მოთ- მოთ**-ა «შვილიშვილი»; **მოთ**-ა-ლ-ეფ-ი «შვილიშვილები»

ლაზ. **მოთ- მოთა**-ა «შვილიშვილი»; ბოზო-**მოთ**-ა «გოგონა»; **მოთ**-ა-ლი «ნაშიერი»...

დასტურდება ძველ ქართულში: შეჭამედ იგინი **მართუეთა** ორბისათა, იგავნი 30,17 O: ჴარი და დათჳ ზოგად ძოვდნენ, და მართუენი მათნი აღრეულად იქცეოდიან, ესაია 11,7 J: რაჲ წელ ქათმისა **მართუვაკაჲ** გაუზარდის შესაწირავად და სხვ.

ქართულ **მართუ**-ე ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **მოთ**-ა და ლაზური **მოთ**-ა (მეგრული და ლაზური ფუძეებისათვის ამოსავალია საერთოზანური ***მორთუ-ა** არქეტიპი). ლაზური **მოთ-ა-ლ-ი** («ნაშიერი») ამავე **მოთ**- ძირს უკავშირდება.

ქართველურ ენათა მასალა შეაპირისპირა ქ. ლომთაძემ (ლომთაძე 1961, 263-268)“.

ლაზურ-მეგრული **მოთ**-ა წარმოდგება წარმართული კოლხური მორთელი-დან.

(ო. ქ.) **მორთელი**[2] შვილთაშვილი.

(ო. ქ.) **მოთელი** შვილიშვილის შვილი. შდრ. ლაზ. მოთალ შვილიშვილი; ნაშიერი.

(ო. ქ.) **მოთა** შვილიშვილი.

ცხადია: **მორთელი** > **მოთელი** > **მოთალ** > **მოთა**. სიტყვათა მნიშნელობებს განსაზღვრავს ჰარმონიული წყვილის **რთ**-ს შინაარსი. წარმართული კოლხურის ცოდნით, ჰარმონიული წყვილი რთ გამოსახავს გაცხადებულ მოძრაობებს და ჩვენს შემთხვევაში გაყოფას.

(ო. ქ.) **რთილი** გაყოფილი.

შვილები, შვილიშვილები... ხომ დედმამის, ძირი ოჯახის განაყოფს წარმოადგენენ.

ქართული **მართუ**- კი მეგრული **მართუ-ალი**-ს შეკვეცილი ფორმაა.

(ო. ქ.) **რთუალა** 1. გაყოფა. 2. ტრიალი, ბრუნვა. 3. გადახურვა.

მართალი [გა]მყოფი.

მართუალი გამყოფი.

ორთალი [გა]საყოფი.

რთვილი [გადა]ხურული.

ნართი განაყოფი.

აქ ჩამოთვლილი **რთუალა**-დან (1. გაყოფა. 2. ტრიალი, ბრუნვა. 3. გადახურვა-დან) შემდგარი მეგრული სიტყვები: **მართალი, მართუალი, ორთალი, რთვილი, ნართი** მხოლოდ და მხოლოდ მეგრული ენის შემოქმედებას წარმოადგენენ და უკვე წარმართულ სამყაროში წარმოშობის შემდგომ, უკვე ჩამოყალიბებული სახით სრულად „გადაბარგდნენ", დამკვიდრდნენ ქართული (ქრისტეანული) ენის ლექსიკაში.

მეგრული **მართალი** ([გა]მყოფი) ქართულში ეწოდა ადამიანს რომელიც ეჭვმიუტანლად გაყოფს ერთმანეთისაგან თეთრსა და შავს, ბოროტსა და კეთილს და ამდენადაც გვაქვს ქართულშივე – მოსა-**მართლე**, ანუ პიროვნება რომელიც ერთმანეთისაგან გაყოფს, გაარჩევს მტყუანსა და მართალს. შემდგომ წარმართული **მართალი**-დან (გამყოფი-დან) ქართულში შეიქმნა **მართალი** > **სამართალი** > **მართლება, სიმართლე, მართლმსაჯულება, მართვა, მართი, მართკუთხედი, აღმართი, დაღმართი...**

წარმართული **მართუ-ალი**-ს (გამყოფი-ს) შეკვეცილი ფორმაა ძველი ქართული **მართუ**-ე (> **მართვე**).

(ი. ა.) **მართუე** ნაშობი, შვილი, ბარტყი, «ყრმა», «ჴბო».

(ი. ა.) **მართუეაკა**: „ქათმისა მართუეაკაჲ გაუზარდის შესაწირავად წმიდასა თევდორეს".

(ი. ა.) **მართჴს-მოყუარე** შვილის მოყვარე.

ე. ი. წარმართ. **მართუ-ალი** > ქართ. **მართუე** > (უ > ვ) > **მართვე**; როგორც ადამიანების, ასევე ცხოველების, ფრინველების ნაშიერები იგივე ძირი ოჯახის, ბოსელის, საქათმის... განაყოფს წარმოადგენენ.

წარმართული **ორთა-ლი**-ს ([გა]საყოფი-ს) შეკვეცილი ფორმა ორთა შემადგენელია თბილისის ტოპონიმ ორთაჭალა-სი. ცნობისთვის **ჭალადიდი** სოფელია ხობის რაიონში და მეგრულის ცოდნით ჭალა იკითხება როგორც „მცირე სივრცე".

ორთაჭალა მტკვრის შუაში მდებარე, ხმელეთს ორივე მხრიდან მტკვრის დინებებით გამოყოფილი ჭალა, მცირე ზომის კუნძული იყო. კუნძულის მარჯვენა დინების ამოვსების, გაუქმების შემდგომ ეს ტერიტორია აღარაა **ორთაჭალა** და რიგითი მტკვრისპირა ჭალა გახდა.

ორთალი ჭალა (გასაყოფი, გამყოფი ჭალა) > (ლი > 0) > **ორთაჭალა**.

ქართული კვართი, ძველი ქართულით **კუართი**, წარმოდგება მეგრული **კურთა**-დან.

(**ო. ქ.**) **კურთა** ქვედა საცვალი,--ნიფხავი.

ქვედა საცვალს **კურთა** ეწოდა იმის გამო, რომ იგი განიყოფა ფეხების გასაყრელ ორ ტოტად.

მეგრ. **რთვილი** ([გადა]ხურული) ასევე შემადგენელია ქართული **თრთვილი**-სა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **თრთვილი** შეყინული ცვარი, ორთქლი, რომელიც გაცივებულ მიწაზე (ბალახზე, ხეზე...) დევს თხელ თეთრ ფენად.

ქართული **თრთვილი** ასევე წარმართული კოლხური კომპოზიტია:

თირი + **რთვილი** = თოვლი(თ) გადახურული (დაფარული). შემდგომ სიტყვა იკვეცება:

თირირთვილი > (ირი > 0) > **თრთვილი**.

ე. ი. ზამთრისწინა შემოდგომაზე დილით გარემო **დათრთვილულია**, დაფარულია შეყინული ცვრის თხელი ფენით.

მეგრულს გააჩნია **თრთვილი**-ს მსგავსი კომსტრუქციისა და შინაარსის **თართილი**.

(**ო. ქ.**) **თართილი** დასვრილი, მოთხუმპული.

ასევე **თრთვილი**-ს ცოდნითაა შექმნილი **თრიმლი, თრიმვლა**...

(**ქ.ე.გ.ლ.**) **თრიმლი** ხე ან ბუჩქი; იკეთებს პატარა მოყვითალო-მომწვანო ყვავილებს; ფოთლებსა და ქერქს ტყავის გამოსაყვანად ხმარობენ, მერქანს – **საღებავად**.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **თრიმლავს** თრიმლის ფოთლებისა და ქერქის ნაყენში გამოჰყავს, ამუშავებს (ცხოველის ტყავს).

წარმართული **ნართი** (განაყოფი) ეტიმოლოგიურად სახეუცვლელად დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში.

(ქ.ე.გ.ლ.) ნართი რაც დართეს. – დართული (ძაფი). ბამბის ნართი.

(ქ.ე.გ.ლ.) დართული 1. რაც დაართეს, -- გრეხით ძაფად ქცეული. 2. რაც დაურთეს, -- დამატებული.

ე. ი. **ნართი** ესაა გრეხვის, ტრიალის, დართვის საშუალებით ბამბის, ან მატყლის აჩეჩილი ნატურალური, საწყისი მასიდან, მიღებული განაყოფი, გამონაყოფი ძაფი. აქ კი თავად უნდა მიხვედრილიყავით, რომ ქართული რთვა > დართვა მეგრული რთუალა-ს (გაყოფა, გამოყოფა-ს) ცოდნითაა შექმნილი.

რთუა-ლა > (ლა > 0) > **რთუა** > (უა > ვა) > **რთვა** > (+ და) > **დართვა**.

გავიხსენოთ, რომ კოლხური ენები აგლუტინაციურ ენათა ოჯახს განეკუთვნებიან და კოლხური ჰარმონიული წყვილი **რთ** (მოძრაობა გაცხადებული) როგორც თავად წარმართულ კოლხურში, ასევე ქართულ (ქრისტეანულ კოლხურ) მეტყველებაში მრავალი სიტყვის ფუძეა.

ე.ი მეგრ. **რთუა-ლა** > **რთუა** > ქართ. > **რთვა** > **და-რთვა** > **მა-რთვა** (მმართველი, მართვადი, უმართავი...) > **შე-რთვა** > **ჩა-რთვა** > **მო-რთვა** > **გა-და-რთვა** > **გა-ა-რთვა** > **მო-ა-რთვა** > **წა-ა-რთვა... მო-რთვა** > **მო-რთ-ული** > **გა-რთ-ული** (გართობა) > **სა-რთ-ული** > **რთ-ული (სირთულე)... რთ-ველი** ეს ხომ ვენახიდან, ვენახის ველიდან ყურძნის გამოტანა-გამოყოფაა.

ვინაიდან ბერძნულ მეტყველებაშიც ჰარმონიული წყვილი **რთ** მსგავსი მცნებების ფუძეა, ენათმეცნიერთა ნაწილის მცდარი წარმოდგენით წარმართული კოლხური **მართალი** ბერძნული წარმომავლობის სიტყვადაა მიჩნეული. განვავრცოთ ეს თემა.

ე. ი. ჰარმონიული წყვილი ეწოდება ორი თანხმოვნის მნიშვნელობათა გაერთიანებით (ჰარმონიით) მიღებულ ახალ მცნებას, რომელიც თავად ხდება ფუძე ახალი, მსგავსი ბუნების მცნებათა წარმოსაქმნელად

კოლხურს მრავლად გააჩნია მსგავსი წყვილები და მათ შორისაა ჰარმონიული წყვილი **რთ**.

რთ = **რ** + **თ** = **მოძრაობა** + **გაცხადება** = გაცხადებული მოქმედებები.

(ი. ყ.) 1. **რთ**: რთუალა делить...

2. **რთ**: **გო-რთგმა** делаться, становиться, обращаться во что...

3. **რთ**: რთინა, რთაფა, რთინაფა, რთილი, დო-რთინა **вертеть, крутить, возращать, обращать...**

4. **რთ**: ი/ეკო-რთა, ი/ეკო-რთაფა падение...

5. **რთ**: რთგმა, რთუმა **делать**...

6. **რთ**: хождение...

ამრიგად, ჰარმონიული წყვილით **რთ**-თი მეგრულში აღინიშნება მცნებები: **ერთი, გაყოფა, დაბრუნება, გადადება, გახუნება, ბრუნვა, ტრიალი, მოქცევა, შექცევა, გადახურვა, ჩარტყმა, ქმნა, კეთება, თქვლეფა, სიფრთხილე...**

ქართულში წარმართული კოლხური ჰარმონიული წყვილის **რთ**-ს აზროვნება უცვლელად გადავიდა და მისგან შემდეგი შინაარსის სიტყვები წარმოიქმნენ – **რთ: ერთი, რთული, რთვა, სართავი, რთველი, მართალი, მოსამართლე, სამართალი, სიმართლე, მართი, მორთული, გართობა, მართვა, მართებს, მართებული, მართვე, მიართვა, გადართვა, ჩართვა, ჩამორთმევა, წართმევა, სართული, ფართი...**

მსგავსი მდგომარეობაა ბერძნულშიც. აქაც ჰარმონიული წყვილი **რთ** გაცხადებულ მოქმედებებს გამოსახავს – **ρθ**:

ორთო- [< ბერძ. **ορθοσ** სწორი, პირდაპირი; მართალი.] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს სწორს, გასწორებას. მაგ., ორთოგრაფია, ორთოპედია...

ορθοω-1) поднимать... 2) делать прямым... 3) воздвигать, сооружать... 4) направлять в цель, давать нужное направление... 5) удаваться, преуспевать... 6) приводить в порядок, восстанавливать, исправлять, улучшать... 7) быть правильным, справедливым... 9) возвеличивать, прославлять.

ορθρος -- рассвет, утреняя заря, ранее утро.

ορθον -- 1) хорошее состояние, благополучие; 2) честность, справедливость.

აღსანიშნავია, რომ, გამომდინარე **რთ**-ს საერთო თვისებიდან, კოლხურსა და ბერძნულში შეიქმნა ასევე საერთო მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები.

ορθθο-βοολοσ -- даюший справедливые советы, правильно советующий.

ορθοβοολιος -- 1) требующий размышления т.е. серьезный, важный... 2) рассудительный, мудрый.

ορθα -- правильно, правдиво.

ე. ი. ბერძ. **ορθα**-ს (ორთა-ს) და წარმართული კოლხური **მართალი**-ს შინაარსთა ერთგვაროვნებას განსაზღვრავს საერთო ჰარმონიული წყვილის **რთ**-ს აზროვნება – „გაცხადებული მოქმედება“; მხოლოდ ამ ნაშრომით თქვენ უნდა ისწავლოთ, რომ მეგრულმა ენამ იცის: თანხმოვანი **რ** ეს ეგვიპტური მზის **რა**-ს, იგივე **რე**-ს ლოგოგრამაა და ამიტომაც გამოსახავს მზის ერთერთ მახასიათებელს -- მოძრაობას, ხოლო თანხმოვანი **თ** ეს შუმერი სიცოცხლის გამჩენი დიდი დედის **ნინთი**-ს, შუმერი მზის

ღვთაების **უთუ**-ს, ეგვიპტური მზის ღმერთის **ათუმი**-ს, ეგვიპტური მზის დისკის **ათონი**-ს ცოდნას ატარებს და ამდენადაა ის გაცხადება. ეს ყოველივე ბერძნულმა მეტყველებამ არ იცის და ჰარმონიული წყვილი **რთ** ბერძნული ენის რიგითი ნასესხობაა, გასარკვევია მხოლოდ, კოლხურიდანაა ნასესხობაა თუ მოსაძებნია საერთო ძირი.

დამატებით, ხაზი უნდა გაესვას იმ რეალობას, რომ საიდანაც არ უნდა წარმოდგებოდეს ჰარმონიული წყვილი **რთ**, სიტყვები: მართალი, **მართუალი, ორთალი, რთვილი, ნართი**... მხოლოდ და მხოლოდ წარმართულ კოლხურ სამყაროში წარმოშობის შემდგომ, უკვე ჩამოყალიბებული მზა სახით სრულად „გადაბარგდნენ", დამკვიდრდნენ ქართული (ქრისტეანული) ენის ლექსიკაში.

---------- ***მას**- ----------

(**ქართ. ენ. ეტიმ. ლექს.**): „***მას**-

ქართ. **მას- მას**-ე «ბადე»

მეგრ. **მოს- მოს**-ა «ბადე; ქსელი»; **მოს**-უ-ა «ქსოვა»; ნა-**მოს**-ა «ქსელი»; ბორბალაში ნა-**მოს**-ა «ობობას ქსელი»...

ლაზ. **მოს- მოს**-ა «ბადე»; ქაფჩაში **მოს**-ა «ხამსის დასაჭერი ბადე»...

არ დასტურდება ძველ ქართულში. სულხან-საბას განმარტებით, «**მასე** ცალწვერა და უმძიო ბადე».

ქართულ **მას**-ე ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **მოს**-ა და ლაზ. **მოს**-ა.

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (Кифшидзе 1914, 199; სხვაგვარი დაკავშირება იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 245); ლაზური ექვივალენტი გამოავლინა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1918, 223). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***მასე-/ა-** არქეტიპი (ЭСКЯ, 128; შდრ.: Климов 1998, 116)".

---------- * * * ----------

(**ს. ს.**) **მასე** ბადე.

ქართული **მასე** «ბადე» წარმოადგენს მეგრული **მოსა**-ს «ბადე-ს» ხელოვნურად გადაკეთებულ ვარიანტს, ვინაიდან ქართული ენის წიაღში არ არსებობს არავითარი მონაცემები, რომ მასში გაჩენილიყო ტერმინი **მასე** «ბადე»; მაშინ როდესაც მოსა წარმოადგენს წარმართული კოლხური აზროვნების ლოგიკურ განვითარებას.

(**ო. ქ.**) **სუ** ბოტან. ჩვეულებრივი სელი... შდრ. ლაზ. სულ: ოსულუ კანაფის დაწვრილება თოკად (ნ. მარი). ტოპონ. სულერი ადგილი, სადაც სელი ითესებოდა (მ. კვირტია); სელიანი.

(**ო. ქ.**) **მოსუა** 1. მოსვა. 2. ქსოვა.

(**ო. ქ.**) **მოსა** 1. სათევზაო ბადე. 2. ობობას ქსელი.

ჯერ კიდევ **ჰეროდოტემ** (ძვ. წ. V ს.) გვამცნო, რომ კოლხები სელით ნაქსოვი ქსოვილებით წარმატებით ვაჭრობდნენ მეზობელ ქვეყნებში. ანუ სელით ქსოვას კოლხები უძველესი ხანიდან იყვნენ დაუფლებულნი და შესაბამისად ლოგიკურია, რომ **სუ**-დან (სელი-დან) წარმოიქმნა ჯერ **მოსუა** სიტყვ.სიტყვ. მო-სელ-ვა (1. სელის ნაქსოვით დაფარვა. 2. ქსოვა) და შემდგომ უკვე ნაქსოვი **მოსა** (ბადე, ობობას ქსელი). ის,

რომ ქართულში დამკვიდრებულია წარმართ. ფორმა **მოს** და არა ქართ. ფორმა **მას**, თავად სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით იკითხება.

(**ს. ს.**) **სამოსელი** ტანს საცმელი, ტანისამოსი (ე. ი. სა-**მოს**-ელი ჯ.კ.).

მეგრ.. **სუ** > **მოსუა** > (უა > ვა) > ქართ. **მოსვა** > შე-**მოს**-ვა > შე-სა-**მოს**-ი > სა-**მოს**-ი > ტანი(-ს)-სა-**მოს**-ი > სა–**მოს**-ელი...

შემდგომ ქართულში მცნება მოსვა განივრცო და მივიღეთ:

მოსვა > [გვერდზე] **მოისვა** > [სახეზე} წა-ი-**სვა** > [თავზე] და-ი-**სვა** > და-ი-**სვა**-რა > და-**სვ**-რილი > **სვრა**...

წარმართულ **მოსუა**-ში მო ზმნისწინია და ფუძეს წარმოადგენს **სუ**, რომლისგანაც მეგრულში წარმოდგა იგივე **მოსუა**-ს შინაარსის **სუმა**.

(**ო. ქ.**) **სუმა** [წა]სმა.

მეგრ. სუ > სუმა > ქართ. **სმა**, მსგავსად თქუმა > თქმა, დგუმა > დგმა... უკვე ქართული **სმა**-დან აგლუტინაცია-აპლიკაციით მივიღეთ:

სმა > **ასმა** > **დასმა** > **გასმა** > **მოსმა** > **წასმა... ასევე მოსმული, წასმული, დასმული, გასმული...**

აქ ჩვენ წარმოვაჩინეთ თუ რატომა გვაქვს ქართულში ერთი და იგივე ფონეტიკური ფორმა **სმა** სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით.

(**ქ.ე.გ.ლ.**): **სმა**[1] სახელი სვამს1 ზმნის მოქმედებისა: 1. სითხის მიღება ორგანიზნში, -- დალევა. 2. ალკოჰოლიანი სასმელების (ღვინის, არყის...) ხშირად მიღება, -- ლოთობა; ქეიფი.

(**ქ.ე.გ.ლ.**): **სმა**[2] სახელი ისვამს1, უსვამს ზმნათა მოქმედებისა, -- წასმა, მოსმა.

პირველი ფორმა **სმა**[1] წარმოადგენს წარმართული **შუმა** (სმა, დალევა), **შუმუა**-ს (დათრობა-ს) ხელოვნურ ფონეტიკურ ცვლილებას [**შუმა** > (შ > ს, უ > 0) > **სმა**] და ატარებს შესაბამის მნიშვნელობებსაც.

მეორე ფორმა **სმა**[2] წარმართული **მოსუა**-ს (მოსვა-ს) > **სუმა**-ს ხელოვნური ფონეტიკური სახეცვლილებაა და შესაბამისად ქართულ მეტყველებაში ატარებს მოსმის, წასმის... მნიშვნელობებსაც.

ხოლო „ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილი ***მასე**-/ა-არქეტიპი“ მხოლოდ და მხოლოდ წარმართული მოსა-ს ხელოვნური, მექანიკური ფონეტიკური სახეცვლილებაა.

---------- ***ძუ** ----------

(**ქართ. ენ. ეტიმ. ლექს.**): „***ძუ**

ქართ. **ძუ- ძუ-ძუ-ჲ**

მეგრ. **ძუ- ძუ-ძუ** «ძუძუ»

დასტურდება ძველ ქართულში: რომელნი-იგი დღითი დღედ სწოვედ **ძუძუთა** დედისათა, ხანმ. მრავალთ. 8bv,7-10a; მანაინ, რომელი იგი იყო **ძუძუჲსმტე** ჰეროდე მეფისაჲ...

ძუძუ რედუპლიკაციის შედეგად ჩანს მიღებული (**ძუ-ძუ**).

ქართულ ძუ-ძუ- ფუძეს შეესატყვისება მეგრული ძუძუ-. ლაზური ბუძ-ი ბერძნულიდან არის ნასესხები (შდრ.:ЭСКЯ, 235; Klimov 1998, 281-282).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***ძუძუ** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 235; Klimov 1998, 281).

---------- * * * ----------

მეგრულ-ქართული **ძუძუ**-ს ფუძეა სრულიად განსხვავებული შინაარსის მეგრული **ძუ**.

(ო. ქ.) **ძუ** იხ ძვენა..

(ო. ქ.) **ძვენა**[1] სახელი ძუ(ნ) ზმნისა – დება; ყრა (ბევრისა); არსებობა.

(ო. ქ.) **ძუა** ცხენის კუდის თმა, ძუა.

(ო. ქ.) **ძუბუკი** უზრდელი, ზნედაცემული.

(ო. ქ.) **ბუკი** 1. ჯირკი, კუნძი. 2.ხის მორი, ქვა ან რკინა შუაცეცხლზე (კერიაზე) შეშის თავის დასადებად. 3. სკა. გამოთლილი მორი ფუტკრისათვის.

ძუბუკი = **ძუ** + **ბუკი** = ძევს, არსებობს + კუნძი, ჯირკი = კუნძივით, ჯირკივით (უხეში, მოუქნელი) არსება = უზრდელი.

(ო. ქ.) **ძუძუ ძუძუ.**

ე. ი. **ძუ** აღნიშნავს ძევს, არსებობს, არის, ხოლო ქალის მკერდზე ორი სარძევე ჯირკვალი **ძუ-ძუ** (არსებობს-არსებობს || ძევს-ძევს); ცხენს გავაზე ერთი კუდი გააჩნია, რომელშიც **ძუ** (ძევს, ყრია) ბევრი **ძუ**-ა, ანუ ცხენის კუდი მრავალი **ძუა**-საგან (შემადგენლისაგან) შედგება. ვინაიდან ტერმინ **ძუძუ**-სთან მდედრის სახება ასოცირდება, დედალ ცხოველს ეწოდა **ძუ** (ძუძუებიანი).

ე. ი. მეგრულ-ქართული **ძუძუ** ვერ შეიქმნებოდა, რომ არ არსებულიყო წარმართული კოლხური **ძუ**-ს შიანაარსი და ცხადია, რომ მცნებები **ძუძუ** > **ძუ** > **ძუა** წარმართული კოლხურიდან ქართული ლექსიკის რიგითი ნასესხობაა.

განხილული წარმართული კოლხური ფუძიდან ქართულში შეიქმნა განსხვავებული მცნებებიც

(ო. ქ.) **ძგ, ძუ, ძვენა** დება; ყრა (ბევრისა); არსებობა.

ამ ცოდნის განვითარებაა:

(ო. ქ.) ძინუა მატება, შემენა; მოგება. იძინანს იმატებს. მააძინაფუ მოამატებინა. მაძინალი მმატებელი. ოძინე სამატი. ნაძინა ნამატები.

წარმართული კოლხური **ძვენა, ძინუა**-ს მასალითა და აზროვნებით ქართულში შეიქმნა მცნება [შე]**ძენა**, მხოლოდ ფუძე **ძენა** დამოუკიდებელ სიტყვად ვერ ჩამოყალიბდა და მხოლოდ თავსართებისა და ბოლოსართების დართვით გამოიყენება.

(ქ.ე.გ.ლ.) ს-**ძენ**-ს (შეს**ძინ**ა, შეუ**ძენ**ია) რისამე მქონებლად ხდის, {მო]აპოვებინებს.

შეი**ძინ**ა, შეი**ძენ**ს, შეუ**ძენ**ია... და ბოლოს დას**ძინ**ა (= დაუმატა).

---------- ***ურჩხ-** ----------

(ქართ. ენ. ეტიმ. ლექს.): „***ურჩხ-**

ქართ. **ურჩხ- ურჩხ**-ი «ნაწლავი»

ლაზ. ინჩხ- **ინჩხ**-ი-**მენჩხ**-ი «ნაწლავი»

დასტურდება ძველ ქართულში: ხოლო უკუეთუ მკურნალობისა რაჲმე მოღუაწებაჲ იქმნას მათთჳს და თელგისმჭამელი რაჲმე წამალი მიეცემის და შეკრებული იგი ურჩხთა

შინა სტომაქისათა განითხიოს და წარირღუნას, Ost.-3 88r,1-10b; არა უქმად მდებარე არიან ცხოველთა შორის... მრავალურჩხნი და წელსხჳლნი, ექუს დღეთ. (აბ.) 110,8.

სულხან-საბას ლექსიკონში გვაქვს: «**ურჩხი** უკანა ნაწლევი»; «**მრავალურჩხი** მრავალნაწლევი».

ქართული **ურჩხ**- ძირის შესატყვისი უნდა იყოს ლაზური **ინჩხ**- (<***უნჩხ** <***ურჩხ**- ***რჩ>ნჩ** ასიმილაციის შესახებ იხ. ჟღენტი 1953, 122-1280.). ლაზური **ინხი** -**მენჩხ**-ი რედუპლიცირებული ფუძე ჩანს. მასალა შეაპირისპირა ზ. სარჯველაძემ.

---------- * * * ----------

ქართველ ენათმეცნიერთა მიერ სრულიად იგნონირებულია მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქართული **ურჩხი** მომდინარეობს წარმართული **ურჩხუ**-დან. ანუ მათ სპილო ვერ შეამჩნიეს.

(**ო. ქ.**) **რჩხუალა** რეცხვა (ჭურჭლის, იატაკის...)...

მარჩხუალი მრეცხავი.

ორჩხალი, ორჩხეში სარეცხი.

რჩხილი [გა]რეცხილი.

ნარჩხი ნარეცხი.

ურჩხუ [გა]ურეცხავი. შდრ. ლაზ. **ოჩხუ** რეცხვა (ნ. მარი); ლეჩხ. **გამარჩხალება** ძალზე კარგად გარეცხვა, გაწმენდა.

რეცხვისთვის აუცილებელია ცხელი წყალი და გურულ-იმერულ დიალექტებში შემორჩა:

(**ქ.ე.გ.ლ.** 8) **აკვარჩხალება** „წყლის ძლიერი დუღება“.

ე. ი. მეგრულად **ურჩხუ** ნიშნავს გაურეცხავს, გაუწმენდავს და ნაწლავებში მოძრავი საკვები, რომელიც სხეულშივე გადამუშავდება, უკანა ნაწლევში არასასურველი მასის სახით გროვდება. ბუნებამ ისე შექმნა, რომ მიუხედავად ამ სიბინძურისა, ნაწლავები არასოდეს არ ირეცხება (ადრე კლიზმა არ არსებობდა), ვთქვათ, მსგავსად პირის ღრუსი და რაც აისახა კიდეც სიტყვაში ურჩხი – გაურეცხავი.

(**ო. ქ.**) **ურჩხუ** იგივეა, რაც ურჩხული გაურეცხავი.

ამრიგად, გარდა **ურჩხის**-სა, მეგრული **ურჩხუ, ურჩხული**-დან (= გაურეცხავი-დან) ქართულში წარმოდგა **ურჩხული** (იგივე, რაც გველეშაპი) ანუ [გა]ურეცხავი, [გა]უწმენდავი = უწმინდური. აქ დააკვირდით, რომ მსგავსი აზროვნების მატარებელია უწმინდური, ანუ წმენდა > გაწმენდილი > წმინდანი და წმენდა > გაუწმენდავი (იგივე გაურეცხავი) > უწმინდური. ასევე გაითვალისწინეთ, რომ თავად სიტყვა **წმენდა** მეგრული **წიმინდუა**-დან წარმოდგება.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ლექსიკონის განმარტებას **რჩხილი** [გა]რეცხილი., გაგვახსენდება, რომ მეგრული **რჩხილი** შემადგენელია ქართული სიტყვისა **ფ-რჩხილი**. **რჩხილი** ასევე შემადგენელია მეგრული სიტყვისა **ვა-რჩხილი**.

(**ო. ქ.**) **ვარჩხილი** ვერცხლი

ვარჩხილი > (ა > ე, ჩ > ც, ი > 0) > **ვერცხლი**.

ორივე შემთხვევაში **რჩხილი** მიგვანიშნებს **ფრჩხილის** და ვერცხლის (ვა-**რჩხილის**) კრიალა, ნარეცხივით ნათელ ზედაპირზე.

ჩხოროწყუს რაიონის მთიანეთში მდებარეობს ტბა, რომელსაც ეწოდება **ტობავარჩხილი** და ქართულად მას თარგმნიან როგორც **ვერცხლის ტბა**, რაც მეგრული ენის აზროვნების უცოდინრობაზე მეტყველებს. სახელწოდება **ტობავარჩხილი**-თ

იგულისხმება არა ის, რომ ტბას თავად ვერცხლის, როგორც ლითონის მცნებასთან რაიმე კავშირი გააჩნია, არამედ ის, რომ ტბა სუფთაა, წმინდაა („გარეცხილივით, ვერცხლივით") და **ტობავარჩხილი** ქართულად უნდა აღვიქვათ როგორც **კრიალა ტბა // ტბაკრიალა**.

აქ გავიაზროთ, რომ მეგრული სიტყვების გადაქართულებისას, ქართული ენის ბერძნული ტრადიციის მიხედვით (ბერძნულს არ გააჩნია თანხმოვანი **ჩ**), ხშირად მეგრ. შიშინა თანხმოვანი **ჩ** იცვლება მისი ექვივალენტი სისინა თანხმოვანი **ც**-თი; მაშინ მეგრ. **რჩხილი**-დან (**ჩ** > **ც**) ვღებულობთ ქართ. **რცხილი** და ვერცხლივით **რცხილი** (< **რჩხილი**), კრიალა ტანისთვის ეწოდა ხის ჯიშს **რცხილა**, ხოლო მბზინავი, კრიალა ბუმბულით შემოსილ ჩიტს ეწოდა მე-**რცხალი**.

ე. ი. **ურჩხუ** > **ურჩხი** > (**ჩ** > **ც**) > **ურცხი** და ვიხსენებთ ქართულ სიტყვას **ურცხვი** (**ურცხვი, მორცხვი, სირცხვილი, სარცხვინელი**...). ჩნდება კითხვა – რა კავშირი აქვს **ურჩხუ** > **ურჩხი**-ს, რეცხვის მცნებას, სირცხვილის მცნებასთან. აქ უკვე საჭიროა თავად მეგრული სიტყვა **რჩხუალა**-ს ფსიქოლოგიის წაკითხვა, ანუ ჰარმონიული სამეულის **რჩხ**-ს აზროვნების ცოდნა, რომელსაც მოგვიანებით გაეცნობით.

ამრიგად, ურჩხული, ფრჩხილი, **ვერცხლი, რცხილა, მერცხალი, ურცხვი, მორცხვი, სირცხვილი, სარცხვინელი, რეცხვა, სარეცხი**... მხოლოდ და მხოლოდ წარმართული კოლხური წარმომავლობის ქართულში დამკვიდრებული კოლხური აზროვნების მატარებელი სიტყვებია.

მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად, აქვე განვიხილოთ **ურჩხი**-ს მსგავსი კონსტრუქციის კოლხური სიტყვები **ურჩი, უღრანი, უხეში**.

ურჩი

ურჩი ¬¬ვინც, რაც მორჩილი არ არის.

მორჩილი სხვისი ნება-სურვილის უდრტვინელად, წინააღმდეგობის გაუწევლად ამსრულებელი.

სარჩელი სასამართლოში შეტანილი განცხადება რაიმე დავის გადასაწყვეტად.

სარჩული ტანსაცმლის, საბნისა და მისთანათა შიგნითა პირად გამოკერებული ქსოვილი.

ჩრჩილი პაწაწა პეპელა, რომლის მღილიც შალის ქსოვილების, ბეწვეულის, აგრეთვე ფუტკრისა და მცენარეულის მავნებელია.

ჩამოთვლილ სიტყვათა მნიშვნელობებს განსაზღვრავს წარმართული კოლხური ჰარმონიული წყვილი **რჩ**, რომელიც ასევე წარმართული კოლხური **რჩაფა**-სა და **რჩელი**-ს ფუძეა.

(**ო. ქ.**) **რჩაფა** დაგება, გაშლა.

(**ო. ქ.**) **რჩელი** დაგებული, გაშლილი. [**უდუ**]**ურჩ**[**აფ**]**უ**, **უგურჩუ** დაუგებელი, გაუშლელი.

აქ განვიხილოთ თუ რას აწარმოებს თავსართი **უ**- ბოლოსართ -**უ**-სთან ერთად.

(**ო. ქ.**) **უ**- პრეფიქსი -**უ** სუფიქსთან ერთად აწარმოებს მიმღეობის უარყოფით ფორმებს: **უ-ჩინებ-უ** (შდრ. ჩინება ცნობა) უცნობი, უცნობელი; **უ-დულიებ-უ** (შდრ. დალიება დალევა); **უ-ჭ-უ** უწვი.

ე. ი. **ურჩუ** (< **უდურჩაფუ**) ატარებს **რჩელი**-ს საპირისპირო მნიშვნელობას, ანუ თუ რჩელი აღნიშნავს დაგებულს, გაშლილს, **ურჩუ** აღნიშნავს დაუგებელს, გაუშლელს; ამ

კოლხური აზროვნების ცოდნით, მეგრულ-ქართული **ურჩი** (< მეგრ. **ურჩუ**) ნიშნავს იმ ჯიუტ პიროვნებას ან საქონელს, რომელიც სხვის ნებას ფეხქვეშ არ გაეგებება, არ გაეშლება, არ გაეფინება და პირიქით: **რჩელი** > (ე > ი) > **რჩილი** > **მო-რჩილი** არის ადამიანი, ცხოველი რომელიც სხვის ნებას ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ფეხქვეშ გაეგებება, გაეშლება, გაეფინება.

მორჩილი > **მორჩი** > **მორჩა** > **გამორჩა** > **შემორჩა** > **მოსარჩენი** > **მორჩენილი** > **მორჩენა...**

მო-რჩი > **და-რჩი** > **დარჩა** > **დარჩენა** > **დარჩენილი** > **რჩენა** > **სარჩენი...**

სარჩელი უპირველეს ყოვლისა, ესაა სასამართლოში შეტანილი, ქაღალდის ფურცელზე გაშლილი, გაფენილი, დაფიქსირებული განცხადება რაიმე დავის გადასაწყვეტად.

სარჩული ტანსაცმლის, საბნისა და მისთანათა შიგნითა პირად ჯერ გაშლილი, გაფენილი და მხოლოდ შემდგომ გამოკერებული ქსოვილია; ხოლო იმ სივრცეში სადაც შალის ქსოვილები მუდმივად განფენილია, გაშლილია, იქვე იძიება ამ შალეული ქსოვილების მუდმივი თანამგზავრი, თეთრი ფერის პაწაწა პეპელა **ჩრჩილი**.

რჩელი > **ჩერჩელი** (თეთრი გაშლილი) > (ე > 0, ე > ი) > **ჩრჩილი**.

გავშალოთ თემა მომავალი ცოდნის გათვალიწინებით.

ე. ი. კოლხურს გააჩნია **რთ**-ს შინაარსის მსგავსი აზროვნების მატარებელი ჰარმონიული წყვილი **რჩ**, რომელშიც თანხმოვანი **ჩ** გამოსახავს ცას, სითეთრეს, ნათელს.

რჩ = **რ** + **ჩ** = მოძრაობა + ნათელი = ნათელი მოქმედებები.

(ო. ქ.) **რჩე** || **რჩელა** თეთრი.

რჩე = **რ** + **ჩე** = მოძრავი + თეთრი.

რჩელა = **რ** + **ჩე** + **ლა** = მოძრავი + თეთრი + სხეული.

(ო. ქ.) **რჩელი** გაშლილი, დაგებული (ლოგინი).

რჩელი = **რჩე** + **ლი** = თეთრი (სუფთა) + სივრცე (ფართი, ფორმა).

წარმართული **რჩელი**-თ შემდგარი ორი მსგავსი ტოპონიმია კოლხეთის დსავლეთითა და აღმოსავლეთით.

დარჩელი – სოფელი ზუგდიდის რ-ნში.

დარჩეთი – სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ო. ჭურღულიას განმარტებით **დარჩელი**-ს თავსართი და მარტივი ზმნისწინია, ამ შემთხვევაში აღნიშნავს ჰორიზონტალურ მიმართულებას და **დარჩელი** ნიშნავს დაფენილი.

დარჩელი = დაფენილი (სოფელი).

დარჩეთი = დარჩე(ლი) + თი = დაფენილი + სოფელი.

რჩინი მეგრულად ნიშნავს მოხუცს და შემდეგნაირად იშლება, იხატება:

რჩინი = **რ** + **ჩ** + **ინი.**

(ო. ქ.) **ინი**, -**ინე, ინეშე** ზმნზ. ქვევით, ძირს. დუდ-ინე// დუდ-ინეშე თავქვე, თავით ქვევით, -- დაღმა.

რჩინი = **რ** + **ჩ** + **ინი** = მოძრავი + თეთრი + დაბლით (მოხრილი).

მეგრ. **არჩიოლი** ნიშნავს გათეთრებულს, თეთრს და აქედანაა საკმაოდ გავრცელებული სახელწოდება **არჩილი**, თეთრი ანუ ნათელი. არსებობს გვარიც -- **არჩილია.**

რჩება (= ნათელ მოძრაობათა მოქმედება) ატარებს სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს.

(ო. ქ.) **რჩება**[1] -- 1. რჩოლა, რქენა. 2. დაშავება, ვნება, ცუდი რისმე გაკეთება.

რჩება[2] -- რისამე ჩვევა.

რჩება[3] – რჩევა.

ცხადია კოლხური ჰარმონიული წყვილის **რჩ**-ს განვითარებაა ქართული სიტყვები: ერ**ჩ**ის, **რჩ**ევა, გარ**ჩ**ევა, არ**ჩ**ევს, სარ**ჩ**ევი, არ**ჩ**ევანი, არ**ჩ**ეული, **რჩ**ეული, არ**ჩ**ენს, მარ**ჩ**ენალი, მოსარ**ჩ**ენი, ურ**ჩ**ი, მორ**ჩ**ა, მორ**ჩ**ილი, დარ**ჩ**ა, დარ**ჩ**ენილი, დანარ**ჩ**ენი...

უღრანი

უღრანი ხშირი, დაბურული, გაუვალი (ტყე).

ღრანჯავს დაღრანჯავს დაღმეჭს, დაანაოჭებს, დაპრანჭავს (პირისახეს).

ღრანჭი ქვედა ყბა.

ღრენა გაჯავრებული მხეცის, ძაღლის... შემტევი, მუქარით, წყრომით ხმიანობა.

ღრეცა დაღრეცს გაამრუდებს, მოღრეცს, დაბრეცს.

ღრეჭა იღრიჭება ულაზათოდ (კბილების გამოჩენით) იცინის.

ღრეჯა, დაღრეჯს სახის ნაკვთებს დამანჭავს (ჩვეულებრივ რაიმე უსიამოვნო განცდის გამო). – დაღმეჭს, დაღრეჭს.

ქართული უღრანი წარმოდგება წარმართული **ღრანჯუა** > **უღრანჯუ**-დან.

(ო. ქ.) **ღრანჯუა** [და]ღრეჯა. ღრანჯილი – [და]ღრეჯილი. **უღრანჯუ** – უღრეჯია **უღრანჯუნს** – ეღრიჯება, ეღრიცება.

მომავალი ცოდნის გათვალისწინებით, მოგახსენებთ, რომ სიტყვაში **ღრანჯუა** **დაღრეჯის, დაღრეცის** ფორმებს გამოსახავს ხის მცნების გამომსახველი თანხმოვანი **ჯ** (< **ჯა** = ხე) -- ხის ტოტები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მიმართულებებით ვითარდებიან, ანუ იღრიცებიან, იღრანჯებიან.

წარმართული **ღრანჯ**(უა) ასევე ფუძეა ქართ. სიტყვებისა **ღრანჯავს, დაღრანჯავს, დაღრანჯული.**

(ო. ქ.) **ღრენჩუა** იგივეა, რაც ღრანჯუა, ღრენჯუა, -- ღრეცა.

გადაქართულების წესით, მეგრ. **ღრენჯუა**-დან ქართულში მიიღეს **ღრეჯა, ღრეცა, ღრეჭა** და **ღრენა** (ღრენისას ცხოველებს, ადამიანებს სახე ეღრანჯებად, ეღრიცებად).

ე. ი. ქართულში მოქმედებს როგორც წარმართული ფორმა **ღრენჯ** ასევე მისგან წარმომდგარი ახალი ფორმები **ღრენ, ღრეც, ღრეჭ** და **ღრეჯ**.

ასევე წარმართული **ღრანჯუა** შემადგენელია ქართული კომპოზიტისა **ღრანჭი**.

ღრანჭი = **ღრან**(ჯილი) + **ჭი**(ჭე) = [და]ღრეჯილი, [და]ღრეცილი + მცირე = ქვედა ყბა.

ამრიგად, მეგრ. **უღრან-ჯუ** > (ჯუ > ი) > ქართ. **უღრან-ი** ესაა მრავალნაირად დაღრეცილი ხეებისა და ბუჩქებისაგან წარმოქმნილი ტყე და რის გამოც ამ ტყეში მოძრაობა გართულებულია. ასევე გაითვალისწინეთ, რომ **უღრანჯუ**-ში თანხმოვანი ჯ ხის, ანუ იგივე ტყის მცნებას გამოსახავს და რამაც უბიძგა კიდეც ქართული ენის შემქმნელებს უღრანჯუ-დან მიეღოთ **უღრანი** (ტყე, იგივე, რაც მრავალი **ჯა**).

უხეში

უხეში 1. მოუქნელი, მოუხეშავი, ხეშეში. უხეში თმა. || არასაკმარისად დამუშავებული. უხეში ტყავი. – უხეში ქსოვილი. 2. დიდი, ტლანქი. უხეში ხელები. 3. უდიერი, თავხედი, უტიფარი. უხეში გამყიდველი. 4. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი. უხეში პასუხი.

(ო. ქ.) **ხე** ხელი.

წარმართული კოლხური **ხე**, როგორც მცნება **ხელი**-ს აღმნიშვნელი, იკითხება განსხვავებულ მნიშვნელობათა მატარებელ კოლხურ სიტყვებში.

(ო. ქ.) **ხ**ება (შე)**ხ**ება.

(ო. ქ.) **ხ**ებული (შე)**ხ**ებული.

ხე-ს ბრუნვითი ფორმა **ხეშ** მეგრულად ნიშნავს **ხელის** და მოგაწვდით ამ ფორმის გამოყენების მაგალითებს:

(ო. ქ.) **ხ**ეშკეტი **ხ**ელკეტი, **ხ**ელის ჯოხი.

(ო. ქ.) **ხ**ეშნარდი **ხ**ელზე გაზრდილი.

(ო. ქ.) **ხ**ეშნაჭა **ხ**ელით ნაკერი...

(ო. ქ.) **ხ**ეშუა სახელი **ხ**ეშანს ზმნისა – დახვევა (ძაფის, თოკის): დაგორგვლა... **მ**ახეშალი დამხვევი. **ო**ხეშალი დასახვევი. **ნ**ახეშა ნახვევი. **უ**ხეშუ დაუხვეველი.

ეტიმოლოგიური შინაარსით **ხ**ეშუა აღნიშნავს არა პირდაპირი გაგებით დახვევას, არამედ:

ხეშუა = **ხ**ეშ + **უ**ა = ხელის მოქმედება.

შინაარსობრივად მსგავსი ქართული კომპოზიტია ხელობა.

ხელობა = **ხ**ელ(ი) + **ო**ბა = ხელით მოქმედება.

ე. ი. რათა გამოესახათ ძაფის, თოკის დახვევის პროცესი, რომელიც ადრე მხოლოდ ხელების მოქმედებით სრულდებოდა, ქურუმებმა სიტყვით **ხ**ეშუა თავად ხელების მოძრაობა დააფიქსირეს; ხოლო **უ**ხეშუ ნიშნავს არა დაუხვეველ ძაფს, თოკს, არამედ ზოგადად ძაფის, თოკის, ქსოვილის მასას, რომელსაც **ადამიანის ხელები არ შეხებიან**, ადამიანის ხელებს ჯეროვნად არ მოუწესრიგებიათ. ამის ცოდნითაა, რომ წარმართული **უ**ხეშუ ქართული ენის შემქმნელებმა ქართულში დაამკვიდრეს ფორმით **უ**ხეში. ანუ ის რაც ადამიანის ხელებით, ადამიანის მიერ ჯეროვნად არაა მოწესრიგებული, არაა დამუშავებული: **უ**ხეში ტყავი. – **უ**ხეში ქსოვილი. მოგვიანებით, **უ**ხეში-მ, საწყისი ცოდნიდან გამომდინარე, დამატებითი მნიშვნელობებიც შეითავსა.

თავად ქართული **ხ**ელი, ცხადია, იგივე მეგრული **ხ**ე-ს განვითარებაა.

მკითხველის ინტერესის გასაღვივებლად, ნაწილობრივ მომავალი ცოდნის გათვალისწინებით, გავაგრძელოთ ლაზურ-მეგრული (წარმართული კოლხური) ლექსიკიდან ქართული (ქრისტეანული კოლხური) სიტყვების წარმოქმნის რამოდენიმე მაგალითის განხილვა.

ანჩხლი, კაპასი,კაპარი, კაპარჩხანა, კაპარჭი, კაპარჭინა[1], კაპარჭინა[2]

ანჩხლი – გაბრაზებისას თავშეუკავებელი. – კაპასი, ავი (ქ.ე.გ.ლ.).

კაპასი ¬¬-- ვინც უმნიშვნელო მიზეზის გამო ბრაზობს და ჩხუბობს, ანჩხლი.

კაპარი -- [Capparis spinosa] მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე.

კაპარ**ჩ**ხანა – კაპასი, ანჩხლი, ავი (ქალი).

კაპარ**ჭ**ი -- ისრების ჩასაწყობი ბუდე.

კაპარ**ჭ**ინა[1] – მდინარე.

კაპარ**ჭ**ინა[2] – თევზი.

ქართული **ანჩ**ხლი წარმოდგება მეგრული **ჩ**ხალაფა > **ანჩ**ხალუუნ-იდან.

(ო. ქ.) **ჩ**ხალაფა, **ნ**ჩ**ხ**ალაფი, **ნ**ჩ**ხ**ალაფა სახელი **ანჩ**ხალუუ(ნ) ზმნისა – კვეთება; ძგერება, ხლა. **ანჩ**ხალუუ(ნ) ეძგერება, (და)ეჯახება.

წარმართულ **ჩხალაფა**-ში მოძრაობათა ხისტ ხასიათს განსაზღვრავს **ჩხა**-ს (**ჩხანა**-ს, მზის) სხივთა ცეცხლოვანი მოქმედების სწორხაზოვნება.

ჩხალაფა = ჩხა(ნა) + ლაფა = მზე + ვარდნა.

იგულისხმება მზის სხივთა ისრისებური სწორხაზოვანი განფენა, გაშლა. შუმერული წარმომავლობის თავსართი ან (= ზე) მოქმედებათა მაქსიმალურ ზღვარზე მიგვითითებს და მეგრულში **ანჩხალუუ** ეწოდება მზის (**ჩხანა**-ს) მიერ ისრის, შუბის მსგავსად გამოტყორცნილი სხივის ძგერებას (**ჩხალაფა**-ს), მკვეთრ შეხლას, დაჯახებას; ხოლო გადატანით, ადამიანთა ურთიერთობებში მსგავს მოქმედებათა ჩამდენს ქართულში ეწოდა **ანჩხლი**. **ჩხალაფა**-ს წარმართული კოლხური აზროვნების შედეგია გადაქართულებული **ჩხა**პნა, **ჩხე**რა, **ჩხ**ვლეტა.

იგივე აზროვნება უდევს საფუძვლად მეგრულ-ქართულ **კაპარჩხანა** > **კაპასი**-ს.

კაპარჩხანა ძლიერ გამხდარი და ავი (ქალი), **ანჩხლი**(ო. ქ.).

განმარტება „ძლიერ გამხდარი" მიგვანიშნებს ისრის, შუბის ვიწრო ფორმაზე.

კაპასი კაპასი, -- ანჩხლი (ო. ქ.).

კაპარჩხანა-ში რომ **კაპარი** ისარს, მოძრაობის ისრისებურ სწორხაზოვნებას გამოსახავს, მიგვანიშნებენ სახელწოდებები **კაპარჭინა, კაპარჭი და კაპარი.**

(ო. ქ.) **კაპარჭინა** ზოოლოგ. თევზია ერთგვარი, -- კაპარჭინა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაპარჭინა** მტკნარი წყლების თევზი ერთგვარი [მდინარის სახელის მიხედვით, რომელიც პალიასტომის ტბიდან გამოდის].

კაპარჭინა = **კაპარ**(ი) + **ჭინ**(ა) = ისარი + წკნელი (წნელი).

ე. ი. სახელწოდება კაპარჭინა მიგვითითებს მდინარის მიმართულების ისრისებურ სწორხაზოვნებას და მისი კალაპოტის წკნელივით ვიწრო ფორმაზე.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაპარჭი** ისრების ჩასაწყობი ბუდე. ისრების ქარქაში.

(ო. ქ.) **კაპარი** ბოტან. ჯონჯოლი. შდრ. იმერ. კაპარი ხეა, რომლის ყვავილისაგან ჯონჯოლს ამზადებენ.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაპარი** [**Cappar**is spinosa] მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე; აქვს გართხმული ეკლებიანი ღერო და მსხვილი თეთრი ყვავილები; გაუშლელ კოკრებს ამწნილებენ.

ე. ი. **კაპარი** (< **Capparis**) ამ მცენარეს ისრის, შუბის წვერის მსგავსი მჭრელი ეკლების გამო ეწოდა. მრავალ ენაშია დაკვიდრებული ლათინური **Capparis** და მათ შორის ინგლისურშიც ფორმით **caper**. აღსანიშნავია, რომ ინგლისელებიც თურმე ჩვენსავით ამწნილებენ, „აჯონჯოლებენ" კაპარის გაუშლელ ყვავილებს.

caper -- 1) каперсник, каперсовый куст Capers is a prickly bush. — Каперсник - это колючий кустарник покрытый шипами, иглами. 2) каперсы (маринованные бутоны или соленые недозрелые плоды, используемые как приправа).

მოსაძებნია, თუ რომელი უძველესი ენის საერთო ძირიდან წარმოდგება სიტყვა **კაპარი**.

კუჭმაჭი, მაჭი, მაჭიკი, მაჭკატი, მაჭუტი. ხაჭაპური, ხაჭო.

ხაჭა-პური-ს მეორე შემადგენელი **პური**, ბერძნული ლექსიკის კუთვნილებაცაა და იგივე მნიშვნელობით გვხვდება ინდურ მეტყველებაშიც. ასევე ებრაელები ზეიმობენ დღესასწაულს **პურიმ**, რომლის დროსაც აცხობენ სამკუთხა ფორმის ნამცხვარს და მიირთმევენ ღვინოს. მათი მოსაზრებით სახელწოდება **პურიმ**-ის ფუძე **პურ** წარმოდგება ასირიული **puhra**-დან (= ლხინი, ნადიმი, სადღესაწაულო შეხვედრა).

ბერძ. **puros** [პუროს] – пшеница, пшеничное зерно.

ხაჭა-პური-ს პირველი შემადგენელი **ხაჭა** წარმართული კოლხური ფორმაა.

(ო. ქ.) **ხაჭა-მაჭა** წვრილ-წვრილი (რაღაც).

(ო. ქ.) **ხაჭაჭია** ზოოლოგ. კიბორჩხალა; პატარა ჭრელი ფრინველი.

ხაჭა = **ხა** + **ჭა** = მიწა (მიწიერი) + პატარა.

აღსანიშნავია, რომ წარმართული კოლხური აზროვნებით, ფორმანტები **ჭა, ჭე, ჭი, ჭუ** გამოსახავენ მცნებებს პატარას (**ჭიჭე**-ს), მცირეს, წვრილს, დაბალს და ქართველთა მეტყველებაში წარმართული მცირეს, პატარას აღმნიშვნელი **ჭა, ჭე, ჭი, ჭუ** ფორმანტებით შემდგარი უამრავი სიტყვებია დამკვიდრებული:

ბაჭია, ბეჭი, ბიჭი, ბიჭიკია, ბუჭყა, გორგოლაჭი, გორგომიჭელა, გოჭი, კანჭი, კაპაჭი, კაუჭი, კაჭიჭი, კენჭი, კვარაჭინა, კვაჭა, კვაჭალია, კვაჭი, კვიჭი, კვიჭიჭი, კიჭი, კლანჭი, კნაჭა, კოკროჭინა, კომიჭი, კომიჭა, კოპაჭი, კოპიჭი, კორაჭინა, კორმეჭი, კოჭი, კოჭიჭა, კოჭლი, კოჭობა, კოჭობი, კოჭოჭიკი, კოჭური, კოჭყური, კრეჭა, კრიჭა, კუკრუჭანა, კუნჭული, კუჭვა, კუჭი, კუჭკუჭი, კუჭმაჭი, კუჭურა, ლაჭუჭი, მანჭვა, მაჭი, მაჭიკი, მაჭკატი, მაჭუტი, მეჭეჭა, მეჭეჭი, მეჭეხი, მოჭიქული, მუჭი, მჭიდრო, მჭლე, ნაოჭი, ნაჭუჭი, ნაჭერი, პაიჭი, პარკუჭი, პაჭანაკი, პაჭიჭი, პაჭუა, პაჭუნი, პოჭიკი. პოჭოჭიკი, პუჭპუჭებიანი, პუჭურიკი, პუჭუჭკურა, სკიჭი, ფაჭა, ფუჭი, ფხეჭი, ქაჭვი, ქერაჭი, ქერეჭი, ქერეჭო, ქერქეჭალა, ქერქეჭელა, ქოჭი, ღანჭა, ღანჭეჭი, ღანჭიპა, ღენჭეპო, ღენჭი, ღიჭი, ღვინჭა, ღვინჭილა, ღვლეპუჭა, ღლანჭი, ღრანჭი, ღრაჭა, ღრიჭო, ღრჭიალი, ყაჭი, ყაჭყაჭა, ყიპჭო, ყირანჭა, ყიჭო, ყვანჭი, ყვაჭიჭა, ყუნჭი, ჭავლი, ჭალა, ჭალი, ჭანჭალი, ჭანჭიკი, ჭანჭრიკი, ჭანჭური, ჭაპი, ჭარიკი, ჭაუხი, ჭაღარა, ჭაჭა[1], ჭაჭა[2], ჭაჭი, ჭაჭვი, ჭაჭუ, ჭაჭყანი, ჭახი, ჭახია, ჭდე, ჭდო, ჭდობა, ჭეკი, ჭეკო, ჭენჭი, ჭეო, ჭერამი, ჭერემი, ჭერეხი, ჭეჭი, ჭეჭყვა, ჭია, ჭიაკოკონა, ჭიამაია, ჭიანჭველა, ჭიატა, ჭიაფერა, ჭიაყელა, ჭიბღერა, ჭიგო, ჭიდაობა, ჭიდილი, ჭივილი, ჭივჭავი, ჭიკი, ჭიკარტი, ჭიკვა, ჭიკვარა, ჭიკო, ჭიკორი, ჭიკჭიკი, ჭილა, ჭილი, ჭილიბი, ჭილო, ჭილობი, ჭინჭორი, ჭინკა, ჭინჭი, ჭინჭილა, ჭინჭილაქი, ჭინჭრაქა, ჭიოტა, ჭიპი, ჭიპლარი, ჭირი, ჭირხლი, ჭიტი, ჭიუხი, ჭიფხვა, ჭიქური, ჭიჭვი, ჭიჭიკო, ჭიჭილა, ჭიჭიტანა, ჭიჭკვი, ჭიჭყნა, ჭიხვინი, ჭმუჭვნა, ჭკა, ჭკანტი, ჭკდე, ჭკნავი, ჭკნობა, ჭკუტა, ჭლაკვი, ჭლიკი, ჭმუჭნა, ჭმუხვა, ჭნავი, ჭნეხვა, ჭოგრი, ჭოგრიტი, ჭოდი, ჭოთი, ჭოკი, ჭოლოკი, ჭოლპოტი, ჭორტიყი, ჭოტა, ჭოჭი, ჭოჭანა, ჭოჭინა, ჭოჭკვი, ჭოჭყი, ჭრა, ჭრაქი, ჭრიალი, ჭრიჭინა, ჭრიხვი, ჭრუ, ჭრუვი, ჭრუტი, ჭუ, ჭუა, ჭუკი, ჭუკჭუკი, ჭუპანა, ჭუპრი, ჭურობი, ჭურულა, ჭურჭელი, ჭუტვა, ჭუჭრუტანა, ჭუჭუ, ჭუჭუკალია, ჭუჭული, ჭუჭყი, ჭუჭყუნი, ჭყივილი, ჭყიმა, ჭყლეტა, ჭყორი, ხაჭაპური, ხაჭიჭორა, ხაჭმაჭიჭა, ხაჭო, ხეჭბი, ხეჭერი, ხვინჭი, ხიოჭი, ხიჭი, ხიჭვი, ხიჭიჭვი, ხოჭიჭი, ხოჭო, ხუჭუჭი... ჩამოთვლილ სიტყვათა შინაარსების ახსნა წინ გელოდებათ.

ამრიგად, ხაჭაპურის დასამზადებლად აუცილებელია სახაჭაპურე ყველის მასა დაქუცმაცდეს **წვრილ-წვრილ** ფორმებად და მხოლოდ ამის შემდგომ თავსდება ის სახაჭაპურე ცომში. ე. ი. **ხაჭაპური**-ში **პური** აღნიშნავს, რომ იგი შედგება ხორბლის ფქვილის ცომისაგან, ხოლო **ხაჭა** მასში მოთავსებულ **წვრილ-წვრილად** დანაწევრებულ, დაფშვნილი ყველის მასაზე მიგვითითებს.

იგივე **ხაჭა**-ს შინაარსიის ცოდნას იმეორებს **ხაჭო**, რომელიც ასევე წვრილ-წვრილი ფორმების ერთიან მასას წარმოადგენს.

არც წარმართული **ხაჭა-მაჭა**-ს მეორე შემადგენელი **მაჭა** არაა დავიწყებული ქართული ენის ლექსიკის მიერ. წარმართული **ხაჭა-მაჭა**-ს მეორე შემადგენელი **მაჭა** ასევე მეორე შემადგენელია სიტყვისა **კუჭმაჭი**. მოგეხსენებათ **კუჭ-მაჭი** ეს ქათმის,

საკლავის წვრილ-წვრილად დაჭრილი შიგნეულობაა და რასაც განსაზღვრავს კიდეც წარმართული **მაჭი**.

წარმართული **მაჭი**-იდან როგორც წვრილის, პატარას, დაბალის მნიშვნელიდან, ქართულში გვაქვს ასევე სიტყვები:

(ქ.ე.გ.ლ.) **მაჭი** ძვ. ერქვნის სახელური (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **მაჭიკი** დვრიტა, კვეთი.

(ქ.ე.გ.ლ.) **მაჭკატი** კუთხ. (ხევს. თუშ.) პატარა, თხელი ლავაში, ერბოში (ან ცხვრის ქონში) ამოვლებული.

(ქ.ე.გ.ლ.) **მაჭუტი** დაბალი ტანის ეშმაკი ადამიანი.

ლიახვი, მახვილი (წვეტიანი, ბასრი იარაღი); **ნეხვი, უხვი, შესახვევი; ძეხვი, ხახვი, ხეთქვა, ხვავი, ხვევნა, ხვიარა, ხვითქი, ხვიმირი** (წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებული ძირვიწრო ფიცრის ყუთი, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის), **ხვიშირი** (იგივეა, რაც ხვრიში); **ხვიჩა, ხვლიკი, ხვრელი, ხვრეპა, ხვრეტა, ხვრიში** (მსხვილ-მსხვილი მარცვლების შემცველი, -- მარცვლოვანი. ხვრიში მარილი. – ხვრიში თოვლი. – ხვრიში ერბო); **ხრეში** (მსხვილი ქვიშა).

ჩამოთვლილი ქართული სიტყვები წარმოდგებიან წარმართული კოლხური მცნებიდან **ხვილუა**.

(ო. ქ.) **ხვილუა** 1. [და]მწყვდევა, დაპატიმრება. 2 წყლის გადაკეტვა, [და]გუბება. **მახვილარი** [და]მწყვდევი. **ოხვილარი** სამწყვდევი. **ხვილირი** [და]მწყვდეული.

(ო. ქ.) **ხვია** მუცლის ჭია (ანუ მუცელში მომწყვდეული ჯ.კ.).

(ო. ქ.) **მუხვი** თხუნელა (მიწის ღრმულებშია მომწყვდეული ჯ.კ.).

(ო. ქ.) **ხვირუა** ქვირითის დაყრა.

ხვირუა = **ხვი**(ლი)**რ**(იშ) + **უა** = მომწყვდეულის + მოქმედება = (თევზის სხეულში) მომწყვდეული ქვირითის დაყრა.

(ო. ქ.) **ხვიჩა** 1. ბრდღვიალა; გაბადრული; კაშკაშა; ჩახჩახა... 2. ფართო. 3. მამაკაცის სახელიცაა. ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი – **და დო ჯიმა ჩქიმი** მოჩახჩახე ვარსკვლავები და ძმაა ჩემი.

ხვიჩა = **ხვი**(ლირი) + **ჩა** = მომწყვდეული + ცა(ში) = ცის მკვიდრი, ანუ ცასავით ბრდღვიალა, გაბადრული, კაშკაშა და ასევე ცასავით ვრცელი (ფართო).

ამრიგად, **ხვილუა** ეწოდება დამწყვდევა, დაგუბებას, ხოლო **მახვილარი** ეწოდება დამწყვდევს, დამგუბებელს. ანუ, ჩვენს შემთხვევაში ადამიანს, რომელიც მტერს სხეულში ჩასცემს, მტრის სხეულში მოამწყვდევს ბასრ იარაღს და ამ მიზნით გამოჭედილ **მახვილარი**-ს ბასრ, წვეტიან იარაღს ეწოდა **მახვილი**, რომელსაც შემდგომ დამატებითი მნიშვნელობებიც მიენიჭა.

წარმართული **ხვილუა**-ნ ნასესხები ფუძე **ხვი**, **ხვია**-ან ქართულში აგლუტინაცია-აპლიკაციით, ანუ თავსართებისა და ბოლოსართების მონაცვლეობით, ქართულში მრავალი სიტყვა და მცნება წარმოდგა.

ე. ი. მეგრ. **ხვი(ლუ)ა** > **ქართ. ხვია** > **ხვიარა** > **მოეხვია (მოიმწყვდია)** > **დაახვია** > **გაუხვია** > **შეახვია** > **შესახვევი** > **სახვევი** > **ხვევნა...**

უხვი < **უხვი**(ლირი) = „უშემცველესი", მრავლის შემცველი, ხვავიანი.

ფუძე **ხვი**-ს შუაში ჩაუსვეს სიტყვის მნიშვნელობის გამაძლიერებელი ფორმანტი **ვა** და მიიღეს **ხვავი** (ბარაქა, სიუხვე) > **ხვავიანი**.

ლიახვი = **ლია** + **ხვი**(ლირი) = ლამი(ს) შემცველი.

მდინარე ლიახვს ლამის ჭარბი რაოდენობა მოყვება, ანუ ჭარბი რაოდენობის ლამს შეიცავს.

ხახვი = **ხა** + **ხვი**(ლირი) = მიწიერი + მომწყვდეული (მიწაში).

(ო. ქ.) **ძელი** უძვლო და უქონო ხორცი; რბილი (ხორცი).

ძეხვი = **ძე**(ლი) + **ხვი**(ლირი) = უძვლო და რბილ ხორცს შეიცავს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხვითო** 1. ნატვრის თვალი, რომელსაც თითქოს გველი ინახავს.

(ო. ქ.) **ხვითო** ხვითო; ძვირფასი ქვა, რომელსაც, ხალხის რწმენით, დებს გველი.

ქვეწარმავლები მიწის ხვრელებში ბუდობენ და კვერცხებს იქ ინახავენ, ხოლო **თვალი** მეგრულად არის **თოლი**; მაშინ:

ხვითო = **ხვი**(ლირი) + **თო**(ლი) = მომწყვდეული + თვალი = (მიწაში) მომწყვდეული (ნატვრის) თვალი.

ნეხვი = **ნე** + **ხვი**(ლირი) = ტკბილი + მომწყვდეული = სიტკბოებას შეიცავს.

ნეხვს ასევე პატივი ეწოდება და თუ გსურთ სასურველი ხარისხის, გემოსი და რაოდენობის ხილი ან ბოსტნეული მოიწიოთ, მიწას პატივი უნდა მიაგოთ და ნეხვით უნდა გაამდიდროთ,

(ო. ქ.) **ხვინთქუა** – 1. მაგრად დარტყმა; ხეთქვა. 2. ბლომად შეჭმა საჭმლისა.

1. როცა გინდა შეშა დახეთქო (დაჩეხო), ცულის ძლიერი დარტყმის შედეგად ცულის პირი (მსგავსად მახვილისა) ხის ტანში ძლიერად უნდა მოამწყვდიო. 2. ჭარბათ საჭმლის მუცელში მომწყვდევა და დამატებით კიდევ სასმელის ასევე მუცელში დაგუბება, ნამდვილად ჩა-**ხეთქვა**-ა.

ე. ი. **ხვინთქუა** > **ხეთქვა** და როგორც წესი, მცნება **ხეთქვა**-ს მნიშვნელობა განზოგადდა.

ხვინთქუა-ს (მაგალითად შეშის ჭრისას) ძლიერი მოქმედებების შედეგად ადამიანს სხეულიდან (სხეულში არსებული, **ხვილირი**) ოფლი სდის და ამას კი უკვე ქართულში **ხვითქი** (**ხვითქი** გადასდის – ოფლი წურწურით ჩამოსდის) ეწოდა.

ხვითქი = **ხვი**(ლირი) + **თქ**(უმა) = მომწყვდეული + თქმა = სხეულში მომწყვდეული წყლის, ოფლად გაცხადება („თქმა").

ხვირი (< **ხვილირი**) ეწოდება ასევე ხვრელს, ნახვრეტს, ვინაიდან ეს სიცარიელები მხოლოდ იმიტომ აღიქმებიან ხვრელებად, რომ ისინი მომწყვდეულნი არიან, იმყოფებიან რაიმე მასაში (მიწაში, ხეში...), გარშემო მზღუდავი მასის გარეშე ხვრელი კი უკვე კოსმოსია; ხოლო **ხვიმირი** ეწოდება როგორც ხვრელს, ასევე წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებულ მარცვლეულის ჩასაყრელ, გადმოტრიალებულ ოთხკუთხა პირამიდის ფორმის ყუთს, რომლის ქვედა ვიწრო ნაწილს ხვრელის ფორმა გააჩნია და საიდანაც მარცვლეული იყრება კრიჭაში.

თავად, ვთქვათ ხეში, ხვრელის კეთებას **ხვირატუა** ეწოდება, ხოლო უკვე გამოყვანილ ხვრელს **ნახვირიტა** და შესაბამისად ქართულში მივიღეთ **ხვრეტა** და **ნახვრეტი**.

მიწის ხვრელებში მაცხოვრებელ („მომწყვდეულ") ქვეწარმავალს **ხვილარი** ეწოდება. ქართულში მეგრ. **ხვილარი**-დან მივიღეთ **ხვლიკი**.

ხვლიკი = **ხვ**(ი)**ლ**(არ)ი + **კი** (ძლიერი, ლამაზი) = (მიწაში) მომწყვდეული (მაცხოვრებელი) ძლიერი, ლამაზი (ქვეწარმავალი).

მსგავსი კონსტრუქციისა **ლაპარა-კი**. ლაპარა ბერძნულად ნიშნავს მუცელს და **ლაპარა** + **კი** = მუცლის ძლიერება, სიკეთე; ანუ **ლაპარაკი** მხოლოდ მუცლის (მუცელში მომწყვდეული ჰაერის) მეშვეობითაა შესაძლებელი.

(ო. ქ.) **ხვიპი** 1. ღრმა. 2. პეშვი.

(ო. ქ.) **პიკვალი** ამობურცული, ამობერილი, აფუვებული (წარმონაქმნი **ჯ.კ.**).

ხვიპი = **ხვი**(ლირი) + **პი**(კვალი) = მომწყვდეული + წარმონაქმნი (პეშვი).

(ო. ქ.) **ხვიპუა** – წყვეტ-წყვეტით, ხმაურით სმა, -- **ხვრეპა**.

ხვიპუა = **ხვი**(ლირი) + **პი**(კვალი) + **უა** = მომწყვდეული + წარმონაქმნი + მოქმედება.

ე. ი. პეშვის (**ხვიპი**-ს) დანიშნულებაა მასში წყალი მოიმწყვდიო, მოათავსო, ხოლო **ხვიპუა** უკვე ამ პეშვიდან სმაა. ცხადია: მეგრ. **ხვიპუა** > ქართ. **ხვრეპა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხვრიში** მსხვილ-მსხვილი მარცვლების შემცველი, -- მარცვლოვანი. ხვრიში მარილი. – ხვრიში თოვლი. – ხვრიში ერბო.

თავად **ხვრიში**-ს განმარტება გვიხსნის, რომ გროვა, ნაყარი, მასა (მარილის. თოვლის, ერბოს...) შეიცავს, ანუ მასში მომწყვდეულია მსხვილ-მსხვილი მარცვლები. **ხვრიში**-ს სრული წარმართული კოლხური ფორმაა ხვირილიში.

ე. ი. **ხვირილიში** (= მოგროვილის) > **ხვ**(ი)**რი**(ლი)**ში** > **ხვრიში** > ქართ. **ხრეში**.

მოხუცი, ხუცესი

სიტყვათა ფუძეა მეგრ. **უჩაში**, რაც დღეს მეგრულში ნიშნავს უფროსს, ხოლო ლოგოგრამული კითხვით გამოსახავს უთეთრესს. მეგრულში **ჩა** აღნიშნავს **ცა**-ს. ცის მცნება კოლხთათვის მხოლოდ დღის ნათელ პერიოდს უკავშირდებოდა, შესაბამისად ასოცირდებოდა ნათელთან, ანუ ასევე გამოსახავდა მცნება თეთრს (ე. ი. **ჩე**-ს) და **უჩა** = უთეთრო || არათეთრი (ანუ თეთრის საპირისპირო მცნება -- შავი), ხოლო **უჩაში** = უთეთრესი. ე. ი. **ჩე** > **უჩა** > **უჩაში**. მსგავსი ქართული მაგალითებია:

თეთრი > **უთეთრო** > **უთეთრესი; გონება** > **უგონო** > **უგონიერესი.**

გადაქართულების წესით **უჩაში** > (ჩ > ც; ა > ე; შ > ს) > **უცესი**. ვინაიდან სიტყვა წარმოიქმნა ხანმეტობის პერიოდში (V—VII ს.ს.) **უცესი**-ს თავში თანხმოვანი **ხ** დაუსვეს და მივიღეთ **ხუცესი** > **უხუცესი** (> მწიგნობართუხუცესი); უკვე **ხუც**-იდან წარმოდგა მო-**ხუცი**. **ხუცი** > **ხუცი**შვილი, **ხუც**ურაული, ნა**ხუც**რიშვილი...

პეპელა

პეშვი – ცალი ხელის ან ერთმანეთს მიდებული ორივე ხელის მტევანი ჭურჭლის ფორმისებურად მოხრილი, -- პეშვი წყლით აივსო.

პეწი – გარეგნული ბრწყინვალება, საამური. კარგი შესახედაობა, ლაზათი.

წარმართული კოლხურით გეშვი = შესვი, ანუ მეგრული **შვი** ქართულში ხდება **სვი**. ფორმანტი **გე**, ისევე როგორც ბერძნულში, საწყისში აღნიშნავდა მხოლოდ მიწის ზედაპირს, ხოლო განზოგადოების შედეგად **გე** გამოსახავს ზოგადად ზედაპირს; ამრიგად, **გე-შვი** უნდა გავიგოთ როგორც: შე-**სვი** **გე**-დან (ფიალის ღვინით სავსე ზედაპირიდან...). იგივე შინაარსს ატარებს **პე-შვი**, ანუ შე-სვი **პე**-დან, ხოლო წარმართულ კოლხურში **პე** (პე-ირი, პე-ული) აღნიშნავს ყვავილს, ყვავილოვან წარმონაქმს

(ო. ქ.) **პეული** იგივეა, რაც **პეირი**, -- ყვავილი.

(ო. ქ.) **პეულაფა** ხეხილის აყვავება.

პეული = **პე** + **ული** = პე + [ამოს]ული = ყვავილი.

პეირი = **პე** + **ირი** = პე + მუდამ = ყვავილი.

პეულაფა = **პე** + **ულა** + **ფა** = პე + სვლა + მოქმედება = პეს ამოსვლის მოქმედება (გაფურჩქვნა) ხეხილის აყვავებაა, ანუ პე ყვავილია.

ბერძნულად **πέπων** {პეპონ} – 1) созревший, спелый. 2) смягченый, кроткий. мягкий.

ე. ი. **პე**-ირი, **პე**-ული-ში ფორმა **პე** ყვავილის მცნებას განსაზღვრავს.

ამრიგად, წყლით სავსე, ჯამის ფორმისებურად მოხრილი ცალი ხელის ან ერთმანეთს მიდებული ორივე ხელის მტევანი ყვავილს, ყვავილის მსგავს ფორმას შედარდა და მიღებულ იქნა **პეშვი**; გაიხსენეთ, რომ სასმისი ჭურჭლის არ არსებობის დროს ადამიანები ხშირად პეშვიდან სვამენ წყაროს წყალს.

ჩვენს მტკიცებათა დასტურია წარმართული **პეკი** და ქართული **პეწი**. **პეწი**-ში **წი** გამოსახავს მცირეს, პატარას (**წი-წი**-ლა; პა-**წი**-ა; კოპ-**წი**-ა; **წი**-ე...).

(ო. ქ.) **პეკი** ამაყი.

პეკი = პე + კი = ყვავილი (მშვენიერი) + ძლიერი = მშვენიერი და ძლიერი.

პეწი = პე + წი = ყვავილი (მშვენიერი) + პატარა = მშვენიერი და კოხტა.

უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ პე ფუძეა ყვავილივით მშვენიერი **პე-პე**-ლა-ს სახელწოდებისა.

მეგრ. **პე**-ულა+**პე**-ულა > (ულა > 0) > **პე-პე**-ულა > (უ > 0) > ქართ. **პეპელა**.

შალაშინი

შალაშინი სადურგლო იარაღი – ხის (რკინის) ბუდე შიგ ჩასმული ბრტყელი მჭრელი პირით. ხმარობენ ფიცრისა და მისთ. ზედაპირის სუფდად სათლელედ.

შალაფი „ფიცრის სახურეტი" (**საბა**).

(ო. ქ.) **შალაშენი, შალაშინი შალაშინი.**

ამრიგად, მეგრულში დამკვიდრებულია როგორც წარმართული ფორმა **შალაშენი,** ასევე ქართული ფორმა **შალაშინი.**

შალაშენი = შალა + შენი = შალუა + (-შენი).

(ო. ქ.) **შალუა** {და}შლა, {შე}შლა; გაშლა რისამე; წაშლა.

წარმართული **შალა** (> შალუა) ქართულში შეკვეცეს და გვაქვს ფორმა **შლა,** რომელიც ქართული ენის ლექსიკონში დაფიქსირებული 87 მეგრული წარმომავლობის ქართული სიტყვის ფუძეა.

მეგრ. **შალუა** > (ა > 0, უ > 0) > ქართ. **შლა** > **ა-შლა** > **აეშლება** > **ამოიშლება** > **ამოიშლი** > **ამოუშლელი** > **ასაშლელი** > **აუშლის** > **აშლევინებს** > **აშლის**[1] > **აშლის**[2] > **აშლილი** > **აშლილობა** > **გადაეშლება** > **გადაიშლება** > **გადაიშლის** > **გადასაშლელი** > **გადაუშლელი** > **გადაუშლის** > **გადაშლა** > **გადაშალ-გადმოშლა** > **გადაშლის** > **გადაშლილი** > **გადმოიშლება** > **გადმოშლა** > **გადმოშლის** > **გადმოშლილი** > **გაეშლება** > **გაიშალე** > **გაიშლება** > **გაიშლის** > **გამოიშლება** > **გამოშლა** > **გამოშლის** > **გამოშლილი** > **გასაშლელი** > **გაუშლელი** > **გაუშლის** > **გაშლა** > **გაშლის** > **გაშლილი** > **გაშლილობა** > **დაეშლება**[1] > **დაეშლება**[2] > **დაიშალე** > **დასაშლელი**[2] > **დასაშლელი**[2] > **დაუშლელი** > **დაუშლის**[1] > **დაუშლის**[2] > **დაშლა**[1] > **დაშლა**[2] > **დაშლა-აწყობა** > **დაშლადი** > **დაშლის** > **დაშლილი**[1] > **დაშლილი**[2] > **დაშლილობა** > **ეშლება** > **მოშლილი** > **მოუშლელი** > **ამოუშლელი** > **მოსაშლელი** > **მოეშალა** > **საშლელი** > **უშლელი** > **უშლის** > **შეშლილი** > **შეეშალა** > **შლადი** > **ჩამოსაშლელი** > **ჩამოუშლელი** > **ჩამოუშლის** > **ჩასაშლელი** > **ჩაშლილი** > **წაეშლება** > **წამოიშლება** > **წამოიშლის** > **წამოუშლის** > **წამოშლა** > **წამოშლის** > **წამოშლილი** > **წასაშლელი** > **წაუშლელი** > **წაშლა** > **წაშლის** > **წაშლილი...**

(ო. ქ.) **–შენი** რთული თანდებულია (შე-ნი), ქართულში შეიძლება გადმოიცეს – თვის, -ზე, -გამო. მუშენი? რისთვის? თიშენი? იმისთვის, იმიტომ.

შალაშენი = **შალა** + **შენი** = **შალუა** + (-**შენი**) = (წა)შლა + თვის = ფიცრის და მისთ. უსწორმასწორო ზედაპირის წაშლისთვის, წასაშლელად, გასასწორებლად.

ე. ი. წარმართული **შალაშენი** ქართულად ითარგმნება როგორც **საშლელი**, ხოლო მეგრულად **შალაშენი** უნდა ეწოდოს არამარტო სადურგლო იარაღს, არამედ ასევე ნახატის, ნაწერის წასაშლელ რეზინის პატარა ნაჭერსაც.

ასევე **შალუა**-ს ცოდნით (ფოთოლთა, ყვავილთა **შლა**, [გა]**შლა**) წარმოდგნენ მცენარეულთა სახელწოდებები: **შალ**ამანდილი, **შალანა**, **შალარი**. **შალაფი2, შალაფა**...

(**ო. ქ.**) **შალაფი** შალაფი, „ფიცრის სახურეტი" (**საბა**). „შალაფა“ სადგისივით წაწვეტებულია.

სიტყვა შალაფი-ს შემადგენელის **შალა**-ს აზროვნება ჩვენთვის უკვე ცნობილია, გავარკვიოთ თუ რას წარმოგვიდგენს ფორმანტი **ფი**.

(**ო. ქ.**) **ფიაფია**, ფიაფიათ ზმნზ. ნაჭერ-ნაჭერ, ძალზედ დაქუცმაცებულად.

ე. ი. **შალაფა**-ში **შალა** წარმოგვიდგენს ფიცრის გაშლილ, ბრტყელ მდგომარეობას, ხოლო **ფი** (ფიაფია) გვიხსნის, რომ ფიცარს აქვს სადგისივით წაწვეტებული **შალაფა**-თი შესრულებული მცირე, წვრილი ნახვრეტი. ანუ **შალაფა** ფიცრის „სახურეტი“ ხელსაწყოა.

წამი, წამწამი, წაწალი, წაწება, ხაწიწი, ხიწიწი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **წაწალ**-ი 1. (ძვ.) სატრფო, რომელთანაც ქორწინება აკრძალული იყო (ფშავში).

(**ქ.ე.გ.ლ.**) **წაწლობა** ძველად – ქალ-ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობის, ერთად წოლის ჩვეულება (ფშავში).

ფშაური **წაწალი**-ს ფუძეა მეგრული **წაწ**.

(**ო. ქ.**) **წაწი** იგივეა რაც **წაწია** – წვენი.

(**ო. ქ.**) **წაწილი** ლიცლიცი, სითხით პირამდე სავსე.

(**ო. ქ.**) **წაწუა** ვსება, ლიცლიცი.

წვენი სამეგრელოში ძირითადად წარმოადგენდა საწებელს, ანუ წვენს რომელშიც უნდა ამოავლო ხორცის ნაჭერი, მჭადის ლუკმა... და წარმოიქმნა **წაწაფი**, რომელშიც **აფი** მოქმედების გამომსახველი სუფიქსი.

(**ო. ქ.**) **წაწაფ**-ი სახელი აწაწუუ(ნ) ზმნისა – შეხება, ხლება (ხელისა); წაწება, მიკარება.

ასეთი ფრთხილი მოქმედება ხასიათდება ნელი ხმაურითაც.

(**ო. ქ.**) **წაწამ**-ი ძალიან ნელი ხმაური.

ამ აზროვნებიდან გამომდინარე **წაწი**-ს მიენიჭა ორმაგი მნიშვნელობა.

(**ო. ქ.**) **წაწიე** 1. იგივეა რაც **წაწია** – წვენი. 2. ძალზე მსუბუქი, თითქმის ფეხის წვერებზე სიარული.

ე. ი. წაწალი = **წაწ**ა(ფი) + **ლი** = მიკარება + სხეული = სხეული (პარტნიორის, სატრფოს) რომელსაც შეიძლება მხოლოდ მიეკარო, მხოლოდ გარეგნულად შეეხო, ისიც ზედმეტი ხმაურის გარეშე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეერთდეთ – აი ეს გახლდათ ფშაური წაწლობის უმთავრესი პრინციპი.

ასევე უხმაუროდ, ერთმანეთს მხოლოდ ეკარებიან (ეწაწებიან) თვალის ქუთუთოები და ქუთუთოების კიდეზე ამოსულ ბეწვს მეგრ. **წა-წამი**-დან წარმომდგარი **წამწამი** ეწოდა. ქუთუთოების რიტმული მოძრაობისა და სიხშირის გამოც, უკვე **წამწამი**-დან შექმნეს დროის მცირე მონაკვეთის სახელწოდება **წამი** და ეს წარმართული კოლხური ტრადიციის გაგრძელებაა:

(ი. ყ.) **ვალი** молния... -- თოლიში გოვალაფა мигание глаза (глазом); секунда.

ე. ი. იოსებ ყიფშიძეს დაფიქსირებული აქვს, რომ ოდიშში თვალის ერთი დახამხამება წამის მცნებას უტოლდებოდა.

უკვე ამ ცოდნით ქართულში მივიღეთ: **პაწაწა, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწუნა, პაწაწკუნა, პაწა, პაწია**. ჩამოთვლილ სიტყვათა შინარსებს განსაზღვრავს ჩვილ ბავშვთან ურთიერთობა, ანუ ჩვილ ბავშვს ძალზედ ფრთხილად უნდა შეეხო, მიეკარო. შემდგომ ჩამოთვლილმა სიტყვებმა განსხვავებული მნიშვნელობებიც შეიძინეს (მცირე, ცოტა...).

გადაქართულების წესით, მეგრ. **წაწაფი**-დან ქართულში წარმოდგა **წაწება**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩააწებს დააწებს** რამეში (მელანში, მარილში...). კალამი მელანში ჩააწო, -- ხორცი ტყემალში ჩააწო.

ხოლო ქართ. **წებვა** წარმოდგება მეგრ. **ჭაბუა**-დან (წებვა-დან).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩააწებებს** წებოთი ჩაკრავს. სურათი ალბომში ჩააწება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ **წაწიე**-ს მეორე მნიშვნელობიდან (ძალზე მსუბუქი, თითქმის ფეხის წვერებზე სიარული) ქართულში მივიღეთ **წაწიე** (წინ); **გაწიე** (გვერდზე); **აწიე; მოწიე; შეწიე; დასწიე**... ასევე გაითვალისწინეთ, რომ მეგრ. **წიორი, წიროწი** = **წრიალი**, უთავბოლო სიარული, ხეტიალი.

ყურადსაღებია, რომ ქართული კომპოზიტის **ტრა-წი**-ს მეორე შემადგენელი **წი** იგივე წარმართული **წაწი**-ა (წვენია).

ასევე საგულისხმოა:

(ქ.ე.გ.ლ.) **ხაწიწი** ქვაბის, ქოთნის ძირზე მიმწვარი საჭმელი (ფაფა, თათარა...).

(ქ.ე.გ.ლ.) **ხიწიწი** დუმის ან ღორის ქონის გადადნობის შემდეგ დარჩენილი ნახრაკი.

ხაწიწი = **ხა** + **წიწი** = მიწა + წვენი = დამიწებული (მიმწვარი) წვენი.

მეგრულს გააჩნია **ხაწიწი**-ს მსგავსი კონსტრუქციის ხაციცი, ასევე საყურადღებოა ხაწა.

(ო. ქ.) **ხაციცი** საახალწლო საუზმე. შობა დილის საუზმე.

(ო. ქ.) **ხაწა** მაწვნის დედა, მაწვნის თესლი.

პურჭყი, ჭანჭყარი, ჭაობი, ჭენჭყი, ჭენჭყო, ჭიჭყინა, ჭიჭყნა, ჭყამპალი, ჭყანი, ჭყანტა, ჭყანტი, ჭყანტლი, ჭყანტობი, ჭყაპი, ჭყაპა, ჭყაპანი, ჭყაპა-ჭყუპი, ჭყაპუნი, ჭყაპურტი, ჭყაპურტა, ჭყეპავს, ჭყვლეპავს, ჭყიმპო, ჭყინტი, ჭყიპავს, ჭყიპი, ჭყიპინი, ჭყიპურტი, ჭყიჟორი, ჭყირეში, ჭყირტი, ჭყლაპუნი, ჭყლეტა, ჭყლინტი, ჭყლიპარტა, ჭყლიპინი, ჭყლოპინი, ჭყლურტავს, ჭყმეტს, ჭყმურტნა, ჭყუმპალაობა, ჭყურჭყური... ლენჭყო, ლირჭყი წყალობა, [და]წყება, წყევლა, წყვეტა, წყრომა...

ჩამოთვლილ ქართულ სიტყვათა შინაარსებს აერთიანებთ მცნება წყალი; წყლის მცნებას კი ჩამოთვლილ სიტყვებში წარმოგვიდგენს წარმართული კოლხური ჰარმონიული წყვილი **ჭყ** [< **ჭყარი** > (ჭ > წ, რ > ლ) > ქართ. **წყალი**], რომელიც წარმართული კოლხურის ცოდნით წყლის მიწაზე არსებობას აღნიშნავს, ანუ თანხმოვანი **ჭ** წყლის მცნებას ასახავს, ხოლო თანხოვანი **ყ** მიწის მცნებას.

ჭყარი = **ჭყ** + **არი** = წყალი მიწაზე + არი(ს).

აქ მიღებული წარმართული ცოდნის ბევრად ამომწურავი განმარტებები წინ გელოდებათ.

წარმართული ფორმა **ჭყარი** სრული ფორმითაა შენარჩუნებული ქართულ სიტყვაში **ჭან-ჭყარი**, ცხადია **ჭან-ჭყარი**-ში იგულისხმება წყლის (**ჭყარი**-ს) მასის არამდგრადი, თხევადი ბუნება:

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭანჭყარი** სითხის ნჯღრევა ნაკლულ ჭურჭელში.

განვიხილოთ წყლის მცნების, ჰარმონიული წყვილის **ჭყ**-ს შემდგომი განვითარებებით მიღებულ სიტყვათა შინაარსები:

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყანტი** ჭაობი, ჭაობიანი ადგილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყანტა** ბოტ. ყვითელყვავილიანი მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა; იზრდება ტენიან ადგილებში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყანტობი** ჭყანტიანი ადგილი, -- ჭაობი.

(ო. ქ.) **ტობა, ტომბა, ტონბა** 1. ტბა... 2. ღრმა; ღრმა ადგილი მდინარეში. ხევსურ. ტუმბო მორევი, გუბე.

ჭყანტობი = **ჭყა**(რი) + **ტონბა** = წყალი + ტბა (ღრმა ადილი) = **ჭყანტობი** (> ჭაობი).

ცხადია **ჭყანტა ჭყანტობ**ის მკვიდრი მცენარეა; ასევე ცხადია, რომ ჭყანტობი-ს შეკვეცილი ფორმაა -- ჭაობი.

ჭყანტობი > (ყ > 0, ნტ > 0) **ჭაობი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყირეში** კუთხ. (ფშ.) ერთად ამოყრილი წვრილი ტოტები მოქნილი ხისა.

(ო. ქ.) **–ში**1 (< იში) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: დაერთვის ხმოვანფუძიან სახელებს: დიდა-ში დედის, კოტო-ში ქოთნის...

ჭყირეში = **ჭყ**(არ)**ი** + **რე** + (-**ში**) = წყალი + არის + (-ის) = წყლის არის || წყლიანი (ტოტისაა). მოქნილი ხე თავად ნედლია, წყლიანია, ჭყირე-ა; ხოლო მისი, ჭყირეში-ს ნაყარი კიდევ მეტად წყლიანია.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყმეტს** კუთხ. (ქიზ.) თითებით წყვეტს (ნედლ ბალახს, ყლორტს და სხვ.).

ნედლ, ჯერ კიდევ წყლიან, ნორჩ ბალახს, ყლორტს რომ ძალისმიერად ეხები, უნებურად მას ჭყლეტავ, ქიზიყურად **ჭყ**-მეტავ. აქ გახსენდება: **ჩქ**-მეტავ, ჩქმეტს. ჰარმონიული წყვილის **ჩქ**-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა არის **ჩქეჩქე** = ჩვილი. ე. ი. უფროსებს სიამოვნებთ ჩვილი, **ჩქეჩქე** სხეულის, ან სხეულის რბილი ნაწილის ჩქმეტა, ხოლო ნედლი ბალახის, ყლორტის წყვეტისას, თითებით სრესისას, თითებზე გრძნობთ სისველეს, ანუ წყალს და ამას განასხვავებენ ერთმანეთისაგან **ჭყ**მეტა და **ჩქ**მეტა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყლიპარტა** კუთხ. (რაჭა) „პატარა და უშნოდ რბილი აგებულების ბავშვზე იტყვიან“.

ასეთი ჭყლიპარტა, ჯერ კიდევ ნედლი, რბილი აგებულების ბავშვები გამუდმებით **ჭყლ**იპინებენ, **ჭყ**იპინებენ.

(ო. ქ.) **ჭყიპუა** ჭყეპვა. წყარით ვიჭყიპუუქ – წყლით ვიჭყიპები.

ჭყიპინი = **ჭყ** + **პი**(პი)**ნ**(აფა) = წყალი + გავსება = წყლით პირამდე გავსებული.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭყირტი** ძვ. „მეპასუხე, მოუთმენარი“ (საბა). || კადნიერი (დ. ჩუბინ.). მერე რა ისეთი ჭყირტი სიტყვა გაიგონა ამბრი არაბმან მის ბუმბერაზისაგან, გაუწყრა გამზდელსა მისსა («ამირანდარეჯ.»).

ჭყირტი = **ჭყ**(არ)**ი** + **რტი**(ინა) = წყალი + გაქცევა = ჭყირტი სიტყვა ესაა მოუფიქრებელი, უმწიფარი, ჯერ კიდევ ნედლი („წყლიანი“) სიტყვა, რომელიც დროზე ადრე, დაუფიქრებლად გამოთქვი (გაგექცა); ეს ემართებათ მოუთმენარებს და ასეთი უმწიფარი სიტყვა კი ხშირად კადნიერებაში ჩამოგერთმევათ.

საბას **ჭყირტი**-ს არქე ფორმაა წარმართული **ჭყერტე** > **ჭყერტაფი**.

(ო. ქ.) **ჭყერტაფი** სკდომა. ხელის მოჭერით მუწუკის (ფერისმჭამელის, ძირმაგარის...) გასკდომა.

ჭყერტე-ს აზროვნებას იმეორებს **ჭყენტე** (ჭყინტი; ნედლი; უმწიფარი).

ჭყენტგ = **ჭყ**(არი) + **ინტგ** = წყალი + გაიქცა.

ჭყგრტგ გვამცნობს: თუ რაიმე სითხის შემცველ მასას, წარმონაქმს, ხელს მოუჭერთ, იქიდან იწყება სითხის დენა; ხოლო **ჭყენტგ** გვიხსნის: თქვენს წინ რომ ყველი დევს, მისი მასის რძიანი სითხიდან ამოყვანის დროს ის მრავალგზის იწურებოდა, სითხისგან იცლებოდა და მასში სითხე აღარ არის, სითხე „გაიქცა“. ამ აზროვნების უკეთ წარმოსაჩენად განვიხილოთ **ჭგრკგ** (1. ჭკნება. 2. მჭკნარი).

ჭგრკგ = **ჭ**(ყარი) + **რკ**(ება) = წყალი + კლება = ჭკნება, ანუ თუ მცენარეს აკლდება სიცოცხლის მამოძრავებელი წყალი, ის იწყებს ჭკნობას.

წარმართული **ჭყ**-ს შინაარსის ცოდნით შედგენილი სხვა მრავალი სიტყვა იძიება ქართული ენის ლექსიკაში და მოგაწვდით რამოდენიმე მნიშვნელოვანი სიტყვის შინაარსებს.

ჭყარი (წყალი) სიცოცხლის გამჩენი ძალაა და შესაბამისად წარმართულ კოლხურში გვაქვს:

(ო. ქ.) **ჭყოლოფუა** წყალობა.

ჭყოლოფა = ჭ + ყ + ოლ(ი) + **ოფა** = წყალი + მიწა + სვლა + მოქმედება, ანუ მიწაზე წყალი ესაა შემოქმედის ჭყოლოფა > წყალობა.

ჭყოლოფა > (ჭ > წ, ო > ა, ოფა > ობა) > **წყალობა** > **მო-წყალება, სა-წყალი, სა-წყაო...**

წყლიდან იწყება სიცოცხლე და შესაბამისად წარმართულ კოლხურში გვაქვს:

(ო. ქ.) **ჭყაფა** დაწყება.

ჭყაფა = ჭყ(არი) + **აფა** = წყალი + მოქმედება = წყლის მოქმედება.

ჭყაფა > (ჭ > წ, აფა > ება) > **წყება** > **და-წყება** > **სა-წყისი** > **უ-წყება** > **დავი-წყება...**

ჭყაფა > (ჭ > წ, აფა > ობა) > **წყობა** > **მო-წყობა** > **სა-წყობი** > **ასა-წყობი** > **წყობილება** > **მ-წყობრი...**

მაგრამ ადიდებული, კალაპოტიდან გადმოსული, ღვარცოფი მდინარე უკვე ღვთის წყრომაა, წყევლაა, ამოწყვეტაა.

(ო. ქ.) **ჭყორინი** წყრომა.

ჭყორინი > (ჭ > წ, ო > 0, ინი > ომა) > **წყრომა** > **გაუ-წყრა...**

(ო. ქ.) **ჭყალა** წყევლა.

ჭყალა > (ჭ > წ, ა > ევ) > **წყევლა**.

(ო. ქ.) **ჭყვიდუა** წყდომა, წყვეტა; ხოცვა; გლეჯა.

ჭყვიდუა > (ჭ > წ, იდუა > 0) > **წყვ** > **ამო-წყვ-ეტა** > **წყვ-ეტილი** > **უ-წყვ-ეტი** > **ნა-წყვ-ეტი** > **მო-წყვ-იტა** > **გადა-წყვ-იტა** > **გადა-წყვეტილება...**

აღსანიშნავია, რომ **ჭანჭყარი, ჭაობი, ჭყანტობი, ჭყანტი, ჭყანტა...** როგორც სხვა მრავალი წმინდა წარმართული კოლხური სიტყვები, უცნობია ოდიშური მეგრული ენის ლექსიკისათვის, რამაც თავის მხრივ უნდა მიგახვედროთ – წარმართული კოლხური მეტყველება, საუკუნეთა მანძილზე, მხოლოდ ოდიშის ტერიტორიას არ მოიცავდა. მოგაწვდით ამ მტკიცების განსხვავებულ მაგალითს.

წარმართული კოლხური **ლენჭყი, ლენჭყონა** (ნოტიო, ჭაობიანი ადგილი, წყალჩამდგარი ადგილი) დაფიქსირებულია ოდიშშსა და იმერეთში, ხოლო მისი განვითარება ლირჭყი უკვე ქართლური დიალექტის კუთვნილებაა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლირჭყი** კუთხ. (ქართლ) „წვიმის შემდეგ თხელი ტალახი“.

ამჯერად განხილული მასალა საკმარისად მივიჩნიოთ და ნაშრომის ეს ნაწილი დღეს საქართველოს სიმბოლოდ ქცეულ სახელწოდება **ხინკალი**-ს წარმართული კოლხური წარმომავლობის დადგენით მოვამთავროთ.

ხინკალი

ხინკალ-ი[1] 1. დაკეპილი ხორცი (კარტოფილი, ხაჭო...) პურის ცომში გახვეული და მოხარშული. 2. ძვ. „დუმის შაშხი“ (საბა). 3. კუთხ. (იმერ.) შიგნეულის პომიდვრიანი ყაურმა (**ქ.ე.გ.ლ.**).

ხინკალ-ი[2] (ხინკლისა)1. კუთხ. (ლეჩხ.) წვრილი ფიჩხი, --კიწაწი. 2. კუთხ. (იმერ.) ნამუსრევი, ნამცეცი (**ქ.ე.გ.ლ.**).

სახელწოდება **ხინკალი**-ს ხუთივე მნიშვნელობებს განსაზღვრავს წარმართული კოლხური **ხინკი**-ს შინაარსი.

(**ო. ქ.**) **ხინკი** ხის ხმელი ტოტი, ფიჩხი, ჩხირი, -- ხიკი.

ხინკი-ში ფორმა **ხინ** გამოსახავს თავად ხმელ ფიჩხს, ხოლო ფორმანტი **კი** მის ხისტ, მტკიცე (ტკიცინა) ბუნებას. ანუ **ხინ+კი**-თ იგულისხმება, რომ ნედლი ტოტი დრეკადია, მოქნილია, ხოლო როცა ის ხმება ხდება ხისტი, მტკიცე.

(**ო. ქ.**) **ხინჯი** ხიდი... ზოგიერთი ხინჯს პატარა ხიდს ეძახის... ჭუბურ-ხინჯი წაბლის ხიდი.

სახელწოდება **ხინჯი** კომპოზიტია და **ხინჯი = ხინ**(კი) + **ჯი** = ხის ხმელი ტოტი + დაბლა = ხიდი. ამრიგად, მართლები არიან ისინი ვინც ხინჯს პატარა ხიდს ეძახიან, ვინაიდან ხის ტოტებით დიდ ხიდს ვერ ააგებ; ხოლო ჭუბურ-ხინჯი გვამცნობს, რომ ეს მცირე ზომის ხიდი წაბლის ხის ტოტებითაა გადებული.

ე. ი. **ხინკი** ესაა ხის ხმელი ტოტი და შესაბამისად სიტყვები შემდგარი ფუძით **ხინკ**, მისი შეკვეცილი ფორმებით **ხინ, ხიკ**, გამოსახავენ როგორც ტოტს, ფიჩხს, ჩხირს ასევე ზოგად მცნებას ხმელი.

(**ო. ქ.**) **ხიკინაფა** მაგრად [გამო]შრობა, {გამო]ხმობა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ხინკილა** – ღომის, ფეტვის ან ბრინჯის წვნიანი შეჭამანდი.

ხინკილა ესაა ღომის, ფეტვის ან ბრინჯის ხმელი (ხინკი) მარცვლებისაგან მომზადებული წვნიანი შეჭამანდი. ხინკი ასევე შემადგენელია ქართული განსაზღვრებისა **ჩხინკ**ი, იტყვიან გამხდარ ადამიანზეც, ანუ ფიჩხივით ხმელი, გამხდარი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ჩხინკ**-ი, **ჩხიკ**-ი კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ჩხირი.

ქართული ჩხინკი მეგრული **ხინგუს**-ს შინარსიის ცოდნის გამოვლენაა.

(**ო. ქ.**) **ხინგუ** გამხდარი.

ხინგუ კომპოზიტია და მასში ფორმანტი **გუ** ქართულად ნიშნავს -- მსგავსია.

ე. ი. **ხინგუ** = **ხინ**(კი) + **გუ** = ფიჩხი + მსგავსი = გამხდარი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ხიკ**-ი კუთხ. (რაჭ.) წვრილი შეშა (უპირატესად ნარიყი -- მდინარის მიერ გამონარიყი შეშა).

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ხიკვ**-ი 1. მურკი, ხვიტი. 2. კუთხ. (იმერ.) პურის ან მჭადის ნატეხი. „მოხუცებული კაცი ვარ, კბილები აღარა მაქვს, ხმელ ხიკვებს ვერაფერს დავაკლებ" (ზღაპ.).

მურკი ესაა კომბოსტოს ღეროს ტოტივით გამსხვილებული ნაწილი, ხოლო **ხვიტი** კეჟერას ჩხირივით ღერო ძირკვებიდან ფოთლამდე. ხიკვი-ს მეორე განმარტებაში ცხადია „ხმელი ხიკვები", ანუ ხმელი პურის ან მჭადის ნატეხები, იგივე ხმელი, გაშეშებული პურის ან მჭადის „ფიჩხები“ იგულისხმება.

როგორც **ხინკ**ი-დან თანხმოვან **ჩ**-ს დამატებით მიღებულ იქნა მცნება **ჩხინკ**ი, ასევე **ხიკვ**ი-ს დაემატა თანხმოვანი **ჩ** და გამოისახა ფრინველის სახელწოდება **ჩხიკვ**ი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ხი[ნ]ტკ**-ი (ხი[ნ]ტკისა): სახმობი ხი[ნ]ტკი კუთხ. (იმერ.) წამონაზარდი, რომელიც უჩნდება ცხენს ნესტოებში. „ცხენს გავუჭრით ცხვირის ნეშტს (= ნესტოს), მოვნახავთ სადგისით სახმობ ხინტკს და ამოვაჭრით“.

იმერული **ხინტკი** წარმართული **ხინტკირი. ხინტკორუა**-ს ხსოვნაა.

(ო. ქ.) **ხინტკირ**-ი1 ხრტილი; კაკნატელა. **ჩხვინდიში ხინტკირი** ცხვირის ხრტილი.

(ო. ქ.) **ხინტკორუა** 1. ცოტ-ცოტად თლა, [მო]ჩიჩქნა. 2. გადატ. ჩალიჩი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინცელი** კუთხ. (გურ.) ჩირის, ხახვის და მისთ. ასხმულა.

ნათელია, რომ ჩირი, ხახვი, ნიორი ასხმულ მდგომარეობაში ხმება, ხმელია.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინცური** კუთხ. (ქართლ.) მაგარი ნიადაგი, რომელიც ძნელად იხვნება.

მაგარი ანუ ხმელი (არაგაფუებული) ნიადაგი, რომელიც ძნელად იხვნება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინძავ**-ს პირს უკერავს (ტომარას) (ხინკივით წვრილი მახათით ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინჭო** (ხინჭოსი) ძვ. „ბრინჯის გასაწური“ (= ხმელის გასაწური ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინჭრიკვა** (ხინჭრიკვასი), **ხინჭრუკა** (ხინჭრუკასი) კუთხ. (თუშ.) „თეთრი, მაგარი ტალი ქვა; ხმარობენ სახურავად“.

თუშური **ხინჭრუკა** წარმართული კოლხური **ხინჭკი, ხინჭკვი**-ს ხსოვნაა.

(ო. ქ.) **ხინჭკ**-ი[1] კუნელი.

(ო. ქ.) **ხინჭკ**-ი[2], **ხინჭკვ**-ი (ხინჭკ[ვ]ი-ს) პატარა, მჭრელი კენჭი; ქვის პატარა წვეტიანი ქვა.

ხინ+ჭკი-ს შემთხვევაში, ჭრის მოქმედებას განსაზღვრავს ჰარმონიული წყვილი **ჭკ** (ჭკირუა = ჭრა, ჭკირილი = [და]ჭრილი). კუნელს იმდენად ეწოდა **ხინჭკი**, რომ მის ტოტებს ასხია „პატარა, მჭრელი კენჭი“-ვით მჩხვლეტავი ეკლები; ხოლო თუშურ ვარიანტში ტალი ქვას იმიტომ ეწოდა **ხინჭრიკვა**, რომ ტალი იგივეა, რაც კაჟი და მოგეხსენებათ – ადამიანები ოდითგან ძირითადად კაჟისაგან ამზადებდნენ როგორც ისრის მცირე ზომის წვეტიან პირებს (ქვებს), ასევე საჭრელ იარაღს. რაც შეეხება სახურავად ტალი ქვის გამოყენებას:

ტალი ქვას სახურავად იმიტომ იყენებდნენ, რომ იგი, მაგალითად, ტუფივით წყალს არ იწოვს და მუდამ მშრალია, ანუ ხმელია და სახურავიდან წყალი არ იწვეთება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინწავს** (ხინწა, უხინწავს) არჩევს, არკვევს, კაზმავს (მარცვლეულს). [ღომის თავთავებს] აგროვებენ, ყრიან ვარცლში, ხინწავენ, ანუ კაზმავენ.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხინწილაობა** კუთხ. (ფშ.) ჩხირკედელაობა.

ფშაური **ხინწილაობა**-ს შინაარსი სრულ თანხმობაშია ჩვენს **ხინკი**-ს მნიშვნელობათა განმარტებებთან და თითქოს **ხინწავს** განსხვავებულ შინაარსებს წარმოგვიდგენს. ამ გაუგებრობის გასარკვევად კვლავ მეგრული ენის ლექსიკას მივაკითხოთ.

(ო. ქ.) **ხინწი** ხის ანახეთქი, -- **ხიწვი**.

ე. ი. **ხინწი** > (ნ > 0, +ვ) > **ხიწვი.**

ხინ+წი-ში **ხინ** კვლავ **ხინკია**, ფიჩხია, ხის ანახეთქია, ხოლო მის მცირე ზომას განსაზღვრავს ფორმანტი **წი** (< წიაკალი).

(ო. ქ.) **წიაკალი** უმცირესი რამ, ნამცეცი; პატარა.

(ო. ქ.) **ხინწუა** გარჩევა; ფქვილის (ღერღილის) გაწმენდა ჩენჩისაგან (ხმელისაგან ჯ.კ.); მოსუფთავება, -- ხინწვა (მარცვლეულისა); ერთად მოგროვება. სიმინს დოღერღუნანი, უკალი ცირუნა დო ჩენჩის ხინწანა – სიმინდს რომ დაღერღავენ, შემდეგ ცრიან და ჩენჩს (ხმელს ჯ.კ.) მოაგროვებენ (მოაშორებენ, -- ხინწავენ).

ე. ი. **ხინწუა** ესაა მცირე ზომის, ხმელი ჩენჩისაგან ღერღილის, მარცვლეულის მოსუფთავება, გარჩევა და შემდგომ მისი მნიშვნელობები განივრცო – „არკვევს, კაზმავს, აგროვებენ".

გარდა განხილული მცნებებისა, ფიჩხის (**ხინკი**-ს) მუდმივი საჭიროებიდან გამომდინარე, **ხინკი**-ს ასევე მოგროვების მცნება დაუკავშირეს. კოლხები, და არა მარტო კოლხები აგროვებდნენ ფიჩხს (**ხინკი**-ს). მსოფლიოს ბავშვთა მუდმივ პრობლემას

წარმოადგენდა ცეცხლის გასაჩაღებლად საკმარი რაოდენობის ფიჩხის (**ხინკი**-ს) მოგროვება. ფიჩხების შეგროვების თემას, საერთო სათაურით „ფიჩხების შემგროვებლები“, მიუძღვნეს ნახატები მსოფლიო მხატვრებმა – **ჟაკ-ფრანსუა მილემ, კლოდ მონემ, ვან გოგმა, თომას გეინსბორომ, კუჩერ ედუარდომ, პერ ბილეტმა** და მრავალმა სხვამ.

(**ო. ქ.**) **ხინკუა** – მოგროვება, მოხიკვა.

მახინკალი მხიკველი, მგროვებელი.

ოხინკალი სახიკი, მოსაგროვებელი.

ხინკ+უა = **ფიჩხი** + **მოქმედება** -- გამოსახავს ფიჩხის მოგროვებას. მსგავსი მაგალითებია ქართულში: **შეშ+ება** = **შეშა** + **მოქმედება** = გაშეშება, გაშეშებული; **ხელ+ობა** = **ხელი** + **მოქმედება** = ხელოსნობა. შემდგომ მცნება **ხინკუა** (ფიჩხის მოგროვება) განივრცო და მიიღო ზოგადად **მოგროვება, მოხიკვის** შინაარსი.

დამატებითი ცოდნისთვის მოგახსენებთ, რომ წარმართული კოლხურით **ხინკოლუა** ნიშნავს მტვრევის ხმას. ე. ი. კომპოზიტ **ხინკუა**-ს შუაში ჩაუსვეს **ოლ**(ი), რაც სავალს, გზას აღნიშნავს და მივიღეთ **ხინკოლუა**.

ხინკოლუა = **ხინ** + **კი** + **ოლ**(ი) + **უა** = ფიჩხი + ძლიაერი (ტკიცინა) + სავალი (გზა) + მოქმედება = როცა თქვენ მოძრაობთ ფიჩხის მოსაგროვებლად, ვთქვათ ტყეში, უნებურად ფეხს დაადგამთ ფიჩხს, ან გვერდს გაკრავთ ხმელ ტოტს (იგივე ფიჩხს), გარშემო ისმის ფიჩხის მტვრევის, ტკიცინის ხმა. შემდგომ ეს შინაარსი განივრცო და შეიძინა ზოგადად მცნება მტვრევის მნიშვნელობა.

(**ო. ქ.**) **ხინკოლუა** 1. ძლიერი ხმაური; მტვრევის, გატეხის ხმა. 2. [და]მსხვრევა.

იგივე აზროვნება მეორდება წარმართულ **ფიჩხოლუა**-ს შემთხვევაშიც.

(**ო. ქ.**) **ფიჩხოლუა** – დამტვრევა, დაქუცმაცება, -- ფიჩხად ქცევა. კოკა ხუჯის ქვიკლაფიჩხოლგ კოკა მხარზე დაუმტვრია (ფიჩხად უქცია).

ფიჩხოლუა = **ფიჩხ**(ი) + **ოლ**(ი) + **უა** = ფიჩხი + სავალი (გზა) + მოქმედება = მტვრევა და შესაბამისად მტვრევის ხმაც. 1. ძლიერი ხმაური; მტვრევის, გატეხის ხმა. 2. [და]მსხვრევა.

იგივე აზროვნება მეორდება წარმართულ **ფიჩხოლუა**-ს შემთხვევაშიც.

(**ო. ქ.**) **ფიჩხოლუა** – დამტვრევა, დაქუცმაცება, -- ფიჩხად ქცევა. **კოკა ხუჯის ქვიკლაფიჩხოლგ** კოკა მხარზე დაუმტვრია (ფიჩხად უქცია).

ფიჩხოლუა = **ფიჩხ**(ი) + **ოლ**(ი) + **უა** = ფიჩხი + სავალი (გზა) + მოქმედება = მტვრევა და შესაბამისად მტვრევის ხმაც.

ასევე დამატებით აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან დროთა განმავლობაში **ხინკი** (ფიჩხი) დროის განმავლობაში ლპება, იფიტება, იხრწნება, მეგრულში გვაქვს მცნება **ხინუა**.

(**ო. ქ.**) **ხინუა** ლპობა, ფიტვა, ხრწნა.

ხინუა = **ხინ**(კი) + **უა** = ფიჩხი + მოქმედება = ლპობა, ფიტვა, ხრწნა.

აქ დავიმახსოვროთ მნიშვნელოვანი დეტალი, რომ განსხვავებით **ხინკუა**-საგან **ხინუა**-დან ამოღებულია ძლიერების, სიმტკიცის გამომსახველი თანხმოვანი **კ** და შესაბამისად **ხინუა**-თი გამოისახა ხის ტოტის დარბილების, ანუ ლპობის, ხრწნის პროცესი.

წარმართული. ხინკუა ქართულში დამკვიდრდა ფორმით **ხიკვა**.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ხიკავ**-ს კუთხ. (იმერ.) 1. ([მო]ხიკა, [მო]უხიკავს) აგროვებს წვრილმან საგნებს.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ხიკნი**-ს ([გამო]ხიკნა, [გამო]უხიკნია) კუთხ. (იმერ.) აცარიელებს რასმე, პირწმინდად იღებს რასმე.

ხინკალ-ი1 1. დაკეპილი ხორცი (კარტოფილი, ხაჭო...) პურის ცომში გახვეული და მოხარშული.

ამრიგად, ხინკლის მომზადების სირთულე სახინკლე მასალის პურის ცომში გახვევაა, ანუ გასახვევად წარმონაქმნი ნაოჭების (ოხინკალის) მოგროვება-მოხიკვა (ხინკუა), ერთ ჭიპად შეკვრაა და მა-ხინკალი-ს (მხიკველის) ოსტატობა ნაოჭთა მაქსიმალური რაოდენობის მოგროვება, მოხიკვაა (ხინკუაა); მხოლოდ ამის შემდგომ ვღებულობთ მოსახარშად გამზადებულ ხინკალს.

ე. ი. მეგრ. **მა-ხინკალი** > ქართ. **ხინკალი** > **მე-ხინკლე**.

მეგრ. **ო-ხინკალი** > ქართ. **ხინკალი** > **სა-ხინკლე.**

ხინკალი-ს დანარჩენ ოთხ განმარტებაში **ხინკალი** როგორც მცნება მოგროვება, მოხიკვა-ს, ასევე მცნება ხმელ-ს წარმოგვიდგენს.

ხინკალ-ი[1] 2. ძვ. „დუმის შაშხი" (საბა). 3. კუთხ. (იმერ.) შიგნეულის პომიდვრიანი ყაურმა (ქ.ე.გ.ლ.).

ხინკალ-ი[2] (ხინკლისა)1. კუთხ. (ლეჩხ.) წვრილი ფიჩხი, --კიწაწი. 2. კუთხ. (იმერ.) ნამუსრევი, ნამცეცი (ქ.ე.გ.ლ.).

(**ს. ს.**) **ხინკალი** დუმის შაშხი. ნ. აპოხტი.

(**ს. ს.**) **აპოხტი** ყოველთა **ჴმელთა** ჴორცთა სახელია, ხოლო განყოფით: შაშხი ეწოდების პოხილსა **ჴმელსა** ჴორცთა ოთხფერჴთა და ფრინველთასა, ხოლო ლორი მეტად პოხილსა ჴორცთასა და თევზთასა, ოფიტონი ღორის ფელიკსა **ჴმელსა** და ხინკალი დუმასა და სუთსა (ზუთხსა) **ჴმელსა**.

ცხადია მოხარშვამდე ხინკივით (ფიჩხივით) ხმელ შაშხის ნაჭერს **ხინკი** > **ხინკალი** ეწოდა.

შიგნეულის პომიდვრიანი ყაურმის სახელწოდება **ხინკალი** გვიხსნის, რომ მასში „მოხიკულია", მოგროვილია შიგნეულის სხვადასხვა ნაწილები და პომიდორიც.

ასევე ნამუსრევი სუფრის სხვადასხვა სახის ნარჩენები დიასახლისებისთვის იგივე **ოხინკალს** (მოსაგროვებელს, მოსახიკს, დასალაგებელს) წარმოადგენს.

დისქავერის ცნობით, **ხინკალი** ჩინელთა მიერ შექმნილი შეჭამანდია და მას წვნიან კერძთა რიგს აკუთვნებენ. **ხინკალი** საქართველოში, მსგავსად აკვნისა, თექისა... მონღოლთა მიერ უნდა იყოს შემოტანილი. ვინაიდან **ხინკლის** კეთება ძირითადად საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეთა ტრადიციაა და ასევე ის რეალობა, რომ წმინდა წარმართული კოლხური წარმომავლობის სახელწოდება **ხინკალი** ოდიშელთა ლექსიკისათვის უცხო სიტყვაა, ანუ სახელწოდება საქართველოს აღმოსავლეთითაა წარმოქმნილი, გვაფიქრებინებს, რომ XIII—XIV საუკუნეებში, როცა გამორჩეულად საქართველოს აღმოსავლეთით მონღოლთა გავლენა ძლიერი იყო, საქართველოს ამ ტერიტორიებზე წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული) მეტყველება ჯერ კიდევ მძლავრობდა.

მიუხედავად განხილული ქართული სიტყვების კოლხური წარმომავლობის სრული სიცხადისა, ისინი მაინც ვერ წარმოგვიდგენენ კოლხურ ენათა ურთიერთობის სიღრმისეულ ცოდნას. იმის აღსაქმელად თუ წარმართულ კოლხურ მეტყველებაში რატომ გამოსახავს ჰარმონიული წყვილი **ჭკ** წვის სიკეთესა და ძლიერებას, ჰარმონიული წყვილი **ჭყ** წყლის მიწაზე სვლას, ხოლო ჰარმონიული წყვილი **ჭვ** წყლის ზევიდან ქვევით დენას, ჰარმონიული წყვილი **ჩხ** სიცხეს, ხოლო ჰარმონიული სამეული **რჩხ** უკვე რეცხვას... შევუდგეთ წარმართული კოლხური ენის უმთავრესი საიდუმლოების -- კოლხური მეტყველების ლოგოგრამული აზროვნების შესწავლას.

ყველაზე დიდი მადლი, რასაც ცხოვრებაში ვეღირსე, იყო ის სასწაული, როცა აღვიქვი -- მრავალსაუკუნოვანი დუმილის შემდგომ როგორ ამეტყველდა ჩემში წარმართული კოლხური ლექსიკის აზროვნება, ანუ გამეხსნა ის გამაოგნებელი, თანადროული სამყაროს საწყისი გლობალური ცოდნა, რომელიც ქურუმებმა ჩადეს მათ მიერ შექმნილ კოლხურ მეტყველებაში. აღმოჩნდა, რომ ლაზურ-მეგრულ ენად წოდებული წარმართული კოლხური ენა ყოველი ქართველის (კოლხის) დედაენაა და ამავე დროს ქართველი (კოლხი) ერის ის წარმოუდგენელი სიმდიდრე რომელსაც სხვა ვერანაირი ნაღვაწი ჩვენი ერისა ვერ შეედრება.

ლოგოგრამული აზროვნება

ადამიანი განვითარებადი პრიმატია და სანამ მან, დღევანდელი გაგებით, გამართული მეტყველება ისწავლა, საკმაოდ გრძელი განვითარების პერიოდი გაიარა. მეტყველება ადამიანის რიგითი სასიცოცხლო იარაღია და როგორც ადამიანმა ქვის იარაღიდან, დროის განმავლობაში, ევოლუციური სვლით მოაღწია დღევანდელ ტექნიკურ შესაძლებლობამდე, ასევე მეტყველებაც განიცდიდა და განიცდის მუდმივ ცვლილებებს ადამიანთა მუდამ მზარდ სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

თუ საწყისში ადამიანები მიმიკურ-ჟესტიკულირებითი და ბგერითი მეტყველებით კმაყოფილდებოდნენ, შემდგომმა გონებრივმა განვითარებამ, მეხსიერების ჰორიზონტის გაფართოებამ, ურთიერთობის დამატებით ფორმები მოითხოვა და ადამიანებმა იწყეს სახვითი მეტყველება – **ლოგოგრაფია**.

Λογογραπηο [**ბერძ**. **λογοσ** – სიტყვა, ცნება, აზრი და **γραπηο** – ვწერ].

ლოგოგრაფია ესაა სიტყვის, ანუ ბგერებით შედგენილი ცნების, აზრის წერა (მატერიალიზაცია); წერის პროცესი კი იგივე ხატვაა და რასაც სრულად შეესაბამება ბერძნული გრაფიკა-ს შინაარსი: **γραπηο** – ვწერ, ვხატავ; ანუ გრაფიკა (ხატვა > ნახატი > ხატი) დამწერლობის საფუძველია.

ლოგოგრაფიის პირველ ფაზას წარმოადგენდა პიქტოგრაფია.

(ქ.ს.ე. III 361): „**პიქტოგრაფია**, ხატოვანი დამწერლობა აზრის ფიქსაციის უძველესი საშუალებაა. იგი პროდუქტია გვაროვნული წყობისა, საზოგადოებრივი ურთიერთობის დასაკმაყოფილებლად საკმარისი აღარ აღმოჩნდა მხოლოდ ბგერითი მეტყველება. პიკტოგრაფია წარმოშობით უკავშირდება პირველყოფილ სახვით ხელოვნებას, მაგრამ იგი ჩვეულებრივი ნახატისაგან განსხვავდება გამოყენებითი ხასიათით, რაც გულისხმობს აზრის გადმოცემას ნახატების საშუალებით. პიკტოგრამა აღნიშნავს კონკრეტულ საგანს, ხოლო მათი ჯგუფი გამონათქვამის ზოგად აზრს. ამ სისტემაში არ აისახება ენის ბგერითი მხარე, ენის დანაწევრება სიტყვებად. ამდენად მისი წაკითხვა შეუძლია ნებისმიერი ენის წარმომადგენელს“.

ადამიანთა სახვითი ურთიერთობის შემდგომ სტადიას ეწოდა **იდეოგრაფია**.

(ქ.ს.ე. III 361): „**იდეოგრაფია** [ბერძ. **idea** ცნება და **grapho** ვწერ], განვითარების თვალსაზრისით, პიქტოგრაფიის მომდევნო საფეხურია. ამ სახის დამწერლობაში ნიშანი (სახვითი ელემენტი) აღნიშნავს როგორც უშუალოდ საგანს, ასევე იდეებს, რომლებიც ამ ნიშანს უკავშირდებიან, -- მთლიან სიტყვას ნებისმიერ გრამატიკულ ფორმაში. მაგალითად, წრე გამოხატავს არა მარტო მზეს, არამედ სიცხეს, სინათლეს, სიტყვას „დღე"... იდეოგრაფიული დამწერლობა ფაქტობრივად არსებობდა როგორც

გარდამავალი საფეხური პიკტოგრაფიულ და ლოგოგრაფიულ დამწერლობათა შორის. იდეოგრამიული დამწერლობის ნიმუშები დადასტურებულია ძვ. შუმერში (ძვ. წ. III ათასწლეული)".

ე. ი. პიქტოგრაფიის ცალსახა მნიშვნელობის ნახატები, პიქტოგრამები (წრე გამოხატავს მხოლოდ მზეს), იძენენ დამატებით მნიშვნელობებს და ხდებიან იდეამატარებლები, იდეოგრამები (წრე გამოხატავს არა მარტო მზეს, არამედ მზესთან ასოცირებულ მცნებებსაც -- სიცხეს, სინათლეს, სიტყვას „დღე").

(**И. М. Дьяконов** 39): „Уже на стадии идеографии почти всякий знак более одного значения, так как он не только выражает понятие, не определяя, каким именно словом оно должно быть выражено, но при этом обыкновенно может передавать даже не одно понятие, а целый пучок ассоциативно связанных понятий: например, рисунок темного небосвода может означать „ночь", „темнота", „черный", „беда", „болезнь" и т.п., рисунок ноги – „ходить", „стоять", „приносить". **Поетому и при развитии логографии каждый знак получает целую группу понятий не связанных словесных значении, например, рисунок ноги передает основы du, ara, gin, „ходить", „идти", „стоять", tum „приносить".**

ვინაიდან უძველეს ენათა მსგავსად, კოლხური მეტყველების წარმოქმნისა და განვითარების ქვაკუთხედი სამყაროს სახვითი, ხატოვანი აღქმაა, გამორჩეული ყურადღება მივაქციოთ პიკტოგრაფიასა და იდეოგრაფიას შორის არსებულ უმნიშვნელოვანეს განსხვავებას.

ე. ი. პიკტოგრაფია ესაა რეალურად არსებული მატერიალური ფორმის კონკრეტული არსის გრაფიკული გამოსახვა. წრე მხოლოდ მზეს აღნიშნავს; ირმის გრაფიკული გამოსახულება ერთი ირემია, ხოლო ერთად რამოდენიმე ირმის გამოსახულება უკვე ჯოგია, ანუ პრობითობა იდეოგრაფიაში მინიმალურია და ესაა მიზეზი იმისა, რომ „ამ სისტემაში არ აისახება ენის ბგერითი მხარე, ენის დანაწევრება სიტყვებად. ამდენად მისი წაკითხვა შეუძლია ნებისმიერი ენის წარმომადგენელს".

პიკტოგრაფიისაგან განსხვავებით იდეოგრაფიის საფუძველი უკვე პირობითობაა, ადამიანი გონებრივად ვითარდება და იწყება საყაროს აღქმის აბსტრაგირება. მეტყველება დამატებითი რთული მცნებების დამკვიდრებას თხოულობს. არაა საკმარისი როცა წრე მხოლოდ მზის განყენებულ მცნებას წარმოადგენს. ვინაიდან მზე იძლევა სითბოს, სინათლეს, ხოლო მათი ცალკე გრაფიკული გამოსახვა შეუძლებელი იყო, ეს მცნებები მზის გამოსახულებას დაუკავშირეს და „წრე გამოხატავს არა მარტო მზეს, არამედ სიცხეს, სინათლეს, სიტყვას „დღე".

ასევე გამორჩეულ ინტერესს სახვითი ურთიერთობის განვითარების შემდგომი, ლოგოგრაფიულ-სილაბური პერიოდი წარმოადგენს, როცა კონკრეტულმა გრაფიკულმა გამოსახულებებმა (იდეოგრამებმა) ბგერის, სიტყვის მნიშვნელობები შეიძინეს.

(**ქ.ს.ე.** III 361): „**ლოგოგრაფიულ-სილაბური** ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი დამწერლობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემა იყო. იგი დღესაც იხმარება (ჩინეთში). ამ დამწერლობის სისტემის **საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე მრავალი მიშვნელობის იდეოგრამა** [ბერძ. **idea** ცნება და ლათ. **gramma** ასო, ნაწერი}. მაგრამ მისი კონკრეტულ სიტყვასთან დაკავშირება ხორციელდება დეტერმინანტივებით და დამატებითი გრაფიკული ნიშნებით, რომლებიც აღნიშნავენ ბგერით ერთეულებს (განსაკუთრებით გრამატიკულ ელემენტებში). **სიტყვასთან დაკავშირებულ იდეოგრაფიულ ნიშანს ლოგოგრამა ეწოდება. იმ ნიშნებისთვისაც, რომლებიც გამოხატავენ ბგერათა თანმიმდევრობას, აგრეთვე ლოგოგრამები**

გამოიყენება, მაგრამ ისინი „რებუსის“ პრინციპით წაიკითხებიან. მაგალითად, შუმერული გინა – „მოსული“ აღინიშნებოდა ლოგოგრამებით (ნახატებით) ფეხი + ქვა, რადგანაც ამ ენაზე ფეხს ჰქვია გი, ხოლო ქვას – ნა. ლოგოგრამები არ გადმოსცემდნენ ყოველთვის მარცვალს, მაგალითად ეგვიპტურში ისინი მხოლოდ თანხმოვნებს აღნიშნავდნენ, ხოლო აქადურში შესაძლებელი იყო მარცვალი დანაწევრებულიყო.

ლოგოგრაფიულ-სილაბური დამწერლობა სათანადო სისრულით გადმოსცემდა ნებისმიერ შინაარსს, რამდენადაც მისი საშუალებით ხერხდებოდა მეტყველების საკმაოდ ზუსტი ფიქსაცია. ამავ დროს, რამდენადაც პირვანდელი იდეოგრამა არ იყო უშუალოდ დაკავშირებული სიტყვის ბგერით მხარესთან, **მისი გამოყენება ხდებოდა განსხვავებული დიალექტებისა (ჩინეთში) და ენებისათვის (ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში)... დამწერლობის ეს სისტემა ჩნდებოდა ყველგან, სადაც პირველად ყალიბდებოდა სახელმწიფოები**“.

დამატებით ავხსნათ თუ რატომ ჩნდებოდა **„დამწერლობის ეს სისტემა ყველგან, სადაც პირველად ყალიბდებოდა სახელმწიფოები“**. ადრეულ ხანაში, რომელიმე სამხედრო ძალის მიერ ვრცელი დასახლებული ტერიტორიების შემოერთება იმდენად არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს, რამდენადაც შემდგომ ამ ტერიტორიათა ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესების მმართველობის ქვეშ გაერთიანება იყო. მოგეხსენებათ, რომ თითოეული სახელმწიფო მრავალტომობრივი წარმონაქმნია და საწყისში უმთავრეს დაბრკოლებას ენობრივი ბარიერი ქმნიდა. აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ ცენტრიდან წამოსული სიტყვა (ბრძანება, კანონი < „პირველად იყო სიტყვა“) შეუცვლელი, ერთი და იგივე მნიშვნელობით გავრცელებულიყო ვრცელი ტერიტორიის ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ მხარეებში; ეს თვისება კი ბუნებრივად განვითარებულ, დამწერლობის გარეშე მოქმედ ენებს არ გააჩნდათ.

ირანელმა აქემენიდებმა, რომლებმაც ძვ. წ. VII -- IV საუკუნეებში შექმნეს კოლოსალური იმპერია, მმართველობის გაიოლების მიზნით, იმპერიის შემადგენელ ხალხთა გამაერთიანებელ ოფიციალურ ენად არა საკუთრივ ირანული, არამედ არამეული ენა გამოაცხადეს. სემიტური წარმომავლობის მომთაბარე არამიელები ძირითადათ ვაჭრობას მისდევდნენ და არამეული მეტყველება ირანის იმპერიის შემადგენელი ხალხებისთვის ბევრად ნაცნობ ენას წარმოადგენდა, ვიდრე თავად ირანული ენა. ამ ტრადიციის არსებობა გახლავთ საქართველოს აღმოსავლეთით უძველეს ისტორიულ ძეგლებზე ჭარბი არამეული წარწერების არსებობის მიზეზი. არამეულ ენას იმდენად დიდი გავლენა გააჩნდა, რომ ბაბილონის ტყვეობაში ყოფნის შემდგომ ებრაელმა ერმა არამეულ ენაზე იწყო მეტყველება და თავად ქრისტეც არამეულ ენაზე ქადაგებდა.

ჩვენთვის სადღეისოდ უცნობია თუ რა ისტორიულმა ვითარებამ შეუწყო ხელი კოლხურ ტომთა საწყის გაერთიანებას, მაგრამ უდავოდ ეს იყო კოლხური ენისა და დამწერლობის შექმნის მიზეზი, ანუ კოლხმა ქურუმებმა ირანელთაგან განსხვავებით, მრავალრიცხოვან კოლხურ ტომთა გასაერთიანებლად, თანადროული მსოფლიო გამოცდილების გათვალიწინებით შექმნეს სრულიად ახალი, წარმართული კოლხური მსოფლმხედველობის მატარებელი მეტყველება.

(**ქ.ს.ე.** III 361): „ლოგოგრაფიულ-სილაბურ დამწერლობათაგან ცნობილია: ძვ. ეგვიპტური (ძვ წ. IV ათასწლეული), შუმერული (ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან) და მისგან განვითარებული სოლისებრი დამწერლობის სახეობანი (აქადური), პროტოელამური (იეროგლიფური) (ძვ. წ. III ათასწლეული), პროტოინდური (იმავე დროს), კრეტული დამწერლობა (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან), ჩინური (ძვ. წ.

II ათასწლეულიდან), ხეთური დამწერლობა (ძვ წ. II ათასწლეულის შუახანიდან), მაია დამწერლობა (ძვ. წ. I ათასწლეული).

ლოგოგრაფიულ-სილაბურ დამწერლობაში ლოგოგრამებად სხვადასხვა წარმოშობის ნიშნები გამოიყენება. ისინი შეიძლება ეკუთვნოდეს ამავე დამწერლობის სისტემას ან ნასესხები იყოს სხვა ენიდან. მაგ., აქადურში ლოგოგრამებად ხშირად გამოიყენება შუმერული სიტყვების ნიშნები ან მთელი გამონათქვამები. ამგვარ ჩანაცვლებულ უცხოურ მასალას ჰეტეროგრამები ეწოდება (ქართულში ასეთი ჰეტეროგრამაა შუმერული თვალის ლოგოგრამა, ანუ თანი-ს გრაფემა ⲭ.ⲥ.)...

ფინიკიურ დამწერლობაში 22 ნიშანია (ნაკლები ვიდრე ფონემათა რაოდენობაა ფინიკიურ ენაში). ხმოვანთა აღუნიშვნელობა ძვ. სემიტურ დამწერლობებში განპირობებული იყო სემიტური ენების ბუნებით, რომლებშიც სიტყვის მიშვნელობები უკავშირდება მხოლოდ თანხმოვანთაგან შედგენილ ძირებს, ხოლო ხმოვნები გამოიყენება გრამატიკული კატეგორიების აღსანიშნავად (ვ. **ახვლედიანი**)“.

ამრიგად, ლოგოგრაფიულ-სილაბური ანუ სიტყვიერ-მარცვლოვანი დამწერლობის წარმოქმნისას იდეოგრამებს უკვე ენაცვლებიან იდიოგრამების შინაარსის მატარებელი ნიშნები – მხოლოდ თანხმოვანი, ან მარცვალი, ანუ იგივე **ფონეტიკური ლოგოგრამა**.

(**Истрин** 134): «Во всех древнейших системах письма по мере их развития происходил процесс упрощения графической формы знаков, утери ими их первоначального изобразительного характера...

Логограмма «рот» (го) иачала применяться для обозначения звука г, логограмма «задвижка» (sa) – для звука s, логогрмма «водоем» (ša) – для звука š, логограмма «хлеб» (to) – для звука t»

ე. ი. **სახვითი ლოგოგრამები** იქცნენ **ფონეტიკურ ლოგოგრამებათ**, მხოლოდ მათ შეინარჩუნეს შინაარსის გადმოცემის ხატოვანი ბუნება. მსგავსად, წარმართული კოლხური თანხმოვანი **შ** (ფონეტიკური ლოგოგრამა) წარმოგვიდგენს ეგვიპტის ჰაერის ღვთაება **შუ**-ს, თანხმოვანი **ლ** წარმოგვიდგენს უკვე შუმერულ ჰაერის ღვთაება **ლილ**-ს, თანხმოვანი **ნ** წარმოგვიდგენს ეგვიპტურ პირველარსებულ ქაოტურ მორევს **ნუნ**-ს, თანხმოვანი **გ** წარმოგვიდგენს შუმერ დემიურგს, ღვთაება **გური**-ს...

ე. ი. **ფონეტიკური ლოგოგრამაა ის მხოლოდ თანხმოვანი, ან მარცვალი, რომელსაც სიტყვის აღმნიშვნელი იდეოგრამის (ხატის) მნიშვნელობა გააჩნია და ისინი „რებუსის“ პრინციპით იკითხებიან.**

მაგალითად წარმართულ კოლხურში თანხმოვანი **რ** წარმოგვიდგენს ეგვიპტურ მზის ღვთაება **რა**-ს და ვინაიდან მზე მუდამ მოძრაობს, ასევე მზე სიცოცხლის უცილობელი საარსებო ელემენტია, წარმართულ კოლხურში თანხმოვანი **რ** გამოსახავს მზის მცნებასთან დაკავშირებულ მხოლოდ ორ მახასიათებელს – მოძრაობას და არსებობას. მზის სხვა მახასიათებლების (სიცხე, სიმაღლე...) გამოსახვა სხვა თანხმოვნებს აქვთ გადანაწილებული.

უძველეს ენებში თანხმოვნები, ან სიტყვები, გამომდინარე მათი შინაარსიდან, სხვადასხვა რაოდენობის მცნებებს, მნიშვნელობებს გამოსახავდნენ:

(**გიორგი მელიქიშვილი** ურარტუ 123): „ურარტუელებმა შეითვისეს რა ასურელებისაგან ლურსმული დამწერლობა, საკმაოდ გაამარტივეს იგი: მაშინ, როცა ასურულ ლურსმულ დამწერლობაში ამა თუ იმ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს ათზე მეტი სხვადასხვა მნიშვნელობა (სხვადასხვა მარცვლის აღნიშვნა ან სხვადასხვა ცნების აღნიშვნა), ურარტულ დამწერლობაში ამა თუ იმ ლურსმულ ნიშანს აქვს ჩვეულებრივ ერთი ან ორი მნიშვნელობა“.

მაგალითად შუმერულ დამწერლობაში შესაბამისი ლურსმული ნიშანი წარმოადგენდა ფონეტიკურ ლოგოგრამას **kur**, რომელიც ერთროულად გამოსახავდა სამ შუმერულ ომონიმს: „მიწა“, „ქვეყანა“, „მთა“.

კოლხურ მეტყველებაში თუ თანხმოვან **რ**-ს მხოლოდ ორი (მოძრაობა და არსებობა) მცნების გამოსახვა აკისრია, თანხმოვან ლ-ს, რომელიც შუმერული ლილი-ს (ჰაერის) ლოგოგრამაა, ჰაერთან დაკავშირებული ბევრად მეტი მნიშვნელობები გააჩნია (ჰაერი, სირბილე, ჩვილი ბუნება, ლურჯი ფერი, ფორმა, საგანი, მოძრაობა, სივრცე...),

ამრიგად, უძველეს ენათა მსგავსად, წარმართულ კოლხურ მეტყველებაში მხოლოდ თანხმოვნები წარმოადგენენ იდეოგრამების (ხატების) შინარსის მატარებელ ფონეტიკურ ლოგოგრამებს, ხოლო ხმოვნები დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ. მეგრული ენის ეს თვისება ჯერ კიდევ ნიკო მარმა და იოსებ ყიშიძემ გამოავლინეს.

იოსებ ყიფშიძე წერს: „თანხმოვნებსა და ხმოვნებს მეგრულში, როგორც სხვა იაფეტურ ენებში, გააჩნიათ საკუთარი სემასიოლოგია ანუ მნიშვნელობა. თანხმოვნებს მინიჭებული აქვთ უნარი, გამოხატონ დროისა და ადგილის განუსაზღვრელად, გაგებანი და იდეები, ესენია - ბგერები - იდეამატარებლები, ხოლო ხმოვნები, პირიქით, ფლობენ უნარს, შემოსაზღვრონ იდეის უსაზღვროება ადგილისა და დროისადმი. ესენია ბგერები - საზღვარდამდებნი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანხმოვნები მსახურობენ ძირებად, ხოლო ხმოვნები - განმსაზღვრელ ელემენტებად“.

ამრიგად, კოლხურ მეტყველებაში თითოეული თანხმოვანი განცალკევებით, მარტივი შინაარსის მქონე დამოუკიდებელ ფონეტიკურ ლოგოგრამას წარმოადგენს, ხოლო რთული შინაარსის მატარებელ მცნებათა, სიტყვათა შინაარსის გადმოსაცემად თანხმოვნები ქმნიან კომპოზიტებს, შესაბამისად წარმართული კოლხური სიტყვები წარმოადგენენ ლოგოგრამულ კომპოზიტებს, ანუ რთულ ლოგოგრამებს და ცხადია კოლხური სიტყვების მნიშვნელობათა კითხვა იგივე „**რებუსის**“, ანუ **ლოგოგრამული აზროვნების პრინციპითაა შესაძლებელი**.

ე. ი. ლოგოგრამული აზროვნება ესაა „რებუსის“ პრინციპით, ორი და მეტი მარტივი ლოგოგრამების, იგივე იდეოგრამების მნიშნელობათა შეჯამებით რთული ლოგოგრამის შინაარსის დადგენა, ანუ ლოგოგრამული კომპოზიტის შემადგენელთა ჯამური შინაარსის განმარტება.

შუმერული ლოგოგრამული კომპოზიტი **გინა** = **გი** + **ნა** = ფეხი + ქვა შედგება ორი მარტივი ლოგოგრამისაგან, რომლებიც გამოხატავენ ფეხსა და ქვას. კითხვის „რებუსული“ პრინციპის სირთულე იმაში გამოიხატება, რომ მცნებების **ფეხი**-სა და **ქვა**-ს ერთობლიობამ, კომპოზიტმა, თქვენში შესაძლოა დაცემის ასოციაცია გამოიწვიოს (ბავშვები სირბილისას ხშირად წამოკრავენ ფეხს ქვას და ეცემიან), ან სულაც ხანგრძლივი სიარულისაგან დაღლილი, დამძიმებული ფეხები გაგახსენდეთ ვიდრე მცნება მოსული.

გინა-ს შუმერული ლოგოგრამული აზროვნება, „რებუსული“ პრინციპით, შემდეგნაირად იკითხება: ლოგოგრამა **გი** (ფეხი) მიგვანიშნებს სიარულს, ხოლო **ნა** (ქვა) წინააღმდეგობას და:

გი + **ნა** = **ფეხი** + **ქვა** = სიარული + წინააღმდეგობა (მანძილი, დაღლა) = (შორი) მანძილიდან სვლა = მოსული.

ე. ი. მარტივია გამოსახო ფეხის გრაფიკული ფორმა და შესაბამისად მიიღებ ფეხის აღმნიშვნელ მარტივ სახვით ლოგოგრამას, რომელსაც შუმერებმა უწოდეს გი; ასევე იოლია მატერიალურად არსებული ქვის ფორმის გრაფიკული ნახატის შედგენა, მხოლოდ შეუძლებელია კონკრეტული ნახატით (იდეოგრამით), ანუ მარტივი ლოგოგრამით გამოსახო მცნება მოსული, ამ აბსტრაქტული მცნების გადმოსაცემად

შუმერებმა შეადგინეს მარტივი ლოგოგრამების (იდეოგრამების) **გი**-სა (ფეხისა) და **ნა**-ს (ქვის) კომპოზიტი და უკვე ამ ორი მარტივი ლოგოგრამის მნიშვნელობათა შეჯამებით, შეჯერებით (ლოგოგრამული აზროვნებით) მიღებულ იქნა ახალი რთული მცნება **მოსული**. ანუ რთული მცნება **მოსული**-ს ლოგოგრამას მარტივი ლოგოგრამების **გი**-სა და **ნა**-ს კომპოზიტი **გინა** წარმოგვიდგენს და თავად **გინა** ხდება მცნება **მოსული**-ს რთული ლოგოგრამა.

(**В. А. Истрин** 151): „Почти все древнейщие китайские слова и большинство шумерских слов были однослоговыми. Образование же новых, более сложных слов происходило в китайском и шумерском языке главным образом путем сложения первоначальных однослоговых слов, которые превращались в корневые морфемы нового сложного слова“.

კოლხურ მეტყველებას შუმერული **გინ**-ას სრული შესატყვისი სვლის, მოძრაობის მიმართულების აღმნიშვნელი, კოლხურში ზმნიზედად და ზმნისწინებად დამკვიდრებული ჰეტეროგრამები **გინა, გინი** და **გინო** გააჩნია.

(**მამანტი ძაძამია** I 17): „(რთული ზმნისწინი) **გინო, გგნო** – ზედ, ზედ რაღაცაზე, იქით წინააღმდეგობის გადალახვით: **გინო**-ულა (გადასვლა, ვთქვათ, ღობეზე, კედელზე)... **გინო**-ღალა (გადატანა რაიმე საგნისა, ვთქვათ, ღობეზე, ფერდობზე)“.

(**ო. ქ.**) **გინაბიჯგეფი** დანადგამი, დანაბიჯები.

(**ო. ქ.**) **გინათხუა** განათხოვები.

(**ო. ქ.**) **გინალუ** 1. გადასასვლელი; 2. გადასავარდნი ადგილი.

(**ო. ქ.**) **გინაფა** გაგება, შეტყობა.

(**ო. ქ.**) **გინი, გინიი** ზმნზ. გაღმა; იქით, იქითა მხარეს.

გინაფა = გინა + (ა)ფა = მოსული + მოქმედება = გაგება, შეტყობა ანუ გაიგეთ, შეიტყვეთ გარკვეული მანძილიდან მოსული უცხო ამბავი, ასევე შეგიძლიათ სხვას გააგებინოთ, შეატყობინოთ თქვენი სურვილი. წარმართული კოლხური **გინაფა** ქართულში გადაკეთდა **გინება**-დ, ანუ გინებით თქვენს მოწინააღმდეგეს ატყობინებთ, აგებინებთ თუ რა აზრისა ხართ მასზე, ან რას უსურვებთ. სვანურში შუმერული **გინა**-დან წარმოდგა ლი-**გინ**-ე (ფეხზე დგომა).

შუმერული **გინა** (სვლა) დამკვიდრებულია როგორც ძველ, ისე ახალ ენებშიც, ასე მაგალითად: ჰაიკთა მეტყველებაში **გნუმა** (= მიდის), სლავურში **гнать, гонка, гонец, гонимый**... თურქულში მიიღო ფორმა **გეთ** (წადი), ინგლისურში **გოუ** (სვლა)... ანუ დროში ტალღისებური გავრცელებით, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მუდმივად მიმდინარეობს გლობალურ გამოცდილებათა გაზიარება.

მსგავსად **გინა**-სი, ასევე რთულია შუმერული ლოგოგრამული კომპოზიტის (**ქალი + მთა**) მნიშვნელობის ამოკითხვა. არ ვიცი თქვენ რა წარმოგიდგათ მცნებების **ქალი**-სა და **მთა**-ს გაერთიანებით, ჩემში კი თავდაპირველად წარმოისახა ორი ვარიანტი:

1. ვინაიდან მთა იწვევს სიძლიერისა და დიდი ფორმის შეგრძნებას, მაშინ **ქალი + მთა** = ძლიერი, ტანსრული ქალი.

2. მთის ფორმის, შინაარსის სრული აღქმა მხოლოდ შორი მანძილიდანაა შესაძლებელი, ანუ მთა ასევე აღძრავს სიშორის მცნებას და **ქალი + მთა** = შორეული, უცხო ქალი. აღსანიშნავია, რომ მთების გრაფიკული გამოსახულება ძვ. ეგვიპტურით უცხო ქვეყანაც აღინიშნებოდა.

აღმოჩნდა, **ქალი + მთა** = მონა (ქალი). ამ შინაარსის ახსნა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიხსენებთ, რომ წარსულ სინამდვილეში, ძირითადად, მთებს იქითა, ანუ შორეული, უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს იმონებდნენ.

არც რთული შუმერული ლოგოგრამა (ხარი + მთა) არ გვიხატავს ძლიერი ხარის სახეებას. ამ ლოგოგრამაში მცნება მთა (შორეული მხარე) უკვე ადამიანთაგან დაუსახლებელ ველურ ბუნებას წარმოგვიდგენს, რომელიც გარეული ცხოველების საცხოვრისია, შესაბამისად შუმერული **ხარი** + **მთა** = გარეული ხარი.

რთული ლოგოგრამების (**ქალი** + **მთა**)-ს და (**ხარი** + **მთა**)-ს მაგალითების განხილვით ჩვენ ვადგენთ, რომ ლოგოგრამა **მთა**-ს მცნებათა მრავალსახოვანი მნიშვნელობებიდან (სიმაღლე, ფორმა, ძლიერება, შორი მანძილი...) კომპოზიტში მისი კონკრეტული სახის გამოვლენა, დამოკიდებულია კომპოზიტის მეორე შემადგენელი ლოგოგრამის შინაარსზე. ე. ი. (**მთა** + **ქალი**)-ს შემთხვევაში, ლოგოგრამა მთა გამოსახავს შორეული, უცხო ქვეყნის მცნებას, ხოლო (**მთა** + **ხარი**)-ს შემთხვევაში, ლოგოგრამა მთა გამოსახავს ველურ ბუნებას.

მსგავსად მთის ლოგოგრამისა, შუმერული ქალის მკერდის გამოსახულების ლოგოგრამა შეიძლება აღნიშნავდეს როგორც თავად ქალის მკერდს, ასევე მცნებებს „ვაჟი“ (dumu), „პატარა“ (tur), „ბიჭი“ (banda).

ვინაიდან დამოუკიდებლად, მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ღრუბლების გარეშე ცის მცნების გრაფიკული გადმოცემა შეუძლებელია, რთულ შუმერულ ლოგოგრამაში (**ვარსკვლავი** + **წყალი** = წვიმა) ვარსკვლავს, როგორც ცის მუდმივ მკვიდრს, პირობითად ასევე ცის მცნების გამოსახვაც დაეკისრა; მხოლოდ ამ ცოდნის შემდეგ ხდება ნათელი, თუ რატომაა, რომ შუმერული **ვარსკვლავი** + **წყალი** = **ცა** + **წყალი** = წვიმას, ანუ ციდან წამოსული წყალი წვიმაა.

ლოგოგრამის (**თვალი** + **ძაღლი** = ავი) შინაარსი ასე იხსნება: თვალის იდეოგრამაში, თვალი გახელილ მდგომარეობაშია დაფიქსირებული, ანუ მუდამ თვალგახელილი ძაღლი ფხიზელი ძაღლია და ქურდებისთვის ავი.

შედარებით იოლი აღსაქმელია შემდეგი შუმერული ლოგოგრამები:

სხეული + **ჯოხი** = ფიზიკური დასჯა.
ფრინველი + **კვერცხი** = დაბადება.
პური + **პირი** = ჭამა.
ქალი + **კაბა** = ქალბატონი...

მსგავსი ჩინური ლოგოგრამებია:

მზე + **მთვარე** = სინათლე, ბრწყინვალება.
ქალი + **ბავშვი** = სიყვარული.
წყალი + **თვალი** = ტირილი, ცრემლები.
პირი + **ფრინველი** = სიმღერა.
მახვილი + **გული** = მოთმინება...

საინტერესო მაგალითია, თუ როგორ გადაწყვიტეს მცნება **ცქერა**-ს ჩამოყალიბება შუმერებმა და ჩინელებმა:

შუმ. **ცქერა** = **თვალი** + **მშვილდი.**
ჩინ. **ცქერა** = **ხე** + **თვალი.**

შუმერული ლოგოგრამა გვიხსნის: როგორც მშვილდიდან ისარი გამოიტყორცნება, ასევე თვალი ისარივით გამოსტყორცნის, მიაპყრობს მზერას სასურველ სივრცეს, საგანს. მსგავსი შინაარსისაა წარმართული კოლხური კომპოზიტი:

თორღვა = **თო**(ლი) + **რღვა**(ფა).

(**ო. ქ.**) **რღვაფა** 1. გადაყრა, რღვევა, ნგრევა.

რღვაფა-ში აფა მოქმედების სუფიქსია და ფუძეა **რღვ**. მეგრ. **რღვ** ასევე ფუძეა ქართული სიტყვებისა ბ**დრღვ**იალი > ბ**რდღვ**იალი > ბ**რდღვ**ინვა > ბ**რდღვ**ნა > ბ**რდღვ**ირი... ასევე და-ი-**რღვა** > **რღვ**ევა...

ე. ი. **თორღვა** = **თო**(ლი) + **რღვა**(ფა) = თვალი + გადაყრა, ნგრევა = თვალებგადმოყრილი, თვალებგადმოკარკლული, თვალებრდღვიალა.

ჩვენს მიერ ახსნილი სახელწოდება თორღვა-ს წარმართული კოლხური შინაარსი სრულად შეესაბამება ხევსურთა მითოლოგიური გმირის **თორღვა ძაგანი**-ს სახებას.

(**აკაკი გელოვანი** 210): „**თორღვა ძაგანი** – ქართ. (ხევსურული) მითოლოგიის გმირი, ზესკნელ-ქვესკნელში ერთგვარად გამოჩენილი, **შეუპოვარი, მოუსვენარი მეამბოხე**, იმდენადვე მამაცი, რამდენადაც დროდადრო მოძალადე და მოიერიშე თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ „თავის სიცოცხლე ვაჟკაცმა რო ვერ დაცადოს, ბრალია"... შუმერულ-ბაბილონელთა თამუზის (დუმუზის) მსგავსად ჩადის ქვესკნელში... თორღვა ძაგანს შეხვედრები აქვს ხოგაი მინდიასთან. ორივე სრულყოფილ ღვთაებრივ გმირად იქცევა გველის ხორცის ჭამით... თორღვა ესაა ბრძენკაცი, **მეამბოხე დემონი**, თეთრ ყორანს რომ ასდევნებია. ძაგანის და ხოგაის მინდიას სიკვდილსაც მთელი ბუნება შეიცხადებს. ამ ორ გმირს ნამდვილი ორეული ძნელად მოეძებნება“.

თორღვა ახმეტის რაიონის ადრინდელი სახელწოდებაა; **თორღვას** აბანო ადგილობრივი კურორტია თელავის რაონში; **თორღვა** პანკელი კახეთის გამგებელი გახლდათ XIII საუკუნეში; ხოლო გვარი **ძაგანი** < **ძაგანია** გავრცელებული გვარია სამეგრელოში.

მეგრულს გააჩნია თორღვა-ს მსგავსი კონსტრუქციის კომპოზიტი **თოლიღვირა.**

(**ო. ქ.**) **ღვირალი** რთული სიტყვის მეორე შემადგენელი წევრი: თოლიღვირა თვალჟუჟუნა.

ჩინური რთული ლოგოგრამის (**ხე** + **თვალი**) = ცქერა-ს მსგავსი ლოგოგრამული აზროვნების მატარებელი წარმართული კოლხური კომპოზიტებია:

(**ქ.ე.გ.ლ.**) **თოჯა** ძვ. თოჯინა.

თოჯა = **თო**(ლი) + **ჯა** = **თვალი** + **ხე** = ცქერა, საცქერალი.

თოლენჯი = **თოლე**(ფი) + **ნჯა** = **თვალები** + **ხე** = თვალადი, საცქერალი.

თოჯინა = **თო**(ლი) + **ჯინა** = **თვალი** + **ცქერა** = თვალწარმტაცი, მშვენიერი.

ე. ი. ჩინურის მსგავსად, წარმართულ კოლხურში ზოგადად ცქერის მცნება – **ჯინა**, ხის (**ჯა**-ს) მცნებას უკავშირდება (წარმართულ კოლხურში თანხმოვანი **ჯ** ხის ლოგოგრამას წარმოადგენს) და ვინაიდან ხე მუდმივად ერთ ადგილზე იმყოფება ასევე იგი დამატებით ლოდინის მცნებასაც გამოსახავს.

(**ო. ქ.**) **ჯინა** 1. მზერა, ყურება, ცქერა, ხედვა. 2. ლოდინი, ყოვნება, ცდა (მოცდა).

ამგვარად, ჩვენ გამოვავლინეთ წარმართული კოლხური წარმომავლობის კომპოზიტები **თორღვა, თოჯა, თოლენჯი** (სოფელია თიანეთის რ-ში), **თოჯინა**, რომლებიც სადღეისოდ უცხოა ოდიშური მეგრულისათვის (მეგრულად **თოჯინას** ეწოდება **კენჯა**) და ქართული (ქრისტეანული კოლხური) ლექსიკის მკვიდრ კოლხურ სიტყვებს წარმოადგენენ.

ჩინური ლოგოგრამის (**ყური** + **კარი** = მოსმენა, მიყურადება) მსგავსია მეგრული **თოყუჯი** = **თო**(ლი) + **ყუჯი** = **თვალი** + **ყური** = თვალყური, ყურადღება.

მსგავსად განხილული კომპოზიტებისა **თორღვა, თოლენჯი, თოჯინა, თოყუჯი, თოლიღვირა,** წარმართულ კოლხურს გააჩნია თვალის მცნებასთან დაკავშირებული სხვა მრავალი კომპოზიტი: **თოლბარბაჩია** (თვალგიზგიზა), **თოლიგე** (საალერსო-საფიცარი მიმართვა), **თოლიგვირა** (თვალფართო), **თოლისეირი** (თვალსეირი, სანახაობა), **თოლიყირზა** (თვალებგადმოკარკლული), **თოლიხვიჩა** (თვალვარსკვლავა), **თოლონჭე** (თვალსაწიერი), **თოლოწონი** (თვალწინ), **თორჩე** (თვალთეთრა), **თოჭუ** (თვადახუჭული), **თოხილია** (თვალგახელილი)...

ამრიგად, ჩვენ ვადგენთ უმთავრესს: -- კოლხურ სიტყვათა კონსტრუქციები, მათი კომპოზიციური შინაარსები სრულად შეესატყვისება შუმერულ, ჩინურ და სხვა უძველეს ენათა ლოგოგრამული აზროვნების ფსიქოლოგიას, სამყაროს ხედვას.

ჩვენ მხოლოდ ორი მარტივი ლოგოგრამით შედგენილი ახალი მცნებების წარმოქმნა განვიხილეთ; შედარებით რთულია სამი და მეტი ლოგოგრამით შედგენილი სიტყვების შინაარსების შეცნობა.

ე. ი. სიტყვის მნიშვნელობის ამოკითხვას ართულებს ის რეალობა, რომ უძველეს ენებში, განსხვავებით თანამედროვე მეტყველებიდან, ერთ სიტყვას გააჩნდა განსხვავებულ მნიშვნელობათა ფართო სპექტრი. მოგაწვდით მაგალითებს ხეთური ენის ლექსიკიდან.

(ი. ტ.) **karat**- შიგნეულობა, შინაგანი ორგანოები, ნაწლავები, შიგანი, გულ-მუცელი, წიაღი; შინაგანი სამყარო, ბუნება, არსი, სული და გული.

(ი. ტ.) **karp-, karpiya**- მოწყვეტა, შეგროვება (ხილისა და ა.შ.); აწევა, აღება; მოპარვა; მოთხობნა, დაკისრება, აკრეფა (გადასახადის და ა.შ.); დარაზმვა, მობილიზება, აღძვრა, წამოწყება, განხორციელება, დასრულება; აგრეთვე დაპყრობა, დამორჩილება; გადაწყვეტილების მიღება; (რისამე) სადავოდ გახდომა.

(ი. ტ.) **nin(n)k** (I) (ჯარის, ხალხის) შეკრება, დაძვრა, მობილიზება; გადაადგილება, გადატანა, გადაყვანა; (რაიმეზე) წაქეზება, (რაიმესაკენ) ბიძგება; (**med.-pass., act. intrans**) უწესრიგოდ, თავაშვებულად მოქცევა; (ვისიმე) შეცბუნება, პანიკაში ჩაგდება, უწესრიგობის / არეულობის გამოწვევა; (ვისიმე) შეწუხება, დაფრთხობა; (ბეჭედდასმული დოკუმენტის) გახსნა / გატეხვა; აწევა, ზევითკენ წაღება / წაყვანა, (ჯარის, ხალხის) შეკრება, მობილიზება; (**med.-pass.**) ადგომა. წამოდგომა.

ამ თემას ვრცლად წარმართული კოლხური ენის ლოგოგრამული აზროვნების მაგალითების კვლევის პროცესში განვიხილავთ. პროცესის დაწყების წინ კი კვლავ გავიხსენოთ, რომ ეგვიპტურ, ფინიკიურ, არამეულ დამწერლობებში ხმოვნებს შესატყვისი გრაფემები არ გააჩნდათ.

(**В. А. Истрин** 275):"Между тем в египетском консонантном письме гласные вообще не обозачались".

(**В. А. Истрин** 275): „Особенностью финикийского письма было то, что все его знаки обозначали согласные или полугласные... звуки; что касается гласных, то они при письме пропускались и не обозначались".

ეგვიპტურ დამწერლობაში გრაფემებით მხოლოდ თანხმოვნები გამოისახებოდნენ; ასევე წარმართულ კოლხურში მხოლოდ თანხმოვნები წარმოადგენენ ლოგოგრამებს. ანუ კოლხური წარმომავლობის სიტყვები თანხმოვანთა კომპოზიტებია, რომლებშიც თითოეულ თანხმოვანს საკუთარი ფონეტიკური ლოგოგრამული დანიშნულება გააჩნია და სიტყვის შინაარსის (ფსიქოლოგიის) წაკითხვა მხოლოდ ლოგოგრამული აზროვნებითაა შესაძლებელი.

(**В. А. Истрин** 136): «логограммы, в особенности деографические, более удобны для языков с сильно разняшимися диалектами».

ე. ი. ლოგოგრამებმა, ლოგოგრამულმა აზროვნებამ ხელი შეუწყო მრავალრიცხოვან კოლხურ ტომთა გაერთიანებას.

აღსანიშნავია, რომ კოლხური ენის ლოგოგრამული აზროვნება, მსგავსად შუმერული ენისა, გაადვილებულია მისი აგლუტინაციური ბუნებით.

(**В. А. Истрин** 79): «в аглютинативных языках сравнительно легко выделяются неизменямые корневые основы слов, хорошо передаваемые логограммами; кроме того, логограммы, передающие корневые основы, без особых затруднений сочетаются здесь с фонетическими знаками, служащими для передачи аффиксов».

ე. ი. კოლხურ მეტყველებას გააჩნია როგორც მხოლოდ თანხმოვნებით შედგენილი კომპოზიტები **ϧϩ** (ϧ+ϩე), ასევე კონკრეტული შინაარსების მატარებელი სიტყვებით შედგენილი კომპოზიტები **თოχინა** [**თო**(ლი)+**χინა**].

ჩვენი ამოცანაა, ეგვიპტური მეტყველების მსგავსად, შევიცნოთ და გავიაზროთ თითოეული კოლხური თანხმოვნის ლოგოგრამული შინაარსი. ამ მიზნით გავიხსენოთ ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობა:

„კიდევ სხვა რამის თქმა შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი – ეგვიპტურს (II --105)“.

სარდინიასთან დაკავშირებით გავიხსენოთ თბილისში ჩატარებული მსოფლიოს ხალხთა ხალხური სიმღერების ფესტივალი, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ სარდინიელები და კორსიკელები ჩვენს მსგავს მრავალხმიან სიმღერებს მღეროდნენ. ასევე გავიხსენოთ ელიზე რეკლიუს ცნობა:

„главными памятниками древних сардов служат так называемые нураги, представляющие настоящие доисторические здания...В настоящее время в сардинии около 4000 таких нураг... Сравнительно позднеишие нураги, построенные в течении бронзового века и после, сложены из камия, но без цемента, и состоят уже из двух, или трех помещений, одно над другим, куда ведет лестница из больших камней; в таких нурагах могли поместиться более сотни человек. Эти нураги напоминают немного жилища... **сванетов** на Кавказе“ (**ელიზე რეკლიუ** გვ. 104—105).

ე. ი. ოდითგან სარდინიელთა მსგავსად ვამუშავებდით სელს, ვაშენებდით მსგავსი არქიტექტურის სახლებს და დღესაც მსგავს მრავალხმიან სიმღერებს ვმღერივართ. ეს რეალობა ჰეროდოტეს როგორც ისტორიკოსის სანდოობაზე მიუთითებს და ასევე იმაზე, რომ ჩვენც და სარდინიელებიც ხმელთაშუა ზღვის აუზის მკვიდრთა გამაერთიანებელი ცივილიზაციის შვილები ვართ (და არა ის, რომ ჩვენ და სარდინიელები ერთი და იგივე ხალხი ვართ).

რაც შეეხება ეგვიპტეს, დღევანდელი გადასახედიდან სად ძველი ეგვიპტე და სად კოლხეთი. მაგრამ შორეულ წარსულში ეს ასე არ იყო. ჰეროდოტედან დაწყებული, ძველი ბერძნული ტრადიციით, კოლხები ეგვიპტელთა ძლევამოსილ ლაშქრობათა შედეგად, კოლხეთის ტერიტორიაზე დასახლებულ ეგვიპტელთა შთამომავლებად ვითვლებოდით და რაც უპირველესად ეგვიპტესა და კოლხეთს შორის არსებულ გარკვეული სახის ურთიერთობებზე მაინც მიგვანიშნებს.

ეგვიპტელებთან კოლხეთის წარსულის დაკავშირებით ბერძნები ადასტურებენ კოლხეთში უძველესი ხანის დამწერლობის არსებობას, მხოლოდ ამას ეგვიპტური კულტურის გავლენის შედეგად მიიჩნევდნენ. ამ ბერძენთაგან გამორჩეულია ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგებელი **აპოლონიოს როდოსელი.**

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, ელინისტური ეპოქის უდიდესი წიგნსაცავი. დაარსდა ძვ. წ. III საუკუნის დამდეგს ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში ალექსანდრიის მუსეიონთან [ბერძნ. **Museion** მუზების ტაძარი]. ალექსანდრიის მუსეიონი, ანტიკური

სამყაროს ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო და კულტურული ცენტრი, დაარსდა ძვ. წ. III საუკუნეში **პტოლემე** I დროს. აქ იწვევდნენ იმდროინდელი მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებს, ფილოსოფოსებსა და მწერლებს, რომლებიც აქვე ცხოვრობდნენ და გასამრჯელოს ეგვიპტის მეფეებისაგან იღებდნენ. აქ მუშაობდნენ ჰომეროსის პოემების ტექსტებზე. მუსეიონში მოღვაწეობდა ცნობილი ფილოსოფოსი და ფიზიკოსი **სტრატონი** (ძვ. წ. III ს.), რომელმაც პირველმა სცადა ფიზიკური მოვლენების ასახსნელად ექსპერიმენტის გამოყენება. მისი მოწაფე **არისტარქე სამოსელი** (ძვ. წ. 310—230), მზის გარშემო დედამიწისა და პლანეტების მოძრაობის ჰიპოთეზის ავტორი, მიჩნეულია **კოპერნიკის** წინამორბედად. მუსეიონში მათემატიკას ასწავლიდა ძველი მსოფლიოს უდიდესი მეცნიერი **ევკლიდე** (ძვ. წ. III ს.). რამდენიმე წელს აქ მუშაობდა **არქიმედეც**...

ეგვიპტის მმართველი პტოლემეები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამდიდრებას, მაგალითად, მათი ბრძანებით ალექსანდრიის ნავსადგურში შემავალ ყოველ გემს რაიმე ხელნაწერი უნდა მოეტანა ალექსანდრიის ბიბლიოთეკისთვის. პტოლემე II-მ შეიძინა და ალექსანდრიის ბიბლიოთეკას გადასცა **არისტოტელეს** უძვირფასესი ბიბლიოთეკა. ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებში ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში 500 ათასი გრაგნილი ინახებოდა, იმ დროის მეცნიერების და ლიტერატურის წერილობითი ძეგლები როგორც ბერძნულ (ძირითადად), ისე აღმოსავლურ ენებზე... (ქ.ს.ე I 297)“.

აი ამ თანადროული მსოფლიო მეხსიერების მომცველი ბიბლიოთეკის გამგებელი, ბიბლიოთეკის საცავებში მოპოვებული ცოდნით აღჭურვილი **აპოლონიოს როდოსელი** გვამცნობს: – (**არგონავტიკა** 163):

„წმინდა დანაეს და მისი მოდგმის სახსენებელიც არ იყო ქვეყნად,
თუნდაც ეკითხათ, და არც ქებული დევკალიონის შთამომავალთა –
დევკალიდების იყო სუფევა პელაზგთა ქვეყნის მიწა-წყალზედა,
მთელს ელადაში სახლობდნენ მარტო აპიდანელი არკადიელნი,
ეს ტომი თურმე სელენე-მთვარის დაბადებამდე ცხოვრობდა მთებში,
და რკო იყოო მათი საჭმელი, ასე გვაუწყებს ძველი სიმღერა.
იმ დროს ყოფილა უკვე განთქმული მთელს ცისქვეშეთში შავი ეგვიპტე,
უხვყანიანი და უძველესი ახალგაზრდობის მშობელი დედა,
მასთან ტრიტონის დიდი მდინარე, უხვი მშვენიერტალღებიანი,
რომლის წყლებითაც ის დალოცვილი შავი ხმელეთი ნოყიერდება:
იქ ხომ არ მოდის ზევსის წვიმა და დედა-მდინარე აპურებს ყანას,
იქიდან მოსულ კაცს დაუვლია თურმე აზია, მთელი ევროპა,
მამაცთა რაზმის ძალით და ღონით გადმოუსერავს ზღვა და ხმელეთი;
იმ ლაშქრობაში დაასახლაო ურიცხვი დაბა, ქალაქ-სოფლები;
ზოგი მათგანი დღესაც არსებობს, ხოლო ზოგისა კვალიც აღგვილა, --
ეს ხომ შორეულ წარსულში მოხდა, საუკუნეთა წიაღთა მიღმა!
ხოლო აია, დღესაც ურღვევი, დგას და ცხოვრობენ იმ დიდ ქალაქში
იმ მამაც გმირთა შთამომავალნი, დიდმა მოლაშქრემ აქ რომ დატოვა.
შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წვრილსვეტები,
და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“.

ეს გახლავთ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ბერძნული ცნობა ეგვიპტური კულტურის ნიადაგზე აღმოცენებული კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ. კოლხთა უშუალო ეგვიპტური წარმომავლობა გაზვიადებულია, მხოლოდ წინ

გველოდება იმ რეალობის აღქმა, რომ კოლხური მეტყველების საფუძველს ეგვიპტურ და შუმერულ ცივილიზაციათა მიღწევების სიღრმისეული ცოდნა წარმოადგენს, ანუ წარმართული კოლხური მეტყველება საწყისი მსოფლიო გლობალიზაციის ერთ-ერთი შედეგრთაგანია.

თანხმოვანი **ნ**

კაცობრიობის აზროვნების ჩანასახიდან დაწყებული, სიცოცხლის საწყისად მდედრი ითვლებოდა და ეს ასეა ბუნების კანონითაც, ანუ პართენოგენეზი მხოლოდ მდედრის მახასიათებელია.

პართენოგენეზ-ი [ბერძ. **partenos** ქალწული და **genesis** დაბადება, წარმოშობა] – (ბიოლ.). სქესობრივი გამრავლების ერთ-ერთი ფორმა – კვერცხის განვითარება განაყოფიერების, **მამრის გარეშე**. პართენოგენეტურები არიან ხვლიკების გარკვეული სახეობები, ლოკოკინები, ცნობილია გველის შემთხვევაც, ინდაურები (იშვიათი ეგზემპლიარების სახით)... და წარმოადგენენ მხოლოდ მდედრულ სქესს.

პართენოგენეზი ბუნების გამონაკლისია და ამიტომაცაა, რომ სამყაროს შექმნის მითოლოგიური ხედვით დიდი დედები (სიცოცხლის გამჩენი პირველი დედები), საწყისში მამრთა არარსებობის გამო, თავიანთ პირმშოებთან უღლდებიან (გეა და ურანოსი). მოგვიანებით დაიწყო მამათა როლის წინ წამოწევა და დიდ დედათა პირველობის მიჩქმალვა.

თავისი ლოგოგრამული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კოლხურ თანხმოვანთა შორის უპირველესია შუმერულ-ეგვიპტური ცოდნის მატარებელი, დედის, იგივე წყლის მცნების შემცველი თანხმოვანი **ნ** (> **ნანა** = დედა) -- „წყლის სტიქიიდან წარმოიშვა ყოველი არსებული“.

(**ზურაბ კიკნაძე** 111): „სამყაროს წარმოქმნის შუმერული მითოსის მიხედვით... ცა (**ან**) და მიწა (**ქი**) თავდაპირველად ერთი მთლიანობა ყოფილა და „ოდესღაც“ განცალკევებულან. აქ არ ჩანს, საიდან წარმოიშვნენ ისინი და რა ძალამ განაშორა ერთმანეთს:

ოდეს ცა მიწისაგან განეშორა,
ოდეს მიწა ცისაგან განცალკევდა,
ოდეს კაცობრიობის სახელი დამკვიდრდა, --
მაშინ ანმა ცა წაიღო,
ენლილმა მიწა წაიღო...

მაგრამ ცისა და მიწის დაბადების მივიწყებული მითოსის კვალი შემორჩენილია... უძველესი ზღვაური ქალღმერთის, **ნამმუს**, ეპითეტში „ამა-უ-თუ-ან-ქი“ „მშობელი დედა ცისა და მიწისა". სწორედ ნამმუს წიაღში იყო ქაოტურად ერთიანი ცა და მიწა, -- რასაც ვერ დაერქმეოდა კოსმოსი, -- როცა, თუ „ენუმა ელიშის“ სიტყვებით ვიტყვით, არ არსებობდა არც „ზევით“ და არც „ქვევით“, როცა ყველაფერი, რაც კი შეიძლება არსებულიყო, ერთმანეთში ირეოდა მსგავსად ამ ტურბალენტური მოძრაობისა, რასაც ვხედავთ მე-5 ათასწლეულის კერამიკაზე გამოსახულს; აქ თევზი და ფრინველი ერთ „საშოშია“ მოქცეული და ერთი ცენტრის გარშემო ტრიალებენ, რაც ერთგვარად წარმოგვიდგენს ქაოტურ მდგომარეობას“.

(**გივი ელიავა** ,,აია“ № 2 გვ. 20 1997წ.): ,,მითი სამყაროს წარმოქმნის შესახებ, რაც ასე სახოვნადაა შემორჩენილი ყველა უძველეს ხალხთა მითოლოგიურ შემოქმედებაში: მხატვრობასა და დამწერლობაში (კრიფტოგრაფიასა და იდეოგრამაში) სრულყოფილადაა მოცემული კოლხურ იდეოგრამულ კულტურაში, ნიშნებსა, ბეჭდებსა და საბეჭდავებში. მარტვილის მუზეუმის ფონდში დაცულია ბრინჯაოს ბეჭედი გემათი, საბეჭდავით, სადაც მიწისა და ცის განყოფის მითოლოგიური სურათია, მსგავსად V ათასწლეულის შუამდინარულ კერამიკაზე გამოსახული სამყაროს შექმნის ქაოტური სურათისა, ზურაბ კიკნაძის მიერ აღწერილი და დამოწმებული. იგი ნაპოვნია ზანათში, ფოფონაზე და შუა ბრინჯაოს ეპოქისაა, მაგრამ ამოწმებს შუამდინარული მითოლოგიური აზრის ახლობლობას და მის შესახებ ასე მტკიცედ შემორჩენილ ცოდნას კოლხურ სამყაროში“.

კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანა – ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარია.

თუ უძველეს შუმერულ მითოლოგიაში სიცოცხლის დამწყები მდედრია (**ნამმუ**), ანუ მდედრის წყლით სავსე სხეულში ვითარდება სიცოცხლე, შემდგომ ცივილიზაციებში უკვე კაცები ისაკუთრებენ დაუმსახურებელ პირველობას – მთავრდება მატრიარქატი.

(**ზურაბ კიკნაძე** 62): „მთელი ქვეყნიერება ზღვა იყო ოდენ“ – ამ სიტყვებით არის ერთდროულად გამოხატული შუმერის ქვეყნისა და სამყაროს შექმნის მითოლოგემა... წყლის სტიქიონი, ვითარცა დასაბამი ყოველივე არსებულისა ბევრი ხალხის მითოლოგიაშია დადასტურებული. ეგვიპტური პირამიდების წარწერებში შესაქმის წინადროული მდგომარეობა გამოხატულია იეროგლიფით, რომელშიც ვხედავთ ერთმანეთის პარალელურ ჭავლებს, -- ეს არის ნიშანი **ნუნ**ისა, პირველარსებული ქაოტური მორევის, საიდანაც წარმოშობილა შემოქმედი ღვთაება; **ჰომეროსის** ეპოსში კოსმიური მდინარე **ოკეანოსი** მიჩნეულია დასაბამად (**გენესის**) ღმერთებისა და ყოვლისა; ხოლო სხვა გადმოცემით, ოკეანოსის გვერდით დასახელებულია მისი ღვთაებრივი დედრი **თეტისი**, ზღვის ღმერთქალი. შემდგომში, ბერძნული მითოლოგიის გარიჟრაჟზე, საგანთა არქეს მაძიებელ **თალესსაც** უთქვამს, „**ყველაფერი წყლიდან წარმოიშვაო**“, რაც სიტყვიერადაც ემთხვევა ზემოთმოტანილ ბაბილონურ მითოლოგემას; ამასვე ამბობს რიგვედას კოსმოგონია დასაბამის გამო: „რა წყალი იყო, რა უფსკრული?“... ხოლო უპანიშადები და ბრაჰმანა წართქმით, -- რომ მხოლოდ წყალი იყო დასაწყისში, მარტოოდენ ზღვა, საიდანაც შობილა პრაჯაპატი, ყოვლის შემოქმედი ღმერთი-დემიურიგი“.

(**ლადო ალფენიძე** 31): „ეგვიპტურ კოსმოგონიაში, პირველყოფილი ქაოსის „ნეგატიურ, უარყოფით“ ძალებს შორის არის „გერეხი“ - დამანგრეველი ძალა. სწორედ ამავე ცნებას - ქაოსს და დესტრუქციულ ნგრევას გამოხატავს კოლხური სიტყვა „მერეხი“. (შდრ. ეგვიპტური „გერეხი“ და კოლხური „მერეხი“). „მერეხი“ ეწოდება კოლხურად გაუგონარ მეხთატეხას, წარღვნის წვიმას, „ჭექა-ქუხილს“, „ცის ჩამოქცევას“ და ამის შედეგად „აბობოქრებული ზღვის ნაპირებიდან გამოსვლას“.

ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ეგვიპტური ქაოსის დესტრუქციული ძალა „გერეხი“ პირველყოფილი ქაოსის წყლის („**ნუნ**") სივრცეში ბობოქრობს“.

(**ო. ქ.**) **მერეხი** 1. მერეხი, დელგმა, თავსხმა, კოკისპირული წვიმა; წვიმა და თქეში ქარბუქთან ერთად. 2. გადატ. დიდი ტანის ადამიანი; ძლიერი. 3. უპოვარი, უძლეველი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **მერეხი** თავსხმა, დელგმა.

გერეხი, მერეხი-ს განვითარებაა ასევე წარმართული კოლხური **ვერეხი**.

(**ო. ქ.**) **ვერეხი** ძალიან დიდი, უშველებელი, --გოლიათური აღნაგობის.

ეგვიპტური **გერეხი** > კოლხური **მერეხი** > (**რე** > 0) > კოლხური **მეხი**.

ე. ი. შუმერული მითოლოგიით სამყაროს საწყისია ზღვის ქალღმერთი ნამმუ -- „მშობელი დედა ცისა და მიწისა“, ხოლო მდედრის საშოს (წყლის მოძრაობის სივრცეს) შუმერებმა **ნუნ-ნუნ** უწოდეს. ამ ცოდნის გამოც ეწოდა **ნუნი**სი და **ნუნი**სისწყალი სოფელსა და მდინარეს ხარაგაულის რაიონში. **ნუნისი**-ს ტერიტორიაზე მდებარეობს მღვიმე და რადგანაც კოლხური მითოლოგიური ხედვით მიწა ქალია, მიწის მღვიმე, ღრმული მდედრის საშოსთანაა გაიგივებული. ასევე შუმერულად **ნუნ** (დიდებული) ენქის (მიწისა და წყლის ღვთაების) ზედსართული სახელია; ეგვიპტური მითოლოგიით კი **ნუნი** (პირველარსებულ ოკეანის ღმერთი) აბსტრაქტული მამრი ღვთაება-დემიურგია, რომლის ქალური იპოსტასია **ნაუნეტი**. ეგვიპტურ ლეგენდათა მიხედვით, ნუნმა შეიქმნა საკუთარი მეუღლე **ნაუნეტი** (გაიხსენეთ ადამ და ევა), ასევე აბსტრაქტული ქალღმერთი-დემიურგი, იგივე ცის სახება, რომელშიც „ღამე მზე ლივლივებდა“. **ნუნი** და **ნაუნეტი** განასახიერებდნენ პირველარსებულ წყლის სტიქიონს „საიდანაც წარმოშობილა შემოქმედი ღვთაება“ და გავიხსენოთ ბიბლიის შესავალი „და სული ღვთისა იძვროდა წყლის პირზე“.

ეგვიპტურად **ნუილ** აღნიშნავს ნებისმიერ წყალს და აქედანაა ეგვიპტის უმთავრესი მდინარის სახელწოდება **ნილოსი**.

(**ლადო ალფენიძე** 54): „[თანხმოვანი] „**n**“ („**N**“) -- ეგვიპტურად არის „წყალი“... კოლხურ (პროტოქართველურ) ენასთან ამ ეგვიპტურ „ნ“-ს აკავშირებს კოლხური სიტყვა „ნ+ში“. „ნ+ში“ კოლხურად ეწოდება ნავს, ე. ი. „ნ“-ს (წყლის) კუთვნილს. ეგვიპტურ პირველქმნილ ქაოსის წყალს („ნუნ“) და ქართულ ღვინოს („ნუნ+უა“) ერთი სახელი ჰქვია“.

(**ო. ქ.**) **ნიშ**-ი ნავი.

(**ს. ს.**) **ნუშა** ნავთ უმცირესი.

მეგრ. **ნიში** ქართულად (შ > ს) იკითხება როგორც **ნისი** ე. ი. **წყლის** (გასაცური). ასევე ნავის შემადგენელი ნაწილია **ნიჩაბი**.

აქვეა (**ო. ქ.**) **ნ**ირს-ი... ნისლი.

(**ალიო ქობალია**): ,,**ნია** – წყალი, ღვარი“.

(**ო. ქ.**) **ღვარა** იგივეა, რაც **ღორა**, -- ყვირილი, ბღავილი.

(**ო. ქ.**) **ღვარ-ი** ღვარი, კოკისპირული წვიმა.

ე.ი. **ღვარა** აღნიშნავს ყვირილს, ბღავილს და ვინაიდან წყლის ძლიერი დინება გამოსცემს ასევე ძლიერ ხმებს შესაბამისად ეწოდა კიდეც **ღვარი**.

ე. ი. ეგვიპტ.--კოლხ. **ნია** > ქართ. **ნია**ღვარი = წყლის ძლიერი, ხმაურიანი ღვრა.

ამრიგად, წარმართ. **ღვარა** > ქართ. დაი-**ღვარა** > და**ღვრა** > აიმ**ღვრა...**

ძველმა ბერძნებმა ეგვიპტური **ნ**-ს (წყლის მცნების) გავლენით წარმოსახეს **ნაიადები** და **ნერეიდები**.

(**აკაკი გელოვანი** 339): „**ნაიადები, ნაიდები, ნეადები** (Naias, Naiades, Naides) – მდინარე წყალთა ფერიები, ზევსის, პოსეიდონის, აფროდიტეს და სხვათა ასულნი. ყოველ მდინარეს, ნაკადს, წყაროს თავისი **ნაიდა, ნიმფა** ჰყავდა, სიკეთის მომნიჭებელნი, ქორწინების, ნაყოფიერების და ბუნების სიუხვის მფარველნი. შეეძლოთ წინასწარმეტყველება, სნეულთა განკურნება. ღმერთების ამღზრდელები და ზოგჯერ მეუღლენიც არიან“.

(**აკაკი გელოვანი** 346): „**ნერეიდები** (Nereides) – ზღვის მშვენიერი ნიმფები, ზღვის მოხუცი ღმერთის ნერევსის და დორიდას კეთილი ასულები. ზღვის ფსკერზე ვერცხლისფერ გამოქვაბულში ცხოვრობენ, მამის გვერდით... მაგრამ თუ სადმე

მეზღვაური იღუპება, მყისვე ზედაპირზე ამოცურავენ და უშველიან. უთუოდ ეს მოტივი დაამუშავა ანდერსენმა თავის ცნობილ ზღაპარში „სირინოზი“.

ჰომეროსი 34 **ნერეიდას** იცნობს... ჰესიოდე 50 ფერიას...

ნერეიდების კულტი ყველგან გავრცელდა, უფრო კი სანაპირო ზოლში“.

ნერეიდები-ს ეგვიპტურ წარმომავლობას ჰეროდოტე გვიდასტურებს:

(**ჰეროდოტე** 138): „ელადაში თითქმის ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული, რომ ეს სახელები ბარბაროსთაგან არის გადმოღებული, ეს დანამდვილებით შევიტყვე გამოკითხვის შედეგად... ჰერას, ჰესტიას, თემიდის, ქარიტების, **ნერეიდებისა** და ყველა სხვა ღმერთების სახელები ეგვიპტელების ქვეყანაში ცნობილი იყო იმთავითვე. მე იმას ვამბობ, რასაც ამბობენ თვით ეგვიპტელები. ღმერთების სახელები, რომლებზედაც ეგვიპტელები ამბობენ არ ვიცითო, მე ვფიქრობ, დარქმეულია პელაზგების მიერ“.

ეგვიპტური **ნ**-ს (წყლის მცნების) გავლენით შექმნილი ბერძნული **ნამა, ნაუს** და **ნოტიოს**-იდან წარმოდგნენ შესაბამისი ქართული, იგივე წყლის მცნების გამომსახველი სიტყვები -- **ნამი, ნავი, ნოტიო.**

ναμα [ნამა] – 1.источник, ключ, руей, река... 3.влага, вода > ქართ. **ნამი.**

ναυσ[ნაუს] – корабль. судно > ქართ. **ნავი.**

νοτιοσ [ნოტიოს] – влажный, мокрый > ქართ. **ნოტიო, სინოტივე.**

ასევე თრაკიაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ საბერძნეთში, არსებობდა მდინარე სახელწოდებით **ნესტოსი** (**Νεστος**) და ცხადია სიტყვა **ნესტი** ქართულში ბერძნული ენიდან ნასესხობაა. ქართული **ნესტი**-ს შემდგომი განვითარებაა **ნესტო** -- ცხვირის მუდამ სველი შიდა ნაწილი. თავად ბერძნული **ნოტიო** მომდინარეობს ეგვიპტის სინესტის ქალღმერთის სახელწოდებიდან -- ტეფ**ნუტი** (**ნუტი** > **ნოტი**-ოს).

ეგვიპტური წარმომავლობის ბერძნული ფორმა **ნოტიოს** წარმართულ კოლხურში შემდეგი შინაარსითა დამკვიდრებული:

(**ო. ქ.**) **ნოტუა** ჟინჟვლა, ჟინჟღვლა; წვრილად წვიმა.

ფინიკიელებმა თავიანთ ანბანში მე-14 ასო-ნიშნად თევზის გრაფემა დასვეს და თევზს, როგორც წყლის ბინადარს, ფინიკიურადაც **ნუნ** უწოდეს. ფინიკიური ანბანი გახდა საფუძველი შემდგომი ანბანებისა და ბერძნული **ნუ**-ს, ქართული ასომთავრული **ნარი**-ს გრაფემები, ფინიკიური **ნუნ**-ის გრაფემიდან მომდინარეობენ.

წყალი სიცოცხლის საწყისი სივრცეა, ჩანასახი ვითარდება მდედრის წყლით სავსე სხეულში; ასევე მდედრის მიერ გაჩენილ კვერცხში, რომელიც იგივე სითხითაა სავსე და მდედრის განსახიერებაში -- ნიადაგში, სადაც სიცოცხლის წარმოსაქმნელად ისევ და ისევ წყალია გადამწყვეტი ფაქტორი. საწყისში ბავშვის სხეული 90% წყალს შეიცავს, შემდგომ წყლის რაოდენობა მცირდება და 70%-მდე აღწევს, ხოლო ადამიანის ტვინი 80% წყალია. დედამიწის 70% წყლითაა დაფარული, ჰაერში კი ექვსჯერ მეტი წყალია ვიდრე დედამიწაზე. ანუ სულიერნი წყლის შვილები ვართ და რადგანაც „წყლის სტიქიიდან წარმოშობილა შემოქმედი ღვთაება“, კოლხმა ქურუმებმა შუმერული **ნამმუ**-ს, **ნუნ-ნუნ**-ისა და ეგვიპტური **ნაუნეტი**-ს არსთა ცოდნიდან გამომდინარე თანხმოვან **ნ**-ს დედის მცნების გამოსახვა მიანიჭეს, ანუ კოლხური თანხმოვანი **ნ** დედის სახეების მატარებელი ლოგოგრამაა და წარმართულ კოლხურში იგივე მცნებებს გამოსახავს რასაც ქრისტეან ადამიანში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ხილვა აღძრავს. საზოგადოების არსებობის ნებისმიერ ფორმაციაში დედის მცნებას მუდამ უკავშირდებოდა სიყვარულის, სიტკბოების, სიმშვიდის, სასურველის, ოჯახის...

განცდები. მაგალითად **ნე** კოლხურად, და არა მარტო კოლხურად, სიტკბოებას აღნიშნავს.

ვაზი დიდ დედათა მახასიათებელია და ამიტომაც გაგვაჩნია ღვინის წარმართული კოლხური **ნუნუა** = **ნუნ**(ის) + **უა** = **ნუნის** (დიდი დედის) **მოქმედება** (შექმნილი).

ნუნ > **ნუნუა**-დან წარმოდგება ქალის სახელი **ნუნუ**.

სიტყვა ღმერთი ეგვიპტურად არის **ნეტერ** და აღნიშნავდა ამაღლებულს, ღირსეულს; ცა, მზე, მიწა, ნილოსი ასევე წარმოადგენდნენ **ნეტერებს**, აგრეთვე **ნეტერი** გახლდათ ეგვიპტის სახელმწიფოებრიობის ყოველი გამორჩეული დამცველი.

შუმერები თანხმოვან **ნ**-ს, ფორმით **ნინ**, იყენებდნენ როგორც ქალბატონის, ასევე ბატონის აღსანიშნავად: **ნინაზუ** = მკურნალთა ბატონი; **ნინგალი** = დიდი ქალბატონი; **ნინგირსუ** = გირსუს ბატონი; **ნინგიშზიდა** = მძლავრი ხის ღმერთი; **ნინგულა** (> ინგული) = დიდი ქალბატონი; **ნინთური** = შობის დედოფალი; **ნინლილი** = ქარის ქალბატონი და უმთავრესი: „შუმერული სიტყვა „**თი**“, ამავე დროს ნიშნავს „**სიცოცხლის მიცემას**“, ხოლო **ნინთი** = „ქალბატონი რომელიც სიცოცხლეს იძლევა"... შესაძლოა ვიგულისხმოთ, რომ ამ შუმერული ტრადიციის გაგრძელებაა სახელწოდება **ნინო**.

მსოფლიოს მრავალ კულტურათა მსგავსად, კოლხებმა, გამომდინარე თანხმოვან **ნ**-ს ლოგოგრამული მნიშვნელობიდან, დედას, ღვთაებას წინააზიური წარმომავლობის **ნანა || ნენა** უწოდეს. სვანურად **ნანა-გალ** = დედულეთი.

(**აკაკი გელოვანი** 339): „**ნანა** – 1. (ბერძ.) ფრიგიული ფერია, **მდინარის ღმერთ სანგარიოსის** ასული, ატისის დედა; 2. (შუმერ.) ასე ეძახის თავს დუმუზის სატრფო ქალღმერთი **ინანა** (**ნანა**); 3. (სკანდ.) შუქის ღმერთის ბალდრის ცოლი ჩრდილოეთურ მითოლოგიაში (**ნანნა**)“.

ეტრუსკულად **nene** = ძიძა „აღნიშნული ფუძე ძალზე გავრცელებულია როგორც იბერიულ-კავკასიურ, ასევე ინდოევროპულ ენებში (**რისმაგ გორდეზიანი**)“.

ესპანურად **ninera**, ინგლისურად **nanny**, სლავურად **няня**...

აცტეკური ,,**ნენე**“ (იხ. Г. А. Климов Етимологическии словарь Картвельских языков. М. 1964. ст.147).

(М. С.) АНА, НАНА у чеченцев и ингушей обожествленная земля, мать.

(М. С.) АНАНА в абхазских мифах богиня плодородия, охоты и пчеловодства, покровительница деторождения.

(В. Е.) **Нанея** მუსლიმანთა დედა.

(**Ს. Ს.**) **ანა, ნანა** (თურქ.) = დედა. ბებია.

ინგლისურად **nan [naen]** = ბებია.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მცხეთის გზაზე აღმართული იყო წარმართი ქალღმერთების **აინანასა** და **დანინას** კერპები.

(**კარლო თოფურია** „აია“ № 1. 31): „ქართლის ცხოვრების“ „აინანასა“ და „დანინას“ სახელები სხვა არაფერია, თუ არა **ინანას**, იშთარის და მათი საერთო სახელის **ნანაიას** სახელის გადამახინჯებულად მოტანა ჩვენამდე „ქართლის ცხოვრების“ მიერ.

ჩვენი მოსაზრება ემყარება შემდეგ ფაქტებს:

1) ქალღმერთ **ინანას** შუმერული წარმომავლობის კულტი ქართულ ხალხურ რწმენას შემოუნახავს (მ)**ინანასა** და **ანანა**-ს სახელით, აი ნიმუში ქართული ხალხური სიტყვიერებისა:

„მინანას დედა ნატრულობს
მინანას გათხოვებასა,
მინანა კი არა ნანულობს

ორი აკვნისა რწებასა,
ექვსჯერ ბოსელში შესვლასა
თორმეტჯერ დაბადებასა“.

(**ვ. კოტეტიშვილი,** ხალხური პოეზია, თბ.1961, გვ. 71): „ **მინანას** დედა შუმერულ-ბაბილონურ მითოლოგიაში – მზის ღვთაებაა. ტყუპის გაჩენა ღვთაებრივ მოვლენად, ღვთის საჩუქრად იყო მიჩნეული. ბოსელი – **ინანა** (იშთარის, ნანაია, ნანას) წმიდა ადგილად, ბავშვის შობის ადგილად იყო მიჩნეული. ამ ქალღმერთების წმიდა რიცხვი შუამდინარულ მითოლოგიაში – 12-ია, მინანა ექვს წყვილს ბადებს, ე. ი. იმეორებს მის წმიდა რიცხვს 12-ს.

2) **ინანას** მითოლოგიური სახე თავს იჩენს მცირე ზომის ქართულ ზღაპარში, რომელსაც ეწოდება „**ანანა**“ (შდრ. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ „**აინანა**“-ს სახელს კ.თ.).

3) შუმერთა **ინანას** გვირგვინს ეწოდება **suguru** და მისი ვარსკვლავია პლანეტა ვენერა. ქართულად მას **შუქურ** ვარსკვლავი ეწოდება. აქ ნათლად ჩანს ქართული ქალღმერთის გენეტიკური კავშირი შუმერულთან.

4) იმდენად ფართოდ ყოფილა საქართველოში გავრცელებული **ინანას** კულტი, რომ მისი ქურუმის სახელი **uhurum**, საქართველოში ღებულობს განზოგადოებულ სახეს და ყველა კულტის მსახურს ეწოდება **ქურუმი**“.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ შუმერი **ინანას** შუქურა გვირგვინოსნობის ცოდნის გამო წარმოდგა სკანდინავიელთა შუქის ღვთაება ბალდერის მეუღლის სახელწოდება **ნანნა**.

(**ი. ყ.**) **ნანა, ნანაია** (г. ნენა, по Чуб. ნენე) мать, мама; – **ნაია (ласк.) маменька;** -- **ნანა-სქუა!** (букв. мама-дитя; этими словами мать ласкаетъ своих детей) о родимый! – ნანა, ნანინა, ნანი назв. колыбельной песни и припева к ней „баюшки-баю“.

(**აკაკი გელოვანი** 344): „**ნენია** (ლათ. **Nenia,** სამგლოვიარო სიმღერა; გლოვის საგალობელი)“.

„საქართველოდან შორს, საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, ივერონის მონასტრის ბერები ძველად წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვილ იესო ქრისტეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი უგალობდა: -- წირვის დიდი ამოსვლისას შესაბამის საგალობელს მარცხენა გუნდის ბერძენი მგალობელი ურთავდა მისამღერს ყველასთვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო „**ნენანა**“. „ბერძენ მომღერალთა სწავლებით „**ნენანა**“ იგალობება მოსახსენიებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ „**ნენანას**“ უგალობდა აკვანთან ღვთაებრივ ჩვილს თავისას (არქიმანდიტრი პორფილი, პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სკიტებში, ნაწ. 1. გვ. 71)“.

ნენანა = ნე + ნანა = ტკბილი + დედა. **ნენანა > ნენა.**

იავ-**ნანა** = იავ დედა; ვარდო-**ნანა** = ვარდო დედა.

იავ-**ნანა**, ვარდო-**ნანა**, იავ-**ნანინაო** = იავ-დედა, ვარდო-დედა, იავ-დედისაო!

ამრიგად, კოლხებმა სამყაროს საწყისის, დიდი დედის ლოგოგრამად ეგვიპტური შინაარსის მატარებელი თანხმოვანი **ნ** (< **ნუნი** = წყალი) შევირჩიეთ და როგორც ჩვენს მიერ განხილული წრის სახით გამოსახული მზის იდეოგრამა გამოხატავდა არა მარტო მზეს, არამედ მზესთან ასოცირებულ მცნებებს -- სიცხეს, სინათლეს, სიტყვას „დღე“, კოლხურ მეტყველებაში დედის მცნების აღმნიშვნელი ლოგოგრამა, თანხმოვანი **ნ**, გამომდინარე კონკრეტული კომპოზიტის შინაარსიდან, მუდამ დედის ხატებასთან დაკავშირებულ მცნებებს -- სასურველს, მშვიდობას, ოჯახს, სიტკბოებას... გამოსახავს.

ვინაიდან მხოლოდ ერთი ან ორი თანხმოვნის ლოგოგრამული ბუნების ცოდნა არასაკმარისია კოლხურ სიტყვათა (თანხმოვანთა კომპოზიტების) სრული შინაარსების

ასახსნელად, თანდათანობით, შემდგომ თანხმოვანთა ლოგოგრამულ მნიშვნელობათა ახსნის პროცესში, კონკრეტული მაგალითების განხილვის შემდგომ, თავად დარწმუნდებით ჩვენს მტკიცებათა მართებულობაში, ანუ კრიტიკული შენიშვნები ნაშრომის ბოლო გვერდისთვის შემოინახეთ.

ამ ქვეთავში მიღებული ცოდნის შემდგომ კვლავ განვიხილოთ მაგალითი „**ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი**“-დან.

(**ქართ. ენ. ეტიმ. ლექს.**): „*ნოტ-

ქართ. **ნოტ- ნოტ**-ი-ა-ი/ **ნოტ**-ი-ე-ჲ «სველი; ნესტიანი»...

მეგრ. **ნოტ-/ნიტ-/ნგტ- ნოტ**-აფ-ი/ **ნიტ**-აფ-ი/ **ნგტ**-აფ-ი «წვეთვა»

დასტურდება ძველ ქართულში: არა იპოვების ნაწუეთი წყლისაÎ ლაკუასა და არცა ნოტიაÎ წყაროთა, სინ. მრავალთ. 129,2-3; რომელიმე დავარდა კლდესა ზედა, რომელსა ზედა იყო მიწაჲ და **ნოტ**ივ მცირედ. ბალავარ. 35,32-33... **ნოტიაობაჲ** B; ძალი იგი ნოტიამყოფელი ყოველთაჲ მათ ერთი არს ბუნებით, კაცისა აგებ. 228, 6-7 და სხვა.

ქართული **ნოტ-** ძირის კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **ნოტ-** (**ნიტ-/ნგტ-** ქართ. **ნოტ**იაÎ, **ნოტ**იო, სი**ნოტ**ივე.

მასალა შეაპირისპირა და *ნოტ- არქეტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის აღადგინა ჰ. ფენრიხმა (Fahnrich 1998c)“.

თქვენთვის ცხადია, რომ ამ შემთხვევეში ქართულ-ზანური ერთიანობის დონე მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ორივე ენაში „*ნოტ- არქეტიპი“ ბერძნული ენიდანაა ნასესხები.

ბერძნ. **νοτιοσ** [ნოტიოს] – влажный, мокрый > ქართ. **ნოტიაჲ, ნოტიო, სინოტივე**.

დურ-ან-ქი და მინი

(**სემიუელ კრამერი** 103): „სამყაროს წარმოშობას შუმერელები ამგვარად ხსნიდნენ:

1) თავდაპირველად ყოფილა პირველქმნილი ოკეანე, მაგრამ მის გაჩენაზე არაფერია ნათქვამი. ადვილი შესაძლებელია, შუმერთა წარმოდგენაში იგი სულ მუდამ არსებობდა.

2) პირველქმნილმა ოკეანემ წარმოშვა კოსმიური მთა, რომელიც შედგებოდა ზეცასთან შეერთებული მიწისაგან.

3) ჰაერის ღმერთმა ენლილმა განაშორა ცა და მიწა. იმ დროს, როცა ანმა ასწია (წაიღო) ცა, ენლილმა დაუშვა მიწა, თავისი დედა. ენლილის კავშირმა თავის დედასთან-მიწასთან – მისცა საწყისი მსოფლიოს – ადამიანს, ცხოველებს და ცივილიზაციას“.

(ზურაბ კიკნაძე 112): „სხვა ტექსტის მიხედვით, რომელიც აგრეთვე ფრაგმენტია შუმერული კოსმოგონიური მითოსისა, ცა და მიწა თავისთავად არ განცალკევებულა ერთმანეთისაგან. აქ მოქმედებს ენლილი, შუმერული კოსმოსის შემქნელი ღვთაება:

ენლილმა, -- რათა ქვეყნის თესლი „სახლიდან“
აღმოცენებულიყო,
მიწისგან ცის განშორება გადაწყვიტა
ცისაგან მიწის განშორება გადაწყვიტა... [35, 113].

ენლილი განკვეთავს ცისა და მიწის ერთიან „სხეულს“, ძველჩინური მითოლოგიის პან-გუს მსგავსად, რომელმაც ნაჯახით შიგნიდან გამოტეხა სამყაროული კვერცხი, რასაც შედეგად მოჰყვა კვერცხის ჰაეროვანი და მღვრიე ნაწილებისაგან ცისა და მიწის შექმნა.

ენლილის გამოჩენამ – მითოსი არ გვიმხელს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი იშვა ამ განწვალებადი ერთიანობისაგან, -- განფართა სივრცე შეტყუპულ წყვილს შორის და მათ შუა ჩამდგარმა უსასრულოდ მზარდი სხეულით, რის გამოც ეწოდა მას **ქურ-გალ** „დიდი მთა", გაზარდა მანძილი ქვე-ყანიდან ზე-ცამდე. ასევე შუა მოექცა პან-გუც კვერცხიდან „გამოჩეკილ“ ცას და მიწას და მისი სხეულის ამაღლება-გაფართოებასთან ერთად მაღლდებოდა და ფართოვდებოდა მათ შორის სივრცეც.

შესაძლებელია, ამ მითოლოგემას გულისხმობდეს აშურული რიტუალური სცენა, სადაც ჩაჩოქილი არსება, რომელსაც თავს ზემოთ ფრთიანი მირგვალა – ცის ნიშანი – აღუპყრია, თითქოს წამოდგომას აპირებდეს, რათა ეს სიმბოლო ცის თავანს მიაბჯინოს.

ის ღმერთი რომელმაც „ოდესღაც“ გათიშა ან-ქი, იგივე ღმერთი იქნება მარადჟამს მათი შემაკავშირებელი, რადგანაც იგი „დგას“ მათ შორის დიდი ღერძივით (დიმგალ). ამიტომაც ენლილის ზედწოდებაა და ზოგჯერ მისი საკუთარი სახელი, როცა მას წინ უძღვის ღვთიურობის აღმნიშვნელი დეტერმინატივი, -- **დურ-ან-ქი** „კავშირი ცისა და მიწისა“. თუმცა ეს სახელი უფრო ხშირად მიეკუთვნება ქალაქ ნიპურს ან იმ ტაძარს ნიპურისას, სადაც დაუნჯებულია ენლილის საკრალური ძალა, ხოლო ეს ადგილი განსაკუთრებული ადგილია მითოსური აზრით.

აქ არის სამყაროს ჭიპი, -- სიტყვა **დურ** „კავშირის“ გარდა „ჭიპსაც“ ნიშნავს ან „ჭიპის ნაწლევს“. – იგივე **ომფალოს** ან **მესომფალონ**, სადაც შუმერული ნიპურის მსგავსად ბერძნული მითოსის მიხედვით მდებარეობს აპოლონისეული დელფოს ტაძარი (იხ. **სოფოკლეს** „ოიდიპოს მეფე“...); ამ კოსმიურ შუაგულში გადის „დიდი ღერძი". შუმ. **დიმ-გალ**, ცისა და მიწის შემაერთებელი, ანუ „გრძელი ღერძი“, ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ რომ არის ნახსენები“.

ე. ი. ცა (მაღლა) არის **ანი**, მიწა (დაბლა) არის **ქი** და **ანქი**, იგივე **ქიან** ესაა სამყარო (ზედა და ქვედა), კოსმოსი და წარმართულ კოლხურშიც **ქიან**(ა) აღნიშნავს ქვეყანას, ქვეყნიერებას. ენლილი **ან**-სა (ცასა) და **ქი**-ს (მიწას) შორისაა დიდი ბოძივით შემდგარი (დიმგალ). შუმერულად **დაგ** ნიშნავს „სადგომი, საცხოვრებელი“. გავიხსენოთ, რომ წარმართულ კოლხურში იდეამატარებლები თანხმოვნები არიან და იგივე ცოდნას აღმოვაჩენთ კოლხურ მეტყველებაში.

(ი. ყ.) **დგმ**: дгзма или дгзума ставить... -- дгзмили или дгзмири поставленный, -- ги-ѡдгзмали предмет постановки... ата-дгзмали столб.

ე. ი. შუმ. **დაგ** (= სადგომი) || კოლხ. **დგ** (დგგმა = დგმა); შუმ. **დიმგალი** || კოლხ. ათა-**დგგმალი**. აღსანიშნავია, რომ **ათა-დგგმალი** ნიშნავს არა უშუალოდ **ბოძის** მცნებას, არამედ **შესადგმელს**, ანუ ბოძის, სვეტის გამოსაყენებელ დანიშნულებას, ხოლო ენლილი (ჰაერის ღმერთი) ბოძადაა შემდგარი მიწასა და ცას შორის.

ამრიგად, შუმ. დაგ || დიმგალი > კოლხ. **დგგმა** || **დგუმა** > ქართ. **დგომა** > შემო-**დგომა** > შემო-**დგმა** > **დგმა** > და-**დგმა** > აი**დგა** > შე**დგა** > შემ**დგ**არი > შემ**დგ**ომი > შემ**დ**ეგი > შ**ედ**ეგი...

შუმერული **დურ-ან-ქი**-ს („კავშირი ცისა და მიწის“) თემა, რომლის უძლიერეს გამოძახილს მთელს მსოფლიოში ვაწყდებით, ფოტოგრაფიული სიზუსტითაა აღბეჭდილი კოლხურ მეტყველებაში.

ვინაიდან „მეფის ძლევამოსილება **დურ-ან-ქი**-ს მითოლოგემით არის გადმოცემული“, შუმერული დურ მრავალ ენაში ძლიერების აღმნიშვნელად დამკვიდრდა.

წარმოგიდგენთ კოლხურ **დურინი** || **ტურინი** || **ფურინი** || **ქურინი** ფორმებს. ოთხივე სიტყვა საერთო ფრენის მცნებას გამოსახავს. სიტყვათა საერთო მახასიათებელი **რინი** აღნიშნავს არსებობას, მდგომარეობას.

ე. ი.: **დუ** + **რინი** = დუ მდგომარეობა.
ტუ + **რინი** = ტუ მდგომარეობა.
ფუ + **რინი** = ფუ მდგომარეობა.
ქუ + **რინი** = ქუ მდგომარეობა.

საწყის თანხმოვანთა მნიშვნელობებიდან გამომდინარე, **დურინი** აღნიშნავს ძლიერ ფრენას, **ტურინი** ფართხუნა ფრენას, **ფურინი** ნარნარ ფრენას, **ქურინი** მიწიერ (ხმაურიან) ფრენას.

(ო. ქ.) **დურინი** ფრენა ხმის გამოცემით; ბობოქრობა; უეცრად მოკვეთა.

როცა ოდიშელს სურს გადმოსცეს თავის მოჭრის შთამბეჭდავი სცენა, იგი გამოსთქვამს: **დიხაშა ქგდუდურინუუ დუდი** он отсек ему голову (букв. заставил его голову летать к земле ი.ყ.). ეს წინადადება ქართულად ასე ითარგმნება: მიწისკენ **უდურთა** თავი.

(ქ.ე.გ.ლ.) **დურთავ**-ს (თურმ. უდურთავს) გრდმ.: თავს დურთავს (საუბ.) – ერთბაშად გავარდება, გაიქცევა. – მოკურცხლავს.

(ქ.ე.გ.ლ.) **დურა** (დურასი) იგივეა, რაც **დურა** ტყავი – ცხვრის ტყავისაგან შეკერილი წამოსასხამი, რომელსაც ბეწვი შიგნით აქვს მოქცეული (ძლიერ თბილია ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **დურაღ**-ი ავადმყოფობა, რომელიც ზამთარში დამზრალ ცხვარს (საქონელს) გამოაჩნდება (დახეთქილი ფეხებიდან ჩირქი სდის) (ძლიერ მოქმედი ავადმყოფობა ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **დურაყ**-ი წლის ჯიხვი (ზრდასრული, ძლიერი ჯიხვი ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **დურაჯ**-ი მცირე ზომის ლამაზი გარეული ფრინველი ქათმების ოჯახისა: მისი ხორცი იჭმევა (ძლიერ ლამაზი ფრინველი ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **დურბელა** კუთხ. (ლეჩხ.) ძალიან მწარე.

(ქ.ე.გ.ლ.) **დურგალ**-ი ხის ავეჯის მკეთებელი ხელოსანი (ძლიერი მოძრაობებით ხასიათდება ჯ.კ.) .

(ო. ქ.) **დურგუა** კვრა (ხელისა, ხანჯლისა, ჯოხისა...) რამეში.

(ქ.ე.გ.ლ.) **დურდო** 1. ღვინის დანალექი, 2. წამხდარი ყურძენი (საბა); დაჭყლეტილი ყურძნის მასა (1. ღვინის სითხით სავსე ჭურჭლის ფსკერზე მყარი დანალექი, 2. წვენის გამოსაყოფად ძალის გამოყენებით დაჭყლეტილი ყურძნის მასა).

(ო. ქ.) **დურე** ჩაღრმავებული ადგილი, ორმოსებური ჩაღრმავება.

(ქ.ს.ე. III 675) **დურუჯი** – მდინარე, ალაზნის მარცხენა შენაკადი, გაედინება ქალაქ ყვარელზე... ხასიათდება წყალმოვარდნის რეჟიმით... დურუჯის ზემო დინებაში პერიოდულად იქმნება ღვარცოფი... მთებიდან მოაქვს კოლოსალური რაოდენობით ტალახად ქცეული მყარი მასალა და დიდ საფრთხეს უქმნის ქ. ყვარელს.

დურ-შარუკინ [სიმაგრე სარგონისა] – ასირიულ ენაზე ეწოდებოდა ასირიელთა დიდი მეფის სარგონის სასახლეს.

დურალუმინი [ლათინურად **durus**-მაგარი და ალუმინი}.

დური [იტალიურად **duro** მაგარი] – (მუს.) მაჟორული კილო, წყობა.

Grano duro (იტ.) – მყარი ხორბალი.

duress (ინგ.) – ძალა, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ აიძულო ვინმე; დაშინება.

dura mater (ინგ.) – твердая мозговая оболочка.

durable (ინგ.) – надежный, прочный, стоикий, крепкий.

dur ფორმას ფრანგულში რამოდენიმე მნიშვნელი (მტკიცე, უხეში, ამტანი...) გააჩნია და ერთერთი განმარტება გახლავთ: 6) трудный (в обращении), тугой; непослушный

რუსულში აქვთ -- **дурак, дурной,** თუმცა საწყისში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნდა და **дурак** მამაკაცთა სახელად იყო გავრცელებული, როგორც მაგალითად სამეგრელოში სახელი **დურუ**.

(М. С.) **Дурвасас**, в индуисткой мифологии брахман – подвижник, тип гневного отщельника.

(М. С.) **Дурьодхана** (др. – инд., „с кем трудно сражаться“).

(М. С.) **Дурга** (др. – инд., „труднодоступная“).

(ქ.ე.გ.ლ.) **დურბინდი** (სპ.) ხელში დასაჭერი ორმილიანი ოპტიკური ხელსაწყო შორი საგნების კარგად დასანახად (აძლიერებს მხედველობას ჯ.კ.).

(ს.ს.) **დურ** (სომხ.) = **სატეხი, საჭრეთელი.**

(ს.ს.) **დურმაღი** (თურქ.) = **დგომა.** (ასევე) თან-**დურ** = თონე.

შუმერული **დურ-ან-ქი**-ს მეორე შემადგენელს **ან**-ს (= ცა-ს), გამომდინარე ცის ზე (ზევითა) მდგომარეობიდან, კოლხურში განსაზღვრება ზე-ს მნიშვნელობა მიესადაგა. მაგალითად: **დღულაფა** = დუღება, **ნდღულაფა** = დნობა, **ან-დღულაფა** = ზედნობა, ე. ი. დნობის მაქსიმალური ზღვარი და **აშანდღულაფა** = ჩადნობა (ცხადია ანდღულაფა > ანდღულაძე). ჯა-ფარი = ხე მფარველი, ხოლო **ან-ჯა-ფარი** = ზე ხე მფარველი; **ჩი** = ცი(ური), ხოლო **ან-ჩი** = ზე-ცი(ური).

წარმართულ კოლხურშიც თანხმოვანი **ქ** (< **ქი**) მიწას, მიწიერის მცნებას გამოსახავს, ხოლო ბოლოსართი -უა მოქმედებას, მოქმედების შედეგს აღნიშნავს; მაგალითად:

ქუა = **ქ** + **უა** = **მიწა** + **მოქმედება** = მიწიერი წარმონაქმნი = **ქვა.**

თანხმოვანი **ქ** რომ მიწას (მიწიერ სივრცეს), ადგილს მიგვანიშნებს ნათლად იკითხება ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ზმნიზედების შინაარსით:

(ო. ქ.) **აქ, აქი, აქუ, აქგ** ზმნზ. **აქ**, ამ ადგილას.

(ო. ქ.) **აქა-აქ** ზმნზ. აგერ-ეგერ (წარმართული **აქა-აქ** ქართულში გახდა **აქა-იქ** ჯ.კ.)

(ო. ქ.) **აქილე, აქიე** ზმნზ. **აქეთ**; შემდეგ.

(ო. ქ.) **აქინე, აქინეშე** ზმნზ. **აქ**, ამ ადგილას.

აქ შევახსენოთ აჭარლებს. გურულებს. იმერლებს... რომ მათი **აქანე, იქინე, აქინე** ძვალრბილში გამჯდარი მეგრული გრამატიკის მახსოვრობაა, მსგავსად სიტყვებისა: **დუუძახე, გეიზარდე, გეიხარე**... ესეც ხომ მეგრული **დუძახი, გეზარდი გეხარი**-ს ხსოვნაა.

წარმართულ კოლხურში სადაურობის, ადგილის აღსანიშნავად ასევე თავად შუმერული **ანქი** > **ქიან**-ი სრული ფორმით გამოიყენება.

(ო. ქ.) **აქიანი** აქაური.

(ო. ქ.) **აქიანობა** აქაურობა.

(ო. ქ.) **ექიანობა** იქაურობა.

ე. ი. ზმნიზედაში **აქ**, ხმოვანი **ა** მანძილის სიახლოვეს მიგვითითებს, ხოლო თანხმოვანი **ქ** ადგილ-მდებარეობას (მიწას, მიწიერ სივრცეს).

ამრიგად, ზმნიზედა **აქ** (ქ = მიწა) კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე მიგვითითებს, ხოლო **აქიანი, აქიანობა**, ვინაიდან მასში მონაწილეობს ქვეყნის აღმნიშვნელი **ანქი** > **ქიან**-ა, ვრცელ სივრცეს წარმოგვიდგენს.

ქა წარმართულ კოლხურში აღნიშნავს ცხოველთა „მიწიერ“ წანაზარდს – **რქა**-ს.

ე. ი. შუმერული აზროვნების მატარებელი კოლხური თანხმოვანი ქ (> ქალი = მიწიერი სხეული) მიწის, დედის მცნებას გამოსახავს და დედის სახებას კი უპირველესად მოქმედება, გაჩენა განსაზღვრავს.

(ო. ქ.) **ქიმინუა** 1. ქმნა, კეთება. 2. გაჩენა, შობა.

ქი-მინ-უა-ს ორ სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს ეგვიპტური მინ-ის მითოლოგიური არსის ცოდნა განსაზღვრავს.

(**აკაკი გელოვანი** 324): „**მინი** ფალოსის ღმერთი ეგვიპტურ პანთეონში, წარმოშობით ახმინელი, კოპტების ბატონი, უაღრესად ვნებიანი, ნაყოფიერებისა და კერძოდ ჩასახვის პრინციპი, ანაყოფიერებს ბუნებას, ქალსა და ქალღმერთებსაც კი. ხელოვნებაში ასახულია, როგორც ზეზე მდგარი მამაკაცი, გამოუკვეთელი კიდურებით, მარჯვენა აღმართული აქვს და შოლტს იქნევს, მარცხენით დაძაბული ასო უჭირავს... უხდიდნენ მრავალნაირ დღეობას, მთავარი იყო „კიბის დღესასწაული“, მოსავლის ზეიმი, როდესაც მეფე პირველ ნაყოფს უძღვნიდა. მოგვიანებით შეერია ამონს, ბესს, ჰოროსს... ითვლებოდა უდაბნოს ღმერთადაც, რადგანაც ნილოსის ხეობას აკავშირებდა წითელ ზღვასთან – უდაბნოს გზით. ფარაონ ნეხაოს ჟამს სუეცის არხის გაყვანის იდეაც ალბათ მას დაუკავშირეს“.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ფალოსის კულტი, ისევე როგორც მთელ წარმართულ მსოფლიოში, კოლხეთშიც (სრულიად საქართველოში) უძველეს ტრადიციას წარმოადგენდა.

ეგვიპტური **მინი** კოლხურში დამკვიდრდა როგორც ძლიერების, ასევე ნაყოფიერების, გამრავლების მნიშვნელობებით და კოლხურში მისი უმთავრესი სახებაა ტერმინი **მინჯე** (< **მინჯა**) = პატრონი.

(ო. ქ.) **მინჯალა** პატრონობა.

(ო. ქ.) **მინჯე** პატრონი.

მინჯე, ანუ იგივე **მინჯა** (**მინ** + **ჯა**) ეგვიპტურ-შუმერული კომპოზიტია, რომელშიც შუმერული **ჯა** (ხე) სამყაროს ხის – **GISeja**-ს მფარველ ბუნებას წარმოსახავს. ე. ი. **მინჯა**-ში მინ წარმოგვიდგენს ბუნების გამანაყოფიერებელ, ძლიერების გამომსახველ მამაკაცს, ხოლო **ჯა** მის მფარველ ბუნებასაც უსვამს ხაზს და ამით მიღებულ იქნა პატრონის მცნება – **მინჯე**.

მსგავსი ეგვიპტურ-შუმერული კომპოზიტებია **მინდი** და **მინდორი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **მინდ**-ი (ძვ.) მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით.

(ქ.ე.გ.ლ.) **მინდორ**-ი 1. სწორი, ბალახიანი ადგილი... 2. მიწის ნაკვეთი, სახნავ-სათესად გამოყენებული.

მინდი-ში (**მინ** + **დი**) თანხმოვანი **დ** (< კოლხ. **ოდო** < შუმ. **უდუ**) მოსავალს განსაზღვრავს, ხოლო **მინი** თავად ნაყოფიერების ღვთაება **მინის**. ამ მცნებათა ერთობით კომპოზიტი გვიხსნის, რომ ღვთაებებს, მათ შორის **მინსაც** მსხვერპლს ან სხვადასახვა სახის პროდუქტებს სწირავდნენ და ამით ის გამოიკვეთა, რომ დაფქვის საზღაურად გამოყოფილი მარცვლეულის ან ფქვილის (ე. ი. მოსავლის, მონაგარის) რაოდენობა შესაწირია, ანუ გადასახადია. იგივე მცნებებით შედგენილი კომპოზიტი **მინდორი** კი აღნიშნავს, რომ მიწის სწორი ადგილი ან შინაური ცხოველების საბალახოა, ან ადამიანთა საკვების მოსაპოვებლად სახნავ-სათესად გამოიყენება და ორივე შემთხვევაში მისი გამოსავლიანობა ღვთაება **მინის** წყალობაზეა დამოკიდებული.

ეგვიპტური **მინი** ფორმებით **მი, მინ, მინი, მინე, მინო** სხვადასხვა გრამატიკულ ნორმებად დამკვიდრდა კოლხურ მეტყველებაში.

(ო. ქ.) **მინე** ზმნზ. პირაღმა; შიგ, შიგნით სიღრმეში.

(ო. ქ.) **მინი** ზმნზ. იქით, შიგნით.

(ო. ქ.) **მინო** რთული ზმნისწინი. 1. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას გარედან შიგნით.

ცხადია, მიმართულებები გარედან **შიგნით, შიგნით სიღრმეში**... ფალოსის ღვთაება მინის ძირითადი მახასიათებელი მოძრაობებია.

(ო. ქ.) **მი, მინ, მინი** 1. კითხვითი ნაცვალსახელი ვინ?, იხმარება მხოლოდ ადამიანის მიმართ. 2. ჩამოთვლის შემთხვევაში ნიშნავს ზოგი.

აქაც ცხადია, რომ ადამიანთა შექმნაში მინის უპირველესი ადგილი ენიჭება. ამ ანბანური ცოდნის თამამი გამოვლენა არ აწყობდათ ქრისტეან მამებს და თანხმოვან **მ**-ს მექანიკური წესით თანხმოვან **ვ**-თი შეცვლით მიიღეს ქართული **ვინ**? ამ ელემენტარული მოქმედებით სრულად წაიშალა წარმართული **მინი**-ს ეგვიპტური შინაარსი. ე. ი. ეგვიპტ.-კოლხ. **მინ** > (**მ** > **ვ**) > ქართ. **ვინ**. მიუხედავად **მინი**-ს დევნისა, ეგვიპტურ-კოლხური მინი ფორმით **მი** მაინც დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში.

(ქ.ე.გ.ლ.) **მი**- წინასართი ზმნისა: 1) აღნიშნავს მიმართულებას ¬¬აქედან იქით. მაგ. **მი**-დის, **მი**-რბის, **მი**-აქვს. 2) ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად. მაგ. **მი**-უალერსა (შდრ. უალერსა), **მი**-ხვეტა (შდრ. ხვეტა). **მი**-ალაგა (შდრ. ალაგა).

ქართული ზმნის წანასართის **მი**-ს აქედან იქით მიმართულება და ძალისმიერი ბუნება ეგვიპტური **მინი**-ს არსის გამოვლენაა.

გამომდინარე მიღებული ცოდნიდან, **ქიმინუა**-ს განსხვავებული მნიშვნელობები შემდეგნაირად უნდა წავიკითხოთ:

1. **ქიმინუა** = **ქი** + **მინ** + **უა** = **მიწა** + **ძლიერი** + **მოქმედება** = ძლიერი მიწიერი მოქმედებები = **ქმნა, კეთება**.

2. **ქიმინუა** = **ქი** + **მინ** + **უა** = **მიწა** (= ქალი) + [**გა**]**ნაყოფიერება** (მამრი) + **მოქმედება** = **გაჩენა, შობა**.

ე. ი. ქალისა და მამაკაცის შეხვედრა ხასიათდება ქმნით, მოქმედებებით და შედეგია ახალი სიცოცხლის გაჩენა, შობა.

ქართული ენის შემქნელმა ქრისტეანე მამებმა წარმართული **ქიმინუა**-დან შექმნეს:

ქმნა > **საქმე** > **ქმედება** > **მოქმედება** > **უქმი** > **უქმდება**...

ქმნა > **უქნა** > **უქნარა** > **უქნელი** > **მოუქნელი**...

აქ უკვე ძნელია ამოიკითხო, ამტკიცო მათი შუმერულ-ეგვიპტურ-კოლხური ბუნება.

ღვთაება **მინ**-ის სახელწოდებას მხოლოდ კოლხური მეტყველება არ იყენებს და იგი, მისი შინაარსის სრული ცოდნით, გამოყენებულია დღეს უკვე საერთაშორისო კუთვნილების სიტყვაში – **მინეტი**. დამატებითი ცოდნისთვის მოგახსენებთ, რომ მდედრის სასქესო ორგანოს ქართული სახელწოდება ასევე ეგვიპტური ღვთაების, „ყველას და ყველაფრის დედის“, ქალღმერთ **მუტი**-ს სახელწოდების ცოდნიდან მომდინარეობს....

ენქი, იგივე ენგური.

(**აკაკი გელოვანი** 168): „**ენქი** (შუმერ. „უფალი მიწისა“; „მიწის ბატონი“) აქად. ეა, შუმერ-აქადური პანთეონის დიდი ღმერთი, სამების წევრი (ანუ-ენლილი-ენქი)... სიბრძნისა, ფიცისა და ნაყოფიერების ღვთაება... განაგებს სამყაროს წესრიგს, ადამიანიც და ღმერთიც გასაჭირში ენქის მოუხმობს... ენქის მიეწერება თიხისაგან ადამიანის გამოძერწვა (ამასვე იმეორებს პრომეთე ერთი ვერსიით და ბიბლიური იაჰვე). მრავალი სხვა საგმირო საქმეც ჩაუდენია და ხალხი მუხლმოყრილი ეთაყვანებოდა მთავარ საკულტო ქალაქ ერიდუში. მისი წმინდა ცხოველი იყო თხათევზა, ნარევი არსება, რომელსაც წინამო თხისა ჰქონდა, ბოლო კი თევზისა (შუმერ. თხა-ჭანარი). უმღერიან ჰიმნებს.

ენქი ღრმა წყალთა და დედამიწის გარემომცველი მტკნარი ოკეანის ღვთაებაა, რომელსაც ადამიანთა წინაშე დაახლოებით პრომეთესებური ღვაწლი მიუძღვის. როცა ღმერთებმა მოუწოდეს დედამიწაზე ჩადი და შენი ღვთაებრივი მოვალეობა შეასრულეო, ენქი ცით დაეშვა და თიხისაგან ადამიანი გამოძერწა... შემდეგ ენქი ადამიანებს ასწავლის ჭამა-სმას, სიარულს, შრომას, მეტყველებას, აზროვნებას, ქმნის ცხოველებსა და მცენარეებს. მიმართულებას უდგენს ქარებს, გამართავს გუთანს, გაავლებს წმინდა ხნულს, აღმოაცენებს პურს“.

(**კარლო თოფურია** „აია“ № 1 გვ.34): „შუმერთა ღვთაება „ენქი“, იგივე „ენგური“, შეადარეთ მდინარეთა სახელები საქართველოში: **ენგური** და **ჰენგური** – მტკვრის მარცხენა შენაკადი ზემო ქართლში“.

ე. ი. შუმერული მითოლოგიით, ადამიანთა შემქმნელი, მათი მასწავლებელი ღვთაება გახლდათ **ენქი**, ანუ იგივე **ენგური**. **ენქი**-ს, იგივე **ენგური**-ს შინაარსის ცოდნას გვიდასტურებენ ქართული ჰიდრონიმები.

როგორც უძველეს ენათა კანონია, სახელწოდება **ენქი** კომპოზიტია (**ენ** + **ქი**), რომელშიც ფორმანტი **ენ** თავსართია და აღნიშნავს უფალს, ღვთაებას, ბატონს; ხოლო ფორმანტი **ქი** მიწის მცნებას გამოსახავს და სახელწოდებები **ენქი** და **ენგური** შემდეგნაირად იკითხება:

ენქი = **ენ** + **ქი** = ღვთაება + ქი = ღვთაება + მიწა = ღვთაება მიწის.

ენგური = **ენ** + **გური** = ღვთაება + გური = ღვთაება გური.

ვინაიდან ადამიანები, ცხოველები ღვთაება **გური**-მ შექმნა და სიცოცხლე მიანიჭა, ადამიანთა, ცხოველთა სიცოცხლის განმსაზღვრელ ორგანოს წარმართულ კოლხურში **გური** (= გული) ეწოდა, ანუ ღვთაება **გური**-ს სახელი.

შუმერულ--მეგრული **გური** > (რ > ლ) > ქართული **გული**.

წარმართული კოლხურით -- **გური** > **გურამი** = გულიანი, გულადი.

ვინაიდან ღვთაება **გური**-მ ადამიანებს ასწავლა ჭამა-სმა, სიარული, შრომა, მეტყველება, აზროვნება... ანუ ის მასწავლებელია, სწავლას წარმართულ კოლხურში ეწოდება **გურ**-აფა. იგივე აზროვნებითაა შექმნილი ინდური (სანსკრიტული) **გურუ** (= მასწავლებელი), რომელიც ასევე ინგლისურში და სხვა ინდოევროპულ ენებშიც დამკვიდრებულია იმავე ფორმითა და შინაარსიით -- **guru** (გურუ – მასწავლებელი, სულიერი ხელმძღვანელი).

(ო. ქ.) **გურაფა** 1. სწავლა; სწავლება. 2. დამსგავსება, დამგვანება.

წარმართულ **გურ-აფა**-ში ბოლოსართი **-აფა** მოქმედებას გამოხატავს და:

გურაფა = გურ + აფა = გური + მოქმედება = (ღვთაება) გური-ს მოქმედება = 1. სწავლა. 2. დამსგავსება, დამგვანება.

ე. ი. **გურაფა** (= ღვთაება **გური**-ს მოქმედება) ეს პირველ რიგში -- სწავლაა, ხოლო მეორე მნიშვნელობა – მსგავსებაა. ღვთაება **გური**-ს მოქმედებას იმის გამო დაეკისრა ასევე მსგავსების მცნების გამოსახვა, რომ ღვთაება გური-მ ადამიანები ერთი და იგივე მასალისაგან, თიხისაგან (**ქი**-საგან) გამოძერწა, მსგავსი ფორმები მიანიჭა და ამდენად ადამიანები ერთმანეთს გვანან, მსგავსნი არიან. იგივე ითქმის ცხოველებზე, ფრინველებზე... ანუ თხა თხას გავს, შაშვი შაშვს...

წარმართული კოლხურით, **გურაფა**-ს შეკვეცილი ფორმა **გუ** დამოუკიდებლად ასევე მსგავსებას აღნიშნავს და აგრეთვე ფუძემნიშვნელობაა ტერმინისა **გუარი**.

(ო. ქ.) **გუ** მსგავსება.

გუარი = გუ + არი = მსგავსი + არის.

ჩავიხედოთ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“:

(ი. ა) **გუარ**-ი „წესი“, „ვითარცა“, სახე: „დაიცევით მღდელობაჲ თქუენი ყოვლისაებრ გუარისა (წესისა) საკურთხეველისაჲსა“... „რომლითა გუარითა მოკუდა აარონ“... „ვითარცა—იგი აჰრონ, ძმაჲ შენი“... „დაესრულა ყოველი გუარი ხილისაჲ“... „სამ გუარად განყოფილ არს საქმე“.

გუ+არი = მსგავსი არის და მართლაც, „წესი“ ეს არის მსგავს, ერთგვაროვან ქმედებათა დაცვა, ასევე სიტყვები „ვითარცა“ და მსგავსი ერთი და იგივე მნიშვნელობას ატარებენ. **გუარი**-მ შემდგომი განვითარებით მიიღო უმთავრესი, თანამედროვე მნიშვნელობა -- საერთო წინაპრის შთამომავალ ადამიანთა ჯგუფის, ჯიშის, მოდგმის აღნიშვნა, იმდენად, რამდენადაც მათ ყველას საერთო მსგავს-ება, გუ-არ-ობა ახასიათებთ.

გუარი > **გუარამი** > (უ > ვ) > **გვარამი** (> გვარამია) = **გვაროვანი, გვარიანი**.

ძვ. ქართულ **გუარი**-ში თანხმოვანი **უ** ახალ ქართულში მოგვიანებით იცვლება თანხმოვან **ვ**-თი და მივიღეთ თანამედროვე **გვარი**.

(ო. ქ.) **მანგური** ბადალი; მსგავსი.

მანგური ასევე სვანურ სიმღერა ბალადებში ეწოდება უძლეველ ვაჟკაცს, სახალხო გმირს და სახელწოდების შინაარსი შემდეგნაირად იკითხება:

მანგური[1] = **მან** (= ძლიერი) + **გური** = ძლიერი გული = ძალგულოვანი.

მანგური[2] = **მან** (= ძლიერი) + **გური** = ძლიერი გური(ს ბადალი, მსგავსი).

ღვთაება **გური**-მ პირველმა გამართა მიწის სახნავი ხელსაწყო და ამიტომაც ეწოდა მას **გუ**-თანი. წარმართულ კოლხურში სახელწოდება **გუთანი**-ს სრული არქეტიპია შემორჩენილი.

(ო. ქ.) **გურთანი** გუთანი.

თანი [< **თან-აფა** (თან-ის მოქმედება) = გა-თენება], წარმართული კოლხურის ცოდნით „სასურველ გაცხადება"-ს აღნიშნავს და:

გურთანი = **გურ**(ი) + **თანი** = გურის გაცხადება სასურველი. ანუ გურთანი (გუთანი) ღვთაება გური-მ გააცხადა, შექმნა.

ღვთაება **გური**-ს (**ენქი**-ს) ერთერთი არსი მიწაა და ამიტომაც გვაქვს **გუამი** (მიწიანი, მიწიერი) > (უ > ვ) > **გვამი**. ანუ **გუამი** ხაზს უსვამს სხეულის მიწიერ ბუნებას, ცოცხალი სხეულისა და მიწის არსთა მსგავსება-ერთგვაროვნებას.

ამრიგად, საერთო ფუძემნიშვნელობა **გური**-დან წარმომდგარი წარმართული კოლხური **გუამი** (გვამი), **გუარამი** (გვაროვანი), **გურამი** (გულიანი) სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს ატარებენ.

შუმერულ-მეგრული გუ ასევე ფუძეა ქართული მცნებებისა გუემა (> გვემა -- სხეულის, მიწიერის ცემა); გუერდი, გუნდა (მიწიერი ფორმები); **გუნება** („შინაგანი აგებულებათა მყოფობაი" ს.ს.); **ეგუება** (ემსგავსება), **გუბე**...

ღვთაება **გური**-მ (**ენ-გური**-მ) ასწავლა ადამიანებს შენება და ამ ცოდნიდან წარმოდგა საერთო წინააზიური მცნება **ა-გური**. წარმართულ კოლხურს შენარჩუნებული აქვს აგურის შედარებით სრული ფორმა – **ანგურა** და აღნიშნავს როგორც თავად აგურს, ასევე ქვის დიდ კეცს, რაც იმას გულისხმობს, რომ ქვის კეცის გამოთლა და მასზე ცომეულის ცხობა იგივე **ენგურ**-მა ასწავლა ადამიანებს. **აგურ** ებრაელთა ენაზე ნიშნავს შემკრებს და აგურისაგან იკრიბება შენობა.

ცოდნა, რომ ღვთაება **გური**-მ მრავალი რამ ასწავლა ადამიანებს, დაედო საფუძვლად სახელწოდება გური-ს მაქსიმალურად შეკვეცილ ფორმას, თანხმოვან **გ**-ს კოლხურ შინაარსს და თანხმოვანი **გ** შეირჩა ფუძედ განსხვავებულ მნიშვნელობათა მატარებელ სიტყვათა შინაარსების გამოსახატავად.

აღსანიშნავია, რომ თანხმოვან **გ**-ს მნიშვნელობათა მრავალფეროვნება თავდაპირველად იოსებ **ყიფშიძემ** შეამჩნია, რომელმაც წარმართულ კოლხურში თანხმოვან **გ**–ს ცამეტი სრულიად განსხვავებული შინაარსები დააფიქსირა.

გაფა = **გ** + **აფა** = **გ**(ური) + **მოქმედება**. იგივე შინაარს ატარებს **გება**.

(ი. ყ.) 1. **გ: გაფა** дуть, веять („გური მიმართულებას უდგენს ქარებს“ ჯ.კ.).

2. **გ: გაფა, გინო-გაფა** платить, заплатить.

3. **გ: გაფა, ა/ილა-გაფა** вложить ножны.

4. **გ: გაფა, ე-გაფა** строить.

5. **გ: გაფა, მო-გაფა** (მარწკინდიში) надевать (перстень).

6. **გ: გაფა, დო-გაფა** разстилать, вынимать из котла гоми.

7. **გ: გე-გაფა** приучать, прывикать.

8. **გ: გაფა** находить.

9. **გ: გება, მი-გება** отвечать.

10. **გ: გება, მო-გება** приобретать, выигрывать.

11. **გ: წა-გება** терять, проиграть.

12. **გ: გა-გება** узнавать, понимать.

13. **გ: გუნა, გვენა** быть похожим.

მოგვიანებით, გამომდინარე იგივე აზროვნებიდან, ქართულში მივიღეთ მსგავსი კონსტრუქციისა და შინაარსის სიტყვები:

ა-**გ**-ება, გა-**გ**-ება, გან-**გ**-ება, და-**გ**-ება, ე-**გ**-ება, მი-**გ**-ება, მო-**გ**-ება, ამო-**გ**-ება შეე-**გ**-ება, ჩა-**გ**-ება, წა-**გ**-ება, წამო-**გ**-ება...

ჩამოთვლილ სიტყვებში ფუძე მნიშვნელობებს თანხმოვან **გ**-ს ფსიქოლოგია განსაზღვრავს და თანხმოვან **გ**-დან შედგენილ სიტყვათა შინაარსებში ღვთაება **გური**-ს

შემოქმედებითი ბუნების ცოდნა იგულისხმება, ანუ თანხმოვანი **გ** ღვთაება **გური**-ს, იგივე მიწის ლოგოგრამას წარმოადგენს.

გავიხსენოთ, რომ წარმართულ კოლხურში მცნება კაცი აღინიშნება სიტყვით **კოჩი** და თავისი შინაარსით იგივე შუმერი დემიურგის, ღვთაება **გური**-ს არსის ცოდნას უკავშირდება.

კოლხური სახელწოდება **კოჩი** (ძლიერი ვაცი || ძლიერი მამრი), აღიარებაა შუმერულის ცოდნისა, რომ ადამიანები ღვთაება **გური**-ს (**ვაც**-თევზის) შექმნილია, მისი შემოქმედებაა. ამ თემას ეხმიანება მამაკაცის კოლხური სახელწოდება **ქუჯი**. როგორც მოგახსენეთ, შუმერი **ენ-ქი**-ს გავლენით, კოლხთა მეტყველებაში თანხმოვანი **ქ** მიწის მცნებას აღნიშნავს, ხოლო წარმართული კოლხურის ცოდნით, **უჯი** ნიშნავს აღიქვი (**უჯინი** = უცქირე, აღიქვი), მაშინ:

ქუჯი = **ქ** + **უჯი**(ნი) = მიწა + უცქირე, აღიქვი = მიწიერს უცქირე || მიწიერი აღიქვი.

ჩვენს მტკიცებებს ასევე ეხმიანებიან ძველი ბერძნებიც, რომლებიც კოლხეთს შუმერი **ენქი**-ს, ღვთაება **გური**-ს აქადური სახელით **ეა**-თი მოიხსენიებენ, ამით ისინი კოლხეთს სიბრძნის ღვთაება **ენქი**-ს, იგივე ღვთაება **გური**-ს ქვეყნად წარმოგვიდგენენ.

Aia [აია] -- **Эа** (1. старинное название Колхиды. 2. город в Фесалии).

ბერძნული სახელწოდება **აია**, იგივე **ეა**, რომ შუმერი მიწის ღვთაება **ენქი**-ს, იგივე **გური**-ს, აქადურად იგივე ეა-ს ცოდნიდან მომდინარეობს, მიგვანიშნებს ის რეალობა, რომ ძველი ბერძნულით **აია**-თი აღინიშნებოდა როგორც მიწა, ასევე მცნება **წმინდა**, ანუ ღვთაებრივი.

αία [აია] γαία [გაია] γή [გე] – 1) земля (как планета)... 4) поверхность земли.

ვადგენთ: -- საწყისში არსებობდა „საერთოქართველური“ შუმერული მითოლოგია, რომლის საფუძველზეც კოლხ ქურუმთა მიერ **წარმართულ კოლხურ** (დღეს ლაზურ-მეგრულ) ლექსიკაში, მხოლოდ შუმერი დემიურგის, ღვთაება **გური**-ს, იგივე **ენქი**-ს არსის სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე, დამკვიდრებულ იქნა მცნებები **გური, გურამი, მანგური, გურაფა**[1], **გურაფა**[2], **გუ, გუარი, გუარამი, გვარამი, გვამი, აგება, გაგება, მოგება, წაგება... კოჩი, გურთანი, აგური, ენგური, ქიანა...**

აი ამ წარმართული ცოდნის გამო უწოდა ბერად შემდგარმა სულხან-საბა ორბელიანმა მეგრულ ენას – მრუდი და ავი ენა; ასევე მხოლოდ და მხოლოდ ამ წარმართული ცოდნის წაშლის მიზნით, ქართული ენის შემქნელმა ქრისტეანმა მამებმა **კოჩი**-დან შექმნეს **კაცი**, **გური**-დან **გული**, **ქიანა**-დან ქვეყანა... საერთოდ ამოაგდეს ხმარებიდან **გურაფა** და იგი შეცვალეს კოლხური მასალიდან ხელოვნურად შექმნილი სიტყვით – **სწავლა**...

თანხმოვანი **გ** როგორც შუმერი ღვთაება **გური**-ს, ასევე ეგვიპტური **გები**-ს, იგივე მიწის ლოგოგრამას წარმოადგენს.

(**აკაკი გელოვანი** 112): „**გები** (ეგვიპტ. **Geb**, „მიწა") – დედამიწის ღმერთი, ბერძ. ქალღმერთ გეას ორეული, ნუტის („ცის") ქმარი, რომლის წიაღიდანაც ადიან მზე და ვარსკვლავები, შემდეგ კი ისევ მას უბრუნდებიან დასავლეთში)“.

ბერძნულის მსგავსად, წარმართული კოლხურით ფორმანტი **გე** (< **გები** > **გეა**) მიწის ზედაპირს გამოსახავს.

თანხმოვანი **გ** მრავალ ენაში ასევე მიწის მცნებას გამოსახავს: სანსკრიტულად **გამ**, **გმა**; ბერძნულად **გე, გა, გაია**; ლათინურად **გოტ, გუმ**...

შუმერებმა სხეულის ქვედა, მიწასთან შეხების ნაწილს -- ფეხს უწოდეს **გი**,. კოლხურშიც მცნება ქვედას, დაბლითას გადმოსაცემად გამოიყენება ფორმა **გიმე**.

შუმერულ-კოლხურად **გა** აღნიშნავს მთას, გორაკს, შუმერული ქურ-**გალი** „დიდი მთა", და გვაქვს წარმართული კოლხური სახელწოდებები:

გალი = **გა** + **ლი** = მთა + სივრცე = მთიანი სივრცე.

გორის რ-ნში არსებულა სოფელი **გალის**-ხევი.

გაგარი (> გაგრა) = **გა** + **გა** + **რი** = მთა + მთა + რი = მთიანი არის (სივრცე).

ვანის რაიონში არსებობს სოფელი სახელწოდებით **გადიდი**.

გადიდი = მთა დიდი.

აქვეა ქართული **გალავანი. გა** (მთა) მოცულობით დიდია და შესაბამისად:

გალა [ფრანგ. gala] – 1. საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში: ითქმის დიდ საზეიმო სანახაობაზე (**გალა** კონცერტი, საღამო-**გალა** და მისთ.). 2. მე-17 –18 საუკუნეებში: დიდი ზეიმი მეფის სასახლეში.

მეგა [ბერძ. **megas (megalu**) დიდი] – რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს: 1) დიდი ზომისას, უზარმაზარს. მაგ., მეგალითი. 2) მილიონჯერ მეტს ძირითად ერთეულზე (რომელიც ნაჩვენებია სიტყვის მეორე ნაწილით). მაგ., მეგავოლტი, მეგაჰერცი, მეგატონა.

მეგალითი [ბერძ. **megas (megalu)** დიდი და **lithos** ქვა] – უზარმაზარი ქვებისაგან აღმართული ნაგებობა (აკლდდამა, სამლოცველო და სხვ.).

მსგავსი კონსტრუქციისა ქართული მაგალითი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **მაგალითი** 1. რაიმე დებულების ცხადსაყოფად მოყვანილი ცალკეული ფაქტი, -- ნიმუში. თვალსაჩინო მაგალითი.

ე. ი. როგორც გარშემო პეიზაჟში მთა თვალსაჩინოა, ცხადია, ადვილად დასანახია, ასევე მოყვანილი მა-**გალი**-თი თვალსაჩინოს, ცხადს ქმნის თქვენთვის უცნობი დებულების, მოსაზრების მტკიცებას.

(**ო. ქ.**) **ჯირგა, ჯირგალი** ზორბა და ტლანქი; უშნოდ დიდი და ახმახი (მთასავით ჯ.კ.).

გავიხსენოთ შუმერულ-კოლხური **დურ** = ძლიერი მოძრაობა და ძველი ინდური სახელწოდება **დურგა** -- Дурга (`труднодоступная")

დურგა = **დურ** + **გა** = ძლიერი სვლა + მთა = ძნელად მისასვლელი || ძნელად მისაწვდომი = труднодоступная.

ე. ი. ინდური დურგა მსგავსად **გურუ**-სი, შუმერული ცოდნის მატარებელი კომპოზიტია.

შუმერულ-კოლხური **გა** მთის, ფორმის, სხეულის გამოსახატავად ჭარბათ გამოიყენება კოლხურ მეტყველებაში – ხარა-**გა**-ული; მონა-**გა**-რი; ნა-**გა**-ვი; ნა-**გა**-ზი.

(**ს. ს.**) **ონგალი** შესადგმელი კაპედი ბოძივით.

ონგალი-ში წარმართული კოლხური თავსართი **ო** ძლიერი, ბოძივით ფორმის დანიშნულებას გამოსახავს.

თანხმოვანი რ

(**აკაკი გელოვანი** 531): „**შუ** (ეგვიპტ. „სიცარიელე“; ბერძ. შესატყვისი – ეოსი, აპოლონი...) – მზით გასხივოსნებული სივრცის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში, ქალღმერთ ნეფთისის ძმა... ატუმ-რამ... ეს და-ძმა შექმნა უშუალოდ თავისი თავიდან, ქალის გარეშე, როგორც ზევსმა ათენა. შემდეგ **შუმ** გვიპტურ კოსმოგონიაში შეასრულა ძალზე დიდი საქმე, რაც სხვა დროსა და რეგიონში სრულქმნა პოლინეზიელთა ღმერთმა ტანე-მახუტამ... პირველმა გაყო დედ-მამა, ცა და მიწა. მხრებით აზიდა ცის თაღი, ხელ-

ფეხით მიწას (დედას) დაებჯინა და გააჩერა. ცა იყო ნუტი, მიწა გები. ცათა მეუფე ხელებით აკავებდა ციურ ძროხას, რომელზედაც მეფობის დასასრულს მზის ღმერთი რა დაჯდა. შუ განსახიერებაა შუქის, უფრო შუადღის მზისა, მტერთა შემმუსვრელია სხივთა შუბით. რას შემდეგ შუ ითვლებოდა ცისა და მიწის, ზღვათა და ქვესკნელის ჩინებულ ღმერთად, რომელიც მრავალათასწლოვანი მეუფობის შემდეგ ცად ამაღლდა. გამოსახულებებში დამჯდარი კაცი, ხელები მაღლა აუწევია, ცას აკავებს, ან ლომისთავიანი კაცია, ან მთლიანად ლომი, ომის ღმერთ ანხურის თანხლებით დგას ან ლომებს მიჰყავთ ეტლით, რასაც ტახის სახე აქვს. სარკოფაგებზე ცას ეჭიდება, რომ ასწიოს დედამიწიდან. ქანდაკებებზეც იგივე მოტივია, ცას შესდგომია, როგორც შემდეგ ბერძენთა ატლანტი. ტინისში ბრძენ თოთთან და ხონსთან ერთად სცემდნენ თაყვანს“.

კოლხურ მეტყველებაში შემონახულია ცოდნა, რომ **შუ**, „ცათა მეუფე ხელებით აკავებდა ციურ ძროხას, რომელზედაც მეფობის დასასრულს მზის ღმერთი **რა** დაჯდა“.

(**აკაკი გელოვანი** 547): „ღვთაებრივი ძროხა და ხარი ეგვიპტურ მითოლოგიასა და ხელოვნებაში თვალსაჩინო როლს თამაშობენ. ხელოვნებაში გამოსახულია ძროხა, მზის დისკოთი რქებს შორის, დგას და ფარაონი ყრმასავით წოვს. ესაა სიცოცხლისა და ძლიერების სიმბოლიკა“.

მზის დისკო ეგვიპტელთა უზეანესი ღვთაების **რა**-ს (მზის) სიმბოლოა. მზის დისკო ძროხის რქებს შუა, სიმბოლიური ასახვაა სცენისა, როცა **შუ**, „ცათა მეუფე, ხელებით აკავებდა ციურ ძროხას, რომელზედაც მეფობის დასასრულს მზის ღმერთი რა დაჯდა“, ე. ი. **რა**-ს (მზის) სახებამ ძროხის მცნებაც მოიცვა და ძროხის მწოველი ფარაონი, რომელიც „მამა-შვილის" პრინციპით რა-ს მოადგილეა, ძროხის რძის მეშვეობით, საკრალურ კავშირს ამყარებდა უზეანეს ღვთაება **რა**-სთან, მზესთან.

ამ ცოდნის გამოა, რომ კოლხურად ბჟა ეწოდება როგორც მზეს, ასევე რძეს. **ბჟა**-ს ორმაგი, ეგვიპტურ-კოლხური არსი ლადო ალფენიძემ დააფიქსირა, რომელსაც, მიუხედავად კოლხური ენის ფსიქოლოგიის არცოდნისა, მუდამ სჯეროდა მეგრული ენის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ამ კავშირების ძიებათა შედეგად, სხვა მსგავსი საინტერესო მაგალითებიც დაგვიტოვა.

(**ლადო ალფენიძე** 101): „ეგვიპტური საკრალური „მზისა" და „რძის“ გამოძახილი ისმის ლათინურ სამყაროში, ვერგილიუსის გენიალურ პოემაში „ენეიდა“. იქ არის ერთი ბრწყინვალე ეპიზოდი, როცა ენაესი და მისი ტროელი თანამგზავრები „თბილ რძეს“ სწირავენ მზეს, რადგანაც მზე ეგვიპტური „მითის თანახმად“ არის „ოქროს ხბო“, ხბოს კი რძე სჭირდება, ამიტომ სწირავდნენ კოლხები, ტროელები და ეგვიპტელები „მზეს“ – „რძეს“. ასეთია მითის ლოგიკა“.

ხევსურეთში მწყემსები რძეს ზის ცვარს, ანუ მზის ცვარს უწოდებდნენ.

კოლხურ მეტყველებაში შემორჩენილია როგორც ღვთაებრივი ძროხის, ასევე ღვთაებრივი ხარის აპ-ისის მახსოვრობა.

(**აკაკი გელოვანი** 60); „**აპისი** – 1. (ეგვ. ჰაპ.) მემფისის წმინდა ხარი, **ციური სხივით განაყოფიერებული წმინდა უბიწო ძროხის შვილი**. ეგვიპტელთა უაღრესი მოწიწებისა და თაყვანისცემის საგანი... მთელი ეგვიპტე ღმერთთა თანაბრად ადიდებდა... აპისის კულტი ჯერ კიდევ მეორე დინასტიის დროს დაწესდა, 3600 წელს ძვ. წ., მნევისის ხარისა და მენდესის თხის კულტთან ერთად... შეადარეთ **აპეური**“.

აპეური ტაბიკების გადასაბმელი თოკია. როდესაც ხარს ქედზე უღელს დაადგამენ, უღლის ნახვრეტებში, ხარის ქედის გარდიგარდმო, თავმსხვილა ჯოხებს, ტაბიკებს ჩაუყრიან და ხარის კისრის ქვემოდან თოკს, აპეურს გამოუნასკვავენ, რათა უღელი ხარს არ მოვარდეს. ე. ი. **აპეური** = **აპ**(ე) + **ური** = ხარი + სვლა, ანუ – ურემს, გუთანს ხარი ადგილიდან ვერ დაძრავს თუ მას აპეური არ გამოუნასკვეს.

(**ლადო ალფენიძე** 54): „URIT – „ეტლს“ ნიშნავს ეგვიპტურად. ამ ეგვიპტური სიტყვის თანხვედრა გვაქვს ქართველურ (ძირებ-ფუძეებთან: „ურ + იკა“, „ურ + იტი“) „ურ + ემი“ ირიბი თანხვედრა აშკარაა“.

თანხვედრა არა ირიბი, არამედ პირდაპირია. **ურს** მეგრულად ნიშნავს **მიდის**, მე-**ურ**-ემე = წამყვანი და აქედან ქართულში შეიქმნა **ურ**ემი (მე-**ურ**-ემე > **ურ**ემი > **ურ**-იკა; მე-**ურ**-ემე > მე-**ურ**-ნე, მე-**ურ**-ნეობა...). ურ შემადგენელია ასევე სიტყვისა **ყურე**, რომელშიც თანხმოვანი **ყ** მიწის მცნებას გამოსახავს და ამ ცოდნის შემდგომ **ურე**, **ური**-მ მხარის, ადგილის, მიმართულების მნიშვნელობებიც შეიძინა.

(**ო. ქ.**) **ყურე || ურე** მხარე, ადგილი; -კენ, კერძო, -- შედის რთული სიტყვების შემადგენელ ნაწილად, განსაკუთრებით ზმნიზედებში და მიუთითებს „მხარეს“, „ადგილს“, „მიმართულებას“.

(**ო. ქ.**) სონ-ური სადა-ური (ხევსური = ხევის მხრიდან, ხევში არსებული **ჯ.კ.**)

(**ო. ქ.**) სო-ურე საიდან?, რომელი მხრიდან?

ურე ასევე ჰაიკთა მეტყველებაში იგივე მნიშვნელობითაა დამკვიდრებული: **ურე**-ს გნუმ? საით მიდიხარ? **ურა** -- მამალი გაუხედნავი კვიცი; მონღოლურ-რუსული საომარი შეძახილი **ურაა** (წავედით)...

შუმერულ მეტყველებაში **რა, რი** აღნიშნავს სიარულს და გამომდინარე ეგვიპტურ-შუმერული გამოცდილებიდან, თანხმოვანი **რ** კოლხურ მეტყველებაში, როგორც მსოფლიოს მრავალ ენაში, მოძრაობას გამოსახავს. ჯერ კიდევ გოტფრიდ **ლაიბნიცმა** შეამჩნია, რომ თანხმოვან **რ**-თი მსოფლიოს მრავალ ენაში მოძრაობა გამოისახებოდა და რასაც ეგვიპტური მზის ღვთაების **რა**-ს, იგივე **რე**-ს მოძრავი ბუნების ცოდნა განსაზღვრავს.

(**აკაკი გელოვანი** 428): „**რა, რე** (ეგვიპ. „მზე“) – ძვ. ეგვიპტელთა უზეანესი ღვთაება, მზის ღმერთი, ყოვლის მშობელი და მბრძანებელი, რომელიც დღისით ციურ ნილოსში მიაცურებს მზიურ ნავს, ღამით კი მიცვალებულთა სამეფოში ეშვება. სახე შეიქმნა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში, ხუთასიოდე წლის შემდეგ პირველობა დაისაკუთრა, მეორე ათასწლეულში კი გაითქვიფა თებეს მთავარ ღმერთთან, მზის ღმერთ ამონთან (ნახ. ამონ-რა). მისი საკულტო ცენტრი იყო ივნუ, ონი (ჰელიოპოლისი), აქედან შეაღწია მემფისში და შეერია იქ გაბატონებულ ღმერთს, არსთა კოსმიურ იდეალს ატუმს, თუმცა გაიგივება არ მოხდა. ორი ღთაება ერთიმეორის გვერდით იყო, ტაძარიც საერთო ჰქონდათ. მეტსახელი ჰარახტე, „ჰოროსი ჰორიზონტზე“ აღნიშნავდა რა-ს ყოველდღიურ გამოჩენას ჰორიზონტზე“.

ეგვიპტელთა უზეანესი ღვთაება **რა || რე** კოლხური თანხმოვნის **რ**-ს ლოგოგრამაა. თანხმოვანი **რ**, გამომდინარე **რა**-ს, მზის მოძრავი და „ყოვლის მშობელი“ ბუნებიდან, ძირითადად გამოსახავს მზის მოქმედების ორ შედეგს – მოძრაობას და არსებობას; გაიხსენეთ ცნობილი გამონათქვამები: „ვმოძრაობ ე. ი. ვარსებობ“ და „სინათლე ეს სიცოცხლეა“.

თანხმოვანი **რ** კოლხურ მეტყველებაში გამორჩეულად ლაკონიურია და, შესაბამისად, მისი მნიშვნელობები იოლი ამოსაკითხია; მხოლოდ ცალკე განხილვის ღირსია თანხმოვან რ-ს შინაარსიის გამოყენების ფორმანტები **ორო** და **ურუ**, რომელებიც ეგვიპტური მზის ღვთაების სახელწოდება **ჰოროსი** > **ოროსი**-ს ცოდნის გამოვლენაა.

(**აკაკი გელოვანი** 627): „**ჰოროსი, ოროსი** (Horos ლათ. ჰორუს, ეგვ.-ბერძ. „შორეთი", ეგვ. ჰრ „ცა", შორი მიჯნა, ზღვარი) – შევარდენის გარეგნობის ეგვიპტური ღვთაება. დასაბამიდან მზისა და ცის ღმერთი“.

ე. ი. „ჰოროსი ჰორიზონტზე“ „აღნიშნავდა რა-ს (მზის) ყოველდღიურ გამოჩენას ჰორიზონტზე“, იგივე რა „ღამით მიცვალებულთა სამეფოში ეშვება“ და მზის ჩასვლის შემდგომ, ადამიანთა თვალსაწიერ ციურ ჰორიზონტზე ისადგურებს ბნელეთი, რასაც კოლხურად ეგვიპტური მზისა და ცის ღვთაების **რა**-ს არსის ცოდნით **ორო** ეწოდა. ამრიგად, კოლხური **ორო** (< ეგვიპტ. ოროსი) გამოსახავს ჰორიზონტის [ბერძ. **horizon**] იმ შორეულ მიჯნის, ჰორიზონტის საზღვრის იმ შემდგომ ბნელეთს, რომელშიც ჩადის და შემდგომ ამოდის ეგვიპტური მზისა და ცის ღმერთი **ოროსი, ჰორუსი, ჰრა**; ხოლო ფორმანტი **ურუ** აღნიშნავს მზის ღმერთის რა-ს სვლას ამ სიბნელისაკენ, ანუ მის გაუჩინარებას. მარტივად შეძლება ითქვას, რომ **ორო** გამოსახავს მზის ჩასვლის შემდგომ, მზის ბნელეთში არსებობას, თავად ბნელეთს; ხოლო **ურუ** მზის ბნელში ჩასვლის პროცესს, მის გაუჩინარების პროცესს. ცხადია **ურუ**-ს შინაარსი ასევე განსაზღვრა ფორმანტ **ურ**-ის მოძრაობის, მიმართულების გამოსახვის უნარმა.

(**ო. ქ.**) **ორო**[1] ¬¬ჩრდილი; ლანდი.

(**ო. ქ.**) **ორო**[2] თანდებული – **ვით. სი ჩქიმორო (ჩქიმიშორო)** გილეგარდე – შენ ჩემსავით ტიროდე.

თანხმოვან **რ**-ს რომ ჩრდილის მცნების გამოსახვაც დაეკისრა, ეს კიდევ ერთი მტკიცებაა იმისა, რომ თანხმოვან **რ**-ს საწყის სახებას ეგვიპტური მზის ღმერთი **რა** წარმოადგენს, ვინაიდან სხეულზე, საგანზე მზის ნათების შედეგად წარმოიქმნება სხეულის, საგნის ჩრდილი.

ამრიგად, **ორო** ჩრდილია და თანდებულის (|| ქართ. **-ვით**-ის) ფუნქციაც მიენიჭა იმის გამო, რომ ჩრდილი მისი პატრონი-ვით მოძრაობს, ანუ მისი ორეულია, ანუ ჩრდილები იქცევიან ჩემსა-**ვით**, შენსა-**ვით**...

(**ო. ქ.**) **ორომე ორმო**; მრუმე, ჩრდილიანი ადგილი; ამოთხრილი ადგილი, რომელშიაც ორო (ჩრდილი) არის ჩამდგარი, ჩაბნელებულია... ორომე დიხა ბნელი, უმზეო ადგილი.

ორო-მე-ში ორო უკვე არა ჩრდილს, არამედ **ორმოში** ჩამდგარ სიბნელეზე მიგვითითებს.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ორომ**-ი თხელი (ზოგჯერ სახელურებიანი) ფიცარი ცომის გუნდების გასაბრტყელებლად და თონესთან მისატანად (ანუ **ორომე**-სთან, **ორმო**-სთან, იგივე თონესთან მისატანად ჯ.კ.).

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ორომტრიალ**-ი ფუსფუსი, უწესრიგობა, აურზაური, შეხლა-შემოხლა. იდგა ერთი ორომტრიალი. – ცხოვრების ორომტრიალი.

ორომტრიალი = ორო + ტრიალი = უხილავი (გაურკვეველი) ტრიალი (ფუსფუსი). – ცხოვრების უაზრო ფუსფუსი. ე. ი. ორომტრიალი და არა ორმოტრიალი. ცხადია:

მეგრ. **ორომე** > ქართ. **ორმო**.

ჩერო (ვაჟა VI 287): **ვერხვი**

„ვერხვს ახარებდნენ ყვავილნი მომეტებულად, რომელნიც იმის ჩეროს ქვეშ იზრდებოდნენ".

(ს.ს.) **ჩერო** – მცირე ჩრდილი.

(ს.ს.) **ჩრდილი** – აჩრდილი დიდი, ხოლო მცირეთა ხეთა და ქვათასა ჩერო ეწოდება, ხოლო ბალახთასა – ბაო [ბაო = ბა + ო(რო) = მცირე ჩრდილი ჯ.კ.].

(ქ.ე.გლ.) **ჩერო** – იგივეა რაც ჩრდილი.

(ქ.ე.გლ.) **ჩრდილი** – 1. მზეს მოფარებული ადგილი, -- გრილი, ჩერო, კაკლის ჩრდილი, სახლის ჩრდილი. 2. ცალი მხრიდან განათებული საგნის მუქი გამოსახულება მეორე მხარეს, -- ლანდი. კაცის ჩრდილი შენიშნეს.

არცერთი ეს განმარტება არ ესადაგება ვაჟას ტექსტს: „ყვავილნი... რომელნიც იმის ჩეროს ქვეშ იზრდებოდნენ". ე. ი. ყვავილები ჩეროში იზრდებოდნენ, ხოლო ლექსიკური განმარტებებით ჩერო ჩრდილია, ჩრდილი კი ბნელია და ბნელში ყვავილები ვერ ხარობენ. ვაჟა მცნება ჩერო-ს წარმართული კოლხური მნიშვნელობით იყენებს:

ჩერო = ჩე + (ო)**რო** = თეთრი (და) ბნელი.

ე. ი. **ჩერო** (თეთრი და ბნელი) ისეთი სახის ჩრდილია, რომელიც იცის მეჩხერფოთლიანმა ხეებმა, ვენახის ტალავერმა, რომელთა ქვეშაც ჭრელ ხალიჩასავით ერთურთს ენაცვლება ნათელი (**ჩე**) და ბნელი (**ორო**). ასეთი შუქიანი ჩრდილი (**ჩერო**) უყვართ ყვავილთა ზოგიერთ სახეობებს და მის ქვეშ გასეირნება უხდებათ ჩვილ ბავშვებს.

ორო ჩრდილის მცნებას იმეორებს სიტყვაში **ბორობანი**.

(ქ.ე.გ.ლ. 8) **ბორობანი** ძვ. „ხე კეთილჩრდილოიანი და მაღალი“ (**საბა**).

ორო ძირითადად აღნიშნავს არა ჩრდილს, არამედ უხილავს, ბნელს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ორწოხ**-ი: ჩვეულებრივ მრ. ორწოხები – ვიწრო, ძნელად მისასვლელი ადგილები მთებსა და ხევებში.

მთის ღრმა ვიწრობები ბნელია, ხილვადობა გაძნელებულია და შესაბამისად ძნელად სავალი ადგილებია.

ორწოხი = ორ(ო) + **წოხ**.

(ო. ქ.) **–წოხ** რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი (=**წინ**): გოღა+წოხ გუშინ**წინ**.

ორწოხი = ორ(ო) + **წოხ** = უხილავი (გაურკვეველი) წინ.

ორო იგივე ცოდნას წარმოგვიდგენს სიტყვაში **ბორო**[1].

(ქ.ე.გ.ლ. 8) **ბორო**[1] კუთხ. (რაჭ.) ... მიყრუებული ადგილი მთაში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ორჭოფ**-ი 1. მერყევი, ეჭვიანი, არამტკიცე ადამიანი. 2. ორჭოფულ-ი ორაზროვანი. ბუნდოვანი. გაურკვეველი. ორჭოფული ლაპარაკი. ორჭოფული მდგომარეობა.

ორჭოფი = ორ(ო) + **ჭოფ**(უა).

(ო. ქ.) **ჭოფუა** დაჭერა.

ორჭოფი = ორ(ო) + **ჭოფ**(უა) = **უხილავი + დაჭერა** = უხილავი უჭირავს, ანუ მას მყარი, ნათელი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და გაურკვეველ მდგომარეობაშია.

იგივე ცოდნას იმეორებს **ბოროიანი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბოროიანი** კუთხ. (გურ.) კაცი, რომელიც ერთ აზრსა და ან საქმეზე ვერ გაჩერებულა და ხშირად მოულოდნელად და უმიზეზოდ იცვლის ხოლმე გუნებას.

ხშირად ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს კი უწოდებენ **ბორო**-ს.

(ო. ქ.) **ბორო** სულელი, შტერი, ბროყვი; ჭკუათხელი.

(ქ.ე.გ.ლ.) ბორო[2] კუთხ. (გურ.) ერთგვარი ზნე.

ასეთი ადამიანები თავიანთ თავს მეტად ვნებენ ვიდრე გარშემო მყოფთ, ხოლო თუ **ორო**-ში მის უხილავი ბუნების ნაცვლად ორმოს, უფსკრულის სიღრმის შემაშფოთებელ სიბნელეს, სიშავეს წარმოვიდგენთ, ნათელი ხდება რატომ ეწოდა ავკაცს **ბოროტი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ორშიმო** აყიროსაგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად.

სახელწოდება **ორშიმო**-ში რომ მეგრული **შუმა** (სმა) ფიგურირებს, ეს ივანე ჯავახიშვილმაც დააფიქსირა. **ორშიმო** = **ორ**(ო) + **შ**(უ)**მ**.

(ო. ქ.) **შუმი** სასმელი.

(ო. ქ.) **შუმა** სმა. **ოშუმალი** სასმელი.

(ს. ს.) **ოშმე** ღვინის ამოსაღები კვახი.

ცხადზე უცხადესია, რომ საბას **ოშმე** გადაკეთებული წარმართული კოლხური **ოშუმალი**ა. პირველ მოქმედებას, რასაც ქვევრის პატრონი ასრულებს ახლად გახსნილი ქვევრიდან ღვინის ამოღებისას, ეს ორშიმოთი ამოღებულ პირველივე ღვინის სმას იწყებს, ანუ ჭაშნიკს უსინჯავს.

(ს. ს.) **ორშომო** აყირო, ქვევრით ღვინის ამოსაღები.

აქ უკვე თავად საბას **ოშმე**-ა გადაკეთებული, ვინაიდან ქვევრი ეს ოროა, ორომე-ა (ბნელია, ორმოა), ხოლო ხაპი თავად საბას მიხედვით **ოშმე**-ა, უნდა გვქონოდა **ოროშმე** და მივიღეთ გაუგებარი **ორშომო**, რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა ფორმით **ორშიმო**.

ორთქლი = **ორ**(ო) + **თქ**(მა) + **ლი** = **უხილავი** + **თქმული** (გამოსახული) + **ფორმა**.

ნიორი = **ნი** + **ორ**(ო) = **სასურველი** + **უხილავი**.

მოგეხსენებათ, ნივრის ნაყოფი მიწის სიღრმეში იზრდება და უხილავია.

მიახლოებით იგივე ორო-ს შინაარსს ატარებს **ურუ**.

(ო. ქ.) **ურუმი** მრუმე; უღრანი; ბნელი ძალიან; ღრმა ადგილი მდინარეში – ბნელად ჩანს.

(ქ.ე.გ.ლ.) **მრუმე** (მვ.) ბნელი, შავი.

ე. ი. წარმ. **ურუმი** > (უ > მ, ი > ე) > ქართ. **მრუმე**.

(ო. ქ.) **ცურუმი** უღრანი; ძალიან ღრმა, მრუმე ადგილი მდინარეში; ყურყუმი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყურყუმი** კუთხ. (იმერ. გურ.), ძლიერ ბნელი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყურყუმა** ვისაც, რასაც სიშავე, სიბნელე ახასიათებს.

(ო. ქ.) **წკურუმი** იგივეა, რაც წკვარამი, -- 1. წკვარამი; ღრმა ადგილი მდინარეში; სიბნელე. 2. ქვესკნელი; უფსკრული.

(ო. ქ.) **წკვარამი, წკვარემი, წკვერემი** 1. წკვარამი; უფსკრული, ქვესკნელი; ჯურღმული; ღრმა და ბნელი ადგილი, -- უკუნეთი.

(ქ.ე.გ.ლ.) **წკვარამი** კუთხ. (ქვ.-იმერ.) 1. „უფსკრული, ქვესკნელი“. 2. უკუნეთი, ბნელი (ღამე).

(ო. ქ.) **ურღუმი** უღრანი. ურღუმი ტყა უღრანი ტყე.

მხოლოდ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ **ორო**-საგან განსხვავებით ურუ ასევე მოძრაობას ბნელისაკენ, ანუ გაუჩინარებასაც გამოსახავს.

აქ შევწყვიტოთ **ორო**-თი და **ურუ**-თი შედგენილი კომპოზიტების განხილვა, ვინაიდან **ორო**-ს და **ურუ**-ს შინაარსთა სრული აღქმა წინ გელოდებათ.

თუ **ორო** და **ურუ**-ს სიბნელის მცნება აერთიანებთ, **ერე** და **ირი** სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს წარმოგვიდგენენ.

(ო. ქ.) **ერება** შდრ. ერები., -- ყველაფერი.

(ო. ქ.) **ერები** 1. დიდი ოჯახი ქონებით, საქონლით; მოკეთე. 2. შთამომავლობა.

(ო. ქ.) **ერებამი** 1. მრავალშვილიანი ოჯახი ქონებით, საქონლით. 2. ბრწყინვალე, სასიამოვნო.

(ო. ქ.) **ერბი** ეშხი.

(ო. ქ.) **ერემი** ირემი.

ერები > **ერბი** > **ერბო.**

წარმართული **ერბი**-დან შედგა ქართული **ერბო.** ე. ი. წარსულში საქონელი სიმდიდრის, სიუხვის წარმოდგენის აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა, ხოლო საქონლის რძისაგან მიღებული პროდუქტებიდან **ერბო** გამორჩეულად ოჯახის ბარაქის სიმბოლოდ ითვლებოდა („**ერბოში ცურაობს**“), თუნდაც იმის გამო, რომ ერბო ძალზედ ყუათიანი საკვებია, დიდხანსაც ინახება და თავისებურ კონვერტირებად ვალუტას წარმოადგენდა.

ცხადია წარმართული **ერემი** > ქართული **ირემი.**

(ო. ქ.) **ირი** განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ყოველი, ყველა (მოქცეულია მზის ქვეშ ჯ.კ.).

(ო. ქ.) **ირიართო** სულ, სულ მუდამ, განუწყყწყვეტლივ, გამუდმებით (მზესავით ჯ.კ.).

(ო. ქ.) **ირო** ზმნზ. მუდამ, სულ მუდამ, მარადის; ყოველთვის (მზესავით ჯ.კ.).

შუ და შუანი

„{კოლხებსა და ეგვიპტელებს] მთელი ცხოვრება და ენა
მსგავსი აქვთ ერთმანეთის“. **ჰეროდოტე** (ძვ. წ. V ს.).

(ა. გ.): „**შუ** (ეგვიპტ. „სიცარიელე") 9 ჰელიოპოლისელ ღმერთთა პანთეონის წევრია. ღმერთების დინასტიის ჟამს ეგვიპტესაც განაგებდა. საერთოდ **ჰაერის, შუქისა** და **სუნთქვის ღმერთიცაა**, ე. ი. **სიცოცხლის წყარო**“.

(**ზურაბ კიკნაძე** 113): „ძველეგვიპტურ კოსმოგონიაში **შუ** (ჰაერი) მიჯნავს მდედრულ **ნუტს** (ცას) მამრულ **გებისაგან** (მიწისაგან), **შუ** დგას მათ შორის და გაშლილი ხელებით უჭირავს ცა, რის გამოც ეწოდა მას ონურის – „ცის დამყრდნობელი“. ვითარცა ჰაერის სვეტი, იგი ცასა და მიწას შორის არსებული სივრცის ანუ ატმოსფეროს ღმერთია ისევე როგორც შუმერი ენლილი, რომლის სახელი **ენ-ლილ** (უფალი-ჰაერი) ნიშნავს „ჰაერის უფალს“. ცისა და მიწის განწვალებით ენლილმა ფაქტიურად შექმნა ატმოსფერო, „**სასუნთქი სივრცე**“.

ე. ი. შუმერულ-ეგვიპტური კოსმოგონიით ცისა და მიწის კავშირს ჰაერი წარმოადგენდა. კოლხმა ქურუმებმა სულის გამოსახვა ჰაერის მცნებას, „სიცოცხლის წყაროს", „სასუნთქ სივრცეს“ დაუკავშირეს; მხოლოდ აირჩიეს არა შუმერული, არამედ ეგვიპტური ვარიანტი; ეგვიპტურ ვარიანტში კი შუმერ **ენლილ**-ს („კავშირი ცისა და მიწისა“), ეგვიპტური **შუ** („კავშირი ცისა და მიწისა“) **ჰაერისა და სუნთქვის ღვთაება** ენაცვლება და წარმართული კოლხურით სულს (იგივე სუნთქვას) **შური** ეწოდა:

შური[1] = **შუ** + **რი** = ჰაერი + არის.

შური[2] = **შ(უ)** + **ური** = ჰაერი + მოძრავი, არსებული.

ცოცხალი არსება როგორც კი წყვეტს სუნთქვას, ის კვდება, ანუ **შუ** (**ჰაერი, სიცოცხლის წყარო**) მასში აღარ მოძრაობს, ე. ი. მისი სხეული ჰაერმა, სუნთქვის ღმერთმა **შუ**-მ, **შური**-მ მიატოვა, ანუ სულმა სხეული დაუტევა. ამ ცოდნიდან წარმოდგა კოლხური მცნება-კომპოზიტი: **შურდგმილი** = სულდგმული; ცოცხალი არსება. ანუ სხეული სიცოცხლის უნარიანია სანამ მასში ჰაერი, **შუ** „დგას“, მოძრაობს, ჰაერს, **შუ**-ს ისუნთქავს.

ეს ცოდნა ქრისტეანულმა კოლხურმაც ვერ უარყო და გვაქვს ქართული **შობა**.

შობა = **შ** + **ობა** = **ჰაერი** + **მოქმედება** = გაჩენისთანავე ჩვილის სხეულში ჰაერი დგება და იწყება ჰაერის მოქმედება – სუნთქვა.

(**დაბადება** 2.7.); „გამოსახა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“.

იგივე აზროვნებაა დანარჩენ სამყაროშიც.

(Ф. Э. С.): „**ПСЮХЕ** (греч. ψυχή– душа), термин древне-греческой философии, душа, исконно этимологическое значение - „дыхание“ (ср. рус. „душа, дух“ -- „дышать“, „воздух“)“.

ქართული შობა კონკრეტიზირებული წარმართული **შიბა**-ა.

(**ო. ქ.**) **შიბა** შოვნა; ყოლა. **სქუა ქააშიდენი**... შვილი რომ ეყოლებოდა (ეშოვებოდა)...

ე. ი. **შიბა**-ს (ყოლა-ს, შოვნა-ს) **შობის**, არარსებულის გაჩენის მცნება უდევს საფუძვლად.

გადაქართულების წესით, წარმართული **შური**-დან წარმოდგა ქრისტეანული **სული**; თუმცა ქართულმა **სულმა** მაინც შეინარჩუნა ჰაერის მნიშვნელობა, რასაც გვიდასტურებს ქართული გამოთქმა: „**სული** შეუბერე (ნაკვერჩხალს, ჭრილობას...) ანუ **ჰაერი**, ანუ **შუ** შეუბერეო“. წარმართულ ეგვიპტურ-კოლხურ **შური**-ს ქართულში მექანიკურად, ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, სრულიად განსხვავებული, უარყოფითი მნიშვნელობა მიანიჭეს.

(**ს. ს.**) **შური** შური არს მწუხარებაᲲ სხვისა კეთილსა ზედა.

შუ რომ ჰაერია (და არა მწუხარება) და ჩვენ მას ვსუნთქავთ, დაფიქსირებულია ძველი ქართული **შუმინვა**-თი.

(**ი. ა.**) **შუმინვა** ფშინვა: „არა აქუს მათ შუმინვაი, რომლითამცა იყნოსეს ჰაერი ესე". იხ. მშუმინვიერი, მშÕნვიერი, საშუმინველი.

ძველი ქართული **შუმინვა** გადაქართულებული წარმართული კოლხური **შუმინუა**-ა (= სუნთქვა). **შუმინუა** > (უა > ვა) > **შუმინვა**-ს ეგვიპტურ-კოლხური ბუნების წარმოსაჩენად გავიხსენოთ წარმართული კოლხური **ქიმინუა**.

ქიმინუა = **ქი** + **მინ** + **უა** = **მიწა** + **ძლიერი** + **მოქმედება** = ძლიერი მიწიერი მოქმედებები = ქმნა, კეთება.

ქი-მინ-უა-ს მსგავსი კონტრუქციის მატარებელია უკვე ეგვიპტურ-კოლხური კომპოზიტი **შუ-მინ-უა** (< შუმინი).

შუმინუა = შუ + მინ + უა = ჰაერი + ძლიერი + მოქმედება = სუნთქვა.

(ო. ქ.) **შუმინი** ყრუ ხმაური (წყლისა). შდრ. ლაზ, ში: **ოშიუ** ხმაური (ნ. მარი).

შუმინი = შუ + მინი = ჰაერი + ძლიერი = ყრუ ხმაური (წყლისა).

აქ გვახსენდება სლავური -- **шум** (ხმაური).

შუმინი-ს ეხმიანებიან **ჟუმინი** (ქროლვა), **ღუმინი** (ღმუილი, ხმაური), **ჩუმინი** (შხუილის ჩუმი ხმა), **ჭუმინი** (შხუილი).

შუმინი > **შუმინუა**-ს მსგავს შინაარსს ატარებენ **შუფინი** > **შუფინუა**.

(ო. ქ.) **შუფინი** წყლის (მდინარის) ძლიერი დინების ხმაური.

(ო. ქ.) **შუფინუა** ქშენა; ხმაური.

ქიმინუა, შუმინუა-ს მსგავსად **შუფინუა** შემდეგ შემადგენლებად იშლება -- **შუფინუა = შუ-ფინ-უა**. გავეცნოთ **ფინ, ფინუა**-ს შინაარსებს:

(ო. ქ.) **ფინა ფენა.**

(ო. ქ.) **ფინა**[2] ფინია, პატარა ძაღლი.

(ო. ქ.) **ფინუა** 1. ფენა. 2. იქით-აქეთ შლა.

(ო. ქ.) **ფინია** იგივეა, რაც ფინა2, 1. პატარა ძაღლი, ფინია. 2. წვრილი თეფში წვრილი, არაღრმა (გადაშლილი) თეფში.

პატარა ძაღლს იმიტომ ეწოდა **ფინა, ფინია**, რომ მუდამ ფეხქვეშ გეფინება, გელაქუცება. ცხადია სახელწოდება **ფინია** მეგრული ფორმაა, ქართულად უნდა ყოფილიყო **ფენია**.

ამრიგად:

1. **შუფინუა = შუ + ფინ + უა = ჰაერი** + [გან]**ფენა + მოქმედება**.

2. **შუფინუა = შუ + ფინუა = ჰაერი + იქით-აქეთ შლა.**

ე. ი. გენიალური **შუფინუა** გვამცნობს: ნებისმიერი მოძრაობით გამოწვეული ხმაური მხოლოდ და მხოლოდ ჰაერის მეშვეობით ეფინება, იქით-აქეთ იშლება გარემო სივრცეში. ეს ხომ იმ ეგვიპტური მითოლოგიის ცოდნაა. რომლის მიხედვითაც მიწისა და ცის სიბრტყეთა შორის **შუ**, ჰაერია განთავსებული და **შუ**-ს, ჰაერის მოძრაობით ერთ წერტილში წარმოქმნილი ხმა იგივე **შუ**-ს, ჰაერის მეშვეობით ეფინება, იქით-აქეთ იშლება გარემო სივრცეში.

ჩვენს მტკიცებათა ხატოვანი მაგალითია **შუშინი** (შუ-შინი).

(ო. ქ.) **შუშინი** ძნელი სუნთქვა.

(ო. ქ.) **შინი** გახსენება; ჭაჭანება; ხსენება. კოჩიში შინი ვარდუა – კაცის ხსენება (ჭაჭანება) არ იყოო.

ე. ი. **შუშინი = შუ + შინი = ჰაერი + ჭაჭანება** = ძნელი სუნთქვა -- ანუ არსება ისე ძნელად სუნთქავს, რომ მისი ბაგეებიდან ჰაერი თითქმის არ მოძრაობს, ჰაერი თითქმის არ ჭაჭანებს.

ამრიგად, ადამიანი სხეულში ჰაერის მოძრაობის მეშვეობით გამოსცემს სტვენის ხმებს და რის ცოდნასაც წარმოგვიდგენენ წარმართული შუტინი და შუშელა.

(ო. ქ.) **შუტინი** იგივეა, რაც შვიტინი.

(ო. ქ.) **შვიტინი** სტვენა.

საოცრად ეგვიპტურია საბას **შუშულა**.

(ს. ს.) **შუშულა** ერთი სტვირია.

სტვირი კი მხოლოდ ჰაერის, **შუ**-ს ჩაბერვით ხმიანდება, ანუ **შუშულა** (სტვირი) **შუ**-ს ჩასაბერი, **შუ**-ზე დამოკიდებული ინსტრუმენტია. ე. ი. **შუშულა** || **шушукаться** (ჩურჩული).

კოლხური **შუ**-ს ეგვიპტური წარმომავლობის დამატებითი მტკიცებებია:.

(ო. ქ.) **შუშუ**: **შუშუ კოჩი** მჩატე (გონებით); 1. მოშტერო, მოსულელო; 2. მშვიდი კაცი.

შუშუ = **შუ** + **შუ** = **ჰაერი** + **ჰაერი**, ხოლო ჰაერი, უწონადოა და **შუშუ**-თი გამოიკვეთა მცნება მჩატე, ხოლო გონებამჩატე ადამიანი შტერია, სულელია.

(ქ.ე.გ.ლ.) **შუშუტი** პატარა მილი (სითხის ან ჰაერის სადენად).

ვინაიდან **შუ** (ჰაერი უმოძრაო მდგომარეობაში) ასევე სიწყნარეს, სიმშვიდეს გვაუწყებს, **შუში**-ც იგივე სიმშვიდეს გამოსახავს.

(ო. ქ.) **შუში** ჩუმი, წყნარი, მშვიდი. **შუში სერი რე** – წყნარი ღამეა. შუში არდგილი – თბილი ადგილი, რომელიც დაცულია ქარისაგან. გადატ. თოვის დაწყების წინ დათბობა. ფერი შუშიე, დოთუნს – ისეთი სიწყნარეა, რომ დათოვს.

(ო. ქ.) **შუშაფა**, **შუშება** დაწყნარება.

იგივე შინაარსს ვაწყდებით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

(ქ.ე.გ.ლ.) მოშუშდება თანდათანობით მორჩება, განიკურნება (ჭრილობა, წყლული...) (ანუ თანდათანობით დაუწყნარდება ჭრილობა, წყლული... ჯ.კ.).

ე. ი. **შუშება** > მო-**შუშება** > ჩა-**შუშუ**-ლი...

ფორმა **შუშ** რომ ჰაერს გამოსახავს, ასევე მიგვანიშნებს **შუშპარი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **შუშპარი** (ძვ. და კუთხ.) იგივეა, რაც ცეკვა.

(ო. ქ.) **პარპალი**[2] 1. თოლიში პარპალი თვალების ხშირი ხამხამი. 2. ცეცხლის ალის ნელი რხევა; თრთოლა.

ე. ი. **შუშპარი** = **შუშ**(უ) + **პარ**(პალ)ი = ჰაეროვანი (მსუბუქი) და ცეცხლოვანი რხევა (ცეკვა).

გავიხსენოთ **შუშა** [სპარ. შიშე].

(ო. ქ.) **შუშა** შუშა.

შუშა წარმართულ კოლხური სიტყვაა, რომელშიც ფორმანტი **–შა** მიმართულების მაჩვენებელია და **შუშა** კოლხურად ნიშნავს **შუსა**(კენ), ანუ გაიხედე შუსაკენ, ჰაერისაკენ, რომელიც გამჭვირვალეა და ჰაერში, **შუშა**-ში ნათლად მოჩანს მზე, ღრუბლები... ხოლო თავად **შუ**, ჰაერი არ ჩანსო. ე. ი. **შუშა** გვიხსნის, რომ მინა (შუშა) **შუსა**-ვით, ანუ ჰაერივით გამჭვირვალეა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ **შუშა** პირველად სირიაში ჩნდება, სახელწოდება **შუშა** კოლხური ცოდნით ახსნასაც ექვემდებარება.

ჰაერივით გამჭვირვალე წყლის დინების გამო ეწოდებათ **შუშა** მდინარეს საჩხერის რაიონში, **შუშარა** მდინარეს ლენტეხის რაიონში და:

(ქ.ე.გ.ლ.) **შუშურა** „შამანი, ღვინო წყალნარევი“ (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **შამანი** 1. კუთხ. (ქართლ. კახ.) უდედო, დაუდუღებელი, ტკბილი, სუსტი ღვინო. 2. კუთხ. (ქართლ. ხევს,) ბოლოს გადმოსული სუსტი არაყი.

იგივე ცოდნას იმეორებს კოლხური **შუმი** (< **შუამი** = ჰაეროვანი).

(ო. ქ.) **შუმი** სასმელი.

(ო. ქ.) **შუმა** სმა.

(ქ.ე.გ.ლ.) **შუმი** წმინდა, ხალასი, ნამდვილი, შეურეველი: შუმი ღვინო. – შუმი არაბული კვიცი.

შუმა განსაზღვრავს, რომ უნდა სვა არა მღვრიე, არამედ ჰაერივით დაწმენდილი სასმელი, რომ **შუმი** არაბული კვიცი გამჭვირვალე ჰაერივით წმინდა, ხალასი, შეურეველი ჯიშისაო.

ე. ი. მეგრ. **შუმა** > (შ > ს, უ > 0) > ქართ. **სმა**; მსგავსია მეგრ. **ბუმა** > ქართ. **ბმა**.

ამ განმარტებათა შემდგომ ცხადდება, რომ სპარსული **შიშე** და კოლხური **შუშა** საერთო შუმერულ-ეგვიტური წიაღიდან მომდინარეობენ. იგივე წყაროდანაა **შუქი**, რომელი მცნებაც კოლხეთს, სპარსეთს გაცდა და ინდური ლექსიკის მკვიდრიცაა.

(M. C.) **Шукра** (др.—инд., ,,светлый“).

(ო. ქ.) **შუქი** 1. შუქი, სხივი; სინათლე; ძალა. 2. ქარგრიგალი, ქარიშხალი.

დააკვირდით ეგვიპტური **შუ**-ს არსის როგორი სრული ცოდნა იკითხება წარმართული კოლხური **შუ**-ს განმარტებებით. ე. ი. ვინაიდან **შუ** „მზით გასხივოსნებული სივრცის ღმერთია, განსახიერებაა **შუქის**, უფრო შუადღის მზისა“ **შუქი** ესაა „სხივი; სინათლე; ძალა“, ხოლო რადგანაც **შუ** ასევე ჰაერია „მტერთა შემმუსვრელია სხივთა შუბით“ – **შუქი** „ქარგრიგალია, ქარიშხალია“. ქარგრიგალი და ქარიშხალი ხომ მხოლოდ და მხოლოდ **შუ**-ს, ჰაერის ძლიერი მოძრაობებია.

ასევე, ვინაიდან **შუ**-თი გამოისახა მზის სხივი, ძალა („შუ განსახიერებაა შუქის, უფრო შუადღის მზისა, მტერთა შემმუსვრელია სხივთა შუბით“) კოლხურში გვაქვს:

(ო. ქ.) **შუბი** სატეხის მსგავსი იარაღია, -- ხმარობენ ხის ამოსატეხად.

(ო. ქ.) **შუფი** შუბი.

(ქ.ე.გ.ლ.) **შუბი** [სპ. **ჩუბ**] ერთგვარი საომარი იარაღი – გრძელ ტარზე დაგებული ლითონის წვეტიანი პირით.

შუქის მცნებასთან დაკავშირებით წარმართულ კოლხურს გააჩნია: **შქირიტუა** || **შკირიტუა**.

წარმართულ კოლხურში ჰარმონიული წყვილების **შქ**-სა და **შკ**-ს ურთიერთშენაცვლების სხვა მაგალითებიც გაგვაჩნია: **შკა** || **შქა**; **შკერი** || **შქერი; შკვითი** || **შქვითი; შკვილი** || **შქვილი; შკიდაფა** || **შქიდაფა; შკირენი** || **შქირენი**...

(ო. ქ.) შკირატუა // შკირიტუა // შქირიტუა ჩაქრობა; შრეტა. შკირტუ[უ](ნ) ქრება.

შეუძლებელია მივხვდეთ რატომ გამოსახავენ **შკირატუა // შკირიტუა // შქირიტუა** მცნებებს ჩაქრობა, შრეტას თუ არ ვიაზრეთ, რომ მსგავსად **ჭგრკგ** > **ჭირკუ-სი შქირტუ** || **შკირტუ**-ს (= ქრებას) საწყისი ფორმებია **შქგრტგ** || **შკგრტგ.**

ე. ი. ნახევრადხმოვანი **გ** ერთმანეთისაგან გამოყოფს ჰარმონიული წყვილების **შქ** || **შკ**-ს და **რტ**-ს შინაარსებს, ანუ **შქგრტგ** || **შკგრტგ** წარმოადგენენ ჰარმონიული წყვილების **შქ** || **შკ**-სა და **რტ**-ს მნიშვნელობებით შედგენილ კომპოზიტებს.

ჩვენ უკვე განხილული მაგალითებიდან ვიცით, რომ ჰარმონიული წყვილი **რტ** (> **რტინა**) ნიშნავს გაქცევას, ხოლო ფორმა **ირტუ** გაიქცა-ს. გავარკვიოთ თუ რა გაიქცა. ამის დასადგენათ გავიხსენოთ, რომ თანხმოვან **შ**-ს ლოგოგრამაა **შუ**, „განსახიერება **შუქის,** უფრო შუადღის მზისა" და უნდა მივხდეთ, რომ ჰარმონიული წყვილი **შქ**, დამხმარე ხმოვნების გარეშე, შეკვეცილი, იგივე **შუქი**-ა, ანუ თავად წარმოადგენს ეგვიპტურ-შუმერულ კომპოზიტს.

შქ = **შ**(უ) + **ქ**(იანა) = **ნათება** + **გარშემო** (ქვეყანა) = **შუქი**.

ამრიგად, შქგრტგ, შქირტუ-ს შინაარსი სრულად „გაშუქდა“.

შქგრტგ = **შქ** + **რტ**(ინა) = **შუქი** + **გაქცევა** = ქრება.

შქირტუ = **შქ** + **ირტუ** = **შუქი** + **გაიქცა** = ჩაქრა.

ჩვენ დავადგინეთ, რომ ის ნიუანსური განსხვავებული ცოდნა რომელიც არსებობს ჰარმონიულ წყვილებს **შქ**-სა და **შკ**-ს შორის სადღეისოდ მივიწყებულია.

აქ შეგვიძლია ერთმანეთს მივულოცოთ, რომ გაგვეხსნა კოლხეთის უდიდესი ტაძრის სახელწოდების – **ოშკი**-ს შინაარსი.

ოშკი – X საუკუნის 50-60-იანი წლების კოლხური ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი სამხრეთ კოლხეთში, ისტორიულ ტაოში.

როგორც სახელწოდებებში ო-პიზა, ო-ჩი (ო ციურო), ო-ტია (ო თბილო პატარავ)... ო-სარგონ (ო-სარგონ -- დიდო მეუფევ), ო-შკი-ში თავსართი **ო** აღმატებულების აღმნიშვნელი თავსართია და:

ო-შკი = ო სასურველი ნათება (მზისა).

ოშკი-ს შინაარსს სრულად ეხმიანება სენაკის რაიონის სოფლის სახელწოდება **ჟიშკი**. ფორმანტი **ჟი** მზის მცნების გამომსახველია და მეგრულში აღნიშნავს ზევით, მაღლა; **ჟინი** = ზეციურს (**ჟინი ღორონთი** = ზეციური, მაღალი ღმერთი).

ე. ი. **ჟიშკი = ჟი + შკი = ზევით, მაღლა სასურველი ნათება** (მზისა).

განსხვავებულ შინაარსს გვთავაზობს გვარი **ოშხელი**. გავიაზროთ რას წარმოგვიდგენს ჰარმონიული წყვილი **შხ**.

ცხელ, მზიან დღეს წარმოიქმნება:

(**ო. ქ.**) **შუხი** 1. დახუთული ჰაერი (მაღალი სიცხის დროს). 2. ცხელი ქარი; ცხელი ჰაერის ძლიერი ტალღა.

შუხი = შუ + ხი = ჰაერი, შუადღის მზის ნათება + **მიწა**(ზე).

გამომდინარე ეგვიპტელი დემიურგის **ხნუმი**-ს არსის ცოდნიდან. წარმართული კოლხურით, თანხმოვანი **ხ**, ბერძნულის მსგავსად (**Chthonios**, ხთონოს = მიწა), მიწის მცნებას გამოსახავს. წარმართულ კოლხურში ოთხი თანხმოვანი **გ, ქ, ყ, ხ** სხვადასხვა ვარიაციებში, საერთო მიწის მცნებას წარმოგვიდგენენ.

თავისთავად გამოიკვეთა ცოდნა, თუ რის საფუძველზე წარმოდგა წარმართულ კოლხურში მცნება **შხა** (= დღე).

შხა = **შ**(უ) + **ხა** = **ჰაერი, შუქი, სული** + **მიწა** = ნათელი, გაშუქებული, გასულიერებული მიწა = დღე და იგულისხმება, რომ – დღის ნათება მიწის, გარემოს გასულიერებაა. კოლხები ათვიცნობიერებდნენ, რომ თავად ჩვენს მაცოცხლებელ დედამიწას არ გააჩნდა ნათების უნარი და დღის შუქი ცის მანათობლებზე იყო დამოკიდებული, მათ გარეშე დედამიწაზე ბნელეთი დაისადგურებდა და ციდან (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) მომდინარე შუქი ასულიერებს ჩვენს გარემოს. ესაა ახსნა იმისა თუ რატომ გვაქვს – **მზის დღე** (ბჟაშხა-კვირა), **მთვარის დღე** (თუთაშხა-ორშაბათი), **მერკურის დღე** (ჯუმაშხა-ოთხშაბათი), **ცის დღე** (ჩაშხა-ხუთშაბათი)...

ვინაიდან მუდამ დღესავით თეთრი, ქათქათა თოვლით არიან დაფარულნი და ღამითაც კი იოლი დასანახნი არიან, ამიტომაც ეწოდათ მესტიის რაიონში მწვერვალსა და მყინვარწვერს – **შხარა**. იგივე ცოდნით წარმოდგა მთის სახელწოდება **შხაფიძგა** გულრიფშის რაიონში, ჩხალთის ქედზე.

გათენების მშვენიერებას მოულოდნელი კუთხით წარმოაჩენს **შხაფალუა.**

(**ო. ქ.**) **შხაფალუა** დანამვა, [მო]შხაპუნება.

(**ო. ქ.**) **ფალუა** აყვავილება; აღმოცენება; გაკვირტვა, გაფურჩქვნა, გახარება; აფოთლება.

შხაფალუა = შხა + ფალუა = დღე + აღმოცენება, გაფურჩქვნა = როცა დილის რიჟრაჟია, ანუ იწყება დღის ნათების აღმოცენება, „გაფურჩქვნა“ – ირგვლივ ნამია. ანუ თვით სახარის უდაბნოშიც სისხამ დილით ნამია და ამ დილის ნამით არსებობენ უდაბნოს მკვიდრნი.

ცხადია, მეგრ. **შხაფალუა** > **შხაფა** > ქართ. **შხეფი**.

თუ დილის რიჟრაჟისას ირგვლივ ნამია, თანდათანობით დღის ნათება სრულად ეუფლება გარემოს და შუადღისას მზის ცხოველმყოფელი სიძლიერე ზენიტს აღწევს. კვლავ გავიხსენოთ შუ-ს სახების ეგვიპტური ხედვა: „შუ განსახიერებაა შუქის, უფრო შუადღის მზისა, მტერთა შემმუსვრელია სხივთა შუბით“.

(ო. ქ.) შხაფა სახელი **იშხანს, ოშხუ** ზმნათა – 1. შესევა; ხვევა. 2. [გა]მძვინვარება, [გა]აფრთება; შფოთი; შხამის ნთხევა. პატენი **იშხანც, იგორაფუ** – ბატონი ანჩხლობს (მძვინვარებს), იგინება. **ჩქიმი გური ინოჭვილი იშხანც** – ჩემი დამწვარი გული მძვინვარებს.

ამრიგად, **შხა** ნიშნავს დღეს, **იშხანს** ნიშნავს ბობოქრობს (აქედანაა ტაძრისა და თევზის სახელწოდება **იშხანი** – ბობოქარი და გვარი **იშხნელი**), ანუ შხა-თი იანგარიშება ნათელი, მზიანი დღე და შესაბამისად ქართულში გვაქვს **მაშხალა** (იგივეა, რაც ჩირაღდანი) ანუ სიბნელეში მზესავით, დღესავით მანათობელი.

ე. ი. **ოშხელი = ო დღე ნათელი.**

მზიანი, ცხელი, **შხა** (მაშხალა) დღეები მწველია, მათი სიჭარბისას მიწა შრება, სკდება, იხეთქება და შესაბამისად წარმართულ კოლხურში გვაქვს **შხალუა**.

(ო. ქ.) შხალუა მიწის ზედაპირის დახეთქვა. დიხაქ დიიშხალუ – მიწა დასკდა.

შხალუა = შხა + ლ + უა = დღე (მზიანი) + სივრცე + მოქმედება = მზიან დღეთა მოქმედების (შედეგად დახეთქილი მიწა, გარემო).

ეს წარმართული ცოდნა ასახულია საბას ლექსიკონში.

(**ს.ს.**) **დიხაშხო** მიწა დახეთქილი.

დიხა მეგრულად მიწას აღნიშნავს და ცხადია წარმართ. **დიხაქ დიიშხალუ** > ქართ. **დიხაშხო.**

ქარი მეგრულადაც **ქარი**-ა და **ქარი + შხალუა = ქარიშხალი** აღნიშნავს ისეთი მოქმედების ქარს, რომლის სიძლიერე გარშემო მიწაზე არსებულ ხეებს, სახლებს... ხეთქავს.

აქ ჩანართის სახით მოგაწვდით მსგავს მაგალითს. ქართულად **თქეში** გულისხმობს ძლიერ, თავსხმა წვიმას და ამას განსაზღვრავს წარმართული **თქვეშუა**-ს შინაარსი, საიდანაც წარმოდგება ქართული მცნება **თქეში**.

(ო. ქ.) თქვაშუა, თქვეშუა – მაგრად (გამეტებით) ცემა, -- **თხლეშა**.

ამ ცოდნის, ამ ხედვის განვითარებაა ქართული **კოხშინშხალი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოხშინშხალი** ქარიშხალი, რომელსაც თან ახლავს სეტყვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოხი** 2. მსხვილი სეტყვა.

მეგრული ენის ლექსიკაში მოქმედებს **კოხშინშხალის** შეკვეცილი ფორმა - **კოხი**.

(**ო. ქ.**) კოხი **ქარიშხალი** (*დ. ფიფია*).

აქვეა ქართული **ოშხივარი** > **ოხშივარი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ოშხივარი** დიდი სიცხით გამოწვეული ბუღი, ორთქლი, ალმური.

შხა-ს შინაარსის განმარტებებს სრულად ესადაგება **შუშავს, შუშდება**-ს, **შუშხი**-ს, **შუშხავს, შუშხუნი**-ს, **შუშხუნა**-ს შინაარსები. ანუ როცა მზიანი წყნარი დღეა, ადამიანი შუშდება, ხოლო სიცხის სიჭარბისას მზე **შუშავს, იშუშხება.**

(ქ.ე.გ.ლ.) მოშუშავს 1. მცირედ მოწვავს ცხიმში (ხახვს, ხორცს, ფქვილს...). 2. მოხალავს, დახალავს. 3. გაახმობს, გადაწვავს, გაახმობს (გვალვა, ცხელი მზე...).

ამ ცოდნით წარმოიქმნა **შრობა** > **შრება** და ვინაიდან უფესვო ხე შრება, მიიღეს **შეშა** > **გაშეშება**... კვლავ გავიხსენოთ წარმართული **შუხი**.

(ო. ქ.) შუხი 1. დახუთული ჰაერი (მაგარი სიცხის დროს). 2. ცხელი ქარი; ცხელი ჰაერის ძლიერი ტალღა.

შუხი = შუ + ხი = ჰაერი + მიწა(ზე).

ამ ცოდნის გაგრძელებაა:

(ქ.ე.გ.ლ.) შუშხი შუშხს მისცემს (საუბ.) – გაუჯავრდება, დატუქსავს, შეახურებს (შდრ. სუსხი).

ცხადია წარმართული **შუშხი** > (**შ** > **ს**) > ქართული **სუსხი**.

(ქ.ე.გ.ლ.) დაშუშხავს 1. დაწვავს (პირს, ენას... ცხარე რამე). 2. იგივეა, რაც დასუსხავს.

ე. ი. **შუშ**-იდან მივიღეთ ორი საპირისპირო მცნება **შუშვა და შუშხვა.**

აქ უკვე უნდა მივხვდეთ, რომ ამ კონტექსტში, **შხა**-დან წარმოდგა **შხამი**, ანუ მწველი, რომელიც არა მარტო ენას, არამედ მთელ სხეულს დაგიწვავს (**გური** > **გურამი; შური** > **შურამი; შხა** > **შხაამი** > **შხამი**). აღსანიშნავია, რომ ლაზურში **შხამი**-ს შეესატყვისება **ჩხამი**, ხოლო წარმართული კოლხურის ცოდნით, ჰარმონიული წყვილი **ჩხ** (<**ჩხანა**) ცხელს, ცეცხლს, ცეცხლოვანს აღნიშნავს და **ჩხამი** იკითხება როგორც – ცეცხლოვანი, ანუ იგივე მწველი. ანუ **შხამა**-ც და **ჩხამა**-ც მზის მცნებას უკავშირდება.

(ქ.ე.გ.ლ.) შუშხუნი 1. [დუღილის პროცესში ჯ.კ.] სითხიდან აირის გამოყოფისას გამოცემული ხმიანობა. 2. იგივეა, რაც შიშხინი.

(ო. ქ.) შხაშხი შაშხი.

(ქ.ე.გ.ლ.) შაშხი დამარილებული და გამხმარი ხორცი (რომელიც ტაფაზე წვისას სასიამოვნოდ შიშხინებს და აქვეა **შაშხანა** ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) შუშხუნა 1. რაც შუშხუნებს ღვინო დუღილში შუშხუნებს.

ამრიგად, ეგვიპტური **შუ** („კავშირი ცისა და მიწისა“) კოლხთა მეტყველებაში გამოსახავს ჰაერს, რომელიც ცასა (ზედასა) და მიწას (ქვედას) შორის იმყოფება, ანუ სამყაროს **შუა** ნაწილია; ამის ცოდნაცაა ასახული ქართულ ლექსიკაში – **შუვა** > **შუა.**

(ი. ა.) **შუა** ღილი: „შექმენ სამშჭუალნი ესე **შუად** აღჯრისა ჰუნისათჯს მეფისა“.

(ი. ა.) **შუვა, შოვა, შუა** «საშოვალ», შორის: „იყო კუალად ნავი იგი **შუვა** ოდენ ზღუასა მას“; -- „იყო ნავი საშოვალ ზღუასა“; „...**შუა** მუცელსა ჩემსა“; „...**შუვა** ქალაქსა“. იხ. დღეშუა; საშუალო.

(ი. ა.) **შუვა** (ზზ.) «შორის»: „წარმოდეგ **შუვა**“, -- „წარმოდეგ აქა შორის“.

(ი. ა.) **შუვა** (თნდ.) «შორის»: „რომელნი იყვნენ **შუვა** მისა, განილტვოდედ“, -- „რომელნი იყვნენე შორის მისა, განილტვოდედ“.

(ი. ა.) **შუვა** წელი: „ძლიერ დასცა **შუვა** ოდენ მისა“.

(ი. ა.) **შუვა** საშუალო: „**შუვანი** იგი არავის სთხოვდეს“.

(ი. ა.) **შუვა, შუა** მხეცის კბილი: „**შუანი** ლომთანი შეფქვნა უფალმან“.

(ი. ა.) **შუვაგი** «ტალავარი»: „**შუვა**გნი მათნი უდაბნოსა ზედა ყუდროდ“; „ვიეთნიმე ტალავრებითა უდაბნოსა დაყუდებულ“.

(ი. ა.) **შუვადღე** შუადღე.

იგივე ცოდნის გათვალისწინებით, მეგრული ზმნისწინები **აშა** და **აშო** გამოსახავენ შუა მოქმედებებს.

(ო. ქ.) აშა- რთული ზმნისწინი (ა-შა; ა- მარტივი ზმნისწინია, - შა- ნაწილაკი) გადმოსცემს მოქმედებას **შუა**ში.

(ო. ქ.) აშო- რთული ზმნისწინი (ა-შო; ა- მარტივი ზმნისწინია, შო- ნაწილაკი) გადმოსცემს მოქმედებას **შუა**ში.

ამრიგად, შუმერულ-ეგვიპტური კოსმოგონიით სამყარო წარმოადგენს მიწის (ქვედას), ჰაერის (შუას) და ცის (ზედას) კავშირს; შესაბამისად, ეგვიპტური **შუ** (ჰაერი) სამყაროს **შუა** ნაწილია; ასევე შესაბამისად, ჩვენს მიერ განხილული ძველი ქართული **შუვა, შუა** გამოხატავენ განზოგადოებულ მცნებებს შუ-ა, სა-**შუა**-ლო, **შუა**-ში, **შ**-ორის... მაგალითად, წელი სხეულის **შუა** ნაწილია; კბილები ქვედა და ზედა ყბებს **შუა** მდებარეობენ; ღილი კილოში, ქსოვილზე ღილის შესაკრავი ჭრილის **შუა** იყრება...

შუვაგი = **შუვა** + **გი**(მე) = **შუა** + **დაბლა** = ტალავერი.

მიწიდან (გი-დან), დაბლიდან (გი-მე-დან) აღმოცენებული ყურძნის ტალავერი (შუვაგი), მსგავსად ეგვიპტური **შუ**-სი, მაღლა, ცასა და მიწას შორისაა განთავსებული. ეს წარმართული ცოდნა ნათლად იკითხება სულხან-საბას ქართულშიც.

(ს. ს.) შუაგი (შუვაგ E) თავის საფარი საჩრდილოდ ZA. თავისაფარი, შუგა B. თავის საფარი ქოხივით(ა) CD. ქოხია თუ მცირე რამ, სადგური რამ, ან დერეფანი... ნ. შუგა.

გამორჩეული ყურადღება მივაპყროთ შემდეგ განმარტებას:

(ი. ა.) შუვა, შუა მხეცის კბილი: „**შუანი** ლომთანი შეფქვნა უფალმან“.

(ს. ს.) შუანი მხეცთა და ძაღლთა მაგარნი დიდი კბილნი.

ე. ი. ძვ. ქართულით **შუანი** ეწოდება ლომის ყბებს **შუა** მოქცეულ კბილს და ასევე ფორმა **შუანი** გახლავთ სვანეთის სახელწოდება.

ეგვიპტური **შუ** (ჰაერი) ფუძეა სვანეთის სახელწოდებისა **შუანი** და სვანეთის სახელწოდება ძველეგვიპტურ სამყაროს შესაქმეს ცოდნიდან მომდინარეობს. ანუ **შუ-ანი** იმიტომ ეწოდა სვანეთს, რომ ბარელ კოლხთაგან განსხვავებით, სვანები მაღლა **შუ**-ში (ჰაერში) სახლობენ. ანუ სვანეთი (**შუ**-ანეთი) **შუ**-სავით ცასა (ნუტსა) და მიწას (გების) შორის გამოკიდებული მხარეა კოლხეთისა. ბოლოსართი -**ანი** როგორც წარმომავლობის, ასევე მხარის აღმნიშვნელი ბოლოსართია (ზ-**ანი**, წ-**ანი**, ჭ-**ანი**, გურჯა-**ანი**, მაჩხა-**ანი**, ტიბა-**ანი**). ე. ი. შუმერული წარმომავლობის -ანი (ცა), როგორც კოლხურ, ასევე სპარსულ მეტყველებაში, გამოსახავს ერთი ცის, ანუ ერთი სივრცის ქვეშ არსებულ მხარეს. მაგალითად **ირანი** სპარსულად აღნიშნავს არიების მხარე-ს. ამრიგად:

შუ + **ანი** = **ჰაერი** + **მხარე** = მაღალი მხარე (მაღლა საცხოვრებელი).

ეს განმარტება გახლავთ მიზეზი იმისა, რომ **შუანი** აღნიშნავს მხოლოდ სვანთა საცხოვრის მხარეს, ხოლო **შუანი**-ს გადაქართულებული ვარიანტი **სუანი** > **სვანი** უკვე ეთნიკურ სახელწოდებად იქცა და რითაც, შესაბამისად, სიტყვის წარმართული მნიშვნელობა იკარგება.

ქართული ლექსიკის მკვიდრია **შუანი**-ს მსგავსი შინაარსის სახელწოდება **შუნი**.

(ქ.ე.გ.ლ.) შუნი დედალი ჯიხვი.

შუნი = **შუ** + **ნი** = **ჰაერი** + **დედა** = ჰაერში (მაღლა მაცხოვრებელი) მდედრი (ჯიხვი).

ეს ცოდნა ასახულია მეგრულ სიტყვებში **ეშულა, იშულა.**

(ო. ქ.) იშულა იგივეა, რაც **ეშულა**, -- ასვლა.

კომპოზიტებში **ეშულა, იშულა**-ში (ი-**შ-ულა** // ე-**შ-ულა**) **ულა** გამოსახავს ზოგადად სვლას, ხოლო თანხმოვანი შ, გამომდინარე ეგვიპტური შუ-ს ბუნების ცოდნიდან, ამ შემთხვევებში მიუთითებს მოძრაობის ზედა მიმართულებას. აქ კვლავ გავიხსენოთ, რომ შუმერული სამყაროს ხედვით **შუ** (ჰაერი) მოიცავდა სივრცეს მიწასა და ცას შორის და ვინაიდან ცა უსასრულოდ მაღლა მდებარეობდა, შესაბამისად **შუ**-ს ზედა ზღვარი დიდ სიმაღლეს აღწევდა, ამდენად ადამიანთათვის **შუ** (ჰაერი) თავისთავად ასევე სიმაღლის მცნებასაც შეიცავდა.

ე. ი. თუ **შუანი** გამორჩეულად მაღლა (მთაში = „ჰაერში“) საცხოვრისია, ასევე ჩლიქოსან ცხოველთა შორის **შუნი** (ჯიხვი) ყველაზე მაღლა (მთაში = „ჰაერში“) მაცხოვრებელია.

ამრიგად, **შუანი** (კბილი), **შუანი** (> სვანეთი), **შუნი** ეგვიპტურ-კოლხური წარმომავლობის, მსგავს შინაარსთა მატარებელი სახელწოდებებია.

შუ, ჰაერი რომ მაღლა სივრცედ აღიქმება, ამას ნათლად გვისურათებს:

(ო. ქ.) შუშელი შიშველი; უტყეო ადგილი მთაში, საქონლის (თხის, ცხვრის) საძოვარი, -- ალპური საძოვრების ზონა.

(ო. ქ.) შელება შეძლება.

შუშელი = **შუ** + **შელ**(ება) = **შუ**(ს) + **შეძლება** = მაღლა უტყეო, შიშველი (< შუშელი) ალპური ზონა **შუ**-ს სამფლობელოა. ე. ი. კოლხეთის დაბლობის გაუვალი ტყეებით დაბურულ გარემოში აღზრდილი კოლხი კაცისთვის უტყეო, მხოლოდ საძოვრებით დაფარული ალპური ზონა სიშიშვლესთან ასოცირდებოდა და შეიქმნა მცნება **შუშელი**. ცხადია: მეგრ. **შუშელი** > ქართ. **შიშველი**. აი ამ ალპური ზონის – **შუშელი**-ს მკვიდრია **შუანი** [= **შუ**-ს (მაღლა) მხარის (მაცხოვრებელი)] და ასევე **შუნი**.

სიმაღლეზე ხშირია ნისლი და რის შედეგადაც გარემო არის:

(ო. ქ.) **შუ** ნამიანი, ნოტიო, სველი; ტენიანი.

მაღალ, თოვლიან მთებში წარმოიქმნება **შვე**.

(ო. ქ.) **შვე** შვავი, ზვავი.

შვე-ს, ზვავის თვისებას განსაზღვრავს თანხმოვან **შ**-ს (**შუ**-ს) ერთ-ერთი წარმართული კოლხური მნიშვნელობა – **სველი**.

შვე > (შ > ს) > სვე > სველი > სი**სველ**ი (თოვლი).

შვე-ს, ზვავის უპირველესი მახასითებელი გახლავთ ის, რომ იგი წარმოადგენს თოვლის მასას და ეს მასა მოძრაობს ზევიდან ქვევით, ანუ ზევიდან ქვევით ეშვება. ასე იცის დარდმაც, როცა გულზე მოგე-**შვე**-ბა.

ე. ი. მეგრ. **შვე** > ქართ. და-**შვება** > **შვება** > **შვე**ბულება > საშველი > **შველა**...

და-**შვება** > დაე-**შვა** > ეშვი > გაუშვა > მიუშვა > **შვა**...

ასევე მეგრ. **შვე** > ქართ. **შვავი** > **ზვავი** და **შუავი** > **შუება**.

(ს. ს.) **თოვლი**... თოვლისა სიმრავლე მთამან ვერ იტვირთა და თოვლი ჩამოიზვლა, არს **შვავი** (**შუავი**); და თუმცა გაზაფხულ შეყინებული ჩამოზვლა, **ზვავად** უწოდებენ.

შუ-ს სამყაროში, მაღალი მთის კალთებზე განფენილი თოვლის მასა (**შვე**), სანამ ის ზვავად იქცევა, არის **შვენიერი**.

(ო. ქ.) **შვენიერი მშვენიერი**.

შვენიერი = **შვე** + **ნიერი** = **შვე** (თოვლის მასა) + **ნაირი** = თოვლის მსგავსი.

ეს ხედვა უკეთაა შემორჩენილი ძველ ქართულში (**შვე** > **შუე**).

(ი. ა.) **შუნ**[ება] მოწონება, რგება: „(საქმე), რომელი არა აშუნდეს"; „მოიძიე ადგილი, რომელი გა**შუნ**დეს". იხ. და**შუნ**ება, მო**შუნ**ება, შე**შუნ**ება.

(ი. ა.) **შუენება** ხდომა, შეფერება; დამ**შვე**ნება.

(ი. ა.) **შუენიერი** «კეთილი», «პატიოსანი», ლამაზი, მშვენიერი.

(ი. ა.) **შუენირება** «სიკეთე», «სილამაზე».

იგივე ხედვით წარმოდგა წარმართული **შვეტე**.

(ო. ქ.) **შვეტე** მაღალი და სწორი. შდრ. საბა: **შვეტი** სწორი, გაუხრელი;

ე. ი. მეგრ. **შვე** > **შვეტე** > ქართ. **შვეტი** > (შ > ს) > **სვეტი**.

ხარისხიანი ღვინო დგება შონური ჯიშის ვაზისაგან.

(ო. ქ.) **შონური** – 1. ბოტან. ვაზის ჯიში; ისხამს შავი ფერის მსხვილ მარცვალს, ღვინო დგება საშუალო ხარისხისა. 2. სვანური. შონური ქუდი სვანური ქუდი.

(ო. ქ.) **შონური უჩა** ბოტ. ვაზის ჯიშია. ნაყოფს ბევრს ისხამს. მარცვალი მწვრილი აქვს, მტევანიც პატარა. ღვინო ძალიან კარგი დგება. **შონურ უჩას ოჯალეშსაც უწოდებენ**.

(**იაკობ გოგებაშვილი** „ბუნების კარი“ გვ. 500): „მთელი სამეგრელო მოფენილია ხშირად ბადესავით გაბმულ-გამობმული ვაზებით, რომელიც ერთი ხიდგან მეორე ხეზედ გადასულია, ან მაღლაა წასული... ამ სერებზედ მოდის განთქმული ოჯალეშის ღვინო, რომელიც სიკეთით კარგს კახურს ღვინოს ძირს არ ჩამოუვარდება. ოჯალეშის ღვინოს აყენებენ ერთ გვარის ყურძნისაგან, რომელსაც მეგრელები „სვანურს“ ეძახიან“.

არავინ არ აკვირდება იმ ფაქტს, რომ თავად სვანეთში ეს ჯიში არაა გავრცელებული, ანუ სვანეთის კლიმატურ პირობებში გამორიცხულია ოჯალეშის დარი

ღვინის დაყენება. მაშ რატომ ეწოდება სამეგრელოს რეგიონის უმთავრესი ჯიშის ვაზს „სვანური"? სახელწოდება **შონური უჩა**-ს შინაარსს განსაზღვრავენ სახელწოდებები **შონი** (< შუანი) და **ოჯალეში.**

ე. ი. ერთი ჯიშის ვაზი ატარებს ორ სახელწოდებას – **ოჯალეში** და **შონური**.

ოჯალეში მეგრულად ნიშნავს **სახეო, ხისთვის**, ანუ იანგარიშება, რომ ვაზის ეს ჯიში მაღლარი ბუნებისაა და ხის ძირში უნდა დაირგოს, რათა ხის მეშვეობით სიმაღლეს მიაღწიოს და მისი ნაყოფი იქ, მაღლა, მზიან და შედარებით დაბალი სინოტივის გარემოში დამწიფდეს. ამის გამო იყო რომ: „მთელი სამეგრელო მოფენილია ხშირად ბადესავით გაბმულ-გამობმული ვაზებით, რომელიც ერთი ხიდგან მეორე ხეზედ გადასულია, ან მაღლაა წასული“.

(ო. ქ.) ონჯალეში მაღლარი.

თუ რატომ ეწოდება ოჯალეშს ასევე შონური, გავიხსენოთ სახელწოდება **შუანი**-ს განმარტება: **შუ** + **ანი** = **ჰაერი** + **მხარე** = მაღალი მხარე (მაღლა მაცხოვრებელი).

სახელწოდება **შუანი**-ს შინაარსი, რომელიც გამოსახავს სიმაღლის მცნებას, მეგრულად გამოითქვა ფორმით **შონი** = **შ**(უ) + **ონი** და გაიხსენეთ რაიონის სახელწოდება **ონი**.

(ო. ქ.) ონი ტოპოსუფიქსი. – გამოხატავს კრებულს; ფუნქციით ქართული ნარ-ის შესატყვისია. აღნიშნავს: ა) ადგილს, სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს: ცხიმურ-ონი (შდრ. ცხიმური) რცხილნარი, ბულ-ონი ბალნარი (შდრ. ბული ბალი); თხუმულ-ონი მურყნარი (შდრ. თხუმუ თხმელა, მურყნარი); ჯალ-ონი ადგილი, სადაც ბევრი ხეა (შდრ. ჯა//ჯალ ხე); ქვერჩხ-ონი ჯაგნარი (შდრ. ქვერჩხი ჯაგი). ბ) ადგილს, სადაც ბევრი ქვა-ქვიშაა (ჩვენს შემთხვევაში ვაზის ნაყოფს **ჯ.კ.**): ქუალ-ონი ქვიანი (შდრ. ქუა//ქუალ ქვა); ქვიშ-ონი ქვიშნარი (შდრ. ქვიშა ქვიშა). შდრ. ლაზ. –ონ-: ჯუმ-ონი მარილიანი.

ჩვენ თუ გავიხსენებთ ეგვიპტელთა წარსულიდან, რომ ათ-**ონი**-ს (მზის) „საკულტო ცენტრი იყო ონი (**ჰელიოპოლისი**)“, აქ უკვე უნდა მივხვდეთ თუ რატომ ეწოდა ონი „ადგილს, სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს“. ე. ი. **ონი** მზის საკულტო ცენტრია, ანუ მზიანი ადგილია და შესაბამისადაც ესაა ადგილი „სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს“. ასევე გაიხსენეთ სახელწოდებები **ონი** (ნათელი, მზიანი), **ხონი** (მზიანი, ნათელი მიწა, მხარე) და გვარი **ონიანი** (მზიანი). ამრიგად:

შონი = **შ**(უ) + **ონი** = **ჰაერი** + **მზიანი ადგილი** = მაღლა მზიანი ადგილი = მაღლარი ანუ „ადგილი, სადაც მცენარე (ოჯალეში) უხვად ხარობს“.

ე. ი. **შონი** სრულად ეგვიპტური მითოლოგიის ცოდნით შედგენილი კომპოზიტია.

მეგრულმა ფორმამ **შონი**-მ შეინარჩუნა **შუანი**-ს საწყისი შინაარსი და **შონური**, ამ კერძო შემთხვევაში, ნიშნავს არა „სვანური“, არამედ – ჰაერში, მზიან სივრცეში გამოკიდებულ, მიწას დაშორებულ მაღლარს, ანუ მიანიშნებს ხის იმ ზედა სიმაღლეს, სადაც მზის ნათება ჭარბობს და ამ ჯიშის ვაზი საუკეთესო ნაყოფს იძლევა. ამგვარად გვარი **შონია** აღნიშნავს არა აუცილებლად სვანს, არამედ უპირველესად მაღალს, სიმაღლეს.

ჩვენს მტკიცებას ეხმიანება ის რეალობა, რომ ფორმა **შო**-დან (**შო** = შუ დაბლა) წარმოდგებიან კოლხური მცნებები **შორი, შორება** (დაშორება), **შორებელი** (შორეული)...

(ო. ქ.) შორი შორი.

(ო. ქ.) შორებელი შორეული, შორებელი.

(ო. ქ.) იშო[1] ზმნზ. იქით.

ასევე გაიხსენთ, რომ როგორც მცნება **ონი** ეგვიპტური მზის ღვთაება **რა**-ს უკავშირდება და მცნება **შორი** (< **შორო**) იგივე ეგვიპტური მზის ღვთაების სახელწოდება **ჰოროსი, ოროსი**-ს შინაარსის ცოდნიდან მომდინარეობს.

(ა. გ.): „**ჰოროსი, ოროსი** (**Horos** ლათ. ჰორუს, ეგვ.-ბერძ. „შორეთი“, ეგვ. ჰრ „ცა“, შორი მიჯნა, ზღვარი)“.

ეგვიპტური ჰოროსი კოლხურში ფორმა **ორო**-თი არის დამკვიდრებული და **შორო** > **შორი**-ს შემთხვევაში მანძილის დაშორებაზე მიგვითითებს.

შორო = **შ** + **ორო** = **ჰაერი (სივრცე)** + **ჰორიზონტი** = მანძილი ჰორიზონტის მიჯნამდე = შორი.

ამრიგად, სახელწოდება **ოჯალეში** გვიხსნის, რომ ამ ჯიშის ვაზი ხის ძირში უნდა დაირგოს, ხოლო სახელწოდება **შონური** მიგვანიშნებს, რომ ზრდის პროცესში ვაზის წვერო დიდად შორდება მიწის ზედაპირს, აღწევს ხის ზედა სიმაღლეს და იქ, კენწეროში (ჰაერში, მზიან სივრცეში) ისხავს („ახარებს“) ნაყოფის საუკეთესო ნაწილს.

ე. ი. ყურძნის სახელწოდება **შონური**-ს ქვეშ უნდა გავიგოთ არა მცნება **სვანური**, არამედ მცნება **მაღლივი** (მაღლური), ხოლო **შონური ქუდი**-ს შემთხვევაში როგორც **სვანური ქუდი**, თუმცა ქუდიც მაღლა, თავზე დასახურია.

თითქოს ქართული **სვანი**-ს გამოთქმაა წარმართული კოლხური **შვანი**, მაგრამ მას სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

(ო. ქ.) **შვანი დრო.**

შვანი = **შ**(უ) + **ვა** + **ნი** = **შუ** + **მოქმედება** + **დედა** = შუს მოქმედება სასურველი.

გავიმეოროთ ჩვენი ცოდნა, რომ შუმერული კოსმოგონიით ჰაერისაგან, ე. ი. ამ შემთხვევაში **შუ**-საგან იყო შექმნილი მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სანამ მექანიკური საათები გაჩნდებოდნენ, კოლხები დროს მზის, მთვარის, ვარსკვლავთა მოძრაობით, ანუ იგივე **შუ**-თი ანგარიშობდნენ.

განვიხილოთ დასვენების გამომსახველი წარმართული კომპოზიტი **შვანჯა**.

(ო. ქ.) **შვანჯა** სვენება.

არსებობს ჩინური ლოგოგრამული კომპოზიტი **ხე** + **ადამიანი** = დასვენება; ანუ ჩინელებმა წარმოგვიდგინეს ხესავით უმოძრაო ადამიანი და ამით დასვენების მცნება გამოსახეს; კოლხმა ქურუმებმა კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს:

შვანჯა = **შვან**(ი) + **ჯა** = **დრო** + **ხე** = დრო + უმოძრაობა = დასვენება.

ე. ი. დრო კი მოქმედებს, მხოლოდ გარშემო უმოქმედობაა, ანუ ხისსავე მსგავსად უმოძრაობაა – [და]სვენებაა.

წარმართულ კოლხურს გააჩნია დასვენების გამოსახვის მეორე ვარიანტიც **შვანდა,** რომელშიც ფორმანტი და მოქმედების დამთავრებას, ამ შემთხვევაში დროის მოქმედების დამთავრებას, დასვენებას ნიშნავს (ქართულშიც: მოვა > მოვი-და; წავა > წავი-და).

შვანდა = **შვან**(ი) + **და** = დრო + მოქმედების დამთავრება.

(ო. ქ.) **შვანდება** სვენება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ქარაშოტი** უცებ ამოვარდნილი ძლიერი ქარი.

ქარაშოტი-ს არქე ფორმაა **ქარაშორტი** (> ქარაშოლტი > ქარაშოტი).

(ო. ქ.) **შორტი** 1. შოლტი.**შორტი** = **შო**(რო) + **რტი**(ნა) = **შორს** + **გაქცევა** = შოლტს რომ მოიქნევ, მისი ბოლო შენგან შორს გარბის; ხოლო ჰაერში ძლიერად მოქნეული შოლტი, ჰაერშივე ტყლაშუნის ხმას გამოსცემს. ამ მნიშვნელობით ეწოდა შოლტივით უეცრად მოვარდნილ ძლიერ ქარს ქარაშო(რ)ტი.

არ გამოგვრჩეს იმის აღნიშვნაც, რომ მიუხედავად აკრძალვისა **შური**, წარმართული კოლხური მნიშვნელობით, საქართველოს (კოლხეთის) ტოპონიმიის მკვიდრია.

დიხა**შური** – მდინარე ოზურგეთის რ-ნში.

დიხაშური = **დი**(ა)**ხა** + **შური** = **მიწა** + **სული** = (მდინარე) მიწის სულია, ანუ წყალი ასულიერებს, აცოცხლებს მიწას. გაიხსენეთ, რომ ენქი, იგივე ენგური, როგორც მიწის, ასევე ღრმა წყალთა და დედამიწის გარემომცველი ოკეანის ღვთაებაცაა; ანუ მიწა და წყალი ერთი სასიცოცხლო არსია.

ხაშური = **ხა** + **შური** = **მიწა** + **სული** = (მდინარე) მიწის სულია.

ხაშურის რაიონი მდიდარია განსხვავებული მინერალური შემადგენლობის წყაროებით.

ხაშრულა – მდინარე თიანეთის რ-ნში.

(ო. ქ.) რულა რბენა, სირბილი, ჭენება.

ხაშრულა = **ხაშ**(ური) + **რულა** = **მიწის სული** + **სირბილი** = მიწის სული (მდინარე) ჩარბის, ჩაედინება.

ხანაშური – მდინარე ლენტეხის რ-ნში.

ხანაშური = **ხანი** + **შური** = **დრო** + **სული** = წყლის მუდმივი დენა იგივე დროის დინებაა და ამდენად მდინარე დრო-ჟამის სულიაო, ანუ დროის მატერიალური გამოსახვაა.

ე. ი. წყალი მიწის სულია და ხაშური-ს, მიწის სულის ცოდნით წარმართულ კოლხურში შეიქმნა მცნება **ხაშუა** (ხარშვა).

ხაშუა = **ხა** + **შ** + **უა** = **მიწა** + **სული** + **მოქმედება** = მიწის სულის მოქმედება, ანუ წყლის ხარშვის დროს წარმოქმნილი ორთქლი მიწის სულის ფიზიკური გამოვლენაა.

(ქ.ე.გ.ლ.) ხაშალი (საუბ.) მჭლე, გამხდარი, ავადმყოფი (ძროხა, ცხვარი, თხა...).

ე. ი. **ხაშირი** > **ხაშალი** ანუ სასიცოცხლო ძალისაგან დაცლილი, გამოხარშული.

(ქ.ე.გ.ლ.) ხაშ (სპ.) 1. წვნიანი კერძი ძროხის ან ცხვრის მოხარშული ფაშვისა (და, აგრეთვე, ჩლიქებისა). 2. დამჟავებული პურის ცომი (შენახული საფუვრად).

ხაშის მომზადებას თან ახლავს ორი რთული პროცესი – 1. სახაშე მასალის რეცხვის დამღლელი პროცესი. 2. ხარშვის ხანგრძლივი დრო. მეგრულად კი ხარშვის პროცესს ეწოდება ხაშუა, ხოლო ნახარშს **ხაშირი, ხაშილი** და აქედან წარმოდგება სახელწოდება **ხაში**. ამრიგად, **ხაში-ლი** > (ლი > 0) > **ხაში**; ანუ **ხაში** წარმოადგენს წმინდა კოლხური მნიშვნელობის სიტყვას და გასარკვევია სპარსულში როგორც სახელწოდება **ხაში**-ს, ასევე თავად კერძის წარმომავლობა, ანუ მოსაძებნია საერთო ძირი წარმომავლობა.

(**ქართ. ფოლკ.** V 16): „**შურის ციხე** – ციხე ხევსურეთში, ს. ბარისახოსთან, რომელიც შიდა ხევსურეთში შესასვლელ ხეობას კეტავდა. იგი ცხრა სართულიანი ყოფილა – უძველესი და აუღებელი. შეუმუსრავს და დაუნგრევია ზურაბ ერისთავს. მასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდები, საინტერესო გადმოცემები და სიმღერები. ციხის კარზე იდგა ალვის ხე, რომლის წვერიც ოქროს ჯაჭვზე იყო მიბმული და ზეციურ ძალებთან დაკავშირებული. ციხის საიდუმლოება გაუცია ღულელ სუმელჯი არიშაულს, ალვის ხე მოუჭრიათ, ოქროს ჯაჭვი გაწყვეტილა და ცაში აკეცილა. ღვთისშვილებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ციხე დაცემულა“.

ცხადზე უცხადესია, რომ როგორც სიმაღლის, ასევე ჰაერში ზეცასთან კავშირის გამო ეწოდა ხევსურთა ციხეს **შურის** ციხე.

აქვე განვიხილოთ ფშაველთა უმთავრესი სალოცავის სახელწოდება **ლაშარი**. იმის გამო, რომ კოლხური მეტყველების გავლენით აბაზათა ენაზე **ალაშარა** ნიშნავს ნათელს და გუდაუთის რაიონში ლაშ-იდან წარმომდგარი ორიოდე ტოპონიმი არსებობს, როგორც წესი, ჩვენმა ენათმეცნიერებმა ეს წმინდა კოლხური სიტყვა ადიღეელ აბაზათა კუთვნილებად გამოგვიცხადეს. თუ საქმე ტოპონიმებზე მიდგება, საქართველოში ლაშ-იდან წარმომდგარ სახელწოდებათა ფოთოლცვენაა. მაგალითად, მხოლოდ ზემო იმერეთში ამ შინაარსიის 200-მდე ტოპონიმია რომლებიც ეწოდებათ სოფლებს,

მინდვრებს, ვენახებს, ფერდობებს, წყაროებს, ღელეებს... – ლაშე, ლაშები, ლაშტყე, ლაშღელე, ლაშისხევი, ლაშისტბა, ლაშეების გორა...

ჩვენ გვახსოვს, რომ **ლაშარი**-ს მეორე შემადგენელი **არი** (= არის) მხოლოდ კოლხური ენის საკუთრებაა – ზან-**არი**, წან-**არი**, გუ-**არი**, კეთილ-**არი** (სოფ. აბაშის რ-ნში), ოდიშ-**არი**, ოპიზ-**არი**, ხოშტ-**არი**(ია)...

ლა შუმერული **ლილ**-ის (ატმოსფეროს) მცნებიდან წარმოდგება და კოლხური წესით ფორმას, სხეულს და ასევე, როგორც **ლაშარი**-ს შემთხვევაში, სივრცის მცნებასაც გამოსახავს – **ლა-ზი** (სივრცე ზანთა), **ლა-ნდი** (სივრცე მწიფე), **ლა-ფარა** (სივრცე დაფარული)...

ლაშარი = **ლა** + **შ** + **არი** = **სივრცე** + **ჰაერი,მზიანი, ნათელი** + **არი** = ნათელი, ჰაეროვანი სივრცე არის = ნათელი – და ამის გამოც ეწოდებათ სოფლებს, მინდვრებს, ვენახებს, ფერდობებს, წყაროებს, ღელეებს... – **ლაშე**, **ლაშები**, **ლაშტყე**, **ლაშღელე**, **ლაშისხევი**, **ლაშისტბა**, **ლაშეების** გორა... სახელი **ლაშა** და ამჯერად უმთავრესი – **ლაშარის გორა**, და შესაბამისად, **ლაშარის** ჯვარი.

იგივე შინაარსს წარმოგვიდგენენ გვარები **ლაშხი, ლაშხია, მოლაშხია.**

ლაშხი = **ლაშ** + **ხი** = **ნათელი, მზიანი მიწა.**

გარკვეული იუმორი დაკრავს სიტყვას **ლაშხალუშხი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ლაშხალუშხი კუთხ. (ლეჩხ.) „დიდი ნაბიჯით სიარული“.

აქ იგულისხმება გადადგმულ დიდ ნაბიჯებს შორის არსებული შედარებით დიდი სივრცე.

ფორმა **ლაშ,** რომ ნათელთან, მზის მცნებასთან იგივდებოდა, გვიდასტურებს ასევე მ-**ლაშ**-ე, ანუ მარილის, **მლაშეს** მცნება მზის მცნებას უკავშირდება როგორც ქართულში, ასევე ინგლისურში, რუსულში... ვინაიდან მარილი მზის მოქმედების შედეგად, მლაშე წყლის აორთქლების შედეგად წარმოქმნილი პროდუქტია.

marilh [მარილე} – **тлеющие уголья, жар.**

ე. ი ბერძნულში მარილე მზის ერთ-ერთი სახელწოდებაა და აქედან ქართულში წარმოდგა **მარილი**. Sol ლათინურად აღნიშნავს მზეს და აქედან ინგლისურში **solar salt** (ზღვის მარილი), რუსული **Соль** (მარილი)...

რაც შეეხება **ლაში**-ს:

(ქ.ე.გ.ლ.) ლაში ზოგიერთი ცხოველის (ცხენის, მგლის, ძაღლის...) ტუჩი. || გადატ. დიდი (და უშნო) ტუჩი (ადამიანისა).

(ქ.ე.გ.ლ.) ალაშა თამამი საქციელისა და ენადაუმაგრებელი ქალი.

ლაში = **ლა** + **ში** = **სივრცე, ფორმა** + **ჰაერი** = [მეტყველებისას] ჰაერის (სამოძრაო) სივრცე, ფორმა.

აქაც იგივე ეგვიპტურის ცოდნაა, ვინაიდან ტუჩებით ვარეგულირებთ პირის ღრუდან ჰაერის მეშვეობით გამოცემულ ხმებს, ანუ ცხენის ხვიხვინისას, მგლის ყმუილისას, ადამიანის მეტყველებისას, ტუჩებს შუა მოძრაობს ჰაერი და თუ ზედმეტი მოგდით, ხდებით **ალაშა** (ენადაუმაგრებელი, ანუ ყბედი).

ამრიგად, ჩვენს მიერ ახსნილი სახელწოდება **შუანი**-ს შინაარსი გვიხსნის, რომ სვანეთი მაღლა („ჰაერში") მდებარეობს, ანუ ევროპაში ერთერთი მაღლა მდებარე სოფელიც – **უშგული** სვანეთშიაო, ანუ იგივე შუმერული **დურ-ან-ქია** („კავშირი ცისა და მიწის"). იგივე ცოდნას ატარებს მწვერვალის სახელწოდება **უშბა**. ანუ **უშბა** ეგვიპტურ ღვთაება **შუ**-სავით ცასა და მიწას შუა აღმართული მწვერვალია.

სვანები (**შუანები**) ეს მაღლა მთაში დამკვიდრებული კოლხები არიან და ამიტომაც გაჩნდა მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ბერძნულ-რომაული მცნება სვანო-კოლხები (SVANNUCOLCHI), იგივე ჰაიკური **ეგერ-სვანები**. სვანურ მეტყველებაშია შემორჩენილი

ჩვენი წინარე კოლხური ენის არქე ფენა, რომელსაც ჯეროვნად მხოლოდ ქურუმთა მიერ ხელოვნურად შექმნილი წარმართული კოლხური ენის სრული აღქმის შემდგომ შევიცნობთ. აი ამ ცოდნის ნაწილს შეიცავს რუსეთის КГБ-ეს ჯურღმულებში დაპატიმრებული საქართველოს ისტორიის წიგნი, რომლის მიხედვითაც ბარში დასახლებულ კოლხებს მეგრელები ეწოდათ, ხოლო მთაში ასულებს შუანები.

ხაზი უნდა გაესვას იმ რეალობას, რომ თუ ოდიშელები და ადიღეელი აბაზები სვანეთის სახელწოდებას **შუანი** გამოთქვამენ ანალოგიურად, ბგერა შ-ს გამოყენებით – შონი (ოდიშურად), ა-შანუა (აბაზურად), ქართული ენა, შექმნილი სამხრეთ სამეგრელოში, ჭოროხის ხეობაში, ბერძნული ენის გამოცდილების გათვალისწინებით, სვანეთის სახელწოდებას გამოსახავს ბერძნულ-ლათინური **Coanec**-ს (სოანეს) გავლენით -- **სუანი** (ძველი ქართ.) და **სვანი** (ახალი ქართ.) და სახელწოდება **სუანი** > **სვანი**-ს ენიჭება ეთნიკური მნიშვნელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულში უნდა გვქონოდა **შუანი** და **შვანი**. დააკვირდით მნიშვნელოვან დეტალს – ბერძნებმა ლექსიკაში ბგერა **შ**-ს არარსებობის გამო გამოთქვეს კოლხური **შუანი** ფორმით **სუანი**, ხოლო ქართულს გააჩნია თანხმოვანი **შ** მაგრამ, ქართულად კოლხური სახელწოდება **შუანი** მაინც ბერძნული ფორმით – (ძვ. ქართ.) **სუანი** > **სვანი** გამოითქმის. ეს იმის ფონზე, როცა შუმერულ-ბაბილონურ-ებრაულ **შაბბათ**-ს რომანული ენები გამოთქვამენ ფორმით **საბბათ**, ხოლო ჩვენ ორიგინალი ფორმით **შაბათი** და არც ფორმა **შუანი** იყო ქართულისთვის მიუღებელი.

წარმართულ კოლხურ მეტყველებაში ეგვიპტური **შუ**-ს უძლიერესი გავლენის წასაშლელად, ქრიტეანული კოლხური (ქართული) ენის შემქნელებმა დედამიწის ატმოსფეროს აღსანიშნავად დაამტკიცეს ბერძნული წარმომავლობის სიტყვა – **ჰაერი** და ასევე მოგვიანებით ქართულში დამკვიდრდა არაბული¬¬ -- **ჰავა**. დამატებით აღიქვით, რომ თუ კოლხურ მეტყველებაში ეგვიპტური **შუ**-ს ცოდნით წარმომდგარ სიტყვათა, ცნებათა კოკისპირული წვიმაა, კოლხთა მეტყველებაში არ არსებობს ბერძნული **ჰაერი**-დან, ან არაბული **ჰავა**-დან ნაწარმოები თუნდაც ერთი ძირძველი სიტყვა.

და ბოლოს: -- გაიხსენეთ დღევანდელ საქართველოში პოპულარული ფრანგული ნამცხვრის სახელწოდება **შუ**. ნამცხვრის ცომის ცხობისას წარმოიქმნება მრგვლოვანი ფორმა რომელშიც სიცარელეა, ანუ ჰაერია, შემდგომ არსებულ სიცარიელეს კრემით ავსებენ, მოაყრიან შაქრის ფხვნილს და ნამცხვარიც მზადაა. ზუსტად ცომის ცხობის შედეგად ნამცხვარში წარმოქმნილი სიცარიელის, ანუ ჰაერის, ანუ **შუ**-ს გამოც ეწოდა ნამცხვარს ეგვიპტური სახელწოდება **შუ**. ამის საფუძველი ის გახლავთ, რომ მივიწყებული ეგვიპტური დამწერლობის საიდუმლოება ფრანგი შამპოლიონის მიერ იქნა ახსნილი და ძველი ეგვიპტური კულტურა საკმაოდ პოპულარულ თემას წარმოადგენდა ევროპაში, როგორც ადრე კოლხეთში.

აქვე, მომავალი ცოდნის გათვალიწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ თუ კოლხეთის მთიან მხარეს **შუ-ანი** ეწოდა, ზღვისპირა კოლხეთის დაბლობს **ზ-ანი**, მის მაცხოვრებლებს **ზანები** (სვანურად **ზანარი**) ეწოდებოდათ, ვინაიდან უძველეს ენათა ოჯახში თანხმოვანი **ზ** წყლის მცნებასაც გამოსახავდა (იხ. **არზანიგი**-ს განმარტება). **ზანი**-დან წარმოდგება პირველად რომაელთაგან დაფიქსირებული კოლხთა ერთ-ერთი სახელწოდება **ლაზი**.

ენლილი

(**სემიუელ კრამერი** 105): „[შუმერული მითოლოგიით] დედამიწასა და ცას შორის მდებარეობდა მესამე ელემენტი – „ლილ“. ეს სიტყვა (დაახლოებით) ნიშნავს ქარს (ჰაერს, ნიავს, სულს). მისი დამახასიათებელი ნიშანი, ალბათ, მოძრაობა იყო, და, ამავე დროს, უნარი სივრცის ამოვსებისა. ეს სივრცე დაახლოებით დღევანდელ ჩვენს „ატმოსფეროს“ შეესაბამება. მზე, მთვარე, პლანეტები და ვარსკვლავები იმავე ნივთიერებისგან იყო შექმნილი, რისგანაც ატმოსფერო, ოღონდ მათ ნათებაც შეეძლოთ“.

ენლილი = **ენ** + **ლილი** = **ღვთაება** + **ლილი** = **ღვთაება** + **ჰაერი** = ჰაერის ღვთაება.

კოლხმა ქურუმებმა, კოლხური მეტყველების სრულყოფისათვის, ეგვიპტური ღვთაება **შუ**-ს (ჰაერი-ს) მსგავსად, ასევე გამოიყენეს იგივე შინაარსისა და რანგის შუმერი ღვთაება **ლილი**-ს (ჰაერი-ს) სახება, მხოლოდ **შუ**-საგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები მიანიჭეს და მოვიძიოთ, თუ როგორ უხვადაა მიმოფანტული ეს ცოდნა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ლორი** – ღორის ხორცი, დამარილებული და ბოლში გამოყვანილი.

სახელწოდება **ლორი**, ამ მნიშვნელობით, მივიწყებულია თანამედროვე ოდიშურ მეტყველებაში და ეს წმინდა მეგრული სიტყვა, აღნიშნული მნიშვნელობით, არცაა შესული მეგრულ-ქართული ენის ლექსიკონში. **ლორი**-ს ფუძეა მეგრ. **ლოლი**-ს შინაარსი.

(**ო. ქ.**) **ლოლი** ბოლი.

(**ო. ქ.**) **ლოლუა** ოდნავ შებოლვა.

(**ო. ქ.**) **ლოლირი** შებოლილი,

ლორი-ს სიკეთე იმაშია, რომ იგი ბოლშია გამოყვანილი, ანუ შებოლილია, ხოლო **შებო-ლილი** მეგრულად გამოითქმის როგორც **ლოლირი** და შესაბამისად:

ლოლირი = **ლოლ**(ი) + **ირი** = **ბოლი** + **მუდამ** = შებოლილი.

ლოლირი > (ლი > 0) > **ლორი**; გაიხსენეთ: **ხაშილი** > (ლი > 0) > **ხაში**.

კოლხური **ლოლი** წარმოადგენს შუმერული **ლილი**-ს (= ჰაერის) ცოდნის შედეგს. ე. ი შუმერული მითოლოგიით **ლილი** არის ჰაერი, ხოლო ჰაერის მატერიალური გამოსახვა შეუძლებელია; აი ხილული ბოლი (|| **ლოლი**) კი თავისი უწონადობით, არამდგრადი ფორმით, მსგავსად ორთქლისა, ჰაერის გაცხადებაა, მისი მატერიალური გამოსახვაა და ამიტომაც უწოდეს კოლხმა მამებმა ბოლს **ლოლი**. თანხმოვნის მარჯვნივ ხმოვანი **ო** წარმართულ კოლხურში მუდამ დაბლითა მიმართულებაზე მიგვითითებს და **ლოლი**-ში ხმოვანი **ო**, ზოგადად, ჰაერის მცნებისაგან, ან იგივე ჰაერში მცურავი ღრუბლებისგან განსხვავებით, ბოლის მიწიერ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

იგივე აზროვნებიდან მომდინარეობს ქართული **ლოლუა**.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ლოლუა** შენობის სახურავზე, ხის ტოტებზე და სხვ. წარმოქმნილი გრძელი წვეტიანი ყინული. ყინულის ლოლუები.

თოვლი ზევიდან, ჰაერიდან, **ლილი**-დან ეფინება სახურავებს, ხის ტოტებს... და შესაბამისად, თოვლის დნობის (**ლოლ**-უა-ს) შედეგად მაღლა ჰაერში წარმოქმნილი გრძელი წვეტიანი ყინულის ფორმები იგივე **ლილი**-ს მოქმედებაა. ამ თემის გაგრძელებაა **ლილო**.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ლილო** ალაგ-ალაგ გამდნარი თოვლი.

ე. ი. **ლოლუა** (= **ლოლ**(ი) + **უა** = ლილის (დაბლა) მოქმედება) წარმართული კოლხური სიტყვაა და ბოლის შემთხვევაში გვიხსნის, რომ **ბოლი** ეს მიწის ზედაპირზე **ლილი**-ს მატერიალური გაცხადებაა და თოვლის დნობის შედეგად წარმოქმნილი გრძელი წვეტიანი ყინულის ფორმა, ესეც **ლილი**-ს მიწიერი **ლოლუა** და **ლილო** მოქმედებებია.

უძველეს ენებზე საუბრისას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვათა შინაარსს თანხმოვნები განსაზღვრავენ, ხოლო ხმოვნები დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ.

როცა ჰაერი (ლილი) მზით არის გათანგული, მაშინ წარმოიქმნება **ლული**.

(ქ.ე.გ.ლ.) ლული[1] სიცხის ლული – დიდი სიცხე.

(ო. ქ.) ლური ძილი... **ლური ჭიჭე ღურუ რენია**: ძილი პატარა სიკვდილიაო.

ლური-ს მსგავს შემთხვევებში ბოლოსართი **ური** პასუხობს კითხვას – სადაური? = სად მოძრავი, სად არსებული? -- ხევსური = ხევში მოძრავი, ხევში არსებული || ინდაური = ინდოეთში არსებული.

ე. ი. **ლური = ლ + ური** = ლ-ში (ლილ-ში) არსებული = ძილის დროს ადამიანი ლ-ში, ატმოსფეროში, ცაში იმყოფებაო.

მეგრ. **ლური**-დან შეიქმნა ქართული **რული**. ეს რომ ასეა გვიმტკიცებს **ლული**[2].

(ქ.ე.გ.ლ.) ლული[2] იგივეა, რაც რული (მსუბუქი ძილი).

აზრობრივად ვღებულობთ **ლული > ლური > რული.**

წარმართული **ლური** ფუძეა ქართული სიტყვებისა: გაი-**ლურ**-სა, გა-**ლურ**-სული, **ლურ**-სავს, **ლურ**-სვა...

ამრიგად, შუმერული **ლილი** კოლხური თანხმოვნის **ლ**-ს ლოგოგრამას წარმოადგენს. **ლილი** ეს ატმოსფეროა, ანუ სირბილეა მისი არსი და ამის გამოა, რომ ოდიშელები (და არა მარტო ოდიშელები) თანხმოვან **ლ**-ს რბილად გამოსთქვამენ, ანუ ამით ხაზი ესმება **ლილ**-ის (ატმოსფეროს) ჩვილ ბუნებას.

(ო. ქ.) ლილუ ჩვილი.

(ო. ქ.) ლელი ნორჩი (რბილი).

ე. ი. მეგრ. **ლელი** > ქართ. **ლელიანი** და სახელი **ლელა**.

(ს. ს.) ლილია ჩჩვილთ მიერ ლამაზი (ასევე სპარსულად, რუსულად... ჯ.კ.).

მცნება **ლილია** განზოგადდა და მივიღეთ:

(ქ.ე.გ.ლ.) ლილია კუთხ. (მთიულ.) „ბავშვის რაიმე სათამაშო“.

(ო. ქ.) ლიბუ რბილი.

მეგრ. **ლიბუ** > ქართ. **ლბობა** ანუ დარბილება.

შევადაროთ ერთმანეთს ფუძე **პობა**-თი შედგენილი სიტყვები: ს+**პობა**, და+**პობა**, **ლ+პობა** ე. ი. ,,**ლპობა**" ნიშნავს რომ საგანი რბილად ისპობა, ნადგურდება -- ,,ხილი დალპა", ანუ სიტყვაში **ლპობა**, თანხმოვანი **ლ** განსაზღვრავს მოქმედების რბილ ბუნებას. ასევე მოქმედების, მატერიის რბილ ხასიათს წარმოგვიდგენს თანხმოვანი **ლ** სიტყვებში **ლამი** (< ლიამი), **ლაფი**, (ძვ.) **ლბილი, ლეიბი, ლეკვი, ლელქაში, ლენჭყი, ლეჟერი, ლერწი, ლერწამი, ლექი, ლეღი, ლეღვი, ლეღმა, ლეყეპო, ლეში, ლეშურა, ლეშხი, ლეჩაქი, ლეწვა, ლიბრი, ლივლივი, ლიკლიკებს, ლიპი, ლიჟღი, ლისი, ლიქნა, ლიცლიცი, ლიჭყი, ლობიო, ლოპო, ლოპრი, ლორთქო, ლორწო, ლოფლოფი, ლოყა, ლოხი, ლურთი, ლღობა, ლხვება, ლხობა, სილა, ტლაპო (< ტლიაპო), ტყლაპი, ღლაპი...**

ლეღვი = ლე + ღვი.

(ო. ქ.) ღვიღვა... იგივეა, რაც ღვიღვალი... მსუქანი, პუტკუნა.

ე. ი. მეგრ. **ღვიღვა** > ქართ. **ღვივის** (მსუქნობს, პუტკუნდება, ძლიერდება).

ამრიგად, **ლეღვი = ლე + ღვი = რბილი + პუტკუნა.**

ამ ცოდნით ქართულში მივიღეთ **ლეღი, ლეღმა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ლეღი თოვლის დნობა.

(ქ.ე.გ.ლ.) ლეღმა ყინული ან შეყინული თოვლი, რომელიც დნობას იწყებს. ლეღმა დაჰკრავს დათბება და თოვლი დნობას იწყებს. გორშიც გვარიანადდადო თოვლი მაგრამ მალე დაჰკრა ლეღმა და დაჭყაპდა («ივერია»).

(ო. ქ.) ლადირი ნედლი.

ამ ტერმინის მნიშვნელობის სრულად აღსაქმელად გავიხსენოთ გვარი:

ლადარია = ლა + დარ(ი) + **ია** = ატმოსფეროს (ჰაერის მსგავსი სირბილის) + დარი + პატარა.

ე. ი. **ლადარი** აღნიშნავს **ლ**-ს, **ლილი**-ს დარ სირბილეს და მაშინ:

ლადირი = ლად(არი) + **ირი** = რბილი მუდამ და რითაც გამოსახეს კიდეც საგნის ნედლი ანუ რბილი მდგომარეობა.

ლია = ლ + ია = ლილ (ატმოსფერო) + **წარმონაქმნი** = რბილი (ლიბუ > ლია).

სახელწოდება **ლია**-ს ეტიმოლოგიური შინაარსი გვიხსნის, რომ **ლია** (ლამი) თავისი რბილი ფიზიკური მდგომარეობით უჩვილესი შუმერული **ლილ**-ის, ანუ ატმოსფეროს მსგავსად რბილი და ხელშეუვლებიაო. ამრიგად ლამი წარმართული კოლხური განსაზღვრებაა, ანუ მდინარე ლიახვი-ს შემთხვევაში განსაზღვრავს მდინარეში ლია-ს, ლამი-ს ჭარბ შემცველობას.

ლაფი = ლ(ი)**ა + ფი**(ნა) = **ლია + ფენა** = ლამი [გან]ფენილი (მიწაზე).

ლებია = ლე + ბ + ია = რბილი + მცირე + პატარა.

ლექი = ლე + ქი = რბილი + მიწა (მასა).

ჰაერის მასის (ცის) სილურჯის გამო – **ლილა** ქართულში, სპარსულსა და სხვა ენებში აღნიშნავს ლურჯი ფერის საღებავს.

(ო. ქ.) ლილა 1. ლილა. 2. ძალიამ წმინდა. ლილა ქვირი – წმინდა ფქვილი.

ე. ი. განსხვავებით სპარსულისაგან, მეგრულში გარდა იმისა, რომ ჰაერის, ცის სილურჯის გამო ეწოდა ლურჯი ფერის მინერალურ საღებავს **ლილი**, იგივე **ლილი**-ს, ჰაერის გამჭვირვალე ბუნების გამო წარმართულ კოლხურში **ლილი** გამოსახავს ასევე მცნებას – ძალიან წმინდა. ჩვენ იგივე აზროვნებას წავაწყდით როცა დავაფიქსირეთ შუ-ს (ჰაერის) შინაარსიდან შუმი-ს (წმინდას) წარმოქმნა.

იგივე ლილ განსაზღვრავს ლურჯი-ს შინაარსს.

ლურჯი = ლ + ურ(ი) + **ჯი = ლილი + არსებული + დაბლა.**

(ო. ქ.) ლენი 1. ლურჯი. 2. ლაინი.

(ქ.ე.გ.ლ.) ლაინი (ძვ.) შინ ნაქსოვი ბამბის თხელი ქსოვილი, ჩვეულებრივ მუქ ლურჯად შეღებილი.

(ქ.ე.გ.ლ.) ლაყე 1. გაფუჭებული, აყროლებული (კვერცხი). 2. გადატანით (საუბ.) მოუხერხებელი, დონდლო, უფხო (ადამიანი).

(ქ.ე.გ.ლ.) ლაფანი 1. საშუალო სიმაღლის ხე კაკლისებრთა ოჯახისა. აქვს რბილი და მსუბუქი მერქანი: იზრდება მდინარის ნაპირებზე. 2. ცაცხვის და ზოგი სხვა ფოთლოვანი მცენარის ქერქქვეშა ბოჭკოვანი ნაწილი. 3. ზოგი მცენარის (სელის, კანაფის...) ბოჭკოვანი ქსოვილი, რომლისგანაც ნართს ამზადებენ. ლაფნის თოკი; ლაფანივით მოშვებული – ძალზე მოშვებული, ძალღონეგამოლეული, მოდუნებული

ვინაიდან ლილი მოძრავი ჰაერია, ქარია, თანხმოვან **ლ**-თი გამოისახება მოძრაობა **(ული, ულა, ოლე...)**; ლილ სივრცეს წარმოადგენს და ლ-თი აღინიშნება ასევე სივრცე [**ლა-ფარა** = სივრცე დაფარული...]. ლილი-საგანაა შექმნილი მზე, ვარსკვლავები და თანხმოვანი ლ ასევე ფორმას, საგანს გამოსახავს...

ფორმასთან დაკავშირებით განვიხილოთ თუ სადღეისოდ როგორი შინაარსითაა დამკვიდრებული ოდიშელთა მეტყველებაში სახელწოდება **ლორი**.

(ო. ქ.) ლორი ნაპობი ფიცარი, ფართო და სქელი.

ამ შემთხვევაში, თანხმოვანი **ლ** გამოსახავს ფართს, კერძოდ ფიცრის სიფართოვეს, ხოლო ფორმანტო **ლო** ფართს დაბლა (მიწაზე, მიწისკენ). **ლო** იგივე მნიშვნელობებს განსაზღვრავს სიტყვებში: კა-**ლო**, **ლო**-გინი, ჭი-**ლო**-ფი...

კალო = კა + ლო = სასურველი + დაბლა.

ლოგინი = **ლო** + **გი**(მე) + **ნი** = **ფართი** (ქვევით) + **დაბლა** (მიწაზე) + **სასურველი**.

ჭილოფი = **ჭი**(ჭე) + **ლო** + **ფი**(ნაფა) = **მცირე** + **ფართი** (დაბლა) + [გა]**ფენილი**.

საქართველოს ისტორიული მხარის სახელწოდება **ლორე**-ში, ფორმანტი **ლო** უკვე სივრცეს, დაბლითა მიმართულების სივრცეს აღნიშნავს და მიგვანიშნებს, რომ **ლორე**, გამომდინარე ჩრდილოეთით კავკასიის ქედის სიმაღლიდან, საქართველოს დაბლითა სივრცე, სამხრეთი მხარეა.

ლილ-ის სივრცობრივი ბუნების გათვალისწინებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თანმოვან **ლ**-ს მცნებათა გამოსახვის ერთ-ერთი გამორჩეულად ვრცელი პალიტრაც გააჩნია და რომლის გამოვლენის მრავალფეროვნებასაც თანდათანობით, შემდგომი კვლევისას გავეცნობით..

ამრიგად, კოლხმა ქურუმებმა, კოლხური ენის შექმნისას, გამოიყენეს როგორც შუმერული (**ლილი**-ს), ასევე ეგვიპტური (**შუ**-ს) ჰაერის მცნების გამოსახვის გამოცდილება, მხოლოდ მათ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობები მიანიჭეს. **შუ**-თი გამოისახა თავად ჰაერი როგორც სასუნთქი აუცილებლობა, ჰაერის გამჭვირვალე ბუნება, ქარის სახით ჰაერის მოძრავი ბუნება, მზის სხივის გამტარიანობა, შუქი... ხოლო **ლილი**-თ გამოისახა ჰაერის ჩვილი, რბილი, ლურჯი ბუნება, სივრცე, ძირითადი მოძრაობები, ფორმა (ვინაიდან შუმერული ცოდნით მზე, მთვარე, ვარსვლავები, ანუ ციური სხეულები, ფორმები ჰაერისაგან, ლილი-საგან არიან შემდგარნი)...

ქიყვანა > ქვეყანა

კოლხური მეტყველების ავტონომიური მსოფლმხედველობის გამოვლენის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სახელწოდება **ქიყვანა**-ს შინაარსი, რომლის სრული ფორმაა **ქი-ყვა-ან**(ა). ე. ი. კოლხებმა კოსმოსის შუმერულ მცნება **ქი-ან**-აში ჩასვეს არაშუმერული მცნება **ყვა**, არც შუმერებსა და არც ეგვიპტელებს თანხმოვანი **ყ** არ გააჩნდათ.

გავერკვეთ კოლხური მცნების – **ყვა**-ს არსში.

(**ზურაბ ჭუმბურიძე** 298): „რაც შეეხება **ყვა**-ს, იგი გვხდება რამდენიმე ქართულ გვარში: რო-**ყვა**, ინგორო-**ყვა**, ღელე-**ყვა**, ბობო-**ყვა**-ძე... მეცნიერები **ყვა**-ს უკავშირებენ ჩერქეზულ-ადიღეურ ენებს, სადაც ეს სუფიქსი ძალზე გავრცელებულია გვარების საწარმოებლად. იმავე ენებს უკავშირდება აგრეთვე **ქვა** (ქუა), რომელიც დაცულია ძე დაბოლოების წინ ორიოდე ქართულ გვარში: ბოლ-ქვა-ძე, თალა-ქვა-ძე (თალაკვაძე), სალუ-ქვა-ძე“.

(ზურაბ ჭუმბურიძე 424): „**აჭყვა**. სოფლის სახელი **აჭი** მოხსენიებულია ამ სოფლის ეკლესიის წარწერაში, რომელსაც XII—XIV საუკუნეებით ათარიღებენ. ამ სოფელს ჩამოუდის ორი მდინარე – აჭარის წყალი და **აჭყვა**. პირველის ეტიმოლოგია ნათელია და განმარტებას არ მოითხოვს. როგორც ირკვევა, ზუსტად ასეთივე მნიშვნელობის მქონეა მეორე მდინარის სახელიც – **აჭყვა**, ოღონდ აქ წყალი-ს მაგიერ გვაქვს **ყვა**, რაც „ღელეს", „ხევს", „ხეობას" ნიშნავს ჩერქეზულად. იგივე **ყვა** გამოიყოფა აჭარა-გურიისა და აფხაზეთის მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა: მალთა**ყვა**, აგიდა**ყვა**, ბერე**ყვა**, აბჟა**ყვა**, ჯურ**ყვ**ეთი, ბობ**ოყ**ვათი და სხვანი. ამის მიხედვით მეცნიერები ვარაუდობენ, -- შესაძლოა ამ კუთხეებში ერთ დროს რომელიმე ჩერქეზული ტომი

ცხოვრობდაო. **აჭი** ჰქვია მეორე სოფელსაც, რომელიც ოზურგეთის რაიონს ეკუთვნის, ხოლო დუშეთის რაიონში არის სოფელი **აჭე**".

ზურაბ ჭუმბურიძე მართებულად შენიშნავს ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ადიღეელებზე გაჩუქებულ კოლხურ **ყვა**-სა და **ქვა**-ს (< მეგრ. **ქუა**-ს) ერთბუნებოვნებას. ჩვენ შუმერულმა კულტურამ გვამცნო, რომ თანხმოვანი **ქ** მიწის მცნებას ასახავს და **ქვა** = **ქ** + **ვა** = **მიწიერი წარმონაქმნი**. თუ მივაკითხავთ ურარტულ კულტურას, შევიტყობთ, რომ ურარტულად **ყირა** ასევე მიწაა.

გაიხსენეთ ქართული თავდა**ყირა**, ანუ თავით მიწისკენ.

ასევე ურარტული მიწის მცნებას გამოსახავს **აყირო** – ქვევრიდან, ანუ გადატანით, მიწიდან ღვინის ამოსაღები გრძელყელიანი გოგრის ჭურჭელი).

ყირა = **ყ** + **ირა**. გაიხსენეთ, რომ ურარტუს ტერიტორიულ სიახლოვეს **ირა**-დან წარმოდგა სახელწოდება **ირანი**. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ნათელია, რომ კომპოზიტში **ყირა** თანხმოვანი **ყ** მიწის მცნებას გამოსახავს;

ჩვენ ეს მაგალითი დამოწმებისთვის მოვიხმეთ, თორემ კოლხური კულტურა ბევრად ადრე ჩამოყალიბდა ვიდრე წარმოიქმნა ურარტული გაერთიანება.

თანხმოვანი **ყ** რომ მიწის მცნებას წარმოგვიდგენს, გვიმტკიცებს კოლხური ტერმინი **უყი**.

(ო. ქ.) **ურყი** იგივეა, რაც **უყი** – ყამირი მიწა; გაუტეხელი (ადგილი)

ურყი-ს აზროვნებას განსაზღვრავს წარმართული კოლხური ჰარმონიული წყვილის **რყ**-ს შინაარსი.

რყ = **რ** + **ყ** = **მოძრაობა** + **მიწა**. ე. ი. ჰარმონიული წყვილი **რყ** მიწიერ მოძრაობას გამოსახავს და შესაბამისად **ურყი** (უმოძრაო მიწა // დაუმუშავებელი) ყამირი მიწაა, ის გუთნით გაუტეხელია, არ ამოძრავებულა.

ხოლო როცა მიწა მოძრაობს, მიწისძვრაა, მაშინ ადგილი აქვს **რყება**-ს.

რყება = **რ** + **ყ** + **ება** = **მოძრაობა** + **მიწა** + **მოქმედება** = მიწის, მიწიერ მოძრაობათა მოქმედება.

(ო. ქ.) **რყება** 1. **რყევა**. ყუდე ირყებუ სახლი ირყ . 3. მოქცევა. ურყებუ ურყევი.

(ო. ქ.) **რყევა** იგივეა, რაც რყება, -- რყევა.

ე. ი. საწყიში მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილი **რყევის** მცნება თანდათან განზოგადდა და **რყება**-ს დაუკავშირეს **გაყრა, დაშორება, დაცილება, ქცევა**. წარმართული **რყება** ქართულში გადაკეთდა **რყევა**-დ და მოგვიანებით მეგრულში იგივე ფორმითაც დამკვიდრდა.

ცხადია, წარმართ. **ურყებუ** > ქართ. **ურყევი** და **მე-რყევი**...

მიწიერი მოძრაობა მხოლოდ მიწისძვრა არ არის და გვაქვს:

(ო. ქ.) **რყაფა** გათქვლეფა, შერევა.

(ო. ქ.) **რყიალი** ყიალი.

მოგეხსენებათ, **ყიალი** მიწაზე მოძრაობას გულისხმობს და რასაც ზუსტად გამოსახავს წარმართული **რყიალი**. ცხადია, წარმართ. **რყიალი** > ქართ. **ყიალი**.

ჩვენს თემას ეხმიანებიან ფშაური ლექსიკის კუთვნილი -- **ბუტაყი, სარყე, ყევარი.**

(ო. ქ.) **ბუტატყია** რბილი, ფაფუკი. შდრ.საბა: ბურტყლი სხვილი ბუმბული. იხ. **ბუტყუ**.

(ო. ქ.) **ბუტყუ** რბილი.

ჩვენი დღევანდელი კოლხური ენის ფსიქოლოგიის ცოდნით თითქმის შეუძლებელია ახსნა თუ რატომ აღნიშნავენ მეგრული **ბუტატყია** და **ბუტყუ** მცნებას რბილი, ხოლო თუ გავეცნობით ფშაურ ლექსიკაში შემორჩენილ კოლხურ **ბუტაყი მიწა**-ს მნიშვნელობას, ვითარება იცვლება.

(ვ. ი.) **ბუტაყი მიწა** – მსუქანი მიწა.

ამრიგად, **ბუტაყი** (< **ბუტატყი**) მიწა ნოყიერ მიწას აღნიშნავს და ნოყიერი, მსუქანი მიწა უპირველესად ფხვიერია და შესაბამისად სირბილით ხასიათდება, განსაკუთრებით გაზაფხულის დგომისას.

ეს მაგალითი უმთავრესად იმითაა საინტერესო, რომ **ბუტაყი**-ში თანხმოვანი **ყ** სრულიად ნათლად მიწის მცნებას გამოსახავს. მსგავსი მაგალითია ასევე ფშაური **სარყე**.

(ვ. ი.) **სარყე** – მიწაში ჩარჭობილი ჯოხი.

(ქ.ე.გ.ლ.) **საყე** 1. გზის საჩვენებლად, საზღვრის აღსანიშნავად და სხვა დანიშნულებისათვის მიწაში ჩარჭობილი პალო.

ე. ი. ლიტერატურულ ქართულში შემორჩენილია **სარყე**-ს შემოკლებული ვარიანტი **საყე**, ხოლო ფშაური ფორმა **სარყე** სრულად გამოსახავს სიტყვის მნიშვნელობას.

სარყე = **სარ(ი)** + **ყე** = **სარი** + **მიწა** = მიწაში ჩარჭობილი ჯოხი, სარი.

ქართულ **სარყე** // **საყე**-ს შევადაროთ მეგრ. მაყე. **მაცე** მეგრულად ნიშნავს მცენარის (მაგ. სიმინდის, ვენახის...) დედა ღეროს გვერდით ამოსულ უვარგის შტოს. ამ ცოდნით შეიქმნა **ლაყე**, რომელშიც ლა ცხადია სირბილეს გამოსახავს, ხოლო **ყე** უკვე ფიზიკურ, მიწიერ სხეულს აღნიშნავს. ე. ი. თუ **საყე**-ში ფორმა **ყე** გამოსახავს თავად მიწას, **მაყე**-ში ფორმა **ყე** მიწიერ წარმონაქმნს, ხის შტოს, ტოტს აღნიშნავს. მსგავსია მეგრული ფორმა **ყა**. აქ აღსანიშნავია, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით „**მაყე** -- სანიშნო სვეტი" და „**მაყა** – საბურთალოს სვეტი“. ე. ი. როგორც არსებობს ქართულ-კოლხური ფორმა **მაყე**, ასევე არსებობდა ქართული ფორმა **მაყა**, რომელიც წარმოადგენს ფუძეს ცნობილი გვარისა – **მაყა**-შვილი. ფორმა მაყა წარმართულ კოლხურში შემორჩენილია სიტყვაში **ნამაცა** (= ტოტი).

(ო. ქ.) **ცა** 1. რტო, შტო. 2. ძველად სახვნელი იარაღი.

მეგრ. **ყა**-ს მეორე მნიშვნელობა ზუსტად ესადაგება უკვე ქართული **ყევარი**-ს შინაარსს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყევარი** ორი უღელი ხარ-კამეჩი.

(**გუბაზ გოგატიშვილი** 49): „უკანა ფშავში, შუაფხოს ზემოთ, ხევსურული საკვეთლიანი სახვნელის მოდერნიზებული ფორმა გამოიყენება, -- **აჩაჩად** სახელდებული, ხოლო სპეციალურ ლიტერატურაში ე.წ. „ფშაურ გუთნად" მიჩნეული სახვნელი კი **საყევრე** გუთნის || **ყევარი** გუთნის სახელით არის ცნობილი და ფშავის დაბლობ ზონაში შემავალი მიწების დასამუშავებლად გამოიყენებოდა... აღსანიშნავია ის, რომ საბას განმარტებითაც **აჩაჩი** უღელი ხარის სახვნელია. ამრიგად, **აჩაჩა** და **საყევრე** გუთანი (ხმალათი) ტიპოლოგიურად ერთი რიგის სახვნელებია, სხვადასხვა ბუნებრივ გარემოთა შესაბამისად დამუშავებული. **ყევარი** ორუღლიანია, ე. ი. ოთხარიანი გუთანია, იყო სამუღელიც. ტერმინი **აჩაჩა** აჩეჩვიდან უნდა მომდინარეობდეს (**გ. ჩიტაია**)".

ამრიგად, (**ქ.ე.გ.ლ.**)-ის განმარტება, რომ **ყევარი** ორი უღელი ხარ-კამეჩია, მცდარია. აღმოჩნდა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, **ყევარში** (გუთანში) ექვსი ხარიც იყო შებმული. ეტიმოლოგიურად **ყევარი** თავად გუთნის ბუნებას განსაზღვრავს.

ყევარი = **ყე** + **ვა** + **რი** = **სახვნელი** (გუთანი) + **ძლიერი მოქმედება** (ზევიდან ქვევით) + არის. = გუთნის ძლიერი მომქმედება-ს და შესაბამისად, გამომდინარე დასამუშავებელი მიწის ფიზიკური სიმტკიცის ხარისხიდან, გამწევ ძალად შეიძლება ორი ან სამი უღელი ხარი დასჭირდეს. ხოლო რაც შეეხება **აჩაჩა**-ს:

(ქ.ე.გ.ლ.) **აჩაჩა** აჩაჩა ურემი – იხ. აჩეჩა ურემი.

(ქ.ე.გ.ლ.) აჩეჩა აჩეჩა ურემი – პატარა ურემი, რომლის ხელნის ბოლოები მიწაზე მიჩოჩავს; გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს მთაგორიან ადგილებში. -- ჩოჩიალა ურემი.

ტერმინი **აჩაჩა** მომდინარეობს არა **აჩეჩვიდან**, არამედ წარმართული **ჩაჩაფი**-დან.

(ო. ქ.) ჩაჩაფი ნელი სვლა, ფეხის თრევით სიარული, -- ჩოჩვა.

(ო. ქ.) ჩაჩუა ჩოჩვა.

თანხმოვან **ყ**-ს მიწის მცნების ლოგოგრამული ბუნების მტკიცების სამეფო ბეჭედია წარმართული კოლხური.

(ო. ქ.) ცირი იგივეა, რაც **ირი**, -- განსაზღვრ. ნაცვალსახელი ყოველი, ყველა. **ცირ სიკეთეს სქანდე ველუთ** – ყოველ სიკეთეს შენგან ველით.

(ო. ქ.) ირი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ყოველი, ყველა.

ჩვენ გვახსოვს, რომ თანხმოვანი **რ** მზის ლოგოგრამაა და **ირი**-ს შინაარსს მზის არსი განსაზღვრავს.

ყირი = ყ + ირი = მიწა + ყოველი, ყველა = ყოველივე გარშემო მიწიერია.

ამრიგად, ურარტულად **ყირა** მიწის მცნებას გამოსახავს, იგივეა კოლხურშიც და **ყირი** (მიწიერი) გვიხსნის, რომ მზის ქვეშ მოქცეული ყოველივე არსებული მიწიერი ბუნებისაა**წარმოქმნია** (ჩვენი საცხოვრისი თავისი მთაბარით, მდინარეებით, მცენარეული საფარით, ცხოველებით, ადამიანებით).

ამრიგად:

ყვა = ყ + ვა = მიწა + მოქმედება = მიწიერი წარმონაქმნი.

თითქოს **ქვა** (< **ქუა**) და **ყვა** ერთი და იგივე შინაარსებს ატარებენ, მაგრამ მათ შორის უმნიშვნელოვანესი აზრობრივი განსხვავებაა.

მიწის მცნების ამღნიშვნელი თანხმოვნებიდან (**ქ, გ, ხ, ყ**), თახმოვან **ყ**-ს მიწის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელის – მიწის (დედის) მშობელი, გამჩენი ძალის გამოსახვა დაეკისრა, ანუ კოლხური თანხმოვნის **ყ**-ს ლოგოგრამა – მიწა, მიწიერი ძალაა.

გარემო სამყაროს ჩვენი თანამედროვე ხედვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენივე წინაპრების არქე შეხედულებათაგან.

(**რუდოლფ შტაინერი** 241): ,,კაცობრიობის განვითარების წინარე ეპოქებში ადამიანები თავიანთ გარემოცვაში ყველგან აღიქვამდნენ რაღაც ცოცხალს, რაც სავსე იყო ჩასახვისა და ქმნადობის ძალებით; დღეს ისინი ყველგან მხოლოდ მკვდარს ეძებენ და ცდილობენ, თვითონ სიცოცხლეც მკვდრისაგან მომდინარე რაღაცად წარმოიდგინონ. რაღა თქმა უნდა ისინი სიცოცხლეს ვერ იგებენ“.

კოლხური ხედვით, მიწა უპირველესად ყოვლისა ჩვენი გარემო სამყაროს შემომქმედი დედაა, ცოცხალი არსებაა. რად ღირს თუნდაც მიწის მიზიდულების ძალა, რომელი ძალითაც, ამ შემზარავ კოსმიურ სივრცეში, დედამიწას მისი ნაშიერები ისევე ვყევართ თავის წიაღში ჩახუტებულები, როგორც დედას ჩვილი ბავშვები. მხოლოდ და მხოლოდ მიწის ნაწარმით ვიკვებებით მიწის შვილები და როცა დგება ჟამი, მიწადვე ვიქცევით მიწიერნი. ამის ცოდნით დაუკავშირეს მიწის მცნებას სახლის მცნება კოლხმა მამებმა და გამოთქვეს ფორმით ცუდე (აქედან ქართული მივე**ყუდე**, ნავსა**ყუდ**ელი, სა**ყდ**არი, მ**ყუდ**რო, სიმ**ყუდ**როვე). აღსანიშნავია, რომ ხევსურულად **ყუდრო** ასევე სახლს აღნიშნავს.

სადღეისოდ გაცხადდა, რომ მთვარის მიმოქცევასთან ერთად დედამიწა იკუმშება და ფართოვდება, ანუ პულსირებს როგორც რიგითი ცოცხალი ორგანიზმი.

(**რუდოლფ შტაინერი** 269): ,,ის ფაქტი, რომ მიწისქვეშაც არსებობენ ძალები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა გააჩნიათ, შეგიძლიათ თუნდაც კარტოფილის შენახვის მაგალითზეც გააცნაუროთ. იცით, რომ კარტოფილს ზამთარში ხაროებში,

სპეციალურ ორმოებში დებენ. ასე ინახება კარტოფილი. სხვაფრივ ფუჭდება. მიწის ქვეშ სხვა რაღაც ხდება. იქ ზაფხულის სითბო მთელი ზამთრის მანძილზე ძლებს.

მცენარეების სიცოცხლესაც მხოლოდ მაშინ ვიგებთ, როდესაც ვაცნობიერებთ, რომ იგი წინა წლის ძალთა შედეგია. ეს სიცოცხლე მიწის ძალებიდან იბადება. მხოლოდ ყვავილია მზის ზემოქმედების შედეგი“.

მიწას რომ მზის გარეშეც შეუძლია სიცოცხლე წარმოშვას და მისი არსებობა უზრუნველყოს, მტკიცდება ზღვის სიღრმეებში, მუდმივი ყინულეთის ქვედა სივრცეში, იქ სადაც მზის ენერგია ვერ აღწევს, სიცოცხლის არსებობით. ჩვენ მუდამ გვავიწყდება თავად მიწის სიღრმეში მზის დარი გავარვარებული მაგმის არსებობა, რომელსაც მიწა დროდადრო ვულკანური ამოფრქვევებით გვახსენებს. რომ არა დედამიწის მანტიის მოძრავი ბუნება, სიცოცხლე დედამიწის ზედაპირზე ვერ იარსებებდა; მანტიამ წარმოქმნა მატერიკები, მატერიკების შეჯახებათა შედეგად გაჩნდნენ მთაგრეხილები, ოკეანეთა ღრმულები... დედამიწაზე სიცოცხლის საიდუმლოება მიწის გულშია მოთავსებული.

ამ საწყისი ცოდნის გამოძახილია შუმერულ-ეგვიპტურ-იუდეურ-ქრისტეანულ და სხვა რელიგიათა გადმოცემები ღვთაებათა მიერ ადამიანთა და სხვა ცოცხალ არსებათა მიწისაგან (თიხისაგან) გამოძერწვის თაობაზე. წარმართული კოლხური მსოფლმხედველობით მხოლოდ სულის ზეციური წარმომავლობაა აღიარებული და დანარჩენი კი, დედამიწის პირზე ყოველივე არსებული, მხოლოდ და მხოლოდ მიწიერი წარმომავლობისადაა გამოცხადებული.

იგივეს გვამცნობს **ცოფა**.

(ო. ქ.) ცოფა – ყოფნა; ქმნა; ყოლა; არსებობა.

ცოფა = ც + ოფა = მიწიერი ძალა + მოქმედება = ყოფნა; ქმნა; ყოლა; არსებობა.

ეს ცოდნაც ასახულია ქართულ მეტყველებაში:

(წარმართ.) **ცოფა** > (ქართ.) **ყოფნა**, ნამ**ყოფი**, ნა**ყოფი**, სამ**ყოფი**, მე**ყოფა**, გა**ყოფა**... და **ყოფ**იერება.

კვლავ გავიხსენოთ, რომ მიწიერი ძალა შეიძლება გამოსახული იყოს როგორც თანხმოვნით **ყ**, ასევე მისი წინარე რეფლექსით **ც**-თი, მითუმეტეს, რომ თავდაპირველად **ც** მძლავრობდა და მოგვიანებით, თანდათანობით მისი მრავალი მნიშვნელობა თანხმოვან **ყ**-ს გადაეცა, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

(ო. ქ.) ცვა 1. შუბლი... 2. ყუა... შდრ. ლაზ. ყუა|| კუა|| ღუა შუბლი.

(ო. ქ.) ცვაჯი მამაკაცის სათესლე ჯირკვალი, საკვერცხე, -- ყვერი.

ე. ი. მამაკაცს გააჩნია ორი **ყვა** (მიწიერ ძალთა მოქმედების ორგანოები), მაღლა – შუბლი (გონება) და დაბლა (**ყვა + ჯი = ყვა დაბლა**) – საკვერცხეები, ანუ გამრავლების უნარი. ამაში დასაფიქრებელი ისაა, რომ მედიკოსების თანამედროვე კვლევათა საფუძველზე დასკვნით, ადამიანის ეს ორი ორგანო ერთმანეთთან გამორჩეულად უშუალო, პირდაპირ კავშირში იმყოფებიან.

ადამიანის აზროვნებას რომ მიწიერი ძალა **ყ** განაგებს, ამაზე მიგვანიშნებს სიტყვა ყურუ = ყ + ურუ = ყ წავიდა (უჩინარდება) = (მიწიერმა ძალამ) **ყ**-მ მიატოვა და მაშინ ადამიანი ხდება:

(ო. ქ.) ცურუ 1. ბრიყვი; შეუსმენელი; უგუნური; უმეცარი; უჭკუო; ბნელი, ყრუ...

ცხადია, წარმართ. **ცურუ** > (უ > 0) > ქართ. **ყრუ.**

ცურუ-ს მსგავსი მაგალითია **ჩხურუ** (სიცივე, ცივი).

ჰარმონიული წყვილი **ჩხ** გამოსახავს ცხელს, ხოლო **ჩხ + ურუ** = **ჩხ** (სიცხე) წავიდა (გაუჩინარდა), ხოლო თუ სიცხე გაუჩინარდება, გაქრება -- ისადგურებს სიცივე.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ XIX საუკუნეში განსაზღვრეს ევროპელმა მეცნიერებმა – „სიცივე ესაა სითბოს არარსებობა“, რაც უძველესი ხნიდან იყო აღიარებული ჩვენი კოლხი მამების მიერ.

ფორმანტი **ურუ** მსგავსად ეგვიპტური ჰოროსი-ს ცოდნით შექმნილი **ოროს**-ი, რომ გაუჩინარებას, ბნელს, სინათლის არარსებობას გამოსახავს გვიმტკიცებენ სიტყვები **ურუმი და ცურუმი**.

(ო. ქ.) **ურუმი, ურუმია მრუმე**; უღრანი; ბნელი ძალიან; ღრმა ადგილი მდინარეში – ბნელად ჩანს.

ურუმი-ში თანხმოვან თანხმოვან **ღ**-ს ჩასმით მიიღეს ურუმის გაძლიერებული ვარიანტი, ანუ კონკრეტულად ურუმის როგორც სიბნელის მცნების მატარებელი.

(ო. ქ.) **ურღუმი** უღრანი. ურღუმი ტყა უღრანი ტყე.

(ო. ქ.) **ცურუმი** უღრანი; ძალიან ღრმა, მრუმე ადგილი მდინარეში

აქ გაგვეხსნა დღეს დამცრობილი, მაგრამ ადრე საამაყო სახელის შინაარსი:

ყვარყვარე = **ყვა** + **რ**(ე) + **ყვა** + **რე** = **გონება** + **არის** + **გონება** + **არის** = უგონიერესი.

(ო. ქ.) **ცოლე** მამაკაცის სასქესო ორგანო.

კუტუ მამაკაცის სასქესო ორგანოს სახელწოდებაა ჩვეულებრივ მდგომარეობაში, ხოლო ერექციის მომენტში, როცა მამაკაცი მზადაა გადასცეს მდედრს ჩასახვის პოტენციალი -- სპერმა, ცოლე ეწოდება; ეს პროცესიც ასახულია სახელწოდებაში:

ცოლე = **ც** + **ოლე** = **მიწიერი ძალა** + **სვლა (სითხის)** = (მიწიერი ძალის) **ც**-ს სვლა (სითხის სახით).

ამ რთული განმარტების მართებულებაში დაგარწმუნებთ სახელწოდება **ოლე**-ს, როგორც სითხის დინების გავრცელებული მნიშვნელობები.

(ს. ს.) **ოლეჭკანდერი** ეს სახელი არის ყოველთა ნავთა... ოჩხომელი.

ოლე + **ჭკანდერი** = **ოლე** + **(გამო)ჭედილი** = (წყალზე) სავალი მოწყობილობა = ნავი.

ოლენია – მდინარე გალის რ-ნში, ხუმუშკურის მარცხენა შენაკადი.

დიდი ოლე – მდინარე სიღნაღის რ-ნში, ალაზნის მარჯვენა შენაკადი.

ოლე – მდინარე სიღნაღისა და წითელწყაროს რ-ებში, ივრის მარცხენა შენაკადი.

ოლე -- ტაფობი წითელწყაროს რ-ნში, ივრის ზეგანზე.

იმის აღსაქმელად, რომ მდინარეთა სახელწოდება **ოლე**-ში ფალოსის კულტი, მისი შინაარსი იგულისხმებოდა, მოგაწვდით უძველესი კოლხური ტრადიციის აღწერას.

(**ნ. კაპანაძე** 11): „ძველად იცოდნენ შვილის შეძენის იმედით სალოცავად წასვლა „მოსქეწაჩხურაში წაჩხურობაზე“, რომლიც იმართებოდა წელიწადში ორჯერ – აპრილსა და ოქტომბერში. წაჩხურობა იყო გაქრისტიანებული წარმართული დღესასწაული. მთა მოსქეწაჩხურუ მდებარეობს მარტვილის რ. სოფ. სალხინოში, ხირზენის კალთაზე. სოფელში ჩამოედინება მდინარე წაჩხურა. მდინარეს თავისი თვისებებით მიაკუთვნებდნენ ე.წ. წმინდა მდინარეთა რიცხვს. იგი უნდა იყოს მოსქეწაჩხურუს, ე. ი. ფალოსის, უძველესი ღვთაების სარიტუალო საკულტო მდინარე. მოსქეწაჩხურაში ესვენა ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც მორწმუნე ადამიანი განაყოფიერებას უკავშირებდა და ამიტომ შვილოსნობას შესთხოვდა. აქ უძველესი დროიდან ყოფილა მოსქეს (მეშვილე-მეძევე) კულტი“.

სალხინოში შემორჩენილი რიტუალი უძველესი ეგვიპტური ტრადიციის გაგრძელებაა, ანუ ფალოსი მუდამ წყალთან იგივდებოდა.

(**აკაკი გელოვანი** 385): „**პაამილესი** (**Paamyles**) – ეგვიპტური ფალოსური ღვთაება, ოსირისის სავარაუდო ორეული, ან მოკვდავი, რომელმაც ოსირისის შობის დღეს წყლის აღებისას ამონ-რას ტაძრიდან გაიგონა უცხო ხმა: „დიდი კეთილი ღმერთი იშობა, ქვეყანას აუწყეო" (შეად. ქრისტეს შობა). თითქოს ამ პამილესმა გაზარდა ყრმა და მისი

დღეობაც დააწესეს -- ფალეფორიების მსგავსი (პამილია). პლუტარქეს ცნობით, ზეიმზე გამოჰქონდათ სამმაგი ასო, როგორც ბუნების ნაყოფირების სიმბოლო, რომელიც ჩასახვის ძალით ამრავლებს ქვეყნად სიცოცხლეს – სამმაგად და უსასრულოდ. ამასთან საწყისია **ნოტიო (სველი)** ბუნება, ყველა საგნის შემქმნელი. მიწა, ჰაერი და ცეცხლიც მისგან იღებს სათავეს. მითის მიხედვით, ტიფონმა ოსირისს ასო მოჰკვეთა და მდინარეში გადააგდო. ისიდამ ის ვერ ნახა, მსგავსი საგანი გააკეთა და ხალხი პამილიებზე მას სცემდა თაყვანს – **საწყისი სტიქია აქაც წყალია**. ოსირისის მკვდრეთით აღდგომა და ფალეფორიების ზეიმიც ბუნების განახლების სიმბოლური მისტერია იყო“.

ოლე რომ სითხის სვლას გამოსახავს, ნათლად იკითხება წარმართული **შოლერი**-თ.

(ო. ქ.) **შოლერი** სველი, დასველებული.

შ + ოლე + რი = ჰაერი + სითხის სვლა + არის. ე. ი. მცნება ჰაერი მიგვანიშნებს, რომ სველი საგანი, სხეული იმყოფება არა წყალში, არამედ ის ჰაერშია, სითხიდან გამოტანილია, გამოსულია, ხოლო **ოლე** (სითხის დინება) გვამცნობს, რომ საგანი, სხეული ჯერ კიდევ სველია და წყალი მდინარესავით წურწურით ჩამოედინება. თავად დასველების პროცესს კი **შოლუა** ეწოდება.

შოლუა = შ + ოლ(ე) + **უა = ჰაერ**(ში) + **სითხის სვლა + მოქმედება** = სითხის (წვიმის, შხაპის...) სვლის მოქმედების შედეგად დასველება.

(გ. ე.) **ოლენტყეში** – წუმპე, სატალახე.

(ქ.ე.გ.ლ.) **ოლე** (ოლისა) 1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას.

(ს. ს.) **ოლე** (ხე) – გინა **მოგრძო** ტყე ველთაშუა (**მოგრძო ტყე** მდინარის, ოლეს გახსენებაა ჯ.კ.).

ამრიგად, **ოლე** ძირითადად გამოსახავს სითხის სვლას, დინებას (მდინარის) და ამის შემდგომ წყლის, მდინარის დინებასთან დაკავშირებულ მცნებებს. მტკიცების ნათელი მაგალითია ქართული **ლევა** (დალევა სითხის) რომელიც წარმოდგება მეგრული **ლიება**-დან.

(ი. ყ.) **ლ: ლიება**, და-ლიება уменшать, пить, уничтожать.

(ო. ქ.) **ლიება** იგივეა, რაც **ლია**, -- დალევა, დაპატარავება, შემცირება.

ლიება გვამცნობს, როდესაც როცა საწყისი მოცულობიდან სითხე მოედინება, ამ მოცულობაში არსებული სითხის რაოდენობა მცირდება, პატარავდება. შემდგომში მცნება **ლია** > **ლიება** > **ლევა** განზოგადდა და მივიღეთ ქართულში: ღვინო **დალია**, ტანად **დალეული**, დრო **გაილია**...

კოლხურ ლიება, **ლია**-ს ეხმიანება სლავური **лью, льет, лить** (ღვრა, ჩამოსხმა).

ამრიგად, **ę-ოლე** გამოსახავს არა მამრის (ადამიანის, ცხოველის, ფრინველის...) სასქესო ორგანოს სხეულებრივი თვალსაზრისით, არამედ ერექციის ჟამს მამრის უნარს თხიერ (ოლე) მგომარეობაში გადასცეს მდედრს მიწიერი ჩამსახავი, პოტენციალური ძალა **ყ**, სპერმის სახით. ანუ მამრი, ბუნებრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, ამ მომენტში, სიცოცხლის გაგრძელების თვალსაზრისით – სრულქმნილებაა და ეს განსაზღვრება აისახა (შემორჩა) კიდეც სულხან-საბას ლექსიკონში.

(ს. ს.) **ყოლე** სრულიადსავით.

მსგავს აზროვნებას ვაწყდებით ხეთურ მეტყველებაში სპერმის განმარტებისას.

(ი. ტ.) **muwa** სპერმა, თესლი; სიცოცხლის/ცხოველმყოფელი ძალა, ძლიერება, სიმტკიცე, ძლევამოსილება; (ონომასტიკაში) თესლი, შთამომავალი, ნაშიერი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყოლე** ძვ, ზმნს. იხ. **ყოლა**[2].

(ქ.ე.გ.ლ.) **ყოლა**[2] ძვ.ზმნს. სრულიად, სრულებით. „ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნუცა ნდომა" (რუსთაველი). მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი, თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი (რუსთაველი).

ე. ი. წარმართული კოლხური **ყ-ოლე**-ს შინაარსის გათვალისწინებით ეწოდათ მდინარეებს **ოლე, ოლენია**, ანუ როგორც **ყ-ოლე**-ში **ოლე** განსაზღვრავს, რომ სიცოცხლის ჩამსახველი ძალა სითხის სახით მოედინება, ასევე **ყოლეს** მსგავსი გრძივი ფორმის მდინარეში ირგვლივ სიცოცხლის მომნიჭებელი სითხე -- წყალი მოედინება. ეს ხედვა განზოგადდა და ქართულში მივიღეთ:

(ქ.ე.გ.ლ.) ყოლება 1. მიდევნება, გაყოლება.

მამრის ერექციის გამომწვევი მიზეზი ისევ და ესევ მიწიერი ძალის ყივილია. მიწიერი ძალა განსაზღვრავს მამრისა და მდედრის ურთიერთლტოლვას და რასაც კოლხურად **ცოროფა** (სიყვარული) ეწოდება. წარმართული კოლხური **ცოროფა**-ს მკაცრი, ბიოლოგიური განმარტება დიდად განსხვავდება მცნება სიყვარული-ს თანამედროვე, ქრისტენული აღქმიდან:

ყოროფა = ყ + ორო + ფა = მიწიერი ძალა + უხილავი + მოქმედება = სიყვარული (ლტოლვა საპირისპირო სქესისადმი) მიწიერი ძალის უხილავი ზემოქმედების შედეგია. ანუ როგორც უხილავია მიწის მიზიდულობის ძალა, ასევე უხილავია ის მიწიერი ძალა რაც ჩვენში საპირისპირო სქესისადმი ლტოლვას იწვევს. მსგავსი მაგალითია **ჭოროფა** (ნესტი), რომელშიც თანხმოვანი **ჭ** წყლის მცნებას გამოსახავს.

ჭოროფა = ჭ + ორო + ფა = წყალი + უხილავი + მოქმედება = ნესტი წყლის უხილავი მოქმედების შედეგია. ანუ იმყოფები ოთახში, სადაც წყლის ჭაჭანებაც არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა თქვენც და თქვენს გარშემო ნივთებიც ნესტიანდებით, ანუ საიდანღაც შორიდან, თქვენზე ხდება წყლის უხილავი ძალის ზემოქმედება. ზუსტად ასევე -- ყოველი ცოცხალი არსება მიწიერი ძალის მუდმივი უხილავი კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ქართული ენის შემქნელმა ქრისტეანე მამებმა უარყვეს **ცოროფა**-ში ჩადებული აზროვნება და ვინაიდან ასევე აღიარებდნენ ადამიანის მიწიერ ბუნებას, შექმნეს შედარებით მშვიდი, ასევე კოლხური ბუნების **ყვარება** (შე-**ყვარება** > სი-**ყვა**-რული > მო-**ყვა**-რე > მო-**ყვა**-რული...).

ყვარება = ყვა + რე + (ე)ბა = მიწიერი ძალის (შედეგის) არის მოქმედება, ანუ ადამიანთა სიყვარული მიწიერი ბუნებისაა.

მიწიერი ძალის ერთ-ერთი გამოვლენა, ჩვენს გარშემო არსებული ხმებია: ადამიანთა მეტყველება, ცხოველთა ღმუილი, მცენარეთა შრიალი, მდინარეთა დუდუნი... და ყოველივე ამის აღსაქმელად კოლხურში შეიქმნა მცნება **ცუჯი** (> ყური). მეგრული ლექსიკიდან მექანიკური გადაქართულების წესის გამო, ქართულში გამოითქმის **ყურება**. როგორ შეიძლება ადამიანმა ყურით უყუროს. შეუსაბამობას ქმნის მეგრული **ცუჯი**-ს პირდაპირი „თარგმანი" [**ცუჯი** > (ჯ > რ) > **ყური**]. **ცუჯი**, მსგავსად **ცოლე**-სი, გამოსახავს არა კერძოდ ფიზიკურ სხეულს, ყურს, არამედ ზოგადად მოსმენის პროცესს.

ყუჯი = ყ + უჯი = მიწიერი ძალა + აღიქვი = აღიქვი (მიწიერი ძალის გამოვლენა) ადამიანთა მეტყველება, ცხოველთა ღმუილი, მცენარეთა შრიალი, მდინარეთა დუდუნი...

წარმართული კოლხურით **უყურე** (აღიქვი) გამოითქმის ფორმით **უჯინი** (ფუძეა **ჯინა**) და არა **ყუჯინი**.

ცვა უშუალოდ მიწის მასის მცნებასაც გამოსახავს. ამის საუცხოო ფაქტია მეგრული **ცვა**-ს მიერ ქალაქ **ყვარელი**-ს ტერიტორიის ფიზიკური წარმომავლობისა და მისი საწუხარის ცოდნა. გავიხსენოთ მდინარე **დურუჯი**-ს დახასიათება.

(ქ.ს.ე. III 675) **დურუჯი** – მდინარე, ალაზნის მარცხენა შენაკადი, გაედინება ქალაქ ყვარელზე... ხასიათდება წყალმოვარდნის რეჟიმით... დურუჯის ზემო დინებაში

პერიოდულად იქმნება ღვარცოფი... მთებიდან მოაქვს კოლოსალური რაოდენობით ტალახად ქცეული მყარი მასალა და დიდ საფრთხეს უქმნის ქ. ყვარელს.

დურუჯი = **დურ** + **უჯი** = ძლიერი მოძრაობა აღიქვი.

აქ გავიხსენოთ მეგრული **მურუჯი** და რაც **ჯიშს** ნიშნავს.

თქვენ უკვე უნდა მიხვედრილიყავით, რომ კოლხური წარმომავლობისაა ასევე სახელწოდება **ყვარელი**.

ყვარელი = **ყ** + **ვა** + **რე** + **ლი** = **მიწიერი ძალა** + **მოქმედება** (წარმონაქმნი) + **არის** + **სივრცე** = მიწის წარმონაქმნით (ჩამოტანით) შექმნილი სივრცე. ანუ როგორც **ოლე**-ში, **ოლე**-ს (დინებას) მოყვება **ę** (მიწიერი ძალა), ასევეა ადიდებულ **დურუჯ**-ს მოყვება **ყვა** (მიწიერი წარმონაქმნი, კოლოსალური რაოდენობით ტალახად ქცეული მყარი მასალა) და მუდმივ საფრთხეს უქმნის ქალაქ ყვარელს.

თუ სახელწოდება **ყვარელი**-დან ამოვაგდებთ **რე**-ს, მივიღებთ მეგრულ **ყვალი**-ს, ხოლო თუ ამოვაგდებთ **არ**-ს, მივიღებთ ქართულ **ყველი**-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძროხის ნაწარმი **ყვალი** > **ყველი** ასევე მიწიერი ძალის მოქმედებათა შედეგია. აქვეა **მა-ყვალი**. წარმართული **ყვალი**-ს სრული ცოდნაა თუშური **ყვა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ყვა კუთხ. (თუშ.) იგივეა, რაც ქუმელი „ყვის კეთება გუნდად“.

(ქ.ე.გ.ლ.) ქუმელი 1. მოხალული მარცვლის ფქვილი (საბა), -- ხალი. 2. კუთხ, (თუშ.) დანაყილი სელის საწებელი.

თუშებმა შემოგვინახეს ბაყაყის წმინდა კოლხური სახელწოდება **ყვარტი**.

(**გ. ც.**) **ყვარტი | ყვრატი | ყვატი** 1. ბაყაყი „ნოტიო ზაფხულ რომე, სუ ყვარტებითა აქაურობა სამსვიაკი“. 2. ცხენის ჩლიქის ქვედა მხარე, ტერფი. „ნალ თუ ყვატში ჩუęჯდა, ცხენს დაęკოჭლებს“.

ყვარტი = **ყვა** + **რტი**(ნა) = მიწიერი წარმონაქმნი + გაქცევა.

ყვარტი გვიხსნის, რომ ბაყაყი ესაა მიწიერი წარმონაქმნი (ზამთარში მიწის შემადგენელიც ხდება -- ზამთრობს წყალსატევების ფსკერზე) და რომელიც მუდამ შენგან გარბის; ხოლო ცხენის ჩლიქის შემთხვევაში -- ჩლიქი მიწიერი სხეულია და ცხენის ტერფის ეს ნაწილიც რომლის მეშვეობითაც ცხენი დარბის. ანუ თუ ჩლიქი დაზიანებულია ცხენი ვერ გაიქცევა, იკოჭლებს. თუშურ **ყვარტი**-ს ბევრად ნათელი კოლხური აზროვნება გააჩნია ვიდრე ოდიშში დამკვიდრებულ ბაყაყის სახელწოდებას **ჟვაბუ**-ს.

მიწის სივრცეს, ანუ უბანს, მხარეს წარმოგვიდგენს წარმართული და შემდგომ ქართულში დამკვიდრებული **ყურე**.

(ო. ქ.) ყურე იხ. ęურე – ყურე, უბანი, მხარე.

გვაქვს ასევე **ყორე**.

(ო. ქ.) ęორე ყორე, ქვის კედელი; შეშის ან ქვის ზვინი.

(ო. ქ.) ęორუა[2] ქვის კედლის აშენება, [შემო]ყორვა

ცხადია წარმართ. **ყორუა** > (უა > ვა) > ქართ. **ყორვა** (მუცელი ამოი**ყორა**).

განმარტებას არც საჭიროებს, რომ **აყალო**-ში თანხმოვანი **ყ** განსაზღვრავს მიწის მცნებას.

(ქ.ე.გ.ლ.) აყალო: აყალო მიწა – იგივეა, რაც თიხა.

რკინა მიწის საბადოდან მოიპოვება, ანუ რკინა მიწიერი წარმონაქმნია და შესაბამისად გვაქვს **ჯაყვა**.

(ო. ქ.) ჯაყვა ჯაყვა.

ჯაყვა = **ჯა** + **ყვა** = **ხე** + **მიწიერი წარმონაქმნი** = ჯაყვის ტარი ხისაა, ხოლო დანის პირი მიწიერი მადნიდან წარმოებული რკინის.

(ო. ქ.) ყვანა ყანა.

ყვანა = ყვა + ნა = მიწიერი წარმონაქმნი + დედა (სასურველი) = ყანა.

წარმართ. **ყვანა** > (ვ > 0) > ქართ. **ყანა**.

ამ ცოდნის გამოა აჭარაში მდინარის სახელწოდებად „**აჭყვა... ყვა**, რაც „ღელეს", „ხევს", „ხეობას" ნიშნავს... იგივე **ყვა** გამოიყოფა აჭარა-გურიისა და აფხაზეთის მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა: მალთა**ყვა**, აგიდა**ყვა**, ბერე**ყვა**, აბჟა**ყვა**, ჯურ**ყვ**ეთი, ბობო**ყვ**ათი და სხვანი". ანუ ხევი, ხეობა, რაშიც ღელეები მიედინებიან, წყლის დინების შედეგად, მიწიერი წარმონაქმნებია.

ყვა, ყვანა არამარტო მიწიერი წარმონაქმნებია (შედეგია), არამედ უპირველეს ყოვლისა მიწიერი მოქმედებებია და შესაბამისად ქართულში გვაქვს:

ყვა, ყვანა > **ა-ყვანა** > **ა-ყვა** (> ა-ყოლ-ა), **ა-ყვან-ილი** (> ა-ყოლ-ილი); **გა-ყვა** (> გა-ყოლ-ა), **გა-ყვან-ილი** (გა-ყოლ-ილი); **და-ყვა** (> დაი-ყოლ-ია), **და-ყვან-ილი; მო-ყვა** (> მო-ყოლ-ილი, მო-ყოლ-ება...), **მო-ყვან-ილი; წა-ყვა** (> წა-ყოლ-ა), წა-ყვან-ილი...

აქ გავიხსენოთ:

(ქ.ე.გ.ლ.) მოყოლა[1] სახელი მოჰყვება1 ზმნის მოქმედებისა: 1. ვინმესთან (რამესთან) ერთად ან ვისიმე (რისამე) შემდეგ (კვალდაკვალ, უკან) მოსვლა. 2. მოქცევა.

(ქ.ე.გ.ლ.) მოყოლა[2] სახელი მოჰყვება2 ზმნის მოქმედებისა, -- მოთხრობა, მბობა.

მოყოლა, მოყვანა-ს ორ სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს განაპირობებს წარმართული კოლხურის ცოდნა, რომლის მიხედვითაც, პირველ შემთხვევაში ამ სიტყვათა ფუძე **ყვა** წარმოადგენს მხოლოდ მიწიერ მოქმედებებს, ანუ მოძრაობებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ფუძე **ყვა** წარმოგვიდგენს გონებას და შესაბამისად:

ყვა > მო-ყვა > მო-უ-ყვა > ყვ-ება > უ-ყვ-ება > მო-ყოლ-ილი > მოსა-ყოლ-ი...

ყვა > ყვ-ება > ა-ყვ-ედრებს > სა-ყვ-ედური > > ყვ-ედრება > ვ-ედრება...

ცვა-მ მიიღო ასევე ფორმა ცა, რომელმაც ნორჩი მცენარეული წარმონაქმნი გამოსახა.

(ო. ქ.) ცა 1. რტო, შტო, ტოტი.

როგორც თავად ხე მიწიდანაა ამოზრდილი, ასევე რტო, შტო, ტოტი მიწიერი წარმონაქმნებია. ვინაიდან ნაყოფი ხის ტოტებს ასხია, გვაქვს წარმართული **ჯაცაში**.

(ო. ქ.) ჯაცაში გარეული ხილი, მაგ. რკო.

ჯაცაში = ჯა + ცა(ში) = ხე + ტოტი(ს) = (ნაყოფი) ხის ტოტის (ნაზარდია).

(ო. ქ.) ნოელა, ნოცია ხის ტოტი, ახალი ტოტი.

(ო. ქ.) ნოცო ნაყარი; განშტოება, შთამომავლობა.

იმის ცოდნით, რომ **ნოყია** (ხის ახალი ტოტი) იძლევა ნოყოს (ნაყოფს, შთამომავლობას), ქართულში წარმოდგა **ნოყიერი**.

(ო. ქ.) –ნერი 1. ნაირი.

ნოყიანერი > (ან > 0) > **ნოყიერი**.

წარმართული **ყა**-ს ცოდნით წარმოდგნენ ქართული **მაყაში** და **მაშა**.

(ქ.ე.გ.ლ.) მაყაში ძვ. მცირე **მაშა** სხვადასხვა დანიშნულებისა (სანთლის წამწვარი თავის მოსაშორებლად, შაქრის ნატეხის ასაღებად და სხვა).

(ქ.ე.გ.ლ.) მაშა[2] ორად მოკეცილი ხის ან ლითონის იარაღი ნაკვერჩხლის ასაღებად, -- საკეცე. || ასეთივე სახის პატარა საოჯახო იარაღი, შაქრის ასაღები

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესაც მრავალთათვის ლითონის **მაყაში** > **მაშა** ფუფუნების საგანია:

მაყაში = მაყასი ანუ **ყა**-საგან, ხის ტოტისაგან გაკეთებული.

მაყაში > (ყა > 0, ი > ა) > **მაშა**.

გავიხსენოთ **მყნობა**.

(ო. ქ.) ცონუა[1] მყნა, მყნობა.

(ო. ქ.) ცონუა[2] ფრინველის წასვლა საღამოს ღამეგასათევ ადგილას; დაბუდრება. დაყოვნება.

ამრიგად, ქათამი საღამოობით ხდება საქათმის ბინადარი, საქათმის ნაწილი ხდება, საქათმეს „ემყნობა" (ამიტომაც ეწოდება საქათმე). ასევე სკოლაში მიმავალი ბავშვი დროებით სანაყინესთან შეჩერდა, ანუ იმ ახალ სივრცეში „დაემყნო", ანუ შე-ყოვნდა. ცხადია (წარმართ.) **ყონუა** > (უა > ვა) > **ყონვა** > (ნ >< ვ) > ყოვნა (შეყოვნება).

მსგავსი აზროვნებისაა წარმართ. **ცუჩუა** > (უა > ვა) > ქართ. **ყუჩვა**.

(ო. ქ.) ცუჩა (< ცუთ-შა < ცუდ-შა < ცუდე-შა) სახლში.

(ო. ქ.) ცუჩუა დაბუდება.

ცუჩუა = **ცუჩ**(ა < ცუდე-შა) + **უა** = სახლში + მოქმედება = გარეთ დაღლილი, სახლში დაბრუნებული მშვიდდები, ანუ **ყუჩ**დები

მცნება **ცა** განზოგადდა და რტოს, ტოტის, ნაზარდის ასოცირებით მივიღეთ ცალი.

ცალი = **ცა** + **ლი** = **ტოტი** (ნაზარდი) + **ფორმა** = **ყელი**.

ცალი-ს შინაარსის ცოდნითაა წარმომდგარი საბას ლექსიკონში დაფიქსირებული წარმართული კოლხური **ოყალი.**

(ს. ს.) ოყალი ამართული.

უკვე **ოყალი**-ს ცოდნით მივიღეთ **ოყნა.**

ფშავში შემორჩენილია ცოდნა, რომ **ყალი** თავდაპირველად ტოტს, ფიცარს ნიშნავდა.

(ქ.ე.გ.ლ.) ყალი მარხილის მსგავსად შეკრული ფიცრები თოვლში თივის სათრევად (იციან ფშავში).

ასევე **ყა**-ს განზოგადოებული მცნებებია: **ყანჩა, ყანწი, ყარყანტო, ყარყარა, ყარყატი, ყაყაჩო, ყაყვა, ყაჭი**... რომელთაც მოგვიანებით, გვარების **თაყაიშვილი, მაყაშვილი, ყაველაშვილი, ყალიჩავა, ყანჩაველი, ყანჩელი, ყარყარაშვილი**-ის შინაარსების გაცნობისას განვიხილავთ.

აქ აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულით **ყანჩა**-ს ეწოდებოდა ასევე **ოყარი** (// **ოყალი**), ანუ იგივე ამართული.

ვინაიდან **ცალი** = ყელი მეგრულში გვაქვს **ყაყალი** > ქართ. **ყაყანი** > **ბაყაყი** (პატარა მოყაყანე).

ცა ძლიერი ძალაა მსგავსად მდინარისა, რომელიც სასიცოცხლო ენერგიის მატარებელია, ხოლო ადიდების შემთხვევაში ირგვლივ არსებული სიცოცხლის დამანგრეველ ძალად იქცევა ხოლმე.

(ო. ქ.) ყალა გიჟი, ცოფიანი.

ყალა > **მა-ყალი**.

(ქ.ე.გ.ლ.) მაყალი ნახშირის გასაჩაღებელი თავღია (გადასატანი) ღუმელი. მაყალზე შემწვარი მწვადი.

(ო. ქ.) ყარება – ამოძრავებს.

(ო. ქ.) ყარუა – შეგროვება.

ქორწილის ერთ-ერთი მამოძრავებელი, გამაერთიანებელი ძალა კი **მაყარი**-ა.

(ო. ქ.) მაყარე – მაყარი.

(ო. ქ.) მაყალე – ამხანაგი, მეგობარი; ტოლი; მხლებელი; მაყარი.

(ს. ს.) მაყარი – ძმადი.

(ქ.ე.გ.ლ.) მაყარი – მეფე-დედოფლის მხლებელი ქორწილში. მეტიჩარა მაყარი მეფე-დედოფალს წინ უსწრებდაო.

თანხმოვანი **ყ** (> **ყა**) ფუძეა ქართული სიტყვებისა: **ყა** > (ტანი) აი-**ყა**-რა > შეე-**ყა**-რა > გაუ-**ყა**-რა > მა-**ყა**-რი > ა-**ყ**-რა > გა-**ყ**-რა > და-**ყ**-რა > ჩა-**ყ**-რა > **ყ**-რა > **ყ**-რილი > **ყ**-რილობა...

ქართულში ასევე **ცვა**-დან შეიქმნა **ყვა**-ვილი > ა-**ყვა**-ვება > და-**ყვა**-ვება...

და უმთავრესი -- გაიხსენეთ წარმართული კოლხური აზროვნებით **ცოროფა** ესაა უხილავი მიწიერი ძალის მოქმედება და ქრისტეანმა მამებმა მამრისა და მდედრის ურთიერთ ლტოლვა ასევე მიწიერი ძალის გამოვლინებად აღიარეს სიტყვით -- **სი-ყვა**-რული, შე-**ყვა**-რება, სა-**ყვა**-რელი...

ჩვენ საკმარისი მასალა განვიხილეთ **ყვა**-ს კოლხური ბუნების შესაცნობად და დავუბრუნდეთ შუმერული კოსმოსის მცნება **ან-ქი**-ს, რომლის დედააზრია:

(**ზურაბ კიკნაძე** 114): „ყოველი დაბადებული მოქცეულია, და სუნთქავს ცასა და მიწას შორის, -- ეს არის კოსმოსი, არა ცალკე ცა და ცალკე მიწა, ერთმანეთისაგან უსასრულო მანძილით დაშორებულნი, არამედ მათი მთლიანობა, რაც გამოხატულია შუმერული კომპოზიტით **ან-ქი** (= ცა და მიწა)".

იგივე აზრს იმეორებს შუმერულ-კოლხური **ქი-ან**-ა (= მიწა და ცა). კოლხებმა დამატებით დააკონკრეტეს ქვეყნის მცნება და იგი გამოისახა შემდეგი ლოგოგრამული კომპოზიტით – **ქი-ყვა-ნა**, რომლის დედააზრია:

ქიყვანა არის კოსმოსში, მიწასა და ცას შორის მოქცეული, მიწიერი ძალის **ყ**-ს მიერ წარმოქმნილი ჩვენი საცხოვრისი თავისი მთაბარით, მდინარეებით, მცენარეული საფარით, ცხოველებითა და ადამიანებით.

ე. ი. **ყვა = ყ + ვა = მიწიერი ძალა + მოქმედება** (წარმონაქმნი) = მიწიერი ძალის **ყ**-ს მიერაა წარმოქმნილი ჩვენი საცხოვრისი თავისი მთაბარით, მდინარეებით, მცენარეული საფარით, ცხოველებით, ადამიანებით და შესაბამისად, მათი გამრავლება, განვითარება, სიცოცხლისუნარიანობა, სხვა კოსმიურ ძალებთან ერთობლიობაში, ამავე მიწიერი ძალის მოქმედებითაც განისაზღვრება. ანუ ნაყოფი მდედრის (მიწის) წამონაქმნია, მისი სხეულის ნაწილია (**ყვა**-ა), მხოლოდ ნაყოფის ჩასახვაა მამრისა და მდედრის ერთობლივი ინიციაცია, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მდედრი უმამროდაც ასრულებს ბუნების წინაშე თავის მოვალეობას.

ქრისტეანმა მამებმა უარყვეს ეს აზროვნება და **ქი-ყვა-ნა**-დან ქართულში შეიქმნა – **ქვე-ყანა** = ის რაც დედამიწაზეა, მამა ღმერთის მიერ შექნილი ქვემო **ყანა**-აო.

აქ გავიხსენოთ **ქვემეხი**, ანუ თუ ცეცხლოვანი **მეხი** ცის გრგვინვა-ქუხილის შედეგია, ჩვენი ზარბაზანი მეხის მსგავს ცეცხლოვან ჭურვსა და ხმას ქვევიდან, მიწის ზედაპირიდან გამოსცემს.

თანხმოვან **ყ**-ს წარმართული კოლხური მიწის მნიშვნელობა განსაზღვრავს ქართულში მცნება **მყარი**-ს შინაარსს. ანუ მიწის, **ყა**-ს ქანების სიმტკიცე წარმოგვიდგენს მცნება **მყარი**-ს გამოსახვის ხისტ, მტკიცე ბუნებას. მიწას გააჩნია ასევე არამდგრადი მდგომარეობაც და უკვე ქართულ სიტყვაში **მყიფე** თანხმოვანი **ყ** იგივე მიწის მცნებაა, მხოლოდ თანხმოვანი **ფ** უკვე ამ მიწის რბილ, არამდგრად ბუნებაზე მიგვითითებს.

დავიმახსოვროთ: ისტორიული კოლხეთის გავლენა მდინარე ყუბანს აღწევდა. აქ დამკვიდრებულმა ადიღე ხალხის ტომებმა (ჩერქეზებმა, ჯიქებმა, უბიხებმა, აბაზებმა...) მრავალი რამ შეითვისეს განვითარების შეუდარებლად მაღალ საფეხურზე მყოფი კოლხებისაგან. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აბორიგენი ერი მხოლოდ კოლხი ერია და განსხვავებული არქე კულტურის კვალის ძიება ამ ტერიტორიაზე, უნაყოფოა.

აქვე მოგაწვდით იოსებ ყიფშიძის მიერ ოდიშში 1909 – 1913 წლებში ჩაწერილ ხალხურ ლექსს:

ვოი შური საყვარელი,

ღურა მუში მამარდა რე,
რინაში ნება ქორდასნი,
ქიანა მუში მაფართარე.

ქართულად თარგმნისას ამ ლექსის მასშტაბურობა კნინდება, როცა **ქიანა**-ს თარგმნიან ქვეყანად, ხოლო **მაფართარე**-ს ძალიან ფართოდ; ასევე **მამარდა**-ს (დიდი მადლი-ს) პირდაპირი თარგმანი ლექსს მოქნილობას უკარგავს და გთავაზობთ შემდეგ მიახლოვებულ ვარიანტს:

ოი სულო, საყვარელო,
სიკვდილი რა მადლია,
არსებობის ნება იყოს,
სამყარო რა ვრცელია.

ოდო დია და ოჩოპინტრე

(ო. ქ.) ოდო (ოდოს) მოსავლის ღვთაება. აქედან: ოდიში (*კალისტრატე სამუშია, ქართული ზეპირსიტყვიერება, გვ.128*).

(**კალისტრატე სამუშია** 128): „ტრადიციული გადმოცემით ეგრისის სამეფოს ამ კუთხეს (ენგურსა და ცხენისწყალს შორის მდებარე ადგილს) ოდიში დარქმევია იმის გამო, რომ მისი მკვიდრნი სხვა ღვთაებაზე მეტად ჭირნახულის ღვთაებას – „ოდოს“ სცემდნენ თაყვანს და უგალობდნენ მას. ამ გადმოცემას შეიძლება ვერწმუნოთ იმის გამოც, რომ ამ მხარეში ოდოიას მღერიან სწორედ ყანაში, სიმინდის თოხნის დროს. არქანჯელო ლამბერტიც აღნიშნავს, რომ „სამეგრელოში ყანის თოხნის დროს მღერიან შრომის ხალისისმომგვრელ სიმღერებსო“. ეს ტრადიცია მტკიცედაა შემონახული დღესაც.

„ოდოიას“ სადღეისოდ ცნობილი რეპერტუარი, ადრევე მრავალსახით არსებული ოდოიას ვარიანტებისაგანაა შექმნილი ლოტბარებისა და კომპოზიტორების მიერ. მასზე ბოლოს დამატებულია „იო“ ე. ი. სიმღერა იობზე (აბრეშუმის მოსავლის ღვთაებაზე). ოდოიას უძველესი ვარიანტები საკმაო რაოდენობითაა შემონახული სამეგრელოს სხვადასხვა მხარეში, -- სენაკში, ზუგდიდში, წალენჯიხაში და ოქუმში (გალის რაიონი). ასევე გურულ სიმღერებშიც აღინიშნება“.

(**კარლო თოფურია** „აია“ №1 32): „ოდოია“ -- ოდოიაზე ვერც ერთი სიტყვა ვერ გაუმეტებია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: **ოდოია** (ოდოიარი) ქართული ხალხური სიმღერა. გივი ელიავას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ოდოიას შესახებ ვკითხულობთ: ოდოია – ყანის სიმღერა. მარგვლისას მღერიან. მას წინ უსწრებს თოხის გამართვის რიტუალი. სიმღერის ბოლოს თოხნის დამთავრების სიხარული -- თოხების წინ გადაგდება და საერთო მხიარულება (**მ. კვირტია**). ოდოიას ტექსტი არ ახლავს, იგი ჩაწერილია **მ. მხეიძისა** და **უ. ადამიასაგან**. ასევე **გ. ელიავას** მიერ და იქ „ოდოია" ისმის „ოდოდია“-თ.

ოდოდია – **მ. მხეიძისა** და **უ. ადამიას** თქმით მღეროდნენ არა ოდოიას, არამედ ოდოდიას. სიმღერის ტექსტი მათ ასე მოუსმენიათ ძველებისაგან: ოი დო კეთილი, ოდო ხვამილი, ჩქიმი ჭირიში მინჯე დო ჩქიმი სიკეთიში პატონი, ოდო დო დია, ხვამილი, ოი

და ოდო, ოდო დო დია. „ოდოია კურთხეული, ოდო დალოცვილი, ჩემი ჭირის პატრონი და ჩემი სიკეთის ბატონი, ოდოი და დია, დალოცვილი, დალოცვილი“ (პირველი ჩანაწერი გ. ელიავასი). არც „სპეციალური“ ლიტერატურა გვანებრივებს ოდოიას შესახებ თავიანთი გამოკვლევებით.

მაინც რა არის ოდოია?!

ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, მოდით და ჩავუკვირდეთ ასეთ მონაცემებს: ხეთურ ლურსმულ ტექსტებში დამოწმებულია „ცხვრის“ სხვადასხვა სახეობა. სიტყვა „ცხვარი" ამ ტექსტებში ხეთურ ენაზე არაა მოტანილი. მის ნაცვლად იხმარება შუმეროგრამა UDU(უდუ).

1) UDU. A. LUM, სარძეო ცხვარი.
2) UDU – AS. SAL. GAR ბატკანი.
3) UDU. KUR,RN მთის ცხვარი.
4) UDU. NIT.SIG A, ცხვარი, ვერძი, ყოჩი, ერკემალი.
5) UDU +SAL სამატყლე ჯიშის ცხვარი.
6) UDU.SIR სანაშენო ცხვარი.
7) UDU SE ცხვარი მსუქანი...

იხ. **Friedrich J., Hethitisches Worterbuch. Kurzgefasste Kritische Sommlung der Deutungen hethitischez Worter, Heidelberg: C. Winter. Universitats veriag. 1952, გვ.298.**

ამ ხეთურ ტექსტში არც ერთი ხეთური სიტყვა არ არის ნახმარი. აზრი გადმოცემულია შუმეროგრამებით. თუ როგორ ჟღერდა ეს შუმეროგრამები ხეთურ ენაზე უცნობია. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ მე-7 შუმეროგრამაზე UDU SE – „ცხვარი მსუქანი“.

შუმერულ ენაზე ცნება „ცხვარი მსუქანი“ გარდა შუმეროგრამისა, გადმოიცემოდა ფონეტიკური ნიშნებითაც. კერძოდ, სიტყვა „უდუ-ია“-ს სახით, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ცხვარი მსუქანი“-ს, იგი შეესატყვისება ქართულ „ოდოია“-ს. ე. ი. ქართული „ოდოია" ნიშნავს „ცხვარი მსუქანი“-ს, სამსხვერპლო ცხვარს...(შდრ. **ჯ. შარაშენიძე, შუმერები და მათი კულტურა, თბ. 1983**; გვ. 149).

ჩვენი მტკიცება ასეთია:

ქართული „ოდოია“ შდრ. შუმერულ „უდუია“-ს; შუმერულ ზეპირმეტყველებაში ეს ტერმინი, ისმოდა როგორც „ოდო-ია“. ლურსმულ დამწერლობას არ გააჩნია „ო“ ხმოვნის შესაფერისი გრაფიკული ნიშანი. საჭიროების შემთხვევაში შუმერული „ო“-ს ნაცვლად ყველგან ხმარობს „უ“-ს. ასეთი შესატყვისობაა შუმერული დამწერლობის **duq** (**დუქ**-ი) და ქართული -- „**დოქ**-ი“ (ხაზი ჩვენია – კ. თ.) (აღსანიშნავია, რომ იაპონურ ენაზეც შუმერული **დუქი** გამოითქმის ფორმით დოქ ჯ.კ.).

ეს დაკვირვება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სიტყვა **დუქ**(**დოქი**) შუმერული დეტერმინანტია, ე. ი. განმსაზღვრელი სიტყვაა, თუ რომელიმე შუმერულ სიტყვას თავზე აწერია, მცირე ზომის ლურსმული ნიშნით „**დუქ**“ ეს ნიშნავს, რომ სიტყვა აღნიშნავს მეთუნეობის რომელიმე სახეს.

დოქი – ზეპირ ქართულ მეტყველებაშიც კრებითი ცნებაა (იხ. დოქი – **ქსე**ში), ე. ი. დეტერმინანტია. ეს დაკვირვება ეხება ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც არის „მეთუნეობა“. თვით ეს სიტყვა შუმერულში აღნიშნავს მეთუნეობის კონკრეტულ სახეს – „თონეს“. შდრ. შუმერული **tun** (თუნ-ი) და ქართული „თონ-ე“, აქაც „უ“-სა და „ო“-ს შესატყვისობასთანა გვაქვს საქმე.

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტერმინი **უდუია (ოდოია)** ქართველურ ენებს (კერძოდ კი მეგრულ – ლაზურს) უნდა გადაეღო უშუალოდ შუმერულენოვანი მოსახლეობიდან. იგი ჰიმნი იყო, მიძღვნილი რომელიღაც კონკრეტულ ნაყოფიერების ღვთაებისადმი. ასეთი ღმერთი უნდა ყოფილიყო **ტელეპინუ.** არა მარტო სიტყვა „ოდოია“, არამედ თვით სიმღერა, ჟღერადობა, ძველაღმოსავლური, შუმერული უნდა იყოს.

რა მიმართებაშია ,,მითი არგონავტების შესახებ“ და ,,ოქროს ვერძი“ აიეტისა, ოდოიასთან?! ამ კითხვაზე პასუხი ისევ ხეთურ სამყაროში შეიძლება მოიძებნოს.

მითში, სადაც ლაპარაკია ტელეპინუზე, როგორც ღმერთზე, რომელიც გაქრება და შემდეგ ისევ ბრუნდება, მისთვის აღმართულია „სამყაროს ხე“ (**GISeja**), რომელზედაც ჩამოჰკიდებენ „ვერძის" (ყოჩის, ერკემლის, ცხვრის) ტყავს (UDU-as KUS KUR-sa-as Kan-kan-za) და ამ ვერძის ტყავში აწყობენ ცხვრის ცხიმს (დუმას) (UDU-as IA-an ki-it –ta). გარდა ამისა, ამ ხეზე დაკიდულ ცხვრის ტყავში აწყობდნენ „ხარისა და ცხვრის“ სხეულის ნაწილებს (GUD UDU ki-it-ta), KUB XYII 10 IV 27 და შემდგომი (იხ. Haas V. Magie und Muthen im Reich der Hethiter, i. vegetationskulte und Planzennmagie („Merlins Bibliothek der Geheimen Wissenschaften und Magischen Kunste“, hrsg, von. W. Baver, Bd.6. Hamburg. Merlin verlag, 1977. გვ. 117 და შემდეგი)“.

გავშალოთ თემა და დამატებითი მასალები მოვიძიოთ. დავიწყოთ ღვთაება ტელეპინუთი.

(В. В. Иванов М.С.): «ТЕЛЕПЙНУС, Телепйну (хетт.), Талипйну (хатт., «сын Тали», или «его сын») хеттской и хаттской мифалогиях бог плодородия, сын бога грозы (Тару) и богини-матери. Телепйну—главный персонаж цикла хаттских и хеттских мифов об исчезающем и возращающемся боге. Исчезновение Телепйну связывается с его гневом. С уходом Телепйну из дома очаги, жертвенные столы окутывает дым [облако(пчелиного) роя], домашний скот перестает приносить потомство, начинается засуха, в полях не растут злаки...Телепйну возращается, принося с собой плоддородие. Миф о Телепйну в различных версиях сохранился в составе текстов 14—13 вв. до н. э., он входил в ритуалы, совершаемые с целью предотвращения зла. В ряде других хеттских мифов (восходящих к хаттским) Телепйну помогает вернуть исчезнувшего бога... Телепйну по приказу бога грозы отправляется к Аруне (океану), похитившему бога солнца. Исуганный Аруна отдает Телепйну не только бога солнца, но и свою дочь в жены.

Миф о Телепйну принадлежит к широко распространенным в восточном Средиземноморье сюжетам об исчезающем и возращающемся божестве плодородия, следы его влияния обнаруживаются в различных культурах, от греческой (в ранних традициях к Телепйну, возможно, возводится Телеф) до закавказских (У сванов сохранились ритуальные формулы с именем Телепйнуса). Предполагается, что у славян в специальной терминологии, связанной с культом пчел, отразился (возможно, через посредство кавказской традиции) культ Телепинуса.»

ტელეპინუსთან (ტელეფასთან) დაკავშირებული სვანური რიტუალები პირველად **არსენ ონიანმა** აღნუსხა 1917 წელს.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 103): ,,**ონიანის** სიტყვით ყველიერის შემდგომ მეორე დღის დილას შავი ორშაბათი ჰქვია. ამ დიდმარხვის პირველ დღეს ლაშხელებმა დიდი დღესასწაული იციან, რომელსაც სვანურად „ლიმურყვამალ“, მურყვამობა, ე. ი. კოშკობა

ეწოდება. იმ მურყვამობის დღეს მთელი ხევი ჟახუნდერში მოედანზე იკრიბება... ამ დღეს ჯერ ზემოლაშხელები მოდიან ხოლმე საყვირითა და დროშით. ს. მაულდს ზემოლაშხელები საყვირს უკრავენ და თოვლის დიდ „მურყვამს“, ანუ კოშკს აკეთებენ და იქ დროშას არჭობენ. ამის შემდგომ ჭიდაობაც იწყება მოპირდაპირე (ე. ი. ზემო და ქვემო ლაშხელთა) მხარეთა შორის, რომელთაც „კესარ“-ად, ე.ი კეისარად წოდებული თითო მეთაური ჰყავთ. საითაც კეისარი წაიქცევა დამარცხების დროს, იქითკენ იმ თოვლის კოშკსაც გადააქცევენ და ამისდა მიხედვით **მომავალი მოსავლის ვითარებასაც არკვევენ**...

შემდეგ ონიანის აღწერილობაში მოთხრობილია ჯერ „ადრეკილაის“, შემდეგ „მელიაი ტელეფიაი“-სა და მერმე „კვირიაი“-ს ჩვეულება...

„ადრეკილაის" ჩვეულება ლაშხეთში **ონიანის** სიტყვით ასე სცოდნიათ: მეფერხულენი რვა კაცი ერთი მხრით დადგებიან, რვა კიდევ მეორე მხრით და სიმღერას დასძახებენ, რომელიც ასე იწყება: „ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა“...

„მელიაი ტულეფია"-ს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ კაცს შარვალსა და პერანგის ამხანაგს მთლად ჩაჰხდიან ისე, რომ სარცხვინელნი უჩანდეს, ამ ტიტველა მამაკაცს უკან მეორე კაცი მოჰკიდებს ხელს, ამ მეორეს ამნაირადვე მესამე, მესამეს კიდევ მეოთხე და ასე რამდენიც იქნებიან. ამ გვარად უკანანი წინა შიშველ კაცს ჰფარავენ. იმ შიშველა კაცს თავისი სარცხვინელნი ხელში უკავია, უკანანი კი მას უკანიდან უქაქუნებენ და თან გაიძახიან: „მელიაი ტულეფია, იოჰ-იოჰ!“. შიშველა კაცს კი ხელში წკეპლა უჭირავს და უკანიდან მოქაქუნეებს იმ წკეპლას გადაუჭერს ხოლმე“.

ე. ი. ტელეპინუსი -- მოსავლიანობის, ნაყოფიერების ღმერთი, შვილია ჭექა-ქუხილის ღმერთის **ტარუ** – სი და რომელზედაც დიდადაა დამოკიდებული **ტარო**-ზი. ამ ცოდნის შედეგია მოსავლიანობის განმსაზღვრელი მცნებები მეგრ. **ტარუა** > ქართ. **ტარო**.

(ო.ქ.) ტარუ სიმინდის დატაროება, ტაროს გამოტანა.

(ქ.ე.გ.ლ.) ტარო ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი; აქვს სქელ ღეროზე მჭიდროდ მჯდომარე ყვავილები (მარცვლები, თესლი). სიმინდის ტარო.

(ო.ქ.) ტაროზ-ი... ტაროსი, დარი.

(ო.ქ.) ტაროზობა... ამინდი,

ამრიგად, ჩვენ გაგვაჩნია დამატებითი მაგალითი იმისა, თუ როგორ გადაიქცა ხეთური ხმოვანი „უ" კოლხურ მეტყველებაში ხმოვან „ო"-დ.

ტარუ > (უ > ო; +ზი) > **ტაროზი** (ტაროსი).

ნათლად იკითხება მეურნე კაცის ბუნებაზე დაკვირვების ელემენტარული შედეგი - სასურველი მოსავალი, ნაყოფიერება მხოლოდ ადამიანის მეცადინეობაზე არაა დამოკიდებული, ბუნებამაც (ტარუმაც) შესაფერი ამინდი (ტაროზობა) უნდა გიბოძოს და მაშინ აივსება ოჯახი ბარაქით (**დაბრუნდება ტელეპინუ**), თუ არა და კარებზე შიმშილი მოგიკაკუნებს (გაქრება **ტელეპინუ**), ხოლო შიმშილი ისეთი მოსაბეზრებელია, რომ ოკეანის მბრძანებელ **არუნუსაც** აიძულებ მისი ქალიშვილი ცოლად გამოგაყოლოს.

„ადრეკილაი“ უზუსტესად იმეორებს ტელეპინუს მითის დედაარსს -- (Миф о Телепйну...об исчезающем и возвращающемся божестве плодородия) – „ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა“. ნაყოფიერება და მოსავალი მხოლოდ ხორბალი და ყურძენი არ არის, ის უპირველესად შვილებია და არა მარტო ადამიანების. ამრიგად, როგორც „ტარუ“-დან შეიქმნა „ტაროზი“, ასევე „ტელეპინუ“-დან აღმოცენდა „ტელეფია“, „ტელეფა“.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 104): „**არსენ ონიანს** თავის აღწერილობაში „ტელეფიაი“ უწერია, მაგრამ პროფ. აკ. შანიძეს ადგილობრივ შემოწმების დროს დამსწრეთაგან

კატეგორიულად „ტულეფია“ გაუგონია. ასევე აქვს ჩაწერილი ეს სიტყვა ლექტორ ვარ. თოფურიასაც. ამისდა მიხედვით „ტულეფია“-დ მაქვს შესწორებული“.

აკაკი შანიძემ და **ვარლამ თოფურიამ** მოგვიანებით იმოგზაურეს სვანეთში, ხოლო **არსენ ონიანის ჩანაწერები** 1917 წლით თარიღდება და უკვე მაშინ, თავად ავტორი ამ ჩანაწერებისა, აღნიშნავდა მრავალი ეროვნული საგანძურის დაკარგვის საშიშროებას.

(**ივანე ჯავახიშვილი** ტ.1 გვ.105): „ონიანის სიტყვით, არც ერთი სასოფლო ლოცვა არ იქნება, რომ პირველად „კვირიაი“ არ თქვან... ეს საგალობელი მარტო მოხუცებულებსღა ახსოვთ და მას ეხლა ყველანი ვერ იტყვიან. არს. ონიანის თქმით კვირიაის საგალობელის მცოდნე მხოლოდ ოთხი—ხუთი კაცი-ღა დარჩენილა... ამ ცნობის ავტორს სამართლიანად აღნიშნული აქვს, რომ კარგი იქნებოდა მეცნიერთ ეს საგალობელი ჩაეწერათ და ამ გზით სამუდამო დავიწყებისაგან გადაერჩინათო...

ქვემო სვანეთში „ადრეკილაი“-ს და „მელაი -- ტულეფიაი“-ს სახელითა და ველური პირველყოფილობით დაცული ეს დღესასწაული ზემო სვანეთში „საქმისაი“-ს სახელით არის დაცული“.

არსენ ონიანის ჩანაწერის მართებულობას ადასტურებს კოლხური ტოპონიმი:

(**ქ.ს.ე.** IX 687): **„ტელეფა**, სოფელი თერჯოლის რ-ნში (რუფოთის სოფსაბჭო), მდ. ჩხარის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 200 მ.“.

აღიქვით ფაქტი, რომ სახელწოდება „ტელეფა“ გვხდება ქვემო სვანეთში და სამეგრელოში, რაც ნათლად მიუთითებს ამ სახელწოდების ქვევიდან ზევით მიგრაციაზე. ასევე სამეგრელოში არსებობდა მსგავსი ტოპონიმი.

(**ქ.ს.ე.** IX 687): „**ტელეფისის ბრძოლა** 553, ბრძოლა ეგრის-ბიზანტიისა და ირანის ჯარს შორის ეგრისის დიდი ომის დროს ტელეფისის ციხისათვის (ახლანდელი სოფელი ტოლები, სამტრედიის რ-ნი)“.

(**აკაკი გელოვანი** 469): „**ტელეფოსი** – ჰერაკლეს და არკადიის მეფის ალეოსის ასულის – ავგეს ძე, მცირე აზიის პერგამოს მოამაგე. ბერძენი არკადიელი, ძალზე მრავალფეროვანი მითების გმირი... ტელეფოსი: „თელე“ – ძუძუ, „ელაფოს“ -- ფურ-ირემი („ირმის ძუძუ უწოვია“ – ქართულ ფოლკლორშიც გვხდება)“.

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უმთავრესია, რომ **ვ. ვ. ივანოვის** ცნობითვე, თავად ბერძნული „ტელეფოსი“-ს წარმოშობა ხეთურ „ტელეპინუ"-ს უკავშირდება.

დავუბრუნდეთ საწყის თემას – ოდოდიას. ამრიგად – შუმეროგრამა **UDU SE** (ცხვარი მსუქანი) კოლხურად იკითხება ფორმით **ოდო** და ნიშნავს ცხვარს, ვერძს – ცხვარი მსუქანი, ვერძი მსუქანი.

(**აკაკი გელოვანი** 184): „**ვერძი** ...ზოდიაქალური თანავარსკვლავედი... მითის მიხედვით ესაა ღრუბელთა ქალღმერთ ნეფელეს ოქროს საწმისიანი ვერძი, რითაც დედინაცვლის დევნილი შვილები ფრიქსე და ჰელე... კოლხეთს გააქცია. ნ. არგონავტები. ეგვიპტეში თაყვანს სცემდნენ ვერძის სახის ღმერთს ხნუმს ან მთვარის ღვთაებას, ხოლო გვიან შემოყვანილი **დიდდუმიანი ჯიშის ვერძი** საკულტო იყო, როგორც ამონის სახე (ძვ. წ. 2000)“.

ამრიგად, დიდდუმიანი ვერძი (ცხვარი მსუქანი) ეგვიპტელთა ნაყოფიერების ღვთაების ამონ-მზის განსახიერებაა. ის, რომ **ოდო** იყო მსუქანი ცხვარი, ანუ **ოდო** შეიცავდა ასევე სიმსუქნის, სირბილის მცნებასაც, დამკვიდრებულია კოლხურ მეტყველებაში.

(ქ.ე.გ.ლ.) ოდოშ-ი ნაყოფისა თუ თესლის მომწიფების ისეთი საფეხური, როდესაც ის ჯერ კიდევ რბილია, რძიანია.

(ო. ქ.) ოდოში მწიფობაში ჩამდგარი (შესული).

ოდოში მეგრული სიტყვაა და ქართულად იკითხება - **ოდოსი**, ანუ მსუქანი ვერძის დიდი დუმები **რბილია** და ნაყოფიერების ღმერთის (ამონ-რას, ტელეპინუს) მიერ ბოძებული რბილი ნაყოფი თუ თესლი **ოდოსი-აო** (ამონ-მზის-ააო, ტელეპინუს-იაო), მის დარად რბილიაო. ამ მტკიცებასვე იმეორებს მსგავსი კოლხური სიტყვა „ოდოშღერი".

(ქ.ე.გ.ლ.) ოდოშღერ-ი იგივეა, რაც ოდოში.

„ოდოშღერი" კომპოზიტია და იშლება შემდეგნაირად: **ოდოშ + ღერი**.

(ი. ყ.) ღერი... штука: თითო ღერი სანთელი.

ოდოშღერი = ოდოს ცალი = ოდოს მსგავსი = **ოდოშნერი** = ოდოსნაირი.

ოდო (> **დო**), რომ ცხვარია, ასევე ეთანხმება სიტყვა **დოლო**.

(ო.ქ.) დოლო... ნდოლო... მდელო.

დოლო = **(ო)დო** + **ლო** = **ცხვარი** + **სივრცე** (დაბლა) = ცხვრის დაბლა სივრცე ცხვრისავე საბალახო მდელოა. **ნდოლოში** თანხმოვანი **ნ** (= დედა) ხაზს უსვამს, რომ ცხვრის დაბლა სივრცე მისი მარჩენალია, საკვებია, საბალახოა. ეს მობალახე ცხვარი, რომ მსუქანია, ანუ მისი ხორცი რბილია, ეხმაურება **დოლო**-დან წარმომდგარი სიტყვა **დოლუაფა**.

(ო.ქ.) დოლუაფა... წვერიანი რისამე, მაგ., დანის, ხანჯლის, სადგისის... რბილ რამეში – ხორცში – ჩასობა, ჩარჭობა.

დოლუაფა-მ წარმოგიდგინათ ნაპატივები, გულმოდგინედ გამოკვებილი ცხვრის ხორცის ჭრის სცენა.

ოდო-ს (ცხვრის) გარეგნობაზე მიგვითითებს სახელწოდება **დუმა**.

(ქ.ე.გ.ლ.) დუმა ცხვრის ქონიანი დიდი კუდი (გაიხსენეთ ამონ-რას დიდდუმიანი ჯიშის ვერძი ჯ.კ.).

„დუმა" = **დ** + **უმა**. „**უმა**" მოქმედების გამომხატველი სუფიქსია.

დ + **უმა** = დუმა ოდო-ს (= უხვი მოსავლის, ნაყოფიერების, საკვების) **შედეგია**.

ამ ცოდნის შემდგომი განვითარებაა: **დუნდული** (ადამიანის ტანის ქვედა, უკანა ნაწილი, -- საჯდომი), **დუნდრუხა** (იგივეა, რაც დონდროხა – ჩასუქებული, ჩამრგვალებული გოგო, ქალი), **დონდლო** (დუნე, მოშვებული, ზანტი), **დუნე** (მოშვებული, დაუჭიმავი, ფომფლე).

ოდოში-ს შეცნობის შემდგომ ადვილია სახელწოდება **ოდიში**-ს შინაარსის აღქმა. ამ მიზნით გავიხსენოთ მამალი თხის მეგრული სახელწოდებანი. წარმართული კოლხურით მამალ თხას ეწოდება როგორც **ოჩი**, ასევე **ოჩო**.

(ო.ქ.) ოჩი-კოჩი, ოჩო-კოჩი ტყის კაცი; ვაც-კაცი, ანუ ის ზღაპრული არსება და ღვთაება, რომლის სხეულის ერთი ნაწილი თხისაა, მეორე კი ადამიანისას მიაგავს.

გამომდინარე კოლხური ენის ბუნებიდან, თხის ამ ორთავე სახელწოდებაში განმსაზღვრელ მნიშვნელობას წაროგვიდგენს თანხმოვანი **ჩ**, რომელიც არის ცის ხატება. მაგალითად სახელწოდება **ანჩი** = **ან** + **ჩი** = ზე + ცი(ური) = ზეციური. ასევე **ოჩი** = **ო ცი**(**ური**). ეს ცოდნაა დღესაცაა შემორჩენილი კოლხთა მეხსიერებაში.

ფორმანტი **ცა** მეგრული ენის ლექსიკის გადაქართულებული წარმართული **ჩა**-ა, მიუხედავად ამისა, ფორმანტი **ცა** მაინც ინარჩუნებს წარმართულ ცოდნას და აღნიშნავს როგორც თავად მიწის ზედა სივრცეს, ასევე თხას.

(ო. ქ.) ცა[1] ცა, ზეცა.

(ო. ქ.) ცა[2] (ცას) **თხა** (გ. ელიავა).

ოჩო-ს შემთხვევაში, **ოჩ** ასევე ნიშნავს „ო ციურო"-ს, მხოლოდ თანხმოვან **ჩ**-ს მარჯვნიდან, მიწიერების ამსახველ ხმოვან „ო"-ს დართვით, გამოისახება ამ ციურ არსებათ მიჩნეული ცხოველის მიწიერი განსახიერება.

თანხმოვან **ო**-ს ამ თვისების გამო **ტარუ** ღვთაებაა, **ტარო-ზი** დედამიწაზე არსებული ამინდია, ღვთაება ტარუზე დამოკიდებული. **ოდი** ღვთაების განზოგადოებული მცნებაა, ხოლო **ოდო** ამ ღვთაების მიწიერი განსახიერებაა.

ვინაიდან არასასურველი ამინდების შედეგად მოსავალი ავადდება გვაქვს **ოდი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ოდი 1) კუთხ. (ქიზ.) ერთგვარი ობის სოკო. 2. პურეულის ნათესების ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევა, იწვევს მცხუნვარე მზე და ცხელი ქარი (მცენარე ვერ ასწრებს გაძლიერებული აორთქლებით გამოწვეული წყლის დანაკლისის შევსებას და ჭკნება).

ამრიგად, სახელწოდება **ოჩი-კოჩი** ხაზს უსვამს ვაც-კაცის ღვთაებრივ ბუნებას, ხოლო **ოჩო-კოჩი** ვაც-კაცის მიწიერ გამოვლინებას.

აქ გვეხსნება სახელწოდება **ოჩოპინტრეს** შინაარსი.

(**ივანე ჯავახიშვილი** ტ.1 გვ.124): „ხევსურებს ეხლაც სწამთ, რომ ნადირთ თავიანთი მფარველი ღვთაება ჰყავთ, ურომლისოდაც მონადირე ნადირს ვერც მოჰკლავს და ვერც ვერაფერს ვერ დააკლებს. ხევსურები ამ ნადირთ მფარველ ღვთაებას „**ოჩოპინტე**"-ს ეძახიან... გარეკახეთში... სახელად **ოჩოპინტრე**... „ოჩოპინტრე“ საბა ორბელიანსაც ჰყავს დასახელებული, X ს-ში „ოჩოპინტრე“ საქართველოში ადამიანის საკუთარ სახელადაც ყოფილა: ტაოს განთქმულ მფლობელს დავით კურაპალატს 998 წელს... ჯარის უფროსად დაუნიშნავს გაბრიელი ოჩოპინტრეს ძე“.

გავიხსენოთ ვ. ვ. ივანოვის ცნობა: „**Телепйну (хетт.), Талипйну (хатт., «сын Тали», или «его сын**»)“.

ე. ი. ხათურად „ტალიპინუ“ = „შვილი ტალის“, ანუ „პინუ“ = „შვილი“, თუ ხეთურ „ტელეპინუ"-ს იგივე ცოდნით წავიკითხავთ, მაშინ გამოდის:

ტელეპინუ = ტელე + პინუ = ტელე(ს) + **შვილი** = შვილი ტელე-სი.

ტელეპინუ > (**ტელე** >< **პინუ**) > **პინუტელე** > (უ > 0, ლე > 0) > **პინტე**.

ოჩოპინტე = ოჩო + პინ(**უ**)**ტ**(**ელე**) **= ვაცი + ტელეპინუ**(**ს**) **= ოჩოპინტე -- პინუტელე-ს** (ტელეპინუ-ს) სახება ვაცია; ანუ მცნება **ოჩოპინტე** ავლენს უშუალო კავშირს ხეთურ კულტურასთან (ძვ. წ. II ათასწლეული).

რე მეგრულში ნიშნავს **არის** -- რაც მეტად ამყარებს ჩვენს მტკიცებას:

ოჩოპინტრე = ოჩო + პინ(**უ**)**ტ**(**ელე**) **+ რე = ვაცი + პინუტელე**(**სი**) **+ არის** = ოჩოპინტრე -- პინუტელე-ს (ტელეპინუ-ს) სახება ვაცია.

ის რომ, ამ კონკრეტულ მაგალითში ტელეპინუ ვერძის (მამალი ცხვრის) სახება იქცა ვაცის (მამალი თხის) სახებად, არ გაგიკვირდეთ. მაგალითად თხის „ოჩი"-თ წარმოებული სახელწოდება ბ+ოჩი ლაზურად ნიშნავს მამალ ცხვარს.

(**ო.ქ.**) **ბოჩი** მოფერ. მიმართვ. ბოჩი! (<**ბოჩია**). ივ. ჯავახიშვილის აზრით **ბოჩი წარმართობისდროინდელი ღვთაების** სახელი უნდა იყოს. *შდრ. ლაზ.* **ბოჩი** მამალი ცხვარი.

ეს გამოწვეულია იმით, რომ **ოჩი** (ო ციური) მიმართვაა, წოდებაა, მაგალითად, ასურეთის დიდ მეფეს, სარგონს მიმართავდნენ ფორმით: **ო სარგონ**.კოლხური შორისდებული ხმოვანის **ო**-ს მსგავსი მნიშვნელობები დამკვიდრებული იყო უძველეს ენათა ოჯახში და მათ შორის ძველ ბერძნულშიც.

w! [ო!] – (выраж. изумление, восхищение, негодование или скорбь) о!

(ო. ქ.) ო შორსდ. **ო! ბაბა, ო ბაბა!** — მამავ, ო მამავ! **ო ნანა!** – ო დედა!

ოჩი-ს შემთხვევაში სიტყვა არ გამოხატავს რომელიმე კონკრეტულ მცნებას; ანუ **ოჩი**-სთვის კონკრეტულად ვაცის ან ვერძის მცნების მინიჭება პირობითობაა.

სახელწოდება **პინტრე**-მ მოგვიანებით სამეგრელოში კნინობითი ფორმა მიიღო. **ოჩოპინტრე** პირდაპირი წარმართული გაგებით ჟღერს – „თხა პინტერე“. მოხდა ისე, რომ

წარმართულ ხანაში განებივრებულ ჩვენს თხებს ქრისტეანობის ხანის დადგომისთანავე წაერთვათ ყოველგვარი პრივილიგიები და გახდნენ დაცინივის ობიექტები. ამის შედეგია ქართული **ოჩანი** (**ოჩი** > **ოჩანი**).

(ქ.ე.გ.ლ.) ოჩანი ურჩი, ზარმაცი, ჯიუტი (პირუტყვი).

(ქ.ე.გ.ლ.) ოჩოგი კუთხ. (რაჭ.) არამარჯვე, ზანტი ადამიანი.

ოჩოგი = ოჩო + გი(მე) = თხა + დაბლა (მიწაზე).

ქართულად ადვილია თქმა – „შე თხაო“, ან რუსულად – „козелъ!“, მეგრულისთვის ეს იყო ძნელი, ვინაიდან **ოჩი** ასევე შემადგენელია სახელწოდებისა **კ+ოჩი** (კაცი) და დასაცინ ობიექტად იქცა **ოჩო პინტერე**-ს მეორე შემადგენელი **პინტერე** > **პენტერე**.

(ო.ქ.) პენტერე... ბენტერა; ჩერჩეტი, ყეყეჩი, შტერი, გამოთაყვანებული.

ეს ფორმა ქართულშიცაა დაფიქსირებული.

(ქ.ე.გ.ლ.) ოჩაპენტრე, ოჩოპენტრე იხ. ოჩოპინტრე.

წარმართული **პენტერე** > (რ > ლ, ე > ა) > **პენტელა**.

(ქ.ე.გ.ლ.) –პენტელა რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ცრუპენტელა.

წარმართული **პენტერე** > (პ > ბ, ე > ა) > **ბენტერა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ბენტერა ჩერჩეტი, ყეყეჩი, შტერი, გამოთაყვანებული.

შემდგომ ამ დაუმსახურებელი "-დან წარმოდგნენ **პენტუა** და .

(ო.ქ.) პენტუა... პენტვა...

(ო.ქ.) პეტელუა...კიკინი (თხისა).

ამ ფაქტში ახალი რელიგიის ინტერესები იკითხება, უნდა წაშლილიყო ხსოვნა ჩვენი უძველესი სახელმწიფოებრიობის ჩუმი მოწმისა – ღვთაება **ტელეპინუსი**. მაგრამ ორმოცსაუკუნოვანმა ხეთურმა **ტელეპინუ**-მ შემოსაზღვრა რა **სვანეთი, ოდიში, იმერეთი, ტაო, ქართლი, კახეთი, ხევსურეთი**, კვლავ შეგვახსენა ერთიანი კოლხეთის (საქართველოს) უძველესი სახელმწიფოებრიობა. დადგინდა შემდეგი თანმიმდევრობა:

ოჩოპინტერე > **ოჩოპინტრე** > **ოჩოპინტე** > **ოჩოპენტერე** > **პენტერე...**

ფორმები **ოჩო** და **ოჩი** გამოსახავენ ერთ და იგივე ცნებას – **ვაცის ცნებას**. იგივე მეორდება **ოდო**-სა და **ოდი**-ს შემთხვევაშიც და ამდენად მართებულია კალისტრატე სამუშიას ცნობა, რომ სახელწოდება **ოდი**-ში **ოდი**-ს (მხარე) წარმოდგება მოსავლის ღვთაება **ოდო**-ს || **ოდი**-ს სახელწოდებიდან. ჩვენი დასკვნა არავის არ უნდა მოეჩვენოს ღია კარების მტვრევად, ვინაიდან თანამედროვე მეგრულის ცოდნით **ოდო**-დან უნდა მიგვეღო **ოდო**ში და არა **ოდი**ში. ამ მცირე განსხვავებას ის მნიშვნელობა გააჩნია, რომ **ოდო**, მსგავსად **ოჩო**-სი, ცხოველის განკერძოებული, მიწიერი სახეა, ხოლო **ოდი**, მსგავსად **ოჩი**-სა, ცხოველის განზოგადოებული, ღვთაებრივი სახეებაა. კოლხური აზროვნებით, ქალი მიწაა და გარდაცვალების შემდგომ მიწაში მარხავდნენ, მიწას უბრუნებდნენ, ხოლო მამაკაცი ცას წარმოადგენდა და ამიტომაც მათ გვამებს ხეზე კიდებდნენ, ანუ ცაში კიდებდნენ, ცას უბრუნებდნენ. ხე (დიმგალ) იყო კავშირი ცასა და მიწას შორის (დურ-ან-ქი). ამრიგად მამაკაცი ცის განსახიერება გახლდათ და შესაბამისადაც ეწოდა **კოჩი** და არა **კოჩო**. კოლხურად **ოჩი** შინაარსობრივად ნიშნავს მამალ დუკოდავ თხას და სიტყვასიტყვით:

ო-ჩი = ო ციური და შესაბამისად კ-ოჩი = ძლიერი ციური (არსების შექმნილი).

ამრიგად, შუმერული **ოდო**-ს განვითარებაა კოლხური **ოდო, ოდოში** (ოდოსი), **ოდიში** (ოდისი) და ასევე:

ადიში – მთა, მწვერვალი, მყინვარი, სოფელი მესტიის რ-ნში.

ადიშჭალა – მდინარე მესტიის რ-ნში.

ოდოდია-სთან დაკავშირებით დაგვრჩა ასახსნელი მისი მეორე შემადგენელი **დია**. პირველი, რის ასოცირებასაც ეს სიტყვა მეგრულის მცოდნეში იწვევს, არის დედის

მცნება. მართალია **დია** მეგრულად ნიშნავს **დედა**-ს, მაგრამ ეს არის დედის წოდება და არა სახელი. დედის ხატს წარმართულ კოლხურში გამოსახავს თანხმოვანი ნ (ნენა). თანხმოვანი **დ**, ამ შემთხვევაში **დია** ფორმით, ნაყოფიერების ღვთაების ხატია და დედას, როგორც ნაყოფის გამჩენს და ასევე გაჩენილის მარჩენალს ეწოდა **დია**.

აქ ჩანართის სახით გაითვალისწინეთ, რომ ჩრდილოეთელთა მითოლოგიაში ნაყოფიერებისა და მშვიდობის მომმადლებელ, მშვენიერ და საყვარელ დედამიწის ქალღმერთს ეწოდებოდა **ნერთუსი** (**Nertus**) და რაც სკანდინავიურად და ძველი გერმანულით ნიშნავს -- **მარჩენალი**.

დია რომ ნაყოფიერების ღვთაებაა, მარჩენალია, ნათელყოფენ შემდეგი სიტყვები:

(ო. ქ.) დიარ-ი... ბალახობა, ძოვნა.

დიარი = **დია** + **რი** = **კვება** + **არის** = საკვები არის.

ოდიარე = **ო** + **დია** + **რე** = **სა** + **კვება** + **არის** = საბალახო, საძოვარი.

(ო. ქ.) დიარა... ქორწილი, ლხინი.

(ო. ქ.) დიარაფა... ჭმევა, დაპურება.

დიარაფა = **დიარ** + **აფა** = **კვება** + **მოქმედება** = ჭმევა, დაპურება და ავტომატურად ასოცირდება დედის მცნებასთან.

(ო. ქ.) დი || რდი || ორდი... ყოფნა.

ყოველგვარი სახის საკვები, რომელზედაც დამოკიდებულია ცოცხალ ორგანიზმთა ყოფნა, არსებობა, ნაყოფიერების ღვთაების მიერაა ბოძებული და კოლხური **დია** აღნიშნავს არა კერძოდ დედას, ქალს, არამედ გამოკვეთილად მიგვანიშნებს ვერძის, ნაყოფიერების ღვთაების ზოგად მარჩენალ ბუნებას, რომელზედაც დამოკიდებულია შენი არსებობა და **ოდო დია** იკითხება შემდეგნაირად:

ოდო დია = ვერძი მარჩენალი.

ჩვენ უკვე ძალგვიძს უძველესი კოლხური, ყოფიერების სადიდებელი ჰიმნის -- **ოდო დია**-ს („ვერძი მარჩენალი"-ს) წარმართული კოლხური ტექსტის სრული შინაარსის წაკითხვაც და ქართულად თარგმნაც. წარმოგიდგენთ ორ ვარიანტს:

ოდო დია

ოი დო კეთილი, ოდო ხვამილი,
ჩქიმი ჭირიში მინჯე დო
ჩქიმი სიკეთიში პატონი,
ოდო დო დია, ხვამილი,
ოი დო ოდო, ოდო დო დია.

1. ვერძი მარჩენალი

ოი და კეთილი, ვერძი დალოცვილი,
ჩემი ჭირის პატრონი და
ჩემი სიკეთის ბატონი,
ვერძი და მარჩენალი, დალოცვილი,
ოი და ვერძი, ვერძი და მარჩენალი.

2. ოდო მარჩენალი

ოი და კეთილი, ოდო დალოცვილი.

ჩემი ჭირის პატრონი და
ჩემი სიკეთის ბატონი,
ოდო და მარჩენალი, დალოცვილი,
ოი და ოდო, ოდო და მარჩენალი.

ოდო დია-ს შინაარსიის დადგენის შემდგომ იოლია აიხსნას სახელწოდება **დიხა**-ს (მიწი-ს) აზროვნება. სახელწოდება **დიხა**-ს სრული ფორმაა **დიახა**. გაიხსენეთ კოლხეთის ერთ-ერთი მხარის წინააზიაში გავრცელებული ისტორიული სახელწოდება -- **დიაოხი = დია + ოხი = დედა ო მიწა**(ვ) = **მარჩენალი მიწა** -- და კომპოზიტი **დია + ხა** იკითხება როგორც **დედა მიწა**, ასევე **მარჩენალი მიწა**.

ე. ი. როდესაც კოლხი თავის ნანაზე, ნენაზე ამბობს **დია ჩქიმი**, იგულისხმება: **ღვთაება ჩემი, მარჩენალი ჩემი**. აკაკის ცნობით: „ქართულად დედაკაცს „დია“ ერქვა“ და ამ ცოდნითაა შექმნილი ქართული **დიასახლისი, დიაცი** (დია + ციური), **აქვეა მამაცი** (მამა + ციური).

დია მხოლოდ კოლხური მეტყველების კუთვნილება არაა.

(**აკაკი გელოვანი** 137): „**დია** (ბერძ. მდედრ. **dia**, მამრ. **dios** – ზევსისა; ღვთაებრივი, სხივოსანი, შეუდარებელი – აფროდიტე, აქილევსი...) –1. ღმერთი, ქალღმერთი“.

(**აკაკი გელოვანი** 127): „**დეა დია** (ლათ. დეა – დეუს, ქალღმერთი; ბერძ. **დია** – დიოს ზევსი; ღვთაებრივი) ბერძნულ-ლათინური სიტყვების ეს თავისებური შერწყმა მითოლოგიაში თავისებურ გაგებას იძენს: ქალღმერთი, დიდი დედა, ქალღვთაება“.

(**აკაკი გელოვანი** 137): „**დიაუზი** (**Dyaus**) ცისა და მიწის შუქის ღმერთი ინდურ მითოლოგიაში (შეად. ბერძ. ზევსი, ლათ. დეუს – იუპიტერი, გერმ. ციო, ქართ. დავ – დევი)“.

ნათელია, რომ ინდურ სახელწოდება **დიაუზი**-ში **დია** ღვთაების მცნებას წარმოადგენს, ხოლო შუქის მცნებას თანხმოვანი **ზ** უნდა განსაზღვრავდეს, ვინაიდან შუმერულად **იზი** ნიშნავს ცეცხლს.

ე. ი. დია წოდებაა და იგი შეიძლება მიემართოს როგორც ღმერთს, ასევე ქალღმერთს. კოლხურ-ბერძნული... **დია** დამკვიდრებულია ინგლისურ მეტყველებაშიც:

dear [**დია**] – ძვირფასი; darling – საყვარელი; дорогой – ძვირფასი.

deifying – обожествевенеие, поклонение, преклонение.

თანხმოვანი **დ**-ს ლოგოგრამა, რომ ნაყოფირების ღვთაება **ოდოა** დამატებით მტკიცებულებას წარმოგვიდგენს **დოლი**.

დოლი = დ + ოლი = ძლიერი + სვლა.

(ქ.ე.გ.ლ.) დოლი საკრავი...

(ქ.ე.გ.ლ.) დოლი ბატკნის მოგების დრო (მოდის თებერვალში).

(ქ.ე.გ.ლ.) დოლი დოლის პური... ძირითადი ხორბლეული ჩვენში; თავთავი იცის ფხიანი, მარცვალი მსხვილი. პური გამოდის კარგი ღირსებისა.

ერთი სიტყვის, **დოლი**-ს სამი განსხვავებული მნიშვნელობა **ოდო**-ს (**დ**-ს) გამოვლინებებია, სვლაა. **ოდო**-ს (ტალიპინუს) ჭექა-ქუხილის ღმერთის ტარუ-ს (ტაროსის) შვილის ბუნებას, ანუ ჭექა-ქუხილის ხმას, ადამიანის მიერ შექმნილი ინსტრუმენტებიდან, მხოლოდ **დოლის** ხმა თუ შედარდება. როდესაც **დოლია**, ბატკნები (**ოდოს** ნაშიერები) ევლინებიან ქვეყნიერებას, ეს ტელეპინუ (**დ**) ბრუნდება. ასევე ტელეპინუს (**დ**-ს) სვლაა ხორბალ დოლის უხვი მოსავალი. თუ გიცქერიათ წისქვილის მრგვალი ქვის მძლავრი ტრიალის შედეგად როგორ გადმოედინება გლეხკაცის ნაამაგარი ხორბალი, სიმინდი... ფქვილის სახით, მიხვდებით რატომაც ეწოდა წისქვილის ქვას **დოლაბი** (= **დოლი** მცირე).

დ-ს (ვერძის) ერთ-ერთი აღქმა გახლავთ შემდეგი სურათი – მოედინება ცხვრის ფარა და მას წინ მოუძღვება ვერძი, ეს ხომ **დ** (ნაყოფიერება) მოედინება, ანუ ვერძი იწვევს სვლის, დინების, გზის ასოცირებასაც და თანხმოვანი **დ**, მრავალ ენათა მეტყველებაში, ასევე მოძრაობას, დინებას გამოსახავს. მეგრულ-ლაზურში ამის მაგალითებია:

„**ტყა იდგ, ვე იდგ, რზენი იდგ** – ტყე იარა, ველი იარა, დაბლობი იარა – (ი. **ყიფშ.** გვ. 23) .

(ო.ქ.) **დოლინუა**... დავლა, შემოტარება, დათვალიერება, გაჩხრეკა (საწყისში აქ ცხვრის დოლი-ს დროს მეცხვარის, მეჯოგის მოვალეობის შესრულება, მოქმედებები იგულისხმებოდა **ჯ.კ**).

(ო.ქ.) **დინულა**... ჩასვლა.

(ო.ქ.) **დინაფა**... დაკარგვა.

(ო.ქ.) **დინარე**... მდინარე.

მსგავსია ბერძნული **დინე**:

dine – кружение, вращение, водоворот.

დ-ს, როგორც მოძრაობის თვისების მატარებლის ცოდნიდან შეიქმნა ქართულში: ა-**დი**; გა-**დი**; წა-**დი**; ჩა-**დი**... და ცხვრის ფარის სვლის ტემპს წარმოგვიდგენს **მდორე**.

(ქ.ე.გ.ლ.) **მდორე** ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარე (წყალი).

ოდო ბერძნულად არის გზა, რაც თავისთავად გულისხმობს მოძრაობას. ასევე რუსული **дорога, иди.** აქ შეიძლება მოვიძიოთ მეგრული და რუსული სიტყვების როგორც კონსტრუქციის, ასვე შინაარსების დამთხვევის საინტერესო მაგალითები და რისი ახსნაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მტკიცებითაა შესაძლებელი.

მეგრ. **იდი** = იარე (წახვედი) // რუს. **иди** = წადი.

მეგრ. **იდუ** = იარა (წავიდა) // რუს. **иду** = მივდივარ.

ჩინურად ჩო **დო** = ჩაის გზა, ასევე ინგლისურად **door** აღნიშნავს გზას...

ოდო კავშირია ღვთაებათა და ადამიანთა შორის და ამდენად **დო** კავშირის ფორმაცაა.

(ო.ქ.) **დო** 1. მაერთებელი (მაჯგუფებელი) კავშირი... ქართული და-ს ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტი.

(ო.ქ.) **დო** მარტივი ზმნისწინი. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას ზევიდან ქვევით.

ქართული ენის შემქმნელი კოლხი მამები სრულყოფილად ფლობდნენ თანხმოვან დ-ს ბუნების ცოდნას, ამდენად ქართულშიც **დ** -- **დი-დია, დია-დია, დია-დე-მაა, დი-დე-ბაა**,... და ასევე **და**-მანგრეველია, **და**-მღუპველია... ანუ **და**-მწყები და **და**-მამთავრებელია – **და**-იწყო და **და**-მთავრ-**და**, **და**-ლაგ-**და**, **და**-მშვიდ-**და**. -- **Миф о Телепйну...об исчезающем и возвращающемся божестве плодородия)** – „**ადრეკილაი წაგვივიდა და მოგვივიდა**“, იგივეა ამონ-მზის არსი (ჩავა და ამოვა).

(**აკაკი გელოვანი** 49): „**ამონი, ამონ-რე, ამონ-რა, ამანა, ამუნი** (Ammon, Amun – „დამალული“) -- ძველეგვიპტური ღვთაება, ფარაონთა და ღმერთების მეფე, მათი ძლიერების სიმბოლო... ამონი ეგვიპტელთა მზისდარი ღმერთია, ნაყოფიერებისა, და ძვ. წ. XVI საუკუნიდან, თებეს ძლიერების ზეგავლენით, კიდევაც შეესისლხორცა, ეგვიპტის ერთიან უზეანეს ღვთაებად იქცა ამონ-რას სახელწოდებით (ამონ-მზე)...

საბერძნეთში ამონის კულტი ფრიად ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა და იქცა „ამონ-ზევსად`, ამის ანალოგიურად კი რომშიც – ამონ-იუპიტერად. რაკი თავიდანვე, თებეშიც, **მის სიმბოლოს ვერძი წარმოადგენდა**, ამონის გამოსახულებას ზევსის ტანსა და **ვერძის თავს** უკეთებდნენ“.

ამრიგად, თანხმოვანი **დ** გამოსახავს ნაყოფიერების ღვთაება **ოდო**-ს (ამონ-რა-ს, ტელეპინუ-ს) და მისი ხატება ვერძია -- შუმერული UDU SE ცხვარი მსუქანი.

(**კარლო თოფურია** „აია“ 1998 წ. №1 32); ,,მოტანილ მასალას შეუდარეთ მითი არგონავტების შესახებ, კოლხეთი, აიეტი, წმ. მუხის ხე – „ჭყონდიდი“... და ამ ჭყონდიდზე დაკიდებული „ოქროს ვერძი“, რომელსაც იცავს ურჩხული... ოქროს ვერძთან ნაყოფიერების ღვთაება ტელეპინუსადმი მიძღვნილი ჰიმნი უნდა ყოფილიყო დღემდე მეგრელ-ლაზებში შემონახული, საიდუმლოებით მოცული „ოდოდია“, რომელმაც სადღეისოდ გადაიბერტყა ბუნდოვანება და მთელი სისავსით წარმოსდგა, როგორც ძველი აღმოსავლეთის ხელოვნების უნიკალური ძეგლი, რომელიც ისევე ძველია როგორც კაცობრიობის ისტორია და ისევე უკვდავია, როგორც ქართული სული“.

ჯა

შუმერთა ხედვით ხე იყო იგივე **დურ-ან-ქი** (კავშირი ცისა და მიწისა).

(**ზურაბ კიკნაძე** 129): „შუმერულ-აქადურ თქმულებებში კოსმიური ხის გამოჩენას წინ უსწრებს ცისა და მიწის განწვალების აქტი, უნივერსუმის დაყოფა ვერტიკალურ სკნელებად: „ოდეს ცა მიწას განეშორა, ხმელეთი მიწას განეწვალა, ოდეს კაცთა მოდგმის სახელი დამკვიდრდა, ოდეს ანმა ცა წაიღო, ენლილმა მიწა წაიღო, ერეშქიგალმა ქვესკნელი ძღვნად მიიღო... მას ჟამსა შინა ხე ერთი... წმინდა ბურანუნას პირას დარგულიყო, ბურანუნას წყალი არწყულებდა...“ შემდგომ პასაჟში იკვეთება... ხის სიმბოლური სახე – მის მთელს სიმაღლეზე ფესვებიდან მწვერვალამდე კოსმოსის სამი სკნელი: „მის ფესვებში მოუნუსხველმა გველმა დაიბუდა, მის რტოებში ფრთოსანმა იმდუგუდმა ბარტყები დაასხა, მის შუაგულში ქალწულმა ლილამ ბინა მოაწყო“. გველი – ქვესკნელი, ფრთოსანი – ცა, ხოლო კაცებრივი არსი სახელად „ქალწული ლილა“, ანუ „ქალწული ჰაერი“, რომელიც თავისი მნიშვნელობით უკავშირდება ენლილის („ჰაერის უფალი“) სახელს – შუასკნელია ანუ კაცთა სამყოფელი...

არის კიდევ მითოსური ხე... იგი ბუმბერაზივით დგას... მწვერვალზე, მთელს ქვეყნიერებაზე აფენს თავის ჩრდილს, ხოლო „ფესვები მისი გიგანტური გველივით განრთხმულა უთუს შვიდტოტიან მდინარეში“... ამ შუამდინარული მითოსური ხეების ანალოგიურია სკანდინავური მითოლოგიის იგგდრასილი, მარადმწვანე იფანი, რომლის ჩრდილი აგრეთვე მთელს სამყაროს აფენია, ხოლო ვერტიკალზე ფესვითა და მწვერვალით ორ სკნელს აღწევს, რის ნიშნადაც ფესვებში გველი... მოკალათებულა, წვეროკინზე ოქროს მამალი ან არწივი ზის“.

გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ტელეპინუსათვის აღმართული ,,სამყაროს ხე" (**GISeja**), რომელზედაც ჩამოჰკიდებენ ,,ვერძის“ (ყოჩის, ერკემლის, ცხვრის) ტყავს. სამყაროს ხეს ეწოდება **GISe-ja** (ჯისე-ჯა). კოლხურად **ja** (ჯა) ნიშნავს ,,ხე“-ს და არა მარტო კოლხურად.

(**ლადო ალფენიძე** 96): „ოსირისის საკულტო ფეტიში – „ჯედ“ („ჯად“) იყო ხის ბოძი, სვეტი... „ჯედ“ („ჯად“) - უკავშირდება კოლხურ სიტყვას „ჯა“, რაც „ხეს“ ნიშნავს... სანსკრიტულ ენაზე „ჯაია“ ჰქვია „ნატვრის ხეს“... საოცარი თანხვედრაა კოლხურსა, ეგვიპტურსა და სანსკრიტულს შორის“.

(**ლადო ალფენიძე** 98): „ოსირისი საერთო ნაყოფიერების, მათ შორის მიწის ნაყოფიერების ღმერთიც იყო. არსებობდა ძველეგვიპტური რიტუალი: აკეთებდნენ „ხის

მუმია"-ს დ ამ ხის მუმიას ავსებდნენ მიწით და მარცვლით (თესლით), ოსირისის ხის მუმიის ფიცრებს გახვრეტდნენ და ამ ნახვრეტიდან ამოდიოდა ჯეჯილი. ამ მისტერიის არსი ასეთი იყო: ოსირისი არის მიწაც და თესლიც, რომელიც კვებავს ეგვიპტეს, აცოცხლებს ბუნებას და ა.შ.“.

,,აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი – ხე სიცოცხლისა და ხე – კეთილისა და ბოროტის შეცნობისა“.

(**ანანია ჯაფარიძე** 12): „ბაბილონურ ლურსმულ ტექსტში იხსენიება „ხე ცხოვრებისა“, წარღვნის შემდეგ „მარდუქი ამბობს – „ქარვის ხეს, მესს ადგილი შევუცვალე, რომ ვერავის ეპოვნა“... ნაპოვნია ერთი ასურულ-ბაბილონური ბარელიეფი, რომელზედაც გამოსახულია ტოტებგაშლილი ხე, ქვედა ტოტზე ორი დიდი ნაყოფი ჰკიდია, ხის აქეთ-იქით მოთავსებულია ადამიანის ორი ფიგურა, ქალი და კაცი, ხელი ნაყოფისაკენ აქვთ გაწვდილი, მათ უკან გველი მოჩანს („ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“. 1994 წ.)“.

ბიბლიური ადამისა და ევას წინარე სახება, რომელიც გამოსახავს ხეს (ნაყოფით), გველს, მამაკაცსა და ქალს. ხისა და ნაყოფის კოლხური სახელწოდება **უშქური**-თ (= ვაშლი) იკითხება კვალი იმ წინარე შუმერული მითოლოგიური თემის ცოდნისა, საიდანაც წარმოდგა ადამისა და ევას ბიბლიური ვარიანტი.

(**აკაკი გელოვანი** 235): „**იშკური, იშქური** – შუმერთა ჭექა-ქუხილის ღმერთი „შუმერთა ზევსი“, „შვიდი ცეცხლოვანი ქარიშხლის გამგებელი“, ბაბილონელთა ადადი; როგორც ამინდისა და მიწის ნაყოფიერების ღმერთი, შესაძლოა ეტიმოლოგიურად ხსნიდეს ქართ. სიტყვას ვაშლი (მეგრ. **უშქური**, სვ. ვისგ)“.

ძვ.წ, II ათასწლეულის წერილობით წყაროებში არაერთგზისაა მოხსენიებული **hashuru** (ვაშლის ხე) **უშქური** (**ნანა ხაზარაძე**).

(**ი. ყ.**) **უშქური** яблоко, **დიხაშ-უშქური** земляная груша (букв. земляное яблоко).

სრულიად შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ ასურულ-ბაბილონურ ბარიელიეფზე გამოსახული ტოტებგაშლილი ხე შუმერთა მიწის ნაყოფიერების ღმერთის, **იშქური**-ს სიმბოლოს წარმოადგენდა, რომლის, მოკვდავთავთის აკრძალული, ნაყოფის **იშქური || უშქურის** მოწყვეტასაც ცდილობენ ქალი და კაცი. აკრძალული ხილის თემა რომ უცხო არ იყო შუმერული მითოლოგიისთვის, ეს ჩვენ უკვე გაგვაცნო სემიუელ კრამერმა:

„ბაღში, დიდმა დედა-ქალღმერთმა ნინხურსანგამ (შესაძლოა, თავდაპირველად ის იყო მიწის დედა) (**იშქური**-ც ასევე მიწის ნაყოფიერების ღვთაებაა) რვა მცენარე ახარა... ენქიმ ნინხურსანგას ნერგების გემოს გასინჯვა ინება. ამ მიზნით გაგზავნა ორსახა ღმერთი ისიმუდი, რომელმაც ძვირფას ნარგავებს ყლორტები დააგლიჯა და თავის ბატონს მიართვა. იმანაც დაუყონებლივ, ერთიც არ დაუტოვებია, ისე შეჭამა. განრისხებულმა ნინხურსანგამ სასიკვდილოდ დაწყევლა ენქი... ენქი ავად გახდა... თვით ჰაერის ღმერთი ენლილიც კი, ღმერთების მეფე, ვერაფერს გახდა“.

თავად წარმართული კოლხური ტერმინი ხილი = მოწიფული ნაყოფი, ასევე შუმერული წარმომავლობისაა:

(**ზურაბ კიკნაძე** 264): „ინანას მადლი – როცა დრო მოაწევს -- ამწიფებს ადამიანში სქესს, ნაყოფიერების ძალას, ადამიანი შეჰყავს მოწიფულობის ასაკში. ამ მადლს შუმერულ ენაზე ეწოდება **ხილი**“.

(**აკაკი გელოვანი** 557): „**ხის კულტი** – უხსოვარი წარსულის უდავო დამახასიათებელი ნიშანია მრავალ ხალხში. ადამიანი თაყვანს სცემდა ან უბრალოდ მოწიწებით ექცეოდა... ცნობილია შუმერულ ბაბილონური სიცოცხლის ხე, ბიბლიური

სამოთხის (ედემის) სიბრძნის ხე და სკანდინავიური ხე – იფანი იგდრასილი. ამ ხეზე ჩამოიხრჩო თავი დიდმა ღმერთმა ოდინმა, რათა რუნების სიბრძნეს ჩასწვდომოდა... ეგვიპტეში, სადაც პაპანაქება სიცხეში მზე აცხუნებდა, თაყვანს სცემდნენ დიდ ხშირფოთლებიან ხეებს. თუ ხე სასაფლაოსთან იდგა, მის ტოტებზე სხდებოდნენ სულები და ხის ქალღმერთისაგან იღებდნენ საჭმელ-სასმელს... იდოეთშიც, ინდის ხეობაში, ბუდას და შივას მიმდევრებს შორის ძლიერ გავრცელებული იყო ხის კულტი. თაყვანს სცემდნენ ლეღვის ხეს, ფიკუს ინდიკას, ფიკუს რელიგიოზას, რომელზედაც ღმერთები სხდებოდნენ. მათი ხელყოფა არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი ხე სულიერად, წმინდანად ითვლებოდა... საკურთხევლის ხეს ჩინეთში კაცი ვერ მოჭრიდა. სიცოცხლის ხე ძველ აღმოსავლეთში თაყვანისცემის საგანი იყო და ეს აისახა რელიგიებშიც“.

აღსანიშნავია, რომ მაის ტომსაც გააჩნდა **древо жизни**, იგივე **GISeja**.

ქართული ენის შემქნელმა ქრისტეანე მამებმა დაიწუნეს ეგვიპტურ-შუმერულ-ხეთურ-არაბულ-სანსკრიტულ-კოლხურ... სამყაროს ხის სახელწოდება **ϰა** და წარმართული კოლხური **ხე**-ს გავლენით, შექმნეს ქრისტეანული კოლხური **ხე** (მიწის სიკეთე). წარმართული კოლხურით, გამომდინარე **ხ**-ს, მიწის მდედრი ბუნებიდან, **ხე** ქალის სქესს აღნიშნავს და გამოიყენება გვარებში ქალთა სქესის აღსანიშნავად, მაგალითად: დადია (მამაკაცია) – დადი**ხე** (ქალია).

GISeja [ϰისეϰა] შუმერთათვის წარმოადგენდა **სამყაროს ხე**-ს და შუმერულ-ეგვიპტური **ϰა** (ხე) კოლხურში სიკეთის, სიკარგის სიმბოლოა.

დღეს მხოლოდ ყალიბდება მცნება **ვიდეოეკოლოგია**, ანუ ყურადღება ექცევა ადამიანის არსებობისთვის გარე სამყაროს ხედვითი აღქმის მნიშვნელობას; ანუ ხეებით, ბუჩქებით შემოსილი პეიზაჟები თუ რაოდენ დადებით გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქიკაზე. ეს აღიარებაა მცენარეული საფარის ოდითგან ერთერთ უმნიშვნელოვანეს როლზე ადამიანთა არსებობაში. სადღეისოდ ითვლება, რომ ადამიანი წარმოიშვა სუბტროპიკულ ზონაში და ამდენად ადამიანი ასეთ გარემოში გენეტიკურად კარგად გრძნობს თავს.

ეს გახლავთ ახსნა იმისა თუ რატომ თვლიდნენ მსოფლიოს საწყისი ცივილიზაციები ხეს დედამიწის ცენტრად, სამოთხის ხეთ, სიბრძნის ხეთ. ამ არსებულ რეალობას სრულად ასახავს წარმართული კოლხური **ϰგირი** (= ხე მიწაზე მუდამ).

ϰგირი = **ϰ** + **გ**(იმე) + **ირი** = **ხე** + **დაბლა** (მიწაზე) + **მუდამ** = **კარგი**; ანუ სიკარგე, სიმშვენიერე, სიუხვე ეს მიწაზე აღმოცენებული ხეა.

,,აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე სანახავად საამო“.

ϰგირი-ს საწინააღმდეგოა იუმორით შეკმაზული **ϰგიმინი**.

(ო. ქ.) ϰგიმინი, ϰგიმუა ϰგიმვა, ჭიმვა, ბღენძვა.

ϰგიმინი = **ϰ**(ა) + **გი**(მე) + **მინი** (ღვთაება) = **ხე** + **დაბლა** (მიწაზე) + **ღვთაება მინი**(-ს სიმბოლო -- დაძაბული ფალოსი) = დაძაბული ფალოსის მდგომარეობაში მყოფი (გახევებული) = ϰგიმვა, ჭიმვა, ბღენძვა...

ცხადია, წარმართ. **ϰგიმუა** > (უა > ვა) > **ქართ. ϰგიმვა**.

თანხმოვანი **ϰ**-ს ლოგოგრამა ხეა და მწვანე საფარის სხვა მცნებებსაც გამოსახავს.

(ქ.ე.გ.ლ.) ნამϰა 1. მომკილი პურის (ქერის, ჭვავის) ღეროები.

(ქ.ე.გ.ლ.) ნაბϰა კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც ნაწვერალი. „მოუთიბავთ და ნაბϰა ფეხს მიკაწრის".

(ქ.ე.გ.ლ.) თაϰა კუთხ. (ϰავახ.) „ახალი გამომცხვარი პური“.

(ქ.ე.გ.ლ.) თარϰი კუთხ. (იმერ. გურ.) ნაჭდევი ხეზე საზღვრის ნიშნად.

(ქ.ე.გ.ლ.) ვარϰი 1. ძვ. „კაცთ ქოჩორი (გინა ხეთ მშვენიერი რტო" (საბა). 2. ხის განშტოებული ნაწილი პირველი ტოტებიდან კენწერომდე, -- ხის ქოჩორი.

ვარჯი-სთან გახსენდება **ავეჯი**, რომელიც დღესაც ძირითადად ხისგან მზადდება.

(ქ.ე.გ.ლ.) **იონჯა** ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლეჯა** წენგოს ნაპობი (საბა), -- კაკალს გაცლილი წენგო.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯეჯილ**-ი პურეულის (ხორბლის, ქერის...) აღმონაცენი (თავთავის დასხმამდე).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯინჯილი** ქერის პური.

ე. ი. არამარტო ხე, არამედ ხორბლის, ქერის, ჭვავის, იონჯას... ღეროებიც **ჯა**-ს (ხის) მცნებით გამოისახა. ამან კი უნდა მიგვახვედროს, რომ კოლხები მარტო ხეს კი არა, არამედ ხის სახით, საერთოდ ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა მარჩენალ მცენარეულ სამყაროს მიაგებდნენ პატივს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლაჯა** კუთხ. (რაჭ. ლეჩხ.) მარხილზე ტვირთის დასამაგრებელი წნელი.

(ს. ს.) **ბრჯა** (ბრჯა და მჯა) ერთბაშად ძნეულად მდგარი. ნ. ზჯნი.

(ს. ს.) **მჯა** (ბალ.) **ბრჯა**. ზვინი.

(ს. ს.) ზვინი განმრავლებული, გინა **ბრჯა** მდგარი, ანუ ძნა და თივა, სელი, ცერცვი და მისთანანი.

ამრიგად, **ბრჯა, მჯა** ანუ იგივე ძნა, ან ზვინი ესაა მრავალი (ბევრი) მცენარეული (ხორბლის, ქერის, ჭვავის, სელის...) ღეროებისაგან, **ჯა**-საგან შეკრული კონა; ამ ცოდნას გადმოგვცემს **ბრჯა**.

ბრჯა = **ბრ**(ელი) + **ჯა** = ბევრი ხე (ღეროები) -- იგივე ზვინი, იგივე ძნა.

(ქ.ე.გ.ლ.) **გეჯა** – მოკლე მორი, რომელსაც გული ამოთლილი აქვს და იხმარება ცხოველებისათვის წყლის ან საჭმლის ჩასახმელად, სარეცხის გასარეცხად, სკად და სხვა.

გეჯა = **გე** + **ჯა** = **მიწის ზედაპირი** + **ხე** = მიწაზე ხის საგანი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ქრიჯა** კუთხ. (ფშ.) კოვზის მსგავსი ხელსაწყო ფქვილისა და მისთ. ამოსაღებად.

ცხადია **ქრიჯა** ხისაგან მზადდებოდა.

(ო. ქ.) **ჯაგა** ეძახიან ხარს, კამეჩს (ი.ყიფშ.). **ჰოი, ჩქიმი ჯაგა, ჩქიმი ჩელა!** – ჰოი, ჩემო ჯაგავ, ჩემო ჩელავ! იტყვიან ადამიანზედაც: **ჩქიმი ჯაგა ბოში** – ჩემი ჯაგა ბიჭი, -- აღნიშნავს ძლიერს, მძლავრს.

ჯაგა ეგვიპტურ-შუმერული კომპოზიტია:

ჯაგა = **ჯა** + **გა** = **ხე** + **მთა** (ფორმა) = ხესავით ძლიერი სხეული.

ხარის, კამეჩის ძლიერი ფორმა მთის მცნებასთანაა გაიგივებული, ხოლო მათი მძლავრი მოძრაობა ხის მცნებით გადმოიცა.

ჩემი თაობის წარმომადგენლებს ახსოვთ ინდური ფილმი „ავარა", რომლის უარყოფით გმირსაც **ჯაგა** ეწოდებოდა – კოლხური და ინდური **ჯაგა** ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი სახელწოდებებია.

(ო. ქ.) **ჯაგუა** იგივეა, რაც **ძაგუა**, -- ძეგვა; ჩლუნგი, უფხო თოხით თოხნა; ჯაგის გაჭრა.

(ო. ქ.) **ჯაგი** ძეძვი; ჯაგნარი; ეკლიანი ჩირგვი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯეგი** გაუვალი ტყე.

(ს. ს.) **ჯაგი** (ხე) წვრილი ჩირგვი.

ჯაგი = **ჯა** + **გი**(მე) = **ხე დაბლა** (დაბალი) = ჩირგვი.

(ს. ს.) **ჯაგანი** წკეპლი თევზთა და ხილთ ასასხმელი.

ჯაგანი = **ჯა** + **გა** + **ნი** = **ხე** + **ძლიერი ფორმა** + **დედა** (სასურველი) = ძლიერი სასურველი წკეპლა (ხის ტოტი). ამ შემთხვევაში **ჯა** გამოსახავს წკეპლის წარმომავლობას (ხის ტოტს), გა წკეპლის ძლიერ თვისებას, სიმტკიცეს (მასზე თევზი ან ხილი უნდა აისხას და შესაბამის დატვირთვას უნდა გაუძლოს), ხოლო თანხმოვანი ნ

მეთევზის ან მებაღის სურვილს, აასხას წკეპლაზე მისთვის სასურველი თევზები ან ხილი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯაგარ-ი ღორის ქეჩოსა და ზურგზე ამოსული უხეში ბალანი.

ჯაგარი = ჯა + გა + რი = ხე (ტყე) + მთა + არის.

როგორც მომკილი პურეულის (ხორბლის, ქერი, ჭვავის..) ღეროები გამოისახა ფორმით ჯა, ასევე ღორის უხეში საფარველი ტყის მცენებას შედარდა და გამოისახა იგივე ფორმით **ჯა**. გა, ღორის შემთხვევაში, გამოსახავს ღორის ქეჩოსა და ზურგის ქედისებრ, მთის ფორმისებრ მოყვანილობას.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯარგვალი მრგვალი გაუთლელი ხეებისაგან აშენებული (შენობა).

(ო. ქ.) რგვალი მრგვალი.

ჯარგვალი = ჯა + რგვალი = ხე + მრგვალი > გვარები ჯარგვალაძე, ჯარგვაძე.

გარეჯა მთა თიანეთისა და ახმეტის რ-ნების საზღვარზე, კახეთის ქედზე.

გარეჯა = გა + რე + ჯა = მთა + არის + ხე (ტყე).

ჩვენი მტკიცების სრული დასტურია ქედის რაიონში სოფლის სახელწოდება:

გარეტყე = გა + რე + ტყე = მთა + არის + ტყე = ტყიანი მთა.

აქ ჩანართის სახით მოგახსენებთ, რომ **გარეჯა**-სა და **გარეტყე**-ს საერთო შუმერულ-ეგვიპტურ-კოლხური ფორმა **გარე**-დან ქართულში შემდეგი სიტყვები წარმოიქმნენ: **გარე, გარეგანი, გარე-გარე, გარეგნობა, გარეთა, გარემო, გარეული, გარშემო**... და ზმნისწინი **გა**, ანუ ამ სიტყვებში მცენება **გა** (მთა) ობიექტიდან დაშორებულ სივრცეს განსაზღვრავს.

გარემო-ს ეხმიანება **მიდამო**, რომლის ფუძე მნიშვნელობას წარმოგვიდგენს წარმართული რთული ზმნისწინი **მიდა**, ხოლო ორივე სიტყვაში მარტივი წარმართული ზმნისწინი **მო** აკონკრეტებს მიმდებარე სივრცეს.

(ო. ქ.) მიდა რთული ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას იქით... შეიძლება გადმოიცეს ქართული გა-, წა[რ]- ზმნისწინებით.

(ო. ქ.) მო მარტივი ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას აქეთ.

ამრიგად, **გარე-მო** მიგვითითებს ვრცელ სივრცეს მთამდე (ჰორიზონტამდე) და აქეთ; შესაბამისად მარტივი ზმნისწინი **გა** აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით, ხოლო **მიდა-მო** წარმოგვიდგენს შედარებით მცირე სივრცეს იმ ობიექტამდე და აქეთ; შესაბამისად მარტივი ზმნისწინი **მი** ასევე აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით. **გარემო** და **მიდამო** აკონკრეტებენ სივრცეს იქიდან აქამდის.

დავუბრუნდეთ ძირითად თემას და მიმოვიხილოთ **ჯა**-თი შემდგარი ტოპონიმები.

ჯავა -- დაბა, რაიონის ცენტრი; **ჯავახეთი** – მხარე სამხრეთ საქართველოში; **ჯავახი** – სოფელი დმანისის რ-ნში; **ჯავახიანთკარი** – სოფელი დუშეთის რ-ნში; **ნაჯავახო** – სოფელი მარტვილის რ-ში; **საჯავახო** – სოფელი სამტრედიის რ-ნში; **საჯა** – სოფელი დმანისის რ-ნში, გვარები: **ჯავახია, ჯავახიშვილი**.

ჯავა = ჯა + ვა = ხე + შედეგი (წარმონაქმნი) = ტყიანი (მხარე).

ჯავახი = ჯა + ვა + ხი = ხე + შედეგი (მოქმედება) + **მიწა** = ტყიანი მიწა (ხალხური გადმოცემით, ჯავახეთის ტყეები შვიდ წელიწადს იწვოდა).

ჯგალი – სოფელი წალენჯიხის რ-ნში.

ჯგალი = ჯ(ა) + **გა + ლი = ხე + მთა + სივრცე** = ტყიანი და მთიანი სივრცე.

ჯარი = ჯა (ტყე) + **არი** = ტყე (მრავალი ხე) || (ტყესავით) მრავალი ადამიანი.

(ო. ქ.) ჯარი 1. ჯავრი, დარდი. 2. ჟინი, ჯინი, ჯიბრი. 3. შეკრებილობა, ჯარი (ძვ.) – სოფელში გარკვეულ ადგილას იცოდნენ თავის შეყრა საღამოხანს, ეწყობოდა გართობა, -- სიმღერა, ცეკვა-თამაში. 4. ჯარი.

(ს. ს.) საჯავრო

(ს. ს.) **საჯარო** ჯარისათვის.

(ს. ს.) **საჯაროდ** საცნაურად.

(ს. ს.) **საჯერო დასაჯერებელი.**

აქ ნათლად იკითხება თუ როგორ წარმოიქმნენ წარმართული კოლხური ფუძე **ჯარი**-დან შემდეგი ქართული სიტყვები:

ჯარი > **საჯარო** > **საჯაროდ** > **საჯერო** > **და-საჯერ-ებელი** > **დაუ-ჯერ-ებელი** > **მ-ჯერ-ა...**

ჯარი > **საჯარო** > **საჯაროდ** > **საჯ** > **მ-საჯ-ული** > **მ-საჯ-ი** > **მ-საჯ-ულობს** > **სჯ-ის** > **და-სჯ-ა** > **სა-სჯ-ელი** > **გან-სჯ-ა** > **მ-სჯ-ელობა** > **სჯ-ული...**

იგივეს ავლენს საბა.

(ს. ს.) [**საჯ** ნ. **განსჯა, განშჯა, დასჯა, დაშჯა, ესჯოდეს, ეუშჯულოვა, ვმსაჯულობ, ვშჯი, ვშჯიდი, მოსაჯული, მსაჯული, მსჯავრი, რჩული, რჯული, სარჯელი, სარჯულო, სასჯული, საშჯელი, საშჯულო, სჯა, სჯი, სჯული, უგანმსჯელობითესად, ურჩული, შეშჯა, შჯა, შჯადი, შჯიდა, შჯულვილნი, შჯული, წინამოსაჯული**]

ცხადია მცნებებს **ჯავრი, ჯინი, ჯიბრი** ხის ხისტი ბუნება განსაზღვრავს. აქვეა **ჯოხი**.

სულხან-საბა ორბელიანის ცნობით ქართულ **ჯომლი**-ს (მრავალვარსკვლავი, მრავალსასანთლე) ჰაიკთა მეტყველებაში შეესაბამება **ჯარ, ჯარრ**, ანუ ჰაიკთა მეტყველებაში სიტყვა **ჯარი** იგივე კოლხური მრავლის ამღნიშვნელის მნიშვნელობითაა დაფუძნებული.

ხის მშვენიერების აღქმა ადამიანებზედაც ვრცელდებოდა.

ჯაბუა = **ჯა** + **ბ**(ა) + **უა** = **ხე** + **მცირე** + **შედეგი** = ნერგი, ამონაყარი.

(ო. ქ.) **ბაჯა** პირი, რომლისთვის დამახასიათებელია ჩუმად ყოფნა ან რაიმე საქმის ჩუმად კეთება.

ბაჯა = **ბა** + **ჯა** = **პატარა** + **ხე** = იგულისხმება ადამიანი რომელიც ხესავით თავისთვის არსებობს და სხვებს არ აწუხებს.

(ო. ქ.) **ბაჯალი** 1. ჩუმად და უსიტყვოდ სიარული ან რაიმე საქმის კეთება.

აქედანაა ქართული ბაჯბაჯი და იგივე ხის, ნჯა-ს სიმშვიდეს წარმოგვიდგენს ჰარმონიული წყვილი ნჯ სიტყვაში დინჯი.

ჯაბა = **ჯა** + **ბა** = **ხე პატარა** = იგულისხმება მზარდი ხის სიმშვენირე.

ჯაბადარი = ჯა + ბა + დარი = მცირე ხის დარი.

ჯაბადარი ქართული ენის საკუთრებაცაა, ვინაიდან იგივე კონსტრუქციის, მხოლოდ განსხვავებული შინაარსის სიტყვა თურქთა და სპარსთა ლექსიკის მკვიდრია.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯაბადარი** [თურქ.-სპარ. **ჯაბადარ**] ძვ. ჯავშან-საჭურვლის მნე, ჯაბახანის გამგე.

ჯახუტა-შვილი = **ჯა** + **ხუტ**(ოლაფ)ა = ხე [ჩასა]ხუტებელი.

ჯაავა = ხის წარმონაქმნი.

ჯაიანი = **ჯა** + **ია** + **ნი** = **ხე** + **პატარა** + **დედის.**

ჯანელი-ძე = **ჯა** + **ნე** + **ლი** = **ხე** + **ტკბილი** + **სხეული** = ხის (მსგავსად) სასურველი სხეული.

ჯანაში(ა) = **ჯა** + **ნაში** = **ხე** + **დედასი.**

მსგავსი შინაარსების ქრისტეანული გვარებია:

გეგეში(ძე) = **გეგესი** = **წმინდა გიორგის (კუთვნილი).**

გეგეჭკორი = **გეგე** + **ჭკორი** (= **მონა**) = **წმინდა გიორგის მონა.**

ჯაში = **ხის** (მსახური, კუთვნილი).

(ი. ყ.) ჯ || ნჯ: ჯამა, ნჯამა... отворять, открывать... **მანჯინე** могу открывать ... **თოლქ ვა გაანჯინგ (გაანჯგ) он не смог открыть глаза.**

(ს. ს.) სარკმელი სახლთ სასინათლო გარდასაჭვრეტი... არმარი არს სარკმელი კარებიანი, რომელსა ვიეთნი **განჯინად** სახელ-სდებენ.

(ქ.ე.გ.ლ.) **განჯინა** კედელში დატანებული კარადა.

ნათლად იკითხება, რომ „სახლთ სასინათლო გარდასაჭვრეტიდან", ანუ მცირე ზომის სარკმელიდან ისევე შეიძლებოდა გარემოს ჭვრეტა, როგორც გახილული (გაღებული) თვალებიდან. ანუ სარკმელი ოთახის „გახილული თვალია", გასახედია და თავდაპირველად სარკმელს, რომელიც ასევე თვალის მსგავსად იღება და იკეტება, ეწოდა **გაანჯინი** > **განჯინა,** ხოლო შედგომ ეს სახელწოდება განივრცო ასევე კედელში ჩატანებულ კარადაზეც, რომელიც გარედან ძირითადად კარებს (отворять, открывать) წარმოადგენს და ამიტომაც ეწოდება კარადა.

წარმართული **ნჯამა** > **ჯამა**-დან ქართულში შედგა **ჯმა** ნაცვლად წარმართული **ძგუმა**-სი.

(ს. ს.) **ჯმა** კაცთაგან მოსკორვა

(ს. ს.). **სკორე** განავალი.

ცხოველებისაგან განსხვავებით, ფეხზე მდგარ ადამიანს უჭირს განთავისუფლდეს სხეულში დაგროვილი საკვების გადამუშავებული მასისაგან; ამდენად ის იძულებულია ამ პროცესის შესასრულებლად ჩაჯდეს; ამ მდგომარეობში მისი სხეულის შესაბამისი მცირე დასაცლელი ნაწილი „იღება“, ხოლო გაღებას მეგრულად **ჯამა** ეწოდება.

(ო. ქ.) **ნჯამა** იგივე, რაც **ჯამა**, -- გაღება.

(ო. ქ.) **ჯამილი** გაღებული.

მეგრ. ნჯამა > ჯამა > ქართ. ჯმა.

ჩვენს მტკიცებას ეხმიანება:

(ს. ს.). **ჯმნა** â ელის-აღება, გინა გამოცლა, გაშვება, ჯმნა არს გაშვება.

(ს. ს.). **ჯმნილი** გამოცლილი, გინა â ელ-აღებული. გაშვებულივით.

(ი. ა.) **ჯმნა** განშორება, გაცლა, გამოთხოვება, გაცილება, გასტუმრება, გამომშვიდობება, გაცალკევება.

როცა ჩიტს გალიის კარს გაუღებ (**ნჯამა**), ამით ხდება მისი გარეთ გაშვება (**ჯმნა**) და გალია კი იცლება (**ჯმნილი**). იგივე ითქმის ფარეხზეც, ქართაზეც... ქართ. **ჯმნილი** მიღებულია მეგრ. **ნჯამილი**-დან.

ადრე, ყოველი სახის საკეტი (კარი, ფანჯარა...), რომელიც გაღებას ექვემდებარებოდა, გასაღებების ჩათვლით, ხისაგან მზადდებოდა. მოგვიანებით შემოვიდა კარისა და ფანჯრის რკინის ჩამოსაკიდი მოწყობილობა, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა კარისა და ფანჯრის დაკეტვა და გაღება (ნჯამა), ამიტომაც ეწოდა ამ მოწყობილობას **ანჯამა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ანჯამა** კარისა და ფანჯრის ჩამოსაკიდი მოწყობილობა რკინისა.

რადგანაც **ანჯამა** წარმოადგენდა კარის გაღების საშუალებას, იგივე მოძრაობის გასაქანს, მეგრულში გაჩნდა მცნება **ანჯა**.

(ო. ქ.) **ანჯა** გასაქანი, საშუალება.

უკვე **ანჯამა** (რკინის მოწყობილობა, იარაღი) და **ანჯა**-ს (საშუალების) ცოდნით მეგრულში წარმოდგა **ანჯარი**.

(ო. ქ.) **ანჯარი** აბჯარი, ყველა იარაღი ერთად.

(ქ.ე.გ.ლ.) **აბჯარი** ძვ. სამხედრო საჭურველი, იარაღი.

მეგრ. **ანჯარი** > ქართ. **აბჯარი**.

ვინაიდან **ანჯმანი** გაღების, გაცხადების ცნებებსაც წარმოსახავდა ძველ ქართულში გვაქვს **ანჯმანი, ანჯმი**.

(ი. ა.) **ანჯმანი** შეკრება, საჯარო: „ანჯმნითა განიკითხავდა მას“. იხ. საანჯმნო.

(ი. ა.) **საანჯმნო** ცხადი, აშკარა.

(ს. ს.) **ანჯმნი** საჯაროდ. ელისაბედის ხსენება ტანძიურს ნეტაფრასში: „განიკითხავდა მას ანჯმნითა და ეტყოდა: შენ ვინ ხარ, რომელ მეფეთა განიკითხავ“.

(ს. ს.) **საანჯმნო** საჯარო.

სულხან-საბას მოყვანილი ტექსტი შემდეგნაირად იკითხება: „განიკითხავდა მას ანჯმნითა (= ღიად, დაუფარავად, საჯაროდ) და ეტყოდა: შენ ვინ ხარ, რომელ მეფეთა განიკითხავ“.

ნჯამა-ს შინაარსის საპირისპირო მცნებაა **უნჯი** (ძვ. განძი) > **საუნჯე** – ანუ ის რაც ჩაიკეტება (არ გაიღება), ანუ დაუნჯდება.

ასევე უნჯი > (+მ) > **მუნჯი** – ჩაკეტილი აქვს მეტყველების უნარი.

ხის მფარველ ბუნებას ცხადლივ გამოხატავს სახელწოდება **ჯაფარა**-ს შინაარსი. აქ აღსანიშნავია, რომ არსებობს იგივე კონსტრუქციის არაბული **ჯაფარ**, რაც არაბულად ნიშნავს მცირე მდინარეს (Речка) და აქედან წარმოდგება არაქართული გვარი **ჯაფაროვი**; ხოლო კოლხურ **ჯაფარა**-ს შემდეგი მნიშვნელობები გააჩნია:

(ო. ქ.) **ჯაფარა** 1. ტყე; 2. ღრუ ხე.

(ო. ქ.) **ჯაფარონი** ტყიანი ადგილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯაფარა** იგივეა რაც ჩხიკვი.

ასევე რაჭაში დაფიქსირებულია მამაკაცის სახელწოდება **ჯაფარა**.

ჯაფარა = ჯა + ფარა = ხე + ფარვა = ხით დაფარული (სივრცე) || ხეებში გაუჩინარებული (ფრინველი).

(ი. ყ.) **ლაფარა** плошадь вокруг дома, навес, страха.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლაფარო, ლაფარე** ადგილი შენობის ირგვლივ, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში).

ლაფარა = ლა + ფარა = სივრცე დაფარული.

მეფარიძე = მეფარე || მფარველი.

ნეფარიძე = ნე + ფარი = ტკბილი (სასურველი) მფარველი.

ჯაფარიძე = ჯა + ფარი = ხე მფარველი.

ანჯაფარიძე = ან + ჯა + ფარი = ზე ხე მფარველი.

ჯახუტაშვილი = ჯა + ხუტა = ხე [ჩასა]ხუტებელი.

ჩიჯავაძე = ჩი + ჯა + ვა = ციური ხის შვილი.

აქვეა **ჩივაძე = ჩი + ვა** = ციური შვილი.

ჯაყელი = ჯა + ყელი = ხესავით ნაზარდი. ყელი სხეულის ნაზარდი ადგილია.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯაღანა** ნუშიანი ან ჩირიანი ტკბილისკვერი.

ჯაღანა = ჯა + ღა(ლა) + ნა = ხე + ტარება + დედა (სასურველი) – აქ იანგარიშება, რომ ტკბილისკვერში ნუში და ჩირი ხის ნაყოფს წარმოადგენენ, ანუ ხიდან არიან „წამოღებულები". ამ განმარტების სიზუსტეს უკეთ წარმოგიჩენთ **ჯახველი**-ს შინაარსი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯახველი** იგივეა, რაც **ძახველი** – საშუალო სიდიდის ბუჩქი; იკეთებს ქოლგის მსგავსად შეკრებილ თეთრ ყვავილებს; ისხამს წითელ, წვნიან ერთკურკიან ნაყოფს; იხრდება ტყეებში.

ამ სახელწოდებაში სრულადაა ასახული **ჯახველი**-ს > (ჯ > ძ) > **ძახველი**-ს ბუჩქის მსხმოიარე ბუნება ანუ წარმოიდგინეთ თოვლიან მინდორში ფოთლებშემოძარცული, წითელი ტკბილი მარცვლებით დახუნძლული **ჯახველი || ძახველის** ბუჩქი და:

(ო. ქ.) **ხვე** – ხვავი.

ჯახველი = **ჯა** + **ხვე** + **ლი** = **ხე** (ბუჩქი) + **ხვავი** + **სხეული** (ნაყოფი) = ხვავიანად მსხმოიარე ბუჩქი.

ამ განმარტებაში ისიც გაითვალიწინეთ, რომ კოლხური **ლი** შუმერული **ლილი**-ს (ატმოსფეროს) ცოდნაა, ხოლო შუმერული მითოლოგიით **ლილი**-საგან წარმოიქმნენ მზე, მთვარე, ვარსკვლავები და შესაბამისად კოლხური **ჯახველი**-ს შინაარსი შესაძლოა ასეთი მნიშვნელობითაც წავიკითხოთ: ჯახველს (ბუჩქს) ვარსკვლავებივით ხვავიანად ასხია ნაყოფი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ღეჯა** კუთხ. (გურ.) „უხეში, ძარღვიანი, ფხიანი ლობიო; მწვანედ არ ვარგა საჭმელად".

(ქ.ე.გ.ლ.) **ღრჯა** ერთგვარი ისარი ჯვარედად ჩხირ-დასმული, წვერწვეტი (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯახი** 1. იგივეა, რაც **ჯახუნი**. 2. (საუბ.) შეჯახება, შეხლა-შემოხლა.

ჯახი = **ჯა** + **ხი** = **ხე** + **მიწა** -- იგულისხმება წაქცეული ხის მიწაზე ვარდნით გამოწვეული ჯახუნის პროცესი და ხმა.

თავი რომ არ მოგაბეზროთ, თავად გადახედეთ ლექსიკონში სიტყვების: **ჯახანი, ჯახაჯუხი, ჯახირი, ჯახრაკი, ჯახუნი, ჯახჯახი, ჯაჯი, ჯაჯახანა, ჯაჯგურა**.. მნიშვნელობებს და უნდა მიხვდეთ, რომ ყველა ამ მიშვნელობებს ხის ხისტი ბუნება აერთიანებს.

განვმარტოთ მეგრულ-ქართული კომპოზიტი:

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯგრო** ჯგუფი, გუნდი. ხროვა ვისიმე, რისამე.

ჯგრო = **ჯ**(ა) + **გრო**(ვა) = ხეთა გროვა ანუ ტყე. ე.ი ჯგუფი, გუნდი. ხროვა ვისიმე, რისამე შედარდა ხეთა ჯგუფს, კორომს. ქართული **გროვა**-ს არქე ფორმაა მეგრ. **გრუ**ათ.

(ო. ქ.) **ბიჯგი ბიჯი**; საყრდენი; პატარა ბოძი, -- ბიჯგი.

(ო. ქ.) **ბიჯგაფა, ბიჯაფა ბჯენა; ბიჯება**; ფეხის გადადგმა, სიარული.

ბიჯგი = **ბი** + **ჯ**(ა) + **გი**(მე) = **მცირე** + **ხე** + **დაბლა** (მიწაზე).

(ქ.ე.გ.ლ.) **ირეჯა** ძვ. „მახე **ხეთა** და თოკთაგან შექმნილი, რათა ფერხით მაღლა შეჰკიდონ ნადირი“ (დ. ჩუბინ.).

(ო. ქ.) **ჯაჭვი** ძეწკვი, ჯაჭვი.

ჯაჭვი = **ჯა** + **ჭვი**(ტე).

(ო. ქ.) **ჭვიტე** ნაპრალი; სასინათლო; ჭუჭრუტანა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვრიტე** ვიწრო, სიგრძივი ჭუჭრუტანა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვირნარი** ნაჩვრეტებიანი გვირისტი.

ჯაჭვი = **ჯა** + **ჭვი**(ტე) = **ხე** + **ჭუჭრუტანა** (ნახვრეტი) = ნახვრეტებიანი ხე.

ეს ახსნა დამატებით განმარტებებს მოითხოვს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯაჭვ-ი** 1. ერთმანეთში გაყრილი ლითონის რგოლების მწკრივი... 3. (ძვ.) ჯავშანი, ბექთარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯავშან-ი** (სპ.) 1. ძველად – ლითონის სამოსელი, რომელსაც იცვამდნენ მეომრები იარაღისაგან თავის დასაცავად.

საომარ სამოსელში ასევე მუზარადიც შედიოდა. **ჰეროდოტეს** (ძვ. წ. V ს.) მოწმობით, სპარსეთისა და საბერძნეთის ომების დროს, სპარსეთის მპყრობელის ქსერქსეს ლაშქარში მონაწილეობდნენ კოლხური ტომები: კოლხები, მესხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსინიკები და მათ აერთიანებდათ და სხვებისაგან გამოარჩევდათ ის, რომ თავზე ხის მუზარადები (თავსაბურავები) ედგათ. თავსაბურავი შეუძლებელია ერთი მთლიანი ხის სხეულისაგან ქოთანივით ყოფილიყო გამოთლილი. სავარაუდოა, იგი ან ძლიერი სტრუქტურის მქონე ხის კანისაგან, ან ფესვებისაგან იყო ნაქსოვი. ასეთი უხეში მასალით ნაქსოვში კი ჭარბად ჩნდება ნახვრეტები (ჭვიტეები),

რომლებიც შეუვალი იყო იარაღისათვის, ხოლო მათი ჭარბი რაოდენობა ამსუბუქებდა მუზარადის წონას.

ამრიგად, ჩვენი კოლხური „ჯაჭვი“ (ჯავშანი, ბექთარი) ხის ნაკეთობას წარმოადგენდა და რომელსაც გააჩნდა მრავალი „ჭვიტე“ (ნახვრეტები). ამასვე გვიმტკიცებს სახელწოდება ჯაბალა – ჯავშანია ერთი (ს. ს.).

ჯაბალა (ჯავშანი) = ჯა + ბა + ლა = ხე + მცირე + ფორმა = ხის მცირე ფორმის ჯა-ვშანი

თავად **ჯავშანი,** ქართულად **ჯაჭვის პერანგი**, წარმოადგენდა ჟაჭვების ასხმას, ანუ შედგებოდა ერთმანეთში გაყრილი ლითონის რგოლების მწკრივებისაგან და თითოეული რგოლის შიდა სივრცე წარმოადგენდა **ჭვიტეს, ჭუჭრუტანა**-ს.

ამგვარ ნაკეთობას საკმაოდ ჭრელი სახე გააჩნდა და ჯაჭვს ასევე მცნება ჭრელიც მიენიჭა.

(ო. ქ.) ჯაჭვა ჭრელი, აჭრელებული. ჯაჭვა ქოთომი ჭრელი ქათამი.

ხის მცნებიდან, **ჯა**-დან შემდგარი სიტყვები მოიპოვება არაბულში და, უნდა ვიგულისხმოთ, არაბულის გავლენით სპარსულსა და თურქულში.

ჯაბადარ (თურქ.) = მეაბჯრე. ჯინჯილი (თურქ.).

(ი. ყ.) აჯამეთი (араб. густои лес, чаща) Аджаметъ, обширный лесной район в Кутаисском уезде.

(ი. ყ.) აჯამი (араб. иноплеменник, варвар, не араб) язычнык; жестокий, безжалостный; -- აჯამური языческий.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯადვარი (სპ.-არაბ.) = ბალახოვანი მცენარე, იკეთებს შეკრებილ ყვავილებს. || ჯეჯილი, ნამჯა.

(ს. ს.) ჯავარი (ხე) სხვათა ენაა, ქართულად ჭადარი ჰქვიან.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯავზ-ი [არაბ.] მარადიული მწვანე ხე ერთგვარი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯამ-ი [სპ.] ჩაღრმავებული ჭურჭელი, ჩვეულებრივ წვნიანი კერძის საჭმელად.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯამაათ-ი [არაბ.] ერთად თავმოყრილი ხალხი. (|| კოლხური **ჯარი**).

(ქ.ე.გ.ლ.) ჯან-ი [სპ.] ადამიანის ღონე და ძალა.

ჯანავანა -- მდინარე ჩხოროწყუს რ-ნში.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯანდარ-ი [თურქ.] ნაქსოვის გასაჭიმი მოწყობილობა ხისა.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯანჯაფილ-ი [სპ.] გათლილი ძელი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჯარა [სპ.] პრიმიტიული მანქანა, რომლითაც მატყლს ართავენ (ასევე ხისგან მზადდებოდა ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ჯაფა [არაბ.] მძიმე შრომა.

არაბული **ჯაფა**-ს კოლხური პარალელი **ჯაფი** დაფიქსირებულია სიტყვაში **ბურჯაფი.**

(ი. ყ.) ბურჯ: ბურჯაფი обнимать грубо, неуклюже, бороться.

ბურჯაფი-ში მოქმედების მძიმე ხასიათს მცნება **ჯა** განსაზღვრავს.

(Б.С.Э. II 142): **„Арабская культура**, среднивековая культура, сложившаяся в Арабском халифате в 7 – 10 в.в. в процессе культурного взаимодействия арабов и завоеванных им народов Ближнего и Среднего востока, Северной африки и Юго-западной Европы. В научной литературе термин `Арабская культура˜ употребляется как для обозначения культуры собственно арабских народов, так и в применении к средневековой арабоязычной культуре ряда других народов, входивших в состав Халифата“.

მე-8—10 საუკუნეებში არაბეთის ხალიფატის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შესულ კოლხეთს, მჭიდრო ურთიერთობები გააჩნდა არაბულ კულტურასთან, მხოლოდ საერთო მცნება ჯა ბევრად ადრინდელი, შუმერულ-ეგვიპტური ცოდნიდან მომდინარეობს, ხოლო არაბული კულტურის გავლენის პიკი ირანულ, თურქულ კულტურებზე 7 – 10 საუკუნეების პერიოდს მოიცავს.

კალოკაგათია

(**Фридрих Ницше** 349): „Ницше отождествлял ренессансное понимание добродетели с ее трактовкой в греческой архаике („Калокагатия“), когда между „добрым“ и „прекрасным“, моралным и эстетическим отсуствовала четкая граница. Прекрасное лицо или телосложение могло считаться свидетельством прекрасной души“.

(Ф. Э. С.): „Калокагатия (греч. **Καλοκαγαθια** от **καλος** - прекрасный и **αγαθος**– хороший), идеал физичесского и нравственного совершенства. Идеал Калокагатии сложился в среде аристократии гомеровской и архаичной зпохи, где физическая сила и ловкость, приносившие успех в атлетических состязаниях, ставились в один ряд с высшей добродетелью – доблестью воина. Идеал Калокагатии был затем усвоен греческой демократией и ярко проявился в классическую эпоху (5 в. до н.э.) в скульптуре, в частности в творчестве Поликлета и Фидия и в поэзии, в особенности в эпиникиях Пиндара и в трагедиях Софокла“.

ე. ი. ბერძნული კომპოზიტი „კალოკაგათია“ აერთიანებს მცნებებს „მშვენიერი“, „კარგი“ და განსაზღვრავს ადამიანში ფიზიკურ და მორალურ შესაძლებლობათა იდეალურ შერწყმას, ანუ გამოსახავდა ცნობილ ბერძნულ გამოთქმას: „ძლიერ სხეულში ძლიერი სულია“. კალოკაგათიის გამოვლენა გახლდათ მაგალითად ის ფაქტი, რომ მიქელანჯელოს სილამაზისა და ძლიერების მწვერვალად ახალგაზრდა მამაკაცის სხეული მიაჩნდა.

კალოკაგათია ადამიანთა სურვილების იდეალიზაციას წარმოადგენს და არათუ რენესანსის პერიოდს ახასიათებდა, არამედ ადამიანთა აზროვნებაში კალოკაგათიას დღესაც ფესვები ძლიერად აქვს გადგმული.

კალოკაგათია ძველი ბერძნული სიტყვაა, მაგრამ მასში ჩადებული აზროვნება ბერძნულ სამყაროზე უძველეს, ეგვიპტურ ცივილიზაციას აქვს დაფიქსირებული. **კალოკაგათია**-ს მნიშვნელობას ეგვიპტური **კა** გამოსახავდა.

(**აკაკი გელოვანი** 236): „**კა** – ადამიანის (უპირატესად მამაკაცის) ძალა და ღონე, **ხორციელი და სულიერი ძლიერება**, ნაყოფიერების დედა-ძარღვი, რაც ღმერთების ნებით დაბადებიდან დაჰყვება ყოველ კაცს. მისი წყაროა საკვები“.

ადამიანის სულის საარსებო ჭურჭლის – სხეულის ფიზიკურ ვარგისიანობაზე დიდადაა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა, ბრძოლის უნარი, ყოველდღიური საქმიანობა, გამრავლება... და აქედან გამომდინარე ადამიანისვე სულიერი მდგომარეობა, სიმხნევე... ამიტომაც შექმნეს ეგვიპტელებმა მცნება **კა**, ყოველი ადამიანისათვის სასურველი ხორციელი და სულიერი სიძლიერის გამოსახატავად. ეს

ხედვა-სურვილი გაგრძელდა როგორც ბერძნულ, ასევე სხვა კულტურებშიც და ასეა კოლხურ მეტყველებაშიც.

როდესაც ოდიშელი დაინახავს ჯანმრთელ, ძლიერი აღნაგობის ლამაზ ბავშვს, აღტაცებით წარმოთქვამს: -- **კგ** ბაღანა რე – **კ** ბავშვიაო, ანუ **კ**-ს (**კა**-ს, **კალოკაგათია**-ს), ძლიერებასა და მშვენიერებას განასახიერებსო. აი ასე უბრალოდ გადმოედინება კოლხი კაცის ბაგეებიდან ეგვიპტური **კა**-სა და ძველი ბერძნული **კალოგათია**-ს ზუსტი შესატყვისი არქაული ცოდნა.

კგ მეგრულში ასევე მუხის ნაყოფს, რკოსაც აღნიშნავს, რაც იმას ნიშნავს, რომ კოლხებმა ცოცხალ არსებათა სხეულის ხედვა-სურვილი უსულო ძლიერ, მშვენიერ სხეულთა, საგანთა მიმართებითაც განავრცეს.

კოლხურ თანხმოვანს **კ**-ს, რომლის ლოგოგრამას ეგვიპტური **კა** წარმოადგენს, მისი საწყისი მნიშნელობის ფარგლებში, სხვადასხვა დატვირთვა მიეცა.

რა გრძნობას ბადებს თქვენში ეგვიპტური **კა**-ს, ბერძნული **კალოკაგათიას** და კოლხური **კგ**-ს განსახიერებანი -- მშვენიერი ქალბატონის, ჯიშიანი ცხენისა თუ მწიფე ატმის სრულქმნილი სხეულები? რასაკვირველია დაუფლების სურვილს და კოლხურად სხეულებრივი ვნების, მიწიერი ნდომის სურვილი გამოითქმის ფორმით **კო**.

მო-**კო** = მი-ნდა; ო-**კო** = უ-ნდა; გო-**კო** = გი-ნდა; **კო**-ბა = ნდომა.

კო-ში ნდომის სურვილს თანხმოვანი **კ** განსაზღვრავს, ხოლო ხმოვანი **ო** სურვილის, დაუფლების გრძნობის ქვენა, მიწიერ ხასიათს უსვამს ხაზს. **კო** ფუძეა სიტყვებისა **კორინი, კორინაფა, კორინება**.

(ო. ქ.) კორინი, კორინაფა, კორინება ნდომა, სურვილი.

გაიხსენეთ დურინი || ტურინი || ფურინი და:

კორინი = **კო** + **რინი** = **ნდომა**(ში) + **ყოფნა** = სურვილმორეული.

კორინაფა || კორინება = **კო** + **რინ**(ი) + **ება** = **ნდომა** + **ყოფნა** + **მოქმედება** = ნდომის მდგომარეობის მოქმედება.

(**პეტრე ჭარაია** 257): „მეგრული სიტყვა-კორინება, რომელიც ნიშნავს: „მონდომება, მოწადინება, მოსურვება, ნდომვა". ეს სიტყვა არ შეგვხდება არც სამწერლო ენაზე და ხალხის პირისგანაც არ გვესმის ყველგან, მაგრამ მიმოვიხედავთ რა ირგვლივ, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ რაჭულ კილოში დარჩენილა იგი სიტყვა სრულიად იმავე ფორმითა და მნიშვნელობით, იქ გვესმის: „არ იკორინა“ – არ ინდომა, არ ისურვა“.

საქართველოში ბევრად ფართოდაა გავრცელებული კოლხური **კორინი**-ს შემოკლებული ფორმა:

(ქ. ე. გ. ლ.) კორა – 1. პატარა ამონაკვეთი თოფის ლულაზე; მისი საშუალებით იღებენ მიზანში (სროლის დროს). 2. კარის საკეტი ხის კიჭი, მიმაგრებული კარის ჩარჩოზე, სვეტზე ან სიგანის ხეზე. 3. იგივეა რაც საქედური = უღლის ამოწეული ადგილი ტაბიკებს შუა, რომელიც (კამეჩს) ქედზე ედება.

(ს. ს.) კორა – ბარის სატერფული.

(ქ. ე. გ. ლ.) კორაკანა – ერთგვარი მოწნული სათავსი ფარეხში ან ბინაში – ახალმოგებული ბატკნის მოსათავსებლად (დედაცხვარიანად).

რასაკვირველია, ამ **კორა**-დან წარმოქმნილ ქართულ სიტყვებს აერთიანებთ ლაზურ-მეგრული **კო**-ს შინაარსი – **ნდომა, სურვილი**. თუ გსურს ნადირს ტყვია მოახვედრო, თოფის **კორა**-ს უნდა გახედო, სხვანაირად სურვილს ვერ შეისრულებ, ნადირს მიზანში ვერ ამოიღებ; თუ მოინდომებთ კარის დაკეტვას ან გაღებას, **კორა**-თი უნდა ისარგებლოთ; თუ კამეჩის უღელში შებმა გადაწყვიტეთ, კამეჩს ქედზე **კორა** უნდა დაადგათ; მიწის გასაფხვიერებლად ფეხით ბარის **კორა**-ს უნდა დააწვეთ, რათა ბარი მიწაში ჩაეფლოს.

ოდიშში გავრცელებული იყო საბავშვო თამაშობა **კორაობა**.

(ნ. **კაპანაძე 50): „კორაობა** – ამას თამაშობდნენ მრგვალი ხის ნაჭრით, რომელსაც კორა-ს ეძახდნენ და გრძელი, დაახლოებით ერთმეტრიანი ჯოხით, რომელსაც ტაფელა ეწოდებოდა ტაფელას შორიდან ესროდნენ კორა-ს, ვინც წააქცევდა, გამარჯვებულიც ის იყო".

კორა (ხის მრგვალი ნაჭერი) იყო სურვილის შესრულების სამიზნე. გაიხსენეთ ასევე **ჩი-კორი** – ქვის ან ხის სათამაშო სამიზნე, რომელსაც სალას ესვრიან.

ჭიკორი, ანუ იგივე **კოჭური** – ბავშვების სათამაშო – ხის პატარა ნაჭერი პრიზმის სახისა (ან პატარა მრგვალი ქვა), რომელსაც სალა უნდა მოარტყან. აქვეა **ჭიკჭიკი**.

ჭიკჭიკი = ჭი(ჭე) + **კ** + **ჭი**(ჭე) + **კ = პატარა + სასურველი + პატარა + სასურველი** = სასურველი ხმები პატარა (ფრინველებისა).

მომხიბლავია **კორაკანა**-ს შინაარსი, რომელიც გამოირჩევა მასში ჩადებული სიყვარულის ნაზი ფორმის გამოვლინებით. მეგრულს გააჩნია **კორაკანა**-ს მსგავსი სიტყვა **კარაკანო** – წმინდათ, ნათლად, თვალნათლივ.

მეგრული **კარაკანო**-ს პირველი შემადგენელიდან, **კარა**-დან ქართულში წარმოსდგა ან-**კარა** [ძალიან წმინდა (სითხე...)] და **კარკარა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კარკარა** კუთხ. (ქიზ.) წმინდა, ანკარა, გამჭვირვალე (ჩვეულებრივ წყალი), -- **კამკამა**.

კარაკანო-ს მეორე შემადგენელი **კანო**, ასევე მეორე შემადგენელია **კორაკანა**-სი და მაშინ გამოდის:

კორაკანო = კორა + კანო (დაბლა) = სურვილი ნათელი (წმინდა), ანუ ახლად მომშობიარებული დედაცხვრის და მისი ბატკნის მოთავსება მათთვის მოწნულ სათავსში – წმინდა სურვილია, ნებაა, ანუ ცხვრისთვის ხომ დედაცხვარია ღვთაებრივის მშობელი.

(ნ. **კაპანაძე** 18): „ხევსურეთში ახალშობილს ჯერ კორნე-ში აწვენდნენ. კორნე იყო წნელის ყუთი, რომელშიც ხიჩონებს (ჩვრებს) აფენდნენ. კორნე-ში ბავშვი იწვა ქოხში, ხოლო როდესაც დედა სახლში გადავიდოდა, აკვანში აწვენდნენ. აკვნის ძირში ჩალას აფენდნენ. კორნე-ში და არც აკვანში შიბაქი არ იცოდნენ“.

კორნე = კორ(ა) + **ნე = სასურველი სიტკბოება** (დედის სიყვარული).

(ქ.ე.გ.ლ.) **აკო** კუთხ. (ფშ.) ფქვილის ჩასაყრელი.

ნიკორა = ნი + კორა = დედის(ოჯახის) სასურველი.

გავეცნოთ **კო**-ს იგივე შინაარსით გამოყენების სხვა მაგალითებსაც.

(ო. ქ.) **კოკო** მჭადის კვერი; საჭმელი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოკობი** 1. გაუშლელი ყვავილი. 2. კუთხ. (გურ. იმერ.) კოხტად მოყვანილი.

კოკობი = კო + კო + ბი = სასურველი + სასურველი + პატარა, მცირე = გაუშლელი ყვავილი.

(ო. ქ.) **კოკობინა კოხტა, ტურფა.**

(ქ.ე.გ.ლ.) **კოკბური** „გაუშლელი ვარდი“ (დ. ჩუბინ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **კოკბად** კუთხ. (ქიზ.) ერთად, შექუჩულად („გაუშლელი ვარდივით" ჯ.კ.). „მოდი ერთი ჩვენთვის კოკბად დავსხდეთ და ლამაზი პური ვჭამოთ!“ (ს. მენთ.).

არქანჯელო ლამბერტის ცნობით (გვ. 170), მეგრელები ზღვაში იჭერდნენ კეფალს: „კეფალი ორნაირია – ერთი უფრო დიდია და მეორე უფრო პატარა. ამ პატარას ჰქვია **კოკობა**“.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოკობა** ერთგვარი თევზი (საბა).

კოკობა = კო + კო + ბა = სასურველი + სასურველი + პატარა.

(ო. ქ.) **კოკობე** კაკაბი.

კოკორი = **კო** + **კო** + **რი** = **სასურველი** + **სასურველი** + **არის** = საყვავილე კვირტი და ასევე კოკორი ოდიშში ეწოდება ჩოჩორს, უდავოდ მისი წარმოუდგენლად ლამაზი თვალების გამო.

(ო. ქ.) **კოკორინა** პატარა, -- კოხტა და ლამაზი რამ.

(ო. ქ.) **კოკროჭინა** პატარა და კოხტა.

კოკონა = **კო** + **კო** + **ნა** = **სასურველი** + **სასურველი** + **დედის** (გაჩენილი) = პატარა, საოცრად ჭრელი იხვი ერთგვარი.

კოკოჩანა = **კო** + **კო** + **ჩანა** (მეგრ. ჩანა – ასხია) = **სასურველი** + **სასურველი** + **ასხია** = წიწვი.

კორკოტი = **კორ**(ა) + **კო** + **ტი** = **სასურველი** + **სურვილი** + **თბილი** = რძეში ან წყალში მოხარშული ხორბალი, ერბოთი ან ნიგვზით შეზავებული.

კორდი = 1. **კორ**(ა) + **დი** = **სასურველი** + **სასიარულო**;

2. **კო** + **რდი**(ლი) (მეგრ. რდილი = ქართ. ზრდილი) = **სასურველი** + **ნაზარდი** = ბალახიანი მიწის ნაკვეთი.

კოტრიალი = **კო** + **ტრიალი** = **სასურველი** + **ტრიალი**.

კოკროჭინა = **კოკ**(ო)**რ**(ი) + **ჭი** + **ნა** = **კოკორი** + **პატარა** + **დედის** = პატარა და კოხტა.

კოცონი = **კო** + **ცო** + **ნი** = სასურველი + ცეცხლი (დაბლა) + დედობრივი, სასურველი (არა ხანძარი).

კოცნა = **კო** + **ცნა** = სასურველი + ცნობა = სურვილი აცნობა.

კოხტა = **კო** + **ხ** + **ტა** = **სასურველი** + **მიწა** + **ტარება** = სანდომიანი მოძრაობა მიწაზე.

კოწახური = **კო** + **წა**(წაფა) + **ხურ**(ხი).

(ი. ყ.) **წაწაფი** обмочить, обмокнуть (აქედანაა ქართულში **საწებელი** ჯ.კ.).

(ო. ქ.) **ხურხი** ხორხი, ყელი.

კოწახური = **კო** + **წა**(წაფა) + **ხურ**(ხიში) = **სასურველი** + **საწებელი** + **ხორხის, ყელის** (საწებლის გემოს პირველად პირის ღრუთი, ხორხით გრძნობთ – „ყელი ჩაი-კოკლოზინა"). იოსებ ყიფშიძეს დაფიქსირებული აქვს კორწოხური, სადაც ცხადია ფორმა კორ(ა) იგივე ნდომას, სურვილს აღნიშნავს.

მსგავსი ბუნებისანი არიან: **კობალი** > **კომბალი, კოდი, კოვზი, კოთხო, კოინდარი, კოკა, კოკლოზინა, კოკნა, კოკოზა, კოკურა, კოკოში, კოლოლი, კოლოფი, კოლოში, კონა, კონტით, კონჩოლი, კოჩხა, კონჩხო, კოპე, კოპეშია, კოწია** > **კოპწია (კო-პაწია), კოჟანდარი, კორვა, კორთი, კორომი, კორჩხი, კოსიო, კოტო, კოტორი, კოფო, კოღო, კოში, კოჩხო, კოჭი, კოხუნჯი, კოხშინშხალი**...

უზუსტესად ასახავს თავის დანიშნულებას სახელწოდება **კოლიო**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოლიო** მოხარშული ხორბალი, თაფლით (ან შაქრით), ნუშითა და ქიშმიშით შეზავებული: ამზადებენ მიცვალებულთა მოსახსენიებლად.

კოლიო = **კ**(ო) + **ოლი** + **ო** = **სურველი** + **სვლა** + **დაბლა** (მინიშნება მიცვალებულზე).

კოკინია მეგრულად ეწოდება ხბოს და ლამაზი დამცველი ფორმის გამო ქართულში წარმოდგა მსგავსი სახელწოდება **ლოკოკინა** = დაბლა კოკინა.

კონა > **ჩაე-კონა** შეერთდნენ, ჩაეხუტნენ ერთმანეთს, ისურვილეს.

კო, როგორც ალერსობითი ფორმა, ძალზედ გავრცელებულია ყოველდღიურ მეტყველებაში: **სული-კო** (სულო სასურველო), **დათი-კო** (დათო სასურველო)...

ალერსობითია ასევე ფორმა **კუნა** = უსასურველესო, უსაყვარლესო დედის.

კუპატი = **კუ** + **პატი**(ვი) = უსასურველესი პატივსაცემი.

იგივეს გამოსახავს ფორმანტი **კი** – **დუდუკი** = **დუდუ**(ნი) + **კი** = **დუდუნი** + **სასურველი**. ასევე -- **კი** ბატონო.

იგივეს იმეორებს ფორმანტი **კა** – (გვარი) **კოტრიკაძე** > **კოტრიკა** = **კოტრი**(ალი) + **კა** = კოტრიალა სასურველი; ასევე – **კაი** ბატონო.

ფორმანტი **კო** მხოლოდ ნდომას, სურვილს არ აღნიშნავს.

კოჭი = **კო** + **ჭი** = **ძლიერი** + **მცირე.** || **კუჭი** = **კუ** + **ჭი** = **უძლიერესი** **მცირე**.

კოჭლი = **კო** + **ჭ** + **ლი** = **ძლიერ**(ი) + **მცირე** + **ფორმა** = დამოკლებული ფეხი.

კოხი = **კო** + **ხი** = **ძლიერი** + **მიწა** = **ძლიერი** **მიწიერი** = 1. ქვა, აგური. 2. სეტყვა.

კოხი-ს მეორე მნიშვნელობის განვითარებაა **კოხშინშხალი**.

(ქ.ე.გ.ლ.) კოხშინშხალი ქარიშხალი, რომელსაც თან ახლავს სეტყვა.

უკვე ამ ცოდნის გამოვლენაა მეგრული კოხი-ს შინაარსი.

(ო. ქ.) კოხი ქარიშხალი.

კო-ს მეშვეობით ვიწყებთ იმ შთამბეჭდავი მაგალითების განხილვას, რომლებიც გვამცნობენ, რომ წარმართული კოლხური (ლაზურ-მეგრული), როგორც ეს მაღალი დონის ცივილიზაციებს ახასიათებთ, არა მარტო ისრუტავდა გარშემო ცოდნას, არამედ ჭარბადაც გასცემდა.

(**კირიონი** 132): „Происхождение украинских суффиксов ск и ко. На XII археологическом съезде в гор. Харькове (1902 г.) г. Лопатинский прочел доклад о происхождении суффиксов русского языка – СК, -- КО под влиянием одного из наречий грузинского языка – мингрельского. Суффикс – ск существует в мингрельском языке и как слово самостоятельное скуа и означает сына, но оно употребляется также и как составная часть сложного слова для означения происхождения, напр. мингрельскои Илиашскуа, по русски будет Илинский.

В дополнение к реферату г. Лопатинского о происхождении суффиксов ск и ко считаем нужным сказать, что и все уменшительные и ласкательные имена на ко, встречающиеся в русских летописях, заимствованны также из грузинского языка. Таковы: ВасилиКо (ვასიკო), ИванКо (ივანიკო), МихалКо (მიხაკო)“.

წმინდა კოლხური წარმომავლობის **სკუა**-ს არა მარტო უკრაინულსა და რუსულში ვაწყდებით, არამედ იგი ასევე მტკიცედ პოლონურსა და რუმინულშია დამკვიდრებული. რაც შეეხება თანხმოვან **კ**-ს, იგი ბევრად ძლიერ გავლენას ახდენს სლავურ ენებზე, ვიდრე ეს ეპისკოპოს კირიონს აქვს შემჩნეული: Душа > ДушенКа || ДушечКа (სული > სულიკო); МамочКа; ПапочКа; Дева > Девочка > Девка... და არა მარტო ეს სულიერთ ეხება дыра (ნახვრეტი) > дырКа (ჭუჭრუტანა).

რუსეთში არაყი იტალიელებმა 1429 შეიტანეს და ლათინურად არაყს ეწოდება:

აკვავიტა= **აკვა** + **ვიტა** = **წყალი** + **სიცოცხლე** = სასიცოცხლო წყალი (სითხე).

სლავებმა ლათინური **აკვავიტა** შემდეგნაირად თარგმნეს:

Водка = Вода + ка = წყალი + სასურველი; ანუ არაყი სასურველი წყალიაო (სითხეაო).

უმთავრესი ამ შემთხვევებში არის **კ**-ს, როგორც სურვილის გამომხატველის გამოყენება სლავურ ენებში. როცა სურვილი (ბრძანება) უნდა შეისრულოს, რუსი ოფიცერი ჯარისკაცს მიმართავს: ко мне! ასევე к нам, к тебе. იგივეა ქართულშიც: ჩემ-კენ, იმის-კენ. აქ ეს თემა რუსული მეტყველების ნაწილაკის ка-ს მნიშვნელობის შეხსენებით მოვამთავროთ.

(რ. ქ. ლ.) -- ка 1. (ბრძანების შესარბილებლად) აბა, აბა ერთი; спой-ка нам что-нибудь!... зайду-ка я к приятелю.

თანხმოვანი კ, გამომდინარე ეგვიპტური კა-ს არსიდან, ძირითადად ერთდროულად გამოსახავს მშვენიერსა და ძლიერს:

(**ნ. კაპანაძე** 39): „სახელ „კეკელა“-ს, რომელიც IX საუკუნის პირველ ნახევარში უკვე დასტურდება, იმავე ძეგლის მიხედვით, აკად. ა. შანიძემ ცალკე წერილი უძღვნა. ეს სიტყვა აღნიშნავს „ტურფას“, „მშვენიერს“, „ლამაზს“ და წარმოადგენს საკუთარი სახელის განსაზღვრებას“.

შესაბამისად იგივე მნიშვნელობებს ატარებენ გვარები: **კეკელია** > **კეკელიძე; კეკნაძე.**

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კეკელა**[2] ეთნ. ბერიკაობის ერთ-ერთი მოქმედი პირი—ქალის ტანისამოსში გამოწყობილი «ღორის სატრფო». კეკელა-კი, ქალის ტანისმოსით მორთული, ღორს წინ უხტოდა და ჭრელ ხელსახოცს ალერსინად მალი-მალ მხარზედ გადაუქნევდა ხოლმე (შ. არაგვ.).

აი ასეთი დამოკიდებულების გამო ტერმინმა **კეკელა**-მ კნინობითი შინაარსი შეიძინა, თუმცა მოქმედებაშია **კეკელა**-ს განვითარება კეკლ**უცი** (ნინა > ნინ**უცი**; კაღუ > კაღ**უცია**).

(**ი. ყ.**) **ნინუცა** (ласк.) Нина, Ниночка.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კეკელა**[1] ძვ. ვინმესთვის თავის მოსაწონებლად მორთვა-კოხტაობის მოყვარული (ქალი), კეკლუცი. არ შეემსჭვალოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა (ნ. ბარათ.). || საუბ. უშნოდ მოკეკლუცე ქალი.

უშნო ყველაფერში უშნოა, თორემ კეკელობა არაა მსოფლიოს მოდის სამყარო?

კე-ს სილამაზის, მშვენიერების გამოსახვის თვისება განსაზღვრავს მნიშვნელობებს სიტყვებში: **კეთილი, კელაპტარი კენარი, კენკეშა, ნეკერი**...

კეკელა-ს მსგავსია **კუკური** = უმშვენიერესი, უსასურველესი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კუკური** 1. „გაუშლელი ფოთოლი“ (საბა). 2. იგივეა, რაც კოკორი.

დაახლოებით იგივე მცნებებს გამოსახავს **კაკულა**.

(**ს. ს.**) **კაკულა** (ხე)... ნეხოთაჲ ესე არს ყარამფილი, კასია, კაკულა, და მისთანა სუნნელები საჭმელნი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კაკულა**[1] იგივეა, რაც ილი. გარს უტეხი ტყე არტყია, სათიბი, საძოვარია, ნაირ-ნაირი ბალახი, კაკულაც საშოვარია (ხალხ.).

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ილი** [**Elettaria cardamomum**] ბოტან. სამხრეთ ინდოეთში გავრცელებული მრავალწლოვანი მცენარე, რომელსაც მოგრძო ფოთლები და თავთავად შეკრებილი ლამაზი ყვავილები აქვს. 2. ამ მცენარის ნაყოფი; გამოიყენება მედიცინაში, აგრეთვე კულინარიაში.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კაკულა**[2] კუთხ. (გურ.) „წელში მოხრილი (მორცხვ ადამიანსაც უწოდებენ). შდრ. კაკვავს.

კაკულა[2] ზმნა კაკვავს კნინობითი განვითარებაა.

(**ო. ქ.**) **კვაკუა** მოღუნვა, მოხრა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კაკვა** სახელი კაკვავს ზმნის მოქმედებისა, -- [მო]ხრა, {მო]ღუნვა.

კვაკუა > **კაკვა** > **კაკვავს** > **მოკაკვული** > **კაკვული** > **კაკული** > **კაკულა.**

(**ი. ყ.**) **კაკულა** локоны (г. კავები), ср. **გაგურჯელა** женский головной убор (г. ჩიხტა-კოპი).

ჩიხტა-კოპის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ხვეული თმები – კავები, ანუ კულულები (< კა-კულ-ები).

კაკულა ზოგადად გამოსახავს საამოს, მშვენიერს: საამო სურნელის მქონე ხეს, სასურველ ნაყოფს და ტურფა ქალბატონის ჩიხტა-კოპის ხვეული კულულების, კავების მომხიბვლელობას. დამატებით იხილეთ:

(ქ.ე.გ.ლ.) კაკური კუთხ. (ქიზ.) ხორბლის ჯიშია; თეთრი ფხიანი თავთავი აქვს და მრგვალი, მაძღარი მარცვალი.

თანხმოვან **კ**-ს შინაარსი განსაზღვრავს კისკისი-ს მომხიბვლელობას.

(ო. ქ.) კიკო შვლის, ირმის, კურდღლისა და მისთანათა შვილი; ბაჭია, ნუკრი.

(ო. ქ.) კიკონუა – კენკვა; კორტნა.

კიკნა = კიკ(ო) + **ნა** = ბაჭია, ნუკრი... + სასურველი.

წარმართული კოლხური **კიკონა**-ს შინაარსის ცოდნით ქართულში **კიკნა** პატარის, მცირეს მნიშვნელობებით დამკვიდრდა.

კიკო > კიკონუა > კიკნა[1].

(ქ.ე.გ.ლ.) კიკნა[1] სახელი კიკნის ზმნის მოქმედებისა, -- ციცქნა (იმიტომაა ციცქნა, კიკინებს და იკიკნება, რომ კიკონა > კიკნა ბაჭიაა, ან ნუკრია... ჯ.კ.).

კიკო > კიკონა > კიკნა[2].

(ქ.ე.გ.ლ.) კიკნა[2] ძალიან პატარა, -- ერთი ციცქნა (იმიტომაა ძალიან პატარა და ერთი ციცქნა, რომ კიკონა > კიკნა ბაჭიაა, ან ნუკრია... ჯ.კ.).

თუ მშვენიერი ქალბატონის, ჯიშიანი ცხენის და მწიფე ატმის სხეულები აღტაცებისა და დაუფლების გრძნობებს იწვევენ, ათლეტის, ტახის, კაკლის ხის სხეულები სიძლიერის აღიარებაა და ამდენად თანხმოვანი **კ** ასევე გამორჩეულად ძლიერების გამომსახველია.

კე მშვენიერების გარდა ძლიერებას, სიმტკიცესაც გვამცნობს.

კეთრი, კეკა, კელა, კენკვა, კენწერო, კენჭი, კერა, კერია, კეცი, კეხურა...

ძლიერი ჯავშნის გამო ეწოდა კუს **კუ** = უძლიერესი (ჯავშანი).

კუბო = კუ + ბო = უძლიერესი + მცირე (დაბლა), ანუ როცა სიცოცხლე მიგატოვებს, როგორც კუს ისე გამოგაწყობენ ხის ჯავშანში.

(ქ.ე.გ.ლ.) კუბო 1.მიცვალებულის ჩასავენებელი ყუთი. 2. ძვ. „...ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატარებელი" (საბა), -- ტახტრევანდი.

(ი. ყ.) უ-კლება полный, неиссякаемый, совершенный.

(ი. ყ.) ლება мочь, сила, возможность.

კ + ლება = ძლიერი შესაძლებლობები, ხოლო **უ**-ს დართვით მივიღეთ **უ-კლება** = **უ**-ძლიერესი შესაძლებლობები და რასაც სრულად შეესატყვისება უკლება-ს განსაზღვრებების (полный, неиссякаемый, совершенный) შინაარსი.

ქართულში მეგრული **რკება**-საგან (= კლება) მიიღეს იგივე **კლება**, მხოლოდ მეგრული **კლება**-საგან (ძლიერი შესაძლებლობებისაგან) განსხვავევებით, ქართულ მეტყველებაში საპირისპირო მნიშვნელობით დაამკვიდრეს: **კლება** > და-**კლება**, მო-**კლება**, მო-**კლე**, დაა-მო-**კლა**, მო-**კლა**, მო-**კლული**, ნა-**კლული**, ნა-კლი, სა-**კლავი**, მ-**კლავი**, მო-მ-კლავი, მ-კვლელი... აქ იკითხება საერთო კოლხური აზროვნება, რომ ადამიანი ხელების (მკლავების) მეშვეობით კლავს საქონელს, მოწინააღმდეგეს და შესაბამისად ქართულში გვაქვს საერთო ფუძიდან წარმომდგარი მ-**კლავი** და სა-**კლავი**; ეს წარმართული კოლხური ცოდნის გამეორებაა, რომლის მიხედვითაც **ყვილი** აღნიშნავს მკლავს, ხოლო **ყვილუა** (ყვილის, მკლავის მოქმედება) [მო]**კვლას**.

(ი. ყ.) კინა железо.

კინა = კი + ნა = ძლიერი + სასურველი.

როცა კოლხებს დასჭირდათ გამოესახათ ჭიდაობის თემა, მათ მცნება **კინა**-ს (ძლიერ სასურველს) თავში დაუსვეს მოძრაობის გამომსახველი თანხმოვანი **რ** და მიღებულ იქნა ჭიდაობის ზოგადი მცნება – **რკინი** = ჭიდილი. ხოლო ჭიდაობის ძლიერ მიწიერ, ძლიერ სასურველ მოძრაობათა მოქმედების გამოსახატავად **კინა**-ს ბოლოში

მოუსვეს მოქმედების გამომსახველი ბოლოსართები (სუფიქსები) **აფა, ება** და მიღებულ იქნა ჭიდაობის სცენის ორი გამოსახვა: **რკინაფა || რკინება** (შეჭიდება). ქართული ენის შემქნელთა მიერ იგნორირებულ იქნა კოლხური **რკინი**-ს (ჭიდილის) დინამიკური ბუნება და მიწიდან მოპოვებულ ძლიერ მეტალს, **კინა**-ს ნაცვლად **რკინა** უწოდეს, მაგრამ, იცოდნენ რა სახელწოდება **რკინ**-ის კოლხური შინაარსი – **რკინება** (შეჭიდება), ქართულში წარმოდგა **შე-რკინება** = შეჭიდება, შებრძოლება. ქართული ენის გავლენით, დღეს ოდიშშიც, მეტალის აღსანიშნავად, ნაცვლად აზრობრივად გამართული **კინა**-სი, ხშირად ხმარებაშია განსხვავებული მნიშვნელობის **რკინა**, თუმცა მეგრულში თანხმოვნების **რ**-სა და **კ**-ს წყვილი **რკ** (ძლიერი მოძრაობები, მოქმედებები) მუდამ მოქმედებებს გადმოგვცემენ.

(ი. ყ.) 1. **რკ:** რკება, მო-რკება уменьшение; уменшать (რკება > კლება ჯ.კ.).

2. **რკ:** რკიაფი, რკია, რკილა **крик, кричать** (რკიაფი > კივილი ჯ.კ.).

3. **რკ:** რკიება, მე-რკიება, რკიალა, რკალა **отыскивание; идти по следам, отыскивать** (რკალა > რკალი ჯ.კ.).

4. **რკ:** რკება, ერკება **считать.**

ჩვენ უკვე გავეცანით კოლხური მეტყველების **დურ, ტურ, ფურ** მოძრაობებს. არსებობს ასევე ფორმა **კურ**:

კურო = კ + ურო = ძლიერი + მოძრავი (არსება) = დაუკოდავი ხარი.

კურო-ს მეორე შემადგენელი **ურო** (დიდი ჩაქუჩი) (**ურო** = უძლიერესი მოძრაობა დაბლა), თავისი კონსტრუქციითა და დანიშნულებით, თავადაც სიძლიერის გამოსახვაა.

კოლხურად **კურო** ეწოდება დაუკოდავ ხარს, ბუღას და გადატანით ქალის საყვარელს. რუსულად **кур**(ო) ეწოდება მამალს და შესაბამისად დედალს -- курица.

ბუღას, ქალის საყვარელსა და მამალს ბუნების წინაშე ერთიდაიგივე ფუნქცია აკისრიათ და რაც ლათინურში შემდეგნაირად აისახა:

curo (კურო) – ვზრუნავ, ვუვლი. ანუ ქართულად **კურ-კურ**-ი.

curopalates – 1. სასახლის მოურავი. 2. (გვიანდ.) კუროპალატი.

ლათინური **კურო**-დანაა გერმანული **კურორტი** და უკვე აქედან ქართული მ**კურ**ნალი.

ბერძნულში **კურ** ფორმა შემდეგი მნიშვნელობებითაა დამკვიდრებული:

κῦρία -- 1) ღოსპოჟა, ხოზაიკა... 3) ღოსპოდსტვო, ვლასტ.

κῦρίακός – ღოსპოდსკიი, ღოსპოდენ... დენ ღოსპოდენ, ტ.ე. ვოსკრესენიე.

ბერძნული **κῦρίακός** [კჳრიაკოს] > ქართული კვირა და აქვეა განაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი წარმართული ღვთაების სახელწოდება კვირია.

(ივანე ჯავახიშვილი I 116): „შეიძლება აგრეთვე „კვირია“ ძველს მცირე აზიის საბერძნეთში გავრცელებული სახელის „კჳრიას“—საგან იყოს წარმომდგარი, რომელიც „უფალსა“ ჰნიშნავდა და სხვადასხვა ღვთაების შესახებ იხმარებოდა, სხვათა შორის „კჳრიოს“ მზესაც... უწოდებდნენ“.

პავლე ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელწოდება **კოლხი** წარმოდგება ისტორიული კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარის **კოლი**-ს სახელწოდებიდან. ტერმინი **კოლი** შემადგენელია სახელწოდებისა **კოლხი**, მხოლოდ არა როგორც კოლხეთის ერთ-ერთი მხარის აღმნიშვნელი, არამედ როგორც საერთო დამოუკიდებელი ფუძე სიტყვა.

(ი. ყ.) **ოლგ** подлежажщий прохождению (путь, дорога).

(ო. ქ.) **ოლირი** მომავალი.

ოლგ ნიშნავს სავალს (გზას, ცხოვრებას...) და მაშინ (განსხვავებით კოლიო-საგან): **კოლი = კ + ოლი = ძლიერი + სავალი = ძლიერი სვლა || ძნელად სავალი.** განმარტების სიზუსტეს გვიმტკიცებს კოლი-ს ერთ-ერთი მნიშვნელობის შინაარსი.

(ი. ყ.) **კოლი** саранча (კალია ჯ.კ.)

თითქოს რა საერთო უნდა ქონდეს **კალიას**, ამ ციცქნა მწერს ძლიერი სვლის მცნებასთან, მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს კოლხური აზროვნების მასშტაბურობა.

(**Б. С.Э.** XXII 588): „**Саранча**, виды стадных саранчовых. Встречаются в Южной Европе, Юж. и вост. Азии, Африке... При массовом размножении Саранча живет скученно, образуя кулиги (скопления личинок) или стаи (скопления взрослых)... Вследствие неожиданного залета стаи издалека и способности массового нападения на посевы, Саранча особенно опасна как вредитель с./х. культур (хлебных злаков, хлопчатника и т.д.). **Передвигаясь в поисках пищи со скоростью св. 30 км в сутки, куличи уничтожают на своем пути всю зеленную растительность. Личинки и взрослые насекомые поедают листья, стебли, метелки, колосья, плоды, кору на стеблях. Иногда под тяжестью оседающих стай саранчи ломаются деревья и Кустарники... Вред, причиняемый Саранчами культурам и дикорастушим растениям, может достигать размеров бедствия**“.

წარმოიდგინეთ დღე-ღამეში 30 კილომეტრის სიჩქარით მოძრავი მილიონობით კალიათაგან შემდგარი შავი ღრუბელი, რომელიც თავისი მოძრაობის გზაზე ყოველივე მწვანეს ანადგურებს და ტერმინი **კოლი** ამ სტიქიური უბედურების ტოლფასი მოვლენის ზუსტი გამოსახვაა:

კოლი = კ + ოლი = ძლიერი (გამანადგურებელი) + **სვლა.**

ამ ცოდნის გამო გადაკეთდა წარმართული **კოლი** ქართულ **კალია**-დ. **კალია**-ში ბოლოსართი **ია** კოლის (კალიის) მცირე ზომას გამოსახავს.

(ო. ქ.) **კოლი**[2] სარი.

ანუ სარის მიწაში ჩარჭობა (მიწაში სვლა) მოითხოვს ძალის მიმართვას.

კოლი ასევე შემადგენელია დოქის მეგრული სახელწოდებისა:

ორკოლი = **ორ**(ო) + **კოლი** = **ბნელი** + **ძლიერი, სასურველი სვლა** = ბნელიდან (დოქის ყელიდან) [გად]მომდინარე სასურველი (წყალი).

საბას აქვს **ორკიოლი** (სათბობი წყლისა, ხელადა).

კოლტი (ღორის ჯოგი) = **კ** + **ოლ**(ი) + **ტი** = **ძლიერი** + **სვლა** + **თბილი** (სხეული) = გარეული ღორების ჯოგის სვლა.

(ს. ს.) **კოლინჯი** ესე ნაწლევი არს უპესა ქვემოთ, რომელი მიმოვალს აქათ-იქით.

კოლინჯი = კ + ოლი + ნ + ჯი = ძლიერი (ძნელი) + **სვლა** + **დედა** (სხეული) + **დაბლა** = მტკივნეული მოძრავი სხეულის დაბლა (ნაწილზე).

კოლი-ს ფსიქოლოგიის უკეთ აღქმის მიზნით გავიხსენოთ **დოლი**.

დოლი = დ + ოლი = ძლიერი + სვლა.

(ქ.ე.გ.ლ.) **დოლი** საკრავი...

(ქ.ე.გ.ლ.) **დოლი** ბატკნის მოგების დრო (მოდის თებერვალში).

(ქ.ე.გ.ლ.) **დოლი** დოლის პური... ძირითადი ხორბლეული ჩვენში; თავთავი იცის ფხიანი, მარცვალი მსხვილი. პური გამოდის კარგი ღირსებისა.

(ქ.ე.გ.ლ.) **დოლაბი**[1] – წისქვილის ქვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **დოლაბი**[2] – 1. ბანიანი სახლის სათვალე.

ერთი სიტყვის, **დოლი**-ს სამი განსხვავებული მნიშვნელობა **ოდო**-ს (**დ**-ს) გამოვლინებებია, სვლაა. **ოდო**-ს (**ტალიპინუს**) ჭექა-ქუხილის ღმერთის **ტარუ**-ს

(ტაროსის) შვილის ბუნებას, ანუ ჭექა-ქუხილის ხმას, ადამიანის მიერ შექმნილი ინსტრუმენტებიდან, მხოლოდ **დოლის** ხმა თუ შედარდება. როდესაც **დოლია**, ბატკნები (**ოდოს** ნაშიერები) ევლინებიან ქვეყნიერებას, ეს **ტელეპინუ** (დ) ბრუნდება. ასევე **ტელეპინუს** (დ-ს) სვლაა ხორბალ **დოლის** უხვი მოსავალი. **დოლაბი** მცნება **დოლი**-ს შედარებით განზოგადოებულ მნიშვნელობებს ატარებს.

დოლაბი = **დოლ**(ი) + **ბი** = **დოლი** + **მცირე**.

წისქვილის ქვებიდან იყრება მოსავლის ნაყოფი -- ფქვილი. ბანიანი სახლის, ანუ დარბაზული ტიპის საცხოვრისში მაცოცხლებელი (ძლიერი) მზის შუქი **დოლაბი**-დან, ბანში, სახურავში გამოჭრილი მცირე ზომის ხვრელიდან ჩაედინება.

დოლი და კოლი თითქოსდა ერთი და იგივე მნიშვნელობას, ძლიერ სვლა¬-ს ატარებენ, მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ **დოლი**-ში მოსავლიანობის ღვთაება **ოდო**-ს გამოვლინებები ისახება, ხოლო კოლი მოძრაობის ფიზიკურ არსს გადმოგვცემს. ამათგან სრულიდ გასხვავებული მოძრაობის სურათს გვიხატავს ბოლი, რომლის აზროვნებასაც გაეცნობით.

ამ ცოდნის შემდგომ გაიხსენეთ კოლხეთის ჭაობიანი დაბლობი, უღრანი ტყეებით შემოსილი მთაგორიანი მხარეები ჩვენი ქვეყნისა „დახშული კლდეებით, სიმაგრეებითა და ხეობიანი მდინარეებით (**სტრაბონი** 128)", „იქ დაქანებულ ადგილებში, მეტად ხშირი, შტომრავალი და მაღალი (ხეები) იყო და ჯარისთვის იმ ქვეყანას სრულიად გაუვალს ხდიდა (**პროკოპი კესარიელი** 54)“ და რისი ფოტოგრაფირებასაც წარმოადგენს სახელწოდება კოლხი-ს შინაარსი.

კოლხი = **კ** + **ოლ**(ი) + **ხი** = **ძლიერი** + **სავალი** + **მიწა** = ძნელად სავალი (ჭაობიანი, მთაგორიანი, ტყიანი) მხარე.

სახელწოდება **კოლხი**-ს შინაარსის გამო ვეინახური ენით - **კილხ** = ჭაობს, **კულხ** = ჭანჭყრობს, **კოლხ** = სახნავ-სათეს წყლიან მიწას; ხოლო თუშურად ქართველს ეწოდება **კოხივ** (**რევაზ მორგოშია** „აია“ № 2 გვ.23 1998წ.).

ჩეჩნურ ეროვნულ მეხსიერებაში შემორჩენილია სახელწოდება კოლხი-ს შინაარსის ცოდნა, რომ კოლხეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჭაობიან, წყლით სავსე სივრცეს წარმოადგენდა, ხოლო თუშები შესანიშნავად ერკვევიან ქართველთა კოლხურ წარმომავლობაში.

აქ გავიხსენოთ **კონსტანტინე პორფიროგენეტის** ცნობა და არაბი **იაკუთის** საქართველოს ტერიტორიის დახასიათება.

„**პორფიროგენეტის** ვერსიის მიხედვით, სპარსელთა რისხვამ, სპანდიატმა „თანამონათესავე ივერიელები დაასახლა ძნელგასავალ ადგილებში, რომელიც მათ ახლაც უპყრიათ, საიდანაც ისინი თანდათან განივრცნენ და გამრავლდნენ და დიდ ერად იქცნენ“.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 132): „**იაკუთი** აღნიშნავს, რომ **აბხაზ**-ი ერთ-ერთი მხარის სახელია ალ-კაბკის (კავკასიონის) მთებზე. ესაა მთებში ძნელად სავალი და ოღროჩოღრო მხარე (გაიხსენეთ ლაზიკის პროკოპი კესარიელისეული დახასიათება ჯ.კ.), დასახლებული „ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ“.

სახელწოდება **კოლხი**-ს ეტიმოლოგიური განვითარებაა **კოლბოხი.**

(**ქ.ე.გ.ლ.**) **კოლბოხი** 1. გამხმარი და გამაგრებული კოშტი მიწისა, ხმელი გუნდ-გუნდა მიწა (შდრ. გოროხი)... დამფრთხალი ჯორი მირბოდა და, მისდა უნებურად, ხან კოლბოხებს წაჰკრავდა ფეხს, ხან ქვას, წაიფორხილებდა ამის გამო, რასაკვირველია (დ. კლდ.). 2. ძვ. „ მიწაა ქვის მსგავსი, რკინის საფერავი“ (საბა).

კოლბოხი = **კ** + **ოლ**(ი) + **ბო** + **ხი** = **ძლიერი** + **სავალი** + **პატარა** (დაბლა) + **მიწა**.

კოლხი > (+**ბო**) > **კოლბოხი.** ანუ მცნება „ძნელად სავალ მიწას“-ს (კოლხი-ს) დაემატა ფორმანტი **ბო** (პატარა დაბლა) და რითაც გამოისახა დაბლა მიწაზე გაფენილი მცირე მოცულობის „გამხმარი და გამაგრებული კოშტი მიწისა“.

(ქ.ე.გ.ლ.) კოლბოხნარი კოლბოხიანი ადგილი.

კოლბოხნარში სიარული ძნელია, დამღლელია.

სახელწოდებები **კახი** და **კუხი** იგივე სახელწოდება კოლხი-ს შემოკლებული ვარიანტებია.

კახი = **კა** + **ხი** = **ძლიერი** + **მიწა** = ძლიერი, მშვენიერი მხარე.

კახა = **კა** + **ხა** = **ძლიერი** + **მიწიერი**.

კუხი = **კუ** + **ხი** = **ძლიერი** + **მიწა** = უძლიერესი, უმშვენიერესი მხარე.

კახეთი – აღმოსავლეთი მხარე კოლხეთისა; **კახათი** – სოფელი ზუგდიდის რ-ნში; **კახარეთი** – სოფელი ადიგენის რ-ნში; **კახისის** ტბა – ტბა ბორჯომის რ-ნში; **კახიფარი** – სოფელი გურჯაანის რ-ნში; **კახურა** – სოფელი ლენტეხის რ-ნში; **კახური** – რკინიგზის ბაქანი ოზურგეთ-მერიის გადასარბენზე; **კახაბერი** – სოფელი ხელვაჩაურის რ-ნში.

ეს ქვეთავი მოვამთავროთ იმის განხილვით, თუ როგორ გაჩნდა ქართულში წარმართული **კო**-ს ნაცვლად მცნება **ნდომა**. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეგრულს მცნება **ნდომა**-ს აღსანიშნავად გააჩნია ეგვიპტურ-კოლხური ფორმა **კო** (მო**კო** = მინდა; გო**კო** = გინდა; **ოკო** = უნდა; **კობა** = ნდომა). ქართული ენის შემქნელებმა უარყვეს წარმართული ფორმა **კო** და შეარჩიეს თანხმოვანთა წყვილი ნდ.

მეგრ. მო**ნდ**ა = მწიფე, მუ**ნდ**ი = უკანალი (სხეულის ყველაზე „მწიფე, სრული" ნაწილი), **კუნდი** = განავალი (საკვების სხეულში მონელების, „მომწიფების" შემდგომი პროდუქტი). თანხმოვანთა წყვილი **ნდ** სიმწიფის მცნებას გამოსახავს წარმართულ კოლხურ მეტყველებაში.

ნდ = **ნ** + **დ** = **დედა** (სასურველი) + **ნაყოფი** (ოდო) = სასურველი ნაყოფი = მწიფე. ხოლო მწიფე ნაყოფი მუდამ აღძრავს ნდომის სურვილს (**მონდა** > **მინდა**).

მოგაწვდით მსგავსი აზროვნების მაგალითებს: მეგრული **ჩანს** აღნიშნავს ხეზე ნაყოფის ბმას, სხმას და ვინაიდან მსხმოიარე ნაყოფი დაბლიდან ადვილი დასანახია, ქართული ენის შემქნელებმა მეგრულ **ჩანს** მიანიჭეს ჩვენებითი მნიშვნელობა. ე.ი მეგრ. **ჩანს** (აბია, ასხია) > ქართ. **ჩანს** (მოს-**ჩანს** >გამო-**ჩნ**და...).

მეგრულად **მარდი** ნიშნავს **მადლს** და ქართულში გადაქართულების წესით (რ > ლ, ლ >< დ) ასეც დაფიქსირდა.

(ქ.ე.გ.ლ.) მადლი 1. სიკეთე, კეთილი საქმე. 2. (ძვ.) ვითომდა ზეციური ძალა, წყალობა; ვითომდა ზეცით ბოძებული ნიჭი.

გარდა ამისა მეგრ. **მარდი**-ს, უცვლელი ფორმით, ქართულში მიანიჭეს ასევე სწრაფის, მკვირცხლის მნიშვნელობა. ანუ სისწრაფე, სიმკვირცხლე ზეცით ბოძებული ნიჭიაო. ამდენად:

წარმართ. მო-**ნდ**-ა > ქართ. მო-**ნდ**-ომება > მოი-**ნდ**-ომა > **ნდ**-ომა > **სანდ**ო, **სანდ**ომიანი, **ანდ**ო, **გაანდ**ო, **ენდ**ო... აქვეა **გუნდ**ა.

ბა

(**თამაზ ბერაძე** „აია“ №№ 9-10. გვ.33): „ძლევამოსილი აიეტის ერთ-ერთი უახლოესი შთამომავლის სახელი შემოგვინახა რომაელმა ისტორიკოსმა **პლინიუს სეკუნტმა**. რომაელი ისტორიკოსი საგანგებოდ იხსენიებს სავლაკს, აიეტის შთამომავალს,

სესოსტროსის ანუ ეგვიპტის ფარაონის რამზეს II-ის ხანაში (ძვ. წ. XII ს-ის დასასრულს და XIII ს-ის I ნახევარი) დიდი ტერიტორიის მფლობელს, რომელმაც სვანეთში და თავისი სამეფოს სხვა მხარეებში დიდძალი ოქრო და ვერცხლი მოიპოვა ოქროს საწმისის მეშვეობით“.

ოქროს საწმისი (მატყლიანი ცხვრის ტყავი) უნდა კუთვნებოდა **ბოჩი**-ს.

(ო. ქ.) ბოჩი მოფერ. მიმართვა ბოჩი! (< ბოჩია). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბოჩი წარმართობის დროინდელი ღვთაების სახელი უნდა იყოს. შდრ. ლაზ. ბოჩი მამალი ცხვარი (ნ. მარი).

ბოჩი = **ბ** + **ოჩი** = **სული** + (ო) **ციური** = სულიერი ციური.

ბოჩი-ს განმარტების თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ თანხმოვან **ბ**-ს ლოგოგრამა ეგვიპტური **ბა**. გარდა **კა**-სი, ეგვიპტელთათვის ადამიანის სულიერ მამოძრავებელ ფაქტორს ასევე წარმოადგენდა **ბა**.

(**M.C.**): „**Ба** в египетской мифологии один из элементов, составляющих человеческую сущность. Египетский писатель 4 в. Гораполлон... перевел **ба** на коптский язык как „душа“... **ба** считалось воплошением жизненной силы всех людей, продолжающим сушествовать и после их смерти. Обитая в гробнице оставаясь в полном единстве с умершим, **ба** может отделиться от тела человека и свободно передвигаться . ба осушествляет все функции человека: ест, пьет и т.д.“.

(**აკაკი გელოვანი** 460): „**ბა** ფრინველის ან ადამიანის თავიანი ფორმაა სულისა, ცალკე არსებობის უნარი გააჩნია, აქვთ ღმერთებსაც, ძალუძს ცად ასვლაც. ვარსკვლავები ღმერთთა მსგავსი ადამიანების **ბაები** არიან. ესაა სულიერი ძალა“.

სიტყვებით: **ბოლი, ბურუსი, ბინდი** კოლხმა მამებმა შესძლეს ფიზიკურად ხელშეუხები სულის, **ბა**-ს არსის გადმოცემა. შევადაროთ ერთმანეთს **დოლი, კოლი** და **ბოლი**. თუ დოლი მოსავლიანობის ღვთაება **ოდო**-ს გამოვლინებებს ასახავს, **კოლი** მოძრაობის ძალისმიერ ბუნებას გადმოგვცემს, **ბოლი**-თ **ბა**-ს, სულის არამდგრადი ფორმით არსებობას აღვიქვავთ.

ბოლი = **ბ**(ა) + **ოლი** = ბას (სულის) სვლა

მეგრულს გააჩნია **ბოლი**-ს სრული შესატყვისი **ლოლი**

ლ + **ოლი** = ატმოსფეროს, ჰაერის სვლა.

მსგავსი აზროვნებითაა შექმნილი:

ბურუსი = **ბ**(ა) + **ურუ** + **სი**(სი) = სული + გაუჩინარება + წყალი = ჰაერში წვრილ-წვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი, ნისლი.

ე. ი. **ბურუსი** წყლის ისეთი ჰაეროვანი მდგომარეობის გამოსახვაა როცა გარემო პეიზაჟი უჩინარდება, მხედველობა გაძნელებულია.

სულის იდუმალი არსის დინების გადმოცემის გამართლებული ცდაა **ბინდი**, ნაწილობრივი სიბნელე დაღამებისას ან გათენების წინ, -- დღე-ღამის გასაყარი, სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარი:

ბინდი = **ბ**(ი) + **ნ** + **დი** = **სული** + **დედა** + **მოძრაობა** = სულის სასურველი დინება.

სული ხელშეუხებია, უფორმოა, მხოლოდ მისი მოქმედების, ზეგავლენის შედეგი უმნიშვნელოვანესია და ეს აისახა კიდეც **ბურ** მოძრაობათა საერთო ხასიათში.

ბურდუა – **ბურ**დვა, **აბურ**დვა, აწეწ-დაწეწვა; **ბურ**დღინი – ბურდღუნი, ბუზღუნი; **ბურ**თი; **ბურ**ინაფა – ენერგიულად ტყორცნა, გასროლა რისამე; **ბურ**საფი > **ბურ**სა – ნავარდი, ბორგვა, შფოთვა > ძლიერი, ღონიერი; **ბურ**ღუა > **ბურ**ღი – **გაბურ**ღვა; **ბურ**ცხუა > **ბურ**ცხი -- ფოცხვა > ფოცხი; **ბურ**ძგონუა > **ბურ**ძგი – **გაბურ**ძგვნა > **ბურ**ძგნა; **ბურ**ჭული – წალდი; **ბურ**ჯაფი > **ბურ**ჯა – ბორგვა, შფოთვა > შფოთიანი კაცი.

ამ მეგრული სიტყვებიდან ქართულში შეიქმნა შემდეგი გვარები: **ბურდუა** > **ბურდული; ბურჭული** > **ბურჭულაძე; ბურჯა** > **ბურჯალიანი, ბურჯანაძე.** სიტყვები: **ბურდვა, ბურდღუნი, ბურთი, ბურღი, ბურძგნა...**

ბურუ – მდინარე სოხუმის რ-ნში, კელასურის მარჯვ. შენაკადი.

ბურნეულა... მდინარე ხაშურის რ-ნში, ჭერათხევის მარჯვ. შენაკადი.

ბურნეულა = ბურ + ნე + ულა = ბურ (მოძრაობით) **+სასურველი + სვლა.**

ბურსა თვისებების (ნავარდი, ბორგვა, შფოთვა, ძლიერის, ღონიერის) გამო წარმოდგნენ შემდეგი ტოპონიმები:

ბურსა – მდინარე ყვარლის რ-ნში.

ბურსაჭირი – მდინარე დუშეთის რ-ნში, გუდამაყრის არაგვის სათავე.

დროდადრო იმდენად შფოთიანი, ძლიერი მონავარდე მდინარე გახლავთ **ბურსა**, რომ მწარე გამოცდილების მქონე მოსახლეობამ მას ჭირი – **ბურსა-ჭირი**, ანუ შფოთიანი ჭირი უწოდა.

ბურსაჭირის უღელტეხილი – უღელტეხილი დუშეთისა და ყაზბეგის რ-ებში, ხევის კავკასიონზე.

ბურსა-დან იმდენად შედგა მდინარეთა სახელწოდებები, რამდენადაც **ბურსა**-ში თანხმოვანი **ს** აღნიშნავს წყლის მცნებას, როგორც **ბურუსი**-ში **სი(სი)**. ხოლო **ბურჯა**-ში **ჯა** გამოსახავს ხის მცნებას. **ბურ** მოძრაობათა არსის ზუსტ ცოდნას ამჟღავნებენ ქართული **ბურბური** (ცეცხლის) და **ბურბუშელა**. **ბურ** მოძრაობათა არსის, კერძოდ **ბუ**(რ)**ძოლუა**-ს (შფოთი, არეულობა, აურზაური) ვარიანტის გათვალისწინებით, ქართულში შეიქმნა **ბრძოლა**.

წარმართ. **ბურძღოლი** > **ბუძღოლი** > **ბუძოლი** > **ბურძოლი** > (უ > 0) > **ბრძოლი** > (+მე) > **ქართ. მე-ბრძოლი** > **ბრძოლა.**

(ო. ქ.) ბურუა [და]ბურვა, დაფარება. [დო]ბურილი [და]ბურილი. უდაბურუ დაუბურავი, დაუფარავი.

წარმართ. **ბურუა** > (უა > ვა) > ქართ. **ბურვა**. ვინაიდან უდაბნო არაა მწვანე სამოსელით დაფარული, დაბურული (< დობურილი), დაუსახლებელია:

წარმართ. **უდაბურუ** > ქართ. **უდაბური** > **უდაბნო.**

ბა-ს ძლიერი მოქმედების უნარის გამო, ის კოლხურ მეტყველებაში, მსგავსად **ფა**-სი, მოქმედების გამომხატველ სუფიქსადაც იქცა. კოლხურ მეტყველებაში სუფიქსი **აფა** გამოსახავს შედარებით რბილ მოქმედებებს – **კორინაფა, რკინაფა**, ხოლო სუფიქსი **ება,** შედარებით ძლიერ მოქმედებებს – **კორინება, რკინება**. შედარებით თვალსაჩინო მაგალითია:

(ი. ყ.) 2. **რჩ-ება** – бодать, наносить вред.

3. **რჩ-აფა** -- стлать, постилать.

ქართული ენის შემქნელებმა, მეტყველების გამარტივების მიზნით, დატოვეს მხოლოდ სუფიქსი **ება.** სუფიქსი **ბა** ასევე დამკვიდრებულია რუსულ მეტყველებაში – Бор-ба, друж-ба, служ-ба, стрель-ба...

ეგვიპტურმა **ბა**-მ (სული > სულიერი) კულტურათა დიდ სივრცეში შვილი-ს მნიშვნელობაც შეიძინა და გვარების შესაქმნელად გამოიყენება. მაგალითად, მილანის ინტერში თამაშობდა სენეგალიელი იბრაგიმ **ბა**, პორტუგალიელთა ნაკრების მეკარე ვიქტორ **ბაია**, ლონდონის „ჩელსი“-ს ზანგი ფეხბურთელი **დროგბა**, სლოვენიის ნაკრების ფეხბურთელი **შტრბა**, უკრაინული გვარები – **ბულბა, ვალბა, იაცუბა, ძიუბა...** ადიღური გვარები – **ადლეი-ბა, არშბა...** ქართული გვარები – **დუმბაძე, ზუმბაძე, სუმბაძე, ჭუმბაძე, ნადიბაიძე, გოგებაშვილი...**

გავიხსენოთ, რომ **ბაიოს** ასევე ძველი ბერძნულით ნიშნავს პატარას.

βαιος (ბაიოს) – маленкий, небольшой.

ქართულში მცირე სულიერთა მრავალი სახელწოდებებია წარმოქმნილი: **ბავშვი, ბაღანა, ბოში, ბუში, ბიჭი, ბერე, ბალღი, ბაღვი. ბოჩიკი, ბარაკეული, ბოჩოლა, ბუჩინა, ბიჟინა, ბატკი, ბატკანი, ბუწი, ბურვაკი, ბოკვერი, ბოკერი, ბელი, ბაჭია, ბაცაცი, ბეკეკა, ბაყაყი. ბარტყი, ბაპალა, ბჟიტი, ბიწილი, ბუ, ბუჭული, ბელურა.**

ინგლისურში baby [baibi] – ბავშვი; boy [boi] – ბიჭი.

ბა, როგორც მცირეს აღმნიშვნელი, უსულო საგნებზეც განივრცო.

(ქ.ე.გ.ლ.) ბაო 1. (მვ.) მცირე ჩრდილი (საბა). 2. (კუთხ.) მოლი, ახალი ბალახი ეზოში.

ბა-ო = მცირე დაბლა.

ბალი = ბა + ლი = მცირე + სხეული (ნაყოფი).

ბალახი = ბა + ლა + ხი = მცირე + სხეული + მიწა(ზე).

ბალანი = ბა + ლა + ნი = მცირე + სხეული (ფორმა) + **დედის** (მშობლიური).

ბაკანი (= 1. კუს ზურგის რქოვანი ფარი... 2. მოზრდილი ხის ჯამი.)

1. **ბა + კა + ნი = მცირე + ძლიერი + დედის** (მშობლიური, ანუ ის რაც გაჩენიდან მოყვება კუს)

ხის ჯამის შემთხვევაში:

2. **ბა + კა + ნი = მცირე + ძლიერი** (მშვენიერი) + **დედის** (სასურველი).

ბილიკი = ბი + (ო)ლი + კი = მცირე + გზა + სასურველი.

გაბელია = გა + ბე + ლ(ი) **+ ია = მთა + მცირე + სხეული + პატარა.**

ჯაბელია = ჯა + ბე + ლ(ი) **+ ია = ხე + მცირე + სხეული + პატარა.**

ბეჭედი = ბე + ჭედი(ლი) **= მცირე** (გამო)**ჭედილი.**

წურბელა = წურ(ული) **+ ბე + ლი = წვრილი + მცირე + სხეული.**

და ბოლოს „ба считалось воплошением жизненной силы всех людей“, ამდენად:

(ო. ქ.) ბორო სულელი, შტერი, ბრიყვი, ჭკუათხელი.

ბორო = ბ + ორო = სული + უხილავი, ანუ თუ შენში სული (სულიერება) არ იგრძნობა (არ იხილება), ხარ სულელი, შტერი, ბრიყვი, ჭკუათხელი.

ათონი და ვაალა

(**სემიუელ კრამერი** 178): „შუმერული პოემისა და ბიბლიის შედარებითი ანალიზის დროს ყველაზე საინტერესო მაინც ადამის ნეკნიდან ევას – „ყველა ცოცხალი არსების მშობელის" – შექმნის იდუმალებით მოცული ამბავია. რატომ მაინცდამაინც ნეკნიდან? რატომ ამჯობინეს ძველმა ავტორებმა ნეკნი სხეულის დანარჩენ ნაწილებს, როცა საქმე ევას შექმნაზე მიდგა? სახელი ევა ხომ, ბიბლიური ტრადიციის მიხედვით, ნიშნავს „ის ვინც სიცოცხლეს იძლევა“.

საქმე ისაა, რომ სამოთხის შესახებ ბიბლიურ ლეგენდას საფუძვლად უდევს შუმერული პოემის ლიტერატურული ტრადიცია დილმუნზე, შუმერულად ნეკნი აღინიშნება სიტყვით „თი“, ქალღმერთს, რომელსაც ენქი უნდა განეკურნა, ერქვა ნინთი, ესე იგი „ქალბატონი ნეკნი“. მაგრამ შუმერული სიტყვა „თი“, ამავე დროს ნიშნავს „სიცოცხლის მიცემას“. ამრიგად, შუმერულ ლიტერატურაში „ქალბატონი ნეკნი", სიტყვათა თამაშის წყალობით, გადაიქცა „ქალბატონად, რომელიც სიცოცხლეს იძლევა". ეს იყო პირველი ლიტერატურული შეცდომა, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე

მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი, და რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა ბიბლიურ თქმულებაში სამოთხეზე, თუმცა ამ შემთხვევაში მას უკვე საფუძველი შერყეოდა, რადგან ძველებრაულ ენაზე „ნეკნი“ და „სიცოცხლის მიმცემი“ სხვადასხვაგვარად ჟღერს“.

„შუმერული სიტყვა **თი** ნიშნავს **სიცოცხლის მიცემას**", **გაჩენას** -- რადგანაც, წინააზიური ტრადიციით, თანხმოვან **თ**-ს გაცხადების, გაჩენის ფუნქცია აკისრია. ეს ცოდნა წარმოადგენს საფუძველს სახელწოდებისა **თიხა**. მოგეხსენებათ, შუმერულ-ეგვიპტურ-ქრისტეანულ და სხვა მსოფლიო რელიგითა მტკიცებით ადამიანი შემოქმედმა მიწისაგან შექმნა და ამ მიწას ქართულად ეწოდა **თიხა**.

თიხა = **თი** + **ხა** = **გაცხადება** + **მიწა** = **მიწა** რისგანაც გაცხადდა, გაჩნდა, შეიქმნა ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ერთ-ერთ მონასტერში ინახებოდა თიხა – „რომლისგანაც უფალმა ადამი შექმნა“. თიხისაგან იქმნება, ცხადდება ასევე სხვადასხვა სახის ჭურჭლეული და ამანაც განსაზღვრა მიწის ამ შემადგენლობის სახელწოდებად **თიხა**-ს შერჩევა.

ე. ი. **დიხა** (დია + ხა) აღნიშნავს მარჩენალ მიწას, ხოლო **თიხა** (თი + ხა) გაცხადების მიწას, ანუ რისგანაც შეიქმნა, გაცხადდა ადამიანი, იძერწება ჭურჭლეული, საშენი მასალა...

თუ რას ნიშნავდა საწყისი აზროვნებისთვის **გაცხადება, გაჩენა**, ამის აღსაქმელად, შეეცადეთ არ მიაქციოთ ყურადღება გარშემო ხმაურს, სურნელებას და დახუჭეთ თვალები... სამყარო ჩაქრა, ანუ თქვენ დაბრუნდით სამყაროს შექმნის, **გაცხადების, გაჩენის** წინა პერიოდში, რომელიც შუმერულმა მითოსმა ასე აღწერა:

წმიდა სახლი, ღმერთების სახლი, წმიდა ალაგას არ იყო შექმნილი,
ლერწამი არ იყო აღმოცენებული, ხე არ იყო დანერგილი;
აგური არ იყო დადებული, ალიზი არ იყო მოზელილი.
ქალაქი არ იყო აგებული, სულდგმული გაჩენილი...
წმიდა სახლი, ღმერთების სახლი, მათი ბინა არ იყო შექმნილი.

გაახილეთ თვალი და თქვენს წინაშე სამყარო **გაცხადდა, გაჩნდა**. გაცხადების აქტი შუმერებმა თვალის ლოგოგრამით გამოსახეს და რომელი ლოგოგრამაც ქართულ ანბანში თვალის გრაფემად გვიზის. რასაკვირველია, მხოლოდ თვალის გახელა არაა საკმარი და სამყაროს აღსაქმელად აუცილებელია შუქი. ამდენად: „**თვალი** – ძველ ხალხთა მითებში ხშირადაა გათანაბრებული მზესთან. ეგვიპტურ მითოლოგიაში მზის ღმერთის რას მარჯვენა თვალია მზე, ერთი შეხედვით თრგუნავს მტრებს. არის სხვა ვერსია: თვალს აგზავნის ღმერთი, რომ კაცთა მოდგმა გაწყვიტოს (შესაძლოა მარტო მტრის მოდგმა იგულისხმევა). შემდეგ თვალი ან უკან ბრუნდება, ან თოთი აშოშმინებს და აბრუნებს. სხვა ვერსიით მზე ჰოროსის მარჯვენა თვალია, მთვარე --- მარცხენა. ტეფნუტსაც, ღმერთთა დედასაც, მზის ან მთვარის თვალი უდგას; ჩრდილოეთურ მითოლოგიაში ღმერთ ოდინს თვალებად მზე და მთვარე უდგას (**აკაკი გელოვანი** 207)“.

(**ლადო ალფენიძე** 12): „ნუთ“ ეგვიპტურ მითოლოგიაში არის ქალღმერთი, რომელიც ყოველდღე შობს „მზეს“. კოლხურში „ნოთე“ არის ,რიჟრაჟი“, „ცისკარი“, „მზის ამოსვლის ჟამი“.

ამრიგად, **ნუთი** ყოველ დილას აცხადებს, აჩენს მზეს (ახელს თვალს) და იგივე ცოდნის მატარებელია კოლხური **ნათუა** > ქართ. **ნათება**.

ნათუა = ნა + თ + უა = დედა (მზე, ქალღმერთი, სასურველი) + **თ**(ენება) (გაცხადება, გაჩენა) + **მოქმედება**, ანუ ნათება არის მზის (დედის) გაცხადების მოქმედება, ხოლო ნათელი = დედის (მზის) (გა)თე(ნებული) სივრცე.

ეგვიპტური **ნუთი**-ს ზუსტი ასლია შუმერული ნინთი = **ნინ + თი = ქალბატონი გაცხადება, სიცოცხლის მიმცემი.**

შუმერული მითოლოგიით **თიამათი (ნინთი)** ეწოდებოდა „პირველქმნილ ზღვათა სტიქიის დიდ ქალღმერთს“ და „**ყოველის დამბადებელი თიამათის წიაღიდან გამობრწყინდნენ პირველი ღმერთები**“; ეგვიპტური მითოლოგიით **ათუმი**-დან (**ნუთი**-საგან), ბერძნული მითოლოგიით **თეტისი**-საგან წარმოიშვა სიცოცხლე, ანუ სამივე მითოლოგიის გამაერთიანებელ გაჩენის, გაცხადების მცნებას გამოსახავს თანხმოვანი **თ**.

ე. ი. „შუმერული სიტყვა **თი** ნიშნავს **სიცოცხლის მიცემას**“ (**ნინ-თი** = „ქალბატონი რომელიც სიცოცხლეს იძლევა“) და შუმერული **თი** წარმართულ კოლხურში გაცხადების, გაჩენის მცნებებს გამოსახავს,

(ო. ქ.) თი[1] (მრავლობითი რიცხვი არა აქვს) ოჯახი; სახლი, სახლ-კარი.

(ო. ქ.) თი[2] ჩვენებითი ნაცვალსახელი ის.

(ო. ქ.) -თი[3] სუფიქსი აღნიშნავს სახლი. ოჯახი: ჩილორთი ცოლის ოჯახი.

(ო. ქ.) თია არჩივი, ულუფა, წილი, კუთვნილი ნაწილი.

(ო. ქ.) თური მოგვარე; სისხლით ნათესავი; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი. გვარი იყოფოდა თურებად (მოიცავდა 5-6 თაობას).

კოლხური **თი** არის იგივე შუმერულ-ეგვიპტურ-ბერძნულ **თ**-ს (**თიამათი, ათუმი, თეტისი**) შინაარსის მატარებელი, ანუ შენი საცხოვრისი (ოჯახი, სახლ-კარი) არის ის სივრცე სადაც შენ გაჩნდი, გაცხადდი. ამის გამო იქცა ფორმანტი **თი** მხარის, ქვეყნის გამომსახველ სუფიქსად – **კახათი, კახეთი, ჩინეთი**... ხოლო **თია** (**თ + ია = გაცხადება + პატარა, მცირე**) ესაა დიდი საცხოვრისის შენი მცირე წილი.

წარმართული ჩვენებითი ნაცვალსახელი **თი**[2]-ს ცოდნით ქართულში შეიქმნა **თითი**, რითაც აჩვენებ, აცხადებ.

კოლხური **თური**-ს სრული ფორმაა **თიური = თი + ური = საცხოვრისი + არსებული**, ანუ **თური** არის შენს საცხოვრის სივრცეში მცხოვრები შენი ახლობელი. მსგავსია **ხევს-ური**, ხევში არსებული, ხევში მაცხოვრებელი. **თური** შუმერულად ერთდროულად ბოსელისა და საშოს მნიშვნელობებს ატარებს. დღესაც მრავლადაა სოფლები, სადაც ადამიანები და შინაური პირუტყვი ერთ სახლში, ერთ სივრცეში ბინადრობენ, ერთ სივრცეში ჩნდებიან. ასეთ სოფლებში, ყოველგვარი პასპორტიზაციის გარეშეც, კარგად ერკვევიან თუ რომელი ვარიკა, რომელი ოჯახის „თურია“. ამ **თური** სივრცის მფარველი ღვთაება გახლდათ შუმერთა დიდი დედა **ნინ-თური**:

(**აკაკი გელოვანი** 358): „**ნინთური** (შუმერ. „შობის დედოფალი“) – კაცთა მოდგმის გამჩენი დიდი დედა შუმერში“.

(**ლადო ალფენიძე** 101): „ეგვიპტურად „ათონი“ ნიშნავს „მზის დისკოს“, „მზის წრეს", კოლხურად „ოთანე“ ნიშნავს „მზის ამოსვლას“.

(ო. ქ.) თონუა {მო}ჩვენება; {გა}მოჩენა.

თონუა = (ა)**თონ** + **უა** = **მზე** (მზის დისკი) + **მოქმედება** = მზე დილით ჩნდება, ასევე ღრუბლიან ამიდნშიც ხშირად გამოანათებს, ანუ გამოჩნდება, მოგვეჩვენება და ეს ფაქტი წარმართულ კოლხურში დამკვიდრდა მცნებებად: **[მო]ჩვენება; [გა]მოჩენა**.

მეგრ. **თანაფა = თა + ნ + აფა = გაცხადება** (ნათება) + **დედა** (სასურველი) + **მოქმედება** = სასურველი ნათების მოქმედება > ქართ. თენება (გა-თენება).

მეგრ. **თანაქა** ესაა კეცზე მჭადის, ხაჭაპურის გამოსაცხობად გადასაფერებელი თუნუქის ნაჭერი, რომელიც ცხობის პროცესში, მასზე დაყრილი ნაკვერჩხლის

სიმხურვალის გამო, გარიჟრაჟივით წითლად ვარვარდება და ამის გამოც ეწოდა მას **თანაქა**, რომელ სიტყვაშიც თანხმოვანი **ქ** გამოსახავს თუნუქის მიწიერ წარმომავლობას:

თანაქა = თა + ნა + ქა = ნათება (გაწითლება) + **დედა** (სასურველი) + **მიწიერი** (ნაწარმი) = სასურველი გასაცხელებელი ნივთი (თუნუქი).

წარმართ. **თანაქა** > ქართ. **თუნუქი**.

აკაკი გელოვანი სახელწოდება **ათონი**-ს მოიხსენიებს ფორმით **ატონი**. ძალზედ ხშირია სხვადასხვა კულტურათა მიერ თანხმოვნების **თ**-სა და **ტ**-ს ერთმანეთში აღრევის შემთხვევები. მაგალითად, ეგვიპტელი ფარაონის სახელი **თუთანხამონი**, ძირითადად **ტუტანხამონი**-ს ფორმით მოიხსენიება. ეს ხშირად განპირობებულია იმით, რომ ენათა ნაწილს (რუსულს...) არ გააჩნიათ თანხმოვანი **თ**. ჩვენთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, ვინაიდან ასეთ ენებში მზის სითბოს მცნება თანხმოვან **ტ**-ს მეშვეობით გადმოიცემა (терло) და ესეც ასახულია კოლხურში, მეგრულად **ტიბუ** = თბილი, ანუ კოლხურ მეტყველებაში თანხმოვანი **ტ** ასევე სითბოს მცნებას გამოსახავს (ტგ = ცური < თბილია).

(**აკაკი გელოვანი** 85): „**ატონი** (ეგვიპ. „მზის დისკო", რგოლი, სახე) – მზის მრგვალი სიმბოლიური სახე, რასაც ეგვიპტეში ძვ. წ. 1400 წლიდან, ამენოფის III დროიდან, მზის ღმერთის ხატად თვლიდნენ და თაყვანსა სცემდნენ. უფრო მოგვიანებით, ეხნატონის დროიდან, ოფიციალურ კულტად იქცა, როგორც საყოველთაო ღმერთი, ფარაონის მშობელი. ამარნას ეპოქიდან (1365—1305) ადამიანის სახეს აღარ აძლევდნენ, უბრალო მზის დისკოა, საიდანაც უხვად ეფრქვევა სხივები ფარაონს, დასაბამი ეძლევა სიცოცხლეს“.

მზის ჭეშმარიტად ღვთაებრივი, შეუცვლელი ფუნქციის გამო, ფარაონ ეხნატონის მმართველობის ჟამს (ძვ. წ. 1368—1351 წ.წ.) წარმოიშვა **მონოთეიზმი** [ბერძ. **monos** ერთი და **thema** თემა], ანუ მზის, ანუ ერთღმერთიანობის იდეა ადამიანთა ცნობიერებაში ინერგებოდა და რამაც შემდგომ განვითარება ბიბლიაში პოვა. **ათონ-ატონ**-მა ცეცხლის სახება მიიღო ინდო-ირანულ მითოლოგიაში.

(**M. C.**) **ATAP** (авест.), в иранской мифологии персонификация огня, образ индо-иранской древности (**atharyu** – эпитет огня в „Ригведе“ со значением „пилающий“). По учению „Гат“, Атар – не самостоятельно действующая сила, но символ и внешнее проявление высшего божества, иногда его „тело“. Индоевропейским представлениям об огненной природе всего бытя соответствует иранский миф о том, что бог создал небо, воды, землю, растения, животных, человека и «во всем этом был распределен огонь».

ეგვიპტური **ათონ**-ის სახელწოდების ცოდნითა და შინაარსის ცოდნით წარმოდგება სახელწოდება **თონე** – მიწაში ჩადგმული, გამომწვარი თიხის მზის დისკოს, რგოლის ფორმის ღუმელი რომელშიც პურს აცხობენ. ანუ იგივე ინდო-ირანული ცეცხლის სახება.

წარმოიდგინეთ გახურებული, გავარვარებული დისკოს, რგოლის ფორმის თონის ძირი, რომელიც **ათონ**-ის, მზის ცხადზე უცხადესი გაცხადებაა და ეგვიპტეში მზის ღმერთის, **ათონის** სიმბოლოს წარმოადგენდა.

თონე = თო + ნე = გაცხადების, მზის, ცეცხლის (დაბლა) + **დედობრივი** (სიტკბოება, სიკეთე). თურქ. **თანდურ**, სომხ. **თონდირ**, ქართ. **თორნე**.

აქვეა **გუთანი**. როგორც უკვე მოგეხსენებათ, ღვთაება **გური**-მ (**ენქი**-მ) ასწავლა ადამიანებს მიწათმოქმედება და შეუქმნა **გუთანიც**.

გუთანი = **გუ**(რი) + **თა** + **ნი** = (ღვთაება) **გური** + **გაცხადება** + **სიკეთე** = ღვთაება გურის მიერ გაცხადებული (შექმნილი) სიკეთე.

ღამის ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა მაცოცხლებელი შუქის გამო უწოდეს ეგვიპტელებმა ღამის მანათობელ ზეციურ სხეულს მთვარეს – **თუტი** || **თოთი**.

(**აკაკი გელოვანი** 208): „**თოთი, თოტი** (ეგვიპტ. დოჰეტი, **თუტ**, Thoth „მდივანი“, `ღმერთი˜) – ძვ. ეგვიპტელთა მთვარისა და ჟამთასვლის, სამართლიანობის, სიბრძნისა და ზომა-წონის მრავალსახოვანი ღმერთი, იეროგლიფების გამომგონებელი, მზის ღმერთის რას თანაშემწე, მთვარის განსახიერება... ბერძნებმა მის საკულტო ქალაქს ჰერმოპოლისი იმიტომ უწოდეს, რომ ჰერმესად გარდასახეს“.

კოლხმა ქურუმებმა მთვარეს ეგვიპტური თუთა უწოდეს და ვინაიდან დროის შუალედი -- თვე, მთვარის დედამიწის გარშემო გარემოქცევით იანგარიშება, კოლხმა ქურუმებმა მცნება თვე-ს იგივე სახელწოდება **თუთა** მიანიჭეს.

წარმართ. **თუთა** > ძვ. ქართ. **თთუე** > **თუე** > **თუთე** > ქართ. **თვე** (ილია აბულაძე 180).

ეგვიპტური ცოდნის მატარებელი გვარებია:

თუთბერი(ძე) = **თუთ** (თუტ) + **ბერი** = მთვარის (მსგავსი) ვაჟი.

თოთიბა(ძე) = **თოთი** + **ბა** = მთვარე პატარა.

ასევე შუმერებმა სინათლის, გაცხადების უმთავრეს წყაროს მზეს **უთუ** უწოდეს.

(**აკაკი გელოვანი** 488): „**უთუ** – შუმერთა მზის ღმერთი... წარღვნის შემდეგ „აღმობრწყინდება უთუ, ცად და ხმელად შუქის მომფენი“, მეფე ზიუსუდრამ კიდობნის კარი გააღო, **უთუს** ემთხვია. მის შუქზე დასახლდა გაპარტახებული დედამიწა. იგივე **უტუ**, შუმერთა თემიდა, სამართლის ღვთაება“.

შუმერული **უთუ**-ს გამოძახილია ქართული **უთო** და რუსული **Утюг**; გაიხსენეთ, რომ ადრე **უთოები** ნახშირის ნაკვერჩხლებით ცხელდებოდა და მზესავით ვარვარდებოდა.

უთო = **უთ**(უ)**ო** = უთუ დაბლა.

შუმ. **უთუ** (მზე) > შუმ. **თუნ** (**თონე**) > ქართ. **თუნ** (ჭურჭლის გამოსაწვავი **ს.ს.**) > ქართ. **თუთქვა** და **თუშვა**.

ძველ ქართულში მოქმედებდა როგორც ფორმა **თორნე** ასევე **თურნე** და აღსანიშნავია, რომ მზის დისკოსთან მსგავსების გამო საბრძოლო ფარსაც **თორნე** ეწოდებოდა.

ეტრუსკთა უზეანეს ღვთაებას **თინია** ეწოდებოდა და რომელი სახელწოდებაც დამკვიდრებულია კოლხურ ლექსიკაში:

(**ი. ყ.**) **თინია** верный, прямой, правильный; -- **თინი** სამართალი правый суд; -- **თინო** наверно, действительно; -- **თინიკია** мужское имя (გვარი **თინიკაშვილი** -- **ჯ.კ.**).

მზის (**ათონ**-ის) სხივის გრაფიკული გამოსახვაა კოლხური **ათინათი**: ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სინათლის სხივი.

ბერძნული ლექსიკითაც **თ** თანხმოვნით ღვთის (გამცხადებლის, გამჩენის) მცნება გამოისახება:

θεα [თეა} }– 1. смотрение, глядение. созерцание. 2. вид, зрелище.

θεος [თეოს} – 1. бог, божество, божественный.

ανθεω [ანთეო] -- 6. блистать, сверкать.

სვანურად თვალს ეწოდება **თე** და ვინაიდან თვალის უპირველესი ფუნქციაა ჩვენება, სავანურად **თერ** გამოსახავს მცნებას ჩანს. ჩვენებით ფუნქციას ასრულებენ ასევე ლაზურ-მეგრულში **თი, თინა, ეთინა, ეთი, ეთექი, ათენა, თენა, ათაში**... ეტრუსკულად **tva, tuv** (ჩვენება), **ta, ita** (ეს)... რუსულად **тот, етот**...

თ-ს (გათენების, გაცხადების) ბუნების გამო წარმოდგნენ ქართულში სიტყვები: **თეთრი, თესვა, თოვლი, თოლია, თოში, სანთელი, სინათლე**...

გამორჩეული ყურადღების ღირსი მაინც თვალის შუმერული ლოგოგრამაა, რომელიც ქართულ ანბანში თანის გრაფემად გვიზის. თუ რატომ დატოვეს უცვლელად შუმერული ლოგოგრამა ქრისტეანული ქართული ანბანის შემქნელებმა, აუხსნელი ფაქტია. რეალობა კი ისაა, რომ კოლხური ენა შუმერული თვალის ლოგოგრამის გრაფიკული მოხაზულობის შინაარსიის უზუსტეს ცოდნას ამჟღავნებს.

შუმერულ-ქართული თვალის ლოგოგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: თვალის გუგის გრაფიკული გამოსახულებისაგან და ჰორიზონტალური ხაზისაგან, რომელიც გამოსახავს ინფორმაციის თვალის გუგაში მსვლელობის გზას. შუმერულ-ქართული ლოგოგრამის გრაფიკული აზროვნება კოლხებმა სიტყვიერად **თოლი**-ს ფორმით გამოსახეს – **თ** + **ოლი**, სადაც თ გაცხადებას, თავად თვალის ფიზიკურ არსს გამოხატავს (გაიხსენეთ სვანური **თე** – თვალი), ხოლო **ოლი** ინფორმაციის სვლაა (გაიხსენეთ **დ-ოლი, კ-ოლი, ბ-ოლი**).

თოლი = **თ** + **ოლი** = **გაცხადება** (გარემო) + **სვლა** (აღქმა) = გარემოს აღქმა, არსებულის გაცხადება.

თოლუა = **თოლ**(ი) + **უა** = **გაცხადება** + **მოქმედება** = თლა, ანუ (ხის) თლის პროცესით შენს ჩანაფიქრს აცხადებ.

წარმართ. **თოლუა** > ქართ. **თლა.**

ტერმინი **თოლი** მხოლოდ ოდიშელთა კუთვნილება არაა, იგი საქართველოს აღმოსავლეთშიცაა შემორჩენილი და ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, საინგილოში, ფერეიდანულ ქართულშია დაფიქსირებული:

(**აკაკი გელოვანი** 555): „ლაშარს მოიდა **თოლიგე**, დიდგულად დაჯდა ხარია“.

(**ი. ყ.**) **თოლი** глаз... **თოლი+გე** [ნ. მ. თოლი + გე (заклинительная частица), как ღორონთი-გე] один из видов табу: считается постыдным для супругов называть друг-друга по-имени, и они поэтому прибегают к разным кличкам для названия своей половины, как, напр., თოლი+გე или მუთარე (букв. ничего).

კოლხთა საფიცარი ფორმანტი **გე** ბერძნული პანთეონის დიდი დედის **გეა**-ს არსის ცოდნიდან მომდინარეობს.

(**აკაკი გელოვანი** 112): „ფიცის შეკვრის ჟამს, ოდეს თავს შეიყრიან ზევსი, ჰელიოსი, ცა და ზესკნელ-ქვესკნელი, **გეასაც** უხმობენ, შავ ბატკანს სწირავენ ზვარაკად და დაჯდება დიდ ღმერთებს შორის დიდი ქალღმერთი. ასე გვაუწყებს ჰომეროსი“.

ამრიგად, თოლი-გე = თვალის ღვთაება.

აქვე ავხსნათ წარმართული **ჭითა**-ს ლოგოგრამული აზროვნება.

(**ო. ქ.**) **ჭითა** წითელი.

ჭითა = **ჭი** + **თა** = **პატარა** (მცირე, მკრთალი) + **ნათება.**

ე. ი. **ჭითა** (წითელი) ესაა დილით, განთიადისას, რიჟრაჟის ცის ფერი, როცა გარშემო ჯერ კიდევ მზე სრულად ვერ ანათებს გარემოს, ვინაიდან ნათების ინტესივობის მატებასთან ერთად ცაზე წითელი ფერი თანდათანობით ქრება; ან სულაც ჭითა ესაა იმ გავარვარებული ნაკვერჩხლის მსგავსი, რომელიც სიბნელეში მკრთალ სინათლეს გამოსცემს.

განსხვავებით **თ**-ს გაცხადების ბუნებისა, შუქის ინტენსიური გამოვლენის ფორმა **ელვა**, თანხმოვან **ვ**-ს ლოგოგორამაა.

(**ლადო ალფენიძე** 110): „ვერ“ ეგვიპტურად ნიშნავს „დიდს“... „ურ“ და „ვერ“ ეგვიპტურად ცისა და სინათლის ღმერთების სახელებია“.

ეგვიპტური „ვერ“-იდან წარმოდგება ლათინური „ვერე“ (ჭეშმარიტება), ინგლისური **veracious** (მართალი), **veracity** (სიმართლე), **veranda** (ვერანდა, ტერასა), ფრანგული **ver sacrum** (წმინდა გაზაფხული), რუსული „ვერა“ (რწმენა), სომხური „ვერეცი“ (მაღლა).

„ვერ" თემა განვითარებას პოულობს უძველეს ფინიკიურ-ასურულ... ღვთაება **ბაალი || ვაალი**-ს სახებაში.

(Б. А. Тураевъ II 11): „везде чтили мужское божество „Ваала“, владыку своего народа, проявлявшего себя в небесной природе – в громе, молнии, буре и т.д., почитавшегося на высоких горах. Рядом с ним стояла богиня, Мать земля, именуемая „Владычицей“ или Астартой, олицетворение земного плодородия“.

ბაალი, ვაალი-ს სახება პოპულარული იყო საქართველოშიც.

(ქ.ე.გ.ლ.) ბაალი [ასურ.-ბაბილ. ბაალ „ბატონი“, „მპყრობელი"] ძველი სემიტელების (ფნიკიელების, ებრაელების...) ღვთაება. ზოგ ამ პატარა მინის ჭურჭლებზე სახე წარმოადგენს სიმბოლოს ქალდეურ ჰერკულესისას, ზოგი – ბაალისას და მარსისაო (ილია).

(ქ.ე.გ.ლ.) ვაალი იგივეა, რაც **ბაალი**. ლექსსა გიძღვნით, ეგება მე გადვიხადო ამით ვალი. და თუ აღარ შემოსწყრებით. გაიხარებს მით ვაალი (**რ. ერისთ.**).

ფინიკიურ-ასურულ ღვთაება ვაალი-ს ბუნების ერთ-ერთი გამოვლენაა **ელვა**, წარმართული კოლხურით **ვალი**. მოგვიანებით, ბერძნული პანთეონის უმაღლეს ღვთაებას ზევსს, ასევე „მეხისა და ელვის მტყორცნელი“ ეწოდა.

(ი. ყ.) ვალი молния; -- ვალუა, ვალუნს, ვალგნც молния блестит, жжет; -- ვალირი обожженный молнией; -- გო-ვალაფა, დო-ვალაფა мигать, качать; -- დუ-უვალგ ხეს он покачал ему рукою; -- თოლიში გოვალაფა мигание глаза (глазом); секунда; -- ხეს მუკუვალუანც качает рукою кругом.

(ო. ქ.) ვალუა ელვა, ელვება.

ვალუა = ვალ + უა = ვაალა + მოქმედება = ვაალას მოქმედება – ელვა, ელვარება.

ამ ცოდნის გამო ეწოდება მზეს როგორც **ბჟა**, ასევე **ვჟა**.

(ო. ქ.) ვჟა – მზე; რძე.

ვჟა = ვ(ალი) + **ჟა** = ელვარე მზე.

ნათელია **ვაალა > ვალი > ვალუა**. ამ ცოდნასაც შეიცავს კოლხური ფორმები **ვარვალი** და **ვარვარი**.

(ო. ქ.) ვარვალი ვარვარი; ბრწყინვა, ელვარება.

(ო. ქ.) ვარვალა მბზინავი, ვარვარა.

(ო. ქ.) ვარკალი კაშკაში, ლაპლაპი, ბრწყინვა, ციმციმი, პრიალი.

(ქ.ე.გ.ლ.) ვარვარი სხეულის (უპირატესად ლითონის) ელვარება (წითლად, თეთრად...) დიდი სიმხურვალის გამო. || რისამე დიდი სიმხურვალე.

ძალზედ ორიგინალურია იგივე შინაარსის ქიზიყური **ვასვასი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ვასვასი კუთხ. (ქიზ.) ელვარება, ლაპლაპი; ბიბინი.

ვალი (ელვა) ძალისმიერი მოძრაობაა და კოლხურში შედგა **ვალება**.

(ო. ქ.) ვალება დავალება. დამავალებელი დამვალებალი. დავალებული დავალებული. დანავალები დანავალები. უდავალებუ [და]უვალებელი.

ხოლო თუ დავალებას არ შეასრულებ ჩნდება **ვალი, ვალდებულება**.

(ო. ქ.) ვალი[1] **ვალი**. ვალი არძოქ გინიბგით ვალი ყველამ გადავიხადეთ

(ქ.ე.გ.ლ.) ვალაუვალი ვისაც ვალის გადახდა არ ძალუძს.

ხოლო თუ **ვალი** დროზე ვერ გადაიხადე, მოგაკითხავენ **მევალეები** და იწყება:

(ქ.ე.გ.ლ.) ვალალი, ვალალა შეწუხებულის ხმამაღალი ჩივილი და ტირილი, -- მოთქმა, გოდება. ვალის პატრონს ვალალა აყრიაო (ანდაზა).

ელვის (ვალი-ს) თვისებების (მოძრაობა, კაშკაში, ბრწყინვა...) გათვალისწინებით წარმართულ კოლხურში შედგა **ვალაფი**.

(ო. ქ.) ვალაფი სახელი **მიოვალანს; უვალუანს** ზმნებისა -- 1. ნელი სვლა. **მეურს, მიოვალანს** – მიდის, უდარდელად მოძრაობს. 2. **ქნევა; ხამხამი.** თოლიში დოვალაფა თვალის დახამხამება (სწრაფად). 3. **ელვარება, ბრწყინვა. ლაპლაპი.** 4. **ორგანიზმში ტკივილის შემთხვევაში ამბობენ:** ვალუნსია: ქვარას მაჭუ, ვალუნს – მუცელი მტკივა, ფეთქავს (ელავს).

წარმართულ კოლხურ ზმნათა **მიოვალანს, უვალუანს** ფუძე **ვალ**, იგივე სვლის მნიშვნელობით, ასევე დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში:

(ქ.ე.გ.ლ.) ვალ-ს (იხმარება მხოლოდ აწყმოში. უპირატესად მესამე პირში: ვალს... ვლენან) დადის. || წინსართით ჩვეულებრივ მყოფადის გაგება აქვს (ა-ვალ, ჩა-ვალ, გა-ვალ,მი-ვალ, ა-ხვალ, ჩა-ხვალ, გა-ხვალ...; მესამე პირში შეკვეცით: ა-ვა, ჩა-ვა, გა-ვა...), აგრეთვე—მასდარში (ს-ვლა).

ასევე **ვა**-რაგვი (და-**ვა**-გდე); **ვა**-შენებ... **ვე**-რწყმი; ნება > **ვ**ნება; ცეკვა > **ვ**ცეკვავ...

ღვთაებრივმა ვაალი-მ მხოლოდ კოლხეთს არ მოაღწია.

(Б. Э.) Бааль. См. **Ваалъ** или **Валъ** (господин)... название бывшего языческого божества, боготворимого в Финикии и Сирии, а первоначально название божества, под которым некоторые из древних народов боготворили солнце.Финикияне называли солнце Вал-Саменъ, что значит Господъ небесъ. Так как Ваалу покланялись под различними видами, и при том в разных странах, то для точности к названию Ваал прибавлялось название и самого места, как напр. Ваалъ-Гад, Ваалъ-Пеоръ, и все эти названия сливались в одно обшее название Ваалам... Множество мест, посвященных сему языческому божеству, и масса лиц, покланявшихся и служивших ему, указывают на то, как далеко и сильно было распространено поклонение Ваалу. Ваалъ, Валъ или Белъ, был боготворим Вавилонянами, Сирийцами, Карфагенянами и другими народами. Думали даже, что он одно и то-же языческое божество, что и Молохъ, которому Аммонитяне приносили свои зверские и кровавие человеческие жертвы. В книге пророка Иеремии (XIX, 15) прямо говорится, что Ваалу приносились человеческие жертвы. Для поклонения ему выбирались возвыщенные места (высоты). и на служении ему состояло множество жрецов и пророков... Ваалам и Астарта служила обшим названием всех богов и богин Сирии, Палестини и соседних стран. Позднеишие времена, как говорят историки, боготворение Ваала господствовало во всей древней Скандинавии и, как предпологают, было обшим на британских островах. Доселе еще сохранилось много суеверных обрядов в Ирландии и Валис, очен иапоминающих древнее поклонение Ваалу. Поклонение Ваалу было главным и при том обычним грехом древных Евреев“.

არა მარტო **ვაალა**-მ, არამედ მისი მეუღლის ასტარტეს სახებამაც ჩააღწია ინგლისს.

(**Б. А. Тураевъ** II 16): „**Астарта** оставила свои следы даже в Англии. где в портуберладском Корбридже, найдена надпись, начинающаяся словами: „Astarthc bwmon“.

ითვლება რომ **ასტარტეს** სახებას საქართველოში ენაცვლებოდა **გა**.

(ქ.ე.გ.ლ.) გა (გასი) ძველი ქართული წარმართული ღვთაება, კერპი. „გა" ქალ-ღვთაება **ასტარტეს** შესატყვისობა ყოფილა (ივ. ჯავახ.).

ქართული **გა** უფრო ბერძენთა დიდი დედის **გეა**-ს ცოდნიდან უნდა მომდინარეობდეს -- **გეა** > **გა**.

ფინიკიურად **ელ** ნიშნავს ღვთაებას; ასევე ბერძნული ჰ**ელ**იოსი = მზეს, **ელ**იოს = ალიონს, მხოლოდ ქართული ენის შემქნელებმა **ელ** ფორმა ფინიკიურიდან ან ბერძნულიდან კი არ ისესხეს, არამედ, წარმართული კოლხურის ცოდნა გამოამჟღავნეს.

(ო. ქ.) ელახგ ზემო (აღმოსავლეთისაკენ).

ელახგ = ელა + ხგ

(ო. ქ.) ხგ თანდებული დაერთვის სიტყვას და გამოხატავს მოქმედების ზღვარს სივრცეში ან დროში.

ფინიკიური **ელ**, ბერძნული ჰ**ელ**იოსი, კოლხური ზმნისწინი **ელ**ა, სათავეს ერთი, შუმერული წყაროდან იღებენ, რომელშიც თანხმოვანი ლ (ლილ) ატმოსფეროს და ასევე ატმოსფეროში, ცაში არსებულ სხეულთა (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) ბუნებასაც გამოხატავს.

ელვა = **ელ**(ა) + **ვა**(ლი) = ზემო ნათება.

ელვა-ს შემდგომი განვითარებაა **ელდა.**

თავად წარმართ. **ვალი** = **ვა** + **ლი** = **ელვა** + **ფორმა, სივრცე** = ელვარე ფორმა, სივრცე.

ვანი = **ვა** + **ნი** = **ელვარება** + **სასურველი.**

ვაალი-ს, როგორც მზის, ნათელის მომნიჭებლის სახება **ვანი** (= **ელვარება, ნათება სასურველი** > **სავანე)**, ქართული ლექსიკის მკვიდრია:

ა**ივანი** (სახლის ყველაზე ნათელი ნაწილი), გალა**ვანი**, გელო**ვანი**, ქ. **ვანი**, ჟინ**ვანი,** ფარა**ვანი**, ჩიქო**ვანი**, მურ**ვანი**ძე, წერო**ვანი**, ხეი**ვანი**, ხელო**ვანი**...

შეძახილები: **ვაი** მე! **ვაი** ჩემ თავს = **ელვა** (მეხი) მე! **ელვა** (მეხი) ჩემ თავს. ხალხურია გამოთქმა: „აღარვინ დარჩა კაცისძე, **ვაი** დაგვეცა, **ვალალა**".

ვაკე = **ვა** + **კე** = **ნათელი სივრცე** + **მშვენიერი, სასურველი.**

ვარდი = **ვა** + **რდი**(ლი) = **ამოზრდილი ელვარება.**

ვაჩი > **ვაცი** = **ვა** + **ჩი** > ცი = ძლიერი ციური.

დააკვირდით მნიშვნელოვან დეტალს: **ვაჩი, ვაცი**-ს (მამალი თხის) განმარტება „ძლიერი ციური" ასევე **კოჩი** („ძლიერი, სასურველი ციური") და **ოჩი** („ო ციური") ცოდნაა თხის სახება შუმერი დემიურგი **ენქი**-ს არსისა.

თანხმოვანი **ჭ** წყლის მცნებასაც გადმოქვცემს და როცა სურთ გამოსახონ წყლის მიწაზე არსებობა, თანხმოვან **ჭ**-ს მარჯვნიდან მიწის მცნების ამღნიშვნელ თანხმოვან **ყ**-ს მოუსვამენ:

ჭყარი = **ჭ** + **ყ** + **არი** = **წყალი** + **მიწა**(ზე) + **არი**(ს).

როცა საჭიროა წყლის ციდან დენა გადმოგვცენ, **ჭ**-ს გვერდით უსვამენ **ვა**-ს, რაც, მსგავსად ელვის, მეხის ზევიდან ქვევით მოძრაობისა, გამოხატავს წყლის წვეთის ზევიდან ქვევით ვარდნის პროცესს:

ჭვათი = **ჭ** + **ვა** + **თი** = **წყალი** + **მოძრაობა** (ზევიდან ქვევით) + **გაცხადება** = ზევიდან (ციდან) წყლის (წვეთის) ვარდნა = წვეთი.

როცა წვეთების ერთობლიობა დიდ სივრცეს ქმნის, ანუ წვიმს, მაშინ **ჭ**-ს გვერდით **ვი** (სივრცე, ნათელი) უჯდება.

ჭვიმა = **ჭ** + **ვი** + **მა** = **წყალი** + **სივრცე** (ზედა) + **მოქმედება** = (ზევიდან) წყლიანი სივრცის მოქმედება.

ფორმანტი **ვი** ასევე სივრცეს გამოსახავს ტოპონიმებში: **ზანავი, მანავი, თელავი**...

ვა, როგორც ძალისმიერი ფაქტორი, მოქმედებასაც და მოქმედების შედეგსაც გამოხატავს.

ყვა = **ყ** + **ვა** = მიწიერ ძალთა მოქმედება.

ქვა = **ქ** + **ვა** = მიწიერი წარმონაქმნი.

გოგავა = **გოგა** + **ვა** = გოგას წარმონაქმნი (შვილი). მსგავსია: Ахмедов, Ахмедова; Димитров, Димитрова.

სუფიქსები **უა** და **ვა** ანალოგს პოულობენ ქასქების (ქაშქების) ძვ. წ. XVII--XIII საუკუნეებში მოქმედ კულტურაში.

(**ოთარ ლორთქიფანიძე** „აია“ № 7 გვ.27): „ქაშქების განსახლების ტერიტორია მოქცეულია კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში. ყოველ შემთხვევაში, კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთით შავი ზღვისპირეთში, დღევანდელ ქალაქ ორდუმდე მაინც (ამჟამინდელ თურქეთში), დოკუმენტურად არის დადასტურებული კოლხური ბრინჯაოს ცულის აღმოჩენით, მეორე მხრივ, იმავე ტერი-ტორიაზე ბერძენი და რომაელი ავტორები უფრო გვიან (ძვ. წ. VI ს.-ან) დასავლურ ქართველურ ტომებს: ხალიბებს და ხალდებს, მოსინიკებს, სანებს. შემდგომში ეს ტომები, იმავე ტერიტორიაზე, ქმნიან დიდ გაერთიანებას, რომელთაც ბიზანტიელი ისტორიკოსები (მაგ. პროკოპი კესარიელი) „ჭანების“ სახელით მოიხსენიებენ“.

(**გრიგოლ გიორგაძე** „აია“ № 7 გვ.18): „ყურადღებას იქცევს [ქაშქების] ტოპონიმები და საკუთარი სახელები – **უვა, ვა** დაბოლოებებით (ასეთი სახელებიც მეგრულში მრავლადაა):

ტოპონიმები: ხათუნცუვა, ქარასუვა, ქათითიმუვა, საფიდუვა, თაფასავა, თიქუქუვა, თაფაფანუვა, თაფაფახსუვა, ციმუმუვა და სხვ.

საკუთარი სახელები: ქაშალუვა, ქასალუვა, ქასქამუვა, ქიფარუვა“.

ევრაზიულ სივრცეში ფართოდაა გავრცელებული **ვაალა**-ს, ნათების სასურველი გამოვლენა **ველი**. ხეთურ მეტყველებაში **vellu** აღნიშნავს სხივსა და ველს, ვინაიდან მიწის ზედაპირის გაშლილი სივრცე ადამიანებში მუდამ იწვევდა ნათელის ასოციაციას და მსგავსი აზროვნების შედეგია, რომ ეტრუსკულად **υελθα** აღნიშნავს მიწას, დედამიწას. **ველი**-ს საერთო განზოგადოებულმა ხედვამ ინგლისურშიც ააღწია:

vale [**veil**] – долина. a valley between high moutais -- долина среди высоких гор.

veld [**velt**] – степь, плоскость.

well [**wel**] – хорошо.

valles (ლათ.) -- ველი

(**ი. ყ.**) **ვე** (г. ველი) ვეე поле. поляна; ვე-დიდი-კარი Ведидикари, село в Сенакском уезде.

კოლხური ხედვით ველი, მინდორი რომ მცნება ნათელთან ასოცირდებოდა ასევე ნათლად იკითხება ოჩე-ს განმარტებაში:

(**ო. ქ.**) **ოჩე** 1. დიდი მინდორი; დიდი ყანა, ხოდაბუნი.

ოჩე = **ო** + **ჩე** = **ო** + **თეთრი** = თეთრი, ნათელი (სივრცე).

იგივე შინაარს ატარებს ქართული ოჩე.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ოჩე** კუთხ. (გურ.) ახლადგაკაფული, კარგმოსავლიანი ადგილი, ყანა.

ქართულში მცნება ველი-ს განვითარების საინტერესო მაგალითებია:

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ველი** დიდ ფერდობზე გადშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი, -- დიდი მინდორი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ველობი** ძვ. მინდორი ტყეში (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ველობა** კუთხ. (თუშ. ხევს.) საომრად ან სათარეშოდ წასვლა; ყაჩაღობა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ველური** 1. გარეული, მოუშინაურებელი, ტყიური (ცხოველი, ფრინველი). ველისა, ტყისა (მცენარე).

ამრიგად, წარმართული კოლხური თანხმოვანი **ვ**, რომლის ლოგოგრამაა **ვაალა**, ელვა, გამოსახავს ნათებას, სივრცეს, ძლიერ მოქმედებებს, ფორმებს, შთამომავლობას.

ხავავა

კოლხურ ცოდნაზე დაყრდნობით, ჩვენ ავხსნით, თუ რატომ ეწოდება ევას ბიბლიური ტრადიციით – „ის ვინც სიცოცხლეს იძლევა“ და „ყველა ცოცხალი არსების მშობელი“. ტრადიციის საფუძველია ევას ებრაელური სახელწოდების შინაარსი.

(**Б. Э.**) **Ева** (жизнь) (Быт. III, 20) – имя данное Адамом своей жене. Это имя происходит от Еврейского слова **Хавва**, значущего **жизнь**, так как она должна была сделаться прародительницею всех живущих на земле. Ева создана Богом из ребра Адама во время его сна, а затем, прельщенная дяволом, принявшим на себе вид змея, она нарушила единственную заповедь, данную Богом первым людям. Вкусив от запрещенного плода, она склонила к тому же Адама“.

არაბულ სამყაროში დღესაც ფართოდაა გავრცელებული ქალის სახელწოდება **ხავვა**.

თუ რატომ ეწოდა ევას **ხავვა** (სიცოცხლე, „ის ვინც სიცოცხლეს იძლევა“)? – ახსნა-განმარტება შუმერულ-კოლხურ ცოდნაშია: არაბულ-ებრაელური სახელწოდება **ხავვა** იგივე შუმერული **ხუვავა, ხუბაბაა**.

(**აკაკი გელოვანი** 564): „**ხუვავა** (ხუბაბა, ასირ. ჰუმბაბა) – ლომისსახიანი და ურჩხულის კბილებიანი ბუმბერაზი შუმერულ მითოლოგიაში, კედარის მცველი, ჰურიტული ღვთაება, ხორცი შეისხა შუმერულ-აქადურ მითოლოგიაში. გილგამეშმა შეიპყრო და შეწყალებას შეევედრა, მაგრამ გილგამეშის ბრძენმა მხლებელმა ენქიდუმ მოკლა. შემონახულია გამოსახულებაც. ემსგავსება ბერძნული მედუზა; ვერსია: **დიდი დედა-ქალღმერთია** (შეად. დეა-დია), რელიეფზე – ლამაზი, თაჯიანი (სამეფო გვირგვინიანი ჯ.კ.), ბალთით გულზე“.

ხუვავა-ს სახების ამ განმარტებებში, ნათლად იკითხება მატრიარქატიდან პატრიარქატში გადასვლის ისტორიული პერიოდი. მატრიარქატის პერიოდში, სიცოცხლის ჩასახვაში ქალის მნიშნელობა პირველობდა, **ხუვავა** დიდი დედა-ქალღმერთი, ანუ მამრის გარეშე სიცოცხლის მომნიჭებელი, ანუ გახლდათ „ის ვინც სიცოცხლეს იძლევა". სემიტურ-აქადური მსოფლმხედველობის (მამრის პირველობის) გავლენით, შუმერულ-აქადური პერიოდი იწყება შუმერული მითოლოგიის ქალთა როლის დაკნინებით და შედეგად მივიღეთ დიდი-დედის ხუვავა-ს ურჩხულ ჰუმბაბათ გარდასახვა.

ხუვავა რომ დიდი დედა-ქალღმერთი, ანუ მამრის გარეშე სიცოცხლის მომნიჭებელი, ანუ „ის ვინც სიცოცხლეს იძლევა“ გახლდათ, ამაზე თავად **ხუვავა**-ს სახელწოდების კოლხური ცოდნა გვიმტკიცებს. განმარტება დავიწყოთ იმით, რომ დიდი დედა ხუვავა-ს სახება კოლხურ თანხმოვან **ხ**-ს ლოგოგრამაა, ანუ დიდი დედა ხუვავა იგივე მშობელი მიწაა და რომლის შემოქმედ ბუნებასაც გვიხატავს თანხმოვანი **ხ**.

თანხმოვანი **ხ** (< ხუვავა) ასევე დედამიწაა ბერძნულ მეტყველებაში:

μαμμά [მამმა] – мама, матушка.

μάγά[მაგა] – о мать – земля!

χαμα [ხამა] – земля.

ჩინურად საწყისში მხოლოდ ფორმანტი **მა** გამოსახავდა დედას, მოგვიანებით დამკვიდრდა გაორმაგებული ფორმა **მამა**; ასევე დედის მცნების აღსანიშნავად ბერძნულშიც ცალკე ფორმა **მა** (**μά**) დედის სახებას გამოხატავს. **გა** (**γά**) მიწის აღნიშვნაა და **μάγάμά + γα** = დედა მიწა. შესაბამისად, **χαμα** = **χα + μα** = ხა + მა = მიწა + დედა = დედამიწა (земля).

თუ **ა-თონი** ეგვიპტურად მზის დისკოს აღნიშნავდა, **ხ-თონი** (Chthonios) ბერძნულად მიწა დისკოა, ცილინდრია -- „По мнению древнеионийских географов (7-6 в.в. до н.э.) земля представляет собой плоский цилиндр (დისკო), плавающий в Мировом океане“.

ბერძნული **ხთონი** = **ხ** + **თონი** = **მიწა** + **დისკო**, ანუ თანხმოვანი ხ ბერძნულ მეტყველებაშიც მიწის მცნებას გამოსახავს.

ამგვარად, თუ **ა-თონი** ეგვიპტურად მზის დისკოს აღნიშნავდა, **ხ-თონი** (Chthonios) ძველი ბერძნულით მიწის დისკოა, ისევე როგორც გახურებული **თონ**-ეს ძირი მზის დისკოს განსახიერებაა.

გაიხსენეთ კოლხური **ქი-ყვა-ნა** = ის რაც ჩვენს გარშემო ზედასა და ქვედას შორის არსებობს, მიწიერი ძალის წარმონაქმნია, მიწიერი წარმომავლობისაა და:

(ო. ქ.) **ხუა**[1] გროვა; ხროვა. გერეფიში ხუა ქოგოცუმუდუ – მგლების ხროვა შემოხვეოდა (შემოცვენოდა). ხუათ ზმნზ. გროვად. ხუა-ხუათ ზმნზ. გროვა-გროვად. ხუა-ხუად გერდუ ხარხი – გროვა-გროვად იდგა ხალხი.

(ს.ს.) **ხუავი** შეგროვილი მარცვალი (ასევე მიწის გაჩენილი ჯ.კ.).

(ი. ა.) **ხუავ-ი** ზვინი, გროვა, მოსავალი (ასევე მიწის გაჩენილი ჯ.კ.).

ხუა = **ხ** + **უა** = **მიწა** + **მოქმედება** = (მიწის გაჩენილი) ცხოველთა ხროვა.

ხუა-დანაა ქართულში **ხუილი** (იხუვლა ირმების ჯოგმა, ხროვამ), და რაც მთავარია – **ხუა** > **ხუავი** > **ხვავი.** ამ ცოდნის გათვალისწინებით, **ხუა** გვარების მაწარმოებელ სუფიქსად იქცა.

(ო. ქ.) -**ხუა**[2] გვარების მაწარმოებელი სუფიქსია: ბოხუა, ლაბახუა, ჩუხუა...

ბოხუა = **ბო** + **ხუა** = **პატარა** + **მიწიერი წარმონაქმნი.**

(ო. ქ.) **ხუალა** 1. რღვევა. 2. შობა. 3. დახვრეტა; გახვრეტა.

ხუალა = **ხ** + **უა** + **ლა** = **მიწა** + **მოქმედება** + **სხეული** (რბილი, ნათელი) + **მიწიერის გაჩენილი ჩვილი** = შობა, ანუ „ის ვინც სიცოცხლეს იძლევა", შესაბამისად:

(ო. ქ.) **ხვაზა** სასიამოვნო; კარგი, კოხტა. ჩქიმი ხვაზა ბოში – ჩემი კარგი (კოხტა) ბიჭი.

ხვაზა = **ხ** + **ვა** + **ზა** = **მიწა** + **წარმონაქმნი** (შვილი) + **თბილი** (ცეცხლოვანი) = მშვენიერი მიწიერი წარმონაქმნი (შობილი).

ხუვავა = **ხუ** + **ვა** + **ვა** = **მიწა** + **მოქმედება** (შვილი) + **მოქმედება** (შვილი)...

ხუბაბა = ხუ + ბა + ბა = დედა + შვილი + შვილი... = დედა და შვილები...

ანუ **ხუვავა** // **ხუბაბა** = „ყველა ცოცხალი არსების მშობელი“.

ხუვავა > (ა > 0) > **ხავვა** (ევა) არის დედამიწა („ის ვინც სიცოცხლეს იძლევა"), რომელიც წარმოშობს შვილებს, ნაყოფს (ქართ. ხვავი) ეს გახლავთ ხედვა მატრიარქალური აზროვნებისა, რომლის მიხედვითაც დიდმა დედამ, მამრის გარეშე, თავად წარმოშვა შთამომავლობა, ანუ დიდ დედას სიცოცხლეს არავინ ანიჭებს, თავადაა საწყისი სულდგმული ქაოსი და ასევე თავადაა სიცოცხლის გამჩენი ღვთაება. ეს

წარმართული ცოდნაა ასახული ბიბლიური ევას ებრაელური სახელწოდების **ხავვა**-ს განმარტებაში, თორემ დიდი დედის გარდა დანარჩენი ქალები მხოლოდ სიცოცხლის გამგრძელებელნი არიან.

ამრიგად, კოლხურის ცოდნით გაცხადდა, რომ კოლხური **ხვაზა, ხუვავი,** ბერძნული **ხამა**, ებრაელური **ხავვა**, საერთო დიდი დედის (დიდი ცივილიზაციის) შუმერი **ხუვავა**-ს ნათების სხივებს წარმოადგენენ.

ხუვავა-ს სახების გავრცელების არეალის გათვალისწინებით, იკვეთება შემდეგი საყურადღებო თემა.

(**აკაკი გელოვანი** 564): „**ხუვავა** (ხუბაბა, ასირ. ჰუმბაბა) (შუმერული ღვთაება).

(**აკაკი გელოვანი** 629): „**ჰურიტი ღმერთები** – ურარტუსთან და ხეთებთან მონათესავე ჰურიტთა ღვთაებანი, რომელთაც უმთავრესწილად საფუძვლად დაედოთ შუმერთა და აქადთა მითოლოგიური წარმოდგენები და სახეები... **ჰუბაბა, ჰუვავა** – ჰურიტულ-შუმერული ღვთაება.

შუმ. **ხუვავა, ხუბაბა** > ასირ. **ჰუმბაბა** > ჰურიტ. **ჰუვავა, ჰუბაბა,** ანუ შუმერული თანხმოვანი **ხ** (ხუბაბა) ჯერ ასირიულად იქცა **ჰ**-თ (ჰუმბაბა) და შემდგომ ამ ასირიული ფორმით დამკვიდრდა ჰურიტულ-ურარტულ სივრცეში (ჰუბაბა).

ახალი სიცოცხლის მოვლენა მუდამ იწვევს სიხარულის შეგრძნებას და შეიქმნა ბერძნული: **χαρα** [ხარა] – радость, восторг, (აქედან ქართული გაიხარა > გახარება > ხარება > სიხარული > მახარე...). წარმართულ კოლხურს კი გააჩნია ბერძნული ხარა-ს შესატყვისი: **ხიოლი** -- მხიარულება, სიხარული.

ხიოლი = ხი + ოლი = მიწა + სვლა = მიწიერების (სიცოცხლის) **გამოვლენა – სიხარული**.

ხიოლება = ხი + ოლ(ი) **+ ება = ¬სიცოცხლის გამოვლენის მოქმედება -- მხიარულება**.

(**ო. ქ.**) **ხიარულება** მხიარულება.

ხიარულება წარმოგვიდგენს წარმართულ კოლხურ ცოდნას.

ხიარულება = ხია + რულ(ა) **+ ება.**

კომპოზიტ **ხიარულება**-ს მეორე შემადგენელი **რულ** (<**რულა**) აღნიშნავს სირბილს, ჩქარ სიარულს.

(**ო. ქ.**) **რულა** რბენა, სირბილი; ჭენება.

კომპოზიტის პირველი შემადგენელი **ხია** მიწიერი ხმის გამოცემას აღნიშნავს.

(**ო. ქ.**) **ხიარი** მთიდან ფერდობზე ხის მორების დასაგორებელი ადგილი. ასეთად, როგორც წესი, იყენებენ ნაკადულების ნაკვალევს. **ხიარი** ალბათ იმიტომ დაერქვაო, ხსნიან მეტყევეები, რომ ხის მორს ზევიდან რომ დაუშვებენ, მორი მიიხორუ, ხიორით (დაუბრკოლებლად) მიდისო დაბლა.

ხიარი = ხია + რ(ულა) **= ხმა + სირბილი** = ხმაურით (მორის სწრაფი) ვარდნა.

(**ო. ქ.**) **ხიორუა** ხმაურით, ხრიალით (ჩხრიალით) წასვლა.

(**ო. ქ.**) **რხიალ-ი** ხრიალი. რხიალუა ხმა, რომელიც გამოიცემა თხილის, კაკლის, მარცვლეულის (სიმინდის, პურის მარცვლის...) ან სხვა საგნის გაფანტვის დროს (ი. ყიფშ.).

(ი. ყ.) На новый год хозяйка дома, прокалывая остриемъ куриного пера особо приготовленную лепешку съ изображеніемъ наседки, приговариваетъ:

„**ჩე ქოთომი, ჩელაია! ჩე მუნო-მირხიალეე**" (= „თეთრი ქათამი, თეთრა! თეთრი როგორ მიხრიალებს" ჯ.კ.).

რხიალი ეწოდება მოძრაობის დროს გამოცემულ ხმებს და სასრიალო საზიდარს (მარხილს) თოვლზე, ბალახზე სრიალისას გამოცემული რხიალი-ს (ხრიალის) გამო ეწოდა **მარხილი** ანუ **მარხიალე** (= მოხრიალე) > **მარხილი** (= ხრიალა).

(ქ.ე.გ.ლ.) მარხილი -- თოვლზე (მთიან ადგილებში), აგრეთვე მიწაზე სასრიალო საზიდარი, რომელსაც თვლების ნაცვლად აქვს კავები (წინა მხარეს აღუნული ორი სწორი ხე).

დაახლოებით იგივე შინაარსს ატარებს საბას **კრხიალება** და **კრჩხიალება**.

(ს. ს.) კრხიალება ფრინველთა ვაება მართვეთა ზედა (როცა მტაცებელი მათ წიწილებს საფრთხეს უქმნის ჯ.კ.).

(ს. ს.) კრჩხიალება დიაცთ ყვირილი.

ე. ი. **ხიალი** > **კრჩხიალი** > **ჩხიალი** > **ჩხავილი.**

უკვე **მარხილი**-დან წარმოდგა **არხილი**:

(**გუბაზ გოგატიშვილი** 54): „**არხილი** (მოხ., ქსნის ხეობ., მთიულ.) – გაყინული თოვლი, რომელზედაც სიარული შეიძლება (ანუ ასეთ თოვლზე სიარულისას რხიალი-ს > ხრიალი-ს ხმები გამოიცემა ჯ.კ.): „არხილ ის არი, მარტო თოვლს რო გაახმობს“. ამ დროს იტყვიან, „თოვლი გაარხილაო“, თოვლი ზემოდან მოყინაო (შდრ. საბა: არხილი – თხელი ბზარი). „ფეჯუშვებსო“, -- იტყვიან შემხვალ თოვლზე თუ კაცი შიგ ეფლობა, ვერ იმაგრებს. როცა არხილია, მაშინ „ფეჯს არ უშვებს“.

წარმართული **რხიალი**-დან ქართულში მივიღეთ **ხრიალი**,

ქართული ენის შემქნელებმა **რხიალი**-დან თანხმოვან **ხ**-ს ამოგდებით მიღებული **რიალი**-თ მოახდინეს ახალ ქართულ სიტყვათა წარმოქმნა-სისტემატიზაცია:

ბ-რიალი, ბზ-რიალი, გ-რიალი, ზ-რიალი, კ-რიალი, პ-რიალი, ჟ-რიალი, ს-რიალი, ტ-რიალი. ფ-რიალი. ღ-რიალი. შ-რიალი. წ-რიალი. ხ-რიალი.

რხია = **რ** + **ხია** = **მოძრაობა** + **მიწიერი ხმა** = **მიწიერი მოძრაობა** და ამიტომაა ქართულში: **დაა-რხია**, ა-რხევს, რხევა... **გა-ხია** (როცა რაიმეს ხევ დახევის ხმა გამოიცემა), **გახეული**...

არსებობს **რხიალი**-ს (ხმის გამოცემის) მსგავსი ფორმა:

რხიოლი = **რხი** + **ოლი** = ხმის სვლა.

იგივე აზრობრივი ხედვაა ქართულ ხმაურ-ში:

ხმაური = **ხმა** + **ური** = ხმის სვლა.

ასევე მეგრ. **რხინი** = **რხი** + **ნი** = **ხმაური სასურველი** > (**რ** > **ლ**) > ქართ. **ლხინი.**

(ო. ქ.) რხიანი ეშხიანი; მხიარული; რიხიანი.

წარმართ. **რხიანი** > (+**ი**) > ქართ. **რიხიანი** (ხმაურიანი).

ამრიგად: **ხიარულება** = **ხია** + **რულ(ა)** + **ება** = **ხმა** + **ჩქარი (სვლა)** + **მოქმედება** = ხმამაღალი, ხმაურიანი მოქმედებები და ცხადია, რომ აქედანაა ქართული **მხიარულება.**

წარმართული **ხიოლი** ისმის ძველ ქართულში:

(ი. ა.) მახიობელი – მგალობელი, „მომღერი“.

(ი. ა.) მახიობელებრ მსგავსად მახიობელისა: „როკვიდა სეფექალი იგი მახიობელებრ“.

(ი. ა.) ხიობა || ხეობა – კურთხევა, -- გალობა, მღერა: „ახიობდეს ქებასა“.

ხიოლი > **ხიოლობა** > **ხიობა** > **მახიობელი** > **მახიობი** > მსახიობი.

ხიოლი-სთან კავშირში მოგაწვდით საინტერესო მაგალითს კოლხეთის აღმოსავლეთის დიალექტიდან.

თუ მეგრული **ხიოლი** = **ხი** + **ოლი** = **მიწა** + **სვლა** = მიწიერების (სიცოცხლის) გამოვლენა = **სიმხიარულეა** და შესაბამისად, ხმის გამოღებასაც გულისხმობს,

ხევსურულ დიალექტში **ხოლი** (< ხიოლი) აღნიშნავს: 1. სახლის ნაშალს და 2. ერთი კაცის სატვირთო თივას.

ხევსურული **ხოლი**-ს პირველი მნიშვნელობა გვიხსნის:

ხოლი[1] = **ხ** + **ოლი** = **მიწა** + **სვლა** = ხევსურები სახლებს მიწიერი წარმონაქმნი ფილების მშრალი წყობით აშენებდნენ და როცა ამგვარად ნაშენი უპატრონო სახლი იშლება, ფაქტიურად მიწის წყობა იშლება, ანუ მიწა მოდის. იგივე ცოდნას ატარებს რაჭული **ხოლიკი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხოლიკი** კუთხ. (რაჭ.) უკიროდ (მშრალი წყობით) აშენებული ქვის შენობა.

ხოლი[2] = **ხ** + **ოლი** = **მიწა** + **სვლა** = როცა ბილიკს ზურგზე თივით, მიწიერი წარმონაქმნით დატვირთული ხევსური მიუყვება, ეს ნიშნავს, რომ **ხ** + **ოლი** = **მიწიერის** (თივის) + **სვლაა** (ანუ იმდენის რაც ერთ კაცს ძალუძს წაიღოს).

ხოლი > **ხოლა** შეიძლება იყოს როგორც თივის ბულული (მცირე წასაღები ზვინი), ასევე წყლის სატარებელი თიხის ჭურჭელი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხოლა**[1] კუთხ. (მესხ.) თიხის ჭურჭელი ერთგვარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხოლა**[2] კუთხ. (მთიულ.) თივის ბულული.

დროის სივრცეში უნდა ვეძიოთ კოლხურში ხმის მცნების წარმოქმნის შინაარსი. შუმერული მითოლოგიით ქვესკნელის ღმერთებს ხინარი ეწოდებოდათ.

(ა. გ.) **ხინარი** ქვესკნელის ღმერთები (შუმერ. მით.).

ქვესკნელი მიწის ბნელეთია; ასევე ადამიანები და ცხოველები მიწიერი არსებანი ვართ და ჩვენი სხეულის ბნელეთი, უხილავი ნაწილი მუცლის შიდა მოცულობაა, და ხმებს ამ ბნელეთიდან გამოვცემთ, ანუ ხმებს ჩვენ ბნელეთის (ქვესკნელის) ღმერთების ხინარების დახმარებით გამოვცემთ. ამ მიზეზით ეწოდა ხმას წარმართულ კოლხურში **ხონარი**.

(ო. ქ.) **ხონარ-ი** ხმა.

ქართული ენის შემქნელებმა ცხადია უარყვეს შუმერული წარმომავლობის **ხონარი** და ეს მცნება ქართულში დამკვიდრდა შეკვეცილი და სახეცვლილი ფორმით **ხმა** (ს-მა, დგ-მა...).

ე. ი. შუმ. **ხინარი** > მეგრ. **ხონარი** > ქართ. **ხმა**.

ვინაიდან წარმართული კოლხური აზროვნებით ხმის მცნება მუცლის მცნებასან იყო კავშირში, ქართული ენის შემქნელებმა, იგივე წარმართული კოლხური აზროვნებით, ბერძნული **ლაპარა**-დან (მუცლიდან) შექმნეს მცნება **ლაპარაკი**.

λαπαρα [ლაპარა] – 1.пах; 2.живот.

ლაპარა > **ლაპარაკი** – იგულისხმება, რომ მუცლის მოქმედების გარეშე ვერ ილაპარაკებ, ანუ მუცელი ის საბერველია რომლის გარეშეც პირის ღრუდან ბგერასაც ვერ გამოსცემ. კოლხებისთვის ბერძნული ლაპარა (მუცელი) უცხო მცნება არ გახლდათ, გვიმტკიცებს წარმართული კოლხური;

(ო. ქ.) **საპარა** მუცლის ქონი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეგვიპტური **ათონი**-ს შემადგენელი **ონი** კოლხურ მეტყველებში მზიან ადგილს გამოსახავს და ხონი უკვე აღნიშნავს მიწის მზიან ადგილს, მზიან მხარეს. აქ თქვენ აღიქვით, რომ ბერძნული **ხთონი** (მიწა) და კოლხური **ხონი** (სივრვე, ნათელი ფართი მიწის ზესაპირზე) საერთო შუმერულ-ეგვიპტური ფესვებიდან მომდინარეობენ.

ხონი ფუძეა სიტყვისა **ხონუა**.

(ო. ქ.) **ხონუა** ხვნა.

ხონუა = **ხონ**(ი) + **უა** = **მიწა** (მზიანი სივრცე მიწაზე) + **მოქმედება** = **ხვნა**.

ხმას თავად მიწაც გამოსცემს. წარმოიდგინეთ მზით გასხივოსნებული მინდორი, გუთანში შებმული ხარები ტაატით მიიწევენ წინ, გუთნის ალესილი სახნისი სახვნელი მიწის პირს ბელტებად ჭრის და გარშემო ჩამდგარ სიჩუმეში მიწა გამოსცემს ხმას. აი ეს მშობელი, მარჩენალი მიწის გამოცემული ხმა გახდა წარმართულ კოლხურში სიმბოლო საერთოდ ხმის გამოცემისა.

თანხმოვან **ხ**-ს მიწიერ ბუნებას ლაკონიურად გამოსახავს **ახო** (საყანედ გაკაფული ტყის მიწა). **ახო**-დან წარმოდგნენ **ახოვანი** = მიწიერი მშვენება, და გვარი ახობაძე.

ახობა = ახო + ბა = მიწიერი პატარა.

იგივე მიწის შინაარსს ატარებს **ხუაფა**.

ხუაფა = ხუა + ფა = მიწიერი წარმონაქმნი + მოქმედება.

(ო. ქ.) ხუაფა 1. დამხობა, დაქცევა; დარღვევა. 2. ხვევა

ხუაფა-ს მნიშვნელობის ცოდნის გამეორებაა ის რეალობა, რომ **ახო**-ში მიწის შინაარსიის განმსაზღვრელი ფორმანტი **ხო** ასევე ფუძეა სიტყვებისა და**მხო**ბა, დაე**მხ**ობა, ანუ მიუთითებს მიწის ზედაპირს რომელზედაც ე**მხ**ობიან, ეცემიან, ვარდებიან.

აქ განვიხილოთ მიწის მცნებასთან დაკავშირებული ჰარმონიული წყვილის **თხ**-ს გამოყენების მაგალითები: **თხა, თხრა, გართხმა, თითხვნა, ამოთხვრა, გათათხვა, ნთხევა, ფურთხი...**

ჩამოთვლილ სიტყვებს აერთიანებთ ჰარმონიული წყვილის **თხ**-ს შინაარსი:

თხ = თ + ხ = გაცხადება + მიწა.

თხა = თ + ხა = გაცხადებული მიწიერება.

თხორუა = თ + ხ + ორ(ო) **+ უა = გაცხადება + მიწა + ორმო + მოქმედება** = თხრა.

თხაფა = თ + ხ + აფა = გაცხადება + მიწა + მოქმედება = დაცემა, დავარდნა.

თხაფა ნიშნავს, რომ გარკვეულ მოქმედებათა შედეგად ადამიანი, საგანი... მიწაზე ცხადდება, ანუ მიწაზე ეცემა, გაერ**თხ**მება. სხვათაშორის ჩინურად „მიწაზე განრთხმა" სიტყვასიტყვით „თავის დარტყმა"-ს ნიშნავს. თუ მიწაზე ეცემი ი**თხ**იპნები (< მეგრ. **თხ**აპურუა), ითი**თხ**ნები, ამოი**თხ**ვრები. დაცემისა და ამო**თხ**ვრის ასოცირებით წარმოდგა **თხ**ა**თხ**ილი ანუ ქართულად გა**თა**ა**თხ**ული, ანუ როცა ადამიანს ლანძღავ, ეს იგივეა მას ტალახით **თი**ა**თხ**ნიდე. არაა აუცილებელი თავად დაეცე, შეგიძლიათ ასევე ამოან**თხ**იაო, დაან**თხ**იო, ამოაფურ**თხ**ო.

ფურთხი – პირიდან გამოყოფილი ნერწყვის გროვა. ფურთხის შინაარს უკეთ გამოსახავს მეგრული **ფურთხინი**-ს აზროვნება, საიდანაც წარმოდგება ქართული სიტყვა.

ფურთხინი = ფურ(ინუა) **+ თხ**(აფა) **+ ინი = ფრენა + დაცემა + ქვევით = ძირს დაცემული** (პირიდან) **გამოფრენილი** (გადმოფურთხებული).

ამრიგად, თანხმოვან **ხ**-ს ლოგოგრამა მიწის მცნებაა და ის გამოსახავს მიწას, მიწიერ წარმონაქმნს, მიწიერ ფორმას, მიწიერ სივრცეს, მხარეს.

თანხმოვანი პ

კოპი = კო + პი(კვალი).

(ი. ყ.) პიკვალი – выпученный, вздутый (почка на деревьях, женская грудь).

პიკვალი ნიშნავს ამობურცულ, ამობერილ, აფუვებულ სხეულებრივ ფორმას, რომელიც ადრე არ არსებობდა – ხეს არ გააჩნდა კვირტები და გაზაფხულზე ამოეზარდა, დარტყმის შედეგად შუბლზე კოპი გამოიბერა..

პი-კვალი = **პი** + **კ** + **ვა** + **ლი** = **ამონაზარდი** + **ძლიერი** + **მოქმედება** (შედეგი) + **ფორმა** = ძლიერ მოქმედებათა (შედეგად) ამონაზარდი ფორმა.

პიკვალი-ს შემადგენელი **კვალი** [რისამე (ფეხის, ბორბლის და სხვ.) ანაბეჭდი რაიმე ზედაპირზე] დამოუკიდებელი, როგორც მეგრულ, ასევე ქართულ ლექსიკაშიც დამკვიდრებული სიტყვაა და რომლის შინაარსიც ფაქტიურად ავხსენით.

კვალი = **კ** + **ვა** + **ლი** = ძლიერი მოქმედების ფორმა.

ამრიგად: **კოპი** = **კო** + **პი**(კვალი) = ძლიერი ახალამობურცული [ძლიერი დარტყმისაგან ამობურცული ადგილი (ადამიანის თავზე, შუბლზე)]. აქვეა **ღიპი**.

კოპი მხოლოდ დარტყმისაგან არა ჩნდება, წარბების შეჭმუხვნის შედეგად, შუბლის კანის გამობერილ წარმონაქმნებს, ასევე კოპები ეწოდებათ, მათზე გამოითქმის „კოპები შეიკრა, კოპებშეკრული".

ჭყაპი = **ჭყა**(რი) + **პი**(კვალი) = **წყალი** + **წარმონაქმნი**.

ჭყაპი ხომ გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან წარმონაქმნი **ტბორია**.

კოლხური **პიკვალი** მეორდება რუსულ მეტყველებაში ფორმით Вы-**пуклый** (ამოზნექილი, ამობურცული) > **Пук** (ბულული, კონა, შეკვრა). ასევე მეორდება რუსულში კოლხური **კოპი**, მსგავსი მნიშვნელობით -- **Копье** (შუბი, ანუ შუბის მახვილი ნაწილი ძლიერი წამონაზარდია). რუსულში ასევე დამკვიდრებულია იგივე შუბის აღმნიშვნელი ფრანგული სიტყვა Пика (|| **პიკ**-ვალი).

Пик [фр. **pic**] -- остроконечная вершина горы; иногда высшая точка горной вершины не зависимо от ее формы.

Пика [фр. **pique**] -- колющее оружие в виде длинного древка с осстрым металлическим наконечником, разновидность копья.

Пикадор [исп. **picador**] -- в бое быков (кориде) – всадник, приводящий быка в ярость, уколами пики.

Пикантный ¬[фр. **piquant**] -- острый, прянный.

Пикколо [ит. **piccolo** букв. маленький] -- наименьший по размерам и самый высокий по звучанию муз. инструмент какого-л. типа, напр. маленкая флейта.

Пикник [англ. **picnic**] -- увеселительная загородная прогулка компанией, обычно с закуской на воздухе.

Пикули [англ. **pickles**] -- мелко нарезанные маринованные овощи с прибавлением пряностей, употреблякмые как приправа к мясным и рибным блюдам.

ინგლისური **picnic**-ს მეორე შემადგენელი **nic**, ბერძნული გამარჯვების ღვთაების **ნიკე**-ს (**Nike**) სახელია და **picnic** = **pic** + **nic** = **მწვერვალი** + **გამარჯვება** = დღესასწაულის მწვერვალი..

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპ-ი**[2] ქალის ქართული თავდახურვის შემადგენელი ნაწილი, ატლასში (ან სატინში) შეკერილი ბამბის ნახევარრკალი, რომელსაც დებდნენ ჩიხტის შიგნით.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპ-ი**[3] ტყავის წვრილი ნაჭერი, თასმა, ქალამნების ამოსასხმელი.

(ო. ქ.) **კოპ-ი კოპე**, -- ხის ჭურჭელია.

(ო. ქ.) **კოპა** კოპე, იგივეა, რაც ხერკე, ხირკე. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები. ჩვეულებრივ აკეთებენ გოგრისას [და ამიტომაც ეწოდება მეგრულად გოგრას **კოპეში**(ა), ანუ **კოპესი**(ა), ანუ **კოპე**-ს, ღვინის ამოსაღების, **ხირკე**-ს გასაკეთებელი მასალა ჯ.კ.].

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპალ**[1]-ი კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც კოპი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპალ**[2]-ი ქამრის, უნაგირის, ლაგმის მოსართავი ღილები ლითონისა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპანო** ნავი ერთგვარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპე** (კოპისა) იგივეა, რაც ორშიმო.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპიტ-ი** იგივეა, რაც იფანი (**კოპიტი** საუცხოო მასალაა და ამიტომაა მეგრულში **კოპიტუა** – თლა, გათლა და **კოპიტა** – ხის ჯამი ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპიჭ-ი** მოყინული ან შემხმარი მიწა, -- გალღობილ ნიადაგზე ადამიანის, ცხოველის, ურმის და სხვა ნავალი რომ შეხმება ან გაიყინება.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპლებ-ი** ფერადი წრეები ქსოვილზე.

(ო. ქ.) **კოპულ-ი**[1] თავი.

(ო. ქ.) **კოპულ-ი**[2] ისარი (კვლავ გაიხსენეთ რუსული Копье ჯ.კ.).

(ო. ქ.) **კოპულ-ი**[3] ტახტა, -- უნაგირის კეხის წინ და უკან ამოშვერილი ადგილები.

(ქ.ე.გ.ლ.) **კოპურ-ი** კოპური ქალამანი – ირგვლივ ნაოჭასხმული ქალამანი (იცოდნენ იმერეთში).

(ქ.ე.გ.ლ.) კოპწია მომცრო და მოხდენილი.

კოპწია = კო + პ + წია = სასურველი ნაზარდი პატარა. აქვეა **პაწია, პაწაწინა, პატარა**. მსგავსია წარმართული **კოწია** (სასურველი პატარა).

(ი. ყ.) კოპე, კოფე, კოფე-დუდი макушка.

(ი. ყ.) **კოფე, კოფი, კოფო** задная поперечная доска у арбы (ამ ცოდნიდან ქართულში დამკვიდრდა **კოფო** – ეტლში მეეტლის შემაღლებული დასაჯდომი. **კოპე** > **კოფე** > **კოფო** ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **კაპ-ი** მოჭრილი ხის განტოტება, რომელსაც ქმნის მასზე ამოზრდილი რტოს შერჩენილი ნაწილი // ჩამოსაკიდი (კავი).

კაპი = კა + პი = ძლიერი წამონაზარდი და **აქვეა კაპი-წუა**.

(ო. ქ.) **კაპიწუა** ტანსაცმლის კალთების, სახელოების აწევა.

(ქ.ე.გ.ლ.) დაკაპიწებულ-ი სახელოების აკეცვით გაშიშვლებული მკლავები.

(ო. ქ.) **პეულაფა** ხეხილის აყვავება.

(ო. ქ.) **პეულუა** სახელი პეულანს ზმნისა – გაფურჩქვნა; აყვავილება.

ჩვენ უკვე განვიხილეთ წარმართული **პეულა**-დან **პეპელა**-ს, **პეშვი**-ს, **პეწი**-ს წარმოქმნა.

(ო. ქ.) **პიორუა** ყვავილობა.

(ო. ქ.) **პირი** კოკორი; ყვავილი.

(ო. ქ.) **პირელ-ი** გაფურჩქნული, აყვავებული, კვირტგამოსული.

მეგრ. **პირელი** > ქართ. **პირველი** – პირველად გაფურჩქნული, პირველად აყვავებული. ანუ ერთი და იგივე საერთო ფუძე პი-დან წარმოდგა მეგრული **პირელი** (შემდგომ ქართული **პირველი**), ფრანგული **pionnier** (პიონერი), რუსული **Первый,** ბერძნული **pyramidos** (პირამიდა) და მიმაჩნია, რომ ასევე ცეცხლის ალის წახნაგოვანი ფორმისა და სილამაზის გამო ბერძნულად ცეცხლსაც ეწოდა **pir**. აქედან უკვე ბერძნულიდან წარმომდგარი რუსული **Пир, Пиршество** (ცეცხლოვანი ლხინი).

პიორუა = პი + ორ(ო) + **უა** = სიცოცხლის უხილავი გამოვლენა. კოლხებმა **პ**-ს უხილავი სვლა, მსგავსად **ბა**-ს არსისა, გამოსახეს ორთქლისა და ღრუბლის ფორმით, ხოლო ბერძნებმა იგივე აზროვნებით შექმნეს:

პიორეა [ბერძ. **pyon** ჩირქი და **rheo** მივედინები] – ჩირქდენა.

(ი. ყ.). **პულა** (ч. პულა облако) **пар**.

არსებობს კოლხური ვაზის ჯიში **პუმ-პულა**, რომლის ცოდნითაც, უნდა ვიგულისხმოთ, წარმოიქმნა ასევე კოლხური **ფუმფულა** (კოპე > კოფე).

პიორუა, **პირელი** სიცოცხლის დაწყებაა და ქართულში წარმოდგა **ღლაპი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლაპი** – ზოგი ფრინველის (მაგ. ხოხბის, კაკბის, გნოლის...) ბარტყი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ღლაპი** – 1. ახლად გამოჩეკილი, შეუბუმბლავი ბარტყი. 2. ზოგი ძუძუმწოვარი ცხოველის (მაგ., თაგვი) ახალშობილი. 3.გადატ. (საუბ.) ჩვილი პატარა ბავშვი.

ლაპი = **ლა** + **პი** = **ჩვილი (რბილი)** + **წარმონაქმნი** (გაჩენილი).

ღლაპი = **ღ** + **ლა** + **პი** = **ცოცხალი** + **ჩვილი** (რბილი) + **წარმონაქმნი** (გაჩენილი).

ღლავი = **ღ** + **ლა** + **ვი** = **ცოცხალი** + **რბილი** + **სხეული** (ფორმა).

პი-ს მნიშვნელობათა გათვალისწინებით შეიქმნა:

წარმართული **პიχი** = **პი** + **χი** > (χ > რ) > ქართული პირი.

(ო. ქ.) **პუაფა** აყვავილება, გაფურჩქვნა.

(ო. ქ.) **პუზინ-ი** კუილი (გაიხსენეთ რუსული пукнуть χ.კ.).

(ო. ქ.) **პუხუ** კუზი (გაიხსენეთ რუსული **Пухнуть** χ.კ).

განხილული მაგალითები, ძირითადად, თანხმოვან **პ**-ს როგორც ბუნების, ასევე ადამიანთა შემოქმედებითი ძალის გამოვლენას წარმოაჩენენ, რადგანაც თანხმოვანი **პ**-ს ლოგოგრამა შუმერული PAL – სამეფო ღირსება, ძალაუფლებაა.

(Лоукотка 40): „У ассирийцев сохранились также и идеограммы (которые пишутся теперь прописными буквами) напр. **ВАЛ**; по шумерски **РАЛ** (знак царского достоинства), по-ассириийски **ralus** (власть)“.

შუმერულად **პალ** (PAL) აღნიშნავდა სამეფო ღირსებას, ხოლო ასირიულად ამ სამეფო ღირსების მთავარ შემადგენელს -- ძალაუფლებას. ამის ცოდნით ეწოდა ბერძენთა პანთეონის მშვენებას, სიბრძნის, ხელოვნების, ხელოსნობის, მიწათმოქმედების... ომისა და მშვიდობიანი შრომის მარად უბიწო ქალღმერთ ათენა-ს -- ათენა პალას **(Pallas)**, ათენა პალადა (Palados).

პალადინ-ი [ფრანგ. **paladin**] – შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: რაინდი მეფის ამალაში.

პალანკინ-ი [ფრანგ. **palanquin** < სანსკრ.] – აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ზოგ ქვეყანაში: მხრებზე დასადგმელი ტახტრევანი დიდებულთა სატარებლად.

ლათ. **palatum** || იტალ. **palazzo** || ინგლ. **Palace [paelis]** – სასახლე, **Buchingham Palace** – ბუკინგემის სასახლე (ლონდონის სამეფო რეზიდენცია) || რუს. **Ралата, Ралатка**.

პალანტინ-ი [ფრანგ. **palatine**] – ქალის მხრებზე წამოსასხამი ბეწვისა ან ხავერდისა (> პალტო).

(ქ.ე.გ.ლ.) **პალაკარტი** ძვ. ბერ-მონაზვნების სამოსელი, ფართო და ნაოჭიანი წამოსასხამი. 2. ერთგვარი ძვირფასი ქსოვილი. საქარტველოში ტანისამოსისათვის ძვირფასი ქსოვილი „პალეკარტაად" წოდებული ანტიოქიით შემოჰქონდათ (ივ. ჯავახ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **პალამი** ძვ. „მძლავრი და დიდი ასპიტი“ (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **პალანი** [სპარ. **ფალან**] ძვ. ვირის ან აქლემის კურტანი.

(ქ.ე.გ.ლ.) **პალანკინი** [პორტ. **palanquim**, სანსკრ. **palyanka**-დან სარეცელი, საწოლი] ძველ აღმოსავლეთში – დახურული ტახტრევანი დიდებულთა სატარებლად.

ძალაუფლების სიმბოლოა მიწაში ჩარჭობილი პალო, ყოველ შემთხვევაში, პალოზე თოკით მიბმული ძროხა ამას აღიარებს. იგივე კოლხური **პალო**-ა ლათინური **პალმა**, რუსული **Ралка, Ралец** ჰოლანდიური **პალი**.

პალ-ი [ჰოლან. **paal**] – (ზღვ.). მიწაში ჩარჭობილი ბოძი, ბოძკინტი შვარტოვების დასამაგრებლად.

მიმაჩნია, რომ შუმერული PAL-ის, ასირიული **ralus**-ის შემდგომ განვთარებას უნდა წარმოადგენდეს ბერძნული:

φαλλός[ფალლოს] – **фалл** (культовый символ плодородия) (მამაკაცის ასო) და მეგრული **ფალო** (მარტო, მხოლოდ), **ფალუა** (აყვავილება, აღმოცენება, გაკვირტვა, გაფურჩქვნა, გახარება), **ფაფალი** (ლაპლაპი, ფარფატი, ფრიალი, ხამხამი)... და ინგლ. **flower** (ყვავილი)

თანხმოვან **პ**-ს ძლიერ თვისებათა გამო წარმოდგა ქართული პრიალი – 1. ელვარება, ლაპლაპი, ბრწყინვა, ბზინვა. 2. ბრიალი, გიზგიზი ცეცხლისა და რუსული **Пал** (ხანძარი).

შუმერული PAL-ის განვითარებაა ინგლისური **polish** – изысканность, лоск, совершенство, украшенность... глянец, блеск... და რუსული полировка.

გავიხსენოთ, რომ **პი-ორუა, პი-რელი** აღნიშნავენ აყვავება, აყვავებულს და შეგვიძლია ავხსნათ იტალიური ქალაქის **პიზა**-ს და სამხრეთ სამეგრელოს ტაძრის **ო-პიზა**-ს სახელწოდებათა შინაარსი: **პიზა = პი + ზა = წარმოქმნილი** (კვირტი, მშვენიერი) + **ცეცხლი = ელვარე მშვენიერება. ო-პიზა = ო მოელვარე მშვენიერებავ.**

ოპიზა-ს ჩვენებურ განმარტებას ეხმიანება ბერძნული **ოპის** (ბერძნებს თანხმოვანი **ზ** არ გააჩნდათ).

οπισ [ოპის] – 2. милость, благоговение; 3. почтительный страх, благоговейное почитание; 4. почтение, уважение;

ძალაუფლების, სიმდიდრის მოხვეჭას ეხმიანება კოლხური **პალუა**:

(ო. ქ.). პალუა ქონება, ყოლა; პოვება; ბადება; არსებობა; ჭაჭანება.

(ი. ყ.) პალუა находиться, обретаться, объектив... (г. მეპოვება родственно надо полагать, и по корню).

მართებულია იოსებ ყიფშიძის ვარაუდი, რომ ქართულ მეპოვებას და მეგრულ პალუას ერთი საერთო შუმერული პალ ფუძე გააჩნიათ.

შუმერულ-ბერძნულ-კოლხური პალუ იკითხება რუსულ მეტყველებაში: ролу-чка; ролу-чить (обретаться).

(ო. ქ.). პალურ-ი 1. მდორე, მყუდრო, ღრმა წყალი, სადაც თევზს საკვებს უყრიან და შემდეგ თევზაობენ; 2. გაუვალი ტყე, ჭაობი; 3. ნაყოფიერი შავი მიწა მდინარისპირებზე.

(ო. ქ.). პალუხ-ი კაჟისა და აბედის შესანახი ქისა.

(ს. ს.) სა-პალ-ურო – არს კეთილი სათევზე ადგილი სხვათა რითამე შესაპყრობელი.

პალ-უა ფუძეა გვარისა პალაშვილი.

ამრიგად, თანხმოვანი **პ** ძალაა, ნებაა:

(ი. ყ.) პონ, პონუა, მიკო-პონუა приставить, прислонить... (случайно-ли созвучно наше слово с лат. pono, posui, positum, ponere ставить, класть?) (не случайно ჯ.კ.).

(ი. ყ.) პიან: პიანება (г.პრიანება) захотеть, изволить, соизволить.

(ი. ყ.) პირტოლი, პურტოლი, პურტოლუა разсекать, рубить, ломать.

პირტოლი > პარტახი – უპატრონოდ მიგდებული, აოხრებული, განადგურებული, გავერანებული (ადგილ-მამული, სახლ-კარი).

(გ. ე.) პილუა დაკვლა (შეადარეთ რუსული Пилить ჯ.კ.).

და ბოლოს, შუმერული **პალ** (PAL) ფუძეა სახელწოდებისა კო-**პალ**-ა – „ქართულ ფოლკლორში შემორჩენილი მითიური გმირი, განსაკუთრებით ხევსურულ პოეზიაში განდიდებული **კოპალა** კარატიონი, მშვენიერი, გოზა ფართო (გოზა – მშვილდის მხრები, ლარსაბმელი), მხართეთრი, დევთა და ქაჯთა რისხვა (აკაკი გელოვანი)“.

კოპალა = კო + პალ(ა) = **სასურველი ღირსეული || სასურველი ძლიერი.**

თანხმოვანი ტ

თანხმოვანი **ტ** ძირითადად გამოსახავს სითბოს და მასთან დაკავშირებულ მცნებებს.

(ო. ქ.) **ტიბუ, ტუბუ, ტგბგ** – თბილი.

(ო. ქ.) **ტიბაფა** თბობა.

გარდა ფორმებისა ტიბუ, **ტუბუ, ტგბგ** არსებობდა ასევე ფორმა **ტუბო**, რომელიც შემორჩენილია სახელწოდებაში **წყალტუბო**.

ფორმა **ტგბგ || ტიბი**-დან წარმოიქმნა **ტიბილისი**, რომლის მეორე შემადგენელი **ლისი** გვხდება ტბის სახელწოდებად და ასევე შემადგენელია ტოპონიმისა მანგ-**ლისი**. ამრიგად: **ტიბილისი** > **ტიბლისი || ტიფლისი** > **ტბილისი || ტფილისი** > **თბილისი.**

(**ივანე ჯავახიშვილი** I 317): „თბილისი პირველად **თეოფანე ბიზანტიელის** (VI ს.) აქვს მოხსენიებული „**ტიფილის**"-ის სახელით. ამავე ფორმით იხსენიებს მას ჟამთააღმწერელი თეოფანე ჰერაკლე კეისრის ლაშქრობის აღწერილობაში".

სერგი მაკალათიას წიგნის მე-17 გვერდზე გამოსახულია ჰ. კიპერტის რუკა, რომელშიც თბილისს ეწოდება **ტიბილისი**.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ**. 128): „XIII ს. არაბი ლექსიკოგრაფი ას-საღანი თბილისთან დაკავშირებით წერს: „**ტიფლის** ალ-ქალიმი ჯურჯია, ე. ი. თბილისი ქართული სიტყვა არისო".

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ**. 124): „ალ-ჯურზიას სამეფო შეესაბამება ქართველთა სამეფოს სამხრეთ საქართველოში".

კოლხური ფორმა **ტგბგ || ტიბი** გვახსენებს ჩვენი წარსულის ფრაგმენტს:

(აკაკი ურუშაძე 102): „პომპეიუს ტროგუსს (I ს.), როგორც ეს მარკუს იუნიანუს იუსტინუსის გადმოცემაშია დაცული, არგონავტების თქმულების საინტერესო დეტალი აქვს მოთხრობილი: ისტრების ტომი იმ კოლხთაგან წარმოიშვა, რომლებიც აიეტის ბრძანებით არგონავტებს დაედევნენ. არგონავტების მდევარი კოლხები პონტოდან ისტროსში შენავდნენ, გადაკვეთეს მდინარე სავა, არგონავტებივით მხრებით გადაიტანეს ხომალდი მთათა უღელტეხილებზე და ადრიატიკის სანაპიროზე, აქვილიაში (აწ. Aglar ზემო იტალიაში) დასახლდნენ. ისტრებად კი იწოდნენ მდინარე ისტროსისაგან, რომელშიაც ზღვიდან შემონავდნენ".

ისტორიული მდინარე ისტროსი დევანდელი მდინარე **დუნაი**-ა, რომელშიც ჩაედინებოდა ასევე მდინარე **ტიბისისი**.

(**Д. Г. Р. с.**) **Τιβισισ**– Тибисис (приток р. Истр)

ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის ცნობა:

„1904 წელს კავკასიის უძველესი ნივთები და იარაღები ვილკემ სხვა ქვეყნის ნაშთებს დაწვრილებით შეადარა და ბევრ შემთხვევაში შეურყევლად დაამტკიცა, რომ კავკასიის ნივთები დუნაისპირელ ჩრდილოეთი ქვეყნების ნაშთებს გასაოცრად ჰგვანან. ამნაირი აზრი უკვე შანტრსაც ჰქონდა გაკვრით გამოთქმული. ამგვარად, ვილკე ამტკიცებს, რომ კავკასიის ხელოვნებასა და დუნაის-პირის ქვეყნების ხელოვნებას შორის უეჭველი და მჭიდრო დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო".

მსგავსად დუნაის შენაკადი მდინარე **ტიბისის**-ა, ცხელი წყლების დინებათა გამო ეწოდა ჩვენს დედაქალაქს **ტიბილისი** > **თბილისი**.

(**არნოლდ ჩიქობავა** I. 237): „ფუძე (ტიბუ) მეორდება ინდოევროპულ ენებში: ლათ. tep-id-us, რუს. теплый, ძვ. ინდ. tap-ati – ანთია, ათბობს და სხვა (იხ. В. Горяев,

Сравнит. этим. слов. рус. яз. Тиф. 1896, ст. 264... გორიაევი ამ ძირთან დაკავშირებით იხსენებს ქართ. ტფილისსა და თბილისს)“.

ტიბუ ფუძეა ასევე სახელწოდებებისა **ტიბაანი** (სოფელი სიღნაღის რ-ნში) და **ტიბარენი** (ისტორიული კოლხეთის სამხრეთი მხარე).

ტიბაანი = **ტიბა**(ფა) + **ანი** = **თბილი მხარე.**

ტიბა + **რენი**(ა) = **თბილი არის.**

აღსანიშნავია, რომ სითბოს მნებას უკავშირდება ასევე სახელწოდებები: **მაჩხაანი** (**ჩხა** მეგრულად ნიშნავს მზეს, სიცხეს), **მირზაანი** (ფუძეა **რზამა** – დანთება, წაკიდება ცეცხლისა და **მირზგ** მეგრულად ნიშნავს **მინთია**, გვარიცაა **მირზიაშვილი**), ხოლო სახელწოდება **ქიზიყი** შუმერულ-კოლხურ-ურარტული ცოდნით შემდეგნაირად იკითხება:

ქიზიყი = **ქი** + **ზი** + **ყი** = **ქვეყანა** + **ცეცხლი** + **მიწა** = ცხელი მიწის ქვეყანა = ცხელი მხარე.

სითბოს გამო ეწოდა საქონლის ცურს -- **ტგ**.

თბილი სხეულის თბილი სისხლის თბილი პარაზიტია **ტილი**.

ფორმები **ტა//-იტია//-უტია** კნინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია: **გიგიტა** (გიგი თბილო), **გოგიტია** (გოგი თბილო), **ბუხუტია** (ბუხო თბილო).

სახელი **ო-ტია** = **ო თბილო** (მეგრ. **ოტიბუანს** = ათბობს). საწინააღმდეგო შინაარსისაა **უტუ** (უსითბოვო, უჯიგრო).

(ო. ქ.) უტუ კაცის სახელია.. გადატ. რეგვენი; გაუნათლებელი; ბრბო.

(ო. ქ.) უტუხ-ი უდრეკი, უტეხი (უტუხი > უტეხი **ჯ.კ.**).

სითბო აუცილებელია პირობაა სხვადასხვა სახის მოძრაობებისათვის, მეტყველებისა-თვის. ცივსისხლიანები მხოლოდ მზის სითბოს მიღების შემდგომ იწყებენ მოძრაობას, ხმის გამოცემას, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილსისხლიანებს მზის სითბოს აკუმულირების უნარი გაგვაჩნია და ამ დაგროვილი მზის ენერგიის ხარჯვა ნებისმიერ დროს შეგვიძლია, თუმცა ეს დანაზოგი დიდ რაოდენობას არ წარმოადგენს და ჩვენი სხეულებიც სითბოს ხშირ მიღებას, შევსებას საჭიროებენ.

(ი. ყ.) ნტ: მო-ნტება, მო-ნტალებაფორმები ტა//-იტია//-უტია კნინობით-მოფერებითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსებია: გიგიტა (გიგი თბილო), გოგიტია (გოგი თბილო), ბუხუტია (ბუხო თბილო).

სახელი ო-ტია = ო თბილო (მეგრ. ოტიბუანს = ათბობს). საწინააღმდეგო შინაარსისაა უტუ (უსითბოვო, უჯიგრო).

(ო. ქ.) უტუ კაცის სახელია.. გადატ. რეგვენი; გაუნათლებელი; ბრბო.

(ო. ქ.) უტუხ-ი უდრეკი, უტეხი (უტუხი > უტეხი ჯ.კ.).

სითბო აუცილებელია პირობაა სხვადასხვა სახის მოძრაობებისათვის, მეტყველებისა-თვის. ცივსისხლიანები მხოლოდ მზის სითბოს მიღების შემდგომ იწყებენ მოძრაობას, ხმის გამოცემას, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილსისხლიანებს მზის სითბოს აკუმულირების უნარი გაგვაჩნია და ამ დაგროვილი მზის ენერგიის ხარჯვა ნებისმიერ დროს შეგვიძლია, თუმცა ეს დანაზოგი დიდ რაოდენობას არ წარმოადგენს და ჩვენი სხეულებიც სითბოს ხშირ მიღებას, შევსებას საჭიროებენ.

(ი. ყ.) ნტ: მო-ნტება, მო-ნტალება горение; гореть, сжигать.

ნ-**ტალ**-ება-დან ქართულში დამკვიდრდა **ტალ**-ი (ცეცხლის გასაჩაღებელი კაჟი).

(ი. ყ.) ტ < **ტალ**: ტეება, ტალება, დო-ტეება... оставлять, покидать; оставлять в покое, пускать. (აქედან ქართულში მი-**ტე**-ვება, მიუ-**ტე**-ვა... **ჯ.კ.**).

(ო. ქ.) ტანტალი 1. ხეტიალი, წანწალი... 2. ტარტარი (ენისა).

ვინაიდან **ტ** სითბოს გამოსახავს, ანუ არც ცხელია და არც ცივი, ის შესაბამისად შუა ბუნების მცნებებსაც გამოსახავს. მაგალითად ჩვენ უკვე ვიცით, რომ დურინი აღნიშნავს ძლიერ მოძრაობას, ფურინი ნებიერ მოძრაობას, ხოლო **ტურინი** ამ ცნებათა შუა ბუნების მოძრაობათა გამომსახველია.

(ი. ყ.) **ტურტურუე** (лат. turtur) тетерев, горлица.

ე. ი. როჭოს, გვრიტის ფართხა-ფურთხა ფრენის სტილი **ტურ (ტურტურუე)** ფორმით გამოისახა, ესევე როგორც ლათინური **turtur** და რუსული **тетерев**. ამავე მიზეზით ეწოდა **ტურას ტურა**, რადგანაც იგი არც მგელივით ძლიერია და არც მელასავით მოქნილი, ყოველ შემთხვევაში ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს.

(ო. ქ.) **ნტება1, ნტინა** გაქცევა.

ტ-ს მოძრაობის თვისების გამო გაჩნდა **ტარება = ტა + რე + ბა = მოძრაობა + არის + შედეგი** = მოძრაობის არის შედეგი. **ტარება** > მა-**ტარებ**-ელი.

(ო. ქ.) **ტახა ტეხ**ა. ტახანა ხის მოკლე სასროლი ჯოხი. **ტახუა** ტეხა, მტვრევა, ნგრევა.

რათა სრულად აღვიქვათ **ტახუა**-ს კოლხური შინაარსი, გავიხსენოთ, რომ **ხუა** = გროვა, ხროვა; ხუალა = რღვევა; ხუაფა = დამხობა, დაქცევა, მაშინ ნათელი ხდება, რომ **ტახუა = ტა + ხუა = მოძრაობა + გროვა** = (ტა) მოქმედებებით დამხობა, დაქცევა, დარღვევა = ტეხვა, მტვრევა, ნგრევა. აქვე ნათელი ხდება, რომ როცა გამძვინვარებული გარეული მამალი ღორი ტყეში, ბუჩქნარში თავდამსხმელებს ან უტევს, ან გაურბის, მისი ძლიერი, ჯიქური მოძრაობების გამო გარშემო მტვრევის, ტეხვის ხმა ისმის და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის გამოც ეწოდა მას **ტახი**. ჩვენს მოსაზრებას ეხმიანება სახელწოდება **ტახანა**-ს შინაარსი. **ტახანა** წარმოადგენს ხის მოკლე სასროლ ჯოხს რომელსაც ესვრიან მაღლარი ხილის ხეს მწიფე ნაყოფის ჩამოსაბერტყად და ამ სროლათა შედეგად გარშემო ხის ტოტების მტვრევის, ტეხვის ხმა ისმის. **ტახანა**-ს სროლის შედეგად გამოცემულ ხმას ეწოდებოდა **ტახანი** და რომლის მსგავსია **ჭახანი**.

ტახუა-ს სრულად შეესატყვისება **ტოხუა** = დარტყმა, ჭრეთა, სატეხით ამოტეხვა. ტოხუა-ში ხმოვანი **ო** მიუთითებს **ტ** მოძრაობის, მოქმედების დაბლითა მიმართულებას. ამ თემის განვითარებაა **ტოხი** = ამოტეხილი ადგილი და:

(ო. ქ.) **ტოხაფი** 1. დარტყმა, დარტყმისას გამოცემული ხმა.

(ო. ქ.) **ტოხუა** 1. ჭრეთა, სატეხით ამოტეხვა. 2. დარტყმა.

მეგრ. **ტოხუა** > ქართ. **თოხვა** > თოხი (ტბილისი > თბილისი).

(ო. ქ.) **ტკეჩი || ტკეცი** ზოგი ხის (თხილის, შინდის...) სწორი ტოტის სიგრძივ ამონახეთქი; იხმარება კალათის (გოდრის, გიდლის...) დასაწნავად.

ტკეჩი || ტკეცი > კეცი > კეცვა > ტკეცა > (გზა)ტკეცილი...

კოლხური აზროვნებით, სხეულის მოძრაობის უნარი დამოკიდებულია სხეულში მიმდინარე ძლიერი წვის პროცესზე, ხოლო საუბრისათვის სითბოც საკმარისია, ანუ ორთქლმავალმა რომ იმოძრაოს წვის დიდი ენერგია ესაჭიროება, ხოლო საყვირის ხმის გამოსაცემად სითბოც საკმარისია. გავიხსენოთ, რომ თანხმოვანი **ყ** (მიწიერი ძალა) განაგებს გონებას, მოსმენის უნარს და ტყუ = ლაპარაკობს, ამბობს. ამ აზროვნებამ წარმოშვა ადამიანის მოქმედების (მეტყველების) საშუალება – სი-**ტყუა**. მეგრული ფორმა **ტყუ** ძველქართულში მტკიცედ იყო დამკვიდრებული.

(ი. ა.) **ტყუება** ალაპარაკება: `უტყუთა ატყუებს~.

(ი. ა.) **აღტყუება** სიტყვის თქმა, ამეტყველება: `ვითარცა აღიტყუა ყრმა იგი~.

ამ მაგალითებში **ტყ** გამოსახავს გამოთქმას, ხოლო **ტყ+ვა** = გამოთქმის მოქმედება:

(ო. ქ.) **ტყვაცი** მეხი; ჭექა, ქუხილი.

(ო. ქ.) **ტყვაჟაფი** კაჟიანი (ან ფილთა) თოფის გასროლის ხმა.

(ო. ქ.) **ტყვია ტყვ**ია.

ამრიგად, **ტყ**-ს გვერდით უჯდება **ვა** (ელვა, მოქმედება) და მივიღეთ ცის გამოთქმა – მეხი, იარაღის სროლის ხმა -- **ტყვაჟაფი** და თავად სასროლი საშუალება **ტყვია**. გარდა ფორმებისა **ტყუ, ტყვა** არსებობს ფორმა **ტყო**, ანუ თუ **ტყუ** სხეულის ზედა ნაწილით, პირით გამოთქმის უნარია, **ტყო** სხეულის ქვედა ნაწილით გახმაურების უნარია.

(ო. ქ.) ტყორინ-ი კუილი.

„ქართულ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „**ტყორც** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **ტკოჩ**... მეგრულსა და სვანურში შესატყვისი ძირები გამოვლენილი არ არის“. ჩემს პირველსავე წიგნში ავღნიშნე, რომ ქართული **ტყორცნა** წარმოდგება მეგრული **ტყორინი**-დან.

ტყორინი = **ტყო** + **რინი** = (დაბლა) გამოთქმის მდგომარეობა.

როცა მუცელში დაგროვილი გაზებიდან თავისუფლდები (ქვევიდან), **ტყო** მდგომარობაში იმყოფები, ანუ სხეულის დაბლითა ნაწილიდან გამოსცემ, გამოს**ტყორ**ცნი ხმებს. დაბლითა მოძრაობებს გამოსახავს ასევე სიტყვა **ტყობინაფა** = მალვა.

მეგრ. **ტყობინაფა** > (ფა > 0) > **ტყობინა** > ქართ. შეა-**ტყობინა**.

მეგრ. **ტყობინაფა** (აფა > ება) > ქართ. შე-**ტყობინება** (დამალული შეატყობინეს), შეა-**ტყო**, ა-**ტყო**-ბს...

რაც შეეხება ტყუილს:

(ო. ქ.) ტყურა ტყუილი;

სისტემატიზაციის მეთოდით მეგრ. **ტყურა**-დან ქართულში გაჩნდა **ტყუვილი** > **ტყუილი**.

(ი. ა.) ტყუ(ვ)ილ-ი ტყუობა, ცრუობა.

(ს.ს.) ტყუვილი ტყუილი.

განვიხილოთ თანხმოვან **ტ**-ს მნიშვნელობებიდან წარმომდგარ იმ საერთო სიტყვათა შინაარსები რომელთა არქე წარმომავლობა ჩვენთვის ჯერჯერობით დაუდგენელია.

ინდონეზიაში, კუნძულ სუმატრაზე მდებარეობს ვულკანური წარმომავლობის ტბა სახელწოდებით **ტობა** (სიგრძე 100 კმ., სიგანე 30 კმ.). 75000 წლის წინ ამ ტბის სიღრმიდან ერთ-ერთ უძლიერეს ვულკანურ ამოფრქვევას ქონია ადგილი. წარმართული კოლხურით ტერმინი **ტობა** ასევე აღნიშნავს მცნებებს **ტბა**-ს და სიღრმე-ს. რასაკვირველია, ინდონეზიური და კოლხური **ტობა**-ს საერთო ფუძე უძველეს წინააზიურ კულტურათა სივრცეშია საძებნელი.

(ო. ქ.) ტობა, ტომბა, ტონბა 1. ტბა... 2. ღრმა; ღრმა ადგილი მდინარეში. ხევსურ. ტუმბო მორევი, გუბე.

ნათელია: წარმართ. **ტომბა** > (ხევს.) **ტუმბო** > ქართ. **ტუმბო** (ხელსაწყო) > **ტუმბვა** > **ამოტუმბვა**.

ტობა-ს, როგორც სიღრმის მცნების განვითარებას უნდა წარმოადგენდეს ბერძნული **ტაფოსი** და ქართული **ტაფობი**.

(**აკაკი გელოვანი** 466): **ტაფოსი** („დაკრძალვა“; „სამარე“).

ბერძნული **ტაფოსი**, ანუ სამარე, ჩაღრმავებული ადგილია და რაც ასევე განსაზღვრავს ქართული ვარიანტის **ტაფობი**-ს ბუნებას:

(ქ.ე.გ.ლ.) ტაფობ-ი დაცემული, ჩავარდნილი ადგილი (მთებს შორის).

ცხადია **ტაფობი** > **ტაფა**.

ტაბა-ს (**ტბის**) სწორი ზედაპირის ასოცირებით უნდა ვიგულისხმოთ ბერძნული **ტაბლა**-ს... არაბული **ტაბაკი**-ს და ქართული **ტაბაკა**-ს შინაარსთა წარმოქმნა.

მრავალ ენაშია დამკვიდრებული ტერმინები **ტაბლა || ტაბაკი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბლი** [არაბ. **ტაბლ** „დოლი“] ძვ. „საქორე ნაღარა“ (საბა).

ბერძ. **tabla** [ტაბლა] – игральная доска (на табло).

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბლა** დაბალი მაგიდა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბელ**-ი [გერმ.] დაფა, რომელზედაც ჩამოკიდებულია ჟეტონები მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და იქიდან წასვლის აღრიცხვისათვის.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბლდოტი** [ფრ. **table** d'hote] საერთო სუფრა სასტუმროში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბლეტ-ი** [ფრ.] ფხვიერი წამლის დაწნეხილი პატარა მრგვალი კვერი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბულა** [ლათ.} იგივეა რაც ცხრილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბურეტ-ი** [ფრ.] უზურგო სკამი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბუც-ი** სახელურიანი პატარა ფიცარი სარეცხის სატყეპელად.

ინგლ. **table** – მაგიდა, დაფა, ცხრილი... ბრტყელი ზედაპირი. **table-cloth** – სუფრა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბაკ-ი** [არაბ.] 1. ხის მოზრდილი სინისმაგვარი თეფში; ჩვეულებრივ ხმარობენ ხორბლის სარკვევად. 2. იგივეა რაც **ტაბლა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბაკა** ბრტყლად შემწვარი ვარიკა.

(ო. ქ.) **ტაბაკ-ი** ფიცრის დაბალი მაგიდა.

(ო. ქ.) **ტაბაკონა** ტოპონ. მთაა მარტვილის რაიონში. ითვლება ეშმაკების მეთაურის (როკაპის) სამყოფ ადგილად. ტაბაკონი ალბათ იმიტომ ჰქვია, რომ **ტაბაკივით** გაშლილი მწვერვალი აქვს (გაიხსენეთ ინგლ. **table**-ს განმარტება -- горное плато, плоскогорье ჯ.კ.)... გადმოცემით კუდიანობა ღამეს თითქოს ამ მთაზე თავს იყრიან კუდიანები და ეშმაკები.

(ქ.ე.გ.ლ.) **ტაბაკელა** (ძვ. ცრუმორწ.) ადგილი, სადაც თითქოს თავს იყრიან კუდიანები და ეშმაკები კუდიანობა ღამეს.

(ო. ქ.) **ტაბაკუა** 1. ტკეპნა... 2. ტაბაკივით გადაქცევა, მოსუფთავება; ადგილის ისე მოტიტვლება, რომ ბალახი არ ჩანდეს.

(ო. ქ.) **ტაბაკურ-ი** ტოპონ. ადგილი სოფ. ბანძაში (მარტვილის რაიონი). დაბალი ადგილია და წვიმების დროს წყალი დგება (კვლავ გაიხსენეთ ინგლ. **table**-ს განმარტება – ბრტყელი ზედაპირი ჯ.კ.). შდრ. **ტაბაყურო** დაჭაობებული ადგილი საერთოდ (სოფელი ოფშკვითი, წყალტუბოს რაიონი).

ტაბაკინი – სოფელი ზესტაფონის რ-ნში.

ტაბანათი – სოფელი ლანხუთის რ-ნში.

ტაბარუკი – სოფელი მცხეთის რ-ნში.

(ო. ქ.) **ტაბან-ი** სათევზაო მოწყობილობის ნაწილი, -- მსხვილი თოკი, რომელზედაც მიბმული იყო წვრილი თოკები – კოლები; ამ უკანასკნელზე კი – ანკესი... შდრ. აჭარ. **ტაბანი** ბინის საძირკველი.

ამრიგად, **ტაბა**-მ მიიღო სწორი ზედაპირის მნიშნელობაც და ამ მიზეზითაც ბუნებრივ წყალსატევს, რომელიც არ უკავშირდება ზღვას, ეწოდა **ტაბა** > ქართ. **ტბა** > **ტბორი**.

ტაბაწყური (= ტბაწყარო) – ტბა ბორჯომისა და ახალქალაქის რ-ნების საზღვარზე.

ტაბახმელა (= ტაბამშრალი) – სოფლები გარდაბნისა და ხულოს რ-ნებში.

საკმაოდ დიდ საერთაშორისო ისტორიულ სივრცეს მოიცავს ტერმინი **ტან**-ი.

(**აკაკი გელოვანი** 465): „სიტყვა **ტან** სანსკრიტის ენაზე ნიშნავს გაჭიმვას, განვრცობას".

ეს ცოდნა იკითხება სახელწოდებებში:

ტანა – ტბა ეთიოპიაში || **ტანა** – მდინარე გორის რ-ნში.

ტანი – მდინარე ლანჩხუთის რ-ნში || **ტანიე** – მთა და ტბა დუშეთის რ-ნში.

ტანიშური – მდინარე ლენტეხის რ-ნში, ცხენისწყლის მარცხენა შენაკადი.

იგივე ცოდნით სპარსელებმა სხეულს უწოდეს **ტანი**, ხოლო კოლხებმა ეს სახელწოდება გარდა ადამიანის სხეულისა განავრცეს ასევე მიწიერ წარმონაქმნებზეც.

არტაანი – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში.

არტანი (ზემო და ქვემო) – სოფლები თიანეთის რ-ნში.

არტანი = **არ**(თ) + **ტანი** = ერთიანი სხეული (**ტანი**).

ჩვენი მტკიცების დასტურია **არტაშანი**-სა და **არტახი**-ს განმარტებანი.

(ს. ს.) **არტაშანი** ძვალთ შესაკრავი.

(ს. ს.) **არტახი** ბრტყელი და მაგარი შესაკრავი.

არტა-შანი და **არტა-ხი** სხეულის, ტანის ნაწილებს აერთიანებს, კრავს.

არტანუჯი – ისტორიული ქალაქი ჭოროხის ხეობაში.

არტანუჯში აღმართულია მთის დიდი მასივი და ამის გამოც ეწოდა მას

არტანუჯი = **არ**(თ) + **ტან**(ი) + **უჯი** = ერთიანი სხეული (ტანი) აღიქვი.

კუჭატანი – სოფელი ყვარლის რ-ნში.

(ო. ქ.) **კუჭალუა** ჭმუჭნა.

კუჭატანი = **კუჭა** + **ტანი** = ოღროჩოღრო მიდამო.

ტანძია – სოფელი ბოლნისის რ-ნში.

ტანძია = **ტან**(ი) + **ძ**(უ) + **ია** = **ტანი** (გარემო) **ძევს მცირე** = მცირე მოცულობის დასახლება.

(ო. ქ.) **ტანჯა** -- ტანჯვა.

ტანჯა = **ტან**(ი) + **ჯა** = **სხეული** + **ხე** = გახევებული (არსება).

ღორონთი

ღორონთი = **ღ** + **ორო** + **ნთი** = **სასიცოცხლო ძალა** + **უხილავი** + **ხილული.**

ღმერთის წარმართული სახელწოდება **ღორონთი** -- კოლხური ლოგოგრამული აზროვნების შედევრთაგანი -- კოლხური სამებაა, რომელშიც თანხმოვანი **ღ** ვიტალიზმის გამოვლენაა.

ვიტალიზმი [< ლათ. **vitalis** სასიცოცხლო; მაცოცხლებელი] – იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში, რომელიც ცდილობს სიცოცხლის მოვლენები ახსნას რაღაც განსაკუთრებული, ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი, „სასიცოცხლო ძალის“ არსებობით (და არა მატერიალური მიზეზებით).

ВИТАЛИЗМ [< лат. **vitalis** жизненный] – совокупность идеалистических течений в биологии, согласно которым жизненные явления объясняются действием якобы присуствующего в организмах особого нематериального начала – «жизненной силы», «души», энтелехии и др.; элементы витализма содержатся в представлениях Платона и Аристотеля; современный витализм отрицаеть зволюционную теорию Дарвина.

ЭНТЕЛЕХИЯ (гр. **entelecheia**) – в философии Аристотеля и в схоластике – целеустремленность, целенаправленность как движущая сила, активное начало, превращающее возможность в действительность; у некоторых сторонников витализма – особое фантастическое нематериальное жизненное начало, якобы направляющее развитие организмов.

თანხმოვანი **ღ** რომ სასიცოცხლო, მაცოცხებელ ძალას გამოსახავს, ნათლად იკითხება **აღუა**-ს (ჩვილი ბავშვი-ს) და **ღურუ**-ს (სიკვდილი-ს) შინაარსებით; ანუ თანხმოვან **ღ**-ს მცნებას უკავშირდება როგორც სიცოცხლის წარმოქმნა (**აღუა** = ჩვილი ბავშვი), ასევე სიკვდილი (**ღურუ** = კვდომა).

(ქ.ე.გ.ლ.) აღუ ჩვილი ბავშვის პირველი წამოძახილის აღმნიშვნელი სიტყვა.

(ქ.ე.გ.ლ.) აღუა ჩვილი ბავშვი.

(ო. ქ.) აღურა შეკვდომა, შემოკვდომა.

(ო. ქ.) ღურუ, ღურუუ 1. სიკვდილი; კვდომა; 2. სიკვდილის ანგელოზი.

გაჩენიდან ბავშვის პირველი წამოძახილია **აღღღ**... და ვინაიდან თანხმოვანი **ღ** პირველი თანხმოვანია რომელსაც ახალშობილი გამოთქვამს, კოლხმა მამებმა თანხმოვან **ღ**-ს სიცოცხლის ძალის გამოსახვის ფუნქცია მიანიჭეს, ანუ თუ სამყაროში ისმის **ღღღ**... ეს სიცოცხლის ღვთაებრივი ხმაა, ანუ სიცოცხლე ხარობს როცა **აღუა იღიმის, კაცი ღიღინებს, მტრედი ღუღუნებს, ბატი ღერღეტობს, ძაღლი იღრინება, ღორი ღრუტუნებს, წისქვილში ღერღილი იღერღება, ცეცხლი ღვივის, ღომი დუღს, აღელვებულ ღელეში ღორჯო ღოღავს...**

აღუა = (ა)**ღ** + **უა** = **სასიცოცხლო ძალა** + **მოქმედება** = ჩვილი ბავშვი.

ხოლო თუ **ღ** შეწყდა, სასიცოცხლო ძალამ მიგატოვა, ისადგურებს სიკვდილი, ანუ **ღურუ**. მსგავსი მაგალითებია: **ჩხ-ურუ** = როცა ჩხე (სიცხე) მიდის, სიცივე ისადგურებს. **ყურუ** = როცა გონების ძალა ყ მიატოვებს, ადამიანი ხდება უგონო და შესაბამისად:

ღურუ = **ღ** + **ურუ** = **სასიცოცხლო ძალა** + **წასვლა** (უჩინარდება) = კვდომა.

ძალზედ სახოვანია **ღურუ**-ს შინაარსი – **სიკვდილის ანგელოზი**; ანუ როცა მაცოცხლებელი ძალა მიგატოვებს, მას სიკვდილის ანგელოზი ენაცვლება.

აღსანიშნავია, რომ ჩინურ მეტყველებაში სიცოცხლის ძალას თანხმოვანი **ც** გამოსახავს.

ღურუ შემადგენელია სიტყვისა **ფუღურო. ფუ** ტიბეტურ ენაშიც სიცარიელეს ნიშნავს.

(ქ.ე.გ.ლ.) ფუღურო 1. სიცარიელე, სიღრუე (ხის ტანში). 2. ასეთი სიღრუის მქონე ხე.

ფუღურო = **ფუ** + **ღურ**(უ) = სიცარიელე მკვდარი, ანუ **ფუღურო** წარმოადგენს ხის სხეულის მკვდარი ნაწილისაგან წარმოქმნილ სიცარიელეს; თავად წარმართულ კოლხურში **ფუღუროს** ეწოდება **ღურჯა**.

ღურჯა = **ღურ**(უ) + **ჯა** = კვდომარე ხე (ხის მკვდარი ნაწილი), ფუღურო ხე.

მეგრულს გააჩნია **ფუღურო**-ს შემოკლებული ფორმა **ფუღუ** და ნიშნავს თხუნელას, ანუ მიწის სიცარიელეებში (მიწის ხვრელებში) მაცხოვრებელს. **ფუ**-სთან კავშირში საინტერესოა **ფუტურ**-ო, **ტურ** სიცარიელე, ანუ არც სრული სიცარიელეა და არც მკვრივი სხეულია.

ღურუ-დან ქართულში შეიქმნა **ღრუ**, ისევე როგორც **ყურუ**-დან წარმოდგა **ყრუ**.

(ქ.ე.გ.ლ.) ღრუ 1. სიცარიელე ამა თუ იმ საგნის შიგნით, ღრმა ფოსო; ფუღურო... 2. სივრცე ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში. შინაგან ორგანოთა სათავსი.

ღრუ-ს შემდგომი განვითარებაა **ღრუდო**.

(ქ.ე.გ.ლ.) ღრუდო 1. (ძვ.) უწყლო ადგილებში წყლის საპოვნელად გათხრილი ღრმა თხრილი, ორმო. 2. მდინარის ნაპირებზე კლდის ხვრელებიდან გამომდინარე წყაროები; ზამთრობით შიგ თევზი იბუდებს.

ღურა ასევე შემადგენელია სიტყვისა **ღუმა**, რომელშიც **–უმა** მოქმედებას გამოსახავს (ბუმა = სხმა, ღვრა, [გადა]ქცევა; დგუმა = დგმა; კუმა = კვამლი, კომლი; შუმა = სმა).

(ო. ქ.) ღუმა წუხელ.

ღუმა = ღ(ურა) + **უმა = სიკვდილი + მოქმედება** = წუხელ, ანუ ის რაც უკვე წარსულია, აღარ არის (მკვდარია).

გაიხსენეთ წარმართული კოლხური ხედვა: „**ლური ჭიჭე ღურუ რენია**“ – „ძილი პატარა სიკვდილიაო“ და ადამიანები ძირითადად ღამე ვიძინებთ.

ცხადია წარმართ. **ღუმა** > (უ > ა, ა > ე) > ქართ. **ღამე**.

აღუ-ს განცდით ქართულში ფორმა **აღ** დამკვიდრდა სიტყვის მნიშვნელობის გამაძლიერებელ თავსართად: **აღ-დგომა, აღ-მართი, აღ-შენება, აღ-ტაცება, აღ-გზნებული..**

სასიცოცხლო ძალა **ღ** აჩენს ყოველივე სულდგმულს და თითოეული მათგანი სიკვდილამდე ამ სასიცოცხლო ძალის მატარებელია; ეს ცოდნა უძევს საფუძვლად წაღების (ტარების) მცნების გამომსახველ **ღალა**-ს.

(ო. ქ.) ღალა[3] წაღება. მაღალარი [წა]მღები; მააღალარი მოსატანი; ოღალარი [წა]საღები; ღალირი [წა]ღებული; ნაღელი [წა]ნაღები.

ღალა-დან თავსართი **მა-** და ბოლოსართი **–რი** აწარმოებენ სიტყვას **მა-ღალა-რი**. გადაქართულების წესით:

მეგრ. **მაღალარი** > ქართ. **მაღალი.** მსგავსია მეგრ. **მახვილარი** > ქართ. **მახვილი**.

ამრიგად მაღალია მოზარდი სხეული, რომლის ენერგია სიმაღლისაკენ სწრაფვაშია მიმართული, განსხვავებით ღალი-ს (ღელეს) წყალი დაბლით ლაღად (ღალი > ლაღი) მიემართება; მაღალია კედელი რომლის აგურებსაც კალატოზი ზედა მიმართულებით აწყობს (მიაქვს)...

მეგრული მაღალარი-დან ქართულში შეიქმნა **მაღალი** > **მაღლარი** > **სიმაღლე**...

(ო. ქ.) მამაღალა – სიმაღლის; ისე მაღალი, როგორც... არძა ართიანიში მამაღალა რენანია – ყველა ერთმანეთის სიმაღლისა არიანო.

(ო. ქ.) ჭირღა მაღალი. მუამუშიჯგურა ჭირღა ბაღანა რე – მამასავით მაღალი ბავშვია.

ჭირღა = ჭი(ჭე) + **რ** + **ღა**(ლა) = **მცირე + მოძრავი + წაღება** (წამღები).

ე. ი. ჭირღა ითქმება მცირეწლოვან მაღალ ბავშვზე და სიტყვაში სიმაღლის მცნებას გამოსახავს **ღა**(ლა).

(ო. ქ.) ჯირღა ბრგე, ახოვანი, მაღალი.

(ო. ქ.) ჩიღალი მაღალი, კისერგრძელი და ამაყი.

ჩიღალი = ჩი + ღალ(ა) = **ცა** (ცისკენ) + **წაღება**.

(ო. ქ.) ბაღალი მაღალ და ბოხ ხმაზე ლაპარაკი.

(ქ.ეგ.ლ.) აღალი ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანებისა თუ სხვა სახის ტრანსპორტის ქარავანი. ფრონტისაკენ მიდიოდა დივიზია თავისი აღალით. – კოლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტში გაგზავნა 25 წითელი აღალი მარცვლეული.

ე. ი. ფრონტისაკენ მიმავალი დივიზიის ტრანსპორტის ქარავანი ესაა ამ დივიზიის საბრძოლო მასალის, დამხმარე მეურნეობის **მაღალარი** > **მაღალი** > **აღალი.**

ნაღელი-ს ცოდნით ქართულში გვაქვს **ნაღები**.

(ქ.ე.გ.ლ.) ნაღები ადუღებული რძის ზედაპირზე სქლად მოგდებული ცხიმი. ნაღების მოხდა.

ე. ი. **ნაღები** ესაა ადუღების შედეგად რძიდან წამოღებული, რძიდან მიღებული ცხიმი.

თანხმოვანი **ღ** კოლხურ მეტყველებაში ძირითადად სიმდიდრეს, სიუხვეს გამოსახავს.

ღალა (**ვაჟა** II 83) გლეხის სიმღერა:

„ეყოფათ რაც იუფროსეს
მუქთად აკრიფეს **ღალები**“.

(ქ.ე.გ.ლ.) ღალა [არაბ. ღალლათ] 1. (ისტ.) „ყანის ბეგარა" (საბა); გადასახადი მიწით სარგებლობისათვის (უპირატესად იხდიდნენ ჭირნახულის ან ფულის სახით). 2. გამოსავალი, ბარაქა (მიწისა, ჭირნახულისა და მისთ.), მიწის ღალა. 3. ნაწველი; წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა. რძის ღალა – ძროხას ღალა სულ არ ჰქონდა. 4. თაფლისთვის საჭირო ნექტარი, რასაც ფუტკარი იღებს ყვავილებიდან.

(ქ.ე.გ.ლ.) ღალიან-ი ღალის (მნიშვ. 2.3.4.) მქონე. – გამოსავლიანი; ბარაქიანი; ნოყიერი. ღალიანი მიწა. – ღალიანი ბალახი. – ღალიანი რძე.

ღალა, როგორც მიწის გადასახადი მცნება, შესაძლოა არაბებმა დააწესეს, მაგრამ **ღალა** როგორც სიუხვის, სიმდიდრის, ძლიერების მცნება კოლხური სიტყვაა.

(ო. ქ.) ღალა[1] 1. ქონება, სიმდიდრე; მფლობელობა; სამეფო; 2. ღონე, შეძლება.

(ო. ქ.) ღალიერი ქონების მქონე, -- მდიდარი.

ღალა-ს კოლხურ წარმომავლობას გვიმტკიცებს მარტვილის რაიონის სოფლის სახელწოდება **ონოღია**. მეგრულში **ნო** წარსული დროის მაწარმოებელი პრეფიქსია, ქართულში შეესატყვისება **ნა** -- **ნო**-ქალაქევი || ნა-ქალაქევი და **ნო-ღალერი || ნა-ღალური. ონოღია**-ს ფუძეა **ნოღა**.

(ო. ქ.) ნოღა 1. ქალაქი; 2. ღელე; 3. ტოპონ. ადგილი, სადაც მდინარე მიედინება (ყოფილი კალაპოტი)... შდრ. ლაზ. ნოღა ქალაქი; ბაზარი; ნაპირი (ნ. მარი). გურ. ნოღა ხევი, ღელე, ჭაობი (პ. ჯაჯან.); იმერ. ნოღა დაბალი, სილიანი და სუქანი ადგილი, კარგი მოსავალი იცის (ვ. ბერ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ნოღა მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი. მტკვრის ნოღა.

(ო. ქ.) ნოღელა ტოპონ. პატარა მდინარე მარტვილისა და აბაშის რაონებში.

მდინარის გაყოლებაზე არსებულ მიწის ნაკვეთების სიმდიდრეს განსაზღვრავს ადიდებული მდინარის მიერ ნაპირზე გამონატანი, გამონაღები, ნოღალერი (> **ნოღა**) მინერალებით მდიდარი ლამი.

(ი. ყ.) ნოღა, ნოღო ветвь, рукав реки; -- ნოღელა речка в Сенакском уезде... ნოღა, ნოღო-ხაში, ო-ნოღია села в бассейне р. ნოღელა.

სოფელი **ო-ნოღია აგათია სქოლაქტიკოსის** მიერ მე-6 საუკუნეშია დაფიქსირებული.

(**სარგის კაკაბაძე** 7): „მე-6 საუკუნეში აგათია უკვე იხსენიებს მერმეროის მიერ მე-6 საუკ. გაშენებულ ციხე **Onogouric** არქეოპოლისის მახლობლად. ეს სახელი „ონოგურის" მეგრული წარმოებისაა თავსართი ო-თი, ხოლო ნოღა ნიშნავს მდინარის შტოს".

ე. ი. **ღალა** > **ნოღალერი** > **ნოღა** > **ო-ნოღია** სამეგრელოში, კავკასიაში არაბების გამოჩენამდე ერთი საუკუნით ადრეა დაფიქსირებული. ტერმინი **ნოღა** < **ნოღალერი** > **ნაღალური** გავრცელებულია როგორც კოლხეთის დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით.

ნაღალური (**ვაჟა** V 131): ნახევარ-წიწილა

„უხარის: ფეტვი მოვიდა
ლამაზი მეტის-მეტია,
მნახველს წიწილის ფეტვისას
ესხმის თავ-ბრუ და რეტია,
„ჩაიქცა ეგ ოჯახ-ქორი!“

მნახველნი ამას ამბობენ;
ნაღალურს ერთის მარცვლისას
ას კოდზე მეტსა საზრობენ“.

(ნოღალერი >) ნოღა-ს შემთხვევაში ნიშნავს, რომ მდინარეს ადიდების შემდგომ, ნაპირებზე გამოაქვს მსუყე ლამი, ხოლო **(ნოღალერი >) ნაღალური**-ს შემთხვევაში ნახევარ-წიწილას ერთ ფეტვზე ასი კოდი ნამატი, მონაგები იანგარიშება.

ცხადია კოლხური **ნოღა** ფუძეა გვარებისა **ნოღაიდელი, ნოღაშვილი.**

მცნება **ღალა** რომ მოსავლიანობასთან კავშირდებოდა, ამის ნათელი მტკიცებაა მისი სახეცვლილი ფორმა, იგივე შინაარსის მატარებელი **ლაღა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ლაღა ჯოხი, რომლითაც საწყაოს პირს გადაუსწორებენ ხოლმე მარცვლეულის აწყვისას (იციან იმერეთში, ლეჩხუმსა და გურიაში) (ე. ი. იციან სამეგრელოში ჯ.კ.),

(ო. ქ.) ლაღა ლაღა, -- ჯოხი, რომლითაც სიმინდს ან სხვა ხორბლეულის საწყაოს თავზე უსვამენ. **ლაღაში გინოსუმალა** ლაღის გადასმა. გადატ. იმედის დაკარგვა, ყველაფრის ხელის ერთი მოსმით გასწორება.

თანხმოვანი **ღ** [(ი. ყ.) 2. ღ: ღალა взять, брать, носить] გარდა იმისა, რომ იგივე მნიშვნელობებით დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაშიც: ა-**ღ**-ება, მი-**ღ**-ება, წა-**ღ**-ება... თავსართებისა და ბოლოსართების მეშვეობით დამატებითი ფუნქციებიც შეიძინა: 1. გა-**ღ**-ება > გაა-**ღ**-ო > ა-**ღ**-ებს > გასა-**ღ**-ები... 2. ა-**ღ**-ებს > ა-**ღ**-ებინებს > **ღ**-ებინება... 3. შე-**ღ**-ება > **ღ**-ებვა > სა-**ღ**-ებავი > მ-**ღ**-ებავი...

ღ ეს არსებობისათვის აუცილებელი **ღონე**-ა.

ღონე = ღო + ნე = ღ-ს (დაბლა, მიწიერი) **სიტკბოება** (შესაძლებლობა, ძალა).

აქვეა მცნება [და]**ღლა**.

წარმართ. **ღალა** > დაი-**ღალა** (ი > 0, ა > 0) > ქართ. **დაღლა**. ანუ ადამიანი, საქონელი დიდხანს რაიმე ტვირთს ატარებს შესაბამისად **იღლება**.

სახელწოდება ნო-**ღელა**-დან ქართულში მივიღეთ: **ღელე** > **ღელვა** (ღელეს მოქმედება).

ღალა-ს შინაარსიდან მომდინარეობს **უღელი**, ანუ რითაც უნდა ატაროს (წაიღოს) ცხოველმა ურემი, ეტლი... გადატანით, ადამიანმა პასუხისმგებლობა...

უძველეს ცივილიზაციათა ტრადიციების შესაბამისად კოლხებმა ღორის მცნებას პატივი მიაგეს და **ღეჯი** უწოდეს.

(ი. ყ.) ღეჯი свинья; -- კერი кабан большой... ცორი свинья-самка.

(**Гамкрелидзе-Иванов** II 516): „В хеттской традиции „дикий кабан“, хеттское название которого скрывается за шумерограммой šAH „свинья“, „кабан“ и šAH. GIš.GI „дикий кабан“ (буквально: „свинья тростников“) упоминается в ряду священных животных для зверинца вслед за „львом“ и перед медведем...

Такая же значимость приписывается этому животному и в микенской греческой традиции. К ней относятся древнейшие свидетельства о шлемах воинов с „белыми клыками“ как символе воинственности. Точно такой шлем с „белыми клыками среброзубого кабана“ описывается и у Гомера...

Особо распространены такие шлемы с клыками кабана, шиты и боевые знаки с изображением „вепря“ как символа воинственности у древних германцев, для которых культовая значимость „кабана“ приравнивается к значимости „волка“ и „медведя“...

Для ранней кельтской традиции характерны изображения „вепря“ как культового символа – скульптурные (в частности, известные три бронзовых кабана из Неви-ансюйи), на шитах и боевых стягах, на галльских монетах и т.п. в древнеирландском лексема со значением „вепрь“... означала „князя“, как и в германском... В валлийской традиции... сохранился рассказ о царе... превращенном богом в кабана... ср. выше о превращении „бога старца в кабана у Гомера“.

ისევე როგორც ევროპის სხვადასხვა სამთავროთა დროშებზე, ოდიშის სამთავროს დროშაზე ტახია გამოსახული.

მეგრული **ღეჯი**-ს ცოდნით ქართულში გვაქვს **ღოჯი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ღოჯი 1. იგივეა, რაც ეშვი. ღორის ღოჯები.

უმთავრესი მაინც ისაა, რომ თანხმოვან **ღ**-ს სიცოცხლის ზეობის გამოსახვის უნარის გამო უწოდა კოლხმა კაცმა მისთვის სასურველ სითხეს **ღ-ვ-ინო**. სახელწოდება ღვინო თავისებური სამებაა, ანუ სამი მცნების კომპოზიტს წარმოადგენს (**ღ** + **ვ** + **ინო**). ღვინის მცნების გამოსახვაში თანხმოვან **ნ**-ს წამყვანი (ფუძე) მნიშვნელობა აკისრია, ვინაიდან ვაზი წინააზიელ დიდ დედათა მახასიათებელია და ამიტომაც გაგვაჩნია კოლხური **ნუნუა** = **ნუნ**(ის) + **უა** = ნუნის (დიდი დედის) შექმნილი. ეგვიპტელები ყურძენს **ინუ**-ს უწოდებდნენ.

(**Б. А. Тураев** I 345): „Другой писец сообщает своему коллеге в письме следующее... Сладкие напитки в Охнату: там вина из плодов „Ину“, мед, пиво из Коди в гавани, вина в погребах“.

ეგვიპტური **ინუ** აისახა ფინიკიურსა და შემდგომ ბერძნულ მეტყველებაშიც.

(**Б. А. Тураев** II 10): „Интересны заимствованные греками слова из финикийского языка... nectar (от Katar -- курить благовониями), вино **oin** - вошедшее во все языки“.

თავდაპირველად განვიხილოთ ფინიკიური **nectar**-ის შინაარსი. **nectar** = **ne** + **Katar** = სიტკბოება (მიღებული) კეთილსურნელოვანთა მოწევით. **ნე** ფინიკიურში სიტკბოებას გამოსახავდა. ბერძნულში ნექტარ-მა შემდეგი შინაარსი მიიღო:

ნექტარი 1. ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების სასმელი, რომელიც უკვდავებას, მარადიულ სიახალგაზრდავესა და სილამაზეს ანიჭებს მათ. 2. (პოეტ. გადატ.) სიამოვნების მომგვრელი, მეტისმეტად კარგი რამ. 3. (ბოტან.) შაქროვანი წვენი, რომელსაც გამოყოფს ზოგი მცენარე.

ნე-ს როგორც სიტკბოების აღმნიშვნელს ეგვიპტური ფუძე გააჩნია.

(ლადო ალფენიძე 51): „ნეტერ ეგვიპტურად ნიშნავს ღმერთს. ოქსფორდისა და კემბრიჯის ლექსიკონებში ამ ეგვიპტურ სიტყვას ინგლისურად შეესაბამება „გოდ“, ქართულად კი – „ღმერთი“...

ეგვიპტურ „ნეტერ“-ს ქართულში შეესატყვისება სიტყვა „ნეტარი“.

კოლხურ მეტყველებაში თანხმოვანი ნ-ს ლოგოგრამა დედის მცნებაა და უძველეს ენათა მსგავსად, **ნე** ასევე კოლხურშიც სიტკბოებას გამოსახავს. ჯერ განვიხილოთ მაგალითები როცა **ნე** დედის (**ნენა**-ს), მიწის მცნებას წარმოგვიჩენს.

(ო. ქ.) ნერჩი 1. ფუძე, ძირი; ის ადგილი, რომელზედაც სახლი დგას და ნიშნავს ფუძეს. 2. ფაცხის, ჯარგვლის (ძელურის) მიწის იატაკი, კარგად მოტკეპნილი. 3. დედამიწისა და ადგილის დედის სახელი. ი. ქობალიას ცნობით **ნერჩი** უნდა ნიშნავდეს მიწის ღმერთს. სამეგრელოში არსებობდა **ნერჩიში ხვამა** (ნერჩის ლოცვა), რომელიც სრულდებოდა დიდმარხვის დაწყებამდე 25 დღით ადრე, ოთხშაბათს და ამიტომ ამ ლოცვას ეწოდებოდა ოჯუმაშხური (ჯუმაშხა – ოთხსაბათი). თუ სახლი იდგა მაღლა,

ჰქონდა ხის იატაკი, მაშინ ეს ლოცვა იქ არ შეიძლებოდა შესრულებულიყო (შდრ. ი. ყიფშ., ლექსიკ., გვ. 288). ო. ჭურღულია **ნერჩ**-ს შლის: **ნე-რჩ-ი**. ძირია **რჩ**, რომლისგან ნაწარმოებია ბევრი სიტყვა: ნო-**რჩ**-ალ საბან-გობანი, დო-**რჩ**-აფა დაგება, და-**რჩ**-ელი ტოპონ. სოფელია და ნიშნავს დაფენილი; ტყვა-**რჩ**-ელი ტყე დაფენილი. ტერფს, ფეხის გულს მეგრულად ჰქვია **ნარჩა კუჩხი**, **ნერჩი ფეხისა** (ო. ჭურღულია, კრიტიკული წერილები, II, გვ. 292-293) (ნარჩა კუჩხი ეწოდება არა ტერფს, ფეხის გულს, არამედ როცა დგახარ შიშველი ფეხებით მიწაზე, მხოლოდ მაშინ ეწოდება **ნარჩა კუჩხ**ა ტერფის, ფეხის გულის ქვეშა მიწის ფართს ჯ.კ.)... თექი ციი გინიმოლუ, **ნერჩი ქუათი** მოფინილი: იქ ცივი (მდინარეა სენაკში) გადმოქუხს (ვარდება), ფუძე-ფსკერი ქვით (აქვს) მოფენილი... ◻ ნერჩიში მარდი ფუძის მადლი. ◊ **ნერჩიში** გიმოთირუა ფუძის გამოცვლა. როდესაც ოჯახს შვილი არ შერჩებოდა, ფუძეს (სამოსახლო ადგილს) გამოცვლიდნენ, სხვაგან გადასახლდებოდნენ. ამას ეძახდნენ **ნერჩიში** გიმოთირუა-ს. ◻ **ნერჩიში** ხვამა იგივეა, რაც ფუძეში ხვამა. **ნერჩს ქალი ლოცულობდა**, მამაკაცის ლოცვა არ შეიძლებოდა. შდრ. საბა: **ნერჩი** ქვედა კერძო ZA. ქვეშე კერძი BCD. ფსკერს ქვეშეთი E; ქვ. იმერ. **ნერჩი** ფსკერი, ძირი ჭურჭლისა (.შ. ნიჟარაძე); გურ. იმერ. **ნერჩი** ახლად დაბადებული ბავშვის დასალოცავად ლხინის გამართვა დედამანიისა და მის დამხმარეთა თანდასწრებით (ი. ჭყ.) (უკვე ამ გურულ-იმერული, იგივე მეგრული წესიდან წარმომდგარია ქართული **ნორჩი** ჯ.კ.).

(ო. ქ.) რჩელი გაშლილი, დაგებული (ლოგინი).

რჩელი = რ + ჩე + ლი = მოძრაობა + თეთრი + სივრცე (ფართი) = გაშლილი სივრცე (ლოგინი).

ნერჩი = ნე + რჩ(ელ)**ი = დედა, მიწა, ტკბილი + გაშლილი სივრცე** (ლოკალურ ფართში) = (სახლის ქვეშ) **მიწიერი სივრცე** = **ფუძე, ფსკერი, ძირი**. ანუ აუცილებელია მიწასთან, იგივე დედასთან პირდაპირი ურთიერთობა. ამ ცოდნის შემდგომ ბევრად გავიადვილდება ფორმა **ნერი**-ს შინაარსის შეცნობა.

(ო. ქ.) –ნერი რთული ფუძის მეორე შემადგენელი: 1. ნაირი... მუ-ნერი რა-ნაირი; თე-ნერი ამ-ნაირი.

(ო. ქ.) ნერი ნირი, ზნე, ხასიათი; იერი.

უნდა შექმნილიყო პიროვნების მსგავსების, ნირის, ზნის, ხასიათის... განმსაზღვრელი ფორმა და ამისათვის კოლხმა მამებმა შექმნეს **ნერი = ნე + რი = დედა + არის** = დედის მსგავსი, დედის გაზრდილი და ბავშვს ყველა ეს მახასიათებლები (მსგავსება, ნირი, ზნე, ხასიათი, იერი) დედისაგანაც მოყვება.

კოლხურში **ნე**(ნა) მაინც ძირითადად დედის ასევე ძირითად თვისებას – სიტკბოებას გამოსახავს. თავად **ნენა** შემდეგნაირად იკითხება:

ნენა = ნე + ნა(ნა) = ტკბილი + დედა.

გაიხსენეთ, რომ დიდ დედათა მახასიათებელი ვაზია.

(ო. ქ.) ნე ახლადდაწურული ყურძნის წვენი (ადუღებამდე), -- მაჭარი, ტკბილი

ნერგი = ნე + რგ(ილ)**ი = ტკბილი** (სასურველი) + **დარგული**.

ნება = ნე + ბა = სიტკბოება მცირე (სულის) – საკუთარი ნების შესრულება მსგავს გრძნობას ბადებს.

(ო. ქ.) ნერა, ნერათ მდორე; მდოვრე, მდორედ; ნელად, წყნარად. წყარც, ნერათ გეხუნელცგ, თუთა გიობარცხალანცგ – წყალს მდორედ დამდგარს, მთვარე დალაპლაპებს. (დაბრწყინავს)... ნერას ნელა, მდორედ... ნერე ნელი წყნარი.

ნერა გულისხმობს ნებიერ, უშფოთველ, წყნარ მოძრაობებს და მეგრ. **ნერა**-დან გადაქართულების წესით ქართულში მივიღეთ **ნელა** (რ > ლ).

ნელა = ნე + ლა = სასურველი (მდორე, წყნარი) + მოძრაობა.

ნესვი = **ნე** + **სვი** = ტკბილი სვი (მიირთვი).

ფურნე = **ფურ**(აფა) + **ნე** = გაცხელების სიტკბოება (სიკეთე).

თონე = **თო** + **ნე** = გაცხადების სიტკბოება (სიკეთე).

თონე-ში **თონ** რასაკვირველია ეგვიპტური **ა-თონ-ი**-ს ცოდნიდან მომდინარეობს, მხოლოდ ეგვიპტურ ხმოვან **ი**-ს ხმოვან **ე**-თი შეცვლა **თონე**-ს უკვე კოლხურ შინაარსს ანიჭებს.

ნერწყვი = **ნე** + **რწყვ**(ა) = **რწყვის** + **სიტკბოება** (პირის ღრუში სითხის გამოყოფით, „რწყვით" მიღებული სიამოვნება).

ნეხვი = **ნე** + **ხვი**(ლირი) = სიტკბოებას შეიცავს.

უნდა გახსოვდეთ -- ნეხვის გარეშე სასურველი რაოდენობისა და გემოს ბოსტნეულს, ხილს... ვერ მიიღებ, ამიტომაცაა რომ ნეხვს (ნაკელს) ხალხში ეწოდება „პატივი", ანუ როცა დახნულ მიწაზე ნეხვს (ნაკელს) გაშლი, ამით მიწას პატივს მიაგებ.

დავუბრუნდეთ ეგვიპტური ყურძნის სახელწოდება **ინუ**-ს, რომელიც ფინიკიურში იქცა ღვინის სახელწოდებად ფორმით **ოინ**, ხოლო ბერძნულში ფორმით **ინო**.

კოლხურ მეტყველებაში **ინო-**, **დინო-** რთული ზმნისწინებია და აღნიშნავენ მიმართულებას ქვეშ, ქვევით და სიღრმეში (ღვინის შემთხვევაში მუცელში) და ასევე დამოუკიდებელ სიტყვებსაც წარმოადგენენ.

(ი. ყ.) დინო нутро, район расселения однофамильцев или вообше близких соседей и знакомых.

დუშეთის რაიონში არებობს სოფელი **ინო** (район расселения однофамильцев или вообше близких соседей и знакомых).

კოლხურ მეტყველებას გააჩნია ასევე ზმნიზედები: **ინი,-ინე**, **-ინეშე.**

(ო. ქ.) ინე *ზმნზ.* შიგ სიღრმეში.

(ო. ქ.) ინი, -ინე, -ინეშე *ზმნზ.* ქვევით, ძირს.

ასევე ჰაიკთა მეტყველების ბოლოსართი **-ინ** სრულად **შ**ეესატყვისება ქართულ თანდებულს --**ში.**

(**ქ.ე.გ.ლ.**) **-ში** თანდებული დაერთვის მიცემით ბრუნვას და წინამავალ სახელთან ერთად უპასუხებს კითხვაზე **რაში?** (ვისში?); აღნიშნავს 1)რომ ვინმე, რამე რისამე შიგნით იმყოფება...

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმა **ინა** ინგლისურში აღნიშნავს იგივე მცნება შინაგანს.

inner [’ina] – შინაგანი.

inner life – შინაგანი სამყარო, სულიერი ცხოვრება.

საინტერესოა, რომ, ლათინური ენის გავლენით (ლათ. **in** უარყოფითი ნაწილაკია), რუსულში ფორმა **ინო**-მ შინაგანის (нутро-ს) ნაცვლად გარეგანის, უცხოს მნიშნელობა მიიღო – Иной, иноверец, иностранец...

ინგლისურსა და რუსულ ენებში **ინ, ინო** ფორმანტები ბერძნულიდან მომდინარეობენ.

ἰνά[ინა] – 1) там; 2) где; 3) куда; 4) когда.

ამრიგად, კოლხური **ინო** აღნიშნავს შინაგანს და ღვ-**ინო**-ს არსს, ხარისხს მხოლოდ მას შემდეგ შეიცნობ, როცა ის სხეულის შიგნით მოხვდება.

ბერძნულ **ინო**-ს წინ ელვის, ნათების გამომსახველ თანხმოვან **ვ**-ს დასმით მიღებულ იქნა **ვინო**. ეს წინააზიურ-ბერძნული სახელწოდება **ვინო** განივრცო კიდეც ევროპასა და შემდგომ მსოფლიოში. კოლხმა მამებმა ღვინის საერთაშორისო სახელწოდებას **ვინო**-ს წინ სიცოცხლის, სიცოცხლის ზეძალის, ღვთაებრიობის

აღმნიშვნელი თანხმოვანი **ღ** დაუსვეს და ამით გაცხადდა ამ სასმელის მისტიკური დანიშნულების კოლხური აღქმა:

ღვინო = **ღ** + **ვ** + **ინო** = ღვთაებრივი (სასიცოცხლო) ელვარება შინაგანი.

ღვინო სასმელის ქართული სახელწოდებაა, თავად წარმართულ კოლხურში კი ღვინოს ეწოდება **ღვინი.**

ღვინი = **ღ** + **ვ** + **ინი** = ღვთაებრივი ელვარება ქვევით (მიწაზე).

ქრისტეანეთათვის ღვინო სისხლია ქრისტესი. სუფისტური მოძღვრებით, რომელიც მე-8 საუკუნეში წარმოიშვა, მხოლოდ მისტიკური სიყვარულის, ექსტაზის გზით არის შესაძლებელი ღმერთთან საბოლოო შერწყმა. მხატვრულ ლიტერატურაში სუფისტებმა სატრფოს სახება ღმერთის სიმბოლოდ აქციეს, ხოლო ღ+ვინო ექსტაზად, ანუ ღმერთთან შერწყმის საშუალებად აღიარეს. კოლხური სახელწოდებები **ღვინი, ღვინო** ბევრად ადრე გაჩნდა ვიდრე თავად მუსლიმთა სუფისტური მოძღვრება.

შევუდგეთ **ღ+ორო+ნთი**-ს მეორე შემადგენლის **ორო**-ს შინაარსისა და კოლხურ მეტყველებაში მისი მნიშვნელობის განხილვას. ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ კოლხური ორო ეგვიპტური მზის ღვთაების **ჰოროსი, ოროსი**-ს არსის ცოდნას წარმოადგენს და გულისხმობს მზის ჩასვლის შემდგომ წარმოქმნილ სიბნელეს, უხილავ გარემოს. ასევე გავეცანით **ორო**-თი შედგენილი სიტყვების: **ორმო, ორომი, ორომტრიალი, ჩერო, ორჭოფი, ორწოხი, ორშიმო, ორთქლი, ნიორი**-ს შინაარსებს; იგივე **ორო**-თი შედგენილი კომპოზიტებია:

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭოროფა** გაბმული ავდარი. – წვიმიანობა.

ჭოროფა მეგრული სიტყვაა და მისი ზუსტი მნიშვნელობა – ნესტი, დაფიქსირებული აქვს იოსებ ყიფშიძეს, ნესტი რასაკვირველია ძირითადად გაბმული ავდრის, წვიმიანობის მახასიათებელია.

(ი. ყ.) **ჭოროფა** сырость; -- ჭოროფა ბზარხული **сырое, дождливое лето.**

ჭოროფა = **ჭ** + **ორო** + **ფა** = **წყალი** + **უხილავი** + **მოქმედება** = წყლის უხილავი მოქმედების შედეგი = ნესტი.

ჭოროფა-ს შემდგომი განვითარებებია **ჭორფლი და ჭორი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭოროხ-ი** მდინარისაგან შეყრილი მიწა (საბა).

ჭოროხი = **ჭ** + **ორო** + **ხი** = **წყალი** + **უხილავი** + **მიწა** = წყლის უხილავი (ძალის მონატანი) მიწა.

მსგავსია წარმართული კოლხური **ჭერეხი.**

(ო. ქ.) **ჭერეხი** ქვიანი ადგილი.

ჭერეხი = **ჭე** + **რე** + **ხი** = **მცირე** + **არის** + **მიწა.**

ჭოროხი-ს ანალოგიურ აზროვნებას ფლობს ქოროხი.

(ო. ქ.) **ქოროხი** – ადგილზე იტყვიან: 1. მიყრილ-მოყრილი (საგნები). 2. გადატ მაგარი..

ქოროხი = **ქ** + **ორო** + **ხი** = **ქვა** + **უხილავი** (ჩრდილი) + **მიწა** = ქვებით (საგნებით) დაჩრდილული (უხილავი) მიწა, ანუ ატარებს დაახლოებით იგივე შინაარსს რასაც ხორგი. აქ უკვე მკითხველი უნდა მიხვდეს, რომ **ქოროხი**-დან წარმოდგა **ქოხი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ქოხი** წნელის, ალიზისა და მისთ. უბრალო ნაგებობა ჩალით ან ისლით დახურული (ჩეულებრივ საცხოვრებლად).

დღეს წნელის კედლებიან ნაგებობასაც ეწოდება **ქოხი**, სახელწოდება კი გვეუბნება, რომ დასაწყისში მხოლოდ ალიზის (გამოუწვავი აგურის, იგივე მიწის) კედლებიან სახლს ეწოდებოდა **ქოხი.**

სპარსულად **ქოხი** სასახლეს ნიშნავს; ეს ალბათ დამთხვევის მაგალითია, ან საერთო ძირიდან მოდიან.

(ო. ქ.) **ქოროჭი** საშემოდგომო ბალახია, ხარობს მთაში, წვრილ-წვრილად იზრდება და ქალის თმასავით დაეფინება მიწას.

ქოროჭი = ქ + ორო + ჭი = მიწა(ზე) **+ უხილავი + პატარა.**

(ო. ქ.) **ჩორომა** დიდი მოცულობის სასმისი.

ჩორომა-ში **ორო** სასმისის სიღრმეზე მიგვანიშნებს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭორომ-ი** მდინარის ფსკერზე ამაღლებული ქვის მასივი, რომელიც ქმნის სწრაფ დინებას.

თავად ქვის მასივი ზედაპირზე არ ჩანს და მხოლოდ წყლის ძლიერი ჭავლით იკითხება. ასევე გავიხსენოთ გური > გურამი = გული > გულიანი და:

ჭორომი = ჭ + ორო + მი = წყალი + უხილავი + (იანი) = წყალში უხილავი (ქვ)იანი.

ჭოველიძე = **ჭო** + **ველი = წყალი + ველი** = წყლიანი (ნესტიანი) სივრცე.

ჭოხონელიძე = **ჭო** + **ხონ**(ი) + **ნე = წყალი + მხარე, სოფელი + სასურველი** = სასურველი წყლიანი მხარე.

ჭოღოშვილი < **ჭოღა** (სოფლები და მდინარე ჩხოროწყუს რ-ნში) = **ჭო** + **ღა**(ლა) = წყალი + წაღება (მდინარის შემთხვევაში --წყალი მიაქვს).

ჩვენ განვიხილეთ **ორომი, ჭორომი** და დაგვრჩა ასახსნელი **კორომი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კორომ-ი** ჯგუფად მდგარი ხეები

კორომი = კ + ორო + (მი) = ძლიერ ჩრდილიანი.

ჯგუფად მდგარი ხეების ქვეშ ძლიერი ჩრდილი, **ორო** იცის.

გამორჩეული ყურადღების ღირსია მიწათმოქმედთა სიმღერის **ოროველა**-ს შინაარსი.

(**საქ. ისტორია VIII-IX კლ. სახელმძღვანელო** 1990 წ. 33): „ურარტუელებმა ქართველთა ყოფასა და მეტყველებაში შემოიტანეს მათი მოსავლიანობის ღვთაების „არალე"-ს კულტი და სახელი. დღემდე ქართულ სამეურნეო სიმღერებში ამ ღვთაების სახელი და მისდამი მიმართვა ისმის. მაგალითად, ცნობილი ქართული სიმღერა „ოროველა", რომელსაც გუთნისდედა მღეროდა პირველი ხნულის გაყვანის დროს, იწყება მოწოდებით ღვთაება არალესადმი: „არი არალი, არალეე!". „არი" ურარტულად ნიშნავს მოგვეცი, ამ სიმღერაში გუთნისდედა ევედრება მოსავლიანობის ღვთაება არალეს, რომ მოგვეციო კარგი მოსავალიო, ღვთაებავ არალე და ა.შ.".

(**ქ.ს.ე. VII ტ.** 584): ,,ოროველა" (ორელ, ოროელ, ოროველი, ორველი), ქართული ხალხური შრომის სიმღერა. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. უკავშირდება მიწისა და მოსავლის წარმართული ღვთაების ოროველის კულტს (მაგალითად, ,,ოროველ, ორმო ჩასთხარე ქვიანი, მოგვეც ბარაქა"). მღერიან გუთნით მიწის ხვნის, კალოზე პურის ლეწვისა და განიავების დროს. ამის მიხედვით სიმღერას სხვადასხვა სახელწოდებაც აქვს: გუთნური, კალოური, კევრული (სამივე პროცესი უშუალოდ მიწას უკავშირდება ჯ.კ.) (ოროველა მათი ზოგადი სახელია). ამ სიმღერებს მსგავსი მეტრ-რიტმული ინტონაცია და პოეტური ტექსტი აქვთ. ოროველა ერთხმიანია (იშვიათად ორხმიანი). ასრულებს მამაკაცთა ჯგუფი. გვხდება სომხურ ფოლკლორშიც (ოროველ, ароველ, ორველ, რაველ, ოროლ, დოროლ); სომხური ოროველა მუსიკალური აღნაგობითა და სიტყვიერი ტექსტით ქართული ოროველა-ს მსგავსია (გ. ჩხიკვაძე)".

არალე ურარტული პანთეონის მკვიდრია, ხოლო ოროველა კოლხური სამყაროა.

ოროველა = ორო + ველ(ი) = **უხილავი + ველი** = მიწის უხილავი (ძალა).

ვიცით რა – მიწა დედაა, უნდა აღვიქვათ: როდესაც მარცვალს (თესლს) ხნულს მოაყრი, შემდგომ დაფარცხავ, ანუ მარცვალს მიწის **ორო**-ში მოაქცევ იმის იმედით, რომ მას მიწის (დედის) უხილავი ძალები სიცოცხლის ამოძრავების უნარს მიანიჭებენ და ამ

საიდუმლოს შედეგად **ორო**-დან აღმოცენებული მარცვლის ჯეჯილად ქცეული სხეული ხილულ სამყაროს მოევლინება როგორც **დურ-ან-ქი** („კავშირი ცისა და მიწისა“).

გავიხსენოთ **ყოროფა** = **ყ** + **ორო** + **ფა** = უხილავი მიწიერი ძალის მოქმედებ(ის შედეგი).

ვინაიდან მიწის უხილავი ძალის, ორო-ს მოქმედების პირდაპირი შედეგია, ამიტომაც წარმოდგა სახელწოდება:

ხორბალი = **ხ** + **ორ**(ო) + **ბა** + **ლი** = **მიწა** + **ორო** + **მცირე** + **სხეული** = მიწის უხილავი (ძალის) მცირე ფორმა (სხეული).

ბალი რომ მცირე ფორმისაა, ამას ბლის ხის ნაყოფის მოცულობა გვიმტკიცებს.

ბალი = **ბა** + **ლი** = მცირე ფორმა.

იგივე შინაარსს იმეორებს:

ბალახი = **ბა** + **ლა** + **ხი** = **მცირე** + **ფორმა** + **მიწა** = მცირე სხეული მიწაზე || მცირე მიწიერი სხეული.

ქართული ხორბალი-ს, ბალი-ს და ბალახი-ს სრული შესატყვისია მეგრული **ქობალი** (1. ხორბალი; პური. 2. გამომცხვარი პური).

ქობალი = **ქო** + **ბა** + **ლი** = **მიწა** (დაბლა, ორო) + **მცირე** + **ფორმა** (სხეული) = მცირე მიწიერი სხეული.

მიწის უხილავ ძალას მხოლოდ კოლხები არ აღიარებდნენ.

(**ივანე ჯავახისვილი** I 128): „ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერის ქართული თარგმანის ბოლოში შემონახულია შემდეგი დიდმნიშვნელოვანი ცნობა... ამ ცნობაში ის არის საყურადღებო, რომ აღნიშნულია, თუ როგორ „უჩინოთა“ ძალთა მსახურობენ „სადაც“ გინდა იგი ყოფილიყო „სახლად“ თუ „გარე ველთა“, ან „კლდის პირთა, ანუ ხეთა“, რომ სახლის უჩინართ „სახლის ანგელოზთა უწოდებენ“, ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ რწმენა აქამდისაც მტკიცედ არის დაცული ქართველ ხალხში: მართლაც „სახლის ანგელოზების“ არსებობა ეხლაც სწამთ.

ამას გარდა, როგორც ზემოაღნიშნულ ნაწყვეტში არის ნათქვამი, ხევსურეთში ეხლაც შემონახულია „უჩინოთა“ მსახურება „გარე ველთა, ანუ სადაცა კლდის პირთა“ და მათ სწამთ „გორის ანგელოზი“, „ადგილის დედა“. ფშავლების წარმოდგენითაც „თვითოეულს ადგილს – მთას, გორას, ხევს... ჰყავს დედა", რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახის ხალხი. მონადირეს რომ დაუღამდეს სადმე მთაში ან ხევში, მიეგარება ადგილის დედას: „ადგილის დედავ, შენ გებარებოდე, შემინახე შენი მადლით“-აო... ძველი ქართული ცნობა, რომ საქართველოში „უჩინოთა ჰმსახურობენ... კლდის პირთა“, მტკიცდება თუშეთში დღევანდლამდის შენახულ სალოცავითაც, რომლის შესახებ ვახუშტიც კი თავის დროს მოგვითხრობდა: თუშებს „აქუსთ კლდე დიდი და მაღალი და... მივლენ და შესწირავენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა და თაყვანისცემენ კლდესა მას“-ო...

ღვთაება „ადგილის დედა“-ს არსებობა სწამთ აფხაზებსაც (აბაზებსაც ჯ.კ.), რომელნიც „ადგილ-ანხუ“-ს (მიწის დედოფალი, ადგილის დედის ხვედრი) უწოდებენ და მიწას შესაწირავად „ადგილ-ჰვა“ ქათმებს მიუძღვნიან და მხურვალე ლოცვით ევედრებიან: „ადგილ-დედოფალ!“ დედა-შვილის მფარველ-მწყალობელი ბრძანდებოდეო...

სვანებს აქვთ ერთი დღესაწაული, „ახალ-კვირა“-დ წოდებული, რომელიც აღდგომის პირველ კვირას იციან. ამ დღესასწაულში „იკრიბებიან მარტო ჯვარდაწერილი დედაკაცები. დანიშნულ ადგილს მონაწილე დედაკაცები პურის ცომს და ყველს ამოიტანენ და ყველას „ტაბლებს“ (კვერებს) გამოაცხობენ ხოლმე. სამს მათგან დიდს გამოაცხობენ ხოლმე და „იქვე სწირავენ ღვთისმშობელს“, სამს კიდევ პატარს

გააკეთებენ და „იქვე ცოტა მოშორებით“ ცალკე დანიშნულს ადგილს, „რომელსაც სვანები „ლამზირ“-ს ეძახიან და რომელიც მიწის სალოცავს ნიშნავს“, იქ მიიტანენ. ამ ადგილს სორო არის გაკეთებული, მთლად ბრტყელი ქვებით მოფენილი. იქ ყველა ქალებს კი არ შეუძლიათ მისვლა, არამედ მხოლოდ სამს უფრო ხნიერსა და პატივცემულს. ისინი დანარჩენ ქალებს „სამ-სამ პატარა „ტაბლას“, თითო ნატეხ წმინდა სანთელს და პატარა ნაკვერჩხალს“ გამოართმევენ და „დიდი მოკრძალებით“ სამლოცველო „ლამზირისაკენ“ გაემგზავრებიან. მისვლისთანავე ისინი „დიდი მოწიწებით“ სამჯერ მუხლს მოიყრიან, შემდეგ სანთლის ნატეხებს ნაკვერჩხალზე დააყრიან. ერთი დედაკაცი შეუბერავს. თუ სანთელს მოეკიდა და ალი აუშვა, „ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ლოცვა გამარჯვებულია“. მაშინ სამივენი მუხლმოყრილნი ტაბლებით ხელში ლოცულობენ, ღვთაებას ევედრებიან და „სთხოვენ... მამათა სქესის სიმრავლეს“. ლოცვის შემდგომ „ტაბლებს“ იმ სოროში ჩაწყობენ და ზედ დიდ ლოდს გადახურავენ, ამას „ტაბლების დაკრძალვა“ ჰქვია. მერმე სამჯერ მუხლს მოიყრიან და უკან დაბრუნდებიან იქ, სადაც დანარჩენი ქალები მთ „პირქვე დამხობილი, ხმა ამოუღებლივ უცდიან“. მოვლენ თუ არა, იმ წამსვე წამოდგებიან და იმ სამს ეტყვიან „გაგმარჯვებიათ მიწის სალოცავის ლოცვაო“, ხოლო მოსულები უპასუხებენ: „თქვენც გაგმარჯვებიათო“. მერმე დაჯდებიან, თითო ტაბლას შესჭამენ და „ერთიერთმანეთის ლოცვითა და კოცნით წამოვლენ სახლში“...

ცხადია, აქ „ლიმზირ“, ანუ „მიწის სალოცავი“ ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაებაა... მდედრობითი სქესისა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება მარტო ქალებს შეუძლიათ, ამასთანავე ყველას კი არა, არამედ მხოლოდ ჯვარდაწერილ დედაკაცებს.

„მიწის სალოცავის“-ადმი აღვნელინი ვედრება „მამათა სქესის სიმრავლეს“, ანუ გამრავლებას შეიცავს. ამგვარად „ლამზირ“-ში... მდედრობითი და ქალთა სალოცავი ღვთაების თაყვანისცემის ნაშთია დაცული. ეს ღვთაება წარმართული რწმენის თანახმად დედამიწის სახით არის წარმოდგენილი, ქრისტიანული სამოსლით კი როგორც ეტყობა „ღვთისმშობლად“ არის წარმოდგენილი, ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „მიწის სალოცავის“ დღეს დამზადებულ კვერთაგან, ხაჭაპურთაგან, სამს დიდს სწორედ ღვთისმშობელს სწირავენ ხოლმე“.

აქ უკვე კვლავ უნდა გადავიკითხოთ ნერჩი-ს განმარტების შემოკლებული შინაარსი:.

(ო. ქ.) ნერჩი 1. ფუძე, ძირი; ის ადგილი, რომელზედაც სახლი დგას და ნიშნავს ფუძეს. 2. ფაცხის, ჯარგვლის (ძელურის) მიწის იატაკი, კარგად მოტკეპნილი. 3. დედამიწისა და ადგილის დედის სახელი. ი. ქობალიას ცნობით ნერჩი უნდა ნიშნავდეს მიწის ღმერთს. სამეგრელოში არსებობდა ნერჩიში ხვამა (ნერჩის ლოცვა), რომელიც სრულდებოდა დიდმარხვის დაწყებამდე 25 დღით ადრე, ოთხშაბათს და ამიტომ ამ ლოცვას ეწოდებოდა ოჯუმაშხური (ჯუმაშხა – ოთხსაბათი). თუ სახლი იდგა მაღლა, ჰქონდა ხის იატაკი, მაშინ ეს ლოცვა იქ არ შეიძლებოდა შესრულებულიყო.... ტერფს, ფეხის გულს მეგრულად ჰქვია ნარჩა კუჩხი, ნერჩი ფეხისა... (ნარჩა კუჩხი ეწოდება არა ტერფს, ფეხის გულს, არამედ როცა დგახარ შიშველი ფეხებით მიწაზე, მხოლოდ მაშინ ეწოდება ნარჩა კუჩხა ტერფის, ფეხის გულის ქვეშა მიწის ფართს ჯ.კ.)... ◻ ნერჩიში მარდი ფუძის მადლი. ◻ ნერჩიში გიმოთირუა ფუძის გამოცვლა. როდესაც ოჯახს შვილი არ შერჩებოდა, ფუძეს (სამოსახლო ადგილს) გამოცვლიდნენ, სხვაგან გადასახლდებოდნენ. ამას ეძახდნენ ნერჩიში გიმოთირუა-ს. ◻ ნერჩიში ხვამა იგივეა, რაც ფუძეში ხვამა. ნერჩს ქალი ლოცულობდა, მამაკაცის ლოცვა არ შეიძლებოდა.

ნერჩი ეს იგივე ოროა, ანუ სახლის ფუძე (ნერჩი) თავად სახლის სახურავითაა დაჩრდილული (ოროა), მდინარის ფსკერი (ნერჩი) წყლის მდინარე მასითაა დაჩრდილული, კუჩხის ნერჩი ფეხის ტერფითაა დაჩრდილული. ანუ სახლის ფუძე წარმოადგენს **ორო**-ს და ვინაიდან ნერჩიში ხვამა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ მიწის იატაკიან სახლში, რადგანაც **ნე დედაა, მიწაა და სვანი ქალების მსგავსად, აქაც მხოლოდ ქალებს აქვთ უფლება აღავლინონ მიწის უხილავი (მდედრი) ძალისადმი მიძღვნილი ლოცვა**, თავისთავად ცხადი ხდება, რომ **მეგრელი ქალები და სვანი ქალები ერთი და იგივე ქალღვთაების, დედამიწის უხილავ ძალას სთხოვდნენ გამრავლებასა და ოჯახის ბარაქას**. ასევე ნათელი უნდა შეიქმნას, რომ მიწის მუშებს, რომელიც ხვნის დროს გუთანს უკან მისდევდნენ და ხელით აწესრიგებდნენ მის გეზს, ხვნის სიღრმეს და თან მიწის (დედის) უხილავ ძალას (ოროს) უმღერდნენ ოროველას, ანუ სვან და მეგრელ დედა ქალებივით მიწის (დიდი დედის) უხილავ ძალას ევედრებოდნენ მოსავალს, ამიტომაც ეწოდათ ამ მიწის მუშაკ მამაკაცებს გუთნის**დედები**.

(ქ.ე.გ.ლ.) **გუთნიდედა** ძველად -- მიწის მუშა, რომელიც ხვნის დროს გუთანს მისდევდა უკან და ხელით აწესრიგებდა მის გეზს, ხვნის სიღრმეს.

(**ივანე ჯავახიშვილი** I 128): „უფრო მეტის ყურადღების ღირსია საზოგადო ქართული სიტყვა „დედამიწა“, რომელსაც ეხლა ჩვენ ჩვეულებრივ მიწის აღსანიშნავად ვხმარობთ. ძველ დროს, ძველ ქართულ მწერლობაში ამ სიტყვას ამ მნიშვნელობით არა ჰხმარობდნენ, არამედ მარტოდენ სიტყვას „ქვეყანა“-ს, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ სიტყვას „დედამიწა“-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მთელ „მიწის დედა“-ს, მიწის ღვთაების „დედა“-ს ეძახდნენ. როგორც ეხლა ფშაველი ან ხევსური ლოცულობს და ევედრება „ადგილის დედა“-ს: „ემ ადგილას დედავ, შენ გებარებოდე, შემინახე შენის მადლით და დოვლათითა“-ო. ისევე, უეჭველია, ძველ დროს ქართველი თაყვანსა სცემდა „დედამიწას“ ვითარცა ღვთაებას და შეჰღაღადებდა“.

არ გაგახსენდათ?

„მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო".

ეგვიპტურ-კოლხური ორო ბერძნულში დამკვიდრებულია ფორმით σοροσ [ს-ორო-ს].

σοροσ [სოროს] – 1) погребальная урна. 2) гроб. поговорка – стоять одной ногой в могиле.

ბერძნული **სოროს**-ი ინგლისურში შემდეგი შინაარსებით დამკვიდრდა:

sorrow – 1. სევდა. 2. დარდი. 3. წუხილი. 4. სიბრალული. 5. მწუხარება, გლოვა.

sorry – 1. ნაწყენი, გულმატკენი. 2. დანაღვლიანებული. 3. უბედური.

ბერძნული **სოროს**-ი გამოსახავს საფლავის **ორომე**-ს ატრიბუტიკას, ხოლო ინგლისური **სორი** საფლავის **ორომე**-ს პირას შეგროვილ ადამიანთა განწყობას.

ბერძნულ **სოროს** ეხმიანება კოლხური **ფსორო** და **სორო**.

(**ო. ქ.**) **ფსორო** ხევი, ფლატე; სორო.

კოლხური **ფსორო**-ს აზროვნება გამართულია და ახსნადია. ჰარმონიული წყვილი ფს აქადურ-კოლხური ცოდნით მდინარეს, წყლის დენას გამოსახავს და:

ფსორო = ფს + ორო = მდინარე + ორმო (ღრმული) = ხევი წარმოადგენს დროთა განმავლობაში წყლის დინების შედეგად წარმოქმნილ გრძივ ღრმულებს, ანუ გრძივ ოროებს. ასევე ფლატე კალაპოტიდან ამოვარდნილი, ადიდებული მდინარის დინების შედეგად წარმოიქმნება.

ფსორი – სოფელი ონის რ-ნში.

(ქ.ე.გ.ლ.) ფსორი კუთხ. (გურ.) „მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი".

(ქ.ე.გ.ლ.) ფსკერი ზღვის, მდინარის ქვედა, მყარი ნაწილი.

წარმართული კოლხური **ფსორო**-დან წარმოდგა **ფოსო**.

(ო. ქ.) ფოსო ზმნზ. ფესვად; მთლიანად. **ფოსო გოჭყორდი!**: ფესვიანად ამოვარდი! (წყევლაა). შდრ. ლაზ. ფოსო ფესვი.

წყევლა -- **ფოსო გოჭყორდი!:** ფესვიანად ამოვარდი! გულისხმობს სიღრმისეულად, ფუძიანად ამოწყდი. **ფოსო**-დან (სიღრმიდან, ორმოდან) შეიქმნა **ფოსვი** (**ფესვი**), რომელშიც ფორმა **სვი** გასაზღვრავს ფესვის სიგრძეს (**სვია** = გრძელ-ცხვირა თევზია; **სვინგა** = უშნოდ გრძელი; **სვიპა** = უშნოდ მაღალი; სვირი = მილი).

ეს წარმართული კოლხური აზროვნება ასახულია საბას ლექსიკონში.

(ს. ს.) ფოსო (ფოსო, ფოსვი C) ფოსვივე ZAB. მცირედ დაღრმაებული

წარმართ. **ფოსვი** > (ო > ე) > ქართ. **ფესვი**.

ბერძენთა მიერ **ორო**-ს შინაარსის ცოდნა ბევრად მნიშვნელოვნად იკვეთება კოლხური **ოხორი**-ს შინაარსის ცოდნის შემდგომ.

(ო. ქ.) ოხორ-ი სახლი; სასახლე.

(ო. ქ.) ხორუა დასახლება, სახლობა; მოსახლეობა.

ოხორი-ში ო დანიშნულების აღმნიშვნელი თავსართია და შეესაბამება ქართულ სა-ს (ჩრდილი > სა-ჩრდილობელი; სახლი > სა-სახლე; კაბა > სა-კაბე) და გადაქართულების წესით **ოხორი**-დან მიიღეს **სახლი**.

ამრიგად **ოხორი**-ს ფუძეა **ხორ**. ჩვენ უკვე ისედაც ვიცით, რომ ოდიშელთათვის უშუალოდ მიწას დაშენებული სახლი ითვლებოდა სალოცავ სახლად და ეს იკითხება კიდეც სახელწოდებაში **ოხორი**.

ოხორი = ო + ხ + ორ(ო) = (სა) + **მიწა + უხილავი** = მიწა გაუჩინარებული, ანუ სახლს რომელ მიწის ნაკვეთზეც ააშენებ, ის მიწის ნაკვეთი უჩინარდება, უხილავი ხდება აშენებული სახლის კედლებითა და სახურავით.

ხორუა = ხ + ორ(ო) + **უა = მიწა + უხილავი + მოქმედება** = მიწის გაუჩინარება ანუ სახლის შენება, დასახლება ესაა (სახლის ქვეშ) მიწის გაუჩინარება (დაჩრდილვა), გადახურვა და ცხადია **ხორუა**-დან გადაქართულების წესით ქართულში მივიღეთ **ხურვა** [**ხორუა** > (ო > უ), (უა > ვა) > **ხურვა** > **გადახურვა, გადახურული, მოხურული, სახურავი, მხურავი, ხურო**...]

(ქ.ე.გ.ლ.) ახორი [სპარ. **ახურ** „თავლა“, „ბოსელი“] 1. ცხენის ბაგა (საბა). 2. კუთხ. (იმერ. გურ.) სახლს მოშენებული (ან მოღობილი) სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ, -- ბოსელი.

იგივე შინაარსს წარმოგვიდგენენ ფუძე **ხორ**-ით შედგენილი ქართული სიტყვები:

(ქ.ე.გ.ლ.) ხორა 1. „შეშის ზვინი“ (საბა), -- ერთად დაწყობილი შეშა, საშენი მასალა და მისთ. (რომელთა ქვეშაც მიწა უჩინარდება, უხილავი ხდება ჯ.კ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ზედახორა.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორამი კუთხ. (ხევს. მთიულ. მოხევ.) „ცხენზე დაკრული საგზაო თივა ან ჩალა". || ერთად მოგროვილი თივა.

აქ უმნიშვნელოვანესია თავად წარმართული კოლხური ფორმა ხორამი (გური > გურამი = გულიანი), რომელიც ქართულად იკითხება როგორც ხორიანი, ანუ

ახორავებული. ე. ი ხორამი ნიშნავს, რომ ცხენზე ახორავებულია საგზაო თივა, ან ცალკე ერთად ახორავებულ (მოგროვილ) თივას. იგივე წარმართულ ცოდნას გვაწვდის ფშაური ხორდი.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორდი[1] კუთხ. (ფშ.) „დამრგვალებული და მაგარი ხორცები კანქვეშ".

დამრგვალებული და მაგარი ხორცები კანქვეშაა და უჩინარია. ხორდი-ს განვითარებაა ხორკლი.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორკლი მცირე ზომის ბურცი.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორდი[2] იგივეა, რაც ხორგი.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორგი[1] ყინული დიდი ნატეხი წყალზე (შდრ. ხერგი).

(ქ.ე.გ.ლ.) ხორეული ძვ. ზვინად დადგმული, დაზვინებული.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორომი თივის კონა, ბალახი. მას კაცს ცხენისათვის ალერდი გაეთიბა, ხორომად შეეკრა (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხორი სხვადასხვა საგნის უწესრიგო გროვა (იგივე **ხორა ჯ.კ.**).

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხორვა „ცუდად აშენება, ან წყობა" (**საბა**).

დაახლოებით მსგავსი შინაარსისაა **ქორგა** (> **ქოლგა**) და **ხორგი** (> **ხერგი**).

ქორგა = **ქ** + **ორ**(ო) + **გა** = **მიწა** + **უხილავი** + **გორაკი** (ქოლგის ფორმა) = ოვალური მიწის საჩრდილავი. გაშლილი ქოლგა, სახლივით, მზის ქვეშ იქნება თუ წვიმის ქვეშ, მუდამ მიწას ჩრდილავს, მიუხედავად იმისა ქოლგის ქვეშ ადამიანი იმყოფება თუ არ იმყოფება.

თითქმის იმეორებს **ოხორი**-ს მნიშვნელობას **ხარო**.

(ქ.ე.გ.ლ.) ხარო 1. ღრმა ორმო. 2. (ძვ.) ღრმა ბნელი ორმო (საპატიმროდ). – ჯურღმული. 3. მარცვლეულის შესანახი ხის ჭურჭელი (ან ბეღლის განყოფილება).

(ჯემალ შარაშენიძე 39): „შუმერულში დამოწმებული გვაქვს ფონეტიკური ჟღერადობის მქონე ტერმინი ხარა, რომელიც აღნიშნევდა მოზრდილ თიხის, სპილენძის ანბრინჯაოს ჭურჭელს. იგი ფართოდ გამოიყენებოდა ყოფა-ცხოვრებაში. ასეთ ჭურჭელს ნახევრად მიწაში დგამდნენ და ძირითადად მარცვლის, ზოგჯერ კი წყლის, ლუდის ან ღვინის შესანახად იყენებდნენ".

ხარო = **ხა** + (ო)**რო** = **მიწა** + **უხილავი** = ორმო.

აქვეა **ხაბო**.

(ქ.ე.გ.ლ.) ხაბო კუთხ. (იმერ.) მდინარის ნაპირი.

ხაბო = **ხა** + **ბო** = **მიწა** + **მცირე** (დაბლა) = მდინარის ნაპირი.

(ო. ქ.) ხორგ-ი 1. საზღვარი; დახერგილი რამ (მაგ. ქვა, ხე...) საზღვრად გამოყენებული. 2. ხის ან ქვის ღობე; ქვა-ღორღის ზვინი, ხერგი.

ხორგი ესაა სხვადასხვა მასალისაგან დახვავაებული ზვინი და რომლის ქვეშაც მიწა უჩინარდება, უხილავი ხდება.. ეს ასახულიცაა **ხორგი**-ს სახელწოდებაში.

ხორგი = **ხ** + **ორ**(ო) + **გი**(მე) = **მიწა** + **ჩრდილი** + **დაბლა** = სხვადასხვა მასალის ზვინით, ტვირთით დაბლა დაჩრდილული მიწა. ხოლო თუ ეს ზვინი საკვებია, მაშინ მისი სახელწოდება სპარსულად აღიარებული **ხორაგია**. აქვე ავღნიშნოთ, რომ ხორბლის სპარსული სახელწოდება **ხვარბარ** ქართულად გამოითქმის **ხვარბალი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ხვარბალი იხ. ხორბალი.

ხოლო ფორმა **ხორბალი** ეს უკვე კოლხური გააზრების შედეგია. ისევე როგორც **ხორაგი** და **ხორგი**, **ხვარბალი** და **ხორბალი** ერთი საერთო ფუძიდან მომდინარეობენ.

კვლავ გავიაზროთ ცოდნა, რომ **ოხორი**-დან ქართულში შეიქმნა **სახლი**.

წარმართ. **ოხორი** > (ო > სა, ო > ა. რ > ლ) > ქართ. **სახლი**.

მოგაწვდით მსგავს მაგალითს, როდესაც მეგრული დანიშნულების აღმნიშვნელი თავსართი **ო** ქართულში იცვლება შესაბამისი თავსართით **სა**-თი.

(ო. ქ.) **ორკე** სარკმელი; პატარა ჭუჭრუტანა; ღია ადგილი კედელზე სასინათლოდ, ღრიჭო.

(ო. ქ.) **რკება** კლება.

ორკე = **ო** + **რკე**(ბა) = საკლები, ანუ მცირე ფართი კედელში.

გარდა იმისა, რომ **ორკე**-დან შემოდიოდა მხედველობისათვის აუცილებელი შუქი, **ორკე**-დან ასევე შეიძლებოდა გახედვა, ჭვრეტა, ცქერა იმისა თუ რა ხდებოდა გარშემო და ამის გამო:

ორკე > (ო > სა) > **სარკე** > **სარკმელი** (= სარკე მცირე)

მეგრული **ორკე**-ს შინაარსს ატარებს სულხან-საბასეული **სარკე**-სა და **სარკმელი**-ს განმარტებანი.

(ს. ს.) **სარკე** მიჭვრიტანა.

(ს. ს.) **სარკმელი** სახლთა სასინათლო ანუ გარდასაჭვრეტი. სარკმელი ეწოდების, სადა სახლიდამ გარდასაჭვრეტი აქვნდეს, გინა სინათლეთა შემოსავალი.

თქვენთვის მოულოდნელი უნდა იყოს, რომ კოლხური **ოხორი**-ს სრული ფუძე **ხორო** და ტერმინები **ორომე, ხორომი** ასევე სრული სახითაა დამკვიდრებული რუსულ ლექსიკაში:

Хоромы – ძვ. დარბაზები, იგივე ოხორები. (Х-оромы > Хором > Храм).

Хоромы || **ხორომი** = **ხ** + **ორო** + **მი** = **მიწა** + **ჩრდილი** + **იანი** = მიწა დაჩრდილული (გაუჩინარებული).

იგივე შინაარს ატარებს ქართული **ხორომი**-ც.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხორომი** თივის, ბალახის კონა (ზვინი ჯ.კ.).

Хоронить – დამარხვა, ანუ ორო-ში, ორომე-ში მოთავსება.

აქ აღსანიშნავია, რომ ჰაიკთა მეტყველებაში **ხორ** ასევე ნიშნავს ღრმას.

კიდევ უფრო გასაოცარი **ხოროში**.

(ო. ქ.) **ხოროშ-ი** ბოტან. ატმის ჯიშია. შდრ. ტოპონ **ხოროშინა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხოროში** (კუთხ.) იგივეა, რაც **ხვრიში**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხვრიში** მსხვილ-მსხვილი მარცვლების შემცველი.

ხოროში = **ხ** + **ორო** + **ში** = **მიწა** + **უხილავი** + (-ის) = მიწის უხილავი (ძალის). ანუ ისევე როგორც ატამი, ხორბალი... და ყოველი მიწიერი ნაწარმი მიწის უხილავი ძალის წარმონაქმნია და ყოველივე ეს სიკეთეა, სლავურში შეიქმნა მცნება Хороший (კარგი).

მოგაწვდით დამატებით მაგალითს კოლხურ-სლავური ენობრივი ურთიერთობიდან:

მეგრ. **ხოდ** ფორმა ნიშნავს ჯდომა-ს, აქედან ხ მიწის მცნებაა და ხოდ აღნიშნავს მიწასთან კავშირს, მსგავსია რუსული **ходба, ходить**, ანუ ორივე მსგავსი მნიშვნელობები ერთიდაიგივე მიწის მცნების, მიწასთან კავშირის ცოდნიდან მომდინარეობენ.

ორო-ს, როგორც ბნელის, ორმოს, უჩინარის მნიშვნელობის ცოდნითაა მიღებული ლათინურენოვანი ოჯახის მცნება **ორალური**.

ორალური [ფრანგ. **oral** < ლათ. **os (oris)** პირი] პირის ღრუში მდებარე, პირის ნაპრალისკენ მიმართული.

ამ საერთო ფუძიდანაა ლათ. **ორატორი**... რუს. орать...

დავუბრუნდეთ **ოხორი**-ს, რომლის მიხედვითაც სახლი ესაა ერთი ჭერით დაჩრდილულ, ერთიან **ორო**-ში მოქცეული სივრცე, ანუ ერთი სახურავის **ორო**-ს ქვეშ მაცხოვრებლები ერთივე სახლის ჭერქვეშ მაცხოვრებლები არიან. გავეცნოთ მსგავს მაგალითს ბერძნული ლექსიკიდან.

ομ-ωρόφιος [ომ—ოროფიოს] – живущий под одной крышей, т.е. в одном доме.

οροφίάς [ოროფიას] – живущий под крышей, т.е. домашный.

გავიხსენოთ კოლხური კორომი.

(ქ.ე.გ.ლ.) კორომ-ი ჯგუფად მდგარი ხეები

ჯგუფად მდგარი ხეების ქვეშ ძლიერი ჩრდილი, ორო იცის.

χορός [ხოროს] – 1) хор, хоровод... 3) место (площадка для хора). 4) перен. хоровод, толпа, вереница, стая, рой.

χορός = **ხ** + **ორო**(ს) = მიწა დაჩრდილული.

χόρτος – 1) огороженое место, загон, скотный двор. 2) поляна, пастбище.

ასევე **ხორო**-დან ქართულში შედგა ბერძნულის ანალოგიური მცნება ხრო.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხრო** იგივეა, რაც ხროვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხროვა** 1. მტაცებელ ცხოველთა გუნდი. 2. ერთად თავმოყრილი გარკვეული ცხოველები, მწერები... 3. იგივეა, რაც გროვა.

როგორც კოლხურში **ხორო** და **კორომი** აღნიშნავენ შემოზღუდულ და დაჩრდილულ ფართს, ბერძნული **ხორტოს** და **ხოროს** იგივე მცნებებსაც გამოსახავენ -- მრავალკაციანი ჯგუფის ქვეშ მიწა ისევე იჩრდილება, როგორც სახლის ან ხეთა ჯგუფის ქვეშ. აქვე დააკვირდით მეგრულ **ხე** და ბერძნულ **χείρ** [ხეირ] – рука, кисть სიტყვათა შინაარსობრივ და კონსტრუქციულ ერთგვაროვნებას და ისიც გაიხსენეთ, რომ მეგრულში მიწის მცნების მატარებელ თანხმოვან **ხ**-დან შექმნილია ასევე **ხუჯი** (მხარი), **ხუნა** (ჯდომა), **ხა** > **აბხა** (ბეჭი).

კოლხურ-ბერძნული **ხოროს** ცოდნის გამო ეწოდა აჭარელთა ჯგუფურ ცეკვას ბერძნული **ხორუმი** (მსგავსი კონსტრუქციისა ასევე ბერძნული **ფორუმი**).

თუ **ივანე ჯავახიშვილის** მიერ მოხმობილ ტრადიციებს გავაანალიზებთ, ნათელი გახდება, რომ მხვნელ-მთესველთა სიმღერას „ოროველ“-ას და „ლამზირ“-ს რიტუალებში მონაწილე სვანი ქალების მოქმედებებს, ერთი და იგივე ადრესატი – მიწის უხილავი ძალა **ორო** აერთიანებს, ანუ ორივე მხარე ამ საიდუმლო წეს-ჩვეულებათა აღსრულების მიზანს ოროველი (მიწის **ორო**) წარმოადგენს. ბერძნულად მიწა თანხმოვან **გ**-თი აღინიშნება და კოლხური ოროველ (ორო მიწა) ბერძნულად გამოისახა ფორმით – ο **orgia** ანუ ორ(ო)გია.

სვანური „ლამზირ“-ის მსგავსად, საბერძნეთში წელიწადში ერთხელ იმართებოდა დღესასწაული, რომელსაც მხოლოდ ქალები (მიწის სიმბოლოები) ესწრებოდნენ და ისინი მხოლოდ მათთვის ცნობილ ორგიებს მართავდნენ. ამ ორგიათა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახლდათ ბერძენი პოეტი ქალი **საფო**.

οργια [ორგია] – 1. культовые оргии, тайные обряды, мистерии. 2. священодеиствие или жертвопринощение. 3. празднество, праздник.

ბერძნულ **ორგია**-ს კოლხურ ანალოგს წარმოადგენს **ორგუალი** (სარგავი), ანუ **რგუაფა** (რგვა). **რგუაფა**-ს (რგვის) პროცესი იგივე **ოროველაა**, ანუ მიწის **ორო**-ში (ორმოში) უნდა მოთავსდეს **ნერგი** [= **ნე** + **რგი** = დარგვის სიტკბოება (სიკეთე)], იგივე თესლი აღმოცენებული.

რგუაფა = **რ** + **გ** + **უა** + **ფა** = **მოძრაობა** + **მიწა** + **მოქმედება** + **შედეგი** = მიწასთან ურთიერთობის მოქმედებათა შედეგი. იგივე მნიშვნელობას ატარებს რგუალა.

რგუალა[1] = **რ** + **გ** + **უა** + **ლა** = **მოძრაობა** + **მიწა** + **მოქმედება** + **სხეული** = მიწასთან ურთიერთობის მოქმედებათა (შედეგად აღმოცენებული) სხეული

მეგრ. **რგუალა** > ქართ. **რგული**.

რგუალა-ს ახალი სიცოცხლის აღმოცენების, რგვის მნიშვნელობის გარდა გააჩნია სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის, გლოვის მნიშვნელობაც და ეს გასაგებიცაა, როცა მიწის ორო-ში ნერგის ნაცვლად მიცვალებულის სხეულს ჩაასვენებ, გასაგებია, რომ მიმდინარეობს გლოვის პროცესი.

რგუალა[2] = **რ** + **გ** + **უა** + **ლა** = **მოძრაობა** + **მიწა** + **მოქმედება** + **სხეული** = მიწასთან ურთიერთობის მოქმედებათა (შედეგად ჩამარხული) სხეული. ე.ი რგუალა > გლოვა. მსგავსი გარდასახვაა ჭუალა > წოვა.

ეგვიპტურ-კოლხურ-ბერძნულ ურთიერთობათა შედეგს წარმოადგენს **ორო**-ს ცოდნიდან წარომდგარი მეგრული მისამღერი: **ორაიდა, რაიდა სი ვარაიდა** [= **ო რაიდა, რაიდა შენ ელვარე** (ღვთაება) **რაიდა**] და ბერძნული **ორაია, ორაი**.

ωραια [ორაია] – сбор последнего урожая, сельскохозяиственные продукты.

Οραι [ორაი] – Горы, времена (богини времени года, ясной погоды. урожая и красоты, хранительницы небесных врат. спутницы богов, преимушественно Афродити).

ამ კოლხური **ვარაიდა**-ან წარმოდგა ადიღური **ვარადა** „სიმღერა“.

განხილული მაგალითების შინაარსთა ანალიზის შედეგად ვასკვნით: **ორო** (უხილავი) არსებობის შეუცვლელი შემადგენელია.

რაც შეეხება **ნთ**-ს ჩვენ იგი საკმაოდ ვრცლად განვიხილეთ ქვეთავში „ათონი და ვაალა" და აქ მხოლოდ გავიხსენებთ, რომ **ნთ**, დაწყებული შუმერული **ნი-ნთი**-დან, როგორც კოლხურ, ასევე ბერძნულ მეტყველებაშიც, აღნიშნავს ხილულს, სინათლეს, ბრწყინვალებას.

(**ი. ყ.**) **ნთ** სი-ნთე, ნათუა, ნათება... (> სა-ნთ-ელი, ნათ-ურა, ნათ-ელი, **ჯ.კ.**).

ბერძნული ανθε [ანთე} – блеск. яркость, сверкание.

ამრიგად, ჩვენ ავხსენით კოლხური სამების **ღორონთი**-ს (**ღ** + **ორო** + **ნთ**) შემადგენლების **ღ**-ს (სიცოცხლის ძალის), **ორო**-ს (უხილავის) და **ნთ**-ს (ხილულის) შინაარსები. ხოლო, თუ რა იგულისხმება ამ ძალთა ურთიერთობის ქვეშ, გავეცნოთ ჩინურ მსოფლმხედველობას.

(**Н. И. Конрад** 179): „(китаицы) еще в древности выработали концепцию первоэлементов матеряльной природы; в дальнейшем пришли к заключению, что ети первоэлементы переходят друг в друга. Об этом говорил еще в III в. до н. э. Цзоу Янь. Но до Чжоу-цзы никто прямо не соединил концепцию круговорота первоэлементов с концепцией движения противоположностей. Чжоу-цзы же это сделал и притом в самой категорической форме: „Пять стихий – это и есть свет и тень“, -- кратко сказал он. И разъяснил: „свет“ и „тень“ порождают „воду“, „огонь“, „дерево“, „металл“, „землю“. Порождают они их в своем действии: действие же „света“, т.е. движение, состоит в „изменении“, действие „тени“, т.е. покоя, -- в „соединении“, так с новой стороны оказались охарактеризованы противоположности“.

(**„ლაო-ძი" ლერი ალიმონაკი** 296): „ჩინურ მითოლოგიაში არსებობდა სამყაროს, ბუნების წარმოშობის თავისებური ახსნა. უხსოვარ წარსულში, როცა ჯერ კიდევ არც ცა არსებობდა და არც მიწა, სამყარო წარმოადგენდა გაწყვიადებულ უფორმო ქაოსს, ამ უფორმო ქაოსში იშვა ორი სული: **ინ** და **იან**, რომლებმაც იწყეს სამყაროს მოწესრიგება. იან მართავდა ცას, ინ – მიწას. ეს და ამის მსგავსი მითები გახდნენ ძველჩინური კოსმოგენიური კონცეფციის შემადგენელი ნაწილები, ამ ორი ძალის მეშვეობით იწყებს სამყარო დადგინებას და განვითარებას. იან არის „სინათლე“, ინ არის – „წყვდიადი“, „დადებითი“ და „უარყოფითი“ პრინციპები. ძველ ჩინურ ფოლკლორში მოცემულია ამ

მცნებათა სინკრეტული მნიშვნელობები: **იან** უდრის მზის, სიცხის, ჩასახვისა და სინათლის ერთიანობას; **ინ** უდრის მთვარის, სიცივის, სიკვდილისა და წყვდიადის ერთიანობას. **ინ** და **იან** წარმოქმნიან ყოველი არსის დაბადებათა და ცვალებადობათა მარადიულ პროცესს. მათი კავშირის გარეშე არ არსებობს, არც ბუნება და არც საზოგადოება. **ინ** და **იან** არის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა, გამოყოფილი ერთიანი კოსმიური მთელით – ბუნებით, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ფენომენისა. დაოსურ მოძღვრებაში **ინ** და **იან** ძალები ემორჩილებიან დეს დასაბამს. **დე** კი არის ის, რაც მიღებულია ცისა და მიწისაგან, რისგანაც წარმოდგებიან **ინ** და **იან** ძალები“.

კოლხური **ღ** (სიცოცხლის ძალა) ჩინურ **დაო**-ს ბუნებას ესადაგება.

(**„ლაო-ძი“ ლერი ალიმონაკი** 281): „**დაო** ერთდროულად ბნელიც არის და ნათელიც. ამიტომ თქმულა: „მისი ზე არ არის გასხივოსნებული, მისი ქვე არ არის გაწყვიადებული“.

(**„ლაო-ძი“ ლერი ალიმონაკი** 271): **„დაო** არყოფნიდან ყოფიერში, ანუ უხილაობიდან ხილვადობაში მარად გარდამავალი არსებაა...

დაო მიუწვდომელია და ჩვენი გრძნობებით მისი შეცნობა შეუძლებელია. **დაო** დიადია, იგი ყველგან არის, მაგრამ უმცირესიც არის და შეუძლებელია მისი ხილვა, მოსმენა და შეხება. მისი წვდომა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი კაცი გონსმჭვრეტელობით გაათავისუფლებს მას ქაოსიდან. ვინც მის შეცნობას გონების გარეშე შეეცდება, ვინც მას ცხადიერ და ნივთიერ, ხილვად სფეროში გაიაზრებს – დამარცხდება“.

(**„ლაო-ძი“ ლერი ალიმონაკი** 296): „ერთი არის ყოვლის დასაწყისი; ერთი მთლიანობაა, მთლიანობაა რაც შვა დაომ და რაც თავისი არსითა და თვისებებით ახლოს დგას დაოსთან. ხოლო ორი და სამი არის სიმრავლე (ერთის საპირისპიროდ), რომელიც წარმოშობს ქვეყნად ყოველივეს. ჩინელები ამ საყოველთაო კატეგორიებს ნიშნებით გამოსახავენ. მთავარი ნიშანია ხაზი. უბრალო ხაზი (-) გამოსახავს ერთს და თანხმობას – ჰოს. წყვეტილი ხაზი (- -) გამოსახავს ორს, გაორებას და უარყოფას – არას. ჰეგელის აზრით, სექტა **დაო** დასაბამად მიიჩნევს აზრის სფეროს გადასვლას წმინდა სტიქიაში. საოცარია, რომ ამასთან ერთად აქ, ამ ტოტალობაში, ვლინდება **სამების განსაზღვრებაც**, ერთმა შვა ორი, ორმა შვა სამი, ხოლო სამმა – სამყარო. უნდა ითქვას, რომ **როგორც კი ადამიანი აზროვნებას იწყებს, ვლინდება კიდეც სამების განსაზღვრებაც,** -- აგრძელებს ჰეგელი, -- ერთი არის რაღაც, განსაზღვრებას მოკლებული, ცარიელი აბსტრაქცია იმისათვის, რომ იგი დაეუფლოს სიცოცხლიანობისა და სულიერების პრინციპს, აუცილებელია განსაზღვრება. ერთიანობა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა იგი შეიცავს ორს და მაინც სამებად რჩება. მხოლოდ აზრის ეს გადასვლა არ ქმნის უმაღლეს, სულიერ რელიგიას: დაოს განსაზღვრება რჩება სრულიად აბსტრაქტული და სიცოცხლიანობა, ცნობიერება, სულიერება არა თავად დაოს ეკუთვნიან, არამედ უფრო სრულიად განეკუთვნებიან ადამიანს. ჰეგელი ამბობს: ჩვენთვის ღმერთი არის საყოველთაო, მაგრამ განსაზღვრული თავის თავში, ღმერთი არის სული, მისი არსებობა – სულიერება. აქ კი **დაოს** ნამდვილობა, სიცოცხლიანობა -- არის **ნამდვილი უშუალო ცხოვრება**“.

ამრიგად, **ღორონთი**, კოლხური სამებაა და:

ღორონთი = ღ + ორო + ნთი = სიცოცხლე + უხილავი + ხილული =

სიცოცხლე ხილულ და უხილავ ძალთა ერთობლიობაა =

სიცოცხლე ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების მოქმედებათა შედეგია.

ქრისტეანმა მამებმა, რასაკვირველია, უარყვეს წარმართული კოლხური სამების **ღორონთი**-ს აზროვნება და გამომდინარე ქრისტეანული დოგმატიდან – სამება არის ერთი, შექმნეს **ღუერთი**.

ღუერთი = ღ + უ + ერთი = სიცოცხლის ძალა უერთადერთესი.

ღვთის სახელწოდების ეს საწყისი ფორმა დაფიქსირებული აქვს ილია აბულაძეს „მეფეთა წიგნში“.

(ი. ა.) **ღუერთი** || მფ. 18. 17.

შემდგომ ფორმა **ღუერთი**-ს ნაცვლად შეიქმნა **ღმერთი**, სადაც თანხმოვანი **მ** მამის, მფარველის აღმნიშვნელი თანხმოვანია და მივიღეთ:

ღმერთი = ღ + მ + ერთი = სიცოცხლე + მამა + ერთი = მამა ღმერთია ერთადერთი (სიცოცხლის მომნიჭებელი).

ანუ იგივე:

ღმერთი = ერთადერთი შემოქმედი ყოველივე ხილულისა და უხილავისა.

თანხმოვანი ჭ

თანხმოვანი **ჭ** თვითმყოფადი კოლხური ბუნებისაა და **ღორონთი**-ს აზროვნების – ურთიერთსაწინააღმდეგო ძალებით სიცოცხლის წარმოქმნის -- გაგრძელებას წარმოადგენს. თანხმოვანი **ჭ** ერთდროულად, ორ ურთიერთსაწინააღმდეგო, წყლისა და ცეცხლის (წვის) მცნებებს გამოსახავს. კოლხური აზროვნებით სიცოცხლე წყლიდან წარმოიქმნება და მართლაც, ადამიანის სხეულის 65%-ს წყალი წარმოადგენს, ხოლო მისი მოძრაობისთვის, აზროვნებისთვის აუცილებელია წვის პროცესი. ანუ ურთიერთსაწინააღმდეგო სტიქიების -- წყლისა და ცეცხლის (წვის) პროცესის თანაარსებობა განაპირობებს ცოცხალ ორგანიზმთა სიცოცხლისუნარიანობას.

ჩვენ უკვე განვიხილეთ წარმართული **ჭოროფა** რომელშიც თანხმოვანი **ჭ** წყლის მცნებას გამოსახავს, არსებობს მსგავსი კონსტრუქციის **ჭორფლი**, რომელშიც თანხმოვანი **ჭ** უკვე წვის პროცესს აღნიშნავს.

(ი. ყ.) **ჭოროფა** сырость; -- ჭოროფა ბზარხული сырое, дождливое лето.

ჭოროფა = ჭ + ორო + ფა = წყალი + უხილავი + მოქმედება = წყლის უხილავი მოქმედების შედეგი = ნესტი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭორფლ-ი** მოყავისფრო წვრილი წინწკლები სახეზე (ხელებზე); ჩვეულებრივ გაზაფხულზე უჩნდებათ.

ჭორფლი = ჭ + ორ(ო) + ფ(ა) + ლი = წვა + უხილავი + მოქმედება + ფორმა = წვის უხილავი მოქმედების შედეგი.

ამრიგად, სიტყვათა წარმოქმნისას თანხმოვანი **ჭ**, გამომდინარე სიტყვის შინაარსიდან, წარმოგვიდგენს ან წყალს, ან ცეცხლს (წვის პროცესს), მაგალითად:

ჭვა = ჭ + ვა = ცეცხლი + მოქმედება (შედეგი) = წვა.

ე.ი **ჭვა**-ს შემთხვევაში თანხმოვანი **ჭ** ცეცხლს, წვის პროცესს გამოსახავს. წარმართული **ჭვა**-დან ქართულში წარმოდგა **წვა**.

წარმართ. **ჭვა** > (ჭ > წ) > ქართ. **წვა** > მ-**წვა**-დი > ვი-**წვ**-ი, ნამ-**წვ**-ი, სა-**წვა**-ვი...

ფორმა **ჭვა**-დან, წვის მცნებასთან დაკავშირებული შემდეგი სიტყვები იქმნება.

(ო. ქ.) **ჭვალა** 1. იგივეა, რაც ჭვალი, -- მჭვალი, ჭვალი... 2. წველა.

ჭვალა || ჭვალი = ჭ + ვა + ლა || ლი = წვის მოქმედების ფორმა (შედეგი) = 1. ჭვალი. 2. წველა (წველის პროცესი მდედრისთვის მწველია).

(ქ.ე.გ.ლ.) ჭვალ-ი მჩხვლეტავი ტკივილები გვერდებში (ან მკერდში) (ანუ იგივე წვის პროცესის შეგრძნება გვერდებში, ან მკერდში ჯ.კ.).

წარმართული **ჭვალი** შეუცვლელი ფორმით დამკვიდრდა ქართულში ტკივილის აღსანიშნავად. ვინაიდან **ჭვალები** ძლიერ აწვალებენ ადამიანს, აქედანაა ქართული **წვალება**.

წარმართ. **ჭვალ-ა** > (ჭ > წ) > ქართ. **წვალ-ება**.

ჭვალი რომ წვის პროცესია, ამიტომაც მივიღეთ ქართულში: **გაიმსჭვალა, გამსჭვალვა, გამსჭვალული...**

(ქ.ე.გ.ლ.) გამსჭვალულ-ი (წიგნ.) 1. ვინც გამსჭვალეს ან გაიმსჭვალა რამეთი. სიყვარულით გაიმსჭვალა. 2. რაც სავსეა, დატვირთულია რამეთი (რაიმე აზრით, იდეით...), რაშიც აშკარად ჩანს რამე. რევოლუციური პათოსით გამსჭვალული პიესა.

სიყვარულით გაიმსჭვალა = სიყვარულით იწვის, ანთებულია. იგივე შინაარს, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში ატარებს ტერმინი **ეჭვი**.

(ქ.ე.გ,ლ.) სამსჭვალი (ძვ.) იგივეა, რაც ლურსმანი.

სამსჭვალის მნიშვნელობა ნათლად მიგვითითებს, რომ სიტყვა ქრისტეანული აზროვნებითაა შექმნილი და იგულისხმება მაცხოვრის **სამსჭვალით** (ლურსმნებით) ჯვარზე გაკვრის თემა. მხოლოდ ცოცხალ სხეულში ჩაჭედვისას შეუძლია ლურსმანს **ჭვალა** (წვა, ტკივილი) გამოიწვიოს, დანარჩენ შემთხვევებში ლურსმნით **ჭვალა** (წვა, ტკივილი) გამორიცხულია.

მეგრული **ჭვა** რომ წვის პროცესს გამოსახავს, ასევე გვიმტკიცებს ქართული **ჭვარტლი** (ძვ. ქართულით -- **ჭუარდლი** > **ჭუარტლი** > **ჭვარტლი** > **მჭვარტლი**). რომელიც უდავოდ წვის პროცესის შედეგია. **ჭვარტლ**-ს მეორე შემადგენელი **–რტლი** ასევე შემადგენელია სიტყვისა **ტუ-რტლი. ჭვა-რტლი** ესაა **წვის (ჭვა-ს) (ტუ)-რტლი**.

ჭვალა-ს მეორე მნიშვნელობის – **წველა**-ს აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, თანხმოვანი ჭ შეიცვალა თანხმოვან წ-თი, ხმოვანი **ა** ხმოვან ე-თი და მივიღეთ წველა.

წარმართ. **ჭვალა** > **(ჭ > წ, ა > ე) > ქართ. წველა.**

წველა რომ **ჭვალი**-ს, **წვ**ის პროცესის შედეგია, ნათლად იკითხება ქართული სიტყვებით მ-**წველი** > მ-**წველავი**.

გარდა ფორმისა **ჭვა**, მეგრულს გააჩნია იგივე შინაარსის ძირითადი არქე ფორმა:

ჭუა = ჭ + უა = ცეცხლი + მოქმედება (შედეგი) = წვა.

ჭუა ასევე აღნიშნავს წვას, ტკივილს და შესაბამისად ქართულში გაჩნდა:

(ი. ა.) **ჭუვილი, ჭუილი** – მწუხარება.

(ი. ა.) **ჭუვნიერი, ჭუმუნვიერი** – მწუხარე, „ჭუვნეული".

(ი. ა.) **ჭმუნვა** – მწუხარე.

(ი. ა.) **ჭუხვა** > **დაჭუხვა** – დახუჭვა, დახურვა.

ჭუა > **ჭუვნიერი** > **ჭუმუნვიერი** > **ჭმუნვა** > **ჭმუჭნა** > **ჭმუხნა...**

წვის პროცესი, ცეცხლი მუდამ სიცოცხლის ერთერთი უმთავრეს შემადგენელ ელემენტად ითვლებოდა.

(M. C.) ATAP (авест.), в иранской мифологии персонификация огня, образ индо-иранской древности (atharyu – эпитет огня в „Ригведе“ со значением „пилающий“). По учению „Гат“, Атар – не самостоятельно действующая сила, но символ и внешнее проявление высшего божества, иногда его „тело“. Индоевропейским представлениям об огненной природе всего бытя соответствует иранский миф о том, что бог создал небо, воды, землю, растения, животных, человека и «во всем этом был распределен огонь».

წვის პროცესს მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია ადამიანთა არსებობისათვის და რასაც კოლხურ მეტყველებაში თანხმოვანთა ჰარმონიული წყვილი **ჭკ** (წვის სიკეთე, ძლიერება) წარმოგვიდგენს.

ჭკუა = ჭ + კ + უა = ცეცხლი + ძლიერება, სიკეთე + მოქმედება = წვის სიკეთის მოქმედება.

ჭკადუა = ჭ + კა + დ + უა = ცეცხლი + სასურველი + ძლიერი + მოქმედება = ჭედვა.

ჭკადუა > (ჭკ > ჭ, ა > ე, უა > ვა) > **ჭედვა; მაჭკადალი** > **მჭედელი**.

ჭკიდი > (ჭკ > ჭ, ი > ა) > **ჭადი** > (+მ) > **მჭადი**.

ჭკომუა > **ჭამა; ოჭკომალი** > საჭმელი.

ამრიგად, წვის პროცესის შედეგად მივიღეთ საჭმელი **ჭკიდი** (> მჭადი). თავად ჭამის პროცესი ასევე წვის მოქმედებაა, ანუ წვის პროცესის შედეგად საჭმელი იმ სასიცოცხლო ენერგიად გადაიქცევა, რომელზედაც დამოკიდებულია როგორც გონებრივი, ასევე სხვა ფიზიკური შესაძლებლობები.

იგივე კოლხური **ჭკ**-ს აზროვნებას ატარებს ლათინური **კალორია**. დღესაც ადამიანები საკვების ვარგისიანობას მისი კალორიულობით, სითბოს გამოყოფის უნარით ვსაზღვრავთ:

კალორიულობა {ლათ. **calor** სითბო, სიცხე] – 1) საწვავის დაწვის სიმხურვალე, რომელიც მიიღება მკვრივი ნივთიერების ან საწვავი აირის დაწვის შედეგად. 2) საკვები პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება – ენერგიის რაოდენობა, რომელიც მიიღება ორგანიზმის მიერ ამ პროდუქტის მონელების შედეგად.

მსოფლიო აღიარებით, „ორგანიზმის მიერ პროდუქტის მონელება“ წვის პროცესს წარმოადგენს. ანუ ცოცხალ ორგანიზმს თუ აღარ მიეწოდება საკვები – საწვავი, ორგანიზმი ცივდება, კვდება.

ღაჭუა = ღა(ლა) + ჭუა = ტარება + წვა = პირის ღრუში, კბილებში საკვებს ატარებს და საკვები იწვის, ანუ სხეულში ვრცელდება თბოენერგიად.

ღაჭუა > (ა > ე, უა > ვა) > **ღეჭვა.**

(ო. ქ.) **ჭკოლა** 1. გამხდარი, მჭლე. 2. მონა.

ჭკოლა = ჭ + კ + ოლა = წვა + სიკეთე + სვლა = წვის სიკეთის (წა)სვლა. ანუ იგივე აზროვნებაა: თუ წვის სიკეთე (სითბო, საკვები...) მოგაკლდება გახდები, დამონდები.

წვის პროცესი წითელი ფერით ხასიათდება.

ჭითა = ჭი + თა = წვის + გაცხადება.

ჭითა > (ჭ > წ) > **წითა** > **წითელი. ჭითარება** > **გა-წითლება.**

(ო. ქ.) **ჭინაფა** იგივეა, რაც ჟინაფა – გამზეურება.

ჭინაფა-ს და **ჭითა**-ს ცოდნით ქართულში მივიღეთ **ჭინთვა** (ჭინთვის დროდ წითლდები, მზეურდები).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭიაფერი** წითელი ფერის საღებავი.

ჭიაფერი = ჭი(თ)**ა + ფერი** = წითელი ფერი.

(ო. ქ.) **ჭიჭინაფა** ჭიფხვა; გაბრაზება, გაგულისება, სიბრაზით გაბერვა.

ჭიჭინაფა = ჭი +ჭი + ნა + ფა = წვის + წვის + დედობრივი (მშვიდობიანი) + **მოქმედება**.

წვის შედეგად სხეული არის **ჭვირი** > (ჭ > წ, ი > ა) > **წვარი** > **დამწვარი**.

(ო. ქ.) **ჭვირთუა** დატვირთვა (ზომაზე მეტად).

ზომაზე მეტად დატვირთვა მწველია, ანუ ქანცის გამომცლელია და შესაბამისად:

ჭვირთი = ჭვირ(ი) + **თი = წვის გაცხადება** = ტვირთი (ჭ > ტ).

წყლისა და წვის პროცესის საერთო მახასიათებელია დაპატარავება, შემცირება. ანუ წვის შედეგად მოზრდილი კუნძისაგან ერთი პეშვი ნაცარი გრჩება, ხოლო თუ გობში

წყალს დიდხანს გააჩერებთ, წყლის რაოდენობა, მასა თანდათანობით მცირდება და ბოლოს საერთოდ აორთქლდება კიდეც, ორივე შემთხვევაში შემცირების, დაპატარავების პროცესი მიმდინარეობს. ამ აზროვნებას სრულად გამოსახავენ **ჭკურუ** და **ჭურუ.**

(ო. ქ.) **ჭკურუ** პატარა.

ჭკურუ = ჭ + კ + ურუ = ცეცხლი + ძლიერება, სიკეთე + გაუჩინარება = წვის პროცესის დამთავრება, რის შედეგადაც დიდი ზომის საწვავი მასალიდან მივიღეთ მცირე ზომის ნამწვი. ანუ მოხდა მასის დაპატარავება; ამის გამოც ჭკურუ გამოსახავს მცნებას პატარა. იგივე მცნებას გამოსახავს **ჭურუ**, მხოლოდ მისი აზროვნება სრულიად განსხვავებულია.

(ო. ქ.) **ჭურუ** პატარა; პატარყურიანი ან უყურო. ჭურუ თხა, შხური – პატარა ყურიანი თხა, ცხვარი. შდრ. ლაზ. წულუ პატარა. თიკუნადაც იხმარება; მაგ., გიორგიჭურუ პატარყურიანი გიორგი.

ჭურუ = ჭ + ურუ = წყალი + გაუჩინარება = წყალი რომ ორთქლდება, უჩინარდება წყლის დარჩენილი მასა პატარავდება.

განსხვავებით **ჭკურუ**-საგან, რომ **ჭურუ**-ში თანხმოვანი **ჭ** გამოსახავს არა წვის პროცესს, არამედ წყლის მცნებას, გვიდასტურებს **ჭურუ**-ს განვითარება **ჭურუა** (< **ჭურუუა**).

(ო. ქ.) **ჭურუა** წურვა.

ჭურუა = ჭ + ურ(უ) **+ უა = წყალი + უჩინარდება + მოქმედება** = წურვითი მოქმედების შედეგად, წყლის შემცველი საწური მასიდან წყალი უჩინარდება

(ო. ქ.) **ჭურჭული**[4] წურწური; წანწკარი, წყლის (სითხის) წვრილად და ცოტ-ცოტად დენა საიდანმე

ქართული ენის შემქნელებმა ხელოვნური ფონეტიკური პროცესებით **ჭურუ**-დან მიიღეს **წულუ** (> წულუკიძე).

ჭურუ > (**ჭ** > **წ**; **რ** > **ლ**) > **წულუ** (ლაზ. პატარა) > **წულე** (მეგრ. წულეისკირი = პატარა შვილი) > **წული** (ქართ. ქალწული, ძმისწული). აქ დააკვირდით უმნიშნელოვანეს მომენტს, რომ გადაქართულებული ფორმები **წულუ, წულე** მკვიდრდება თავად ლაზურ-მეგრულ მეტყველებაშიც, ანუ გადაქართულების პროცესი იმავე მეგრულენოვან სამყაროში მიმდინარეობდა.

ქართული ენის შემქნელებმა წარმართული **ჭურუა**-დან კი შექმნეს **წურვა**.

ჭურუა > (**ჭ** > **წ**; **უა** > **ვა**) > **წურვა**.

ჭურჭული > (**ჭ** > **წ**; **ლ** > **რ**) > **წურწური**.

უკვე ქართული ენის გავლენით მეგრულში წურვის პროცესის აღსანიშნავად გარდა წარმართული ფორმა **ჭურუა**-სი გვაქვს ასევე ქართულ-მეგრული ფორმა **წურუა**.

ამრიგად, გარდა წყლისა და ცეცხლის მცნებებისა, თანხმოვანი **ჭ** ასევე ამ მცნებათა მოქმედების შედეგს -- პატარას, მცირესაც გამოსახავს.

(ო. ქ.) **ჭახანი** ცოტა ხანი.

(ო. ქ.) **ჭე** ცოტა; ნაწილი (პატარა).

(ო. ქ.) **ჭეჭე** ცოტ-ცოტა.

(ო. ქ.) **ჭიჭე** პატარა, მცირე, ცოტა

(ო. ქ.) **ჭიჭუ** პატარა, ცოტა.

ასევე ფორმანტები **ჭა, ჭე, ჭი, ჭო. ჭუ** აღნიშნავენ პატარას, მცირეს, ცოტას.

(**გიორგი შატბერაშვილი** 199): „მდინარე ჩარგლურას (სოფ. ჩარგალში) პატარა შენაკადს **ჭიჭა-ხევა** ჰქვია. ოკრიბაში კი პატარა ჭუჭრუტანას **ჭიჭიპალას** ეძახიან“.

გიორგი შატბერაშვილი იძლევა ზუსტ განმარტებას, რომ „ჭიჭა-ხევა“-ს პირველი ნაწილის „ჭიჭა“-ს ფუძეა მეგრული „ჭიჭე“ – პატარა და „ჭიჭა-ხევი“ – პატარა ხევი. ავტორი გვაწვდის აგრეთვე სხვა ქართულ სიტყვებსაც, რომელთა ფუძეა იგივე „ჭიჭე“.

(ს. ს.) **ჭიჭლა** – მცირე საღვინე; **ჭიჭმატა** – მეტად წვრილი მძივი; **ჭიჭყინა** – წვრილი თევზი; **ჭიჭყინი** – გოჭთხმიანობა; ქართლში ითქმება „ჭიჭდება" – პატარავდება.

აქ დავუმატებთ გუბაზ გოგატიშვილის ცნობას, რომ ფშაურ ლექსიკაშიც „**ჭიჭა** ზოგადად სიმცირის გამომხატველი სიტყვაა, პატარა ტანის კაცზეც ითქმის". ასევე ქიზიყში ითქმის **კოპაჭი**, ანუ კოპი მცირე და ქართლში პატარა ჭურჭელს **კოჭიჭა**-ს უწოდებენ.

გიორგი შატბერაშვილის მიერ აღრიცხული მეგრული მცნება **ჭიჭე**-დან წარმომდგარი ქართული სიტყვების რაოდენობა იგივეა, რომ კოკისპირულ წვიმაში იდგე და მხოლოდ რამოდენიმე წვეთი შეამჩნიო, თუმცა ბატონმა გიორგიმ ქართველ ენათმეცნიერთაგან განსხვავებით წვეთები მაინც შეამჩნია.

გარდა აღნიშნული სიტყვებისა ჩვენ უკვე დავაფიქსირეთ ქართველთა მეტყველებაში წარმართული **ჭა, ჭე, ჭი, ჭუ**-დან წარმომდგარი შემდეგი სიტყვები:

ბაჭია, ბეჭი, ბიჭი, ბიჭიკია, ბუჭყა, გორგოლაჭი, გორგომიჭელა, გოჭი, კანჭი, კაპაჭი, კაუჭი, კაჭიჭი, კენჭი, კვარაჭინა, კვაჭა, კვაჭალია, კვაჭი, კვიჭი, კვიჭიჭი, კიჭი, კლანჭი, კნაჭა, კოკროჭინა, კომიჭი, კომიჭა, კოპაჭი, კოპიჭი, კორაჭინა, კორმეჭი, კოჭი, კოჭიჭა, კოჭლი, კოჭობა, კოჭობი, კოჭოჭიკი, კოჭური, კოჭყური, კრეჭა, კრიჭა, კუკრუჭანა, კუნჭული, კუჭვა, კუჭი, კუჭკუჭი, კუჭმაჭი, კუჭურა, ლაჭუჭი, მანჭვა, მაჭი, მაჭიკი, მაჭკატი, მაჭუტი, მეჭეჭა, მეჭეჭი, მეჭეხი, მოჭიქული, მუჭი, მჭიდრო, მჭლე, ნაოჭი, ნაჭუჭი, ნაჭერი, პაიჭი, პარკუჭი, პაჭანაკი, პაჭიჭი, პაჭუა, პაჭუნი, პოჭიკი. პოჭოჭიკი, პუჭპუჭებიანი, პუჭურიკი, პუჭუჭკურა, სკიჭი, ფაჭა, ფუჭი, ფხეჭი, ქაჭვი, ქერაჭი, ქერეჭი, ქერეჭო, ქერქეჭალა, ქერქეჭელა, ქოჭი, ღანჭა, ღანჭეჭი, ღანჭიპა, ღენჭეპო, ღენჭი, ღიჭი, ღვინჭა, ღვინჭილა, ღვლეპუჭა, ღლანჭი, ღრანჭი, ღრაჭა, ღრიჭო, ღრჭიალი, ყაჭი, ყაჭყაჭა, ყიპჭო, ყირანჭა, ყიჭო, ყვანჭი, ყვაჭიჭა, ყუნჭი, ჭავლი, ჭალა, ჭალი, ჭანჭალი, ჭანჭიკი, ჭანჭრიკი, ჭანჭური, ჭაპი, ჭარიკი, ჭაუხი, ჭაღარა, ჭაჭა[1], ჭაჭა[2], ჭაჭი, ჭაჭვი, ჭაჭუ, ჭაჭყანი, ჭახი, ჭახია, ჭდე, ჭდო, ჭდობა, ჭეკი, ჭეკო, ჭენჭი, ჭეო, ჭერამი, ჭერემი, ჭერეხი, ჭეჭი, ჭეჭყვა, ჭია, ჭიაკოკონა, ჭიამაია, ჭიანჭველა, ჭიატა, ჭიაფერა, ჭიაყელა, ჭიბღერა, ჭიგო, ჭიდაობა, ჭიდილი, ჭივილი, ჭივჭავი, ჭიკი, ჭიკარტი, ჭიკვა, ჭიკვარა, ჭიკო, ჭიკორი, ჭიკჭიკი, ჭილა, ჭილი, ჭილიბი, ჭილო, ჭილობი, ჭინჭორი, ჭინკა, ჭინჭი, ჭინჭილა, ჭინჭილაქი, ჭინჭრაქა, ჭიოტა, ჭიპი, ჭიპლარი, ჭირი, ჭირხლი, ჭიტი, ჭიუხი, ჭიფხვა, ჭიქური, ჭიჭვი, ჭიჭიკო, ჭიჭილა, ჭიჭიტანა, ჭიჭკვი, ჭიჭყნა, ჭიხვინი, ჭმუჭვნა, ჭკა, ჭკანტი, ჭკდე, ჭკნავი, ჭკნობა, ჭკუტა, ჭლაკვი, ჭლიკი, ჭმუჭნა, ჭმუხვა, ჭნავი, ჭნეხვა, ჭოგრი, ჭოგრიტი, ჭოდი, ჭოთი, ჭოკი, ჭოლოკი, ჭოლპოტი, ჭორტიყი, ჭოტა, ჭოჭი, ჭოჭანა, ჭოჭინა, ჭოჭკვი, ჭოჭყი, ჭრა, ჭრაქი, ჭრიალი, ჭრიჭინა, ჭრიხვი, ჭრუ, ჭრუვი, ჭრუტი, ჭუ, ჭუა, ჭუკი, ჭუკჭუკი, ჭუპანა, ჭუპრი, ჭურობი, ჭურულა, ჭურჭელი, ჭუტვა, ჭუჭრუტანა, ჭუჭუ, ჭუჭუკალია, ჭუჭული, ჭუჭყი, ჭუჭყუნი, ჭყივილი, ჭყიმა, ჭყლეტა, ჭყორი, ხაჭაპური, ხაჭიჭორა, ხაჭმაჭიჭა, ხაჭო, ხეჭბი, ხეჭერი, ხვინჭი, ხიოჭი, ხიჭი, ხიჭვი, ხიჭიჭვი, ხოჭიჭი, ხოჭო, ხუჭუჭი...

კუჭეჭა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

ჭაჭამური – სოფელი ახალგორის რ-ნში.

ჭერემი – სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ჩამოთვლილ სიტყვებს აერთიანებთ მცნებები პატარა, მცირე.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭიფხვა** იგივეა, რაც ჭინთვა.

(ო. ქ.) **ფიხვა** მსუქანი და ფუმფულა; მუცელგაბერილი.

ჭიფხვა = **ჭი**(ჭე) + **ფ**(ი)ხვა = მცირე + გაბერილი = ჭინთვა.

გავიხსენოთ **ჯაჭვი**-ს განმარტება.

(ო. ქ.) **ჯაჭვი** ძეწკვი, ჯაჭვი.

ჯაჭვი = **ჯა** + **ჭვი**(ტე).

(ო. ქ.) **ჭვიტე** ნაპრალი; სასინათლო; ჭუჭრუტანა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვრიტე** ვიწრო, სიგრძივი ჭუჭრუტანა.

ჯაჭვი = **ჯა** + **ჭვი**(ტე) = **ხე** + **ჭუჭრუტანა** (ნახვრეტი) = ნახვრეტებიანი ხე.

ჭვიტე-დან (ჭუჭრუტანიდან) ხშირად შემოდის **ჭვირი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვირი** სხივი (რამეში გამოტანებული). || ძვ. შუქი „თეთრთა კბილთა გამოკრთების თეთრი ელვა, ვითა ჭვირი“ (რუსთაველი).

(ქ.ე.გ.ლ.) **ს-ჭვირ**-ს ძვ. იგივეა, რაც გამოჭვივის. „შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუპები" (რუსთაველი).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვირნარი** ნაჩვრეტებიანი გვირისტი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვირნიშანი** გამჭვირვალე გამოსახულება ქაღალდში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვირობა** 1. გამჭვირვალობა. ძვ. ჭვრეტა, მზერა, ცქერა.

ჭვიტე > **ჭვიტინი.**

(ო. ქ.) **ჭვიტინი ჭვრეტა; ჭიტინი**; ჭყეტა; ჭუჭრუტანიდან ყურება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭვიტინი**[1] მალვით ცქერა, ჭვრეტა, ჭიტინი.

ე. ი. **ჭვიტე** არის სა-**ჭვიტინ**-ო.

ამ სიტყვებში, დაწყებული **ჭვიტე**-დან, დამთავრებული **ჭვიტინი**-თ, ჰარმონიული წყვილი **ჭვ** განსაზღვრავს წვის პროცესს, ანუ როგორც მზე გამოსცემს სხივებს, ღამით კოცონი სინათლეს, ასევე ადამიანი (ცხოველი, ფრინველი...) მასში მიმდინარე წვის პროცესის შედეგად **ჭვრეტს** გარემოს; მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ სიტყვებში, გარდა წვის პროცესისა, თანხმოვანი **ჭ** ასევე გამოსახავს მცირე ფორმებსაც.

(ო. ქ.) **ჭვიტუა, ჭუტუა** ჭუტვა, ხუჭვა თვალისა.

(ო. ქ.) **ჭვიტილური**, ჭვიტლური ჩე ვაზის ჯიშია, მაღლარი, ისხამდა თეთრ ყურძენს, მტევანი თხელი იცოდა, მარცვალი – წვრილი. ხეზე ტოვებდნენ დიდხანს, ხანდისხან იანვარ-დეკემრამდე. ღვინო დგებოდა ძალიან კარგი, ოქროსფერი.

ე. ი. სახელწოდება **ჭვიტილური**-მ ერთდროულად გამოგვისახა როგორც ყურძნის მარცვლის პატარა (წვრილი) ზომა, ასევე მისგან დამდგარი ღვინის მზის წვის დარი – ოქროსფერი.

შევუდგეთ მცნება **ჭიჭე**-თი (მცირეთი) შედგენილ, ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა შინაარსების განმარტებას.

გორგოლაჭი

(ქ.ე.გ.ლ.) **გორგოლა** 1. პატარა ბორბალი. 2. პატარა ბურთულა (ცვილისა, პურის გულისა და მისთ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **გორგოლაჭ-ი** 1. პატარა ბორბალი. 2. ელექტრული სადენის დასამაგრებელი ფაიფურის დოლური.

განმარტებანი ცხადყოფენ, რომ მივიწყებულია სიტყვათა ეტიმოლოგიური აზროვნება. გორგოლა ესაა პატარა ბორბალი, ხოლო გორგოლა**ჭი** (გორგოლა **ჭიჭე**) გორგოლაზე მცირე ბორბალია.

ჭიხვინი

(ქ.ე.გ.ლ.) **ხვიხვინ-ი** 1. ხმადაბალი ჭიხვინი (ცხენისა). 2. გადატ. (საუბ.) ულაზათოდ სიცილი, ხარხარი.

ეტიმოლოგიური შინაარსიდან გამომდინარე, მცდარია განმარტება: 1. ხმადაბალი ჭიხვინი (ცხენისა), ვინაიდან:

ჭიხვინი = **ჭი**(ჭე) + (ხვი)**ხვინი** = მცირე ხვიხვინი (ხმადაბალი ხვიხვინი).

ჭიხვინი თავადაა ხმადაბალი ხვიხვინი.

ჭიჭყინი

ჭიჭყინი = **ჭიჭ**(ე) + (ყი)**ყინი** = მცირე ყიყინი.

არსებობს ჩვეულებრივი **ყიყინი** და ასევე **ჭიჭყინი** (მცირე ყიყინი).

ღრჭიალი

არსებობს ღრიალი და ასევე ღრ**ჭ**იალი (მცირე ღრიალი).

ქოროჭი

(ო. ქ.) **ქოროჭი** საშემოდგომო ბალახია, ხარობს მთაში, წვრილ-წვრილად იზრდება და ქალის თმასავით დაეფინება მიწას.

ქოროჭი = **ქ** + **ორო** + **ჭი** = **მიწა**(ზე) + **უხილავი** + **პატარა**.

ჭიკარტი

(ო.ქ.) **ლაკარტი** 1. საჩხვლეტი ისარი; 2.გველის ენა, შხამიანი ენა.

(ო.ქ.) **წაკარტი** წერაქვი.

არსებობს წაკარტი (წერაქვი) რომელიც შეიძლება მძლავრად ჩაარჭო მიწაში, ასევე არსებობს ლაკარტი, საჩხვლეტი ისარი და შესაბამისად, მცირე მასშტაბით, იგივე მოძრაობა სრულდება **ჭიკარტი**-თ.

ჭიკარტი = **ჭი**(ჭე) + (წა)**კარტი** = მცირე „საჩხვლეტი ისარი", „წერაქვი".

ჭიკორი

ჭიკორი = ჭი(ჭე) + **კორ**ი = მცირე სასურველი.

ჭმუჭნა

ჭმუჭნა = **ჭ** + **მუჭ**(ი) + **ნა** = **პატარა** + **მუჭი** + **სასურველი** (მოქმედება) = მუჭით (ხელით) დაპატარავება ნივთის, რომლის დაპატარავების სურვილიც გაგაჩნიათ.

(ო. ქ.) **ნჭირა**// **ჭირა** [მო]ჭერა. მინჭირანს მიჭერს. მუუნჭირუ მოუჭირა.

წარმართ. კოლხური **მუუნჭირუ** > ქართ. **მოუჭირა** > (ო > 0, ირა > 0) > **მუჭი**.

ჭყივილი

(ო. ქ.) **ჭყია**. **ჭყიალ-ი** კნავილი, ჭყივილი, ჭყვირილი; ყვირილი.

(ო. ქ.) **ცია** ყივილი; კნავილი.

ჭყია = **ჭ**(ი**ჭ**ე) + **ყია** = მცირე ყივილი (კნავილი).

წარმართ. **ჭყიალი** > ქართ. **ჭყივილი**.

ჭიჭყნა

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭიჭყნი**-ს უხეიროდ რეცხავს (სარეცხს) || ტიტყნის (მიწას, ცომს).

(ო. ქ.) **ჭყინჭყოლუა** ჭმუჭვნა, სრესა; ჟღვლემა.

ჭიჭყნა = **ჭი**(ჭე) + **ჭყ**(ი)ნ(ჭყოლუ)ა = მცირე (უხეიროდ) სრესა (ჟღვლემა).

ჭურჭელი

ჭურჭელი = ჭურ(ი) + **ჭელი**.

(ი. ყ.) **ჭკუჯი** a)сосуд; б) судно, корабль; მე-**ჭკუჯე** гончар.

ჭკუჯი = ჭ + **კ** + **უჯი** = წვის სიკეთე აღიქვი.

მეთუნე თავის ნამუშევრის საბოლოო სახეს ცეცხლში გამოწვის შემდგომ ღებულობს.

ჭკუჯი > (**ჭკ** > **ჭ**, **ჯ** > **რ**) > **ჭური**.

ჭელი = ჭე + **ლი** = **მცირე ფორმა**. **ჭელი** > **ჭელიძე**.

ჭურჭელი = ჭურ(ი) + **ჭელი = ჭური** (ცეხლში გამომწვარი თიხის ნაწარმი) + **მცირე ფორმის** (ქოთანი, თეფში, ჯამი...).

გორგომიჭელა

(ქ.ე.გ.ლ.) **გორგომიჭელა** – კაკლის მთლიანი ლებანი.

გორგომიჭელა = გორგომი + ჭელა.

მსგავსად: გური > გურამი = გულიანი, გორგოლა [პატარა ბურთულა (ცვილისა, პურის გულისა და მისთ.)] > გორგომი = დაგორგოლებული, მრგვალი.

გორგომიჭელა = გორგომი + ჭე + ლა = დაგორგოლებული (მრგვალი) მცირე ფორმა.

მჭლე

მჭლე = მ + ჭლე.

ჭლე < ჭელი = ჭე + ლი = მცირე ფორმა.

(ქ.ე.გ.ლ.) **მჭლე** სიმსუქნეს მოკლებული (ხორცი); გამხდარი (ცხოველი; ზოგჯერ ადამიანზედაც იტყვიან).

ჭალი

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭალ-ი** – ურმის ხელნებზე თანაბარ მანძილზე ჩასმული გათლილი ხეები, რომლებზედაც ხელნების პარალელურად ჩამოცმულია ზეწრები.

(ი.ყ.) **ჭილა**, ნეძიშ ჭილა... (= ბერძნული კაკლის მწვანე ნაჭუჭი). აქედან საბას:

(ს.ს.) **ჭილო** ნიორთა და მისთანათა ერთი შენაძრობი ძირთაგანი.

ჭილა > **ჭილაია, ჭილაძე, ჭილაშვილი**

ჭალი || ჭილა = ჭა + **ლი || ჭი** + **ლა** = მცირე ფორმა.

ჭალა

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭალა** წყლის პირი ნაყოფიერი (საბა); ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას.

ჭალა = ჭა + **ლა** = მცირე ფართობი.

ლაზურად = პატარა, მრგვალი ქვა, ანუ აქ **ლა** აღნიშნავს ფორმას.

ქართულ **ჭალა**-ს მეგრულში შეესატვყისება **ჭალე**, რომელშიც **ლე** აღნიშნავს სივრცეს.

ჭაღარა [= 1. თმაში, წვერში გარეული თეთრი თმა. ჭაღარა შეეპარა. 2. თეთრგარეული (თმა, წვერი...) ჭაღარა წვერი, ჭაღარა წარბები. 3. ვისაც თმაში, წვერში თეთრი აქვს გარეული. ჭაღარა კაცი.].

,,ჭაღარა“, სულხან-საბას ცნობით, დამკვიდრებულია ჰაიკთა მეტყველებაშიც და მისი შინაარსი ქართულ ,,ჭარმაღი“-ს შეესატყვისება.

(ს. ს.) ჭარმაღი [სომხურში შეესატყვისება >] ჭაღარა... ბაღარა.

(ს. ს.) ჭარმაღი ჭაღარა, მხცოვანი. ნ. კაცი, ჭაღარა.

(ს. ს.) ჭაღარა წვერჭრელი. ჭაღარა სომხურია, ქართულად მჭცო და ჭარმაღი ეწოდების.

ცდება სულხან-საბა -- ჭაღარა, ჭარმაღი წმინდა წყლის წარმართული კოლხური სიტყვებია.

კოლხური ,,ჭაღარა“ შემდეგნაირად იშლება – **ჭაღარა = ჭა + ღარი** -- სადაც:

(ო. ქ.) ღარი ღარი (მაგ. წისქვილისა).

ღარი წმინდა კოლხური სიტყვაა [= **ღა**(ლი)**რი** = წაღებული, გაკვალული] და ფუძეა **ღალი**. ღალი მეგრულად, გარდა მდინარისა, ნიშნავს ასევე ნაკადულს და ნაკადულის კალაპოტის ასოცირებით შეიქმნა **ღარი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ღარ-ი 1. სითხის ღია სადინარი ხისა (ან ლითონისა). წისქვილის ღარი. 2. გრძელი ჩაღრმავება რამეზე. მშვილდს ღარი გაუკეთა ისრისთვის. 3. სახის ნაოჭი. ქალს სახეზე ღარები აჩნდა.

(ქ.ე.გ.ლ.) ღარბელ-ი წისქვილის ღარი, რომლითაც წყალი გროვდება კოდში (იციან ზემო იმერეთში).

გუთნით რომ ღარი გაატარო, ხარებმა მიწაში ჩაფლული გუთანი უნდა გასწიონ, წაიღონ. სახეზე ღარებს დრო აჩენს და დროისვე განმავლობაში, დროისვე ნებით, სახის, სხეულის ღარების სიგრძე იზრდება, ანუ სახის ღარები დროის მიერაა გაკვალული.

ღალირი (> ნაღალარი > ნაღარი) > (ლი > 0) > **ღარი**.

ღარებით რომ მიწის ან სახის აჭრელება, დაღრეჯვა, დაღრეცაა შესაძლებელი, გვიმტკიცებენ ,,ღარი“-დან წარმომდგარი კოლხური:

(ო.ქ.) ღაჟურუა... აჭრელება, დაზოლიანება.

ღაჟურუა = **ღა**(რი) + **ჟურ**(უ) (= უჭკუო, ჩერჩეტი) + **უა** (= მოქმედება) = ღარების უაზროდ, უდროოდ გატარება, გამოვლენა = აჭრელება; დაზოლიანება.

(ო.ქ.) ღრანჯუა... დაღრეჯა (ღრანჯუა > ღრეჯვა > ღრეჯა > დაღრეჯა ჯ.კ.).

(ო.ქ.) ღრანჯილი... დაღრეჯილი (ღრანჯილი > ღრეჯილი > დაღრეჯილი ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ღრანჯავს (კუთხ.)... ნაოჭებით დასერილი (სახე).

(ო.ქ.) ღრენჩუა... იგივეა, რაც ღრანჯუა, ღრენჯუა, -- ღრეცა [**ღრენჩუა** > (ნ > 0, ჩ > ც, უ > ვ) > **ღრეცვა** > (ვ > 0) > **ღრეცა** ჯ.კ.].

მეგრული ,**ღრენჩუა**-დან რომ ქართული ,**ღრეცა** შეიქმნა, ადვილი წასაკითხია. დაფიქრებას მოითხოვს იმის აღმოჩენა, რომ **ღრენჩუა**-დანაა ასევე:

(ქ.ე.გ.ლ.) ღრეჩო 1. ვიწრო და გრძელი ჭუჭრუტანა. კარის ღრეჩო – იატაკის ღრეჩო.

(ქ.ე.გ.ლ.) ღრიჭო იგივეა რაც ღრეჩო.

იატაკის ვიწრო და გრძელი **ღრეჩო** ხომ იგივე **ღარია**. აქ შევიცნოთ ,**ღრეჩო**-ში გაცხადებული კოლხური ენის კანონთა ცოდნა. ღრენჩ-**უა** სუფიქს ,**უა**-ს მეშვეობით მოქმედებას გამოსახავს და ამიტომაც ,**ღრენჩ-უა**-დან, ასევე მოქმედების გამომხატველი **ღრეცა**-ს (< ღრეცვა) შექმნისას, სუფიქსი **უა**, გადაქართულების წესით, შეცვლილ იქნა სუფიქსით **ვა**, რომელიც შემდგომ შეიკვეცა – **ღრენჩ-უა** > **ღრეც-ვა** > **ღრეც-ა**. განსხვავებით ,**ღრეცა**-დან, **ღრეჩო** მუდმივად დაფიქსირებული, უმოქმედო რეალობაა და ამიტომაც უარყოფილ იქნა **ღრენჩუა**-ს მოქმედების სუფიქსი და ის შეიცვალა დაბლითა სივრცის გამომსახველი ხმოვანი **ო**-თი – **ღრენჩ-უა** > **ღრეჩ-ო** > **ღრიჭ-ო**. ხოლო **ღრიჭო ღრეჩო**-საგან იმით განსხვავდება, რომ იგი შედარებით მცირე ზომის ფორმას

გამოსახავს, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, აქ მოქმედებს მცირეს, პატარის გამომსახელი თანხმოვანი **ჭ**.

ასევე კოლხური ეტიმოლოგიური კანონების ცოდნით შეიქმნა **ღრეცა**-დან **ღრეკა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ღრეკ-ს... კაკვავს; ღრეცს.

რაიმეს დასაღრეცად ძალაა საჭირო და ამის აღსანიშნავად **ღრეცა**-ში სიმცირის გამომსახველი თანხმოვანი **ც** შეცვლილ იქნა ძლიერების ამღნიშვნელი თანხმოვნით **კ**-თი და **ღრეცა**-დან მივიღეთ **ღრეკა ღრეცა**-ზე ძლიერი მოქმედება.

ღრეჯა, ღრეცა-ს ცოდნიდან შეიქმნა **ღრეჭა = ღრე** (= ღრეჯა, ღრეცა) + **ჭა** (= მცირე).

ის, რომ სიტყვებს: **ღაჟურუა, ღრანჯუა || ღრეჯა, ღრენჩუა || ღრეცა > ღრეჩო, ღრეჭა,** აერთიანებთ მცნება **ღარი**, გვიმტკიცებენ კოლხური:

(ქ.ე.გ.ლ.) ღრადო იხ. ღრანტე.

(ქ.ე.გ.ლ.) ღრანტე... ღრმა და ვიწრო ხევი; ხრამი.

(ქ.ე.გ.ლ.) ღრანტობ-ი ღრანტე ადგილი (მეგრ. ტობი = ღრმა ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ღრანჭ-ი (საუბ.) ქვედა ყბა. ღრანჭი მოექცა (= ღრან + ჭი = დაღრეცილი + მცირედ ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ღრაკნილ-ი გრეხილი, დაღრეცილი, მიკლაკნილ-მოკლაკნილი (ღრაკნილი > კლაკნილი ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ღრიანკელ-ი (კუთხ.) კლდოვანი ვიწრო და ღრმა ხეობა, ხრამი (ღრიანკელი > ღრიანკალი = ღრიან + კა + ლი = კლაკნილი + ძლიერი + სხეული ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) ღრე დიდად და გრძლად ჩაღრმავებული ადგილი.

ჩამოთვლილი განმარტებები გვიხსნიან: როგორც ხარების გადაადგილების მეშვეობით გუთნით მიწა იღარება, ანუ ღარი ხარების **წასაღებია (= ოღალარია),** გასაკვალია, ასევე დაქანებულ ზედაპირებზე ღარებს (= ხევებს, ხრამებს) კვალავს, ზევიდან ქვევით ღარავს მდინარის, წყაროს ან სულაც წვიმის დინება. მყარდება ჩვენი მტკიცების საფუძვლიანობა, ანუ ღარი = ღა(ლი)რი = წაღებული, გაკვალული, წარმოქმნილი არის. მსგავსია მაღალი, მაღალარი(= წამღები), ანუ მაღალი თივის ზვინი იმიტომაა მაღალი, რომ თივის მასა არა დაბლით გაიშალა, არამედ ზევით იქნა წაღებული. ხოლო ღალი(რი) იმიტომ ეწოდება მდინარეს (ღალიძგა), რომ მას დაბლა მიაქვს, ,,წაიღო" მდინარის წყალი და მისი, ღალი(რი)-ს > ღალი-ს კალაპოტი არის ღა(ლი)რი > (ლი > 0) > ღარი.

(ო.ქ.) ღარანჩია... ღვარისაგან ფერდობზე გაკვალული ღარი.

ღარ-ანჩი-ა დამატებითი მტკიცებაა იმისა, რომ სახელწოდება **ანჩი** (> ანჩისხატი) მეგრული წარმომავლობის სიტყვაა ანუ საწყისში სამეგრელოში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში იყო დამკვიდრებული.

ღარანჩია = ღარ + ანჩი = ღარი + ზეციური = ზევიდან, ციდან (ჩამოღვრილი წვიმის შედეგად გაჩენილი) ღარი.

თუ ღარს არა წყალი, არამედ ადამიანი გაკვალავს, მაშინ ის პიროვნება იქნება მაღარი (ღალა > მაღალი) და თუ ეს ღარი დაბლა მიწაშია გაყვანილი, მაშინ გვაქვს მაღარო.

(ქ.ე.გ.ლ.) მაღარო მიწის წიაღიდან (მიწის ღარებიდან ჯ.კ.) მადნეულის მომპოვებელი საწარმო.

,,დიდად და გრძლად ჩაღრმავებული" მხოლოდ ხეობა არ გახლავთ, იგივე განსაზღვრება მიესადაგება უკვე განმარტებულ მცნებებს ფუღურო-სა და ღრუ-ს.

(ო.ქ.) ღრომა... იხ. რღომა --- რღომა... ფუღურო; ღრუ.

ღრომა:-დან შეიქმნა **ღრმა**, **ღრმა**-დან წარმოდგა ღრმული (= ამოღრმავებული ადგილი) = ღრმ(ა) + ული. **ული** მეგრულში სვლას აღნიშნავს -- ულირი = ული + რი =

წასული + არის. **ული** ქართულში იქცა მოქმედების განმსაზღვრელ სუფიქსად – წას**ული**; მოს**ული**; მორთ**ული**...

ამრიგად: **ჭაღარა = ჭა + ღარ**(ი) **= მცირე + დაღარული**.

ადამიანის ხანში შესვლა არა მარტო თმის გათეთრებით ვლინდება, არამედ მას, ამავ დროს, სახის კანიც ეღარება, უჩნდება ნაოჭი (= ნაკეცი, ნაღარი ადამიანის სახეზე). ანუ თანამედროვე განმარტებითაც, ნაოჭიანი სახე იგივე დაღარული სახეა.

ბერძნულ ლექსიკაში ანგელოზი ნიშნავს მოციქულს, მახარობელს, შიკრიკს და ასევე შეგნებული ცხოვრების დასაწყისის მაუწყებელ თეთრ თმებსაც, იგივეს მინიშნებაა სახეზე საწყისი ღარების, ნაოჭების გამოჩენა და ამიტომაც ჭაღარა-ს (= მცირედ დაღარულს) მიენიჭა „თმაში, წვერში გარეული თეთრი თმის" მნიშვნელობაც. **ჭაღარა**-ს გავლენით შეიქმნა:

(ო. ქ.) **საღარი** – შუბლზე და ცხვირზე თეთრი ფერის მქონე, -- საღარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **საღარ-ი** შუბლთეთრი ცხენი.

(ო. ქ.) **საღარია** – ზოლებიანი.

ამ განმარტებების შინაარს ატარებს გვარი **საღარაძე.**

(ო. ქ.) **დაღარი** სუსტი, უძლური.

დაღარი = დაღარული დასუსტებულია, დაუძლურებულია.

დაღარი > დაღი > დაღუა > დაღვა

რაც შეეხება ქართული ,**ჭარმაღი**-ს კოლხურ შინაარსს:

ჭარმაღი = ჭარ + მაღი = ჭარ(ილიშ) + **მაღ**(ალარ)**ი = წერილის მატარებელი** = სახეზე, სხეულზე ნაწერის (= ნაღარის) მატარებელი. ანუ ადამიანის სახის ნაღარი, კალმით ნაწერს შედარდა და მართლაც, ადამიანს სახეზე ნაღართა, ნაოჭთა რაოდენობით მისი წლოვანებაა ასახული (= წლოვანება აწერია) და რომელ სინამდვილესაც ხნიერნი მუდამ თან ატარებენ.

განსხვავებით ჭარმაღი-საგან, მსგავსი კონსტრუქციის ქართული ჭარმაგი სპარსული ნასესხობაა.

(ს. ს.) **ჭარმაგი** (ოთხფ.) თეთრზე შავით დაწინწკლული.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭარმაგი** [სპარ. ჩარმაგ „თეთრი", „თეთრი ცხენი"}1. ხანში შესული ვაჟკაცური იერის მქონე (მამაკაცი). 2. თრთვილა (თეთრზე შავად დაწინკული) ცხენი.

ჭარმაღი-ს მსგავსი სახელწოდება ფრინველებზეც ვრცელდებოდა.

(ქ.ე.გ.ლ.) **მეგრულა**... ქათმის ადგილობრივი ჯიში; მეტწილად პატარა და ჭრელი.

ამ განმარტებას ამკვიდრებენ:

(ო. ქ.) **ჭარგა** – ჭრელი.

ჭარგა = ჭარ + გა = წერილი + ფორმა, სხეული = ჭრელი.

(ო. ქ.) **ჭარჭულერ-ი**... აჭრელებული, დაწინწკლული; წინწკლებიანი.

(ო. ქ.) **ჭარჭულუა**... აჭრელება, ზოლების კეთება.

(ო. ქ.) **ჭერჭე**... ჭრელი.

აქედანაა **ჭრელა ქათამი** და საერთოდ მცნება **ჭრელი** (**ჭარჭულერი** > **ჭერჭე** > **ჭრელჭრული**). აქვეა ასევე **ჭარხალი = ჭარ + ხალი** და **ჭროღა = ჭრო + ღა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფ-ხალ-ი** (კუთხ.) იხ. მხალი.

(ქ.ე.გ.ლ.) **მ-ხალ-ი**... ზოგი ბოსტნეული ან ბალახი, რომლის ფოთლებს ხარშავენ საჭმელად. || ასეთი ბოსტნეულის ან ბალახის ფოთლებისაგან მომზადებული საჭმელი. ჭინჭრის მხალი წითელი მხალი – ჭარხლის ფოთლის მხალი.

ფ-ხალი, მ-ხალი, ჭარ-ხალი.

ჭარხალი = ჭარ + ხა + ლი = დაწერილი (შეღებილი) **+ მიწიერი + სხეული.**

(ქ.ე.გ.ლ.) ჭროღა (ჭროღასი) მოყავისფრო ჭრელი. ჭროღა თვალები. – ჭროღა თუთა. – ჭროღა ქათამი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჭროღა-ჭროღა... 1. ბევრი ჭროღა. ჭროღა-ჭროღა ქათმები. 2. რასაც ჭროღა ფერი დაჰკრავს; საკმაოდ ჭროღა. ჭროღა-ჭროღა ვარია.

ჭროღა ზუსტად იმეორებს **ჭარმაღ**ის შინაარსს:

ჭროღა = ჭრ + ო + ღა = ჭ(ა)**რ**(ილი) + **ო**(დაბლა) + **ღა**(ლა) = დაბლა სიჭრელის მატარებელი.

დაახლოებით მსგავსია სახელწოდება ქოთომი-ს შინაარსი, ანუ ხმოვანი **ო** ამ სახელწოდებაშიც განსაზღვრავს ქათმის დაბლა, მიწის ზედაპირზე არსებობას.

ქოთომი = ქო + თომა.

(ო.ქ.) ქო[1]... **ქო** შეესაბამება ხევსურული დიალექტის **ქვე** და დასავლური კილოების **ქვე, ქე, ქი** ნაწილაკებს. შდრ. ,,ვეფხისტყაოსანი": ავთანდილ **ქვე** ზის ტირილად: 244,2; **ქვე** ზის ცნობითა წყნარითა:1181,4...

როგორც ვიცით, შუმერულ-კოლხურად **ქ** აღნიშნავს დაბლას, მიწას, ხოლო ხმოვანი **ო**, კოლხური მნიშვნელობით, კიდევ მეტად ხაზს უსვამს **ქ**-ს დაბლა, მიწიერ შინაარსს. **ქვე**-ში, **ვე** = ველი და **ქვე = ქ + ვე = დაბლა + ველი**. **ქე**-ში და **ქი**-ში, ხმოვნები **ე** და **ი**, მსგავსად ხმოვან **ო**-სი, წარმოადგენენ ჩვენებით ელემენტებს – **ე** > ეგერ, **ი** > იქ და **ქე** = დაბლა ეგერ, და **ქი** = დაბლა იქით.

ქოთომი = ქო + თომა(= თმა) = დაბლა (მიწაზე) თმიანი (ბუმბულებიანი) > ქათამი.

რასაკვირველია, ჭროღა თავდაპირველად ქათამს ეწოდებოდა და მოგვიანებით იქცა ზოგად განსაზღვრებად. **ჭარ**(ილი)-ს მცნება ასევე გამოყენებულია შემდეგ სახელწოდებებში:

(ქ.ე.გ.ლ.) ჭარო[1] თოლიის მსგავსი ფრინველი ერთგვარი (ჭარლა ჭრელი მტაცებელი ფრინველია **χ.კ.**).

(ქ.ე.გ.ლ.) ჭარო[2] წყლიან-ბალახიანი (ჭრელი, აჭრელებული **χ.კ.**) ველი.

ჭარუა, წარმართული კოლხურით, ერთდროულად ნიშნავს წერას და ხატვას, ვინაიდან ჩვენ ადრე ცალკე მცნება ხატვა არ გაგვაჩნდა. ჭარილი გულისხმობდა როგორც ნაწერს, ასევე ნახატს, დახატულს. სიტყვა ხატი არაბული სიტყვაა და ძველ ქართულში ნიშნავდა გარეგნობას, სახეს. წარმართულ კოლხურს არ გააჩნდა განცალკევებით მცნება ხატვა და წერის და ხატვის პროცესები ერთი მცნებით – **ჭარა**-თი გამოისახებოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო დასაწყისში, რადგანაც დასაწყისში წერაც და ხატვაც (ბარელიეფი, ჰორელიეფი) სრულდებოდა ერთი და იგივე მყარი სახის (თიხა, ქვა...) მასალაზე ერთი და იგივე მეთოდით, ხერხით, ანუ ხდებოდა ტექსტის ან გრაფიკული გამოსახულების მყარ მასალაზე ამოკაწვრა, ამოჭრა.

მეგრულად **ჭარხალუა** ნიშნავს გაწყვეტა; გამუსვრა; მოსპობა; დაჩეხვა; **ჭარხალერი** კი ნიშნავს დაჩეხილი, მოსპობილი და ამის გამოც შეიქმნა მეგრ. **ჭარუა**-დან ქართ. **ჭრა**; ამ მტკიცების მინიშნებაა ქართ. **ჭრელი** > **მჭრელი**.

ჭარხალეთი – მდინარე ახალციხის რ-ნში.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მდინარე **ჭარხალუა** > **ჭარხალერი** > **ჭარხალეთი** ადიდების ჟამს მრავალ უსიამოვნებას აყენებს გარემოს.

ჭარა-ს სადღეისოდ შემორჩა მხოლოდ ბედისწერის მნიშვნელობა, ანუ იგულისხმება, რომ ყოველ სულიერს ბედი დაბადებიდანვე უწერია, ანუ მისი ბედი უკვე დაწერილია. აღსანიშნავია, რომ ძველ ეგვიპტეში სიტყვები ხატვა და წერა, მხატვარი და მწერალი ერთი და იგივე მცნებებს წარმოადგენდნენ და მსგავსად, წარმართულ კოლხურშიც, გარდა დაწერილისა, **ჭარა** გულისხმობდა ასევე დახატულს, ანუ მშვენიერს

და ეს შინაარსიც უდევთ სახელწოდება **ჭარა**-დან წარმომდგარ ტოპონიმებს. სახელწოდება **აჭარა**-ში, თავსართი **ა** ჩვენებითი ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს.

(ო. ქ.) ა ჩვენებ. ნაწილაკი აი, აგერ//აჰა. ა ხორცი, ა ყვალი, ა ჭკიდი, დოხოდი დო ჭკომი! – აგერ (//აი) ხორცი, აგერ ყველი, აგერ მჭადი, დაჯექი და ჭამე!

აჭარა = ა + ჭარა = აი (//აგერ) + **ნაწერი, დახატული, ამოჭრილი** (|| გამოძერწილი) = **მშვენიერი** (გარემო).

აჭარა – მხარე საქართველოსი.

აჭარა – სოფლები ზესტაფონისა და ცაგერის რ-ნებში.

აჭარისაღმართი – სოფელი ხელვაჩაურის რ-ნში.

ჭარები -- სოფელი ცხინვალის რ-ნში.

ჭარებულა – მდინარე გორისა და ცხინვალის რ-ნებში.

ჭარელა – მთა ახალქალაქის რ-ნში. (ჭარილი > ჭარელა).

ჭართალა – სოფელი ახმეტის რ-ნში.

ჭართალი -- 1) მთა დუშეთის რ-ნში. 2) მთა ადიგენის რ-ნში. 3) სოფელი დუშეთის რ-ნში. 4) მდინარე ლაგოდეხის რ-ნში.

ჭარინდა – მთა მესტიის რ-ნში.

ჭარინდა = ჭარი(ლი) + ნდ(ი) = გამოჭრილი + დევი.

ჭარნალი – მდინარე და სოფელი ხელვაჩაურის რ-ნში.

სახელწოდებაში **მაჭარი** ფუძე **ჭარ** უკვე ჭრის, კაწვრის მცნებას გამოსახავს და სრულად ისახება ახალი დუღილის პროცესში მყოფი ღვინის ბუნებას – **მაჭარი**.

აქვეა **მაჭარალი = მწერალი = მკაწრავი, მჭრელი**.

და ბოლოს ავხსნათ **ჭადრაკი**.

(ო.ქ.) ჭარდაკი იგივეა, რაც ჭანდაკი – წნული.

(ო.ქ.) ჭარდაკება – ჭადრაკობს (ჭადრაკს თამაშობს).

მეგრ. **ჭარდაკი** აერთიანებს ჭადრაკის დაფისა და მოწნულის (ღობის, ნაქსოვის...) საერთო მახასიათებელ გადახლართულ, ჭრელ ბუნებას.

ცხადია მეგრ. **ჭარდაკი** > (რ >< დ) > ქართ. **ჭადრაკი**.

გვარიც არსებობს **ჭარუაშვილი**.

ჭიდაობა

(ო.ქ.) ჭიდა... იგივეა რაც კიდა, -- გადატიხრული საღორეში (ჭიდა < კიდა – გააფრიკატების გზით, -- გ. როგავა).

ჭიდა-ში **ჭი** აღნიშნავს მცირე-ს და საღორის გადატიხვრით საერთო ფართი იყოფა მცირე ფართებად, მჭიდროვდება და შესაბამისად:

ჭიდა > (+ მ) > მ-**ჭიდ**-ა > მ-**ჭიდ**-რო.

ჭიდაობისას მებრძოლნი ერთმანეთში მჭიდროდ იხლართებიან, ანუ მათ შორის სივრცე მცირდება, მ**ჭიდ**როვდება და:

ჭიდა > (+ ობა = მოქმედება) > **ჭიდაობა = ჭიდა, მჭიდრო მოქმედება**.

ჭიდა > (ი > 0, ა > 0, + ობა) > **ჭდობა** [= მჭიდროდ ჩასვამს ერთ რასმე (ძელს, ფიცარს...) მეორეში, მის ჭრილში].

(ო.ქ.) კიდა, კიდალა... 1. კედელი... 2. ფერდობი.

(ო.ქ.) კიდირ-ი[1]... მკერდი.

(ო.ქ.) კიდირ-ი[2]... კიდება, მოკიდება (ხელის) [კიდირი > (ირი > 0, + ება) > კიდება > კიდე (= ნაპირი) ჯ.კ.].

(ო.ქ.) კიდირ-ი[3]... ტიხრული; ჯებირით ან კედლით გამოყოფილი.

აქედანაა **კიდობანი** = **კიდ**(ირი) + **ო**(დაბლა) + **ბა** + **ნი** = **ტიხრული** (= ყუთი) **დაბლა** + **მცირე** + **სასურველი, ოჯახის.**

(ო.ქ.) **კირდაშ-ი**... მკერდი [**კირდა** > (+მ, ი > 0, ა > ი) > **მკერდი** ჯ.კ.].

(ო.ქ.) **კირდე**... კლდე [**კირდე** > (ი > 0, რ > ლ) > **კლდე** ჯ.კ.].

ჭიქა; ჭრაქი; ჭინჭრაქა; ჭინკა; ჭინჭარი.

(ო. ქ.) **ქა** რქა.

ჭიქა-ს არქე კოლხური ფორმაა **ჭირაქა**, რასაც გვიმტკიცებს გვარი **ჭირაქა**(ძე) და მოგვიანებით მეგრულში დამკვიდრდა ფორმა:

ჭირქა = **ჭი** + **რ** + **ქა** = მცირე მოძრავი რქა.

ცხადია, სანამ შეიქმნებოდა ჯერ თიხისა და შემდგომ შუშის სასმისები, არსებობდა ცხოველთა რქებისაგან დამზადებული სასმისები, რომელთაც თავდაპირველად **ჭირქა** ეწოდებოდათ.ყანწი = ყა + ნ + წი = წარმონაქმნი სასურველი ასაწევი (დასალევი).

ჭირაქა-ს შინარსს იმეორებს **ჭრაქი** = მცირე მოძრავი საგანი.

აქვეა სახელწოდება **ჭინჭრაქა** = **ჭინ**(უ) + **ჭ**(ი)**რაქა**.

(ო. ქ.) **ჭინუ** წნელი.

წნელისაგან იწვნება ღობე, რომელშიაც დაძვრება ეს ღობემძვრალა **ჭინჭრაქა**.

მსგავსია **ჭრიჭინა** = **ჭ** + **რი** + **ჭინ**(უ).

(ო.ქ.) **ჭინიშ** ღობერი წნელის ღობე.

მსგავსი ტოპონიმია:

ჭაჭარაქი – სოფელი ახალციხის რ-ნში. ჭაჭარაქი || ჭრაქი.

ჭინჭრაქა-ს ოდიშში უწოდებენ **ჭინჭა** = ჭინ(უ) + ჭა =ღობე + პატარა = ღობემძვრალა, ჭინჭრაქა.

ჭინუ-დან წარმოდგება **ჭინჭარი** = **ჭინ**(უ) + **ჭარი** = მჭრელი წნელი (ჭინჭარი წნელის ფორმით იზრდება).

ჭინკა-ში **ჭინ** (წნელი) იძენს უკვე **ვიწრო**-ს, მცირე-ს მნიშვნელობებს.

ჭინკა = **ჭინ** + **კა** = მცირე ძლიერი.

ჭინ რომ ვიწროსაც აღნიშნავს გვიდასტურებს სახელწოდება **ო-ჭინახგ** (საწნახელი). **ო-ჭინახგ**-ში ყურძენი იწნეხება, ვიწროვდება, პატარავდება.

ო-ჭინახგ-დან ქართულში შეიქმნა **სა-წნახელი, წნეხი, წნეხვა** > (ხ > 0) > **წნევა**.

ჭინჭილა

(ი.ყ.) **ჭილა**, ნეძიშ ჭილა... (= ბერძნული კაკლის მწვანე ნაჭუჭი, ჭინჭილა-ს შემთხვევაში გოგრის გარეკანი).

ჭინჭილა = **ჭინ**(უ) + **ჭილა** = ვიწრო (ყელიანი) გოგრა (აყირო).

(ქ.ე.გ.ლ.) **აყირო** გრძელყელიანი გოგრა, რომელსაც ჭურჭლად ხმარობენ.

ხოჭიჭი

(კაპანაძე 18): „მესხეთ-ჯავახეთში (ახალშობილ) ბავშვს პირველად ხოჭიჭზე აწვენდნენ".

(ო.ქ.) **ხოხუა** ღოღვა, ხოხვა, ცოცვა, ჩოჩვა.

ხოჭიჭი = **ხო**(ხუა) + **ჭიჭ**(ე) = მცირე სახოხავი, საღოღავი...

ჭიუხი (შიშველი, წვეტებიანი კლდე).

ჭიუხი = **ჭი**(ჭე) + **უხი** (=უმიწო) = **მცირე უმიწო;** ანუ მთის ის მცირე, მიწისაგან გაშიშვლებული ადგილები, რის შედეგადაც მოჩანს უმიწო ქვიანი შრე, ანუ კლდე.

კაუჭი

კაუჭი = **კა** + **უჭი**(ჭე) = **ძლიერი უმცირესი**.

კუჭი

კუჭი = **კუ** + **ჭი**(ჭე) = ძლიერი მცირე.

ჭიქური

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭიქურ-ი** კრიალა, მოელვარე შენადნობი, რომლითაც თიხის ზედაპირს ფარავენ.

განმარტება არ შეესაბამება **ჭიქური**-ს ეტიმოლოგიურ შინაარსს.

ჭიქური = **ჭი**(ჭე) + **ქუ**(ა) + **რი** = **მცირე ქვა არის**, ანუ კენჭებით შესრულებული გამოსახულება და რასაც ჩვენ დღეს ფრანგულ სიტყვას – **მოზაიკა**-ს ვუწოდებთ.

(ქ.ე.გ.ლ.) **მოზაიკა** (ფრ.) მხატვრული გამოსახულება ან ორნამენტი, შესრულებული სხვადასხვა მოყვანილობის ფერადი კენჭებით, მინის, მინანქრის და მისთ. ნატეხებით.

ე. ი. სანამ საქართველოში ფრანგული ტერმინი – **მოზაიკა** შემოაღწევდა, გელათის მცირე ზომის, ფერადი კენჭებით შესრულებულ ბრწყინვალე ფრესკებს ჭიქური ეწოდებოდათ და არა მოზაიკა. მას შემდეგ რაც ქართულში დამკვიდრდა ფრანგული **მოზაიკა**,სახელწოდება **ჭიქური** უკვე თიხის ნაწარმის მოკაზმულობაზე განივრცო.

ჭუა

ლაზურ-მეგრული მეტყველებით **ჭუა** უდრის წვას და კოცნის მწველი შეხება გამოისახა ფორმით **ჭუჭუა** (= კოცნა). იმ განცდით, რომ ქათმის, ბატის, იხვის წიწილები ადამიანებში ალერსის, კოცნის გრძნობას აღძრავენ, მათ ეწოდათ **ჭუჭული**:

(ო. ქ.) **ჭუჭულ-ი** წიწილა. შდრ. საბა: ბატთა, იხუთა და მისთანათა მართვეს ეწოდება.

ამ განწყობის ტალღური რეაქციაა მეგრ. **ჭუკი**, ანუ თაგვი და არ გაგიკვირდეთ კოლხთა ასეთი დამოკიდებულება ამ ადამიანთა მუდმივ თანამგზავრთა მიმართებით, ვინაიდან მოგვიანებით მიკი მაუზმა მსოფლიო მასშტაბით იგივე შეხედულება დანერგა. აქვეა ქართული **ჭუკი** (1. ინდაურის ნაშიერი. 2. იგივეა, რაც ჭუჭული). შემდგომი განვითარებაა ჭუკჭუკი, ჭუპა-ჭუპა მეგრ. ჭუჭუა (= კოცნა) ქართულში დამკვიდრდა ჩვილის მამაკაცური ბუნების დასტურის, ანუ ჩვილთა საშარდე ორგანოს სახელწოდებად. ყოველივე ამის ცოდნას მოიცავს გვარი **ჭუჭულაშვილი.**

ჭუჭულა || **ჭუჭული** = **ჭუ**(ა) + **ჭუ**(ა) + **ლი** = **მწველი** + **მწველი** + **ფორმა** (სხეული) = საკოცნელი (ბატის, იხვის, ქათმის, ინდაურის, თაგვის... და ადამიანის მართვეები)

ჭუა-ს (წვის) შემდგომ სხეულის მოცულობა პატარავდება და:

(ო. ქ.) **კუჭუა** 1. ჭმუჭნა. 2. ჭუჭრუტანის ამოვსება, დაგმანვა.

(ო. ქ.) **კუჭუ** პატარა და დაბალი.

(ო. ქ.) **კუჭული** კუნჭული.

(ო. ქ.) **კუჭუჭ-ი** ხუჭუჭი.

(ო. ქ.) **კუჭუხია** ძლიერ პატარა და ულამაზო; ვიწრო. (> კუჭუხიძე)

მეგრ. **ჭუა** ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულ ლექსიკონში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭუა** 1. წვრილი მწერი ჭიაღუა. 2. (საუბ.) იგივეა, რაც ტილი.

ჭირი

ამ ქვეთავის ბოლოს განვიხილოთ **ჭი**-დან (**მცირე**-დან) წარმომდგარი სიტყვა **ჭირი** (> გასა-**ჭირი**, შავი **ჭირი, ჭირვეული...**).

(ო. ქ.) **ჭირი** – ჭირი.

(ო. ქ.) **გენჭირა** – დაჭერა (ზევიდან).

ჭირი = **ჭი**(ჭე) + **რი** = **პატარა, მცირე** + **არის**.

ამრიგად: **პატარა** > და-**პატარა**-ვება || **მცირე** > და-**მცირე**-ბა || **ჭირი** > გასა-**ჭირი**.

ჭირი-დან შეიქმნა მცნებები: **დაი-ჭირა, მოუ-ჭირა, მომ-ჭირ-ნე, გა-ჭირ-ვება, სა-ჭირ-ოება...** ანუ როცა ავადა ხარ, სიცხე, როგორც საწნახელის მარწუხებში მოქცეულ ყურძნის მტევანს, ისე დაგაჭერს, რომ სულ ოფლად იღვრები, იწურები. იგივე აზროვნებაა მცნებაში **დამცირება**, ანუ **დამცირ**ება (თავმოყვარეობის, ღირსების შელახვა) ეს შენი თავმოყვარეობის, ღირსების გრძნობის **დაპატარ**ავება, **შემცირ**ებაა.

თანხმოვანი ზ

თანხმოვანი **ზ** თანხმოვან **ჭ**-ს მსგავსი ფსიქოლოგიის მატარებელი თანხმოვანი გახლავთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ თანხმოვან **ზ**-თი აღინიშნება წყლის, ანუ მდინარეთა, ან ამ მდინარეთა, ღელეთა, წყაროთა სიახლოვეს არსებულ დასახლებათა სახელწოდებები (ზანა, ზანავი, საზანო...). თანხმოვან **ზ**-ს ძირითადი თვისება მაინც წვის პროცესის გამოსახვაა და იგი შუმერული მეტყველებიდან იწყება.

ქართულად **გიზ-გიზი** – ძლიერი ცეცხლის ხმა, ბრიალი. იგი მომდინარეობს შუმერული ტერმინიდან **გი-იზი ჩირაღდანი** [სიტყვასიტყვით **ლერწამი** (გი) + **ცეცხლი** (იზი) = ცეცხლწაკიდებული ლერწამი (**ჯემალ შარაშენიძე**)].

მსგავსად წვის პროცესის გამომსახავი თანხმოვანთა ჰარმონიული წყვილის **ჭკ**-სი (წვის სიკეთე), კოლხურ მეტყველებაში არსებობს იგივე დანიშნულების ჰარმონიული წყვილი **რზ** (მოძრაობა ცეცხლოვანი).

(ი. ყ.) 1. **რზ:** რზამა зажигать, возжигать... დაჩხირი რზგ огонь горит... მირზგ (г. მინთია) у меня горить (огонь, свеча...);-- ე-რზამა; --აკო-რზამა или ი/ეკო-რზამა возжигать, разводить огонь, ср. г. გზება.

2. **რზ**: რზება, გა-რზება, გო-რზება (г.გაძლება) устоять против чего, сопротивляться.

3. **რზ** || **რძ**: რზია, რძია, რძალა давать, отдавать... ვარზენქ, ვარძენქ (г. ვაძლევ), ვარზი, მე-მირზუ; რზიალი, რძიალი задаток, залог.

კოლხური მირზგ (г. მინთია) ფუძეა გვარისა მირზიაშვილი; ხოლო **რძალა**-დან მივიღეთ ქართული **რძალი** – უცხო ოჯახიდან გამოთხოვილი, ანუ „მოცემული".

მიუხედავად მნიშვნელოვანი კონსტრუქციული სხვაობისა, იოსებ ყიფშიძე მაინც ავლენს შინაარსობრივ მსგავსებას მეგრ. **რზამა**-სა და ქართ. **გზება**-ს (**გზნება**-ს) შორის, რომელთაც ფაქტიურად საერთო მხოლოდ თანხმოვანი **ზ** გააჩნიათ. მართლაც, მეგრ. **რზამა**-სა და ქართ. **გზება**-ს (**გზნება**-ს) აერთიანებთ წვის პროცესის მცნება, რომელსაც თანხმოვანი **ზ** გამოსახავს. თანხმოვანი **ზ** არის წვის პროცესი და რაც აუცილებელი

პირობაა მოძრაობისთვის, ამის ცოდნით მეგრულში არსებობს **ზა** (= გზა). თუ რატომ ეწოდა სავალს **ზა**, ამას აგვიხსნის გენიალური **ორზოლი** (= საგზალი).

ორზოლი = **ო** + **რზ** + **ოლი** = **ო** (= ქართ. თავსართი სა) + **წვა** + **სავალი** (გზა) = (საგზალი არის) გზის საწვავი, ანუ თუ მანქანისათვის საწვავი ბენზინია, ადამიანის საწვავი საკვებია (გზაზე მოძრაობის შემთხვევაში საგზალი).

ქართული ენის შემქნელებმა წარმართულ **ზა**-ს წინ დაუსვეს მიწის აღმნიშვნელი თანხმოვანი **გ** და მიიღეს:

გზა = **გ** + **ზა** = **მიწა** + **წვა** = მიწაზე წვის პროცესი.

ანუ გზა ესაა მიწის სავალი ნაწილი, რომელიც გამოყოფილია მოძრაობისთვის, ანუ წვის პროცესისათვის. ამ ცოდნის შემდგომ შეიქმნა:

გზნება = **გ** + **ზ** + **ნე** + **ბა** = **მიწა** + **წვა** + **სასურველი** + **მოქმედება** = მიწიერი წვის სასურველი მოქმედება.

მხოლოდ ამის შემდგომ უნდა გაჩენილიყო **გეზი. ზ** (წვის პროცესი) მხოლოდ გადაადგილებისათვის არ წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს.

(ი. ყ.) რდ: რდუალა **растить, воспитивать, расти.**

რდ (მოძრაობა ძლიერი) აღნიშნავს ადამიანის (ცოცხალი ორგანიზმის) როგორც ფიზიკურ, ასევე გონებრივ განვითარებას. ქართული ენის შემქნელებმა ეს თემა განავითარეს და წარმართულ **რდ**-ს წინ ფიზიკური, გონებრივი განვითარებისათვის აუცილებელი წვის პროცესის აღმნიშვნელი თანხმოვანი **ზ** დაუსვეს და მივიღეთ:

ზრდა > აღ-**ზრდა** > აღმ-**ზრდ**-ელი > აღ-**ზრდ**-ილი > **ზრდ**-ილობა > უ-**ზრდ**-ელი > მო-**ზრდ**-ილი > მ-**ზ**-ა-**რდ**-ი > მო-**ზ**-ა-**რდ**-ი > სა-**ზრდ**-ო > მასა-**ზრდ**-ოებელი....

ამ მნიშნელობებიდან სიმბოლიურია სა**ზრდ**ო-ს შინაარსი:

(ქ.ე.გ.ლ.) საზრდო 1. საკვები, საჭმელი... 2. გადატ. (წიგნ.) რაც სულიერად ან გონებრივად მატებს ადამიანს.

წვის პროცესს მუდმივად მაღლითი, ზედა მიმართულება გააჩნია და ამ თვალსაზრისით ჩვენი ძიების ინტერესს იწვევს არაბული **ზენიტი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ზენიტი [არაბ.] 1. ცის სფეროს უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი ამა თუ იმ დამკვირვებლის თავზე. მზე ზენიტშია.

შესაძლოა არაბული ზენიტი-ს გავლენად მივიჩნიოთ ქართული **ზენა** (ზემო, ზედა) და შესაბამისად: **ზე**, **ზევით**, **ზედა**, **ზემო**... **ზ** განსაზღვრავს რა მაღლითა მიმართულებას, ქართულში მივიღეთ **მზე** (> **მზერა**) რომელიც თავის თავში ერთდროულად აერთიანებს მზის ორ მახასიათებელს – მზე ზევითაა და ცხელია.

ცნობა, რომ ხევსურეთში მწყემსები რძეს **ზის ცვარს**, ანუ **მზის ცვარს** უწოდებდნენ, ჩვენი მტკიცების დასტურია.

ისევე როგორც მეგრულში **ჭკ**-დან (წვის სიკეთიდან) შეიქმნა **ჭკუა**, ქართულში **ზრ**-დან (ცეცხლის მოძრაობიდან) წარმოდგა **აზრი** და **ზრახვა**. იგივე საფუძველიდან წარმოდგნენ **ზრუნვა** > **საზრუნავი** > **მზრუნველი** > **უზრუნველი**... აღსანიშნავია, რომ მეგრულად **აზრს** ეწოდება **არზი**, ანუ საფუძველია **რზ**-ამა (ანთება, წაკიდება ცეცხლისა). ასევე **ზაფრა**-ს მეგრულად ეწოდება **რზაფა** მისი ცეცხლოვანი შეფერილობის გამო (**რზაფა** > **ზაფრა**).

გარდა სვლისა, თანხმოვანი **ზ** წარმართულ კოლხურში სხვადასხა მოძრაობებსაც გამოსახავს და რომელთაგანაც წარმოდგნენ შესაბამისი ქართული სიტყვები:

წარმართ. **ზეება** > ქართ. **დაზავება**... **ზადუა** > უ-**ზადო**, **მზადება**, **მზა**, **მზარეული**... **ზიდუა** > **ზიდვა**, **მიზიდულობა**, **საზიდარი**... **ზოგუა** > **ზოგვა** (**დაზოგა**)... **ზვირთუა** > **ზვირთი**, **ზვინი**... **ზვიდუა** > **აზვიდული**, **ზვიადი**...

თანხმოვანი მ

ჩვენ უკვე შევიცანით, რომ კოლხურ მეტყველებაში თანხმოვან **მ**-ს ლოგოგრამაა **მამა**, წარმართული კოლხურით **მუმა**.

ღმერთი = ღ + მ + ერთი = სიცოცხლის ძალა + მამა + ერთი = მამა ღმერთია ერთადერთი სიცოცხლის მომნიჭებელი,

განსხვავებით კოლხური მეტყველებისა, მსოფლიოს მრავალ ლექსიკაში თანხმოვანი **მ** ძირითადად დედის, ქალის მცნებას აღნიშნავს. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ჩინურადაც **მა** > **მამა** დედის მცნებას გამოსახავს. იგივე მეორდება წინააზიურ სივრცეში.

(აკაკი გელოვანი 289): „მამი – შუმერთა ქალღმერთი, უძველეს ტექსტებში „კაცთა მშობელი საშო“.

(აკაკი გელოვანი 287): „მა – მცირეაზიური დიდი ქალღმერთი, ღმერთების დედა... ზევსისა დედად და ცოლად თვლიდნენ კუნძულ კრეტაზე“.

(აკაკი გელოვანი 287): „მაატი -- მსოფლიო წესრიგის ქალღმერთი, ქმნილების არსებითი ნაწილი ეგვიპტურ მითოლოგიაში. ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების მომწესრიგებელი. თოტის ცოლი. ღმერთების დინასტიის ტრადიციით ესაა რეს ძალა (კა, რომლის წყალობითაც თვით ღვთაება ცოცხლობს). მთელი ეგვიპტის ცნობიერებაში ეს საყოველთაოდ პატივდებული ქალღმერთი „წესრიგის, სიმართლის, სამართლიანობის" სინონიმი იყო, ქალის სახე ჰქონდა, თავზე ფრთა ეკეთა (შეად. ბერძ. თემიდა). განსჯიდა მიცვალებულებსაც“.

(აკაკი გელოვანი 337): „მუტი – ძერის სახის თებელი ქალღმერთი, „იშერუს ტბის დედოფალი"(ეს ტბა კარნაკის ამონის ტაძართან იყო). ამონის მეუღლე.. მის დიდებაზე მეტყველებს ის, რომ ფარაონმა ამენოფის III (1403—1365 ძვ. წ.) კარნაკში თავისი დიდებული ტაძარი მუტის 574 ფიგურით შეამკო“.

(აკაკი გელოვანი 287): „მაგნა მატერ (ლათ.) – დიდი დედა, რეა-კიბილე“.

(აკაკი გელოვანი 294): „მატრი, მატრისი (სანსკრ. **Mata, Matris**, ბერძ. **meter**, ლათ. **mater,** გერმ. და ედაში **Mutter**) – დედობის ქალღმერთი ინდურ მითოლოგიაში, დედობრივი საწყისი და ენერგია, რაც მეუღლის სახით უერთდება დიდ ღმერთებს. ამ გაგებით ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება“.

(აკაკი გელოვანი 295): „მე (Me) – ღვთაებრივი ძალა, ყოველივე პიროვნული თუ საზოგადოებრივი, მნიშვნელოვანი და არსებითი, დადებითი და შესაბამისად უარყოფითი სუბსტანცია შუმერულ მსოფლგაგებაში. აქ გაერთიანებულია ღვთაებრივი და მიწიერი ფენომენები: მეფობა, საომარი ძალისხმევა, სიმართლე და სიცრუე, სამჭედლო და სამუსიკო იარაღები, თოხი და ა. შ. მითის მიხედვით ამ ძლიერ ორიგინალურ თვალსაზრისს გამოხატავს ღმერთი ენქიდუ, რომელიც ფლობდა აბზუს **100 მეს** და უსაზღვრო ძალაც ჰქონდა, შემდეგ (ქალღმერთმა) ინანამ მოსტაცა".

აქ უკვე ჩნდება საინტერესო ვერსია სახელწოდება **მედეა**-ს (**მედეია**-ს) ეტიმოლოგიური შინაარსიის თაობაზე. ვიცით რა, რომ ყოველი კოლხური სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს, სახელწოდება **მედეია** (**Medeia**) იშლება შემდეგნაირად:

მედეია = მე + დეია.

გავიხსენოთ, რომ:

(აკაკი გელოვანი) დეიმა (**Deima** – შიში) – შიშის განსახიერება, ძეგლად იდგა მედეას შვილის სამარეზე კორინთოში.

დეიმა > (მ > 0) > **დეია**.

ამრიგად, **მედეია** = **მე** + **დეია** = **ღვთაებრივი ძალა** + **შიში** = საშიში ღვთაებრივი ძალი(ს პატრონი) = ჯადოქარი.

(აკაკი გელოვანი 296): „მედეა (Medeia) კოლხთა მეფის აიეტის და ოკეანიდა იდიას... ან ქალღმერთ ჰეკატეს ასული, მზის ღმერთის ჰელიოსის შვილიშვილი, გრძნეულ კირკეს ძმისწული, იაზონისა და მერე ეგეოსის მეუღლე, „მსოფლიოს უდიდესი ჯადოქარი", ექიმი, ბალახთა და წამალთა მესაიდუმლე, მედიცინის დედამთავარი, რომლის სახელიც დაედო ძირად სიტყვა მედიცინას. მედეას განსაკუთრებული სულიერი ძლიერება, მისი ჯადოქრობის ზებუნებრივი ნიჭი, მკვდრის გაცოცხლებისა და ცხვრის ბატკნად ქცევის უნარი, დრაკონების ეტლით გადაფრენა და სხვ. მოწმობს, რომ უწინ ქალღმერთი ყოფილა, მერე გამხდარა ჯადოქარი. საბერძნეთში მას თაყვანს სცემდნენ, ტაძრები ჰქონდა, უმღეროდნენ“.

ეტრუსკული მხატვრობით (ძვ. წ. VI—VII ს.ს.) მედეა გამოსახულია როგორც ჯადოქარი.

ისევე როგორც ენქიდუს ღვთაებრივი ძალა მე ინანამ მოსტაცა, ასევე მედეამ საკუთარი მამის, ძლევამოსილი აიეტის საიდუმლოებები იასონს გადასცა. თავად ენქიდუ, რომელიც ფლობდა აბზუს 100 მეს და უსაზღვრო ძალაც ჰქონდა, ადამიანთა მოდგმის წინაპარია.

(აკაკი გელოვანი 168): „ენქიდუ – თიხისაგან გამოქანდაკებული ბრძენი გმირი შუმერ-აქადურ მითოლოგიაში, არხებისა და მიწათმოქმედების ღმერთი... პირველი კაცი, შუმერთა ადამი, პირველად ველებზე ცხოვრობდა, ქურციკთა, ხართა და ირემთა შორის, იცავდა ამ ცხოველებს მტაცებელი ცხოველებისაგან... ესაა კაცთა ბედის სიმბოლური სახე“.

თანხმოვან **მ**-ს ძლიერი ბუნების შეცნობის მიზნით მოვიძიოთ სახელწოდება მანგლისი.

(**ზურაბ ჭუმბურიძე** 466): „**მანგლისი** აქადურ-შუმერულად „ციხეს", „სიმაგრეს" ნიშნავს და სწორედ ამის მიხედვით უნდა იყოს დარქმეული".

სახელწოდება **მანგლისის** საწყისი შემადგენელი **მან** მრავალ ენაშია დამკვიდრებული.

(აკაკი გელოვანი 289): „1. მანია (ლათ.) – ქვესკნელის საშინელი ძველიტალიური, ალბათ ეტრუსკული ქალღმერთი... უძველეს დროს ოჯახის კეთილდღეობას ავედრებდნენ და ამ მიზნით ბავშვებსაც კი სწირავდნენ...

2. მანია (ბერძ. **mania, manie**) – სიგიჟე, უგონობა, შეშლილობა, აქედან განდიდების მანია... შემოქმედებითი სიგიჟე, შთაგონების სიშმაგე... სიგიჟის ქალღმერთის სახით ახლავს ჰერაკლეს, შვილებს აკვლევინებს...

მანიები – ქვესკნელის ქალღმერთები...

აქ აღსანიშნავია რომ წარმართული კოლხურით ბებია ქალს **დედ-მანია** ეწოდება.

მანტიკა – შთაგონება, მკითხაობა, მისნობის ნიჭი...

მანები (ლათ. **Manes**) -- მიცვალებულთა ეფემისტური (კეთილი) სულები, გაღმერთებული ძალები (დიი მანეს), რომელთაც უპირისპირდებიან ავი სულები (იმ-მანეს). მათი სამფლობელოა ქვესკნელი, საიქიო, ღრმა მიწისქვეშეთი...

მანგური – სახალხო გმირი, უძლეველი ვაჟკაცი სვანურ სიმღერა-ბალადებში.

მანუ [სანსკრიტ. კაცი, ადამიანი] – ძველინდური მითოლოგიით წარღვნის გმირი, პირველი ადამიანი და მეფე -- „კაცობრიობის წინაპარი“.

ინგლისური მეტყველებით მან (**man**) აღნიშნავს ადამიანს, ხოლო კოლხური მეტყველებით პირველი პირის ნაცვალსახელს..

(ო. ქ.) **მან** იგივეა, რაც **მა**, -- მე, პირველი პირის ნაცვალსახელი (მხ. რიცხ.).

აქადურ-შუმერული ფორმანტი **მან**-ი ასევე ძლიერი-ს, დიდი-ს მნიშვნელობით დამკვიდრდა კოლხურ მეტყველებაში.

(ს. ს.) **კოლომანი** – მწარე დიდად.

(ო. ქ.) **კოლო** მწარე.

კოლომანი = **კოლო** + **მანი** = მწარე ძლიერ = ძლიერ მწარე.

მანგარი = **მან** + **გა** + **რი** = **ძლიერი** (დიდი) + **მთა** + **არი** = მაგარი. დიდი მთის ძლიერება დაედო საფუძვლად მცნება **მაგარი**-ს აღსაქმელად. თვალსაჩინოა აქადურ-შუმერულ **მანგლისი**-სა და კოლხური **მანგარი**-ს ერთგვაროვანი აზროვნება.

(ო. ქ.) **მანგ**-ი სწორი, დარი, ნაირი, ტოლი; შესაფერისი; დარდი, ფერი.

მანგი = **მან** + **გი** = **ძლიერი** + **მიწა** (მიწიერი).

მანგი-ს დაემატა რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი **ნერო** (ნაირად) და მიიღეს **მანგიერო** = **მან** + **გ**(ურ)**ი** + (ნ)**ერო** = ძლიერ მსგავსის ნაირად > (ქართ.) სა-მაგიერო, მაგიერი.

(ო. ქ.) **მანგურ-ი** ბადალი, მსგავსი.

მიღებული ცოდნის საფუძველზე შეგვიძლია ავხსნათ **მანგური**-ს სრული შინაარსი. ანუ ვიცით რა, რომ **გური** შუმერი დემიურგი ღთაება ენქის სახელია, მაშინ:

მანგური = **მან** + **(ენ)გური** = **ძლიერი** + **ღვთაება გური** = ღვთაება გურის ძლიერ მსგავსი, მისი ბადალი და [ღვთაება გურის მსგავსი] უძლეველი ვაჟკაცი სვანურ სიმღერა-ბალადებში.

ჩვენ უკვე ახსნილი გვაქვს, რომ ვინაიდან ერთმა დემიურგმა ღვთაება **ენ-გური**-მ შექმნა ადამიანები ერთი და იგივე მასალისაგან (მიწისაგან, ანუ გუ-საგან), ამდენად ადამიანები ერთმანეთსაც **გუ**-ანან.

გუარი = **გუ** + **არი** = **მსგავსი არის**.

მაშინ: **მანგური** = **მან** + **გუ** + (ა)**რი** = ძლიერ მსგავსი არის.

იგივე ცოდნიდან გამომდინარე, შესაძლოა სვანური **მანგური**-ს წაკითხვის მეორე ვარიანტიც:

მანგური = **მან** + **გური** = **ძლიერი** + **გული** = ძალზედ გაბედული.

(ო. ქ.) **მანუა** ტრუსვა, გარუჯვა.

მანუა = **მან** + **უა** = ძლიერი მოქმედება.

გოგმანი = **გოგ** + **მანი** = გოგვა ძლიერი.

იამანი = **ია** + **მანი** = ძლიერ (მსგავსი) იასი. > იამანიძე.

ლამაზმანი = **ლამაზ(ი)** + **მანი** = ლამაზი ძლიერ.

ლურსმანი = **ლ** + **ურს** + **მანი** = ჰაეროვანი (მსუბუქი ფორმა) + მოძრაობს + ძლიერად.

მანავი (სოფელი საგარეჯოს რ–ნში) = **მან(ი)** + **ვი** = ძლიერი სივრცე.

მანკი = **მან**(ი) + **კი** = ძლიერი ძლიერი (მცირე).

მანუჩარი = **მან**(ი) + **უჩა** + **რი** = ძლიერ შავი არი. აქვეა დუდუჩავა (დუდუჩა = თავშავი). სპარსული მანუჩეხრ-ი ცალკე კვლევის თემაა.

მურმანი = **მურ**(ს) + **მანი** = მოდის ძლიერი.

მსხვილმანი = **მსხვილი** + **მანი** = ძლიერ მსხვილი.

ქალამანი = **ქა** + **ლა** + **მანი** = მიწიერი ფორმა ძლიერი.

ღმერთმანი = ღმერთი ძლიერი.

ყარამანი = **ყარა** + **მანი** = მოძრავი ძლიერ.

წვრილმანი = **წვრილი** + **მანი** = ძლიერ (ბევრი) წვრილი.

გვარები: **მანია** (ძლიერია); **მანჩხავა** > **მანჩხაშვილი** (**მან** + **ჩხა** = ძლიერ ცხელი); **თურმანიძე** (**თურ** +**მანი** = ძლიერ ახლობელი); **სურმანიძე** (**სურ** + **მანი** = ძლიერ სასურველი); **მანჯავიძე** (**მან** + **ჯა** + **ვი** = ხესავით ძლიერი ფორმა = მანჯა > მაჯა); **მანჯგალაძე** (**ჯგალი** სოფელია ზუგდიდის რ-ნში); **სულამანიძე** (**სულა** + **მანი** = სულა ძლიერი).

თანხმოვან **მ**-ს მამა, მფარველი ბუნება გამორჩეულად იკითხება თანხმოვან **მ**-ს წარმართულ სიტყვათა გადაქართულებისას ან სრულიად ახალი მნიშნელობის კოლხური სიტყვების წარმოქნისას, სიტყვის თავში დასმით, ამ ქმედებით, ქართული ენის შემქნელთა წარმოდგენით, თანხმოვანი **მ** აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას.

ჩვენ საწყისშივე წარმოვადგნეთ მაგალითები: მეგრ. **გერი** > ქართ. **მგელი**; **დელო** > ქართ. **მდელო**; მეგრ. **დიდარი** > ქართ. **მდიდარი**; მეგრ. **დუღა** > ქართ. **მდუღარე**; მეგრ. **ზადება** > ქართ. **მზადება**; მეგრ. **თელი** > ქართ. **მთელი**; მეგრ. **თხობელი** > ქართ. **მთხრობელი**; მეგრ. **კვიდრი** > ქართ. **მკვიდრი**; მეგრ. **კირდე** > ქართ. **მკერდი**; მეგრ. **კუხე** > ქართ. **მკუხე**; მეგრ. **წიფული** > ქართ. **მწიფე**...

განვიხილოთ მსგავს სიტყვათა წარმოქმნის მაგალითები.

მშვიდი

მეგრული **ვითი** ქართულად არის ათი; ხოლო **შქ+ვითი** (შქვითი) = ქართ. **შვიდი**.

შქვითი > (**შქ** > **შ**, **თ** > **დ**) > **შვიდი** > (+**მ**) > **მშვიდი** > **მშვიდობა**...

კოლხურ ციფრებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჯერჯერობით ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იკითხება კოლხური ციფრების სახელწოდებებში ჩადებული წინააზიური სამყაროს შესაქმეს ცოდნა: **ართი** (ერთი) გაყოფაა; **ჟირი** (ორი) ზედას აღნიშნავს; **სუმი** (სამი) წყალია; **ოთხი** მიწის გაცხადებაა... **შქვითი**, როგორც იკვეთება, სიმშვიდეს ანუ ერთიანი სამყაროს გაყოფის დამთავრებას უნდა აღნიშნავდეს... **ჩხორო** (ცხრა) ეს მზის უხილავი ძალაა... შესაძლოა **ვითი** (ათი) კოსმიური სივრცის სრულ გაცხადებას მიგვანიშნებდეს. ამ ცოდნის საწყისი სახით წარმოდგენა მხოლოდ ჩვენი წინააზიური სამყაროს კოსმოლოგიური ხედვის სათანადო სიღრმისეული შესწავლის შემდგომაა მოსალოდნელი.

მცირე.

ლაზურ-მეგრულ მეტყველებაში თანხმოვან **ც**-თი უმეტესად გამოისახება პატარა ზომის ფორმები, მოძრაობები: **ცი**ზუა (წვრილად წვიმა); **ცი**კალი (ძალიან პატარა, პაწაწინა); **ცი**მორი (მცირე ზომის თევზი); **ცი**მუა (მარწყვი); **ცი**ნდა (ციდა); **ცი**ნდალი (კატის კნუტი); **ცი**ორი (წვრილად თოვა); **ცი**რა (გოგო); **ცი**რუა (ცრა); **ცი**რქუ (პატარა); **ცი**ტალი (ძალზე პატარა); **ცი**ციბი (ძალიან პატარა) და სხვა მრავალი. ეს, რასაკვირველია, ასახულია ქართულშიც, მაგალითად: **ცი**ცინათელა = პატარა, პატარა ნათება; **ცი**გა (პატარა ფორმა); **ცი**ალი (მცირე ალი); **ცი**კანი...

აი ამის ცოდნით ქართულში შეიქმნა **ცირე** = **ცი** + **რე** = **პატარა არის**. შემდგომ **ცირე**-ს თავში დაუსვეს სიტყვის მნიშვნელობის გამაძლიერებელი, მფარველი თანხმოვანი **მ** და მივიღეთ ახალი კოლხური მცნება მცირე (> **შემცირება, დამცირება, მომცრო**...). ქართული **ცირე**-ს შემდგომი განვითარებაა **ცერა**.

მწერი – სიტყვა წარმოდგება მეგრული **ჭანჯი**-დან (= ბუზი).

ჭანჯი = **ჭ**(იჭე) + **ან** + **ჯი** = **მცირე** + **ზე**(ვით) + **ქვე**(ვით). უზუსტესად გამოსახავს მცირე ფორმის ბუზის მომაბეზრებელ, უთავბოლო ფრენას ზევით და ქვევით. გადაქართულების წესით -- **ჭანჯი** > (**ჭ** > **წ**, **ა** > **ე**, **ნ** > **0**, **ჯ** > **რ**) > **წერი** > (+**მ**) > **მწერი**.

,,ჭანჯი" ასევე ჰაიკთა ლექსიკის შემადგენელიცაა და რაც კოლხური გავლენის ერთ-ერთი მაგალითია.

მღერა

ფუძეა მეგრული **ღორა**.

(ო. ქ.) **ღორა** იგივეა, რაც **ღვარა**, **ღვარაფი**, -- ღრიალი, ყვირილი.

ღორა > (ა > ე) > **ღერა** > (+მ) > **მღერა** > მო-**მღერა**-ლი > **სი-მღერა**.

მწიკვლი (ჭუჭყი, უსუფთაობა).

ფუძეა მეგრული **წიკუა**.

(ო. ქ.) **წიკუა** გაჭუჭყიანება, დასვრა; გასვრა რამეში; წაბილწვა.

(ო. ქ.) **წიკვილი** დასვრილი.

წარმართ. **წიკუა** > **წიკვილი** > (+მ) > ქართ. **მწიკვი(ლი)**.

(ქ.ე.გ.ლ) **მწიკვი** ძვ. „თითებით აღებული მარილი~ (საბა), -- წება.

წარმართ. **წიკუა** > **წიკვილი** > (ი > 0) > **ქართ. წიკვლი** > (+ მ) > **მწიკვლი** > **უმწიკვლო.**

(ქ.ე.გ.ლ) **მწიკვლი** 1. ტანის ჭუჭყი. || ჭუჭყი, უსუფთაობა (საერთოდ). 2. გადატ. ზნეობრივი სიბინძურე, უპატიოსნება, შეცოდება, უწმინდურება.

(ქ.ე.გ.ლ) **უმწიკვლო** 1. უბიწო, შეურყვნელი, წმინდა... 2. უნაკლო, უანგარო, პატიოსანი.

წარმართ. **წიკვილი** > (ვი > 0) > ქართ. **წიკლ** > **წიკლაური და არა მწიკლაური**.

მწირი

სიტყვის ფუძეა მეგრ. **წირ**.

(ი.ყ.) **წირ: წირუა процеживать, черпать, вижимать** (გაწურვა, ამოხოპვა ჯ.კ.); წირდე суша (ხმელეთი; მშრალი, დაწრეტილი ადგილი ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **წირეხი** კუთხ. (იმერ. გურ.) დაგრეხილი წნელი.

დაგრეხვის დროს **წნელი** როგორც სარეცხი ისე იწურება.

მეგრული **წირ**-იდან ქართულში შეიქმნა სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები:

1. **წირუა** > (ი > უ, უ > ვ) > **წურვა**.

2. **წირუა** > (უ > ვ) > **წირვა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **წირვა** მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება, რომელიც დღისით სრულდება. წირვას გამოუყვანს - 1) იგივეა, რაც ანდერძს აუგებს. 2) გადატ. (საუბ.) მთლიანად დახარჯავს (ფულს, ქონებას).

საწყის ორ განმარტებაში იანგარიშება, რომ მღვდელთმსახურებისას, ან ანდერძის აგებისას შესრულდა, ამოიწურა საეკლესიო დოგმატით გათვალისწინებული ყველა წესი და რიტუალი. მესამე განმარტებით პიროვნებამ სრულად ამოწურა, ,,წირვა გამოუყვანა" საკუთარ ფულად, ქონებრივ შესაძლებლობებს. ქართული ,,წირვა"-დან წარმოდგებიან: მწირველი, საწირავი, ხოლო ამის შემდგომ, ქართულის გავლენით, მეგრულში ,,წირუა"-მ მიიღო დამატებითი, განსხვავებული ქრისტეანული მცნება ,,წირვა"-ს მნიშვნელობაც.

(ი.ყ.) **წირ: წირუა** обедня; служить обедню; жертвовать (წირვა, წირვის აღსრულება, შეწირვა ჯ.კ.).

3. **წირ** > (+მ) > **მწირი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **მწირ**[1]-ი უნაყოფო, მოუსავლიანი. მწირი ნიადაგი.

იგივე შინაარსია რაც განვიხილეთ წინა შემთხვევებში. მწირია ნიადაგი რომელსაც ამოეწურა მცენარეთა მკვებავი, მაცოცხლებელი ყ ძალა. ასევე მწირია სამშობლოდან მოწყვეტილი (გამო**წურ**ული) და უსახსრო (ამო**წურ**ული) ადამიანი.

4. (ქ.ე.გ.ლ.) მწირ[2]-ი (ძვ.) 1. უცხოეთიდან გადმოხვეწილი, - უთვისტომო, უნათესავო. || გადატ. ღარიბი, უქონელი. (გან-წირ-ული ჯ.კ.)

მეგრ. **წურილი** > (უ > ვ) > ქართ. **წვრილი** („გამოწურული“).

ქართული **წვრილი** ასევე უშუალო კავშირშია მეგრულ **წვირალი**-სთან.

(ო. ქ.) წვირალი მაღალი და წვრილი ტანისა, -- ტანწერწეტა.

(ქ.ე.გ.ლ.) წირ 1. სპეც. იგივეა, რაც ხაზი... წრეწირი.

წირუა-დან წარმოდგა ასევე **წრე**. ანუ როცა ორივე ხელის მტევნებით წურავ, მაგალითად ყველის მასას, ხელის მტევნებით წარმოიქმნება წრე, ანუ გასაწური ყველის მასა ექცევა თითების წრეში.

მხნე

(ო. ქ.) ხანი ხანი; დრო, ჟამი.

განსხილველი სიტყვის ფუძეა **ხანი** (> ხანშიშესული, ხნიერი...). ისევე როგორც მეგრული **ჩა**-დან შეიქმნა **უ-ჩა**-ში (უთეთრესი), ქართულში **ხანი**-დან წარმოდგა **უ-ხნ**-ესი (**ხნ**-იერი, **ხნ**-ოვანი), ანუ ფუძე **ხნ** გამოსახავს ხანის, ხნოვანების მცნებებს, ხოლო თანხმოვან **მ**-ს მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფუძე **ხნ**-ს თავსართად თანხმოვან **მ**-ს დასმით მივიღეთ განსხვავებული მნიშვნელობის მცნება **მხნე**, ანუ სიტყვა **მხნე** მიგვანიშებს, რომ პიროვნება, რომელსაც ეს განსაზღვრება ესადაგება, მიუხედავად **ხანი**-სა (წლოვანებისა), **მხნე**-დ (ახალგაზრდულად) გამოიყურება, მოქმედებს.

თანხმოვანი ჟ და ჰარმონიული წყვილი ჩხ

წარმართული კოლხური მეტყველებით მზეს ეწოდება **ბჟა**, ანუ იგივე **ჟა** (**ჟა**-შხა = მზე-დღე = მზის დღე = კვირა). მზე (**ჟა**) მუდმივად მოძრაობს და დრო მზის მოძრაობის ციკლითაც განისაზღვრება; ამის გამოც გაჩნდა მცნება **ჟამი** (გური > გურამი). ე. ი. **ჟა** > **ჟამი** და იგივე შედეგს ღებულობს საბა.

(ს. ს.) ჟა ქარაგმით ჟამსა.

მზის ორ მახასიათებელს -- მოძრაობას და სიცოცხლის არსებობას გამოსახავს თანხმოვანი **რ**, მზის ცხელ ბუნებას თანხმოვანთა წყვილი **ჩხ**(ე) (ცხელი, ცეცხლოვანი), ხოლო მზის მაღლა, ზეცაში მდებარეობას აფიქსირებს თანხმოვანი **ჟ**(ი) (მაღლა).

(ო. ქ.) ჟი, ზმნზ. ზევით, მაღლა.

(ს. ს.) ჟი ქარაგმით ჟამი.

თუ საკვებ პროდუქტს მზისგან (სითბოსგან) მოშორებით, გრილ ადგილს არ შეინახავთ, მზის შუქის ქვეშ, მზის სივრცეში მიტოვებული საკვები პროდუქტი მიიღებს სპეციფიურ მწარე გემოს, ანუ იქნება **მჟავე**.

მჟავე = **მ** + **ჟა** + **ვე** = **მ** + **მზე** + **ველი** = მზის სივრცის (მოქმედების შედეგი).

(ქ.ე.გ.ლ.) ჟოლო 1. ტანმორჩილი კენკროვანი ბუჩქი ვარდისებრთა ოჯახისა: ისხამს სურნელოვან, მოწითალო ფერის ტკბილ ნაყოფს.

ჟოლო = **ჟო** + **ლო** = **მზე** (დაბლა) + **სივრცე** (დაბლა) = დაბლა მზე (მიწაზე).

ბჟოლა = **ბჟ**(ა)**ო** + **ლა** = **მზე** (დაბლა) + **ფორმა** (სხეული) = მზის (დარი) ხე = თუთა.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟიჟო ახლად თავჩენილი ბალახი.

ახლად თავჩენილი ბალახის უპირველესი მახასიათებელი მიწიდან მაღლით, მზისკენ მიმართულებაა და რასაც აფიქსირებს სახელწოდება **ჟიჟო** = **ჟი** + **ჟ**(ა)**ო** = **ზევით** + **მზე** (დაბლა) = ზევით, მზისკენ (მიწიდან).

ადვილი ასახსნელია **ჟოლი.**

(ქ.ე.გ.ლ.) ჟოლი[2] კუთხ. (ქიზ.) „ნაყარი ფუტკრის ბარტყი, ახალ გეჯაში ან სკაში რომ გადადის“ (ს. მენთ.).

განმარტება მცდარია, ფუტკარმა არ იცის არც გეჯა და არც სკა, ნამატი ფუტკრის გუნდი ძირითად სკას რომ გამოეყოფა ის სადმე მაღლა, ახლომახლო ხეზე ან რაიმე შვერილზე დროებით როგორც მზის დისკი მრგვლად დედა ფუტკრის გარშემო ფორმირდება და პატრონმა უნდა მოასწროს მისი დაბინავება, თორემ ჩქარა გაურკვევლი მიმართულებით გადაადგილდება. აი ამ სკიდან მაღლა ხეზე ნაყარის, ფუტკრების გუნდის მზის დარ მრგვლოვან ფორმას გამოსახავს ქიზიყში შემორჩენილი წარმართული კოლხური ჟოლი. გაიხსენეთ კოლი, დოლი, ბოლი და:

ჟოლი = **ჟ**(ა) + **ოლი** = მაღლა სვლა (აფრენა სკიდან).

(ქ.ე.გ.ლ.) კოჟანდარი (კუთხ.) სულ უმცროსი შვილი, ნაბოლარა.

კოჟანდარი = **კო** + **ჟა** + **ნ** + **დარი** = **სასურველი** + **მზე** + **დედა** + **დარი** = სასურველი მზის დარი დედის (ოჯახის).

ბჟიტი (იგივეა რაც ჭუჭული) = **ბ** + **ჟი** + **ტი** = **მცირე** + **მზიური** + **თბილი.**

(ო. ქ.) ჟღალი ჟღალი, -- მუქიწითელი ფერი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟღალი 1. შავმოწითალო (ფერი).

(ქ.ე.გ.ლ.) ჟღალთვალიანი ჭროღა თვალების მქონე.

ჟღალი = **ჟ**(ა) + **ღალ**(ა) = **მზე** + **ტარება** = მზის (წითელი ფერის) მატარებელი.

იგივე შინაარსის მქონეა **ღაჟო** (მომცრო გარეული ჭრელი ფრინველი, მწყერის მსგავსი, სიჭრელის გამო იყენებენ მიმინოს დასაჭერად).

ღაჟო = **ღა**(ლა) + **ჟო** = **ტარება** + **მზე** (დაბლა) = (მიწაზე) მზის (ფერების) მატარებელი.

(ქ.ე.გ.ლ.) ღაჟღაჟი 1. წითლად ელვარება, წითლად ბრწყინვა. ყაყაჩოს ღაჟღაჟი გააქვს.

ღაჟღაჟი = **ღა**(ლა) + **ჟ**(ა) + **ღა**(ლა) + **ჟი** = **ტარება მზის** = წითლად ღუის, წითლად ელვარებს. – ამ ცოდნის გამეორებაა ღადღადი – ძლიერ ნათება, ელვარება, კაშკაში.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟინჟღალა მწითური, სისხლსავსე, ღაჟღაჟა.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟინჟღილი ჩირაღდანი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟინჟღლი წვრილი წვიმა.

ჟინჟღილი მიგვანიშნებს ჩირაღდნის მზის ნათებასთან მსგავსებას, ხოლო ჟინჟღლი გვიხსნის, რომ წვრილი წვიმის დროს გარემო ნათელია და ხშირად მზეც ანათებს. აქვეა **ჟიკჟიკი, ჟოლვა.**

(ქ.ე.გ.ლ.) ჟოლვა ბჟუტვა.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟიკჟიკი კუთხ. (ფშ.) ბრწყინვა, ციმციმი, პრიალი.

იგივეს წარმოსახავს **ჟუჟუნა.**

(ქ.ე.გ.ლ.) ჟუჟუნა 1. მოციმციმე (თვალები). 2. ნელი და ხანგრძლივი წვიმა.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟუჟღვა ძვ. მკრთალად ნათება, ბჟუტვა.

მზის ძალის სიჭარბე ირგვლივ ყოველივეს მუსრს ავლებს.

(ქ.ე.გ.ლ.) ჟუჟვა მუსრის გავლება, ხოცვა, ჟლეტა.

მეგრ. **ჭყილიტუა** > ქართ. **ჭყ-ლეტა** > **ჟ-ლეტა,** თანხმოვანი **ჟ** (ზე) აძლიერებს ჭყ-ლეტა-ს მნიშვნელობას და მივიღეთ **ჟ-ლეტა,** მსგავსია:

მეგრ. **ღორა** > ქართ. **ღ-რიალი** > **ჟ-ღ-რიალი** > **ჟ-რიალი.**

მეგრ. **ღორა** > ქართ. **მ-ღერა** > **ჟ-ღერა.**

მეგრ. **ღორა** > ქართ. **ბღავილი** > **ჟ-ღავილი** (> ჟღარუნი, მჟღავნდება... აქვეა ჟღურტული)

(ო. ქ.) **ბეჟუა** დაბეჟვა; მაგრად ცემა (აქედან გვარი **ბეჟუაშვილი** და ქართ. **ბეჟვა** ჯ.კ.).

ბეჟუა = ბე + ჟ + უა = მცირე + მზე + მოქმედება, ანუ ცემით ისე აწითლებენ, რომ მცირედ მზეს ამსგავსებენ.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჟეჟვა** 1. ერთმანეთზე ან სხვა მაგარ რამეზე ცემით დაარბილებს (ვაშლს და მისთ.). 2. ძალიან ცემა.

მეგრულში როგორც **ბჟა** ანუ **ჟა**, ასევე **ბჟე** ანუ **ჟე** აღნიშნავს მზის ანუ სიწითლის მცნებას და:

ჟეჟვა = ჟე + ჟ(ე) + ვა = მზე + მზე + მოქმედება = გაწითლებამდე რტყმევა, დაბეჟვა. ჟეჟვა > ჟუჟვა ანუ ჟუჟვა ჟეჟვას განვითარებაა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბჟუტვა** ძლივძლივობით ანთია და ოდნავ ანათებს.

განმარტებისთვის გავიხსენოთ მეგრ. **ჭუტუა** > ქართ. **ჭუტვა** (ოდნავ, ნახევრად ხუჭავს თვალს), მაშინ:

ბჟუტვა = ბ + ჟ + (ჭუ)ტვა = მცირედ + მზის (თვალის) + **ჭუტვა** (> **ბჭუტური**).

(ო. ქ.) **რიჟალი** 1. ძლიერ წითელი; 2. თვალებბრიალა.

წარმართული კოლხური **რიჟალი**-სთან გავიხსენოთ რუსული Рыжий (წითელი, წითური).

(ო. ქ.) **რიჟინი** ბრიალი, კარკვლა თვალებისა.

(ო. ქ.) **რიჟრაჟუ** რიჟრაჟი, გარიჟრაჟი, განთიადი.

რიჟრაჟუ = რი + ჟ + რა + ჟუ = მოძრაობა + მზე + მოძრაობა + მზე.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბაჟა** ხორცეული შეჭამანდის შესაკმაზავი მომჟავო წვენი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბაჟე** უმად შეკაზმული ნიგვზის წვენი.

ბაჟა || ბაჟე = მცირე მზე. მართლაც, **ბაჟა**-ს და **ბეჟი**-ს ფერები მზის სხივთა შუქის ტონალობათა გამოვლინებებია. აქვეა რუსული **Беж** – ჩალისფერი.

ბეჟანი = ბე + ჟა + ნი = მცირე + მზე + დედა = მცირე მზე დედის.

აქვეა გვარი **ბჟანია = ბჟა + ნ + ია = მზე + დედა + პატარა** = პატარა მზე დედის.

აღსანიშნავია, რომ **ბეჟანი** ასევე ძველი ირანის ლეგენდარული გმირის სახელიცაა და რაც წარსული საერთო კულტურული სივრცის მინიშნებაა. თქვენ უნდა დარწმუნებულიყავით თუ სახელწოდება **ბეჟანი** რაოდენ წმინდა კოლხური აზროვნების მატარებელია (**ბაჟა, ბაჟე, ბეჟუა, ბჟა, ბჟანია, ბჟიტი, ბჟუტვა – ბეჟანი**).

ვაჟი = ვა + ჟი = ელვა (ძლიერება) + **ზე** (მზე) = ელვარება მზიური.

ვაჟა = ვა + ჟა = ელვა (ძლიერება) + **მზე** = მოელვარე მზე.

(ო. ქ.) **ჟინ-ი** ზენა, ზემო; ზედა, ზევითა.

ჟინი (ზედა) განმსაზღვრელია ქართული სიტყვებისა: **ჟინჟღალა, ჟინჟღილი, ჟინჟღილა, ჟინჟღლი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჟინჟღალა** მწითური, სისხლსავსე, ღაჟღაჟა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჟინჟღლი** წვრილი წვიმა.

ჟინჟღალა-ში **ჟინ** (ზედა) ხაზს უსვამს წითელი ფერის ბუნებას მზესთან კავშირს, ხოლო **ჟინჟღლი**-ში **ჟინი** (ზედა) მიგვითითებს წვიმის ზევიდან წარმომავლობას.

(ო. ქ.) **ჟინაფა** 1. [გა]მზეურება; მზეზე გაფენა. 2. ჭკნობა (ზედმეტი მზის მხურვალება აჭკნობს როგორც მცენარეს ასევე სახის კანს ჯ.კ.)

(ქ.ე.გ.ლ.) **ჟინ-ი** 1. დიდი, უძლეველი სურვილი, წადილი (ანუ სურვილთა ზედა ზღვარი).

(ო. ქ.) **ჟინვალუ** ზემავალი.

ჟინვანი (ჟინვალი-ს არქე სახელწოდება) დაბა დუშეთის რ-ნში.

ჟინვანი = ჟინ + ვანი = ზედა, ზევითა + ნათელი (სივრცე).

ვეჟინი (**ვეჯინი**-ს არქე სახელწოდება) სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ვეჟინი = **ვე** + **ჟინი** = **ველი** (სივრცე) + **ზედა, ზევითა.**

(ო. ქ.) ჟინოთა ტოპონ. სოფ. სალხინოში (მარტვილის რაიონი), სადაც ჟინანთარზე ლოცულობდნენ წინათ.

(ო. ქ.) ჟინი-ანთარ-ი რელიგ. ზეციური ანთარი, -- საქონლის მფარველი ღვთაება.

ოჟიო -- სოფელი ახმეტის რ-ნში.

ოჟიო წარმართული კოლხურით იკითხება როგორც **საზეო,** იგულისხმება **სამზეო.**

კიჟინი = **კი** +**ჟინი** = **ძლიერი** + **ზედა** (ზღვარზე).

(ქ.ე.გ.ლ.) ჟიკჟიკი კუთხ. (ფშ.) ბრწყინვა, ციმციმი, პრიალი. დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის, მცვრევა ბალახზე ნამისა (ვაჟა).

ჟიკ = **ჟი** + **კ** = **ზევით** (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) + **ძლიერი, მშვენიერი** > **ჟიკჟიკი** = ბრწყინვა, ციმციმი, პრიალი.

(ო. ქ.) ჟიმოლე ზემოთ.

მეგრ. **ჟიმოლე** > ქართ. **ჟიმი** – ეწოდებოდა ძალოსანთა მიერ შტანგის აწევის ერთ-ერთ წესს და ვინაიდან **ჟიმი**-ს შესრულებისას ძალოსანს წნევაც მაღლა უწევს, ამდენად, აქედანაა შემდგომ **აჟიმა, ჟიმვა... ჟიმჟიმი.**

(ქ.ე.გ.ლ.) გიჟი 1. ფსიქიურად (სულიერად) დავადებული, -- ჭკუაზე შეშლილი, გადარეული. 2. გადატ. გახელებული, გაშმაგებული, თავზეხელაღებული. 3. საუბ. (ძალიან) ცელქი, დაუდეგარი, მოუსვენარი, გიჟმაჟი, ცეტი.

გიჟი-ს ეტიმოლოგია უზუსტესად ეხმიანება სიტყვის განსაზღვრებას.

გიჟი = **გი**(მე) + **ჟი** = **დაბლა** + **მაღლა** (ცა).

ჩვენი განმარტების მეორე მტკიცებაა **გიჟე** (< **გიმე** + **ჟიმოლე**).

(ო. ქ.) გიჟე (გიჟეს): **გიჟე წყარი** – განელებული, ნელ-თბილი წყალი.

არც ცხელი და არც ცივი, ორი ურთიერთ საწინააღმდეგო, დაბლითა და მაღლითა, ცივი და ცხელი ძალების ნაზავი.

ამრიგად, **გიჟი** = დაბლასა და მაღლას = მიწასა და ცას შორის გამოკიდებულია, ანუ არც მიწისაა, არც ცისა. არც ჭკვიანი და არც სულელი – თავისუფალია და აქედან – **გიჟმაჟი**. **გიჟმაჟი**-ში **მაჟი** (< **მაჟიაშე**) აძლიერებს განმარტებაში მცნება მაღლითას, ცის მნიშვნელობას.

(ო. ქ.) მაჟიაშე ზმნზ. სიმაღლიდან.

ჩვენ უკვე გავეცანით კოლხთა შეხედულებას, რომ მოძრაობისათვის, აზროვნებისათვის აუცილებელია ორგანიზმში მიმდინარე წვის პროცესი (ჭკ). იგივე დამოკიდებულებაა მზის მცნების მიმართებითაც.

(ო. ქ.) ჟურუ უჭკუო, ჩერჩეტი; უგუნური; მოსულელო.

კვლავ განმეორდა ჩხურუ-ს პრინციპი: **ჟურუ** = **ჟ** + **ურუ** = **მზე** + **გაუჩინარება**, ანუ თუ **მზე** (წვის პროცესი -- ჭკ) მიგატოვებს ხდები: **უჭკუო, ჩერჩეტი; უგუნური.**

მზის, სიცხის უდიდეს მნიშვნელობას გვიმტკიცებს ასევე ჰარმონიული წყვილი **ჩხ**, რომელიც გამოსახავს ცისა და მიწის, ქალისა და კაცის ცხელ ურთიერთობების ასოცირებით სიცხის მცნებას.

(ლერი ალიმონაკი „ლაო-ძი" 277): „ჩინელთა თავდაპირველი რელიგია ეფუძნებოდა წარმოდგენას, რომ სიცოცხლის ძირი და წყარო ცა და მიწაა. ცა წარმოადგენს მამრულ საწყისს, ყოველივე არსებულის მშობელს. ცა არის აქტიური, მიწა პასიური. ცა ჩამსახველი, მამაკაცური ძალაა, მიწა – წარმომშობი, ქალური ძალაა. ცა დიადი, მიწაზე უფრო სრულქმნილია, მისი მოძრაობა მხოლოდ ცასთან შეერთების შემდეგ იწყება. ცა და მიწა საკუთარი არსებობისათვის კი არ იღწვიან, ყოველთვის გასცემენ და სხვათათვის იღწვიან. „აი რად არიან მარადიულნი".

(**ზურაბ კიკნაძე** 65): „მხოლოდ ცისა და მიწის გაწონასწორებული კავშირია კოსმოსი, რომლის ცნებას შუმერული ენა გამოხატავს კომპოზიტით ან-ქი („ცა და მიწა“), -- ვითარება, როცა ორივე სფეროს თავისი მყარი და უცვლელი ადგილი უჭირავს და არ ითქვიფება ერთმანეთში, წინააღმდეგ აპსუ-თიამათისა. დგება ისეთი ვითარებაც, როცა განიხვნება „საქანელნი ცათანი“ და ერთმანეთს ერწყმიან ზესკნელ-ქვესკნელის წყლები... გრგვინვის ხმა, ერთ შემთხვევეაში რომ დამღუპველ წარღვნას მოასწავებს, სხვა ვითარებაში „ამძუვნებული“ ცის ძახილია დედამიწის მიმართ, რადგან ამ დროს ცა „დიდი ხარია~ (ამ-გალ), ხოლო დედამიწა „ჭეშმარიტი ფური~ (აბ-ზი), თავის მამრისაგან მტკნარი წყლის მომლოდინე, რაც იგივე აპსუსეული სპერმაა. ამიტომაც, როცა ცა გრგვინავს, დედამიწა ბანს აძლევს მის ხმას; ხმას მოჰყვება ღვარი, „ცის ფეხად ჩამოსვლა“ და ამ წარღვნისდარ ორომტრიალში ცა და მიწა ახლოს მიდიან ერთმანეთთან, კვლავ ერწყმის ერთმანეთს ზესკნელ-ქვესკნელური ღვარი, -- რაც mutatis mutandis იმეორებს აპსუ-თიამათის პირველყოფილ კავშირს... ამ შერწყმის შედეგად იშვის ან განახლდება ბუნება“.

აპოლონიოს როდოსელი გვამცნობს: „კოლხთა საფიცარია ურანოსი და გეა“ ანუ იგივე **ცა და მიწა.**

კოლხური მეტყველებით მიწის (ქალის) მცნება, სხვადასხვა განზომილებათა მიხედვით, ოთხი **გ, ქ, ყ** და **ხ** თანხმოვნებით გამოისახება, თანხმოვან **ჩ**-ს ლოგოგრამა ცაა, ხოლო შუმერულ-კოლხური აზროვნებით ცა მამრია.

ვინაიდან კაცი ცის შვილად ითვლებოდა, ქალი მიწის განსახიერება იყო, კოლხები ქალებს მიწაში მარხავდნენ, ხოლო ტყავში გახვეულ მამაკაცებს ხეზე („ცაში") კიდებდნენ. ამდენად:

ჩხ = **ჩ** + **ხ** = **ცა** (მამაკაცი) + **მიწა** (ქალი) = მწველი, ცეცხლოვანი (შეხვედრა).

ამ ცოდნის გათვალისწინებითაა ჩხე (ცხელი);; **ჩხანა** = **ჩხა** + **ნა** = **ცხელი** + **დედა** = მზე; თბილი, მარჩენალი რძის მიზეზით ეწოდა ძროხას **ჩხუ**; დაუდგრომელ, ცეცხლოვან ბუნებას გადმოსცემენ სახელწოდებები: **ჩხენი** (ცხენი), **ჩხომი** (თევზი), **ჩხუ** (ძროხა), **ჩხამა** (წვრილი თევზი), **ჩხერი** (სოფ. ხარაგაულის რ-ნში), **ჩხერი** (მდ. ყაზბეგის რ-ნში), **ჩხერიმელა** (მდ. ხარაგაულისა და ზესტაფონის რ-ნებში)...

ჩხ-დან წარმოქმნილ სახელწოდებებიდან გამორჩეულია **ოჩხონე.**

(**სერგი ჟღენტი** 43): „ჭან. **ო-ცხოპუ** ნიშნავს: `სხლვა, გასხლვა“. გურულში ამ ფორმის შესატყვისი ფორმა გავაქვს: „სხეპვა“ იმავე მნიშვნელობით.

ჭან. „სუმ კოჩი-თი გოცხოპუ“ -- სამი კაცი მოკლა (გასხეპა). გურ. „ბჟოლის დასხეპვა“ ნიშნავს თუთის ხის ტოტების დაჭრას.

აღსანიშნავია, რომ ჭანურის „ცხ“ კომპლექსის შესატყვისი გურულში გვაქვს „სხ“ კომპლექსი. გარდა ხსენებული მაგალითისა, შეიძლება დასახელებულ იქნას სხვა მაგალითებიც. მაგ.: ჭანური ო-ცხონეს შესატყვისი გურულში გვაქვს: „სხვენი“ სამზარეულო სახლის ჭერები და ის არე საერთოდ, რომელიც მოთავსებულია სახლის სახურავსა და საცეცხლურს შორის. ჭანური მცხულის შესატყვისი გურულში გვაქვს: სხალი. მ იკარგვის, ან ზოგჯერ ფშვინიერდება და ვღებულობთ: ფსხალი“.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სერგი ჯღენტის მიერ **ოცხონე**-ს მნიშვნელობის დაფიქსირება, რომლის არქე ფორმაა **ოჩხონე**. **ოჩხონე** შუაცეცხლის თავზე არსებულ სივრცეს, ცეცხლის მოქმედების პერიოდში ფაცხის ყველაზე ცხელ ადგილს, ფაქტიურად ცეცხლის აურას ეწოდებოდა. აქ კიდებდნენ შესაბოლად ღორის ხორცს, გამოშიგნულ ქათამს, სულუგუნს. ამის გამო გაჩნდნენ – **ჩხონუა** (მადიანად ჭამა) და **ჩხონაფა** (ცხონება); მსგავსია **ჩხანაფა** (მზეობა, მზეზე მიფიცხება).

ოჩხონე = **ო** + **ჩხო** + **ნე** = **სა** + **ცხელი** (დაბლა) + **ტკბილი** = სიცხე სასურველი.

გადაქართულების წესით, **ო-ჩხო-ნე** გახდა **ო-ცხო-ნე** > **სა-ცხო-ნ**ებელი და მართლაც, ცეცხლის პირას სადილობა, თავის შესაქცევით, ნამდვილად ცხონებაა. უკვე ქართული **ცხო**-დან წარმოდგნენ: **ცხო**-ბა, **ცხო**-ნე-ბა, **ცხო**-ვარი (> ცხვარი), მა-**ცხო**-ვარი, **ცხო**-ველი, **ცხო**-ვრება (< **ცხორ**ება), ცო**ცხ**ალი (< **ცხორ**ცხალი) > სიცო**ცხ**ლე, უ-**ცხ**ო, საუ-**ცხ**ო-ო... ა-**ცხო**-ბს > მია-**ცხო** > მის-**ცხო** > მი-**ცხ**-ება > მიე-ფი-**ცხ**-ა > ფი-**ცხ**-ი...

მეგრ. **ჩხ** > ქართ. **ცხ** > **ცხ**ადი, ცინ**ცხ**ალი, **ცხ**არე, სი**ცხ**ე, **ცხ**ება, **ცხ**ედარი (ადრე საწოლს ერქვა), **ცხ**ელი, სირ**ცხ**ვილი, **ცხ**რა, **ცხ**უნება...

ქართული **ცხ** რომ წარმართული კოლხური **ჩხ**-ს მექანიკური კალკაა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქართულში დამოუკიდებლად თანხმოვანი **ც** სიცხესთან, ცოცხალთან დაკავშირებულ მცნებებს ვერ წარმოქმნის. ანუ ქართული **ცხ**-ს შინაარსი წარმართული კოლხური **ჩხ**-ს აზროვნებიდან მომდინარეობს.

კოლხურს ასევე გააჩნია ჰარმონიული სამეული – **რჩხ**.

ჩხ-ე გამოსახავს მცნებას ცხელი, ხოლო არსებობისა და მოძრაობის გამომსახველი თანხმოვნის **რ**-ს დამატებით ვღებულობთ ცხელ მოძრაობებს. მეგრ. **რჩხელება** ნიშნავს გაცხელება-ს, **რჩხ**უალა > რეცხვა-ს და **რჩხ**ილი > გარეცხილი.

ვარჩხილი = **ვა** + **რჩხილი** = **ელვა** (ნათება) + **გარეცხილი** (სუფთა) = ვერცხლი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეგრ. **ურჩხული** ნიშნავს გაურეცხავს და ქართულში ეს ეწოდა ზღაპრულ საზარელ ცხოველს – გველეშაპს.

რეცხვისას წყლის ხმაური ისმის და:

(ო. ქ.) რჩხიალი -- ჩხრიალი.

(ო. ქ.) რჩხვია, რჩხვილა – კივილი, ჩხავილი.

(ო. ქ.) ნაკვაჩხირი მუგუზალი, შეშის ანთებული ნაწილი; **ნაკვერჩხალი**.

წარმართული **ნაკვაჩხირი** ქართულში დამკვიდრდა ფორმებით ნაკვერჩხალი, ნაკვერცხალი და ერთი და იგივე მნიშვნელობების მატარებლები არიან.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელწოდებებში **ნაკვერჩხალი** და **ნეკერჩხალი** საერთო შემადგენელი ფორმანტი **ჩხა** (მზე) განსაზღვრავს მათ ცეცხლოვან ბუნებას – მოგეხსენებათ შემოდგომით **ნეკერჩხალი** გამოირჩევა თავისი მზის მსგავსი წითელი შეფერილობით, ხოლო ცხელი **ნაკვერჩხალი** ასევე მზესავით ვარვარებს.

კოლხური მსოფლმხედველობით მზე, წვის პროცესი (ჟა, ჩხანა, ჭკ, ცხ) სიცოცხლის ერთ-ერთი უმთავრესი ძალაა და იგივეს ვაწყდებით სლავურ მეტყველებაში, მხოლოდ ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ ეს ხედვა ჩამოყალიბებულია კოლხურის მსგავსი აზროვნებით.

აქ გველოდება კოლხურ-სლავურ ურთიერთობათა მცირე ექსკურსია.

ჩვენ უკვე აღმოვაჩინეთ, რომ **ბაჟა**-ს, **ბაჟე**-ს და Беж-ის ფერები ერთი და იგივე **ბჟა**-ს (მზის) სხივთა ფერადოვანი სპექტრის ტონალობებია, ანუ სამივე მცნება (**ბაჟა, ბაჟე**, **Беж**) ერთი ბჟა-ს (მზის) შინაარსიდან წარმოდგებიან. იგივე თემას ეხმიანებიან **Рижий, Желтый.**

კოლხური **კაჟი** (= ძლიერი ცეცხლი) გამოსახავს **ბჟა**-ს (მზის) ცხელ, ცეცხლოვან თვისებას, ასევე სლავური **Жара** წარმოგვიდგენს **ბჟა**-ს, **ჟა**-ს (მზის) ცხელ, ცეცხლოვან თვისებებს.

გაეცანით თანხმოვან ჟ-თი შემდგარ რუსულ სიტყვებს, რომლებიც იგივე დატვირთვას ატარებენ რასაც კოლხური **ჟა, ჩხ** და **ცხ**-საგან შემდგარი ტერმინები:

Жизнь (|| სიცოცხლე); **Жечь** (|| ცეცხლი); **Жгучий** (|| ოცხონე); **Железо** (ცეცხლის საშუალებით მიიღება); **Живой** (|| ცხორცხალი); **Жеребец** (|| ჩხენი, ცხენი); **Жилой** (|| საცხოვრისი); **Жрать** (|| ოჭკომალი); **Жила; Жатва; Урожай; Рожать; Жажда; Желание; Журчание...**

მეგრული **კორობუა** და რუსული **Коробка**.

(ო. ქ.) კორობუა, კოროფუა – ბოჭვა, შეგროვება, შეკრება.

კორობუა = კ + ორო + ბ + უა = სასურველი + ჩრდილი + ძლიერი + მოქმედება.

გავიხსენოთ, რომ რუსულმა ენამ იცის კოლხური **ორო**-ს, **ხორო**-ს, **ორომე**-ს მნიშვნელობები, რომელსაც ის ამჟღავნებს სიტყვებით:

Хоромы – ძვ. დარბაზები, იგივე ოხორები. (Х-**оромы** > **Хором** > **Храм**).

Хоронить – დამარხვა, ანუ **ორო**-ში, **ორომე**-ში მოთავსება.

ანუ რუსულმა ენამ იცის კოლხური **ორო**-ს შინაარსი, რომ როცა რამეს (ადამიანებს, ხეებს, ხილს...) მობოჭავ, შეაგროვებ, შეკრებ, მათ ქვეშ მიწა იჩრდილება. იგივე ხდება კოლოფის, ყუთის, ანუ მცირე ზომის ორომე-ებში. ამრიგად, ამ ცოდნის გათვალისწინებით, მეგრული **კორობუა**-ს მსგავსად რუსულში შეიქმნა Коробка, ხოლო მეგრული **კოროფუა**-დან წარმოდგა ქართული **კოლოფი**, ანუ იგივე **Коробка**. გარდა ამისა, **კორობუა**-დან ქართულში შეიქმნა **კრება... კოროფუა**-დან **კრეფა**...

(**არნოლდ ჩიქობავა** XI): „ახალ ქართულში იხმარება „ხილის კრეფა“. მეგრულში და ჭანურში წილუა || ო-წილ-უ, სულ სხვადასხვა ძირია: სად კრეფა და სად წილი? ეს უკანასკნელი ამჟამად ქართულში არა ჩანს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ წილ მეგრულისა და ჭანურის კუთვნილებაღაა? არა: XVIII საუკუნეშიც ქართულშიც ყოფილა; საბა ამბობს: „მოწილვა – ხილთ მოკრეფა“.

(ო. ქ.) წია წევა. იხ. მოწია.

(ო. ქ.) მოწია –მოწევა (მოსავლის), რთველი; მოსავალი.

(ო. ქ.) წილუა {მო}კრეფა; [მო]წყვეტა... **წილირი** [მო]კრეფილი, {მო}წყვეტილი. ნაწილა ნაკრეფი, ნაწყვეტი

ხილის მოკრეფა გულისხმობს ხიდან ნაყოფის შენსკენ მოწევას და ამას მეგრულში აღნიშნავს **წია** (აქედანაა ქართულში ა-**წია**, და-**წია** > და-**ა**-**წია**, და-**აღ**-**წია**... მო-**წია** > მო-**ს**-**წია**... **წევა** და უამრავი). ამის ცოდნით გამოითქმის ქართულში „მოსავალი მოიწია". ხოლო წილუა მეტად აკონკრეტებს კრეფის პროცესს და თანხმოვანი **ლ** თავად მოსაკრეფი ნაყოფის ფორმას, სხეულსაც აღნიშნავს:

წილუა = წი(ა) + ლ + უა = წევა + ფორმა + მოქმედება = ნაყოფის (შენსკენ) მოწევის მოქმედების (შედეგი) = მოკრეფა, მოწყვეტა.

ლაზურ-მეგრული **წილ**(უა) ქართულში დამკვიდრდა შემდეგი გზით:

(ო. ქ.) მონაწილ-ი, მონაწი-ი მოსავალი, მოწეული; ჭირნახული.

ცხადია, მეგრ. **მონაწილი** > ქართ. **მონაწილე** > **ნაწილი** (< **ნაწილა**) **და წილი** (< **წილირი** = შენი მონაკრეფი, შენი მონაგარი რაოდენობა, შენი ნ**აწილი წილი**).

რაც შეეხება კოლხურ-სლავურ ურთიერთობებს, აქ საჭიროა ძველი სლავური ენების მცოდნეთა ჩართვა. ამჟამად კი მოგაწვდით კიდევ ორ მაგალითს ამ რთული სახის ურთიერთობებიდან.

(М. С.) **Гибил** (шумер.) в шумерской и аккадской мифолоогии бог огня... носитель света и очищения и в то же время – источник гибели и разрушения..

შუმერ. **გიბილ** რუსულში დამკვიდრდა ფორმით: **Гибель** (დაღუპვა), კოლხურში **გიბუა** (1. **გბობა, ხარშვა.** 2. **გამეტებით ცემა**).

კოლხურში უფრო სიღრმისეულადაა წარმოდგენილი შუმერი **გიბილ**-ი, როგორც ცეცხლის ღმერთი (1. **გბობა, ხარშვა.**) და როგორც დამღუპველი (2. **გამეტებით ცემა**).

ჩვენ ვიცით, რომ კოლხურად და ბერძნულად თანხმოვანი ხ გამოსახავს მიწის, ანუ ქალის მცნებებს. **ხთონი** ბერძნულად აღნიშნავს როგორც მცნებას მიწა, ასევე მიწის ქალღმერთს. ეს ცოდნა ნათლად იკითხება კოლხთა მეტყველებაში იმ წესით, როცა მდედრის სქესის გამოსახავად სახელწოდებას, გვარს უმატებენ **ხე**-ს: **დადია** კაცს

აღნიშნავს, ხოლო **დადი-ხე** ქალის გვარია. დაახლოებით იგივეა რუსულშიც: мельник – мельничиха; купец – купчиха; кролик – крольчиха... სლავური ბოლოსართი **ჩიხა** (**чиха**) აღნიშნავს ცოლს (**мельничиха** = მეწისქვილის ცოლი, ქალი) და კოლხები თავიანთ მეუღლეებს, ქალებს კი უწოდებენ **ჩილი** (ციური სხეული).

თური და თანხმოვანი ჩ

ქართული სახელწოდება **ჩურჩხელა** რომ მეგრული **ჩურუა**-ს (ცურვის), **ჩური**-ს (მდედრის საშოს) გამაერთიანებელ ფუძე შინაარსსაც შეიცავს, ამის ასახსნელად აუცილებელია კვლავ გავიხსენოთ შუმერული მითოლოგია.

(**ზურაბ კიკნაძე** 69): „ეჭვი არ არის, რომ ეს მითოსურად არქაული ქალღმერთნი თიამათის მსგავსად წარმოდგენილნი იყვნენ სამყაროს მშობელ დედად, -- რაკი სამყარო წყლიდან იშვის, -- უვრცელეს საშოდ, -- რომლის ხატი მინიატურულად აისახება ყოველი კერძოობითი დედრის საშოში. ამ ორგანოს აღმნიშვნელი ერთ-ერთი შუმერული სიტყვა ნუნუზ-თი სიტყვასიტყვით ნიშნავს „კვერცხის მიმღებელს“ ან, უფრო სწორი იქნება თუ განვსაზღვრავთ მას, როგორც წიაღს, სადაც ჰგიეს კვერცხი. დაახლოებით იგივე შინაარსის კომპოზიტური სიტყვა – **ნუნუზ-მუ-თინ**, რომლის შემადგენლობაში შედის აგრეთვე „კვერცხი“ (**ნუნუზ**), იმდროინდელ შუმერულ-აქადურ სიტყვარებში განიმარტება როგორც „დიაცი“, „დედრი“. ამგვარი სიტყვათშემოქმედება იმ მსოფლხედვის ძალით წარიმართვის, რომლის მიხედვითაც „დედრი“ გაიგივებულია „საშოსთან“. ამავე კონცეფციას ასახავს „დიაცის“ პიკტოგრამა – დედრული ასოს სქემატური ნახატი სამკუთხედი, რომელიც საკმაოდ გავრცელებული მოტივია ე.წ. ობაიდის ხანის (IV ათასწლ.) მხატვრობაში და უნდა ყოფილიყო სიმბოლო ერთსა და იმავე დროს სიცოცხლისა და სიკვდილისა [21, 48], ხოლო თუ როგორ თავსდება ეს ორი მოვლენა საშოში, ამაზე ცალკე იქნება ლაპარაკი. ამასთან კავშირში უნდა გავიხსენოთ უძველესი შუააზიური ტერაკოტები – დედაკაცის სამკუთხედური გამოსახულებანი [82]. ასევე, ძველებრაულ ენაში ძირი **რხმ** შეიცავს „საშოსა“ (**რახამ, რეხემ**) და „დიაცის“ (**რახამ, რახმაჰ**) მნიშვნელობებს.

თუ ერთი ტრადიციით დედრის საშოში ძევს კვერცხი – კოსმოსის ჩანასახი, -- სხვა ტრადიციით კვერცხს ენაცვლება ღვთაებრივი არსი, რომელსაც გრაფიკულად ვარსკვლავის სახე აქვს, ხოლო ნიშნავს „ღმერთს" (**დინგირ**) და „ცას“ (**ან**). ეს ნიშანი, რომელიც ამ შემთხვევაში კოსმოსის ჩანასახად უნდა მივიჩნიოთ, ჩახატულია „სახლის" ნიშანში და მთელი პიქტოგრამა წარმოადგენს „დედის" (**ამა**) იეროგლიფს. მისი ვარიანტია „სახლში ჩახატული ნიშანი ქალისა", რაც ნიშნავს „ბაგინს" (ამა, „დედის" ომონიმი) და „საშოს" (**არხუშ**) ამგვარად, ამ პიქტოგრამების სახით ჩვენ ვხედავთ ორ სახლს, -- „ღმერთის სახლს" და „დიაცის სახლს"; ორივე ეს სახლი „შობის სახლია“, რომლის შუაგულში ოქროსფერი კვერცხის გულივით კიაფობს სამყაროსა და ღმერთების ჩანასახი. იგივე სემანტიკა შეიძლება იგულისხმებოდეს არქაულ საბეჭდავებზე: წრის შუაგულიდან გაფანტული სხივები:

ვინაიდან ამგვარად წარმოდგენილი სახლი იტევს მთელს კოსმოსს, ვარსკვლავით ანუ ცის ნიშნით გამოხატულს, მისი პირველი თვისება

უნდა იყოს სიფართე, ვრცეულობა. და, მართლაც, „დედის“ იეროგლიფი მეორენაირადაც იკითხება როგორც **დაგალ** – „ფართო“, „ვრცელი“. ამავე მსოფლხედვას ავლენს პიქტოგრამა – სამკუთხედი, დიაცის ნიშანი, რომელიც „საშოსთან“ ერთად „სიფართის“ მნიშვნელობასაც შეიცავს. როგორც შუმერულ-აქადური სიტყვარები მოწმობენ, იგივე თვალსაზრისი, რასაც გრაფიკულად ასახავს არქაული შუმერული პიკტოგრამები, გამოხატულია სემიტურ ენებში, განსაკუთრებით, კვლავ ძველებრაულში, სადაც „სიფართის“ აღმნიშვნელი ძირი **רחב** ავლენს ანალოგიურ სემანტიკურ კავშირს ფონეტიკურად თანამჟღერ ძირთან -- **רחמ** („დიაცი“, „საშო“); **רחב** – „ფართო“, **רחב** – იერიხონელი მეძავის სახელი... **רחבעת** – ისააკის მიერ ამოთხრილი ჭა, :ჯურღმული“... და უგარიტული რხბთ – „სითხის სასხმელი დიდი ჭურჭელი“... რაც ეხმიანება **נכב** ძირის სემანტიკას ებრაულში: **נכב** – „სიღრმე“, **נכבה** – „დედრი“, „დედალი“. – ამ ნიშნით ძველი იდეოგრამა და სიტყვა შეკუმშულად მოიცავს სასწაულებრივი ჩასახებისა და შობის მითოსს, რომელიც მრავალი საუკუნის შემდგომ ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს დოგმატად იქცა: „ეჰა, მუცელი, რომელსა აქუს სიმაღლე და სივრცე ყოვლად უზეშთაესი ცათა, რამეთუ ფართოვებით დაიტია ცათა დაუტევნებელი ღმერთი“.

აქ დროებით შევწყვიტოთ ციტირება და მოგაწვდით ცნობას, რომ შუმერული მითოლოგიით დედა-ქალღმერთის საშოდ წარმოსახვა ემყარება უძველესი მეგალითური კულტურის მსოფლმხედველობას. ამ კულტურის ძირითადი მახასიათებელია **მეგალითები**, უზარმაზარი ქვის ლოდებისაგან აღმართული ნაგებობა ტაძრები. მაგალითად მალტის კუნძულზე შემორჩენილია ნეოლიტის ხანის, 5000 წლის წინანდელი მეგალითური ტაძრები, რომლებიც ეგვიპტურ პირამიდებზე ათი საუკუნით ადრეა აშენებული. მეგალითური კულტურის უმთავრეს ღვთაებას მიწის დიდი დედა წარმოადგენდა და ტაძრის კონტურები, მისი არქიტექტურული აზროვნება ქალის სხეულის სიმბოლოებს გამოსახავდა. ამ ტაძრების მცირე ზომის შესასვლელი ქალის საშოს წარმოადგენდა, თავად ტაძარი მდედრის მუცელს გულისხმობდა, ხოლო ნაგებობის ის შიდა საკრალური ნაწილი, სადაც, მსგავსად სვანური **ლამზირისა**, დიდ დედებს მსხვერპლს სწირავდნენ, საშვილოსნოს დანიშნულებას განასახიერებდა, ანუ სივრცეს სადაც ჩაისახება და ვითარდება ემბრიონი. ეს არქიტექტურული ხედვა ტრადიციათ იქცა და რისი გავლენაც თანამედროვე რელიგიათა საკულტო ნაგებობებშიც იკითხება. ფროიდის მოსაზრება, რომ პირველი არქიტექტურული სივრცე ეს დედის სხეულია, კაცობრიობის საწყისი აზროვნებისა და შემოქმედების გახმოვანებაა. გაიხსენეთ ასევე, რომ კრიშნა ქალის საშოს „სიცოცხლის კარიბჭეს“ უწოდებს.

ებრაელთა **დავითის ვარსკვლავი** ✡ (ორი სამკუთხედის შეერთებით მიღებული ექვსქიმიანი ვარსკვლავი) გრაფიკული მოხაზულობა შუმერული ბოსლის, თურის იდეოგრამიდან შეიქმნა, რომელშიც მახვილი კუთხით დაბლით მიმართული სამკუთხედი ▽ წარმოადგენს მდედრის სიმბოლოს, ხოლო მახვილი კუთხით მაღლით მიმართული სამკუთხედი △ მისი საპირისპირო მნიშვნელობის, მამრის სიმბოლოა. სამკუთხედებით ზოგადად გამოისახა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები (ზედა და ქვედა, სიკვდილი და სიცოცხლე, წყალი და ცეცხლი...) და მათი შეერთებით მიღებული ვარსკვლავი ✡ უკვე აღნიშნავს „ღმერთის სახლს“, ღვთაებრიობის ნიშანს, ანუ სიცოცხლეს. დავითის ვარსკვლავი იგივე სამებაა და ატარებს კოლხური ღორონთი-ს ანალოგიურ აზროვნებას – **სიცოცხლე** (ვარსკვლავი) **ხილულ და უხილავ (ურთიერთსაწინააღმდეგო) ძალთა ურთიერთობის შედეგია**.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ XIX საუკუნეში იქცა დავითის ვარსკვლავი ებრაელთა სიმბოლოდ. ებრაელთა მიერ დავითის ვარსკვლავის შინაარსის თანამედროვე განმარტებანი ზოგადი საწყისი ცოდნის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

(**ზურაბ კიკნაძე** 71): „ამრიგად, დედის ნიშანი – სახლში დავანებული ვარსკვლავი – მოასწავებს მუცლადღებულ ქალღმერთს, დიდ დედას, რომლის ეპითეტია **ამა-დინგირ-რე-ნე** „დედა ღმერთებისა" ან, რაც იგივეა **ამა-დუმუ-დუმუ-ნე** „დედა მრავალთა შვილთა“.

არის კიდევ სხვა სახლი, საიდანაც, როგორც ნათქვამია ერთ ტექსტში, „გამოდის ვარსკვლავი, ცის ძირიდან (**ან-ურ**) გამომავალი ვარსკვლავი"[7]. ეს არის **გა-ნუნ** „ბაგინი“ კულტის ენით, ანუ ტაძრის ის ოთახი, ღმერთების ვანად რომ არის განკუთვნილი. მაგრამ მისი მითოსური აზრი გაცხადებულია თვით სიტყვის შინაარსში, რასაც კვლავ მტკნარი ოკეანის სიღრმეებისაკენ მივყავართ, რადგან **ნუნ** (‚დიდებული“) ენქის ზედსართაული სახელია და ამვე დროს შეადგენს ქალაქ ერიდუს იდეოგრამას: **ნუნ-ქი**. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ენქი ქალაქ **ერიდუსა** და **აპსუს** პატრონია, მტკნარი ოკეანის. გა-ნუნ ნიშნავს „სახლს **ნუნისას**“ და მასთან დაკავშირებულია ჩვენთვის ცნობილი დედა ქალღმერთი **ნამმუ**, რომელიც **განუნის** მკვიდრად იწოდება (**დუმუ-გა-ნუნ-აქ-ა**). ეს კი შეიძლება მოასწავებდეს, რომ **ნამმუ**, ვითარცა საშო, ყოფილიყო **განუნის** სახლის პერსონიფიკაცია; მით უმეტეს, რომ **ნუნ-ნუნ** ნიშნავს „საშოს“.

ამრიგად, ამ მონაცემებს კვლავ მივყავართ პირველარსი ოკეანისა და საშოს იგივეობამდე. თუ აქამდე იგი განიხილებოდა როგორც სიფართე, ყოვლისდამტევნელობა, ახლა მას უნდა დაემატოს სხვა ნიშანიც – სიბნელე. ის ფაქტი, რომ დედის საშოში ვარსკვლავია ჩასახული, ხოლო **განუნიდან** გამოდის ანუ იბადება ვარსკვლავი, ეს არ ნიშნავს, თითქოს საშო-**განუნი** განათებული იყოს. აქ მივადექით ძველთაძველ იდეას, -- წყვდიადიდან ნათელი სამყაროს დაბადების იდეას, რომელიც ელინური გარკვეულობით ასახულია ჰესიოდეს თეოგონიაში, სადაც შავი ღამე (მელაინა ნKქს) შობს **ეთერს** და დღეს (ჰემერე), მაგრამ ეს წყვდიადი ისევე ღვთაებრივია, როგორც მისგან გამოტევებული ნათელი“.

(**ზურაბ კიკნაძე** 73): „დროებით დავტოვოთ „თიამათის შორეული წყლები“, -- მითოსურ სივრცეში – შობადის ნაყოფი და ჩამოვიდეთ რეალურ ქვეყანაში, მწყემსებისა და მესაქონლე ხალხის მიწაზე, რომელიც მოფენილია შინაური პირუტყვის სადგომებით, ფარეხებით, ბაკებით, ბოსლებით, სადაც ეს ხალხი, ზრუნვით აღსავსე „შავთმიანნი“, კეთილ თვალს ადევნებენ საქონლის გამრავლებას და მოწმენი ხდებიან დაბადების მისტერიისა, ამ სადგომებში რომ ხორციელდება. მითურშემოქმედებითი აზრი ამ ბოსელს, სადაც დგას ხბოს მოსაგებად გამზადებული ფური, დასახავს საყოველთაო საშოდ და დედა-ქალღმერთის ატრიბუტად მიიჩნევს.

ვნახოთ, რა მნიშვნელობებს ბადებს შუმერელის ცნობიერებაში ბოსლის ხატი. ბოსლის აღმიშვნელი სიტყვიდან –**თურ** – წარმოიქმნება „საშოს“ აღმნიშვნელი კომპოზიტი **შაგ-თურ** ანუ „წიაღი ბოსლისა“. ხოლო თავად ბოსლის (**თურ**) პიქტოგრამა წარმოადგენს შუმერულ სახვით ხელოვნებაში ძველთაგანვე ფართოდ გავრცელებული ნახატის (იხ. სურ. 5)

სქემატურ მონახაზს, რომლის რამოდენიმე ვარიანტია ცნობილი: პიქტოგრაფმა ამ გამოსახულებაში, ბოსელში, ჩახატა ღმერთის ნიშანი – ვარსკვლავი, რითაც გამოხატა ის აზრი და რწმენა, რომ ბოსლის შიგადი სივრცე წმინდაა, საკრალური (შდრ. „სახლში ჩახატული ვარსკვლავი“ – „დედა“),თუმცა ზუსტი მნიშვნელობა ამ პიკტოგრამისა დაუდგენელია; პიკტოგრაფი ამავე ნიშანში ხატავს ნორჩი ცხოველის ნიშანს, იმის საჩვენებლად, რომ აქ იბადება ნორჩი პირუტყვი; არსებობს ამგვარი პიქტოგრამაც: ბოსელში ჩახატულია დიაცის ნიშანი და იკითხება როგორც **შილამ** „ფური“ ან როგორც **არხუშ** „საშო“ (შდრ. „სახლში ჩახატული დიაცის ნიშანი“ – „საშო“). ეს სიტყვები ერთი ნიშნით გამოიხატება, რაც არ არის შემთხვევითი. ბოსელი გაიგივებულია ფურთან, რომელიც ბოსელში დგას, ხბოს მოსაგებად გამზადებული, და საშოსთან, სადაც შუშდება ნაყოფი და მერე დღის სინათლეზე გამოდის. როგორც ვხედავთ მე-5 სურათზე: შენობის ორი კარიდან გამოდიან ჩვილი ხბორები, ახლადშობილნი მარჩვიბნი (მეტისმეტი ნაყოფიერების ნიშნად!); ბოსლის გარშემო ვხედავთ მოარულ საქონელს, რომელიც თავის დროზე ამავე წიაღიდან უნდა გამოსულიყო. ბოსელი არის მათი საერთო საშო, რომლის სიტყვიერი გამოხატულებაა ზემოთ აღნიშნული **შაგ-თურ** („საშო") ანუ „წიაღი ბოსლისა“. ანალოგიურ გამოსახულებას ვხედავთ სხვა სურათზე (იხ. სურ. 6), სადაც ოდნავ სახეცვლილ შაგთურ ბოსელში იშვის არა ხბო, არამედ ბატკანი. ორივე შემთხვევაში სადგომი „საშოობს“ და საშო „ბოსლობს“. მითოსურ-მეტაფორული აზრით მათ შორის სრული იგივეობაა, როგორც ქვემოთ გახდება უფრო ცხადი.

არსებობს ქალღმერთი, დიდი დედა, საყოველთაო მშობელი, სახელად **ნინ-თურ**, რომლის ეპითეტია ზემოდხსენებული **შაგ-თურ** („საშო"). მაშასადამე, დედა-ღმერთიც წარმოდგენილია საშოდ, როგორც ზემოთ დავინახეთ დედრის სახელწოდებათა მაგალითზე. კიდევ შეიძლება გაღრმავდეს ამ სიტყვების სემანტიკური ანალიზი: თუმცა **ნინ-თურ** ქალღმერთის სახელი და **შაგ-თურ** მისი ეპითეტი შედგება თანაჟღერადი სიტყვისაგან – **თურ**, მაგრამ თუ მეორე კომპოზიტში **თურ**-ის პიკტოგრამა ბოსელს გამოხატავს, ქალღმერთის სახელში ეგევე

თურ სხვა ნიშნით გამოისახება და იკითხება აგრეთვე როგორც **თუდ** (ან თუ), რაც ნიშნავს „შობას". ამ პიქტოგრამაში საკმაო სიცხადით ამოიკითხება წყვილად გამოხატული იდეა შობისა: გაღივებული თესლიდან აღმოცენებული მცენარეული მორჩი – აგრარული კულტურის სიმბოლო. ამავე დროს ეს მორჩი თავთავის სახისა შეიძლება იყოს მუცლის ნაყოფის (fructus ventris) მეტაფორული გამოხატულება, თუკი სამკუთხედს, საიდანაც ამოწვერილია თავთავი, მივიჩნევთ დედრული ასოს ნიშნად (იხ. ბოსლის პიქტოგრამა); ეს იქნება ცხოველური, ორგანული შობის სიმბოლო. მეორეს მხრივ, ეს ნიშანი თავისი გარეგანი მოხაზულობით თვალსაჩინო მსგავსებას ავლენს ბოსლის პიქტოგრამასთან, თითქოს ისინი ერთი ნიშნის სახეცვლილებანი ყოფილიყვნენ. ხატოვან ნიშანთა მსგავსებას მხარს უჭერს და ადასტურებს ფონეტიკური თანაჟღერადობა სიტყვებისა თურ (ბოსელი) და **თუდ** (შობა); თუ შორს წავალთ სემანტიკურ სიღრმეში, ეს ორი სიტყვა საერთო წარმოშობის აღმოჩნდება“.

შაგ-თურ-ში მხოლოდ ხბოები და ბატკნები არ იბადებოდნენ და ადამიანებიც იქიდან მოვდივართ. დროა აღვიქვათ, რომ, ჩვენ კოლხები, ოდითგან ამ არქაული აზროვნებიდან გამომდინარე ცხოვრების წესებით ვარსებობდით.

(**გივი ელიავა** „აია“ № 2 გვ.27 1998 წ.): პატრიარქატიდან მომდინარე გვართა ამოსავალი ძირების ალბომი – „ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამეგრელოშიც ინდივიდუალურ ოჯახს ისტორიულად წინ უსწრებდა საოჯახო თემი. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია მეგრული ლექსიკური – **თი**, რომელიც დიდი ოჯახის, სახლის, ოჯახის აღმნიშვნელია. ხოლო **თი**-დან, ანუ პატრიარქალური ოჯახიდან გამოსული წევრი თისიანია, თუისიანია (თურია ჯ.კ.)...

სამეგრელოს ტოპონიმიკაში გვხდება სახელწოდებები ჭიითი, ქუთათი, კვაუთი, ბობოთი, გოგათი, გაბითი და სხვა, რომლებშიც ჭი, კვაუ, ბობო, ქუქი, გოგა, გაბი და სხვ. ითვლება ერთ ლექსიკურ ერთეულად. კერძოდ, საოჯახო თემის მეთაურის პირად სახელად, ხოლო თი – ოჯახის, სახლის, სახლკარობის, მახორობის აღმნიშვნელ ტერმინად...

თითოეული **თი**-ს სოციალური შინაარსის და განსახლების არეალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თი რიგ შემთხვევაში დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქედან გამომდინარე, იგი ზოგჯერ არამარტო დიდი ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა, არამედ პატრონომიულ ერთეულსაც, რამდენადაც პატრონომიული ორგანიზაციის შექმნა ხდებოდა დიდი ოჯახის დაშლის შედეგად. ჭიითი, ბობოთი თუ კვაუთი, ქუთათი, დიდი მახორობის შესატყვისიც იყო. ჭიითის საკუთრება ყოფილა საძოვრებიც და სახნავებიც, ტყეც და ჭალებიც, რომელსაც მისი წევრები ამუშავებდნენ.

ყველა ამ თი-ების შემადგენლობის დადგენა მელოგინეების მიხედვით ხდებოდა. **ჭი**-ს ოჯახში 24 მელოგინე ყოფილა, პატრიარქალური ოჯახი 24 საქორწინო წყვილისაგან შესდგებოდა. მას ჰყოლია თავისი „დიასახლისი" (ანუ შუმერი ქალღმერთის **ნინ-თურ**-ის მიწიერი კოლხური განსახიერება ნანა-თური-ში, ამ ცოდნას ატარებს გვარი **თურნავა** ჯ.კ.) და მეთაური... დროთა ვითარებაში ხდებოდა მელოგინეების გამოყოფა დიდი ოჯახიდან და ცალკე, თუმცა მის მახლობლად, მის ირგვლივ დასახლება. მაშინ როდესაც **ჭი**-ს მეთაურობით ჭიითი-ში დიდი პატრიარქალური ოჯახი იდგა და მასში იდგა 24 მელოგინე, 24 უჯრედი იყო გაერთიანებული, ყოველ ასეთ უჯრედს თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ დიდ ოჯახი ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. **ჭი**-ს ოჯახს ერთი კერა ჰქონდა, რომელიც ერთი ოხორი, ერთი სახლი, ერთი თი იყო. ამ თი-ში იმართებოდა საერთო საოჯახო პურობაც, რასაც **დიარა** უნდა რქმეოდა. ახლა **დიარა** მხოლოდ დიდ სასოფლო ლხინს, ქორწილს და სხვა მსგავს საჯარო პურობას ჰქვია. ლექსიკური ერთეული

დიარუა (რაც დღეს საქონლის მიერ ძოვასა ნიშნავს) სწორედ ასეთ ჭამას, საერთო პურობას ერქვა; რამდენადაც გადმოცემები მითითებენ ყველა ერთად ჯდებოდა სადილად, დიარაზე, იდიარდეს, დიარენდეს (პურობდნენ, ჭამდნენ). ყველა მელოგინეს თავისი თია (წილი) ჰქონდა ამ დიარაზე. მის თიას სხვა ხელს ვერ შეახებდა თურმე. როგორც ჩანს, მელოგინე და მისი ნამრავლი, ანუ ერთი უჯრედი, სადილზე, საერთო პურობაზე ცალკე იყო წარმოდგენილი და მას თავისი ნაწილი ჰქონდა განკუთვნილი. საერთო პურობა დიდი ოჯახის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო. **ჭისთის** თავისი მახორობაც ჰქონდა, მეურნეობრივი არეც, სადაც მელოგინეთა მიხედვით იყო მიჩენილი თია-ნაწილი. თითო მელოგინე და მისი ნამრავლი თავის წილ შრომას ასრულებდა, თავისი წილი შეჰქონდა მახორობის საერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატრიარქალური ოჯახის ამგვარი შედგენილობა დამოწმებული აქვს პროფესორ რ. ხარაძეს თუშეთშიაც. „როგორც თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალებში, ისე XIX საუკუნის წერილობით ძეგლებში აღბეჭდილი ოჯახის წევრთა შემადგენლობა ცხადყოფს იმას, რომ თუშური მრავალრიცხოვანი ოჯახი შედგებოდა რამოდენიმე საქორწილო წყვილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ნათესაური პრინციპით იყვნენ გაერთიანებულნი და საერთო წინაპრის სახელს ატარებდნენ. საზოგადოებრივი გაერთიანების ამგვარი სტრუქტურა წარმოადგენდა დიდი ოჯახის ან საოჯახო თემის ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს“. ასეთივე ტიპის დიდი ოჯახი შეისწავლა რ. ხარაძემ ბალყარეთშიც, სადაც „ერთ დარბაზში ყველა ცოლიან ძმას თავისი ოთახი ანუ **ოტოუ** ჰქონდა“. ამ მხრივ საინტერესოა მეგრული **ოტოუ**, რაც საქონლის, პირუტყვის საბმურ ადგილსა ჰქვია“.

აქ ჩანართის სახით მოგახსენებთ, რომ ოჯახთა რაოდენობის აღრიცხვა, გარდა მელოგინეებისა, ასევე კერიიდან მომდინარე კვამლით ხორციელდებოდა.

(ო. ქ.) კუმა[1] კვამლი.

(ო. ქ.) კუმა[2] კომლი.

დასახლებაში ოჯახების რაოდენობა კერიის მიხედვით იანგარიშებოდა, ანუ დასახლებაში რამდენიც კერიიდან კვამლი ამოდიოდა, იმდენი იყო ოჯახთა, კომლთა რაოდენობა. ეს წესი გადასამოწმებლადაც ადვილი იყო. ხაზგასასმელია, რომ **კუმა**-ს ქართული ვარიანტი **კომლი** აღნიშნავს როგორც ცალკე მოსახლე ოჯახს, ასევე კვამლს.

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ, შუმერულ-ეგვიპტური გამოცდილების გათვალისწინებით, კოლხური აზროვნებით თანხმოვანი **თ** გაცხადების იდეას გამოსახავს, ანუ „ძველთაძველ იდეას, -- წყვდიადიდან ნათელი სამყაროს დაბადების იდეას“ და რასაც ადასტურებს ის რეალობა, რომ -- „შუმერული სიტყვა **თი** ნიშნავს სიცოცხლის მიცემას“. ვინაიდან კოლხები ოჯახის ათვლას მელოგინიდან, ანუ ოჯახის წევრთა სიცოცხლის მიმცემიდან და მისი მონაგარით აწარმოებდნენ, ერთ საოჯახო სივრცეს **თი** უწოდეს.

(ო. ქ.) თი[1] (თის) (მრავლობითი რიცხვი არ აქვს) ოჯახი, სახლი, სახლ-კარი.

კოლხურად თი ესაა ის ოჯახი, სახლი, სახლ-კარი სადაც შენ გაჩნდი, სადაც შენ მოგეცა სიცოცხლე. მაგრამ ამ ოჯახში შენს გარდა არიან სხვა წევრებიც, ანუ შენი ოჯახი, სახლი, სახლ-კარი იგივე შუმერული **თურ**-ია, რომელსაც ერთი საერთო დედაგამჩენი ნანათურ-იში (< ნინთურ) აერთიანებს და ამდენად კოლხებმა ოჯახის წევრებს თური უწოდეს. მოგვიანებით მცნება **თური** შედარებით განზოგადდა, მხოლოდ დედააზრი არ შეცვლილა.

(ო. ქ.) თურ-ი მოგვარე; სისხლით ნათესავი; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი.

შუმერულად **თუდ** ნიშნავს „შობას", ხოლო კოლხურად **თუდო** აღნიშავს – „დაბლა, ქვევით, ძირს". ანუ მდედრს როცა ეწყება მშობიარობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაყოფი სხეულის დაბლით, ქვევით, ძირს იწყებს მოძრაობას, რაზედაც იტყვიან „ნაყოფი დაბლა წამოვიდაო", ანუ „ცხადდებაო“ (**თუდ**).

გარდა უშუალოდ შუმერულ-კოლხური ურთიერთობის ხარისხის დადგენისა, **თურ**-ის თემას ბევრად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ჩვენთვის, როგორც ქრისტეანობის აღმსარებელი ერისათვის. განვაგრძოთ ციტირება.

(**ზურაბ კიკნაძე** 76): „ამგვარად, **ნინთურ**ის სახელთან, მის იპითეტთან და მათ პიქტოგრამებთან დაკავშირებული შინაარსები გარკვევით გვიკარნახებს, რომ სურათზე გამოსახული ბოსელი ქალღმერთის განსახიერებად მივიჩნიოთ და დავასკვნათ, რომ **სურათზე ბოსლის სახით წარმოდგენილია მშობიარე ქალ-ღმერთი,** ღვთაებრივი ფური, შილამ, რომლის ხატოვანი ნიშანი, როგორც ვიცით, იგივეა რაც **არხუშისა** (საშო) – „ბოსელში ჩახატული დედრი“...

ბოსლისა და საერთოდ სადგომის დედრულ ბუნებას და ამავე დროს მის საკრალურობას მოწმობს „დედის საშოს" აღმნიშვნელი კიდევ ერთი პიკტოგრამა (იკითხება: **აგარინ**) – „ტაძარში ჩახატული ჩვილი“, რაც ნიშნავს მუცლადღებულ, მიდგომილ დიაცს. აქედან ის დასკვნაც გამოდის, რომ მიდგომილი წიაღი წმინდა ადგილად იყო შერაცხილი; ასევე **ბოსელიც წმინდა ადგილი იქნებოდა** მასში მიმდინარე შობის მისტერიის გამო. ამიტომაც არ უნდა იყოს მოულოდნელი და გაუგებარი, რომ რომელიმე ძველი ხალხის ერთი და იგივე სიტყვა (მხედველობაშია ძველი ბეძნული shqo3c) პირუტყვის სადგომსაც აღნიშნავდეს და ტაძარსაც... ამასვე ადასტურებს შუმერული ენა, მისი დამწერლობა და კიდევ უფრო ცხადად ამ ენაზე დაწერილი ტექსტები.

ლაგაშელი მთავარი გუდეა, ამგვარად მიმართავს ქალღმერთს ერთ ჰიმნში:

თესლი ჩემი მუცლად მიგიღია,
წმინდა ბაგინში გიშობივარ!

ქალღმერთი, რომელსაც მიმართავს ლაგაშის მთავარი, არის **გათუმდუგი** – ღვთაებრივი ფური. იგი მშობიარობს ბოსელში, რომელიც არის ამავე დროს ბაგინიც; შეიძლება ქალღმერთი მშობიარობდეს ტაძარში და ამ ტაძარს მეტაფორულად ერქვას ბოსელი; მაგალითისათვის, მთვარის ღვთაების, სინის ტაძარი ქალაქ ურში გაიგივებულია ბოსელთან (**თურ**), სადაც „კუნტრუშობენ ჭეშმარიტი ფური, პოხილი კურო და ბრწყინვალე ხბო", მთვარის ღვთაების წმინდა ცხოველები...

ურუქში ქალღმერთი **ნინ-სუნა** განასახიერებდა შობის ბოსელს. მის საშო-ბოსელში დაიბადა ჯერ ლეგენდარული გილგამეში, ხოლო შემდეგ იბადებოდნენ ურის III დინასტიის მეფენი; თავად დედა ქალღმერთი **ნინ-სუნა** ანუ „დედოფალი ფური“ მიმართავს მეფე შულგის:

ლუგალბანდას თესლი ხარ შენ,
ჩემს წმინდა საშოში ჩასახულხარ,
ჩემს წმინდა ბოსელში ბედი დამისაზღვრავს შენთვის.

ცხადია, **ნინ-სუნას** ანუ „სადგომი ფურის“ საშო და ბოსელი ერთი და იგივე ადგილია, სადაც დაიბადა შულგი, ასევე ურუქის ლეგენდარული მეფე **ენმერქარი**, ლაგაშის ენსი გუდეა და მრავალი სხვანი „წმინდა ფურის მიერ ბოსელში რძით

გამოკვებილნი". მშობიარობის მომლოდინე მათი ხორციელი დედა უნდა დამკვიდრებულიყო ბოსელში, -- ფართოდ გავრცელებული წეს-ჩვეულებები არქაულ საზოგადოებებში და ჩვენშიც (ფშავ-ხევსურეთში) გვიანამდე შემორჩენილი, -- რათა იქ ეშვა ნაშიერი, როგორც წმინდა ფურის განსხეულებას (აქედან მოდის ღვთაებათა, ლეგენდარულ გმირთა და მეფეთა ზედწოდება „ხარი“), რასაც ზუსტად გამოსახავს ფურის (**შილამ**) იეროგლიფი – ბოსლის პიქტოგრამაში ჩახაზული ნიშანი დიაცისა – და აღწერს მშობიარის შელოცვის ტექსტი: „განმშვენდა დედაკაცი იგი წმინდა ბოსელ-ფარეხის სახლში; განმშვენდა დედაკაცი იგი ჩასახების სახლში, წმინდა ბოსელ-ფარეხის სახლში. კაცობრივი თესლი ჩაისახა მის წიაღში; თესლი იგი, მუცლადღებული, განკუთვნილია მამრისათვის შვილის მინიჭებად. დედაკაცსა მას ტკბილი ბალახი უგემებია, -- პოხიერ ქმნილა საკვებისგან ტკბილი ბალახი, თავის საყვარელი, უგემებია, -- პოხიერ ქმნილა საკვებისაგან...“

ასეთი ბოსელი, -- „**ე-თურ-ამაშ-ქუნგ**ა“ „სახლი წმინდა ბოსელ-ფარეხისა“, იგივე საშო, რომელიც თავისი ბუნებით, როგორც ვიცით, უსასრულო სიფართისკენ, ყოვლისმომცველობისკენ მიისწრაფვის, -- კაცის შობის ადგილი ფართოვდება ჯერ ქვეყნის ანუ შუმერის ბოსელ-ფარეხად, საიდანაც განუწყვეტლივ იბადებიან „შავთავიანნი, ცხვრის ფარასავით უთვალავნი“, შემდეგ სამყაროულ სივრცედ, საიდანაც იბადება კოსმოსი, -- ეს უკვე არის **ამ-აშ-ან-ქი-ა** „ფარეხი ცისა და მიწისა“.“

ამ ცოდნის გამოძახილი იყო ადრე ხევსურეთში შემორჩენილი ქალის მხოლოდ ბოსელში მშობიარობის ტრადიცია.

შუმერული ბოსლის (**თურ**-ის) ხედვა იმდენად იყო გამჯდარი წინააზიურ სამყაროში, რომ ქრისტეანმა მამებმა ამ თემას სათანადო პატივი მიაგეს. ერთ შუმერულ პოემაში ვკითხულობთ:

(**სემიუელ კრამერი** 144): „მათ უთქვამთ, უშიშარ ბრძენკაცებს უთქვამთ
სიტყვა მართალი და წრფელი:
„უმწიკვლო არავინაა დიაცის შობილი...
უმწიკვლო ბავშვიც კი არ არსებობს ამ ქვეყნად“.

ამ ადამიანური ღაღადის პასუხია უმწიკვლო ქრისტეს ჩასახვა უმწიკვლო მარიამის სხეულში.

(**აკაკი გელოვანი** 292): „მარიამი – იესო ქრისტეს დედა, რომლის ასახვაშიც საუკუნეების განმავლობაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდა ყველა ქრისტიანული ქვეყნის თითქმის ყველა დიდი და საშუალო მხატვარი, მოქანდაკე, ხელოვანი. საგულისხმო ისაა, რომ მის ტრადიციულ გამოსახულებებს საფუძვლად დაედო ანტიკური მითების მსგავს ქალღმერთთა მთელი ფერწერული თუ პლასტიკური სახე. განსაკუთრებით ცნობილი პროტოტიპებია ეგვიპტელთა იზიდა, რომელსაც მუხლებზე ყრმა უზის, ნეპტუნის ტაძრის იუნიონას და ყრმა მარსის გამოსახულებანი (იპოვნეს ათასობით გამოსახულებანი), დემეტრე, არტემიდე ეფესელი (უბიწო ქალწული), აზიის წარმართული სარწმუნოების ღმერთები და ქალღმერთები (ინდოეთი და სხვ.). ყრმა აპოლონის ერთ-ერთი უძველესი გამოხატულება – მზის სხივთა შარავანდედით თავზე – ნამდვილი ყრმა იესოს ორეულია, გარჩევაც კი ჭირს. ასევე, დიანას ერთი რომაული გამოსახულება – თავზე ჯვრით, იქით-აქეთ და მთვარის გამოსახულებებით – ზუსტად მეორდება სალიუსბურის ღვთისმშობლის გამოსახულებაში... ყოველივე ეს მეტყველებს ერთის მხრივ ხალხთა კულტურების ნათესაობასა და კავშირზე, მეორეს მხრივ ანტიკურ მითოლოგიურ სახეთა მნიშვნელობაზე, რაც საძირკველი და წყაროა ქრისტიანული ეპოქის ხელოვნებისაც და რელიგიურ წარმოდგენებისაც, რომელნიც კომეტასავთ როდი

მოწყვეტილან ციდან, სხვა ხალხთა მონაპოვარსაც ეყრდობოდნენ (დაწვრილებით იხილეთ თ. **ა. მალვერის** წიგნი „მეცნიერება და რელიგია")“.

მივაკითხოთ ახალ აღთქმას.

(**ლუკას სახარება**): **თ ა ვ ი 2**

იესოს შობა

1 იმ დღეებში გამოვიდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება: აღეწერათ მთელი მოსახლეობა.

2 ეს აღწერა პირველი იყო კვირინოსის მმართველობისას სირიაზე.

3 ყველანი მიდიოდნენ ჩასაწერად, თითოეული თავის ქალაქში.

4 იოსებიც წავიდა გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან იუდეას, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, ვინაიდან იგი დავითის სახლისა და ტომისა იყო.

5 რათა ჩაწერილიყო მარიამთან ერთად, რომელიც მასზე დანიშნული და იყო ორსულად.

6 მათი იქ ყოფნისას შეუსრულდა მარიამს მშობიარობის დღეები.

7 და შვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა ბაგაში, ვინაიდან სასტუმროში არ იყო ადგილი მათთვის.

8 იმ მხარეში იყვნენ მწყემსები მინდვრად და ღამით დარაჯობდნენ თავიანთ სამწყსოს.

9 და აჰა, ანგელოზი დაადგა მათ, უფლის დიდება გამოუბრწყინდათ და შეშინდნენ დიდი შიშით.

10 უთხრა მათ ანგელოზმა: ნუ გეშინიათ, აჰა გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება:

11 ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.

12 და ნიშნად ეს გექნებათ: იმ ყრმას ჰპოვებთ შეხვეულს და ბაგაზე მწოლარეს.

(მათეს სახარება): **თ ა ვ ი 2**

მოგვები აღმოსავლეთიდან

1 როცა იესო იშვა იუდეის ბეთლემში, მეფე ჰეროდეს დღეებში, იერუსალიმში მოვიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან და თქვეს:

2 „სად არის იუდეველთა მეფე, რომ იშვა? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას.“...

9 და აჰა, ვარსკლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დადგებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო.

10 ვარსკლავი რომ დაინახეს, მათ მეტისმეტი სიხარულით გაიხარეს.

11 როცა სახლში შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას; გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური“.

ბიბლიის ტექსტმა გამოსახა მრავალ მხატვართა მიერ დაფიქსირებული სცენა: -- ბოსელი (შუმერულ-კოლხური თური), ბოსელში დედა (ქალღმერთი) ახალშობილი ჩვილით, რომელნიც პირველებმა მწყემსებმა, ანუ ბოსლის მზრუნველებმა იხილეს და, უმთავრესი, ბოსლის თავზე გამოკიდებული ვარსკვლავი, ნიშანი ცისა და ღმერთის სახლისა – ბიბლიამ სრულად წარმოგვიდგინა შუმერული პიქტოგრამები:

(**ზურაბ კიკნაძე** 70): „ამგვარად, ამ პიქტოგრამების სახით ჩვენ ვხედავთ ორ სახლს, -- „ღმერთის სახლს" და „დიაცის სახლს“; ორივე ეს სახლი ,შობის სახლია“, რომლის შუაგულში ოქროსფერი კვერცხის გულივით კიაფობს სამყაროსა და ღმერთების ჩანასახი“.

მოგვები ეს წარმართი ქურუმებია, რომლებმაც იხილეს რა მისტიკური სცენა ღვთაების გაჩენისა, აღიარეს ქრისტე და უძღვნეს წარმართული ცოდნა და გამოცდილება, და რაც გამოყენებულ იქნა კიდეც ქრისტეან მამათა მიერ.

ასევე გაიხსენეთ, რომ შუმერულად **ნუნ** აღნიშნავს „დიდებული“, ხოლო **ნუნ-ნუნ**, ანუ „დიდებული-დიდებული" საშოს. აი ამ ცოდნის გამოა, რომ დაწყებული მეგალითური პერიოდიდან შუმერული **თური** ერთდროულად აღნიშნავს ბოსელსა და მდედრის საშოს. კოლხებმა გადმოიღეს შუმერული **თური** მხოლოდ ბოსლის, ანუ ოჯახის (ოჯახის ახლობლის) მნიშვნელობით; ადრე ადამიანებს და ცხოველებს ერთ სივრცეში ერთად ეძინათ და, შესაბამისად, ბოსელი და ოჯახი ერთ მცნებას წარმოადგენდა. შემდგომ კოლხებმა შუმერულ კომპოზიტში **თურ**-ში, რომელშიც პირველი შემადგენელი თ გაცხადებას გამოსახავდა, შეცვალეს თანხმოვანი **თ** კოლხური ცის მცნების გამომსახველი თანხმოვნით **ჩ** [**თური** > (თ > ჩ) > **ჩური**]. ეს გამოწვეული იყო იმის გამო, რომ შუმერული აზროვნებით თური ერთდროულად გამოხატავდა როგორც ბოსელს, ასევე მდედრის საშოს, ხოლო მდედრის საშო ასევე გაიგივებული იყო ღმერთების, ანუ ციურ სახლად და კოლხებმა შუმერული **თური**-დან კოლხური **ჩური**-ს შექმნით ერთმანეთისაგან გამიჯნეს შუმერული **თური**-ს მიწიერი და ციური, ღვთაებრივი შინაარსები. შუმერული **თური** კოლხურში გამოსახავს მხოლოდ მიწიერ ბოსელს (ოჯახს), ხოლო შუმერული **თური**-ს მოდერნიზებული ფორმა **ჩური** (ციური) ღვთაებრივს – ღმერთების, სიცოცხლის ჩასახვის სახლს.

ჩური-ს შინაარსის ცოდნის გამო უწოდეს ქრისტეანმა მამებმა წარმართული ჩური-დან წარმოქმნილი სახელწოდება **ცური** საქონლის სარძევე ჯირკვლებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ღებულობენ მარჩენალ რძეს

ჩური = ჩ + ური.

(ო. ქ.) -ურ სუფიქსი მიუთითებს სადაურობა – წარმომავლობასა და თვისებაზე.

(ო. ქ.) სონ-ური სადა-ური.

ჩური = ჩ(ა) **+ ური = ცა + ური = ციური ანუ ღვთაებრივი.**

უკვე ამის ცოდნით კი შეიქმნა **ჩურჩხელა.**

ჩურჩხელა = ჩურ(ი) **+ ჩხე + ლა = ციური + ცხელი + ფორმა, სხეული** = ღვთაებრივი ცხელი ფორმა (ვგონებ არაა აუცილებელი იმის მტკიცება, რომ ჩურჩხელა ცხელ მგომარეობაში ფორმირდება, სხეულდება).

ჩური რომ ციურს აღნიშნავს, ამის მტკიცებად კოლხურში იძიება ორი პოეტური ხედვის მაგალითი. ეს დღესაა რომ დავჩიავდით და მხოლოდ ჩვენს მარჩენალ მიწას მივჩერებივართ, ჩვენი წინაპრებისთვის კი მზე დედა იყო, მთვარე მამა და ცას განფენილი ვარსკვლავები დამბები, ანუ ისინი მუდამ ცას უსწორებდნენ თვალს და ამის შედეგადაც გაჩნდნენ მცნებები **ჩურუა** (> ცურვა) და **ჩოლუა** (> დაცლა), ანუ:

ჩურუა = ჩურ(ი) **+ უა = ციური + მოქმედება.**

გსურს რა ცურვის არმცოდნეს გააგებინო თუ რას განიცდი ცურვისას, შენ მას უხსნი: -- ცურვის პროცესი ეს იგივეა როგორც ფრინველი ცაში ფრენისას უწონადო მოძრაობებს ასრულებდეო, მსგავსია მზის, ღრუბლების, ვარსკვლავების ცაში მსუბუქი სრიალისაო, – უზუსტესი განსაზღვრებაა, განსაკუთრებით თუ წყლის ზედაპირზე ცურვის გარდა, წყლის სიღრმეში გახელილი თვალებით ჩაყვინთვაც, ანუ წყლის სივრცეში თავისუფალი, უწონადო მოძრაობებიც გიყვართ. აღსანიშნავია, რომ ზღვის

სპილოები, პინგვინები ცურვისას ფრინველთა მსგავს მოძრაობებს ასრულებენ, ანუ წყლის სიღრმეში „დაფრინავენ" და რითაც დიდად ზოგავენ ენერგიას. ე. ი. ზღვის სპილო, პინგვინი და ბეღურა მსგავსი მოძრაობებით გადაადგილდებიან წყლის სივრცეში თუ ცაში.

მცნება ჩოლუა (დაცლა) კი შემდეგ შინაარსს ატარებს:

ჩოლუა = ჩ(ა) + **ოლ**(ე) + **უა** = **ცა** + **მდინარე** + **მოქმედება**, **შედეგი**.

ჩოლუა გვიხსნის: აი ცა არის სავსე პირქუში, საავდრო ღრუბლებით და წამოვიდა კიდეც ციდან ნიაღვარი, მდინარესავით წვიმა. უხვი წვიმის შემდგომ ცა კრიალდება, ქრებიან საავდრო ღრუბლები და ეს მოქმედება არის ცის ღრუბლებიდან დაცლის პროცესიო.

მსგავს შინაარსს ატარებს **შოლუა**.

(ო. ქ.) **შოლუა** [და]სველება.

შოლუა = შ + ოლ(ე) + **უა = ჰაერი + მდინარე** (წყლის დენა, წვიმა) + **მოქმედება**, **შედეგი** = გაიხსენეთ ქიყვანა -- ყოველივე ჩვენს გარშემო არსებული მიწიერი წარმონაქმნი (ადამიანები, ცხოველები, მწვანე საფარი...) იმყოფება მიწასა და ცას შორის, ანუ ვიმყოფებით ჰაერში და ციდან ჰაერში, ატმოსფეროში წამოსული წვიმით (წვიმის მოქმედებით) ვსველდებით.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩენჩო** მარცვლეულის ბუდე. კანი. ლობიოს ჩენჩო – მზესუმზირის ჩენჩო. || წვნიანი ხილის კანი. გაწურვის შემდეგ დარჩენილი. ტყემლის ჩენჩო..

ჩენჩო = ჩე + ნ + ჩო(ლირი) = **თეთრი + სასურველი(ს) + დაცლილი.**

ჩოლუა-დან ქართულში შეიქმნა:

წარმართ. **ჩოლუა** > (ჩ > ც, ო > 0, უ > 0) > **ცლა** > **და-ცლა** > **და-ცლ-ილი** > **მო-ცლა** > **მო-ცლ-ილი...**

ჩოლუა შემადგენელია სახელწოდებისა **ბოჩოლა**.

ბოჩოლა = ბო + ჩოლ(უ)**ა** = პატარა დამცლელი.

ამ სახელწოდების შინაარსი გვაფრთხილებს: ბოსელში ხბო თუ საღამოს საბალახოდან დაბრუნებული მეწველი დედისაგან არ გაანცალკევე, ძროხას რძისაგან სრულად დაცლისო.

ჩოლუა ასევე შემადგენელია ტერმინისა **ჩინჩოლუა**.

(ო. ქ.) **ჩინჩოლუა** იგივეა რაც ჩიჩოლუა; ჩიჩოგუა -- ფშვნა; ფშხვნა.

ჩინჩოლუა იგივე მნიშვნელობითა აქვს განმარტებული იოსებ ყიფშიძესაც და რაც არ შეესატყვისება **ჩინჩოლუა**-ს ეტიმოლოგიურ შინაარსს, რომელსაც ზუსტად გამოსახავს მეგრ. **ჩინჩოლუა**-ს გადაქართულებული ვარიანტი **ჩინჩვლა**. თავად მეგრულში **ჩინჩოლუა**-დან შედგა შეკვეცილი ფორმა **ჩიჩუა** „ჩინჩვლის" მნიშვნელობით.

(ო. ქ.) **ჩიჩუა** ფრინველთა პეპლაობა; ჩინჩვლა.

ჩიჩუა-მ მიიღო უარყოფითი მნიშვნელობაც:

(ო. ქ.) **ჩიჩური** გლახაკური, უხეირო, ცუდი.

ჩიჩური = ჩიჩ(**უა**) + **ური = და-ჩიჩუა-ებული, და-ჩინჩვლული.**

ჩინჩოლუა = ჩი + ნ + ჩოლუა = ცა(მამალი) + **მდედრი + დაცლა = ჩინჩვლა.**

ცა ხშირად გრგვინავს, ხმაურობს და შეიქმნა **ჩიება** (საუბარი; მბობა, ლაპარაკი; მოყოლა). **ჩიება**-დან ქართულში შეიქმნა **ჩივილი**. ჩიება შემადგენელია სიტყვისა **ჩიბურდი**.

(ო. ქ.) **ჩიბურდი** უაზრო ლაპარაკი, უაზრობა.

(ო. ქ.) **ბურდინი** ბურდღუნი, ბურტყუნი, გაურკვეველი ლაპარაკი; ბლუკუნი.

ჩიბურდი = ჩი(ება) + **ბურდი**(ნი) = **საუბარი + ბურდღუნი = გაურკვეველი საუბარი.**

ჩიბურდი(ნი) > ჩიბურდანიძე.

(ო. ქ.) ჩანა, ჩანუა (სემანტიკუად უმთავრესად მცენარეულობას უკავშირდება) – 1. ბმა, სხმა (ნაყოფისა); ასევე ითქმის თმის, კბილების, ხელის... მიმართ; 2. გაზრდა, ხარება, ქონება; ძველი ქართულით – ცენება. აბაშა დო ფუთიშ(ი) შქას მეფორჩილო ღუმუ ჩანს – აბაშასა და ფოთს შორის მთლიანად (მიწოლილად) ღომი (მცენარე) ხარობს (ცენებს). დიირჩინუ დო კიბირი აკა ვაჩანს – დაბერდა და არც ერთი კბილი არ აქვს (უდგას). ცურძენს ჯგირო გოჩანს – ყურძენს კარგად ასხია... ჩანს -- რგია, ცენებს, ხარობს (რომელიმე მცენარეთაგენი). უჩანს -- უდგას (მცენარე)...

ჩანა = ჩა + ნა = ცა + დედა, სასურველი. ამ შემთხვევაში ცა მიგვანიშნებს მსხმოიარე ბუჩქის, ხის სიმაღლეს. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ დედა (ნა) ასევე მარჩენალია – დია-ა და ამ შემთხვევაში დედის მცნების ქვეშ სასურველი ნაყოფი იანგარიშება.

ჩანა = ჩა + ნა = ცა + დედა(სასურველი) = **მაღლა** (ცაში, სივრცეში) **ნაყოფი**.

ამის გამოა, რომ ჩანა „სემანტიკუად უმთავრესად მცენარეულობას უკავშირდება", ანუ თავდაპირველად მხოლოდ მცენარეული ნაყოფი იანგარიშებოდა. შემდგომ **ჩანა**-ს მცნება განზოგადდა და უკვე ყოველგვარი სახის სხეულის ნაზარდებიც (ხე, ბუჩქი, თმა, კბილი, ხელი...) იგულისხმებოდა. ნაყოფიერების მცნებათა სპექტრის განშლამ თავისთავად მოიცვა ზრდის, ხარების, ქონების მნიშვნელობებიც.

მეგრ. **ჩანა**-დან ქართულში შეიქმნა **ჩანს** > **მოსჩანს** > **ამჩნევს** > **უჩანს** > **შესამჩნევი**... ვინაიდან მაღლა ხეზე ნაყოფი ნაღდად მოსჩანს. მეგრ. **ჩანა**-ს გადაქართულების საუკეთესო მაგალითია ქართ. **ჩანასახი**.

(ო. ქ.) ჩანაფა გამობმა, გამოსხმა.

წარმართ. **ჩანაფა** > (ჩ > ც, ა > ე, აფა > ება) > ქართ. **ცენება** > **აღმოცენება**.

(ო. ქ.) ჩანელი აღმოცენებული, გახარებული.

წარმართ. **ჩანელი** > (ა >< ე) > ქართ. > **ჩენილი** > **გაჩენილი** > **გამოჩენილი** > **დარჩენილი** > **შეჩენილი** > **შეუჩნდა**...

მეგრულს გააჩნია სახელწოდება **ჩორომა** და რაც დიდი მოცულობის სასმისს აღნიშნავს. **ჩორომა**-**ში** თანხმოვანი **ჩ** წარმოგვიდგენს ცის მცნებას სიმაღლის სახით.

ჩორომა = **ჩ**(ა) + **ორომ**(ე) = **მაღლა** + **ღრმა** – მცნება ორომე-თი იგულისხმება დიდი სასმისის სიღრმე, ხოლო მცნება **ჩ**(ცა) მიგვანიშნებს სასმისის სიმაღლეს.

ჩანა-ს განზოგადოებული სახეებაა:

ჩინი = **ჩი** + **ნი** = **ციური** + **დედის** (სასურველი).

(ქ.ე.გ.ლ.) ჩინი იგივა რაც თვალის ჩინი (მნიშვ. 2)... 1) მხედველობა. 2) იტყვიან ძვირფას, ძალიან საყვარელ ადამიანზე.

წარმართ. **ჩინი** > ქართ. (თვალის) **ჩინი, საჩინო, თვალსაჩინო**...

(ქ.ე.გ.ლ.) ჩინა დაბარება, შემოთვლა.

წარმართ. **ჩინა** > ქართ. **მიუჩინა** (ადგილი).

(ქ.ე.გ.ლ.) ჩინება ცნობა.

წარმართ. **ჩინება** > (ჩ > ც, ი > 0, ება > ობა) > ქართ. **ცნობა** > **ცნობიერება** > **გაცნობა** > **უცნობი** > **უცნაური**...

ჩიტი = **ჩი** + **ტი** = **ციური** + **თბილი**.

(ო. ქ.) –ჩია აწარმოებს კნინობით-მოფერებით ფორმებს; ბაბა-ჩია მამიკო, მამიკონა; ბაბუ-ჩია ბაბუკა; დედა-ჩია// დედუ-ჩია დედიკო, დედიკუნა; მამუ-ჩია მამიკო.

მეგრულ **ჩია**-ს ქართულში „პატარა ტანის" მნიშვნელობა მიენიჭა.

ჩი-ს, როგორც ციური-ს აღმნიშვნელის გამოყენების საუკეთესო მაგალითია ისტორიული სახელწოდება **ანჩი**. ვიცით, რომ ანი შუმერულად აღნიშნავს ცა-ს, ხოლო კოლხურში ის დამკვიდრდა ზე-ს, ზედა-ს მნიშვნელობებით და ამ ტრადიციის შედეგია შემდეგი ტოპონიმები და სახელწოდებები:

ანი – სოფელი ახალციხის რ-ნში.

ანისხევი – მდინარე ახმეტის რ-ნში.

ანძა = **ან** + **ძ**(უ) = **ზე** + **ძევს** = ზევით ძევს

(ო. ქ.) **ანწუხი** წვეტიანი ისარი.

(ო. ქ.) ანწალა ხეზე ჩამოკიდებული ჩალა (ზვინი); ბოსლის თავზე საკვების შესანახი.

ანჩი = **ან** + **ჩი** = **ზე** + **ციური** || **ღვთაებრივი.**

აქვეა გვარები ანჩაბაძე, ჩივაძე, ჩიჯავაძე.

ანჩაბა(ძე) = **ან** + **ჩა** + **ბა** = **ზე** + **ცა** + **პატარა** (სულიერი)

ჩივა(ძე) = **ჩი** + **ვა** = **ციური** + **წარმონაქმნი** (შვილი).

ჩიჯავა(ძე) = **ჩი** + **ჯა** + **ვა** = **ციური** + **ხე** + **წარმონაქნი** (შვილი).

(ო. ქ.) **ჩიჩილაკი** იგივეა რაც ჭიჭილაკი.

ჭიჭილაკი = **ჭი** + **ჭი** + **ლა** + **კი** = **მცირე** + **მცირე** + **ფორმა** + **სასურველი** = მრავალი მცირე სასურველი ფორმები(საგან შემდგარი).

ჩიჩილაკი = **ჩი** + **ჩი** + **ლა** + **კი** = **ციური** + **ციური** + **ფორმა** + **სასურველი** = მრავალი ციური (ულამაზესი) სასურველი ფორმები(საგან შემდგარი).

(ო. ქ.) **ჩილა** ჩირი; ზამთრისათვის გამხმარი ხილი.

ჩილა = **ჩი** + **ლა** = **ციური** + **სხეული** (ფორმა, ნათება) და გაიხსენეთ შემოდგომით ხურმის ჩირების გირლიანდებით დამშვენებულ ოდათა აივნები.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩილა** სანთლის გული. ბამბის ნართი პატრუქისათვის (იცოდნენ ფშავში).

(ო. ქ.) **ჩილამური** ცრემლი.

მური (მურს) კოლხურად აღნიშნავს სვლას (თხილამური, წიწამური, სალამური...).

ჩილამური = **ჩილა** + **მური** = **ციური ფორმები** (ნათება) **მოედინება**.

(ო. ქ.) **ჩილი** ცოლი. ჯგირი ჩილიში მენდული კოსი ორზოლი საჭირო ვაფუნია – კარგი ცოლის მინდობილ კაცს საგზალი არ ესაჭიროებაო.

ჩილი = **ჩი** + **ლი** = **ციური** (ღვთაებრივი) + **სხეული** (არსება)= ცოლი

ჩილი > (ჩ > ც, ი > ო) > **ცოლი**..

კოლხი კაცისთვის **ოსური** (ქალი) -- სასურველია, **ჩილი** (ცოლი) – ციური არსებაა, **ჩური** (საშო) – ღვთაებრივია, ცოლს მიმართავს ფორმით **თოლი-გე** -- თვალების საფიცარო. ქალისადმი კოლხი კაცის გამორჩეულმა დამოკიდებულებამ გააკვირვა კიდეც ევროპიელი **არქანჯელო ლამბერტი**, რომელიც ოდიშში1633 – 1653 წლებში მოღვაწეობდა.

(**არქანჯელო ლამბერტი** 80): „ჩვენს ევროპაში როცა ცოლს ირთავენ, უმთავრეს საგნად აქვთ მზითვის მიღება. ამიტომ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ყურადღებას არ აქცევენ არც ტანის უშნოობას, არც ხნიერებას და არც დაბალ შთამომავლობას, როცა მეორის მხრივ არის კარგი და მდიდრული მზითევი. საზოგადოდ ჰფიქრობენ რომ ყოველსავე ნაკლუვანებას დაჰფარავს ოქრო და ვერცხლიო. ამიტომაც ხშირია, რომ დიდებულები თავს იდაბლებენ, ყმაწვილები უშნო და უკბილო ბებრებს ირთავენ. კოლხიდაში ასე როდია, იქ ქალს არავითარი მზითევი ქმრისთვის არ მოაქვს. მეგრელები ცოლში ეძებენ ფიზიკურ სიმშვენიერეს, კარგ შთამომავლობას და საუკეთესო ზრდილობას. სამაგიეროდ სასიძომ უნდა მიუტანოს ქალის მშობლებს დიდი საჩუქარი და მდიდრული ძღვენი“.

ქალისადმი გამორჩეული კოლხური დამოკიდებულება უძველეს აზროვნებათა მახასიათებელია.

(**აკაკი გელოვანი** 526): „**შაქტი** – (სანსკრიტ.: ძალა, ენერგია, არსთა საძირკველი, ყოფიერების მიზეზი) – ქალი, საწყისი ძალა პროტოინდური რელიგიის იმ სახეობაში,

რასაც ტანტრაიზმი ეწოდა და რომლის „ბიბლია", მეხუთე ვედა თითქოს თვით შივამ დაწერა. ამ რწმენის მიხედვით, თვით ქალია სამყაროს უზეანესი დედა, არსთა მშობელი. მასთან წამიერი შეერთებით მორწმუნე მამაკაცები (საფიქრალია ურწმუნოებიც ჯ. კ.) უკავშირდებიან ღმერთს. ამდენად, დედობრივი საწყისის ძალა ინდურ რელიგიაში ღვთაების რანგში ადის“.

აღსანიშნავის, რომ არც ქართული ენის შემქნელებს დაურღვევიათ კოლხური ტრადიცია და მცნება ქალი შემდეგი შუმერული ცოდნით გამოსახეს:

(**ზურაბ კიკნაძე** 262): „(ინანას ეპითეტია) **ნინ-ქალ-ქალ** „უძვირფასესი დედოფალი“ (გაორკეცებული ქალ ინტენსივობის გამოსახატავად)“.

კოლხური კითხვით: **ქალი** = **ქა** + **ლი** = **მიწა** + **სხეული** = მიწიერი სხეული.

ფასინენა

სადღეისოდ, ქალაქი **ფასისი** (დღევანდელი ფოთი) ლამის ნიკო ნიკოლაძის დაარსებულ ქალაქადაა გამოცხადებული და ამას საფუძვლად იმ ფაქტს უდებენ, რომ ქუთაისში დაბადებული ნიკო ნიკოლაძე, რომელიც აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, ქუთაისში, პარიზში, პეტერბურგში, ტყიბულში, 1894 – 1912 წ.წ. არჩეული იყო ქ. ფოთის მერად. ნიკო ნიკოლაძე, სასიქადულო მამულიშვილი, თავის დროზე მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა თბილისის წყალსადენის, ამიერკავკასიის რკინიგზის, გროზნო-ფოთის ნავთობსადენისა... და მათ შორის ფოთის ნავსადგურის მშენებლობასაც. მთელს მსოფლიოში საპორტო ქალაქთა მერების უპირველეს, ყოველდღიურ მოვალეობას ან ახალ ნავსადგურთა მშენებლობა, ან არსებული ნავსადგურების მოდერნიზება წარმოადგენს. ქ. ფოთის სახებად ნიკო ნიკოლაძის წარმოდგენა იგივეა, რომ ქ. თბილისის რკინიგზის ვაგზლის მშენებელი თბილისის მამად წარმოვაჩინოთ. ქალაქი ფოთი, ანუ ჭეშმარიტი ქ. **ფასისი** თავისი მნიშვნელობებით ბევრად სცილდება ადგილობრივ მასშტაბებს და მსოფლიოს ლეგენდარულ ქალაქთა რიგს განეკუთვნება.

მდინარის სახელწოდება **ფასისი** პირველად ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში ბერძენ ეპიკოს ჰესიოდესთან ფიქსირდება. ეს ცნობა გვაძლევს უფლებას ვიანგარიშოთ: სანამ მდინარის სახელწოდებად ტერმინი **ფასისი** თავად კოლხებში წარმოიქმნებოდა და დამკვიდრდებოდა, შემდგომ ეს კოლხური სახელწოდება საბერძნეთამდე განივრცობოდა, შემდგომ ბერძნულ მითოლოგიაში აისახებოდა და მოგვიანებით ჰესიოდესთანაც დაფიქსირდებოდა, განსახილველი ისტორიული პერიოდის კომუნიკაციათა გათვალისწინებით, ამ მოძრაობას მინიმუმ ერთი ან ორი საუკუნე მაინც დასჭირდებოდა. ეს უკვე თავისთავად წარმოადგენს იმის დოკუმენტირებას, რომ კოლხური ენა, სადღეისოდ ჩვენამდის მოღწეული ფსიქოლოგიური აზროვნებით, მინიმუმ ძველი წელთაღრიცხვის X—IX საუკუნეებისათვის, უდავოდ არსებობდა.

ქ. **ფასისის** ტერიტორია ესაა პელაზგურ-ბერძნულ და კოლხურ ცივილიზაციათა შეხვედრის სივრცე (არგონავტიკა).

ფასისი, როგორც სავაჭრო კოლონია (დასახლება), ბერძენთა მიერაა დაარსებული ძვ. წ. VI საუკუნისთვის და იგი თანდათანობით იქცა კოლხურ ქალაქად. **ფასისს**, რომელიც ბერძენი ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში" (ძვ. წ. IV ს.)

არის მოხსენიებული, სტრაბონი (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) „კოლხეთის ემპირიონად“ (სავაჭრო ცენტრად) აღიარებს და დღესაც **ფასისი** საქართველოს საზღვაო ჭიშკარია.

ძველი ბერძნების წარმოდგენით (ძვ. წ. VII—VI ს.ს.) ქალაქ **ფასისს** კვეთს ევროპისა და აზიის გამყოფი მდინარე ფასისი (რიონი) და ამ რეალობიდან გამომდინარე, გეოგრაფიული მდებარეობით, ქ. **ფასისი** ესაა მსოფლიოს პირველი ევრაზიული ქალაქი. მსგავსი, გეოგრაფიული მდებარეობით, ასევე ევრაზიული ქალაქია მხოლოდ და მხოლოდ ახ. წ. 330 წელს ზღვისპირა ქალაქ ბიზანტიონი-ს ადგილზე აღმოცენებული **კონსტანტინოპოლი**, ანუ შემდგომი **სტამბული**.

ქალაქ ფასის-ში, მდინარე ფასისის მარცხენა მხარეს აღმართული იყო კოლხთა დიდი დედის, ფასიანეს ქანდაკება, მსგავსი „ფიდიასის ქანდაკებისა ათენის მეტროონში“.

ამრიგად ქალაქის სახეს წარმოადგენდა კოლხთა დიდი დედა ფასიანე და რამაც უნდა მიგვახვედროს, რომ მიუხედავად ქალაქში ბერძნული მოსახლეობის ჭარბი რაოდენობისა, ქალაქი ფასისი მუდამ კოლხური სამყაროს შემადგენელი გახლდათ.

ქ. ფასისის დღევანდელი სახელწოდება ფოთი ბერძნული წარმომავლობისაა. ეს სახელწოდება გაქრისტეანების პერიოდში, კოლხური წარსულის უარყოფის ხანაში წარმოიშვა. ესაა ტრადიცია, როცა მდინარე ფასისს ბერძნული რეონი ეწოდა, ჩხენისწყარს (ცხენისწყალს) ჰიპოსი, ღორას (ღორეშა-ყვირილას) ბოასი.

სახელწოდება ფოთი ბერძენთა მდინარის სახელწოდება პოტამოს-იდან (**ποταμος**) მომდინარეობს.

προς-προοτι-ποτι [პოტი] – приморские города.

უხერხულობა ისაა, რომ ჩვენს ლეგენდარულ ქალაქს ბერძნული სახელით **პოტი** > **ფოთი**-თ მოვიხსენიებთ, ხოლო ბერძნები ქალაქ ფოთს და ასევე რიონსაც მათ ისტორიული სახელით ფასისი-თ აფიქსირებენ.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 747): „(რიონს) ბერძენნი უწოდებენ ფასონს“.

დასადგენია თუ ზუსტად როდიდან დამკვიდრდა ჩვენი ზღვისპირა ქალაქის სახელწოდებად ბერძნული პოტი > ფოთი, მაგრამ ცნობილია, რომ ამ კოლხური ქალაქის წარმართული სახელწოდება ფასისი > ფასოი X საუკუნეშიც ხმარებაში გახლდათ. ჩავიხედოთ 1975 წელს გამოცემული „დიდი სჯულის კანონში“, რომელიც წარმოადგენს ქრისტეანული მოძღვრების ძირითად მართლმადიდებლურ კანონიკურ კოდექსს, ზოგადქრისტეანული სახელმძღვანელო ნორმის უფლებებით და ოფიციალურად კონსტანტინეპოლის 920 წ. მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იქნა დადგენილი.

კონსტანტინოპოლის 920 წლის მსოფლიო საეკლესიო კრებას სამეგრელოს სასულიერო წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ხელის მოწერით ადასტურებენ სჯულის კანონის მიღებას.

„თეოდორე უღირსმან ეპისკოპოსმან ფასოჲსამან სოფელსა შინა მეგრელთასა განვსაზღვრენ და წარვწერენ;

იოანე უღირსმან ეპისკოპოსმან ქალაქისა პეტრონისამ ქუეყანისა მეგრელთაჲსა განვსაზღვრენ და წარვწერენ“.

გამომდინარე ნატყუარი ქართული წყაროების მიერ დახატული ისტორიული ფონისა, ამ მართლამადიდებელთა ეპოქალური მსოფლიო კრების მონაწილეთა სიაში უნდა ამოგვეკითხა „ეპისკოპოსი ქალაქისა მცხეთისა ქუეყანისა ქართლისა“, მაგრამ ასეთი პიროვნება და ქვეყანა არ იძიება და არ იძიება არც 787 წლის მსოფლიო კრების აქტებში, სადაც ასევე მონაწილეობდა ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპეზუნტისა და ვერც იარსებებდა, ვინაიდან მეათე საუკუნისთვის თავად სახელწოდება ქართლი არ არსებობდა, ასევე ჯერ განსაზღვრულიც არ იყო აშენება

დღევანდელი სვეტიცხოვლის ტაძრისა და მის ადგილას კი მცირე ზომის ბაზილიკა იდგა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი მომცრო მოცულობის ტაძრის მოძღვარს, შესაბამისად, მცირე, შეზღუდული უფლება-მოვალეობაც გააჩნდა.

ასევე აღნიშნული ხელმოწერები გვიდასტურებენ, რომ მცდარია ქართველ ისტორიკოსთა შორის გავრცელებული მოსაზრება – „სამხრეთ კოლხიდაში... ეგრისელ ტომებს – მეგრელებსა და ჭანებს შორის სახლობს მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ-აჭარლები) (პავლე ინგოროყვა 140)“ – ვინაიდან ქალაქი პეტრა ეს დღევანდელი ციხისძირია, სადაც სახლობენ გურულები, იგივე ქობულელ-აჭარლები და ეს მხარე X საუკუნეშიც მეგრელთა „ქუეყანაა“; ამასვე ადასტურებენ ბარბარო (XV ს.), ევლია ჩელები (XVII ს.) და სხვები.

გავიხსენოთ, თუ რამდენად მართებულად აღიქვამდა ალექსანდრე დიუმა საპორტო ქალაქ ფასისის (ფოთის) მნიშვნელობას, მიუხედავად იმდროინდელი ქალაქის დამცრობილი მდგომარეობისა.

(**ალექსანდრე დიუმა** 441): „**ფოთი** ზღვისპირა პორტის ქალაქი.

„არგონავტები არგუსის წინამძღოლობით, რომელიც იცნობდა ამ ადგილებს, ბოლოს მივიდნენ ევქსინის პონტის ყველაზე უფრო დაშორებულ კიდესთან და ფასისის შესართავში ჩამოუშვეს აფრები, ჩამოსწიეს ქანდარები, მოხსნეს ანძა და ყველაფერი შიგ ხომალდში ჩაკეტეს. შემდეგ მდინარის არხში შევიდნენ, რომლის ქაფმორეული ტალღები ჩუხჩუხით ნებდება გაორმაგებულ ნიჩბებს. მარცხნივ აღიმართებოდა კავკასიონის მთა და მოჩანდა ქალაქი ეა. მარჯვნივ მდებარეობდა მარსისადმი შეწირული ველი, სადაც მუხის ტოტზე ჩამოკიდებულ საწმისს მუდმივ ფხიზელი ურჩხული სდარაჯობდა. მაშინ იაზონმა წმინდა ღვინით სავსე ოქროს ფიალა აიღო, მდინარეს ღვინო შესწირა და შესთხოვა იმ ქვეყნის ღმერთებს მოწყალება მოეღოთ და ნება მიეცათ ნაპირზე ბედნიერების მომასწავებელი ნიშნით მიმდგარიყო. – ჩემო მეგობარო, -- თქვა ანცეუსმა, ჩვენ გადმოვცურეთ ფასისი და აი, კოლხეთში მოვედით. ახლა ყოველმა ჩვენგანმა განსაჯოს. ვცადოთ აიეტის წინაშე მოვიხმაროთ ხმა შეგონებისა, თუ არსებობს კიდევ სხვა საშუალება, რათა ჩვენი ოცნების საგანს მივაღწიოთ. ვიდრე ის ლაპარაკობდა, იაზონმა არგუსის რჩევით ბრძანება გასცა, რომ ხომალდი გაეწიათ „მეზობლად მდებარე ჭაობში, რომელიც ხშირი ლერწმით იყო დაფარული". იქ ღუზა ჩაუშვეს და გმირებმა ღამე ხომალდზე გაათენეს, თან მოუთმენლად მოელოდნენ განთიადს, რომელმაც აღარ დააყოვნა გამოჩენა“.

ქალაქ ეას და მუხაზე ჩამოკიდებულ ოქროსს საწმისის გარდა ეს აღწერა დღესაც ზუსტად ემთხვევა სინამდვილეს. კავკასიონი იმავე ადგილზეა, მარსის ველი ეს არის ვრცელი მოედანი, რომელზედაც გაშენებულია ფოთი. ტყე დღესაც ისეთივე ხშირია როგორც იაზონის დროს იყო. ჩვენ გავიარეთ არხი და ფასისის შესართავს რომ მივუახლოვდით, ლერწმით დაფარული ჭაობი დავინახეთ, სადაც არგონავტებმა თავიანთი ხომალდი დამალეს. როგორ შეიძლება ეა იყოს ქუთაისი, როცა იგი ფასისის შესართავს გადმოჰყურებდა და იქიდან კარგად ჩანდა...

ყოველივე სდუმს რიონის ნაპირებზე, როგორც სდუმს თვითონ ისტორიაც. უკეთესია მას ფასისი ერქვას, რათა იგი გაანათოს ანტიკურობის სხივმა, რომელიც სამი ათასი წლის წინათ ბრწყინავდა“.

დროა ყურად ვიღოთ ალექსანდრე დიუმას **1859** წელს წარმოთქმული შეგონება და აღვუდგინოთ ქალაქ ფოთს და მდინარე რიონს მათი ლეგენდარული, მსოფლიოს მიერ აღიარებული სახელწოდება **ფასისი**, ხოლო მდინარე **ფასისზე** გადებულ ხიდებს მარცხენა მხარეზე გავუკეთოთ აბრები წარწერით **აზია**, მარჯვენა მხარეზე კი წარწერით **ევროპა**.

სანამ აღგვიდგენია ისტორიული სამართლიანობა სასურველია გავერკვეთ სახლწოდება **ფასისი**-ს წარმომავლობასა და შინაარსში.

(**პავლე ინგოროყვა** 183): „აკად. სიმ. ჯანაშია წერილში „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში" აყენებს დებულებას, რომ სახელწოდებანი ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია და ლაგუმფსა – ჩერქეზული წარმოშობისაა; ჩერქეზულად სიტყვა **ფსგ** ნიშნავს წყალს, და მდინარეთა სახელწოდებანი, რომელთაც ერთვის ეს სიტყვა, ნიკოფსისი (ნიკოფსია) და ლაგუმფსა, -- ჩერქეზულ სახელწოდებებს წარმოადგენენო.

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს მტკიცება?

თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ მდინარეების ანალოგიური სახელწოდებანი, რომლებშიაც ჩვენ გვაქვს ეს ფუძე-სიტყვა ფსი (ფსა) || ფსისი, იგივე ფასი || ფასისი, გვხდება არა მარტო აფხაზეთის მხარეთა ამ მდინარეთა სახელწოდებებში – ნიკოფსისი (ნიკოფსია) და ლაგუმფსა, არამედ შიდა საქართველოს მთელ რიგ მდინარეთა სახელებში. ასეთებია:

გ. პირველ რიგში ისტორიული სახელწოდება კოლხეთის მთავარი მდინარისა – რიონისა -- ფასი, ფასისი.

დ. ისტორიული სახელწოდება ჭოროხის მდინარისა – აკამ-ფსისი (= აკამ-ფასისი)...

ე. სახელწოდება მდინარისა სუფსა, რომლის პირველადი სახეა სურ-ფსა. ეს მდინარე ღებულობს სათავეს მთებში, რომლის სახელწოდებაა სურ-ი, სურ-ებ-ი სურ-ფსა ნიშნავს: სურის (სურების) წყალი.

ვ. ტერიტორია ზემო-არაქსის ხეობისა – ბასიანი (ფასიანი) – ანტიკურ ხანაში, როგორც ცნობილია, ქართველ ტომთა განსახლების არეალში შედიოდა, იგი შეადგენდა მესხეთის მხარეთა ნაწილს. აქაც ჩვენ გვხდება იგივე სახელწოდება ფასისი; სახელდობრ ფასისი ერქვა მდინარე არაქსის ზემო ტოტს, რომელიც ბასიანის ტერიტორიაზე მომდინარეობდა...

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სახელწოდებანი მდინარეებისა, სადაც წარმოდგენილია ეს ფუძე-სიტყვა ფსი || ფსისი, ფასი || ფასისი, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, დაწყებული აფხაზეთის მხარეებიდან – ვიდრე მესხეთამდე, ჭოროხის ხეობამდე და არაქსის სათავეებამდე.

ცხადია, თუ დავუშვებთ, რომ ეს სიტყვა ფსი || ფსისი, ფასი || ფასისი – ჩერქეზულიდან მომდინარეობს, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც დასახლებული იყო ჩერქეზთა ტომებით, რომელთაც დაუტოვებიათ კვალი ადგილობრივ ტოპონიმიკაში. აკად. სიმ. ჯანაშია აკეთებს კიდეც ასეთ დასკვნას. იგი ვარაუდობს, რომ დასავლეთი საქართველო ვიდრე გურიამდე (სუფსის ხეობამდე), ასევე მესხეთი (ჭოროხის = აკამ-ფასისის ხეობა), ვითომც ოდესღაც ჩერქეზული ტომებით იყო დასახლებული, რა ტერიტორიაც შემდეგ ქართველებმა დაიკავესო. სიმ. ჯანაშია თავის წერილს ასე დაასკვნის: „ზემო თქმულის გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს (საცილობელი საკითხები ამ წერილში არც კი აღგვიძრავს). ეს კი ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია“.

ეს შეხედულება, რომელიც ასეთის კატეგორიულობით არის წარმოდგენილი, არ შეეფერება სინამდვილეს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნებისა, რომლებიც ხალხის ისტორიის ძირითად საკვანძო საკითხებს ეხება, -- ასეთის საბუთიანობით, სულ რამდენიმე სიტყვის (არსებითად სამი სიტყვის) საეჭვო ეტიმოლოგიზაციის საფუძველზე.

ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფსგ“ აღნიშნავს წყალს, მაგრამ აქედან არაფერი არ გამომდინარეობს.

საქმე ის არის, რომ ამავე ფუძისეული სიტყვა არსებულა არქაული პერიოდის ქართულშიც, რა დროსაც ეკუთვნის ამ გეოგრაფიულ სახეწოდებათა წარმოშობა.

ხოლო ის ფაქტი, რომ ამავე ძირის სიტყვა ჩვენ გვხდება აგრეთვე ჩერქეზულშიაც, აიხსნება იმით, რომ ჩერქეზული ერთგვარ ნათესაობაში იმყოფება ქართულთან (საერთო წარმოშობის სიტყვები არა ერთი და ორი მოიპოვება ქართულსა და ჩერქეზულში), ან და, შესაძლოა იმითაც, რომ ეს სიტყვა ჩერქეზულში ნასესხებია ქართულიდან.

ხოლო ქართულ ენაში რომ სიტყვა ფას-ი || ფს-ი (აქედან ფას-ის-ი, ფს-ის-ი) ძირეულია და აღნიშნავდა ცნებას „წყალი“, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ ფუძეს მრავალგვარი განშტოება მოეპოვება ქართულში.

ასე, განშტოებას ამ ფუძე-სიტყვისას ფას-ი || ფს-ი (= წყალი) წარმოადგენენ:

სიტყვა „ფშა“, რაც ნიშნავს წყაროს, წყალს;

„ფშანი“ – დიდი ფშა (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „მრავალ-ფშა“), წყარო-მდინარე;

„ფშა-ტალა“ -- სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „წყალი თოვლნარევი“;

„ფოსო", „ფოსვი“, -- „დაღრმობილი“, წყლოვანი ადგილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია urina-ს სახელი ქართულად *ფ(ა)სელი>fs-eli, საიდანაც უდავოდ დასტურდება, რომ ფუძე ფას || ფს აღნიშნავდა მცნებას წყალი.

მეგრულ დიალექტზე ტერმინი „ფსია“ მიემართება ადიდებულ მდინარეს, აღნიშნავს წყლის დიდროობას, დიდ-წყლიანობას.

ასეთი მრავალგვარი განშტოება ამ სიტყვისა ქართულში იმისი მაჩვენებელია, რომ ეს ფუძე ფას-ი || ფს-ი ძირეულია ქართულ ენაში და გადმოსცემდა მცნებას წყალი“.

ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია გავიმეოროთ ყვა-ს კოლხური ბუნების დადგენისას გამოთქმული დასკვნა: „სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული (ადიღური) კვალის ძიება გახლავთ დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიისა და ენათმეცნიერების არასასურველი მდგომარეობის გამოვლინება. დავიმახსოვროთ: ისტორიული კოლხეთის გავლენა მდინარე ყუბანს აღწევდა. აქ გვიან შემოჭრილმა ადიღე ხალხის ტომებმა (აბაზებმა: ჩერქეზებმა, ჯიქებმა, უბიხებმა, შაფსუღებმა...) მრავალი რამ შეითვისეს განვითარების შეუდარებლად მაღალ საფეხურზე მყოფი კოლხებისაგან. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს აბორიგენი ერი მხოლოდ კოლხი ერია და განსხვავებული არქე კულტურის კვალის ძიება ამ ტერიტორიაზე უნაყოფოა“.

გასაოცარია, როცა აღნიშნულ თემაზე მსჯელობისას ქართველი ისტორიკოსები სრულ იგნორირებას უკეთებენ ბერძნული მითოლოგიის ცოდნას, **რომ კოლხები ფასისის შვილები ვართ.**

Φάσις, ιδος {ფასის, -იდოს} – Фасид (1.сын Гелиоса, отец Колха; 2.река в Колхиде, ныне Рион; 3. верхнее течение р. **Ἄράξης** в Армении).

Φασις, ιδος {ფასის, -იდოს} – Фасида (город в устье р. Фасид в Колхиде).

Κολχςιδος [კოლხის, -იდოს] – 1) (**χώρα или γή**) Колхида (область по берегам р. Фасий ныне р. Риони, в Закавказье).

(**აკაკი გელოვანი** 493): „ფასისი (**Phasis**) – 1. ფასიდი (-იდოს) ჰელიოსის და ოკეანიდ ოკიროეს შვილი, კოლხთა წინაპარ კოლხოსის მამა, რომელმაც დედა უზნეობისათვის მოკლა. პლუტ.; 2. მდინარე ფასისის ღვთაება; 3. ძვ. კოლხეთის სანაოსნო მდინარე, უდავოდ დღევანდელი რიონი, ამარანტის მთებიდან მოედინება, კვიტაისს და კირკეს

ველს გაივლის, ლიკოსთან ერთად შავ ზღვას ერთვის... ძველთაგანვე აზიის და ევროპის საზღვრად ითვლებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ეს მდინარე მოსხთა – მესხთა მთებიდან მოედინებოდა, ხოლო ის რომ კოლხეთის მდინარეა, ამას არავინ უარყოფს... ქალაქი ამ მდინარის შესართავთან, მილეტელთა კოლონია, მერე კოლხთა ქალაქი (ფოთი)... ამ მდინარემ მისცა სახელი საქართველოს ფაუნის მშვენებას – ხოხობი (ფაზანი).

„ფაზისი“, **უფრო სწორად ფასისი**, რთული შინაარსისა და ეტიმოლოგიურად ძნელად ასახსნელი სიტყვაა. ცნობილი რომაელი ისტორიოგრაფის, წარმოშობით ბერძნის ამიანუს მარცელიანუსის აზრით (დაიბ. დაახ. 330 ახ. წ.). ქ. ფაზისმა სახელი მიიღო მდინარისაგან, რაც უდავოდ სწორია, ხოლო მითის ერთი ვერსიით მდინარეს ეწოდა ჰელიოსის და ოკირეოს ხსენებული შვილის სახელი, რომელიც ამ მდინარეში გადავარდა (პლუტ. ალექსანდრიელი...). საყურადღებო მოსაზრებები აქვთ ამ საგანზე ა. ურუშაძეს, რ. გორდეზიანს, მაქსიმე ბერძენიშვილს („ქ. ფაზისისის ისტორიისათვის“), მ. ჯანაშვილს („ფშანი“, მდინარისპირა წყაროს მიხედვით), პ. ინგოროყვას, რომლის დასკვნითაც „რამდენიმე სიტყვის საეჭვო ეტიმოლოგიის საფუძველზე არ შეიძლება უდიდესი მნიშვნელობის დასკვნის გამოტანა“ (გ. მერჩულე, 184), აგრეთვე პ. უსლარს (მიაჩნია ადგილობრივ და არა შემოტანილ სიტყვად, იმოწმებს ქსენოფონტეს, არაქსის სათავესა და ფასიანებს უკავშირებს), ლიტერატორ ნ. ცერცვაძეს, პედაგოგ **ს. დათეშიძეს**, რომელიც თავის სტატიაში საგულისხმო დეტალს გვაწვდის: უზარმაზარი მყინვარის ძირას გამოდის მთის ნაკადი, ნაზვავებ თოვლში იკარგება, მოშორებით ისევ გამოდის, და ესაა **რიონის სათავე, სადაც ფასის მთა აღმართულა. რიონის ძველი სახელწოდება უდავოდ ამასთანაა დაკავშირებული**, ოღონდ მაინც არ იხსნება საკითხი, ბერძნული სიტყვაა თუ ქართული. შესაძლოა ეს იყოს შერწყმული შინაარსისა. ბერძნულად „ფასის" ნიშნავს გამოჩენა-გამოვლენასაც, გამოთქმასაც ზოგადად, მტკიცებასაც, ამბავსაც და რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, (მზის) ამოსვლა-ამობრწყინებასაც (პლატონი, არისტოტელე). რამდენადაც ყველა მხილველი ამტკიცებს, რომ ფასის – რიონის სათავესთან, ცხრაწყაროს მხარეს, მზის ამოსვლა განსაკუთრებით ლამაზი და დიდებულია, მდინარის სახელწოდების ბერძნულ-ქართული წარმოშობა თავისთავად ნათელი ხდება. გავიხსენოთ მითი: პრომეთე ეუბნება იოს: „შენ მიადგები იმ მდინარეს, რომელიც ღირსია თავისი სახელისა. ნუ გადახვალ, გადასვლა საშიშია, გაუყევი მაღლა კავკასიონამდე, რაც ყველა მთაზე მაღალია. ამ მთის თხემიდან გადმოჰქუხს აქაფებული მდინარე". რაც შეეხება ყუბანის, არაქსის და სხვა მდინარეების ფასისობას, ხელოვნურია, უსაფუძვლო ვარაუდებია... ფასისზე იყო კიბელას ტაძარი. ქ. ფასისიც და ძვ. ფოთიც სავსებით რეალურად არსებობდნენ, როგორც ტროიძენი, მეგარა, ტროა, და თუ ერთ დროს მითიურად თვლიდნენ, ეს იყო მხოლოდ ცოდნის ნაკლებობის შედეგი“.

(**პროკოპი კესარიელი** 94): „ათენის შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც, რომელიც კაი სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული. ის ძველად **აფსურტად** იწოდებოდა, მას კაცის სახელი დაერქვა ერთი შემთხვევის გამო: ამბობენ რომ **აფსურტე** მოკლულ იქმნა მედეას და იასონის ვერაგობის წყალობით და ამის გამო ამ ადგილმა მიირქვა მისი სახელი. ის ხომ ამ ადგილას მოკვდა და მისგან იწოდა ასე. მაგრამ ძალიან დიდი ხანი გავიდა მის შემდეგ და ადამიანთა ურიცხვ ცვლათან დაკავშირებით შეირყვნა იმ გარემოებათა ვითარება, რომელთაგან ეს სახელი მომდინარეობს, და ახლა ამნაირად გადასხვაფერდა ამ ადგილის სახელწოდება. ამ **აფსურტეს** საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის, ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპპოდრომით და მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ

ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქიდან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“.

ბერძნული არგონავტიკა მოიცავს ძვ. წელთაღრიცხვის XIII საუკუნეს (როცა ადიღე ერის ჩანასახის ჭაჭანება არაა მსოფლიო ისტორიოგრაფიის სცენაზე) და კოლხეთში აიეტის გამეფების ხანიდან სახელწოდება **აფსირტ-ე || აფსურტ-ე** იმდენად პოპულარული და სასახელო იყო, რომ იგი ლეგენდარული აიეტის ვაჟს ეწოდა, ხოლო მისი ტრაგიკული დაღუპვის შემდგომ, მისი სახელი **აფსირტ-ე || აფსურტ-ე** კოლხებმა იმ კოლხურ ქალაქზე (დღევანდელ გონიოზე, თუ სარფზე) განავრცეს, სადაც, უკვე კოლხური მითოლოგიით, მისი ცხედარი იყო დაკრძალული. აღსანიშნავია, რომ ამ თეატრით, იპოდრომით და სხვა დიდ ქალაქთა მახასიათებელი ნაგებობებით შემკული კოლხური ქალაქის საწყისმა სახელწოდებამ **აფსირტ-ე || აფსურტე**-მ (**Αψυρτος**) მოგვიანებით მიიღო ფორმა აფსარუს (**Αψαρους**). ამ ცნობის განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ პროკოპი კესარიელის დროისთვის (ახ. წ. VI ს.) აიეტის ვაჟს ეწოდებოდა აფსი-რტ-ე || აფსუ-რტე (**Αψυρτος**).

(**აკაკი ურუშაძე** 21): „**ჰესიოდე** (VIII საუკ. ძვ. წ.) ამბობს, რომ ისინი [არგონავტები] ფასისის საშუალებით შენავდნენ [კოლხეთში]“.

ძვ. წ. VIII საუკუნეში, როცა ადიღე ერი ასევე ჯერ კიდევ უცნობია მსოფლიო ისტორიოგრაფიისათვის და რეალურად არცაა შემდგარი, ბერძნები დოკუმენტალურად აფიქსირებენ, რომ მდინარე **ფასისი** კოლხეთის მდინარეა.

ჰარმონიული წყვილები **პს || ფს** რომ ჩერქეზულ ფსგ-იზე ადრე წყლის მცნებას გამოსახავდნენ ადიღურზე შეუდარებლად უძველეს და უდიადეს კულტურებში, გარდა კოლხეთისა; მოგაწვდით ორ მაგალითს.

(**აკაკი გელოვანი** 159): „პოსეიდონის ძე **ფასოსი**, რომელმაც თრაკიაში ქ. **ფასოსი** დაარსა“.

ფასოსი პოსეიდონის, ანუ ზღვის, ანუ წყლის შვილია და შესაბამისად წყალია.

(**М. С.**) **АПСАРЫ**, апсарас (возможно, «вышедшие из воды»), ведийской и индуистской мифологии полубожественные женские существа, обитающие преимущественно в небе, но также и на земле (в реках, на горах и т. д.). **В качестве женских духов вод** (ср. с греч. нимфами, славянскими русалками и т.п.)... упоминаются в «Ригведе» и «Атхарваведе».

გარდა ამისა მიედინებიან მდინარეები:

Αψος – Апсос (река в илирии).

ფსიოლი – მდინარე რუსეთისა და უკრაინის რესპუბლიკებში, მდინარე დნეპრის მარცხ. შენაკადი.

ფსკოვი – მდინარე და ტბა რუსეთში.

ფსქემი – მდინარე უზბეკეთში.

(**სტრაბონი** 59): „ისტროსის {დუნაის] ეგრეთ წოდებულ **ფსილონის** შესართავიდან მეორე შესართავამდე სამოცი კილომეტრია“.

ეს ცნობები შეიცავენ სიცოცხლის წარმოქმნის წინააზიური მსოფლმხედველობის ტალღისებური გავრცელების ცოდნას და დადგა ჟამი გავაცნობიეროთ, რომ კოლხური **აფსუ, აფსი, აფსა, ფსისი, ფასისი**... ბერძნული **ფასოსი** და ინდური **აფსარი** წარმოდგებიან არა ჩერქეზული **აფსგ**-იდან, არამედ შუმერულ- აქადურ **აბზუ** > **აპსუ** > **აფსუ**-დან.

როგორც მოგეხსენებათ, წყლის დინების ხმა ადამიანებში იწვევს შარდვის რეაქციას და დედები, როცა სურთ ბავშვებში შარდვის პროცესი გამოიწვიონ, წყლის

დინების ხმის ბაძვას გამოსცემენ, უძველესი შუმერულ-აქადური **აპსუ** || **აფსუ**-ს გავლენით, ჰარმონიული წყვილებით **პსს**... ან **ფსს**... ან **ფშშ** და ასე ახდენენ წყლის დენის ხმის იმიტაციას... ამიტომაცაა, რომ ლათინურენოვან და სლავურ ენებში **პის** (< **აპსუ**) ფუძიდან შარდვის და წყლის დენასთან დაკავშირებული მცნებებია წარმოქმნილი და ამ ტრადიციათა სათავე კვლავ შუმერულ-აქადურ ცივილიზაციათა სამყაროში უნდა მოვიძიოთ.

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ კოლხებმა სამყაროს საწყისი მცნების, დიდი დედის, წყლის სტიქიის სახებად ეგვიპტური **ნ** > **ნუნი** შევირჩიეთ.

(**ზურაბ კიკნაძე** 62): „მთელი ქვეყნიერება ზღვა იყო ოდენ“ – ამ სიტყვებით არის ერთდროულად გამოხატული შუმერის ქვეყნისა და სამყაროს შექმნის მითოლოგემა... წყლის სტიქიონი, ვითარცა დასაბამი ყოველივე არსებულისა ბევრი ხალხის მითოლოგიაშია დადასტურებული. ეგვიპტური პირამიდების წარწერებში შესაქმის წინადროული მდგომარეობა გამოხატულია იეროგლიფით, რომელშიც ვხედავთ ერთმანეთის პარალელურ ჭავლებს, -- ეს არის ნიშანი **ნუნისა**, პირველარსებული ქაოტური მორევის, საიდანაც წარმოშობილა შემოქმედი ღვთაება; ჰომეროსის ეპოსში კოსმიური მდინარე **ოკეანოსი** მიჩნეულია დასაბამად (**გენესის**) ღმერთებისა და ყოვლისა; ხოლო სხვა გადმოცემით, **ოკეანოსის** გვერდით დასახელებულია მისი ღვთაებრივი დედრი **თეტისი**, ზღვის ღმერთქალი. შემდგომში, ბერძნული მითოლოგიის გარიჟრაჟზე, საგანთა **არქეს** მაძიებელ თალესსაც უთქვამს, „ყველაფერი წყლიდან წარმოიშვაო", რაც სიტყვიერადაც ემთხვევა ზემოთმოტანილ ბაბილონურ მითოლოგემას; ამასვე ამბობს რიგვედას კოსმოგონია დასაბამის გამო: „რა წყალი იყო, რა უფსკრული?"... ხოლო უპანიშადები და ბრაჰმანა წართქმით, -- რომ მხოლოდ წყალი იყო დასაწყისში, მარტოოდენ ზღვა, საიდანაც შობილა პრაჯაპატი, ყოვლის შემოქმედი ღმერთი-დემიურგი...

მაინც რა ბუნებისა იყო ეს წყალი და როგორ წარმოიშვა მისგან ყოველი არსებული, თუ ვკითხავთ ბაბილონელ მითოლოგოსს, იგი გახსნის მითოლოგემას და გვიპასუხებს ვრცელი ეპოსით, რომელიც თუმცა მოგვიანო ეპოქაში დაიწერა, მგრამ ძველი მითოსის ფრაგმენტებით არის აგებული. **ენუმა ელიშში**, -- ასე ეწოდება ამ ეპოსს მისი დასაწყისი სიტყვების მიხედვით: „ოდეს მაღლა“, -- არქაული წყალი ორბუნებოვანია: ერთი წარმოადგენს მტკნარი ოკეანის, **აპსუს** (ან **აბზუს**) სუბსტანციას, მეორე – **თიამათისას**, რომელიც მლაშე წყალს იგროვებს თავის წიაღში. ეს ორი თვისება წყლისა – სიმტკნარე და სიმლაშე – სქესობრივი ნიშნით განირჩევიან ერთმანეთისაგან: მტკნარი **აპსუ** მამრია, მლაშე **თიამათი** – დედრი. რა უდევს საფუძვლად ამგვარ განაწილებას? რატომ არის სწორედ ასე და არა პირუკუ? რით ხელმძღვანელობს მითოლოგოსი, რომლის მჭვრეტელობის არეშია ორი მითოსური არსი, -- ერთი მათგანი – განსახიერებაა კოსმიური მორევისა, საიდანაც დასაბამს იღებს ყველა მდინარე, უპირატესად, **იდიგინა** და **ბურანუნა**, ხოლო მეორე – ზღვა, **თამთუმ**, მლაშე წყლების ამოურწყავი რეზერვუარი? მათი სქესი შეიძლება განსაზღვრული ყოფილიყო მათივე კონფიგურაციით: აპსუს კერძო განსახება – კალაპოტში მიღვრილი მტკნარი წყალი (**ა-დუგ**) ფალოსური ბუნებისაა, რასაც თვალსაჩინოდ გამოხატავს მისი გარეგანი ფორმა; ხოლო შინაგანად იგი ატარებს გამანაყოფიერებელ სპერმას (ა „წყალი“), რომლითაც გამუდმებით რწყავს დედა-მიწას [გაიხსენეთ ჩვენი მსჯელობა ტერმინ **ყ-ოლე**-ს ფსიქოლოგიაზე და მისი შინაარსიდან გამომდინარე მდინარეთა სახელწოდებები **ოლე** (< **ყ-ოლე**), დიდი **ოლე, ოლენია**. ჯ.კ.]; ზღვა კი, -- სხვათა შორის, **თამთუმ** დედრობითი სქესის სახელია, საიდანაც მოდის მითოსური არსების საკუთარი სახელი **თი ამათ** (ან, შესაძლოა, სწორედ ამ უკანასკნელ ფორმაში იყოს შენარჩუნებული „ზღვის“ არქაული

სახელი), -- ზღვა თავისი ღრმულობით და შიდა-ქვაბულური წიაღით არ შეიძლება არ ყოფილიყო საყოველთაო დედრული ბუნების განსახიერება.

უკვე შექმნილ სამყაროში ეს ორი წყალი მკვეთრად არის გამიჯნული ხმელეთის უკიდეგანო სივრცეებით. მაგრამ ისინი ერთ ვითარებაში მაინც ერწყმიან ერთმანეთს: ეს მაშინ, როცა მდინარე ერთვის ბაჰრეინს და ზღვაში ღვრის თავის მარადიულ სპერმას. აქ ამ შესართავთან იდგა ქვეყნის პირველი ქალაქი, შესაქმის „მეორე დღეს" აღმოცენებული ერიდუ და მისი ტაძარი, სადაც იმთავითვე ითაყვანებოდა **ენქის** (**ანუ ეას**) კულტი... ამ შესართავთან მითოლოგოსი განიცდიდა მტკნარ და მლაშე წყალთა ურთიერთშერწყმის მისტერიას და შინაგანი თვალით ჭვრეტდა იმ სურათს, **ენუმა ელიშის** დასაწყისი სტრიქონი რომ გვამცნობს, --

როცა მაღლა ცა არ იყო წაღებული,
დაბლა ხმელეთს სახელი არ ერქვა,
როცა არცერთი ღმერთი არ ჩანდა,
სახელი არ ერქვათ, ხვედრი არ ეწერათ, --
აპსუ, პირველი მათი ჩამსახველი,
მუმმუ-თიამათ ყველას მშობელი,
თავ-თავიანთ წყლებს ერთურთში ურევდნენ...

მხოლოდ ცისა და მიწის გაწონასწორებული კავშირია კოსმოსი, რომლის ცნებას შუმერული ენა გამოხატავს კომპოზიტით **ან-ქი** („ცა-მიწა“), -- ვითარება, როცა ორივე სფეროს თავისი მყარი და უცვლელი ადგილი უჭირავს და არ ითქვიფება ერთმანეთში, წინააღმდეგ **აპსუ-თიამათისა**. დგება ისეთი ვითარებაც, როცა განიხვნება „საქანელნი ცათანი" და ერთმანეთს ერწყმიან ზესკნელ-ქვესკნელის წყლები, მაგალითისამებრ, საყოველთაო წარღვნის დროს, როცა იშლება ყოველი საზღვარი ცასა და მიწას შორის; ამ დროს პირველარსებული **აპსუ-თიამათი** კვლავ უბრუნდება საწყის მდგომარეობას და ყოველი დაბადებული ქაოტურ მორევში დაინთქმება. მაგრამ გრგვინვის ხმა, ერთ შემთხვევაში რომ დამღუპველ წარღვნას მოასწავებს, სხვა ვითარებაში „ამძუვნებული“ ცის ძახილია დედამიწის მიმართ, რადგან ამ დროს ცა „დიდი ხარია“ (**ამ-გალ**), ხოლო დედამიწა „ჭეშმარიტი ფური“ (**აბ-ზი**), თავის მამრისაგან მტკნარი წყლის (**ა-დუგ**) მომლოდინე, რაც იგივე აპსუსეული სპერმაა. ამიტომაც, როცა ცა გრგვინავს, დედამიწა ბანს აძლევს მის ხმას; ხმას მოჰყვება ღვარი, „ცის ფეხად ჩამოსვლა“ და ამ წარღვნისდარ ორომტრიალში ცა და მიწა ახლო მიდიან ერთმანეთთან, კვლავ ერწყმის ერთმანეთს ზესკნელ-ქვესკნელური ღვარი, -- რაც **mutatis mutandis**, იმეორებს **აპსუ-თიამათის** პირველყოფილ კავშირს. ისევე როგორც ამ შერწყმის შედეგად იშვის ან განახლდება ბუნება, **აპსუ-თიამათის** „აღრეულ წყლებშიც“ უნდა ჩაისახოს კოსმოსის ემბრიონი, საიდანაც დაიბადებიან ღმერთების პირველი თაობები, მათ შემდეგ კი განსაკუთრებულ პირობებში – დემიურგი, რომელიც გადამწყვეტ ჟამს აღასრულებს მთელ წყებას კოსმოგონიური აქტებისა“.

(**ზურაბ კიკნაძე** 67): „**ენგურ** – წინარემდინარე, წიაღი, რომლის ამოურწყავი მარაგიდან მოჩქეფს დედამიწის ზურგზე არსებული ყოველი მედინი წყალი. ცხადია, **ენგურ** სხვა არაფერია თუ არა იგივე **აპსუ** (შუმ. **აბ-ზუ**)“. ანუ **ენგური** იგივე **ენქია**.

(**აკაკი გელოვანი** 24): „**აბზუ** (შუმერ. **Abzu** „წყლის მენცარი“, მცოდნე, მამა. აქად. **აპსუ**. აქედან ბერძ. **Abyssos** და ლათ. **აბისსუს** „უფსკრული“) – ქვესკნელის მტკნარი წყლის ღმერთი“.

რაც შეეხება სახელწოდება **დვაბზუ**-ს:

(**Гулия** 98): „В Гурии есть село „Двабзу“, название которого произошло так же как „Туапсе“ (до-абзу – ту-апсе):в обоих случаях „до“ и „ту“ мингрельская приставка, означает название местности, только „аб-зу“ и „Апсе“ обозначают апсуа, т.е. абхаз; значит оба слова обозначают „абхазское местожительство или село“, и это показывает, что одно время теперешнюю (територию) Гурии занимали абхази“ (Н. Я. Марр. история термина абхаз 1912 г.)... Мы же не отрицая, что абхазы когда-то могли жить нынешней Гурии, вто же время полагаем, что „Туапсе“, „Туапсы“ слово не абхазское, а Черкесское, и означает две воды – две речки, т.е. междуречие“.

ჩემთვის სამწუხარო მოულოდნელობათა რიცხვს განეკუთვნება ის რეალობა, რომ ნიკო მარი აღმოჩნდა ფილოლოგიური ავანტიურიზმის ფუძემდებელი და მისი დამანგრეველი მოქმედება ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგაა მიმართული. ფილოლოგიური ავანტიურიზმი თუ არა სხვა რა უნდა უწოდო ნიკო მარის მიერ შუმერთა წინაპრებად ადიღეელ აბაზა-თა გამოცხადებას. ნიკო მარის მიხედვით, სახელწოდება „Туапсе означает две воды – две речки, т.е. междуречие (შუამდინარეთი)" და ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, „что одно время междуречие (შუამდინარეთი, მესოპოტამია) (територию) занимали абхази“ (Н. Я. Марр. история термина абхаз 1912 г.).

მიმაჩნია, რომ ეს გახლავთ ნიკო მარის შეგნებული ავანტიურის მაგალითი, ვინაიდან მას უნდა სცოდნოდა: სახელწოდება **მესოპოტამია** ჩნდება მხოლოდ 1850 წლიდან, როცა ევროპელი არქეოლოგები დაინტერესდნენ მდინარეების ევფრატისა და ტიგროსის აუზში მოქცეულ, მანამდის მათთვის უცნობ კულტურათა შესწავლით. ევროპელებმა ბერძნული სახელწოდებით **მესოპოტამია** (ბერძ. **mesos** – შუა, შუა მდებარე, **potamos** – მდინარე), ერთ სივრცეში გააერთიანეს ამ რეგიონში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული შუმერული, აქადური, ბაბილონური, ასურული (და არა ადიღური) კულტურები. ე. ი შუმერებისთვის, აქადელებისთვის, ბაბილონელებისთვის, ასურელებისთვის მცნება **შუამდინარეთი** (**მესოპოტამია**) უცნობი იყო. ანუ ნიკო მარს რომ აღმოეჩინა შუამდინარეთის ეს კულტურული სივრცე, ის ბერძნული მესოპოტამიის ნაცვლად, ამ სივრცეს ჩერქეზულ **ტუაფსეს** უწოდებდა და გვექნებოდა **ტუაფსური კულტურა, ტუაფსური მითოლოგია**. დააკვირდით ნიკო მარის ფსიქოლოგიურ განწყობას – **ნიკო მარი** ავლენს რა ჩერქეზულ სახელწოდებას -- **ტუაფსე** (ორი მდინარე), ის ჩერქეზებს, ან სულაც ადიღურ ტომთა გამაერთიანებელ მცნება **აბაზა**-ს კი არ ათავსებს **ტუაფსეთში** ნიკო მარის **შუამდინარეთში**, არამედ საქართველოში მაცხოვრებელ „აფხაზებს“ და რასაკვირველია ამ „აფხაზებში“ ადიღეელი **აბაზები** (ბერძ. **აბასგები**) იგულისხმებიან.

ნიკო მარის შემოქმედების მეორე მსგავსი მარგალიტია, როცა მან კოლხურ სახელწოდება **ლეჩხუმში** სახელწოდება **შუმერი** ამოიკითხა, მაშინ როცა ეს ძალზედ იოლი წასაკითხი კოლხური კომპოზიტია:

ლეჩხუმი = **ლე** + **ჩხუ**(ა)**მი** = **სივრცე** (მაღლა) + **ძროხებიანი** = მაღლივი სივრცე ძროხებიანი = იალაღი.

მეგრელებს ზაფხულობით საქონლის მრავალრიცხოვანი ჯოგები მთაში აყავდათ საძოვრად, ხოლო შემოდგომით ბარში ჩამოყავდათ. უნდა გახსოვდეთ, ადრე თანამედროვე ტიპის მჭიდრო დასახლებები არ არსებობდა.

მოგასენებთ, რომ 1912 წლისთვისაც იაკობ გოგებაშვილისთვის ლეჩხუმი სამეგრელოა და სამეგრელოში მესაქონლეობის განვითარების აღწერისას მოგვითხრობს:

(**იაკობ გოგებაშვილი** 502): „[მეგრელებს] ზაფხულში დიდ რიცხვი ცხვრისა და ცხენისა მიუდით ლეჩხუმში, სადაც მთებზედ მეტად კარგი საძოვრებია. ადგილის მიუდგომლობის გამო საქონელი აქ მოპარვისაგან დაცულია“.

ამ განმარტებასთან დაკავშირებით საოცრად საინტერესოა ლუვიური **ლაპანა**.

(**ი. ტ.**): „**lapana** („ლუვ.") სალოკი (მარილიანი ადგილი, სადაც ცხოველები დადიან); ზაფხულის საძოვარი (?), იალაღი (?)“.

Lapana (ტოპონიმი)“.

ამრიგად, **ლაპანა** ლუვიური სიტყვაა, გამოსახავს ზაფხულის საძოვარს, იალაღს და ასევე ტოპონიმია. იგივე სურათია ლეჩხუმში. **ლაპანა** > **ალპანა** სოფელია ცაგერის რაიონში, ხოლო **ცაგერი** ლეჩხუმია და ლეჩხუმი კი როგორც იაკობ გოგებაშვილმა გვამცნო, წარმოადგენდა მეგრელთა ზაფხულის საძოვარს, იალაღს.

ლეჩხუმი = **ლე** + **ჩხუ**(ამი) = **სივრცე** (ზედა) + **ძროხებიანი** = ზაფხულის საძოვარი = იალაღი.

სამეგრელოში ბარის საუკეთესო საძოვარ ადგილს, როგორც პროკოპი კესარიელი გვამცნობს, ადრე რიონს სამხრეთით დაუსახლებელი, დღევანდელი ლანჩხუთის ჭაობიანი სივრცე წარმოადგენდა.

ლანჩხუთი = **ლან** + **ჩხუ** + **თი** = **სივრცე** (დაბლა) + **ძროხა** + **მხარე** = ქვედა ძროხებიანი მხარე = ქვედა საძოვარი მხარე.

აღსანიშნავია, რომ ფორმა **ლან**, როგორც დაბლითა სივრცის, მიწის აღმნიშვნელი დამკვიდრებულია ევროპელთა მეტყველებაშიც. ფორმა **land** ინგლისურში აღნიშნავს მიწას, ხმელეთს, ნიადაგს, ასევე ამ მიწაზე განფენილ ქვეყანას, რაიონს, სახელმწიფოს; იგივე ფორმა **landes** ფრანგულში აღნიშნავს ქვიშიან დაბლობს ბისკაის ყურის ნაპირებზე; გაიხსენეთ გერმანული **ლანდშაფტი** (**Landschaft**). ქართულში წარმართულ კოლხურ ლან-ს დაბლითა სივრცის, ფორმის მნიშვნელობით ვაწყდებით სიტყვებში **ლან**გარი, **ლან**ჩა.

რაც შეეხება ძროხებს – ჯერ კიდევ **არისტოტელემ** გვამცნო, რომ ფასისში ყავთ ძროხები, რომლებიც კარგად იწველებიან.

სახელწოდება **დვაბზუ** კი მხოლოდ და მხოლოდ შუმერულ-კოლხურ ენობრივ ურთიერთობათა ძეგლია.

(**ზურაბ კიკნაძე** 22): „უმაელებმა ანთასურას ცეცხლი წაუკიდეს, ოქრო და ძვირფასი ქვები დაიტაცეს... **აბზუ**-ანდაში სისხლი დაღვარეს; ენლილის საყდარში, უთუს საყდარში სისხლი დაღვარეს... **აბზუ**-ეგაში სისხლი დაღვარეს... ქი-აბაში, ნინ-დარას ტაძარში სისხლი დაღვარეს... **დუმუზი-აბზუს** ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს... ნანშესეულ ენგურის ტაძარში სისხლი დაღვარეს“.

აბზუ-ს უკავშირდება ასევე მდინარეთა სახელწოდებები:

ბზუბზუ მდინარე ქედის რ-ნში.

ბზანა მდინარე ოჩამჩირის რ-ნში.

ბზვანა სოფლები ვანის რ-ნში.

ბზიფი მდინარე სოხუმისა და გუდაუთის რ-ნებში, გაგრის ტერიტორიაზე.

ფორმა **ბზიფი** უკვე შუმერულ-კოლხური **აბზუ**-ს კოლხეთში II საუკუნეში შემოჭრილი ადიღეელ აბაზათა გამოთქმაა.

ამრიგად, **დვაბზუ**-ს არქეტიპი უდა იყოს შუმერული **დუმუზი-აბზუ**.

დუმუზი-აბზუ > (მუზი > 0) > **დუაბზუ** > (> ვ) > **დვაბზუ**.

შეგიძლიათ სულხან-საბას ლექსიკონში თავად მოიძიოთ კოლხური (ძველი ქართული) ხმოვნის **უ**-ს ქართულში თანხმოვან **ვ**-თ ქცევის უამრავი მაგალითები.

(**აკაკი გელოვანი** 165): „ენგურა, **ენგური** (შუმერ. „წყალი“) – მიწისქვეშა წყალი და მსოფლიო ოკეანის სინონიმი შუმერთა მითოლოგიაში. ეს გამწმენდელი მქუხარე ნაკადი, **აბზუს** უფსკრულის სინონიმი, კუშტ კლდეთა შორის მოედინება და აბზუს უფსკრულში იკარგება. ქუხილით გაივლის **ლახამს**. საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მდინარის, ზემო სვანეთის სალ კლდეთა შორის მქუხარე ენგურის ეტიმოლოგია ძნელი დასადგენია, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს ძველი შუამდინარის ამ მთავარი მდინარისა და ჩვენი ენგურის სახელთა დამთხვევა. ამ მდინარის მახლობლადაა სვანეთში ორი სოფელი – **ლახამი** და **ლახამულა** – რომელთა სახელებიც ემთხვევა შუმერულს: **ენგური ლახამის** მდინარეა...

ენგური, იგივე **აპსუ, აბზუ,** დასაბამი მდინარეა, წიაღთა მტკნარი ნაკადი...

ენგური – ესაა **ენქი,** ტიპიური შუმერული ღმერთი“.

(**აკაკი გელოვანი** 165): „**ლახამუ** – რომელიღაც ფანტასტიკური არსება, მიწისქვეშა წყალთა სტიქიის განსახიერება. იგ. **ლახმა** და **ლახამუ** – ღვთაებრივი წყვილი შუმერულ მითოლოგიაში. ალბათ იგივე **ეა** და დამქინა. ეა უდავოდ მიწისქვეშა წყალთა ღმერთია.

ლახამი, ლახამუ – პირველქმნილი ქაოსის **აბზუს** (**აპსუს**) მრისხანე შვილი შუმერთა მითოლოგიაში; აბზუს მიწისქვეშეთი, ქვესკნელის სამეფო; **ლახამის** დემონები განაგებენ მიწისქვესა წყლებსა და მსოფლიო ოკეანეს, რომელიც ღმერთმა ენქიმ შექმნა. მათი რიცხვია 50. ამ შუმერული სიტყვიდან უნდა იყოს შემორჩენილი ორი სოფლის სახელი ზემო სვანეთში: **ლახამი** და **ლახამულა**, რომელთა ეტიმოლოგია დღემდე აუხსნელია. ეს ვარაუდი მით უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ ორივე სოფელს ახლოს ჩამოუდის და ქვესკნელივით ღრმა ხეობაში მოჰქუხს **ენგური**, რაც აგრეთვე შუმერული სიტყვაა".

ჩვენ კვლავ მივადეგით იმ აზრს, რომ მიწისქვეშა მტკნარი წყლებით დაჭაობებული კოლხეთის დაბლობისა და კოლხეთის მთიანეთიდან მომდინარე უხვ მდინარეთა ქვეყნის – კოლხეთის -- უპირველესი ღვთაება **ენქი** გახლდათ.

(**აკაკი გელოვანი** 168): „**ენქი** (შუმერ. „უფალი მიწისა“; „მიწის ბატონი“) აქად. **ეა**, შუმერ-აქადური პანთეონის დიდი ღმერთი, სამების წევრი (ანუ-ენლილი-ენქი), ენლილის ძმა, მარდუკისა და ნანშეს მამა, სიბრძნისა, ფიცისა და ნაყოფიერების ღვთაება... განაგებს სამყაროს წესრიგს, ადამიანიც და ღმერთიც გასაჭირში ენქის მოუხმობს... ენქის მიეწერება თიხისაგან ადამიანის გამოძერწვა (ამასვე იმეორებს პრომეთე ერთი ვერსიით და ბიბლიური იაჰვე). მრავალი სხვა საგმირო საქმეც ჩაუდენია და ხალხი მუხლმოყრილი ეთაყვანებოდა მთავარ საკულტო ქალაქ ერიდუში. მისი წმინდა ცხოველი იყო თხათევზა, ნარევი არსება, რომელსაც წინამო თხისა ჰქონდა, ბოლო კი თევზისა (შუმერ. თხა-ჭანარი). უმღერიან ჰიმნებს.

ენქი ღრმა წყალთა და დედამიწის გარემომცველი მტკნარი ოკეანის ღვთაებაა, რომელსაც ადამიანთა წინაშე დაახლოებით პრომეთესებური ღვაწლი მიუძღვის. როცა ღმერთებმა მოუწოდეს დედამიწაზე ჩადი და შენი ღვთაებრივი მოვალეობა შეასრულეო, ენქი ცით დაეშვა და თიხისაგან ადამიანი გამოძერწა. ამ ქანდაკის გაცოცხლებაში დაეხმარა ქალღმერთი ნინთუ, იგივე ნინმახი, ანის მეუღლე. შემდეგ ენქი ადამიანებს ასწავლის ჭამა-სმას, სიარულს, შრომას, მეტყველებას, აზროვნებას, ქმნის ცხოველებსა და მცენარეებს. მიმართულებას უდგენს ქარებს, გამართავს გუთანს, გაავლებს წმინდა ხნულს, აღმოაცენებს პურს და ზედამხედველობას ავალებს ღმერთ ენლილს. ამრიგად ენქი ასრულებს დაახლოებით პრომეთეს, ელესინელ დემეტრეს და ნაწილობრივ ათენას როლს. ენქი ერთ-ერთი იმ ღმერთთაგანია, რომელნიც წარღვნის მოახლოებას აუწყებენ მეფე ზიუსუდრას“.

ყურადღება მივაქციოთ **ენქი**-ს არსის განმარტებისას ერთ მნიშვნელოვან დეტალს: „ენქის მიეწერება თიხისაგან ადამიანის გამოძერწვა (ამასვე იმეორებს პრომეთე ერთი ვერსიით)“; ასევე პრომეთემ „მისცა ადამიანებს ცეცხლი, ასწავლა ხელოსნობა, ნაოსნობა, ვარსკვლავებზე დაკვირვება, წერა-კითხვა, ანგარიში, მკურნალობა, წინასწარმეტყველება, გახადა გონიერი“; შუმერი **ენქის** ბერძნულ ვერსიას, პრომეთეს კი ზევსი (ბერძნული მითოლოგია) კავკასიონის სამხრეთ მთაზე მიაჯაჭვებს, ხოლო უძველესი ბერძნული ხედვით კავკასიის სამხრეთი კოლხეთთან ასოცირდებოდა, ანუ ბერძნები პრომეთეს, იგივე **ენქის** კოლხეთში ეძიებდნენ....

ენქი-ს, ანუ **ენ-გური**-ის შინაარსიდან წარმოდგება კოლხური **გური, გურაფა, გუამი, მანგური**... ასევე **ენქი**-ს, ანუ **ენ-გური**-ის, ანუ **აბზუ**-ს შინაარსიის სიღრმისეული ცოდნის შედეგია სახელწოდებები:

ენგური – მდინარე მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის რ-ნებში.

ბზუბზუ – მდინარე და სოფლები ქედის რ-ნში

დვაბზუ – სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

კოლხები **ენქის** > **ენგურის** > **აბზუს** > **აპსუს** > **აფსუს** ანუ **ფასისის** შვილები ვართ. ამ მტკიცებას გვიდასტურებენ ძველი ბერძნებიც, რომლებიც კოლხეთს **ენქის** აქადური სახელით **ეა**-თი მოიხსენიებენ, ამით ისინი კოლხეთს სიბრძნის ღვთაების **ენქი**-ს ქვეყნად წარმოგვადგენენ.

Aia [აია] -- **Эа** 1. старинное название Колхиды.

ვინაიდან ენქი ასევე მიწის უფალია, ბერძნული αία[აია] ასევე მიწის მცნებას გამოსახავს.

ამ ცოდნას ის ემატება, რომ აიეტის ვაჟს ასევე **ენქი**-ს ერთ-ერთი განსახიერება **აპსუ**-რტე || **აფსუ**-რტე ეწოდა, როგორც, მაგალითად, იმის გამო, რომ ღვთაება ენქის სახება თხა გახლდათ, მისგან შექმნილ მამაკაცს **კოჩი** (ძლიერი თხა) ეწოდა. სახელწოდება **კოჩი** კერძოდ, ხაზგასმულად გამოსახავს მამაკაცს იმის გამო, რომ **ენქი** მამრი ღვთაება გახლდათ და სახელწოდება **კოჩი**-თ კოლხი კაცი ხაზს უსვამდა – მე ენქის შექმნილი ვარო. შვილის სახელად ღვთის სახელწოდების გამოყენება კოლხეთის ბერძნული გავლენის პერიოდშიც გრძელდება. ბერძნული პანთეონის უმაღლეს ღვთაებას ზევსის სახელწოდება ბერძნულში გამოისახება ფორმით ძეუს (**Ζεύς**) და ვინაიდან ზევსი (ძეუსი) მამაკაცი ღვთაება გახლდათ, აქედან კოლხურში წარმოდგა შვილის, კერძოდ ვაჟის აღმნიშვნელი მცნება **ძე**. ასევე გაითვალისწინეთ, რომ სვანური მითოლოგიის ნადირთა და მონადირეთა მამაკაც ღვთაებას ეწოდება **აფსათ-ი**.

ის, რომ აქადურ თანხმოვან **პ**-ს (**აპსუ**) კოლხურში შეენაცვლა თანხმოვანი **ფ** (**აფსუ**), ძალზედ რიგითი მოვლენაა ენათშორისო ურთიერთობებში და გაგახსენებთ ჩვენს მიერ უკვე განხილულ მაგალითს შუმერულ-ბერძნულ ენობრივი ურთიერთობებიდან, როცა შუმერული ფუძე **პალ**-უდან ბერძნულში წარმოდგა **ფალ**-ოსი. მოგაწვდით მსგავს მაგალითს:

(ო. ქ.) აფსო ასო. ჩხოუში აფსო – ძროხის ასო.

აქადური **აპსუ**-დან კოლხურში შეიქმნა **აფსო** > (ფ > 0) > ქართ. **ასო** რომელიც აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა სასქესო ორგანოს და გამოსახავს მხოლოდ მათი შარდვის, ანუ სითხის (**აპსუ-ს || აფსუ-ს**) დინების უნარს. უნდა შეიცნოთ, რომ **აფსუ**-ში ხმოვანი **უ** შეიცვალა ხმოვან **ო**-თი იმის გამო, რომ შარდვის პროცესი დაბლითა მიმართულებით მიმდინარეობს. მთავარი კი ისაა, რომ **აბზუ, აპსუ, აფსო** ერთიდაიგივე შინაარსს, -- ფალოსური ხასიათის სითხის დინებას გამოსახავენ, გაიხსენეთ კოლხური **ყოლე** > მდ. **ოლე, დიდი ოლე, ოლენია.**

ოლე მდინარე მდინარე სიღნაღისა და წითელწყაროს რ-ნებში, ივრის მარცხ. შენაკადი.

ოლენია მდინარე გალის რ-ნში.

დიდი ოლე მდინარე სიღნაღის რ-ნში, ალაზნის მარჯვ. შენაკადი.

მდინარეები ტოვებენ ნაკვალევს.

(ო. ქ.) ფსორო ხევი, ფლატე; სორო.

(ქ.ე.გ.ლ.) ფსორი კუთხ. (გურ.) „მდინარის მიერ დატოვებული კალაპოტი“.

ცხადია გურული **ფსორი** მეგრული კომპოზიტი **ფსორო**-ა (**ფს** + **ორო**), რომელშიც ჰარმონიული წყვილი **ფს** წყლის (მდინარის, წყაროს) მცნებას გამოსახავს, ხოლო **ორო** (**ორომე**) წყლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში დინების შედეგად ჩაღრმავებულ ადგილებს, რომელშიაც **ორო** (ჩრდილი) არის ჩამდგარი.

(ქ.ე.გ.ლ.) ფსკერი ზღვის, მდინარის ქვედა, მყარი ნაწილი.

იგივე კოლხური კომპოზიტია ქართული **ფსკერი** (**ფს** + **კერი**), რომელშიც ჰარმონიული წყვილი **ფს** წყლის (მდინარი, წყაროს) მცნებას გამოსახავს, ხოლო **კერი** აღნიშნავს ძლიერს, სასურველს (**კერი, კერია, კერპი, კერძი, კერტი, კერკეტი**…) და ჩვენ შემთხვევაში მდინარის ქვედა, მყარ ნაწილს.

ამრიგად, აქადური **აპსუ**-დან კოლხურში შეიქმნა **აფსო** (საშარდე ორგანო -- **ასო**) ანუ **პ** > **ფ**; შესაბამისად **ფსუმა** || **ფსგმა** (ფსმა, შარდვა) და **ფსელა** (ფსელი). ცხადია მეგრ. **აფსო** > ქართ. **ასო**... **ფსუმა** > **ფსმა**-დან წარმოდგა **ფისიფისი, ფისი** (წიწვოვანი ხის ტანიდან გამონადენი წებოვანი წვენი) და ასეა სხვა ენებშიც:

Piss – 1) შარდი; 2) შარდვა; 3) ძველი ლუდი.

Pisces – თევზები.

Piscina – თევზებიანი ტბორი, გუბურა.

Piscine – საცურაო აუზი, წყალსატევი.

fish – თევზი.

fisherman – მეთევზე.

ინგლისურში არსებობს წყლის მცნების გამომსახველი როგორც **fis** (ფის) ასევე **Pis** (პის) ფორმები და მათი საერთო ფუძეა შუმერული აპსუ. მხოლოდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იტალიურს, ინგლისურს, ფრანგულს, სლავურს შუმერულ კულტურასთან უშუალო კავშირები გააჩნდათ, არამედ იმას, რომ ცივილიზაციათა მიღწევები ტალღისებურად გადადის ერთა ურთიერთობათა შედეგად... მსგავსი მრავალი მაგალითები იძიება არა მარტო თანამედროვე ევროპულ ენათა ოჯახში და რაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს შუმერულ-ეგვიპტური, წინააზიური ცივილიზაციის ბუნების მსოფლიურობას.

თქვენთვის ნათელი უნდა გამხდარიყო დოკუმენტალური ბუნება ბერძნული მითოლოგიური ცნობისა: „**ფასისი (Phasis)** || **ფასიდი** (მდინარე ფასისის ღვთაება), ჰელიოსის და ოკეანიდ ოკიროეს შვილი, კოლხთა წინაპარ კოლხოსის მამაა". ანუ კოლხები (და არა ადიღეელებიო) ფასისი-საგან წარმოიშვნენო (და არა თარგამოსისაგანო). ანუ კოლხები ამით აღიარებდნენ წყლიდან – **აპსუ** > **აფსუ, აფსი, აფსა, ფსისი, ფასისი**-დან სიცოცხლის წარმოქმნის შუმერულ-ეგვიპტურ ხედვას და რისი დოკუმენტაციის გაგრძელებასაც წარმოადგენს **ფლავიუს არიანეს** (95 – 175 წ.წ.) ცნობა:

„ფაზისში რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ღმერთქალ ფასიანესი, გარეგნობით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მის სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით კი ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროონში".

(ს. ს.) წინწილი ტკბილი საკრავია, ამო საკრავია.

(ი. ა.) „**წინწილაითა** აკურთხევდეს უფალსა ღმერთსა“.

ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ „**შუმერის ყოველ ქალაქს ჰყავდა თავისი დიდი დედა**" და ქალაქ ფასისსაც ყავდა თავისი დიდი დედა.

(**სერგი მაკალათია** 26): „**არრიანეს** მოწმობით (II საუკ.) მდინარე ფასისის შესავალთან, მარცხენა მხარეს, აღმართულია ფასიანების ღმერთი ქალი, რომელიც გარეგნული გამოსახულებით ღმერთქალი რეა არისო. ასეთივე ცნობა მოეპოვება **პავზანიუსს** თავის „ელადის აღწერაში" 173 წელი ახ. წ. იგი ამბობს: **სპარტაში ყველაზე უძველესი სიწმინდე არის საკურთხეველი არეასი, რომლის ქანდაკება, როგორც ამბობენ, დიოსკურებს გამოუტანიათ კოლხეთიდანო**“.

(**აკაკი გელოვანი** 495): „**ფასიანე** – 1. ფასისის ქალღმერთი; რეა-კიბელას მეტსახელი".

ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეშიც ქალაქ **ფასისში** (ფოთში) აღმართული იყო ასევე **ფასიანე**-ეს ტაძარიც, რომელიც სკვითების დამანგრეველ შემოსევას გადარჩენია.

(**ივანე ჯავახიშვილი** I ტ. 215): „III საუკუნეშივე, 256—260 წლების განმავლობაში, დასავლეთ საქართველოში, ლაზიკასა და მთელ შავი ზღვის ნაპირებს სკვითები ეწვივნენ. საცა კი ისინი გაჩნდებოდნენ და შეესეოდნენ, ყველაფერს იკლებდნენ და ანადგურებდნენ. ყველაზე მეტად იმ დროს ფასისი, ანუ ფოთი და პიტიუნტი დაზიანდა. **ფოთში ადგილობრივი ღვთაების ტაძარი კი ვერ ჩაიგდეს ხელში.** დიდი კედლებით გარემოზღუდული და კარგ ნავსადგურიანი პიტიუნტი კი მეორედ ადვილად აიღეს და მთელი იქ მყოფი რომაელების ჯარი ამოწყვიტეს. ადგილობრივი მცხოვრებნი მიუვალ ადგილებში იყვნენ შეხიზნული“.

(**აკაკი გელოვანი** 16): „რეას მცენარე იყო ვაზი... რეა იგივე ფასისი იყო“.

(**აკაკი გელოვანი** 431): „რეა – დიდი დედა, ღმერთების დედა, კიბელა, ურანოსისა და გეას (ცისა და მიწის) ასული... მან შვა ოლიმპოს დიდი ღმერთები: ზევსი, ჰადესი, პოსეიდონი, ჰესტია, დემეტრე და ჰერა... კრეტაზე იყო მისი უძველესი კულტიც. აქ შეეზიარა მას აზიური ღვთაება კიბელა, ასე გახდა საყოველთაო მიწის ქალღმერთი – აზიური იერისა“.

(**აკაკი გელოვანი** 250): „კიბელა – წარმოშობით ძველი ფრიგიული ღვთაება, დიდი დედა, მიწიერ არსთა მშობელი, ბუნების ამყვავებელი, გამანაყოფიერებელი და ამაღორძინებელი. იდუმალებით მოცული ძველი ფრიგიული ქალღმერთი მთებში დააქროლებდა ძვირფას ეტლს, რომელშიც შებმული ჰყავდა ლომები და ჯიქები... კიბელა ურანოსისა და გეას – ცისა და მიწის ასულია“.

ე. ი კოლხებს გვყავდა როგორც მამა **ფასიდი**, ასევე დედა **ფასიანე**.

კოლხებმა გარდა იმისა, რომ დავამკვიდრეთ რა შუმერულ-აქადური **აპსუ** > **აფსუ,** შევქმენით დამოუკიდებელი ჰარმონიული წყვილი **ფს** (ფსმა), ანუ თანხმოვანთა წყვილი რომელთა შუა არ ჯდება ხმოვანი; ასევე ეს თანხმოვნები ერთმანეთისაგან ხმოვნებით გამოვყავით და დამოუკიდებელი მნიშვნელობებიც მივანიჭეთ. მაგალითად: **ფასისი**-ში **ფა** დამოუკიდებლადაც მოქმედებას აღნიშნავს (ყორო-**ფა**, ჭორო-**ფა** და ასევე **ფა**-სისი, **ფ**ისი-**ფ**ისი, **ფ**უს**ფ**უსი, **ფ**ა**ცა**ფ**უცი, **ფ**უთ**ფ**უთი...), ხოლო თანხმოვანი **ს** ასევე დამოუკიდებლად წყლის მცნებას გამოსახავს.

(**ო.ქ.**) **სია-სია** (სია-სიას): სია-სიაში ქიმინუა ძალზე ადიდება მდინარისა.

(**ო.ქ.**) **სიორი**... ცურვა, სრიალი (> სიორაძე ჯ.კ.).

(**ო.ქ.**) **სიო**... სიო (სიორი > სიო ჯ.კ.).

(**ო.ქ.**) **სირთუა**... ჩქეფა, ძლიერი დენა სითხისა.

(**ო.ქ.**) **სირსოლი**... 1. სრესა; სრიალი.

(**ო.ქ.**) **სირქუა**... სლექა, ლოკვა, ტლეკა.

(ო.ქ.) სისინაფა... 1. პირამდე გავსება, გაზიზინება; გასისინება...

ფასისი = ფა + სისი = მოქმედება წყლის = (ამ შეთხვევაში) მდინარე.

თანხმოვანი **ს** სიტყვაში **ს**+ველი -- წყლის მცნებას წარმოგვიდგენს. ასეა უცხო ენებშიც, მაგალითად: **Sea** ინგლისურად, ლათინურის გავლენით, აღნიშნავს წყლის ზედაპირს -- ოკეანეს, ზღვას, ნაოსნობას, მეზღვაურთა ცხოვრებას და (გადატანით) დიდ სივრცეს.

ფასიანე = ფასი(სი) + (ა)**ნე** = მდინარე ტკბილი (დედა).

მცნება **ნე**-ს (ტკბილის, დედის) მსგავსი გამოყენების მრავალი მაგალითი გაგვაჩნია კოლხურ სინამდვილეში.

გიგინეი(შვილი) = **გიგი** + **ნე**(ი) = **გიგი** + **ტკბილი** (დედის) (შვილი).

ნანეიშვილი = **ნა** + **ნე**(ი) = **დედა** (დედის) + **ტკბილი** (შვილი).

უჩანეი(შვილი) = **უჩა** + **ნე**(ი) = **შავი** + **ტკბილი** (დედის) (შვილი).

ყუბანეი(შვილი) = **ყუ** + **ბა** + **ნე**(ი) = **მიწიერი** + **პატარა** + **ტკბილი** (დედის) (შვილი).

საყურადღებოა სახელწოდება მდინარისა საჩხერის რ-ნში -- **ფასკნარა.**

კოლხეთის აღმოსავლეთითაც იძიება უმნიშვნელოვანესი კოლხური სახელწოდებები:

(ქ.ე.გ.ლ.) ფსკა კუთხ. (ქართ.) დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა.

ფსისგორი – მთა ხევის კავკასიონზე. მდინარეების ჯუთისწყლისა და ჭაუხისწყლის წყალგამყოფზე.

ფსიტიანისღელე – მდინარე თელავის რ-ნში. თურდოს მარჯვ. შენაკადი.

ფასრაღი – სოფელი ჯავის რ-ნში.

ფასანაური – დაბა დუშეთის რ-ნში.

დაბა **ფასანაური** განთქმულია იმით, რომ აქ მოედინება სრულიად განსხვავებული შემადგენლობის წყაროები. სახელწოდება **ფასანაური**, გარდა იმისა, რომ ცხადად წარმოაჩენს საქართველოს აღმოსავლეთის კოლხურ ბუნებას, იმითაცაა ძვირფასი, რომ ამ სახელწოდებაში წყლის დინებას (**ფასისს**) უშუალოდ დედა ეწოდება.

ფასანაური = ფას(სისი) + **ნა** + **ური = წყალი** (მდინარე, წყარო) + **დედა, სასურველი** + **სვლა** (არსებული)

ამ ორ ერთგვაროვან სახელწოდებათა (**ფასიანე || ფასანა**) გაერთიანებით ვღებულობთ კოლხეთის გამაერთიანებელი წარმართი დიდი დედის სახელწოდებას -- **ფასინენა** (ფასი ტკბილი დედა).

კეთდება დასკვნა: **ფასისი, ფასიდი, ფასიანე, ფასანაური**... შუმერულ-აქადურ ცოდნაზე აღმოცენებული წარმართული კოლხური სახელწოდებებია, ისევე როგორც თავად წარმართული კოლხური მეტყველება სრულად შუმერულ-ეგვიპტურ-აქადურ... ცივილიზაციათა ნაყოფია.

სახელწოდება **ფასიანე**-ს სრული ეტიმოლოგიური შინაარსის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია კოლხური სამყაროს აღსაქმელად და ჩვენს მიზანს წარმოადგენს იმის წარმოჩენა, რომ **ნე** ერთდროულად როგორც დედის, ასევე **ვაზის** (ახლადდაწურული ყურძნის წვენის) მცნებას გამოსახავს. ანუ ჩვენ გვახსოვს, რომ „ვაზი დიდ დედათა მახასიათებელია და ამიტომაც გაგვაჩნია ღვინის კოლხური სახელწოდება **ნუნუა = ნუნ**(ის) + **უა = ნუნის** (დიდი დედის) **შექმნილი**", ანუ მაცოცხლებელი სითხე.

ნათელი ხდება, რომ „რეა იგივე ფასისი იყო" -- ვინაიდან „რეას მცენარე იყო ვაზი". **ფასიანე**-სა და **რეა**-ს აერთიანებთ მცნება ვაზი და ვინაიდან (დიდი დედა ნ < ნუნ) მდინარის ქალღმერთია ანუ სითხის სახით ცხადდება, ამდენადაც მისი სახება

ახლადდაწურული ყურძნის ტკბილი წვენიცაა (**ნე**-ა), ხოლო ღვინო (**ნუნუა**) მისი ძალის მოქმედების შედეგია, ამის შედეგად იქცა ვაზი **ფასიანე-რეას** მცენარედ.

როგორც გაეცანით, არიანე **ფასიანე**-სა და **რეა-კიბელ**ას, ამ ქალღვთაებათა გარეგნულ მსგავსებაზე აკეთებს აქცენტს: „აღმართულია ქანდაკება ღმერთქალ **ფასიანესი, გარეგნობით ის ჰგავს რეას**, რადგან ხელში წინწილა უჭირავს, აგრეთვე მის სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით კი ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროონში“.

ფასიანე-რეას ერთბუნებოვნების არსი კი ის არის, რომ **რეა** არა მიწის ქალღმერთია, არამედ, მსგავსად **ფასიანე**-სი, წყლის ქალღმერთია და „ყოვლისა დამბადებელი თიამათი" ასევე წყალი, ანუ წყლის ქალღმერთია.

Рεα, Рεη, Рειη-- дочь Урана и Геи, мать Зевса... **Рεας χολπος** залив Реи, м. е. Ионический.

იონიის ზღვის ყურეს ეწოდება „რეას ყურე" (**Рεας χολπος**), ანუ **რეა**-ს სახება წყლის მცნებას უკავშირდება. მოგეხსენებათ, რომ შუმერულ-ეგვიპტურ-კოლხური აზროვნებით თანხმოვანი **რ** მოძრაობას გამოსახავს და ამ ცოდნის გავლენა იკითხება ბერძნულშიც. გავიხსენოთ, რომ ეგვიპტური მითოლოგიით მზეს ეწოდებოდა როგორც **რა**, ასევე **რე**.

ρεος– поток.

ρευηα ¬– 1) поток, струя... 2) течение... 9) ревматическое страдание (როგორც მოგეხსენებათ, რევმატიზმული ტკივილები უშუალო კავშირშია წყლის მცნებასთან ϰ.კ.).

ρευηατιον -- поток, ручей.

ρευστχος – текучий, превратившийся в жидкость.

ρευστος – 1) текучий, жидкий... 2) изменчивый, непостоянный... 3) непоседливый, вечно мечушийся (წყლის დენის ასოცირებით იქმნება მცნებები: ცვალებადი, მერყევი, მოუსვენარი, დაუდეგარი... ϰ.კ.).

ρειθρον – 1) течение, поток, струя... 2) речка, ручей... 3) русло.

ρειτος -- речка на территории Коринфа.

I ρεω – 1) течь, литься, струиться... 2) растекаться, разливаться... 3) расплывать, устремляться... 4) наплывать, устремляться... 5) нападать, гневно набрасываться... 11) лить, струить.

II ρεω – говорить.

მეორდება იგივე და წყლის დენის უწყვეტი ხმაურის ასოცირებით, ბერძნები ქმნიან მცნებას **ლაპარაკი** (говорить). გაიხსენეთ: „წყნარად მოღელავს, **მოდუდუნებს** მტკვარი ანკარა".

ე. ი ბერძნული **re** [რე] საწყისი მნიშვნელობით, მსგავსად კოლხური ფასისი-სა, უშუალოდ წყლის დინებას (მდინარეს) გამოსახავს. ამ ბერძნული **re**-ს (rew – течь, литься, струиться) საწყისი მნიშვნელობის გავლენით ეწოდა სლავურში მდინარეს **Река**, ასევე **Реять** (ლივლივი, ნავარდი, ქროლვა), ხოლო მისი წარმონაქმნი მნიშვნელობიდან (**rew** – говорить) შესატყვისი **Речь** და **Рев**. მსგავსია ინგლისური **riv** – მდინარე. **რეა**-ს შინაარსიის ცოდნით წარმოდგა სამედიცინო ტერმინი **დიარეა** (ბერძ. **დიარეო** - ვიღვრები).

მეგრულ ენაშიც, ბერძნული **re**-ს გავლენით, შეიქმნა რუსული **Река**-ს (რეკა-ს) კონსტრუქციის, მხოლოდ განსხვავებულ მნიშვნელობის სიტყვა **რეკა**.

(ო. ქ.) რეკა იგივეა, რაც რეყე, რეჭე, რეჭეკი, -- მდინარის ქვიანი და ქვიშიანი ნაპირი, რიყე; კრიახი.

უნდა აღინიშნოს **არქანჯელო ლამბერტის** ლოგიკური აზროვნების შემდეგი მაგალითი (გვ. 161): არქანჯელო ლამბერტი მიმოიხილავს არიანეს ცნობას მდინარე ფასისის მარცხენა სანაპიროზე ფასიანე-რეას ქანდაკების არსებობის შესახებ და აცხადებს -- „მე ვფიქრობ, რომ მეგრული სახელწოდება ნაპირისა **რეკას** აქედან {ქაღმერთ **რეას** სახელწოდებიდან] უნდა სწარმოებდეს: სიტყვა **რეა** გადაუსხვაფერებიათ **რეკას**-ასად. გარდა ამისა სხვა საბუთებიც გვაქვს იმის დასამტკიცებელი, რომ მეგრელებს ძველად ამ ღმერთისათვის მრავალი ტაძარი აუგიათ. ერთია მოწმობა გილლიუსისა, რომელიც ამბობს, რომ ეს ღმერთი თავის სამყოფად მთებს ირჩევდაო და ამიტომაც ყველა მისი ტაძრები მთებშია აგებულიო. მეორეა ჩვეულებრივი გარდაცვლა (გარდასახვა ჯ.კ.) სახელწოდებისა **რეასი მარიამად**. რადგან დღეს კოლხიდაში მრავალი ეკლესია მთებშია და უმეტესობა ყოვლად წმინდა ქალწულის სახელობაზეა აგებული... ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვაღიაროთ, რომ ყველა ეს ეკლესიები ძველად **რეას** (ანუ **ფასიანეს** ჯ.კ.) ტაძრები იყვნენ და მხოლოდ შემდეგში, როცა ქრისტეს სარწმუნოება დამყარდა და როცა ზენონ იმპერატორის დროს **რეას** ტაძარი გარდააქციეს მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიად, ამ მაგალთის მიბაძვით **რეას** ყველა ტაძრები (კოლხეთში ჯ.კ.) გარდაქმნეს ეკლესიებად ყოვლად წმინდა ქალწულის სახელობაზე“.

ცხადია მეგრ. **რეყე** > ქართ. **რიყე**. მსგავსად ბერძნული ასოცირებებისა, მდინარის ქვიან და ქვიშიან ნაპირზე, **რეკა**-ზე სიარულისას გამოცემულმა ხმებმა თავდაპირველად ქათმების **კრიახი** გაახსენა ჩვენს წინაპრებს, ხოლო უკვე მოგვიანებით შეიქმნა **რეკუა**.

(ო. ქ.) რეკუა რეკვა.

რეკუა > **რეკვა** აღნიშნავს ხმის გამოცემას („ზარების რეკვა“), მაგრამ რადგანაც არსებობდა იმის ცოდნა, რომ **რეკვა** მდინარის, ანუ მოძრაობის შინაარსიდან მომდინარეობდა, სიტყვამ შეიძინა მოძრაობის მნიშვნელობაც („ხარებს საძოვარზე გა-**რეკავს**“).

გაიხსენეთ **I ρεω** ¬-ს მე-5 მნიშვნელობები: 5) нападать, гневно набрасываться და შეადარეთ მსგავსი შინაარსის მატარებელი კოლხური სიტყვები:

(ო. ქ.) რება – 1. გადარევა; 2. მორევა, არევა.

(ო. ქ.) რეგუა – მაგრად (გამეტებით) ცემა, რეგვა, ჟეჟვა. (> რეგვენი).

(ო. ქ.) რეჟუა – მაგარი რამის ჩარტყმა.

(ო. ქ.) რეფუა – ხეთქვა, მაგრად დარტყმა, ცემა.

(ო. ქ.) რეხუა – მაგარი რისამე დარტყმა, -- რეხვა, თხლეშა. (რეხუა > რეხვა).

ამ განმარტებებით ნათელი ხდება რეკუა-ს აზრი, ვინაიდან ზარის რეკვის ხმა მეტალის მეტალზე ცემით, მაგარი დარტყმით გამოიცემა. თავად თუ მოიცლით და ინგლისური ენის ლექსიკონში ყურადღებით გაეცნობით და გაანალიზებთ **riv, rival, rive, riven**... სიტყვათა მნიშვნელობებს, დარწმუნდებით, რომ ინგლისურ ენაშიც იგივე სურათია.

რასაკვირველია, ბერძნული **რეას** გავლენა ბევრად დიდ სივრცეს მოიცავს ვიდრე კოლხეთი, რუსეთი, ინგლისი... მხოლოდ ამჯერად გამოსაკვლევია თუ საიდან მოხვდა წარმართი დიდი დედის, რეა-ს არსის განმარტება ბერად აღკვეცილ **სულხან-საბა ორბელიანის** ლექსიკონში.

(ს. ს.) **რეა** გადმოითარგმნების დედასა მდედრსა ძალისასა.

რეას, როგორც წყლის ქალღმერთის მტკიცების დასტურს სრულიად მოულოდნელად გვაწვდის **პროკოპი კესარიელი.**

(**პროკოპი კესარიელი** 151): „(მერმეორე) გაბრუნდა და დაიჭირა იბერიიდან კოლხიდის ქვეყანაში გადასასვლელი ადგილები, სადაც ფასისის გადასვლა შეიძლება ფონში, გადალახა ეს მდინარე ფეხით, გადალახა აგრეთვე მეორე მდინარეც სახელად **რეონი** (**reonta**) – არც ეს არის იქ სანაოსნო“.

მოყვანილი ტექსტის გვერდის სქოლიოში სიმონ ყაუხჩივილი განმარტავს:

(**პროკოპი კესარიელი** 151): „პროკოპის აღწერილობით სპარსელები, მერმეორეს წინამძღოლობით, იბერიიდან (ლიხის მთით) ლაზიკეში გადადიან (ამ ტექსტით სიმონ ყაუხჩიშვილი აღიარებს, რომ VI საუკუნეშიც იბერიისა და ლაზიკეს საზღვარი ლიხის ქედია ჯ.კ.). ისინი არქეოპოლოსისაკენ აპირებენ წასვლას და მათ უხდებათ ფასისზე (ყვირილაზე) გადასვლა. შემდეგ მეორე მდინარის, **რეონის** (რიონის) გადალახვა“.

შეცდომას უშვებს სიმონ ყაუხჩიშვილი როცა აიგივებს სახელწოდებებს **რეონტა**-ს და რიონს, მათ შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსხვავებაა. მდინარე **ფასისს** ბერძნები მუდამ მისი ისტორიული სახელწოდებით **ფასისი**-თ მოიხსენიებენ.

(**ვახუშტი ბაგრატიონი** 747): „(რიონს) ბერძენნი უწოდებენ ფასონს“.

ბერძნები ფასისის სათავედ მდინარე ყვირილას მიიჩნევდნენ. კოლხური ცოდნით კი **ფასისი** (რიონი) **ფასის** მთიდან მოედინება და ეს ცოდნაა ასახული სახელწოდებაში **რეონტა**. **რეონტა** შედგენილი სიტყვაა და შემდეგნაირად იშლება – **რე**(ა) + **ონტა**.

οντα [ონტა] – подлинно сущее, истинное бытие.

οντως [ონტოს] – действительно, подлинно.

ρεοντα = **Ρε(α)** + **οντα** = **რეა ჭეშმარიტი** = ფასის მთიდან მომდინარე **ფასისი** (რიონი) ჭეშმარიტი **რეაა**. ანუ ფასისი (სვლა წყლის) იგივე **ρε**-აა (течь, литься, струиться). ანუ ბერძენი **რეა** იგივე კოლხი **ფასიანე**-ა. ეს გახლავთ ახსნა იმისა თუ რატომ სცემდნენ გამორჩეულად თაყვანს **ფასიანეს** ბერძნულ-კოლხურ ქალაქ **ფასისში**: **ფაისანე-რეა**-ს სახება ორივე სათვისტომოსთვის მისაღები იყო.

სახელწოდებები **ფასიანე** და **რეა** ერთი და იგივე შინაარსის მატარებლები არიან და ტყუპების შემთხვევაშიც კი, რომელიღაც მათგანი უფრო ადრე ჩნდება -- ცხადია, რომ სახელწოდება **ფასიანე** ბევრად ადრე წარმოდგა ვიდრე სახელწოდება **რეა**.

შესაძლებელია, როცა ჩვენი ქრისტეანი მამები შეუდგნენ კოლხეთის ტერიტორიაზე კოლხური წარმართული ცოდნის კვალის წაშლას, სახელწოდება **რეონტას** გავლენით შექმნეს ბერძნულივე წარმომავლობის სახელწოდება **რიონი**.

rion [რიონ] 1) горная вершина, пик... 2) Мыс.

ფასის მთა, საიდანაც იღებს სათავეს **ფასისი** (რიონი) გახლავთ **горная вершина.**

თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასინენას (და არა ფაზინენას) სახებამ კოლხურ (და არა მარტო კოლხურ) კულტურაზე, ამას უკვე კოლხური ლოგოგრამული აზროვნების შედევრთაგანი -- **ფსქი** აგვიხსნის.

ფსქი

(ი. ყ.) **ფსქი** потомок, племя.

(პ. ჭ.) **ფსქიი** – შვილი, მემკვიდრე, შთამომავალი.

(ო. ქ.) ფსქილი, ფსქიი, ფსქი იგივეა, რაც სკიი, სკი; სქილი, სქიი, სქი, -- ძე, მემკვიდრე; შთამომავალი.

ფსქი კოლხური ლოგოგრამული აზროვნებით, უზუსტესი და უმარტივესი გამოსახვაა სიცოცხლის კოდისა, იმ მეხსიერებისა, რომელიც გენეტიკურად არსებობს ადამიანში, ცხოველში, მცენარეში, მიწაში... ფსქი გვიხსნის სიცოცხლის ევოლუციური განვითარების ძირითად კანონს: წყლიდან ხმელეთზე სიცოცხლის გადმოსვლა-ს.

ფსქი (**ფს+ქი**) ესაა შუმერულ-აქადური მასალით ნაშენები კოლხური კომპოზიტი. კოლხური **ფს** აქადური **აპსუ**-ს (მდინარის) მნიშვნელობის კოლხურ ვარიანტს, მდინარის (**ფასისი** > **ფს**) მნიშვნელობას წარმოგვიდგენს, ხოლო კოლხური **ქი** იგივე შუმერული **ქი**-ა (მიწაა).

ფსქი = ფ(ა)ს(ისი) + **ქი** = **მდინარე** (წყალი) + **მიწა** (ხმელეთი, გარემო).

ფსქი ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი სიცოცხლის წარმოსაქმნელი სივრცის – წყლისა და მიწის სიმბიოზია, ანუ იგივე ენქის სახეებაა. წყლისა და მიწის ურთიერთობის კოლხურ ხედვას გამოსახავენ ჰიდრონიმები:

დიხაშური – მდინარე ოზურგეთის რ-ნში.

დიხაშური = **დიხა** + **შური** = **მიწა** + **სული** = (მდინარე)მიწის სულია, ანუ წყალი ასულიერებს, აცოცხლებს მიწას.

აქ ჩვენ ვავლენთ, რომ **დიხაშური**-ს შეკვეცილი ფორმაა **ხაშური.**

დიხაშური > (**დი** > 0) > **ხაშური** = **ხა** + **შური** = **მიწა** + **სული** = (მდინარე) მიწის სულია.

ხაშური - ქალაქი, რაიონის ცენტრი.

ხაშრულა – მდინარე თიანეთის რ-ნში.

(ო. ქ.) რულა რბენა, სირბილი, ჭენება.

ხაშრულა = **ხაშ**(ური) + **რულა** = **მიწის სული** + **სირბილი** = **მიწის სული** (მდინარე) ჩარბის, ჩაედინება.

ხანაშური – მდინარე ლენტეხის რ-ნში.

ხანაშური = **ხან**(ი) + **შური** = **დრო** + **სული** = წყლის მუდმივი დენა იგივე დროის დინებაა და ამდენად მდინარე დრო-ჟამის სულიაო, ანუ დროის მატერიალური გამოსახვაა.

ამრიგად, -- წყალი ესაა მიწის სული, ანუ სული იბადება წყლიან სივრცეში, ანუ სული ჩნდება მდედრის ორსულ, წყლიან სხეულში, კვერცხში. იგივეს აღიარებს ქრისტეანული რწმენა.

ნათლისღება ესაა საიდუმლო, რომლითაც მორწმუნე სამგზის სხეულის წყალში ჩაყვინთვით, მამის და შვილის და წმინდა სულის მოხმობით კვდება ხორციელი, ცოდვილი სიცოცხლისათვის და წმინდა სულის ძალით აღსდგება სულიერი, წმინდა ცხოვრებისათვის.

„ჭეშმარიტად გეუბნები შენ – ბრძანა უფალმა – **ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა სასუფეველში**“ (იოანე 3.5.).

ფსქი „შეკუმშულად მოიცავს სასწაულებრივი ჩასახებისა და შობის მითოსს, რომელიც მრავალი საუკუნის შემდეგ ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს დოგმატად იქცა: „ეჰა, მუცელი, რომელსა აქუს სიმაღლე და სივრცე ყოვლად უზეშთაესი ცათა, რამეთუ ფართოებით დაიტია ცათა დაუტევებელი ღმერთი“.

(**ზურაბ კიკნაძე** 69): „მითოსურად არქაული ქალღმერთნი თიამათის მსგავსად წარმოდგენილნი იყვნენ სამყაროს მშობელ დედად, -- რაკი სამყარო წყლიდან იშვის, -- უვრცელეს საშოდ, რომლის ხატი მინიატურულად აისახება ყოველი კერძოობითი დედრის საშოში“.

თქვენთვის უკვე ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ **ფსქი**-ში ჰარმონიული წყვილი **ფს** (ფასისი) ჩვენი დიდი წარმართი დედის **ფასინენა**-ს [**ფასიანე** + **ფასანა**(ური) = **ფასინენა**-ს] სახეზაა და თავად **ფსქი** მშობიარობის პროცესს გამოსახავს. გავიხსენოთ, რომ **ფსქი** ესაა შვილი, ანუ ნამრავლი.

ფსქი = **ფ**(ა) + **ს**(ისი) + **ქი** = **მოქმედება** (სვლა) + **წყალი** + **მიწა** (ქვეყანა) = შვილი, შთამომავალი, ანუ მდედრის წყლით სავსე სხეულიდან ევლინება ჩვილი ქვეყანას.

(**„ლაო ძი“ ლერი ალიმონაკი** 300) „შეიცან თავი შენი და შეიცნობ ყოველს“, ამ გამოთქმის ფესვი ძველ საბერძნეთშია. მაგრამ იგი უფრო შორეულ წარსულში იღებს დასაბამს. ვივეკანანდა ინდური ფილოსოფიიდან და რელიგიიდან გამომდინარე განმარტავს, რომ კოსმოსი მოწყობილია ისეთნაირადვე, როგორც ცალკეული ატომი, -- ერთი და იგივე კანონი მოქმედებს მცირეშიც და დიდშიც: ვედებში ნათქვამია: უკეთუ ვუწყით ერთი მუჭა თიხა, ჩვენ გვეცოდინება მთელი თიხის ბუნება, რაც კი სამყაროში არსებობს. უკეთუ გვეცოდინება ერთი მცენარე, გვეცოდინება მთელი მცენარეული სამყაროს ბუნება“.

(**ზურაბ კიკნაძე** 73): „დროებით დავტოვოთ „თიამათის შორეული წყლები“, -- მითოსურ სივრცეში – შობადის ნაყოფი და ჩამოვიდეთ რეალურ ქვეყანაში, მწყემსებისა და მესაქონლე ხალხის მიწაზე, რომელიც მოფენილია შინაური პირუტყვის სადგომებით, ფარეხებით, ბაკებით, ბოსლებით, სადაც ეს ხალხი, ზრუნვით აღსავსენი, კეთილ თვალს ადევნებენ საქონლის გამრავლებას და მოწმენი ხდებიან დაბადების მისტერიისა, ამ სადგომებში რომ ხორციელდება. მითურ შემოქმედებითი აზრი ამ ბოსელს, სადაც დგას ხბოს მოსაგებად გამზადებული ფური, დასახავს საყოველთაო საშოდ და დედა– ქალღმერთის ატრიბუტად მიიჩნევს“.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ბოსლის (თურის), ჩურის (საშოს) თემა და ვიცით, რომ დაბადების მისტერია – სიცოცხლის წარმოქმნა დედის სხეულიდან – მუდმივად უძლიერეს გავლენას ახდენდა ადამიანთა ცნობიერებაზე და კოლხმა მამებმაც მრავალი მცნება ამ უკვდავ პროცესს დაუკავშირეს. კოლხმა მამებმა სიცოცხლის წარმოქმნის, მშობიარობის გამომსახველი კოდი **ფსქი** შეკვეცეს და მიიღეს იგივე აზროვნების მატარებელი ჰარმონიული წყვილები **სქ || სკ,** რომლებიც პრაქტიკულად თანხმოვან **ფ**-ს (მოქმედების) გარეშე იგივე წყლის და მიწის მცნებებს გამოსახავენ და ამიტომაც გაგვაჩნია წარმართული **სქური || სკური** (= ღელე).

სქური = **ს** + **ქ** + **ური** = **წყალი** + **მიწა** + **სვლა** = წყალი მდინარე მიწაზე.

სქური || სკური თავისი აზროვნებით იგივე **წყური**-ა (> **აწყური**).

წყური = **წ** + **ყ** + **ური** = **წყალი** + **მიწა** + **სვლა** = მიწაზე || მიწიდან მდინარე წყალი = წყარო.

ტაბაწყური > **ტბაწყარო** – „ტბა ჯავახეთში. საზრდოობს მიწისქვეშა, თოვლისა და წვიმის წყლით. გამდინარეა მიწისქვეშა გზით“. ტაბაწყური ძირითადად წყაროებით ივსება და წყაროს სახითვე გაედინება ნამატი წყალი, რაზეც მიგვითითებს წარმართული სახელწოდება **ტაბაწყური**.

ძირითადათ მაინც **სქ || სკ**-ს, **ფსქი**-ს სრული შინაარსის გავლენით, იგივე „წყლიდან ხმელეთზე სიცოცხლის მოვლენის" (მშობიარობის) მნიშვნელობა მიენიჭათ და ეს პროცესი დაედო საფუძვლად სხვადასვა კოლხურ სიტყვათა აზროვნებას.

(ო. ქ.) სქილი, სქირი, სქიი, ფსქიი (სქილ/რს, ფსქირს) იგივეა რაც სკილი, სკიი, სკი – შვილი, ვაჟიშვილი, ძე, მემკვიდრე.

(ო. ქ.) სქუა იგივეა, რაც **სკუა** – შვილი.

(ო. ქ.) სქუალა იგივეა, რაც **სკუალა** – 1. კვერცხის დადება. 2. გასკვნა.

სქუა = ს + ქ + უა = წყალი + მიწა + მოქმედება, შედეგი = შვილი, ანუ დედის წყლით სავსე სხეულიდან ევლინება შვილი ქვეყანას. სქუა იგივეა, რაც **ფსქ**(ი)**უა**.

სქუალა = ს + ქ + უა + ლა = წყალი + მიწა + მოქმედება, შედეგი + ფორმა, სხეული = მშობიარობის შედეგად გაჩენილი სხეული, არსება (შვილი, კვერცხი).

სქუალა || სკუალა მხოლოდ კვერცხის დადებას არ ნიშნავს, ვინაიდან **სქუალამი** = შვილიანი; **სქუალობა** = შვილობა... და, შესაბამისად:

სქუალა > სქილი = სქი + ლი = ნამშობიარევი + სხეული, არსება.

წარმართული **სქილი** > (სქ > შ, + ვ) > ქართ. **შვილი**.

რადგანაც ახლად ნამშობიარებ ბავშვს პირველ რიგში ჭიპლარს გამოუნასკვამენ, **სქუალა || სკუალა**-ს მიენიჭა ასევე შესკვნის პროცესის მნიშვნელობაც.

მეგრულად **ოსკვალი** = გასასკვნი; **სკვილი** = გასკვნილი და **ნასკვი** = განასკვი.

(ქ.ე.გ.ლ.) ნასკვი თოკის, ძაფის და მისთ. ერთმანეთთან გადაბმის ადგილი, -- კვანძი.

წარმართ. **ნასკვი** > ქართ. **ნასკვი** > შე-**სკვნა** > დასკვნა (მსჯელობის ნაყოფი, „ნამშობიარევი").

ასევე წარმართ. **ფსქი || ფსკი** > ქართ. **ფ-სკვნა > ჩაფსკვნილი > ჩაფსკვნა...**

ხოლო ქართ. **კვანძი** წარმოდგება მეგრ. **კვანწი**-ლი-დან (= კოხტად გაკეთებული).

სქუალა || სკუალა-ს შინაარსის განვრცობაა სიტყვები: **სქუაფა და სქუბოჭუა.**

(ო. ქ.) სქუაფა – შებმა.

ჩვილი, გაჩენამდე, დედის სხეულთან ჭიპლარით მიბმულია, შებოჭილია.

(ო. ქ.) სქუბოჭუა – მიწებება; გაკრეჭა; გაპრიალება.

წარმართ. **ბოჭუა** > ქართ. **ბოჭვა** > **შებოჭ**ილი.

(ო. ქ.) ფსქელი, სქელი – სქელი.

აქ ის იანგარიშება, რომ მშობიარობის შედეგად დაღვრილი სითხე ჩვეულებრივ წყალთან შედარებით მკვრივია, სქელია.

ახალშობილი სველია და ის შრება:

(ო. ქ.) სქირა – შრობა.

მშობიარობა მთავრდება და:

(ო. ქ.) სქიდა, სკილადა – დარჩენა, მორჩენა.

ყოველი ჩვილი ულამაზესი არსებაა:

(ო. ქ.) სქვამი, სკვამი – ლამაზი.

(ო. ქ.) სქვანა – მკობა, შვენება.

(ო. ქ.) სქვერი, სკვერი – შველი.

წარმართ. **სქვერი** > (სქ > შ, რ > ლ) > ქართ. **შველი**.

ფუტკრები სკებს ხეთა ფუღუროებში იკეთებენ. ხის ღრუ, საიდანაც უამრავი ფუტკარი გამოფრინდება, თავისი კონფიგურაციით მდედრის საშოს წარმოსახავს და:

(ო. ქ.) ფსკა, სკა, სქა -- ფუტკარი. (> ქართ. ფუტკრების სკა).

წყლის ძალით ტრიალებს დოლაბი (მიწიერი) და ამ ურთიერთობის შედეგად ჩნდება ფქვილი:

(ო. ქ.) სქიბუ, სკიბუ – დოლაბი.

სქ || სკ-ს შინაართა ცოდნით შეიქმნა ქართულში **სკნელი**.

(ს. ს.) სკნელი – რამეთუ ვიტყვით: **ზესკნელი, ქვესკნელი და უკანასკნელი.**

შუმერულ-აქადურ-კოლხური კომპოზიტის **ფსქი**-ს აზროვნებას, გამომდინარე მისი მარადიული ბუნებიდან, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მეზობელ ხალხთა აზროვნებაზე და **ფსქი** ფუძეა ბერძნულ **ფსიქე**-ასი და ლათინურ **ფსიქიკა, ფსიქოლოგიისა.**

ფსიქე {**Psyche**] – ბერძნულ მითოლოგიაში ადამიანის სულის განსახლებაა.

ვინაიდან ლათინურს არ გააჩნია თანხმოვანი **ხ**, ბერძნული ფსუხე გამოთქვეს როგორც

ფსიქე {**Psyche**]. გავეცნოთ ბერძნული ორიგინალის შინაარსს.

ψῦχη, ψῦχα [ფსუხე, ფსუხა] – 1) дыхание, преимуш. дух, душа, сознание... 2) жизнь... 3) душевные свойства, характер, нрав... 4) настроение, чувства... 5) существо, личность, человек...6) бабочка, мотилек.

ბერძნულ მეტყველებაში, განსხვავებით კოლხური მეტყველებისაგან, იკითხება მკრთალი ტენდეცია ψ (ფსი)-თ წყლის მცნების გამოსახვისა, მაგალითად:

ψιασ [ფსიას] – капли, брызги.

ψακασ [ფსაკას] – дождевая капля.

მთლიანობაში ბგერა **у** (ფსი) ბერძნულ მეტყველებაში შორსაა წყლის მცნების გამოსახვისაგან და რაც იმის უფლებას გვაძლევს, რომ ბერძნულ ლექსიკაში **ψ** (ფსი)-თ გამოსახული წყლის მცნების მატარებელი სიტყვა **ψῦχη** [ფსუხე] უცხო, კერძოდ ჩვენი შუმერულ-აქადურ-კოლხური **ფსქი**-ს ცოდნის გამოვლინებად ჩავთვალოთ. იმის გამო, რომ ბერძნებს არ გააჩნდათ თანხმოვანი **ქ**, ბერძნულ ვარიანტში კოლხური **ფსქი**-ს მეორე შემადგენელი **ქი** (მიწა) შეცვლილ იქნა ასევე ბერძნულ მეტყველებაში მიწის მცნების გამომსახავი თანხმოვნით **ხ**, მაგალითად ბერძნული **ხთონ, ხთონოსი** მიწას, ნიადაგს აღნიშნავს.

დააკვირდით მცნება კოლხეთის ბერძნულ განმარტებას.

Κολχίς -- ß1) (sc. χωρα или γή) Колхида.

sc.– scilecet = იგულისხმება.

χωρα – 1) пространство... 2) промежуток, расстояние...3) место, место-положение... 7) область, край, страна... 8) земельная собственность... 9) деревня.

მცნებაში Κολχίς (= კოლხეთი) იგულისხმევა კოლხეთის მიწა γή ანუ χωρα (ხორა), ანუ მიწის ზედაპირის ის სივრცე (пространство), ადგილმდებარეობა **(место-положение)** რომელიც უკავია კოლხეთს. აქ უკვე უნდა გაგახსენდეთ კოლხური ხორა (დაჩრდილული მიწა), რომელიც მსგავსად ბერძნული χωρα (ხორა)-სი გამოსახავს მიწის ზედაპირის იმ სივრცეს, რომელიც მასზე აშენებულ სახლის ფართს უკავია. არც კოლხური ხორა იყო უცხო ბერძნული ლექსიკისათვის.

ψῦχη [ფსუხე]-ში რომ წყლის მცნებას წამყვანი ადგილი უკავია, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი მნიშნელობები существо, личность, человек, дух, душа, сознание – ანუ ყოველივე ეს კი სიცოცხლის არსებობის შედეგია, რომელიც სათავეს წყლიდან იღებს. თუ შუმერული აზროვნებით „წყალი ითვლებოდა ყოველივე არსებულის პირველსაწყისად“, იგივე გაიმეორა ბერძნულმა ფილოსოფიამაც მისი ერთ-ერთი მამამთავრის თალეს მილეტელის სახით – „ყველაფერი წყლისგან წარმოიქმნება და წყლად გარდაიქმნება“.

(Ф. Э. С. 551): „ПСЮХЕ (греч. **ψῦχη** – душа), термин древне-греческой философии, душа, исконно этимологическое значение - „дыхание“ (ср. рус. „душа, дух“ -- „дышать“, „воздух“). У Гомера Псюхе употребляется в значении: 1) „жизненной силы“, покидающей тело с последним издиханием (გაიხსენეთ შკირტუ ჯ.კ.); 2) бесплотного „призрака“ (Eivdwlon), после смерти человека

существующего в Аиде, но полностью лишенного сознания и памяти („Одисея“ XI 51; „Илиада“ XXIII 104). Новая, антигомеровская концепция Псюхе распространяется начиная с 6 в. до н. э. в пифагоризме и орфизме: Псюхе понимается как „демон“. т.е. бессмертное существо божественного происхождения, ее странствия по телам животных и растенний... как наказание за первобытный грех Титанов.„тело“ как „могила“ души... цель праведной жизни-как „очищение“ (катарсис) от скверны, искупление вины и возращение Псюхе на небесную прародину.Одновременно Псюхе, обладающая памятью о прежних инкарнациях (Пифагор 14, 8 Dk) отождествляется с психическим „Я“; в фрагментах Гераклита Псюхе – субстрат феноменов сознания и носитель нравственных качеств („Сухая Псюхе-мудрейшая и наилучшая“, фр. 68 M), хотя в то же время и отождествляется с воздухом... За исключением Гераклита религиозно-эсхатологическая проблематика Псюхе чужда ионийской традиции, которая интересуется прежде всего биологическими функциями Псюхе (Псюхе -- „жизнь“) и понимает ее обычно как воздух и дыхание; при этом в рамках паралеллизма микрокосмоса и макрокосмоса нередко постулируется мировая Псюхе... Сократу, по-видимому, принадлежит выдвижение на первый план личностного момента и етические проблематики Псюхе“.

ე. ი. კოლხური **შური** (< ეგვიპტური შუ „კავშირი ცისა და მიწისა“) წარმოადგენს ატმოსფეროს, ანუ ჰაერს და ამიტომაცაა ბერძნული **ψῦχη** [ფსიუხე]-ს, სული-ს ძირძველი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა „სუნთქვა" -- „дыхание“ (ср. рус. „душа, дух“ -- „дышать“, „воздух“). იგივე სურათია იუდაიზმშიც.

(M. C. 200) ДУХ СВЯТОЙ, дух божий, Параклет или Параклит (греч., „помошник“, „утешитель“), в представлениях иудаизма действующая сила божественного вдохновения, в христианских представлениях третье лицо троицы. Евр. слово „руах“ означает и „ветер“, и „дух“; эта связь выявляется и ветхозаветным и новозаветным повествованиямии (за сошествие Д. с. на 70 старейшин следует сильный „ветер от господа“... „сошествие Д. с.“ на апостолов сопровождается шумом с неба „как би от несущегося сильного ветра“...

Зримый образ Духа святого в християнской традиции – голубь (собственно голубица; евр. и арам.слова для обозначения „духа“ – женского рода, и в древнем апокрифе Христос даже называет Дух святой „матерью“); в этом образе он и является над водами Иордана во во время крещения Иисуса Христа... Сравните ветхозаветный рассказ о первозданном состоянии мира: „и дух божий носился над водою“.

ე. ი შური (სული) ჰაერია, ატმოსფეროა და ამიტომაცაა სული ბერძნულად „სუნთქვა“, ებრაელურად კი „ქარი“. „**и дух божий носился над водою“** და Христос даже называет Дух святой „матерью“ გვახსენებს ფსქი-ს აზროვნებას, რომ სიცოცხლე, ღმერთი ჩნდება დედის წყლით სავსე სხეულში, ანუ წყალი კი არ არის სული, არამედ სული სხეულს წყლიან სივრცეში, სისველეში მხოლოდ ევლინება და ამიტომაც თანხმოვანი შგ (> შური) გამოსახავს სისველეს. ამდენად მდინარის სახელწოდება დიხაშური-ს აზროვნება შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: როგორც სხეულს სიცოცხლეს

სული ანიჭებს, ასევე მდინარის წყალი მაცოცხლებელია მიწისა, მიწის სულია. ამის გამოც ადამიანები მუდამ წყლის სიახლოვეს სახლობდნენ.

ბერძნულ აზროვნებასთან სიახლოვეს ამჟღავნებს კოლხური თანხმოვნის შg-ს (> შურის) მეორე შინაარსი – ახსოვს. დააკვირდით, რომ **შg** აღნიშნავს არა მცნებას მეხსიერება, არამედ ზმნას – ახსოვს. გავიხსენოთ პლატონი.

(Ф.Э.С. 24) „АНАМНЕСИС (греч. – припоминание), термин платоновской философии, обозначающий состояние человеческой души, припоминающей в здешнем мире виденное ею в мире потусторонее“.

(Ф.Э.С. 552) „Учение Платона о Псюхе, выросшее из орфико-пифагорейской концепции, отличается от нее теоретическим углублением и многоаспектностью... бессмертие и изначальная близость бестелесной Псюхе к сверхчувственному миру делают возможным признание идей через „воспоминание“ (см. Анамнесис)“.

(**მურთაზ ჯანჯღავა**) **ფსინა** მეხსიერება.

მესამე მცნება, რომელსაც აღნიშნავს თანხმოვანი შg (> შური), გახლავთ ქსოვა. ჩემი ხედვით, მცნება ქსოვა გამოსახავს სულისა და სხეულის შეერთების პროცესს, როცა ორი სრულიად განსხვავებული სახის ელემენტებისაგან იქმნება, იქსოვება ერთი მთლიანი არსება. ამ მოსაზრებას ამტკიცებს კოლხური ხედვა -- **შური დო ხორცი** = სული და ხორცი; კოლხური ხედვით სხეული სხვაა და სული სულ სხვა განზომილებაა. სხეული ესაა ჭურჭელი რომელშიც სული დგას და ამიტომაც ყოველ სულიერს ეწოდება შურდგgმილი || შურდგუმილი (> სულდგმული). ანუ ყოველ სულიერში „შედგმულია“ სული და ყოველი სულიერი ატარებს ამ სულს. კოლხურად შურიშღალა (= სულის ტარება) აღნიშნავს როგორც სუნთქვას, ასევე თავის გატანას, ყოველდღიურ პრობლემებს.

გამოთქმა – შურმემიღუ (= სული მიმაქვს, დამაქვს) ნიშნავს ვსუნთქავ (გაიხსენეთ ბერძნული „სუნთქვა", „дыхание“), ხოლო თუ გსურთ გაიგოთ როგორ ცხოვრობს, თავს რით ირჩენს კოლხი გლეხი, უნდა კითხოთ: **შურ მუჭო მეგიღუნა** (= სული როგორ მიგაქვთ, სულს როგორ ატარებთ). შორიდან მოსული კოლხი გეტყვით: -- **შურ ძიო მივღია** (სული ძლივს მოვიტანეო).

შურიში გოტება = სულის განტევება, -- ძლიერი ნდომა; გადატ. სიკვდილი.

შურიში იშასორუა =სულის ამოძრობა, -- სიკვდილი.

შურიში ეშალაფა = სულის ამოსვლა, -- სიკვდილი.

შურიში გარყა = სულის გაყრა (ამოხდომა), -- სიკვდილი.

შურდინაფილი = სულდაკარგული.

სული სწრაფად სტოვებს სხეულს და **შურდული; შურშურაია** = სულწასული.

შურიმოწიკვილი = სულუწმინდური.

შურეთი = სულეთი.

შურეფი = სულების დღე, აღდგომის მეორე დღე.

შურიშხა = სულის ხსენების დღე; შაბათი (ჩვეულებრივ).

შურიგე = სულს გაფიცებ; სულისჩინო.

ვინაიდან **შური** სუნთქვაცაა და გარემო სუნი შესუნთქვით შეიგრძნობა, **შური**-თ ასევე აღინიშნება **სუნი**. შურუა = სუნვა დასუნვა.

და სხვა მრავალი სულთან დაკავშირებული მცნება...

ე. ი. მეგრ. **შური** > (შ > ს, რ > ლ) > ქართ. **სული**.

მეგრ. **შური** > (შ > ს, რ > ნ) > ქართ. **სუნი** > ქართ. **სუნ**თქვა.

ამრიგად კოლხური **ფსქი** შუმერულ-აქდურიი მასალით ნაშენები კოლხური კომპოზიტია, რომელიც გამოსახავს ორსულობის (დედის წყლით სავსე სხეულში სიცოცხლის წარმოქმნის) და მშობიარობის (სიცოცხლის წყლიდან ხმელეთზე მოვლენის) პროცესის შედეგს (შვილს, შთამომავალს).

ე. ი. ვინაიდან სხეულს სული დედის წყლით სავსე სხეულში ევლინება, ბერძნებმა შუმერულ-აქადურ-კოლხურ ფსქი-ს მიანიჭეს სულის მნიშვნელობა, მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ გააჩნდათ მიწის მცნების აღმნიშვნელი თანხმოვანი ქ, იგი შეცვალეს ასევე მიწის მცნების აღმნიშვნელი თანხმოვნით ხ და მიიღეს ფორმა **ψῦχη** [ფსიუხე, ფსიხე]. ლათინებმა პირიქით, ვინაიდან არ გააჩნდათ თანხმოვანი ხ, იგი შეცვალეს თანხმოვნით ქ და ბერძნული ფსიხე-დან მიიღეს ფსიქე. კოლხ. ფსქი > ბერძ. **ψῦχη** (ფსიუხე, ფსიხე) > ლათ. **Psyche** (ფსიქე).

ძირითად განსხვავებას კოლხურ ფსქი-სა ბერძნულ **ψῦχη** -ს შორის ის წარმოადგენს, რომ კოლხური აზროვნებით ფსქი მხოლოდ ორსულობისა და მშობიარობის პროცესია, ხოლო ორსულობის პროცესში სხეულს მოვლენილი სული სრულიად განყენებული თემაა და ამდენადაც კოლხურში შეიქმნა განკერძოებით სულის ამღნიშვნელი ტერმინი **შური**. ბეძნული **ψῦχη** კი მხოლოდ ორსულობის პროცესში სხეულს მოვლენილ სულს (სუნთქვას) აღიარებს და ამის შემდგომ უკვე აქედან წარმომდგარ მცნებებს.

ბერძნულმა ფსიუხე-მ მითოლოგიური სხეულიც შეიძინა.

(აკაკი გელოვანი 506): „ფსიქე (ბერძ. **Psyche**, სული, სიცოცხლე, პეპელა) -- ეროსის სატრფო, მშვენიერი ფრთოსანი ქალწული (она имеет облик красивой женщины), რომელსაც იუპიტერმა უკვდავება მიანიჭა... პირველად ფსიქე ცისკენ მიმავალ კვამლად ან ფრინველად მიაჩნდათ, მერე პეპლისფრთებიან ქალიშვილად წარმოგვიდგინეს (ძვ. წ. V ს.).

სიტყვა ბერძნულია (ჰომ., თუკ., არისტ., პლატ. და სხვ.), მაგრამ როგორც ლიტერატ. პერსონაჟმა და მით. არსებამ, უფრო ლათინურ ენაზე მიიღო განვითარება, როგორც ეროსის შესატყვისმა, პეპლისფრთიანმა ქალწულმა, ერთ-ერთი მეფის უმშვენიერესმა ასულმა, რომელიც აფროდიტეს ექიშპებოდა. ამით გულნატკენი ქალღმერთი შურით აღივსო, -- საკუთარი ვაჟი, ცბიერი ეროსი მიუგზავნა, რომ დაესაჯა: მოკვდავთა შორის უმდაბლესი არსება შეიყვარეო. ქალღმერთი შეცდა. ფსიქეას მშვენიერებამ თვით ეროსი დაიმონა. შეიყვარა, ღამღამე ნახულობდა, დილამდე ეალერსებოდა (Иногда вступает в любовную связь с мужщинами), იმ პირობით კი, რომ სანათი არ აენთო და სახე არ დაენახა. ზეფირის დახმარებით წაიყვანა ზღაპრულ მხარეში. დიდხანს გრძელდებოდა ეს კავშირი ‚სულისა“ და „სხეულისა“, მაგრამ შურიანმა დებმა ფსიქეს ჩააგონეს, უსათუოდ უნდა დაინახო, რანაირია ის, ვისთანაც წევხარო. ფსიქეამ სანათი მიანათა და უფრო მწვავედ მოედო სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ სიტყვა გატეხილი იყო. ამურს სანათის ზეთი დაეწვეთა, გამოეღვიძა, გაწყრა და გაფრინდა. დიდხანს ამაოდ დაეძებდა სასოწარკვეთილი ფსიქე, ბოლოს მაინც იპოვა და სამუდამოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს“.

წყლის შუმერულ-აქადურ მცნება აპსუ || აფსუ-ს გავლენით სხვადასხვა სახის სულების, ღვთაებების წარმოდგენა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ტრადიციაა.

(М. С.) АПАМ НАПАТ (авест., «потомок воды», «отрыск воды»), в иранской мифологии один из ахуров, дух воды.

(М. С.) АПАМ НАПАТ («сын воды»), в ведийской мифологии божество, связанное с водой и огнем.

(М. С.) АПАС («воды») персоницированные космические воды в ведийской мифологии... Апаси – богини, матери, юные жены.

(М. С.) АПСАРЫ, апсарас (возможно, «вышедшие из воды»), ведийской и индуистской мифологии полубожественные женские существа, обитающие преимущественно в небе, но также и на земле (**в реках**, на горах и т. д.). В качестве женских **духов вод** (ср. с греч. нимфами, славянскими русалками и т.п.)... упоминаются в «Ригведе» и «Атхарваведе».

(М. С.) АПЙ, в скифской мифологии богиня... имя возводится к иран. корню со значением «вода».

იგივე ხედვაა ადიღურ სამყაროში

(М. С. 453) „ПСЫХО-ГУАША, у адыгов мифологический персонаж – хозяйка рек. Псыхо-гуаша была богиней, равной по значению Шибле, наряду сним она ведала дождями. В поверьях Псыхо-гуаша выступает персонажем низшей мифологии; она имеет облик красивой женщины с длинными волосами, обладает магическим гребнем. Иногда вступает в любовную связь с мужщинами. Псыхо-гуаша одолевает человека, если он пугается при встрече с ним“.

(М. С. 54): „АПСАТЫ, у карачаевцев и балкарцев (Авшатй) покровитель диких животных и охоты. Персонаж доисламского происхождения, родственный осетинскому Афсати, сванскому Апсати, возможно абхазскому Ажвейбу, адыгскому Мегитхе. Апсаты – заботливый хозяин всех диких животных, которых он пасет, как пастух свое стадо. Он сам выделяет животных в добичу охотникам, без его соизволения никто не может сделать меткий выстрел“.

(М. С. 54): „АПСЦВАХА, у абхазов бог смерти. Считалось, что человек или животное умирают потому, что их захотел забрать Апсцваха. Он незримо посещает больных, стариков, садится у их изголовья. Как правило, жертвой его становятся слабые. В фольклоре часто человек, прибегнув к хитрости, одерживает победу над Апсцваха“.

(М. С. 453): „ПСАТХА, у адыгов хозяин души. В пантеоне богов по своему значению следует за Тха и Тхашхо. Вместе с Тха он раздает души и ведает ими. Пребывает на небе. Возглавляет устраиваемый ежегодно на Ошхамахо (гора Эльбрус) пир богов. Псатха вездесущ, способен воздействовать на природу – усмирять ураганы, бураны, бушующий океан. Псатхе посвящались общенародные празднества, вокруг деревянного фетиша. Псатха совершались обряды с плясками, в жертву приносили белую козу“.

(**აკაკი გელოვანი** 90): „**აფსათი** – ნადირთა და მონადირეთა ღმერთი სვანურ მითოლოგიაში. თუ ქალღმერთ დალის საბრძანებელი შედარებით ლოკალიზებულია სალი კლდეებით, ჯიხვითა და არჩვით, აფსათი უფრო ძლიერი, შორეული, უზეანესი გამგებელია ნადირ-ფრინველთა, ჯიხვთა, ირემთა, მგელთა თუ დათვთაბედის მპყრობელი. ცხოვრობს უმაღლეს მწვერვალთან, გამოქვაბულში, რაც ირმის რქებითაა მორთული. ძირს ტყავები უგია, ნადირის მწვადებს შეექცევა და უწყალობებს ნადავლს მას, ვინც ეეედრება, სანთლებს უნთებს, ლოცულობს და აღიარებს მის ძალას".

ე. ი. შუმერულ-აქადური АПС-იდან მომდინარეობენ ირანული АПАМ НАПАТ || ინდური იგივე АПАМ НАПАТ, АПАС, АПСА-РЫ || სკიფური АПЙ || სვანური АПСАТИ ||

ყარაჩაევო-ბალყარული АПСАТЫ || აბაზური АПС-ЦВАХА || ადიღური ПСА-ТХА... და რამდენი რამ დროის სვლამ წაშალა.

სისტემატიზაცია

სისტემა [ბერძ. **systema**] – 1. გარკვეული წესრიგი, რაც დაფუძნებულია რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირზე.

ქართული ენის შემქნელებმა ახალ სიტყვათა წარმოქმნისა და წარმართული კოლხური ენის ბუნების გამარტივების მიზნით, მოახდინეს გარკვეული რაოდენობის სიტყვათა სისტემატიზაცია.

ჩვენ უკვე გავეცანით სისტემატიზაციის მაგალითს, როცა ქართული ენის შემქნელებმა **რხიალი**-დან თანხმოვან **ხ**-ს ამოაგდებით მიღებული **რიალი**-თ მოახდინეს ახალ ქართულ სიტყვათა წარმოქმნა-სისტემატიზაცია:

ბ-რიალი, **ბზ**-რიალი, **გ**-რიალი, **ზ**-რიალი, **კ**-რიალი, **პ**-რიალი, **ჟ**-რიალი, **ს**-რიალი, **ტ**-რიალი. **ფ**-რიალი. **ღ**-რიალი. **შ**-რიალი. **წ**-რიალი. **ხ**-რიალი.

სრულიად ნათლად იკითხება, რომ ჩამოთვლილ სიტყვათა შინაარსს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვათა საწყისი თანხმოვნები განსაზღვრავენ, ანუ იდეამატარებლები, ლოგოგრამები საწყისი თანხმოვნები არიან.

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სისტემატიზაციის მეთოდით ახალ სიტყვათა წარმოქმნის ცალკეული შემთხვევები. სისტემატიზაციას ახდენს ვილი, რომელიც ასევე მეგრული ლექსიკიდანაა გადმოღებული – წიკვილი, რთვილი...

სურვილი

(ო. ქ.) **სურა** ბლის ქერქისაგან მოწნული პატარა კალათი, ხმარობენ ხილის ჩასაწყობად, ყანაში საჭმლის წასაღებად.

(ქ.ე.გ.ლ.) **სურა** მუცელგამობერილი და ყელწვრილი თიხის (ვერცხლის, ოქროს...) ჭურჭელი წყლისა, ღვინისა და მისთანათათვის.

ორივე ვარიანტში **სურა** იწვევს ერთსა და იმავე გრძნობას – სურვილს; პირველ შემთხვევაში ხილის ან სადილის მიღების სურვილს, მეორე შემთხვევაში დალევის სურვილს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეგრული **სურ** ასევე ფუძეა სახელწოდებებისა ო-**სური** (= სა**სურ**ველი), **სურ**ამი (= სურვილებიანი, ანუ სასურველი), **სურ**ო (ხვიარა სურო ეხვევა ხეს). იგივე შინაარსისაა **უსურ**ვაზი... და სოფლები **სურ**ები.

ავხსნათ თავად **სურ**-ის შინაარსი. თანხმოვანი ს წყლის მცნებას აღნიშნავს. მაგალითად **ბურჯაფა** აღნიშნავს შეჭიდების ძლიერ მოძრაობებს, ვინაიდან ბურჯაფა-ში **ჯა** ხის მცნებას გამოსახავს, ხოლო **ბურსაფა** წყლის ძლიერ მოძრაობებს გვიხატავს, რადგანაც თანხმოვანი **ს** წყლის მცნებას გამოსახავს, ამის გამოც ეწოდა მდინარეებს **ბურსა** (მდინარე ყვარლის რ-ნში) და **ბურსაჭირი** (მდინარე დუშეთის რ-ნში). ამრიგად:

სურ = **ს** + **ურ**(ს) = **წყალი** + **მოედინება** და რაც ადამიანში მრავალ სურვილს აღძრავს.

(ი. ყ.) **სურული** желание, желать.

სურული = **სურ** + **ული** = **სური**(ს) + **სვლა** = желание, желать.

მეგრულ **სურ**-ის ქართული ენის შემქნელებმა დაუმატეს **ვილი** და მიიღეს **სურვილი.**

აქვეა ქართული **სურნელი** = **სურ** + **ნე** + **ლი** = სასურველი ტკბილი სივრცე.

მეგრ. **სურ** > ქართ. **სურვილი** > **მისურვე** > **ამისრულდა** > **ასრულდა** > **დასრულდა** > **დასასრული** > **სრული** > **სრულიად...**

წყურვილი

(ი. ყ.) **წყუ** колодец; **წყუ-რგილი...** родник (букв. холодный родник)... **ჩხორო-წყუ** (букв. десять колодцев, ср. г. ცხრა წყარო).

მეგრ. **წყუ**-ს არქე ფორმაა **ჭყუ** (ჭყარი > ჭყუ), ამის მტკიცება უნდა იყოს:

(ქ.ს.ე. XI 409): ,,**ჭყვიში** სოფ. ვანის რ-ში... გ. ტაბიძისა და ტ. ტაბიძის სახლ-მუზეუმებით... წყაროებში პირველად XVI ს-ში იხსენიება **ჭყუშის** სახელით".

ჭყუ-ში = **წყუ-სი** (წყაროსი). **წყუ**-ს სრული ფორმა შენარჩუნებულია სახელწოდებაში ა-**წყური.**

მეგრ. **წყური** > ქართ. **წყარო.**

წყურ(ი) = **წყ**(არი) + **ურ**(ს) = **წყალი** + **მოედინება** და წყაროს დინება ადამიანში წყლის დალევის სურვილს აღძრავს.

მეგრულ-ქართულ **წყურ**-ის ქართული ენის შემქნელებმა დაუმატეს **ვილი** და მიიღეს **წყურვილი.**

წყვილი

(ი. ყ.) 3. **წყ** || **ნ-წყ:** წყუალა, გო-ნ-წყუალა, გიმო-ნწყუალა, წყუაფა, დო-ნწყუ-აფა устроить, разложить, разложить, положить, накрывать (стол), наряжать.

დააკვირდით, იოსებ ყიფშიძე ავლენს, რომ ჰარმონიული წყვილი **წყ** ფუძეა განსხვავებული მნიშვნელობების მატარებელი მეგრული სიტყვებისა და იგივე ტრადიცია გადავიდა ქართულ მეტყველებაშიც: **წყ** > **წყობა** > **ა-წყობა** > **სა-წყობი** > **წყობილება** > **გან-წყობა** > **ჩა-წყობა** > **მო-წყობა** > **მო-სა-წყობი** > **მ-წყობრი...** და ჩვენთვის საინტერესო: **წყ** + **ვილი** > **წყვილი.**

ყვავილი

ჩვენ უკვე ვიცით, რომ შუმერულ-კლხური **ქიყვანა**-ში ჩადებულია აზრი, რომ ის რაც სამყაროში ქვედასა, **ქი**-სა და ზედას, **ანი**-ს შორისაა ჩვენს გარშემო მოქცეული, მიწიერი ძალის წარმონაქმნია, ანუ **ყვა**-ს (**ყვა** = მიწიერი წარმონაქმნი) წარმოადგენს და მათ შორისაა **ყვა** + **ვილი** = **ყვავილი.**

ჩივილი

(ი. ყ.) **ჩიება** говорить, рассказывать.

ჩი + **ვილი** > **ჩივილი.**

ცვილი

(ი. ყ.) **ცუხი** необработанный воск.

ც + **ვილი** > **ცვილი.**

ჭუვილი

(ო. ქ.) **ჭუა** 1. ტკივილი; 2. წვა.

ჭუა + ვილი > ჭუვილი.
(ი. ა.) ჭუვილი, ჭუილი – მწუხარება.

ჭყივილი
(ი. ყ.) ჭყიაფი, ჭყიალი, ჭყია крик, писк, визг.
ჭყი + ვილი > ჭყივილი.

ყივილი
(ო. ქ.) ყია, ყიაფი ყივილი.
(ი. ყ.) ციონი пение петуха, крик.
ცი || ყი + ვილი > ყივილი.

მსხვილი
(ო. ქ.) შხუ მსხვილი, დიდი.
წარმართ. შხუ > (შ > ს, უ > 0) > სხ + ვილი > ქართ. სხვილი > (+მ) > მსხვილი.
(ო. ქ.) შხიმუა დასხმა.
წარმართ. შხიმუა > (შ > ს, ი > 0, უ > 0) > ქართ. სხმა > და-სხმა.

ტკივილი, მტკიცე
(ი. ყ.) ტკირი, ტკილი, ტკი скала.
(ი. ყ.) ტკიცუა ударять, рассекать, разрывать.
ტკი + ვილი > ტკივილი.
მეგრ. ტკიცუა > ტკიც > ქართ. ტკიცინა > (+მ) > მტკიცე...

შვილი
(ი. ყ.) სქილი, სქირი дитя, сын.
მეგრული ჰარმონიული წყვილი სქ ქართულში ხდება შ (მარტივდება), ასე მაგალითად: სქანი > შენი; სქვერი > შველი... შესაბამისად:
წარმართ. სქილი > (სქ > შ,) > შ + ვილი > ქართ. შვილი.

ფქვილი
წარმართ. ქირი > (რ > ლ) > ქილი > (+ვ) > ქვილი > [+ ფ (არბილებს)] > ქართ. ფქვილი.

ბღავილი
მეგრულად ორანი აღნიშნავს ხახა-ს, ბერძნულად **ορεχθεο** (реветь), ლათინურად **oris** (პირი), ფრანგულად **oral** (პირი)... და რუსული **Орать**. კოლხური ორანის ფუძედ კოლხურივე ორო იკითხება; ორო მეგრულად აღნიშნავს ბნელს, უხილავს და მოგეხსენებათ რომ ხახა, პირის ღრუ ბნელია. ორანი შემადგენელია სიტყვისა ღორა. ჩვენ ვიცით, რომ სიცოცხლე, ღ შეიცნობა გარშემო გამოცემული ხმებით – ღიღინი, ღუღუნი, ღაღანი... ანუ თანხმოვანი ღ ასევე ხმის გამოცემის აღმნიშვნელიცაა, ამდენად:
ღორა = ღ + ორა(ნი) = ხმა + ხახა = ხახადან (ამოსული) ხმა.
(ი. ყ.) ღორა, ღვარა, ღვარაფი крик, мычание... ბღორანქ, ბღვარანქ...
წარმართ. ბღვარანქ > ბღვა > ბღა > (+ ვილი) > ქართ. ბღავილი.

ჟივილი – ხივილი; კივილი – წივილი

დროა ვისწავლოთ რატომ გამოვთქვამთ წყვილ-წყვილად **ჟივილ-ხივილი, კივილ-წივილი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ჟივილ-ხივილი** ჟრიამული ჩიტების.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჟივ-ჟივი** ფრინველთა გაბმული ჟივილი.

(ი. ყ.) **ხიოლი** радость, веселье; ხიოლება радоваться.

ხიოლი = ხი + ოლი = მიწა + სვლა. თანხმოვანი **ხ** მიწაა, დედაა და მის კალთებქვეშ მხიარულებაცაა. ხოლო **ჟი** ვიცით ნიშნავს მაღლა, ზევით და:

ხი + ვილი > ხივილი = მიწაზე, დაბლა ხმაური, გალობა.

ჟი + ვილი > ჟივილი = ზევით, მაღლა ხმაური, გალობა.

ამრიგად, **ჟივილ-ხივილი** ზევით და ქვევით ჩიტების ჟრიამულს აღნიშნავს, ხოლო **ჟივ-ჟივი** ფრინველთა მაღლა-მაღლა გაბმული ჟივილია.

კი აღნიშნავს ძლიერს (კიბირი, კიჭი, კირი...), ხოლო **წი** აღნიშნავს მცირეს, სუსტს (წიე, წიწილა, წიკვინი) და:

კი + ვილი > კივილი = ძლიერი ხმიანობა.

წი + ვილი > წივილი = მცირე, სუსტი ხმიანობა.

კივილ-წივილი = ძლიერ და სუსტ ხმათა გნიასი.

გამოთქმები **ჟივილ-წივილი, ჟივილ-კივილი** შეცდომებია.

აქვე განვიხილოთ დედის მცნების გამომსახველი ფორმანტის **ნა**-ს მოქმედების მაგალითები. საკმარისია სიტყვაში **კივილი** ჩავსვათ **ნა**, რომ მაშინვე მუდამ დედის მაძებარი კატის კნუტის **კნავილი** მოგესმებათ.

ე. ი.**კივილი >კნავილი; ბღავილი > ღნავილი.**

თრთვილი

(ი. ყ.) **რთვ: რთუალა...** крыть, надевать... **რთვილი** покрытый.

რთვილი-ს ემატება **თირი** (თოვლი) და მიიღეს:

თირი + რთვილი (თოვლით დაფარული) > (ირი > 0) > **თრთვილი.**

არსებობენ სისტემატიზაციის მსგავსი მაწარმოებლები:

რიალი > ბზრიალი, ბრიალი, გრიალი, ზრიალი, კრიალი, პრიალი, სრიალი, ტრიალი, ფრიალი, ქრიალი, ღრიალი, შრიალი, ჩხრიალი, წკრიალი, წრიალი, ჭრიალი, ხრიალი.

უილი > ბზუილი, ბჟუილი, ზმუილი, ზუილი, კუილი, ფუილი, ფშუილი, ღმუილი, ყმუილი, შუილი, შხუილი, ცუილი, წკმუილი, წუილი...

ხარი მობუბუნე რაზიკაულ-გოგოჭური

„ბევრი რამ ხდება ქვეყნადა,
შიგ ცოდვა-ბრალი დიდია;
ბუნება წარბსაც არ იხრის
მაინც მშვიდი და მშვიდია“.

ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმებიდან ჩვენი ინტერესის თემას წარმოადგენს გოგოჭური და ჟულაკა გოგოჭური. ვაჟა-ფშაველა 1896 წლის ძმებისადმი გზავნილ

წერილს ამთავრებს ტრადიციულად – თქვენი ძმა ვაჟა-ფშაველა და ამის შემდგომ – ხარი-მობუბუნე-რაზიკაულ-გოგოჭური. აქ უკვე გვარი გოგოჭური კარგავს ფსევდონიმის მნიშვნელობას, ვინაიდან ავტორი ცნობილია -- თქვენი ძმა ვაჟა-ფშაველა. გასარკვევია ვაჯა-ფშაველას დაინტერესება გვარის გოგოჭური-ს მიმართებით, ვინაიდან გვარები გოგოჭური და გოგოლაური ითვლებიან მეგრელაური-ს გვარის განაყოფებად.

(**ქართული ფოლკლორი** V 15): „**მეგრელაური გახუა** – მითოლოგიური პერსონაჟი, ხატებთან დაკავშირებული და მათთან ერთად ქაჯების წინააღმდეგ მეომარი, ქაჯების სამჭედლო იარაღებისა და ფანდურის მომტაცებელი... მეგრელაურის ნასახლარი სოფელ ჭორმეშავში სალოცავადაა ქცეული და „ფიცრული ანგელოზის“ სახელით ლოცულობენ გოგოჭურები“.

(**კარლო თოფურია** „აია“ № 5): „სოფელი ჭორმეშავი ხევსურეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე გუდანის ჭალის, ხევსურეთის არაგვის მარცხენა შენაკადის მარჯვენა მხარესაა. ზღვის დონიდან 1900 მ. სიმაღლეზე, მთაზე შეფენილი ლამაზი ხევსურული სოფელია. მისგან 12 კმ-ზეა სოფ. ბარისახო, რომელიც ბარს მთიდან გადმოჰყურებს. ტოპონიმი შედგება, ბარი+სახო. მეორე შემადგენელი ნაწილი, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას მეგრულ-ლაზურად, „სახო“ ნიშნავს სიახლოვეს. „ბარისახო" უნდა ნიშნავდეს „ბარის სიახლოვეს, ბარის მახლობლად“.

(**თინათინ ოჩიაური** 100): „გახუა მეგრელაური ღვთაების მკადრეა, მისი ქურუმი, რომელსაც ღვთის შვილი პირადად ეცხადება და ესაუბრება. იგი თან ახლავს მას ლაშქრობებსა თუ ბეგრის დადება-აკრეფის დროს. მისი პირით უცხადებს თავის „საყმოს" მოსალოდნელ ბედსა თუ უბედობას. მკადრე აერთიანებს ქადაგისა, ხევისბერისა და მედროშის ფუნქციებს“.

(**თინათინ ოჩიაური** 81): „თქმულება ქაჯავეთში ფშავ-ხევსურეთის ღვთაებების ლაშქრობების შესახებ, როგორც ცნობილია ჩვენამდე მოღწეულია პროზაული და პოეტური ვარიანტების სახით. მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა მიზნით მოეწყო ეს ლაშქრობა და რა გადახდათ თავს მის მონაწილეებს. ჯვარხატებთან ერთად ქაჯავეთში ხორციელი, ხახმატის ჯვარის მკადრე გახუა მეგრელაურიც მოგზაურობს. მონაწილენი კი ფშავ-ხევსურეთის თითქმის ყველა ღვთიშვილები.

მოლაშქრეები გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, გახუა მეგრელაურს სულს ამოაცლიან, ხოლო გვამს ადგილზე ტოვებენ. როდესაც ქაჯთა ადგილსამყოფელს მიაღწევენ, გიორგი ნაღვარმშვენიერი „საფარველს იდებს“, ბუზად ან მტრედათ იქცევა და ისე შედის ქაჯთა სოფელში. არის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ღვთიშვილები აშკარად შედიან სოფელში, ოღონდ თავის ვინაობას მალავენ. ისინი ათვალიერებენ გარემოს, თვალს ავლებენ სამჭედლოთა რიგს და როდესაც შესაფერისი მომენტი რჩებათ, მტერს ეკვეთებიან, ნადავლს იტაცებენ...

ღვთიშვილებმა ბოლოს და ბოლოს სძლიეს ქაჯეთი, სასურველი ლითონის ნადავლი, ქაჯავეთური საქონელი, ტყვე ქალები გამოიტაცეს და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. გახუას სული მატლგაჩენილ მის გვამში მოათავსეს, გააცოცხლეს და უვნებელი დააბრუნეს“.

ამ ტექსტის შინაარსის გაცნობის შემდგომ თავისთავად გახსენდება **სტრაბონის** (I ს.) ცნობა, რომ მთიელი იბერები თავს ნავარდით ირჩენდნენო.

არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც მეგრელაური გახუა ხოგაის მინდის (გველისმჭამელის) თანამებრძოლია და ორივენი ერთად ტოვებენ თავიანთ სხეულებს, გადადიან სულეთს და მტერზე გამარჯვების შემდგომ კვლავ უბრუნდებიან მას. აი ასეთი სახება იმალება ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმის გოგოჭური-ს მცნებაში.

თუ საიდან მოხვდა გვარი **მეგრელაური** ხევსურეთში, ამის პასუხს თავად ვაჟა-ფშაველა იძლევა.

(**ვაჟა** IX 441): „ხევსურები თვით ივერიის მეფეებისაგან იყვნენ დასახლებულნი საზღვრების გასამაგრებლად“.

ხოლო ივერიის მეფენი ეს სამეგრელოს, ანუ საქართველოს დასავლეთის (სამეგრელოს) დროშის ქვეშ გაერთიანებული სრულიად საქართველოს სამეფოს მეფენი გახლდნენ.

ფშავი და ხევსურეთი ადრე ერთიანი ფხოვი-ს მხარეს (დღევანდელი დუშეთის რაიონი) წარმოადგენდა და მხოლოდ XV საუკუნეში მოხდა მათი დაყოფა. ამდენად, ჩვენც ამ მხარეთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ექსკურსი ერთიან სივრცეში წარმოვადგინოთ.

(**ვაჟა** IX 442): „თუ ნამდვილი ძველი ქართველები არ არიან ხევსურები, საით შეისწავლეს ისე წმინდად ქართული ენა, ასე განცალკევებულად მაცხოვრებელმა ხალხმა ქისტების მეზობლობაში, თუ კი თან არ მოიყოლიეს თავისი საკუთარი შემუშავებული ქართული ენა, რომ ფშავლები და ხევსურები წმინდად ლაპარაკობენ, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან სიტყვებს ქართულის ენის მცოდნის მეფის თეიმურაზისა, რომელიც ამბობს ამათზე „წმინდად და გაურყვნელად სძრახვიან ქართულს ენასო“.

ფხოველები რომ ჭეშმარიტი კოლხები (ქართველები) არიან, ამაზე ნათლად მეტყველებს ფხოვურ ლექსიკაში ჭარბი წარმართული კოლხური ლექსიკის არსებობა. ამ კოლხური მარაგის გამოვლენას სახელწოდება **ხევსური**-ს ეტიმოლოგიური შინაარსიის გახსენებით შევუდგეთ. სახელწოდება **ხევსური**-ს პირველი შემადგენელია **ხევი**. რა არის **ხევი** თუ არა მილიონობით წლების განმავლობაში წყლის დენისაგან ჩაღრმავებული მიწიერი სივრცე და რასაც ზუსტად გამოსახავს **ხევი**-ს ეტიმოლოგიური შინაარსი:

ხევი = **ხ**(ე) + **ვი** = **მიწა** + **სივრცე** = მიწიერი სივრცე და როცა იმყოფები ღრმა ხევის სიღრმეში, ვაკე ადგილისაგან განსხვავებით, გარემო სივრცე, **ძირითადათ**, მიწის მასითაა შემოზღუდული.

სახელწოდება **ხევსური**-ს მეორე შემადგენელი **ურ** ასევე კოლხური მცნებაა.

(ო. ქ.) –ურ (// -ულ) სუფიქსი მიუთითებს სადაურობა – წარმომავლობასა და თვისებაზე.

კოლხური შეკითხვა -- **სადაური?** და პასუხი -- **ხევსური**.

ხევსური-ს არქე კოლხური ფორმაა **ხევს ურსია** = **ხევში მოძრაობს** (არსებობს).

მსგავსია:

ფასანაური = **ფას**(სისი) + **ნა** + **ური** = **წყალი** (მდინარე, წყარო) + **დედა** (სასურველი) + **სვლა** (არსებული).

აქვეა კოლხური ტოპონიმი **ჟინვანი** (და არა **ჟინვალი**):

ჟინვანი = **ჟინ** + **ვანი** = **ზევით** (მაღლა) + **ნათელი** (სივრცე).

მსგავსია **ჟინოთა** – სოფელი მარტვილის რ-ნში.

ჟინოთა = **ჟინო** + **თ**(ი) = **ზევით** (მაღლა) + **სოფელი** (საცხოვრისი).

ვეჯინი – სოფელი გურჯაანის რ-ნში, რომლის არქე ფორმაა – **ვეჟინი**.

ვეჟინი = **ვე** + **ჟინი** = **ველი** (სივრცე) + **ზევით** (მაღლა).

გავიხსენოთ თავად სახელწოდება **ვაჟა**-ს ეტიმოლოგიური შინაარსი;

ვაჟა = **ვა** + **ჟა** = **ელვა** (ძლიერება) + **მზე** = მოელვარე მზე.

როგორც კარლო თოფურიამ გვამცნო:

ბარისახო = **ბარი** + **სახო** = ბარის ახლოს და მართლაც, **ბარისახო** ხევსურთა ყველაზე ახლო სოფელია საქართველოს ბარის მიმართულებით.

მეგრელაური გახუას ნასახლარი სოფელ **ჭორმეშავში** მდებარეობს და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში იგი ზოგჯერ **გახუა ჭორმეშიონი**-თ მოიხსენიება. სახელწოდება **ჭორმეშავი**-ს კოლხური ეტიმოლოგიური შინაარსის ასახხსნელად გავიხსენოთ **ჭოროფა**-ს, **ჭოროხი**-სა და **ჭორომი**-ს განმარტებანი.

ჭოროფა = ჭ + ორო + ფა = წყალი + უხილავი + მოქმედება = წყლის უხილავი მოქმედების შედეგი = ნესტი.

ჭოროხი = ჭ + ორო + ხი = წყალი + უხილავი + მიწა = წყლის უხილავი (ძალის მონატანი) მიწა.

ჭორომი = ჭ + ორო + მი = წყალი + უხილავი + (იანი) = წყალში უხილავი (ქვ)იანი.

ჭორმეშავი = ჭ + ორ(ო)**მე + შავი = წყალი + ორმო + შავი** = წყლის დინებით მიღებული შავი (ბნელი) სიღრმე (ხევი)= შავხევი.

ჭორმეშავი მეგრულ-ქართული კომპოზიტია, ანუ **ჭორ**(ო)**მე** მეგრული ნაწილია, ხოლო **შავი** ქართული შემადგენელია.

ჭორ ფუძე ძირითადათ მაინც ნესტის მცნებას გამოსახავს.

ბოჭორმა – სოფელი თიანეთის რ-ნში.

ბოჭორმა – ნასოფლარი ახმეტის რნში.

გვარები **ბოჭორიშვილი, ბოჭორიძე**.

ბოჭორმა = ბო + ჭორ(ო) **+ მა = მცირე + ნესტი** + (-იანი) = მცირე ნესტიანი.

ჭორბაული – სოფელი ყორნისის რ-ნში.

ჭორბაული = ჭორ(ო) **+ ბა + ული = ნესტი + მცირე + სვლა** (არსებობა) = მცირედ ნესტიანი საცხოვრისი.

მსგავსი წყობისაა **კორბოული** – სოფელი საჩხერის რ-ნში.

კორბოული = კორ(ა) **+ ბო + ული = სასურველი + მცირე + სვლა** (არსებობა) = მცირე სასურველი საცხოვრისი.

ჭორვილა – სოფელი საჩხერის რ-ნში, ჭიათურის პლატოზე.

ჭორვილა = ჭორ(ო) **+ ვი + ლა** = ნესტიანი სივრცე.

ჭორჭოხი – სოფელი ახალგორის რ-ნში.

ჭორჭოხი = ჭორ(ო) **+ ჭო**(რო) **+ ხი = ნესტი + ნესტი + მიწა** = (ძლიერ) ნესტიანი მხარე.

მკითხველი ხვდება, რომ ფხოვის თემასთან კოლხეთის სხვა მხარეთა მსგავსი მაგალითების მოხმობა უკეთ წარმოაჩენს ფშავ-ხევსურეთის საერთო კოლხურ ბუნებას.

დუშეთის რაიონში, გუდამაყრის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, მდინარ ფშავის არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სოფელი **ნეძიხი**. 1906 წლის აღწერით პირველ **ნეძიხიში** უცხოვრია 61 ფშაველს და მეორე **ნეძიხიში** 32 ფშაველს.

(ო. ქ.) ნეძი ჩვეულებრივი კაკლის ხე; კაკალი; ნიგოზი.

ნეძი = ნე + ძი = ტკბილი + ძევს = კაკალი.

ნეძიხი = ნეძი + ხი = კაკალი + მიწა = კაკლის ხით დაფარული მიწა (სივრცე).

კოლხური **ნეძი**-დან წარმომდგარი სახელწოდება მხოლოდ ფშავში არ გვხდება.

(ი. ყ. 767): „გიორგი ხანძთელი" – „და ესე ვითარცა კეთილსა განზრახვასა და გზავნასა მისსა იპოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტჱს მადლისაითა; საბა რომელსა ეწოდან საბან, დედის-დის-წული მისი, იშხნისა მეორედ მაშჴნებელი და ეპისკოპოსი მისი და თეოდორე ნეძჴსა მაშენებელი“.

(ი. ყ. 795) ნეძჴ Недзуй назв. монастыря.

1906 წლის აღწერით ბათუმის ოლქის, გონიოს უბნის სოფელ ნეძჴ-იში ცხოვრობდა 12 ლაზი.

დიდი **ნეძი** – სოფელი ზუგდიდის რ-ნში.

დიდი **ნეძის** კახათი – სოფელი ზუგდიდის რ-ნში.

ნეძვი – ყოფილი სოფელი ბორჯომის რ-ნში, სადაც აღმართულია მონასტერი.

ნეძურა -- მდინარე ბორჯომის რ-ნში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.

ნეძონა – ყოფილი სახელწოდება სოფლისა ხიზარუხა, გულრიფშის რ-ნში.

(ო. ქ.) ნეძონა... ნიგვზნარი, ნიგვზის ხეებით დაფარული ადგილი.

ნეძონა-ს განმარტების ტოლფასია

ნეძვი = ნეძ(ი) + **ვი = კაკალი + სივრცე** = კაკლიანი, ნიგვზნარი.

ნეძურა = ნეძ(ი) + **ურ**(ს) = კაკლიანიდან მოედინება.

გამაერთიანებელია ასევე სახელწოდება ნაძვისა **ნოჯი**.

(ო. ქ.) ნოჯი – ნაძვი.

ნოჯიკეთი – სოფელი დუშეთის რ-ნში.

ნოჯიხევი – სოფლები მარტვილისა და ხობის რ-ნებში.

წარმართული კოლხური სიტყვაა **მათუ**.

(ო. ქ.) მათუ – მთოვი, მომთოვი.

მათური – უღელტხილი დუშეთის რ-ნში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე.

მათურა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

ისტორიული ფხოვის ტერიტორიაზე განფენილი ტოპონიმია ავლენს უძველესი, საწყისი კოლხური კულტურის ცოდნას და საოცრად ჰარმონიულად ეწერება ერთიან კოლხურ ოჯახში. ამ უძველესი კოლხური ფენის გამოვლენის მიზნით კვლავ გავიხსენოთ გივი ელიავას ალბომი.

(**გივი ელიავა** „აია“ № 2 გვ.27 1998 წ.): პატრიარქატიდან მომდინარე გვართა ამოსავალი ძირების ალბომი – „ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამეგრელოშიც ინდივიდუალურ ოჯახს ისტორიულად წინ უსწრებდა საოჯახო თემი. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია მეგრული ლექსიკური – **თი**, რომელიც დიდი ოჯახის, სახლის, ოჯახის აღმნიშვნელია. ხოლო **თი**-დან, ანუ პატრიარქალური ოჯახიდან გამოსული წევრი თისიანია, თუისიანია (**თურია** ჯ.კ.)...

სამეგრელოს ტოპონიმიკაში გვხდება სახელწოდებები **ჭიითი**, ქუთათი, კვაუთი, ბობოთი, გოგათი, გაბითი და სხვა, რომლებშიც **ჭი**, კვაუ, ბობო, ქუქი, გოგა, გაბი და სხვ. ითვლება ერთ ლექსიკურ ერთეულად. კერძოდ, საოჯახო თემის მეთაურის პირად სახელად, ხოლო თი – ოჯახის, სახლის, სახლკარობის, მახორობის აღმნიშვნელ ტერმინად...

თითოეული **თი**-ს სოციალური შინაარსის და განსახლების არეალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ თი რიგ შემთხვევაში დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქედან გამომდინარე, იგი ზოგჯერ არამარტო დიდი ოჯახის აღმნიშვნელ ტერმინს წარმოადგენდა, არამედ პატრონომიულ ერთეულსაც, რამდენადაც პატრონომიული ორგანიზაციის შექმნა ხდებოდა დიდი ოჯახის დაშლის შედეგად. **ჭიითი**, ბობოთი თუ კვაუთი, ქუთათი, დიდი მახორობის შესატყვისიც იყო. **ჭიითი**ს საკუთრება ყოფილა საძოვრებიც და სახნავებიც, ტყეც და ჭალებიც, რომელსაც მისი წევრები ამუშავებდნენ.

ყველა ამ თი-ების შემადგენლობის დადგენა მელოგინეების მიხედვით ხდებოდა. ჭი-ს ოჯახში 24 მელოგინე ყოფილა, პატრიარქალური ოჯახი 24 საქორწინო წყვილისაგან შესდგებოდა. მას ჰყოლია თავისი „დიასახლისი" (ანუ შუმერი ქალღმერთის ნინ-თურ-ის მიწიერი კოლხური განსახიერება ნანა-თური-ში ჯ.კ.) და მეთაური... ყველა მელოგინეს თავისი თია (წილი) ჰქონდა... დროთა ვითარებაში ხდებოდა მელოგინეების გამოყოფა დიდი ოჯახიდან და ცალკე, თუმცა მის მახლობლად, მის ირგვლივ დასახლება. მაშინ როდესაც **ჭი**-ს მეთაურობით **ჭიითი**-ში დიდი პატრიარქალური ოჯახი იდგა და მასში იდგა 24 მელოგინე, 24 უჯრედი იყო

გაერთიანებული, ყოველ ასეთ უჯრედს თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ დიდ ოჯახი ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. **ჭი**-ს ოჯახს ერთი კერა ჰქონდა, რომელიც ერთი ოხორი, ერთი სახლი, ერთი თი იყო. ამ თი-ში იმართებოდა საერთო საოჯახო პურობაც...

ჭის თურის (თური – გვარი, სისხლით ნათესაობითი ერთობა) განტოტების შედეგად წარმოიშვნენ: **ჭოიკები, ჭიაები, ჭიოკები, ჭაჭიები, ჭაჭუები, ჭოჭუები, ჭანიები, ჭიჭაღუები** და სხვები, რომელთა სახელწოდებები უკავშირდება მათი ეპონიმების სახელებს. მართლაც **ჭოი, ჭი, ჭია, ჭიო, ჭა, ჭაჭუ** და სხვები მეგრულ-ზანური სახელებია, რომელთა ძირია **ჭი**... თითოეულ ამ შტოს მიეკუთვნა განსაკუთრებული ბოლოსართით წარმოებული სახელები: **ჭოი-კა, ჭიო-კა, ჭა-ა, ჭია**-ა და სხვა. ამ გზით უკვე მოზრდილი ტერიტორიული ერთეული შეიქმნა, სადაც დასახლდა ერთი ძირიდან ამოსული რამდენიმე თური (გვარი) და ადგილსაც დედო თურის სახელი ეწოდა – **საჭია, ჭიაია,** ასე გავრცელდა თუსიანი, თვისიანი, თისიანი, თისიდან ამოსული სისხლით ნათესავი, ახლობელი...

ჭიათურა არის **ჭიას** თურის დასახლების ადგილი, აქ პირველად **ჭიოკიები** და **ჭილაიები** მოვიდნენ და **ჭიათურის** მოსახლეობა დასახლდა, ამიტომ **ჭიათურას** „ჭიების თურის დასახლებას“ უწოდებენ“.

რეალურად არსებული კოლხური საოცრებაა, რომ თიანეთის რაიონში არსებობენ სოფლები სახელწოდებებით – **ჭიაურა** და **ჭიაური**. ე.ი **ჭიათურა || ჭიაურა || ჭიაური** და დასკვნები თქვენთვის მომინდვია – აქვეა გვარი **ჭიაურელი**.

თიანეთი = თია + ნე + თი = წილი + ტკბილი + ოჯახის (მხარის, ქვეყნის) = სამშობლოს მშვენიერი ნაწილი.

თიანეთი უძველესი სახელწოდებაა და გვხდება კაპადოკიაში. ეს სრულებით არ გახლავთ შემთხვევითობა, კაპადოკიის ტერიტორია ისტორიული მესხეთია. კვლავ გავიხსენოთ ადრე მიღებული ცოდნა;

არტაანი – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში.

არტანი (ზემო და ქვემო) – სოფლები თიანეთის რ-ნში.

არტანი = არ(თ) + **ტანი** = ერთიანი სხეული (ტანი, გარემო).

ტანი – მდინარე ლანჩხუთის რ-ნში || **ტანიე** – მთა და ტბა დუშეთის რ-ნში.

დავუბრუნდეთ ფხოვს და მოვიძიოთ **ჭ**ი-ს თურის განაყართა ნაკვალევი.

ჭიე – სოფელი დუშეთის რ-ნში.

ჭაშა -- სოფელი დუშეთის რ-ნში.

ჭაშა – მდინარე ოჩამჩირის რ-ნში.

აჭე -- სოფელი დუშეთის რ-ნში.

აჭი – სოფლები ოზურგეთისა და ქობულეთის რ-ნებში

აჭყვა (ზედა და ქვედა) – სოფლები ქობულეთის რ-ნში.

„გავიხსენოთ ეგვიპტური ყურძნის სახელწოდება **ინუ**-ს, რომელიც ფინიკიურში იქცა ღვინის სახელწოდებად ფორმით **ოინ**, ხოლო ბერძნულში ფორმით **ინო**.

კოლხურ მეტყველებაში **ინო-, დინო**- რთული ზმნისწინებია და აღნიშნავენ მიმართულებას ქვეშ, ქვევით და სიღრმეში (ღვინის შემთხვევაში მუცელში) და ასევე დამოუკიდებელ სიტყვებსაც წარმოადგენენ.

(ო. ქ.) **ინო**- რთული ზმნისწინი იგივეა, რაც დინო.

(ო. ქ.) **ინოხონი** ჩაღრმავებული ადგილი, ფართო ხეობისებური ჩაღრმავება.

(ი. ყ.) **დინო** нутро, район расселения однофамильцев или вообще близких соседей и знакомых.

დუშეთის რაიონში არებობს სოფელი ინო -- (район расселения однофамильцев или вообще близких соседей и знакомых) ან სოფელი გაშენებულია ხეობაში.

თავად შუმერულ-კოლხური მცნება **თური** ასევე შემადგენელია ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული პერსონაჟის სახელწოდებისა – გოგო**თური**. პირველი შემადენელი **გოგო** კოლხურად აღნიშნავდა ვაჟს მსგავსად სახელწოდებებისა: **გოგი, გუგუ, გეგე**... **გოგო** > **გოგოხია, გოგოტია, გოგოტიძე, გოგოტიშვილი.**

გოგოთური = **გოგო** + **თური** = **გოგო** + **ახლობელი ოჯახის.**

ბათური = **ბა** + **თური** = **პატარა** + **ოჯახი(ს).**

ბაღათურია = **ბაღა(ნა)** + **თური** = **ბავშვი** + **ოჯახი(ს).**

ბათიაშვილი = **ბა** + **თია** = **პატარა** + **წილი.**

აქვე ავხსნათ ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმის **გოგოჭური**-ს შინაარსის ორი შესაძლო ვარიანტი.

(ო. ქ.) **ჭურია**[2] ტოპონ. ჭაობიანი ადგილის სახელი. გადატ. თვალი; თვალსაწიერი.

(ო. ქ.) **ჭურუ პატარა; პატარყურიანი ან უყურო. ჭურუ თხ**ა, შხური – პატარყურიანი თხა, ცხვარი. თიკუნადაც იხმარება: მაგ., **გიორგიჭურუ** პატარყურიანი გიორგი.

გოგოჭური[1] = **გოგო** + **ჭური(ა)** = **გოგო** + **თვალი** (თვალსაჩინო).

გოგოჭური[2] = **გოგო** + **ჭურ(უ)** = **გოგო** + **პატარა** (ან პატარყურიანი).

ასევე გავიხსენოთ **თორღვა ძაგანი || ძაგანია**-ს ხევსურული სახება.

„**თორღვა** = **თო**(ლი) + **რღვა**(ფა) = **თვალი** + **გადაყრა, ნგრევა** = თვალებგადმოყრილი, თვალებდამანგრეველი, თვალებრდღვიალა. სამივე განსაზღვრება ზუსტად შეესაბამება ხევსურთა მითოლოგიური გმირის თორღვა ძაგანი-ს სახებას, ხოლო გვარი ძაგანი < ძაგანია გავრცელებული გვარია სამეგრელოში.

რაც შეეხება სახელწოდება **ფშავ**-ს, გალის რაიონში ორი სოფელია საერთო სახელწოდებით **ფშაური** (გაიხსენეთ ხევსური). ისიც გაითვალისწინეთ, რომ გალის რაიონი ესაზღვრება კოლხეთის ისტორიულ მხარეს **აფშილეთ**ს.

სახელწოდება ვაჟა-ფშაველას სოფლისა **ჩარგალი** თავისთავად გახსენებს სახელწოდებას **მარგალი (ჩარგალი || მარგალი)**. **ჩარგალი**-ს თავსართი **ჩა** მარტივი მეგრული ზმნისწინია და ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას ქვევით (დაბლა), მაგალითად **ჩაბახუა** – გათელვა, ტკეპნა; **ჩარგაზელი** – ტკეპნილი, თელილი. ასევე ვიცით, რომ ჰარმონიული წყვილი **რგ** მიწიერ მოძრაობებს აღნიშნავს და **მარგალი** აღნიშნავს დამრგველს, შესაბამისად სახელწოდება **ჩარგალი** გვიხსნის, რომ სოფელი **ჩარგალი** მთებს შორის **ჩარგული** დასახლებაა.

შემორჩენილია ხსოვნა იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას ჩარგლის სიახლოვეს, **ჭიჭ**ახევში წყარო ამოუშენებია, ხოლო თქვენ უკვე კარგად მოგეხსენებათ, რომ **ჭიჭა** (ჭიჭე) მეგრულად აღნიშნავს მცირეს.

გარდა ჭარბი წარმართული კოლხური ტოპონიმიური ფენის არსებობისა, ისტორიული ფხოვის ფშაური და ხევსურული დიალექტები ასევე შეიცავენ წარმართული კოლხურის მძლავრ შრეს. ამ კოლხური შრის გამოსავლენად მივმართოთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

ადღენგრძელას, გაახარას (**ვაჟა** IX 90): „ხევსურული ქორწილი“

„ნეფე ადღენგრძელას, გაახარას“.

ჯერ კიდევ პეტრე ჭარაიამ შეამჩნია ამ ხევსურული შეძახინების წარმართული კოლხური ფორმა.

ბოგუნი (**ვაჟა** VI 56): „თეკლა-ბიჭი“

(„ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში შემორჩენილი“)

„მეფის ასულს... თეკლა-ბიჭს ფშაური თქმულება იცნობს „ბოგუნის“ სახელით. თქვენც მკითხველო, ეს მამაცი ქალი გმირი მამისა არ უნდა გყავდეთ უცნობი. თვით სახელოვანმა მამამ ასწავლა „სამამაცო ზნენი“: სწვრთნიდა სროლაში და ცხენის ჯირითში... ერთხელ ნასახელარმა, ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა.... მეფემ უბრძანა თეკლა-ბიჭს:

-- თეკლა-ბიჭო, წადი მერიქიფეს ჩამოართვი და ფშავლებს ღვინო შენის ხელით დაალეინე ყველას სათითაოდო.

ასეთი განსაკუთრებული ყურადღება ფშავლებისადმი ერეკლეს მხრივ ფშავლების ერთგულებით და იმით, „უნჯნი ყმანი" იყვნენ, არ აიხსნება. აქ სხვა რამ მიზეზიც არის: სახელდობრ ისა, რომ ყრმა ერეკლე ფშავში აღიზარდა და თავის აღმზრდელი ერის სიყვარული განკერძოებით ექმნებოდა.

თეკლა-ბიჭმა იმ წამსვე შეასრულა მამის ბრძანება: დაუწყო მორიგად ჯარისკაცთ თასით ღვინის სმევა.

შეზარხოშებულ ჯარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც: დაიწყეს ფშაურად მღერა. მოაყოლეს კაფიების თქმა. სხვათა შორის ერთმა მეორეს „შაუმღერა“:

„ღვინოს გვირიგებს ბოგუნი
შამეჯინჭრება მე გული“.

თუ რატომ უწოდეს თეკლა-ბიჭს ფშავლებმა **ბოგუნი**, ამას სადღეისოდ ვერც ერთი ფშაველი ამომწურავ პასუხს ვერ გასცემს და ეს მაშინ როცა ამის ცოდნა სრულადაა შემონახული მეგრულ ენაში. **ბოგუნი**-ს ფუძეა ეგვიპტურ-შუმერულ-კოლხური **ბოგა**.

როგორც გამონაკლისთაგანს, ქართველი ენათმეცნიერები აღიარებენ ფუძე **ბოგ**-ის მეგრულ წარმომავლობას.

„მეგრულიდან შემოვიდა სალიტერატურო ენაში ბოგირ სიტყვის ბოგ-ძირიც (ჰ. **ფენრიხი, ზ. სარჯველაძე**).

(ო. ქ.) ბოგა 1. ბოგა, ბოგირი. 2. ბაგა; გომის (გომურის) ხის იატაკი.

ბოგა = ბო + გა = მცირე (დაბლა) + **ფორმა, სხეული** = მცირე ზომის ხიდი; ბაგა, გომურის ხის იატაკი.

წყაროზე, ღელეზე ხიდის გადება ეს მოქმედებაა და ამდენად გვაქვს ზმნა **ბოგუა**.

(ო. ქ.) ბოგუა – 1. ბოგირის გადება; გაბოგვა. 2. ბაგის დაგება. ბოგუნს – ხიდს სდებს; ბაგას აგებს.

ბოგუა = ბოგ(ა) + **უა = ხიდი + მოქმედება** = ხიდის გადების პროცესი.

ბოგუნს = (მიუთითებს პიროვნებაზე რომელიც აწმყოში) ხიდს სდებს, ბაგას აგებს.

ბოგირი = ბოგ(ა) + **ირი = ხიდი + მუდამ** = უკვე გადებული ხიდი.

(ქ.ე.გ.ლ.) ბოგა – იგივეა რაც ბოგირი.

(ქ.ე.გ.ლ.) ბოგირი – ხის პატარა ხიდი.

არამარტო **ბოგ**-ძირი, არამედ თავად **ბოგა, ბოგუნი, ბოგირი** ქართულში მეგრულიდან უცვლელად გადატანილი, ნასესხები სიტყვებია.

უპირველესად ხიდი რა არის, თუ არა კავშირი ორ სხვადასხვა მხარეს შორის. თქვენთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ერეკლე მეფემ როცა თავის თეკლა-ბიჭს, თავის ქალიშვილს ფშაველთა მომსახურება უბრძანა, ამით მან თეკლა-ბიჭის მეშვეობით მასსა და ფშავლებს შორის სიყვარულის, პატივისცემის ხიდი გასდო, რა მოქმედებასაც მეგრულად **ბოგუნს** ეწოდება და ამიტომაც შეარქვეს ფშავლებმა თეკლა-ბიჭს **ბოგუნი**, ანუ ურთიერთ სიყვარულის, პატივისცემის დამაკავშირებელი ხიდი მეფე ერეკლესა და ფშავლებს შორის.

ჩვენი მტკიცების სამეფო ბეჭედია ბეჟან კილანავას მიერ დაფიქსირებული:

ბოგიშბოგი (ხიდის ხიდი) – შორეული ნათესავი.

ოდითგან კოლხებისათვის ადამიანთა ურთიერთობა მათ შორის გადებულ ხიდად აღიქმებოდა. მიღებულ ცოდნას ის ფაქტიც დაუმატეთ, რომ **თეკლა**-თი სოფელია სენაკის რაიონში.

გეგენა – (ვაჟა IV 220): „საშობაო ამბავი“

„ღარიბი არის **გეგენა**

როგორც ზამთარში მინდორი”.

გელენა – (**ხალხური ფოლკლორი** V 49): „ნათელაშვილი **გელენა** – მწყემსების მეთაური... ყოფილი დუშელი... გელენა ნათელაშვილმა ლეკთა მარბიელ რაზმებთან ბრძოლაში ისე ისახელა თავი, რომ მისი ნახვა ერეკლე მეფესაც მოუსურვებია“.

გეგე წმინდა გიორგის მეგრული სახელია და სამეგრელოში გავრცელებულია გვარი: **გელე**-ნავა.

დალამფარი (ვაჟა IX 154): „რამე რუმე მთისა“

„როდესაც ჩვენმა ბატონებმა ქაჯეთი აიკლეს და დავლა-ალაფიანნი შინათკე გამობრუნდნენ, „დევ-ქაჯთაც“ ბევრი მოესროლეს იმათ „ციცეების“, ძაღლებისა და სხვა „უსურმაგის“ ნაჭერ-ნაკუწები, მაგრამ გმირმა ბაადურმა – გუდანის ჯვარმა დალამფარი უფარა, ვაჟმა ასკაის ძემ – ხახმატის ჯვარმა – კაბის კალთები და ტანზედ არც ერთი არ მიუკარებიათ“.

(ქ.ე.გ.ლ.) ლამფა – ჭერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვევიდან მიკრული).

(ო. ქ.) ლამფა – ლამფა. ლამფაშე: აავსებენ საწნახელს ყურძნით, შემდეგ საწნახელის ორსავე თავზე არჭობენ ჯოხებს და დებენ ფიცრებს, რომლებსაც ლამფაშეს ეძახიან. ყურძნის ჩაყრას აგრძელებენ სანამ ლამფაშეც არ ამოივსება.

(ო. ქ.) ლამფირი, ლოფინი – ურმის იატაკი (ი. ყიფშ.). შდრ. ლორფინი (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) ლორფინი – ქვის ფიცარი (საბა). ქვის ფილა. სახურავის ლორფინები.

ჩამოთვლილ სიტყვათა კოლხური შინაარსის უკეთ შეცნობის მიზნით ავხსნათ **ლანდი**. გავიხსენოთ, რომ კოლხური ჰარმონიული წყვილით **ნდ**-თი აღინიშნება სიმწიფის მცნება.

ლანდი = **ლა** + **ნდ**(ი) = **სივრცე** + **მწიფე** (მზა).

(ო. ქ.) ლანდუა 1. ლანდვა, დალანდვა. 2. კვერცხის სინათლეზე შემოწმება ვარგისიანობაზე.

„კვერცხის სინათლეზე შემოწმება ვარგისიანობაზე“ შემდეგ შინაარსს ატარებს: ფრინველები დებენ როგორც მამლის მიერ განოყიერებულ კვერცხებს, ასევე უნაყოფო კვერცხებსაც. ამათი გარჩევა ხდება სიბნელეში კვერცხის სინათლის წყაროს ფონზე ჭვრეტით, რითაც მოწმდება კვერცხის სივრცის შუაგულში ჩანასახის არსებობა. თუ კვერცხის შიდა სივრცის (**ლა**-ს) შუაგულში თქვენ აღმოაჩენთ წერტილოვან ჩანასახს, ეს იმას ნიშნავს, რომ კვერცხი მო-**ნდ**-აა (მწიფეა), ანუ მზათაა რომ მისგან წიწილა გამოიჩეკოს და ამ შემოწმების პროცესს ეწოდება **ლანდუა**.

ლანდუა = **ლა** + **ნდ** + **უა** = **სივრცე** + **მწიფე** (მზა) + **მოქმედება** (შემოწმება) = (კვერცხის) სივრცეში ჩანასახის (არსებობის) შემოწმება. ხოლო კვერცხის შუაგულში არსებული ჩანასახის შავი ფორმის ასოცირებით გაჩნდა მცნება ლანდი. ამის ცოდნით წარმოდგნენ: დავლანდე, მომელანდა...

(**აკაკი**): „ჩვენ აჩრდილი ვართ წარსულის

და ლანდი მომავალისა“.

(ო. ქ.) ლანდი 1. აჩრდილი.

ძირითადათ **ლანდ**-ი მაინც მთავარ აზრს – მზა სივრცე, ფორმას – ატარებს და მეგრულს გააჩნია:

(ო. ქ.) ლანდი 2. ერთი ამოხვევა აბრეშუმის ძაფი, -- შულო.

ერთი ამოხვევა აბრეშუმის ძაფი, შულო მზადაა საქსოვად, საკერავად.

იგივე ცოდნას ატარებს ხევსურული **ყონდი** და თუშური **ყუნდი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ყონდი კუთხ. (ხევს.) „დაყენებული შეშა, დამზადებული და დაწყობილი".

ყონდი = **ყ**(ა)**ო** + **ნდ** = **ხის ტოტ**(ებ)**ი დაბლა** + **გამზადებული** (ზამთრისთვის).

(ქ.ე.გ.ლ.) ყუნდი კუთხ. (თუშ.) აყუდებით დადგმული შეშა, აყუდებული ხეების გროვა.

მეგრული **ყუნდი**-ს შინაარსის ცოდნით ქართულში გვაქვს ყანდი.

(ქ.ე.გ.ლ.) ყანდი[2] 1. დამპალი ადგილი.. 2. სიდამპლე. (> **ყანდიაშვილი**).

(ო. ქ.) რანდუა [გა]რანდვა, გასწორება.

რანდუა = **რა** + **ნდ** + **უა** = **მოძრაობა** + **მწიფე** (მზა) + **მოქმედება** = **რანდუა** (> **რანდვა**) ესაა **რანდი**-თ (გრძელი შალაშინით) ფიცრის ზედაპირის სასურველ მდგომარეობამდე დამუშავება (გამზადება, „მომწიფება“)

(ი. ყ.) ლანდა (ჟინი დო თუდონი) бревна (нижния и верхния) к которым приколачиваются доски пола и потолка.

სახლის შენების პროცესში, როცა გაიდება იატაკისა და ჭერის ზედა და ქვედა პარალელური კოჭები, მათ ლანდა ეწოდებათ, ვინაიდან ისინი გამზადებულნი არიან იმისათვის, რომ მათზე მიეჭედოს იატაკისა და ჭერის ფიცრები (ლამფები). პარალელურად, სწორხაზოვნად გადებული კოჭების **ლანდა**-ს ასოცირებით მეგრულში წარმოდგა ლანდარი.

(ო. ქ.) ლანდარი გრძელი და ზედმიწევნით სწორი ხაზი.

ლანდა არსებობდა ორი სახის: **ლანდა ჟინი** (ზედა, ჭერის ლანდა), რომელიც შემოკლებული ფორმით გამოითქმის -- **ლანდაჟი**. ასევე არსებობდა **ლანდა თუდონი** (ქვედა, იატაკის **ლანდა**). მეგრულში **თუდო**-ს (ქვევით) სრულად ენაცვლება **გიმე** (ქვევით) და **ლანდა გიმე** შემოკლებული ფორმით გამოითქმის -- **ლანდაგი**.

ლანდი ეწოდებოდა აბრეშუმის ძაფს რომლითაც ლეიბზე სასურველი ფორმის შესანარჩუნებლად ავლებდნენ სწორ, გრძელ, პარალელურ ხაზებად, **ლანდარებად** გვირისტებს და ცხადზე უცხადესია რომ ამ დაგვირისტების პროცესს **დალანდაგება**, **დალიანდაგება** ეწოდებოდა, რისგანაც მოგვიანებით წარმოდგა **ლიანდაგი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ლიანდაგი 1.რკინიგზის ხაზი. 2. ქსოვილში გამოკერილი მატყლის (ბამბის) დასამაგრებლად გავლებული ნაკერი.

ამრიგად, ლამფა ესაა ლანდაჟი-ზე (ჭერზე) მისაჭედი ფიცარი, ხოლო **ლამფირი** ურმის იატაკის დაფიცრული სივრცეა, ანუ დაბლითა ფიცრით დაფარული სივრცეა. განსხვავებით **ლამფირი**-საგან ზედა მფარავ სივრცეს **ლაფარა** ეწოდება.

(ქ.ე.გ.ლ.) ლაფარა ადგილი შენობის ირგვლივ, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში).

ლამფირი, ლაფარა-ს გავლენით, ბრტყელი ფიცრული ფორმის გამო, წარმოდგა ხის კოვზის სახელწოდება **ლაფერა** და გვარიც **ლაფერაშვილი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ლაფერა ხის დიდი ბრტყელი კოვზი, ქვაბიდან ღომის ამოსაღები (იციან იმერეთსა და გურიაში). (ასევე ოდიშსა და ლაზიკაშიც ჯ.კ.)

თქვენთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, თუ **ლამფირი** ეწოდებოდა დაფიცრულ ურმის იატაკს, **ლამფარი** საბრძოლო ფიცრულ იარაღს, **ფარს** ეწოდა.

(ქ.ე.გ.ლ.) ფარი[2] 1. უწინდელი საომარი იარაღი, წარმოადგენს ლითონის (ხის ან ტყავის) მრგვალ ან მოგრძო სიბრტყეს. იყენებდნენ მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან თავის დასაცავად.

ლამფარი > **ფარი**. საინტერესოა, რომ ამ მნიშვნელობათა გავლენით მეგრულში ფრინველის მრგვალი ფორმის, ბარტყების თავშესაფარ ბუდეს ეწოდა **ფა**.

(ო. ქ.) ფა[3] რკოს ჯამისმაგვარი ბუდე.

ამრიგად, **დალამფარი** = **დამფარავი** (ხის მრგვალი ან მოგრძო ფორმა).

კართანა (ვაჟა I 54): „გაზაფხული“

„არაგვმა ლახტი აიღო
ამირანისა, რა ხანი,
მილეწ-მოლეწა კლდეები,
მტკვარს გაადინა ჯახანი.
კართანას ფარი წაართვა,
ჟინვანს მოჰგლიჯა ჩაჩქანი“.

სქოლიოში კართანა განმარტებულია როგორც ადგილის სახელწოდება.

(ო. ქ.) კართე კალთა, მთის ფერდობი.

კართანა წარმოადგენს მთის ფერდობს, მთის კალთას.

მეგრ. **კართე** > ფშაური **კართანა** > (რ > ლ) > ქართ. **კალთა.**

კირცხი (ვაჟა VI 53): „მგელი“

„ამ დროს იქვე ხეზე ჩხიკვი შემოჯდა, მგელს დააცქერდა, კისერი გადმოძაბა, იმანაც თითქოს კბილები გააკრაჭუნა, დაუწყო **კირცხება**, ჯავრება და შემდეგ „ჩხიი, ჩხიი“ გააბა“.

ფშაური **კირცხება**-ს წარმოდგება წარმართული კოლხური **კირცხუა**-დან.

(ო. ქ.) კირცხი სეტყვა, ხოშკაკალი... კირცხუა დასეტყვა, სეტყვის მოსვლა.

კირცხი-ს არქე ფორმაა კირჩხი.

კირჩხი = **კი** + **რ** + **ჩ** + **ხი** = **ძლიერი** + **მოძრავი** + **ცა** + **მიწა** = ციდან მიწაზე ჩამოვარდნილი ძლიერი (ფორმა).

ამასვე გვიდასტურებს იგივე ფშაური **კირჩხლი** და ქიზიყური **კრინჩხი**.

(ქ.ე.გ.ლ.) კირჩხლი კუთხ. (ფშ.) იხ. ჭირხლი (შდრ. კრინჩხი).

(ქ.ე.გ.ლ.) კრინჩხი კუთხ. (ქიზ.) იგივეა, რაც თრთვილი.

(ქ.ე.გ.ლ.) კრინჩხავს კუთხ. (ქიზ.) ძრახავს, ჭორავს, კილავს.

მოგეხსენებათ, რომ თრთვილიც და ჭირხლიც ციდან მოვლენილი თოვლისა და წყლის შეყინულ ფორმებს, მასებს წარმოადგენენ. ვინაიდან თანხმოვანი ც წარმართულ კოლხურში მცნება მცირესაც აღნიშნავს, **კირჩხ**ი-ს კირცხი-თ შენაცვლებით (ჩ > ც), განსხვავებით ჭირხლისა და თრთვილისაგან, გამოისახა სეტყვის მცირე ფორმა,

წარმართ. **კირჩხი** > (ჩ > ც) > **კირცხი** (სეტყვა) > **კირცხუა** (დასეტყვა) > (უა > ება) > ფშ. **კირცხება** (ლანძღვა) > (რ > 0, ება > ევა) > ძვ. ქართ. **კიცხევა, კიცხვა** (ლანძღვა, დაცინვა, გმობა).

ამრიგად, დასეტყვის მცნების ასოცირებით ქართულში მივიღეთ ლანძღვის, დაცინვის, გმობის მცნებები.

მართლაც – როცა კაცს გლანძღავენ, დაგცინიან... თითოეული ასეთი სიტყვა, თუნდაც ის დამსახურებული გქონდეთ, როგორც კვერცხის ოდენა გაყინული სეტყვა, ისე გვხდებათ თავში.

წარმოიდგინეთ ყინულოვანი თეთრი, მრგვალი ფორმა **კირცხი**-სა და აქედან ქართულში შეიქმნა **კვერცხი**.

კირჩხი-სთან დაკავშირებით საინტერესოა სახელწოდება **კირჩხიბი**-ს შინაარსი.

კირჩხიბი = კი + რ + ჩხი + ბი = ძლიერი + მოძრავი + ცეცხლოვანი + მცირე.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სახელწოდება **კირჩხიბი**-ს შედგენისას ჰარმონიული წყვილით **ჩხ** (ცეცხლოვანი) გათვალისწინებულ იქნა კიბოს მარწუხების შთამბეჭდავი ფორმები.

ლარჯი (**ვაჟა** VII 71): „ფშაველი და მისი წუთისოფელი“

„ხოშია ნელა-ნელა შეუდგა „რიგების“ თადარიგს, რადგან „ამაღლება-ხალარჯობა“ ახლოვდებოდა. ხალარჯობა სულიწმინდის მოფენის დღეა და ამ დღეს ორმოცის რიგი უნდა გადაეხადა ქმრისათვის: საფქვავებს ჰფქვავდა წისქვილში, საარაყე ფქვილებსაც ცალკე ამზადებდა, აცხობდა, ორას ქვაბისა კიდევაც „ჩააყენა“.

(**ვაჟა** IX 93): „ხალარჯობა და რიგები“

„ფილოლოგიურად ხალარჯობა გამოსაკვლევია და გამოსაცნობია, ხოლო ეთნოგრაფიული მნიშვნელობა ხალარჯობა ადვილად გასაგებია... ხალარჯობას ფშავლები სულთა მოხსენების დღეს ეძახიან, წინა დღეა სამებისა. თემი სასაფლაოზე მიდის. კაცი თუ დედაკაცი, დიდი და პატარა, ყველანი მკვდართა ბინას ესტუმრებიან და თან მიიტანენ ქადებს, ხმიადებს... ქადა პურებთან ერთად სასმელიც არის... თითოეული ოჯახი თავიანთ მიცვალებულის სასაფლაოზე მოიკალათებს. ხალხი მკვდრებს შენდობას ეუბნება, ერთი-მეორეს იპატიჟებს და შენდობას ათქმევინებს თავის მკვდრისათვის“.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხალარჯობა** ეთნ. რელიგ. მიცვალებულის მოსახსენებელი დღე – სულიწმინდის მოფენის წინა შაბათი (თუშეთში, ფშავში...) ან მომდევნო ორშაბათი (ზემო იმერეთში).

(ს.ს.) **ჯალარჩი, ჯლარჩი** სამინდალი, წმინდა ფქვილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხალარი** სიმინდის მსხვილი ტარო.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხლარჩი** ძვ. წმინდად გაცრილი ფქვილი.

გარდა **ხლარჩი** (< **ხალარჯი**) და **ხალარჯობისა** არსებობდა **ბალარჯი** და **ბალარჯობა.**

(ს.ს.) **ბალარჯი, ბლარჯი** ცომი საფუარი.

(ს.ს.) **ბალარჯობა, ბლარჯობა** უცომობის კვირა.

ოდიშური ტრადიციაა **ელარჯი**.

(ო. ქ.) **ელარჯი** ყველშერეული (ჩახარშულ-ჩაზელილი) ღომი. ადუღებულ წყალში გახსნიან სიმინდის ფქვილს და შიგ ჩაჭრიან ბლომად ჭყინტ ყველს. რამდენჯერმე მაგრად მოზელენ. ფქვილი რომ მოიხარშება ელარჯი ღომივით გასქელდება. ჩოგნით ამოიღებენ და ჭამენ.

გავიხსენოთ, რომ **ელ** ფინიკიურად აღნიშნავს ღვთაებას (> ელვა) და უნდა ვიგულისხმოთ **ელარჯი** = სასურველი ლარჯი (ცომი).

ამრიგად **ლარჯი** აღნიშნავს **ცომეულის** ანუ იგივე საკვების მცნებას და მეგრულში შესაბამისად გვაქვს **ლარჯუა**.

(ო. ქ.) **ლარჯუა** იგივეა, რაც ლარჯგუა, -- 1. ხმაურით ხარბად ჭამა.

ხალარჯი-ს სრული შინაარსის ასახნელად გავიხსენოთ, რომ თანხმოვანი **ხ** მიწის, დედის მცნებას გამოსახავს და რომლის უპირველესი ფუნქცია გაჩენაა.

(ი. ყ.) **4. ხ:** ხალა, ხაფა, ხუალა рождать.

ხა-ლარჯი = ცომის გაჩენა.

თუ გავითვალისწინებთ გვარების **ქილარჯიანი**-სა და **ბალარჯიშვილი**-ს არსებობას, მაშინ: **ხა-ლარჯი** = ცომის გაჩენა, **ბა-ლარჯი** = მცირე ცომი, **ქი-ლარჯი** = მიწიერი ცომი, **უ-ლარჯი** = უცომესი, **ე-ლარჯი** = სასურველი ცომი. აქ უკვე გვეხსნება ისტორიული სამხრეთ სამეგრელოს მხარის, **კლარჯეთი**-ს სახელწოდების კოლხური შინაარსი.

კ-ლარჯი = ძლიერი (|| ტკბილი) **ცომი** (მარცვლეული). უნდა გვახსოვდეს, რომ კლარჯეთი სოფლის მეურნეობის, კერძოდ მემარცვლეობის განვითარების მიმართებითაც კოლხეთის გამორჩეულად მაღალგანვითარებული მხარე გახლდათ.

ლარჯი = ლა + რ + ჯი = ფორმა + არსებული + დაბლა = ძირს არსებულის (ხორბლის, ქერის, სიმინდის...) ფორმა (მასა) = ცომი.

შემდგომი კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქთა ენაზე ქილარლი, ქილერჯი აღნიშნავენ სასახლის მსახურებს, რომელთაც ევალებოდათ ჰარემისა და სულთნისათვის სანოვაგის (ხორცეულის, შაქრის, ბოსტნეულის...) მომარაგება და შენახვა.

ლუხუმი, ლუგუმი (ვაჟა III 171): „ბახტრიონი“

„სრულ სიცრუვეა, ნუ იტყვით,
თქვენ გენაცვლებით ლუხუმი.
ან რადმე მეჭაშნიკება
სიტყვა კოჭლი და ლუგუმი“.

(გ. ე.) **ლუხუმი** – ველური, გაუგებარი.
(დ. ფ.) **ლუგა** – სულელი.
(ო. ქ.) **ლუგა** – 1. ლუგი, ჩლუნგი, ბრიყვი. 2. უმარილო.
(ქ.ე.გ.ლ.) **ლუნგი** კუთხ. (ქიზ.) ჩლუნგი, ბლაგვი.
(ქ.ე.გ.ლ.) **ლუგი** ძვ. უმახვილო (საბა), ბლაგვი.
(ქ.ე.გ.ლ.) **ლუგლუგა** კუთხ. (რაჭ.) ბლუ ადამიანი.
(ქ.ე.გ.ლ.) **ლუგუმი** – კუთხ. (ფშ.) 1. ხორცი რომელიც დიდხანს იხარშება. 2. უმარილო, უგემური (საჭმელი).

„ან რადმე მეჭაშნიკება
სიტყვა კოჭლი და ბრიყვული“.

ორაგული (ვაჟა IX 265): „ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგი“

„ორაგული, რომელმაც სახელწოდება მიიღო არაგვიდან“.

მტკიცება, რომ სახელწოდება ორაგული სახელწოდება **არაგვი**-დან მომდინარეობს, მხოლოდ და მხოლოდ მეგრული ენის ცოდნითაა შესაძლებელი.

სახელწოდება **არაგვი**-ს ფუძეა რაგვა.

რაგვა = რა + გ + ვა = მოძრაობა + მიწა + ელვა (ძლიერი მოძრაობა ზევიდან ქვევით) = დაცემა, დატაკება, დაჯახება.

(ო. ქ.) **რაგვაფი, რაგვაფა** დატაკება, დაჯახება; გადაგდება; დაცემა.... ორაგვინუანს აჯახებს... ორაგვაფალი დასაჯახებელი.

(ი. ყ.) **რაგვ**... ქგ-ვარაგვი, თიქგ ქა-არაგუ;-- ქგდგ-ვარაგვი я упал.

რაგვა-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა რომ დაცემას გამოსახავს, გვიმტკიცებს **ბ-რაგვა-ნი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ბრაგვანი** მაგარ რამეზე მძიმე სხეულის დაცემა.

რაგვა (> **ვარაგვი**) აღნიშნავს დაცემასაც, ხოლო დაცემის ძალისმიერმა მცნებამ წარმოშვა საზღვრის დაცემის, საზღვრის შემოღობვის, შემო-**რაგვ**-ის მცნება.

(ქ.ე.გ.ლ.) შემო-რაგვა-ვს (კუთხ.) რაგვით შემოღობავს = შდრ შემორაგვა, შემორაგვული.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **რაგვი** განმარტებულია როგორც წნელის ღობე და რასაც გვიდასტურებს კიდეც **სულხან-საბა ორბელიანი**.

(ს.ს.) შარაგული ესე არს წკეპლითა, ბრწკლითა, ღვედკეცითა, ლერწმითა, ჩალითა, ბაიათაგან დაწნული: პირღო, გოდორი, აშარული, კიშტე, სკნისი, ლანკანი და რაიც მათგან სუფთად დაიწვნიან რა(ი)მე; ანუ სუფად დაწნული ღობე.

მეგრულში **რაგვი** ნიშნავს ასევე მახეს, კაკანათს და ჩადებულია იგივე შინაარსი, ვინაიდან მახე, კაკანათი შემოსაზღვრული სივრცეებია და თუ ნადირი ან ფრინველი ამ შემოსაზღვრულ, შემოღობილ სივრცეში შემოვა, იგი დაისჯება, ანუ მახეში, ან კაკანათში გაებმება.

(ქ.ე.გ.ლ.) რაგვი ძვ. 1. ირმისა და ღორის დასაჭერი მახე (საბა). || კუთხ. (გურ.) ჩიტის მახე. 2. კუთხ. (იმერ.) დაწნული ღობე, შემოღობილი, შემორაგული.

(ქ.ე.გ.ლ.) რაგვავს 1. კუთხ. (გურ.) რაგვით ჩიტს იჭერს. 2. კუთხ. (იმერ.) რაგვს ავლებს, ღობავს.

(ქ.ე.გ.ლ.) რაგუ ძვ. 1. წნელის, ჩალის, ლერწმის და მისთ. მასალისაგან დაწნული ჭურჭელი (გოდორი, კალათი, ლანკანი და სხვ.). 2. სუფთაგ დაწნული ღობე.

ზუსტად სასაზღვრო დანიშნულების გამო, იბერიისა (მომავალი ქართლისა) და ჩვენი ალბანეთის (მომავალი კახეთ-ჰერეთის) გამყოფ მდინარეს ეწოდა **არაგვი**. დროებითი სასაზღვრო ცვლილებები სურათს არასოდეს არ ცვლიდა და დღესაც **არაგვი** ქართლისა და კახეთის გამყოფი მდინარეა. ჩვენს მტკიცებას გვიდასტურებს ის რეალობა, რომ გაგვაჩნია არა ერთი **არაგვი**, არამედ რამოდენიმე და თითოეული მათგანი ასევე საზღვრებს წარმოადგენენ. ორაგულთან დაკავშირებით კი უნდა გავიხსენოთ, რომ სამეგრელოში (საქართველოს დასავლეთში) გაგვაჩნია **რაგვა**-დან შემდგარი შემდეგი ტოპონიმები:

ორაგვეთი – სოფელი ვანის რ-ნში.

ორაგვე – სოფელი ლანჩხუთის რ-ნში.

ორაგვისღელე – მდინარე ლანჩხუთის რ-ნში, ფიჩორის მარცხენა შენაკადი.

ორაგვე მეგრულად ნიშნავს სარაგვე-ს და ვინაიდან რაგვა **იმერულად** და **გურულად** ნიშნავს შემოღობვას, შემოსაზღვრას, ე.ი **ორაგვე** შინაარსობრივად აღნიშნავს სასაზღვროს.

ორაგვე ასევე ფუძეა გვარისა **ორაგველიძე**. **ორაგვე** > **ორაგველიძე**. მსგავსად წარმოიქმნა სახელწოდება **ორაგული** (**ორაგვე** > **ორაგვული** > **ორაგული**).

ამრიგად, თუ გავაანალიზებთ ვაჟას გამონათქვამს -- „ორაგული, რომელმაც სახელწოდება მიიღო არაგვიდან" -- გამოდის, რომ ადრე არსებობდა ცოდნა იმის შესახებ, რომ **არაგვი** სასაზღვრო მდინარეა, ანუ **ორაგვე**-ა და ამ მდინარის, **ორაგვე** არაგვის ერთ-ერთი მკვიდრი თევზი ორაგვულია, ანუ **ორაგულია**.

საფიხვნო (ვაჟა III 58): „ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი
საფიხვნოს თავში დაჯდების
სიტყვა მაუდის გზიანი“.

(ქ.ე.გ.ლ.) საფიხვნო ადგილი, სადაც სოფლის ხალხი იყრის თავს (ფშავში).

(ქ.ე.გ.ლ.) ფიხვნობა (კუთხ.) მასლაათი, საუბარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფიხონი** ადგილი, სადაც სოფლის ხალხი იყრის თავს საბაასოდ, თავშესაქცე-ვად (ფშავში).

ფიხონი-ს აზროვნებას განსაზღვრავს მიწის, მხარის აღმნიშვნელი წარმართული ხონი.

ხონი = ხ + ონი = მიწა + ნათელი ადგილი (სივრცე).

ასეთი მიწის ზედაპირი კი ვარგისია მოსავლის მოსაყვანად და საწყიში იხვნება.

წარმართ. **ხონი** > **ხონუა** > **ხონილი** (და-**ხნული**) > ქართ. **ხნული** > **ხვნა**.

ხონი, როგორც ადგილის აღმნიშვნელი სახელწოდება, გავრცელებულია საქართველოში.

ხონი – სოფელი ხორაგაულის რ-ნში.

ხონი -- ქალაქი, რ-ნის ცენტრი.

ხონისჭალა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

ხონჭიორი – სოფელი ამბროლაურის რ-ნში.

ფიხონი-ში **ფი** (< ფინაფა) გაფენას, გაშლას ნიშნავს.

ფიხონი = ფი + ხონი = ფი + ნათელი ადგილი (სივრცე) = გაშლილი ნათელი ადგილი.

ფიხონი გაშლილ ადგილს ნიშნავს, ხოლო **ფიხვნობა** (ხონი > ხვნა) ამ ადგილზე შეკრებას და მასლაათს.

სორბოითლი (ვაჟა IX 153): „რამე-რუმე მთისა“

„მე და თორღვა ერთხელ „ფიხონში" ვართ და ერთურთის მემჯობიას ჩვენი სალოცავების „ნაპიროფლევზედ" ვესორბოითლებით ჩვენებურებს“.

(ო. ქ.) **სორება** – გაოცება, გაშეშება, გახევება, გაშტერება, განცვიფრება. გასორებული – განცვიფრებული.

ცხადია **სორბოითლი**-ს პირველი შემადგენელი **სორბ** მეგრული **სორება**-დან წარმოდგება, ხოლო მეორე შემადგენელი **–ოითლი** (< **თოლი?**) ფშაური დიალექტის ნაშენია და მაშინ:

„**ვესორბოითლებით** ჩვენებურებს“ = „ვანცვიფრებთ, ვაშტერებთ ჩვენებურებს".

ტრელი (ვაჟა IV 242): „მანდილი“

„შენ სთქვაა, ძაღლო უშიშავ
შიშნიაისა ტრელობა“.

ტრელობა განმარტებულია როგორც ლაჩრობა, სიმხდალე.

(ვაჟა VII 233): „სცენა მთაში“.

„თუ **ტრელ** არა ხარ“.

(ი. ყ.) **ტრელი** враждебный, враждующий; ტერი, ნ-ტერი враг.

ადამიანები თავიანთ მტრებს ლაჩრებად, მხდალებად მოიხსენიებენ და ამდენად ოდიშური ტრელის, მტრის მცნების ფშავში ლაჩრის, მხდალის მცნებად ქცევა ნორმაში ეტევა.

ფირტვი (ვაჟა I 314): „პირველი გაზაფხულის სურათები ბარად“

„გაჰსუქებია ბებერ ვაზს
გამოტანილი კვირტები,
ქართველი კაცის სიცოცხლე
მისი გული და **ფირტვები**“.

ფირტვი (და არა ფილტვი) კოლხური ფორმაა და მართებული, ვინაიდან ფილტვის მცნების გამოსახავად აუცილებელი იყო თანხმოვან რ-ს (მოძრაობის) ჩართვა.

ფურცქვა (ვაჟა VI 106): „ლექსოს სამწყსო“

„მაგდანა დედლის **ფურცქვას** შეუდგა“.

ლიტერატურული ქართულით უნდა იყოს -- „მაგდანა დედლის ფრცქვნას შეუდგა“. ფშაური **ფურცქვა** მეგრული **ფურცქონუა**-ს გამოთქმაა.

(ო. ქ.) ფურცქონუა ფრცქვნა, ფცქვნა.

ფუჩინა (ვაჟა VI 207): „ახალი წელი ფშავში“

„ჩემმა დედაკაცმა, ძონძებში, ჩვრებში გახვეული ხბო შემოიყვანა... „დედავ **ფუჩინა**, კარგი **ფუჩინა**" იძახდა ჩემი შალვა“.

(ქ.ე.გ.ლ.) ფუჩინა 1. (მოფერებით) ხბო, ზაქი. 2. ბავშვის ენაზე – ძროხა.

(ო. ქ.) ფუჩონი მოსმა (ხელისა); მოფერება.

როცა ხედავ ხბოს, ზაქს... თავისთავდ ჩნდება სურვილი მოეფერო, ხელი მოუსვა.

ქანძური (ვაჟა VII 265): „მოკვეთილი“.

„დღეს რომ გავატყავე ეს მგელი და ცხვირში ხელი მოვკიდე, ავსწიე მაღლა, ტყავმა ქანძურობა დაიწყო".

(ო. ქ.) ქანცუა, ქანცალი, ქანცაფი რწევა, ნძრევა, რხევა, ქანაობა.

ქანცუა > (ც > ძ) > **ქანძური**.

ქვე, ძახინი, ვორე (ვაჟა VII 229): „სცენა მთაში“ (ხევსურების ცხოვრებიდან)

„ქვე რა მეძინა, სიზმარშიც ქვე გადამლახეს... ქვე რა იყვა აგეთაი... ერთხან მამედინ ხევჩიით ძახილი... საჩქაროზე ქვე წამოვდეგ... ღვთიშვილთ ქვე შავეხვეწე... ბეღელათ-ბეღელაი ვორეევ... შენაც გიძახინე“.

ფორმანტი **ქვე** ნაშთია კოლხურ მეტყველებაში მტკიცებითი ფორმის ჭარბი გამოყენებისა და ასევე ჭარბად შემორჩა რაჭველთა და ხევსურთა მეტყველებაში.

(**მამანტი ძაძამია** I 127): „დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მეგრულის მტკიცებითი ნაწილაკი „ქო“ (კი) სხვადასხვა ზმნასთან წარმოდგება: 1) სრული ფორმითაც („ქო“), 2) შეკვეცილი ფორმითაც („ქგ“) და 3) ფორმაშეცვლილი სახითაც („ქა“, „ქე“, „ქი“, „ქუ")“.

ასე მაგალითად, გვაქვს ზმნები:

1) ქო-თქუ (თქვა, ზუსტი თარგმანით: კი თქვა, ქე თქვა); ქო-უწუ (უთხრა, კი უთხრა, ქე უთხრა); ქო-ქიმინგ (ქნა, კი ქნა, ქე ქნა).

2) ქგ-მიღგ (მოიტანა, კი მოიტანა, ქე მოიტანა); ქგ-მაღალაფუ (მოატანინა, კი მოატანინა, ქე მოატანინა); ქგ-დაჭყაფუ (დააწყებინა, კი დააწყებინა, ქე დააწყებინა).

3) ქა-რაგადაფუ (ათქმევინა, კი ათქმევინა, ქე ათქმევინა); ქა-ძირუ (აჩვენა, კი აჩვენა, ქე აჩვენა); ქა-რულუ (არბენინა, კი არბენინა, ქე არბენინა).

4) ქე-კაცუნგ (მიჰყვა, კი მიჰყვა, ქე მიჰყვა); ქე-კაჭიშუ (დაეწია, კი დაეწია, ქე დაეწია); ქე-ურგინუ (ააგროვა, კი ააგროვა, ქე ააგროვა).

5) ქი-მირთგ (მივიდა, კი მივიდა, ქე მივიდა); ქი-მიცუნგ (მიიყვანა, კი მიიყვანა, ქე მიიყვანა); ქი-მუღგ (მიუტანა, კი მიუტანა, ქე მიუტანა);

6) ქუ-დოტუ (დაუტოვა, კი დაუტოვა, ქე დაუტოვა); ქუ-მუნტუ (მოულიდა, კი მოუკიდა, ქე მოუკიდა); ქუ-მოღგ (მოუტანა, კი მოუტანა, ქე მოუტანა)."

მტკიცებითი ფორმანტები ქართული ენის შემქნელებმა აკრძალეს:

ქო-დოდგი > (ქო > 0; ო > ა) > დადგი.

იმერულ დიალექტს შემორჩა მტკიცებითი ფორმანტი ქე, ხოლო რაჭულ და ხევსურულ დიალქტებში დამკვიდრდა ფორმით **ქვე**.

მართალია დასავლურ ქართულში ამოვარდა მტკიცებითი ფორმანტები ქო, ქე, ქი, ქა, ქუ მაგრამ დარჩა მათი ჭარბი გამოყენების გენეტიკური ტრადიცია ფორმით კი („კი ბატონო“, „კი გენაცვალე“, „კი შენი ჭირიმე“).

გამოთქმა „**გიძახინე**“ ასევე მეგრული **ძახინი**-ს გავლენაა, ქართულად უნდა იყოს „გიძახე“.

(ო. ქ.) ძახინი ძახება, ძახილი.

ხევსურულ ვორეევ-ში იკითხება მეგრული **ვორექი** (ვარ).

ღაჭა (**ვაჟა** IX 35): „აფხუშობა“

„**ღაჭაურა** ხალხური გმირია, რომელსაც მოუკლავს ერთი ხანი და იმისი მუზარადი ხატისთვის შეუწირავს“.

(ო. ქ.) ღაჭალი ჩხუბი; ხმამაღლა ყვირილი; საყვედურის ხმამაღლა თქმა.

ღაჭაურას მოჩხუბარ, მერძოლ ბუნებას თავად მისი სახელწოდების შინაარსიც განსაზღვრავს.

ღეტება (**ვაჟა** I 115): „მთა და ბარი“

„მომწყინდა კლდე-ღრეთ ღეტება
თავ-პირის მტვრევა ღამითა“.

(**ვაჟა** IV 327): „დაჩაგრული მესტვირე“

„იქით წამოვედ, ვიწყე ღეტება
აქა-იქ კრძალვით სახლებს მივმართე“.

(ო. ქ.) ღეტური ხეტიალი.

(ქ.ე.გ.ლ.) ღეტიალი კუთხ. (ქიზ. ფშ.) იხ. ხეტიალი.

ღეტური > **ღეტება** > (ღ > ხ) > ხეტება > ხეტიალი.

შერე – პერსონაჟია ხალხური „ეთერიანი“-ს მიხედვით შექმნილი ვაჟა-ფშაველას ნაკლებად ცნობილი პოემისა „ეთერი“. **შერე** იგივე „აბესალომ და ეთერი“-ს **მურმანია** და ცნობილია ასევე გუდამაყრულ-მთიულურ შემოქმედებაშიც:

„სვიმონი იტყვის შეერსა ცრემლით იბანდა პირსაო,
ამბობენ წამალათასა სათავე არის მთისაო“.

ვაჟას **შერე** ექსპანსიური სახეგაა და სიცოცხლეს სიგიჟით ამთავრებს.

(**ვაჟა** III 124): „– ბეჩავი შერე სადღაა
სიცოცხლე – გაარმებული?
-- კარზე ზის, დანასა ჰლესავს
გონება – გააფრთებული...
ტანზე ჭილობი აცვია
სახე აქვს შესაზარები.
კაცის დანახვა აშინებს
მირბის ემალვის ყველასა;
ხრამებში, მთაში და ღრეში
ჩხავის აჯავრებს მელასა,
ხან დაიყმუვლებს მგელივით
თითქოს ღმერთს სთხოვდეს შველასა“.

მეგრული ენით ქართული **გიჟი** გამოითქმის ფორმით **შერი**, ხოლო **გიჟია - შერი რე** > **შერე**.

შირება (**ვაჟა** II 36): „მიმინო და მერცხლები“

„ყვავი თავისთვის ჩხაოდა
გამაშირებულს ჰანგზედა“.

ცხადია გამაშირებულის ფუძეა შირება. ეს სიტყვა არც სულხან-საბასთან და არც (**ქ.ე.გ.ლ.**)-ში არ იძიება. **შირ** ფუძე იცის ძველმა ქართულმა.

(**ი. ა.**) **შირიმი** საფლავი: „აღაღეს **შირიმსა** ერთსა, რომელი დაბეჭდულ იყო კრძალულებით"; „დაადვეს იგი სამეუფოსა მას **შირიმსა**“.

შირ ფუძის შინაარსი წარმართულ კოლხურში იძიება.

(**ო. ქ.**) **შირუა** 1. ხმარებით დალევა; ცვეთა; ცრეცა. 2. გასრესა, გაწყვეტა, გამუსვრა.

გამაშირებული = გაცვეთილი, დაცრეცილი, დამახინჯებული. მაშინ:

„ყვავი თავისთვის ჩხაოდა
დამახინჯებულს ჰანგზედა“.

ჩაბარკონა (**ვაჟა** IX 335): „ფშავლები“ (დაცინვა)

„შე მწერელ ჩვილო, შენა (დამბლავ), შე ყვიციანო, ცარიელო კვნესავ და არაის ჰკეთევ! წვერთა ჰფშლეკდის, თავმომწონარა, ჩაბარკონაი (დაბალი ტანისა)."

ჩაბარკონა ლექსიკონებში არაა განმარტებული და შესაბამისად იგი ფშავში წარმოქმნილი კოლხური კომპოზიტია -- **ჩაბარკონა** = **ჩაბა** + **რკ**(ო) + **ნა**.

(**ო. ქ.**) **ჩაბახუა** [გა]თელვა; [და]ტკეპნა.

(**ო. ქ.**) **რკება** კლება.

ჩაბარკონა = **ჩაბა**(ხუა) + **რკ**(ება)(ო) + **ნა** = (და)**ტკეპნა** + **კლება** (დაბლა) + **დედა** (სხეული) = ტკეპნით დამოკლებული სხეული = დატკეპნილი = დაბალი ტანის.

წარმართ. **ჩაბახუა** ასევე ფუძეა ქართ. **ჩაბარუხი**-სა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ჩაბარუხი** იგივეა, რაც ჩანჩქერი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **რუ** სარწყავად გაყვანილი პატარა არხი; ასეთ არხში მიმდინარე წყალი. წისქვილის რუ მოჩუხჩუხებს.

(**ო. ქ.**) **რულა** რბენა, სირბილი, ჭენება.

ჩაბარუხი = **ჩაბა**(ხუა) + **რუ**(ლა) + **ხი** = **ტკეპნა** + **წყლის სწრაფი სვლა** + **მიწა** = წყლის ვარდნით მიწის ტკეპნა = ჩანჩქერი.

ჩაბარუხი – მდინარე დუშეთის რ-ნში, მთიულეთის არაგვის მარჯვენა შენაკადი.

ჩაბარუხისწყალი – მდინარე ცხინვალის რ-ნში, პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკადი.

ჩაბარუხი – მთა ცხინვალის რ-ნში, გუდისის ქედზე.

ყურადსაღებია, რომ მეგრული ენის ზმნისწინს **ჩა**-ს ქართულში ასევე შეუნარჩუნდა ზმნისწინის ფუნქცია და მას, მსგავსად **ჩაბახუა, ჩაბარკონა**-ს მაგალითებისა, ზევიდან ქვევით მოძრაობის მიმართულების გამოსახვა დაეკისრა (**ჩა**-დი, **ჩა**-ვარდა, **ჩა**-რგო...) და ამიტომაც მივიღეთ ვაჟა-ფშაველას მშობლიური სოფლის სახელწოდება -- **ჩარგალი**.

ჩიკა (**ვაჟა** VI 187): „სათაგური“

„მიიპატიჟა ესტატემ სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდნენ, ზოგნი მუთაქაზე მოკეცით, სხვანი ჩიკებზედ“.

ჩიკებზედ განმარტებულია როგორც – სკამებზედ.

(ქ.ე.გ.ლ.) ჩიკა დაბალი (ჩვეულებრივი სამფეხა) სკამი (იციან ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში).

ჩიკონუა მეგრულად ნიშნავს ჩორკნას, ანუ რაიმე ნივთის უშნოდ, უსწორმასწოროდ გათლას, დამზადებას. გამოჩორკნასთან დაკავშირებით საინტერესოა ფშაური **წიწნისა**-ს განმარტება.

(ქ.ე.გ.ლ.) წიწანი (წიწნისა) ხის პატარა ჯამი (იციან ფშავ-ხევსურეთში).

(დ. ფ.) წიწი ხორცი.

წიწნისა ხორციანი კერძის ჩამოსარიგებელი ჯამია.

მთიელთა ნაწილი ხის დამუშავებით რომ იყო გართული, ამაზე ფშაური გვარი **ლეჩუაშვილი** მეტყველებს.

(გ. ე.) ლეჩვა ხის სათლელი ინვეტარი, ეჩო.

ძგვლენა (**ვაჟა** VI 188): „სათაგური“

„ფიცხელა აღარ ინძრეოდა, გაფითრებული დაბლიდან **აძგვლენდა** საბრალო თვალებს“.

აძგვლენდა განმარტებულია როგორც: -- აცოცებდა (ქურდზე იტყვიან). **ძგვლენა** უცხოა ლიტერატურული ქართულისათვის და წარმოდგება მეგრული **ძგვირინი**-დან (რ > ლ).

(ო. ქ.) ძგვირინი რაღაცის მოლოდინში გაკვირვებით ყურება; უკმაყოფილო ხედვა; უშნო, უტიფარი ყურება.

(ო. ქ.) ძგვირა გაკვირვებით მაყურებელი.

(ქ.ე.გ.ლ.) ძგვლემა კუთხ. (ფშ.) თვალების აქეთ-იქით ტრიალით ქვეშ-ქვეს გაპარებული ყურება.

(ქ.ე.გ.ლ.) ძგვრენა კუთხ. (ხევს.) იგივეა, რაც ძგვლემა.

ძგნობა (**ვაჟა** VII 185): „შეყვარებული“

„ქალს კლდის გულში გამოშვერილ ორ პატარა ლოდზე ედგა ფეხები. საკვირველი იყო, რა **იძგნობდა**, რომ ის არ ვარდებოდა“.

ძგნობა – ეს არალიტერატურული, ფშაური სიტყვა წარმართული კოლხური წარმომავლობისაა.

(ი. ყ.) ნ-ძგილი: გე-ნ-ძგილუა, გი-მონძგილუ (კიბირს) я держу (в зубах) что либо.

ნძგილუა > **ძგნობა** (დაჭერა, დაკავება).

ჯინი (**ვაჟა** IX 48): „ხევსურები“

„ხევსურს უყვარს სტუმარი, თავისდა შესაფერისად დახვედრაც იცის: იმას სახლში რამდენიმე ლაჭანი (წნული ჯინა) ჩალით ან თივით დაგებული და ზედსახურავად არის დურა-ტყავი".

(ქ.ე.გ.ლ.) ლაჭანი წნელისაგან მოწნული საწოლი, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული (იციან ფშავში).

(ქ.ე.გ.ლ.) ჯინი 1) მოწნული, პირგანიერი კალათი ტვირთის საზიდავად; ორ კაცს სახელურებით მიაქვს (ან ურემზე დგამენ). 2) ამგვარად მოწნული საწოლი (იციან ფშავში, თუშეთში).

(ი. ყ.) **ჯინჯი, ჯინი** дно, корень (ср. ძირი); -- ო-ჯინჯალი так называются доски или брусья, проложенные над очагом... с середины ოჯინჯალი свешивается железная цепь (ნაჭა, ლანჭა)... для вешания котла.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეგრული **ჯინჯი**-დან, **ჯინა**-დან წარმოდგა ქართული ძირი [ჯინჯი > (ჯ > ძ; ნჯ > რ) > ძირი] და ჯინა ეწოდება მოწნულ კალათას ან საწოლს იმის გამო, რომ ისინი ძირს იდგმებოდნენ, ანუ ძირს დასადგმელ ნივთებს წარმოადგენენ. აქვე დააკვირდით ხევსურული ლაჭანი-სა და ოდიშური ლანჭა-ს კონსტრუქციულ იდენტურობას.

ლაჭანი = ლა + ჭა + ნი = სივრცე (ფართი) + **მცირე + დედა** (სასურველი) = საწოლი.

ლანჭა = ლა + ნ + ჭა = ფორმა + დედა (სასურველი) + **მცირე** = ქვაბის ჩამოსაკიდი ჯაჭვი შუაცეცხლზე.

კოლხურ **ჯინ**-ს მტკიცედ აქვს მოკიდებული ფესვები მთიელთა მეტყველებაში.

(**ვაჟა** VI 56): „ღვინოს გვირიგებს ბოგუნი

შამე**ჯინ**ჭრება მე გული“.

(**ვაჟა** VI 17): „ასეთ მკლავებ დაგიქნიო, როგორც თიხის ძირძვენაო,

მოგეწიო და დაგარტყა, დაგწვას, როგორც **ჯინ**ჭველაო“.

(ო. ქ.) **ჯინჭითა** ბოტან. მსუქანა. **ჯინჭითა < ჯინჯი-ჭითა ძირი-წითელი.**

ჯინჭითა = ჯინ(ჯი) + ჭითა = ძირი + წითელი

კომპოზიტის **ჯინჭითა**-ს სრული ფორმაა **ჯინჯი-ჭითა**, ანუ **ჯინ** წარმოადგენს **ჯინჯი**-ს შეკვეცილ ფორმას.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯინკოლა** (კუთხ.) იგივეა, რაც ძირმწარა.

(ი. ყ.) **კოლო** горкий.

ჯინკოლა = ჯინ(ჯი) + **კოლო = ძირი + მწარე** = ძირმწარა.

ჯინჭარი = ჯინ(ჯი) + **ჭარი = ძირი + ჭრა** = ძირს მჭრელი = ჭინჭარი.

ჯინჭველი = **ჯინ**(ჯი) + **ჭველი = ძირი + მწველი** = ძირს მწველი = ჭიანჭველა (ფეხებს გიწვავს), გადატანით ძირში, ფესვებში, სიღრმისეულად მწველი.

საინტერესოა ლეჩხუმში დაფიქსირებული **ბუნჭველი** (ჭიანჭველა).

(ო. ქ.) **ბუნა** ჯგუფი, გუნდი.

ბუნჭველი = ბუნ(ა) + **ჭველი = გუნდი** (ჭიანჭველების) + **მწველი.**

აქვე განვმარტოთ **ჭინჭარი** და **ჭიანჭველა.**

ჭინჭარი = ჭინ(უ) + **ჭარი = წნელი** (მცენარე) + **ჭრა** = მჭრელი წნელი.

ჭიანჭველა = ჭია + ნჭველა = პატარა + მწველი.

ამრიგად, ვაჟას ფშაური დიალექტის ზედაპირულმა შესწავლამაც სრულად შეგვაცნობინა ისტორიული ფხოვის კოლხური ბუნება და თავად უნდა დარწმუნებულიყავით, რომ როგორც არაგვში ორაგულები, ისე დანავარდობენ წარმართული კოლხური სიტყვები ამ მობუბუნე ხარის „ბღავილში“.

კოლხური ლექსიკა

ალატი (მთიულ., მოხ., თუშ., ხევს) – საფქვილე ხის ყუთი, რომელშიც ახლად დაფქული ფქვილი ჩადის. ამავე მნიშვნელობით დასტურდება იგი ფშაურშიც (**გ. გ.** 54).

(ო. ქ.) **ლატი** სიმინდი.

საქართველოს დასავლეთით (სამეგრელოში), კერძოდ რაჭაში, შემორჩენილია ლატი-ს განსხვავებული მნიშვნელობა.

(ქ.ე.გ.ლ.) ლატი კუთხ.(რაჭ.) ერთგვარი ბალახი, ღრუღეროიანი, მთაში იზრდება.

მუდამ გვახსოვდეთ, რომ **რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული, აჭარული დიალექტების განსხვავებული სიტყვები, ძირითადათ იგივე მეგრული ენის ლექსიკას განეკუთვნებიან**; **ალატი**-ს შემთხვევაშიც ცხადია იგულისხმება ოდიშური ვარიანტი – **ლატი** -- სიმინდი, ვინაიდან სიმინდისგან, ლატი-საგან მზადდება ის ფქვილი რომელსაც ინახავენ **ალატი**-ში.

ალმური -- ბუღი, სიმხურვალე. **ალმური** ასდის – სახე აქვს გაწითლებული (დიდი სიცხის ან აღელვების გამო).

თხილამური – 1. ფეხქვეშ ამოსაკრავი გრძელი და ბრტყელი ძელი თოვლზე სასიარულოდ. 2. რკალად შეკრული თხილის ან სხვა რისამე ტოტები გარდიგარდმო თოკით ან წნელით გახლართული: მთაში ხმარობენ დიდ თოვლში სასიარულოდ.

ჩილამური – ცრემლი.

წილამური – ჩიჩილაკის გრძელი და ხუჭუჭა ნათალი.

წიწამურა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

წიწამური – სოფელი მცხეთის რ-ნში.

ჭაჭამური – სოფელი ახალგორის რ-ნში.

ჩამოთვლილ სიტყვებს აერთიანებთ მეგრული სიტყვა **მური** (< მურსია), რაც ნიშნავს მოდის.

(ი.ყ.) ლ... ილ-ულა (< ილა + ულა), ელ-ულა восходить, ბჟა ელმუ-ურს солнце восходить.

ამრიგად მეგრულ-ლაზურად ,**ილ-ულა, ელ-ულა** აღნიშნავენ ამოსვლას. ამაში დევს ის აზრი, რომ შუმერული მითოლოგიით მზე ატმოსფეროსაგან, ,**ლ**-საგან (,,ლილი"-საგან) არის შექმნილი, ანუ იგივე **ლ** არის და მზეს (= **ლ**-ს) ყოველდღიური ამოსვლა ახასიათებს. ამ ცოდნიდან გამომდინარე, კომპოზიტებში **ილ+ულა** (< **ილა+ულა**), ,**ელ+ულა** (< ელა+ულა) ზმნისწინები **ილა, ელა** მოძრაობის ზევითა მიმართულებას მიგვითითებენ, ხოლო **ულა** აღნიშნავს სვლას. **ილა || ელა + ულა = ზევით სვლა** (მზის ამოსვლა).

იგივე შუმერულ-კოლხური ცოდნა უდევს საფუძვლად ბერძენთა მზის ღმერთის, ბერძნულივე მითოლოგიით, ჩვენი, კოლხების დიდი „წინაპრის" -- ჰელიოსის ერთ-ერთ სახელწოდებას ალიონ (**Alion**). ეს ბერძნული სახელწოდება შემდეგი ფორმებითაა დამკვიდრებული ქართულ მეტყველებაში: **ალი, ალიკვალი, ალიონი, ალიყური, ალმური, ყალიონი**, აქვეა რუსული **Алый**.

ციალი = ცი + ალი = მცირე ალი. დავუბრუნდეთ იოსებ ყიფშიძის ,,ბჟა ელმუ-ურს солнце восходить." ბჟა ელმუ-ურს (< ელამუურს) = მზე მაღლა მოდის (ამოდის). მეგრული **ლმუურს**-ის საწყისი ფორმა **ელამუურს**, შენარჩუნებულია ქართულ სიტყვაში **ელამუნება** (= ეალერსება, ეფერება. ნიავი სახეზე ელამუნება). ე. ი **ელმუურს**-ში (**ელამუურს**-ში) კოლხური **ელა** შეცვლილ იქნა ბერძნული **ალი**-თ და მივიღეთ ქართული **ალმური**.

ელმუურს < **ელამუურს** > (ელა > ალი) > **ალიმუურს** > **ალმუურს** > **ალმური = ალი მოდის** (= ალი ეკიდება). ანუ აღელვებისაგან, ან დიდი სიცხისაგან, ადამიანს სახეზე ალი ეკიდება. მსგავსია **ალიყური = ალი + ყური** = როცა ადამიანს სახეზე სილას გააწნავენ, მას სახეზე, გამორჩეულად ყურზე, ალი ეკიდება (უწითლდება).

მეგრულად **თხილი** ნიშნავს **ფრ-თხილი** და:

თხილამური = თხილა + მური = ფრთხილად + მოდის.

სახელწოდება **თხილამური**-ს შინაარსი - **ფრთხილად მოდის** ზუსტად გამოსახავდა მის საწყის მნიშვნელობას. ადრე თხილამურებით სპორტული შეჯიბრები არ ტარდებოდა, თხილამურები მრგვალ ფორმებს წარმოადგენდა, ღრმა თოვლისა და ჭაობის გადასალახავად გამოიყენებოდა და რაც ფრთხილი მოძრაობით, სვლით სრულდებოდა და არ იანგარიშებოდა დღევანდელი სათხილამურო შეჯიბრებები.

ჩილამური = ჩი + ლა + მური = ციური + ფორმა + მოდის.

ცრემლი (ჩილა) ციურ, ამაღლებულ, წმინდა მოვლენად ითვლება და თავად ჩილამური კი ცრემლის დენის პროცესს გამოსახავს.

წილამური გვიხსნის, რომ ჩიჩილაკის თლის პროცესში გრძელი და ხუჭუჭა ნათალი „მოდის“, ჩნდება.

წიწა, ჭაჭა აღნიშნავენ მცირეს და ჩვენ შემთხვევაში წვრილ ქვებს, ანუ სოფლებში **წიწამურა**-ში (სოფელი დუშეთის რ-ნში), **წიწამური**-ში (სოფელი მცხეთის რ-ნში) და **ჭაჭამური**-ში (სოფელი ახალგორის რ-ნში) ხვნის, ბარვის პროცესში მიწას წვრილი ქვებიც მოყვება. **წიწამური**-ს გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობებიც:

(**გ. გ.** 119): „წიწამურ ის არი, რო დარია, მაგრამ ნისლივით მოსჩანს არემარეზე. წიწამური დარში იცის, არსად ღურბელი არ არი და ბოლივით სჩან" (ს. შუაფხო)... ი. ჭყონიას დამოწმებით, იმერულში წიწამური წრიაპის, მთებში სასიარულო რკინის ფეხსაცმლის აღმნიშვნელია“.

ორივე შემთხვევაში წიწამური-ს ჩვენეული განმარტება უზუსტესად შეესატყვისება მოცემულ მოქმედებებს, ანუ ნათელ ამინდში ცა მოკრიალებულია, მხოლოდ შორიდან მომავალი (მურს) მცირე (წიწა) ზომის ღრუბელი ბოლივით იკითხება. ხოლო წრიაპი, ტერფზე ამოსაკრავი მცირე ზომის კბილებიანი რკინა, ციცაბოზე ან ყინულზე სიარულისას იხმარება.

მეგრულს გარდა სახელწოდებისა თხილამური, გააჩნია იგივე მნიშვნელობის ტერმინი **თხიამი**. სიტყვის არქე ფორმაა **თხირამი**. მეგრულად **თხირი** ნიშნავს **თხილს**, რომლის ტოტებისგანაც მზადდებოდა თხილამურები, **თხირი** (თხილი) > **თხირამი** (თხილიანი); მსგავსია -- **ნეძი** (კაკალი) > **ნეძამი** (კაკლიანი).

აოშვა – მიწის ხელმეორედ არაღრმად მოხვნა გასაფხვიერებლად (**ქ.ე.გ.ლ.**).

(**ს. ს.**) **აოშვა** âნულის მეორედ გარდაâვნა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ოშვა** სახელი ოშავს ზმნის მოქმედებისა – ოშვა, ნაოში, საოშ[ავ]ი.

ქართული ოშვა-ს ფუძეა მეგრული ოში.

(**ო. ქ.**) **ოში** ასი. ოშინერი ასნაირი.

(**ო. ქ.**) **მაოშა** მეასე.

(**ო. ქ.**) **ოშოღალე** ძალიან ბევრი.

(**ო. ქ.**) **ოშფა** ასფა (სიტყვ.-სიტყვ. ასკეცი), ასფენა, ასფურცელა. მცოხნავი ცხოველის კუჭის განყოფილება, რომლის გარსი ფურცლებივით არის ჩაწყობილი.

(**ო. ქ.**) **ოშშა-ოში** ასჯერ ასი. ოშშა-ოშიშა ქოიწია – ბევრჯერ (ასჯერ-ასი) გითხარიო.

ე. ი. მცნება **ოში**-თ გამოისახება არა მარტო ციფრი ასი, არამედ ასევე მცნებები ბევრი, მრავალი... ხოლო **აოშვა**-ს (გაასების, გამრავლების) შემთხვევაში:

პირველი ხვნისას დიდი ზომის ბელტები წარმოიქმნება და ხელმეორედ გადახვნისას დიდი ზომის ბელტები ქუცმაცდება, მრავლდება ანუ მიწა ფხვიერდება. ე.ი ხელმეორედ მოხვნისას, **აოშვი**-სას ბელტების ზომები მცირდება, მხოლოდ მათი რაოდენობა მრავლდება, „ასდება" (ბევრდება) – ოშდება, ანუ ხდება **აოშვა** > გაასება,

გამრავლება, გაფხვიერება. **აოშვა**-ში თავსართი **ა** ასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც სიტყვაში ტალახი > ატალახება.

ამრიგად, **ოში ასი > ოშვა ასება, მრავლება > აოშვა გაასება, გამრავლება.**

(ო. ქ.) **აოშვა** ერთხელ მოხნულის ჯვარედინად მეორედ მოხვნა (აბაშა).

ოთარ ქაჯაიას მიერ **აოშვა**-ს შინაარსის განმარტების შემდგომ აბაშა-ს მითითება იმას გვიხსნის, რომ წმინდა მეგრული ტერმინი **აოშვა** ხმარებაშია მხოლოდ იმერეთის მეზობელ აბაშის რაიონში და შიდა ოდიშში კი ტერმინი **აოშვა** მივიწყებულია, თუმცა დაფიქსირებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში.

არზანიგი – ღირსი, ღირსეული, ჯეროვანი (ი. ა.).

(ქ.ე.გ.ლ. 8) **არზანი** კუთხ. (ქიზ.) ქარიშხლიანი ან ჭექა-ქუხილიანი დიდი წვიმა

არზანი (ქართ., ქიზიყ., მთიულ., ფშ.) – „დიდი, ზომაზე კიდე დიდი თოვლი“ (ს. აâადი). დიდი თოვლი რომ მოვა, იტყვიან: „არზან ჩამოყარაო“ (**გუბაზ გოგატიშვილი** „ფშაური ლექსიკა“ გვ.54).

წყლის, მდინარეების მცნებათა გამომსახველი ტერმინი **ზანი** მხოლოდ კოლხურის კუთვნილება არაა. სახელწოდება **ზანი** ჰურიტული პანთეონის (ძვ. წ. 2300 წ.) მკვიდრიცაა – ,,მდინარე წყალთა ღმერთი **არზანი**“ (**აკაკი გელოვანი** „მითოლოგიური ლექსიკონი" გვ.630).

არზანი თუ ჰურიტული ფორმაა, ძველი ქართული არზანიგი უკვე კოლხური გამოთქმაა.

არზანიგი = **არზანი** + **გი**(მე) = **არზანი** + **დაბლა** (მიწაზე) = მიწიერი არზანი || მიწიერი, მსგავსი ღვთაება არზანისა.

მსგავსი მაგალითია **ფარდაგი**, რომელშიც **ფარდა** ფალაური სიტყვაა, ხოლო ფალაურ-კოლხურია **ფარდაგი** = **ფარდა დაბლა** და მართლაც **ფარდა** მხოლოდ უნდა ცამოიიდოს, ხოლო ფარდაგი ძირითადათ დასაგებად გამოიყენება.

აქვე დააფიქსირეთ, რომ წარმართული აზროვნებით „მდინარე წყალთა ღმერთი არზანი“ ასევე თოვლის მეუფეც გახლდათ -- თოვლი გაზაფხულზე ისევ წყლად იქცევა.

აფუებული, აფუთქული, ფუილი, ფუნა, ფუნთუში, ფუნთუშა, ფუნჩულა, ფური, ფურნე, ფუფუნება, ფუფქი, ფუფქვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუნ, ფუნე** ნეხვი, ნაკელი.

ნედლი ნაკელი მიწის გასამდიდრებლად უვარგისია. ის უნდა გამოიწვას. ამისათვის ნედლ ნაკელს ერთად აგროვებენ და ამ გროვაში დიდხანს გრძელდება გაზების გამოყოფის, ანუ დუღილის პროცესი, რის გამოც ეს გროვა დიდხანს ინარჩუნებს სითბოს. აი ამ ნედლ, ჯერ გამოუწვავ მდგომარეობაში ნაკელს ეწოდება ფუნა, ვინაიდან წარმართული კოლხურით როგორც ნაკელის, ასევე საერთოდ ნაკელის დუღილის პროცესს ეწოდება **ფუნა, ფუნაფა**.

(ო. ქ.) **ფუნა**[2] დუღილი, დუღება.

(ო. ქ.) **ფუნაფა** დუღილი; ადუღება.

(ო. ქ.) **ფუნაფილი** ადუღებული.

(ო. ქ.) **ფუნელი** იგივეა, რაც ფუნაფილი.

(ო. ქ.) **ფუნა**[2]//ფუნე ფუნა, ნაკელი, ნეხვი. ორინჯიში ფუნა – საქონლის ფუნა. შდრ. საბა: ფუნე წივა – âმელი ნეხვი.

ფუნა//ნე = ფუ + ნა//ნე = დუღება, ცხელი + დედა (სასურველი).

ფუნა-ში ფორმანტი **ფუ** განსაზღვრავს თავად დუღილის პროცესს, ხოლო **ნა** (სასურველი) მიგვითითებს ამ პროცესის აუცილებლობაზე, ვინაიდან მხოლოდ

დუღილის პროცესის დასრულების შემდგომაა მხოლოდ და მხოლოდ ნაკელი სასუქად ვარგისი. გავიხსენოთ, რომ წარმართული კოლხურით **ნეხვი** ნიშნავს სიტკბოების შემცველს, ანუ ძველად და ახლაც, დაღლილი მიწის ნაკვეთიდან ნაკელის გარეშე შეუძლებელი იყო სასურველი ოდენობის მოსავლის მიღება. იგივე აზროვნებას ატარებს რუსული **Добро** (1. სიკეთე. 2. ავლადიდება, ქონება, დოვლათი) ფუძიდან წარმომდგარი **Удобрение** (1. გაპატივება, განოყიერება, გაპოხიერება, სასუქის შეტანა).

წარმართულ კოლხურს გააჩნია დუღილის პროცესის ამსახველი განსხვავებული ფორმა **ფუალა**, რომლისგანაც წარმოდგება ქართული **ფუილი**.

(ო. ქ.) **ფუალა** დუღილი.

ახალი ცომი რათა ვარგისი იყოს გამოსაცხობად, ის ჯერ უნდა აფუვდეს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუილი** საფუვრით ღვივილი, ამოწევა, ამოსვლა (ცომისა).

ამ მიზნით ახალ ცომს ურევენ **საფუ**არს.

(ქ.ე.გ.ლ.) **საფუარი** 1. დამჟავებული პურის ცომი, რომელსაც ახალ ცომში ურევენ ასაფუებლად, ამოსაწევად. – ხაში. 2. მიკროსკოპული სოკოებისაგან მიღებული ნივთიერება, რომელიც აფუებასა და დუღილს იწვევს.

(ო. ქ.) **ხაში** ხაში; პურის ცომი.

ხაში იმიტომ ეწოდა მჟავე, ამაფუებელ პურის ცომს, რომ **ხაშუა** მეგრულად ნიშნავს, ხარშვას, ხოლო ხარშვა იგივე დუღილის პროცესია, რის შემდგომაც ცომი ფუვდება.

(ქ.ე.გ.ლ.) **აფუებული** რაც აფუვდა. – გაფუებული.

(ქ.ე.გ.ლ.) **აფუთქული** (საუბ.) დაწვის შედეგად ამობურცული (კანი).

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუნთუში** კეცში გამომცხვარი პური.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუნთუშა** ხორბლის თეთრი ფქვილის ნამცხვარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუნჩულა** მსუქანი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუფუნება** ყოველმხრივ სრული, მდიდრული და უზრუნველი ცხოვრება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუფქი** ცხელი ნაცარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფუფქვა** მდუღარეში ამოავლებს.

წარმართულ კოლხურს გაცხელების, გახურების აღსანიშნავად გააჩნია ასევე ფორმანტ **ფუ**-დან ნაწარმოები ფორმები **ფურა, ფურე**, საიდანაც წარმოდგება კოლხური ფურნე.

ფურე = ფუ + რე = ცხელი + არის.

(ო. ქ.) **ფურე** მხურვალე, ცხელი.

(ო. ქ.) **ფურა, ფურაფა** გაცხელება, გახურება; გამოწრთობა.

(ო. ქ.) **ფურნე** ფურნე.

ფურნე = ფუ + რ(ე) **+ ნე = ცხელი + არის + სასურველი.**

ასევე საჭმლის მოსამზადებელ ღუმელს კვიპროსზე **ფურნა** ეწოდება.

წარმართულ კოლხურ **ფური**-ს გააჩნია განსხვავებული მნიშვნელობაც.

(ო. ქ.) **ფური** ცუდი, ამაყი.

წარმართული **ფური** ცეცხლივით უკარება სიამაყეს წარმოსახავს. ხოლო ქართული **ფური** კი წარმოდგება წარმართული **ფუჯი**-დან.

წარმართ. **ფუჯი** > (ჯ > რ) > ქართ. **ფური**.

(ო. ქ.) **ფუჯი** ფური; დედალი საქონელი; ძროხა.

ფუჯი = ფუ(რე) **+ ჯი = მხურვალე + დაბლა** = მხურვალე (ცხოველი) ძირს (მიწაზე) = ფური; დედალი საქონელი; ძროხა.

ფუჯი-ს ცოდნის გამოვლენაა ჯავახური **ფიჯინა**.

(ო. ქ.) ფიჯინა კუთხ. (ჯავ.) უდროოდ ხბოს მომგები დეკეული.

აღსანიშნავია, რომ ძროხას მეგრულად ასევე ეწოდება **ჩხოუ, ჩხუ, ჩხუუ** და რომელ სახელწოდებებში ჰარმონიული წყვილი **ჩხ** გამოსახავს მზეს, სიცხეს, ანუ ძროხის შემთხვევაში მისი სხეულის ცხელ ბუნებას, ანუ იგივე იმ სიმხურვალეს, რის გამოც ძროხა იძლევა თბილ რძეს და ეგვიპტურ-კოლხური ტრადიციით ძროხა მუდამ მზესთან (ბჟა-სთან) ასოცირდებოდა.

(ო. ქ.) ვჟა იგივეა, რაც **ბჟა**, -- მზე; რძე.

სიმხურვალის, სიცხის ამღნიშვნელი ფორმა **ფურ** მხოლოდ წარმართული კოლხური ლექსიკის კუთვნილება არაა.

(აკაკი გელოვანი) ფურიები (ლათ. furia, სიგიჟე ცოფი, სიშმაგე; მძვინვარე კაცი; ჟინი, ვნება.; ყველა ამ „მსგავსი ცნების" გაერთიანება ლათინურ ენაში ითხოვს მრ. რიცხვს: Furiae) – შურისძიებისა და სინდისის ქენჯნის ქალღმერთები, ქვესკნელის ავი დემონები.

ინგლისურში **Fuel** – საწვავი.

იაპონურ აბანოს ეწოდება **აფურა** და მოგეხსენებათ, რომ აბანოს ძირითად კომპონენტს **ფურე** (ადუღებული) წყალი შეადგენს.

საერთო ძირი ბერძნულ-კოლხური **ფუ** მცნებისა მოსაძებნია წინააზიურ სივრცეში.

ბათქი -- თოფის, ზარბაზნის და მისთ. გასროლის ხმა. || იგივეა რაც ბათქა-ბუთქი.

ბათქი = **ბა** + **თქ**(უმა) = **მცირე** + **თქმა** = მცირე (ხმის) გამოცემა.

საწყისში **ბათქი-ბუთქი**-ს (< **ბუთქინი**-ს) ქვეშ არა ზარბაზნის, არამედ, სხეულიდან გამოცემული, ბევრად მოკრძალებული ხმები იანგარიშებოდა.

(ო.ქ.) ბუთქინ-ი... ძლიერი ხმის გამოცემა. გაკუება || გადატ. დიდი ტყუილის თქმა.

ბუთქინი = **ბუ** + **თქ**(უმალა) + **ინი** (დაბლა) = **მცირე** + **თქმა** (ხმის გამოღება) + დაბლიდან.

ბაგა, ბიგა, ბოკოლა.

ბაგა (ქიზიყ.) – ქვევრის პირის გარშემო გაკეთებული მოქვაბული; **ბაგა** (კახ.) – წისქვილის ზედა ქვის გარშემო ხის ან რკინის რკალი, რომ ფქვილი არ გაიბნეს; **ბაგა** (ქართლ.) – ახალგაზრდა, ახალჩაყრილი ვენახი; **ბაგა** (ქართლ., ქიზიყ., ფშ., თუშ., გურ.) – გადაფიცრული ან მოწნულ-გადაღობილი ადგილი ბოსელში (გომში, გომურში), ბაკში ან ეზოში საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად (გ. გ. 61).

(ო. ქ.) ბაგა საკვების (ჩალა, თივა...) უძირო ჩასაყრელი (მოწნული ან ფიცრული) დაბმული საქონლისათვის ბოსლის, სასიმინდის ან ქუხნის კედელთან.

ბიგა (ფშ.) – წვრილი თაგვი მინდვრისა და ტყისა, წვრილი ცხვირი აქვს. 2. – **ბიგა** (ფშ., ზ. – ქვ. იმერ., გურ., ლეჩხ.,) – 1. ხის ნაჭერი, რამესთვის გასამაგრებლად შეყენებული; 2. – ორ ან სამთითი ფიწალი; 3. ჯოხი (მეგრ., ჭან.) (გ. გ. 62).

სახელწოდებების **ბაგა** და **ბიგა**-ს განსხვავებულ შინაარსებს აერთიანებთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენეული განმარტება, რომ ბაგა ეს ეგვიპტურ-შუმერული კომპოზიტია, რომელშიც ეგვიპტური **ბა** აღნიშნავს მცირეს, პატარას, ხოლო შუმერული **გა** გამოსახავს მთას, ანუ ასევე განზოგადებით ფორმას, სხეულს, ნაგებობას.

ე. ი. **ბაგა** = **ბა** + **გა** = **მცირე** + **მთა** = მცირე, პატარა მოცულობის რაიმე ფორმა, ახალგაზრდა ვენახი... და ამ ცოდნიდან გამომდინარე გვაქვს ქართულში ასევე ბაგა-ბაღი, ანუ პატარების თავშესაყარი ადგილი. იგივე შინაარს ატარებს:

ბიგა = **ბი** + **გა** = **მცირე** + **მთა** (სხეული, ფორმა).

ამ ცოდნის გაგრძელებაა, რომ ფორმანტი **ბო** ასევე მცირეს გამოსახავს ტერმინში **ბოკოლა** (**ზ. რაჭ.**) – თივის პატარა ბულულა; **ბოკოლა** (ფშ., გუდამაყრ.) – მოკლე და სქელრქიანი საქონელი (გ. გ. 62). გაიხსენეთ **ბოჩოლა, ბოკერი, ბოკვერი**.

ბოკოლა = ბო + კო + ლა = პატარა (დაბლა, დაბალი) + **სასურველი + ფორმა, სხეული, საგანი**

ბარბალე, ბარბაცი, ბობვა, ბობოლა, ბობოქარი, ბობოწვერა, ბობღანი, ბობღვა, ბოზი, ბორბალი, ბორგვა, ბორკილი, ბორჯი, ბორჯომი, ბორჯღლი, ბოხი, ბრიალი, დაბრკოლება, ობობა.

(**აკაკი გელოვანი** 97): „**ბაბარი** (შუმერ. ბაბბარ-ბარბარ, თეთრი, ქათქათა) – შუმერთა ღვთაება, უთუს ორეული, უდავოდ ქართველთა ბარბალეს პირველსახე“.

(**ო. ქ.**) **ბარბალე** უძველესი წარმართული ღვთაება. ჩხოროწყუში, ლესიჭინეში, ბარბალობა დღეს ბარბალეს სალოცავზე მოჰყავდათ გოგო, რომ შვილი მიეცა.

(**ო. ქ.**) **ბარბალობა** რელიგ. 4 დეკემბერს (ძვ. სტილით) წმინდა ბარბალეს დღესასწაული. ხალხის აზრით, 4 დეკემბრიდან სამი დღის მანძილზე მზე არ იძვრის, ხოლო შემდეგ დღე მატებას იწყებსო. შდრ. ბარბალობა (ქეგლ). ბარბალობა – ნაყოფიერების მომცემი ღვთაების დღესასწაული.

(**ქ.ს.ე.** II ტ. 203): „**ბარბარობა**, 1. ქრისტიანული წმინდანის, ბარბარეს (ბარბალეს) სახელობის დღესასწაული. ხალხური წეს-ჩვეულების თანახმად იმართებოდა 4—6 დეკემბერს (ძვ. სტილით). ქრისტ. ბარბარეს კულტი წარმოიშვა და გავრცელდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის. მის სამშობლოდ ასახელებდნენ ეგვიპტეს, ბაალბექს, ფრიგიას. ბარბარეს უმთავრესად თაყვანს სცემდნენ როგორც ავადმყოფთა მკურნალსა და მფარველს. ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში მიაჩნდათ ცეცხლისა და ქარიშხლისაგან მფარველ წმინდანათ და მის სახელზე ზარებს სწირავდნენ, აგრეთვე იმ ხელოსანთა მფარველად, რომელთაც მუშაობისას თოფის წამლის გამოყენება სჭირდებოდათ.

2. ქართველების ერთ-ერთი უძველესი საახალწლო დღესასწაული. ქართველების წინაქრისტიანული ხანის წარმოდგენებსაც შეიცავს. ქართველები ბარბოლს, ბარბლაშის (სვანეთი) და ბარბალეს სახით თაყვანს სცემდნენ ამავე სახელწოდების წინაქრისტიანული ადგილ. ღვთაებას.

ღვთაება ბარბალეს ატრიბუტებს წარმოადგენდა წრიული საგნები და სხვადასვა სოლარული ემბლემები (რკინისა თუ მწვანე რტოებით დამზადებული წრეები, კვირისტავები, გვერგვი, კალპი, გვირგვინი და სხვ.). მორწმუნე ქართველებს იგი წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება. ბარბალეში ასახულია ქართველთა კოსმოგონიური წარმოდგენები, რადგან ეს დღეობა ითვლებოდა ზამთრის მზის ბუნიობის დღეობად. რიგი გადმონაშთებისა ასახავს ბარბალესა და ნიშხის, მზისა და ციური გველეშაპის ანუ ნათელისა და ბნელის კოსმოგონიურ ბრძოლას. ქართველთა ძვ კალენდარში ბარბალეს თვე უნდა ყოფილიყო წლის დასაწყისი თვე... ბარბარობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი იყო მეკვლეობა“.

ე. ი. წარმართულ პერიოდში ბარბარობა იყო მზის ბუნიობის აღმნიშვნელი დღესასწაული, რომელსაც ასევე ახალი წლის დადგომაც უკავშირდებოდა. ვინაიდან მზე წარმართული კოლხური კოსმოგენიური ხედვით მდედრს წარმოადგენდა, შესაბამისად „ქართველებს ბარბარე წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების დედური ძალების მფარველი ასტრალური ქალღვთაება“. იგივე მიზეზით „ღვთაება ბარბალეს ატრიბუტებს

წარმოადგენდა მზის ფორმის მქონე წრიული საგნები და სხვადასვა სოლარული (მზის) ემბლემები (რკინისა თუ მწვანე რტოებით დამზადებული წრეები, კვირისტავები, გვერგვი, კალპი, გვირგვინი და სხვ.)“. მოგვიანებით, ქრისტეანმა მამებმა ეს წარმართული დღესასწაული წმინდა ბარბარე-ს, წმინდანი ქალის აღნიშვნის დღით გადაფარეს.

წარმართულ კოლხურ მეტყველებაში შუმერი მზის ღვთაების ორეულის **ბარბარ**-ის სახების ცოდნა შემდეგი ფორმებითაა დაფიქსირებული:

(ო. ქ.) ბარბაჩი გიზგიზი, გრიალი, ალის ავარდნა.

(ო. ქ.) ბარბაცე წითელი ქარი; ბავშვის (ბიჭის) სასქესო ორგანოს ავადმყოფობა.

(ო. ქ.) ბარბალი 1. ბორბალი. 2. ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაური, -- ბრიალი, გიზგიზი. შდრ. გურული ბარბალი ცეცხლის ალის ბრიალი, პრიალი.

ე. ი. შუმერი მზის ღვთაება **ბარბარი** > კოლხური **ბარბალი** (1. ბორბალი; 2. ბრიალი).

ბარბალი[1] = **ბარბა**(რ) + **ლი** = **მზე** + **ფორმა** = მრგვალი ფორმა = ბორბალი.

ბარბალი[2] = **ბარბა**(რ) + **ლი** = **მზე** + **ფორმა** = ცხელი ფორმა = ბრიალი, გიზგიზი.

გარდა წრიული ფორმისა, მზე ძირითადად აღიქმება როგორც ცეცხლოვანი არსი, შესაბამისად წვის მაღალი ტემპერეტურა ახასიათებს და იგივე შუმერი მზის ღვთაების სახელით **ბარბარი** > **ბარბალი**-თ აღინიშნა ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაური -- ბრიალი, გიზგიზი. ქართული ბრიალი მეგრული ბარბალი-ს გადაქართულების წესითაა მიღებული (სისტემატიზაცია: ბ-რიალი, ბზ-რიალი, გ-რიალი, ზ-რიალი, კ-რიალი, პ-რიალი, ჟ-რიალი, ს-რიალი, ტ-რიალი. ფ-რიალი. ღ-რიალი. შ-რიალი. წ-რიალი. ხ-რიალი).

არსებობს ასევე ბორბლის ცნების აღმნიშვნელი ფორმა **ბარბალი**-საგან განსხვავებული კოლხური ფორმა **ბარბოლი**.

ბარბოლი = **ბარბ**(არი) + **ოლი** = **მზე** (მრგვალი) + **სავალი** (გზა) = (მზის მსგავსი) მრგვალი (გზაზე) სავალი.

ვინაიდან მზეს გააჩნია მრგვალი, წრიული ფორმა, კოლხებმა მსგავსი მრგვალი, წრიული ფორმის მატარებელ ბორბალს უწოდეს შუმერი მზის ღვთაების ბარბარ-ის სახელის შემცველი სახელწოდება **ბარბოლი**, რომელშიც ოლი ბორბლის დანიშნულებაზე მიგვითითებს.

ე. ი. შუმ. **ბარბარი** > **კოლხ. ბარბალი1 || ბარბოლი** > **ქართ. ბორბალი**

(**ქ.ს.ე.** II 467): „**ბორბალი**... ბორბალს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, ძველთაგანვე იყენებდნენ, შუმერის არქეოლოგიურ განათხარ მასალებში გვხდება ძვ. წ. IV ათასწლეულის ოთხბორბლიანი საკულტო ეტლები. ცოტა მოგვიანებით კი ოთხბორბლიანი და ორბორბლიანი საბრძოლო ეტლები, მათი მოდელები და გამოსახულებები. მათი გავრცელების არეალი უმთავრესად წინა აზია და ხმელთაშუა ზღვის აუზია...

ბორბალი ქართველი ხალხის კოსმოგონიურ რწმენა-წარმოდგენებში ადრევე ქცეულა ცის მნათობთა ბედის გამომხატველ ცნებად. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბორბალი მზის ღვთაების უძველეს სახელწოდებასთანაა (ბარბოლი) დაკავშირებული. კოსმოგონიურივე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანშიც – „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდასა“.

ცხადი ხდება, რომ თავდაპირველად არსებობდნენ ფორმები **ბარბარი** > **ბარბალი, ბარბოლი** და მხოლოდ შემდგომ, წარმართული ცოდნის წაშლის მიზნით, შეიქმნა ქართული **ბორბალი**, თუმცა ქართულში ასახულია წარმართული **ბარბალი || ბარბოლი**-ს ცოდნა ფორმით ბარბაცი.

(ქ.ე.გ.ლ.) ბარბაცი სიარული ადამიანის, რომელიც წონასწორობას ვერ იცავს, -- ტორტმანი.

ბარბაცი = **ბარბა**(ლი) + **ცი** = **ბორბალი** + **მცირე** = ბორბალივით მცირედ (ტორტმანობს).

მოგეხსენებათ, მოძრაობისას ურმის ბორბლები თანამედროვე მანქანათა ბორბლების მსგავსი მდგრადობით არ გამოირჩეოდნენ, ოდნავ მოძველებისთანავე საკმაოდ ტორტმანებდნენ, ბარბაცებდნენ და რასაც მიამსგავსეს კიდეც მთვრალი კაცის სიარულიც.

ბარბალი-ს ცოდნით წარმოდგა გვარი **ბარბაქაძე**.

უკვე **ბარბოლი, ბორბალი**-ს ცოდნით მეგრულში წარმოდგა **ბორბოლია**, ბობოლია.

(ო. ქ.) ბორბოლია ობობა.

(ო. ქ.) ბობოლია ობობას ქსელი.

ცხადია, წარმართ. **ბობოლია** > (ო >< ბ) > **ობობლია** > (ლი > 0) > ქართ. ობობა.

ე. ი. **ბარბოლი** აღნიშნავს მზის დარი წრიული ფორმის მოძრაობას და რასაც შედარდა ექვსფეხიანი, მრგვალი მოყვანილობის ობობას მოძრავი სხეული. ასევე მზის სხივთა გაშლას მოგვაგონებს ობობის ქსელის კონფიგურაცია, მხოლოდ იმის გამო, რომ ობობის ქსელი არ მოძრაობს **ბორბოლი**-დან ამოვარდა მოძრაობის გამომსახველი თანხმოვანი რ და მიიღეს **ბობოლი.**

ბორბო(ლი) ფორმით რომ მზის მოქმედება, მზის ცეცხლოვან ბუნება იგულისხმება, მიგვითითებენ **ბორბონჩი** და **ბორბოზა**.

(ო. ქ.) ბორბონჩი – ბურბური, ბრიალი, გიზგიზი, ბორბონჩია დაჩხირი – ბრიალა (გიზგიზა ცეცხლი).

(ო. ქ.) ბორბოზა ახურებული და მოუსვენარი პირუტყვი.

უკვე ამის ცოდნით წარმოდგება ბოზალა.

(ო. ქ.) ბოზალა ბოზობა.

ბურბუშელას მრგვლოვანი ფორმის გამო ეწოდა ასევე **ბორბოშელა** (< ბორბოშელება = ბორბოშეძლება).

წარმართული **ბორბოლა, ბობოლა**-ს შემდგომი ქართული წარმონაქმნებია **ბობვა, ბობოლა, ბობოქარი, ბობოწვერა, ბობღანი, ბობღვა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ბობვა მიწას ფეხს მუბუქად აკარებს და ისე დადის (ცხენი...).

აქ ის იანგარიშება, რომ როგორც დიდი ფართის ზედაპირის მქონე ბორბალი მიწას ამ დიდი ფართის მხოლოდ მცირე ნაწილით ეხება, ასევე ობობაც თავისი შედარებთ დიდი ზომის ფეხების მხოლოდ მცირე მოცულობის ნაწილით მსუბუქად ეხება ზედაპირს; იგივე ითქმის ცხენზეც.

(ქ.ე.გ.ლ.) ბობოლა (მ.) 1. სხვისი შრომით გამდიდრებული გლეხი, -- კულაკი. 2. (ირონ.) დიდი ძლიერი ვინმე. მეფის ბობოლა მოხელეები. 3. ხახვის თავი (ან ნაცრის პარკი) რომელსაც შვიდი ღერი ფრთა ჰქონდა შერჭობილი; დიდ მარხვაში ჰკიდებდნენ ჭერზე და ყოველ კვირა დღეს თითო ფრთას აძრობდნენ.

სხვისი შრომით გამდიდრებული გლეხი **ბობოლა**-ს (ობობას) მიამსგავსეს, ვინაიდან **ბობოლა** (ობობა) ასევე სხვათა, მწერთა სხეულებით იკვებება, რომელთაც ჯერ თავის ქსელში მოიმწყვდეს. იგივე ითქმის მაღალჩინასანთა მიმართებითაც; ხოლო თუ წარმოვიდგენთ ჭერზე ობობასავით ჩამოკიდებულ ხახვის თავის მრგვალ ფორმას, რომელშიც მზის სხივთა დარად შერჭობილია შვიდი ფრთა, პირველ რიგში ეს ფორმა რვაფეხა ობობას სხეულთან ასოცირდება, რომელსაც უთუოდ იქვე სიახლოვეს თავისი ქსელი აქვს გაბმული.

(ო. ქ.) ბობოქუა ხმამაღლა ლაპარაკი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბობოქარი** ძლიერ მღელვარე, მშფოთვარე, მრისხანე.

ბობო + ქარი = მზის მსგავსად ცეცხლოვანი + მოძრავი = ძლიერ მღელვარე.

ბობოქარი ადამიანი **ბობოხი** ხმასაც გამოსცემს.

(ო. ქ.) **ბობოხი** ბოხი ხმით ლაპარაკი, ბუხბუხი, ტრაბახი.

ცხადია მეგრ. **ბობოხი** > ქართ. **ბოხი**.

(ო. ქ.) **ბოხო** – დიდი, მსხვილი (> ბოხვერა ჯ.კ.).

(ო. ქ.) ბოხორია, ბოხორო, ბოხორუა – მსხვილი, დიდი, მოდიდო.

(ო. ქ.) **ბოხოჭია** – მსხვილი ჭია საერთოდ.

(ო. ქ.) **ბოხოხი** – ბოხოხი, ცხვრის ტყავის ქუდი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბობოწვერა** ხეზე ჩამოკიდებული მოთეთრო სოკო (ხავსივით).

ობობასავით ხის ტოტზე ჩამოკიდებული სოკო (მრგვლოვანი ფორმა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ბობღანი** (ძვ.) დაფი, დოლი.

ბობღანი = ბობო + ღა(ლა) + ნი = მრგვალი + ტარება + სასურველი = მრგვალი (ფორმის) მატარებელი (მქონე) სასურველი (ინსტრუმენტი).

(ქ.ე.გ.ლ.) **ბობღვა** ხელ-ფეხის დახმარებით მოძრაობა (ფეხაუდგმელი ბავშვისა...).

ვინაიდან **ბორბალი, ბორბოლი**-ს შინაარსის ცოდნიდან გამომდინარე ფორმა **ბორ** ასოცირდება მოძრაობასთან, წარმართულ კოლხურში გვაქვს **ბორკი**.

(ო. ქ.) **ბორკი** ფეხი, ბარკალი (ფრინველის, საქონლის, ცხენის...); გადატ. ადამიანზედაც იტყვიან.

უნდა ვიანგარიშოთ, რომ თავდაპირველად იგულისხმებოდა ობობას ფეხები და მხოლოდ ამის შემდგომ განივრცო ფრინველის, საქონლის, ცხენის... მიმართებითაც.

ვინაიდან ობობას ქსელში მოხვედრილ არსებას ხელფეხი ეკვრება, ქსელში ეხვევა, ბორკი-ს შემდგომი განვითარებებია **ბორკუა** და **ბორკილი**.

(ო. ქ.) **ბორკუა** ბორკვა.

ცხადია, წარმართ. **ბორკუა** > (უა > ვა) > ქართ. **ბორკვა**.

(ო. ქ.) **ბორკილი** დაბორკილი.

ბორკილი-ს შემადგენელია **კილი**.

(ო. ქ.) **კილი**[1] კონა, ძნა.

მოგეხსენებათ, კონა, ძნა შებორკილი-ა, ანუ შეკრულია.

წარმართული **ბორკილი** (> შე-ბორკილი) უცვლელი სახით დამკვიდრდა ქართული ენის ლექსიკაში და პირობითად ეწოდა ასევე შესაბორკ ხელსაწყოს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბორკილი** 1. ჯაჭვით შეერთებული რკინის რგოლები, რომლებითაც უკრავენ ხელებსა და ფეხებს მძიმე დამნაშავეებს. 2. თოკი ან ჯაჭვი ცხენის ფეხების შესაკრავად.

ე. ი. წარმართ. **ბორკილი** > ქართ. **შე-ბორკილი** > **და-ბორკილი** > **დაბრკოლება**...

ბორკილი რომ ნასესხობაა, ამას მიხვდნენ ჩვენი ენათმეცნიერები.

„**ბორკ-ილ-ი** ნასესხები ჩანს ძველ ქართულში მეგრულიდან ან ლაზურიდან (ჰ. ფენრიხი, **ზ. სარჯველაძე**)".

წარმართ. **ბორკუა**-ს ცოდნით ქართულში წარმოდგა ასევე **ბორგუა** > **ბორგვა,** რაზედაც მიგვითითებს სულხან-საბასთან დაფიქსირებული ორივე ფორმა.

(ს. ს.) **ბორგუა** ნ. ბორგა.

(ს. ს.) **ბორგა** (ბორგუა C, ბორგვა E) ესე არს მიუმყოვრებელი ნაღველი, კაცი გულის წყრომით ვერც დადგეს და ვერც დაჯდეს.

ე. ი. ნაღველით, ჯავრით შეკრული, დაბორკილი კაცი.

ფორმა **ბორ** ასევე ფუძემნიშვნელობას განსაზღვრავს სიტყვაში **ბორჯი**.

(ო. ქ.) **ბორჯი**[1] დრო, ჟამი; ვადა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბორჯი**[2] იგივა, რაც ფესვი.

წარმართული ბორჯი შემდეგნაირად იკითხება:

ბორჯი[1] = **ბორ** + **ჯი** = **მოძრაობა** (მზე) + **დაბლა** = დაბლა, დედამიწაზე მზის მსვლელობა დროის მსვლელობასთანა გაიგივებული; ამოდის მზე – დღეა; ჩადის მზე – ღამეა, ხოლო დღე და ღამე დროის ათვლის ძირითადი საზომი ერთეულებია.

ბორჯი[2] = **ბორ** + **ჯი**(ნჯი) = **მოძრაობა (მზე)** + **ძირი** = ობობას ქსელივით ხის ძირს განვითარებული (ფესვები).

შუმერთა ღვთაება **ბარბარი**-სთან დაკავშირებით, გავიხსენოთ კოწახურის ბუჩქი, რომელიც შემოდგომით მზის დარი უამრავი წითელი ფერის, მრგვალი ფორმის ნაყოფით იხუნძლება და ცხადი ხდება თუ რატომ ეწოდა კოწახურს სლავური **Барбарис**.

ბარდი, ბარდნა.

ბარდი (იმერ., რაჭ., გურ., აჭარ.) – ვაზის, კვახის და მისთანათა ღეროები და ფოთლები; ეკლიანი მცენარე, ეკალ-ბარდი; მაყვალი; **ბარდი** (ფშ.) – თოვლის გროვა, თოვლის საფარი, დადებული თოვლი (გ. გ. 61).

ბარდი წარმართული კოლხური ტერმინია.

(ო. ქ.) **ბარდი** ბარდი შდრ, ლაზ. ბარდი ზვინი.

ბარდი-ს სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს აერთიანებთ ბარდი-ს კოლხური შინაარსი.

ბარდი = **ბა** + **რდი**(ლი) = **მცირე, პატარა** + **ნაზარდი**.

(ო. ქ.) **ბარდუა** 1. ბარდით დაფარვა; დახლართვა, აბურდვა, ერთმანეთში არევა. 2. ბარდნა, მსხვილ ფანტელებად თოვა.

თოვლის ფანტელები ეს ციდან წამოსული თოვლისვე მცირე წარმონაქმნებია და:

(ქ.ე.გ.ლ.) **ბარდანი** ბლომად დადებული თოვლის ფანტელები.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბარდნა** მსხვილ ფანტელებად თოვა.

ბეწვი, ყმაწვილი, ხიწვი

სამივე სიტყვას აერთიანებს ფორმანტი **წვი**-ს შინაარსები.

სიტყვა ყმაწვილი სამ შემადგენლად იშლება: **ყმა** + **წვი** + **ლი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ყმა** 1. (ისტ.) ბატონობის დროს – მემამულის (ბატონის) მიწაზე მცხოვრები გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა წარმოების საშუალებანი, ამუშავებდა მემამულის მიწას და აძლევდა მას ღალას. 2. (ისტ.) პატრონყმობის დროს – პატრონის (მნიშვ. 5) ქვეშევრდომი, ხელქვეითი. 3. (ძვ.) რომელიმე ხატის მლოცველი (ფშავ-ხევსურთში). 4. გადატ. მორჩილი, მსახური, ხელქვეითი. ყმად გაიხადა. 5. (ძვ.) იგივეა რაც ყრმა (მნიშვ, 2).

(ქ.ე.გ.ლ.) **ყრმა** 1. ბავშვი, ყმაწვილი. 2. ახალგაზრდა, ჭაბუკი.

ე. ი. **ყმა** საწყისში, ძველად, აღნიშნავდა ახალგაზრდას, ჭაბუკს და ეს განმარტება შეესაბამება კიდეც **ყმა**-ს ეტიმოლოგიურ შინაარსს. **ყმა**-ს ფუძეა წარმართული **ცა** (რტო, შტო, ტოტი), ანუ გამოსახავს ნაზარდის მცნებას. სუფიქსი **–მა** მოქმედებას (ღუმა, შუმა, ჭვიმა > წვიმა), ამ შემთხვევაში ზრდის მოქმედებას გამოსახავს. მოგვიანებით **ყმა**-ს მიენიჭა დამატებითი მნიშვნელობები.

ყმა-ში თანხმოვან **რ**-ს ჩასმით (ყრმა), ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ ნაზარდი დამოუკიდებლად მოძრავი სხეულია.

(ო. ქ.) **წვიწვინი** ნაზად, სანდომიანად ყურება; კეკლუცობა, კოპწიაობა.

ლი, მოგეხსენებათ, გამოსახავს სხეულს, ჩვენს შემთხვევაში რბილ სხეულს.

(ო. ქ.) **ლგლგ** იგივეა რაც ლილუ – ჩვილი; თოთო... მაფშალია გააღურჭოლუ ლგლგ შეცერს – ბულბული უგალობს ჩვილ ტოტებს.

ამრიგად:

ყმაწვილი = **ყმა** + **წვი** + **ლი** = **ნაზარდი** + **ნაზი** + **სხეული** (ჩვილი) = ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ კიდევ სინაზე ახლავს.

ფორმა **წვი**-ს გააჩნია ასევე **წვრილი**-ს მნიშვნელობა.

(ო. ქ.) **წვირალი** მაღალი და წვრილი ტანისა, -- ტანწერწეტა.

ფორმა **წვი** წვრილის შინაარსით, შემადგენელია ქართული სიტყვებისა **ბეწვი, ხიწვი**.

ბეწვი = **ბე** + **წვი** = **პატარა** + **წვრილი.**

ხიწვი = **ხი** + **წვი** = **მიწა** (მიწიერი) + **წვრილი.**

ბორჯღალა რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. რქებ-ბორჯღალა (შდრ. ქორბუდა).

ქართული **ბორჯღალას** ფუძემნიშვნელია წარმართული კოლხური **ჯღა**.

(ო. ქ.) **ქაბარჯღა** ქორბუდა, რქებგაწეული.

(ო. ქ.) **ჯღა ჯღა**, კავებიანი დიდი ხე. ტოტებიანი შტო.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯღა** 1. ტოტებიანი შტო, რომელსაც ბარდიან მცენარეებს (კიტრს, ლობიოს...) უსობენ ბარდის შესაკავებლად. 2. იგივეა, რაც ჩხა (მნიშვ. 1. 2.).

გავიხსენოთ **ჩხა**-ს განმარტება:

„**ჩხა** მზადდებოდა ხის შედარებით მსხვილი ტოტის ხშირი განტოტვის ნაწილიდან და კოლხი კაცის გონებაში ხის განტოტვის სიხშირე მზის სხივთა კონასთან ასოცირდებოდა. **ჩხა**(ნა = მზე) ფორმის მსგავსების გამო საკიდრად გამოყენებულ ირმის დატოტვილ რქას **კაჩხა** (ძლიერი ჩხა) ეწოდა და **ჩხიანი** ირმის ეპითეტია. ასევე ხშირი მტევნებით დამშვენებულ ვაზის აჭრილ ტოტს **კრჩხა** (ტკბილი საარსებო ჩხა = მზე) ეწოდა".

ჯღა წარმოიქმნა, მზის (ჩხანა-ს) მსგავსად, ხის შედარებით მსხვილი ტოტის ხშირი განტოტვის თვისებიდან და მისი სრული ფორმაა **ჯაშღალა** = ხის გამოღება, ხის განტოტვა.

ჯღა = **ჯ**(ა) + **ღა**(ლა) = **ხე** + (წა)**ღება** = **ხის** (მიერ) **გამოღებული** (ტოტები).

ჯაშღალა > (აშ > 0) > **ჯღალა**-ს წინ დაუსვეს მზის, მზის სიმრგვალის გამომსახველი ფორმა **ბორ** და მიიღეს **ბორჯღალა** > **ბორჯღლი**...

(ქ.ე.გ.ლ.) **ბორჯღლი** მსხვილი ტოტის განაყოფი; გაშლილი ტოტები. || ტოტებად გაშლილი (ხე, ირმის რქები).

ბორჯღალა, ბორჯღლი ხაზს უსვამს ტოტებად გაშლილ შტოს მზის დარ ფორმას. ამ ცოდნის გათვალისწინებით კოლხურ მეტყველებაში გაგვაჩნია:

(ო. ქ.) **ბორჯღუა** ტოტებად გაშლა.

(ო. ქ.) **ბორჯღოლამი ჯა** ბორჯღლიანი (გაშლილტოტებიანი) ხე.

(ო. ქ.) **ბორჯგა, ბორჯგალი** ბორჯღლი, გაშლილი ტოტები.

(ო. ქ.) **ბორჯგი** იგივეა, რაც ბარჯგი.

(ო. ქ.) **ბარჯგი** ბოძი, სარი, ბოძკინტი; ორკაპიანი ჯოხი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბარჯი** 1. ორკაპიანი ჯოხი, -- ბოძკინტი. დახუნძლულ ტოტებს ბარჯი შეუყენეს.

ამრიგად, **ბორჯღლი** = **ბორ** + **ჯ**(ა) + **ღ**(ალა) + **ლი** = **მზე** (მრგვალი) + **ხე** + **ტარება** (გამოღება) + **ფორმა** = მრგვლოვანი ფორმის ხის გამოღებული (გაშლილი ტოტები).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯიბორჯ**[ღ]ი კუთხ. (იმერ.) ღელეზე გადებული ტოტებიანი ხე.

ჯიბორჯღი = **ჯი** + **ბორჯღ**(ლ)ი = ძირს ბორჯღლი.

ე. ი. წარმართ. **ბორჯღოლამი** > (ღ > 0, ლა > 0) > ქართ. **ბორჯომი.**

ცხადი ხდება სახელწოდება **ბორჯომი**-ს შინაარსი: **ტყიანი**

(ო. ქ.) **ჯღალი** 1. კლანჭი; ჭანგი, ბრჭყალი. 2. ჯღა; სიმინდის გარეთა ფესვი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბჯღალი** იგივეა, რაც ბრჭყალი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბჯღლა** გაბარდული ტოტები, -- გრჯღა.

(ქ.ე.გ.ლ.) **გრჯღა** დიდი ხის ტანზე განშტოებული მსხვილი ტოტი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯღიბა** 1. ბოქვენის მკბენარი. 2. იგივეა, რაც ტკიპი.

ჯღიბა-ს ოთხი წყვილი კიდური გააჩნია, ანუ რვაფეხაა და როცა ზევიდან დავხედავთ, მინიატურაში, **ჯღიბა**-ს ტანი მსხვილ ტოტად წარმოგიდგებად, ხოლო მისი ოთხი წყვილი კიდურები ამ ტანის (ტოტის) განაყოფებად (განტოტვად).

ჯღიბა = **ჯღ**(ა) + **ბა** = განტოტვილი მცირე.

ხის განტოტვა ყოველთვის სიმეტრიულად არ ვითარდება და ვღებულობთ მახინჯ ფორმებსაც, შესაბამისად>

(ო. ქ.) **ჯღაბილი** -- (და)ჯღაბნილი.

(ო. ქ.) **ჯღარკი** – ჯღანი; ძველი, დაგლეჯილ-გაცვეთილი, უვარგისი ფეხსაცმელი.

(ო. ქ.) **ჯღარკალი** – ბარბაცი, იქით-აქეთ ხეთქება, ტორტმანი.

(ო. ქ.) **ჯღარკაფი** – დაგდება, დავარდნა; დახეთქება.

(ო. ქ.) **ჯღარჯღალი** – იგივეა, რაც ჯაჯღალი, ჯღაჯღალი, -- ჯაჯღანი, ბუზღუნი...

გარდა **ჯღანი, ჯღაბნილი, ჯაჯღანი**-სა, **ჯღა** ასევე ფუძეა **ჯღანვა**-სი.

(ო. ქ.) **ჯღარკალა**[2] იგივეა, რაც ჯღა, -- ბორჯღალი; გაშლილი ტოტები, მოკლედ წაჭრილი.

ბორჯღალის შემდგომი განვითარებაა **ბურჯღალი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ბურჯღალი** ნაპერწკლების კონა.

ბოსელი, სელი, სულუგუნი.

(**ქართ. საბჭ. ენციკლ.** ტ. II. გვ. 489): „ბოსელი, ბოსლა, ბოსლე (სვან. ბოსლო || ოსლო...), ნაყოფიერებისა და გამრავლების წარმართული ღვთაება ძველ საქართველოში. მისი კულტი ასახულია ბოსლობის დღეობაში. ბოსლის უმთავრეს ფუნქციას შეადგენდა საქონლის გამრავლება და მფარველობა. ამიტომ მას „საქონლის ბატონის" და „საქონლის ანგელოზის" (უფრო ადრე სავარაუდოა „საქონლის პატრონი", „საქონლის უფალი") ეპითეტებითაც მოიხსენებდნენ. ბოსელი თავდაპირველად ცხოველური სახის არსებად, კერძოდ, ხარად უნდა ჰყოლოდათ წარმოდგენილი. ქართველი ხალხის ასტრალური რელიგიის მაღალ საფეხურზე, რომელიც განვითარებული მიწათმოქმედებისა და სათანადო სოციალური წყობილების ზედნაშენს წარმოადგენს, ბოსელი სამიწათმოქმედო მეურნეობას დაუკავშირდა, ასტრალურ ღვთაებათა წრეში მოექცა და ანთროპომორფული სახე მიიღო. ამ საფეხურზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა ღვთაების ფუნქციები და მისი მსახურების ფორმები, რაც ახალწლის ციკლის დღეობებში უფრო მრავალფეროვნად გამოვლინდა. დროთა ვითარებაში ღვთაება ბოსელი გარდაიქმნა „დიდ ღმერთად" (სვან. ხოშა ღერბეთ, ფუსნა-ბუასდია). რომლის კულტი ხარისა და მზის კულტების შერწყმის ნიადაგზე ჩამოყალიბდა ასტრალური სარწმუნოების განვითარების გვიანდელ საფეხურზე. დროთა განმავლობაში ქრისტიანობის ზეგავლენით ბოსელი ბასილის (ბასილას) თანაზიარი გახდა და ასე იხსენიებოდა ქართულ საახალწლო რიტუალებში (ა. **სოხაძე**)".

(ქ.ე.გ.ლ.) **ბოსელი** მსხვილფეხა რქიანი საქონლის სადგომი ნაგებობა.

(ო. ქ.) **სელენთი** ლამაზი, შხვართი ქალ-ვაჟი (ბ. კილანავა).

(ო. ქ.) **სელეგინი, სელეგუნი** სულუგუნი.

ჩამოთვლილ სიტყვათა შინაარსები მომდინარეობენ ბერძნული **სელენე**-დან [**selênê** – მთვარე].

ბოსელი (< ბოსელენე) = **ბო** + **სელი** (< სელენე) = **მცირე**(დაბლა) + **მთვარე**.

როცა მთვარე იპყრობს ცას, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ღამეა და საქონელი ისვენებს. ამდენად, ღამით საქონლის მოსასვენებელ შენობას, შემოღობილ სივრცეს, წარმართული **ქართა**-ს (შემოსაზღვრული სივრცე-ს) გარდა ეწოდა კოლხურ-ბერძნული პოეტური სიმბოლიკა **ბოსელი – მცირე მთვარე** (მიწაზე), ანუ საქონლის მოსასვენებელი სივრცე ღამით; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ღამით საქონელი მთვარის მფარველობის ქვეშ რჩებოდა, ხოლო წარმართული კოლხური აზროვნებით მთვარე მამაა, პატრონია. ეს გახლდათ საფუძველი ბოსლის კულტის შემდგომი განვითარებებისა...

წარმართულ კოლხეთში ასევე არსებობდა იგივე ბერძნული **სელენე**-დან წარმომდგარი **სელენთი**.

სელენთი = **სელენ**(ე) + **თი** = **მთვარე** + **გაცხადებული** = ლამაზი, შხვართი (მთვარესავით) ქალ-ვაჟი.

სელეგინი = **სელე**(ნე) + **გი** + **ნი** = **მთვარე** + **მიწა** + **დედა** (სასურველი) = სასურველი მიწიერი მთვარე.

სელეგუნი = **სელე**(ნე) + **გუ** + **ნი** = **მთვარე** + **მსგავსი** + **დედა** (სასურველი) = მთვარის მსგავსი სასურველი.

და მართლაც, **სელეგინი** || **სელეგუნი** > **სულუგუნი** მთვარესავით მრგვალი ფორმისაა და როგორც მთვარე ღამეში ისე ქათქათებს.

სელენთი-სა და **სელეგუნი**-სთან დაკავშირებით გავიხსენოთ მსგავსი ცოდნა, რომ არაბული **ბადრი**-ს [= სავსე, სრული (ითქმის მთვარეზე)] მცნებიდან, შეიქმნა ქართული **ბადრო**, ვინაიდან **ბადროს** მთვარის მსგავსი ფორმა გააჩნია; და ასევე **გაიბადრა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **გაიბადრება** 1. ბადრი გახდება, -- გაივსება (მთვარე). 2. გამშვენიერდება (იტყვიან ზრდადასრულებულ ქალზე). 3. სახეზე სიამოვნება გამოეხატება. მთვარესავით გაიბადრა

ჩვენს თემასთან დაკავშირებით **არზანიგი**-სა და **ბოსელი**-ს მაგალითები იმითაც იმსახურებენ ყურადღებას, რომ კოლხური სამყარო მხოლოდ შუმერულ-ეგვიპტურ კულტურებთან ურთიერთობით არ იფარგლებოდა.

ბოწკინტი (< ბოძკინტი) – ხევს., ქართლ., მთიულ., -- 1. პატარა ბოძი; 2. ნაყოფით დახუნძლული ტოტის შესაყენებელი სარის სიმსხო პატარა ორკაპა ბოძი, ტოტი რომ არ ჩამოიმტვრეს; ამავე მნიშვნელობით დასტურდება ფშაურშიც. იყენებენ აგრეთვე ბოძად სარუეში წყლის გადმოსაყვანად და გამზადებულ ღარბერის გასამაგრებლად (გ. გ. 55).

(ო. ქ.) **წკიონტი** იხ. წკიოტი.

(ო. ქ.) **წკიოტი** ტრიალი; წრიალი.

(ო. ქ.) **კიონტი, კიოტი** ბრუალი; ტრიალი.

(ო. ქ.) **კიოტი**2 რიკი, ხის მოკლე ჯოხი.

ბრაწვა, ბრგე, ბრე (ბზენარევი მტვერი), **ბრეგვაძე** > **ბრეგვა** > **ბეგვა** > **რეგვა** > **რეგვენი** > **ბრაგვანი** > **ბრაგუნი, ბრელიძე, ბრელო** (თივის ნაფშვენი), **ბროწეული, ბრჯა, [და]გვა, გვამი, გვემა, ნაგავი, ნგრევა, ქალწული, ძმისწული, წულეისკირი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბზე** პურეულის ნამჯის ნალეწი. ბზესავით – მრავლად, თავზე საყრელად; ჩეჩქივით.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბრე** ბზენარევი მტვერი.

ე. ი. გამოთქმა ბზესავით შეიცავს მრავლის, ბევრის მცნებებსაც და ცხადია იგივე შეიძლება ითქვას ბზენარევ მტვერზეც – **ბრე**-ზეც, ხოლო **ბრე** (< ბრელი) მეგრულად აღნიშნავს ბევრს.

(ო. ქ.) **ბრელი** ბევრი.

გვარიც არსებობს **ბრელიძე**.

წარმართული კოლხური **ბრელი** შედარებით სრული ფორმითაა შენარჩუნებული იგივე **ბრე**-ს შინაარსის მატარებელ მცნება **ბრელო**-ში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბრელო** თივის ნაფშვენი.

ბრელო = **ბრელ**(ი)(დაბლა).

ამ განმარტებათა შემდეგ გაგვიადვილდება **ბრგე**-ს შინაარსის აღქმა.

ბრგე = **ბრ**(ელი) + **გე** = **ბევრი** (დიდი სხეული) + **მიწა**(ზე).

აქ გავიხსენოთ **ბრჯა**-ს განმარტება:

(ს. ს.) **ბრჯა** (ბრჯა და მჯა) ერთბაშად ძნეულად მდგარი. ნ. ზვინი.

(ს. ს.) **მჯა** (ბალ.) ბრჯა. ზვინი.

(ს. ს.) **ზვინი** განმრავლებული, გინა ბრჯა მდგარი, ანუ ძნა და თივა, სელი, ცერცვი და მისთანანი.

ამრიგად, **ბრჯა, მჯა** ანუ იგივე ძნა, ან ზვინი ესაა მრავალი (ბევრი) მცენარეული (ხორბლის, ქერის, ჭვავის, სელის...) ღეროებისაგან, **ჯა**-საგან შეკრული კონა; ამ ცოდნას გადმოგვცემს **ბრჯა**.

ბრჯა = **ბრ**(ელი) + **ჯა** = **ბევრი ხე** (ღეროები) -- იგივე ზვინი, იგივე ძნა.

ქართ. **ბროწეული** მეგრ. **ბრეწული**-ს გამოთქმაა.

კოლხური ლექსიკით წულუ (ლაზ. პატარა) > **წულე** (წულეისკირი = პატარა შვილი) > **წული** აღნიშნავენ პატარას და:

ბრეწული = **ბრე**(ლი) + **წული** = **ბევრი** + **პატარა**.

ბრეწული-ს შინაარსი სრულად გამოსახავს ბროწეულის „ბევრი პატარა" მარცვლებით სავსე ნაყოფის ფიზიკურ არსს. ქართ. ბროწეული-ში ეს ცოდნა არ იკითხება.

გაიხსენეთ ბროწეულის ყვავილის, ნაყოფის წითელი ფერი და:

ბრე-წული > (ე > ა) > **ბრა-წული** > **და-ბრაწული** > **ბრაწვა**...

(ქ.ე.გ.ლ.) **დაბრაწავს** შეწვით ან გამოცხობით **გააწითლებს**; დაბრაწული ლოყები (მსგავსად ბრეწული-ბროწეული-სა ჯ.კ.).

ე. ი არა **ბროწეული** > **ბრაწეული**, არამედ **ბრეწული** > **ბრაწული** > **და-ბრაწული.**

გავიხსენოთ გვარი **ბრეგვაძე (ბრე + გვა).**

(ო. ქ.) **გვაგვაფი** მომრგვალო საგნის მაგრად დაცემის ხმა (პ. ჭარ.); ძლიერი ცემა, ბრაგვანი; მაგრად გადაგდება.

(ო. ქ.) **გვაგუა** იგივეა, რაც გვეგუა, -- დაბეჟვა; დაბეგვა; მაგრად ცემა; გვემა.

(ო. ქ.) **რაგვაფი** დატაკება, დაჯახება; გადაგდება; დაცემა.

ბრეგვა = **ბრე**(ლი) + **გვა**(გვაფი) = ბევრი ცემა.

იგივე შინაარსს შეიცავს გამოთქმა დავბრეგვე (ვცემე).

ბრეგვა-ს შემდგომი განვითარებებია – **ბრეგვა** > **რეგვა** > **დარეგვილი** > **რეგვენი... ბრეგვა** > (რ > 0) > **ბეგვა**.

რეგვა-სთან კავშირში საყურადღებოა ბერძნული **ორეგო**.

oregw [ორეგო] – наносить удар. поражать, ранить.

ასევე **ბრეგვა**-ს, **რაგვაფი**-ს ცოდნის გათვალისწინებით, შემდგომი განვითარებებია: **რანგვაფი, რანგვილი, რანგუა**.

(ო. ქ.) **რანგვაფი** ბრაგუნი.

(ო. ქ.) **რანგვილი** დანგრეული, განადგურებული.

(ო. ქ.) **რანგუა** დანგრევა, დაქცევა, განადგურება.

რანგუა-ს მასალითა და შინაარსის ცოდნით ქართულში შედგა **ნგრევა**. ასევე ცხადია მეგრ. **გვეგუა** > ქართ. **გვემა**.

ვინაიდან **გვა**(გუა) აღნიშნავს დაბეჟილს, დაბეგვილს, დაცეხვილს... მეგრულს გააჩნია:

(ო. ქ.) **გვამი** ნაგავი; ნეხვი, ნაკელი.

ამ ცოდნის საფუძველზე ქართულში შედგა **და-გვა** > **გვის** > **ნა-გავი** > **გვამი**.

ბლაგვი, გვერგვი, გვიმი, გვიმრა, გვირაბი, გვირგვინი, გვირილა, გვირისტი, მორგვი, ჩაგვერი, ჩირგვი...

(ქ.ე.გ.ლ.) **გვერგვი** 1. ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად. 2. კასრზე ჩამოცმული რკინის ან ხის სალტე.

(ო. ქ.) **ქართხა** ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად, -- გვერგვი. ქართხას იყენებენ ჭიშკრის საკეტადაც.

ამ განმარტებით, ხის ან წნელის რგოლის აღსანიშნავად ქართულში გვაქვს **გვერგვი**, ხოლო ოდიშურ კოლხურს გააჩნია **ქართხა** (შემოზღუდული მიწა, მიწიერი, საგანი...); **გვერგვი** წმინდა წარმართული კოლხური კომპოზიტია.

გვერგვი = **გვერ**(ი) + **გვი**.

(ო. ქ.) **გვერი** გველი.

წარმოიდგინეთ წნელის გველივით დახვეული რგოლი და ცხადი ხდება, რომ კომპოზიტ **გვერგვი**-ს პირველი შემადგენელი **გვერ**(ი) (> გველი) გვიხსნის: **გვერგვის** გააჩნია გველივით მოქნილი ფორმა.

გავეცნოთ წარმართული კოლხური **გვი**-ს შინაარსს.

(ო. ქ.) **გვიბალი** მსუქანი, მსხვილი.

(ო. ქ.) **გვიგვა** მსხვილი; მსუქანი.

(ო. ქ.) **გვიგვილი, გვიგვი-ი** 1. თხმელის, ნიგვზის, თხილის, წაბლის ყვავილი; კვირტი, კოკორი; კვირხილა. 2. ბღუჯა, კოშტი მატყლისა, ბამბისა.

(ო. ქ.) **გვიგვინი** მსხვილის, მსუქნის გამოხედვა-ყურება.

(ო. ქ.) **გვიგვინაფა** შეშუპება, გაფუება, გასივება.

(ო. ქ.) **გვიდალი** ჩამრგვალებული.

(ო. ქ.) **გვიზი** წინ გამოშვერილი მუცელი.

(ო. ქ.) **გვიზა** ჩამსხვილებული.

(ო. ქ.) **გვიმი** 1.ჭის თავი. აკეთებდნენ მოღობილს, მთლიანი ხისაგან, ქვისაგან; ხშირი იყო გამომწვარი თიხისა. 2. გვიმი ქვირიში -- ფქვილის ჩასაყრელი ჭურჭელი. მზადდებოდა ხისა ან თიხისა, ჰგავს ჭის გვიმს. შდრ, საბა: გვიმი ჯურღმულის (ჭის) თორნე წყალთათვის.

(ო. ქ.) **გვიმარა, გვიმორა** ბოტან. ეწრის გვიმრა (აქვს მსხვილი, დიდრონი ფოთლები ჯ.კ.).

(ო. ქ.) **გვინდღალი** დაბალი და უშნოდ ჩანსხვილებული.

(ო. ქ.) **გვინჯალი** დაბალი და მსხვილი.

(ო. ქ.) **გვირა, გვირალი** დიდი განიერი; ჟუჟუნა... თოლი გვირა თვალი-ჟუჟუნა.

(ო. ქ.) **გვირაბი** გვირაბი, გამოქვაბული.

(ო. ქ.) **გვირგვინი** 1. გვირგვინი. 2. თავზე წერტილი, საიდანაც თმა მიემართება ირგვლივ და ამით იქმნება წრე, ქოჩორი.

(ო. ქ.) **გვირიშტი** გვირისტი.

(ო. ქ.) **გვიღალი** უშნოდ მუცელგამობერილი.

(ო. ქ.) **გვიხი** 1. მორის ბოძები, რომლებზედაც დაყრდნობილია ფიცრული სახლის საძირკვლე დირეები. 2. ჩალის დასაზვინი ბოძი.

(ო. ქ.) **გვიხალი** გაბერილი (გვიხივით), მსხვილი.

ფორმა **გვი** რომ სიმრგვალეს გამოსახავს, გამორჩეულად იკითხება სიტყვებში:

გვიღალი = **გვი** + **ღალ**(ა) = **მრგვალი** + **ტარება.** ანუ მსუქანი კაცი სიმრგვალეს (მრგვალ ღიპს) ატარებს.

გვიხი = **გვი** + **ხი** = **მრგვალი** + **მიწა** = სიტყვის შინაარსი გვიხსნის, რომ ბოძი მიწაზე არა ჰორიზონტალურად, ანუ გრძივად ძევს, არამედ ბოძი ვერტიკალურ მდგომარეობაშია და მიწას ბოძის თავის მსხვილი და მრგვალი ფორმა ეხება.

ფორმა **გვი** კოლხურ მეტყველებაში გამოსახავს სქელს, მსუქანს, მრგვალს (**გვიმი, გვირა, გვირაბი, გვირგვინი**). მაშინ:

გვერგვი = **გვერ**(ი) + **გვი** = **გველი** + **მრგვალი** = გველის სიმსხო, გველივით მოქნილი და მრგვალი (ხის ან წნელის რგოლი).

გვერგვი-ს ცოდნით შეიქმნა:

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩაგვერა** (კუთხ.) დაბალი და ჩასკვნილი.

ჩაგვერა-ში **ჩა** მიგვანიშნებს სიდაბლეს, ხოლო **გვერა** (< გვერი) სხეულის სიმრგვალეზე.

თქვენთვის უკვე ცხადი უნდა გამხდარიყო რატომ შეიქმნა **გვირალი**-დან გვირილა. ასევე ნათლად გამოიკვეთა **ბლაგვი**-ს, **მორგვი**-ს, **ჩირგვი**-ს შინაარსები.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბლაგვი** რასაც პირი არ უვარგა, რაც ცუდად ჭრის.

ბლაგვი = **ბ** + **ლა** + **გვი** = **მცირე** + **ფორმა** + **მრგვალი** (გაულესავი).

(ქ.ე.გ.ლ.) **მორი** მოჭრილი მსხვილი (ანუ **მრგვალი** ჯ.კ.) ხე, ტოტებგაცლილი და უხეშად გათლილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **მორგვი** 2. მოკლე მორი. – კუნძი.

მორგვი = **მორ**(ი) + **გვი** = **მორი** + **მრგვალი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩირგვი** დაბალი (ნახევარ მეტრამდე) ბუჩქი.

ჩირგვი = **ჩი**(ა) + **რ** + **გვი** = **ჩია** + **არის** + **მრგვალი** = დაბალი მრგვალი (ბუჩქი).

ქართულში დამკვიდრებული **გვიმი**-ს, **გვიმრა**-ს, **გვირაბი**-ს, **გვირგვინი**-ს, **გვირისტი**-ს წარმართულ კოლხურ აზროვნებაზე დამატებითი მსჯელობა უხერხულობის გრძნობას ბადებს.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მაგალითი როცა წმინდა მეგრული სიტყვა **გვერგვი** უცხოა დღევანდელი მეგრული ენის ლექსიკისათვის და ქართული ენის მეტყველების მკვიდრია, ანუ სამეგრელო ეს მხოლოდ ოდიში არ არის.

ბუ, ბუდე, ბუდნა, ბუზი, ბუთხუზი, ბუკი[2], ბულული, ბუმბლი, ბუმბული, ბუნაგი, ბუნჩულა, ბუნჯგალი, ბუჟუჟი, ბური, ბურბური, ბურბუშელა, ბურთი, ბურვაკი, ბურკვი, ბურტყლი, ბურღი, ბუსკნაობა, ბუსკნა, ბუსკულა, ბუქი, ბუქნა, ბუღი, ბუღა, ბუღაძე, ბუშტი, ბუჩო, ბუჩქი, ბუძგი, ბუწკი, ბუჭულა, ბუჭყა, ბუხულა, ქარ-ბუქი, წიწიბურა.

ჩამოთვლილ სიტყვათა მნიშვნელობებს აერთიანებთ ფორმანტ **ბუ**-ს კოლხური შინაარსი, ანუ ფორმანტი **ბუ** გამოსახავს სიმრგვალეს. მაგალითად, ჩვეულებრივ მდგომარეობაში ადამიანის სხეულის ფორმა გრძივია, ხოლო ბუქნის (ჩაბუქნის)

მდგომარეობაში, მისი სხეულის გარეგნული ფორმა შედარებით მრგვალდება. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოგაწვდით ერთ საინტერესო მაგალითს.

(ო. ქ.) **ბუსკული** ბურცი, -- ბუშტივით ამობურცული რამ; მეჭეჭი. ბუსკული მიკოჩანს ჯას – ბურცი აქვს (ამოსული) ხეს.

(ო. ქ.) **ბუსკულამი** კოპეშია ბოტან. მეჭეჭიანი გოგრა

(ო. ქ.) **ბუსკა//ბუსქა** 1. ხარის ან კამეჩის სახელი. – აშო ბუსკა, ვიშო ჩელა, ნჯარით ვორექ ნდღვილაფირი – აქეთ ბუსკა (ხარი), იქით ჩელა (თეთრონი), ჯავრითა ვარ დამდნარი. 2. მსუქანი, ბუთხუზა, ჩაფსკვნილი. ჩქიმი ბუსკა ბოში – ჩემი ჩაფსკვნილი ბიჭი. შდრ. იმერ. გურ. ბუსკუნჭულაჲ დაბალი ტანის ჩაფსკვნილი. აჭარ. ბუსკუტაჲ ბუთხუზა, ჯანიანი, ჯან-ღონით სავსე ბავშვი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუსკნაობა** რქოსანი პირუტყვის ჭიდაობა.

ბუსკული არის არა კოლხური სიტყვა, არამედ ლათინური **მუსკული**-ს [< ლათ. musculus -- კუნთი] კოლხური გამოთქმაა. სხეულის კუნთი იკითხება როგორც ამობურცული, მრგვლოვანი ფორმა; კოლხურმა მეტყველებამ ამ მრგვალი ფორმის გამოსახავად ვერ იგუა ლათინური ფორმა **მუსკული** და იგი გამოთქვა მისთვის ჩვეული ფორმით **ბუსკული**. ლათ **მუ** > კოლხ. **ბუ** და შესაბამისად გვაქვს კახურ დიალექტში:

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუსკულა, ბუსლუკა** კუთხ. (კახ.) გოჭი ორ თვემდე.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუსკნა** მადიანად ჭამა (იტყვიან, უპირატესად, ბავშვზე).

ბუღა = ბუ + ღა(ლა) = **მრგვალი + ტარება** = მრგვალი (კუნთოვანი, მუსკულებიანი სხეულის) მატარებელი > გვარი **ბუღაძე**.

საინტერესო განვითარებები პოვა მცნება **ბუღა**-მ. კუნთოვანი (მუსკულებიანი) სხეული სიძლიერის ნიშანია, ფორმათა სიმრგვალე კი სიფუმფულის შეგრძნებას ბადებს და შესაბამისად წარმართულ კოლხურში მივიღეთ:

(ო. ქ.) **ბუღაზი** მდიდარი, მაძღარი.

(ო. ქ.) **ბუღლი** რბილი, ფუმფულა.

ქრისტეანულ კოლხურში (ქართულში) **ბუღა**-ს შინაარსიდან წარმოდგა:

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუღაური** 1. სვეტის თავი. 2. სვეტის თავზე დადებული ხის ნაჭერი, რომელზედაც დაყრდნობილია მთავარი კოჭი.

სვეტის თავი მრგვალია, ანუ **ბუღაა** (მრგვალი ფორმის მატარებელი).

ბუჩქი

(ო. ქ.) **ჩქიჩქი** ჩვილი, ბავშვი.

ბუჩქი = ბუ + ჩქი = მრგვალი + პატარა.

ბუძგი

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუძგი** 1. წაბლის ეკლიანი ბუდე. 2. ზღარბის ეკლიანი გარეთა საფარი.

(ო. ქ.) **ბუძგი** ბუძგი, ეკლები წაბლის ნაყოფზე.

(ო. ქ.) **ძგა** კიდე, გვერდი, ნაპირი.

ბუძგი = ბუ + ძგ(ა) = **მრგვალი + გვერდი**, კიდე, წაბლის ეკლიანი ბუდე, ზღარბის ეკლიანი გარეთა საფარი.

ძგა > **ბუძგი**-ს შემდგომი განვითარებებია – **ბურძგი, ბურძგალი, ბურძგლიანი, ბურძგვნა...**

ბურთი = ბუ + რთ(ილი) = **მრგვალი + გამოყოფილი** = ბურთის ძირითადი თვისება ისაა, რომ თამაშისას იგი ხშირად გამოეყოფა მიწის, იატაკის ზედაპირს, ანუ ხტის.

ბუდე = ბუ + დე(ვს) = პატარა და მრგვალი დევს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუჭყა** 1. მაგარმხრიანი მწერების სახელწოდება. 2. იგივეა, რაც **ხოჭო**.

ბუჭყა = ბუ + ჭ + ყა = მრგვალი + პატარა + მიწიერი წარმონაქმნი..

ხოჭო = ხო(ხუა) + **ჭო = ხოხვა + პატარა** (დაბლა) = დაბლა პატარა მხოხავი.

ხოჭო-ს შინაარსის განმარტების მართებულებას ხაზს უსვამს:

(ო. ქ.) **ხოჭოჭია** ხოჭოს მსგავსი, პატარა, კანმაგარი მწერი.

ბუჭულა

(**გუბაზ გოგატიშვილი** „ფშაური ლექსიკა“ 49): „[ფშავში გავრცელებულია წისქვილთა შემდეგი სახელწოდებები:] ღარის წისქვილი, კოდის წისქვილი, წისქვილა (პატარა წისქვილი) და მისი სინონიმური ვარიანტი ბუჭულა. ესენია უკანა ფშავის ბუნებრივი პირობებისათვის გათვალისწინებული მცირე მუშა-ქვით გამართული წყალწისქვილის სახეები, რომელთაც ზოგადად **ბუჭულა || ბუჭურა** ეწოდება. მათ უპირისპირდება **ხანიერი** (დიდი) კალოს მქონე დოლაბ წისქვილი, რომელიც წინა ფშავსა და ივრის ხეობის ბარის ზონის სოფლებში დასტურდება".

თავდაპირველად დააკვირდით იმ ფაქტს, რომ ფშაური **ხანიერი** მცნება **ხნიერი**-ს მეგრული გამოთქმაა:

(ო. ქ.) **ხანიერი** იგივეა, რაც ხანერი -- ხნიერი.

ამრიგად, წარმართული კოლხური **ხანიერი** (= წლოვანი, ანუ დიდი ხნის, ანუ დიდი) ფშავში, ამ შემთხვევაში, დამკვიდრდა მცნება დიდის აღსანიშანავად.

(ო. ქ.) **ჭურა**[3] წისქვილის ნაწილი. წისქვილის მუშაობის დროს გოჟოს პირიდან გადმოსული მარცვალი რომ არ დაიკარგოს, წისქვილის ზედაქვის პირზე ვდგამდით პირფართე ჭურას.

(ო. ქ.) **ჭურუ** პატარა.

ე. ი. მცირე მუშა-ქვით გამართული წყალწისქვილის მუშა-ქვა მრგვალია და ამ სიმრგვალის გამოსახავად გამოიყენეს ფორმა **ბუ** (**ბუ**-რთი, **ბუ**-შტი...), ხოლო მუშა ქვის სიმცირე გამოისახა **ჭურუ**-თი და მიღებულ იქნა კომპოზიტი:

ბუჭურუ = ბუ + ჭურუ = მრგვალი + პატარა > ბუჭურა || ბუჭულა.

ბუჭურა-სთან დაკავშირებით მახსენდება ჰაიკთა მეტყველებაში დამკვიდრებული კოლხური **ბუჭურა**-ს ასევე კოლხური სინონიმი **პუჭურა** (პატარა).

წიწიბურა = წი + წი + ბურა = პატარა + პატარა + მრგვალი.

ე. ი. თუ ქარიშხალი ნიშნავს ისეთი სიძლიერის ქარს, რომელიც გარშემო სახლებს და ხეებს ხეთქავს, ქარბორბალა ქარის ძლიერ მბრუნავ მოძრაობაზე მიგვანიშნებს, ქარბუქი ქარისაგან ჰაერში ატანილ თოვლის ან მტვრის მრგვლოვანი ფორმის მასას გვიხატავს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ბუქი** ქარისაგან ჰაერში ატანილი თოვლი ან მტვერი. – კორიანტელი.

ბუნაგი, ნიანგი, ხაფანგი.

(ო. ქ.) **ხაფა** – მოგება, შობა. ხაფას ქიდიჭყანს თხა დო შხურინი, ოკო ხენწყუალა – მოგებას რომ დაიწყებს თხა და ცხვარი, უნდა ხელშეწყობა.

(ო. ქ.) **ხაფილი** – შობილი, მოგებული.

წარმართული კოლხური აზროვნებით, – ყოველივე გარშემო მიწიერი წარმონაქმნია, ანუ მიწა დედაა, მშობელია და შესაბამისად შობის, მოგების პროცესის გამოსახვა მიწისავე მცნების აღმნიშვნელ თანხმოვან **ხ**-ს დაეკისრა.

ხაფა = ხ + აფა = მიწა (მიწიერი) + **მოქმედება** = მოგება, შობა.

ხაფანგი = ხაფა + ნ + გი(მე) = **მოგება + დედა** (სასურველი) + **დაბლა** (მიწაზე) = სასურველი (ნადირის) მოსაგები (ანუ დამჭერი) მიწაზე.

ე. ი. თუ შენი ცხვარი ბატკანს მოიგებს, შობს, შენს მიერ დაგებული **ხაფანგი** შენთვის სასურველ ნადირს თუ არა, თაგვს მაინც მოიგებს, დაიჭერს.

კომპოზიტ **ხაფა + ნგი**-ს მეორე შემადგენელს ეხმიანება **ბუნაგი**.

ბუნაგი = **ბუ** + **ნა** + **გი**(მე) = **მცირე და მრგვალი** (ბუდე, ხვრელი) + **დედა** (სასურველი, საცხოვრისი) + **დაბლა** (მიწაზე, მიწაში) = 1. გარეული ცხოველის, ნადირის სადგომი. 2. გადატ. ბინა, თავშესაფარი.

სახელწოდება **ნიანგი** ასევე ამ **ხაფანგი**-ს, **ბუნაგი**-ს ცოდნიდანაა შექმნილი და **ნია** ამ შემთხვევაში წყლის მცნებას გამოსახავს (**ნია**-ღვარი); მაშინ სახელწოდება ნიანგი წყალში მაცხოვრებელს ნიშნავს.

ნიანგი = **ნია** + **ნ** + **გი**(მე) = **წყალი** + **დედა** (საცხოვრისი) + **დაბლა** = წყლის სიღრმეში მაცხოვრებელი.

გმირი, ჯიქი.

დღევანდელ ქართულ ენათმეცნიერებაში არსებობს აზრი, რომ ტერმინი **გმირი** საქართველოში შეიქმნა ოდესღაც (ძვ. წ. VIII--VII ს.ს.) ჩრდილოეთში მომთაბარე კიმერიელთა ტომების კოლხეთში შემოსევის შემდგომ, ანუ კიმერიელებს თავიანთი სიმამაცით ისე განუცვიფრებიათ ლაზ-მეგრელები, რომ რატომღაც ქართულში შეიქმნა მცნება გმირი [**კიმერი** > (კ > გ, ი > 0, ე > ი) > **გმირი**]. ასევე დამკვიდრებულია შეხედულება, რომ იგივე ლაზ-მეგრელთა ჩრდილო მეზობლების **ჯიქების** (სინამდვილეში **ძიხები**-ს) შეუპოვარი ბუნების გამო ქართულში წარმოდგა სახელწოდება **ჯიქი** და ტერმინი **ჯიქური**. რასაკვირველია განმარტებები მცდარია. უცხო ეროვნებათა სახელწოდებებიდან ჩვენ სახელწოდება **ბერძენი**-დან შევქმენით მცნება **ბრძენი**, სახელწოდება **ოსი**-დან **დაოსება** (ძალის გამოლევა შიმშილისაგან, სიცხისაგან...) და სახელწოდება **ციგანი**-დან **ციგანი** (ცუღლუტი, გაიძვერა).

გმირი და **ჯიქი**, ეს ორი განსხვავებული მნიშვნელობის კოლხური სიტყვებია.

(ო. ქ.) **გიმე** ზმნზ. დაბლა, ძირს, თავქვე, ქვევით.

(ი. ყ.) **გიმ** || **გგმ** **გგმუა** срывать колосья с гоми и проса, жать. **გიმირი** сорванный, ма-гиималли жнец.

იოსებ ყიფშიძის მიერ დაფიქსირებული **გიმირი**-ს (მოწყვეტილის) ნაცვლად სადღეისოდ დამკვიდრებულია ფორმა **გიმილი** (მომკილი). **გიმირი** შედარებით აზრობრივად გამართული ფორმაა, ვიდრე **გიმილი**.

სანამ მკას ისწავლიდნენ, ადამიანები ბევრად ადრე ხეებიდან ნაყოფს წყვეტდნენ. თავად მწიფე, მოსაწყვეტი ნაყოფიც დაბლით, მიწისკენაა მიმართული, როგორც, მაგალითად, სამკალად მზა ხორბლის თავთავი თავდახრილია. მოსაწყვეტი ნაყოფი ზრდასრულია, მწიფეა, მშვენიერია და თუ დროზე არ მოწყვიტე. ის ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავივით თავისით წყდება ხის ტოტს და ეშვება ძირს. აი ამ მდგომარეობას გამოსახავს **გიმირი**.

გიმირი = **გიმ**(ე) + **ირი**(ათო) = დაბლა მუდამ.

თითქოს გაუგებარია რა კავშირი უნდა არსებობდეს მოწყვეტის პროცესსა და გმირის მცნებას შორის, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი წინაპრები, ჩვენგან განსხვავებით, ტელევიზორების ნაცვლად, ცას დღისითაც და ღამითაც ხშირად აკვირდებოდნენ, უნდა მივხვდეთ, რომ კოლხებისათვის მოწყვეტის პროცესი ასევე ციდან ვარსკვლავის მოწყვეტასთან ასოცირდებოდა. დღესაც, როცა გვსურს ადამიანის ფიზიკური სილამაზე („სიმწიფე") სიტყვიერად გამოვთქვათ, ვიტყვით – ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავსა გავსო. მსგავსად უდრეკი ვაჟკაცი მტერს როგორც ციდან მოწყვეტილი ელვა ისე ეკვეთება მტერს. ასევე თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენი წინაპრები სილამაზესა და სიძლიერეს ტოლფას მცნებებად აღიქვამდნენ, ნათელი უნდა იყოს თუ რატომ წარმოდგა მცნება **გიმირი**-დან (მოწყვეტილიდან, მწიფედან, სასურველიდან) სახელწოდება **გმირი**.

ქართული **ჯიქი** წარმოდგება წარმართული **ჯიქა**-დან.

(ო. ქ.) **ჯიქა, ჯიქალი** უშნოდ დიდი, ზორბა; ახმახი, აყლაყუდა. შდრ. მუნდ[ი]ჯიქა.

ჯიქა = ჯი + ქა = ძირს რქა = ძირს (მიწაზე მდგარი) რქასავით, მთასავით.

(ო. ქ.) **ჯიქინი** დაყუდება ახოვანი ადამიანისა; ახმახის ყურება.

(ო. ქ.) **ჯიქირი** კლდე-სვეტი.

ჯიქირი = ჯიქ(ა) **+ ირი = დიდი + მუდამ.**

წარმართული **ჯიქირი**-ს ასოცირებაა ქართული **ჯიქა**[2].

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯიქა**[2] 1. ძალზე დაქანებული დაღმართი. 2. თაღის კამარაში მოქცეული არე.

(ო. ქ.) **ჯიქუა** დიდის ყუდება; ახოვნის გამოხედვა (ყურება).

(ო. ქ.) **ჯიქური** პირდაპირი, შეუპოვარი; ზღვიდან მქროლი ძლიერი ქარი.

ცხადია წარმართული **ჯიქური** > ქართული **ჯიქური** > (ურ > 0) > **ჯიქი**.

ჯიქა-ს მიენიჭა ზოგადად მცნებების დიდის, მსხვილის, ამობურცულის გამოსახვის უნარი.

(ო. ქ.) **მუნდიჯიქა** საჭდომმსხვილი, საჯდომგამობურცული.

და ქართულში მივიღეთ – **ჯიქანი**

ჯიქანი = ჯიქა + ნი = გამობურცული სასურველი (მდედრის).

გოზინაყი, გოზვა, ნაყინი, ნიგოზი, ყინჩი

გოზინაყი ესაა თაფლში აზელილი წვრილად დაჭრილი ნიგოზის, ნუშის ან თხილის მასის ხარშვის შედეგად მიღებული მკვრივი, მტკიცე ფორმა. აი ამ შედეგს გამოსახავს **გოზინაყი**-ს კოლხური შინაარსი:

(ო. ქ.) **ზიზინაფა** – 1. ზიზინება, გავსება მეტისმეტად. 2. გადამწიფება (ხილისა). 3. ძალზე გაძღომა.

(ო. ქ.) **გოზიზინაფილი** – გაზიზინებული, ძალიან გავსებული; გასუქებული.

ფორმა **ნაყინი** მეგრული ენის ცოდნითაა შექმნილი.

(ო. ქ.) **ნა-** პრეფიქსი აწარმოებს: 1. ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობას: ნა-ჭვ-ი ნაწვი; ნა-რჩხ-ი ნარეცხი; ნა-ბირ-ა ნამღერი.

(ო. ქ.) **ცინი** ყინული.

ე. ი. **ყინი** > **ნა-ყინ-ი** = გაყინული; ქართულად უნდა გვქონოდა ნაყინული ან გაყინული.

ამრიგად:

გოზინაყი[1] **= გოზი**(ზინაფილი) **+ ნაყი(ნი) = გაზიზინებული** + **გა-ყინული.**

ნაყინი = ნა + ყინი =სასურველი + ყინული.

გოზინაყი[2] = **გოზი**(ზინაფილი) + **ნა** + **ყინი** = **გაზიზინებული** + **სასურველი** + **ყინული**(ვით).

გოზინაყი გვიხსნის, რომ მიღებული ფორმა სავსეა, გაზიზინებულია ნიგოზის, ნუშის ან თხილის წვრილი ნაჭრებით, წარმოადგენს ყინულივით მტკიცე მასას და სასურველია; ხოლო **ყინი**-თ, ანუ ყინულის მცნებით, რომ ასევე სიმტკიცის მცნება გამოისახებოდა, მიგვანიშნებს მეგრული **ყინიორი**.

(ო. ქ.) **ცინიორი** კერკეტა ნიგოზი.

ყინიორი-ში **ყინი** კერკეტა ნიგოზის ნაჭუჭის ყინულის მსგავს სიმტკიცეზე მიგვითითებს.

აქვე ავხსნათ **ყინჩი**.

(ო. ქ.) **ცინჩი** მკვახე; ცუდმოუბარი; უკადრება; ცივი და მკაცრი; უხეში.

(ო. ქ.) **ცინჩალა** ვისაც სიმკვახე, სიმკაცრე, სიცივე ახასიათებს.

(ო. ქ.) **ცინჩინი** ამაყობა, მამლაყინწობა, ყინჩვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყინჩი** კარგი. ლამაზი. მოხდენილი. **ყინჩი** ვაჟკაცი.

ეტიმოლოგიური შინაარსით **ყინჩი**-ს მეგრული განმარტებებია მართებული, ვინაიდან:

ყინჩი = **ყინ**(ი) + **ჩი** = **ყინული** + **ციური** (მაღლა) = (ყინულივით) **ცივი და** (ცასავით) **უკარება**.

ფორმა **გოზი** (გოზიზინაფილი) შემადგენელია და განმსაზღვრელია **ნიგოზი**-სა და **გოზვა**-ს სიტყვათა შინაარსებისა. ანუ **ნიგოზი** გვიხსნის, რომ კაკალი სავსეა, გაზიზინებულია ნაყოფით, ხოლო **გოზვა** ნიშნავს **საგოზავ**ით (წებოვანი ბლანტი სითხით) ცარიელი ადგილების, ჭუჭრუტანებისა და ხვრელების ამოვსებას, გაზიზინებას (< გოზიზინაფა-ს).

(ქ.ე.გ.ლ.) **გოზაური** ღვინო-არყის ჩასასხმელი მოზრდილი თიხის ჭურჭელი.

ცხადია სახელწოდება **გოზაური**-ს არსი ბახუსის სამყაროს ფსიქოლოგიაა; ანუ სასურველია **გოზაური**-ს, თიხის ჭურჭლის, ღვინით ან არყით სრული გოზიზინაფა (> გაზიზინება).

გონჯაობა – ძველი ხალხური რიტუალი, გვალვის დროს გონჯათი ხელში კარდაკარ სიარული და ვედრება წვიმის მოსაყვანად.

(ქ.ე.გ.ლ.) **გონჯა** (ძვ.) ერთმანეთზე ჯვარედინად დამაგრებული ორი ჯოხი ადამიანის ფორმისა ძონძებში გახვეული. დაჰქონდათ კარდაკარ გონჯაობის დროს.

ცხადია **გონჯა** > **გონჯი** (მეტისმეტად ულამაზო, მახინჯი). თავად მეგრულში **გონჯი** ნიშნავს საზომ ერთეულს **გოჯი**-ს.

სახელწოდება **გონჯა** ბერძნულ-კოლხური კომპოზიტია – **გონ** + **ჯა**.

gwnia [გონია] – угол, угольник.

(ქ.ე.გ.ლ.) **გონიო** – სწორკუთხა სახაზავი, -- მკუთხავი; იხმარება სადურგლო-სამშენებლო საქმეში, სწორი კუთხეების გამოსაყვანად.

გონჯა = **გონ**(**იო**) + **ჯა** = **სწორკუთხებიანი** (გადაჯვარედინებული) + **ხე**.

როცა **გონჯაობა** საქართველოში ფეხს იკიდებდა, ქვეყანა უკვე ბერძნულ გავლენას განიცდიდა, მხოლოდ **ხეს** ჯერ კიდევ **ჯა** ეწოდებოდა.

გრეხვა

(ო. ქ.) **გრეხი** 1. ბოტან. ვაზის ერთგვარი ჯიშია, თეთრი, ისხამს მსხვილ მარცვალს, ღვინო დგება კარგი. 2. კალათის ზევით გადასადები (გადასაწნავი).

(ო. ქ.) **გგრეხი** ბოტან. ვაზის ჯიში; შავი, მაგარი და გემრიელი მარცვალი იცოდა, დიდ მტევანს ისხამდა.

ვაზის სხეული დაგრეხილია, ასევე კალათის ზევით გადასადები იგრიხება. ე. ი. **გრეხი** > **გრეხილი, გრეხვა**.

დაზღვევა, ზღარბი, ზღვა, ზღვარი, საზღაური, უზღვავი, ძაბვა, ძაბუნი, ძღომა.

ჩამოთვლილი ქართული სიტყვები წარმოდგებიან წარმართული **ძღა-ბი**-ს შინაარსის ცოდნიდან.

(ო. ქ.) **ძღაბი** გოგო, ქალიშილი.

ძღაბი მეგრულში გამოითქმის როგორც შემოკლებული, ასევე კნინობითი ფორმებით.

(ო. ქ.) **ძღაბაია** კნინობ. გოგონა.

(ო. ქ.) **ძღაბურია** ქალაბიჭა.

(ო. ქ.) **ძღაბუტია** კნინობ. გოგონა, გოგოცუნა.

(ო. ქ.) **ძაბუტია** კნინობ. გოგონა.

(ო. ქ.) **ძღა** (< ძღაბი) გოგო.

(ო. ქ.) **ძა** (< ძღაბი) გოგო.

(ო. ქ.) **ძაბი** (< ძღაბი) გოგო.

(ო. ქ.) **–უნია** სუფიქსი კნინობითი სახელების ერთი ჯგუფის მაწარმოებელია: **ძაბ-უნია** (შდრ. **ძაბი** გოგო) გოგონა; აკაბუცუც-უნია ძალიან პატარა, უპატარავესი. ციბა კატა და ციბ-უნია.

აღსანიშნავია, რომ **-უნი** გვხვდება უკრაინულ გვარებშიც: ცვიგ**უნი**, ხრიკ**უნი**...

ძაბი აღნიშნავს გოგოს, ხოლო **ძაბუნია** კიდევ უფრო პატარა გოგოს და ვინაიდან პატარა გოგო სუსტია, უძლურია, **ძაბუნია**-ს მიენიჭა **უძლურ**ის მნიშვნელობა.

(ო. ქ.) **ძაბუნი** უძლური, უნიათო, მშიშარა, -- დაძაბუნებული. **ძაბუნია** კნინობ. **ძაბუნა**. მა სი მუშენი დგმოგორი, სი სარალე ძაბუნია: შენ მე რატომ მაგინე, შე საბრალო (და) **ძაბუნო**.

მსგავსი მაგალითებია **ოსურია** და **ძღაბურია**. ქალს მეგრულად ეწოდება **ოსური**, ხოლო **ოსურია**, ქალის სახელის კნინობითი ფორმა, აღნიშნავს **ქალაჩუნა**-ს; ასევე **ძღაბურია** აღნიშნავს **ქალაბიჭა**-ს. მსგავსია ქართული **ქალი** > **ქალაჩუნა**.

წარმართული **ძაბუნი** უცვლელი ფორმითა და შინაარსით დამკვიდრდა ქართულში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ძაბუნი** ძალას მოკლებული, -- უძლური, უნიათო. || სიმხნევეს მოკლებული.

ძაბუნი ადამიანი იძულებულია მოქმედებისას თავის ძალები მაქსიმალურად და-ძაბ-ოს და აქედან უკვე ქართულში გვაქვს **ძაბვა**. ანუ 20 კილოგრამიან შტანგას მრავალი აწევს, მხოლოდ 100 კილოს აწევისას უკვე ძლიერი სპორტსმენებიც **იძაბებიან**. ხოლო რეკორდული წონის წინაშე ისინიც **ძაბუნდებიან**.

ძაბვა = **ძაბ**(უნი) + **ვა** = **ძაბუნი**(ს) + **მოქმედება**.

ძღაბი-დან **ძაბუნი**-ს წარმოქმნა ძირითადად **ძღაბი**-ს კოლხურმა ლოგოგრამულმა აზროვნებამ განაპირობა.

ძღაბი = **ძ**(ალა) + **ღა**(ლა) + **ბი** = **ძალა** + **ტარება** + **მცირე** = მცირე ძალის მატარებელი.

ჩვენი მსჯელობის მართებულებას ადასტურებს:

(ო. ქ.) **ძღაბქუცამი** იგივეა, რაც ძღაბქურცამი -- ზღარბი.

(ო. ქ.) **ქუცამი** ქაცვიანი, ეკლიანი.

ძღაბქუცამი = **ძღაბ** + **ქუცამი** = **ძ**(ალა) + **ღა**(ლა) + **ბ** + **ქუცამი** = **ძალა** + **ტარება** + **მცირე** + **ეკლიანი** = ეკლიანი მცირე ძალის მატარებელი || ეკლიანი პატარა (ცხოველი).

ძღაბ-ი გოგონას მნიშვნელობით განსაზღვრავს გოგონას სხეულის უძალო, უღონო აგებულებას, ხოლო ზღარბის გამოსახვის შემთხვევაში წარმოგვიდგენს ზღარბის სხეულის მცირე მოცულობას, რომელიც შესაბამისად მცირე ძალის პატრონიცაა.

ჩვენ გავარკვიეთ ჰარმონიული წყვილის **ძღ**-ს შინაარსი – **ძალის ტარება, მოძრაობა** და ზღვის ტალღების მუდმივი მღელვარება, გოლიათური ტორტმანი, უძლიერესი ძალის მოძრაობის გამორჩეული დემონსტრაციაა. ეს აისახა კიდეც წარმართულ კოლხურში ფორმით – **ძღვა**.

(ო. ქ.) **ძღვა** ზღვა.

ძღვა = **ძ**(ალა) + **ღ**(ალა) + **ვა** = **ძალა** + **ტარება** (მოძრაობა) + **მოქმედება** = ძალოვან (ძლიერ) მოძრაობათა მოქმედება.

როგორც წარმართული **ძღვა**-დან თავად მეგრულში და ქართულშიც შედგა **ზღვა**, ასევე წარმართული **ძღაბქურცამი**-ს ცოდნით ქართულში მივიღეთ **ზღარბი** და ამის შემდგომ **ზარბუნა** (მომცრო ნავი **ს.ს.**).

(ს. ს.) ზღარბი ნ. გრძღაბი.

(ს. ს.) ძღარბი ნ. გრძღაბი.

(ს. ს.) გრძღაბი (ოთხფ.) დიდი **ძღარბი**. ბუძგი ეწოდების პატარა **ძღარბსა**, ხოლო **ძღარბი** ეწოდების დიდს **ძღარბს**, რომელსა ერთ მტკაველი **ეკალი** აქვს, ხოლო ზღვის **ძღაბსა** ექინი ჰქვიან.

კოლხურ მეტყველებაში თანხმოვნების **ზ**-სა და **ძ**-ს ურთიერთშენაცვლება უცხო თვისება არ გახლავთ, მაგალითად: მეგრული ენის ლექსიკით **ზაბაკუა** და **ძაბაკუა** აღნიშნავენ ერთი და იგივე მოქმედებას – **ტკეპნა**-ს; მსგავსია მეგრული **ფუზე** და ქართული **ფუძე**, სულხან-საბას ლექსიკონი კი იცნობს ერთი და იგივე მნიშვნელობის მატარებელ როგორც **ფუზე**-ს, ასევე **ფუძე**-ს; **ზახილი**-ს და **ძახილი**-ს.

ძღვა > **ზღვა** რომ ძალისმიერ მოძრაობას განსაზღვრავს, იკითხება **ზღვა** ფუძიდან წარმომდგარი სიტყვების მომე-**ზღვ**-ება > მიე-**ზღვ**-ება > მიე-**ზღო** > **ზღავ**-ს > სა-**ზღა**¬-ური > **ზღვ**-ევა > და-**ზღვ**-ევა > უ-**ზღვა**-ვი-ს შინაარსებითაც.

ძღვა > **ზღვა**-ს ცოდნის შედეგია:

(ო. ქ.) ზღვარზღვალი კოკისპირული წვიმა, თავსხმა, თქეში.

(ო. ქ.) ზღვარუა 1. მაგრად დასველება. 2. მაგარი წვიმა.

(ქ.ე.გ.ლ.) ზღველა კუთხ. (იმერ.) დიდი კოკისპირული წვიმა, -- თქეში (ზღვა წვიმა ჯ.კ.).

ვინაიდან ხმელეთისაგან განსხვავებით, **ზღვა**-ს შედარებით მკაფიოდ გამოხატული ჰორიზონტი გააჩნია, ქართულში მივიღეთ მცნება **ზღვარი** და შესაბამისად აგლუტინაციით აშენდნენ: სა-**ზღვა**-რი > მე-**სა-ზღვ**-რე > უ-**სა-ზღვ**-რო > გან-სა-**ზღვ**-რება...

კვება აუცილებელი პროცესია ადამიანის, ცხოველის... ძალოვანი, **ძღ** მოქმედებებისთვის, მოძრაობებისთვის; ამდენად, წარმართულ კოლხურში გვაქვს:

(ო. ქ.) რძღაფა [გა]ძღომა... შდრ. ლაზ. ძღ: ოძღუ, ძღუ გაძღომა.

(ო. ქ.) ძღგ ქონი.

ქართულში იგივე წარმართული კოლხური ჰარმონიული წყვილის **ძღ**-ს აზროვნების ცოდნის შედეგად შეიქმნა **ძღ-ომა** და:

ძღნერი = **ძღ**(ომა) + **ნე** + **რი** = **ძღომა** + **ტკბილი** + **არის** = ძღომით ტკბობის (შედეგი) არის.

დაროხვა (ზ. აჭარ.) სიმინდის, ხორბლის მსხვილად დაფქვაა. ამავე მნიშვნელობით ფშაურში გამოიყენება დაროხვა // დაღერღვა, რაც ცუდად და მსხვილად დაფქვის ეპითეტია (გ. გ. 55).

ცხადია **დაროხ**ვა-ს ფუძეა **როხ**-ი.

(ო. ქ.) როხი ქვა-ღორღიანი ადგილი; ლოდი.

(ო. ქ.) როხანა ქვიანი ადგილი.

(ო. ქ.) როხოია როხროხა.

(ო. ქ.) როხუა დაყრა.

(ო. ქ.) ქოროხი ადგილზე იტყვიან: 1.მიყრილ-მოყრილი (საგნები). 2. გადატ, მაგარი.

დაყურსვა (გურ.) – ძალზე დატვირთვა; დაყურსული (გურ., იმერ., ლეჩხ.) – ნაყოფით ძალზედ დატვირთული ტოტი. დამძიმებული, დაწმენდილი; **დაყურსვა** (ფშ., ქართლ.) – დადუმება, განაბვა; დაყურსული (ფშ.) – განაბული, გარინდებული.

დაყურსვა-ს, **დაყურსული**-ს ფუძეა მეგრული ზმნა **ყურსუა**.

(ო. ქ.) **ყურსუა** 1. გაჩუმება, წყნარად ყოფნა; განაბვა, გალურსვა. 2. დახუნძვლა (ნაყოფით).

(ო. ქ.) **ყურსილი** 1. გაჩუმებული, განაბული, გალურსული. 2. დახუნძლული (ნაყოფით).

ერქვანი

(ო. ქ.) **ერქვანი** კავის სახელური... თუშ., რაჭ., ლეჩხ. ერქვანი გუთნის სახელური.

(ქ.ე.გ.ლ.) **ერქვან-ი** 1. (ძვ.) გუთანი. 2. გუთნის სახელური (საქართველოს ზოგ კუთხეში).

ერქვანი ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ გუთნის სახელურს. გუთანს ამოძრავებენ მათში შებმული ხარები, მეგუთნეს ხელი ჩავლებული აქვს გუთნის სახელურზე (ერქვანზე), რომელიც თავისებურ საჭეს წარმოადგენს და მეგუთნე ერქვანით აკონტროლებს გუთნის სასურველ სიღრმეზე და მიმართულებით სვლას; შესაბამისად, მეგუთნე გუთნის სახელურს ხელჩაკიდებული უკან მიყვება გუთანს. აი ამ პროცესს სრულად ასახავს სახელწოდება **ერქვანი** (**ერ** + **ქვა** + **ნი**).

ერქვანი-ში ფორმანტი **ერ** იკითხება როგორც **ერთინაფა**.

(ო. ქ.) **ერთინაფა** აბრუნება, ამუშავება, ატრიალება, ამოძრავება.

ე. ი. **ერთინაფა** ზუსტად ასახავს გუთნის დანიშნულებას – ამოაბრუნოს, ამოატრიალოს მიწის ზედაპირი.

მეორე შემადგენელი **ქვა** შეკვეცილი **ქვაქვალი**-ა.

(ო. ქ.) **ქვაქვალი** კოხტად, მოხდენილად, მსუბუქად სიარული.

ქვაქვალი ზუსტად გამოსახავს გამოცდილი მეგუთნის გუთნის უკან სვლას, გუთნის მიდევნებას.

ერქვანი = **ერ**(თინაფა) + **ქვა**(ქვალი) + ნი = ამოტრიალება (მიწის ზედაპირის) + **მოხდენილად სვლა** + **სასურველი.**

ამრიგად, სახელწოდება **ერქვანი** ზუსტად ასახავს გუთნის სახელურის დანიშნულებას -- მეგუთნე, მიწის ზედაპირის დასახნავად, გუთანს გუთნის სახელურზე (საჭეზე) ხელჩაკიდებულმა უკან უნდა სდიოს ქვაქვალით (მოხდენილად).

ვეება, ვეებერთელა

(ო. ქ.) **ვე, ვეე** ველი, მინდორი.

(ო. ქ.) **ვედიდი** დიდი ველი.

(ო. ქ.) **ვეება** ვეებერთელა.

(ო. ქ.) **ბერთი**, ბერტი ბელტი.

(ი. ყ.) **ბერთი, ბერტი** (г. ბელტი) глыба.

ბერთი ნიშნავდა როგორც ბელტს, ასევე ქვის **ლოდს**, ხოლო **ვეე** გამოსახავს ველის, მინდვრის სივრცეს.

ვეებერთელა = **ვეე** + **ბერთი**(ელა) = **სივრცე, ფორმა** + **ლოდი** (ფორმა, საგანი) = დიდი ფორმა.

ვეებერთელა > **ვეება**.

კათხა – ხის მოზრდილი სასმისი. ღვინის **კათხა** (ქ.ე.გ.ლ.).

კათხა (ლეჩხ.) – რაგვებისაგან (გაუთლელი მორებისაგან) გაკეთებული დაბალი სახლი; **კათხა** (გურ.) – შხამიანი გველი; **კათხა** (გურ., ლეჩხ., ხევს., ფშ.) ხის სასმისი, იგივე **კოჩხა** (**გუბაზ გოგატიშვილი** „ფშაური ლექსიკა" გვ.64).

(ო. ქ.) **კათხა** კათხა; ღვინის სასმელი ღრმა ჯამი, კეთდებოდა კალმისაგან.

(ო. ქ.) **კათუა** 1. კრება; შეყრა, თავის მოყრა, შეგროვება.

კათხა = **კათ**(უა) + **ხა**.

(ო. ქ.) **ხა**[1] გველის ძვალი.

(ო. ქ.) **ხა**[2] ორკაპიანი ჯოხი.

ე. ი. **კათხა**-ში კათ(უა) აღნიშნავს, რომ **კათხა** ის სასმისია, რომელშიც ლუდს, ღვინოს „აგროვებ", ხოლო ხა (მიწა) მიგვანიშნებს; -- სასმისი ან ხის ნაწარმია, ან რომელიმე მიწიერი მასალისაგანაა შექმნილი.

სახლის აღვნიშვნის შემთხვევაში **კათხა** მიგვითითებს: -- სახლი რაგვებისაგანაა შეკრული, შეგროვილი.

ფორმანტი **ხა** მეგრულში გველის ძვალსაც, ანუ გველის მცნებასაც გამოსახავს და შხამიანი გველის შემთხვევაში, **კათხა** მიგვანიშნებს: -- გველში შხამია შეგროვილი, ანუ შხამს შეიცავს.

კაწვრა, [ბა]წარი, წარბი, [მ]წარე.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაჭარ-ი** (კაჭრისა) ქანის მონატეხი (ანუ ქანიდან მოჭრილი, ჩამოჭრილი. კაჭრისა = ძლიერი ჭრისა) დიდი ქვა, ცოტაოდნავ მომრგვალებული და გახეხილი.

კაჭარი-ს განმარტება „ქანის მონატეხი" განაპირობა იმან, რომ ჭარა მეგრულში აღნიშნავს წერას, და უძველეს ხანაში წერის პროცესი სრულდებოდა არა კალმისტრებით, არამედ ძირითადად წარმოადგენდა ამოჭრის, ამოკაწვრის პროცესს, რომელიც ხშირად ამ „ქანის მონატეხით" ან სხვა სახის მახვილწვერიანი საგნებით სრულდებოდა.

კაჭარი = **კა** + **ჭარი** = ძლიერი [მ]ჭრელი.

ჭარი რომ ჭრის პროცესს აღნიშნავს შემორჩენილა გურულ დიალექტში -- ,,თავი მოვსჭარი". ამრიგად, **ჭარი** > **ჭრა.**

კაჭარი (ჭ > წ) **კაწარი** > **კაწრავს** > **კაწვრა**. ჩვენი მსჯელობის მართებულებას ადასტურებენ:

კაწახი (უმწიფარი მკვახე ხილი) = **კაწა** + **ხი**(ლი, მიწიერი) = **მკაწრავი** (პირის, ყელის) + **ხილი.**

კაწანი (1. პატარა ეკლოვანი ღობე. 2. ქიზიყში – პატარა, დაბალი ღობე).

კაწანი = **კაწა** + **ნი** = **მკაწრავი** + **დედის**(ოჯახის).

კაწახი -- **ხაშმის** ადრინდელი სახელწოდება.

კაწახი = **კაწა** + **ხი** = **დაკაწრული** (დახეთქილი) + **მიწა**.

კაწარი (ლეჩხ.) – ცეცხლისაგან გაშავებული ან შეწითლებული ადგილი კანზე;

კაწარი (ფშ.) – **ბრჭყალი, ფრჩხილი.**

კანზე გაშავებული ან შეწითლებული ადგილები კაწვრისგანაც ჩნდება, ხოლო ბრჭყალი და ფრჩხილი გაკაწვრის საუკეთესო იარაღებს წარმოადგენენ.

ე. ი. დასტურდება **კაჭარი** > (ჭ > წ) > **კაწარი** > **კაწვრა**. ანუ:

კა + **ჭარი** = **ძლიერი** + **ჭრა** > **კა** + **წარი** = **ძლიერი** + **კაწვრა**.

მაშინ, თუ **ჭარი** თანხმოვან **კ**-ს გარეშე გამოხატავს ჭრის შედარებით რბილ პროცესს, ასევე წარი თანხმოვან **კ**-ს გარეშე კაწვრის შედარებით რბილ პროცესს უნდა გამოსახავდეს, მართლაც:

(ო. ქ.) **წარ-ი**... იგივეა რაც **წაბი, წარბი**, -- შუბლი, წარბი.

წარბის ფორმა გაკაწრულ, ნაკაწრ ფორმასთან ასოცირდა და მოგვიანებით შუბლის მცნებაც შეუთავსეს.

წარი-ს, **წარბი**-ს მოყვანილობა რომ ასოცირდება წვრილი ხაზის, წვრილი ფორმის სახით, დამოწმებულია სიტყვაში ბაწარი.

ბაწარი = **ბა** + **წარი** = **მცირე** + **წარბი** (ხაზი, ფორმა).

ბაწარი (რაჭ., გუდამაყრ., იმერ.) – წვრილი თოკი, თოკი; **ბაწარი** (ხევს.) – თასმა ჯღანისა; **ბაწარი** (აჭარ.) – გზა, ბილიკი, საცალფეხო გზა; **ბაწარი** (ლეჩხ.) – გადატ: კაკლის ხის ყვავილი; **ბაწარი** (თუშ., ფშ., კახ., ქიზიყ., ჯავახ., ინგილ.) – შინ დართული მატყლის ძაფი, მკედი, ძაფი საწინდედ (და არა: თოკი) (გ. გ. 61).

(ო. ქ.) **წარე**... იგივეა, რაც **ნწარე, -- მწარე** (ანუ მწარე საჭმელი ყელს გიკაწრავს, ქართული ენის შემქნელებმა მეგრულ **წარე**-ს მფარველი თანხმოვანი მ (მამა) დაუსვეს -- **მწარე**, რითაც ხაზი გაესვა სიმწარის ძლიერ ბუნებას.

კევრი, ნაკელი.

(ო. ქ.) **კელუა** – კალოობა; ლეწვა... ოკელარი გასალეწი. კელერი გალეწილი. ნაკელა განალეწი.

(ო. ქ.) **ნკელერი** გალეწილი.

(ო. ქ.) **ნაკელი** საქონლის განავალი, -- ნაკელი, ნეხვი.

(ო. ქ.) **ნაკელუა** ნაკელის შეტანა მიწის გასანოყიერებლად.

(ქ.ე.გ.ლ.) **ლეწავს** 1. ფშვნის, ამსხვრევს (პურეულის თავთავსა და ღეროს) მარცვლეულის გამოცლის მიზნით პურს ლეწავს. – მანქანით ლეწავენ. – კევრით ლეწავდნენ. 2. ამსხვრევს. ამტვრევს.

(ქ.ე.გ.ლ.) **კევრი** პურეულის სალეწავი ძველის ძველი იარაღი; წარმოადგენს წინისაკენ თანდათანობით დავიწროებულ და თავაწეულ სქელ ფიცრებს, რომლებსაც ძირზე კოხები (კაჟის ნატეხები) აქვს ჩასმული; კევრში ხარებს ან ცხენებს აბამდნენ და კალოზე ატარებდნენ.

თუ ადამიანი პურეულს კევრით ლეწავს, საქონელი, კევრის კოხების მსგავსად, კბილებით ლეწავს, „კელავს", ფშვნის, აქუცმაცებს (პურეულის თავთავსა და ღეროს) და შედეგი კი ნაკელი-ა, ნალეწი-ა [საქონლის განავალი (ნეხვი) როგორც სასუქი, -- პატივი].

(ქ.ე.გ.ლ.) **კელი** „ნეხვი" (საბა). შდრ. ნაკელი, აგრეთვე კელა2.

(ქ.ე.გ.ლ.) **კელა**[2] კუთხ. (რაჭ.) ნეხვი.

ამრიგად, მეგრ.-ქართ. **ნაკელი**-ს ფუძეა მეგრული **კელ**-ი (**კელუა** > **კელა** > **კელი** > **ნაკელი**). ქართულად იქნებოდა **ნაკევრი**. მეგრული **კელი** ფუძეა თავად ქართული **კევრი**-სა.

(ო. ქ.) **კელი** კევრი; ქობალიში ოჩაჩალი ფიცარი, ქუალეფი ენოხუნაფილი – პურის საჩეჩი ფიცარი, რომელშიც ქვებია ჩაჯენილი.

(ო. ქ.) **კელებერი** 1. კელავერი; ხორცის ნაჭერი, ულუფა; შამფურის აცმა ხორცი (კელერი, ანუ დანაწევრებული, „ნაკელი" ხორცის ნაჭრები ჯ.კ.). 2. შამფური (შამფურზე დანაწევრებული, კელერი ხორცის ნაჭრები იცმევა ჯ.კ.).

(ო. ქ.) **კელმურზა** ღორის ტყავსა და ხორცს შუა მომსუქნო ადგილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კელავერი** მუცლის ხორცი (საბა). კელავერის მწვადი.

კელი > **კელებერი** > კელავერი > **კევრი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კევრი** პურეულის სალეწავი ძველის ძველი იარაღი...

კიაფი – ღამით სინათლის შორიდან კრთომა (ქ.ე.გ.ლ.).

(ო. ქ.) **კიაპი, კიოპი, კიოფი** თეთრი ნიშანი შუბლზე, შუბლთეთრი; ნიკორა.

განვსაზღვროთ კიაპი-ს შემადგენელი პი-ს შინაარსი.

(ი. ყ.) **პიკვალი** – выпученный, вздутый (почка на деревьях, женская грудь).

ე. ი. **პიკვალი** ნიშნავს ამობურცულ, ამობერილ, აფუვებულ სხეულებრივ ფორმას, რომელიც ადრე არ არსებობდა – ხეს არ გააჩნდა კვირტები და გაზაფხულზე ამოეზარდა, გოგონას არ გააჩნდა მკერდი და ამოეზურცა, დარტყმის შედეგად შუბლზე კოპი გამოიბერა..

პი-კვალი = პი + კ + ვა + ლი = ამონაზარდი + ძლიერი + მოქმედება (შედეგი) + **ფორმა** = ძლიერ მოქმედებათა (შედეგად) ამონაზარდი ფორმა.

პიკვალი-ს შემადგენელი **კვალი** [რისამე (ფეხის, ბორბლის და სხვ.) ანაბეჭდი რაიმე ზედაპირზე] ქართულში დამკვიდრებული დამოუკიდებელი სიტყვაა და რომლის შინაარსიც ფაქტიურად ავხსენით.

კვალი = კ + ვა + ლი = ძლიერი მოქმედების ფორმა.

კოპი = კო + პი(კვალი) = ძლიერი ამობურცული [ძლიერი დარტყმისაგან ამობურცული ადგილი (ადამიანის თავზე, შუბლზე)]. აქვეა ღიპი.

ჭყაპი = ჭყა(რი) + **პი**(კვალი) = წყალი + წარმონაქმნი.

ჭყაპი ხომ გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან წარმონაქმნი ტბორია.

კიაპი = კ + ია + პი = მშვენიერი + პატარა + წარმონაქმნი.

ე. ი. დიდი სხეულის მქონე, მუქი ფერის საქონლის შუბლზე მცირე ზომის მკვეთრი თეთრი ფერის **კიაპი, კიოფი**-ს ასოცირებით, ღამის ვრცელ სივრცეში, მცირე ზომის ნათების კრთომას ეწოდა **კიაფი**.

კვიდო, კვინიხი, კვირიონი, კვირისტავი, კვირტი, კვირჩხლა, კვიცი, კიკვიძე, კვიტაშვილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვირტი** გაუშლელი ყლორტი, ჩანასახი ყლორტისა ან ყვავილისა.

(ო. ქ.) **კვირტი** კვირტი.

(ო. ქ.) **კვიკვა** მრგვალი, ბურთისებური. დუდი კვიკვა თავმრგვალი, თავგორგალა (ლამაზი).

(ო. ქ.) **კვიკვალი** პატარა ბურთივით ლამაზად გამოყვანილი.

(ო. ქ.) **კვიკვინი** ნაზად ყურება; კეკლუცი.

(ო. ქ.) **კვიკვილი** 1. კვიკვირი, კუკური, კოკორი, საყვავილე კვირტი. 2. მოდგმა, შთამომავლობა.

ამრიგად, სიტყვაში **კვირტი** ფორმა **კვი** აღნიშნავს თავად საყვავილე კვირტის ლამაზ, მრგვალ ფორმას, ხოლო მეორე შემადგენელი **რტი** მიგვანიშნებს საყვავილე კვირტის ფორმის არსებობის მოკლე პერიოდს.

(ო. ქ.) **რტინა** გაქცევა.

ე. ი. კომპოზიტი **კვი** + **რტი**(ნა) = **მრგვალი ფორმა** + **გაქცევა** = კვირტი მალე „გაიქცევა", გადაიქცევა, გარდაიქმნება ყვავილად. ფორმა **რტი** იგივე ფუნქციას ასრულებს სიტყვაში **ყლორტი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყლორტი** მცენარის ნორჩი ტოტი.

მეგრული ფორმა **კვი** ასევე მრგვალ ფორმებს აღნიშნავს ქართულ სიტყვებში:

(ქ.ე.გ.ლ.) **კვიდო** საშუალო სიმაღლის ან დაბალი ბუჩქი. აქვს იასამნის მსგავსი თეთრი ყვავილები. ჩვენში ველურადაა გავრცელებული ტყის პირებსა და ბუჩქნარებში.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვინიხი** თავის სარქველი, ჭაში.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვირიონი** მესკია, პატარა ჩიტი ერთგვარი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვირისტავი** 1. თითისტარის ბოლოზე წამოსაცმელი სამძიმი (რგოლი) თითისტარის ბრუნვის გასაადვილებლად. 2. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვირჩხლა** პატარა თევზი ერთგვარი; გამრავლების დროს თავზე უჩნდება ღომის მარცვლის ოდენა ხორკლები.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვიცი** ცხენის ნაშიერი სამ წლამდე.

კვიცი = **კვი**(კვა) + **ცი** = **ლამაზი** + **მცირე** (პატარა).

(ქ.ე.გ.ლ.) **კიკვი** კუთხ. (ქიზ.) კომბოსტოს გული (მკვრივი ღერო).

კიკვი = **კი** + **კვი** = ძლიერი (მკვრივი) + მრგვალი ფორმა (კომბოსტოს გული).

გვარში **კიკვიძე** ფორმა **კვი**-ს უკვე მეორე მნიშვნელობა შთამომავალი იგულისხმება.

კიკვი – **კი** + **კვი** = **ძლიერი, მშვენიერი** + **შთამომავალი**.

(ო. ქ.) **კვიტინე** პატარა ტანის.

(ო. ქ.) **კვიტიტი** პატარ, მრგვალი რაიმე საგანი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვიტიტი** 1. კუთხ. (ქართლ.) სიმინდის წვრილი და მოუსვლელი ტარო (სინონ. იმერ. კვიჭი). || მარცვალნაკლული ტარო. 2. კუთხ. (იმერ.) პატარა ახლად გამონასკული ნაყოფი მცენარისა (ვაშლისა, მსხლისა დამისთ.).

(ქ.ე.გ.ლ.) **კვიტიტა** კუთხ. (იმერ.) ძაფის გორგალი. || საერთოდ, პატარა მრგვალი საგანი.

გვარი – **კვიტაშვილი**.

კირწლი (იმერ., რაჭ.) – წირპლი თვალისა; კირწლი (ქართლ.) – ანაგული ძაფის წერტილოვანი ნაყარი ქსოვილზე; კირწლი (მთიულ., ფშ.) – ჩეჩვის დროს საჩეჩელზე დარჩენილი ცუდი ხარისხის მატყლი (გ. გ. 65).

კირწლი-ს განმარტებათა სამივე შინაარსს აერთიანებს მეგრული კირწიმელი-ს ცოდნა.

(ო. ქ.) **კირწიმელი** დახუნძლული.

ე. ი. პირველ ვარიანტში თვალის გუგა წირპლითაა "დახუნძლული"; მეორე შემთხვევაში ქსოვილი ანაგული ძაფის წერტილოვანი ნაყარითაა დახუნძლული; მესამე შემთხვევაში ჩეჩვის შემდგომ საჩეჩელი დახუნძლულა ცუდი ხარისხის მატყლით.

კოკოშა (ხევს.) – ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი; **კოკოშა** (იმერ., ფშ.) – ღვინის ამოსაღები ხაპი; გრძელყუნწიანი გოგრის ერთი სახე, გულამოღებულს ხმარობენ წყლის ან ღვინის ამოსაღებად; **კოკოშა** (თუშ.) – აყირო, მცენარე (გ. გ. 65) (აყიროსაგან მზადდებოდა ღვინის ამოსაღები ორშიმო ჯ.კ.).

ჩვენ უკვე დავადგინეთ, რომ კო აღნიშნავს სურვილს, სასურველს (კოკორი, კოკობი...) და მათ შორის:

(ო. ქ.) **კოკო** მჭადის კვერი; საჭმელი.

ე. ი. **კოკო** თუ გამოსახავს საჭმელს, ანუ საკვების მიღების სურვილს, შესაბამისად უნდა ვიანგარიშოთ სასმელიც და ვინაიდან საქართველოში წყლის პრობლემა არ დგას, კოკოშა ძირითადათ სასურველი ღვინის მისაღებ სასმისებს გამოსახავს

ლეჩაქი, ქიცა, ჩვილი, ჩიქილა, ხჩოლა

(ი. ყ.) **ჩქეჩქე** дитя, свежий, мягкий: **ჩქეჩქე** ცვალი свежий сыр. ср. г. ჩჩვილი.

(ს. ს.) ჩჩჯლი ყრმა მცირე; ჩჩვილად ითქმის ლბილი სამოსელი და სხვანიცა ჩვილები რამე.

ჩქ = **ჩ** + **ქ** = **ცა** + **მიწა**, ანუ ჰარმონიული წყვილით, ამ შემთხვევაში, აღინიშნება რა ცა და მიწა, შუმერული მითოლოგიის გათვალისწინებით, გამოისახება ცასა და მიწას (ზედასა და ქვედას) შორის არსებული ატმოსფეროს, **ლილ**-ის რბილი ბუნება.

ჩქგჩქგ > ჩჩ + ვილი > ჩჩვილი > ჩვილი.

იგივე აზროვნების საოცარი გამეორებებია ლეჩაქი, ჩიქილა და ქიცა:

ლეჩაქი = ლე + ჩა + ქი = სივრცე (ლილ) + **ცა + მიწა** = ცა(სა და) მიწა(ს შორის მოქცეული) ატმოსფერო(ს მსგავსი). ანუ მისებრ ნაზი და „ლბილ“-იაო, **ლილ**-იაო. სახელწოდება ლეჩაქი ზუსტად გამოსახავს ქალთა თავსაბური აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილის ჰაეროვან, ლილ ბუნებას. **ლეჩაქი**-ს სრული ასლია **ჩიქილა**, ხოლო **ქიცა** ამ აზროვნების გამარტივებული ვარიანტია.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩიქილა** იგივეა, რაც ლეჩაქი.

ჩიქილა = ჩი + ქი + ლა = ცა + მიწა + სივრცე.

(ო. ქ.) **ქიცა** თავშალი, თხელი თავსაკრავი, ლეჩაქი, მანდილი, ქალების თავსახური თხლად ნაქსოვი.

(ო. ქ.) **ქიცია** კნინ. მანდილი.

ქიცა = ქი + ცა = მიწა + ცა.

ე. ი. გამარტივებული ფორმით **ქიცა** იმეორებს **ლეჩაქი**-ს აზროვნებას და წარმოადგენს გვიანდელ ფორმას, ანუ როცა ოდიშურ მეგრულში წარმართულ **ჩა**-ს ენაცვლება ქრისტეანული კოლხური ცა.

ცასა და მიწას შორის სივრცის ჰაეროვან, **ლილ** ბუნებას გაცხადებული სახით წარმოგვიდგენს **ხჩოლი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხჩოლა** კუთხ. (იმერ. ლეჩხ.) ბოლი, კვამლი.

ხჩოლი = ხ + ჩ + ოლი = მიწა + ცა + სვლა.

ე. ი. ხჩოლი (ბოლი, კვამლი) ჰაერის გაცხადებული ფორმაა.

მარულა -- ცხენების შეჯიბრება ჭენებაში გრძელ მანძილზე.

(ო. ქ.) **მარულე** მორბენალი; მრბენი.

მარულა მეგრული ტერმინია და ფუძეა რულა.

(ო. ქ.) **რულა** რბენა, სირბილი; ჭენება, გაქცევა.

რ + ულა = მოძრაობა + სვლა = მიმართული მოძრაობა.

წარმართული **რულა** სრული ფორმითაა შემონახული ქართულ არული-ში.

(ქ.ე.გ.ლ.) **არულ-ი** (ძვ.) შეძახილი ჭიაკოკონობის დროს ვითომდა მავნე სულების დასაფრთხობად (ჩვეულებრივ, გამოთქმაში: არული კუდიანებსა!).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭიაკოკონა** (ძვ.) აღდგომის წინა ოთხშაბათს (ღამით) დანთებული კოცონი (ვითომ კუდიანების დასაფრთხობად), რომელზედაც ხტებოდნენ.

ცხადზე უცხადესია **არული**-ს შინაარსი: **ა-რული** = აბა გაქცევა; ანუ მავნე სულების დასაფრთხობად, გასაქცევად დანთებული ცეცხლის მაგიურ მნიშვნელობას, შეძახილით -- ,,არული კუდიანებსა" (გაქცევა კუდიანებსა) აძლიერებდნენ.

ასევე **რულა**-დან შედგა **რუ**.

(ქ.ე.გ.ლ.) **რუ** სარწყავად გაყვანილი პატარა არხი; ასეთ არხში მიმდინარე წყალი. წისქვილის რუ. - რუ მოჩუხჩუხებს (ანუ წყალი ,,გარბის“ ჯ.კ.).

რუ-ში მდინარე, მოჩუხჩუხე წყლით გამოცემული ხმების ასოცირებით, წარმოიქმნა:

რუკრუკი [მოკლე, წყვეტილი ხმიანობა. მდინარის **რუკრუკი**. - ხელადას **რუკრუკი** დააწყებინა]. ამ განმარტებებს განსაზღვრავს წყლის დინების (,,რბენის") პროცესი, დამდგარი წყალი ხმას არ გამოსცემს.

რაკრაკი [1. ვიწროყელიანი ჭურჭლიდან სითხის გადმოდინების ხმა. -კულა მიიყუდა და ღვინოს **რაკრაკი** დააწყებინა. 2. ხმა, ხმაური (წყაროსი, ნაკადულისა...). 3. ჭიკჭიკი, გალობა (მგალობელ ფრინველთა). 4. ხმის თამაში (სიმღერის დროს). 5. იგივეა

რაც **რაკუნი**. სარეკელას **რაკუნი**]. -- აქ უნდა გავიხსენოთ, რომ უძველეს ენებში, როგორც წესი, სიტყვის საწყისი მნიშვნელობა თანდათანობით ზოგადდებოდა, ასოცირდებოდა და იქმნებოდა ახალი, სხვადასხვა, მხოლოდ მსგავსი შინაარსის მქონე სიტყვები. ამ წესიდან გამომდინარე მოხდა რუში მოჩუხჩუხე წყლის ხმის გაიგივება მგალობელ ფრინველთა ჭიკჭიკთან, წისქვილის სარეკელას მიერ გამოცემულ კაკუნთან და ა.შ.

რაკ და **რუკ**, კოლხური ცოდნით, შემდეგნაირად იხსნება:

რა + კ || რუ + კ = მოძრაობა სასურველი.

ამ ცოდნის შემდგომი განვითარებაა რახარუხი და ბრახაბრუხი.

რა + ხ || = რუ + ხ = მოძრაობა მიწა(ზე). შესაბამისად:

(ქ.ე.გ.ლ.) **რახრახ-ი** უსწორმასწორო ზედაპირზე (მიწაზე ჯ.კ.) მძიმე სხეულის (ქვის, ეტლის, მანქანის...) მოძრაობის ხმა... ქვები რახრახით მიგორავდნენ ქვევით.

(ქ.ე.გ.ლ.) **რუხრუხ-ი** 1. **რახრახი**, გრიალი, გრგვინვა. მდინარე **რუხრუხებს**. 2. ზოგიერთი ცხოველის (ვეფხვის, მგლის...) ხმიანობა. - ღრიალი.

იგივე კოლხური აზროვნება მეორდება **რუზრუზი**-ში. ამ სიტყვაში თანხმოვანი **ზ** ატარებს მეგრული **ზირზინი**-ს მნიშვნელობას.

(ო.ქ.) **ზირზინ-ი** ზუზუნი, ზმუილი; ხმამაღლა ტირილი; ყვირილი.

სისტემატიზაციის წესით, მეგრ. **ზირზინი**-დან ქართულში შეიქმნა **ზრიალი** (ზარის ხმის მაგვარი ძლიერი ხმა, რისამე რყევის დროს გამოცემული. || თავმოყრილი მრავალი ადამიანის შეშფოთებული ხმიანობა). ამრიგად:

(ქ.ე.გ.ლ.) **რუზრუზ-ი** ხმაური, ჩოჩქოლი; აურზაური.

მასხარა, სხაპასხუპი, სხაპუნი, სხარტი.

(ქ.ე.გ.ლ.) **სხაპასხუპი** ჩქარ-ჩქარა, სულმოუთქმელად. ს. უპასუხა. – ს. კითხულობს.

(ქ.ე.გ.ლ.) სხაპუნი მათრახით, წნელითა და მისთ. ცემა. ჯორი ძუის სხაპუნით იგერიებდა ბუზებს.

(ქ.ე.გ.ლ.) **სხარტი**[1] 1. მოქნილი, მკვირცხლი, მარდი – სხარტად გადაახტა.

(ქ.ე.გ.ლ.) **სხარტი**[2] ჩიტების სასროლი კაპიანი ჯოხი.

(ო. ქ.) **სხაპი** ჩიტის დასაჭერი მახე; ხაფანგი, -- კაკანათი.

(ო. ქ.) **სხაპალუა** ენის ტარტარი, -- ყბედობა.

(ო. ქ.) **სხაპუა** 1. ცეკვა. 2. (გადა)ხტომა.

(ო. ქ.) **სხუპინი** მოჭიდება; ხელის ჩავლება; ხელში აყვანა; ატაცება; ატატება.

სხაპუა + სხუპინი > (სხაპუა + სხუპინი) > სხაპასხუპი.

(ო. ქ.) **მასხაპალი** მხტომელი; მოცეკვავე.

მასხაპალი > (პალი > 0, + რა) > მასხარა.

(ო. ქ.) **რტინა** გაქცევა.

სხარტი = სხა(პუა) + **რტი**(ნა) = **ცეკვა, ხტომა + გაქცევა, მორბენალი** = სხარტი (მოცეკვავე, მხტომელი, მორბენალი).

მაწონი

(ო. ქ.) **წონება** მოწონება... მააწონებელი მოსაწონებელი... შდრ. ლაზ. 2. წონ: მაწონენ მე მომწონს (ნ.მარი).

ე. ი. 1. **მააწონებელი** (მოსაწონებელი) > (ა > 0, ებელ > 0) > **მაწონი** (მოსაწონი).

2. **მაწონენ** (მე მომწონს) > (ენ > ი) > **მაწონი** (მოსაწონი).

მლიქვნელი.

(ო. ქ.) **ლიქვალი** უშნოდ მოსიარულე.

(ო. ქ.) **ლიქონუა** დაბჩენა (პირისა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ლიქნა** (ძვ.) იგივეა, რაც მლიქვნელობა.

ე. ი. წარმართ **ლიქონუა** > (ო > 0, უ > 0) > ქართ. **ლიქნა** > (+მ) > **მლიქვნელი.**

მოწაფე, სწრაფვა, სწრაფი, წვდომა, [და]წყება

(ო. ქ.) **ჭყაფა** დაწყება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ როცა ქურუმთა წინაშე იდგა რიგითი ამოცანა, გამოესახათ აბსტრაქტული მცნება დაწყება. ამისათვის მათ მიმართეს ისევ და ისევ წყლის თემას.

ჭყაფა = ჭ + ყ + აფა = წყალი + მიწა + მოქმედება = დაწყება.

ჭყაფა გვიხსნის: მხოლოდ მიწის წყლით მორწყვის შემდგომ იწყებს თესლი მიწაში გაღვივებას, ანუ წყლისა და მიწის ერთობლიობით იწყება ახალი სიცოცხლე.

წარმართ. **ჭყაფა** > (ჭ > წ. აფა > ება) > ქართ. **წყება** > და-**წყება** > სა-**წყ**-ისი...

მდინარის, წყაროს წყალი გზას იკვლევს, წინ მიიწევს, მიისწრაფის. ამის გამოსახავად აღარაა საჭირო მიწის მცნების აღმნიშვნელი თანხმოვანი **ყ** და **ჭყაფა**-დან მიიღეს **ჭაფა**.

(ო. ქ.) **ჭაფა** წვდომა, დაწევა; სწრაფვა.

ჭაფა = ჭ + აფა = წყალი + მოქმედება = სწრაფვა.

წარმართ. **ჭაფა** > (ჭ > წ) > ქართ. **წაფა** > გაი-**წაფა** > დაე-**წაფა** > ე-**წაფ**-ება > მო-**წაფ**-ე... **წაფა** > **წაფ**-**ვა** > (+რ) > **წრაფვა** > ს-**წრაფვა** > ს-**წრაფი**...

რაც შეეხება **წვდომა**-ს, იგი შეიქმნა წარმართული **წვანდი**-დან.

(ო. ქ.) **წვანდი** კენწერო; წვერი.

წარმართ. **წვანდი** > (ან > 0, ანუ ქრება სიმაღლის, მიუწვდომლობის მცნება) > ქართ. **წვდი** > მი-**წვდი** > **წვد**-ომა...

მოწიწება

განვიხილოთ სიტყვები მოთმინება, მორიდება და მოწიწება. ცხადია, რომ სიტყვა **მოთმინება**-ს ფუძეა **თმენა**, ასევე **მორიდება**-ს ფუძეა **რიდი**, ხოლო **მოწიწება**-ს შესატყვისი შინაარსის ფუძე **წიწ**-ება ქართული ენის ლექსიკაში არ იძიება.

მოწიწება რიგითი ლიტერატურული წარმონაქმნია და მის ფუძეს წარმოადგენს წარმართული **წიწ** (< **წიწინაფა**).

(ო. ქ.) **წიწინაფა** ძალიან (პირამდე) გავსება; ძლიერ მწიფე (გადამწიფება).

მეგრულს ასვე გააჩნია წიწინაფა-ს სინონიმები **ზიზინაფა** და **პიპინაფა**.

(ო. ქ.) **ზიზინაფა** 1. ზიზინება; გავსება მეტისმეტად. 2. გადამწიფება (ხილისა).

(ო. ქ.) **პიპინაფა** რისამე ძალიან გავსება.

ე. ი. ქართული ენის შემქმნელებმა მცნება **მოწიწება**-ს შესატყვისი აზროვნების შესაქმნელად შეარჩიეს წარმართული **წიწინაფა**. ამით ისინი განმარტავენ მცნება მოწიწების არსს; ანუ როგორც პირთამდე გავსებული სასმისი ფრთხილად უნდა მიიტანო ტუჩებთან და ასევე ფრთხილად უნდა შესვა რათა სასმელი არ დაგეღვაროს, ასევე ფრთხილად უნდა მოწყვიტო გადამწიფებული ხილი რათა ხელში არ შემოგეჭყლიტოს... მსგავსად ფრთხილად, მორიდებით უნდა მოექცე ადამიანს რათა მისი წყენა არ გამოიწვიო, ან გამორჩეული ყურადღებით უნდა მოექცე პიროვნებას რომელიც შენს განათლებაზე ზრუნავს...

წარმართული სიტყვის გადაკეთების ტექნიკა თქვენთვის უკვე ცნობილია, ანუ (აფა > ება) **ჭყაფა** > **წყება** (და-წყება), **ზიზინაფა** > **ზიზინება** (გა-ზიზინება), **პიპინაფა** > **პიპინება** (გა-პიპინება)...

და **წიწინაფა** > **წიწინება** > **მო-წიწინება** > (ინ > 0) > **მო-წიწება**.

ამრიგად, წარმართული მცნება **წიწინაფა** > **წიწება**-ს შინაარსის გამოყენებით მიღებულ იქნა განსხვავებული მნიშვნელობის ქართული ლიტერატურული სიტყვა, რაც ჩვეული რიგითი მოვლენაა ქართულ სიტყვათა წარმოებისას. მაგალითად:

გონება და მისგან ნაწარმოები განსხვავებული შინაარსის **მო-გონება**; **ბრძანება** და მისგან ნაწარმოები განსხვავებული შინაარსის **მო-ბრძანება**; **ჩვენება** და მისგან ნაწარმოები განსხვავებული შინაარსის **მო-ჩვენება**... და აქვეა **წიწინაფა** > **წიწება** > **მო-წიწება.**

მძღოლი, ძღვენი.

(ო. ქ.) **ჯღვერი** იგივეა, რაც ნჯღვერი, -- ბელადი, მძღოლი, წინამძღოლი.

გადაქართულების ფონეტიკური წესით:

ჯღვერი > (ჯ > ძ, რ > ლ) > **ძღველი.**

მიღებული ფორმა ძღველი დაიწუნეს და ვინაიდან მძღოლი სვლის მცნებასთან ასოცირდება, **ველი** (სივრცე) შეცვალეს სვლის აღნიშვნელი ფორმით **ოლი**. ამ ხელოვნური ცვლილების შედეგად მიღებულ იქნა:

ძღველი > (ველი > ოლი) > **ძღოლი** > (+მ) > **მძღოლი.**

ე. ი. **ჯღვერი** > (ჯ > ძ, რ > ლ) > **ძღველი** > **ძღველი** > (ველი > ოლი) > **ძღოლი** > (+მ) > **მძღოლი.**

იგივე მცნებას – **ძღოლას**, გაგზავნას გამოსახავს მეგრული **ჯღუნა**.

(ო. ქ.) **ჯღუნა** იგივეა, რაც ჯღვერა, -- ძღოლა, გაგზავნა.

გადაქართულების წესით: **ჯღუნა** > (ჯ > ძ, უ > ვ) > **ძღვნა** > **ძღვენი.**

ოდრიკალი – 1. ორივე ბოლოთი დამაგრებული მოხრილი წკეპლა ან სხვა რამ რკალის ფორმისა. 2. მათემ. მრუდი ხაზის ნაწილი, რომელიც მრუდის ორ წერტილს შორის არის მოქცეული (**ქ.ე.გ.ლ.**).

ქართული **ოდრიკალი** მეგრულად ითარგმნება როგორც **სადრეკი, მოსადრეკი**.

(ო. ქ.) **დირიკუა** დრეკა, ზნექა, ღუნვა.

(ო. ქ.) **დირიკილი** [მო]დრეკილი.

(ო. ქ.) **ოდირიკალი** [მო]სადრეკი. შდრ. ლაზ. დრიკ: ოდრიკუ მოხრა (ნ. მარი).

ე. ი. წარმართული კოლხური **ოდირიკალი** > ქართული **ოდრიკალი.**

კახური **ოდროკი** მეგრულ-ლაზურ-ქართული **ოდრიკალი**-ს კნინობითი გამოთქმაა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ოდროკი** კუთხ. (კახ.) დიდი, უშნო (ადამიანი).

ორჩხომელი – მოდიდო ნავი. ოჩხომელი – ზღვ. დიდი ტვირთსაზიდი ნავი. ოჩხომელურა -- ზღვ. პატარა ტვირთსაზიდი ნავი (**ქ.ე.გ.ლ.**).

(ო. ქ.) **ჩხომი** თევზი.

(ო. ქ.) **ჩხომუა** თევზის ჭერა, თევზაობა.

(ო. ქ.) **ჩხომელი** სათევზაო პატარა ნავი.

ოჩხომელი = სათევზაო პატარა ნავი.

(**ს. ს.**) **ოჩხი** თევზთ საბუნაგი ადგილი ნაშენები.

ოწინარი – ტვირთის ასაწევი მოწყობილობა. || ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა: მიწაში ჩარჭობილ, თავგახვრეტილ ბოძში გაყრილია მოძრავი (ასაწევ-დასაწევი) ძელი, რომლის ერთ ბოლოზედაც ჰკიდია წყლის ჭურჭელი (**ქ.ე.გ.ლ.**).

ქართ. **ოწინარი**-ს ფუძეა მეგრ. **წინ** (< **წინაფა**).

(ო. ქ.) **წინაფა** წოვება. ოწინაფალი საწოვებელი.

მოგეხსენებათ ხმოვანი **ო** დანიშნულების აღმნიშვნელი თავსართია და ოწინარი ესაა მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც ჭიდან წყალი „ამოიწოვება“.

ე. ი. **ოწინარი** = **ო** + **წინ**(აფალი) + **არი** = [ამო]საწოვებელი არის.

რინდდება – გარინდდება, გაირინდება.

(ქ.ე.გ.ლ.) გარინდდება ფიქრში წასული უმოძრაოდ დარჩება, --გაყუჩდება, დადუმდება.

სიტყვის ფუძეა წარმართული **რინი, რინა.**

(ო. ქ.) რინი, რინა – ყოფნა, არსებობა.

ე. ი. **გარინდება** ნიშნავს უმოძრაო, დადუმებულ მდგომარეობაში ყოფნას, არსებობას.

რიცხვი

ქართული **რიცხვი** წარმოდგება წარმართული **მურიცხი**-დან.

(ო. ქ.) მურიცხი ვარსკვლავი. სიზმარო ბჟა დო თუთა შქას ვოხედი დო მურიცხი მალინანდუა: სიზმრად მზესა და მთვარეს შუა ვიჯექი და ვარსკვლავი მემსახურებოდაო.

წარმართული **მუ-რიცხი**-დან მიღებული ძველი ქართული ფორმა **რიცხუ, რიცხუ**(ვ)ა დაფიქსირებული აქვს ილია აბულაძეს.

(ი. ა.) რიცხუ... „განმრავლდებოდა რიცხჷ იგი მოწაფეთაი"... „რიცხჷდღეთაი და საზომი ჟამთაი მისცა მათ"... იხ. აღრიცხუვა, მრიცხუველი, ურიცხჷ.

(ი. ა.) რიცხუელად რიცხვის მიხედვით.

(ი. ა.) რიცხუ(ვ)ა: იხ. რიცხუ; შდრ. ვარსკულავთ-მრიცხუველი.

თავად მეგრულში ფორმა **რიცხვა** აღნიშნავს რისხვას და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართული აღ-რიცხვა-ს გავლენით მინიჭებული აქვს ასევე მცნება თვლა-ს გამოსახვის ფუნქციაც.

(ო. ქ.) რიცხვა[1] რისხვა.

(ო. ქ.) რიცხვა[2] თვლა (აღ-**რიცხვა** ჯ.კ.).

მცნებების, ცაში ურუცხვი ვარსკვლავისა და რიცხვის ერთმანეთთან კავშირი ბუნებრივი დამოკიდებულებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უძველეს ხანაში რაოდენ პოპულარული გახდათ ვარსკულავთ-**მრიცხუველობა**.

სახიჩარი -- ფიზიკური ნაკლის მქონე, დაშავებული ადამიანი. – მახინჯი, ხეიბარი

ქართ. სა-**ხიჩ**-არი მეგრ. **ხიჩ**-უა-ს ფორმა ო-**ხიჩ**-ალი-ს გადაქართულებული ვარიანტია.

(ო. ქ.) ხიჩუა – კბეჩა (ხილეულისა). მახიჩალი [მო]მკბეჩი, მკბეჩელი. ოხიჩალი [მო]საკბეჩი.

ხიჩუა = **ხი** + **ჩ** + **უა** = **მიწა** (დაბლა) + **ცა** (მაღლა) + **მოქმედება** = [ყბების] მაღლა და დაბლა მოძრაობა = კბეჩა, ღეჭვა.

(ო. ქ.) ხიჩუ-ხაჩუ – ნაყარ-ნუყარი.

ხიჩუა-ს, ანუ ხილის კბეჩის შედეგად დაკბენილი ხილი „სახიჩრდება", მახინჯდება. მაგალითად გამოთქმა: „ძაღლმა დაკბინა" ჩვენთვის იგივე მნიშვნელობისაა რაც „ძაღლმა დაასახიჩრა".

მეგრულ თავსართ **ო**-ს ქართულში დანიშნულების თავსართი **სა** შეესატყვისება ხოლო მეგრული სუფიქსები **-ალ** // **-არ** წარმომავლობას, რაობას აღნიშნავენ და შესაბამისად:

წარმართ. **ო-ხიჩ-ალი** > (ო > სა, -ალ // -არ) > ქართ. **სა-ხიჩ-არი**.

სიცილი

(ო. ქ.) ძიცა, ძიცინი სიცილი, გაცინება. იძიცე(ნ), იძიცინე(ნ) – შეიძლება სიცილი, გაცინება. მაძიცინე მოსიცილე. ნაძიცინა ნაცინი.

ნათლად იკითხება: **იძიცინე** > (ძი > 0) > **იცინე, მაძიცინე** > (ძი > 0) > **მაცინე, ნაძიცინა** > (ძი > 0) > **ნაცინა, ნაცინები**.

წარმართ. **ძიცინი** > **მაძიცინე** > (ძი > 0) ქართ. **მაცინე** > **იცინე** > სი **-ცი**-ლი.

აი ასე გადაკეთდა წარმართული **ძიცინი** ქართულ **სიცილ**-ად.

ქანჩახი – კუთხ. (კახ. ფშ.) ბუჩქებით ან ტყით დაფარული კლდიანი, ძნელად სავალი ადგილი. „ადგილს ვემწყვდიეთ მჭიდროსა, ქანჩახებს შორის, უგზოსა" (ვაჟა).

(ო. ქ.) ქანჩაფი – ქაჩვა, ქაჩავი; ბორგვა.

(ო. ქ.) ქანჩუა – მაგრად შეკვრა რისამე [> **ქანჩი** (ჯ.კ.]; ქაჩვა; ცემა ხელში; ტაცება.

ცხადია, წარმართ. კოლხური **ქანჩუა** > (ნ > 0, უა > ვა) > ქართ. **ქაჩვა**.

(ო. ქ.) ქანჩინი იგივეა, რაც ქანჩაფი, -- ქაჩავი, შფოთი, ბორგვა.

ე. ი. **ქანჩა**-ფი ნიშნავს ძლიერ მოძრაობებს (ქაჩვა, შფოთვა, ბორგვა) და შესაბამისად:

ქანჩახი = ქანჩა + ხი = ძლიერი მოძრაობა + მიწა = ძნელად სავალი ადგილი.

როცა „ადგილს ემწვდევი მჭიდროსა, ქანჩახებს შორის, უგზოსა" შფოთავ, ბორგავ და გზისკენ იქაჩები.

ქოსა – ბუნებრივად უწვერულვაშო მამაკაცი.

მეგრულს გარდა ფორმისა **ქოსა**, გააჩნია იგივე მნიშვნელობის ფორმები – **ქორსა, ქორცა** და რაც მთავარია, ზმნა **ქოსუა**.

(ო. ქ.) ქოსუა – დაგვა, წმენდა, ხვეტა. მა-ქოსალი დამგველი, დამხვეტავი. ნა-ქოსა დანახვეტი, მონახვეტი.

ე. ი. **ქოსა** ნიშნავს წვერულვაშისაგან მოხვეტილი, მოსუფთავებული სახის პატრონ მამაკაცს.

ქრიჯა // ქრიჯაი (ფშ., ხევს., თუშ.) – ალატიდან ფქვილის ამოსაღები ნიჩაბი, ჩამჩა (გ. გ. 58).

ფქვილს მეგრულად ეწოდება **ქირი** და ფქვილის ამოსაღები ნიჩაბი, ჩამჩა მზადდებოდა ხისაგან, ანუ შუმერულ-ეგვიპტურ-მეგრულად **ჯა**-საგან.

ე. ი. **ქრიჯა** = **ქ**(ი)**რი** + **ჯა** = **ფქვილი** + **ხე** = ფქვილის ამოსაღები ხის ნიჩაბი ან ჩამჩა.

ქურდბაცაცა

(ო. ქ.) ბაჩუა ბაჩუნი, უძლური სიარული (მოხუცის).

(ო. ქ.) ბაცაფი ფეხაკრეფით, ნელი სიარული.

(ო. ქ.) ბაცუა ფეხაკრეფით სიარული, ჩუმად ფეხისწვერებზე მიპარვა.

ე. ი. **ბაცა**-ფი, **ბაც**-უა > ქურდ-**ბაცაცა**. ქურდ-**ბაცაცა**-მ დაგვიხატა ქურდი ადამიანი, რომელიც ფეხაკრეფით, ჩუმად იპარება სხვის ბაღში, სახლში... შესაბამისად ქართულში გვაქვს:

(ქ.ე.გ.ლ.) **ბაცაცა** 1. იგივეა, რაც ბაჭია. 2. იგივეა, რაც ქურდბაცაცა.

ღუზა – ჯაჭვზე მიბმული რკინის კავებიანი ღერო; ზღვის (მდინარის) ფსკერზე ჩაუშვებენ ხოლმე გემის გასაჩერებლად.

(ო. ქ.) **ღუზუა** ღუნვა, მოხრა. მა-**ღუზა**-ლი (გა)მღუნავი. ო-**ღუზა**-ლი (გა)საღუნი.

ღუზა ეწოდება ასევე ბილიარდის მაგიდის კუთხეებში მოთავსებულ მოღუნული რკინის ფორმებს, რომლებზედაც მაგრდება ბილიარდის ჩაგდებული ბურთულების მოსათავსებელი ბადეები.

ქართული **ღუნვა** კი წარმოდგა მეგრული **ღუნუა**-ადან (**ღუნუა** > **ღუნვა**).

ყოყინა, ყოყინი, ყოყმანი, ყროყინი

(ო. ქ.) **ყოყი** ზოოლ. ზაქი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყოყინა** ზაქის ეპითეტად იხმარება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყოყინი** ზაქის, კამეჩის ხმიანობა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყროყინი** 1. ვირისა და კამეჩის ხმიანობა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყოყმანი** მერყეობა, ორჭოფობა.

ჩამოთვლილ სიტყვათა ფუძე მნიშვნელობებს განსაზღვრავს წარმართული **ყოყორე**.

(ო. ქ.) **ყოყორე, ყოყორო** რბილი, უმწიფარი.

ვინაიდან ზაქი უმწიფარია, ამდენადაც ეწოდა მას **ყოყი**, იგივე **ყოყორე** (=ყოყო არის), ვინაიდან ჩვენ კვლავ ვაწყდებით თანხმოვან **ყ**-ს (იგივე **ყა**-ს, იგივე **ყო**-ს) თვისებას -- ზოგადად გამოსახოს ნაზარდი, ნედლი, უმწიფარი -- რტო, შტო... ყაჭი, ყმა, ზაქი...

ცხადია **ყოყი**-ს შემდგომი განვითარებებია ყოყინა, ყოყინი, ყროყინი.

ყოყორე (უმწიფარი) შემადგენელია კომპოზიტისა **ყოყ**მანი.

ყოყმანი = ყოყ(ორე) + **მანი = უმწიფარი + ძლიერ.**

(ქ.ე.გ.ლ.) **ყოყმანი** მერყეობა, ორჭოფობა (გადაწყვეტილებათა მიღებაში).

ე. ი. **ყოყმანი** ესაა ადამიანის ისეთი მდგომარეობა, როცა რაიმე საკითხზე მისი აზრი ჯერ კიდევ უმწიფარია, „რბილია", ჩამოყალიბების პროცესშია და უჭირს მტკიცე გადაწყვეტილების მიღება. მეტი დამაჯერებლობისათვის, აქ გავიხსენოთ **ყოყმანი**-ს მსგავსი აზროვნების **ორჭოფობა**-ს განმარტება.

ორჭოფი = ორ(ო) + **ჭოფ**(უა) = **უხილავი** + **დაჭერა** = უხილავი უჭირავს, ანუ ორჭოფული მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ ადამიანს, მსგავსად ყოყმანისა, მყარი, ნათელი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია და შესაბამისად გაურკვეველ მდგომარეობაშია.

ჩოჩქოლი შეშფოთებით, აღელვებით გამოწვეული მოძრაობა და ყრუ ხმაური (ადამიანებისა).

სიტყვის შინაარსს განსაზღვრავს მეგრ. **ჩქოლუა**.

(ო. ქ.) **ჩქოლუა** გარტყმა (გამეტებით); თხლეშა; თხლაშანის გადენა; გადატ. დამტვრევა.

ჭაპანი ბაგირი, ჩვეულებრივ, დაწნული თასმისა (ზოგჯერ მსხვილი თოკიც). გუთნის ჭაპანი. ◊ (ცხოვრების) ჭაპანს ეწევა (სწევს...) – მძიმე შრომას, ჯაფას ეწვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭაპანწყვეტა** ძალ-ღონის უკიდურესი დაძაბვა; თავდაუზოგავი შრომა... თავის სიცოცხლე სულ ჭაპანწყვეტაში ჰქომდა გატარებული.

ე. ი. **ჭაპანი** ესაა ბაგირი, თოკი და როგორც ხარები გუთნის **ჭაპანს** ეწევიან, ასევე ადამიანების ცხოვრების **ჭაპანს** („თოკს, ბაგირს") დაძაბულნი, ამ წარმოსახვითი ბაგირის გაწყვეტამდე ეწევიან (ჭაპანწყვეტა). ეს წარმოსახვითი პროცესი თითოეული ადამიანის ცხოვრებისეული ტვირთია და მეგრულში გვაქვს:

(ო. ქ.) ჭაპანელი [და]ტვირთული.

(ო. ქ.) ჭაპანუა ძლიერ დატვირთვა.

თავად სიტყვა **ჭაპანი**-ს მეგრულში ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია.

(ო. ქ.) ჭაპანი ჭიპი.

(ო. ქ.) ჭიპე იგივეა, რაც ჩუპა, -- ჭიპი.

(ო. ქ.) ჩუპა ჭიპი. ართი ალაბი ჩუპა **გგთაქარქაშგ:** ერთი არშინი ჭიპი აქვს ჩამოკიდებული.

დააკვირდით გამოთქმას: „„**ართი ალაბი ჩუპა გგთაქარქაშგ**: ერთი არშინი ჭიპი აქვს ჩამოკიდებული". ე.ი წარმართული კოლხურით ჩუპა ან **ჭაპანი** აღნიშნავენ არამარტო ქართული გაგებით ჭიპს, არამედ ჭიპს ჭიპლართან ერთად.

(ქ.ე.გ.ლ.) ჭიპლარი (ანატ.) ძარღვიანი მილი, რომელიც ძუძუმწოვარა ცხოველის ჩანასახს აერთებს საშვილოსნოსთან და გადასცემს მას საკვებს დედის ორგანიზმიდან.

მდედრის სხეულის ნაყოფს დაბადებისთანავე ჭიპლარს მოაჭრიან და ჩნდება ჭიპი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჭიპი 1. მუცლის შუაში პატარა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც რჩება ჭიპლარის მოჭრის შემდეგ...

თუ გამოუცდელი ბებიაქალი ამ ძარღვიან მილს ახალშობილს სხეულიდან ზომაზე მეტად დაშორებით მოაჭრის, შემდგომ ამ ბავშვზე დაცინვით იტყვიან: „ერთი არშინი ჭიპი (**ჭაპანი**) აქვს ჩამოკიდებულიო".

(ო. ქ.) პალუა ქონება, ყოლა; პოვება; ბადება; არსებობა; ჭაჭანება.

ჭაპანი = ჭა + პა(პალუა) + **ნი = პატარა + არსებობა + დედის** = დედის (სხეულში) საარსებო პატარა (მილი, ხვრელი).

ორსული მდედრის სხეულში მზარდი ნაყოფისთვის ჭიპლარი, ჭაპანი აუცილებელი საარსებო „ბაგირია, თოკია, მილია" ამიტომაცა გვაქვს **ცხოვრების ჭაპანი.**

ხაპი

ეგვიპტელთა უმთავრესი მდინარე ნილოსის, ასევე სინოტივისა და მოსავლის ღმერთს ეწოდებოდა ხაპი, რომლის გამოსახულების ერთერთი ატრიბუტი იყო წყლით სავსე ჭურჭელი და წყლის ამოსაღები ჭურჭლის კოლხური სახელწოდებაა ხაპეში = ხაპესი.

(ო. ქ.) ხაპეში ორშიმო – ხაპეში არის თავმოჭრილი ჭურა (ყელიანი გოგრისაგან გაკეთებული ჭურჭელი), ხმარობენ წყლის ამოსაღებად.

(ქ.ე.გ.ლ.) ხაპი 1. კუთხ. (გურ. აჭარ.) იგივეა, რაც გოგრა. 2. იგივეა რაც ორშიმო. 3. კუთხ. (რაჭ.) იგივეა, რაც საწნახელი.

წარმართული სახელწოდება **ხაპ-ეში** ქართულად ნიშნავს **ხაპ-ესი**, მიგვითითებს მის წარმომავლობასა და დანიშნულებაზე, ანუ იმას, რომ ეს ჭურჭელი ნილოსის (წყლის) ღმერთის ხაპ-ეს მადლის, წყლის ამოსაღები ჭურჭელია. ვინაიდან წარმართულმა კოლხურმა ზუსტად იცის ორშიმოს ამ ზედსახელწოდების ისტორიული წარმომავლობა და დანიშნულება, წარმართულ კოლხურში უნდა არსებულიყო ხაპ-ეშის ლოგიკური განვითარება ხაპუა (ხაპის მოქმედება = წყლის ამოღება) მაგრამ ეს სიტყვა სადღეისოდ დაკარგულია, სამაგიეროდ ქართულში **ხაპუა**-ს განვითარება **ხაპვა** არსებობს.

(ქ.ე.გ.ლ.) ხაპვა ხაპით ან რაიმე ჭურჭლით ამოღება (ქვევრიდან); მთლიანად ამოღება (სითხისა).

(ქ.ე.გ.ლ.) ამოხაპავს მთლიანად ამოღვრის, ამოიღებს (სითხეს). ქვევრიდან ნარეცხი ამოხაპეს.

აქვეა სლავური хапать, хапуга.

Хапать ტაცება (სტაცებს, იტაცებს), გლეჯა, მითვისება.

Хапуга წამგლეჯი.

სანამ ეგვიპტური ხაპ დამკვიდრდა სლავურ მეტყველებაში მან გზაში დაკარგა წყლის მნიშვნელობა, მხოლოდ დარჩა ის მახსოვრობა, რომ ხაპვით, ამოხაპვით ისრულებ შენთვის სასურველი ობიექტის მოპოვების სურვილს.

ხუნდი[1] – 1. (ძვ.) ფეხის ბორკილი -- ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე.

ხუნდი-ს, რომელიც მეგრული ლექსიკის კუთვნილებაა, ფუძეა იგივე მეგრ, **ხუნა** (ჯდომა) და იგივე შინაარს ატარებს რასაც მახე.

(ი. ყ.) ხუნ || ხვენ, ხოდ || ხედ>ხ: ხუნა, ხვენა сидеть... დო-ხოდი садись... მიხე **у меня сидит, есть**; გე-მიხე у меня сидит на чем (напр. на руке)... [от этого корня, очевидно, произведены в грузинском след. слова მ-ხედარი || მ-ხედი всадник, воин, ხედნა, გახედნა выезжать лошадей]".

მიხე მეგრულად ნიშნავს „მიზის“, მახუნაფალი („დამსმელი“, „დამჯენი“) > ქართ. მახე -- ნადირთა ან ფრინველთა დასაჭერი მოწყობილობაა. მსგავსად გამოითქმის პატიმრის მდგომარეობა – „ციხეში ზის“, „ციხეში ჩასვეს“. ხოლო მხე უკვე მჯდომარე მდგომარეობას განსაზღვრავს და აქედანაა **მხედარი, სახედარი, ხედნა** გვარი **მხეიძე.**

(ო. ქ.) ხუნდი იგივეა, რაც ხუნჯი, -- ხუნდი. 1. ფეხის ბორკილი. 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე.

ხუნჯი = **ხუნ**(ა) + **ჯი** = ჯდომა დაბლა.

ხუნდი რომ ჯდომის მცნებას წარმოგვიდგენს, გვიმტკიცებს ქართული სახუნდარი.

(ქ.ე.გ.ლ.) სახუნდარი 1. ადგილი. სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს, 2. (ძვ.) იგივეა, რაც ბუნაგი.

ხუნდარი = **ხუნ**(ა) + **დარი** = მჯდომარეს დარი, მსგავსი. გავიხსენოთ:

მხედარი = **მხე** + **დარი** = მჯდომარეს დარი, მსგავსი.

ე. ი. **ხუნდარი** > (არ > 0) > **ხუნდი**.

სანამ ნადირი ჩამოივლიდა, მონადირე **სახუნდარში** უნდა მჯდარიყო.

იგივე შინაარსს ატარებს **ხუნდი**-ს მეორე მნიშვნელობა:

(ქ.ე.გ.ლ.) ხუნდი[2] მტრედის ბარტყი.

ანუ ბარტყია **ხუნდია** (მჯდომარე) სანამ ფრენას ისწავლის და ბუდეზე დამოკიდებული აღარ იქნება.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მთიელებმა ჯდომის არა მარტო წარმართულ ფორმა **ხუნ**-ს იყენებენ, არამედ ფორმა **ხოდი**-ც მათთვის მშობლიურია.

(**მთიულურ-გუდამაყრული** 129): „ხევსურული ლექსი"

„მორბოდის დილაის **ხოდი**, მაინათების ნალსაო,
ნიავს გავს დაქანებულსა, მუსკლავსა გათხოვებულსა“.

(**მთიულურ-გუდამაყრული** 447): „მე ჩემი **ხოდი** შევკაზმე
გადავიკიდე მათარაო“.

ე. ი. **ხოდი** აღნიშნავს ჯდომით მდგომარეობას – **დოხოდი** = დაჯექი და ამ შემთხვევაში მხედრისთვის ცხენის ძირითად დანიშნულებას.

გადაქართულებულ მეგრულ სიტყვათა რაოდენობა შეუდარებლად მეტია ვიდრე ჩვენს მიერ განხილული მაგალითებია, მხოლოდ აქ შევწყვიტოთ მათი განმარტებები, ვინაიდან ჯერ კიდევ კვლევის საწყის პერიოდში ვიმყოფებით, შორსა ვართ კოლხური მეტყველების ფსიქოლოოგიის სრული შეცნობისაგან და უკვე ახსნილ კოლხურ სიტყვათა რაოდენობა კი სრულიად საკმარისია ქართული ენის კოლხური წარმომავლობის დასამტკიცებლად. ხოლო თუ ვინმეს დარჩა უკმარობის გრძნობა, შეუძლია მოიმარაგოს ლექსიკონები და თავად მოიძიოს დამატებითი მაგალითები, ვინაიდან მიღებული ცოდნის შემდგომ ეს პროცესი არავისთვის სირთულეს აღარ უნდა წარმოადგენდეს როგორც ლექსიკის, ასევე გვარებისა და ტოპონიმიის მიმართებით.

კოლხური ტოპონიმია

ადიგენი -- რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში.

ადიში (იგივე, ოდიში, ოდისი) – მთა, მწვერვალი, მყინვარი, სოფელი და ადიშჭალა – მდინარეა მესტიის რ-ნში.

ადიგენი[1] = ადი(ში) + გე (სალოცავი ფორმანტია – ღორონთგე, თოლიგე) + ნი (სასურველი) = ღვთაებრივი ადი-ს (დ-ს, ოდო-ს, მოსავლიანობის) სასურველი (მხარე).

ადიგენი[2] = ადი(ში) + გე + ნი = ადის (დ-ს, ოდო-ს, მოსავლიანობის) + მიწა + სასურველი = სასურველი მოსავლიანი მიწა.

ალაზანი -- მდინარე შიგა კახეთში.

ალაზანი -- წყარო გურიის სოფელ შუაფარცხნალში (ვ. ი.).

მუკუზანი -- სოფელი შიგა კახეთში.

აბაზანა – 1. საბანაოდ ან წყლით მკურნალობისათვის განკუთვნილი ჭურჭელი.

მდინარის სახელწოდება ალაზანი დაფიქსირებული აქვს როგორც **სტრაბონს**, ასევე **პლინიუსს**.

(**ივანე ჯავახიშვილი ქ.** 430): „**პლინიუსი** Natur... იქ შეცდომით სწერია „ოკაზანე“ „ალაზანე"-ს მაგიერ“.

პლინიუსი შეცდომას არ უშვებს, ბერძნულად **ოკა** ნიშნავს – **სწრაფად, ჩქარა** და **ოკაზანე = სწრაფი ზანი** (მდინარე). აქ იკითხება ბერძნების ცოდნა, რომ სახელწოდება **ალაზანი** კომპოზიტია, შედგენილი სიტყვაა (**ალა + ზანი**). **ალა** კოლხური ზმნისწინია.

(ო.ქ.) ალა[1] რთული ზნისწინი (ა- და ლა-: ა – მარტივი ზმნისწინია, ლა – ნაწილაკი): 1. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას ვისამე გვერდით; ქვევიდან ზევით (ოდნავ) ალმაცერად; გარეთ; ალა-ხუნა – გარეთ ჯდომა; ვისამე გვერდით ჯდომა...

ალა მართლაც რთული ზმნისწინია, თუ ოთარ ქაჯაია აღნიშნავს **ალა**-ს ქვევიდან ზევით მიმართულებას, მამანტი ძაძამია პირიქით, მიუთითებს **ალა**-ს ზევიდან ქვევით მიმართულების უნარს.

(**მამანტი ძაძამია I.** გვ.16): „**ალა**- გვერდით, გვერდზე, გვერდიგვერდ და დაბლით."

იგივე განმარტებას იძლევა იოსებ ყიფშიძე.

(ი. ყ.) ალ-ულა (< ალა + ულა) заходить, спускаться вниз.

(ი. ყ.) ალა-მალა в роде «туда-сюда» , непостоянное.

საერთოდ, ზმნისწინთა კერძო მნიშვნელობა დამოკიდებულია იმ სიტყვათა შინაარსზე რომელთაც ისინი დაერთვიან და **ალაზანი**-ს (მდინარის) შემთხვევაში ალა მიუთითებს მდინარის ზევიდან ქვევით, გვერდიგვერდ, აქეთ-იქით, მიხვეულ-მოხვეულ მიმართულებას. ამ მოსაზრებას გვიდასტურებენ შემდეგი მაგალითები:

(ქ.ე.გ.ლ.) ალა[1]...წისქვილის ნაწილი – ყუთი, რომელშიც ფქვილი ჩამოდის (**ალა**-ში ფქვილი ზევიდან ქვევით, დაბლით რხევით ჩამოდის ჯ.კ.).

(ო.ქ.) ალაგელა... ქანაობა. ალაგელა მეურსია – რხევით მიდისო.

(ქ.ე.გ.ლ.) ალაგ-ალაგ ზოგ ადგილას, ზოგგან, აქა-იქ.

გავიხსენოთ, რომ სახელწოდება **ალაზანი**-ს მეორე შემადგენელი **ზანი**, როგორც მდინარის სახელწოდება ჰურიტთა მდინარე წყალთა ღმერთს ეწოდებოდა **არზანი** (**აკაკი გელოვანი** 630). თანხმოვანი **ზ**, უძველეს ენათა აზროვნებით, გამოსახავდა ორ ურთიერთ საწინააღმდეგო წყლისა და წვის მცნებებს, ანუ სიცოცხლისათვის ერთდროულად აუცილებელ ძალებს და ,**ზანი**-ს შემთხვევაში კერძოდ, წყალს აღნიშნავს (**აუზი || ავზი**).

(**ჯემალ შარაშენიძე** 145): „ექიმის პროფესია შუმერში ძალზე ადრე ჩამოყალიბდა. III ათასწლეულის დასაწყისში შედგენილ ჩანაწერებში უკვე გვხდება ექიმის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი **აზუ**, რაც სიტყვასიტყვით „წყლის მცოდნეს“ ნიშნავს“.

ზანი = **ზა** + **ნი** = წყალი დედის (სასურველი) = მდინარე.

აქვე ავხსნათ **აბაზანა**.

(ო. ქ.) აბანა აბანო; სამკურნალო წყალი.

აბაზანა = **აბა**(ნა) + **ზანი** = **საბანაო** + **წყალი**.

ამრიგად, **ალაზანი** = **ალა** + **ზანი** = მიხვეულ-მოხვეული მდინარე.

წარმართულ კოლხურში სხვა მსგავსი სახელწოდებაც გვხდება:

(ო. ქ.) ალაზონი ადიდებულ მდინარეზე, გაუვალ ტყეზე, სათიბზე ამბობენ. ტოპონ **ალაზანი**. //.გადატ. სიმინდის მოსავალს კარგი პირი როცა უჩანს (დატაროიანებულია), იტყვიან: ნამდვილი **ალაზანიაო**.

აღსანიშნავია, რომ მდ. **ალაზანს** სტრაბონი ფორმით **ალაზანიოსი** მოიხსენიებს.

(ო. ქ.) აიაზონი, აჲაზონი ალაზანი. ბანძურ-მარტვილურ თქმაში გადატანით აღნიშნავს კარგ მოსავალს, სიუხვეს. თიჯგუა სიმინდი ჩანს, **აჲაზონიე ნანდვიი** – ისეთი სიმინდია, **ალაზანია ნამდვილი**.

გავიხსენოთ სუფიქსი –**ონი**-ს შინაარსი.

(ო. ქ.) ონი ტოპოსუფიქსი. – გამოხატავს კრებულს; ფუნქციით ქართული ნარ-ის შესატყვისია. აღნიშნავს: ა) ადგილს, სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს: ცხიმურ-ონი (შდრ. ცხიმური) რცხილნარი, ბულ-ონი ბალნარი (შდრ. ბული ბალი); თხუმულ-ონი მურყნარი (შდრ. თხუმუ თხმელა, მურყნარი); ჯალ-ონი ადგილი, სადაც ბევრი ხეა (შდრ. ჯა//ჯალ ხე); ქვერჩხ-ონი ჯაგნარი (შდრ. ქვერჩხი ჯაგი). ბ) ადგილს, სადაც ბევრი ქვა-ქვიშაა (ჩვენს შემთხვევაში ვაზის ნაყოფს ჯ.კ.): ქუალ-ონი ქვიანი (შდრ. ქუა//ქუალ ქვა); ქვიშ-ონი ქვიშნარი (შდრ. ქვიშა ქვიშა). შდრ. ლაზ. –ონ-: ჯუმ-ონი მარილიანი.

ჩვენ თუ გავიხსენებთ ეგვიპტელთა წარსულიდან, რომ ათ-ონი-ს (მზის) „საკულტო ცენტრი იყო ონი (ჰელიოპოლისი)“, აქ უკვე უნდა მივხვდეთ თუ რატომ ეწოდა ონი „ადგილს, სადაც ესა თუ ის მცენარე უხვად ხარობს“.

ალაზონი = **ალაზ**(ანი) + **ონი** = **მდინარის დინება** + **უხვი**.

ანუ როგორც მდინარეს ძალუმად მოაქვს გარემოს მაცოხლებელი წყალი, ასევე გლეხის გულს ახარებს კარს მომდგარი სიმინდის უხვი მოსავალი, ბარაქიანი სათიბი...

მეგრულში **ალაზონი**-ს შინაარსის განვითარებაა **ფალაზონი**.

(ო.ქ.) ფალაზონი ფოთლოვანი.

აღსანიშნავია, რომ არსებობდა სკვითური ტომი **ალაზონების** სახელწოდებით.

(**ქ.ს.ე.** I. 263): „**ალაზონები** – სკვითური ტომი ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ალაზონების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ჰეროდოტე, სტრაბონი, პავსანია და სტეფანე ბიზანტიელი. ცხოვრობდნენ ოლზიის ჩრდილოეთით, სამხრეთ ბუგის აუზში, კალიპიდებსა და მიწათმოქმედ სკვითებს შორის. იყვნენ ბინადარი მიწათმოქმედნი~.

სახელწოდება სოფლისა **მუკუზანი** ასევე მდინარის მცნებას უკავშირდება და რთულ კომპოზიტს წარმოადგენს – **მუკ**(ო) + **უ**(ლა) + **ზანი**.

მუკო რთული წარმართული კოლხური ზმნისწინია.

(მამანტი ძაძამია I 20): „მუკო- ირგვლივ აქეთკენ, მაღლივი საგნის გვერდითიდან აქეთ, აქეთკენ: მუკო-ცუნაფა (ჩამოყვანა, ვთქვათ, კედელზე მიმჯდარი მწყერისა, ზე მჯდომი ფრინველისა, სხვა შემთხვევაში, შემოტარება კერძებისა სუფრის ირგვლივ).

ულა მეგრულად ნიშნავს სვლას და **მუკო+ულა**, რომელიც ძირითადად გამოითქმის შეკვეცილი ფორმით **მუკულა**, აღნიშნავს შემოვლა-ს.

მუკუზანი = **მუკ**(ო) + **უ**(ლა) + **ზანი** = **ირგვლივ** + **სვლა** + **მდინარე** = ირგვლივ უვლის მდინარე. თუ დახედავთ სოფელ **მუკუზანი**-ს რუკას, დარწმუნდებით, რომ ამ სოფელს გარს უვლის მდინარე (ზანი).

ამრიგად -- **მუკ**(ო)**უ**(ლა)**ზანი** > **მუკუ**(ლა)**ზანი** > **მუკუზანი**.

ანაგა – სოფელი სიღნაღის რ-ნში.

ანაგისხევი – პერიოდული მდინარე სიღნაღის რ-ნში.

(ო. ქ.) ანაგება აგებულება, სახე, ტანი (ი.ყიფშ.); სამაგალითო.

ანაგა შუმერულ-კოლხური ტერმინია. შუმერული **ან** (ცა) კოლხურში აღნიშნავს მცნებას ზე (ანჩი = ზეციური). შუმერული **გა** კოლხურშიც აღნიშნავს ბორცვს, გორაკს, სერს, მხარეს და საერთოდ ძლიერ ფორმებს.

ამრიგად, ქიზიყური **ანაგა** გამოსახავს სოფლის მთაგორიან ფორმას.

აშხადურა – შუა ფეოდალური ხანის ეკლესია. მდებარეობს ახალგორის რ-ნში, სოფელ იკოთის ტერიტორიაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს.

იშხანი სამონასტრო ცენტრი, მდებარეობს ტაოში (თურქეთის ტერიტორიაზე). მდინარე ოლთისწყლის მარჯვენა ნაპირზე. აშენებულია VII საუკუნეში.

ორივე სახელწოდებას აერთიანებს მცნება **შხა** (დღე).

დასაწყისში გავიხსენოთ შიდა ქართლის კოლხური ტოპონიმია.

(**მამანტი ძაძამია** I 15): „(ზმნისწინები) აკო-, იკო-, ოკო- შიგნითკენ, ცენტრისკენ.

(ო. ქ.) იკორთა იგივეა, რაც ეკორთა – წაქცევა.

იკორთა სოფელი ცხინვალის რ-ნში XII საუკუნის მონასტრით.

იკოთი სოფელი, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს.

იკოთი = **იკო** + **თი** = შიდა სოფელი.

აშხადურა მდებარეობს სოფელ **იკოთი**-ს ტერიტორიაზე.

(**ლადო ალფენიძე** 9): „აშხა" -- ღმერთია ხეთურად. მაშასადამე კოლხური მეტყველება, კალენდარი და რელიგია განიცდის ძველ ეგვიპტურ და ძველ ხეთურ ენათა და ცივილიზაციათა გავლენას.

კოლხურად „თუთა" ეწოდება ასტრონომიულ „მთვარეს", „თუთაშხა" კი – კალენდარულ „ორშაბათს" და თეოლოგიურად და თეოსოფიურად – „მთვარის ღმერთს"."

ამ ვარიანტით: **აშხადურა**[1] = **აშხა** + **დურა** = **ღვთაება** + **ძლიერი** = ძლიერ ღვთაებრივი.

ჩვენ ვიცით, რომ **შხა** = **შ** + **ხა** = **სული** + **მიწა** = დღე (დღის ნათება).

აქვე გავიხსენოთ ა-თონი, ა-ჭარა, ა-წყური...

ამრიგად, ვღებულობთ მეორე ვარიანტს:

აშხადურა[2] = (ა)**შხა** + **დურ** = (აქ) **ნათება** + **ძლიერი**.

ბეჟან კილანავას მიხედვით, **იშხანს** ნიშნავს ბობოქრობს და მაშინ **იშხანი** – ბობოქარი, რაც სრულად შეესაბამება კალმახის ჯიშის თევზის ბუნებას.

(ქ.ე.გ.ლ.) იშხანი (იშხნისა) ერთგვარი კალმახი, -- გელაქნური. [ტაბაწყურის] ტბაში ბევრია ძვირფასი ჯიშის თევზი – კალმახი. სიგი, იშხანი, ჭაპალა და სხვ.

აქვეა გვარი **იშხნელი.**

ბერთა – ქართული კულტურის კერა ძვ. კლარჯეთში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია), მონასტერი დაარსდა VIII—IX სს-ში.

ბერთაყანა – კლდეში ნაკვეთი სახიზარი (ქვაბი) ჯავახეთში. სამსართულიანი კომპლექსი შეიცავს ერთმანეთთან გვირაბით დაკავშირებულს სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებულ გამოქვაბულთა ჯგუფებს. თითოეულ ჯგუფში ოვალური მოყვანილობის 1-3 სენაკია. ერთ-ერთ მათგანში ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ზოსიმე კუმურდოელი, რომელიც ჯავახეთის საეპისკოპოსოს განაგებდა XI ს-ში.

(ო. ქ.) ბერთი, ბერტი – ბელტი.

იოსებ ყიფშიძის განმარტებით **ბერთი** ეს Глыба-ა, ხოლო Глыба გარდა ბელტისა ასევე ქვის ლოდიცაა და რაც ესადაგება კიდეც **ბერთაყანის** კლდეში (დიდ ლოდში) ნაკვეთ სახიზარს. ასევე მოგეხსენებათ, რომ ყანა ნიშნავს მიწიერ წარმონაქმს და რასაც წარმოადგენენ ბერთაყანის გამოქვაბულები. ასევე სენაკის რაიონშია სოფელი **ბერთემი**.

აქვეა სახელწოდება **შატბერთი**. **შატ** (ტკბილი) არაბული სიტყვაა და **შატ** + **ბერთი** = **ტკბილი ბერთი**, კლდე. ტკბილი (შატ) ნაყოფის გამოც წარმოდგა ხისა და მისი ნაყოფის სახელწოდება **ფ-შატ-ი**.

ბოდორნა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

(ო.ქ.) ბოდორია – ბოტან. ბალბა. **სუმი ჯინჯი ბოდერია დომიჭვი დო დომიხაში**: -- სამი ძირი ბალბა შემიწვი და მომიხარშე.

ე.ი **ბოდორნა** = **ბოდორ**(ია) + **ნა** = **ბოდორია** + **სასურველი**.

გარდმანი – კავკასიის ალბანეთის ერთ-ერთი პროვინცია. ტერიტორიულად მოიცავდა ძირითადად მდ. შამქორჩაის ხეობას (აზერბ.), ცენტრი იყო გარდმანის ციხე (სომხ. წყაროებით გარდმანბერდი)... ქართულ ისტ. წყაროებში ალბანეთის გარდმანის დასახელება, ჩვეულებრივ, ემთხვევა საკუთრივ ქართული პროვინციის გარდაბნის სახელწოდებას. ქართული და ალბანური პროვინციების სახელწოდებათა საერთო წარმომავლობა უეჭველია და მოწმობს გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ და, შესაძლებელია, ეთნიკურ ერთიანობას (ქ.ს.ე. II 698).

გარდაბანი – ქალაქი, რ-ნის ცენტრი ქვემო ქართლში.

გარდანთა – სოფელი ცხინვალის რ-ნში.

გარდატენი -- სოფელი გორის რ-ნში.

(ო. ქ.) აბანი ადგილი.

გარდაბანი = **გა** + **რ** + **დ** + **აბანი** = **მთა** + **არის** + **ძლიერი** + **ადგილი** = მთაგორიანი მხარე.

მეგრულს გააჩნია **გარდაბანი**-ს მსგავსი კონსტრუქციის ზმნიზედები და სიტყვები:

(ო. ქ.) **გადაბანათ** ზმნზ. დახრილად.

(ო. ქ.) **გადაბანო** ზმნზ. გარდიგარდმო.

(ო. ქ.) **გარდა**[1] – სარმა.

(ო. ქ.) **გარდა**[2] – გარდა.

(ო. ქ.) **გარდაფი** – უდარდელი სიარული.

(ო. ქ.) **გარდუა** – 1. ისლის სახურავის გრძელი ლარტყებით დამაგრება.

გარდა-ს, როგორც წიანააღმეგობის გადალახვის მცნებას (მთა + არის + ძლიერი) ქართულში მიენიჭა მსგავს მცნებათა გამოსახვის ფუნქცია:

(ქ.ე.გ.ლ.) **გარდა**-1 ძველი რთული წინსართი ზმნისა (გარ- და და-), -- იგივეა, რაც გადა-. გარდასვლა (შდრ. გადასვლა).

გარდა > **გარდიგარდმო** > **გარდაქმნა** > **გარდასახვა** > **გარდაუვალი...**

გარდანთა = **გარდა** + (სი)**ნთ**(ე) = ნათელი გარემო.

α-τενησ [ა-ტენეს] – тугой, крепкий, цепкий.

ატენი – სოფლის, მონასტრისა და ხეობის სახელწოდება გორის რ-ნში.

გარდატენი = მთაგორიანი ატენი ძლიერი (крепкий).

გარდმანი = გარდ + მანი = ძლიერ მთაგორიანი.

გერგეტი ორწვერი – მყინვარი ყაზბეგის რ-ნში.

დღევანდელი კოლხური აზროვნებით წარმართული კოლხური სახელი გერგე და ბერძნული გიორგი (< გეორგოს) ერთი და იგივე მნიშვნელობის სახელებადაა მიჩნეული.

(ო. ქ.) **გერგებათუთა, გერგობათუთა** გიორგობისთვე.

გერგე-დან წარმოდგება გერისთობა.

(ქ.ე.გ.ლ.) **გერისთობა** წმინდა გიორგის სახელობის დღეობა სოფ. არბოში.

გერგეზი = **გერგე** + **ზი** = **გერგე** + **ცეცხლოვანი.**

(ო. ქ.) **გერგეზი** 1. დიდი და ძლიერი, -- გოლიათი; 2. გმირი.

(ო. ქ.) **გერგენი** იგივეა, რაც გერგეზი -- დიდი, მაღალი; გოლიათი.

გერგენი = **გერგე** + **ნი** = **გერგე** + **დედის.**

(ო. ქ.) **გერგელი** --გორაობა, გორება

(ქ.ე.გ.ლ.) **გერგე** ძვ. „ასაკმცირე ცხენი და მისთანანი" (საბა).

კოლხური **გერგენი**-ს მსგავსი კონსტრუქციისა და შინაარსის სიტყვა გააჩნია ბერძნულს – **გეგენეს.**

γη-γενής [გეგენეს] – 1) земнорожденый, земнородный, сын земли.. 3) гигант т.е. мощный, потрясающий. 4) земной..

გერგენი, გეგენი-ს ცოდნით წარმოდგა გვარები: **გერგედავა, გეგენავა, გეგელია...**

(ო. ქ.) **გერგენი** იგივეა, რაც გერგეზი, -- დიდი, მაღალი; გოლიათი.

გერგენჯი = **გერგე** + **ნჯა** = **გერგე** + **ხე** (სასურველი).

(ო. ქ.) **გერგენჯი** იგივეა, რაც გერგეზი, -- დიდი, ბუმბერაზი, ძლიერი, -- გოლიათი.

გერგეტი = **გერგე** + **ტი** = **გერგე** + **თბილი** (სასურველი).

გერგეტი – სოფელი ყაზბეგის რ-ნში.

გერგემიში – სოფელი გულრიფშის რ-ნში.

გერგინი = **გერგ**(ე) + **ინი** = **გერგე** + **დაბლა.**

(ო. ქ.) **გერგინი** ძლიერი მოძრაობა.

ქართულში დამკვიდრებულია მეგრული გერგინი-ს განვითარება -- **გერგილი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **გერგილი** შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება.

აღსანიშნავია, რომ საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიის აღწერებით, დაღესტანში დაფიქსირებულია დასახლებები სახელწოდებით **გერგა, გერგებილ**, ხოლო დღევანდელი ჰაიასტანის ტერიტორიაზე **გერგერ** და **გერგერი** (ლორეს მხარეში); ეს ფაქტები მიგვითითებს კოლხური კულტურის გავლენის ვრცელ არეალზე.

გომანი – სოფელი ახალქალაქის რ-ნში.

გომანუა მეგრულად ნიშნავს გატრუსვას, **გომანილი გატრუსულს**. სახელწოდება **გომანი** სოფელ **გომანის** გარშემო არსებულ გადატრუსულ, ხრიოკ ბუნებაზე უნდა მიგვითითებდეს.

გურჯაანი – ქალაქი, რაიონის ცენტრი, ასევე სოფელი გურჯაანის რ-ნში.

გუჯაბაური – სოფელი ცხინვალის რ-ნში.

გუჯარეთი – სოფლები ბორჯომისა და ლაგოდეხის რ-ებში.

1906 წლის აღწერით, ისტორიულ სამხრეთ სამეგრელოში, კლარჯეთში არსებულა დასახლება სახელწოდებით – **გურჯანი**.

Гурджан – Батумская обл. Артвинский уч.

გურჯაანი კოლხური **გურჯანი**-ს **კახური** გაწელილი გამოთქმაა.

გურჯანი = **გურ**(ი) + **ჯანი** = **გული** + **ჯანი** = გულჯანიანი.

სადღეისოდ **ჯანი** მიჩნეულია სპარსული წარმომავლობის სიტყვად, რეალურად **ჯანი** კი იმ უძველეს (კოლხურ, სპარსულ, არაბულ...) მეტყველებათა საერთო კუთვნილებაა, რომლებშიც ხის მცნება აღინიშნება თანხმოვნით **ჯ**ა და მცნება **ჯანი**-ს შექმნის ავტორობის დადგენა ჯერჯერობით შეუძლებელია.

კომპოზიტს **გურჯანი** კოლხური მეტყველება შემოკლებული ფორმით, მხოლოდ ზუსტი შინაარსიით იყენებს.

გურჯუა = **გურ**(ი) + **ჯ**(ანი) + **უა** = გულჯანიანი მოქმედება.

(ო. ქ.) **გურჯუა** 1. უზომოდ სმა (ღვინის, წყლის...). 2. ჩქარი, ძლიერი დინება (მდინარისა).

(გივი ელიავა) **გურჯუა** – ღონივრად, სულმოუთქმელად დალევა. „ეფშა ყანწი გეგურჯუ" – „სავსე ყანწი გადაკრა“.

(ო. ქ.) **გუჯონი** – ნედლი საჭმელის (ბოსტნეულის) ბღუჯა-ბღუჯად ჭამა.

(ო. ქ.) **გურჯონი** – გლეჯა, ფლეთა, ტყავება.

(გივი ელიავა) **გუჯმახანი** – მოფერებითი მიმართვა. **გუჯა** მახარია „**გუჯა** მახარებელი“. „გეშვი ღვინი, ქიდმახვამი, მა გოხულუქ გუჯმახანი“ – „შესვი ღვინო, გადმომილოცე (სასმისი), მე გახლავართ გუჯმახანი“.

გუჯა **გურჯანი**-ს შემოკლებული ვარიანტია და მაშინ ცხადია, რომ:

გუჯარეთი = **გუ**(რი) + **ჯ**ა(ნი) + რე + თი = გული + ჯანი + არის + სოფელი = გულჯანიანი არის სოფელი (მხარე).

გუჯაბაური = **გუ**(რი) + **ჯ**ა(ნი) + ბა + ური = გული + ჯანი + მცირე + საცხოვრისი (სამოძრაო) = გულჯანიანი მცირე საცხოვრისი.

აქვეა სახელი **ელ-გუჯა** = ზე გულჯანიანი.

ამრიგად, **გურჯაანი** = **გულჯანიანი** (ადგილი, მხარე) და რაც ზუსტად გვიხატავს ამ ზვრებით დამშვენებულ მხარეს ჩვენი ქვეყნისა.

ფუძე **გუჯა**-თი გამოისახება როგორც ჭამის პროცესი, ასევე ჯანმრთელ მხარეს და ორივეს კი აერთიანებს **გუჯაბი**.

გუჯაბი = **გუ**(რი) + **ჯ**ა(ნი) + **ბი** = გულჯანიანი მცირე.

(ქ.ე.გ.ლ.) **გუჯაბი** 1. სატენი, გული (ქადისა, კუპატისა და მისთ.) || საკლავის შიგნეულობა, ფაშვ-ნაწლავები. **კუპატი გუჯაბით**. 2. ჯილაგი, ჯიში, მოდგმა.

დიხაშური – მდინარე ოზურგეთის რ-ნში.

ნახშირი – ხისაგან წვით დამზადებული საწვავი მასალა შავი ფერისა.

ხანაშური – მდინარე ლენტეხის რ-ნში.

ხაში -- წვნიანი კერძი.

ხაშმი – სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

ხაშრულა – მდინარე თიანეთის რ-ნში.

ხაშური – ქალაქი, რაიონის ცენტრი.

(**ზურა ჭუმბურიძე** 536): „**ხაშმი** ძველი სოფელი გარეკახეთში, ივრის მარცხენა სანაპიროს (საგარეჯოს რ.). ადრე ეს სოფელი უფრო მაღლა ყოფილა ტყეში გაშენებული და კაწახეთი რქმევია. იქიდან დაახლოებით XI საუკუნეში ჩამოუწევია ქვემოთ, იმ ადგილებში, რომელსაც ახლა ძველი ხაშმი ჰქვია და დღევანდელი ხაშმისაგან ხუთი-ექვსი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. და ბოლოს, მოგვიანო ხანებში, სოფელს კიდევ უფრო ქვემოთ ჩამოუნაცვლებია და გაშენებულა ნათლისმცემლის სამრეკლოს მიდამოებში (ეს სამრეკლო ძველისძველია, ხალხს გორგასლის დროს აშენებულად მიაჩნია). ამბობენ, იმ დროს ივრის ჭალები ჭაობიანი იყო და დახაშმული ჰაერი იდგა, სოფელსაც ამიტომ დაერქვა ასეთი სახელიო (ხაშმი ჭაობის ანაორთქლ ჰაერს ჰქვია). დღევანდელი სოფლის ადგილმდებარეობა და ჰაერი ასეთ მნიშვნელობას არ ამართლებს: ხაშმი გამოირჩევა თავისი ჯანსაღი ჰაერით და საერთოდ ბუნების სიკეთით.

ხაშური ცნობილი ქალაქის სახელია აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში). საბა ამ სიტყვას ასე განმარტავს: „ხაშური მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი, მათს ნიშანს ეწოდების“. მართლაც, ხომ ყველას გვინახავს, როგორ რჩება მლაშე წყლის მოთეთრო ზოლი ნარუვალზე ან ნატბეურ ადგილზე. სწორედ ასეთ ადგილს შერჩენია სახელად ხაშური“.

ზურა ჭუმბურიძის განმარტება ძირითადათ მართებულია, მხოლოდ კოლხურ ენათა ფსიქოლოგიის არცოდნის გამო – ზედაპირული. გავიხსენოთ ჩამოთვლილ სახელწოდებათა ჩვენი აღქმა:

დიხაშური = **დი**(ა)**ხა** + **შური** = **დედამიწა** + **სული** = (მდინარე) დედამიწის სულია, ანუ წყალი ასულიერებს, აცოცხლებს მიწას.

ხაშური = **ხა** + **შური** = **მიწა** + **სული** = (მდინარე, წყალი) მიწის სულია.

ხაშრულა = **ხაშ**(ური) + **რულა** = **მიწის სული** + **სირბილი** = მიწის სული (მდინარე) ჩარბის, ჩაედინება.

ხანაშური = **ხანი** + **შური** = **დრო** + **სული** = წყლის მუდმივი დენა იგივე დროის დინებაა და ამდენად მდინარე დრო-ჟამის სულიაო, ანუ დროის მატერიალური გამოსახვაო.

ამრიგად, -- წყალი ესაა მიწის სული, ანუ სული იბადება წყლიან სივრცეში, ანუ სული ჩნდება მდედრის ორსულ, წყლიან სხეულში. იგივეს აღიარებს ქრისტეანული რწმენა.

როგორც მოგეხსენებათ, დასახლება **ხაშური** გაჩნდა 1872 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდგომ და მას „მიხაილოვო“ უწოდეს. მოგვიანებით, ამ რუსული სახელის გადაქართულებისას გაახსენდათ ადგილობრივი მახასიათებელი სახელწოდება **ხაშური**. თითქოს სახელწოდება **ხაშური**-ს ჩვენგან სრულიად

განსხვავებულ შინაარსს იძლევა **სულხან-საბა ორბელიანი**, სინამდვილეში კი მისი შინაარსი ჩვენი განმარტების მნიშვნელობის შემდგომი გაგრძელებაა.

წყალი მიწის სულია -- ჩვენ უკვე განვიხილეთ მაგალითები როცა ადამიანის სული კოლხებმა ფიზიკურად ბოლი-ს, ბურუსი-ს, ბინდი-ს ფორმებით გამოსახეს. **ხაშური**-ს, მიწის სულის შემთხვევაში შექმნეს მცნება **ხაშუა** (ხარშვა).

ხაშუა = ხა + შ + უა = მიწა + სული + მოქმედება = მიწის სულის მოქმედება, ანუ წყლის ხარშვის დროს წარმოქმნილი ორთქლი მიწის სულის გამოვლენაა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ხაში** (სპ.) 1. წვნიანი კერძი ძროხის ან ცხვრის მოხარშული ფაშვისა (და, აგრეთვე, ჩლიქებისა). 2. დამჟავებული პურის ცომი (შენახული საფუვრად).

ხაშის მომზადებას თან ახლავს ორი რთული პროცესი – 1. სახაშე მასალის რეცხვის დამღლელი პროცესი. 2. ხარშვის ხანგრძლივი დრო. მეგრულად ხარშვის პროცესს ეწოდება ხაშუა, ხოლო ნახარშს **ხაშირი, ხაშილი** და აქედან წარმოდგება სახელწოდება **ხაში** (**ხაშილი** > **ხაში**).

აქვეა **ნახშირი** (< **ნახაშირი** < **ნოხაშირი**).

ნახშირი = **ნა**(ნამყო დროის მაჩვენებელი თავსართია) + **ხ**(ა)**შირი** (მოხარშული) = ნახარში.

რატომ ნახარში? - სანახშირე შეშის წვის პროცესში, კოცონიდან ამოაქვთ წითელი მუგუზლები და ათავსებენ წყლიან ჭურჭელში. მომენტალურად გაციებული წითელი მუგუზალი იქცევა შავ ნახშირად. წყალში ჩაგდებული მუგუზლების გამო წყლის ზედაპირიდან ორთქლი წარმოიქმნება და ემსგავსება ხარშვის პროცესს, აი ამ „ხარშვის", გასაციებელი წყლის ჭურჭლიდან ორთქლის გამოყოფის შედეგად წარმოიქმნება **ნახაშირი** (ნახარში) > **ნახშირი.**

აღსანიშნავია, რომ, იოსებ ყიფშიძის ცნობით, მდინარე ნოღელას აუზში არსებულა სოფელი **ნოღო-ხაში**.

ამის ცოდნით შეიქმნა ქართულში განზოგადოებული მცნება **ოხშივარი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ოხშივარი** ორთქლი, რომელიც ასდის ცხელ გახურებულ რასმე.

ჭაობს მუდამ ასდის ორთქლი და მსგავსად გური (გული) > გურამი (გულიანი), შეიქმნა **ხაში** (ორთქლი) > **ხაშმი** (ორთქლიანი, ოხშივარიანი). მსგავსი კონსტრუქციისაა **ღაჟმი.**

(ო. ქ.) **ღაჟურა** -- ჭრელი, ნაირფეროვანი.

(ო. ქ.) **ღაჟმი** – შხამი, ჟღამი (ცხადია **ღაჟმი** > **ჟღამი** ჯ.კ.).

ამჯერად ავხსნათ სახელწოდება **ხაშური**-ს შინაარსის **საბასეული** განმარტების საფუძვლიანობა.

მზის ერთ-ერთი ბერძნული სახელწოდება გახლავთ **მარილე** და იმის გამო, რომ მარილი მზის მიერ მლაშე წყლის (ძირითადად ზღვის წყლის) აორთქლების (ხაშუას) შემდგომ გამოიყოფა, ქართული ენის შემქნელებმა კვების ამ აუცილებელ პროდუქტს უწოდეს მზის ერთ-ერთი ბერძნული სახელი **მარილი**. ასევე მოიქცნენ სლავებიც, როცა მარილს ლათინური მზის სახელი Соль უწოდეს. ინკებიც მარილის არსებობას მზეს ემადლიერებოდნენ. ამიტომაცაა „**ხაშური** მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა და ტბისაგან (მზის მიერ წყლის, ანუ ხაშურის აორთქლების შედეგად) მარილის მსგავსი რამ გამოვა“.

დმანისი – რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში.

გავიხსენოთ, რომ თანხმოვანი **დ** მოსავლიანობის ღვთაება **ოდო**-ს ლოგოგრამაა, ხოლო **მანი** ქართული ენის საყველპურო განსაზღვრებაა – **ქალამანი, კოლომანი, მურმანი, ყარამანი, წვრილმანი, მსხვილმანი, ღმერთმანი... გარდმანი** და:

დმანისი = **დ** + **მანი**(სი) = (ო)**დ**(ო) + ძლიერი = ძლიერ მოსავლიანი (მხარე).

დოლო-განი – სოფელი და მდინარე ქედის რ-ნში.

დოლონ-სუკი – უღელტეხილი მესტიისა და წალენჯიხის რ-ნებში, ეგრისის ქედზე.

დოლო-შა – მთა დუშეთისა და თიანეთის რ-ნებში, ქართლის ქედზე.

დოლო-შა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

იოსებ ყიფშიძე მეგრ. **ნ-დოლო**-ს განმარტავს როგორც სიმწვანეს, მწვანილს, ბალახს,. და საერთოდ მცენარეს. ხოლო ოთარ ქაჯაია მეგრ. **დოლო, ნდოლო**-ს განმარტავს როგორც მდელო-ს.

(ქ.ე.გ.ლ.) მდელო მწვანით მოსილი მინდორი.

(ქ.ე.გ.ლ.) მინდორი 1. სწორი, ბალახიანი ადგილი... 2. მიწის ნაკვეთი, სახნავ-სათესად გამოყენებული.

ქართ. **მდელო** მეგრ. **დოლო**-ან გადაქართულების წესით მიღებული სიტყვაა

წარმართ. **დოლო** > (ა > ე) > **დელო** > (+მ) > ქართ. **მდელო**.

მეგრულ **დოლო**-ში იგულისხმება მიწის ფაქტორიც, ვინაიდან მეგრ. **დოლო** გულისხმობს მწვანე, გახარებულ ბალახსა და სხვა მცენარეულობას, ხოლო ქართულ **მდელო**-ში აქცენტი კეთდება მიწის ფაქტორზე. მაგალითად: **განი** მეგრ. ნიშნავს მხარე-ს და **დოლო-განი** = ამწვანებული (აყვავებული) მხარე. **სუკი** მეგრ. ნიშნავს ბორცვს, გორაკს, სერს, ფერდობს. **დოლონი** ნიშნავს ამწვანებულ ადგილს და **დოლონსუკი** = ამწვანებული (აყვავებული) ბორცვი, გორაკი, სერი (უღელტეხილი).

წარმართული კოლხური რთული თანდებული –შა დაერთვის სიტყვას და გამოხატავს მოქმედების ზღვარს სივრცეში ან დროში. ანუ **დოლო**-შა = დოლომდე, დოლომდის. თუ რას ნიშნავს დოლოშა-ს შინაარსი, გავიხსენოთ **დოლო**-ს ჩვენივე განმარტება ღვთაება **ოდო**-ს მნიშვნელობათა განხილვისას.

ოდო (**დო**), რომ ცხვარია, ასევე ეთანხმება სიტყვა **დოლო**.

(ო.ქ.) დოლო... ნდოლო... მდელო.

დოლო = **ოდო** + **ლო** = **ცხვარი** + **სივრცე** (დაბლა) = ცხვრის დაბლა სივრცე ცხვრისავე საბალახო მდელოა. **ნდოლოში** თანხმოვანი **ნ**(= დედა) ხაზს უსვამს, რომ ცხვრის დაბლა სივრცე მისი მარჩენალია, საკვებია, საბალახოა.

დოლოშა ნიშნავს საბალახოსაკენ, საძოვრებამდე.

ერებუნი, ერევანი – ურარტუს მეფე არგიშთი I-მა ძვ. წ. 782 ააგო ციხე **ერებუნი** რომლის მახლობლად, მოგვიანებით, გაშენდა თანამედროვე **ერევანი**.

ერედა – სოფელი ახალგორის რ-ნში, მდ. ქსნის მარჯვენა სანაპიროს მხარეს.

ერედა – სოფელი მცხეთის რ-ნში.

ერედვი – სოფელი ცხინვალის რ-ნში, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა მხარეს.

ჰერები, ჰერეთი – **ჰერები**, ძველი ქართველური ტომების (ჰერები, სუჯები, ჭილბები, ლბინები) საერთო სახელი. ჰერები უძველესი დროიდან ბინადრობდნენ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე. მათი სახელის მიხედვით ძვ. ქართული საისტორიო წყაროები მთელ მათ ქვეყანას **ჰერეთს** უწოდებს. **ჰერებმა** მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაში.

(ო. ქ.) ერებამი, ჰერებამი – ბრწყინვალე, სასიამოვნო.

(ო. ქ.) ერემი – ირემი.

(ო. ქ.) ერები – დიდი ოჯახი ქონებით, საქონლით.

(ო. ქ.) ერბი – ეშხი (**ერები** > **ერბი** ჯ.კ.).

(ო. ქ.) **ერი** – იერი.

კოლხურ-ურარტული **ჰერები, ერები** აღნიშნავს ბრწყინვალე, სასიამოვნო, ეშხიან მხარეს, ციხე-სიმაგრეს, ოჯახს, ხალხს, ცხოველს... **ერებუნი**-ს ურარტული სუფიქსი **უნი** ასევე კოლხური ლექსიკის კუთვნილებაცაა – **სუჯები** > **სუჯუნა** (1906 წლის აღწერით გონიოსთან არსებულა სოფ. **სუჯუნა**, იგივე სახელწოდებით სუჯუნა სოფელია აბაშის რ-ნში); **გაბუნია** [ამ გვარის ფუძეა უძველესი წარმომავლობის **გაბ** (= მთა მცირე) – გაბაშვილი, გაბიჩვაძე, გაბისონია, გაბიტაშვილი, გაბილაური...]; **ყუფუნია** (ფუძეა ყუფ -- ყუფარაძე); **ციბუნია; დათუნია**...

ასევე საერთო კოლხურ-ურარტული კუთვნილებაა **ვანი**, რომელიც სახელწოდება ერევანი-ს შემადგენელია.

ერევანი = ერე + ვა + ნი = ბრწყინვალე + ელვა(რება) + **დედის** (სასურველი, მშობლიური).

ჰერები = მშვენიერები; **ჰერეთი** = მშვენიერი მხარე.

სახელწოდება **ჰერეთი**-ში თანხმოვან ჰაეს დართვა შესაძლოა ჰაემეტობის პერიოდის გავლენათ მივიჩნიოთ.

ზედაზენი – მთა მცხეთის რ-ნში, საგურამოს ქედზე.

ზენი – სოფ. ზუგდიდის რ-ნში.

ზენი მეგრულში აღნიშნავს ვაკეს, ბარს და **ზედაზენი**-ს მთის ვაკე მონაკვეთზე აგებულია ზედაზნის მონასტერი.

ზედაზენი = ზედა + ზენი = ზედა ვაკე.

აქვე აღსანიშნავია ქართული **ზეგანი**-ს შინაარსი.

ზეგანი – ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე.

ქართ. **ზეგანის** ფუძეა მეგრული **ზენი** (ბარი, ვაკე), რომელიც აღნიშნავს სწორ ზედაპირს და ქართული ენის შემქნელებმა, მთაზე ვაკე ადგილის გამოსახავად, სიტყვის შუაში ჩასვეს მთის მცნების აღმნიშვნელი შუმერულ-კოლხური **გა**.

ე. ი **ზენი + გა** = ვაკე + მთა > **ზე-გა-ნი** – ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე.

თელა – სოფ. ლაგოდეხის რ-ნში.

თელაგინა – სოფ. ცხინვალის რ-ნში.

თელავი – ქალაქი კახეთში.

თელათგორი – სოფ. კასპის რ-ნში.

თელეთი – სოფლები გარდაბნის რ-ნში.

თელიანი – სოფ. საგარეჯოს რ-ნში.

თელოვანი – სოფელი გარდაბნის რ-ნში.

(ო. ქ.) **თელი** მთელი; ცოცხალი, ჯანმრთელი.

(ო. ქ.) **თელა**[1] – სიცოცხლე (სიმთელე).

(ო. ქ.) **თელა**[2] – ბოტან. თელა.

(ო. ქ.) **თელარა** – სიმრთელე, სიცოცხლე.

(ო. ქ.) **თელას** – ზმნზ. მთლად, მთლიანად.

თელა = თე + ლა = გაცხადება + ფორმა (სხეული, სივრცე).

ანთელავა = ან + თელა + ვა = ზე + ცოცხალი, ჯანმრთელი + შვილი.

სახელწოდება **თელა-ვი**-ში **ვი** სივრცის გამომსახველი ფორმანტია, გაიხსენეთ VII—IX საუკუნეთა ჰაიკი უცნობი გეოგრაფოსის მიერ დაფიქსირებული კოლხური სახეწოდებები: **მარგველი-ვი**; **ლაზი-ვი**, **ჭანი-ვი**, ასევე **მანა-ვი** (სოფელი საგარეჯოს რ-

ნში), **ზანა-ვი** (სოფლები ადიგენისა და ბორჯომის რ-ნებში) და **თვალი-ვი** (სოფ. დუშეთის რ-ნში), რომელსაც ჩაუვლის მდინარე თვალი-ურა.

მანავი = **მან**(ი) + **ვი** = **ძლიერი** + **სივრცე**.

თელავი[1] = **თელა** + **ვი** = **სიცოცხლე, ჯანმრთელი** + **სივრცე** = სასიცოცხლო, ჯანმრთელი სივრცე.

თელავი[2] = **თელა** + **ვი** = **თელა** + **სივრცე** = თელიანი (თელის ტყე).

თელაგინა = **თელა** + **გი**(მე) + **ნა** = **სიცოცხლე** + **მიწა** (დაბლა) + **დედა** (სასურველი) = სასურველი სასიცოცხლო მიწა (გარემო).

(ო. ქ.) **თელებული** [გა]მთელებული, {გა}ცოხლებული.

თელეთი = **თელი** + **თი** = გაცოცხლებული მხარე, სოფელი.

თელიანი[1] = **თელი** + **ანი** = მთლიანი, სიცოცხლიანი, ჯანმრთელი.

თელიანი[2] = **თელ**(ა) + **იანი** = თელის ტყიანი.

გავიხსენოთ **ხელი** > **ხელოვანი** და:

თელოვანი = **თელი** + **ვანი** = ჯანმრთელი ნათელი სივრცე.

თხინა – სოფელი ოჩამჩირის რ-ნში.

თხინალა – სოფელი და მდინარე გორის რ-ნში, მდ. ტანის მარჯვენა შენაკადი.

თხინალა – სოფლები დიდი თხინალა დ პატარა თხინალა ხაშურის რ-ნში.

თხინაშკარი – სოფელი გალის რ-ნში.

თხინვალი – სოფლები ოზურგეთისა და მცხეთის რ-ებში.

(ო. ქ.) **თხინა** – თხილნარი.

(ო. ქ.) **თხინაფა** – მოშორება; მოცილება.

ჩამოთვლილი სოფლების ნაწილში თხილნარები უნდა ქონდეთ, ან ქონდათ გაშენებული, ნაწილი კი მეზობელთაგან მოშორებით არიან დასახლებულნი.

კარდანახი – სოფელი გურჯაანის რ-ნში.

(ო. ქ.) **კარდილა, კარდლა, კარდია** კარდალი; ქვაბი.

კარდანახი = **კარდა**(ლი) + **ნა** + **ხი** = ჩაღრმავებული + სასურველი + მიწა.

კაცხი – სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდინარე კაცხურა-ს ნაპირას.

სოფელი ცნობილია **კაცხის სვეტი**თ. სვეტის სიმაღლე 40 მეტრს შეადგენს და მის თხემზე აღმართულია სალოცავი. აი ამ გარემო პეიზაჟში ლურსმანივით, ანუ იგივე ქინძისთავივით ჩარჭობილი სვეტის გამოც ეწოდა სოფელს კაცხი და მდინარეს კაცხურა, ვინაიდან **კაცხუ** მეგრულად **ქინძისთავს** აღნიშნავს.

კაჭრეთი – სოფელი გურჯაანის რ-ნში.

სახელწოდების ფუძეა **კაჭარი** = **კა** + **ჭარი** = ძლიერი მჭრელი, გამოჭრილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაჭარ-ი** (კაჭრისა) ქანის მონატეხი (ანუ ქანიდან მოჭრილი, ჩამოჭრილი. კაჭრისა = ძლიერი ჭრისა ჯ.კ.) დიდი ქვა, ცოტაოდნავ მომრგვალებული და გახეხილი.

კაჭარი-ს განმარტება „ქანის მონატეხი“ განაპირობა იმან, რომ **ჭარა** მეგრულში აღნიშნავს წერას, და უძველეს ხანაში წერის პროცესი სრულდებოდა არა კალმისტრებით, არამედ ძირითადად წარმოადგენდა ამოჭრის, ამოკაწვრის პროცესს, რომელიც ხშირად ამ „ქანის მონატეხით“ ან სხვა სახის მახვილწვერიანი საგნებით სრულდებოდა.

სამეგრელოში მოქმედია გვარი **კაჭარავა** და ასევე **საკაჭარავო** სოფელია სენაკის რ-ნში. **კაჭარი** (ჭ > წ) **კაწარი** > **კაწრავს, კაწვრა**.

(ი.ყ.) **კაწარი** село.

კაწარი (რ > ლ) **კაწალი და კაწალხევი** -- სოფელი დუშეთის რ-ნში.

დამატებით იხილეთ კოლხური ლექსიკის ქვეთავში კაწვრა-ს განმარტება.

კვეტერა – ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში, მდ. ილტოს ნაპირზე კახეთის სამთავროს (შემდეგ სამეფოს) ერთ-ერთი ცენტრი. წყაროებში პირველად XI ს. შუაწლებიდან იხსენიება. ყველაზე მაღალ ადგილზე აკროპოლისია, რომელშიც სასახლე და ეკლესიაა განლაგებული. გეგმით ჯვარისებური ეკლესია X ს. I ნახევარს მიეკუთვნება. როგორც ჩანს მეფის კარის ეკლესიად იყო გათვალისწინებული. ხუროთმოძღვარს ყოველგვარი მორთულობისა და ჩუქურთმების გარეშე შეუქმნია კომპოზიციურად მომხიბლავი ნაწარმოები (ქ.ს.ე. V ტ. 496).

(ო. ქ.) **კვეტე, კვეტელე** წვრილი; პატარა.

(ო. ქ.) **კვეტერე, კვეტერია** პატარა.

(ო. ქ.) **კვეტერე** სხული წვრილი მსხალი, -- პანტა.

ქართული ხუროთმოძღვრების საოცრად მომხიბლავი **კვეტერა**-ს ეკლესია თავისი მოცულობით ჭეშმარიტად **კვეტერეა** ანუ ზომით პატარაა.

ვინაიდან მეგრ. **კვეტე** ნიშნავს ასევე წვრილს, ქართულში გვაქვს გაე-**კვეტ**-ა ანუ გაე-**ჩხირ**-ა; მოგეხსენებათ **ჩხირი** ფორმით წვრილია. ქართულში **კვეტე**-დან წარმოქმნილი სიტყვებია:

(ქ.ე.გ.ლ.) **კვეტენი** ძვ. „თასმის ღილი".

(ქ.ე.გ.ლ.) **კვეტეშო** კუთხ. (რაჭა) კომბალი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვნეტა** მაგარი ან ხმელი რისამე კბილით მტვრევა და ჭამა; ტკვერა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვნეტარა** ლითონის ორტუჩა ხელსაწყო რისამე გასჭრელად, გასატეხად.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვნიტი** პატარა ნატეხი (შაქრისა, მარილისა...).

ცხადია ჩამოთვლილი სიტყვები აღნიშნავენ ან მცნებას პატარა ან დაპატარავების პროცესს.

მეგრულს ასევე გააჩნია კვეტერე-ს მსგავსი შინაარსისა და კონსტრუქციის სიტყვა **ცქვეტერე**.

(ო. ქ.) **ცქვეტერე, ცქვეტერია** წვეტიანი.

ლოტკინის გორა – ძველი უბანი თბილისში, ქალაქის ჩრდილო მხარეს, ახლანდელი „თბილისის ზღვის“ ახლოს, ნაძალადევის რ-ნში. 1848 წელს შედგენილ თბილისის მიდამოების გეგმაზე აღნიშნულია „ლოტიკის თავის გორა“ და „ლოტიკის მთა“. სახელწ. „ლოტკინი“, ისევე როგორც „ლოტიკი“, დაუდგენელი ქართული სიტყვის რუსული ტრანსკრიპციითაა ნაწარმოები. ლოტკინის გორას აგრეთვე იყენებდნენ საძოვრებად, აქ ცხვარი მოჰყავდათ გარე-კახეთიდან და ქვემო ქართლიდან – გომარეთიდან; პირველი მოსახლეები აქ სოფ. გომარეთიდან მოვიდნენ XIX ს. 20-იან წლებში (ქ.ს.ე. VI).

სახელწოდება **ლოტკინი**-ს ფუძეა კოლხური **ლოტკუა** (= ლოკვა).

(ო. ქ.) **ლოტკუა** იგივეა, რაც ლოკუა, -- ლოკვა.

ცხადია თანმიმდევრობა: **ლოტკუა** > (ტ > 0) > **ლოკუა** > (უა > ვა) > **ლოკვა**.

ლოტკინი = **ლოტკ**(უა) + **ინი** = **ლოკვა** + **ქვევით** = გალოკილი ადგილი.

ლოტკინის მთა მხოლოდ საძოვრად თუ გამოიყენებოდა, ვინაიდან ეს იყო უხეო, უბუჩქო, სრულიად მოტიტვლებული, მოლოკილი ტერიტორია. თავად წარმართული **ლოტკუა**-ს შემადგენელი **ლოტ**-იდან წარმოდგა ქართული:

მე-ლოტი – მთლიანად ან ნაწილობრივ თმაგაცვენილი || მთლიანად ან ნაწილობრივ „გალოკილი".

(ქ.ე.გ.ლ.) მელუტი კუთხ. (ფშ.) ბალანგაცლილი, უბეწვო (გუდა).

სახელწოდება გომარეთი, ისევე როგორც სახელწოდებები: გოგორეთი, გუგარეთი, გუχარეთი, ფიტარეთი კოლხური ტოპონიმია და კოლხური სახელწოდებაც -- **ლოტკინის** მთა გომარელთაგან უნდა მომდინარეობდეს.

მარნეული – ქალაქი, რ-ნის ცენტრი.

სახელწოდების ფუძეა **მარანი** -- ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი || ბარაქიანი ადგილი. იგივე შინარსის ტოპონიმებია:

მარანა – სოფელი გორის რ-ნში.

მარანი – სოფლები აბაშისა და გულრიფშის რ-ებში.

მარანჭალა – სოფელი აბაშის რ-ნში.

(**აკაკი გელოვანი** 287): „**მა** – მცირეაზიური დიდი ქალღმერთი, ღმერთების დედა, რეას და ჰერას ერთგვარი ორეული, რამდენადაც ზევსის დედად და ცოლად თვლიდნენ კ. კრეტაზე. მეორე მხრივ რეა-კიბელას უახლოვდება, აგრეთვე ბელონას. მისი ორგასტული კულტი რომში სულას დიქტატურის დროს გადავიდა, რადგან უკიდურესად გარყვნილ იმპერატორსა და არისტოკრატიას მოსწონდა ველური ორგიები“.

მა-სთან დაკავშირებული ორგიების უმთავრესი შემადგენელი ღვინის სმა გახლდათ, ხოლო ღვინო, ანუ ვენახი, ანუ ვაზი დიდი დედის, **მა**-ს სახეებაა. ასევე გაიხსენეთ, რომ **ფასიანე || რეა**-ს (დიდი დედების) საკულტო მცენარე იგივე ვაზია და ამიტომაც ეწოდა ღვინის სათავს სივრცეს, ფართს:

მარანი = **მა** + **რა** + **ნი** = **მა** (ღვინო, ბარაქა) + **არის** + **დედის** (სასურველი).

(ქ.ე.გ.ლ.) მარანი ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი.

ამ ცოდნის მატარებელი სიტყვებია:

წარმართ. **ბინეხი** = **ბი** + **ნე** + **ხი** = **მცირე** + **ტკბილი** + **მიწა** = სიტკბოების (მომანიჭებელი) მიწის მცირე (ფართი).

ვენახი = **ვე** + **ნა** + **ხი** = **ველი** (სივრცე) + **დედა** (სასურველი) + **მიწა**(ზე).

მა-დანაა ასევე მეგრული პირველი პირის ნაცვალსახელი მა (მე = დედის გაჩენილი).

მცნება **მარა** რომ მარტო ღვინოსთან არ ასოცირდებოდა:

(ო.ქ.) მარაკეა სერი... მოწმენდილი და მთვარიანი ღამე.

(ო.ქ.) მარა... ერთი კვირა (შვიდი დღე).

(ო. ქ.) მარაკა ფარეხი; გომური; თხის ან ცხვრის ღამის ბინა, მოღობილი და გადახურული.

აღსანიშნავია, რომ იოსებ ყიფშიძის ცნობით **მარაკა** ჰაიკთა მეტყველებაში სათივეს (= თივის შესანახ ადგილს) აღნიშნავდა და რაც ბოსელის განუყოფელი ნაწილია. ჰაიკთა მეტყველება უძლიერეს კოლხურ გავლენას ამჟღავნებს, რაც შემდგომი კვლევის სერიოზული თემაა.

მარაკა ესაა ფარეხი, გომური სადაც ხდება საქონლის თავმოყრა და ამ წარმართულ კოლხურის ცოდნით ქართულში გვაქვს მარაქა.

(ქ.ე.გ.ლ.) მარაქა ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში.

ფუძე **მარა**-დან წარმოდგება ასევე **მარაგი**.

მარა > **მარაკა** > **მარაკე** > **მარაგი** > **მარანი** > **მარაქა და შესაბამისად მარადი.**

(ქ.ე.გ.ლ.) **მარადიული** რაც მარად, მუდამ არსებობს, -- მარადიული, სამარადისო.

გაიხსენეთ, რომ **ნე** წარმართულ კოლხურით ახლადდაწურული ყურძნის წვენს, ტკბილს აღნიშნავს და:

მარნეული = **მარ**(ანი) + **ნე** (ტკბილი) + **ული** (არსებული) = ბარაქიანი (მხარე).

მაჩხაანი – სოფლები ზემო მაჩხაანი და ქვემო მაჩხაანი წითელწყაროს რ-ნში.

მაჩხანი – სოფელი ლიახვის ხეობაში.

მაჩხალროსო – უღელტეხილი ლაგოდეხის რ-ნში, კახეთის კავკასიონზე.

მაჩხაპე – მდინარე ჩხოროწყუს რ-ნში.

მაჩხარა – მთა და სოფელი ჯავის რ-ნში.

მაჩხაფარი – მწვერვალი და უღელტეხილი ლენტეხის რ-ნში.

მაჩხვარეთი – სოფელი ლანჩხუთის რ-ნში.

ჩხა – მდინარე სოხუმის რ-ნში.

ჩხათანისწყალი – მდინარე ახმეტის რ-ნში.

ჩხალთა – მწვერვალი, მდინარე და სოფელი გულრიფშის რ-ნში.

ჩხარა – მდინარე თერჯოლის რ-ნში.

ჩხარაული – სოფელი ცხინვალის რ-ნში.

ჩხარი -- სოფელი თერჯოლის რ-ნში.

ჩხატი – მდინარე ყაზბეგის რ-ნში.

ჩხერი – მდინარე ყაზბეგის რ-ნში.

ჩხერი – სოფელი ხორაგაულის რ-ნში.

ჩხერიმელა – მდინარე ხორაგაულისა და ზესტაფონის რ—ნებში.

ჩამოთვლილ კოლხურ სახელწოდებებს აერთიანებთ **ჩხა-ს, ჩხანა-ს** (მზის), **ჩხე-ს** (ცხელის, ცეცხლოვანის) შინაარსები. სახელწოდებათა ნაწილის აზროვნება ახსნილი გვაქვს. აქ კი მოგაწვდით **მაჩხაპე**-ს შინაარსს. სახელწოდების ფუძეა **ჩხაპი**.

(ო. ქ.) **ჩხაპი** წვიმის წვეთი, შხაპი, შხეფი.

თითქოს სად მზის მცნება და სად წვიმის წვეთი, მაგრამ ეხლა გავეცნოთ **ჩხაპალი**-ს აზროვნებას.

(ო. ქ.) **ჩხაპალი** შხაპუნი; წვრილი (ჟუჟუნა) წვიმა; წვიმის დაწყება.

(ო. ქ.) **ქარჩხაპი** ქარიანი წვიმა.

(ო. ქ.) **ჩხაპალუა** წვრილად წვიმა, წინწკვლა.

(ო. ქ.) **ჩხაპუა** დანამვა; სხურება, შხეფება, წყლის შესხმა.

ჩხაპი = **ჩხა** + **პი**(კვალი) = **მზე** + **წარმონაქმნი.**

ჩხაპი მზის წარმონაქმნია, ვინაიდან **ჩხაპი**-ს მოქმედება, ანუ **ჩხაპუა, ჩხაპალი** (ჟუჟუნა წვიმა, შხაპუნი) მიმდინარეობს მზის ნათებისას („მზე პირს იბანს"), ხოლო მოღრუბლული ცის დროს წვიმის ბუნება აგრესიულია. ამრიგად **ჩხაპალი** (ჟუჟუნა წვიმა, შხაპუნი) მზიანი დარის მახასიათებელია და კოლხმა კაცმა იგი მზის მცნებასაც დაუკავშირა. უკვე ჟუჟუნა წვიმის ასოცირებით წარმოდგა წარმართული **ჩხაპუა** და შემდგომ აქედან შეიქმნა ქართული **ჩხაპნა, დაჩხაპნილი,** ისევე როგორც წარმართული ჩხაპი-სა და **შხაფალუა-ს ცოდნით** ქართულში მივიღეთ **შხაპი.**

შხაპი = **შხა** + **პი**(კვალი) = **დღე** + **წარმონაქმნი.**

ანუ ქართული **შხაპი** იგივე **ჩხაპი**-ს შინაარსს ატარებს და ორთავენი დღის ნათელ, მზიან სივრცეში ჟუჟუნა, წვრილი წვიმის ასოცირებას წარმოგვიდგენენ.

ასევე ავუხსნათ თერჯოლის რაიონის სოფელ **ჩხარი**-ს მკვიდრებს ქართულში დაფუძნებული ჩხარი-ს სხვადასხვა მნიშვნელობები.

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხარი[1] აბრეშუმის უვარგისი პარკი (საყაჭედ ვარგა მხოლოდ).

[2]**(ქ.ე.გ.ლ.) ჩხარი**[2] იგივეა, რაც ჩხარაჩხური.

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხარი[3] (კუთხ.) იგივე, რაც მეჩხერი. ჩხარი კბილები.

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხარაჩხური 1. ხშირი ჩხარუნი. ჯაჭვის ჩხარუნი. 2. უხეიროდ დაკვრა (ფანდურისა და მისთ.).—ჩხაკუნი. ფანდურის ჩხაკუნი.

აბრეშუმის ვარგისი პარკი თეთრია, ხოლო უვარგისი ყვითელი, ანუ მზის ფერი და ამიტომაც ეწოდა ჩხარი. უნაკლო კბილები ერთ მასად აღიქმება, ხოლო მეჩხერი კბილები ხშირფოთლიან ხის ქვეშ იშვიათად შემოჭრილი მზის სხივებივით არიან ერთმანეთს დაშორებულნი. **ჩხარი**-ს მეორე განმარტება კი მცდარია; ჩხარაჩხური კომპოზიტია და პირველი შემადგენელი ჩხარა თავად თერჯოლის რაიონის მდინარის სახელწოდებაა, ხოლო ჩხური მეგრულად სიცივეს ნიშნავს, ანუ:

ჩხარაჩხური = **ჩხარა** + **ჩხური** = მდინარე ცივი; ხოლო მდინარე ცივი არის არა დინების მდორე ნაწილში, არამედ მისი ჩქარი დინების მონაკვეთში, ანუ მთიან ზედაპირზე დინებისას და რაც უფრო დიდია დაქანება, მდინარე მით უფრო მკვეთრ, მაღალი ტონალობის ხმებს გამოსცემს; თავად მდინარის ვარდნის ხმას ემატება გზად მდინარის მიერვე წამოღებული ქვების, ღორღის, ხეების... ერთმანეთზე შეხლის, მტვრევის ხმებიც. შესაბამისად წარმართული **ჩხარაჩხური**-დან ქართულში შეიქმნა ასევე **ჩხარუნი, ჩხაკუნი**... ქართულში იგივე **ჩხარუნი**-ს მნიშვნელობით **ჩხერა**, მხოლოდ **ჩხერა**-ს კონსტრუქცია მდინარეების **ჩხერი**-სა და **ჩხერიმელა**-ს შინაარსებიდან მომდინარეობს.

ჩხერი = **ჩხე** + **რი** = **ცხელი** + **არის** = ცეცხლოვანი (მდინარე).

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხერა ჩხარუნი, ჩხრიალი.

(ქ.ე.გ.ლ.) ჩხერკი კუთხ. (გურ.) წყლისაგან ნაპირზე გამორიყული ხის შტოები და სხვა რამ ნამტვრევები.

ჰარმონიული წყვილი **ჩხ**-თი (> **ჩხანა**) გამოისახება როგორც ცეცხლოვანი არსებები (**ჩხენი, ჩხომი, ჩხუ**...) ასევე ცეცხლოვანი მოძრაობებიცა და შესაბამისი ხმებიც და მოძრაობებიც: **ჩხუპი** (ჩხუბი, ომი); **რჩხვიაფი** (კივილი, ჩხავილი)); **ჩხაპალი** (შხაპუნი, წვრილი წვიმა); **ჩხილიტი** (ხმაური; წყლის შხაპუნი; ჩხრიალი)... და ამ აზროვნებიდან გამომდინარე ვღებულობთ: **ჩხა** + **ვილი** > **ჩხავილი; ჩხი** + **ვილი** > **ჩხივილი; ჩხ** + **რიალი** > **ჩხრიალი**...

თერჯოლის რაიონის სოფელს **ჩხარი** კი იმიტომ ეწოდა, რომ თავად სოფელი გაშენებულია მზიან, ნათელ ტერიტორიაზე და ესაა ასევე განმარტება სახელწოდება **ოჩხარი**-სა.

(ქ.ე.გ.ლ.) ოჩხი[1] ქვებით შემოზღუდული ორმო მდინარეში თევზის დასაჭერად.

ქვებით შემოზღუდულ ორმოს, თონის მსგავსად, მრგვლოვანი მოხაზულობა გააჩნდა და რაც, თონის მსგავსად, მზის მცნებასთანაც ასოცირდა.

(ქ.ე.გ.ლ.) ოჩხი[2] იხ. ოჩხარი.

(ქ.ე.გ.ლ.) ოჩხარი 1. ხელმოკლე (ჩვეულებრივ, რაიმე უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული) კაცის მიერ გამართული წვეულება, რომლის დროსაც სტუმრები მასპინძელს შეძლებისდაგვარად აძლევდნენ შესაწირავს. 2. კუთხ. (რაჭ.) საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი (ჩვეულებრივ იციან შემოდგომაზე, როდესაც ჭირნახულს შეინახავენ).

აქ გავიხსენოთ, რომ **ლაშარი**, რომელიც ასევე აღნიშნავს ნათელ სივრცეს, წარმოადგენს სალოცავს, ანუ ხალხის თავშესაყარ ადგილს და მსგავსად **ოჩხარი** (სამზეო || ნათელი სივრცე) გამოსახავს თავშეყრის ადგილს.

მტკვარი -- საქართველოს აღმოსავლეთის უდიდესი მდინარე.

ხრამი – მდინარე წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და მარნეულის რ-ნებში.

საქართველოს აღმოსავლეთის უდიდეს მდინარეს კოლხური სახელწოდება **მტკვარი**-თ მხოლოდ ჩვენ, კოლხები მოვიხსენიებთ.

(**სტრაბონი** 127): „[იბერიაში] უდიდესი არის მტკვარი [სტრაბონი წერს **Ku2rw** (კურო) და არა მტკვარი ჯ.კ.) რომელსაც სათავე აქვს არმენიაში, პირდაპირ შემოდის დასახელებულ დაბლობში, ღებულობს არაგოსს, რომელიც კავკასიონის [მთიდან] მომდინარეობს, სხვა წყლებსაც და ვიწრო ჭალებით ჩადის ალბანიაში. ამ [ქვეყანასა] და არმენიას შორის [კურო] დიდი ძალით მიმდინარეობს საძოვრებით მდიდარ ველებზე, ღებულობს სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის **ალაზონიოსი**, სანდობანი, როდტაკი და ხანი. ყველა ესენი სანაოსნო არიან და უერთდება კასპიის ზღვას. უწინ ამ მდინარეს ეწოდებოდა **კოროსი**“.

(**საქართველოს აღმნიშვნელი ტერმ.** 14) = „მდ. მტკვრის სათავეების მიდამოებში თავსდება ასურულ და ურარტულ წარწერებში მოხსენიებული გურიანის – კურიანის (**Guriania – Quriani**) ქვეყანაც.

„გურიანია" – „კურიანის“ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ისაა გასათვალისწინებელი, რომ ურარტული „კურიანი", ფონეტიკური თვალსაზრისით, მდ. მტკვრის ძველბერძნული სახელწოდება **Κύρος**-ის მსგავსია. აქედან გამომდინარე გასაზიარებელია გ. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ძველბერძნული **Κύρος** (რუსული **Кура**) შესაძლოა კურიანის ქვეყნის სახელიდან მომდინარეობდეს (მითუმეტეს, რომ იგი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მდ. მტკვრის სათავეებში ლოკალიზდება); ამ ვარაუდს, ჩვენი აზრით გარკვეულად მხარს უნდა უჭერდეს სტრაბონის ის ცნობაც, რომლის თანახმადაც, მდ. მტკვარს (**Κύρος**) „უწინ ეწოდებოდა კოროსი“ (**Κόρος**), რადგან **Kor** ფუძე ფონეტიკურად ურარტული **Qur**-ის იდენტურია (ცნობილია, რომ ლურსმულ დამწერლობაში „o“ ბგერა „u“ ნიშნით გადმოიცემოდა)“.

მდინარე მტკვრის სათავეში ადრე არსებული ქვეყანა (**Guriania – Quriani**) შესაძლებელია მოვიხსენიოთ ასევე **ქურიანი**-ს ფორმით, ვინაიდან მდინარე მტკვარს ჰაიკები და აზერბაიჯანელები მოიხსენიებენ **ქურ** ფორმით.

(**ზურაბ კიკნაძე** 12): „ადამიანი რომელსაც ხელში ეჭირა გამომწვარი თიხის ან ბრინჯაოს ნამგალი, თოხი თუ წერაქვი, ოფლში გაწურული იღწვოდა იმისათვის, რომ ის მიწა, სადაც ჩვენთვის უცნობმა გასაჭირმა მოიყვანა იგი, თავის სამშობლოდ ექცია, რომ „ქვეყანა“ ყოფილიყო მისი ქვეყნის საკუთარი სახელი, როგორც მოხდა შუმერის ენაში, სადაც სიტყვით ქალამ (ქვეყანა) მხოლოდ და მხოლოდ შუმერული იწოდა და არა სხვა რომელიმე მხარე, რომლისთვისაც ინახავდნენ სიტყვას **ქურ**, რაც ერთდროულად გამოხატავდა „მთასა" და „უცხოს“... წარმოვიდგინოთ კაცთა მოდგმით დასახლებული ველი, რომელსაც აღმოსავლეთით აკრავს მთიანეთი, მტრების ბუდე, -- რის გამოც **ქურ** (მთა) „მტრის“ მნიშვნელობასაც იძენს".

სახელწოდება **ქურ** < **ქურიანი**-ს ეხმიანება სპარსეთის კოლხური სახელწოდება:

(ი. ყ.) **ქურანი Иран, Персия**.

ეს, რაც ეხება მტკვრის არაქართულ სახელწოდებებს. თავად ჰიდრონიმ მტკვარი-ს ფუძეა წარმართული კოლხური ჰარმონიული სამეული **ტკვ**. მეგრულში **ტკვა**-დან შემდგარია შემდეგი სიტყვები: **ტკვა** – მთლიან ხეზე საფეხურებჩაჭრილი კიბე; **ტკვაპუა** – თქვლეფა; **ტკვარტკვალი** – გრიალი; **ტკვარტკვალერი** – ალანძული, ზემოდან მომწვარი, კერიასთან ჯდომით წვივის ცეცხლით აწვა; **ტკვარუა – ტკვერა,** კვნეტა; **ტკვარჩალი** – 1. კრიახი, ქათმის ხმაურობა გაჭირვების დროს. 2. ქალების გულიანი სიცილი, ტკარცალი; **ტკვარჩელია** – ყოჩივარდა; **ტკვაჩე** – მოუსვლელი (მწკლარტე) ხურმა; **ტკვაჩუა** – 1. შეკვრა, დაწყობა, დატკეჩა. 2. გადატ. მაგრად გარტყმა, -- ტკეცა; **ტკვაცუა** – მეხი, ჭექა-ქუხილი...

თედო სახოკიამ პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მდინარე მტკვრის სახელწოდება წარმოდგება მეგრული **ტკვარუა**-დან და იგულისხმება მდინარის თვისება -- გამოხრას სანაპირო ზოლი.

(პეტრე ჭარაია) ტკვარუა (ბტკვარ) – ტკვერა, კრახუნი, თხილისა და მისთანათა მტვრევა და ჭამა.

პეტრე ჭარაიას განმარტებაში საინტერესოა ფორმა **ბტკვარ**, რომლის თანხმოვან ბ დანამატის მნიშვნელობას იოსებ ყიფშიძე შემდეგნაირად გვიხსნის:

(ი. ყ.) 1. ბ – субективный местоименный префикс 1-го лица в глаголах, преимущественно в самурзакано-зугдидском говоре; эквивалентом его, при известных условиях, выступают ვ, მ, პ, ფ.

ბტკვარ || მტკვარ და ფორმა **მტკვარ** წარმართული კოლხური წარმომავლობის კონსტრუქციაა.

მეგრ. **ტკვარუა**-დან ქართულში დამკვიდრდა **ტკვერა**.

წარმართ. **ტკვარუა** > (ა > ე, უ > 0) > ქართ. **ტკვერა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ტკვერ-ს – მაგარ ან ხმელ რასმე კბილით ამტვრევს, -- კვნეტს.

თედო სახოკიას ვარიანტის მართებულება მტკიცდება დუშეთის რაიონში იგივე **ტკვარუა**-დან წარმომდგარი მდინარის სახელწოდებით **მოტკურისხორხი**.

მოტკურისხორხი – მდინარე დუშეთის რ-ნში, შატილისწყლის მარჯვ. შენაკადი.

კომპოზიტ **მოტკურისხორხი**-ს პირველი შემადგენელი **მოტკური** იგივე მეგრული **მო-ტკვარუა** > **მო-ტკუმორუა**-ა.

(ო. ქ.) მოტკუმორუა იგივეა რაც – მოტკვარუა (მოკვნეტა).

ტკვარ-უა > **მოტკვარ-უა // მოტკუმორ-უა** > **მოტკუმორი** > **მოტკური.**

მოტკურისხორხი-ს მეორე შემადგენელი **ხორხი** (< მეგრ. **ხორხოტა**) აღნიშნავს ასევე ყელს და, მდინარის შემთხვევაში, მდინარის მიერ დროთა განმავლობაში კლდეში გამოხრულ ყელივით გრძელ და ვიწრო კალაპოტს.

ამრიგად, მოტკურისხორხი = გამოხრილი (**გამოტკვერილი**) ყელი (კალაპოტი).

სახელწოდება **მტკვარი**-ს შინაარს სრულად იმეორებს მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი მდინარის სახელწოდება **ხრამი**.

(ქ.ე.გ.ლ.) ხრამი კლდიანი ღრმა ხევი, -- ღრანტე. ცხენი ხრამში გადაიჩეხა.

ხრამი-ს ფუძეა **ხრა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ხრა-ვს – გამოხრავს – 1. მაგარ რასმე დაანამცეცებს კბილებით, -- გამოღრღნის, გამოღრუტნის. თაგვმა იატაკი გამოხრა. 2. კბილებით ხორცს გაცლის (ხორცმცირე ძვალს).

ხრამი ესა დროთა განმავლობაში წვიმის, თოვლის დნობის შედეგად წარმოქმნილი წყლების დინების (გზის გაკვალვის) დროს ჩარეცხილი, ამოთხრილი, ამოხრული ღრმა ხევი და კლდიანია იმდენად, რამდენადაც ქანების რბილი ფენა ჩქარა

ირეცხება და კლდიანი ნაწილი კი შედარებით დიდი დროის მანძილზე უძლებს წყლის ძალოვან დინებას.

ამდენად იკვეთება, რომ ქართული **ხრა** წარმოდგება წარმართული **ხარ**-უა-დან და რაც გზის გაკვალვას ნიშნავს.

(ო.ქ.) ხარუა – 1. გზის გაკვალვა (თოვლში). 2. გამოფატრვა, გამოშიგვნა. მახარალი მიმღ. მოქმ. (გა)მკვალავი, (გამო)მშიგნავი.

ე. ი. **მახარალი** > **მახრა**; ქართული გრამატიკით უნდა გვქონოდა **მხრელი** > **მხრე**.

(ქ.ე.გ.ლ.) მახრა ბოსტანა – მწერი. ბინადრობს ნიადაგში. აზიანებს თითქმის ყველა მცენარეს, უმეტესად ბოსტან-ბაღჩის კულტურების მიწისქვეშა ნაწილებს.

ცხადია, წარმართ. **მახარალი** > ქართ. **მახრა** > **ხრა** > **გამო-ხრა** > **გამო-ხრილი** > **მო-ხრილი** > **მოი-ხარა...**

ტერმინი **ხრამი** კოლხური წესით **ხრა**-დან მიღებული სიტყვაა მსგავსად: ლია > ლ(ი)ამი (ლიამიანი); გური > გურამი (გულიანი)... და **ხრა** > **ხრამი** (გამოხრულიანი, გამონახარი).

ხოლო რაც შეეხება მდინარე **ხრამის** კალაპოტს, იგი თავად მდინარე **ხრამი**-ს მიერაა გამოხრული, გამოტკვარული.

ე. ი. მეგრ. **გოტკვარილი** [დატკვერილი, გამოხრული (ნაპირები)] > **ტკვარილი** > (+მ) > მტკვარილი > ქართ. **მტკვარი** [მხრავი, მტკვერავი (ნაპირის)].

ნეკრესი – ისტორიული ქალაქი ყვარლის რ-ნში, განთქმულია სამონასტრო კომპლექსით. კომპლექსის მიდამოებში იმართება ყოველწლიური სახალხო დღესასწაული „ნეკრესობა" და წარმოადგენს უძველეს წარმართულ ეგვიპტურ-კოლხურ ტრადიციას, რომლის უმთავრეს რიტუალს ღორის დაკვლა, ანუ ღორის (მეგრ. კერის || კერეს) მსხვერპლად შეწირვა წარმოადგენს. რასაკვირველია, შემდგომი სალხინო წეს-ჩვეულებების აღსრულება ღორის უგემრიელესი მწვადების თანხლებით მიმდინარეობს და რაც ასახულია კიდეც სახელწოდებაში:

ნეკრესი [< ნე-კ(ე)რე-სი < ნე-კერე-ში || ნე-კერი-ში] = სიტკბოება ტახისა.

ღორის მსხვერპლად შეწირვა უძველესი წარმართული ადათია.

(**ჰეროდოტე** I 137): „ეგვიპტელებს ნება არა აქვთ, რომ ღვთაებებს ღორი შესწირონ, გარდა მთვარისა და დიონისესი, ისიც ერთსა და იმავე დროს; **სავსე მთვარის დროს მსხვერპლად სწირავენ ღორებს და შემდეგ ჭამენ მათ ხორცს**".

ესეც ჩვენი ნეკრესობის ტრადიცია.

აქვე გავიხსენოთ ჰეროდოტეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ცნობა:

„კიდევ სხვა რამის თქმა შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; **მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის** (**ჰეროდოტე** II --105)".

კახეთში ეგვიპტურ-კოლხურ ურთიერთობათა ასევე საუკეთესო მაგალითია ქართლ-კახეთში გავრცელებული შრომის სიმღერა **ოროველა**, რომელშიც **ორო** ეგვიპტური ღვთაება **ჰოროსი**-ს არსის კოლხური ცოდნაა.

ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა თავდაპირველად შუმერებმა აკრძალეს და ადამიანის ნაცვლად ბატკანს სწირავდნენ. ეს შუმერული ცოდნა ებრაელებმა ბიბლიის ენით გაგვიმჟღავნეს – აბრაამი საკუთარი შვილის ნაცვლად ღმერთს, ღმერთისვე შეგონებით, ბატკანს სწირავს. წარმართულ კოლხეთში ადამიანის ნაცვლად მსხვერპლად შესაწირად ღორი შეურჩევიათ.

(ი. ყ.) კაპუნია по преданию, название идола, стоявшего на том месте, где ныне Мартвильский монастырь; он был сделан из чугуна в образе человека с раскрытым

ртом, куда жрецы клали живых детей, приносимых в жертву идолу, -- კაპუნობა праздник, совершаемый и ныне за 10 дней до Великого. поста в честь კაპუნია; взамен человеческих жертв закалывается нарочито к этому празднику откормленная свинья, под названием ო-კაპუნე, с произнесением молитвы, как праздник მირსობა.

ოდიშში შემორჩენილია ღორის დაკვლასთან დაკავშირებული ლოცვა – ღეჯ-ხვამა (ღორ-ლოცვა).

(ო. ქ.) ღეჯ-ხვამა ღორ-ლოცვა. კალანდას ღეს დოყვილუნდესინი, ღეჯიშ დუს იხვამანდეს, ათენა რდუ **ღეჯ-ხვამა** – საახალწლოდ ღორს დაკლავდნენ, ღორის თავზე ილოცებდნენ, ეს იყო ღორ-ლოცვა.

ტერმინ **ხვამა**-სთან დაკავშირებით მოკლე ჩანართს მოგაწვდით.

განვაგრძოთ ძირითადი თემა და გავიხსენოთ სტრაბონის ცნობა, რომ კოლხიდის საზღვართან იბერიაში არსებობდა ფრიქსეს სახელობის ქალაქი **ფრიქსეპოლისი** – „ფრიქსემ რომ ილაშქრა ამის ძეგლები არის კოლხიდისა და იბერიის საზღვარზე“. **ფრიქსეს** სალოცავი არსებობდა ასევე მესხეთში.

(სტრაბონი 124): „(კოლხეთის ზემოთ) მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და, ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული“.

ვინაიდან ვერძს კოლხეთში გამორჩეული პატივი მიეგებოდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ ექვემდებარებოდა მსხვერპლად შეწირვას. ანუ ცხვრის გამორჩეული კოლხური კულტის გამო იყო, რომ: взамен человеческих жертв закалывается нарочито к этому празднику откормленная свинья. საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში ბატკნის შეწირვის პირველობა ბიბლიის გავლენად უნდა მივიჩნიოთ. გაიხსენეთ „ისაკის მსხვერპლთშეწირვა“, როცა ღმერთმა აბრაამს ანგელოზის პირით შვილის ნაცვლად ცხვრის დაკვლა ურჩია (დაბ. 22: 11-12).

(ი. ყ.) «მირსობა» или ნირსობა (СМК, XXXII, отд. III, стр. 97 – 98); автор вышеназванной статьи говорит, что первое название непонятно, а второе можно перевести, как «туманность» (м. ნირსი, г. ნისლი туман); под иазванием მირსობა **известен праздник за 24 дня до Великого поста в честь какого-то божества; свинья, предназначенная в жертву божеству, называется** ო-მირსე.

მარტვილის, ანუ ჭყონდიდის ტაძარი VII საუკუნეშია აშენებული და რაოდენ დიდი ძალა გააჩნდათ კაპუნობისა და მირსობის დღესასწაულთა შინაარსებს კოლხთა წარმართულ ცხოვრებაში, რომ ამდენი საუკუნის ქრისტეანული ცხოვრების შემდგომაც შემორჩენილია ამ წარმართი კერპების ხსოვნა. კოლხები ღორებს თავიანთ კერპებს დიდმარხვის წინ, ჯერ 24 და შემდგომ 10 დღით ადრე სწირავდნენ, ხოლო ნეკრესობა შობის დღესასწაულის პარალელურად იმართება. ღორების მიმართებით კოლხთა გამორჩეულ ყურადღებას მუხის კულტიც განსაზღვრავდა.

(ი. ყ.) ჭყონი дуб; -- ჭყონდარი (г. ჭყონდიდელი < ჭყონი + დიდი большой) Чкондари, Чкондидели, так назывались епископы Мартвильского монастыря, занимавшие при грузинском дворе должность первых министров (მწიგნობართ-უხუცესი); в Мингрелии и теперь епископа называют ჭყონდარი; -- название округа около Мартвильского монастыря, части Сенак. уезда.

საეკლესიო იერარქიის უმაღლესი ტიტულების მფლობელებს კოლხები უწოდებდნენ **ჭყონდარი**-ს, ანუ მუხის დარს, მუხის მსგავსს (მეგრ. **ჭყონდარი** > ქართ. **ჭყონდიდი**). ეს გახლავთ გამოძახილი ხეთა თაყვანისცემისა და რომელი თემაც ჩვენ უკვე განვიხილეთ. ხეთა შორის უპირველეს პატივს მუხას მიაგებდნენ, რომლის ღვთაებრივად მიჩნეულ ნაყოფსაც ღორები მიირთმევდნენ და ამ მიზეზითაც, მათზეც იგივე გამორჩეული ყურადღება ვრცელდებოდა. მეგრულად ღორის სახელწოდებაა **ღეჯი**.

(ი. ყ.) **ღეჯი** свинья, -- **კერი (კერ-კეცი) кабан большой (выхолощенный)**: კერა кабан маленький (выхолощеный):კეში, მაკერიშე кабан (нехол.).

ღეჯი = ღე + ჯი = ღვთაებრივი (სასიცოცხლო ძალის განსახიერება) + დაბლა

(ო. ქ.) **კეშ-ი, კერშ-ი** კერატი, დაუკოდავი ღორი.

(ო. ქ.) **ეში**[1] ნათესაობითი ბრუნვა ნაცვალსახელისა ენა –ეს, ამისი.

(ო. ქ.) **ეში**[3] 1. ო პრეფიქსთან (ო- -- -ეშ-ი) აწარმოებს დანიშნულების სახელებს: ო-თალ-ეშ-ი სათელი მატყლისა (შდრ. თალუა თელვა).

(ო. ქ.) **–ში**[1] (< იში) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: დაერთვის ხმოვანფუძიან სახელებს: დიდა-ში დედის, კოტო-ში ქოთნის...

კეში = კ-ესი = ძლიერების (განმსახიერებელი). ,,კერში“ კიდევ მეტად აკონკრეტებს –

კერში = კე + რ(ე) **+ ში** (ქართ კერესი) = ძლიერების (განმსახიერებელი) არის.

(ო. ქ.) **კერკეცი** კერატი ტახი.

კერე შეიძლება იყოს ძლიერი დინების მდინარეც.

(ი. ყ.) **ლე-კერე** речка в Зугдидском уезде.

იგივე აზრს ატარებენ ქართული (ქრისტეანული კოლხური):

კერა (ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე. კერის პირას ზის.).

კე + რა = ძლიერი, მშვენიერი, სასურველი + არის.

კერატი (დაუკოდავი ღორი)

კე + რა + ტი = ძლიერი, სასურველი + არის + თბილი, ცოცხალი.

კერვა [ნემსითა და ძაფით შეერთება, შეკინძვა (ტანსაცმლად, ფეხსაცმლად...) გამოჭრილი ქსოვილის, ტყავისა და მისთ.].

კე + რ + ვა = ძლიერი, სასურველი + არის + მოქმედება, შედეგი.

კერკი (წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი).

კე + რ + კი = ძლიერი + არის + სასურველი.

კერკეტი [მაგარნაჭუჭიანი, ძნელად გასატეხი და დასარჩევი (კაკალი)].

კე + რ + კე + ტი = ძლიერი + არის + უძლიერესი + სასურველი (= წინააღმდეგობის უნარიანი).

კერპი (წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ)

კე + რ + პი(კვალი) = ძლიერი + არის + ფორმა (წარმონაქმნი).

კერტი (ძუძუს თავი.) = კე + რ + ტი = ძლიერი, მშვენიერი, სასურველი + არის + თბილი.

კერძი (1. წილი, ულუფა. 2. რაიმე საჭმელი).

კე + რ + ძ(Გ) **= სასურველი + არის + ძევს, დევს.**

დავუბრუნდეთ **კერში**-ს.

(ო. ქ.) **კერიშუა** კერშის მიერ დამაკება. კერატისაგან ნეზვის დევნა დასანერგავად.

(ო. ქ.) **მაკერიშე** იგივეა, რაც კეში, მამალი (დაუკოდავი) ღორი, კერატი.

ამრიგად, დამაკების პროცესს ეწოდება;

კერიშუა = კერიშ + უა = კერის მოქმედება.

კერიშუა-ს ცოდნით მიღებული ქართული ვარიანტებია;

(ქ.ე.გ.ლ.) კერშვა ღორის დაგრილება.

(ქ.ე.გ.ლ.) კეშვა კუთხ. (ქიზ.) იგივეა, რაც კერშვა.

(ქ.ე.გ.ლ.) კეში[1] „რბილი რამ გამაგრებული უხმარად" (საბა) (ცხადია ამ პროცესის გარეშე კერიშუა ვერ შედგება ჯ.კ.).

(ქ.ე.გ.ლ.) კეში[2]: კეში ტახი კუთხ. (გურ.) „დაუკოდავი ღორი

კეში წარმოადგენს დაუკოდავ ღორს, რომელიც არის ,,**მაკე**-რიშე" (დამამაკებელი) და შესაბამისად, და-**მაკე**-რიშებული ნეზვი, დედალი ღორი არის და-**მაკე**-ბული, ანუ **მაკე**.

ე. ი. წარმართ. **მაკერიშე** > ქართ. **მაკე**.

(ო. ქ.) მაკე მაკე, განერგილი.. ორსული პირუტყვი.

წარმართული კოლხური ,,კერიშუა“ დამკვიდრებულია ქართული ენის ლექსიკაში:

(ს.ს.) კერშილობა ნადირთ მაკინტლობა, აღრევა.

(ქ.ე.გ.ლ.) კერშვა, კერშილობა დაგრილება (ღორისა).

ცნობისთვის: დაუკოდავ მამალ ცხვარს მეგრულად ეწოდება – **მაკერიჩე**. ეს სიტყვა იკითხება როგორც - ,,თეთრი დამამაკებელი“ და მაშინ ცხვრის დამაკების პროცესს ეწოდება კერიჩუა = კერიჩ(ეშ) + უა = მაკერიჩეს მოქმედება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოლხები გასამრავლებლად თეთრი ბეწვის პატრონ მამალ ცხვრებს ირჩევდნენ.

ასევე საყურადღებოა სახელწოდებები:

ნეკერი = ნე + კერი = ტკბილი (მშვენიერი) + **ძლიერი** = ძლიერ მშვენიერი (კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები).

ნეკერჩხალი = ნე + კერ + ჩხა + ლი = ტკბილი (მშვენიერი) + **ძლიერი + მზე + ფორმა** (სხეული) = მზის (მსგავსი) ძლიერ მშვენიერი ხე (მოგეხსენებათ, შემოდგომით ნეკერჩხალი მზესავით წითლად ბრდღვიალებს).

ამრიგად:

მეგრ. **კერში** > ნე-**კერიში** || **ნე-კერეში** (სიტკბოება ტახისა) > ქართ. **ნე-კერესი** > **ნეკრესი**.

ნე-კერეს-ი > კერეს-ი > კერეს(-ელი-ძე).

გვარი **კერეს**-ელი-ძე ასევე ტახის მცნებიდან მომდინარეობს მსგავსად გვარისა:

ბოკერია = ბო + კერი = პატარა (დაბალი, მსხვილი) + **ტახი** = პატარა, დაბალი ტახი.

ტახის მცნებასთან დაკავშირებით, აქვე ავხსნათ შინაარსი სახელწოდებისა კახური ღორი – უძველესი ენდემური ჯიში. ევროპული გარეული ღორის მოშინაურების შემდეგ ხალხური სელექციის გზით ჩამოყალიბდა ცალკე ჯიშად. განეკუთვნება მომთაბარე ტიპს. ფერად შავია, ზოგჯერ მუქი ნაცარა ან მოწითალო. გარემო პირობებს ადვილად ეგუება. იკვებება ტყის მცენარეთა ნაყოფით, იყენებს აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნაწვერალს და ნაკლებნაყოფიერი ტენიანი ჭალის საძოვრებს (ქ.ს.ე. V 452).

გავიხსენოთ ჩვენი ცოდნა სახელწოდება კახი-ს მიმართებით -- სახელწოდებები კახი და კუხი იგივე სახელწოდება კოლხი-ს შემოკლებული ვარიანტებია.

კახი = კა + ხი = ძლიერი + მიწა = ძლიერი, მშვენიერი მხარე.

კახა = კა + ხა = ძლიერი + მიწიერი = ძლიერი, მშვენიერი არსება (მიწიერი).

კუხი = კუ + ხი = ძლიერი + მიწა = უძლიერესი, უმშვენიერესი მხარე.

კახათი – სოფელი ზუგდიდის რ-ნში; **კახარეთი** – სოფელი ადიგენის რ-ნში; **კახაბერი** – სოფელი ხელვაჩაურის რ-ნში. **კახეთი** – აღმოსავლეთი მხარე კოლხეთისა; კახისის ტბა – ტბა ბორჯომის რ-ნში; კახიფარი – სოფელი გურჯაანის რ-ნში; **კახურა** – სოფელი ლენტეხის რ-ნში; **კახური** – რკინიგზის ბაქანი ოზურგეთ-მერიის გადასარბენზე.

სახელწოდება **კახეთი**-ს ფუძე **კახ** ზოგადად კოლხურია (ქართულია) და მეგრულად **კახეთი** გამოითქმის ფორმით – **კახათი** (ქართ. **მანეთი** > მეგრ. **მანათი**) და ასეთი სახელწოდების სოფელი არსებობს ოდიშში, ზუგდიდის რაიონში. ე.ი **კახათი** = **კახეთი**. საინტერესოა, რომ არსებობს ვანი-დან ნაწარმოები მსგავსი დაბოლოების სახელწოდებები – **ვანათი** სოფელი ცხინვალის რ-ნში და **ვანეთი** სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

(**გაზეთი სხვადასხვა** 2002 წ. № 265): „რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ისტორიულ მხარეს – **ოდიშს**, ეს სახელწოდება ზუსტად მეორდება სოფელ კაკაბეთის ერთ-ერთი გორაკის – **ოდიშის** გორის სახელწოდებაში. ამ გორის ისტორიული მნიშვნელობა იმითაც ძლიერდება, რომ მასზე საკმაოდ ძველი ეკლესიაა აღმართული. სრულიად დასაშვებია, რომ ეს სახელწოდება კაკაბეთში წამოიღო **ოდიშის** მიწა-წყალზე მცხოვრებმა კოლხურ-ლაზური ერთ-ერთი ტომის შტომ“.

კახი ასევე მეგრულად ეწოდება ღორს და აღნიშნავს ძლიერ მიწიერს.

(**ო. ქ.**) **კახი** იგივეა, რაც **კახილე** – ჭრელი ღორი; ღორი რომელსაც ალაგ-ალაგ შავი ბალანი აქვს.

ჭრელ ან შავი ბალნით შემოსილ ღორს ეწოდებოდა ზოგად კოლხური **კახი, კახილე** და მოგვიანებით, როგორც **კახი**-დან (ძლიერი მიწა) წარმოიქმნა კერძო **კახეთი**, ასევე **კახი**-დან (ძლიერი მიწიერი), უკვე შეცდომით, წარმოიქმნა **კახური** (ღორი) – მართებულია იყოს ძლიერი ღორი, ვინაიდან ღორის ეს სახეობა ბევრად ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული.

ოზურგეთი

ოზურგეთი = **ო** + **ზურგ**(ა) + **ეთი**. ამ სახელწოდებაში ო თავსართი შეესაბამება ქართულ თავსართს სა (სადილი > სასადილო), ბოლოსართი ეთი დასახლების, საცხოვრისის აღმნიშვნელია და ვღებულობთ ქართულ ვარიანტს სა-**ზურგე**-თი. სახელწოდების ფუძეა **ზურგ**(ა). მსგავსი სიტყვა იძიება კოლხურ ტოპონიმიაში.

(**ი. ყ.**) **დიხა, დეხა** земля, место; -- **დიხა-ზურგა** Диха-зурга, деревня в Самурзакано; -- დიხა-გუზუბე Диха-гузубэ, деревня в Самурзакано... -- დიხაშხო Дихашхо, деревня в Кутаисском уезде; -- „დიხაშხო" в Гурии название известных качеств почвы... – დიხა-ჭუბერი белая земля, употребляемая вместо мыла при митье головы.

(**ს.ს.**) **დიხაშხო** მიწა დახეთქილი.

გურიაში, ანუ ზღვისპირა სამეგრელოს შუაგულში, ოზურგეთის რაიონში ჩაედინება ასევე მდინარე **დიხაშური** , ამდენად, გურულებმა როგორც იცოდნენ, რომ დიხაშური = მიწის სული, დიხაშხო = მიწა დახეთქილი, ასევე ესმოდათ სიტყვა **დიხა-ზურგა**-ს მეორე შემადგენლის, **ზურგა**-ს კოლხური მნიშვნელობა.

ზურგა განსაზღვრავდა მიწის გარკვეულ თვისებას, შევეცადოთ აღვადგინოთ მისი შინაარსი. **ზურგა** = **ზურ** + **გა** = **ზურ** + **გორა**(კი), ფორმა. პირველი შემადგენელი **ზურ**(ა) მეგრულად ნიშნავს მშიშარას, მხდალს, ხოლო ლაზურად დედალს, ძუს, არცერთი განმარტება არ გამოდგება მიწის თვისების გამოსახატავად. ამდენად გთავაზობთ შემდეგ მოსაზრებას, იოსებ ყიფშიძის მიხედვით, თანხმოვან **ზ**-თი ზელვის პროცესიც გამოისახება. მაგალითად **ზალა** ნიშნავს **ზელვა**-ს, ხოლო მეგრ. **ნაზა** = **დანაზელი** (დარბილებული) > ქართ. **ნაზი**, მაშინ:

ზურგა = **ზ** + **ურ** + **გა** = **ზელვა** + **მოძრაობა** + **გორაკი** = აზელილი სავალი გორაკი = [გადასალახავი, გადასავლელი] **ტალახიანი მიწის გორაკი** (ბორცვი).

მაშინ გამოდის, რომ ჯერ წარმოდგა სიტყვა **ზურგა** (ტალახიანი მიწის გროვა, გორაკი), შემდეგ მან მიიღო მხოლოდ გროვის მნიშვნელობა და გაჩნდა მცნება და**ზურგვა** (ურემი დაი**ზურგა**), შედგომ იგივე გამოითქვა ტვირთაკიდებული ადამიანის მიმართებითაც და უკვე შემდგომ, ადამიანის ტვირთის მოსაგდებ სხეულის ნაწილს **ზურგი**. ოზურგეთის შემთხვევაში კი გვექნება:

ოზურგეთი = საბორცვეთი = ბორცვებიანი, გორაკებიანი, მთაგორიანი მხარე.

თუ თქვენთვის ეს განმარტება დამაჯერებელი არაა, ავტორს იმაში მაინც უნდა დაეთანხმოთ, რომ სამეგრელოში გაფიქსირებული **დიხა-ზურგა**-ს და თავად სახელწოდება **ოზურგეთის** (= საზურგეთი) კოლხური კონსტრუქციის წარმოჩენით უდავოა სახელწოდება **ოზურგეთ**ის კოლხური წარმომავლობა.

ორთაჭალა = ორთა + ჭალა.

სართიჭალა = სართი + ჭალა.

ფონიჭალა = ფონი + ჭალა.

(ო. ქ.) **რთუალა** გაყოფა. **ორთალი** გასაყოფი.

ორთალი = ორთა + ლი = გასაყოფი + სივრცე, ფორმა.

(ი. ყ.) **ორთუ შარა** перекресток (букв. раздельная дорога).

ე. ი. **ორთუ შარა** ნიშნავს გზის გამყოფს, ანუ გზაჯვარედინს.

ჩვენ დავადგინეთ, რომ **ჭალა = ჭა + ლა = მცირე ფართობი** (სივრცე).

ზუგდიდის რ-ნში სოფელია **ჭალა**, სენაკის რ-ნში სოფელი **ჭალა-დიდი**. ქართულში ჭალა-მ, მცირე ფართის გამოსახვის გამო შემდეგი მნიშვნელობა მიიღო.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭალა** წყლის პირი ნაყოფიერი (საბა); ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას.

ორთაჭალა = ორთა + ჭალა = გაყოფილი (გამოყოფილი) **ჭალა**.

(ო. ქ.) **სართიელი, სართიე** – სათრევი, სათრეველა, უბორბლო ურემი.

(ო. ქ.) **სართიოლი, სართიო** – მთიდან შეშის ჩამოსატანი მოწყობილობა.

სართიჭალა = სართი(ო) + **ჭალა** = სათრევი ჭალა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადრე, მეზობელი დასახლებების მაცხოვრებლები, სართიჭალიდან შეშას ეზიდებოდნენ. ცხადია მეგრ. **სართიე** > ქართ. **სათრევი**.

ფონი = ფ + ონი = სვლა + სასურველი = დაბრკოლების გადალახვა.

ფონიჭალა = ფონი + ჭალა = სასურველი გადასასვლელი ჭალა.

ოქონა -- სოფლები თერჯოლისა და ახალგორის რ-ებში.

(ო. ქ.) **ოქონე** საქონე.

(ო. ქ.) **ქონი**, ქონამი, ქონება, ქონებიერი, ქონიერი

(ო. ქ.) **ოქონა** (ოქონას) ბოტან. ვაზის ერთ-ერთი ჯიში.

თავად სიტყვა **ოქონას** ფუძეა მცნება **ქონამი** (= **ქონება**) და:

ოქონა – საქონებო, ქონების, ხვავის შემომტანი.

ოქონის მონასტერი -- ეკლესია ლანჩხუთის რაიონის სოფ. **აცანაში**.

გორის ღვთისმშობლის ტაძრის **ოქონის** კარებს ამკობს **ოქონის** სასწაულმოქმედი ხატი. ბრწყინვალე შვიდეულის დასაწყისში გორში იმართება სასწაულმოქმედი ხატის **ოქონობის** დღესასწაული.

ასევე ახალგორის რაიონის სოფლებში, **ზემო და ქვემო ოქონაში**, გაზაფხულზე ზეიმობენ **ოქონობას** და რაც, შესაძლოა, ისტორიულად ხვავის, ბარაქის დასაწყისს უკავშირდებოდეს.

ოძრხე, ოძრახე – ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრეთ საქართველოში (ახლანდ. ადიგენის რ-ნი), დაბა აბასთუმნის მახლობლად, მდინარე ოძრხისწყლის მარჯვენა ნაპირზე. დგას წყალგამყოფ მაღალ კლდოვან ქედზე. დარაჯობდა ოძრხისა და კურცხალისწყლის ხეებზე გამავალ გზას. სახელწოდება ოძრახე კოლხური წარმომავლობისაა და ფუძეა **ძრახება**.

(ო. ქ.) ძრახება || ძრახუა – ძრახვა, კილვა, კიცხვა... ოძრახებაფუანს აძრახვინებს. ოძრახალი დასაძრახავი.

ფორმა ოძრახე-ბაფუანს ნიშნავს აძრახვინებს. ოძრახე-ს სრული შესატყვისი სახელწოდება ოძრახალი (დასაძრახავი) ეწოდება ასევე მდინარეს გალის რ-ნში, ჩხორთოლას მარცხენა შენაკადს. თითქოს შეუსაბამობაა, რომ მდინარეებს ეწოდათ ძრახება-დან (ძრახვა, კილვა, კიცხვა) წარმომდგარი სახელწოდებები, მაგრამ მდინარეების შემთხვევეში ძრახება ნიშნავს არა კერძოდ – ძრახვა, კილვა, კიცხვას, არამედ მდინარეთა ხმაურიანი დინების ბრაზიან, მშფოთვარე ბუნებას.

ცხადია წარმართ. **ძრახება** > ქართ. **ძრახება**.

პარეხი – მონასტერი ისტ. კლარჯეთში, მდინარე კარჩხალას ხეობის კლდოვან მასივში (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). IX—X საუკუნეში პარეხი გარკვეულ როლს ასრულებდა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

(ო. ქ.) პარეხი იგივეა, რაც პარახი. ძალიან დიდი, ვეებერთელა. პარეხიჯგურა კოჩი რენია – ძალიან დიდი, მოსული კაცია. შდრ. გურ. პარეხი მოძრავი, ცოცხალი ღონიერი.

(ო. ქ.) პარუხი დიდი თოკი. შდრ. პარეხი.

(ს. ს.) პარეხი კლდე გამოქვაბული, კვალად ძაღლი ბალანგრძელი. ნ. შთაპარეხვა.

(ს. ს.) შთაპარეხვა (შთაპარეხუა) ნაპრალში ჩაგდება.

(ს. ს.) პარეხი ძაღლი ბანჯვლგრძელი.

საბას **პარეხი** წარმართული კოლხური **პარეხი**-ს შინაარსის -- ძალიან დიდი, ვეებერთელას შემდგომი განვითარებებია.

როშკა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

როშკისწყალი – მდინარე დუშეთის რ-ნში.

(ო. ქ.) როშუა როშვა, ლაყბობა.

ეს განმარტება ვერ გამოდგება მდინარის სახელწოდებად.

(ო. ქ.) როშაფი 1. ყვირილი. 2. ქუხილით დინება (მდინარისა).

როშკა = როშ(აფი) + **კა = ყვირილი, ქუხილი + ძლიერი**.

საგარეჯო – ქალაქი კახეთში, რაიონის ცენტრი.

სახელწოდების ფუძეა **გარეჯა**.

გარეჯა – მთა თიანეთისა და ახმეტის რ-ების საზღვარზე, კახეთის ქედზე.

გარეჯის სერი – სერი საგარეჯოს რ-ნში, ივრის ზეგანზე.

გარეჯა = გა + რე + ჯა = მთა + არის + ხე = ტყიანი მთა.

ანალოგიური სახელწოდება გვხვდება ოდიშში:

გაჯარა -- მთის სახელია თამაკონში, მარტვილის რ-ნში (**აბესალომ ტუღუში**).

გაჯარა = გა + ჯა + რა = მთა + ხე + არის = ტყიანი მთა.

ურეკი – დაბა ოზურგეთის რ-ნში.

(ო. ქ.) დირაკუა დრეკა, ღუნვა.

(ო. ქ.) დირაკილი მოხრილი, მოდრეკილი, მოღუნული.

(ო. ქ.) **უდირიკუ** მოუდრეკელი. შდრ. ლაზ. დრიკ: ოდრიკუ მოხრა.

(ო. ქ.) **ურეკი** გაუხედნავი ცხენი.

ურეკი ანუ **უდრეკი, მოუდრეკელი** და დაბის სახელწოდება **ურეკი** მისი მოსახლეობის ცხოვრების წესის მახასითებელია.

ფიტარეთი – სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში. ფიტარეთის მოშორებით მდებარეობდა ფიტარეთის მონასტერი. ტაძარი აშენებულია 1213—22 წლებში.

(ქ.ე.გ.ლ.) **ფიტა** თევზი ერთგვარი (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ფიტი** – ცარიელი თაფლგამოცლილი ფიჭა.

(ო. ქ.) **ფიტი**[1] – ელვა.

(ო. ქ.) **ფიტი**[2] – ქოჩორი.

(ო. ქ.) **ფიტილა** – ძალიან ფიცხი, ემოციური, სწრაფფეთქებადი.

фитиль -- ფიტილი.

ტოპონიმი **ფიტა** + **რე** + **თი**, მსგავსად სახეწოდებებისა **გუჯა** + **რე** + **თი**, **გომა** + **რე** + **თი**, **გა** + **რე** + **ჯა** წმინდა კოლხური კონსტრუქციისაა.

ფიტარეთი = **ფიტ**(ა) + **რე** + **თი** = **ელვა** + **არის** + **სოფელი** = ნათელი სოფელი (სივრცე).

ფოკა – სოფელი ნინოწმინდის რ-ნში.

(ო. ქ.) **ფოკვა** 1. ობი. 2. ვაზის ავადმყოფობა.

მაღალი ნესტიანობის გამო **ფოკა**-ში ქვები, დაუმუშავებელი მიწა ხშირად იფარება ობით, ხავსით.

ქარელი ქალაქი, რ-ნის ცენტრი.

(ო. ქ.) **ქარილი** [და]ქარული; დახუთული.

წარმართულ კოლხურში ფორმანტები რი (< არი) და რე აღნიშნავენ მცნებას არის და მეგრ. **ქარილი რე** = დახუთული არის.

ზაფხულში ცხელი, დახუთული გარემოს გამოც წარმოდგა სახელწოდება **ქარილი რე** > (რი >< რე) > **ქარელი** (დახუთული).

ქვიშხეთი – სოფელი ხაშურის რ-ნში.

(ო. ქ.) **ქვიშილი** დაქვიშული.

ხეთე მეგრ. ნიშნავს უცბად, მაშინვე, მაშინათვე.

ქვიშხეთი = **ქვიშ**(ილი) + **ხეთ**(ე) = **დაქვიშული** + **უეცრად**.

ქვიშხეთს ჩაუდის მდინარე მტკვარი და სამი მხრიდან მაღლა აზიდული მთები არტყავს. ამ მთებს შორისაა მოქცეული ქვიშხეთის მცირე მოცულობის დაბლობი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში, წვიმების მოქმედებათა შედეგად, ამ მთებიდან ჩამონადენი ქვიშის მასალის წარმონაქმნს წარმოადგენს.

წარმართ. **ხეთე**-დანაა ქართული **ხეთქა, ხეთქვა, ეხეთქება**...

ქუნცა – სოფელი ასპინძის რ-ნში.

ქუნცისღელე – მდინარე ასპინძის რ-ნში, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

(ო. ქ.) **ქუნცი** 1. კუნელი. 2. ეკლიანი მცენარე, ბუშქი.

ყინწვისი XIII საუკუნის სამონასტრო ანსამბლი ქარელის რ-ნში.

(ო. ქ.) **ყინწინი** დუდიში – თავის გამართვა (ყანწივით). **ყინწინი კისერიში** კისრის გამართვა.

ყინწვი = **ყინწი**(ნი) + **ვი** = თავაწეული + ფორმა.

სახელწოდება **ყინწვისი**-სი გულისხმობს ტაძრის გუმბათის თავაწეულ არქიტექტურულ კონფიგურაციას.

ყუმური – მთა წითელწყაროს რ-ნში, ივრის ზეგანზე.

ყუმური – სოფელი და მდინარე ვანის რ-ნში.

(ო. ქ.) **ყუმური** – ტყემალი.

ყუმური = ტყემლოვანი (მთა და სოფელი).

ძეგვი – სოფელი მცხეთის რ-ნში.

ძეგვილა – მთა ჩოხატაურის რ-ნში.

(ო. ქ.) **ძეგვი** ეკალი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ძეგვი** კუთხ. (ლეჩხ.) ეკლიანი ჩირგვი.

იაკობ გოგებაშვილის დროს ლეჩხუმი ჯერ კიდევ სამეგრელოდ ითვლებოდა.

(ო. ქ.) **ძეგვერია** ტანმორჩილი პიროვნება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ძეგვა** კუთხ. (გურ. იმერ.) ცეხვა (ლობიოსი და მისთ.).

(ო. ქ.) **ძეგვონა** ადგილი, სადაც ბევრი ძეგვია, -- ეკალნარი.

ე.ი სანამ **ძეგვის** ტერიტორიას მოსახლეობა აითვისებდა, ეს იყო ეკალ-ბარდიანი ადგილი; ხოლო ჩოხატაურის რაიონში მთას იმიტომ ეწოდა ძეგვილა, რომ მთას გააჩნია ეკალივით წამახვილებული კონფიგურაცია. ასევე დიდი მოცულობის ეკლის ფორმად წარმოდგება პოსტამენტზე შემდგარი ქანდაკება და **ძეგვი**, ძეგვილი-ს ცოდნით ქართულში შეიქმნა **ძეგლი**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ძეგლიგი** კუთხ. (ფშ.) თოფის კონდახი.

წრომი – სოფელი ხაშურის რ-ნში.

(ო. ქ.) **წრომი** იგივეა, რაც რწომი, წომი – ზოოლ. ჭოტი.

წყორძა – სოფელი ახალციხის რ-ნში, მდინარე ურავლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. შუა სოფელში, ხევის პირას დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – XIII ს. მცირე დარბაზული ეკლესია. ნაგებია სუფდად გათლილი ქვის სწორი წყობით. ეკლესიის შიგნითა სივრცე დაუმთავრებელია, ქვა უხეშად არის დამუშავებული, როგორც ჩანს, გათვალისწინებული იყო შელესვა და მოხატვა. ეკლესიის ნახევრად დამუშავებული და ნახევრად დაუმთავრებელი მდგომარეობა ასახულია ეკლესიისავე სახელწოდებაში – წყორ-ძ(ა).

მეგრ. **წყორ+უა** აღნიშნავს განელების, გაზავების, ერთმანეთში შერევისა და შერწყმის მოქმედებას. **წყორ+ილი** უკვე შერეულს, შერწყმულს და ჩვენს კერძო შემთხვევაში, ეკლესიის ნახევრად დამუშავებულ და ნახევრად დაუმთავრებელ ნაწილთა შერეულ, ერთმანეთში შერწყმულ მდგომარეობას.

ძგ მეგრ. ნიშნავს დებას, ყრას, არსებობას და:

წყორძა = **წყორ**(ილი) + **ძ**(გ) = შერეული + არსებობს.

(ო. ქ.) **წყორუა** განელება, გაზავება; ერთმანეთში არევა.

წყორუა = **წყ**(არი) + **ორ**(ო) + **უა** = **წყალი** + **უხილავი** + **მოქმედება**.

მცნებები: განელება, გაზავება, ერთმანეთში შერევა შეიქმნა წყალზე დაკვირვების შედეგად. მაგალითად ერთმანეთში ვურევთ ცივ და ცხელ წყალს და მათი უხილავი

ურთიერთმოქმედების შედეგად ვღებულობთ განელებულ, გაზავებულ, ერთმანეთში არეულ, საჭირო ტემპერატურის წყალს; შემდგომ ამ მცნებებმა მიიღეს განზოგადოებული მნიშვნელობები.

ცხადია, წარმართ. **წყორუა** > (ო > 0, უა > მა) > **წყრმა** > (რ >< წ) > **რწყმა** > ქართ. **შე-რწყმა** – რაც **შეერწყა**, ან **შეირწყა**, -- შეერთებული, შერეული, შედუღებული (ერთ მლიანად). ოპერაში ჰარმონიულადაა შერწყმული მუსიკა და სიტყვა.

ჭვარები – გორის რაიონის სოფლების დიდი ჭვარებისა და პატარა ჭვარების გავრცელებული სახელწოდებები.

ჭვარებისწყალი – მდინარე გორის რ-ნში, თეძმის მარჯვენა შენაკადი.

(ო. ქ.) **ჭვარუა** -- გაკაფვა; გაწმენდა და ადგილის საყანედ გამზადება; ტყე-ჯაგისაგან გაკაფვა ცეცხლის წაკიდებით.

(ო. ქ.) **ჭვარილი** – გაკაფული; ტყე-ჯაგისაგან გაწმენდილი, სახნავად მომზადებული ადგილი; საყანედ მოახოვებული ადგილი ცეცხლის გამოყენებით.

ჭვარ-ები ნიშნავს ტყე-ჯაგისაგან გაწმენდილ, სახნავად ან საცხოვრისად მომზადებულ ადგილებს.

ჭიკანი – სოფელი დუშეთის რ-ნში; **ჭიკაანი** – სოფელი ყვარლის რ-ნში.

1906 წლის აღწერით, ჭოროხის ხეობაში დაფიქსირებულია დასახლების სახელწოდება **გურჯანი**. იგივე სახელწოდება კახეთში დამკვიდრდა ფორმით **გურჯ-ა-ა-ნი**.

ქართლში, ლიახვის ხეობაში სოფელია **მაჩხანი**, კახეთში **მაჩხ-ა-ა-ნი**.

დუშეთის რ-ნში სოფელია **ჭიკანი**, კახეთში რასაკვირველია **ჭიკ-ა-ა-ნი**.

ჭიკუ მეგრულად აღნიშნავს მცირე სასურველ ან ძლიერ ფორმას. მაგალითად, **ჭიკუ** სხული ნიშნავს პატარა მსხალს, ანუ პანტას. ჩვენ უკვე განხილული გვაქვს მსგავსი მრავალი მაგალითი (კანჭი, კენჭი, კოჭი, კუჭი...) და მაშინ იკითხება, რომ დუშეთის რაიონის სოფელი **ჭიკანი** მცირე, მაგრამ სასურველი დასახლებაა, ხოლო ყვარლის რაიონის **ჭიკაანი** ცოტათი მაინც უფრო დიდი დასახლებაა.

ჭობისხევი – სოფელი ბორჯომის რაიონში.

(ო. ქ.) **ჭობი** წარბი.

ე.ი. სოფლის ლანდშაფტს წარბივით მოხვეული ფორმა გააჩნია.

ხარჭიშო – სამონასტრო კომპლექსი დუშეთის მუნიციპალიტეტში.

(ო. ქ.) **ხარჭალი** ჟღარუნი; ჩანჩხარი, ჩანჩხური; ჩხარუნი.

ხახული – შუა საუკუნეების მონასტერი ტაოში. მდინარე თორთუმისწყლის ერთ-ერთ გვერდითა ხეობაში, მდინარე ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე

(ო. ქ.) ხახუჭუა – მოკაზმვა, მორთვა; მოქარგვა.

(ო. ქ.) **ხახუტუა** – მოხატვა, მორთვა, მოქარგვა, მოკაზმვა.

(ო. ქ.) **ხახუტელი** მოხატული, ხატულა.

ხახუტელი > (ტე > 0) > **ხახული**.

(ო. ქ.) **ხახუა** – გაფატვრა; [გა]ჭრა მუცლისა..

ხახუა = ხა + ხ + უა = მიწა + მიწა + მოქმედება.

ე. ი. **ხახუა** ნიშნავს ორი მიწიერი სხეულის, საგნის ურთიერთმოქმედებას და ამიტომაც წარმოდგა ქართულში მცნება **ხახუნი** (საგნის მოძრაობა მასზე მჭიდროდ

მიდებული სხვა საგნის ზედაპირზე), მეგრულში მცნებები მოხატვა, ჭრა, გაფატვრა, ანუ იგივე ორი მიწიერი სხეულის, საგნის ურთიერთმოქმედება (ფუნჯისა რაიმე ზედაპირზე, დანისა რაიმე ზედაპირზე...). მოხატვის მცნება შემდგომ განივრცო და ასოცირდა მორთვა, მოკაზმვა, მოქარგვასთან. ამრიგად:

ხახული = **ხახუ** + **ლი** = გამოჭრილი, მოხატული, მოკაზმული + სივრცე, სხეული – და შესაძლოა ვიგულისხმოთ როგორც ხახულისწყლის მიერ გაჭრილი, „გამოფატრული" ხეობის მშვენიერება, ასევე მონასტრის ხატოვანი სახება.

აქვეა გვარები **ხახუტაშვილი, ხახუტაიშვილი.**

ხერკელაანთკარი – ასეთი სახელწოდების სოფელი არსებულა 1906 წლის აღწერით ზემო ავლევთან, უცხოვრია 50 ქართველს.

(ო. ქ.) **ხერკელაფა** – გორება, გაკოტრიალება.

სოფელი **ხერკელაანთკარი** დაქანებულ ფერდობზე უნდა იყოს გაშენებული.

ხვამლი

ლეჩხუმში მდებარეობს **ხვამლის** მთა, რომლის ციცაბო კლდეზე 50 მეტრის სიმაღლეზე რამოდენიმე ოთახია ამოკვეთილი. ამ ქვაბულის გარშემო მრავალი მოსაზრება გამოითქვა, მხოლოდ არავინ არ დაკვირვებია თავად სახელწოდების კოლხურ შინაარსს. თქვენთვის უკვე ნათელი უნდა იყოს, რომ სახელწოდება **ხვამლის** ფუძეა **ხვამა.**

ხვამლი = **ხვამ**(ა) + **ლი** = **ლოცვა** + **სივრცე, ფორმა** = სალოცავი სივრცე.

ანუ სათაური პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ეს ოთახები განდეგილ ბერთა საცხოვრისსა და სალოცავს წარმოადგენდა. საკვლევია მხოლოდ ის, რომ ეს ნაგებობა, მსგავსად უფლისციხისა და დავით გარეჯისა, ქრისტეანულ ხანაზე ადრეა შექმნილი თუ გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება.

ხომი – სოფელი დუშეთის რ-ნში.

(ო. ქ.) **ხომილა, ხომია, ხუმულა, ხუმელა** – გამხმარი, ძალიან მშრალი, ხმელი.

(ო. ქ.) **ხომაფა, ხუმაფა** – გახმობა.

ხომაფა > **ხმობა.**

ხომია > **ხომი** -- მშრალი (სოფელი, ხეობა, გარემო...).

ხონი – ქალაქი იმერეთში.

ხონი – სოფელი ხარაგაულის რ-ნში.

ხონისჭალა – სოფელი დუშეთის რ-ნში.

ხონჭიორი – სოფელი ამბროლაურის რ-ნში.

მეგრულად **გინო-ხონი** = გაღმა მიწა; **დიკო-ხონი** = დაღმართი; **დინო-ხონი** = ჩაღრმავებული ადგილი; **ეკო-ხონი** (= აღმართი) – ჩამოთვლილ სიტყვებში ხონი აღნიშნავს მიწის მცნებას.

ხონი = **ხ** + **ონი** = **მიწა** (სივრცე) + **ნათელი.**

ხონუა = **ხონ** + **უა** = **მიწა** + **მოქმედება** = ხვნა.

(ო. ქ.) **ჭიორილი** აფუებული.

ხონჭიორი = **ხონ**(ი) + **ჭიორი**(ლი) = **მიწა** + **აფუებული.**

ასევე **ჭიორა** (აფუებული, აყვავებული) სოფელია ონის რ-ნში.

მსგავსად სახელწოდებებისა **ორთაჭალა, ფონიჭალა**, დუშეთის რაიონში არსებობს კოლხური სახელწოდება **ხონისჭალა = ხონის + ჭალა** = მიწის ჭალა = მიწის მცირე სივრცე (ფართი).

ხორაგაული (,,ხარაგაული" შეცდომაა) დაბა.

ანალოგიური სახელწოდება გვხდება ოდიშში:

ხორგა სოფელი ხობის რ-ნში.

ხორგა = ხორ(ა) + **გა = სახლი + მთა** = დასახლებული მთა.

ხორაგაული = ხორა + გა + ული = სახლი + მთა + არსებული = დასახლებული მთიანი (მხარე).

ხორგა-ს განსხვავებული მნიშვნელობაც გააჩნია და ამის ასახსნელად გავიხსენოთ თავად **ხორა**-ს შინაარსი.

ოხორი, ოხორა-ში ო თავსართია და შეესატყვისება ქართულ დანიშნულების მაჩვენებელ თავსართს სა-ს (ჩრდილი > საჩრდილობელი). აზრს ატარებენ **ხორი** და **ხორა**.

ხორი || ხორა = ხ + ორო = მიწა + ჩრდილი (უჩინარი) = დაჩრდილული (უხილავი) მიწა. ფაცხას, ჯარგვალს თუ ოდას ააშენებ, სულერთია, მიწა მათ ქვეშ მაინც ერთნაირად უჩინარდება, უხილავი ხდება.

მეგრ. **ხორა > ოხორი**-დან გადაქართულების წესით მივიღეთ **სახლი**.

ოხორი > (ო > სა, ო > 0, რ > ლ) > სახლი.

(ო. ქ.) ოხორ-ი სახლი, სასახლე.

(ო. ქ.) სკილ-ი ვაჟი, ძე.

(ო. ქ.) ოხორასკილი... მაზლი, ცოლისძმა.

ოხორასკილი = ოხორა + სკილი = სახლის (ოჯახის) შვილი (წევრი).

აქვეა გვარები **ხორავა, ხორანაული** და ტოპონიმი **ხორნაბუჯი** – ისტორიული დასახლება წითელწყაროს რ-ნში.

ხორავა = ხორა + ვა = სახლი + შვილი = ოჯახიშვილი.

ხორანაული = ხორა + ნა + ული = სახლი + დედა + არსებული = ოჯახის სასურველი (წევრი).

ხორ + ნა + ბ + უჯი = სახლი(დასახლება) + **მშობლიური + ძლიერი + აღიქვი**.

ობუჯი ასევე დასახლებაა ოდიშში:

ობუჯი – სოფელი წალენჯიხის რ-ნში.

ასევე მეგრ. **ხორა**-ს შინაარსიდან გამომდინარე შეიქმნა ქართული **ხორა**.

(ქ.ე.გ.ლ.) ხორა (ხორასი) ერთმანეთზე უწესრიგოდ (შემაღლებულად) დაყრილი რამე. შეშის ხ. – სიმინდის ხ. ხორად – გროვად, ზვინად. ვაშლი ხ. ეყარა.

ერთმანეთზე უწესრიგოდ (შემაღლებულად) დაყრილი რამის ქვეშ მიწა ისევე უჩინარდება როგორც სახლის აშენებისას. ამ შინაარსის განზოგადოების შედეგად გაჩნდა:

(ო. ქ.) ხორგი... 1. საზღვარი; დახერგილი რამ (მაგ., ქვა, ხე...) საზღვრად გამოყენებული. 2. ხის ან ქვის ღობე; ქვა-ღორღის ზვინი, -- ხერგი. 3. საგანგებო ხერგილი მდინარეში თევზის დასაჭერად.

ხორგი = ხორ(ო) + **გი**(მე) = მიწა დაჩრდილული + დაბლა.

ხორგილი = ხორგი + ლი = დაბლა დაჩრდილული მიწის სივრცე = **ხერგილი,** ხერგის გროვა. **ხორგი > ხერგი, ხორგილი > ხერგილი** და ასევე **ხორგი > ხორაგი.**

(ქ.ე.გ.ლ.) ხორაგ-ი (სპ.) სურსათ-სანოვაგე; საჭმელი.

ხორაგი არა სპარსული წარმომავლობისაა, არამედ ან კოლხურიდანაა სპარსულში დამკვიდრებული, ან საერთო ფუძე მნიშვნელობა უნდა მოვიძიოთ რომელიმე უძველესი ენის ლექსიკაში.

ხორა + **გი**(მე) = **დაჩრდილული** (დახვავებული) + **დაბლა** = ხორაგი.

რა არის **ხორა+გი** თუ არა **ხორა** (სიმინდის **ხორა**, ვაშლის **ხორა**...) დაყრილი გიმე (დაბლა, მიწაზე, მაგიდაზე) და თავისთავად:

ხორაგი-ში ხმოვანი **ი** მიუთითებს დაბლითა მიმართულებას, ხოლო **ხორგა**-ში ხმოვანი **ა** მიუთითებს მაღლითა მიმართულებას და შესაბამისად **გ**-ს (მიწის, მიწიერის) ფორმასაც.

(ო. ქ.) ხორგა... ანკარა, ძლოკვი. ხორგაში ყვილუა ვაშინერს, გუუტენქინი, დორხვამანსია დო ოჯახი დიიხორგუუ ქონებათია – ძლოკვის მოკვლა არ ეგების (არ შეიძლება), რომ გაუშვებ, დაგლოცავსო და ოჯახი დაიტვირთება ქონებითო.

ორო გამოსახავს უხილავს, ჩრდილს, ორმოს (ორომე) და ასევე ამ კერძო შემთხვევაში მიწის ხვრელს, ორმოს; მაშინ:

ხორგა = **ხ** + **ორ**(ო) + **გა** = **მიწა** + **ხვრელი** + **ფორმა** (სხეული) = ანკარა მიწის ხვრელიდანაა (მიწის მკვიდრია).

საინტერესოა ხორას შემდეგი ვარიანტი:

(ო. ქ.) ხორა (ხორას) იგივეა, რაც ხვარა – ქაჩალი, მელოტი.

ამ შემთხვევაში **ხორა** მკრთალად გამოსახავს აღნიშნულ მცნებას:

ხორა = **ხ** + **ორ(ო)** = **მიწიერი** + **უხილავი**.

აქ ის იანგარიშება, რომ ადამიანი და ასევე მისი სხეულის ყოველი ნაწილი მიწიერი წარმონაქმნია. ამდენად ,,მიწიერი უხილავი" ბუნდოვნად მიგვანიშნებს ,,თმა, ქოჩორი უხილავი", მაშინ როდესაც ხვარა უზუსტესი მიმანიშნებელია ადამიანის სიქაჩლისა:

ხვარა = **ხ** + **ვა** + **რა** = **მიწა** + **ელვა** + **არის** = მიწიერი (ადამიანი) ელვარეა, მართლაც, მზის შუქზე მელოტ მამაკაცს თავი საკმაოდ უბრწყინავს, უელვარებს.

ამრიგად, **ოხორი** = მიწის საჩრდილებელი (მაჩრდილებელი). **ხორი** და **ხორა** რომ **ხორო**-დან წარმოდგებიან, ამის ცოდნა შემორჩენილია ხევსურეთის ტოპონიმში **ხოროჯა** -- სოფელია ხევსურეთში, ჩეჩნეთის საზღვართან.

ხოროჯა = **ხორო** + **ჯა** = **მიწა დაჩრდილული** + **ხე** = ტყე (ხეებით დაჩრდილული მიწა ხომ ტყეა). **ხოროჯა** „ტყეში ჩაფლული სოფელია. აქვე გაიხსენეთ მსგავსი შინაარსის მატარებელი **კორომი**-ს განმარტება.

(ქ.ე.გ.ლ.) კორომ-ი ჯგუფად მდგარი ხეები

კორომი = **კ** + **ორო** + (მი) = ძლიერ ჩრდილიანი.

ჯგუფად მდგარი ხეების ქვეშ ძლიერი ჩრდილი, **ორო** იცის. ასევე გაიხსენეთ **გარეჯა**.

გარეჯა = **გა** + **რე** + **ჯა** = **მთა** + **არის** + **ხე** = ტყიანი მთა.

ცხადი ხდება, რომ ასევე კოლხურია სახელწოდებები:

ხოროს მთა – მთა ადიგენის რ-ნში.მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე.

ხორაში (ხორასი) -- მდინარე ცაგერის რ-ნში, ლაჯანურის მარცხ. შენაკადი.

ხორში (ხორაში) -- სოფლების დიდი ხორშისა და შუა ხორშის გავრცელებული სახელწოდება მარტვილის რაიონში.

ხორითი – სოფელი ხორაგაულის რ-ნში.

ხორისარი – მწვერვალი ყაზბეგის რ-ნში.

ხორეთი -- სოფელი ლანჩხუთის რ-ნში.

ხორეთი = **ხო** + **რე** + **თი** = **მიწა**(დაბლობი) + **არის** + **სოფელი** = (შედარებით) დაბლობში გაშლილი სოფელი.

ხორენია (ხორენიისა) – სოფელი ახალქალაქის რ-ნში. ხორენია ფორმასთან დაკავშირებით შეადარეთ სახელწოდებები: ოლე –მდინარე სიღნაღისა და წითელწყაროს რ-ნებში და ოლენია – მდინარე გალის რ-ნში.

ხორენია = ხო + რე + ნი(ა) = **მიწა** (დაბლით) + **არის + მშობლიური** = (შედარებით) დაბლობში გაშლილი სოფელი. შესაძლოა დაბოლოება ია სოფლის მცირე მოცულობაზე მიუთითებდეს.

ხოსპიო – (სოფელი ახალქალაქის რ-ნში).

ხოსპიო = ხოს + **პიო** = მიწა (მიწიდან) ამოზრდილი (გაიხსენეთ პიკვალი).

კოლხური გვარები

ახუაშვილი, ახობაძე.

გვარის ფუძის **ახუა**-ს თავსართი **ა** ჩვენებითი ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს.

(ო. ქ.) **ა** ჩვენებ. ნაწილაკი აი; აგერ//აჰა.

ახუა-ს მსგავსი კონსტრუქციის კოლხური ტერმინებია **აღუა**, **აჩუა**.

გავიხსენოთ **აღუა**-ს შინაასი.

აღუა = (ა)**ღ** + **უა** = **სასიცოცხლო ძალა** + **მოქმედება** = ჩვილი ბავშვი.

ახუა-ს შინაარს განსაზღვრავს **ხუა** და იგი ხშირად კოლხური გვარების წარმოსაქმნელად გამოიყენება, ვინაიდან **ხუალა** მეგრულში ნიშნავს როგორც კერძოდ ადამიანების, ასევე ზოგადად მიწიერის შობა-ს, მიწიერ წარმონაქმნს.

(ო. ქ.) **ხუა**[1] გროვა; ხროვა. გერეფიში ხუა ქოგოცუმუდუ – მგლების ხროვა შემოხვეოდა (შემოცვენოდა). ხუათ ზმნზ. გროვად. ხუა-ხუათ ზმნზ. გროვა-გროვად. ხუა-ხუად გერდუ ხარხი – გროვა-გროვად იდგა ხალხი.

(ო. ქ.) **ხუ**[1] (ხუს) პეშვი; მუჭი (მცირე **ხუა**, გროვა ჯ.კ.).

(ო. ქ.) **-ხუა**[2] გვარების მაწარმოებელი სუფიქსია: ბო**ხუა**, ლაბა**ხუა**, ჩუ**ხუა**...

ხუა = ხ + **უა** = **მიწა** + **მოქმედება** (შედეგი) = მიწის გაჩენილი.

ხუა-დანაა ქართულში **ხუილი** („იხუვლა ირმების ჯოგმა˜, ანუ ირმების ხროვამ), და რაც მთავარია – **ხუა** > **ხუავი** > **ხუვავი** > **ხვავი.**

(ს.ს.) **ხუავი** შეგროვილი მარცვალი (ასევე მიწის გაჩენილი ჯ.კ.).

(ი. ა.) **ხუავ-ი** ზვინი, გროვა, მოსავალი (ასევე მიწის გაჩენილი ჯ.კ.).

გავიხსენოთ, რომ **ახუა**-ს მსგავს შინაარს ატარებს **ახო**.

(ქ.ე.გ.ლ.) **ახო** საყანედ გაკაფული ტყე.

„თანხმოვან **ხ**-ს მიწიერ ბუნებას ლაკონიურად გამოსახავს **ახო** = (აქ)**ხ**(დაბლა) = აქ მიწა დაბლა = საყანედ გაკაფული ტყის მიწა. **ახო**-დან წარმოდგნენ **ახოვანი** = მიწიერი მშვენება, გვარი **ახობაძე** = მიწიერი პატარა". **ახო**-ს მსგავსი კონსტრუქციისა და ასევე მიწის მცნებას უკავშირდება აგრეთვე კოლხური ალო.

(ქ.ე.გ.ლ.) **ალო** დღიური ნახნავი.

ხუა განსაზღვრავს მიწიერ წარმონაქმს და როგორც მიწის ზვინი, გროვა არის **ხუა** (მიწიერი წარმონაქმნი), იგივე ასოცირებით, ასევე ადამიანთა გროვა, მგლების ხროვა... წარმოადგენენ **ხუა**-ს, ანუ ჩვენს გარშემო არსებული სიცოცხლის ყოველი ფორმა მიწიერი წარმონაქმნია (გაიხსენეთ ქიყვანა-ს აზროვნება). შესაბამისად ადამიანი მიწიერი სხეულია და მისი ნაშიერიც მიწიერი წარმონაქმნია. ამრიგად:

ბოხუა = ბო + **ხუა** = **პატარა** (დაბალი) + **მიწიერი წარმონაქმნი**.

აღუა, ახუა, ბოხუა... განსაზღვრავენ ახალშობილთა ბუნებას: **აღუა** – [ჩვილი] სასიცოცხლო ძალის წარმონაქნია, **ახუა** – [ჩვილი] მიწიერი წარმონაქმნია, **ბოხუა** – [ჩვილი] პატარა მიწიერი წარმონაქმნია...

ამრიგად, **ა-ხუა**(შვილი); **ბო-ხუა**; **ლაბა-ხუა**; **ჩუ-ხუა**... კოლხური წარმომავლობის გვარებია.

ბალავაძე, ბალაშვილი.

ბალი = **ბა** + **ლი** = **მცირე** + **სხეული** (ნაზი) = მცირე ზომის ნაყოფი.

ბალახი = **ბა** + **ლა** + **ხი** = **მცირე** + **სხეული** + **მიწა**(ზე) = მცირე მიწიერი სხეული.

ბალანი = **ბა** + **ლა** + **ნი** = **მცირე** + **სხეული** + **დედის** (გაჩენილზე) = მცირე ფორმები (დედისგან გაჩენილ) სხეულზე.

ბალღი = **ბა** + **ლ** + **ღ**(ალა) = **მცირე** + **სხეული (ნაზი)** + **ტარება** = (ხელით) სატარებელი პატარა.

ბალღამი = **ბა** + **ლ** + **ღ**(ალა) + **ამი** = **მცირე** + **სხეული** (ნაზი) + **ტარება** + **იანი** = წყლულის, მუწუკის ჩირქოვანი მასის მატარებელი(ანი).

ბალაშვილი = **ბა** + **ლა** = **მცირე** + **სხეული** = ტანად პატარა.

ბალავაძე = **ბა** + **ლა** + **ვა** = **მცირე** + **სხეული** + **შვილი** = ტანად პატარა შვილი.

გვახსოვდეს, რომ სიტყვის ბოლოში **ვა** განსაზღვრავს ან მოქმედებას, ან შვილის მცნებას, ხოლო დანარჩენ მდგომარეობაში ელვას, ძლიერებას, ზევიდან ქვევით მოქმედებას.

ბატკუაშვილი

(ო.ქ.) **ბატი**[1] ბატი.

(ო.ქ.) **ბატი**[2] ზაქი, კამეჩის შვილი ერთ წლამდე.

(ო.ქ.) **ბატკ-ი**... 1. იგივეა, რაც **ბატი**[2], -- კამეჩის ნაშიერი, ზაქი... 2. ჩვილი ციკანი... ერთი წლის თხა, დედალი. შდრ.საბა: ბატკი ჩჩვილი თიკანი; გურ. ბატკი შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი.

ცხადია **ბატკი** > **ბატკანი**.

ბატკუა = **ბატკ**(ი) + **უა** = ბატკის მოქმედება (მსგავსია ბატუა = ბატ + უა).

(ო.ქ.) **ბატუა**... ბოტვა, დიდი ნაბიჯებით სიარული, ბატივით სვლა; გადატ. უაზრო სიარული.

ბატკუა ნიშნავს ახალშობილი, ჯერ კიდევ ჩვილი ზაქის, ბატკნის... გაუწონასწორებელ სვლას. აქვე გავიხსენოთ, რომ ფრინველის სახელწოდება **ბატი** არაკოლხური წარმომავლობისაა.

(ს.ს.) **ბატი** (ფრინ.) სომხურია, ქართულად ღერღეტი ჰქვიან .

აქ ცდება სულხან-საბა, **ბატი** არაბული სიტყვაა, ხოლო **ბატკუა** უკვე კოლხური გრამატიკის წისქვილში გატარებული სიტყვაა.

ბენაშვილი = **ბე** + **ნა** = პატარა დედა (დედის).

ბენდელიანი.

(ო. ქ.) **ბენდელა**, ბენდელე ცოფი, ცოფიანი.

ცხადია **ბენდელა** > **ბნედა, მიბნედილი**.

ბიგანიშვილი

(ო. ქ.) **ბიგა** ჯოხი, ხელჯოხი.

ბიგანი = **ბიგა** + **ნი** = ჯოხი(ვით) დედის.

ბობოხიძე.

(ო. ქ.) **ბობოხი** – ბოხი ხმით ლაპარაკი, ბუხბუხი, ტრაბახი.

ბოგვერაძე.

(ო. ქ.) **ბოგვერი** ბოტან. ურო. ბოგვერი თიკუნიცაა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ურო**[2] {Andropogon ischaemum} – მრავალწლიანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა; აქვს წვრილი ღერო და წვერზე ჯგუფად მჯდარი, ბეწვიანი, თავთავის მსგავსი ტოტები. ნორჩობაში ცხოველების საკვებად გამოიყენება.

ბორჩხაძე = **ბო** + **რ** + **ჩხა** = **პატარა**(დაბალი, მსხვილი) + **მოძრავი** + **ცეცხლოვანი.**

ბოჩია, გოჩიტაშვილი, დოჩია, დოჩანაშვილი, ოჩიაური, ქოჩიაშვილი.

ჩვენ უკვე განვიხილეთ, რომ **კოჩი** (კ+ოჩი) აღნიშნავს ძლიერ თხას და იგი შუმერი დემიურგი ღვთაება **ენქი**-ს სახების გავლენის შედეგს წარმოადგენს, შესაბამისად **ბოჩი** (ბ+ოჩი), **გოჩი** (გ+ოჩი), **დოჩი** (დ+ოჩი), **ტოჩი** (ტ+ოჩი), **ქოჩი** (ქ+ოჩი), **ყოჩი** (ყ+ოჩი) გამოსახავენ სხვადასხვა ბუნების ღვთაებრივ თხებს. მაგალითად, ეგვიპტეში თაყვანს სცემდნენ ვერძის სახება დემიურგს **ხნუმ**-ს, მაგრამ ვერძი ასევე სხვა ღმერთების სახებაც გახლდათ. **ბოჩი** ლაზურად მამალ ცხვარს აღნიშნავს. **დოჩი**-დან წარმოიქმნა **დოჩანა**, როგორც **კოჩი**-დან (კაცი-დან) **კოჩანა** (კაცობა).

გურიასა და აჭარაში **დოჩი** ბოჩოლას, ერთი წლის ან ცოტა ნაკლები ხნის ხბოს, დეკეულს ეწოდება. ქართლში კი **დოჩო** უეშმაკო ადამიანის (იგივე ბოჩოლას) სახელია (**როლანდ თოფჩიშვილი** 25).

ბოცვაძე

(ო. ქ.) **ბოცორო**... კნინ. პატარა. ბოცორო კოჩიე პატარა კაცია.

(ო. ქ.) **ბოცქვერი** ბოცვერი. შდრ .იმერ. რაჭ. ბოცქვერი ბოცვერი.

ბოცორო = **ბო** + **ც** + **ორო** = **პატარა** + **მცირე** + **უხილავი.**

ბოცორო-ში სამივე თანხმოვანი აღნიშნავს მცირე ფორმას.

ბოცვა = **ბოც**(**ორო**) + **ვა** = **პატარა შვილი.**

ბუაჩიძე = **ბ** + **უა** + **ჩი** = **პატარა** + **შვილი** + **ციური.**

ბუაძე = **ბ** + **უა** = **პატარა** + **შვილი.**

ბურკაძე

(ო.ქ.) **ბურკა** ნაგულა, ნაქუჩი, სიმინდის ტაროს მარცვალგაცლილი ნაწილი; ნაქურჩალი. შდრ. გურ, იმერ. ბურკა კურკა.

ბურჭულაძე – **ბურჭული** მეგრულად არის **წალდი.**

გაბაიძე, გაბაშვილი = **გა** + **ბა** = **მთა**(ფორმა, სხეული) + **მცირე.**

გარდილაძე = **გა** + **რდილი** = **მთა** + **ზრდილი** = მთასავით.

გიორხელიძე

გიორხელი = **გი** + **ორხელი.**

მეგრულ მარტივ ზმნისწინ **გი**-ს ქართულში შეესატყვისება ზმნისწინი **და. გი**-აშქუ დაარტყა; **გი**-ოხანტუ დაახატა; **გი**-იხუნანას დაიჯენს.

(ო. ქ.) **ორხელი** ძაღლის დასაბმელი, სახიბი.. || გადატ. აგდებულად დაკიდებული რაიმე; რაიმესადმი აგდებული დამოკიდებულება.

გიორხელი = **გი** + **ორხელი** = დასაბმელი.

გოლაძე, გოლაშვილი.

(ი. ყ.) **გოლა** гора, გოლასკური село в Сенакском уезде.

გოზალიშვილი, გოჩოლეიშვილი, გოცირიძე.

მეგრ. **ზალა** ნიშნავს **ზელა**-ს; **ნაზა** = დანაზელი; **მაზალი** = დამზელი; **გოზალი** = დაზილე. **გოზალი** ასევე თურქული სიტყვაა და ნიშნავს მშვენიერს, უნდა მომდინარეობდეს სპარსულ-არაბული **გაზელი**-დან.

მეგრ. **ჩოლუა** = დაცლა; **ჩოლერი** = დაცლილი; **გოჩოლე** = დაცალე.

მეგრ. ცირუა = გაცრა; **ცირილი** = გაცრილი; **გოცირი** = გაცერი.

ე. ი. **გოზალი**(შვილი) = დაზილე.

გოჩოლე(იშვილი) = დაცალე.

გოცირი(ძე) = გაცერი.

გორთამაშვილი – **გორთამა** მეგრულად აღნიშნავს გაყოფის პროცესს.

დადუნაშვილი.

დუდუ, დადუ მეგრული ალერსობითი ფორმებია და დადული ნიშნავს დედალს, **დადულია** = პატარა ქათამი, ვარიკა.

დადული = **დადუ** + **ლი** = **დადუ** + **ფორმა** (სხეული).

დადუნა = **დადუ** + **ნა** = **დადუ** + **დედა** (დედის).

დოლენჯაური, დოლენჯაშვილი.

თოლენჯი – სოფელი თიანეთში.

ამ წმინდა კოლხური, მშვენიერების ამსახველი კომპოზიტების მეშვეობით თავად შეიცნობთ ჩვენი წინაპრების ხატოვან ხედვას.

(ო. ქ.) **დოლება** – დავლა; დათვალიერება; დატარება, გაჩხრეკა... ართი გიტარა ქომუჩუნი, სოფელი დომოლინუუნი: -- ერთი გიტარა მომცა (მქონდეს), სოფელი დამატარა.

(ო. ქ.) **ნჯა** – ხე.

დოლენჯა(შვილი) = **დოლე**(ბა) + **ნჯა** = **თვალიერება** + **ხე** = ხის თვალიერებით (მისი მშვენიერების აღქმა).

თოლენჯი = **თოლი** + **ნჯა** = **თვალი** + **ხე.** გაიხსენეთ, რომ ჩინური ლოგოგრამული აზროვნებით კომპოზიტი „თვალი + ხე = ცქერა". ე.ი მშვენიერი საცქერალია სოფელი **თოლენჯი.**

გურამ ბედოშვილის ცნობით, როგორც ადგილობრივ ფშაურ მოსახლეობაში, ისე წერილობით წყაროებში, ფიქსირდება ისტორიული კოლხური სახელწოდება თოლენჯი-ს გადაქართულებული ვარიანტები – თვალენჯი და თვალაჯა.

აღსანიშნავია, რომ წმინდა კოლხური **დოლენჯა** და **თოლენჯი** არაა შესული ოთარ ქაჯაიას 2001 წელს გამოცემულ ლექსიკონში, რაც ოდიშში ამ სიტყვათა მივიწყებად უნდა მივიჩნიოთ. ლექსიკონში თვალის მცნებით შემდგარი მრავალი კომპოზიტია დაფიქსირებული, რომელთა შორის, ამ მაგალითებთან დაკავშირებით, საიტერესოა **თოლეკირილი** და **თოლონჭე**.

(ო. ქ.) **თოლეკირილი** თვალახვეული.

თოლეკირილი = **თოლი** + **კირილი** = **თვალი** + **შეკრული**.

(ო. ქ.) **თოლონჭე** თვალსაწიერი; თვალი რომ სწვდება. გოოვალუ თოლონჭეს, ცაქ გიხირიტ საბჟალეს: -- იელვა თვალსაწიერზე, ცა გაირღვა აღმოსავლეთით (სამზეოზე).

თოლენჯი-ს შეკვეცილი ფორმა **თონჯი** ასევე შემადგენელია მცნებისა **ზოთონჯი** (ზამთარი). აქ ალბათ თოვლიანი გარემოს სიმშვენიერეა ნაგულისხმები.

დუდუჩავა, უჩავა, უჩაიძე, უჩანეიშვილი

(ო. ქ.) **უჩა** შავი.

დუდუჩა(ვა) = **დუდ**(ი) + **უჩა** = **თავი** + **შავი** =შავთავა.

ეპიტაშვილი.

(ო. ქ.) **პიტა** პატარა, ერთი ბეწო რაიმე; ნაწილი.

პიტა > **ეპიტა** || **ლარჯი** > **ელარჯი**.

ვაჩეიძე, ვაჩეიშვილი, ყაჩეიშვილი.

ვაჩე = **ვა** + **ჩე** = **ელვა** + **თეთრი** = თეთრად მოელვარე.

ყაჩე = **ყა** + **ჩე** = ნაზარდი + თეთრი.

თარგამაძე.

(ი. ყ.) **თარგამოული** Таргамоул, село в Сенакском уезде.

(ი. ყ.) **თარი** здоровый.

თარგამა = **თარ**(ი) + **გამა** = **ჯანმრთელი** + **მთა**(სავით).

ტოპონიმ **თარგამოული**-ს არსებობა საინტერესოა ქართლის ცხოვრების თარგამოსული თემის მომავალი კვლევის თვალსაზრისით. არსებობს თარგამაძის გვარის შინაარსის წაკითხვის მეორე ვარიანტიც.

(ო. ქ.) **არგამა** აშკარა.

თარგამაძე = თ + არგამა = გაცხადება + აშკარა = სიაშკარავე.

თაყაიშვილი, მაყაშვილი, ყაველაშვილი, ყალიჩავა, ყანჩაველი, ყანჩელი, ყარყარაშვილი.

ჩამოთვლილ გვარებს აერთიანებთ მცნება **ცა** || **ყა**. გავიხსენოთ, რომ თანხმოვანი **ყ** გამოსახავს სიცოცხლის წარმოქმნისა და მისი არსებობის განმსაზღვრელ მიწიერ ძალას, რომ ჩვენს გარშემო არსებული ყოველივე ცოცხალი (ადამიანები, ცხოველები, ფრინველები, მცენარეული საფარი...) მიწიერი ძალის წარმონაქმნია და ჩვენს კონკრეტულ შემთხვევეაში ახლად ამოყრილი ყლორტიც მიწიერი ძალის მოქმედების გამოვლენაა.

(ი. ყ.) **ცა** ветка живая (на дереве); -- **ნო-ცელა** ветка срезанная (сухая).

(ო. ქ.) **ცა** 1. რტო, შტო, ტოტი... 2. ძველად სახვნელი იარაღი. ჩქინი ჯვეში ცათ ხონუნდუ, მინიშა ნოტყერიში ქათუ – ჩვენი წინაპარი (ძველი) (ხის) ტოტით ხნავდა, ზოგჯერ ტყიურის რქით.

მცნება ცა, რასაკვირველია მოძრავ ცოცხალ ორგანიზმებზეც განივრცო.

(ო. ქ.) **ცანჭი** ყაჭი, აბრეშუმის ჭია.

ყანჭი = **ყა** + **ნ** + **ჭი(ჭე)** = **ნაზარდი** + **დედა**(სასურველი) + **მცირე** = მცირე სასურველი წარმონაქმნი (ორგანიზმი, სხეული).

ყანჭი-ში თანხმოვანი **ნ** მიგვითეთებს, რომ აბრეშუმის ჭია უჯახისთვის სასურველი წარმონაქმნია, ვინაიდან იგი იძლევა აბრეშუმის ძაფის მასალას, ხოლო სახელწოდება **ყანჭი**-ს გადაქართულებისას თანხმოვან **ნ**-ს ამოვარდნით ეს განსაზღვრება იკარგება და უკვე **ყაჭი** შეიძლება ეწოდოს არა მარტო აბრეშუმის ჭიას, არამედ ასევე ხეთა მავნებელ სხვადასხვა სახის ჭიებსაც, მუხლუხოებსაც...

ძირითადად ცა გამოსახავს წაგრძელებულ ფორმებს.

(ო. ქ.) **რიცალი** მაღალი; გრძელი.

რიყალი = **რი** + **ყა** + **ლი** = **მოძრავი** + **ნაზარდი** + **სხეული**.

(ს. ს.) **ოყალი** ამართული.

(ს. ს.) **ოყარი** (ფრინვ.) ყანჩი.

(ს.ს.) **ყაყ** – აყაყვა, აყაყული – უშვერად აგრძელებული.

(ს.ს.) **ყარყანტო** ხორხი პირუტყვთა.

(ო. ქ.) **ყარყალი** – თიხის ჭურჭელია ერთგვარი, -- ყარყარა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყარყარა** 1. ძვ. ყელმაღალი და რაკრაკა სასმისი. 2. გადატ. მაღალი და ტანწვრილი.

(ო. ქ.) **ყარყანტი** – ყარყატი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყარყატი** თეთრი ან შავი მოზრდილი ფრინველი; აქვს გრძელი კისერი და ნისკარტი, მაღალი ფეხები.

(ო. ქ.) **ყარყანტია** – მოგრძოყელიანი დოქი; ყელმაღალი და რაკრაკა სასმისი, -- ყარყარა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყანწი** 1. ღვინის (აგრეთვე არყის) სასმელი რქა (ძროხის, ჯიხვის და მისთ.). 2. მამლის დეზი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყანწია** კუთხ. (გურ.) კაცი რომელსაც კისერი გაწვრილებული და წინწაწვდილი აქვს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ყაყვა** (თავის) მაღლა წევა.

(ო. ქ.) **წიმა** – ღვრა, სხმა, ქცევა.

ყანწი = **ყა** + **ნ** + **წი**(მა) = **გრძელი** + **სასურველი** + **სხმა** = გრძელი სასურველი სასხმელი > სასმელი.

ყალიჩავა = **ყალი** + **ჩა** + **ვა** = **ყელი** + **ცა**(მაღალი) + **შვილი** = გრძელკისერა შვილი.

(ო. ქ.) **ცანჩი** ყანჩა.

ყანჩი = **ნაზარდი** + **სასურველი** + **ციური** = გრძელი სასურველი (სილამაზის) ციური (ფრინველი).

ყანჩავეთი – სოფელი ახალგორის რ-ნში.

ყანჩავეთი = **ყა** + **ნ** + **ჩა** + **ვე** + **თი** = **გრძელი** + **სასურველი** + **ცა**(მაღლა) + **ველი, სივრცე** + **ოჯახი, საცხოვრისი** (სოფელი, მხარე...) = მაღლა გრძელ ველზე (გაშლილი) სასურველი სოფელი.

ყანჩაურა – მდინარე ახალგორის რ-ნში.

ყანჩაურა = **ყა** + **ნ** + **ჩა** + **ურა** = **გრძელი** + **სასურველი** + **ცა** + **სვლა**.

ყაველა(შვილი) = **ყა** + **ველი** = **გრძელი** + **ველი**.

მეგრულად **ვაყა** ეწოდება სამი წლის მამალ ცხენს, **ვარიყა** ვარიას და შესაბამისად:
თაყა(იშვილი) = **თა** + **ყა** = **გაცხადებული** + **ნაზარდი** = ახალგაზრდა.
(ს. ს.) **მაყა** საბურთალოს სვეტი.
მაყა-ს ამ განმარტებაში **ყა** (ნაზარდი) იძლევა სვეტის მცნებას.

თელიაშვილი.
(ო. ქ.) **თელი** მთელი; ცოცხალი, ჯანმრთელი.

თოფურიძე – **თოფური** მეგრულად არის **თაფლი**.

თუხარელი.
(ო. ქ.) **თუხარიკი** – იგივეა, რაც თოხარიკი – ცხენის კოხტად და მარდად სირბილი; ამგვარად მორბენალი ცხენი.
(ო. ქ.) **თუხუა** – რთვა (ძაფისა).
თუხა გამოსახავს ჰარმონიულ, რიტმულ მოძრაობას. **თუხუა** || **თოხუა**-დან წარმოდგა **თოხვა** და **თოხი**, რომლებშიც ხმოვანი **ო** თოხნის რიტმული პროცესის დაბლითა მოძრაობაზე მიგვითითებს.

კაკილაშვილი, კიკალაშვილი, კიკალეიშვილი, კიკაჩეიშვილი. კიკნაძე
(ი. ყ.) **კაკილარი** плоды этого кустарника, в виде маленьких кругленьких зернишек, называются кирканцтела, курканцтела.
პატარა, მრგვალი მარცვლების ასოცირებით სამეგრელოში (რაჭაში, იმერეთში) დაფიქსირდა:
(ქ.ე.გ.ლ.) **კაკილი, კაკილა** კუთხ. (რაჭ. იმერ.) მძივების აცმულა, -- მძივები.
(ო. ქ.) **კიკაჩე** ყურძნის ჯიში.
(ო. ქ.) **კიკო** შვლის, ირმის, კურდღლისა და მისთანათა შვილი.
ჩვენ უკვე ვიცით, რომ **კაკი, კეკე, კიკა, კიკო, კაკუ**... წარმოგვიდგენენ სასურველსა და მშვენიერს, მაგალითად, **კიკაჩე** აღნიშნავს ყურძნის თეთრ ჯიშს -- **კიკაჩე** = **კიკა** + **ჩე** = **კიკა** + **თეთრი**. ვინაიდან ყურძნის წვენის ფერს ყურძნისვე მარცვლის ბუნება განსაზღვრავს, ნათელია, რომ **კიკაჩე**-ში კიკა მშვენიერი და სასურველი ყურძნის მარცვალს აღნიშნავს და **კიკა** > **კიკნაძე**.
კაკილა || **კიკალა** = **კაკი** || **კიკა** + **ლა** = **ლამაზი, სასურველი** + **სხეული** (ფორმა).

კვანტალიანი
(ო. ქ.) **კვანტალი** გოგმანი..იხ.. კვატა; კვატალი.
(ო. ქ.) **კვატა, კვატია** იხვი // გადატ. ლამაზი, კოხტა.
(ო. ქ.) **კვატალი, კვატალინი** იხვისებური, მოკლე ნაბიჯებით სიარული.
(ო. ქ.) **კვატალა** ტანით პატარა, მსუქანი და მოძრავი.

კილაძე – **კილა** მეგრულად ნიშნავს გასაღებს, კლიტეს.

კიღურაძე
კიღურა მეგრულად აღნიშნავს არწივს, ხოლო არწივი ძლიერი მონადირეა, მკვლელია და რაზედაც მიგვითითებს სახელწოდების შინაარსი:

კიღურა = **კი** + **ღურა** = **ძლიერი** + **სიკვდილი** = ძლიერი მკვლელი.

კობახია, კობახიძე
(ო. ქ.) **კობახი** ზოოლ. მთის ჩიტია ერთგვარი.

კობერიძე
კობერი = **კო** + **ბერი** = სასურველი ვაჟი.

კოტიაშვილი
(ო. ქ.) **კოტინია** ხბოს ასე უხმობენ.
(ქ.ე.გ.ლ.) **კოტი** კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც კოიტი.
(ქ.ე.გ.ლ.) **კოიტი** კუთხ. (იმერ.) ზაქი; ხბო.
კოტი = **კო** + **ტი** = სასურველი + თბილი.
კოტია = **კოტ(ი)** + **ია** = **ზაქი, ხბო პატარა.**

კოტორაშვილი, კოტორეიშვილი
(ო. ქ.) **კოტო** 1. ქოთანი. კოტუებიშ ოკეთებუშა ულა ქოთნების საკეთებლად წასვლა. // გადატ. სიკვდილი. 2. მდინარის ფსკერზე ჩაღრმავებული ადგილი; თევზის ბუდე. იხ. მეკოტუე, ნოკოტია. შდრ. იმერ. კოტო მრგვალი და მომცრო ქილა.
კოტო = **კო** + **ტო(ბა)** = სასურველი ღრმა.
(ო. ქ.) **კოტოია** კნინ. პატარა ქოთანი.
(ო. ქ.) **კოტორე** 1. ბაჭია. 2. ქოთნისმაგვარი.
კოტორე > **კოტორეიშვილი.**
(ო. ქ.) **კოტინია** ხბოს ასე ეძახიან.
(ო. ქ.) **კოტულა** აყიროსაგან გაკეთებული ჭურჭელი, ქოთანს ჰგავს.
(ო. ქ.) **კოტორო** პატარა, დაბალი ტანის.
(ო. ქ.) **კოტოში** ტოპონ. ქოთნისებური ორმო. შდრ. კოტოში მოზიდვით სისხლის გამომღებელი ჭურჭელი (საბა).
კოტოში = **კო** + **ტო(ბა)ში** = სასურველი სიღრმის.
(ქ.ე.გ.ლ.) **კოტორა** ვისაც თმა ძირში აქვს მოკრეჭილი, -- თავგახოტრილი [და შესაბამისად თავი ქოთანს მიუგავს, ანუ კოტორე-ა (ქოთნისმაგვარი) ჯ.კ.].
კოტორა > **კოტორაშვილი.**

კუხიანიძე
(ო. ქ.) **კუხი** მკუხე; უმწიფარი ყურძნის წვენი (ხმარობენ ძმრის ნაცვლად).

ლეჟავა = **ლე** + **ჟა** + **ვა** = **სივრცე (მაღლა)** + **მზე** + **შვილი** = მზიანი სივრცის შვილი.

ლილუაშვილი = **ლილ(ი)** + **უა** = ჩვილი შვილი.
(ო. ქ.) **ლილუ** ჩვილი.

ლორთქიფანიძე, ფანიაშვილი.
(ო. ქ.) **ლორთქი** -- ლორთქო, ჩქოლი, ახალამოყრილი. შდრ. გურ., ზ. იმერ. ლორთქო თოთო, ნორჩი.
(ო. ქ.) **ფანია** -- ოჯახი, ცოლშვილი; ჯალაბი.

ე. ი. **ლორთქიფანიძე** = **ლორთქი** + **ფანი** = **ახალი** + **ოჯახი** = ახლადშექმნილი ოჯახი.

მამინაშვილი, მამისაშვილი, მამისონის უღელტეხილი, მამკოდა (სოფ. მცხეთასთან).

(**აკაკი გელოვანი 289**): „**მამი** – შუმერთა ქალღმერთი, უძვ. ტექსტებში „კაცთა მშობელი საშო".

მამინა = **მამი** + **ნა** = **ღვთაება** + **დედა** = დედის ღვთაება.

აქვეა გვარი **მამიკონიანი**. ჰაიკთა ეროვნული გმირი **ვარდან** მამიკონიანი წარმოშობით ჭანი (კოლხი) გახლდათ, **ვარდანაშვილი, ვარდანია** ასევე მოქმედი გვარია კოლხეთში.

მაქაცარაშვილი, ქაქუცა, ქაცანაშვილი, ქუცნაშვილი.

(**ო. ქ.**) **ქაცა** დაბალი; პატარა.

(**ო. ქ.**) **ქაცა-გუდა** პატარა გუდა.

(**ო. ქ.**) **ქაცარი** ზოოლ. თიკანი, ციკანი.

ქაცარი = ციკანი; **მაქაცარი** = მეციკნე.

(**ო. ქ.**) **ქუცი** იგივეა, რაც ქაცუ, ქუქუ, -- 1. ქაცვი; ეკლიანი ბუჩქი. 1. ეკლიანი ბუდე (წაბლისა).

(**ო. ქ.**) **ქუცურუა** პატარა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცუცი** კუთხ. (ხევს.) „ქუსლის უკანა ნაწილი".

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცუცა** კუთხ. (მთიულ. გუდამაყ.) რქოსანი საქონლის ფეხის უკანა პატარა ჩლიქები.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცმა-ქუცმა** ◊ ქუცმა-ქუცმა აქცევს კუთხ (ქართლ.) ნაკუწ-ნაკუწად აქცევს, -- და-აქუცმაცებს, დაწიწკნის.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცმაცდება** წვრილ-წვრილ ნაწილებად იშლება, ნაწილდება.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცნა** პურის მკა.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცნი**-ს პურსა მკის.

პურის მკის დროს ხორბლის ღერო ქუცმაცდება, ორ ნაწილად იშლება, ერთი ნაწილი მიწაზე რჩება, მეორე, თავთავიანი კი არის ქუცნა.

ქუცნა = **ქუც(ა)** + **ნა** = **პატარა** + **სასურველი**.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცი** ძვ. „მელოტი, თმა- ან ბუმბულ-დაცვინული" (ანუ მომკილი ჯ.კ.).

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცუნა** კუთხ. (კახ. ქართლ.) მოფერ. გოჭი.

(**ქ.ე.გ.ლ.**) **ქუცურა** კუთხ. (იმერ.) მოფერ. ძაღლი.

(**ო. ქ.**) **ქაცა-ქუცა** პატარ-პატარა.

ქაცა-ქუცა > **ქაქუცა**.

ქაცანა = **ქაცა** + **ნა** = **პატარა** + **დედა** = პატარა დედის.

(**ო. ქ.**) **ქოცო** პატარა ქოთანი. შდრ. ქიზ., ქართლ., ფშ., გურ., ქსნის ხეობ. ქოცო პატარა ქვევრი, პატარა ქილა.

მაჭავარიანი

ჭარა წარმართული კოლხურით ერთდროულად აღნიშნავს როგორც წერას, ასევე ჭრას. ეს გახლავთ იმ დროის გამოძახილი, როდესაც წერა ხორციელდებოდა თიხის ფილებზე, ქვაზე... ასო-ნიშანთა ამოკაწვრით, ამოჭრით, ანუ ჭრისა და წერის ოპერაცია ერთგვაროვანი ქმედებებით ხორციელდებოდა. ასევე სანამ კოლხურში დამკვიდრდებოდა არაბული მცნება ხატვა, ხატვის მცნებასაც ჭარა ითავსებდა და

ამიტომაც გაგვაჩნია **ჭარა**- დან (დახატული-დან || მშვენიერი-დან) წარმომდგარი უკვე ჩვენს მიერ ქვეთავში „თანხმოვნები ჭ და ზ“ მოძიებული ტოპონიმები.

ჭარა რომ ჭრის პროცესსაც ასახავდა ნათლად იკითხება ტერმინით **მაჭარი**. ქართველ კაცს არ ესწავლება, რომ **მაჭარი**, ახლად დაყენებული, დაუდუღარი ღვინო, ჭრის როგორც პირის ღრუს, ასევე მუცელსაც საკმაოდ ახალისებს. კოლხურ სივრცეში **მაჭარი** (მჭრელი) ფუძეა იმ ჩქარი დინების მდინარეთა სახელწოდებებისა, რომლებიც ხშირად იცვლიან კალაპოტს, ანუ „ჭრიან“, ფორმას უცვლიან მდინარის მიმდებარე ნაპირებს.

მაჭარა – მდინარე, ერთვის შავ ზღვას, და სოფელიც გულრიფშის რ-ნში.

მაჭარეული – მდინარე თელავის რ-ნში, ალაზნის მარჯვენა შენაკადი.

მაჭარული – მდინარე ზესტაფონის რ-ნში, ყვირილის მარჯვ. შენაკადი.

მაჭარწყალი – სოფელი ბორჯომის რ-ნში.

იგივე შინაარსს ავითარებენ:

(ო. ქ.) **მაჭახელა** თოფის ერთ-ერთი სახეობა (აქედანაა ქართ. ჭახანი, ჭახაჭუხი, ჭახჭახი, მჭახე ჯ.კ.).

მაჭატია მთა და სოფელი ახალქალაქის რ-ნში.

მაჭახლისპირი – სოფელი ხელვაჩაურის რ-ნში.

მაჭახლისწყალი – მდინარე ხელვაჩაურის რ-ნში, ჭოროხის მარჯვ. შენაკადი.

მაჭავარი **მაჭარი**-ს გაძლიერებული მნიშვნელობაა. სიძლიერეს ანვითარებს ფორმანტი **ვა** (< ვაალა). მაგალითად, ღარი ჩვეულებრივი წყლის სადინარია, ხოლო ღვარი უკვე ციდან დიდი წვიმის შედეგად წარმოქმნილი წყლის ძლიერი, ხმაურიანი ნაკადის დინებაა – ღვარცოფია. ასევე გაითვალისწინეთ, რომ **ღორა**, ღვარა ნიშნავს ღრიალს, ყვირილს, ანუ ღვარცოფი-ში ფორმა **ღვარ** მიგვითითებს წყლის შლეგი დინების ხმაურზე. ამის გამოც ეწოდებოდა მდინარე **ყვირილა**-ს **ღორა**, რომელშიც ჩაედინება **ღორეშა**.

არ დაგვავიწყდეს **ჭარა**-ს ძირითადათ დამკვიდრებული მნიშვნელობა.

(ო. ქ.) **მაჭარალი** მწერალი.

ამდენად, გამოდის, რომ მაჭავარიანებს თავად გვარის მნიშვნელობა ავალებს ხატვას, ქანდაკებას (ჭრას) და წერას (თუნდაც მუსიკის); ძალუძთ აითვისონ მეღვინეობა (**მაჭარი**), მეტალურგია (**მაჭახელა**)...

ნაკაიძე, ნაკაშიძე.

(ო. ქ.) **ნაკა**... სწორი ადგილი, მინდორი.

ნოზაძე

(ო. ქ.) **ნოზა** რაღაც მცენარეა; **ნოზა-წყარი** ნოზა წყალი. **ნოზა წყარიშ** ათოწუმა გადატ. დაბნევა, იმედის გადაწურვაა; დაზაფრვა.

მათიაშვილი, ოთიაშვილი.

ამ გვართა საერთო შინაარსის ასახსნელად გავიხსენოთ **ოთარი, ოტია, ოჩი**.

თარი მეგრ. აღნიშნავს მთავარს, მთელს, რჩეულს, საღს და **ო-თარი** = ო მთავარო, ო რჩეულო...

ტი მეგრ. აღნიშნავს თბილს და **ო-ტია = ო თბილო**.

ჩი მეგრ. აღნიშნავს ციურს და **ან-ჩი = ზე-ციური, ო-ჩი = ო ციურო.**

ჩი-ტი = ციური თბილი,

(ო. ქ.) **თია** – არჩივი, ულუფა, წილი.

ო-თია = ო წილო (წილხვედრილო ჩემო).
აქვეა გვარი **მათიაშვილი**.
მათია = (ოჯახის) მეწილე.

ომანიძე – **ომანე** მეგრულად არის ბუნაგი, სორო.

ოროშაძე, ურუშაძე, ტოპეშაშვილი.
ორო მეგრ. აღნიშნავს უხილავს, ჩრდილს და **ორო-შა** = უხილავი-სა(კენ), ჩრდილი-სა(კენ). **ურუ-შა**(ძე) = **ურუ-სა**(კენ), **ურუ** შუმერული სიტყვაა და დაფიქსირებული გვაქვს კოლხურ ტოპონიმიაში. **ტოპე-შა**(შვილი) = **ტოპე-სა**(კენ), მაგალითად, (სა)**ტოპე**(ლა)-**სა**(კენ) [**სატოპელა** მდინარეა საჩხერის რ-ნში]. ქართ. **ტოპავს** [დადის წყალში (ლაფში...) ფეხებით] ეხმიანება რუსული Топать (1. ფეხების ბაკუნი. 2. წასვლა).

პაპალაშვილი
(ო. ქ.) **პაპა** მღვდელი.
(ო. ქ.) **პაპალობა** მღვდლობა.
(ო. ქ.) **პაპალუა** იგივეა, რაც პაპალობა, -- მღვდლობა.

რობაქიძე – **რობუ** მეგრულად ნიშნავს ხევს, ხრამს და **რობა** სოფელია სენაკის რ-ნში. **რობაქი** = (ო)**რო** + **ბა** + **ქი** = **ორმო** + **მცირე** + **მიწა** = ჩაღრმავებული მიწა.

სააკაშვილი, სააკაძე.
(ო. ქ.) **სააკი** – ტომარა.

სიორაძე.
(ო. ქ.) **სიორ-ი**... ცურვა, სრიალი.

სხუნაშვილი.
(ო. ქ.) **სხუნა** -- რჩევა, უპირატესობის მინიჭება.

ტარკაშვილი.
(ო. ქ.) **ტარკალი** – 1. ურცხვად ლაყბობა, ტლიკინი, ლაქლაქი, ტარტარი. 2. უთავბოლოდ, უსაქმოდ სიარული, ხეტიალი.
(ო. ქ.) **ტარკალე** ¬¬– შიშველი, ტიტველი, დედიშობილა.

ტოფაძე.
(ო. ქ.) **ტოფ-ი**... ზოოლ. 1. ტობი, მცირე ზომის თევზი კობრისნაირთა რიგისა... 2. ბალახია ერთგვარი.

ფაჩუაშვილი.
(ო. ქ.) **ფაჩუა** – გაშლა; არევა.

ქარაული
(ო. ქ.) **ქარა** ეკალი, ხიწვი; პატარა მარგილი, წამახული ისარი.

ქარჩხაძე
(ო. ქ.) **ქარჩხაპი** ქარიანი წვიმა.

ქვარიანი – **ქვარა** მეგრულად არის მუცელი.

ქურციკიძე
(ქ.ე.გ.ლ.) **ქურციკი** ველებში მცხოვრები **ჩლიქგაყოფილი** ცხოველი.
(ო. ქ.) **ქურცი** – ქუსლი.
ქურციკი = ქურცი + კი = ქუსლი + ძლიერი = ძლიერ **ჩლიქება** (ცხოველი).

ქუტიძე
(ო. ქ.) **ქუტია** რაღაც თეთრი ყვავილი. (ი.ყიფშ.); მცენარეა ერთგვარი რომელსაც ძლიერ ეტანებიან თხები.

ღვალაძე.
(ო. ქ.) **ღვალა** – ქონება; სამეფო, სამფლობელო.

ღურჭუმელაძე -- მოჟღურტულე; მოჭიკჭიკე; მგალობელი.

ჩეჩელაშვილი.
ჩე აღნიშნავს თეთრს. **ჩეჩე = ჩე + ჩე = თეთრი + თეთრი.**
ჩელა = ჩე + ლა = თეთრი + ფორმა (სხეული).
ჩელაია = ჩე + ლა + პატარა = თეთრი + ფორმა (სხეული) + **პატარა.**
ჩეჩელა = ჩე + ჩე + ლა = თეთრი + თეთრი + ფორმა.
ჩეჩუა – ჩეჩვა; წეწვა მატყლისა.

ჩილაშვილი
(ქ.ე.გ.ლ.) **ჩილა** სანთლის გული, ბამბის ნართი პატრუქისათვის (იცოდნენ ფშავში).
ჩილა კოლხური სიტყვაა.
ჩილა = ჩი + ლა = ციური + ფორმა, საგანი.
განმარტება სრულად შეესატყვისება სანთლის გულის, პატრუქში ანთებული ბამბის ნართის შინაარსს, ანუ კოლხთათვის, მსგავსად მოციმციმე სანთლისა და პატრუქისა, ცის მცნება ნთელთან, სათეთრესთან ასოცირდებოდა. ეს შედარებები არ იკმარა კოლხი კაცის პოეტურმა ხედვამ და ცრემლს ასევე **ჩილა** უწოდა.
ჩილამური = ჩილა + მური = (და ცრემლის დენას ეწოდა) - ციური ნათება (ფორმა) მოდის.
ჩილა-დ იქნა აღქმული ასევე ზამთრისათვის გამხმარი ხილის ჩირი. გაიხსენეთ შემოდგომით ჩილა-ს (ჩირი-ს) გირლიანდებით შემკული ოდა სახლები. მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ **ლა** წარმოგვიდგენს შუმერულ **ლილ**-ს, ატმოსფეროს და რომლისგანაცაა შექმნილი ციური სხეულები – მზე, მთვარე, ვარსკვლავები...

ჩოკოშვილი
(ო. ქ.) **ჩოკო** არათუხარიკი, ჩორთით მოსიარულე, -- ჯლაყუნა.
(ო. ქ.) **ჩოკორი** მიწის ჩასაყრელი ძაბრი, რომელიც მჭიდროდ აქვს შემოკრული ხეზე დამყნობილ ადგილს.

(ო. ქ.) **ჩოკორე** ბლის კანისაგან გაკეთებული (მოწნული) კალათის მსგავსი ბლის, მაყვლის ჩასაყრელად, -- ერთგვარი ჩანთა.

ჩხაიძე, ჩხარტიშვილი, ჩხეიძე, ჩხენკელი, ჩხეტია, ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი, ჩხობაძე, ჩხოტუა...

ეს გვარები ერთგვაროვანი სტიქიის – მზისა და ცეცხლის გამაერთიანებელი მცნების – სიცხის მნიშვნელობიდან მომდინარეობენ და მიგვითითებენ ამ გვარის მატარებელთა მზიან, ცეცხლოვან ბუნებაზე. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჰარმონიული წყვილი **ჩხ** (> ქართ. ცხ) ცისა და მიწის ურთიერთობით მიღებულ ცეცხლსა და მასთან დაკავშირებულ ცეცხლოვან მცნებებს გამოსახავს (მაგ. მზეს).

(ო. ქ.) **ჩხანა** – მზე; მზის სხივი; მზიანი დღე (ამინდი); სიცხე.

კოლხთათვის მზე მუდამ დედის მცნებასთან ასოცირდებოდა და:

ჩხანა = ჩხა + ნა =ცხელი + დედა (საურველი) = მზე; მზის სხივი; მზიანი დღე (ამინდი).

ამრიგად, **ჩხა** ნიშნავს მზის სხივსაც და აქედან უკვე სხვადსხვა მცნებები წარმოიქმნენ.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩხა** – კაპებიანი საკიდარი (ჩვეულებრივი ხისა).

(ო. ქ.) **კაჩა, კაჩე** შუაცეცხლზე ხის კაპებიანი საკიდრი; **კაჩო, კაჩხა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაჩო** იგივეა, რაც კაჩხა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კაჩხა** კაპებიანი საკიდარი. ირმის რქის კაჩხა. – კაჩხაზე ჩამოკიდებული კალათი.

ჩხა მზადდებოდა ხის შედარებით მსხვილი ტოტის ხშირი განტოტვის ნაწილიდან და კოლხი კაცის გონებაში ხის განტოტვის სიხშირე მზის (**ჩხანა**-ს) სხივთა კონასთან ასოცირდებოდა. **ჩხა** ფორმის მსგავსების გამო საკიდრად გამოყენებულ ირმის დატოტვილ რქას **კაჩხა** (ძლიერი **ჩხა**) ეწოდა და **ჩხიანი** ირმის ეპითეტია. ასევე ხშირი მტევნებით დამშვენებულ ვაზის აჭრილ ტოტს **კრჩხა** (ტკბილი საარსებო **ჩხა**) ეწოდა და სხვა მრავალი **ჩხა**.

(ქ.ე.გ.ლ.) **კავ-კირჩხა** კუთხ. (კახ.) „ხეზე ასასვლელი კავი“.

(ქ.ე.გ.ლ.) **კარჩხ-ი** ლოლუებად ქცეული ჭირხლი ხეებზე.

(ქ.ე.გ.ლ.) **კარჩხა** მოჭრილი ხე, რომელსაც შერჩენილი აქვს ტოტების ნაწილი, -- კაპებიანი ხე.

(ქ.ე.გ.ლ.) **კარჩხალი** კუთხ. (ქიზ.) წყალში წაქცეული ტოტებიანი ხე, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს.

ქიზიყურ **კარჩხალი**-სთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ისტ. კლარჯეთში, სამხრეთ სამეგრელოში, მდინარე **კარჩხალა**-ს ხეობის კლდოვან მასივში (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.) აღმართულია IX—X საუკუნეებში აგებული **პარეხი**-ს მონასტერი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კარჩხანა** ზოოლ. ერთგვარი თევზი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კვრინჩხა** დაბალი ტანის, გაფარჩხულ-განშტოებულ ეკლიანი ბუჩქი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კიბორჩხი** კუთხ. (ქართ.) „წისქვილის ქვის ასაწევ-დასაწევი წყლიდან".

(ქ.ე.გ.ლ.) **კიბორჩხალა** [Potamium potamios] 1. ზოოლ. პატარა მომრგვალო ბრტყელზურგა კიბო (ღელემდინარეთა), -- ცხრაფეხა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კიბურჩხა** კუთხ. (ფშ.) წისქვილის ბორბლის საყრდენი, რაზედაც ღერძის წვერი ტრიალებს.

(**გუბაზ გოგატიშვილი** „ფშაური ლექსიკა" 53): „**კირჩხა** თივის ზვინის ტოტებიანი სარის მნიშვნელობით თუშურ დიალექტშიც დასტურდება“.

(ქ.ე.გ.ლ.) **კირჩხიბი** 1. ძვ. იგივეა, რაც კიბო.

(ქ.ე.გ.ლ.) **კონჩხა** კუთხ. (ფშ.) მეცხვარის წყლის სასმელი თასი ხისა, ყურიანია, და მეცხვარეს იგი წელზე ჰკიდია ჩვეულებრივ.

(ო. ქ.) **კაჩხუ** ხის ჭურჭელი, აქვს სახელური; ხმარობენ მგზავრობის დროს წყლის დასალევად; ხის მცირე სასმისია, მწყემსები ხმარობენ რძისა და მაწვნისათვის მთაში.

(ქ.ე.გ.ლ.) **კონჩხო** კუთხ. (ქიზ.) 1. ხის ჭურჭელი ერთგვარი (შდრ. კონჩხა). 2. უშნო სახის ადამიანი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კორჩხი** კავიანი ხე, ხორცის საკიდი.

(ქ.ე.გ.ლ.) **კურჩხი** ძვ. ცერცვის გაულეწავი პარკი (საბა).

(ქ.ე.გ.ლ.) **კრანჩხი** კუთხ. (ქიზ.) ღრანტე, კლდე.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩხავერი** – ვაზის ჯიში; აქვს მოგრძო მტევანი; იცის საუკეთესო წითელი ღვინო; გავრცელებულია გურიასა და აჭარაში.

ჩხავერი კოლხურ-ლათინური კომპოზიტია და ლათ. **vere** = ჭეშმარიტება, **ჩხავერი** = **ჩხა** + **ვერ**(ე) = **მზე** + **ჭეშმარიტი**. ჩნდება მოსაზრება, რომ ლათ. **ვერე** ქართულსა და ჰაიკურ მეტყველებაში დამკვიდრებული იყო ასევე მაღლის, ზემოს მნიშვნელობით, ვინაიდან **ივერიის** თავდაპირველ სივრცეს, ჭოროხის ხეობას, ზემონი ქვეყანა ეწოდებოდა; მაშინ: **ჩხავერი** = **ჩხა** + **ვერე** = **მზე** + **მაღლა** და მაღლივი, წითელმარცვალა ჩხავერი სასურველ მოსავალს მაღლა ხის ტოტებზე გაშლისას იძლევა. ასევე თბილისის უბანი **ვერე** მაღლივაა გაშენებული.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩხამა** – წვრილი თევზი ერთგვარი, აქვს წითელი ფორეჯები.

იგივე აზროვნებით ეწოდა წვიმის წვეთს **ჩხაპი**.

(ო. ქ.) **ჩხაპალი** – შხაპუნი; წვრილი (ჟუჟუნა) წვიმა; წინწკვლა, წკაპუნა წვიმა; წვიმის დაწყება.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩხატი** – (კუთხ.) იგივეა, რაც ჩანჩქერი.

(ო. ქ.) **ჩხარჩხალი** – ჩხრიალი, წყლის ხმაურით წამოსვლა; ანდა გადმოღვრის ხმა.

(ო. ქ.) **ჩხიორი** – ჩხრიალი; ქვის ცვენის ხმა.

აღსანიშნავია, რომ თუ **ჩხიორი ჩხრიალია**, ქვის ცვენაა -- **ჩხიორება** გაცხელებაა. **ჩხიკუ-ჩხაკუ** აღნიშნავს **ჩხაკუნი**-ს ხმას, **ჩხიკა** მოჩხუბარს, ჩხვირკალი !. გაჩხიკინებულს; 2. თამამსა და ამბიციურს, ხოლო **ჩხვირკი** || **ჩხვიკი** || **ჩხიკვი** ფრინველის სახელწოდებაა. ასევე ქიზიყურად **ჩხვინკი**-თ აღინიშნება **ჩხიკვი**.

ჩხარტი(შვილის) ფუძე **ჩხარტი** მეგრულად აღნიშნავს ქართულ **ჩხართვს**.

ჩხომი მეგრულად ნიშნავს თევზს, იგივე **ჩხო** ფუძეა გვარებისა **ჩხობაძე**, **ჩხოტუა**.

ჩხობაძე = **ჩხო** + **ბა** = **ცეცხლოვანი** (დაბლა) + **პატარა, სულიერი, შვილი**.

ჩხოტუა = ჩხო + ტ + უა = ცეცხლოვანი, მწველი + თბილი + მოქმედება.

(ო. ქ.) **ჩხოტუა** – 1. გაკაწვრა, დასერვა, გაფატვრა. 2. გადაბელვა, გადასხეპვა.

(ო. ქ.) **ჩხვიტუა** – იგივეა, რაც ჩხვატუა, ჩხვირთუა, ჩხვირთაფი – ჩხვლეტა, ჩხვერა.

ჩხენკელი-ს ზუსტი შინაარსი ჯერჯერობით დაუდგენელია, მხოლოდ მის მიახლოებით მნიშვნელობაზე მიგვითითებენ კოლხური **ჩხენი** (ცხენი), **ჩხენ**ჭიერი (ვარგისიანი, გაბედული, მონდომებული).

დამატებით შეგიძლიათ ლექსიკონში მოიძიოთ წარმართული კოლხური ჰარმონიული წყვილის **ჩხ**-ას ცოდნით წარმომდგარი შემდეგი ქართული სიტყვების განმარტებანი: **ჩაჩხვა; ჩაჩხია; ჩინჩხალი; ჩინჩხელა; ჩინჩხვარი; ჩინჩხილი; ჩხანკო; ჩხაჟი; ჩხიკი; ჩხიკინი; ჩხირა; ჩხირობია; ჩხიროდი; ჩხმეტი; ჩხნდე; ჩხნდო; ჩხორი; ჩხოტვა; ჩხრიმალი; ჩხრო; ჩხუტი...**

ყურადსაღები მაგალითია როცა **ჩხაბვა** იმეორებს **ჯღაბვა**-ს შინაარსს.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჩხაბვა** იგივეა, რაც ჯღაბვა.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჯღაბვა** 1. უხეიროდ, გაურკვეველი ხელით წერა. 2. დაცინ. უნიჭოდ წერა.

ცინცაძე

(ო. ქ.) **ცინცი** მსუნაგი, სულწასული, წუნკალი, წუწკი.

(ო. ქ.) **ცინცალი** დაუპატიჟებელი, მოუწვეველი.

(ო. ქ.) **შურცინცი** სულწასული (ჭამა-სმაში). შდრ. რაჭ. სუნცინცი ჭამაში სულწასული.

ცინცი > **ცინცაძე** (ნემსი > ნემსაძე; ცერცვი > ცერცვაძე...).

ცინცალი > **სცინცლავს, დასცინცლავს.**

ცუცქირიძე

(ო. ქ.) **ცუცქა** პატარა ძაღლი.

უკვე ამ წარამართული კოლხური ცოდნით ქართულში მივიღეთ:

(ქ.ე.გ.ლ.) **ცუცქი** იგივეა, რაც **კუკი** (მნიშვ. 2).

(ქ.ე.გ.ლ.) **კუკი** 2. ძვ. უკანალი, საჯდომი (ცხოველისა). კუკზე ჯდომა ძაღლისა.

(ქ.ე.გ.ლ.) **კუკილი** „ცუცქილი“ (საბა). კუკზე (მნიშვ. 2) ჯდომა (ძაღლისა და მისთ. ცხოველისა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ცუცქილი** ცუცქზე ჯდომა, ჩაცუცქებულად ყოფნა, -- კუკილი.

ერთი და იგივე შინაარსის -- **ცუცქილი** ქართული გამოთქმაა, ხოლო **ცუცქირი** მეგრული ფორმაა.

ცქიფურიშვილი, წიფურია

(ო. ქ.) **ცქიფოლუა** საქმის ზერელედ კეთება.

მოგეხსენებათ, **-უა** მოქმედების გამომსახველი სუფიქსია, **ოლ**(ი) სვლას, ანუ მოქმედების მიმდინარეობაზე მიგვითითებს და და სიტყვის ფუძეა **ცქიფ**-ი. ფუძე **ცქიფ**-ის ემატება თვისების გამოსახველი სუფიქსი -ური.

(ო. ქ.) **–ურ** (// -ულ) სუფიქსი მიუთითებს სადაურობა-წარმომავლობაზე და თვისებაზე. აღნიშნავს: 1. სადაურობა-წარმომავლობას: **სუჯუნური** ქადაგი: -- **სუჯუნელი** ქადაგი... 2. თვისებას: **კოჩური** კაცური.

ე. ი. **ცქიფოლ-ური** > **ცქიფური** = ზერელე.

ცქიფური(შვილი)-ს მსგავსი კონსტრუქციისაა გვარი **წიფური**(ა).

წიფური-ს შინაარსს განსაზღვრავს **წიფ**(ე).

(ო. ქ.) **წიფებორკამი** წვრილფეხა.

(ო. ქ.) **წიფე ჭგ** წვრილი ნაწლავი.

ვინაიდან **წიფელა** ისხამს წვრილ ნაყოფს (**წიწიბო**-ს), მას შესაბამისადაც მეგრულში ეწოდა **წიფ**(ე)+**ური** > **წიფური** = წვრილ(ნაყოფი)ანი.

ქართული ენის შემქნელმა მამებმა მეგრულ **წიფე**-ს დაუმატეს ფორმის, სხეულის გამომსახველი **ლა** და მიღებულ იქნა ქართული **წიფელა**.

ჭაბაშვილი = **ჭა** + **ბა** = **პატარა** + **სულიერი, შვილი.**

ჭიჭიბოძე, ჭიჭიკო, ჭიჭინაძე, ჭიჭვეიშვილი...

(ო. ქ.) **ჭიჭიბი** – ჭრიჭინა.

ჭიჭიბო = **ჭიჭი** + **ბო** = **მცირე** + **სულიერი** (დაბლა).

ჭიჭიკო = **ჭიჭი** + **კო** = **პატარა** + **სასურველი.**

(ო.ქ.) **ჭიჭინა** – საქონლის მძიმე ავადმყოფობაა: უსივდება მკერდი და მხარბეჭი; საქონელიც იშვიათად რჩება.

(ო.ქ.) **ჭიჭინაფა** – გაბრაზება, გაგულისება, სიბრაზით გაბერვა.

ჭიჭინაფა-ში ფორმანტი **ჭი** გამოსახავს არა მცირეს, არამედ მცნებას **ჭი**-თა > წითელი.

ჭიჭინაფა = **ჭი** (თა) + **ჭი**(თა) + **ნ** + **აფა** = **წითელი** + **წითელი** + **დედა** (სხეული) = **მოქმედება** = ცხეულის გაწითლება.

გაბრაზება გაწითლებასც გულისხმობს და საქონლის მძიმე ავადმყოფობა **ჭიჭინა ჭიჭინაფა**-ს გამოვლენაა (გაწითლებაა).

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭიჭვე** – გადაჭრილი მსხლის ამონაყარი გაზაფხულზე (**ჭიჭე**, მცირე ამონაყარი ჯ.კ.).

ჭუჭულაშვილი.

(ქ.ე.გ.ლ.) **ჭუჭული** 1. ბატის, იხვის და მისთ. ნაშიერი. 2. იგივეა, რაც წიწილა.

მეგრ. ჭუა ეწოდება წვას, ჭუჭუა კოცნას, ვინაიდან საკოცნელი შეხება მწველია.

ჭუჭული = **ჭუჭუ**(ა) + **ლი** = **კოცნა** + **სხეული** = საკოცნელი სხეული (ბატი, იხვი და მისთ. ნაშიერი -- წიწილები).

ხერკელაძე

(ო. ქ.) **ხერკელ-ი** – გორაობა, გორვა; კოტრიალი.

(ო. ქ.) **ხერკელაფა** – გორება, გაკოტრიალება.

ხორგუაშვილი.

(ო. ქ.) **ხორგუა** – ხერგვა; ხერგის მოგროვება.

ხოჯაძე – ხოჯი მეგრულად არის **ხარი**.

ჯალიაშვილი.

(ო. ქ.) **ჯალი** – მძევალი; კვერცხი, რომელსაც ტოვებენ საბუდარში.

ასეთი კვერცხი ლაყდებოდა და უვარგისი იყო გამრავლებისა და საკვების თვალსაზრისით, ამდენად ის მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა კვერცხის სახეს და მნიშვნელობით მსგავსი იყო ხისგან გათლილი კვერცხის ფორმისა.

ჯალი = **ჯა** + **ლი** = **ხე** + **ფორმა** = ხის მსგავსი.

ჯანუაშვილი = **ჯან**(ი) + **უა** = ჯანიანი შვილი.

ჯაპიაშვილი, ჯაპავა

(ო. ქ.) **ჯაპი** – თუთა; თუთის ხე.

ჯაყაშვილი

ჯაყა = **ჯა** + **ყა** = **ხე** + **რტო, შტო, ნაყოფი** = ახლად განტოტვილი ხე, ხის ნაყოფი.

(ო. ქ.) **ჯაყაში** გარეული ხილი.

ჯაჯანიძე – **ჯაჯა**-თი მეგრულში აღინიშნება **ძერა**.

ჯინჯიხაშვილი

(ო. ქ.) **ჯინჯი** – ძირი.

ჯირაშვილი. ჯირა მეგრ. აღნიშნავს წოლა-ს, მწოლიარე მდგომარეობას.

ჯორბენაძე
(ო.ქ.) **ჯორა** ნიკორა, თეთრი ნიშანი.
ჯორბენა = **ჯორ**(ა) + **ბე** + **ნა** = ნიკორა პატარა დედის.

ძველი ქართული

„ქართლის ცხოვრების"-ა და სხვა ნატყუარ ქართულ წყაროთა ენა არის აღრევა ახალი და ძველი ქართული მეტყველებისა. მათი მეტყველება მიაგავს წლოვანი კაცის ცდას მიბაძოს პატარა ბავშვის ენას და ამ მიზეზით რომ ენას იჩლექს. მაგალითი, როცა ავტორი ცდილობს ენა დააძველოს, შემჩნეული აქვს ივანე ჯავახიშვილსაც ერთ-ერთი ნატყუარი ქართული წყაროს -- „განგება დარბაზობისა"-ს მიმოხილვისას.

(**ივანე ჯავახიშვილი** VI 427): „ამ ძეგლის ზემოაღნიშნული ანაქრონიზმი და მისი შემადგენლის ცხადი წადილი თავისი ნაშრომი უაღრესი სიძველის შარავანდედითა და ავტორიტეტით შეემოსა, გვაფიქრებინებს, რომ აქ ნატყუარ ძეგლთანა გვაქვს საქმე, უეჭველია XV ს-ზე უწინარეს შედგენილი არ უნდა იყოს".

მართებულია სერგი ჟღენტის დასკვნაც:

(**სერგი ჟღენტი** 309): „Живые грузинские говоры сохраняют часто более архаичные явления, чем язык древнейших памятников грузинской письменности".

ამ დასკვნის ნათელი მაგალითია ხმოვან **უ**-ს ჭარბი გამოყენება მეგრულსა და ჭეშმარიტ ძველ ქართულ ძეგლებში, ნაცვლად თანხმოვან **ვ**-ს ჭარბი გამოყენებისა ნატყუარ ქართულ წყაროებში. ჩვენი თემის უკეთ წარმოსაჩენად, განვიხილოთ ანისის წარწერა.

(**ქ.ს.ე.** I 466): „ანისის ქართული წარწერა 1218 წ. საქართველოს კათალიკოსის ეტიფანეს განაჩენის ტექსტი, რომელიც მოთავსებული ყოფილა ანისის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე. აღმოაჩინა ნიკო მარმა 1910 წ. ანისის არქეოლოგიური გათხრების დროს. განაჩენი გამოტანილია ანისის მართლმადიდებელი ქართული და სომხური მრევლისათვის საეკლესიო მისაცემელთა (ჯვრისწერისას, ნათლობისას, წესის აგებისას) გადიდებამ. უკმაყოფილო მრევლი პროტესტის ნიშნად ზოგჯერ წირვა-ლოცვასაც აღარ ესწრებოდა. გამწვავებული ურთირთობების მოგვარება სცადა საქართველოს კათალიკოსმა ეტიფანემ. იგი იძულებული გახდა დაეგმო ხუცესების საქციელი და შეემცირებინა საეკლესიო მისაცემელთა ოდენობა. ეტიფანეს განაჩენს ხელს აწერს ანისის სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი და ქალაქის ამირა ვაჰრამი".

წარწერა არაა მოხვედრილი ჩვენი ისტორიის მწვალებელთა ხელში და წარმოადგენს XIII საუკუნის ქართული მეტყველების ეტალონურ ნიმუშს, მითუმეტეს, რომ ტექსტი შედგენილია ქართული ენის სიწმინდის უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოში – საქართველოს კათოლიკოსის კანცელარიაში და გამორიცხულია გადამწერთა შეცდომები, ვინაიდან თანამედროვეთა მიერ ქვაზეა ამოკვეთილი. წარწერა გვამცნობს:

„ტყუს ჴმაჲ საღმრთოჲ „უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდით", ესე იგი არს გეტყუს||ღმერთი უკვდავი: ჩემდა რაჲ-მე გიცემიეს მადლისა მისთუს, რომელი

ჩემგან მიიღეთ? თქუენცა ჰყიდდით დიდსა||მადლსა ჩემგან უსყიდულსა. უკეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჯერ არს სყიდაჲ ლოც||ვათა ერისა ერისა მიმართ. აწ, სასონო ჩემნო ანელნო ხუცესნო, ნუ იქნებით დასაბრკოლებელ||სიტყუათ და ნუცა გარდაჴდებით მოცქიულთ მცნებასა ცუდისა და წარმავალისათუს. ყოვლად უწესო||[ო] არს აღებაჲ თქუენგანცა გურგუნთა კურთხევისათუს ასისა დრამისა ...||... არსთ ძალი ედვას, პური აჭამოს. ეგრეთვე მკუდარისათუს რომელი ჭირს...||... უფრო შესჭირდების მისისა სულისაჲ. ეგდენივე ასისსა ტფილურისა მიეცეს და...||პური აჭამოს და სხუაჲ წაღებაჲ ძალისაებრად. ყოველი მისაცემელი მღ[დელთა უბრკოლ]ებელი იყავნ თქუენდა მოსაცემლად. მკუდრნო ამის ქალაქისანო ქართველნო. რ... ცა...[იგი]||პირველად დიდად პატივცემდით. მღვდელთაგან გიPმს ლოცვაჲ და წირვაჲ. ნუ გეწყინების მათთუს ძა[ლი]||საებრი მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისცემდით თუნიერ დაჭირებისა. რამეთუ მხია[რ]||ულებით მისაცემელი უყუარს ოჴფალსა. და თქუენ გიყარდენ ვითარცა მამანი სულიერნი და მათ უყარდით ე[ითარცა]||შვილნი სულიერნი. ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლდებით და ნუცა თქუენ. ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოჲ [იგი] || სიყარული ერთმანეთისაჲ მოიგეთ და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნებათაჲ. ესე მე ეტიფ||ანეს კათალიკოზსა ჩემითა ჴელითა დამიწერია, ოდეს ანის ეკლესიანი ვაკურთხენ. ტფილური ასი დრამი||იგი იყოს: დანგი ერთი მიეცეს და ზროხის ტყავი რომელ ერთობ წაგიღია აქამდის, აწ საწირავად||ვე მისცემდით თუთო შოლტს. და ჩუენ საეკლესიოთა წესთაგან რა შეიცვალებით? ვინცა ესე ჩემი გა[გე]||ბული შეცვალოს, არ... ბრძანებაჲ ღმრთისაგან და მისთა წმიდათაგან ქორონიკონსა ჳლწ“.

დასაწყისში ავღნიშნოთ, რომ ტექსტის ლექსიკაში იკითხება გურულ-იმერული (ქართულში გარდამავალი მეგრული) დიალექტების მახასიათებელი ქართული – „უსასყიდლოდ მიგიღიეს“, „მომიცემიეს“, „გიცემიეს“, „მოცქიულთ“, „გიყვარდენ“, „დიდად პატივცემდით“, „ერთობ წაგიღია აქამდის“, „რა შეიცვალებით“.

ტექსტის მიმოხილვას შევუდგეთ ფრაზებიდან -- „ტყუს ჴმაჲ საღმრთოჲ", „გეტყუს ღმერთი" და „დასაბრკოლებელ||სიტყუათ". ფორმა ტყუ მეგრული წარმომავლობისაა და ძველი ქართულის მახასიათებელია.

(ო. ქ.) ტყუ -- ლაპარაკობს//ამბობს – იტყვის – თქვა.

გავიხსენოთ ჩვენი მსჯელობა ფორმა **ტყუ**-სთან დაკავშირებით: კოლხური აზროვნებით, სხეულის მოძრაობის უნარი დამოკიდებულია სხეულში მიმდინარე ძლიერი წვის პროცესზე, ხოლო საუბრისათვის სითბოც საკმარისია, ანუ ორთქლმავალმა რომ იმოძრაოს წვის დიდი ენერგია ესაჭიროება, ხოლო საყვირის ხმის გამოსაცემად სითბოც საკმარისია. გავიხსენოთ, რომ თანხმოვანი ყ (მიწიერი ძალა) განაგებს გონებას, მოსმენის უნარს და **ტყუ** = ლაპარაკობს, ამბობს. ამ აზროვნებამ წარმოშვა ადამიანის მოქმედების (მეტყველების) საშუალება – სი-ტყუა. მეგრული ფორმა **ტყუ** ძველქართულში მტკიცედ იყო დამკვიდრებული.

(ი. ა.) ტყუება ალაპარაკება: „უტყუთა ატყუებს“.

(ი. ა.) აღ**ტყუ**ება სიტყვის თქმა, ამეტყველება: „ვითარცა აღი**ტყუ**ა ყრმა იგი“.

ტყ+ვა = გამოთქმის მოქმედება:

(ო. ქ.) ტყვაცი მეხი; ჭექა, ქუხილი.

(ო. ქ.) ტყვაჟაფი კაჟიანი (ან ფილთა) თოფის გასროლის ხმა.

(ო. ქ.) ტყვია ტყვია.

ამრიგად, **ტყ**-ს გვერდით უჯდება **ვა** (ელვა, მოქმედება) და მივიღეთ ცის გამოთქმა – მეხი (**ტყვაცი**), იარაღის სროლის ხმა -- **ტყვაჟაფი** და თავად სასროლი საშუალება **ტყვია**. გარდა ფორმებისა **ტყუ, ტყვა** არსებობს ფორმა **ტყო**, ანუ თუ **ტყუ** სხეულის ზედა

ნაწილით, პირით გამოთქმის უნარია, **ტყო** სხეულის ქვედა ნაწილით გახმაურების უნარია.

(ო. ქ.) ტყორინ-ი კუილი.

ილია აბულაძის მონაცემებით, ძველ ქართულში ადამიანის გამოთქმის გამოსახავად ძირითადად მოქმედებს ფორმა **ტყუ** (სიტყუა, მეტყუელება, განსიტყუება, პირუტყუ...) და ნაწილობრივ ტყჷ, ანუ ტყუ-ში ხმოვან უ-ს ენაცვლება თანხმოვანი ჷ (ვიე) (სიტყჷერი, სიტყჷს...). ვინაიდან ილია აბულაძე ნატყუარ ტექსტებსაც ეყრდნობა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სინამდვილეში ხმოვან **უ**-ს შენაცვლება თანხმოვან ჷ (ვიე)-თი წარმოადგენდა გამონაკლისს, ყოველ შემთხვევაში მოცემულ ტექსტში ასეთი შემთხვევა არ ფიქსირდება. ამ თემას ეხმიანება ის ფაქტიც, რომ ილია აბულაძეს დაფიქსირებული აქვს მხოლოდ ფორმა გჷრგჷნი (გვირგვინი – სამეფო სახურავი), ხოლო ანისის ტექსტში გვაქვს გურგუნი.

ძველ ქართულში თანხმოვან **უ**-ს უპირატესობა თანხმოვან **ვ**-ზე, განპირობებული იყო ბერძნული ენის გავლენითაც. კლასიკური ბერძნული არ გამოიყენებს თანხმოვან **ვ**-ს და ქართული ენა კი მოგეხსენებათ ბერძნულიდან ბიბლიის სათარგმნელად შეიქმნა. ასევე უნდა გათვალისწინებულ იქნას ის ძირითადი მიზეზი, რომ მეგრული ენაც, საიდანაც წარმოდგა ქართული ენა, ნაკლები ინტენსივობით იყენებს თანხმოვან **ვ**-ს.

ქართველთა მეტყველებაში თანხმოვან **ვ**-ს ხმოვან **უ**-ზე მძლავრობის ზენიტს სულხან-საბას ლექსიკონის შედგენის პერიოდი წარმოადგენს. მაგალითად:

გვადრაკი < **გუ**ადრაკი; **გვ**ადროებს < **გუ**ადროებს; **გვ**ადრუცი < **გუ**ადრუცი; **გვ**ალაგი < **გუ**ალაგი; **გვ**ალე < **გუ**ალე; **გვ**ალვა < **გუ**ალვა; **გვ**ამი < **გუ**ამი; **გვ**ანება < **გუ**ანება; **გვ**არი < **გუ**არი; **გვ**არლი < **გუ**არლი; **გვ**არჯილა < **გუ**არჯილა; **გვ**ელი < **გუ**ელი; **გვ**ემა < **გუ**ემა; **გვ**აჯი < **გუ**აჯი; **გვ**ერდი < **გუ**ერდი...

მკვარი < **მკუ**არი; **მკვ**ახე < **მკუ**ახე; **მკვ**დარი < **მკუ**დარი; **მკვ**ეთრი < **მკუ**ეთრი...

ნაწვართი < **ნაწუ**ერთი; **ნაწვ**ეთი < **ნაწუ**ეთი; **ნაწვ**ელარი < **ნაწუ**ელარი და სხვა უამრავი. კერძოდ განვიხილოთ თვალსაჩინო მაგალითი:

(ს. ს.) სიტყვა ნ. სიტყუა.

(ს. ს.) სიტყუა (სიტყვა) – განიყოფების სიტყვიერებაჲ სულისაჲ შინაგან მდებარებისა სიტყვისა და ჴმოვანისა მიმართ და არს შინაგანი მდებარე უკვე სიტყვა მოძრაობა სულისაჲ განმსიტყველობითისა ძალსა შინა ქმნილი თვინიერ რომელი ესე...

სულხან-საბა განმარტავს სიტ**ყუ**ა-ს მნიშვნელობას და თავად კი იყენებს მხოლოდ ფორმას სიტ**ყვ**ა, ანუ ხმოვან უ-ს თანხმოვან ვ-ს ჩანაცვლება მისთვის კანონზომიერი მოვლენაა, ტრადიციაა. ამჯერად წავიკითხოთ ანისის ტექსტის სიტყვები სულხან-საბას ტრადიციით, მისი თანამედროვე ენით.

ტყუს > იტყვის; გეტყუს > გეტყვის; მისთუს > მისთვის; თქუენცა > თქვენცა; უსყიდულსა > უსყიდველსა; თქუენგან > თქვენგან; სიტყუათ > სიტყვათ; წარმავლისათუს > წარმავლისათვის; თქუენგანაცა > თქვენგანაცა; გურგუნთა > გვირგვინთა; კურთხევისათუს > კურთხევისათვის; მკუდრისა > მკვდრისა; მღდელთა > მღვდელთა; მათთუს > მათთვის; თუნიერ > თვინიერ; უყუარს > უყვარს; თქუენ > თქვენ; გიყუარდენ > გიყვარდენ; უყუარდით > უყვარდით; თქუენ > თქვენ; სიყუარული > სიყვარული; ჩუენ > ჩვენ.

ვღებულობთ, რომ ანისის XIII საუკუნის ქართულ ტექსტში არსებულ 21 თანხმოვან **ვ**-ს, ახალი ქართულით წაკითხვით უნდა დაემატოს 27 ერთეული თანხმოვანი **ვ** და საერთო რაოდენობა გამოდის 48 ერთეული, ანუ თანხმოვან **ვ**-ს რაოდენობა ხმოვან **უ**-ს ხარჯზე თითქმის ორმაგდება. ნებისმიერი მეგრული ტექსტის

გადაქართულებით მიიღებთ დაახლოებით იგივე სურათს. ეხლა გავიხსენოთ სტროფები „ვეფხის ტყაოსანი“-დან.

909 „პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
თვითო ტოტი ერთმანერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდნეს;
გამოჰრიდა ვეფხვმან გული,--დედამთაცა გამოჰრიდნეს!—
და ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს.

910 „ლომსა დავუგმე ნაქმარი, ვარქვი: «არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!»
ხრმალ-გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა სობასა,
და თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავჰხსენ სოფლისა თმობასა.

911 „ხრმალი გავტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხვი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცლითა ცხელითა;
მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭალითა სისხლთა მღვრელითა,
და ვეღარ გავუძელ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა.

912 „რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხვი ვერა დავამშვიდე,
გავგულიდი, მოვიქნივე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე;
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე;
და სული სრულად არ ამომხდეს, რას გიკვირს, რომ ცრემლსა ვჰღვრიდე!

დღევანდელი გადასახედიდანც „ვეფხის ტყაოსანი“-ს ამ მონაკვეთის ორ სიტყვაში თანხმოვან ვ ზედმეტობათაც კი გვევლინება – თვითო (უნდა იყოს თითო) და მოვიქნივე (უნდა იყოს მოვიქნიე). „ვეფხის ტყაოსანი"-ს ტექსტი თანხმოვან ვ-ს ტრიუმფია, ის აქ დღევანდელ ქართულთანაც შედარებით ჭარბადაა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ „ვეფხის ტყაოსანი"-ს ჩვენამდი მოღწეული ტექსტის რედაქტირება მოხდა იმ პერიოდში როცა ქართულ მეტყველებაში თანხმოვან ვ-ს შემოტევის პიკი იდგა, ეს კი იმას გვავალდებულებს, რომ კაპიტალურ გადახედვას ექვემდებარება უკლებლივ ყველა ჩვენამდე მოღწეული ქართული ლიტერატურული ძეგლი.

ასევე საეჭვოა „ვეფხის ტყაოსანი“-ს შემდეგი ცნობა:

968 მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი;
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
და რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

სულხან-საბას მეორე ტომის 643 გვერდზე მისი თანამედროვენი საბას შესახებ სწერენ:

„კვალად მჴცოვანებისა ჟამსა მეფეს ვახტანგს წარჰყვა ხაზარეთს და პეტრებრუხის ქალაქს მიიცვალა“.

როცა XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც, სულხან-საბას სიკვდილის შემდგომაც, საქართველოში მწიგნობარი ხალხი რუსეთს ჯერ კიდევ ხაზარეთად იცნობდა, პეტერბურგს პეტრებუხად მოიხსენიებდა, ძნელი წარმოსადგენია მცნება რუსი-ს (რუსეთის მნიშვნელობით) მკვიდრობა XII საუკუნის საქართველოში.

დასკვნის სახით

როგორც ჩვენმა წინაპრებმა თანადროული მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით შექმნეს ჯერ კოლხურ ტომთა გამაერთიანებელი წარმართული კოლხური ენა და შემდგომ იგი დროის შესაბამისად ქრისტეანულ კოლხურ ენად გარდაქმნეს, ასევე ჩვენი დღევანდელი მეტყველება თანამედროვე სამყაროს ინფორმატიკული ბუნების შესატყვის ენად უნდა გარდავსახოთ.